მაგი მიზანი ჰქონდა: როგორმე დაერწმუნებინა ქართველი სოციალ-დემოკრატები მხარი დაეჭირათ საქართველოს ეროვნულ-ტერიტორიული ავტონომიისათვის და ამავე დროს, გერმანული მთავრობის სახელით შეეთავაზებინათ კომპრომისული ზავის დადება ოთხთა კავშირის ქვეყნებთან. ამ შემთხვევაში, კომიტეტის იმის იმედი ჰქონდა, რომ საზავო მოლაპარაკებისას საქართველოსადმი ავტონომიის მინიჭების საკითხს თავად ბერლინი დააყენებდა რუსეთის წინაშე. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საერთაშორისო ურთიერთობებში კომიტეტის წევრები მოქმედებდნენ სალი რეალიზმიდან და საქართველოს ინტერესებიდან გამომდინარე. მაგალითად, 1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ რუსეთის დროებითი მთავრობის სახელზე გაგზავნილ ტელეგრამებში, ისინი მოუწოდებდნენ უკანასკნელს დათანხმებოდა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენას 1783 წლის გეორგიევსკის ტრაქტატის პირობებით, რუსეთის მიერ საქართველოზე პროტექტორატის შენარჩუნებით. ის, რომ ამ ინიციატივებს შედეგი არ მოჰყოლია, გარკვეულწილად უნდა აიხსნას რუსეთში დიდი გავლენის მქონე ქართველი სოციალ-დემოკრატების პოლიტიკური პასიურობით.

1918 წლის დასაწყისში კავკასიას საფრთხე ორი მხრიდან ემუქრებოდა: უკვე მოშლილი კავკასიის ფრონტის რუსი გაბოლშევიკებული ჯარისკაცებისგან და წინ მიმავალი ოსმალური ჯარისგან, რომელიც, სარგებლობდა რა კავკასიის რუსული არმიის გახრწნით, მზად იყო გადაეღებინა 1914 წლის საზღვრები და შეჭრილიყო კავკასიის ტერიტორიაზე. კრებულში შეტანილი დოკუმენტები ადასტურებენ, რომ სამხრეთ კავკასიაში ამ დროს არსებული ამიერკავკასიის კომისარიატი და სეიმი საფრთხესთან გამკლავებას მხოლოდ შინაური ფრონტით ცდილობდნენ. ენერგიულად მიღებულ და სავსებით გამართლებულ ზომებს, გაბოლშევიკებული რუსი ჯარისკაცების ნაწილობრივ განიარაღების და ნაწილობრივ, ტფილისის გვერდის ავლით, ჩრდილო კავკასიაში გაგზავნისა, საიდანაც ისინი რუსეთში ბრუნდებოდნენ, არ მოყვა მსგავსი ენერგიული ზომები საგარეო ფრონტზე. ზოგადად, რუსეთში ბოლშევიკური გადატრიალებიდან ბრესტ-ლიტოვსკის ზავამდე საგარეო-პოლიტიკურ ასპარეზზე ამიერკავკასიის მმართველების მიერ გამოჩენილი პასიურობა და რუსეთის დემოკრატიზაციის იმედი იყო ერთ-ერთი უდიდესი შეცდომა, რაც ამ პოლიტიკურმა გუნდმა დაუშვა იმ არეულობის პერიოდში. ხედავდნენ რა კარზე მომდგარ საფრთხეს, ქართული კომიტეტის წევრები (ჯერ კიდევ 1917 წლის ოქტომბერში მიხეილ წერეთელი და მელიტონ ქარცივაძე გერმანული წყალქვეშა ნავით საგანგებოდ ჩამოვიდნენ საქართველოში, სადაც 1918 წლის მარტამდე დარჩნენ) ცდილობდნენ სოციალ-დემოკრატთა დარწმუნებას, ოსმალეთთან დროული ზავის დადებით გაენეიტრალებინათ მისგან მომდინარე საფრთხე. 1918 წლის 4 თებერვალს, გიორგი მაჩაბელს ვარშავაში საგანგებო შეხვედრაც ჰქონდა თურქეთის დიდ ვეზირ თალაათ ფაშასთან, სადაც უკანასკნელმა განუცხადა, რომ თურქეთს არ ექნება ტერიტორიული პრეტენზიები საქართველოსადმი, თუ ეს უკანასკნელი ამიერკავკასიასთან ერთად რუსეთისგან დამოუკიდებლობას გამოაცხადებს. ემყარებოდნენ რა ამ განცხადებას, რომლის გულწრფელობაშიც მათ, ცხადია, ეჭვი ეპარებოდათ, კომიტეტის წევრები ცდილობდნენ ქართველი სოციალ-დემოკრატების დარწმუნებას, ოთხთა კავშირის ქვეყნებსა და საბჭოთა რუსეთს შორის ბრესტ-ლიტოვსკში უკვე მიმდინარე კონფერენციაზე უკრაინელთა მსგავსად საკუთარი სრულუფლებიანი წარმომადგენელი გაეგზავნათ, რათა კავკასიის რუსეთისგან დამოუკიდებლობის

ფორმალური გამოცხადებით მოეხდინათ თურქთა ტერიტორიული პრეტენზიების დაბლოკვა, რაშიც მათ სავსებით შეეძლოთ ჰქონოდათ გერმანელთა მხარდაჭერის იმედი. თუმცა, სოციალ-დემოკრატებმა საგარეო ფრონტზე პასიურობა გააგრძელეს. აღსანიშნავია, რომ ბრესტ-ლიტოვსკში კავკასიელების არყოფნას ობიექტური მიზეზებიც ჰქონდა. გერმანელებს ან ავსტრიელებს კავკასიელები არ მიუწვევიათ მოლაპარაკებებზე. მოწვევა გაკეთდა თურქების მხრიდან, ისიც გვიან, 1918 წლის 16 იანვარს, როცა ოსმალთა კავკასიის არმიის სარდალმა ვეჰიბ ფაშამ, წერილი გაუგზავნა ამიერკავკასიის ხელისუფლებას. ამიერკავკასიის ხელმძღვანელობამ აღნიშნული მიწვევა მხოლოდ 14 თებერვალს მიიღო და უპასუხოდ დატოვა, სავარაუდოდ იმიტომ, რომ მოლაპარაკებები ამ დროს უკვე ბოლო ფაზაში იყო შესული და კავკასიელი წარმომადგენლების ჩასვლა ფიზიკურად ვერ მოესწრებოდა. პრობლემას წარმოადგენდა მგზავრობაც, მიმდინარე ომის გამო. განთავისუფლების კომიტეტის წევრთა წინადადებას, წარმომადგენლის მანდატი რომელიმე მათგანისთვის მიენიჭებინათ, ამიერკავკასიის მთავრობამ დუმილით უპასუხა, როგორც ჩანს, უნდობლობის გამო. ბრესტ-ლიტოვსკში კავკასიის ოფიციალური წარმომადგენლის დასწრება ამიერკავკასიის საკითხს უკრაინის, ფინეთის და ბალტიის ქვეყნების გვერდით დააყენებდა და სავარაუდოდ, ბათუმის ოლქის შენარჩუნებაც მოხერხდებოდა. ბრესტ-ლიტოვსკში ამიერკავკასიელი წარმომადგენლის არყოფნით ოსმალეთმა ისარგებლა და რუსეთისგან 1918 წლის 3 მარტს ყარს-არდაგან-ბათუმის დაბრუნების პირობა მიიღო. ოსმალთა საბოლოო ანექსიისგან ბათუმი და მათ მიერ შემდგომ, დროებით ოკუპირებული სამხრეთ საქართველოს ტერიტორიები, მხოლოდ პირველ მსოფლიო ომში ოსმალეთის მარცხმა იხსნა.

საქართველოს განთავისუფლების კომიტეტის საქმიანობა მხოლოდ სამხედრო-პოლიტიკური ასპექტით არ შემოიფარგლება. კომიტეტი ეწეოდა აქტიურ კულტურულ პროპაგანდას, გერმანიის იმპერიაში საქართველოს შესახებ ცნობადობის ასამაღლებლად. კომიტეტის ლიდერები კითხულობდნენ ლექციებს კავკასიის შესახებ სხვადასხვა აუდიტორიებთან, აქვეყნებდნენ სტატიებს გერმანულ პრესაში, ბეჭდავდნენ ბროშურებს კავკასიის გეოპოლიტიკური მდებარეობის და წიაღისეულის შესახებ და ქმნიდნენ წინაპირობებს დამოუკიდებლობის მოსამზადებლად. საქართველოს და გერმანიის კულტურული დაახლოვებისთვის გადადგმული მორიგი ნაბიჯი იყო, ქართული კომიტეტის ორგანიზებით 1915 წლის ბოლოს დაფუძნებული „გერმანულ-ქართული საზოგადოება“, რომლის მთავარ ფუნქციას კავკასიის და საქართველოს შესახებ ყველანაირი ინფორმაციის გამოქვეყნება წარმოადგენდა. წიგნში წარმოდგენილი დოკუმენტებით ირკვევა, რომ საზოგადოების წევრები გახდნენ ისეთი ცნობილი ადამიანები, როგორებიც იყვნენ მაშინ ცნობილი კოლონიალისტი – ჰერცოგი ადოლფ ფრიდრიხ ფონ მეკლენბურგი, ისტორიკოსი ჰანს დელბრუკი, პროფესორი ადოლფ ჰარნაკი, მწერალი და ხელოვანი კარლ ფოლმიოლერი, რაიხსტაგის რამდენიმე წევრი, გერმანული სამხედრო, საფინანსო და სამრეწველო ელიტის ბევრი გავლენიანი წარმომადგენელი და ა.შ. „გერმანულ-ქართული საზოგადოების“ წევრთა სრული სიები და ბიოგრაფიები ხელმისაწვდომია წინამდებარე გამოცემაში.

რატომ გადავწყვიტეთ ამ წიგნის გამოცემა? საქართველოს განთავისუფლების კომიტეტის შესახებ ქართველი მკითხველისთვის არცთუ ბევრი მასალა არსებობს. რამდენიმე წლის წინ გამოიცა ისტორიკოს ლაშა ბაქრაძის შესანიშნავი

მონოგრაფია კომიტეტის საქმიანობის შესახებ,¹ თუმცა ჩვენს გამოცემას მისგან განსხვავებული ფუნქცია აქვს. ეს არის დოკუმენტების კრებული, რომელმაც საკითხით დაინტერესებული მკვლევრებისა და ფართო აუდიტორიისთვის, საარქივო მასალის ფუნქცია უნდა შეასრულოს, მიაწოდოს რა ინფორმაცია გერმანული, ავსტრიული, ფრანგული, რუსული და კერძო არქივებიდან ისეთი ფორმით, როგორც ისინი ორიგინალშია. მათ წაკითხვა-გაშიფვრას, ხშირად ძალიან გაკრული ხელნაწერებიდან, დიდი დრო და ენერგია შევალეთ. გადმოვთარგმნეთ ყველა დოკუმენტი კომიტეტის წევრების ხელმოწერებით, რაც ჩვენ მოვიპოვეთ, შესაბამისად, წინამდებარე გამოცემას სისრულეზე აქვს პრეტენზია. ამავდროულად, არ გამოვრიცხავთ, რომ არსებობდეს კიდევ მცირე ოდენობით მასალა, რომელიც ჩვენთვის არაა ცნობილი, თუმცა ჩვენი მასალის სიდიდიდან გამომდინარე, შეიძლება აქვე ითქვას, რომ საერთო სურათს ვერ შეცვლის. ყველა ძირითადი დოკუმენტი კომიტეტის შესახებ, კრებულში არის წარმოდგენილი. ზემოხსენებულ დოკუმენტებს თან დავურთეთ უცხოელ – გერმანელ, ავსტრო-უნგრელ, თურქ, რუს და სხვა ისტორიულ პირთა მნიშვნელოვანი წერილები და დოკუმენტები საქართველოს, კავკასიის, განთავისუფლების კომიტეტის, ქართული ლეგიონის, ქართველი სამხედრო ტყვეების და მსგავსი საკითხების შესახებ, რომ მკითხველისთვის გასაგები გამხდარიყო საერთაშორისო კონტექსტიც. ამასთანავე, კრებულში შესულია ომის წლებში, კომიტეტის საქმიანობის პარალელურად მის წევრთა მიერ გამოქვეყნებული და ჩვენს მიერ მოპოვებული სხვადასხვა საგაზეთო თუ სხვა ტიპის პუბლიკაციები, რომლებიც ჩვენი წიგნის შინაარსში ჯდება. ვიმედოვნებთ, რომ მკითხველი კმაყოფილი დარჩება არჩევნის მრავალფეროვნებით.

და ბოლოს, ჩვენი გადაწყვეტილება გამოგვეცა ვრცელი კრებული ქართული კომიტეტის საქმიანობის შესახებ, კიდევ იმითაც იყო განპირობებული, რომ კომიტეტის ისტორია წარმოადგენს გამორჩეული იდეალიზმის შემთხვევას საქართველოს უახლეს ისტორიაში, რაც ფართო საზოგადოებისთვის აუცილებლად უნდა იყოს კარგად ცნობილი. ყურადღება მივაქციოთ, რომ პირველ მსოფლიო ომამდე, ან თუნდაც 1917 წლამდე, საქართველოს დამოუკიდებლობაზე და რუსეთის იმპერიის დანგრევაზე ფიქრიც კი წარმოუდგენელი ამბავი იყო, მაგრამ კომიტეტის ლიდერები აკეთებდნენ იმას, რაც სწორად მიაჩნდათ: მაჩაბელი, წერეთელი, სურგულაძე და სხვები ხშირად მიდიოდნენ სიცოცხლისთვის საშიშ რისკზეც კი, როდესაც წყალქვეშა ნაგებით იარაღი შემოჰქონდათ საქართველოში, ან ყალბი პასპორტით ჩამოდიოდნენ ტფილისში მსოფლიო ომის დროს. დაპატიმრების შემთხვევაში, მათ გარანტირებული სიკვდილი ელოდათ, მაგრამ ამაზე მაინც მიდიოდნენ. საბოლოოდ, მათმა კურსმა, რომელიც 1914 წლისთვის ძალიან ავანტიურისტული ჩანდა, ნაყოფი გამოიღო და იდეალისტი ადამიანების შეუპოვრობამ, ქართულ საზოგადოებას კონკრეტული სარგებელი მოუტანა. საქართველოს მე-20 საუკუნის ისტორიაში უდავო ფაქტად დარჩება ერთი გარემოება: ის, რომ

¹ იხ. ბაქრაძე ლ. გერმანულ-ქართული ურთიერთობები პირველი მსოფლიო ომის დროს. ქართული ეროვნული კომიტეტის საქმიანობა 1914-1918 წწ. თბილისი, 2009. აქვე უნდა ვახსენოთ ორი გერმანულენოვანი ისტორიკოსი, ვოლფდიტერ ბილი და ვერნერ ციურერი, რომლებმაც შრომები მიუძღვნეს საქართველოს განთავისუფლების კომიტეტის და ქართული ლეგიონის საქმიანობას. Bihl W. Die Kaukasus-Politik der Mittelmächte. Teil I: Ihre Basis in der Orientpolitik und ihre Aktionen 1914-1917. Wien-Köln-Graz 1975. Teil II: Die Zeit der versuchten kaukasischen Staatlichkeit 1917-1918. Wien-Köln-Weimar 1991. Zürrer W. Zur Geschichte der Georgischen Legion im Ersten Weltkrieg. Militärgeschichte Mitteilungen, 1978, 23, S. 85-104.

1918 წლის 26 მაისს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ, საქართველოს სახელმწიფოებრივი კონსოლიდაცია გერმანელთა დახმარებით იქნა მიღწეული და საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მთავრობას და კავკასიაში გერმანულ სამხედრო მისიას შორის, თანამშრომლობა უმტკივნეულოდ შედგა, მნიშვნელოვნად უკავშირდება იმ გიგანტურ სამუშაოს, რომელიც საქართველოს განთავისუფლების კომიტეტმა შეასრულა გერმანიაში 1914-1918 წლებში. მან გერმანულ პოლიტიკურ, სამხედრო და ფინანსურ ელიტას, ფაქტობრივად, დამოუკიდებლობის მოპოვებამდე გააცნო საქართველო და კავკასია.

THE GEORGIAN NATIONAL COMMITTEE (1914-1918) INTRODUCTION

This collection of historical documents represented to the society is a significant source about the fight for national liberation in the Georgian history of the 20th c. It refers to the activities of those political organization and its members who were the pioneers to claim the restoration of independence of Georgia after a centenarian interval. Definitely this opportunity was provided by such epochal occasion as the World War I which changed political landscape of the world in a dramatic way and gave Georgian activists a powerful ally in face of Kaiser's Germany.

To thoroughly get in touch with the history of creation of the Georgian National Committee we should go back to the years of the first Russian revolution. Destruction of 1905-1907 carried out in the bloodiest way in Caucasus and the Stolypin reaction in the aftermath, made a heavy blow on Georgian national movement. Many Georgian revolutionaries were arrested or deported from the Caucasus, while the most radical ones emigrated to the west and continued their fight against imperial government from there. Crucial were the circumstances of 1910 when the Tsar's gendarmerie determined to accomplish a final and destructive blow over the Georgian Social-Federalist Party. According to the political realism of the epoch Social-Federalists declared Georgian national-territorial autonomy in frames of the Caucasian autonomy as their principal goal. These claims of their leadership and acute connection or cooperation with the representatives of other non-Russian peoples of the Empire including Finns, Poles and Ukrainians were unacceptable for Petersburg. Last drop in the bottle for the imperial government was the opposition of Social-Federalists to the plan of the government about inhabiting Russian colonists in Georgia, which should become an important step for the russification and the final integration of Caucasus. In April 1910 the Russian Caucasian government arrested the majority of leaders of Tbilisi and Kutaisi branches of the Social-Federalist party. After the court which lasted for 7 months 15 persons were sentenced to a 5 year deportation – a step to the final destruction of the national-liberation movement of Georgia. These events caused the radicalization of the young wing of the Social-Federalists.

Exactly among these youth which united the students of various Universities and Gymnasia of the Empire was born the idea of establishing the Georgian Separatist League in October 1910 whose purpose was the liberation of Georgia from the Empire and complete independence. According to the secret archival materials of gendarmerie a majority of the Social-Federalist party shared nationalistic ideas of the League and was ready to neglect leftist-socialist ideology and turn to the right. Simultaneously they were aware that it would be difficult to work in Georgia in the years to come and the members of the League have got a logical decision to shift the center of their activities abroad.

For that reason in December 1910 one of the leaders of Social-Federalists Petre Surguladze travelled to Europe. Already in 1911 under his leadership was founded the Foreign Com-

mittee of Georgian Separatist Party in Geneva whose name indicates on direct ties with the Georgian Separatist League acting in Georgia's underground. It seems that the League had separated itself from Social-Federalists completely for that period.¹ Members of the Committee were Leo Kereselidze, Giorgi Kereselidze and their cousin Nestor Magalashvili who had participated in combats against Russian army and police in 1905 as chiefs of military groups of the Social-Federalist party. In April 1906 after the expropriation of the Dusheti state treasury when they robbed 315 000 rubles in favor of their party, brother Kereselidzes and Magalashvili had to flee to Switzerland. In 1913-1914 a magazine „Free Georgia“ consisting of 24 pages and published on a thin cigarette paper by the Committee whose political platform was complete state independence, was illegally and secretly distributed in Georgia.

Beginning of the Great War in August 1914 created new and unique circumstances for the activity of the Committee. For the first time in history a world power like German Empire became interested in case of Georgia and Caucasus and Germans were eager to dismember the Russian Empire and showed readiness to pay for that goal appropriately. The Central Powers and Entente aimed to destroy the internal unity of their adversaries by the maximal support of the national-liberation and anti-colonial struggles of the conquered nations. For this reason numerous non-Russian peoples of the huge Russian Empire came automatically under the sphere of German Ostpolitik beginning with those of strong national identity like Finns, Poles and Baltic peoples and ending with the Muslims of Turkestan (Central Asia). The Archive of German Ministry of Foreign Affairs comprises documents under the name „Agitation against our enemies“, which includes materials about various operations financed by Germany to organize riots in the colonies of Great Britain, Russia and France. Part of this general policy, called by Germans the Revolutionisierung of the border regions of the enemy, was the Caucasian operation. One of the main roles in this undertaking was played by the Georgian National Committee, which had direct ties both with the German Foreign Ministry and with the Berlin political section of the German armed Forces' General Staff which carried out intelligence and subversive operations against the Empires of Entente during the World War.

In the second half of August 1914 a representative of the Georgian separatists in Geneva Leo Kereselidze got in touch with Berlin with the support of German consulate in Switzerland and asked for help in Georgia's fight for independence against Russia as well as provided a concrete plan of activities in Caucasus from the territory of the Ottoman Empire. On the 7th of September Kereselidze arrived in Constantinople and informed influential German ambassador Baron Hans Freiherr von Wangenheim about his plans in details. Wangenheim would become an important supporter of Georgian activists on the Turkish soil until his death in 1915.

The most crucial role in foundation of the Georgian National Committee on basis of Georgian Separatist Committee of Geneva was played by Prince Giorgi Machabeli (Matchabelli) whose influence over the Committee during 1914-1918 is obvious also from the materials published in this book. Being active in Germany since 1906, where he gra-

¹ Since its establishment the Committee of the Georgian Separatist Party acting abroad considered itself to be a foreign representation of the independent party existing in Georgia (sometimes they called themselves a group, what depicts the reality better). In the archival materials of Tsar's gendarmerie, the Foreign Committee of Georgian separatists until the end of 1916 and later the Georgian National Committee active during the World War and created on the former's base, are named as organizations connected organically with the Social-Federalist Party.

duated from the Berlin Mountain Academy, Machabeli managed to establish contacts with aristocratic and economical elites of the country, who were in touch with German interests in the colonies and therefore with the intelligence. His private unique skills did greatly support Machabeli in this occasion. A man with high erudition, hard-working and brave character, Machabeli united in his personality the love of fatherland, political flexibility, pure realism, idealistic adventurism and the art of bluffing for achieving goals. Machabeli could easily communicate with the highest representatives of German and Ottoman political and military circles and at the same time, he was able to stay for weeks in the family house of a poor Megrelian peasant after a secret and risky landing at the swampy shores of Kolkheti plane. Machabeli was a person who in September 1914 managed under the support of his German friends from the Mountain Academy, to connect with General Freiherr von der Goltz and brought him in touch with the Georgian case. Machabeli received valuable support from another leader of the Committee Mikheil Tsereteli, Doctoral candidate of Assyriology at the University of Heidelberg, who played the second role in the activities of the Committee in Berlin.

Our documents confirm that the Committee had to work in difficult conditions in spite of Berlin's support. Government of Ottoman Empire which planned to save his face from the losses on all fronts on the expense of Caucasus distrusted the activities of the Committee whose aims it considered as incompatible with its own plans. Establishment of the neutral and independent Caucasian Federation located between Russian and Ottoman Empires – avowed purpose of the Georgian Committee, was not enough for Turks. Namely, unacceptable for them was the chapter according to which the restoration of Georgia would happen within the Russian borders of 1914. Faithful to traditional Ottoman expansionism, the Young Turks considered it proper to claim from Georgians and Caucasians Kars, Ardahan and Batumi, the lands which they had lost to Russia in terms of the Treaty of Berlin in 1878, as a compensation for support. On the contrary to the Committee which supported the neutrality of Caucasus, Ottomans considered that the liberated Caucasus must be linked with them in terms of military and political agreements what would in fact mean the protectorate of Istanbul over Caucasus. The distrust caused by the differences in views was vividly shown in winter of 1914-1915 when during the onslaught of the Ottoman army in Caucasus the Trabzon Committee of Young Turks was trying to fully control the activities of the Georgian Committee and of Georgian voluntaries. The documents provided in our volume as well as the reports of German military and diplomatic personal represent the most important sources for the critical study of these events. Due to involvement of Germans and Machabeli the situation stabilized in September 1915 when a compromising agreement was signed between the Committee and the Turks according to which Ottomans would support the actions of the Georgian National Committee (establishment of Georgian Legion on Turkish soil, recognition of Georgian National Committee as a provisional Georgian government on Georgian lands liberated from Russia). At the same time the future border between Turkey and Georgia should be ascertained by the bilateral military commission after the war. In spite of signing the agreement, distrust among Georgians and Turks was continuous even after that, for instance regarding the Georgian Legion created in Trabzon by German support in 1915. In spite of the fact that the number of soldiers of the Legion never exceeded 1200 Turks watched at this undertaking with suspiciousness especially after the enlistment of former Georgian officers of the Russian army in the Legion. The situation was deteriorated by

the circumstances on the Caucasian front where everything was happening against Ottoman plans. In 1915-1917 the frontline was continuously shifting back inside the Anatolian provinces, the fact that caused hopelessness within the Ottoman military circles. The necessity of Georgian Legion's presence on the front in such circumstances caused suspicion in both sides.

The Georgian National Committee was acute on arranging relations and coordinating plans with political parties in Georgia. It was in no means a simple process as crucial ideological differences were seen between the nationalistic views of the Committee members and the leftist ideology of the most influential Social-Democratic Party of Georgia. Nevertheless a verbal agreement was made between the two sides during the secret visits of the Committee members in Georgia that the sides could act in favor of their principles and finally support the way which would prove to be the most successful. Finally in May 1918 became clear that the course of pro-German Committee and their political intuition was more correct than the passive foreign course of the Social-Democrats. The latter's prediction about Georgia's future until 1918 was not an independent state, or even state autonomy, but existence within the frames of reformed Russia. Because of this before 1918 main allies of the Committee in Georgia were Social-Federalists and since 1917 – National-Democrats. The documents in this volume indicate that the centralist position of Social-Democrats did not change even after the February revolution of 1917 in Russia. Attempts of the Committee and first of all of Giorgi Machabeli in April-September of 1917 to get in touch from neutral Stockholm with Irakli Tsereteli and Nikoloz (Karlo) Chkheidze, the former – Minister of Post and Telegraph in the provisional government of Russia, the latter – Chair of the Executive Committee of Petrograd Council, did not receive a response. As it seems the unresponded initiative of the Georgian National Committee boasted two purposes: to persuade the Social-Democrats to support the national-territorial autonomy of Georgia and also to make an offer on behalf of the German government about signing peace with Central Powers. In such case the Committee hoped that Berlin would raise itself the issue of Georgian autonomy with Russia. It must also be mentioned that on the international arena the members of the Georgian Committee acted in concert with realism and the interests of Georgia. In the telegrams to the Russian provisional government after the February revolution of 1917 they urged the latter to agree the restoration of Georgian independence in the terms of 1783 Georgievsk Treaty under securing Russian protectorate over Georgia. The fact that such initiatives had no results can at some extent be explained with the political passivity of the influential Georgian Social-Democrats in Russia.

At the beginning of 1918 danger threatened Caucasus from two sides: from the Russian bolshevized soldiers of the devastated Caucasian front and also from the advancing Ottoman troops which were profiting from the disillusionment of the Russian Caucasian army and were ready to cross the 1914 border and attack the Caucasian heartland. The documents of our volume make clear that provisional Transcaucasian governments, Commissariat and Seim, were trying to cope with coming danger only with internal front. Their energetic and absolutely appropriate measures like the disarmament and transfer of Russian soldiers bypassing capital Tbilisi to the North Caucasus from where they were going back to Russia, were not followed by the similar energetic methods on foreign front. In general the political passivity and the hope of the democratization of Russia from the Bolshevik coup till the Treaty of Brest-Litovsk was one of the gravest mistakes made by this political group during this

era of turmoil. The members of Georgian National Committee envisaged the coming danger (Mikheil Tsereteli and Meliton Kartsivadze arrived in Georgia with the German submarine already in October 1917 and remained there until March 1918) and were trying to persuade the Social-Democrats to sign a Treaty with the Ottoman Empire and quickly neutralize the growing threat. On February 4, 1918 Giorgi Machabeli had a special audience with the Grand Vizier of Turkey Talaat Pasha in Warsaw, where the latter claimed that Turkey would not have any territorial pretenses with Georgia if it would declare independence together with South Caucasus from Russia. Although being suspicious over the sincerity of the Turkish announcement members of Georgian Committee were doing their best to persuade Social-Democrats to send their plenipotentiary representative like Ukrainians at the ongoing conference among the Central Powers and Soviet Russia in Brest-Litovsk, to formally proclaim the independence of Caucasus from Russia and therefore block the territorial claims of the Turks. Nonetheless Social-Democrats were continuing passiveness on international arena. We should also notice that the absence of Caucasians in Brest-Litovsk had objective reasons too. Caucasians were not invited by Germans or Austrians to the peace talks. The invitation was made by the Turks quite lately, on January 16, 1918 when the Chief of the Ottoman Caucasian army Vehib Pasha sent a letter to the Caucasian government. The government received it on the 14th of February and left it without response, presumably because the peace talks were already in the last phase and the arrival of Caucasian representatives seemed impossible. The voyage also appeared to be problematic because of the war. On the proposal of the Committee members to grant a mandate of representative to one of them, Transcaucasian government responded with silence, perhaps because of mistrust. Presence of the official Caucasian messenger in Brest-Litovsk would help to put the Georgian question next to the Ukrainian, Finnish and Baltic cases and probably would have saved Batumi district for Georgia. From the absence of such legate profited the Ottoman Empire and got a promise of receiving back Kars, Ardahan and Batumi from Russia on March 3, 1918. Batumi and other South Georgian lands occupied by the Turks some months later were saved from the eternal annexation by the loss of the Ottoman Empire in the World War.

The engagements of the Georgian National Committee were not limited to military-political aspects alone. The Committee organized an active cultural propaganda to grow the knowledge regarding Georgia in the German Empire. Leaders of the Committee held lectures about Caucasus with different audiences, printed articles in press, publicized pamphlets about the geopolitical location of Caucasus and its natural sources and thus created preconditions for independence. Another step for the cultural rapprochement between Georgia and Germany was the establishment of „German-Georgian Society“ at the end of 1915, whose main goal was the publication of all kinds of information about Caucasus and Georgia. The documents published for the first time in our volume make clear that various notorious members of the German society like well-known colonialist Adolf Friedrich Herzog von Mecklenburg, historian Hans Delbruck, Professor Adolf von Harnack, poet, playwright and artist Karl Vollmöller, some members of Reichstag and numerous influential representatives of German military, financial and industrial elites became members of the society. Complete lists and biographies of the members of „German-Georgian Society“ are available in this volume.

Why we decided to publish the book? Georgian readers do not boast a lot of materials about the Georgian National Committee. Some years ago was publicized a superb monog-

raph of historian Lasha Bakradze about the activities of the Committee¹, but our volume has another purpose. It is a collection of documents which should replace archives for interested researchers and broad society and provide information for them from German, Austrian, French, Russian and private archives in their original form. We have invested much time and energy in reading and deciphering these often unclear handwritten correspondence. We have translated every single document with the signature of any Committee member available to us; accordingly our publication has pretence on completeness. At the same time we cannot exclude that there might exist a few materials not available to us, but because of a huge number of sources accumulated by us we can claim that they cannot change the general picture. All basic documents are provided in our volume. The book contains important reports and documents of German, Austro-Hungarian, Turk, Russian and other historical persons about Georgia, Caucasus, Georgian Committee, Georgian Legion, Prisoners of War and similar questions to make international context understandable for readers. The volume also includes various articles of the members of the Georgian National Committee published during the war parallel to their political activities which suit the content of our book.

Lastly, another reason for our decision to publicize a thick volume about the Georgian National Committee was the fact that the history of the Committee is an outstanding example of idealism in modern Georgian history and it must be very well known to the society. One should take into consideration that before the beginning of the Great War or even before 1917 dreaming about the independence of Georgia and the destruction of the Russian Empire was absolutely unimaginable, but the leaders of the Committee did just what they believed: Machabeli, Tsereteli, Surguladze and others often risked their own lives when they shipped arms with German submarines in Georgia, or visited Tbilisi during the war using falsified passports. In case of arrest death penalty was absolutely guaranteed for them but they did it anyway. Finally their course which seemed so adventurous in 1914 brought the fruits and the persistence of these idealist men gave concrete benefit to Georgian society. One occasion will stay as an undoubted fact in the history of Georgia of the 20th c.: Consolidation of Georgian statehood with German support after proclaiming independence on Mai 26, 1918 and good cooperation between the Social-Democratic government of Georgia and the German Military Mission in Caucasus was due to the gigantic work carried out by the Georgian National Committee in Germany in 1914-1918. In fact it was The Georgian National Committee who introduced Georgia and Caucasus to German political, military and financial elites before the proclamation of independence.

¹ See Bakradze L. German-Georgian Relations During World War I. Activities of the Georgian National Committee in 1914-1918. Tbilisi, 2009. Also two German-speaking historians, Wolfdieter Bihl and Werner Zürrer devoted works to the activities of the Georgian National Committee and the Georgian Legion: Bihl W. Die Kaukasus-Politik der Mittelmächte. Teil I: Ihre Basis in der Orientpolitik und ihre Aktionen 1914-1917. Wien-Köln-Graz, 1975. Teil II: Die Zeit der versuchten kaukasischen Staatlichkeit 1917-1918. Wien-Köln-Weimar 1991. Zürrer W. Zur Geschichte der Georgischen Legion im Ersten Weltkrieg. Militärgeschichte Mitteilungen, 1978, 23, S. 85-104.

№ 1

**კონსტანტინოპოლში გერმანიის საბანკებო და
სრულუფლებიანი ელჩის, ბარონ ჰანს ფრაიჰერ ფონ
ვანგენჰაიმის თელეგრაფებიდან გერმანიის იმპერიის
საბარეო საქმეთა სამინისტროსადმი, კავკასიის
რევოლუციონირების გეგმასთან დაკავშირებით**

1914 წლის 9 აგვისტო
თერაპია¹

ლიეჟის აღება ამ საგრძნობლად დიდი გავლენა იქონია. თურქების მხრიდან სიმპატიის დამადასტურებელი ბევრი ცნობა მოდის. მე მესტუმრა მოხუცი მარშალი ფუადი² და რუსეთის ჩერქეზებზე მისი მთელი გავლენის გამოყენება შემომთავაზა, რომ მთავრობის მიერ უკვე შემუშავებული კავკასიის რევოლუციონირების გეგმა მხარდაჭერილ იყოს ჩერქეზების მიერ. ამ საკითხში საელჩოს ნდობით აღჭურვილ პირად მე წარმოვადგინე მოზელი³, რომელიც ხვალ დაუკავშირდება ფუადს და ადგილობრივ ჩერქეზ რევოლუციონერებს და თავად გაემგზავრება კავკასიაში. ვიღებ პასუხისმგებლობას, რომ მოზელი შესაბამისი საშუალებებით უზრუნველდეს.

ვანგენჰაიმი

1914 წლის 29 აგვისტო
თერაპია

ბაღდადში მცხოვრებმა გენერალმა მეჰმედ ფაზილ ფაშამ⁴, ცნობილი კავკასიელი დიდებულის შამილის⁵ ოჯახიდან⁶, კონსულ ჰესეს⁷ საშუალებით შემომთავაზა, თავისი პერსონალური გავლენის და ოფიცრების გაგზავნის მეშვეობით აჯანყება

¹ თერაპია – სტამბულთან არსებული დასასვენებელი ადგილი, სადაც იმყოფებოდა გერმანიის იმპერიის საელჩოს აგარაკი.

² იგულისხმება დელი ფუად ფაშა (1835-1931).

³ იგულისხმება მოზელი ლუი (Mosel Louis).

⁴ იგულისხმება დაღესტანელი მეჰმედ ფაზილ ფაშა (1853-1916).

⁵ იგულისხმება ჩრდილოეთ კავკასიის მთიელთა წინამძღოლი და ეროვნული გმირი, 1834 წლიდან თეოკრატიული სახელმწიფოს – ჩრდილოეთ კავკასიის იმამატის მეთაური, იმამი შამილი (1791-1871).

⁶ დაღესტანელი მეჰმედ ფაზილ ფაშას და კისტამანი, იმამ შამილის შვილის – გაზიმუჰამედის ცოლი იყო, რის გამოც თავის ტელეგრაფში ვანგენჰაიმი მას შამილის ოჯახის წევრს უწოდებდა.

⁷ იგულისხმება ჰესე მაქს (Hesse Max) (1870-1947).

გაელვივებინა, თუ მას მიეცემოდა გარანტია, რომ გერმანია მოგვიანებით არ მიატოვებდა აჯანყებულებს, არამედ სამშვიდობო ზავის დადების დროს, სულ ცოტა, მათ ამნისტიას დაუჭერდა მხარს. აგრეთვე, მარშალ ფუად ფაშას გამონათქვამებიდან გამომდინარეობს, რომ რევოლუციონერები ითვალისწინებენ სამომავლო ანგარიშგებისას რუსეთის შურისძიების ხელში არ აღმოჩნდნენ.

მე თხოვნა მივიღე და მასზე დასტური მივეცი.

ვანგენჰაიმი

Politisches Archiv des Auswärtigen Amts (PA AA), Akten Betreffend den Krieg 1914, Unternehmungen und Aufwiegelungen gegen unsere Feinde im Kaukasus. R 21008.
თარგმანი გერმანულიდან.

№ 2

**შვეიცარიაში გერმანიის საბანკებო და
სრულუფლებიანი დესკანის, ბიზბერტ ფრაიჰერ
ფონ რობერტის თელეგრაფებიდან გერმანიის
იბპერიის საბარეო საქმეთა სამინისტროსადმი,
საქართველოს განთავისუფლების კომიტეტის წევრის,
ლეო კერესელიძის მიერ გერმანიის მთავრობისადმი
გაკეთებული მიმართვის და მისი კონსტანტინოპოლში
გამგზავრების შესახებ**

1914 წლის 19 აგვისტო
ბერნი

გენერალური კონსული გაისლერი შენევიდან იტყობინება:

„აქ მცხოვრებ კარგი გვარის ქართველს, რომელსაც გულითად რეკომენდაციას უწევს შვეიცარიის კონფედერაციის ყოფილი პრეზიდენტი ლაშენალი¹, საქართველოს რევოლუციური პარტიის აქტიურ წევრს, რომელიც რუსეთისგან განთავისუფლებისა და კავკასიის ოლქის დამოუკიდებლობისკენ მიისწრაფის, სურს მოაწყოს რევოლუცია კავკასიაში, თითქოსდაც, თურქ სახელმწიფო მოხელეებთან შეთანხმებით. მან საკონსულოს შუამდგომლობა სთხოვა, იარაღით და აღჭურვილობით გერმანული დახმარების მიღების მიზნით, რომელიც თურქეთის ტერიტორიაზე გადაიგზავნება. მთხოვნელი, რომლის რუსეთის მხრიდან მოთხოვნილ გაცემაზე შვეიცარიამ 1907 წელს უარით უპასუხა, მზად არის შემდგომ მოლაპარაკებათა სანარმოებლად ბერლინში ჩამოვიდეს. ის სერიოზული ადამიანის შთაბეჭდილებას სტოვებს. გთხოვთ მაცნობოთ პასუხი“.

1914 წლის 21 აგვისტო
ბერნი

გენერალური კონსული გაისლერი შენევიდან იტყობინება:

„სახელი – ლეო კერესელიძე, ადგილობრივი უნივერსიტეტის პრივატ-დოცენტი. დროებით გასულია შენევიდან. მის დაბრუნებას 3 დღეში ელოდებიან. მე შევეცდები მაშინ გავიგო დაწვრილებითი ცნობები და ტელეგრაფით შეგატყობინოთ“.

1914 წლის 26 აგვისტო
ბერნი

¹ იგულისხმება ლაშენალი ადრიან (Lachenal Adrien) (1874-1918).

გენერალური კონსული გაისლერი შენევიდან იტყობინება:

„ხსენებულმა ქართველმა დღეს განაცხადა, რომ დაახლოებით 20 ქართული წარმოშობის თურქი ოფიცერი და მოხელე მის პარტიას მიეკუთვნებიან და თურქული ხელისუფლების მოქრთამვის პირობებში იარაღის გადმოტვირთვა ადვილი იქნება რიზეში, ტრაპიზონთან ახლოს. იმ შემთხვევაშიც კი, თუ თურქეთი არ დაუჭერს მხარს აჯანყების მოძრაობას, რიზედან იარაღი საქართველოში გაიგზავნება. ის თავად, ან უკვე გარდაცვლილ დეკანოზთან¹, პარიზში გამომავალი ქართული გაზეთის რედაქტორთან ერთად, მოლაპარაკებებს აწარმოებდა იაპონიის წარმომადგენელთან, რომლისგანაც მათ მიიღეს ექვსი მილიონი ფრანკი საქართველოში 1905 წლის აჯანყების მხარდასაჭერად. მაშინ იარაღი ამსტერდამიდან გაგზავნილ იქნა ფოთში, შავ ზღვაზე“.

29 აგვისტო
ბერნი

გენერალური კონსული გაისლერი შენევიდან იტყობინება:

„ქართველმა, რომელიც დღეს ვენის გავლით კონსტანტინოპოლში გაემგზავრა, მიიღო საკონსულოსგან პასპორტი, სადაც ის ელზას-ლოტარინგიის პროვინციის მკვიდრად ლეო კერელედ არის აღნიშნული. ბილეთის ღირებულება შენევიდან კონსტანტინოპოლამდე აგრეთვე საკონსულომ გადაიხადა. გთხოვთ კონსტანტინოპოლში პასპორტი აართვათ“.

Politisches Archiv des Auswärtigen Amtes (PAA), Akten Betreffend den Krieg 1914, Unternehmungen und Aufwiegelungen gegen unsere Feinde im Kaukasus. R 21008.
თარგმანი გერმანულიდან

¹ იგულისხმება დეკანოზიშვილი (დეკანოზი) გიორგი (1868-1909).

№ 3

**კონსტანტინოპოლში გერმანიის საბანგებო და
სრულუფლებიანი ელჩის, ბარონ ჰანს ფრაიჰერ
ფონ ვანგენჰაიმის თელეგრაფა გერმანიის იმპერიის
საგარეო საქმეთა სამინისტროს, მის მიერ ორ ქართველ
კათოლიკე სასულიერო პირთან საუბრის შესახებ**

1914 წლის 3 სექტემბერი
თერაპია

ორმა ქართველმა კათოლიკე სასულიერო პირმა მიმართა ავსტრია-უნგრეთის და აქაურ საელჩოს, რათა ხაზი გაესვათ ქართველთა მზაობისთვის მოაწყონ შეიარაღებული აჯანყება რუსეთის წინააღმდეგ. ამავე დროს, მათ განაცხადეს, რომ ქართველები არასდროს შევლენ თურქეთის ბატონობის ქვეშ და აქედან გამომდინარე, მხოლოდ საკუთარი მომავალი ავტონომიისთვის იბრძოლებენ. ისინი გვთხოვენ, რათა გერმანიამ და ავსტრია-უნგრეთმა მათ ამის გარანტიები მისცენ. შემდგომ, ისინი ითხოვენ იარაღის გადმოცემას. მათ ჯერჯერობით მეგობრული, მაგრამ ორჭოფული პასუხი გაეცათ. მე ვფიქრობ, მათ შაბათს განვუცხადო, რომ გერმანია საკუთარ თავზე აიღებს ზავის დადების დროს მათ სურვილთა გამათვალისწინებელი დარეგულირება დაიცვას იმ შემთხვევაში, თუკი ქართველები უყოყმანოდ იომებენ მაჰმადიან კავკასიელთა გვერდით. თუკი ისინი პასიურნი დარჩებიან, ან საერთოდ თურქულ-რუსული ომის დროს რუსეთის მხარეს დაიჭერენ, ასეთ შემთხვევაში ჩვენ, ანგარიშების გასწორების დროს, მათ სურვილებს არ გავითვალისწინებთ.

ვანგენჰაიმი

*Politisches Archiv des Auswärtigen Amts (PA AA), Akten Betreffend den Krieg 1914,
Unternehmungen und Aufwiegungen gegen unsere Feinde im Kaukasus. R 21008.*

თარგმანი გერმანულიდან.

№ 4

**კონსტანტინოპოლში გერმანიის საბანგებო და
სრულუფლებიანი ელჩის, ბარონ ჰანს ფრაიჰერ
ფონ ვანგენჰაიმის თელაბრაბა გერმანიის იმპერიის
საბარეო საქმეთა სამინისტროს, მისი საქართველოს
განთავისუფლების კომიტეტის წევრთან, ლეო
კერესელიძესთან საუბრის შესახებ**

1914 წლის 7 სექტემბერი
თერაპია

კერელე¹ ჩამოვიდა და თავისი გეგმები გადამიშალა. მან ასევე დააყენა პირობა, რომ საქართველოს მომავალი დამოუკიდებლობა გარანტირებული იყოს. ჩვენი მხრიდან, მე მას ეს დავუდასტურე. თალაათ ბეი² არ არის ამ მოთხოვნის წინააღმდეგი. თავს ვიკავებ შემდგომი განცხადებებისგან.

კერელე, რომელიც საზღვარზე მიემგზავრება, ფიქრობს, რომ როგორც კი ზემოხსენებული პრინციპული საკითხი გადაწყვეტილი იქნება, მოითხოვს შეძლებისდაგვარად დიდი რაოდენობის თანამედროვე მოდელის იარაღის დაუყოვნებლივ გამოგზავნას.

თოფების და აღჭურვილობის მონოდება, ჩემი აზრით უკიდურესი ენერგიით უნდა განხორციელდეს, თუკი ჩვენ, საერთოდ უახლოეს ხანებში გვინდა სხვადასხვა აქციათა სფეროში რაიმე წარმატებას მივაღწიოთ.

ვანგენჰაიმი

Politisches Archiv des Auswärtigen Amtes (PA AA), Akten Betreffend den Krieg 1914, Unternehmungen und Aufwiegelingen gegen unsere Feinde im Kaukasus. R 21008.

თარგმანი გერმანულიდან.

¹ იგულისხმება კერესელიძე ლეო (1883-1943).

² იგულისხმება თალაათ ფაშა მეჰმედ (1874-1921).

№ 5

**კონსტანტინოპოლში გერმანიის საბანგებო და
სრულუფლებიანი ელჩის, ბარონ ჰანს ფრაიჰერ
ფონ ვანგენჰაიმის თელეგრამა გერმანიის იმპერიის
საბარეო საქმეთა სამინისტროს, თხოვნით, ხელი
შეუწყონ შვიცხარიიდან თურქეთში საქართველოს
ბანტავისუფლების კომიტეტის წევრთა ჩამოსვლას**

1914 წლის 12 სექტემბერი
თერაპია

კერესელიძეს¹ [...] აცნობეს და რამდენიმე დღეში ის აღმოსავლეთის საზღვარზე მიემგზავრება. მას თან მიყვება მოზელი. პირველ ხარჯთა დასაფარავად, მე მას მისთვის და რამდენიმე ქართველი ემისრისთვის 350 თურქული ლირა გადავეცი და შემდგომ ფულს მის განკარგულებაში ტრაპიზონში საკონსულოს გადავუგზავნი. გრიპარისის² ენერგია და გაბედულობა ადასტურებს ვარაუდს, რომ მალე საქმე სასაზღვრო ინციდენტებამდე მივა.

კერესელიძე ითხოვს მის შუამავლობას, რათა ზოგიერთი ყენევაში დარჩენილი ქართველისთვის შესაძლებელი გახადოს საზღვრის გადაკვეთა. ამ მიზნით სალონიკის და ყენევის საკონსულოებმა დაინყონ კონსულტაციები ქართველ მაღალლოვთან³ (14 rue de la Ferme). მე ზავრობის ღირებულება, რომელსაც 6000 ფრანკის დონეზე განსაზღვრავენ, ჩვენს მიერ იქნება გადახდილი.

ვინაიდან მე ამ ოპერაციას როგორც სერიოზულს და პერსპექტიულს განვიხილავ, მხარს ვუჭერ ზემომოყვანილ თხოვნას.

სურგულაძისადმი⁴ (41 Boulevard Karl Vogt) მიწერილ წერილს, გავაგზავნი შემდეგი ფოსტით პირდაპირ ყენევის საკონსულოში.

ვანგენჰაიმი

*Politisches Archiv des Auswärtigen Amtes (PA AA), Akten Betreffend den Krieg 1914,
Unternehmungen und Aufwiegungen gegen unsere Feinde im Kaukasus. R 21008.
თარგმანი გერმანულიდან.*

¹ იგულისხმება კერესელიძე ლეო (1883-1943).

² იგულისხმება გრიპარისი იოანის (Gryparis Ioannis).

³ იგულისხმება მაღალაშვილი (მაღალოვი) ნესტორ (მურად ბეი) (1882-1937).

⁴ იგულისხმება სურგულაძე პეტრე (1871-1931).

დანართი № 1

კონსტანტინოპოლში გერმანიის საბანგებო და სრულუფლებიანი ელჩის, ბარონ ჰანს ფრაიჰერ ფონ ვანგენჰაიმის ხელწერილი საქართველოს განთავისუფლების კომიტეტის წევრს, ლეო კერესელიძეს, დაპირებით, რომ ომის წარმატებით დასრულების შემთხვევაში, გერმანული მთავრობა შესაძლებლობის ფარგლებში დაუჭერს მხარს დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფოს შექმნას

1914 წლის 14 სექტემბერი
კონსტანტინოპოლი

კაიზერული გერმანიის საელჩო

ხელისმომწერი, გერმანიის ელჩი კონსტანტინოპოლში, ამით უცხადებს ლეო კერესელიძეს, ქართული სეპარატისტული პარტიის წარმომადგენელს, რომ გერმანიის მთავრობა, იმ შემთხვევაში თუკი ნამდვილი ომის დასასრულს საშუალება ექნება საკუთარი ნება უკარნახოს მეომარ მხარეებს, ვალდებულებას იღებს თავისი შესაძლებლობის ფარგლებში მხარი დაუჭიროს ქართველი ხალხის სურვილს, როგორც ის სიტყვიერად იქნა წარმოდგენილი ბატონ კერესელიძის მიერ და ეხება შემდეგ პუნქტებს:

1) საქართველო შეადგენს დამოუკიდებელ სახელმწიფოს, რომელზეც არც რუსეთმა და არც თურქეთმა არ უნდა განახორციელონ რაიმე სახის სუვერენული უფლებები.

2) საქართველოს ტერიტორია მოიცავს კავკასიის ქვეყნებს, რომლებიც მათი ისტორიით და ფაქტობრივი მდგომარეობით, სადღეისოდ უნდა ჩაითვალოს ქართულ ტერიტორიად, ანუ აფხაზეთი, რომელიც იწყება პუნქტიდან შავი ზღვის სანაპიროზე, განლაგებული დაახლოებით 60 კილომეტრით ნოვოროსიისკის სამხრეთით;

სამეგრელო, სამურზაყანო, სვანეთი მთელი თავისი მოცულობით, რაჭა, ლეჩხუმი, ქუთაისის და ტფილისის გუბერნიები, ქართლი და კახეთი დაღესტნის საზღვრამდე, ზაქათალა;

ამ ტერიტორიის ფარგლები აღმოსავლეთით და სამხრეთით განისაზღვრება ხაზის მიერ, რომელიც მოდის ზაქათალიდან, ეხება გოგჩის ტბას (ქალაქი ელიზავეტპოლი ამ ხაზის გარეთ რჩება) და სრულდება შავი ზღვის სანაპიროზე, თანამედროვე თურქეთის საზღვარზე. ბათუმის პორტი, ისევე როგორც აჭარა, უნდა შეადგენდნენ საქართველოს ნაწილს. აგრეთვე შეთანხმებულია, რომ ქართველ მუსულმანთა მიერ დასახლებული რეგიონები ასევე შევლენ ახალი სახელმწიფოს ფარგლებში.

ვანგენჰაიმი, გერმანიის ელჩი

*Politisches Archiv des Auswärtigen Amtes (PA AA),
Allgemeine Angelegenheiten der Republik Georgien. R 7308.*

თარგმანი ფრანგულიდან.

№ 6

**შვეიცარიაში გერმანიის საბანგებო და
სრულუფლებიანი დესკანის, გიზბერდ ფრაიჰერ ფონ
რომბერგის თელეგრაფებიდან გერმანიის იმპერიის
საბარეო საქმეთა სამინისტროსადმი, საქართველოს
ბანთავისუფლების კომიტეტის წევრების, ნესტორ
მალალაშვილის, გიორგი კერესელიძის და სხვა
ქართველ აქტივისტთა შვეიცარიიდან,
გერმანიიდან და საფრანგეთიდან თურქეთში
ბაგრაჰის შესახებ**

1914 წლის 16 სექტემბერი
ბერნი

გენერალური კონსული გაისლერი ჟენევიდან იტყობინება:

„მალალოვი¹ და სამი სხვა ქართველი კონსტანტინოპოლში გამგზავრებისთვის ზეგისთვის იქნებიან მზად. სამგზავრო ფულის გარდა, სჭირდებათ 2300 ფრანკი ადგილობრივი ვალების გასასტუმრებლად. ამ თანხას მე გადავიხდი და შესაბამის პირებს ელზასელების პასპორტებს დავუმზადებ, თუკი ხვალ შუადღისთვის მე საწინააღმდეგო ბრძანება არ მომივა.“

სსენებული ურჩევს ქართველ წერეთელს ჰაიდელბერგში (Rohrbacherstrasse 50)² და სხვა იქაურ თანამემამულეებს ასევე კონსტანტინოპოლში გაემგზავრონ, შეტყობინებით, რომ მათი მონაწილეობა მათი იქაური თანამემამულის, პეტრე სურგულაძის აშკარად გამოკვეთილი სურვილია“.

რომბერგი

1914 წლის 19 სექტემბერი
ბერნი

გენერალური კონსული გაისლერი ჟენევიდან იტყობინება:

„დღეს მიმავალი ოთხი ქართველი აღჭურვილია პასპორტებით როგორც ელზას-ლოტარინგელები, შემდეგი ფიქტიური სახელებით: ნესტორ მურბანი³, პიერ

¹ იგულისხმება მალალაშვილი (მალალოვი) ნესტორი (1882-1937).

² იგულისხმება წერეთელი მიხეილი (1878-1965).

³ ნესტორ მურბანი – ნესტორ მალალაშვილის ფსევდონიმი.

სურატი¹, პოლ კელინგი² და გეორგ კერელე³. ექვსი სხვა მათი მომხრე უკვე პირდაპირ გზაშია საფრანგეთიდან კონსტანტინოპოლში. ზოგი სხვა, შესაძლებელია, უფრო გვიან მიყვება მათ ჟენევიდან“.

რომბერგი

1914 წლის 22 სექტემბერი
ბერნი

გენერალური კონსული გაისლერი ჟენევიდან იტყობინება:

„კონსტანტინოპოლის კაიზერის საელჩოდან დღეს მივიღეთ წერილი ქართველი სურგულაძესთვის, რომელიც იდენტურია სურატესთან, რომელსაც დროებით მე შევინახავ. გთხოვთ, შეატყობინეთ საელჩოს“.

რომბერგი

Politisches Archiv des Auswärtigen Amts (PA AA), Akten Betreffend den Krieg 1914, Unternehmungen und Aufwiegelungen gegen unsere Feinde im Kaukasus. R 21008.
თარგმანი გერმანულიდან.

¹ პიერ სურატი – პეტრე სურგულაძის (1871-1931) ფსევდონიმი.

² პოლ კელინგი – პავლე (პალიკო) ყიფიანის ფსევდონიმი.

³ გეორგ კერელე – გიორგი კერესელიძის (1885-1960) ფსევდონიმი.

№ 7

კონსტანტინოპოლში ბერმანიის საბანგებო და სრულუფლებიანი ელჩის, ბარონ ჰანს ფრაიჰერ ფონ ვანგენჰაიმის თელეგრამებიდან ბერმანიის იმპერიის საბარეო საქმეთა სამინისტროსადმი, ქართველი სამხედრო ძველების კავკასიაში ოპერაციისთვის მომზადებისა და ამ წამოწყებაში საქართველოს განთავისუფლების კომიტეტის წევრის, ნესტორ მაღალაშვილის გამოყენების შესახებ

1914 წლის 19 სექტემბერი
თერაპია

კერესელიძე¹ იძლევა რჩევას, მოხდეს ქართველ სამხედრო ტყვე ჯარისკაცებზე ზეგავლენა და საბოლოოდ მათი გაგზავნა კავასიაში გამოსაყენებლად. №794 ტელეგრამაში აღნიშნული ქართველი ვანალოვი², თუ ისევ ყენევაში იმყოფება, განსაკუთრებით მიზანშეწონილია ამ დავალების განსახორციელებლად.

ვანგენჰაიმი

1914 წლის 25 სექტემბერი
თერაპია

მაღალოვი აქ ჩამოვიდა. თუკი აღნიშნული გეგმა განხორციელებადია, მაშინ მას სურს ამ ეტაპზე უარი თქვას კავკასიაში გამგზავრებაზე და გერმანიაში გაემგზავროს.

ვანგენჰაიმი

Politisches Archiv des Auswärtigen Amts (PA AA), Akten Betreffend den Krieg 1914, Unternehmungen und Aufwiegelungen gegen unsere Feinde im Kaukasus. R 21008.
თარგმანი გერმანულიდან.

¹ იგულისხმება კერესელიძე ლეო (1883-1943).

² აშკარა შეცდომა ტელეგრამის გაშიფრვის დროს. უნდა იყოს: – მაღალოვი.

№ 8

**კარლსრუეში ვრუსიის საბანგებო და სრულუფლებიანი
დესპანის, კარლ ფონ აიზენდენერის მიერ
საქართველოს განთავისუფლების კომიტეტის წევრის,
მიხეილ წერეთლის სახელზე გაცემული რეკომენდაცია
გერმანიის იმპერიის საბარეო საქმეთა სამინისტროს
და რაიხსკანცლერ თეობალდ თეოდორ ფრიდრიხ
ალფრედ ფონ ბეიშან-ჰოლვესს**

1914 წლის 19 სექტემბერი
კარლსრუე

36 წლის ასიროლოგი მ. წერეთელი, რომელიც უკვე 3 წელია ჰაიდელბერგში სწავლობს, შემდეგ სამშაბათს, ამა თვის 22 რიცხვში, ჯერ ჟენევაში გაემგზავრება, რათა იქ საკუთარ მეგობარს და თანამემამულეს ესაუბროს, შემდეგ კი იტალიის გავლით კონსტანტინოპოლში ჩავა.

ვინაიდან ომის დასაწყისიდან ის ფინანსური საშუალებების გარეშე დარჩა, მე მას სამგზავროდ 500 მარკა გადავეცი.

ზემოხსენებული სავსებით სიმპატიურ შთაბეჭდილებას სტოვებს, ყოველმხრივ განათლებული და საკუთარი მცირე სამშობლოს ერთგულია. შობისთვის მას სურდა საკუთარი ფართო სადოქტორო დისერტაცია დაესრულებინა. აგრეთვე განზრახვა აქვს, ომის შემდეგ ჰაიდელბერგში სწავლა გააგრძელოს, რათა იქ, რამდენადაც შესაძლებელია, დაიცვას სადოქტორო დისერტაცია.

ამ მოკლე ცნობას მე საიმპერატორო საკონსულოსთვის ვწერ და გთხოვთ, აუცილებლობის შემთხვევაში მას, როგორც ჩემს მიერ პირადად დაფასებულ მეცნიერს, რჩევა და თანადგომა აღმოუჩინოთ.

აიზენდენერი

*Politisches Archiv des Auswärtigen Amts (PA AA), Akten Betreffend den Krieg 1914,
Unternehmungen und Aufwiegelingen gegen unsere Feinde im Kaukasus. R 21008.*

თარგმანი გერმანულიდან.

№ 9

კარლსრუეში ვრუსიის საბანგებო და სრულუფლებიანი
 დესპანის, კარლ ფონ აიზენდენერის მიერ
 საქართველოს განთავისუფლების კომიტეტის წევრთა,
 გიორგი მაჩაბლის და მიხეილ წერეთლის სახელზე
 გაცემული რეკომენდაცია, უკანასკნელთა მიერ
 გერმანიის იმპერიის საგარეო საქმეთა სამინისტროში
 მოლაპარაკებების სანარმოებლად

1914 წლის 22 სექტემბერი
 კარლსრუე

დღეს მე აქ წარმედგინა ბრიუსელიდან წამოსული თავადი გიორგი მაჩაბელი ტფილისიდან, საქართველოდან, რომელიც ბელგიაში გერმანული სამხედრო ადმინისტრაციის მეთაურის მიერ გაცემული მგზავრობის ნებართვით ბერლინში მიემგზავრება. ჰაიდელბერგში ის შეხვდა მის მეგობარ თანამემამულეს, ბატონ ფონ წერეთელს, ჯერ კიდევ მის იქიდან გამგზავრებამდე და სურს მეგობარი პირველ რიგში თან წაიყვანოს ბერლინში, რათა იქ მასთან ერთად მდგომარეობაში გაერკვეს და მოლაპარაკებები გამართოს. მათ სურთ, შესაძლებლობის შემთხვევაში, აგრეთვე მათი ჟენევაში მცხოვრები თანამემამულე სურგულაძეც შეაგულიანონ ბერლინში ჩამოვიდეს.

მე ვუშოვე ორივეს აუცილებელი სამხედრო საშვები და უმორჩილესად გთხოვთ მეგობრული მიღება აღმოუჩინოთ, თუკი ისინი ეწვევიან ვილჰელმშტრასეს¹ ჩემს სავიზიტო ბარათთან ერთად.

აიზენდენერი

Politisches Archiv des Auswärtigen Amts (PA AA), Akten Betreffend den Krieg 1914, Unternehmungen und Aufwiegelungen gegen unsere Feinde im Kaukasus. R 21008.

თარგმანი გერმანულიდან.

¹ ვილჰელმშტრასე (გერმ. Wilhelmstraße) – ისტორიული ქუჩა ბერლინის ცენტრში, სადაც გერმანიის იმპერიის დროს განლაგებული იყო გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტრო და სხვა სამთავრობო შენობები. ამ მიზეზით, ისტორიულ ლიტერატურაში ხშირად გამოიყენება როგორც გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს და მთავრობის აღმნიშვნელი სინონიმი.

№ 10

**საქართველოს განთავისუფლების კომიტეტის წევრთა,
ბიორგი მაჩაბლის და მიხეილ წერეთლის შემორანდუმი
რთო გიუნდერ ფონ ვეზენდორგს, გერმანიის იმპერიის
საგარეო საქმეთა სამინისტროს ლეგაციის მდივანს და
პოლიტიკური განყოფილების ახლო აღმოსავლეთის
საქმეთა რეფერანტს, „საქართველოსა და კავკასიის
განთავისუფლებისა და მათ მიერ ნეიტრალური
სტატუსის მოპოვების აუცილებლობის შესახებ“**

1914 წლის 24 სექტემბერი
ბერლინი

თქვენო აღმატებულება!

თანამედროვე ომი გერმანიასა და ავსტრია-უნგრეთს ერთის მხრივ და მეორეს მხრივ, რუსეთს შორის, რომელსაც უნდა ვუნოდოთ ომი ბატონობისთვის გერმანიზმსა და პანსლავიზმს შორის, არ შეიძლება შეუმჩნეველი დარჩეს ხალხთათვის, რომლებიც შიშით უყურებენ რუსეთის პოლიტიკური სიძლიერის აღზევებას. ყველა ეს ხალხი ცდილობს მონახოს საშუალება რუსეთის ძალების დასასუსტებლად, რათა თავი გაინთავისუფლონ მძიმე და საძულველი რუსული უღლისაგან.

საქართველო, როგორც ერთ-ერთი ასეთი ერი, ხელსაყრელად მიიჩნებს ამ მომენტს საკუთარ კანონიერ უფლებათა აღსადგენად, რომლებიც ძალმომრეობით გათელილ იყვნენ რუსული ხელისუფლების მიერ. „ან ან არასოდეს“ – აი გადაწყვეტი სიტყვები, რომლებსაც გვკარნახობს ჩვენ თანამედროვე მომენტის სერიოზულობა.

აი ის მიზეზი, რომელიც გვაიძულებს ჩვენ უმორჩილესად მივმართოთ თხოვნით თქვენს აღმატებულებას, გაგვინიოთ დახმარება ბრძოლაში რუსეთის წინააღმდეგ.

ქართველი ერი არ შედგება შეთქმულთაგან ან მოღალატეებისაგან. ის, აგრეთვე, სრულებითაც არ წარმოადგენს რაიმე არაორგანიზებულ მასას, არამედ უკვე 23 საუკუნის განმავლობაში არსებულ ერთიან ერს, რომელიც, საკუთარი მწარე ბედის მიუხედავად, განაგრძობს დამოუკიდებელ არსებობას.

საქართველოს ცნების ქვეშ იგულისხმება ამიერკავკასიის დიდი ნაწილი, ქალაქებთან ტფილისთან, ქუთაისთან, ბათუმთან და ფოთთან ერთად.

მინა ძალიან ნოყიერია და მდიდარია ბუნებრივი რესურსებით და მინერალური (ნავთობი, სპილენძი, მანგანუმი, ქვანახშირი და ა. შ.).

ქართველები მიეკუთვნებიან უძველეს ერთა რიცხვს მსოფლიოში. (მაგალითად, ლეგენდა არგონავტთა კოლხეთში, ანუ თანამედროვე დასავლეთ საქართველოში მოგზაურობის შესახებ, ბევრ სხვასთან ერთად, ჩვენი უძველესი ისტორიის მონუმენტად უნდა ჩაითვალოს, რომლის შესახებაც ჩვენ არ გვსურს აქ დაწვრილებით საუბარი).

საქართველოში ცხოვრობს დაახლოებით 2 500 000 ქართველი, რომელთა უმეტესობაც, 362 წლიდან, ბერძნულ-მართლმადიდებლურ რელიგიას მიეკუთვნება. არსებობს აგრეთვე დაახლოებით 300 000 მაჰმადიანი და დაახლოებით 50 000 რომაულ-კათოლიკური რელიგიის მიმდევარი.

უძველესი დროიდან ქართველები ცნობილი იყვნენ როგორც მამაცი და თავისუფლებისმოყვარე ხალხი, რომლებიც დაუსრულებელ ომებს აწარმოებდნენ საკუთარ მეზობლებთან, რომლებსაც მათი მდიდარი ქვეყნის დაპყრობა სურდათ. XII საუკუნე (ქრისტეს დაბადებიდან) ჩვენთვის ოქროს ხანას, უმაღლესი კულტურის, მეცნიერებისა და ლიტერატურის განვითარების ეპოქას წარმოადგენდა. ამ ლიტერატურის ჩვენ დრომდე მოღწეულმა საგანძურმა მრავალი მეცნიერი და მკვლევარი აღაფრთოვანა.

ჩვენი უკანასკნელისწინა მეფის, ერეკლე II-ის (1762-1798) სიმამაცე კარგად იყო ცნობილი და დაფასებული თავად ფრიდრიხ დიდის მიერ. ხსენებულ მეფე ერეკლეს ესმოდა, რომ ცალკედ აღებული მისი ქვეყანა მეტისმეტად სუსტი იყო, რათა თურქეთის და სპარსეთის წინააღმდეგ ხანგრძლივი ომები აწარმოოს. თავდაპირველად ის ცდილობდა ურთიერთობების დამყარებას ავსტრიის კართან, შემდგომ კი – რომის პაპობასთან. მას შემდეგ, რაც ორივე ეს მცდელობა უშედეგო აღმოჩნდა, ის იძულებული იყო ეძებნა რუსეთთან დაახლოება.

რუსეთთან დაახლოებამ უნებლიედ ხელი შეუწყო რუს მონარქთა განზრახვების აღსრულებას, რომლებიც, პეტრე დიდიდან დაწყებული, ცდილობდნენ საკუთარი სამხრეთ საზღვრების გაფართოვებას. ამრიგად, 1773 წელს დადებულ იქნა ხელშეკრულება ერეკლესა და რუსეთის იმპერატორ ეკატერინე II-ს შორის, რომლის თანახმად საქართველო ხდებოდა რუსეთის პროტექტორატად, თუმცა იმ პირობით, რომ შეინარჩუნებდა საკუთარ პოლიტიკურ თავისუფლებას და სრულ დამოუკიდებლობას შინაგანი მართვის საქმეებში. ხსენებული ხელშეკრულება, რომელსაც საერთაშორისო ხასიათი ჰქონდა, შეტანილ იქნა რუსეთის იმპერიის კანონთა კრებულის წიგნში. ამ ტექსტის მოძიება მის XXI ტომში არის შესაძლებელი.

რუსეთის იმპერატორმა, რომელმაც ოფიციალურად დაიფიცა სამარადისოდ დაეცვა ამ ხელშეკრულების დებულებები, სულ მალე დაარღვია საკუთარი სიტყვა და საქართველო ოთხ რუსულ გუბერნიად დაყო. რადგანაც ამის შედეგად დამოუკიდებელი სამეფო, ჩვენი პროტესტების მიუხედავად, გაუქმებულ იქნა, მალევე ამის შემდეგ თავი იჩინა რუსიფიკაციის ცნობილმა პოლიტიკამ. ფავორიტიზმის, იარაღის გამოყენების, რუსების საქართველოში დასახლებისა ან სკოლებში და ეკლესიებში ქართული ენის აკრძალვის საშუალებით, რუსეთის ხელისუფლება ყველა ძალ-ღონეს ხმარობდა, რომ ამოეძირკა ქართველებში ლტოლვა დამოუკიდებლობისადმი. ხსენებულ პოლიტიკას, რომელიც საუკუნეზე მეტ ხანს გრძელდებოდა, არ შეეძლო არ გამოეწვია ქართველი ხალხის ღრმა აღშფოთება, რაც გამოიხატა კიდევ სხვადასხვა არაერთგზის აჯანყებებში და საპროტესტო გამოსვლებში. ასეთები იყვნენ, მაგალითად, 1804, 1812, 1844 და 1878 წლების ეროვნული აჯანყებები, როცა ქართველი თავადაზნაურობა ხალხთან ერთად

თავგანწირულ ბრძოლას ეწეოდა იმ მიზნით, რათა დაეხსნა საკუთარი უბედური სამშობლო რუსული ორთავიანი არნივის კლანჭებისაგან. არც თუ ისე შორეულმა მოვლენებმა 1905 წლის რუსული რევოლუციის ეპოქიდან, ასევე გვიჩვენეს ქართული პატრიოტიზმის ქვეყნის არსი, ისევე როგორც უცხოური ბატონობისგან განთავისუფლების მცდელობები.

1905 წლის მძიმე დღეებში რუსული ხელისუფლება კავკასიაში იძულებული გახდა თავი დაეხარა ქართველთა მემბოხე ორგანიზაციების წინაშე, ხოლო რუსულმა ჯარებმა მთელი რიგი დამარცხებები იგემეს იმ რაზმთა მოქმედებებისგან, რომლებიც პარტიზანულ ომს ეწეოდნენ კავკასიის მრავალრიცხოვან მთიან რაიონებში. იმ დროს, როდესაც რუსეთში რევოლუცია ჩახშობილ იქნა, კავკასიაში ძალაუფლება ჯერ კიდევ ქართველების ხელში იყო. რუსული ხელისუფლება იძულებული იყო გადაედგა სერიოზული ნაბიჯები, რასაც თან ახლდა მრავალრიცხოვანი ჯარის მოქმედებანი, რათა ჩაეხშო აჯანყება, რის შესახებაც იმ დროს ბევრი ინერებოდა ევროპულ გაზეთებშიც. მთელი ქვეყანა სრულიად განიარაღებულ იქნა, ხოლო ხელმძღვანელები, რომლებმაც გაქცევა ვერ მოასწრეს, სასტიკად დასჯილ იყვნენ. მთელი ქალაქები და სოფლები გაძარცვულ და გადანჯულ იქნენ. მოსახლეობა ნაწილობრივ ჩამოახრჩვეს, ნაწილობრივ კი ციმბირში გადაასახლეს. მიუხედავად ამისა, ვერც რუსიფიკაციის ამ მცდელობებმა და ასწლოვანმა მონობამ ვერ შეძლო გაეტეხა ჩვენში ბუნებრივი ვაჟკაცობა და მამაც მებრძოლთა თვისებები.

ქართველი ხალხი საკუთარი იდეალებისადმი ერთგული დარჩა. კარგად ორგანიზებული პოლიტიკური თვალსაზრისით, ის ელოდება მხოლოდ შესაფერის მომენტს, რათა ისევ აიღოს ხელში იარაღი, თუკი გარედან გარკვეული დახმარების მიღების იმედი მოეცემა. საყოველთაო ომის ალის თანამედროვე ეპოქა ჩვენ გვესახება საუკეთესო ფაქტორად ამგვარი დახმარების მისაღებად. თუკი აქამდე, სხვადასხვა არახელსაყრელ მიზეზთა გამო, ჩვენი ხალხის პროტესტები, სამწუხაროდ, არ იქნენ მოსმენილნი, ან მათ უსმენდნენ დიდი ყურადღების გარეშე, ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ჩვენს მიერ ამჟამად გაჟღერებული ჩივილი რუსული მთავრობის ბარბაროსული ბატონობისა და თვითნებობის წინააღმდეგ, შესაბამის გამოხმაურებას ჰპოვებს.

სადღეისოდ არაფერს ძალუძს შეგვარიგოს რუსეთს. არავითარ დაპირებებს და არავითარ ძღვენებს არ ძალუძთ ჩვენს მიერ ამოღებული ხმლის კვლავ ქარქაშში ჩაგება. ან, უკვე არ განმეორდება 1876 წლის მოვლენები, როდესაც ქართველი გენერლები (ამილახვარი, ამირეჯიბი, ჭავჭავაძე, ერისთოვი და სხვ.), იყვნენ რა გამოკვებულები რუსთა მიერ სხვადასხვა და არასდროს შესრულებული დაპირებებით, საკუთარ ჯარისკაცებთან ერთად (დაახლოებით 100 000 კაცის ოდენობით) კავკასიაში რუსებს თურქებზე გამარჯვებას უპოვებდნენ.

კავკასიის მაჰმადიანი ტომები, რომლებმაც საკუთარი აგენტების მეშვეობით თურქეთში პანისლამური კლუბი დააფუძნეს, ელიან მხოლოდ მონოდებას მათთვის საძულველი რუსებისგან გამოსაყოფად. ამრიგად, მთელი კავკასიის აჯანყება გარანტირებულად შეიძლება ჩაითვალოს. თუმცა, ამ იდეების განხორციელება და ამ ამოცანის შესრულება დამოკიდებულია მხოლოდ უცხოეთიდან იარაღის, აღჭურვილობისა და ამისთვის აუცილებელი საშუალებების მიღებაზე.

1904 წელს, რუსეთ-იაპონიის ომის დროს, საქართველოს ეროვნულმა პარტიამ მიიღო მსგავსი დახმარება დიდი უცხოური სახელმწიფოსგან. სამწუხაროდ, ამ მცდელობამ წარუმატებლად ჩაიარა, რადგან იარაღით დატვირთული და უკვე

ბათუმს მომდგარი გემი გაცემულ იქნა რუს ჯაშუშთა მიერ. სადღეისოდ ვითარება ძირფესვიანად შეიცვალა. ჩვენ არავითარ შემთხვევაში არ უნდა გვეშინოდეს, რომ თურქეთი ხელს შეუშლის ჩვენს გეგმას, რადგან მას მისთვის მხოლოდ სარგებლობის მოტანა შეუძლია.

საკითხი იარაღის შეძენისა და კავკასიაში მისი მიწოდების შესახებ, შეგვიძლია განვიხილოთ მოგვიანებით.

კავკასიაში აჯანყების შედეგად: 1) იქ დისლოცირებული არმიის კორპუსი ჩამოსცილდება სამხედრო მოქმედებების თეატრს; 2) შეუძლებელი გახდება მობილიზაციის შემდგომი განხორციელება; 3) კარგი მაგალითი მიეცემა რუსეთის სხვა დაჩაგრულ ხალხებს. მათ არ უნდა გაუშვან ხელებიდან გარემოება, რომელიც მათ საშუალებას მისცემს თავად განთავისუფლდნენ რუსული უღლისგან.

გარდა ამისა არ უნდა დავივიწყოთ, რომ რუსული რევოლუციური ელემენტისთვის, რომელიც სრულებითაც არ იყო განადგურებული ძლიერი რეპრესიული ღონისძიებებით, არამედ ბჭუტავს საზოგადოების ფართო ფენებში, საკმარისი იქნება ერთი ნაპერწკალიც რევოლუციური ხანძრის ასაალებლად.

ყოველივე ეს შეუძლებელს გახდის რუსეთის მიერ ომის შემდგომ წარმოებას (როგორც ამას ადგილი ჰქონდა რუსეთ-იაპონიის ომის დროს). რუსეთის მთავრობა იძულებული გახდება სწრაფად მოანეროს ხელი ზავს გერმანიასთან და ავსტრია-უნგრეთთან, რათა არ დაუშვას საკუთარი ძლევამოსილების შემდგომი დაცემა.

ამის მიღწევის შემთხვევაში, გერმანიას და ავსტრია-უნგრეთს უდავოდ დასჭირდებათ საზავო ხელშეკრულების ერთ-ერთ პირობად წამოაყენონ კავკასიის ნეიტრალიზაციის საკითხი, რომელიც პასუხობს არამხოლოდ კავკასიის ხალხთა, ან მათი მეზობელი ქვეყნების ინტერესებს, არამედ თავად მათ საკუთარ ინტერესებსაც.

ნეიტრალური კავკასიის გამოცხადება საბოლოოდ დაუსვამს წერტილს ახლო აღმოსავლეთში რუსეთის შემდგომ გაუმადლარ და ავანტიურისტულ დაპყრობით გეგმებს.

ამასთან ერთად, კავკასიის ნეიტრალიზაცია:

- 1) უვნებელყოფს თურქეთის სახიფათო მეზობელს.
- 2) ათავისუფლებს სპარსეთს მასზე თავსმოხვეული რუსული მეურვეობისაგან.
- 3) ქმნის ხანგრძლივადიანი მშვიდობის სანდო გარანტიას ახლო აღმოსავლეთში.
- 4) მოქმედების ფართო ასპარეზს უხსნის ევროპის და განსაკუთრებით გერმანიის სავაჭრო-სამეწარმეო კავშირებისათვის, რომელთა გავლენა შეუქცევადად შეიძლება გავრცელდეს მთელს კავკასიაზე და ცენტრალურ აზიაზე.

კავკასიის ხალხები მუდმივად მადლიერნი და დავალებულნი დარჩებიან მათ მიმართ, ვინც მათ დახმარება გაუწია რუსული ბატონობისგან განთავისუფლების საქმეში.

თავადი გიორგი მაჩაბელი

მიხეილ წერეთელი

Politisches Archiv des Auswärtigen Amts (PA AA), Akten Betreffend den Krieg 1914, Unternehmungen und Aufwiegelungen gegen unsere Feinde im Kaukasus. R 21008; Wien, Haus-, Hof- und Staatsarchiv (HHStA), Politisches Archiv (PA), I 947 Krieg 21 k Türkei: Georgisch-grusinischer Aufstand im Kaukasus 1914-18, Fol. 42-49.

თარგმანი გერმანულიდან.

№ 11

საქართველოს განთავისუფლების კომიტეტის წევრთა,
ბიორბი მაჩაბლის და მიხეილ წერეთლის დაბადებითი
მოხსენებითი ბარათი 1914 წლის 24 სექტემბრის
მემორანდუმზე „კავკასიის ნეიტრალიზაციისა და მისი
მომავალი პოლიტიკური ორგანიზაციის პროექტი“,
წარდგენილი ოთო გიუნთერ ფონ ვეზენდორნს,
ბერლინის იმპერიის საბარეო საქმეთა სამინისტროს
ლეგაციის მდივანს და ახლო აღმოსავლეთის
საქმეთა რეფერატს

1914 წლის 27 სექტემბერი
ბერლინი

კავკასიის ნეიტრალიზაციაში შემდეგი დიდი სახელმწიფოები და ერები არიან დაინტერესებულნი:

- 1) უპირველეს ყოვლისა გერმანია და ავსტრია-უნგრეთი, რუსული იმპერიალიზმის მისწრაფებების ასალაგმავად, რომელიც გეგმავს შავი ზღვიდან დარდნელების სრუტით შეიჭრას ხმელთაშუაზღვისპირეთში, საფრანგეთთან და ინგლისთან ერთად მასზე ბატონობის დამყარების მიზნით. გარდა ამისა, ხელი შეუშალონ რუსული გავლენის და ბატონობის დამყარებას მცირე აზიაში, მესოპოტამიასა და სპარსეთში, სადაც გერმანულმა ეკონომიკურმა განვითარებამ ნოყიერი ნიადაგი ჰპოვა, და მესამეც, რათა ახალი ბაზარი დაიპყრონ გერმანული ვაჭრობისა და ინდუსტრიისათვის.
- 2) თურქეთი და სპარსეთი, რომელთა არსებობას პირდაპირი საფრთხე ემუქრება რუსეთის მხრიდან, მას შემდეგ რაც წინა საუკუნეში რუსეთმა ეს ორივე სახელმწიფო დაასუსტა. ჯერ კიდევ მცირე ხნის წინ, რუსულმა მთავრობამ საკუთარი მეურვეობა მთელს ჩრდილოეთ სპარსეთს მოახვია თავს და სურს, სხვადასხვა საბაბით, მთელი თურქეთის სომხეთის მიერთება.
- 3) თავად კავკასიელი ხალხები, რომლებიც, როგორც ჩვენ უკვე ავლნიშნეთ 24 სექტემბრის მოხსენებით ბარათში¹, რუსეთის მთავრობის მხრიდან საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში განიცდიან პოლიტიკურ ჩაგვრას და ეკონომიკურ გაჩანაგებას. ამ მიზეზთა გამო, ხსენებული ხალხები ცდილობენ თავი გაინთავისუფლონ რუსული ბატონობისაგან და პოლიტიკურ დამოუკიდებლობას მიაღწიონ.

¹ იხ. დოკ. № 10.

ცნობილია, რომ კავკასია ბევრი სხვადასხვა ეროვნებით არის დასახლებული, თუმცა ისინი სამ დიდ ჯგუფად შეიძლება დავყოთ, რომელთაც შემდგომ ძალა შესწევთ ნეიტრალური კავკასიური სამოკავშირეო სახელმწიფოს მომავალი პოლიტიკური ორგანიზმების ფორმირება:

- 1) საქართველოს სამეფო
- 2) სომხურ-თათრული კანტონები
- 3) მთიელ ხალხთა ფედერაცია

- 1) საქართველოს სამეფომ დამოუკიდებელ სახელმწიფოდ 23 საუკუნის განმავლობაში, 1801 წლამდე იარსება, და მხოლოდ დროებით იმყოფებოდა სპარსელთა და თურქთა პროტექტორატის ქვეშ. მას გააჩნია შეკრული ტერიტორია მტკიცე საზღვრებით და ორ მილიონ ნახევარი ქართველით არის დასახლებული.

სადღეისოდ ეს ტერიტორია შედგება ტფილისის და ქუთაისის გუბერნიებისგან, ასევე ბათუმის, სოხუმის და ნაწილობრივ, ყარსის და ბელაქანის ოლქებისგან, სადაც ასევე ცხოვრობენ მაჰმადიანი ქართველები.

დასავლეთიდან მთელი მხარე ესაზღვრება შავის ზღვის სანაპიროს, თანამედროვე რუსულ-თურქული საზღვრიდან ქალაქ გაგრამდე; ჩრდილოეთით – კავკასიონის მთების ქედს; აღმოსავლეთით – დაღესტანს, მდინარეების ალაზნისა და მტკვრის შესართავამდე; და სამხრეთით – მდინარეთა მტკვრის და აღსტაფას შესართავს. ამის შემდგომ ქვეყნის საზღვარი მიუყვება რა მდინარე მტკვარს, გრძელდება ქალაქ ართვინამდე და რუსულ-თურქულ საზღვრამდე. აღსადგენი საქართველოს სამეფოს შემადგენლობაში უნდა შედიოდნენ ყველა მისი ძველი პროვინციები (აფხაზეთი, სამეგრელო, სვანეთი, იმერეთი, გურია, ტაო-კლარჯეთი, სამცხე, ჯავახეთი, ქართლი, კახეთი, ფშავი, ხევსურეთი და თუშეთი, საინგილო), რომლებიც ერთიანი ქართველი ერით არიან დასახლებულები. ვინაიდან ზოგიერთ ამ პროვინციაში ხალხი მოძველებულ ქართულ დიალექტს ხმარობს, როგორც, მაგალითად, სამეგრელოში და სვანეთში, რომლებიც, ფაქტობრივად, პროვინციალიზმებად უნდა განვიხილოთ (როგორც ლიტერატურული გერმანული ენა და ქვემოსაქსონური დიალექტი), რუსული მთავრობა და რუსი პოლიტიკოსები ცდილობდნენ ამ პროვინციებს შორის განხეთქილების ჩამოგდებას იმ საბაბით, თითქოსდაც ისინი არ იყვნენ ქართულები, თუმცა მათი ეს მცდელობები უშედეგო აღმოჩნდა. საკუთარი დიალექტის ხმარების გარდა, სამეგრელოს, სვანეთის და სხვა პროვინციათა მთელი მოსახლეობა საუბრობს აგრეთვე წმინდა ქართულ ენაზე და იბრძოდა ზემოხსენებული რუსული ცილისწამების წინააღმდეგ. ეს ენა, ჩვენი ისტორიის დასაბამიდან დღევანდელ დღემდე რჩება ყველა ქართული ტომის საეკლესიო და ლიტერატურულ ენად.

საქართველო კონსტიტუციურ მონარქიად უნდა გადაიქცეს. გერმანიის და ავსტრია-უნგრეთის დახმარებით, ტახტს არ უნდა დაეუფლოს ადგილობრივი პრინცი* (რათა ამით თავიდან ავიცილოთ ინტრიგები ბაგრატიონთა (ბაგრატიდთა) ჩვენი დინასტიის მემკვიდრეებს შორის).

* დასავლეთევროპელი პრინცი, რათა გააძლიეროს ევროპის გავლენა მომავალ სახელმწიფოზე.

საქართველოს პირველი ეროვნული კრების მიერ მეფესთან ერთად, რომლის სამეფო უფლებებიც გათვალისწინებული იქნება სახელმწიფოებრივი წყობის ფორმად, გამომუშავებული იქნება ქვეყნის კონსტიტუცია.

- 2) სომხურ-თათრული კანტონები ძირითადად შეიქმნება ორი რუსული გუბერნიის – ელიზავეტპოლის და ბაქოს გუბერნიების საფუძველზე. მათ შემადგენლობაში შევლენ ერევნის გუბერნიისა და ყარსის ოლქის ნაწილები, რომლებიც სომხებით და თათრებით არიან დასახლებულნი. ამავე ოლქთა სხვა ნაწილები, რომლებიც უპირატესად თურქულ მოსახლეობას შეიცავენ, დაუბრუნდებიან თურქეთს.

შეუძლებელია ტერიტორიალურად განაცალკევო ეს ორი ერი, რადგან ისინი ძალზე შერეულად ცხოვრობენ ერთმანეთში. ამ მიზეზით მათ საერთო სახელმწიფო უნდა შექმნან, მაგრამ სრული კულტურული, ეროვნული და რელიგიური ავტონომიებით.

მათი მთავარი მმართველი მაჰმადიანი პრინცი უნდა იყოს*, ისევე როგორც მთიელ ხალხთა ფედერაციის შემთხვევაშიც, რომელთა უმრავლესობა ასევე მაჰმადიანია რწმენით.

შესაბამისი ქვეყნის კონსტიტუციას ასევე შეიმუშავებს მონვეული კრება, საკუთარი რელიგიური ტრადიციების თანახმად.

- 3) მესამე სახელმწიფო უნდა მოიცავდეს კავკასიონის მაღალმთიანი ზონის ყველა მთიელ ხალხს, შავი ზღვიდან კასპიის ზღვამდე, ანუ ჩერქეზებს, ჩეჩნებს, ყაბარდოელებს, ინგუშ-ოსებს და ლეკებს. ისინი ასევე აირჩევენ საკუთარ თავადებს და გამოიმუშავენ თავის კონსტიტუციას.

საგანგებო კომისია, შემდგარი გერმანიის, ავსტრია-უნგრეთის, თურქეთის და კავკასიის ზემოხსენებულ სახელმწიფოთა წარმომადგენლებისაგან, დაადგენს სახელმწიფო საზღვრებს, რათა შემდგომში ადგილი არ ჰქონდეს რაიმე კამათს ამის თაობაზე.

კავკასიური კავშირის თითოეული სამი სახელმწიფო ფლობს სუვერენიტეტს იმდენად, რამდენადაც მისი სუვერენიტეტი პასუხობს კავკასიის ყველა სახელმწიფოს ინტერესებს და რამდენადაც ეს ნებადართულია ამ სახელმწიფოთა შორის დადებული ხელშეკრულების მიერ. სამივე სახელმწიფო იქნება ურთიერთდაკავშირებული ერთმანეთთან იმ საკითხებში, რომლებიც თანაბრად შეეხება მათ ყველას. მაგალითად, ერთიანი ფინანსებით, საერთო საბაჟო სისტემით, საერთო ფლოტით ორ მიმდებარე (შავ და კასპიის) ზღვაში, სამხედრო მოქმედებების საერთო წარმოებით და ა. შ.

ამას ყველაფერს გადაწყვეტს საგანგებო მმართველი ორგანო, რომელშიც წარმოდგენილი იქნებიან ყველა ეს სახელმწიფოები.

შენიშვნები:

რუსეთ-თურქეთის ომის დაწყების შემთხვევაში, თურქეთი უნდა შეგვპირდეს:

- ა) საქართველოს ტერიტორიაზე საბრძოლო მოქმედებების წარმოების დროს არ მიაყენოს მას ზიანი განსაკუთრებული აუცილებლობის გარეშე და შეძლებისდაგვარად, დაინდოს ის. თავის მხრივ, ქართველები პირობას დებენ

* თუმცა მომავალში, ის არავითარ შემთხვევაში არ უნდა გახდეს არც თურქეთის სულთნის და არც სპარსეთის შაჰის ვასალი.

დახმარების განწევას პროვიანტით და სამხედრო ძალით. ამავე დროს, თურქეთი უნდა დაგვეხმაროს საქართველოში იარაღის შეტანის საქმეში.

- ბ) ომის დასრულების შემდეგ თურქეთმა არ უნდა წამოაყენოს პრეტენზია არც ერთ ოლქზე, რომელიც 1878 წელს რუსეთის მიერ იყო შემოერთებული და ქართველთა მიერ არის დასახლებული. როგორც, მაგალითად, ბათუმის ოლქი, ყარსის ოლქის ერთი ნაწილი და ახალციხის და ახალქალაქის მაზრები.

ამავე დროს ის ოლქები, რომლებშიც მოსახლეობის უდიდეს ნაწილს თურქები შეადგენენ, როგორც ეს უკვე აღნიშნულ იქნა ჩვენს მიერ ერევნის გუბერნიასთან და ყარსთან მიმართებაში, დაუბრუნდება თურქეთს.

თუკი რუსეთ-თურქეთის ომს ადგილი არ ექნება და კავკასიის ხალხებს არ შეეძლება რუსეთის წინააღმდეგ შეიარაღებული რევოლუციის მოწყობა, ასეთ შემთხვევაშიც ჩვენ იმედს ვინარჩუნებთ, რომ გერმანია და ავსტრია-უნგრეთი კავკასიის ნეიტრალიზაციას მოითხოვენ, ამ საკითხის დიდი მნიშვნელობის გამო.

თავადი გიორგი მაჩაბელი
მიხეილ წერეთელი

Politisches Archiv des Auswärtigen Amtes (PA AA), Akten Betreffend den Krieg 1914, Unternehmungen und Aufwiegelingen gegen unsere Feinde im Kaukasus. R 21008; Wien, Haus-, Hof- und Staatsarchiv (HHStA), Politisches Archiv (PA), I 947 Krieg 21 k Türkei: Georgisch-grusinischer Aufstand im Kaukasus 1914-18, Fol. 42-49.
თარგმანი გერმანულიდან.

№ 12

კრუსიის სამეფო გეოლოგიური საზოგადოების
დირექტორის, ფრანც ჰაინრიხ ავგუსტ ბაიშლაგის
რეკომენდაცია საბარეო საქმეთა სამინისტროს,
ბიორგი მაჩაბლის დახასიათებით

1914 წლის 25 სექტემბერი
ბერლინი

თქვენს აღმატებულებასთან განსაკუთრებულ რეკომენდაციას ვუწევ ამ წერილის გადმომცემს, ბატონ გიორგი მაჩაბელს ტფილისიდან. ვაჭრობისა და ინდუსტრიის სამინისტროს საიდუმლო მრჩევლის, ბატონ ბორნჰარდტის¹ ცნობებს შემძლია ის დავამატო, რომ თავადი მაჩაბელი ყოველთვის გერმანული სახელმწიფოს მხურვალე მხარდამჭერი იყო, რომელიც ჩვენ მისი ბერლინში ყოფნის განმავლობაში, როგორც ერთი ჩვენიანი, ისე გავიცანით.

მთელი მისი არსით ის მოწონებას იმსახურებდა ჩვენში, აქედან გამომდინარე, ის ყოველთვის ჩვენი მხარდამჭერით სარგებლობდა.

ბაიშლაგი

*Politisches Archiv des Auswärtigen Amts (PA AA), Akten Betreffend den Krieg 1914,
Unternehmungen und Aufwiegungen gegen unsere Feinde im Kaukasus. R 21008.
თარგმანი გერმანულიდან.*

¹ იგულისხმება ბორნჰარდტი ფრიდრიხ ვილჰელმ კონრად (Bornhardt Friedrich Wilhelm Conrad Eduard) (1864-1946).

№ 13

გერმანიის იმპერიის ვაჭრობისა და ინდუსტრიის
სამინისტროს საიდუმლო მრჩევლის, ფრიდრიხ
ვილჰელმ კონრად ბორნჰარდტის მიერ გიორგი
მარაბლის სახელზე გაცემული რეკომენდაცია

1914 წლის 25 სექტემბერი
ბერლინი

აღნიშნული ცნობის მფლობელი, თავადი გიორგი მარაბელი ტფილისიდან, რომელიც კავკასიაშია, 1906 წლიდან ჩემთვის კარგად არის ცნობილი. თ[ავადი] მ[არაბელი], როდესაც მე ვიყავი სამეფო სამთო აკადემიის ხელმძღვანელი ბერლინში, იქ სწავლობდა, დიპლომირებული ინჟინრის გამოცდა წარმატებით ჩააბარა და შემდეგ სამთო აკადემიაში ასისტენტადაც მუშაობდა. ამასთანავე, ის გახდა ცნობილი და სანდო პირი, როგორც გერმანული სახელმწიფოს მხურვალე თაყვანისმცემელი. პოლიტიკური საქმიანობა მას არ უნარმოებია. მისი სიმპატიური ხასიათის თავისებურებებიდან გამომდინარე, პროფესორებს და სტუდენტებს შორის ზოგადი პატივისცემით სარგებლობდა.

გამოჯანმრთელების დროს ბელგიაში იმყოფებოდა და განცვიფრებული შეხვდა ადგილზე ომის დაწყებას. მის გარდა ბრიუსელში ამჟამად გაჩერებულია კიდევ რამდენიმე კავკასიელი, ეროვნებით ქართველები. ყველა მათგანს აქვს სურვილი მონაწილეობა მიიღონ რუსეთის წინააღმდეგ ომში, საკუთარი სამშობლოს გასათავისუფლებლად, ან დახმარება განიონ ამ ომში, რაშიც უახლოესი მიზანი კავკასიაში იარაღის შეტანა იქნება. თავადი მარაბელი წარმოადგენს თხოვნას, რომ მას ამ საკითხთან დაკავშირებით მიეცეს მის აღმატებულება ფელდმარშალ ფრაიჰერ ფონ დერ გოლცთან აუდიენციის საშუალება.

ბორნჰარდტი

საიდუმლო უფროსი სამთო მრჩეველი

Politisches Archiv des Auswärtigen Amtes (PA AA), Akten Betreffend den Krieg 1914, Unternehmungen und Aufwiegungen gegen unsere Feinde im Kaukasus. R 21008.
თარგმანი გერმანულიდან.

№ 14

ბუქარესტში გერმანიის ელჩის, ჰილგარდ ფრაიჰერ
ფონ დემ ბუსშე-ჰადენჰაუზენის წერილი გერმანიის
იმპერიის საგარეო საქმეთა სამინისტროს,
საქართველოს განთავისუფლების კომიტეტის წევრის,
ბიორგი მარაბლის კონსტანტინოპოლში
გამგზავრების შესახებ

1914 წლის 2 ოქტომბერი
ბუქარესტი

მაჩაბელი და მისი თანმხლები პირი¹ ხვალ სოფიის გავლით კონსტანტინოპოლს
მიემგზავრებიან. მათ, დროის მოგების მიზნით, ბინადრობის ნებართვის გარეშე
ვენისა და ბუდაპეშტის გავლით იმოგზაურეს.

ბუსშე

*Politisches Archiv des Auswärtigen Amts (PA AA), Akten Betreffend den Krieg 1914,
Unternehmungen und Aufwiegungen gegen unsere Feinde im Kaukasus. R 21008.
თარგმანი გერმანულიდან.*

¹ იგულისხმება წერეთელი მიხეილი (1878-1965).

№ 15

ბრიუსელში გერმანიის იმპერიის წარმომადგენლობის
წერილი გერმანიის იმპერიის საგარეო საქმეთა
სამინისტროს, ქართველების კონსტანტინოპოლში
გამგზავრების შესახებ

1914 წლის 3 ოქტომბერი
ბრიუსელი

გუშინ ყიფიანი¹ 4 თანამემამულესთან ერთად კონსტანტინოპოლს გაემგზავრა. გთხოვთ სამგზავრო ფულად 2000 ფრანკის გამოყოფას.

ადმინისტრაციის უფროსი

*Politisches Archiv des Auswärtigen Amts (PA AA), Akten Betreffend den Krieg 1914,
Unternehmungen und Aufwiegelungen gegen unsere Feinde im Kaukasus. R 21008.
თარგმანი გერმანულიდან.*

¹ იგულისხმება ყიფიანი პავლე (1864-1931).

№ 16

კონსტანტინოპოლში გერმანიის საბანგებო და
სრულუფლებიანი ელჩის, ბარონ ჰანს ფრაიჰერ
ფონ ვანგენჰაიმის თელეგრამა გერმანიის იმპერიის
საგარეო საქმეთა სამინისტროსადმი, ქართველების
ოსმალეთში ჩასვლის შესახებ

1914 წლის 5 ოქტომბერი
თერაპია

დასახელებული ქართველები აქ ჩამოვიდნენ. წერეთელი¹ ითხოვს ელჩის, ფონ
აიზენდებერის² ინფორმირებას ამის თაობაზე.

ვანგენჰაიმი

*Politisches Archiv des Auswärtigen Amts (PA AA), Akten Betreffend den Krieg 1914,
Unternehmungen und Aufwiegelungen gegen unsere Feinde im Kaukasus. R 21008.
თარგმანი გერმანულიდან.*

¹ იგულისხმება წერეთელი მიხეილი (1878-1965).

² იგულისხმება ფონ აიზენდებერი კარლ (von Eisendecker Karl) (1841-1934).

№ 17

კონსტანტინოპოლში გერმანიის საბანგებო და სრულუფლებიანი ელჩის, ბარონ ჰანს ფრაიჰერ ფონ ვანგენჰაიმის თელეგრაფებიდან გერმანიის იმპერიის საბარეო საქმეთა სამინისტროსადმი, თურქეთში ბრიუსელიდან ჩამოსული ერთ-ერთი ქართული აქტივისტის, კავლე ყიფიანის არასანდოობის შესახებ და გიორგი მაჩაბლის თფილისში მგზავრობის თაობაზე

1914 წლის 15 ოქტომბერი
თერაპია

ადგილობრივი ქართველები არ ენდობიან ყიფიანს და ლალატის ეშინიათ. როგორც ჩანს, ყიფიანს მართლაც, აქ საეჭვო ურთიერთობები აქვს. ის, თანმხლებ პირთან ერთად, სასწრაფოდ უკან უნდა იქნეს გაგზავნილი.

დაბეჯითებით გთხოვთ, მომავალში არ გამოაგზავნოთ აქ არავითარი უცნობი პირები რევოლუციური მიზნებისთვის, და არც მანდ მოეპყროთ ნდობით, სანამ მე მათი გამოსადეგობის შესახებ დანვრილებით ცნობებს არ მომანვდით.

ვანგენჰაიმი

1914 წლის 20 ოქტომბერი
თერაპია

მაჩაბელმა, რომელიც ამჟამად ტრაპიზონში იმყოფება, საკუთარ გამგზავრებამდე წერილობით მოსთხოვა ყიფიანს უკან დაბრუნებულიყო. კერესელიძემ, რომელიც იკავებს ხელმძღვანელ მდგომარეობას, ტელეფონით შეკითხვაზე ასევე გამოთქვა საკუთარი აზრი ყიფიანის წინააღმდეგ. მას საკუთარ თამამემამულეთა ნდობა უკვე ბოლო ქართული აჯანყების დროს უნდა დაეკარგა. ახალგაზრდა მაჩაბლისთვის დანვრილებითი გარემოებები თავდაპირველად უცნობი იყო.

აქაურმა ქართველებმა საკუთარ თავზე აიღეს ყიფიანის დაბრუნებაზე დაყოლიება. შედეგი ჯერ უცნობია.

ვანგენჰაიმი

1914 წლის 22 ოქტომბერი
თერაპია

სადღეისოდ ნაპოვნია გამოსავალი, რომ ყიფიანი, მეგობრებთან ერთად, არა ტრაპიზონში, არამედ საქართველოში გაემგზავრება. აგრეთვე მაჩაბელიც დაბრუნდა ტრაპიზონიდან და ტფილისში მიდის.

ვანგენჰაიმი

Politisches Archiv des Auswärtigen Amts (PA AA), Akten Betreffend den Krieg 1914, Unternehmungen und Aufwiegungen gegen unsere Feinde im Kaukasus. R 21008.
თარგმანი გერმანულიდან.

№ 18

**ოსმალეთის იმპერიაში გერმანული დაზვერვის
თანაგზრობლის, დოქტორ მაქს სიპერის მიერ
მოგზადაბული „მოხსენება კონსტანტინოპოლში
თავმოყრილი დნესტრის და კასპიის ზღვას
შორის მდებარე სამხრეთ რუსეთის პროვინციების
რევოლუციონერების მთავარი არხების, ისევე როგორც
აქედან მომდინარე სამუშაო პროგრამის შესახებ“**

1914 წლის 21 ოქტომბერი
ბერლინი

კონსტანტინოპოლში ჩამოყალიბებული მიზნები უნდა განხორციელდეს ოთხი უმთავრესი არხის საშუალებით, რომელთა მეშვეობითაც უნდა დაეუკავშირდეთ, ჩამოვყალიბოთ და გამოვიყენოთ რუსეთის დიდი რევოლუციური ძალები.

კონსტანტინოპოლიდან, როგორც ცენტრიდან გამავალი ოთხი არხი მიდის რუსეთის შემდეგი ტერიტორიებისკენ: ოდესა, ტუაფსე, ტრაპიზონი, ბაქო.

1. ოდესა

ოდესის მნიშვნელობა უპირველესად იმაშია, რომ რუმინეთზე გავლით უსწრაფესი გზით აქ მთელი უკრაინის რევოლუციონერებთან სამოკავშირეო სამსახურის არსებობაა შესაძლებელი, რომელიც უკვე დამაკმაყოფილებლად მუშაობს.

ოდესის მეორე მნიშვნელობა იმაშია, რომ აქედან უნდა მოხდეს რუსეთის სამხედრო ფლოტის რევოლუციონირება.

რუსულ საზღვაო ძალებში არსებული მდგომარეობის შესწავლის შემდეგ უნდა დადგინდეს, თუ რომელი მიმართულებით ვიმუშაოთ: გაფიცვებზე პორტებში, თუ დაუმორჩილებლობაზე ღია ზღვაში, ანაც ორივე მიმართულებაზე ერთდროულად. ადგილზე არსებულ მდგომარეობასთან შესაბამისობაში, უნდა მომზადდეს თურქულ-გერმანული ფლოტის ერთობლივი მოქმედებები.

ძალები

ოდესაში მოქმედება უნდა ორგანიზებულ იქნეს უკრაინის რევოლუციურ ძალებთან, ესერებთან (სოციალისტ-რევოლუციონერებთან), სოციალ-დემოკრატებთან და რამდენიმე სხვა ჯგუფთან ერთად.

შეიარაღება

ამ ტერიტორიის მოსამზადებელი შეიარაღებისთვის ერთადერთი პრაქტიკუ-

ლი საშუალება ჯერჯერობით, არის მცირე ზომის იარაღის შესყიდვა თავად ქვეყნის შიგნით, რადგან დასავლეთიდან და აღმოსავლეთიდან მნიშვნელოვანი ოდენობით კონტრაბანდა ამ ეტაპზე შეუძლებელია.

2. ტუაფსე

ტუაფსეს პორტის ტერიტორიიდან კავკასიის გავლით მიდის ახლადგაკეთებული რკინიგზა მნიშვნელოვანი ეკატერინოდარისკენ. სამსუნის და ტრაპიზონის მიდამოებში მნიშვნელოვანი წინასწარი სამუშაოები მიმდინარეობს, რათა იქიდან იარაღის შეტანა მოხდეს ტუაფსეს პორტის ერთ ტერიტორიაზე. ასევე უკვე მიმდინარეობს წინასწარი სამუშაოები ტუაფსეს გარშემო და მათ შედეგებს უნდა დაველოდოთ.

ძალები

ამ არხს შეუძლია იარაღით მოამარაგოს მნიშვნელოვანი ტერიტორიები, აღმოსავლეთით – ჩერქეზები და დაღესტნელები, ჩრდილოეთით – უკრაინის ყუბანის კაზაკები და ამასთანავე, დაამყაროს კავშირი ახალ რევოლუციურ ჯგუფებთან... ჩერქეზები და დაღესტნელები ცალკეული დიდი ბეიების და მთავრების გავლენის ქვეშ არიან, რომლებიც ნაწილობრივ რუსული ფულით ლატიფუნდიების და ადგილობრივი კანონების მიღების გამო რუსეთზე მიჯაჭვულნი არიან. რადგან მხოლოდ ცალკეულ შემთხვევებში იქნება შესაძლებელი მათ შესაბამისი ალტერნატივა რომ შევთავაზოთ, შეგვიძლია მივიჩნიოთ, რომ ამ ჯგუფების ერთიანი აჯანყება მომავალში რუსების დამარცხებების შემდეგ იქნება შესაძლებელი. ნებისმიერ შემთხვევაში, ეს ჯგუფები წარმოადგენენ ფასეულ კონტინგენტს, თუმცა ამჟამად წინასწარი სამუშაოები მხოლოდ ჩერქეზების მიერ ხორციელდება... უკრაინელი ყუბანის კაზაკები, რომლებიც ორგანიზებულ არმიას ქმნიან, სარწმუნო ხალხის ინფორმაციაზე დაყრდნობით, მთლიანად მხარს დაუჭერენ რევოლუციონირების გეგმას... ეს ძალები ჩერქეზებთან ერთად უნარიანები ჩანან, რომ ხსენებული გზა გახსნან და ჩრდილოეთ კავკასიის რევოლუციონირება მოამზადონ.

შეიარაღება

ამ ტერიტორიების შესაიარაღებლად უნდა ცალსახად შერჩეულ იქნას რუსული სამხედრო თოფი. ტყვია-წამალი – კაცზე 5 ტყვია. სულეიმან ასკერი ბეიმ¹ ეს იმით დაასაბუთა, რომ რევოლუციონერები ძალების დაძაბულობის პირობებში ტყვია-წამლის საწყობებზე შტურმს მოახდენდნენ, როცა მათ მხოლოდ 5 ტყვია ექნებოდათ.

3. ტრაპიზონი

ტრაპიზონი მნიშვნელოვანია:

1. აქედან იოლად განსახორციელებელი საინფორმაციო საქმიანობის გამო კავკასიაში.
2. თურქეთ-რუსეთის საზღვარზე იარაღის გადატანის შესაძლებლობის გამო.
3. კავკასიაში რევოლუციური ჯგუფების ორგანიზების სიიოლის გამო, თურქების მიერ გახსნილი არხების გამოყენებით.

¹ იგულისხმება სულეიმან ასკერი (1884-1915).

ძალები

რევოლუციურ ჯგუფებს აქ წარმოადგენენ ქართველები, სომხები და მაჰმადიანები. თუ ესერული ჯგუფები აქ გამოყენებადები არიან, ჯერ უნდა დავადგინო.

შეიარაღება

იგივეა რაც მე-2 (ტუაფსე) შემთხვევაში.

4. ბაქო

ბაქოში უმთავრესი მიზანი უნდა იყოს ნავთობის წყაროების გაჩერება. ამის მიღწევა ყველაზე უფრო შესაძლებელია გაფიცვით.

ძალები

აქ გამოსაყენებელი ძალები იმყოფებიან ესერებთან და სოციალ-დემოკრატიკებთან თანხმობასა და მათი ხელმძღვანელობის ქვეშ დიდ ფაბრიკებში. სანარმოების გაჩერებით მოხდება ვოლგის რაიონამდე ნავთობით მომუშავე რკინიგზების და მატარებლების პარალიზაცია. დამატებით, ბაქო არის საჭირო პუნქტი სპარსეთში რევოლუციურ ძალებთან ურთიერთობების დასამყარებლად.

შეჯამება

ვენასა და ბერლინში ჩემი მოგზაურობის მიზანს ვხედავდი შემდეგში:

1. უნდა დამედგინა, თუ რა სხვადასხვა ფორმის რევოლუციური ძალებია ტერიტორიაზე დნესტრსა და კასპიის ზღვას შორის და ისინი შემეთანხმებიან ორგანული თანამშრომლობის სახით გერმანიის, თურქეთის და ავსტრიის ხშირად არაერთგვაროვან ინტერესებთან კონსტანტინოპოლში.
2. მე მიზნად ვისახავდი, რომ ავსტრიის ხელისუფლება ვენაში ამ გეგმის მასშტაბურობის წარდგენის შემდეგ დამერწმუნებინა ინტენსიური თანამშრომლობის აუცილებლობაში, რასაც იმაში ვხედავ, რომ ნაალაფარი რუსული იარაღი სისტემატურად სანყოფებში უნდა იყოს გადატანილი, რათა მაშინვე ხელმისაწვდომი გახდეს, როგორც კი რუმინეთიდან ან სერბეთიდან გზა გაიხსნება.
3. მესამე პუნქტის წარმოდგენას ვაპირებ უკვე ბერლინში.

ბოლოსიტყვა

გზად ვენისკენ, მატარებელში მქონდა ხანგრძლივი გასაუბრება მის აღმატებულებას ლიმან ფონ ზანდერსთან. მისმა აღმატებულებამ მითხრა, რომ ის ჩემს ამ საქმეს ძალიან მნიშვნელოვნად მიიჩნევს და ის ჩემს მოსაზრებას, ამ მოძრაობის მასშტაბურობასა და მის სასარგებლოდ გარდაქმნის გზებზე, მთლიანად იზიარებს. მისმა აღმატებულებამ მთხოვა ეს საკითხი ზემოთ წარმოდგენილი ფორმით მალე დამემუშავებინა, წარმომედგინა და მიმეწოდებინა მისთვის მომავალშიც ინფორმაცია. ბრწყინვალე ლიმან ფაშამ გამოხატა მწუხარება, რომ ამ საკითხზე არანაირი წინასწარი დიპლომატიური ნამუშევრები არ არსებობს და აქედან გამომდინარე, მისი საქმიანობა რთულდება.

ამ ანალიზზე დაყრდნობით, ვთხოვ მაღალ სამინისტროს მრჩეველებად მომიჩინოს ცალკეულ საკითხებში გარკვეული ვინრო სპეციალისტები.

დოქტორი ციმერი

დანართი

მოკლე განმარტებებში შევძელი მრავალფეროვანი მასალის მხოლოდ ერთი ნაწილის წარმოდგენა. მნიშვნელოვანი მომენტების, რევოლუციური ტალღის, რელიგიური, მაჰმადიანური მოძრაობის და მრავალი იდეის მეთოდური გადამუშავებისთვის, რომლებმაც რევოლუციონერებისა და მაჰმადიანების თავისებურებისადმი მიდგომის საშუალება მომცეს, მინდა რჩევის სახით ვთქვა, რომ ამ საკითხებს ურთიერთშეთანხმებით დავამუშავებ სამინისტროსთან და მის აღმატებულება ლიმან ფაშასთან¹ ერთად.

რადგან წარმოდგენილი რევოლუციონერების მოსაზრების მიხედვით, მზადებაშია რევოლუცია მთელი რუსეთის მასშტაბით, სადაც ბურჟუაზია პირველად გამოვა ცარიზმის წინააღმდეგ, კიდევ უფრო მეტი მნიშვნელობა აქვს, რომ აღნიშნული ძალები დროულად აღმოჩნდნენ სწორ ჩარჩოებში მოქცეული.

ეს სამუშაოები სამომავლოდ თუ როგორი ფორმით უნდა წარიმართოს, მინდა განსაკუთრებული რჩევები წარმოვადგინო. აგრეთვე მინდა ვითხოვო, ამ მოხსენების შემდეგ, მომეცეს დასახელებული სპეციალისტების გამოყენებაზე რევიზიის უფლება.

დოქტორი მ. ციმერი

Politisches Archiv des Auswärtigen Amts (PA AA), Akten Betreffend den Krieg 1914, Unternehmungen und Aufwiegungen gegen unsere Feinde im Kaukasus. R 21008.

თარგმანი გერმანულიდან.

¹ იგულისხმება ფონ ზანდერსი ოტო ვიქტორ კარლ ლიმან (von Sanders Otto Viktor Karl Liman) (1855-1929).

№ 19

კონსტანტინოპოლში გერმანიის საბანგებო და
სრულუფლებიანი ელჩის, ბარონ ჰანს ფრაიჰერ ფონ
ვანგენჰაიმის თელეგრაფიდან გერმანიის იმპერიის
საგარეო საქმეთა სამინისტროსადმი, საქართველის
განთავისუფლების კომიტეტის წევრის, გიორგი
კერესელიძის ოჯახისადმი ფინანსური დახმარების
განევის შესახებ

1914 წლის 28 ოქტომბერი
თერაპია

კერესელიძე¹ ითხოვს, რომ მისი ძმის, გიორგის ოჯახს, რომელიც ჟენევაში
დარჩა და გაჭირვებაში იმყოფება, ყოველთვიური დახმარების სახით 300 ფრანკი
მიეცეს ადგილობრივი საკონსულოს საშუალებით.

ვანგენჰაიმი

*Politisches Archiv des Auswärtigen Amts (PA AA), Akten Betreffend den Krieg 1914,
Unternehmungen und Aufwiegelungen gegen unsere Feinde im Kaukasus. R 21008.*
თარგმანი გერმანულიდან.

¹ იგულისხმება კერესელიძე ლეო (1883-1943).

№ 20

ბულგარეთში გერმანიის იმპერიის დესკანის,
ქრისტიან ბუსთავ მიხაელესის თელეგრამა
გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროსადმი,
ქართული კომიტეტის წევრების, მიერ საბგზავრო
თანხის უკან დაბრუნების შესახებ

1914 წლის 29 ოქტომბერი
სოფია

ორივე ქართველმა, პაულ ყიფიანმა და მ. ტატიმ¹, რომელთაც საელჩოს ხაზინიდან წინასწარ მიეცათ 200 ფრანკი კონსტანტინოპოლისკენ მგზავრობის გასაგრძელებლად, ეს თანხა იმპერიის საელჩოში კონსტანტინოპოლში უკან დააბრუნეს და იმპერიის ელჩმა ეს ფული მე ხელში გადმომცა. საკითხი ამით მოგვარებულია და გადახდა მომდევნო აღრიცხვაში არ გამოჩნდება.

მიხაელესი²

Politisches Archiv des Auswärtigen Amts (PA AA), Akten Betreffend den Krieg 1914, Unternehmungen und Aufwiegungen gegen unsere Feinde im Kaukasus. R 21009.
თარგმანი გერმანულიდან.

¹ მ. ტატი – ტატიშვილი ირაკლის (1884-1946) ფსევდონიმი.

² იგულისხმება მიხაელესი ქრისტიან გუსტავ (Michahelles Christian Gustav) (1855-1932).

№ 21

კონსტანტინოპოლში გერმანიის საბანგებო და
სრულუფლებიანი ელჩის, ბარონ ჰანს ფრაიჰერ ფონ
ვანგენჰაიმის თელეგრაფიდან გერმანიის იმპერიის
საგარეო საქმეთა სამინისტროსადმი, კავკასიასთან
დაკავშირებული ხარჯების შესახებ

1914 წლის 8 ნოემბერი
თერაპია

კავკასიისთვის, თუ მოქმედება წლის დასაწყისამდე გაგრძელდება, როგორც
მინიმუმ 100 000 ფრანკის საჭიროება უნდა იქნას გათვალისწინებული. სპარსე-
თის ექსპედიცია სალარ ედ დოულესთვის¹, – დაახლოებით 300 000 ფრანკი.

ვანგენჰაიმი

*Politisches Archiv des Auswärtigen Amts (PA AA), Akten Betreffend den Krieg 1914,
Unternehmungen und Aufwiegungen gegen unsere Feinde im Kaukasus. R 21009.*
თარგმანი გერმანულიდან.

¹ იგულისხმება სპარსელი პრინცი სალარ ალ დოვლე (1881-1961).

№ 22

**გერმანიის სამხედრო სამინისტროს თელავრამა
გერმანიის საბარეო საქმეთა სამინისტროს, უახლოეს
ხანებში აღმოსავლეთის საინფორმაციო ბიუროს¹
თანამშრომლის, ჰარალდ კოზაკის ქართველ
ძველებთან შეხვედრის შესახებ**

1914 წლის 10 ნოემბერი
ბერლინი

მაქვს პატივი თქვენს აღმატებულებას ვაცნობო 1914 წლის 22 ოქტომბრის შე-
საბამის წერილთან დაკავშირებით, რომ მესამე საარმიო კორპუსის გენერალური
სარდლობის მოადგილესთან შეთანხმებით დაბრკოლება არ იქნება, თუ უფრო-
სი მასწავლებელი კოზაკი შემდეგ ხანებში ტყვეთა ბანაკებს კიუსტრინს, ოდერის
ფრანკფურტს, გუბენს, კროსენს, კოტბუსს და ჰალბეს ესტუმრება, რათა კავშირი
დაამყაროს იქ თავმოყრილ ქართველებთან.

ბანაკში სტუმრობა შესაძლებელი იქნება მხოლოდ ბანაკის კომენდანტის ზე-
დამხედველობის და ნებართვის ქვეშ, ვისთანაც ბატონი კოზაკი წინასწარ უნდა
შეთანხმდეს. მისი საბუთი იქნება, აქ დართული მონობა.

სწორად ვთვლით, რომ ბატონი კოზაკის მგზავრობის და სხვა ხარჯების
ანაზღაურება იქვე ადგილზე უნდა მოხდეს.

*Politisches Archiv des Auswärtigen Amtes (PA AA), Akten Betreffend den Krieg 1914,
Unternehmungen und Aufwiegelingen gegen unsere Feinde im Kaukasus. R 21009.*

თარგმანი გერმანულიდან.

¹ სრული დასახელება: – აღმოსავლეთის ცნობათა ბიურო (Nachrichtenstelle für den Orient) –
1914-1918 წლებში გერმანიაში არსებული სტრუქტურა, რომლის მიზანიც საგარეო საქმეთა
სამინისტროსთან თანამშრომლობაში ანტანტის ქვეყნების მუსლიმური კოლონიების „რევოლუ-
ციონირება“ და მათ მოსახლეობაში პროგერმანული პროპაგანდის წარმოება იყო. ბიუროს თა-
ნამშრომელთა უდიდესი ნაწილი ექსპერტებისგან და სპეციალისტებისგან – ორიენტალისტები-
სგან, არაბისტებისგან, ინდოლოგებისგან, მისიონერებისგან, ვაჭრებისგან და ა.შ. შედგებოდა.
ამავე დროს ახორციელებდა გერმანიაში აღმოსავლური ენებიდან (მათ შორის ქართულიდან)
მოსული წერილების თარგმანს გერმანული ცენზურისათვის.

№ 23

საქართველოს განთავისუფლების კომიტეტის
წევრის, გიორგი მაჩაბლის წერილი ოტო ბიუნდერ
ფონ ვეზენდორფს, გერმანიის იმპერიის საგარეო
საქმეთა სამინისტროს ლეგაციის მდივანს და ახლო
აღმოსავლეთის საქმეთა რეფერატს, საქართველოში
მისი საიდუმლოდ გამგზავრების შესახებ

1914 წლის 23 ნოემბერი
კონსტანტინოპოლი

ძვირფასო ბატონო ფონ ვეზენდორფ,

ხვალ მივემგზავრები საქართველოში, რათა ამჟამად იქაურ ორგანიზაცი-
ას შევხვდე. რამდენიმე დღის წინ დავბრუნდი ტრაპიზონიდან, სადაც ჩვენს მი-
ერ ყველაფერი მომზადებულ იქნა. მე შევეცადე გამეერთიანებინა ჩვენი ძალები
საზღვრის იქეთა მხარეს. სამწუხაროდ, საშინლად ცოტა დრო მაქვს, რათა თქვენ
ჩვენს გეგმებზე დანვრილებით გესაუბროთ. ერთადერთი, რისიც ამჟამად ნამ-
დვილი სურვილი და შესაძლებლობა მაქვს, – ჩემი გამომშვიდობების მოკითხვა
გაგიგზავნოთ და დაგარწმუნოთ, რომ ჩვენი მიზნების მიღწევა არ იქნება ძნელი
საქმე. ბატონ ყიფიანის¹ შემთხვევა სრულიად უმნიშვნელო გაუგებრობას უნდა
მივანეროთ, რამაც ყველაფერს ახადა ფარდა.

იმედი მაქვს, მალე კვლავ შევხვდებით და შეგვეძლება ერთმანეთს გამარჯვება
მივულოცოთ.

მანამდე კი საუკეთესოს გისურვებთ თქვენც და თქვენს სამშობლოსაც.

მეგობრული სალმით, თქვენდამი სრულიად ერთგული თავადი მაჩაბელი

*Politisches Archiv des Auswärtigen Amts (PA AA), Akten Betreffend den Krieg 1914,
Unternehmungen und Aufwiegungen gegen unsere Feinde im Kaukasus. R 21009.
თარგმანი გერმანულიდან.*

¹ იგულისხმება ყიფიანი პავლე (1864-1931).

№ 24

**კონსტანტინოპოლში გერმანიის საბანგებო და
სრულუფლებიანი ელჩის, ბარონ ჰანს ფრაიჰერ
ფონ ვანგენჰაიმის თელეგრაფა გერმანიის იმპერიის
საგარეო საქმეთა სამინისტროს, ტრაპიზონში მყოფი
საქართველოს განთავისუფლების კომიტეტის
წევრების, თურქეთ-რუსეთის საზღვარზე მოქმედების
შესახებ**

1914 წლის 24 ნოემბერი
პერა

კონსული ტრაპიზონში იტყობინება, რომ ქართველ კერესელიძის¹ წამოწყებას ჯერჯერობით შედეგი არ მოჰყოლია. ქართულმა კომიტეტმა ტრაპიზონში ჯერჯერობით ვერავითარი კავშირი ვერ დაამყარა საკუთარ რუს თანამემამულეებთან, რომლებზეც რაიმე ზეგავლენის მოხდენაზე საუბარიც კი ზედმეტია. ართვინთან გამართულ ბოლო ბრძოლაში მონაწილეობა მიიღეს კერესელიძემ, მოზელმა და ფონ შმიდტმა² (უკანასკნელმა განსაკუთრებით გამოიჩინა თავი). გვრჩება მხოლოდ ის, რათა დაველოდოთ, რა შედეგს გვიჩვენებენ პირდაპირ რუსეთის გავლით საქართველოში გაგზავნილი ქართველები, მათ შორის მარაბელი.

ვანგენჰაიმი

*Politisches Archiv des Auswärtigen Amtes (PA AA), Akten Betreffend den Krieg 1914,
Unternehmungen und Aufwiegelingen gegen unsere Feinde im Kaukasus. R 21009.*

თარგმანი გერმანულიდან.

¹ იგულისხმება კერესელიძე ლეო (1883-1943).

² იგულისხმება ფონ შმიდტი ოსვალდ (von Schmidt Oswald).

№ 25

**კონსტანტინოპოლში გერმანიის საბანკებო და
სრულუფლებიანი ელჩის, ბარონ ჰანს ფრაიჰერ
ფონ ვანგენჰაიმის წერილი გერმანიის იმპერიის
საბარეო საქმეთა სამინისტროს, ტრაპიზონში მყოფი
საქართველოს განთავისუფლების კომიტეტის წევრის,
ლეო კერესელიძის მოქმედებისა და ახალგაზრდა
თურქთა ადგილობრივ კომიტეტთან
მისი ურთიერთობების შესახებ**

1914 წლის 28 ნოემბერი
პერა

ტრაპიზონში საიმპერიო კონსულის ჩემდამი ამჟამად წარდგენილი მოხსენების თანახმად, როგორც ჩანს, ქართველ ნაციონალისტთა მცდელობებს კავკასიაში მათი თანამემამულეები რეალური აჯანყებისკენ განაწყობენ, ამ დრომდე, შედეგი არ მოჰყოლია.

ქართველ ლეო კერესელიძეს, რომელიც აქ რევოლუციური მოძრაობის სულიერ ბელადს წარმოადგენს, განზრახვა აქვს თურქულ-რუსული საზღვრიდან, ტრაპიზონიდან, რუსეთის შიგნით ინტენსიური პროპაგანდა აწარმოოს. რუსულ საქართველოში საიდუმლოდ იარაღი გააგზავნოს და თურქეთის ტერიტორიაზე საკუთარი თავის გარშემო მოხალისეთა რაზმი შემოიკრიბოს, რომელიც, თურქულ-რუსულ საომარ მოქმედებათა დაწყებისთანავე, როგორც მისი მეთაურობის ქვეშ მდგომი „ქართული არმია“ ქართველი ძმების გასანთავისუფლებლად რუსეთში შეიჭრება. კერესელიძე, რომელიც ზოგი თვალსაზრისით ოდნავ ფანტაზიორია, გაბედული და მსხერპლის გაღებისთვის მზადმყოფია, ის, შესაძლოა, პატივმოყვარე ადამიანის შთაბეჭდილებას ახდენს, რომელსაც, სავარაუდოდ, შეიძლება მივანდოთ ამოცანა მოძრაობის ბელადის როლი შეასრულოს. კერესელიძისადმი ლაგამის ამოდების და განსაკუთრებით მასსა და თურქულ სტრუქტურებს შორის შესაძლო წინააღმდეგობათა დაძლევის მიზნით, მე მას ბატონი ლუი მოზელი მივამაგრე.

ამის შემდგომ ქართულ „მთავარ შტაბს“ ტრაპიზონში ქართული ეროვნული სეპარატისტული ორგანიზაციის ზოგი სხვა წევრიც მიუერთდა. სხვა ქართველ პირთა მთელმა რიგმა, როგორც თავადმა გიორგი მაჩაბელმა და ყიფიანმა, გადაწყვიტეს რუსეთის გავლით კავკასიაში გაემგზავრონ, რათა იქ საკუთარ თანამემამულეთა შორის რევოლუციური იდეები გაავრცელონ.

ყველა წამოწყებებს აქედან დახმარება გაენევა ფულადი საშუალებებით. ტრაპიზონში კონსული დოქტორი ბერგფელდი¹ აქედან გამოგზავნილ ფულს საკუთარ განკარგულებაში იღებს.

წარმატების პირობას, რამდენადაც მოძრაობა შეტევაზე თურქეთის ტერიტორიიდან უნდა გადავიდეს, რა თქმა უნდა წარმოადგენდა თურქთა უწყებრივი და არაუწყებრივი სტრუქტურების თანხმობა და თანამშრომლობა. ამ საქმეში კერესელიძეს, მისი მოლაპარაკებების დროს, გარკვეულ ზღვრამდე ხელშეწყობა გაენია. თუმცა ის მაინც შეეჯახა ლატენტურ წინააღმდეგობას, როდესაც მოითხოვა, რათა თურქული მთავრობისგან წინასწარ მიეღო დაპირება იმის შესახებ, რომ თურქეთს დამოუკიდებელ სახელმწიფოდ ეცნო მომავალი საქართველო, კონკრეტულად დადგენილ და ძლიერად გაფართოებულ საზღვრებში. პორტის მიერ ამის შესახებ უნდა გაკეთებულ იქნეს შესაბამისი განცხადება.

სიმართლე ისიც არის, რომ თალაათ ბეიმ, შეაფასა რა სწორედ პრაქტიკული შესაძლებლობები, გამოთქვა მოსაზრება იმის შესახებ, რომ უსარგებლო იქნებოდა უმეტეს წილად ქრისტიანებით დასახლებული ქვეყანა, იმ შემთხვევაშიც კი, თუკი მან უკიდურესად იზარალა ქრისტიანული მთავრობის უღელ ქვეშ, მუსულმანური სახელმწიფოს ბატონობას დავუმორჩილოთ. თუმცა ის, როგორც ჩანს, წარმატებით ვერ უპირისპირებს თავის შეხედულებებს გარკვეულ წყალქვეშა დინებებს. ყოველ შემთხვევაში, საკამათო დოკუმენტი ჯერ კიდევ თურქულ ხელმოწერას ელოდება.

თუმცა, უეჭველად, ქართველთა მისწრაფებებმა თურქთა, უფრო სწორედ კი კომიტეტის შოვინისტთა აღშფოთება გამოიწვიეს. ყოველ შემთხვევაში, ამან იმას შეუწყო ხელი, რომ ქართველთა მუშაობას გარკვეული უნდობლობით შეხვდნენ. მოზელი, რომელიც კომიტეტის წრეებში გარკვეული ავტორიტეტით სარგებლობს, შეეცადა დაეძლია ეს უთანხმოებები. ღია კონფლიქტი თავიდან აცილებულ იქნა, თუმცა, ამავე დროს, მან ხელი ვერ შეუშალა იმას, რომ კერესელიძის წამოწყებას თურქთა მხოლოდ ფრთხილი დახმარება ხვდა წილად.

დოქტორ ბერგფელდის შთაბეჭდილებით, კერესელიძის წამოწყება წარუმატებლად უნდა მივიჩნიოთ. მან ამ დრომდე ვერ დაამყარა სანდო კავშირი საკუთარ თანამემამულეებთან საქართველოში და ვერც საკუთარ ბანაკში ქართველთა დიდი მოდინება გამოიწვია. რა თქმა უნდა, მის სასარგებლოდ ისიც შეიძლება ითქვას, რომ ორგანიზაციის ჩამოსაყალიბებლად, როგორც ის ამას გეგმავდა, ომის დაწყებამდე მეტისმეტად მცირე დრო არის გასული. ამის გარდა, სადღეისოდ ჯერ კიდევ გვაკლია იარაღის აუცილებელი რაოდენობა და ჯერჯერობით ისიც კი არის სათუო, როდის და შევძლებთ კი, საერთოდ, მის ტრაპიზონში გამოგზავნას.

სამაგიეროდ, კონსული ბერგფელდი ხაზს უსვამს მოხერხებულ მუშაობას, რომელსაც თურქული მხარე ეწევა მუსულმან კავკასიელთა აჯანყების ორგანიზაციის მიზნით. ის რეკომენდაციას უწევს და სასარგებლოდ მიაჩნია გარკვეულ ფარგლებში დახმარება გაუწიოთ თურქულ წამოწყებას. ის აგრეთვე მხარს უჭერს ამჟამად იქ მოქმედ გერმანელ და ქართველ ბატონთა შემდგომ დასაქმებას და დახმარებას, რადგან მათი იქ ყოფნა კავკასიის მოსახლეობის ქრისტიანული ელემენტებისთვის დამანყნარებელ ფაქტორს წარმოადგენს.

¹ იგულისხმება ბერგფელდი ჰაინრიხი (Bergfeld Heinrich).

შემდგომი მომავალი გვიჩვენებს, თუ რა წარმატებებს მიაღწიეს და კიდევ მი-
აღწევენ კავკასიაში გაგზავნილი და იქ მოქმედი ქართველები.

ვანგენჰაიმი

*Politisches Archiv des Auswärtigen Amts (PA AA), Akten Betreffend den Krieg 1914,
Unternehmungen und Aufwiegelungen gegen unsere Feinde im Kaukasus. R 21009.
თარგმანი გერმანულიდან.*

№ 26

**გერმანიის იმპერიის საბარეო საქმეთა სამინისტროს
მიერ მომზადებული ცნობა ქართველთა ეროვნული
მისწრაფებებისა და ამასთან დაკავშირებით,
გერმანიის მთავრობის მიერ ოსმალეთის იმპერიის
მთავრობის მიმართ დასააკავებელი პოზიციის შესახებ**

1914 წლის დეკემბრის დასაწყისი
ბერლინი

კონსტანტინოპოლში კაიზერის ელჩის წინა თვის 28 რიცხვის A 33828 მოხსენების მიხედვით¹, ქართული მოძრაობის მცირე წარმატებაში უკანასკნელ როლს არ თამაშობს თურქებსა და ქართველებს შორის არსებული ორმხრივი უნდობლობა.

ქართველმა მეთაურებმა ამა წლის სექტემბერში, ბერლინში განაცხადეს, რომ ისინი ხელში იარაღს იღებდნენ თავისუფალი კავკასიური სახელმწიფოს შესაქმნელად, რომელიც ყველა თვალსაზრისით დამოუკიდებელი იქნება. ადრე კავკასიელები თურქებში ყველაზე უარეს მტერს ხედავდნენ და ასწლეულების განმავლობაში იბრძოდნენ მათ წინააღმდეგ. ალბათ, შესაძლებელია, რომ მაჩაბლის და წერეთლის მიერ წარმოდგენილი ნოტა ქართული კომიტეტისთვის სასურველი კავკასიის ფედერაციული სახელმწიფოს სამომავლო მოწყობის შესახებ, წარედგინოს კონსტანტინოპოლში იმპერატორის ელჩს მითითებით, რომ თურქებს უფრო ახლოს მიაღებინოს ქართველების სამართლიანი სურვილები. თურქეთისთვის, მათდამი მეგობრულად განწყობილი ბუფერული სახელმწიფოს შექმნა, მხოლოდ სარგებლის მომტანი შეიძლება იყოს. საქართველოს ტერიტორიის ნაწილების ოსმალეთის იმპერიაში შესაძლებელი მიღება, მას სარგებელს ნამდვილად არ მოუტანს.

ქართველი ტყვეების გამონათქვამებიც აჩვენებს, რომ ისინი მხოლოდ კავკასიის დამოუკიდებლობას უჭერენ მხარს. თურქეთის მმართველობას, ისინი ნებისმიერ დროს რუსეთისას ამჯობინებენ. ის, რომ ზოგ კავკასიელს რუსეთში წარმატების მიღწევა შეუძლია და იქ სრულიად კმაყოფილნი არიან, აჩვენებს ტყვე ქართველი ოფიცრების განწყობა და ზოგი ოჯახის კარიერა, როგორცაა ბაგრატიონი, ჭავჭავაძე და სხვ.

Politisches Archiv des Auswärtigen Amtes (PA AA), Akten Betreffend den Krieg 1914, Unternehmungen und Aufwiegungen gegen unsere Feinde im Kaukasus. R 21009.

თარგმანი გერმანულიდან.

¹ იხ. დოკ. № 25.

№ 27

კონსტანტინოპოლში გერმანიის საბანგებო და
სრულუფლებიანი ელჩის, ბარონ ჰანს ფრაიჰერ
ფონ ვანგენჰაიმის თელეგრამა გერმანიის იმპერიის
საბარეო საქმეთა სამინისტროს, კავკასიური
ექსპედიციისთვის პასპორტების დაზღადების შესახებ

1914 წლის 3 დეკემბერი
პერა

დოქტორ ციმერს¹ კავკასიური ექსპედიციისთვის სჭირდება დაახლოებით 25 ცალი რუსული საგარეო პასპორტი და 25 ცალი რუსული შიდა პასპორტი. გთხოვთ დაამზადეთ და გამოგზავნეთ ისინი რაც შეიძლება სწრაფად.

ვანგენჰაიმი

*Politisches Archiv des Auswärtigen Amts (PA AA), Akten Betreffend den Krieg 1914,
Unternehmungen und Aufwiegelingen gegen unsere Feinde im Kaukasus. R 21009.
თარგმანი გერმანულიდან.*

¹ იგულისხმება ციმერი მაქს (Zimmer Max) (1872-?).

№ 28

კონსტანტინოპოლში გერმანიის საბანგებო და
სრულუფლებიანი ელჩის, ბარონ ჰანს ფრაიჰერ
ფონ ვანგენჰაიმის თელეგრამა გერმანიის იმპერიის
საგარეო საქმეთა სამინისტროს, კავკასიაში არსებული
მდგომარეობის შესახებ

1914 წლის 6 დეკემბერი
პერა

აქ არსებული ინფორმაციის მიხედვით, მუსლიმ ამბოხებულთა რაოდენობა კავკასიის რეგიონში უკვე 50 000-მდე გაიზარდა. ხალხი მთლიანობაში, მეტნაკლებად კარგად არის შეიარაღებული. ელექტრობის სადგურები ბათუმში განადგურებულია. ენვერს¹ მიაჩნია, რომ დადგა შესაფერისი მომენტი, უფრო დიდი დარტყმა მივაყენოთ რუსეთს. მარშალმა ლიმან ფონ ზანდერსმა უარი თქვა მისთვის შეთავაზებული კავკასიური არმიის მთავარსარდლობაზე. ამის შედეგად ენვერი ხელათვე გენერალ ბრონზარტ ფონ შელენდორფთან ერთად გაემგზავრა გემ „გოებენით“ კავკასიისკენ. ენვერის არყოფნა, რომლის გამოჩენის ნიშანი ჯერ არ ჩანს, არის ძალიან დამაფიქრებელი, რადგან საგარეო გართულებებმა შეიძლება ნებისმიერ დროს იჩინონ თავი. ასევე მნიშვნელოვანია, რომ არ გვაქვს სამხედრო ინსტიტუტი, რომელიც მოაგვარებს ლიმან ფონ ზანდერსის ურთიერთობას ფრაიჰერ ფონ დერ გოლცთან.

ვანგენჰაიმი

Politisches Archiv des Auswärtigen Amtes (PA AA), Akten Betreffend den Krieg 1914, Unternehmungen und Aufwiegelungen gegen unsere Feinde im Kaukasus. R 21009.
თარგმანი გერმანულიდან.

¹ იგულისხმება ენვერ ფაშა, ან ისმაილ ენვერ ფაშა (1881-1922).

№ 29

**კონსტანტინოპოლში გერმანიის საბანგებო და
სრულუფლებიანი ელჩის, ბარონ ჰანს ფრაიჰერ ფონ
ვანგენჰაიმის წერილი გერმანიის იმპერიის საგარეო
საქმეთა სამინისტროს, ქართველ მოხალისეთა
მონაწილეობით ართვინთან გამართული ბრძოლის
შესახებ**

1914 წლის 10 დეკემბერი
პერა

ტრაპიზონში ქართულ კომიტეტთან მყოფმა იმპერიის მოქალაქემ ლუი მოზელმა მოხალისეთა ჯგუფთან ერთად, მონაწილეობა მიიღო ართვინთან გამართულ ბრძოლაში. აქ გამოგზავნილ პირად წერილში ამ აქციას ის შემდეგნაირად აღწერს:

„600 მოხალისესთან ერთად, რომლებიც ნაწილობრივ ქართველი მაჰმადიანებისგან შედგებოდა, ჩვენ შევძელით რუსები ჩურუქ-სუს¹ იქეთა მხარეს გაგვედევნა, მიუხედავად იმისა, რომ მათ ჩვენ 800 რეგულარული ჯარისკაცი, 4 საველე ზარბაზანი და 10 ტყვიამფრქვევი დაგვიპირისპირეს.

ჩვენ ხელთ ვიგდეთ 4 ზარბაზანი. ტყვიამფრქვევები რუსთა მიერ ნაწილობრივად განადგურებულ მდგომარეობაში იქნენ დატოვებულნი.

გარდა ამისა, ტყვედ ავიყვანეთ დაახლოებით 100 კაცი, მათ შორის 4 ოფიცერი და ართვინის გუბერნატორი. რუსთა დანაკარგები სულ მცირე 250 მოკლულს და 50 დაჭრილს აღწევს. ჩვენ დავიპყარით მურღულის ბრინჯაოს ინგლისური დიდი საბადოები, რომლის ინფრასტრუქტურის ღირებულება დაახლოებით 40 მილიონ ფრანკს აღწევს. ხელთ ვიგდეთ 100-ზე მეტი ცხენი, ბევრი ტყვია-ნამალი და პროვიანტი და განვიცადეთ დანაკარგი 6 მოკლულის და 10 დაჭრილის სახით, თუმცა ბრძოლა შეუჩერებლად გრძელდებოდა თითქმის 12 საათის განმავლობაში.

ხელთ ვიგდეთ კურნში მდებარე დიდი ყაზარმები. ბრძოლას აქ ხელმძღვანელობდნენ მეთაური გენერალი გორიშენი² ბათუმიდან, საკუთარი გენერალური შტაბის უფროსთან ერთად, და ბათუმის ვიცე-გენერალ-გუბერნატორი. სამწუხაროდ, ამ ბატონებმა გაქცევა შეძლეს, რადგან ბათუმისკენ მიმავალი გზის მოჭრის დაგეგმილი ოპერაცია, რომელიც კერელეს (ე. ი. ქართველი ლეო კერესელიძის) მიერ უნდა ყოფილიყო განხორციელებული, ვერ შედგა რუსთა უეცარი შეტევის

¹ ჩურუქ-სუს – მდინარე ჭოროხის თურქული დასახელება.

² უფრო ზუსტად – ელშინი ალექსანდრე (Ельшин Александр) (1865-1951).

გამო. მე პირადად ვმეთაურობდი მთელს ბრძოლას როგორც „ალემან ფაშა“¹. ფონ შმიდტმა მშვენივრად იბრძოლა და დიდად შეუწყო ხელი წარმატებას“.

ეს სურათი დადასტურებულ იქნა ქართველთა მხრიდანაც, რომლებმაც დაამატეს, რომ გერმანელ ბატონთა და კერესელიძის ხელშეწყობის გარეშე, ოპერაცია ართვინის წინააღმდეგ ძნელად თუ ჰპოვებდა სასურველ შედეგს.

მსურს წამოვაცენო წინადადება, რომ ფონ შმიდტის გარდა, მოზელიც რკინის ჯვრით იქნას დაჯილდოვებული.

ვანგენჰაიმი

Politisches Archiv des Auswärtigen Amts (PA AA), Akten Betreffend den Krieg 1914, Unternehmungen und Aufwiegungen gegen unsere Feinde im Kaukasus. R 21009.
თარგმანი გერმანულიდან.

¹ Alman paşa (თურქ.) – გერმანელი ფაშა.

№ 30

**კონსტანტინოპოლში გერმანიის საბანგებო და
სრულუფლებიანი ელჩის, ბარონ ჰანს ფრაიჰერ
ფონ ვანგენჰაიმის თელეგრაფა გერმანიის იმპერიის
საბარეო საქმეთა სამინისტროს, თურქეთ-რუსეთის
საზღვარზე მოქმედ ქართველ აქტივისტთა რიცხვის
გაზრდის მიზანშეუწონლობის შესახებ**

1914 წლის 22 დეკემბერი
პერა

სურგულაძის ადგილმდებარეობა ამ დრომდე უცნობია. კონსულ ბერგფელდის შეხედულების თანახმად, საზღვარზე მოქმედ ქართველთა რიცხვის გაზრდა არ არის მიზანშეუწონილი. პირიქით, მათი გამოყენება პროპაგანდისტის უშუალოდ კავკასიაში რეალურად კითხვის ქვეშ დგას. მსურს ეჭვი გამოვთქვა იმის შესახებ, თუ რამდენად შესაძლებელია ჯერ კიდევ სადღეისოდ მგზავრობა რუმინეთის გავლით.

ქართველების შემდგომი გამოყენების საშუალება აქ არ არსებობს. ამ მიზეზით სასურველად მივიჩნევ, ჯერ ჯეროებით კიდევ დაველოდოთ კავკასიაში მოვლენათა განვითარებას.

ვანგენჰაიმი

*Politisches Archiv des Auswärtigen Amts (PA AA), Akten Betreffend den Krieg 1914,
Unternehmungen und Aufwiegelungen gegen unsere Feinde im Kaukasus. R 21009.*

თარგმანი გერმანულიდან.

№ 31

**კონსტანტინოპოლში ბერმანიის საბანგებო და
სრულუფლებიანი ელჩის, ბარონ ჰანს ფრაიჰერ ფონ
ვანგენჰაიმის თელეგრამა ბერმანიის იმპერიის საბარეო
საქმეთა სამინისტროს, ტრაპიზონში საქართველოს
განთავისუფლების კომიტეტის წევრთა მოქმედების
თურქული ადგილობრივი ხელისუფლების გვერდის
ავლით მხარდაჭერის აუცილებლობის შესახებ**

1914 წლის 26 დეკემბერი
პერა

კონსული ტრაპიზონიდან გვაცნობებს: „მოზელის შეტყობინებით, ახალგაზრდა თურქთა კომიტეტმა საკუთარი ქცევის შედეგად დაკარგა საზღვრისპირა მოსახლეთა სიმპატიები, რომლებიც გერმანული ნამონყების და ქართული კომიტეტის გარშემო ერთიანდებიან. ტფილისში მიღწეულ იქნა მაჰმადიან და ქრისტიან ქართველთა ერთობა. მათი აჯანყება, მთელი კავკასიის აჯანყებას გამოიწვევს. აკლიათ იარაღი. არსებობს რუსეთში ბრძოლის წარმოების საშუალება. ამ მიზნით, პროპაგანდისტის და სურსათისთვის აუცილებელია ასი ათასი მანეთი. თუ არსებობს საშუალება, მათი რუსული ბანკნოტების სახით გამოგზავნის?

გარდა ამისა, სასურველია საქართველოში გადამცემი აპარატის გაგზავნა რადიო-ტელეგრაფისტისთვის, რომლითაც კოტკა კონსტანტინოპოლში სამხედრო ცნობების მონოდებას შეძლებს.

ადგილობრივი ქართული კომიტეტის ნაწილი საქართველოდან ჩამოსული ნავეებით იქ გაემგზავრა. ქართველები, მაჰმადიანთა ჩათვლით, ავლენენ ფართო სიმპატიებს გერმანიის მიმართ“.

კონსული ბერგფელდი გარემოებას სასარგებლოდ მიიჩნევს საიმისოდ, რათა გვერდი ავუაროთ ახალგაზრდა თურქთა კომიტეტს და მხარს უჭერს მოზელის მოთხოვნას ფულის გაგზავნის შესახებ. კონსული მოითხოვს სატელეგრაფო მითითებას, რა თანხამდე შეუძლია მან ისარგებლოს იქ არსებული ფულით.

ჩემი მხრიდან, მე ასევე მხარს ვუჭერ ამ მოთხოვნის დადებითად გადაწყვეტას, ვინაიდან, ჩემი გამოცდილებით, შოვინისტურად განწყობილი ახალგაზრდა თურქები ძნელად თუ შეურიგდებიან სხვათა ნაციონალისტურ მისწრაფებებს.

ვანგენჰაიმი

Politisches Archiv des Auswärtigen Amtes (PAA), Akten Betreffend den Krieg 1914, Unternehmungen und Aufwiegungen gegen unsere Feinde im Kaukasus. R 21009.

თარგმანი გერმანულიდან.

№ 32

ბუქარესტში გერმანიის საბანგებო და
სრულუფლებიანი ელჩის, ჰილმარ ფრაიჰერ ფონ დემ
ბუსშე-ჰადენჰაუზენის წერილი გერმანიის იმპერიის
საგარეო საქმეთა სამინისტროს, ქართველების
პასპორტებით მომარაგების თაობაზე

1914 წლის 28 დეკემბერი
ბუქარესტი

ჩემი მოსაზრებით ქართველებს შეუძლიათ, თუკი რუსული პასპორტებით მო-
მარაგდებიან, რომ შეაღწიონ. გარანტიის მიცემა შეუძლებელია. რუსული საზღ-
ვარი მკაცრად კონტროლდება.

ბუსშე

*Politisches Archiv des Auswärtigen Amtes (PAA), Akten Betreffend den Krieg 1914,
Unternehmungen und Aufwiegelingen gegen unsere Feinde im Kaukasus. R 21009.
თარგმანი გერმანულიდან.*

№ 33

კონსტანტინოპოლში გერმანიის საბანგებო და
სრულუფლებიანი ელჩის, ბარონ ჰანს ფრაიჰერ
ფონ ვანგენჰაიმის თელეგრაფა გერმანიის იმპერიის
საბარეო საქმეთა სამინისტროს, თურქეთ-რუსეთის
საზღვარზე მოქმედი ქართველი აქტივისტების
რიცხვის გაზრდისა და პროპაგანდისტული ფურცლების
დაშვადების აუცილებლობის შესახებ

1918 წლის 29 დეკემბერი
პერა

ნომერ 1693-ე ტელეგრამასთან დაკავშირებით.

ცნობები ტრაპიზონიდან ქართული მოძრაობის პერსპექტივების შესახებ, ამ-
ჟამად ხელსაყრელად ჟღერს.

ნომერ 1550-ე ტელეგრამაში დასახელებულ პირთა ჩამოსვლა, ამჟამად სა-
სურველად შეიძლება ჩაითვალოს. ასევე მიუთითებენ აუცილებლობაზე, გავლენა
მოახდინონ ტყვე ქართველებზე შესაბამისი პროპაგანდისტული ფურცლების
მეშვეობით და რუსულ არმიაში მომსახურე ქართველებს ტყვედ ჩაბარებისკენ
მოუწოდონ.

პროპაგანდისტული ფურცლების აქ დამზადებას წერეთელი¹ შეძლებს.

ვანგენჰაიმი

*Politisches Archiv des Auswärtigen Amtes (PA AA), Akten Betreffend den Krieg 1914,
Unternehmungen und Aufwiegungen gegen unsere Feinde im Kaukasus. R 21009.
თარგმანი გერმანულიდან.*

¹ იგულისხმება წერეთელი მიხეილი (1878-1965).

№ 34

**კონსტანტინოპოლში გერმანიის საბანგებო და
სრულუფლებიანი ელჩის, ბარონ ჰანს ფრაიჰერ ფონ
ვანგენჰაიმის წერილი გერმანიის იმპერიის საგარეო
საქმეთა სამინისტროსადმი, თურქებსა და ქართველებს
შორის არსებული უთანხმოებების შესახებ**

1914 წლის 30 დეკემბერი
პერა

კავკასიის საკითხი და ქართველების მისწრაფებები ხელახლა ვაქციე სერიოზული განსჯის საგნად პორტას წინაშე. ჩემი გავლენიდან გამომდინარე მოხერხდა ის, რომ შინაგან საქმეთა მინისტრი დავითანხმეთ, რათა თურქეთს წერილობითი ფორმითაც აეღო ვალდებულება ქართული ნაციონალური პარტიის წინაშე, რომ ის საქართველოს, როგორც დამოუკიდებელ ქვეყანას აღიარებს და როგორც კი საქართველოს ტერიტორიის სამხედრო გზით დასაკავებლად წინაპირობები მომნიჭდება, დაუშვებს საქართველოს დროებითი მთავრობის შექმნას. რაც მომავალში საქართველოს სახელმწიფოებრივ და სამართლებრივ ფორმირებას შეეხება, ეს გადაწყდება შესაძლებლობისამებრ ევროპასთან ერთად, მშვიდობის დამყარების შემდეგ.

ხსენებული წერილი, რომელიც მხარეებთან შეთანხმებით დროებით იმპერიის საელჩოში იმყოფება, ატარებს შინაგან საქმეთა მინისტრის კაბინეტის უფროსის და ლეო კერესელიძის ხელმოწერებს.

მოლაპარაკებების შემდეგ, რომელიც ამ უკანასკნელმა შესაბამის თურქ თანამდებობის პირებთან გამართა, თურქეთა ქცევიდან მას შთაბეჭდილება დარჩა, რომ რუსეთზე ლაშქრობის წარმატებით დასრულების შემთხვევაში, პორტა ნაკლები სურვილით შეეღევა საკუთარ სუვერენიტეტს კავკასიაზე. ის გარემოება, რომ თურქეთის მთავრობამ აღნიშნულ წერილზე ხელი არაპასუხისმგებელ მინისტრს მოაწერინა, ქართული მხარის მიერ იმნაირად მიღებულ იქნა, რომ თურქეთის ხელისუფლები საფუძველშივე არ ფიქრობენ ამჟამად აღებული ვალდებულებების მოგვიანებით სინამდვილეში აღსრულებას.

მე მცდელობა არ დამიკლია ქართველების აზრებს და შიშებს იმ მინიშნებით შევწინააღმდეგებოდი, რომ თურქეთის ხელისუფლებას, როგორც ასეთს, არ შეეძლო უცხო რევოლუციურ კომიტეტთან არავითარი სავალდებულო დაპირებების მიცემა საერთაშორისო სამართლისთვის მისაღებ ფორმაში. ასევე მუდმივი შეკითხვა საქართველოს მომავალი მონყობის შესახებ, არ იქნებოდა მხოლოდ თურქეთის გადაწყვეტილებაზე დამოკიდებული. მეორეს მხრივ, პორტას გასაგებად ვამცნე, რომ უპირატესად ქრისტიანული მოსახლეობის ტერიტორიების დაქვემდებარე-

ბაზე თურქეთის გავლენისთვის, ევროპის მხრიდან თანხმობაზე გათვლა არ უნდა ჰქონოდათ. თვით გერმანიასაც არ ექნებოდა იმის შესაძლებლობა, რომ ამ ტიპის თურქული სურვილებისთვის პოლიტიკური მხარდაჭერა გამოეცხადებინა.

ნესით, თურქ რეალისტ პოლიტიკოსებს ამ საკითხზე ილუზიები არ უნდა ჰქონდეთ. თუმცა, როგორც ჩანს, თურქეთში საზოგადოების წინაშე იმ შთაბეჭდილების შექმნის თავიდან აცილება უნდათ, თითქოს მთავრობა კავკასიის ნაწილებზე ნებაყოფლობით აცხადებს უარს. ასევე სურვილებიც აშკარად იქით არიან მიმართული, რომ ზავის დადებისთვის პოლიტიკურად მაქსიმალურად მომგებიანი მდგომარეობა შეიქმნან, რათა მაქსიმალურად შეამცირონ ქართველების მისწრაფებები მომავალი ქვეყნის განვითარების საკითხში. განსაკუთრებით, როგორც ჩანს, საქმე ეხება ქალაქ ტფილისსა და ბათუმს, რაზეც თურქებს ნებაყოფლობით უარის თქმა არ სურთ.

თურქებსა და ქართველებს შორის არსებულ ორმხრივ უნდობლობაში, ეს დაპირისპირებები პირველ რიგში დგას. ეს დაბრკოლებები უკვე აქამდეც უშლიდნენ ხელს ორმხრივ თანამშრომლობას რუსეთის საზღვარზე. ქართველების თქმით, მათი ყველა ღონისძიება რაც კავკასიის რევოლუციონირებისკენ იყო მიმართული, თურქი მოხელეების ფარულ წინააღმდეგობას აწყდებოდა. უწინარესად, თურქული უწყებების წინასწარი განზრახვით, მათ ეზღუდებოდათ თავისუფალი გადაადგილების საშუალება საზღვარზე. საიმპერიო კონსული ტრაპიზონში პირიქით, არ იზიარებს ამ შეფასებას. ის თვლის, რომ თუკი სასურველი წარმატება ამ დრომდე არ იქნა მიღწეული, ეს უპირველეს ყოვლისა იმას უნდა მიენეროს, რომ ქართველებს სრულიადაც არ შეეძლოთ იმდენის გაკეთება, რამდენსაც თავდაპირველად საუბრობდნენ. ხელშესახები წარმატება მოსალოდნელია მხოლოდ თურქულ-მაჰმადიანური აგიტაციიდან კავკასიაში.

ტრაპიზონიდან მოსული ახალი ცნობების მიხედვით, ქართული კომიტეტის წევრები ახლა უფრო მეტი იმედით იყურებიან მომავლისკენ. ომის საერთო მდგომარეობაც იძლევა საშუალებას, რომ ეს იმედები გაუმართლებლად არ მოჩანდნენ. თუმცა, მე არ შემიძლია განსაკუთრებით მივუთითო იმაზე, რომ კავკასიის ტერიტორიების გარდამტეხი რევოლუციონირება მხოლოდ მაშინ იქნება შესაძლებელი, როდესაც მოხერხდება მათთვის იარაღისა და ამუნიციის საკმარისი ოდენობით მიწოდება. გარემოებების ყველა მცოდნე თანხმდება იმაში, რომ ქრისტიანული საქართველოს მოსახლეობა, რომელმაც ადრე საკუთარ სხეულზე გამოსცადა თუ როგორ ესმის რუსეთს რევოლუციური მოძრაობების ჩახშობა, იმ ტიპის ყოველი ახალი ექსპერიმენტის მიმართ უარყოფითად იქნება განწყობილი, რომლის წარმატება რამდენადმე მაინც წინასწარ არ არის გარანტირებული. სანამ არ დაკმაყოფილდება იარაღისა და ამუნიციის მოთხოვნილება, ჩემის აზრით, კავკასიის რევოლუციონირების სურვილი სათუოდ დარჩება.

ვანგენჰაიმი

Politisches Archiv des Auswärtigen Amtes (PA AA), Akten Betreffend den Krieg 1914, Unternehmungen und Aufwiegelungen gegen unsere Feinde im Kaukasus. R 21009.

თარგმანი გერმანულიდან.

№ 35

საქართველოს განთავისუფლების კომიტეტის
მიმართვის თემატიკის მსოფლიო ომის მონაწილე
ქართველ ჯარისკაცებს და ოფიცრებს

1915 წლის 1 იანვარი

ქართველებო!

სასიხარულო და აღმაფრთოვანებელი ამბავი უნდა მოგიტანოთ ტყვეობაში ტანჯულთ თანამოდმე ქართველთა: საქართველო, საყვარელი სამშობლო ჩვენი, მრავალტანჯული და წამებული, პატივ აყრილი და შეურაცხყოფილი მტარვალთაგან, დღეს სდგება, იარაღს ისხამს და გამოდის ბრძოლის ველზედ, რომ ამ საკაცობრიო ბრძოლაში მანაც მოიპოვოს თავისუფლება და აღიდგინოს წართმეული უფლებანი დამოუკიდებელ სახელმწიფოებრივ ცხოვრებისა.

დღეს ჩვენს დაუძინებელ მტერს, ჩვენს განმანადგურებელ და დამლუპველ რუსეთს ძღვევამოსილი ჯარები გერმანიისა და მის მოკავშირეთა სასტიკად ამარცხებენ და საცაა დასცემენ ძირს ამ საშინელ ვეშაპს, მთელი კაცობრიობის რეაქციის ბურჯს. რუსეთის დამარცხებიდან უნდა გამოვიდნენ თავისუფალნი საქართველო, უკრაინა, პოლონეთი, ფინლანდია და სხვა ერნი.

საქართველოს დღეს ხელშეკრულება აქვს დადებული გერმანიასთან და ოსმალეთთან (რომელიც აგრეთვე რუსეთს ებრძვის), რომლის ძალითაც საქართველო თანახმაა რუსეთის წინააღმდეგ აიღოს ხმალი, ხოლო გერმანია და ოსმალეთი გარანტიას აძლევენ საქართველოს აღიარონ დამოუკიდებლობა საქართველოსი ჩვენს ისტორიულ საზღვრებში, როცა ეს დიადი ბრძოლა გერმანიის გამარჯვებით დაგვირგვინდება და შეიკრიბება ზავის კონგრესი ევროპისა და სხვა ქვეყნების საქმეთა მოსაწესრიგებლად. გერმანია გვაძლევს იარაღს და ყოველივე საშუალებას საბრძოლველად და ჩვენც ოსმალეთის ჯართან ერთად, რომელიც დღეს რუსეთს ებრძვის საქართველოს საზღვრებზედ და საქართველოში შესვლას აპირებს მეგობრულად და არა მტრულად, თავგანწირულად უნდა ვიბრძოლოთ საქართველოს სახელმწიფოს აღსადგენად.

მთელი საქართველო დღეს ფეხზედ სდგას, არ არის განსხვავება პარტიათა და კლასთა შორის ამ დიად საკითხში. ერი მხოლოდ შესაფერ წამს უცდის, რომ ხმალ ამოწვდილი გადაერიოს მტრის რაზმებს და გმირულად დასდვას თავი დიდებულ იდეისთვის.

ქართველებო! მის მაგივრად, რომ რუსის ხმალი გეჭიროსთ ხელში და ემსახურებოდეთ იმ სახელმწიფოს, რომელიც ჩვენი და მთელი კაცობრიობის მტერია, ისარგებლეთ შემთხვევით და ჩაენერეთ ქართველთა რაზმებში. აქ გამოჩნდება

და დაფასდება თქვენი ვაჟკაცობა, რომელიც ერთ დროს განთქმული იყო და ეხლაც მოახდენს სასწაულებს, თუ იგი სამშობლოს ნიადაგზედ მტრის ძალას შეეჯახება დიდებული აზრით ხელძღვანილი. ეგ ღალატი არ არის. ნებით არავინ წასულხართ ომში რუსეთის გასამარჯვებლად. ძალით მიგაღებინესთ ფიცი, ძალით გაომესთ რუსებმა. ეხლა კი ნებით მოდით თქვენს სამშობლო მხარეში და თქვენი-სავე ნებით იბრძოლეთ უბედურ საქართველოს მიწა-წყალზედ, რომ სამშობლოს თავისუფლებისა და დიდებისთვის დასთხოვთ წმიდა სისხლი თქვენი და უკვდავ იქნება მაშინ სახელი თქვენი. დაე გაიღვიძოს ძველმა ვაჟკაცობამ ქართველთა, იმ დროისამ, როდესაც ერთ ქართველზედ ათი მტერი მოდიოდა, მაგრამ სიმართლისა და საკუთარ უფლებათა დამცველ ქართველს გამარჯვება მაინც რჩებოდა.

გლახის შვილო ქართველო! შენ გაიგებ ამ დიდებულ აზრს, რომელზედაც დღეს მთელი საქართველო სდგას, რადგანაც საქართველოს გული შენი გულია და მისი გულის პასუხი შენი გულის პასუხი. შენ სიხარულით მიეგებები ამ ამბავს და პირველივე შემთხვევისთანავე აღისხამ იარაღს, რომ გმირულად დალიო სული შენი ცოლ-შვილის, შენი ერის დასაცველად.

მაგრამ შენ, ქართველო ოფიცერო, თუ კიდევ შეგრჩენია ქართული სული, თავმოყვარეობა და ვაჟკაცობა, ჰა ბურთი და მოედანი შენი რაინდობისა და მამულიშვილობის გადასარჩენად! დღეს საქართველო მოგიხმობს შენ ვითარცა ლეჩაქ ახდილი დედა და გთხოვს დაიცვა იგი შეურაცხყოფისაგან და იხსნა ტყვეობისაგან.

ფიცი განუხებსთ, რომელიც რუსეთის იმპერატორთან გაქვსთ დადებული? მაგრამ ფიცის გამტეხელები თვით რუსის იმპერატორები არიან, რომელთაც დაარღვიეს საქართველოსთან დადებული ხელშეკრულება 1783 წელს და წარხოცეს პოლიტიკური სახელი საქართველოსი. იმ დროიდან ყოველნაირი ფიცი ჩვენგან დადებული რუსეთთან ნაძალადევია და არავითარი ზნეობრივი ძალა არ აქვს. ჩვენ როგორც **სახელმწიფო** ვებრძვით რუსეთს და გიხმობთ მამულის ერთგული სამსახურისთვის. **თქვენი სამშობლო საქართველოა და არა რუსეთი.**

**მაშ გაუმარჯოს თავისუფალ და დამოუკიდებელ დემოკრატიულ საქართველოს!
გაუმარჯოს საქართველოს სახელმწიფოს!
ძირს მტარვალეები, რომელთაც საქართველო დააქციეს ასი წლის ბატონობით!**

**დაე, ყოველი ქართველი გმირად გადიქცეს ამ დიად ბრძოლაში
და ტყვეობაში ნაძრახ სიცოცხლეს სამშობლოს ველ-მინდვრებზედ
მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში სიკვდილი ამჯობინოს!**

საქართველოს დამოუკიდებლობის პარტიის კომიტეტი

P.S. ტყვეობიდან ხსნისა და საქართველოში გადაყვანისთვის უკვე ზრუნავენ და მსურველთ ყოველივეს შეატყობინებენ.

Politisches Archiv des Auswärtigen Amts (PA AA), Akten Betreffend den Krieg 1914, Unternehmungen und Aufwiegelungen gegen unsere Feinde im Kaukasus. R 21011.

№ 36

კონსტანტინოპოლში გერმანიის საბანგებო და
სრულუფლებიანი ელჩის, ბარონ ჰანს ფრაიჰერ
ფონ ვანგენჰაიმის თელეგრაფა გერმანიის იმპერიის
საბარეო საქმეთა სამინისტროსადმი, კავკასიის
ფრონტზე არსებული მდგომარეობის თაობაზე

1915 წლის 8 იანვარი
პერა

მოზელი მწერს 31 დეკემბერს:

„საქართველოში, სადამდეც სადღეისოდ კავშირი მაქვს, ყველაფერი მზადდება აჯანყებისთვის. სამწუხაროდ არის იარაღის ნაკლებობა. კერესელიძემ და მისმა ქართველებმა კარგად გამოიჩინეს თავი, ფონ შმიდტი საქმიანობს გამორჩეულად. საქართველოს მოსახლეობა ბრწყინვალედ იბრძვის და გერმანიის მიმართ დიდი სიმპატიები, ხოლო გერმანული ხელმძღვანელობის მიმართ კი ნდობა აქვს. რუსების დანაკარგი ბათუმთან ძალიან დიდი ყოფილა. ქართველი მოხალისეები არვის იწყებენ და არ იყვანენ ტყვეებს“.

ვანგენჰაიმი

*Politisches Archiv des Auswärtigen Amts (PA AA), Akten Betreffend den Krieg 1914,
Unternehmungen und Aufwiegungen gegen unsere Feinde im Kaukasus. R 21010.
თარგმანი გერმანულიდან.*

№ 37

**ბენერალ-ფელდმარშალ კოლმარ ფრაიჰერ ფონ
დერ ბოლცის წერილი გერმანიის იმპერიის საბარეო
საქმეთა სახელმწიფო მდივნის მოადგილეს, ართურ
ციმერმანს, კავკასიის ოპერაციასთან დაკავშირებული
საკითხების შესახებ**

1915 წლის 30 იანვარი
კონსტანტინოპოლი

როგორც ჩანს, მოძრაობას საქართველოში პროგრესი არ აქვს. სულ მცირე, მის შესახებ არაფერი ისმის. ბატონი მოზელი, რომელიც თურქეთ-კავკასიის საზღვარ-ზეა, რომ მას იქიდან დაეხმაროს, როგორც გავიგე, ქართველებს შორის ნაკლებად უყვართ. მათ ეჭვი ეპარებათ, რომ ის შეძლებს აჯანყების სისრულეში მოყვანას. ამას გარდა, ახლანდელი დრო არახელსაყრელია ამისთვის, რადგან არდაგანამდე გაჭრილ თურქებს, ახლახანს ისევ ართვინთან საზღვრამდე დაახევინეს.

ტრაპიზონის კონსული ბატონ მოზელის შესახებ უკეთეს ინფორმაციას იძლევა.

ცოტა ხნის წინ მე აქ გავიცანი გერმანელი ინჟინერი კიშკე ტფილისიდან, ისევე როგორც, სავარაუდოდ ქართული თავადური გვარის წარმომადგენელი, ინჟინერი წერეთელი, რომლებმაც ორივემ საქართველოს აჯანყების შესახებ დადებითი შეხედულებები გამოთქვეს.

ისინი ფიქრობენ, რომ ქვეყანას 30 000 მეზრძოლის გამოყვანა შეუძლია, თუკი ხელმისაწვდომი იქნება იარაღი. აღმოსავლეთ საქართველოში მისი მოძიება და ყიდვა ტფილისის მიდამოებშია შესაძლებელი. ამისთვის საჭიროა 100 000 რუბლი. ამის საშუალება აქაურ გერმანიის საელჩოს უკვე აქვს. გვაკლია სანდო პირი ტფილისში, რომელსაც [ამ თანხას] გადასცემენ და ასევე უსაფრთხო გზა, რომლითაც [იარაღის] გადატანა იქნება შესაძლებელი.

დასავლეთ საქართველოში იარაღი აქედან უნდა შეიგზავნოს. ამ საქმეს უნდა მიხედოს ადგილობრივმა კომიტეტმა. ემისრებმა აქედან უნდა შეაღწიონ საქართველოში და აჯანყების ორგანიზაცია მოამზადონ. აგრეთვე დიდებულები – თავადები, ამჟამად მზად უნდა იყვნენ აჯანყებისთვის.

საბოლოოდ, გადამწყვეტი იმპულსი უნდა მისცეს დაახლოებით 3 000 კაციან-მა მოხალისეთა კორპუსმა, რომელიც გერმანიასა და ავსტრიაში მყოფი ქართული ეროვნების რუსი სამხედრო ტყვეებისგან არის შესადგენი. ის არ უნდა იყოს კონსტანტინოპოლთან შეხებაში, არამედ მისი განთავსება რომელიმე პატარა საპორტო ადგილას უნდა მოხდეს.

სამზადისი ასეთი კორპუსის ჩამოყალიბებისთვის გერმანიაში უკვე უნდა არსებობდეს. თუმცა, აქამდე ვერ შევიტყვე რაიმე ზუსტი ამის შესახებ. თუ ინ-

ფორმაცია სიმართლეს შეესაბამება, წინადადებას ვიძლევი, რომ როდესაც ის მზად იქნება და თავისუფალი კომუნიკაციის საშუალება მოგვეცემა, გერმანელი ოფიცრების და უნტერ-ოფიცრების მეთაურობით, ნებისმიერ შემთხვევაში გერმანული სარდლობის ქვეშ, ცალკე ნაწილის სახით აქ გამოიგზავნოს, რათა ყოველთვის ხელთ გვქონდეს.

გარდა ამისა, ოპერაცია საქართველოში დამოუკიდებლად, თურქული უზენაესი სარდლობის გარეშე უნდა განხორციელდეს, თუკი მისი წარმატება გვსურს.

ამის განხორციელების დრო მხოლოდ მაშინ მოვა, როდესაც თურქული არმია ისევ კავკასიის საზღვრებს გადაკვეთავს. იქამდე კი შესაძლოა გარკვეული დრო გავიდეს. ყოველ შემთხვევაში, მოსამზადებელი სამუშაოებიც ხანგრძლივ ვადებს მოითხოვენ.

ვინაიდან, ჩემს საპატიო მდგომარეობაში მე კონკრეტული სამსახურებრივი ვალდებულებები არ გამაჩნია, საკუთარ თავზე ვიღებ ოპერაციის დახმარებას. თუმცა, მე ვერ ვხედავ, სად არის მისი მეთაური ძალა, ბერლინში თუ აქ. მე არ ვიცი ვინ არის ამ მისიით დაკავებული, საგარეო საქმეთა სამინისტრო, თუ რომელიმე სამხედრო უწყება. ამის შესახებ ინფორმაციის მიღება, იქნებოდა ჩემთვის სანყისის პირველ წინაპირობად.

ცნობებისთვის დიდად მადლობელი ვიქნებოდი. ყველა მსგავსი დიდი ოპერაციების დამხმარე ექსპედიციები შეიძლება სასარგებლონი იყვნენ. ამასობაში ამ მომენტისთვის ისინი მოიხმარენ ბევრ ფულს და ადგილიდან არ იძვრიან.

დანარჩენი თვალსაზრისით საქმეები საშუალოდ მიდის. კავკასიის მიმართულებით პირველი შეტევის წარუმატებლობა ატარებს გამაფრთხილებელ ხასიათს. მოუფიქრებელი შეტევები უნდა შეჩერდეს თავად სუეცის მიმართულებითაც. საჭიროა დაველოდოთ გარდამტეხ ცვლილებებს ბალკანეთის ნახევარკუნძულზე, ვიდრე გადამწყვეტ ნაბიჯებს გადავდგამთ.

ხელმოწერა

ფრაიჰერ ფონ დერ გოლცი

Unternehmungen und Aufwiegelingen gegen unsere Feinde im Kaukasus. R 21010.

თარგმანი გერმანულიდან.

№ 38

**გერმანიის არმიის სახმელეთო ძალების გენერალური
შტაბის პოლიტიკის სექციის უფროსის, რუდოლფ
ნადოლნის წერილი საბარეო საქმეთა სამინისტროს,
კავკასიის მუკავშირე ოფიცრის თანამდებობის შექმნის
საჭიროების შესახებ**

1915 წლის 20 თებერვალი
ბერლინი

გულითადი თხოვნა იქნება, რომ ეს ტელეგრამა მიაწოდოს სამხედრო ატაშეს იმპერიის საელჩოში კონსტანტინოპოლში:

„კავკასიური მოძრაობის მხარდაჭერის მიზნით, აქ მიზანშეწონილად მოჩანს ტრაპიზონში ან ამ მხარის რომელიმე სხვა პუნქტში მეკავშირე ოფიცრის დანიშვნა. არის თუ არა შესაძლებელი, რომ ეს პოსტი მაიორმა გრაფ ვოლფსკილმა¹ გადაიბაროს, თუ ამ საკითხთან დაკავშირებით თურქეთში მყოფი რომელიმე სხვა ოფიცრის კანდიდატურა განიხილება? თუ ის სამხედრო მისიის წევრია, მოუწვევს მისი დატოვება და ხანეკინის² მეკავშირე ოფიცრის მსგავსად მოქმედება. გთხოვთ გამომიგზავნოთ საკითხთან და პერსონასთან დაკავშირებით თქვენი მოსაზრება“.

ნადოლნი

Politisches Archiv des Auswärtigen Amtes (PA AA), Akten Betreffend den Krieg 1914, Unternehmungen und Aufwiegungen gegen unsere Feinde im Kaukasus. R 21010.

თარგმანი გერმანულიდან.

¹ იგულისხმება ფონ რაიჰენბერგი ვოლფსკილ ებერჰარდტი (von Reichenberg Wolffskeel Eberhard (1875-1954).

² ხანეკინი – ქალაქი ერავის ქურთისტანში.

№ 39

კონსტანტინოპოლში გერმანიის საბანგებო და
სრულუფლებიანი ელჩის, ბარონ ჰანს ფრაიჰერ
ფონ ვანგენჰაიმის თელეგრაფი გერმანიის იმპერიის
საგარეო საქმეთა სამინისტროსა და გენერალური
შტაბის უფროსის მოადგილისადმი, კავკასიის
მეკავშირე ოფიცრად გრაფ ფრიდრიხ-ვერნერ ფონ
დერ შულენბურგის დანიშვნასთან დაკავშირებით

1915 წლის 23 თებერვალი
ბერლინი

კავკასიის მეკავშირე ოფიცრის პოსტის შექმნა ტრაპიზონში ან, უმჯობესია, ერზრუმში, მართალია გარდაუვალი არ არის, მაგრამ ზოგადად სასარგებლოა. ვოლფსკილი¹ გენერალური შტაბის ოფიცრად სირიის საგუბერნატოროში უფრო მნიშვნელოვანია. ერზრუმისთვის გირჩევთ გრაფ შულენბურგს, ყოფილ კონსულს ტფილისში. მისი ამჟამინდელი ადგილმდებარეობა გაიგეთ საგარეო საქმეთა სამინისტროში.

ვანგენჰაიმი

Politisches Archiv des Auswärtigen Amtes (PA AA), Akten Betreffend den Krieg 1914, Unternehmungen und Aufwiegelingen gegen unsere Feinde im Kaukasus. R 21010.

თარგმანი გერმანულიდან.

¹ იგულისხმება ფონ რაიჰენბერგი ვოლფსკილ ებერჰარდტი (von Reichenberg Wolffskeel Eberhard (1875-1954).

№ 40

**გერმანიის საბარეო საქმეთა სამინისტროს
ნდობით აღჭურვილი პირის, ლუი მოზელის
მოხსენება გერმანიის იმპერიის საბანგებო და
სრულუფლებიან ელჩს კონსტანტინოპოლში,
ბარონ ჰანს ფრაიჰერ ფონ ვანბენჰაიმს, 1914 წლის
ბოლოს კავკასიის ფრონტზე ჩათარებული სამხედრო
ოკერაციაების დროს, გერმანელთა და ქართველთა
მიმართ ახალგაზრდა თურქთა დესტრუქციული
ქმედებების და გერმანულ-ქართულ ურთიერთობათა
პერსპექტივების შესახებ**

1915 წლის 3 მარტი
კონსტანტინოპოლი

რუსეთ-თურქეთის ომის დაწყებისთანავე, როდესაც პირველმა საჯარისო ნაწილებმა – მოხალისეებმა და სასაზღვრო ბატალიონებმა, ხოფა ჩიფთიქოისთან და პეტუშირთან საზღვარი გადაკვეთეს და რუსეთის სასაზღვრო ყაზარმები და სოფლები აიღეს, ამ მხარის მთლიანი მაჰმადიანური მოსახლეობა აღფრთოვანებული შეუერთდა წინ მომავალ ოსმალურ ჯარებს, თავისი ნებით აწვდიდა ყველანაირ საჭირო პროდუქტებს, ხელი მოკიდა იარაღს და ერთადერთი სურვილი ჰქონდა, გათავისუფლებულიყო რუსეთის უღლისგან.

თუმცა, უმოკლეს დროში, თურქმა მოხალისეებმა და მათმა მეთაურებმა მოახერხეს მაჰმადიანური მოსახლეობის განწყობის გაფუჭება. ოსმალთა მოხალისეების, მათ შორის თურქული ციხეებიდან გამოშვებული დამნაშავეების მხრიდან გამუდმებული ძარცვის შეზღუდვა, დისციპლინის არ არსებობის გამო ვერ ხერხდებოდა. ჩემი რჩევა, განგვეიარაღებინა ეს მოხალისეები და მათი იარაღი მაჰმადიანი ქართველებისთვის გადაგვეცა, რომლებმაც შესანიშნავად იბრძოლეს, თურქების მმართველი წრეების მიერ უარყოფილ იქნა. ბოლოს, მათ თანდათანობით შეიარაღებული ქართველების განიარაღებასაც კი მოჰყეს ხელი.

ახალგაზრდა თურქთა კომიტეტმა, რომელმაც გადაიბარა მოხალისეთა მოძრაობის ხელმძღვანელობა, დაკავებულ ტერიტორიებზე კაიმაკამებად¹ და მუდირებად² მისთვის სასურველი პირები გააგზავნა, უმეტეს წილად – სრულიად არაფრის მაქნისი ხალხი, რომლებიც საკუთარ მთავარ ამოცანას იმაში ხედავ-

¹ Kaymakam (თურქ.) – მაზრის ადმინისტრაციის მეთაური ოსმალურ იმპერიაში.

² Müdür (თურქ.) – ოლქის მეთაური ოსმალეთის იმპერიაში.

დნენ, რომ ქურდობის მეშვეობით რაც შეიძლება მალე გამდიდრებულიყვნენ და მოსახლეობის ცუდი მოპყრობით მისი უკმაყოფილება გამოენვიათ.

ახალგაზრდა თურქთა კომიტეტმა ბათუმის თანამედროვე ციხესიმაგრის მხოლოდ მოხალისეებით აღება დაიწინა, რადგან ამ ხალხს ალბათ წინასწარ შეპირდნენ იქაურ პოსტებს სამოქალაქო და სამხედრო ადმინისტრაციაში და თავისი რაზმები ღრმად შეიყვანა აჭარის ოლქში, ისე, რომ აღებული ტერიტორიების სახდოდ დასაკავებლად საჭირო რაოდენობის ჯარები არ დაუტოვებია.

ამ მიზეზით დამარცხება გარდაუვალი იყო.

რაზმებს, რომლებმაც ცუდი ორგანიზაციის გამო ვერ მიიღეს ტყვია-წამლის და საკვები პროდუქტების მარაგი, რუსული ქვემეხების და ტყვიამფრქვევების ცეცხლის გამო მოუწიათ უკან დახევა და რუსები ისევ შევიდნენ მაჰმადიანურ ოლქში, გადანვეს სოფლები, აყარეს მოსახლეობა და ძარცვავდნენ ყველაფერს, რაც ოსმალო მოხალისეებისგან ჯერ კიდევ არ იყო გაძარცვული. მოსახლეობის დიდი ნაწილი გაიქცა თურქეთის ტერიტორიაზე, რომ რუსების და მათი დამხმარე სომხების მიერ დახოცვისგან გადაერჩინა თავი და სამართლიანად აბრალებს თურქებს საკუთარ სავალალო მდგომარეობას.

თურქი მოხალისეების შეტევის მიერ დაზარალებული მაჰმადიანური მხარის მოსახლეობა სრულიად ღიად აცხადებს, რომ თურქი მოხალისეების ახალი შესაძლო შემოსვლის შემთხვევაში, თურქთა წინააღმდეგ აღმართავს იარაღს, რადგან რუსეთის მმართველობის ქვეშ ცხოვრების გაგრძელება ურჩევნია და არ სურს საკუთარი მდგომარეობის გაუარესება.

თუმცა, არა მხოლოდ ბათუმის ოლქის მაჰმადიანებს, არამედ აგრეთვე თათრების მიწებზეც, სპარსეთის ჩრდილოეთ საზღვრიდან დაღესტნამდე მდებარე ტერიტორიებზე, სადაც მთელი მოსახლეობა ორგანიზებულია, არ გააჩნიათ ნდობა თურქების მიმართ.

კავკასიის მცხოვრებლებს აქვთ გერმანიის ჩარევის იმედი. მე მტკიცედ ვარ დარწმუნებული იმაში, რომ იმ წუთს, როდესაც გერმანია კავკასიური მოძრაობის ხელმძღვანელობას გადაიბარებს, ახალგაზრდა თურქთა საქმიანობას გვერდით განევს, საჭირო იარაღს და ტყვია-წამალს მიანვდის, მთელი კავკასია რუსეთის წინააღმდეგ აჯანყდება. მე როგორც ბორჩხაში, ასევე ტრაპიზონში მივიღე კავკასიური კომიტეტის დესპანები როგორც ტფილისიდან, ისე აღმოსავლეთ კავკასიიდან და დავრწმუნდი იმაში, რომ რევოლუციის ორგანიზება ყველა პარტიის მხრიდან ერთობლივად მიმდინარეობს, მაგრამ სამწუხაროდ, აკლიათ გამოსვლისთვის საჭირო იარაღი.

ერზერუმში მყოფი ოსმალეთის არმია, მისი ახლანდელი მდგომარეობით ოპერაციებისთვის უუნაროა და უახლოეს დროში ასეთად დარჩება, სანამ, განსაკუთრებით სანიტარული კუთხით, გარდამტეხი ზომები არ იქნება მიღებული. აგრეთვე ვთვლი, რომ აღნიშნული არმიის გერმანელი სარდლის ქვეშ ყოფნა, დიდად სასარგებლო იქნობდა.

ეს კავკასიის მოსახლეობაზე დადებით შთაბეჭდილებას მოახდენდა და ამას გარდა, თურქეთის ჯარების ნდობას და მორალს აამაღლებდა. მე თავად მქონდა დაკვირვების შესაძლებლობა, თუ რამდენად სასარგებლოდ მოქმედებდა გერმანელ ოფიცერთა ყოფნა თურქულ ჯარებთან, ოსმალო ოფიცრების და ჯარისკაცების ქცევაზე.

ახალგაზრდა თურქთა კომიტეტმა ღიად განმიცხადა, როდესაც მე ვთხოვე, რომ ოსმალთა მოხალისეები ქრისტიანი ქართველებისთვის და გერმანელებისთვის დაგვექვემდებარებინა, რომ მაჰმადიანები უარს ამბობდნენ ქრისტიანთა მეთაურობით ბრძოლაზე. თუმცა, ეს ინტერპრეტაცია არის ეგოისტური, დამაზიანებელი გამოგონება, რადგან პირადად ჩემთან ყოველდღიურად მოდიოდა ასობით მაჰმადიანი ქართველი, რომლებიც ითხოვდნენ, რომ ჰქონოდათ ქრისტიანი ქართველების ან გერმანელების მეთაურობით ბრძოლის უფლება. ჩემდა სამნუხაროდ, იძულებული ვიყავი ეს თხოვნები უყურადღებოდ დამეტოვებინა, რადგან ახალგაზრდა თურქთა კომიტეტი იარაღს არ მძლევდა.

ამ კომიტეტს უდავოდ განზრახული აქვს მთელი კავკასიის რეგიონი თურქეთისთვის მოითხოვოს და ომის შემდეგ ოსმალთა მმართველობაში მოაქციოს. ის ცდილობს, რადგან სამნუხაროდ, მისთვის ცნობილია გერმანულ-ქართული მოლაპარაკებების შესახებ, კავკასიელთა ყველა დამოუკიდებელ-რევოლუციური მოძრაობა ჩაახშოს.

რადგან ამჟამად იარაღისა და ტყვია-წამლის შეტანა კავკასიაში დროებით გამორიცხულია, ოპერაცია იქ დროებით შესაჩერებელია. სამაგიეროდ, სასურველი იქნებოდა გამოვარჩიოთ გერმანიასა და ავსტრია-უნგრეთში მყოფი ქართველი სამხედრო ტყვეები, მოვახდინოთ მათი შერევა გერმანულ მოხალისეებთან, რომლებსაც კავკასიაში რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლა სურთ, ამ ხალხისგან კარგად განვრთნილი ჯარი ჩამოყალიბდეს და იარაღის და საბრძოლო მასალის მისაწოდებელი გზის გახსნის შემდეგ, სერბეთის ან რუმინეთის გავლით, ეს ჯარი ან საქართველოს ტერიტორიაზე შავი ზღვის რომელიმე ზღვისპირა ქალაქში გადაიხსას, ან სახმელეთო საზღვრით სცადონ გარღვევა. უმოკლეს ვადებში ისინი რაც შეიძლება ბევრი იარაღით და საბრძოლო საშუალებებით მოვამარაგოთ და მაშინ შეტევა განახორციელონ.

ამ მოხსენებაში არ შეიძლება არ ვახსენოთ ეკონომიური პერსპექტივები გერმანიისთვის, თუ ის კავკასიელებს თავისუფლების მიღწევაში დაეხმარება, რადგან კავკასია რუსეთის ერთ-ერთი უმდიდრესი რეგიონია. ჩემი გამოცდილებიდან და დაკვირვებებიდან გამომდინარე ჩვენ, გერმანელებს, კავკასიელთა ხანგრძლივი მადლიერების იმედი შეგვიძლია გვქონდეს, თუკი მათ, ჩვენი დახმარებით, დიდი ხნის ნანატრ დამოუკიდებლობას მოვუპოვებთ.

ლუი მოზელი

Politisches Archiv des Auswärtigen Amtes (PA AA), Akten Betreffend den Krieg 1914, Unternehmungen und Aufwiegelungen gegen unsere Feinde im Kaukasus. R 21011.

თარგმანი გერმანულიდან.

№ 41

**კონსტანტინოპოლში გერმანიის საბანგებო და
სრულუფლებიანი ელჩის, ბარონ ჰანს ფრაიჰერ
ფონ ვანგენჰაიმის წერილი გერმანიის იმპერიის
რაიხსკანცლერ თეობალდ ფონ ბეთმან-ჰოლვებისადმი,
კავკასიის ოკერაზიასთან დაკავშირებით**

1915 წლის 5 მარტი

პერა

საიდუმლოთ

ბატონი ლ. მოზელი რამდენიმე დღის წინ დაბრუნდა აქ, კავკასიის საზღვარზე ახლანდელი მდგომარეობის შესახებ ზეპირი ფორმით ინფორმაციის მოწოდების მიზნით, და ორიგინალის სახით თანდართული წერილი წარმომიდგინა.

მის მიხედვით, ქრისტიანულ-ქართული ჯგუფის მიზნების წარმატებაზე მხოლოდ მაშინ შეიძლება ვიფიქროთ, თუკი თავიდან იქნება აცილებული ახალგაზრდა თურქთა კომიტეტის წევრების და მათ მიერ მოყვანილ მოხალისეთა დამაზიანებელი გავლენა, რაც მათ მოვლენებზე აქამდე იქონიეს, და თუ ჩვენ მომავალში შეგვეძლება მოძრაობა საჭირო იარაღით მოვამარაგოთ.

მოვლენების დეტალური განხილვის შემდეგ, რომელშიც გენერალ-ფელდმარშალმა ფონ დერ გოლცმაც მიიღო მონაწილეობა, გადაწყდა:

1. შესაბამის სტრუქტურებზე ზეგავლენის მოხდენა საქმის იმგვარად წარსამართად, რომ კომიტეტის წევრების დამაზიანებელ ქმედებებს ბოლო მოეღოს და საქართველოს ეროვნული კომიტეტის საქმიანობას გერმანიასთან თანამშრომლობით მეტი თავისუფლება მიეცეს.
2. იარაღის მომარაგება, თუნდაც დღეს ის ნაკლებ პერსპექტიულად მოჩანდეს, მთელი ძალით გაგრძელდეს.
3. იმ დროისთვის, როდესაც გარემოებები კავკასიაში უფრო აქტიური ჩარევის საშუალებას მოგვცემენ, მზადყოფნაში გვყავდეს ჯარი, რომელიც შესაბამისი, ქართველი სამხედრო ტყვეებიდან გამორჩეული ელემენტებისგან იქნება შედგენილი და ექნება დავალება, შეიჭრას საქართველოს ტერიტორიაზე და სამომავლო აჯანყების მოძრაობის ბირთვი შექმნას.

იმისთვის, რომ შემდგომი საჭირო განმარტებები მიიღოს და დაგეგმილი დავალებებისთვის იქნას გამოყენებული, ბატონი მოზელი, რომელიც ამჟამად არც ტრაპიზონში და არც აქ შესაბამის სამუშაოს არ ასრულებს, თქვენი აღმატებულების ნებართვით და თანხმობით ბერლინს უნდა გაემგზავროს.

ქართველი წერეთელი¹, თქვენი აღმატებულების მეორე ბრძანების თანახმად, სასწრაფოდ გაემგზავრება იქ. მისი გამგზავრების დროს აუცილებლად ტელეგრაფით შეგატყობინებთ.

მოზელთან ერთად ტრაპიზონიდან აქ დაბრუნებული გეორგ კერელე², საზღვარზე დარჩენილი ლეო კერესელიძის (კერელეს) ძმა, იძულებული გახდა მისი ცოლის მძიმე ავადმყოფობის გამო ჟენევაში უკან გამგზავრებულიყო. საჭიროების შემთხვევაში, ისიც შესაძლებელია გამოყენებულ იყოს ქართველ სამხედრო ტყვეებზე ზეგავლენის მოსახდენად. ჟენევაში საიმპერიო საკონსულოს შუამავლობით, ის ყოველთვის ხელმისაწვდომია.

შესაბამისი სწრაფი შეტყობინებისთვის, არის თუ არა მოზელის იქ გამგზავრება სასურველი, თქვენი აღმატებულების დიდად მადლობელი ვიქნებოდი.

ვანგენჰაიმი

Politisches Archiv des Auswärtigen Amtes (PA AA), Akten Betreffend den Krieg 1914, Unternehmungen und Aufwiegungen gegen unsere Feinde im Kaukasus. R 21011.
თარგმანი გერმანულიდან.

¹ იგულისხმება წერეთელი მიხეილი (მიხაკო) (1878-1965).

² გიორგი კერესელიძის (1885-1960) ფსევდონიმი.

№ 42

**ტრაპიზონში ბერმანიის იმპერიის კონსულის,
ჰაინრიხ ბერგელდის წერილი კონსტანტინოპოლში
ბერმანიის საბანგებო და სრულუფლებიან ელჩს,
ბარონ ჰანს ფრაიჰერ ფონ ვანგენჰაიმს,
თურქულ-ქართული ურთიერთობების შესახებ**

1915 წლის 13 მარტი
ტრაპიზონი

თქვენს აღმატებულებას მინდა ერთგულებით ვაცნობო, რომ აქაურ ქართველებს შორის მათი წამონყების გაგრძელებასთან დაკავშირებით აზრთა სხვადასხვაობა არსებობს. არქიმანდრიტი ნიკოლა¹, მასთან ერთად რამდენიმე ნაკლებად მნიშვნელოვანი ქართველი აღნიშნავენ, რომ მათი მიზნის განხორციელება აქამდელი საშუალებებით მომავალშიც თურქების პასიური წინააღმდეგობის მსხვერპლი გახდება და მოუწოდებენ რევოლუციური მოძრაობის მხარდაჭერისკენ, უშუალოდ საქართველოში იარაღის და ფულის გადაგზავნის გზით.

სურგულაძეს², ლ. კერელს³, ოსმან ბეის⁴ და სხვებს უნდათ წამონყების აქამდელი ფორმით გაგრძელება. მათ სურვილს სხვადასხვა საფუძვლები აქვთ. მათ უდიდეს ნაწილს საკუთარი გავლენის დაკარგვის შიში აქვს. თუკი სიმძიმის ცენტრი საქართველოსკენ გადაინაცვლებს, ბუნებრივია ხელმძღვანელობას სხვა პირები გადაიბარებენ.

სურგულაძეს უნდა, რომ საკუთრივ საქართველოს ჯერჯერობით ლავირების თავისუფლება დაუტოვოს. ის არ მალავს თავის მოსაზრებას, რომ ქართველებისთვის რუსული მმართველობა თურქულზე უფრო მისაღებია. მისი აზროვნების ხასიათი ასეთი უნდა იყოს: თუ გაიმარჯვებენ რუსები, მაშინ ნაადრევად დაწყებული ქართული რევოლუცია ქართველ ერს საბოლოოდ გაანადგურებს. თუკი ქართველები ამის საპირისპიროდ ჩუმად დარჩებიან, მაშინ რუსების წარმატებული წინსვლა აიძულებს თურქებს ქართველების მისწრაფება დამოუკიდებლობისკენ, მათი თანამშრომლობის მოსაპოვებლად, მთლიანად აღიარონ. თუკი ამის საწინააღმდეგოდ თურქები გაიმარჯვებენ, რუსები მზად იქნებიან, რომ ქართველები შეაიარაღონ და თურქები დადგებიან არჩევნის წინაშე, ან ქართველებთან მოილაპარაკონ, ან ბრძოლაში ჩაებნენ. – ბრძოლაში, რომლის დასასრული, საქართველოს რთული მდებარეობიდან გამომდინარე, კვლავაც სათუო იქნება. რუსების მიერ ქართველ-

¹ იგულისხმება ნიკოლოზ (ნიკოლა) არქიმანდრიტი.

² იგულისხმება სურგულაძე პეტრე (1871-1931).

³ იგულისხმება კერესელიძე ლეო (1883-1943).

⁴ იგულისხმება ქარცივაძე მელიტონ (ოსმან ბეი).

ბის შეიარაღებას მე არ მივიჩნევ სავარაუდოდ. ამის მიუხედავად, სურგულაძის მიერ მოვლენების შეფასებაში არის საფრთხე, რომლის უყურადღებოდ დატოვებაც, ჩემის აზრით, არ შეიძლება. მე ვფიქრობ, მისი მოცილება შესაძლებელია პორტას მიერ საქართველოს მომავალი დამოუკიდებლობის აღიარებით. თუ მას ამ დათმობამდე ვერ მივიყვანთ, უნდა ვეცადოთ, საქართველოში ხალხს რუსეთის წინააღმდეგ ღია აჯანყებისკენ ან სულ მცირე ქმედითი პროპაგანდის წარმართვისკენ ვუბიძგოთ. რუსეთის მთავრობის ამის შედეგად გამოწვეული რეპრესიები ქართველთა წინააღმდეგ, უბიძგებს მათ თურქეთის ბანაკისკენ. ამავდროულად მე არ მივიჩნევ არცერთ აქაურ ქართველს სათანადოდ სანდოდ, რომ ვანდოთ საქართველოში ფულის გადაგზავნის ოპერაციები, ან მათი საშუალებით მოლაპარაკებები გავაბათ ტფილისის კომიტეტთან. იქნებ ბატონ წერეთელს¹ შეეძლოს აქ გამოსავლის პოვნა.

ამ ძირითად შეხედულებებში განსხვავებების გარდა, ორივე ზემოხსენებულ ქართულ ჯგუფს ერთმანეთის მიმართ ძლიერი უნდობლობა აქვს. მე ვერ მოვახერხე მათ შორის დაპირისპირების მოგვარება. სურგულაძის მოსაზრებაში არსებული საფრთხიდან გამომდინარე ვთვლი, რომ სასურველი უნდა იყოს, რომ ამ ეტაპზე ორივე ჯგუფმა გვერდიგვერდ იარსებოს. აგრეთვე მიმაჩნია, რომ სასურველია თანადროულად მხარდაჭერა მოძრაობისა საქართველოში, ისევე როგორც აქ ძველი ფორმით მუშაობის გაგრძელება. თურქი მოხალისეების და ქართველების ძლიერი ნარევი, საზღვარზე მცხოვრები ქართველების ერთ ნაწილს მიერთებისკენ უბიძგებდა. ამჟამად მდგომარეობა ამ მიმართულებით უკეთესია, ვიდრე ადრე, რადგან ზემოხსენებული მოხალისეები ართვინში ჯარების მეთაურს, ვიცე-პოლკოვნიკ შტანგეს დაუქვემდებარეს, რითაც ახალგაზრდა თურქთა კომიტეტის გავლენამ უკანა პლანზე გადაინია. შესაძლოა, უფრო მეტი საზღვრისპირა მცხოვრების შემოერთებამ ქართველი ლიდერები აიძულოს წინაპირობების გარეშე გადავიდნენ თურქულ ბანაკში.

დასასრულს, მინდა მოკლე სიტყვა დავძინო ბატონ მოზელის შესახებ. მან თავისი ამოცანა შუამავლისა ქართველებსა და თურქებს შორის ვერანაირად ვერ შეასრულა. ქართული წამოწყების მიმდინარეობისას, მან სავალდებულო გეგმიურობა დაარღვია და ზედმეტად ხშირად ცვლიდა თავის მითითებებს. ფულის საკითხებში, საიმპერატორო საელჩოს საკუთარი მოსაზრებით, მასთან სიფრთხილეა საჭირო. ბოლოს, აქედან გამგზავრების წინ, უცხოელებთან საუბარში მან ახალგაზრდა თურქთა კომიტეტს და მის ლიდერს ძალიან უარყოფითი შეფასება მისცა. აქედან გამომდინარე, მისი აქ დაბრუნება არასასურველად უნდა მივიჩნიო.

დოქტორი ბერგფელდი

Politisches Archiv des Auswärtigen Amts (PA AA), Akten Betreffend den Krieg 1914, Unternehmungen und Aufwiegelungen gegen unsere Feinde im Kaukasus. R 21011.

თარგმანი გერმანულიდან.

¹ იგულისხმება წერეთელი მიხეილი (1878-1965).

№ 43

**ლუი მოზელის, თურქეთში გერმანიის საგარეო
საქმეთა სამინისტროს ნდობით აღჭურვილი პირის,
მოხსენებითი ბარათი გერმანიის იმპერიის საგარეო
საქმეთა სამინისტროს, კავკასიაში რუსული არმიის
ფურცში გასათარებელი სამხედრო, სადაზვერვო და
დიპლომისური ღონისძიებების შესახებ**

1915 წლის 19 მარტი
კონსტანტინოპოლი

კავკასიაში მოქმედების განახლების ორგანიზაციის ძირითადი პრინციპები მოხსენებულნი არიან დეპეშებში და ანგარიშებში, რომლებიც უკვე თვეებია რაც კონსტანტინოპოლში საიმპერიო გერმანულ საელჩოს ეგზავნებოდნენ:

- I. თურქული კომიტეტის სრული და აბსოლუტური უკან გამონვევა.
- II. ყველა სამხედრო მოქმედების, მათ შორის მოქმედ ოტომანურ არმიაში, გერმანული ხელმძღვანელობის ქვეშ დაყენება, რადგან კავკასიელ ხალხებს მხოლოდ გერმანელთა ნდობა აქვთ.
- III. იარაღის დარიგება.
- IV. ქართული კომიტეტის წევრთა, რომლებიც ამ მიზნისთვის შესაფერისნი არიან, თანამეთაურებად დანიშვნა ახლად დასაარსებელ კავკასიურ ლეგიონში.
- V. დაუყოვნებლივ მუდმივი კავშირის დამყარება საქართველოსთან, უფრო სწორედ კი, თავად კავკასიასთან.

პირველი პუნქტი უმნიშვნელოვანესია და ჩემი აზრით, შეიძლება მხოლოდ საიმპერიო გერმანული მთავრობის ენერგიული და მტკიცე პოზიციით იქნეს მიღწეული.

მეორე პუნქტი უკვე განიხილება და მისი აღმატებულება ფონ ვანგენჰაიმი მხარს უჭერს თავად მოქმედი არმიის დაყენებას გერმანული ხელმძღვანელობის ქვეშ.

იარაღის შეძენა აუცილებელია, რადგან რუსებმა ომის დაწყებისთანავე განაიარაღეს მთელი მოსახლეობა, სომეხთა გარდა. ქართული კომიტეტის წევრთა ნაწილის მაინც ლეგიონთა მეთაურებად დაყენება კარგ შთაბეჭდილებას მოახდენს მოსახლეობაზე და უკვე ენობრივი მიზეზის გამო არის აუცილებელი. ამ დრომდე კავკასიასთან კავშირის დამყარება შეუძლებელი იყო, მიუხედავად იმისა, რომ საიმპერიო საელჩომ ადამიანთა მთელი რიგი, შედარებით დიდი მატერიალური საშუალებებით, გააგზავნა რუსეთის ტერიტორიაზე.

ძველ საფუძვლებზე, მათ მომავალშიც წარმატების მცირე პერსპექტივა ექნებათ, რადგან რუსები ყველა მოგზაურს, განსაკუთრებით ქართველებს, მკაცრად უთვალთვალებენ და იმ შესაძლებლობასაც უნდა მოველოდოთ, რომ ყველა ჩვენგან გაგზავნილი რუსთა მიერ იქნება დაპატიმრებული.

ჩემი აზრით, როგორც კი თურქებთან საკითხი მოგვარდება, პირველ რიგში უნდა ორგანიზებულ იქნეს იარაღის ტრანსპორტირება ოტომანურ ტერიტორიაზე და იმაზეც უნდა ვიზრუნოთ, რომ იარაღი ისევ თურქებს არ ჩაუვარდეს ხელში. თურქებმა საკუთარ თავზე უნდა აიღონ ვალდებულება, მოგვანოდონ აუცილებელი სატრანსპორტო საშუალებები რუსულ საზღვრამდე. კავკასიელი ტყვეები ორგანიზებულნი უნდა იყვნენ და ცალკე ქვედანაყოფების მიხედვით აღჭურვილნი, კონსტანტინოპოლში გამოიგზავნონ, რათა იქ შეკრებილნი, სახმელეთო თუ საზღვაო გზით ტრაპიზონში თუ გიუმშიხანეში ჩამოვიყვანოთ.

შეტევა ხოფედან, ბორჩხას და არჰავის¹ ტერიტორიიდან მურღულის მიმართულებით უნდა განხორციელდეს, რათა ხელში ვიგდოთ გზა ბათუმისკენ.

ბათუმს გვერდი უნდა ავუაროთ და უპირველეს ყოვლისა, შევეცადოთ წინ წავინიოთ აჭარამდე, რათა შევაიარალოთ იქაური მაჰმადიანური მოსახლეობა, რომელსაც 10 000-მდე კაცის გამოყვანა შეუძლია და რომელიც, რისი პირადი კონსტატირებაც შემეძლო, ბრწყინვალე მასალას წარმოადგენს. ამის შემდეგ ჩნდება ამოცანა – დავანგრიოთ ბათუმ-ფოთის გზა, რის შემდეგაც ქრისტიანულ საქართველოში – გურიაში შესვლას შევძლებთ, რათა აგრეთვე იქაურ მოსახლეობაშიც დავარიგოთ იარაღი.

აჯანყების შემდგომი გავრცელება ამის შემდეგ ბუნებრივად ხდება.

მნიშვნელოვანია კავშირი გავაბათ კავკასიასთან, უკვე საამისოდ, რომ იქაურ ორგანიზაციებს ვამცნოთ, რომ ჩვენი მხრიდან სამუშაო არ არის შეჩერებული, არამედ შემდგომ იქნება გაგრძელებული.

აგრეთვე, აუცილებელია მოვიპოვოთ ზუსტი მონაცემები კავკასიაში რუსული არმიის დისლოკაციის შესახებ.

დეკემბრის შუა რიცხვებში ჩემს მიერ ბორჩხაში მიღებულ იქნა ქუთაისის და ტფილისის ქართული კომიტეტის დესპანი, რომელმაც გადმომცა ზუსტი ინფორმაცია რუსული ჯარის დისლოკაციის შესახებ, რაც მე თავის დროზე ტელეგრაფით გადავუგზავნე საიმპერიო საელჩოს კონსტანტინოპოლში.

ცნობები დისლოკაციაზე მოდიოდა კავკასიის წითელი ჯვრის თავმჯდომარისგან, რომელიც ქართული მოქმედების კომიტეტის წევრი არის. მე ამჟამად მწამს, რომ ჩვენ უმარტივესად მივალწევთ ჩვენს მიზანს, თუკი ჩვენ სადაზვერვო სამსახურს ქალთა ზრუნვას მივაბარებთ, კერძოდ ნეიტრალური სახელმწიფოს წითელი ჯვრის მისიის მეშვეობით. ეს გზა, რა თქმა უნდა, საკმაო ხარჯებთან არის დაკავშირებული და კითხვას სვამს იმის შესახებ, ანიჭებს თუ არა გერმანული მთავრობა სადაზვერვო სამსახურს იმოდენა მნიშვნელობას, რათა საამისოდ აუცილებელი თანხები გაიღოს. როცა ჩვენ შევძლებთ კომიტეტს ტფილისში და ქუთაისში ჩვენი გეგმები სრულ დეტალებში ვაცნობოთ, მაშინ უკვე იქაური ორგანიზაცია იზრუნებს საიმისოდ, რომ მუშაობა გაგვიადვილდეს. მე აქ უკვე მყავს მხედველობაში გარკვეული პირები – ამერიკელი ქალები – და შესაძლებელია, ამ საკითხს ექსპერიმენტალურად წამოვიწყებ.

¹ იგივე არხოვი.

ჩვენი მთავრობის მიერ დაგეგმილი ნავთობსადენების განადგურებას, რომლებიც ბაქოს და ბათუმს შორის მდებარეობენ, ისევე როგორც ბათუმის სანავთობო ობიექტების მოსპობას, ჩემი აზრით, აქამდე არასწორად უდგებოდნენ.

ამგვარი ამოცანის შესრულებას უცხოელი ვერ შეძლებს. საამისოდ წარმატებით მუშაობას მხოლოდ ადგილობრივი მცხოვრებნი შეძლებენ. მე აგრეთვე ამის შესახებაც დავსვი კითხვა საიმპერიო საელჩოში კონსტანტინოპოლში, თუმცა პასუხი არ მიმიღია.

ამ ამოცანის შესასრულებლად, ჩვენს განკარგულებაში ტერორისტები იმყოფებიან, რომლებსაც ჩვენ მაღალ ფულად ჯილდოს უნდა დავპირდეთ, იმ შემთხვევაში, თუკი ისინი ამ ამოცანას გადაწყვეტენ. დიდი თანხების წინასწარ გადახდას, მე მივიჩნევ არამიზანშეწონილად. ექსპედიციის საკვებით მომარაგება თურქეთის ტერიტორიაზე შედარებით ძნელია და მთელი სურსათი თან უნდა იქნეს წამოღებული კონსტანტინოპოლიდან. ასევე თან იქნება წამოსაღები საველე სამზარეულოთა პროვიანტიც.

ქართულ ტერიტორიაზე, რაშიც მე შესაძლებლობა მქონდა პირადად დავრწმუნებულვიყავი, ხალხის მნიშვნელოვანი მასის დიდი ხნის განმავლობაში საკვებად მდიდარი სურსათი მოიპოვება.

ლუი მოზელი

Politisches Archiv des Auswärtigen Amts (PAA), Akten Betreffend den Krieg 1914, Unternehmungen und Aufwiegungen gegen unsere Feinde im Kaukasus. R 21011.
თარგმანი გერმანულიდან.

№ 44

**ლუი მოზალის, თურქეთში გერმანიის საბარეო
საქმეთა სამინისტროს ნდობით აღჭურვილი პირის,
მოხსენებითი ბარათი გერმანიის იმპერიის საბარეო
საქმეთა სამინისტროს, „ორბანიზაცია კავკასიაში“**

1915 წლის 22 მარტი
კონსტანტინოპოლი

კავკასიური მოძრაობის სათავეში დგას კულტურული, ქრისტიანული საქართველო, რომელიც 1904-1905 წლებშიც ხელმძღვანელობდა დიდ რევოლუციას. სადღეისოდ ქრისტიანულ საქართველოში არსებული პარტიები: – სოციალ-დემოკრატები, ფედერალისტები და ნაციონალისტები – გაერთიანდნენ და მათმა ლიდერებმა საერთო კომიტეტში მოიყარეს თავი. ყველა მუშაობს ერთი მიზნით – განდევნონ რუსები და კავკასიას დამოუკიდებლობა მისცენ. მთავარი კომიტეტის ადგილსამყოფელი აღმოსავლეთ საქართველოში – ტფილისია, ხოლო დასავლეთ საქართველოში – ქუთაისი. ტფილისში მის სათავეში დგას „კავკასიის ნითელი ჯვრის“ თავმჯდომარე პ. გოთუა¹, თავადაზნაურობის წინამძღოლი თავადი აფხაზი², პირველი მწერლები ლასხიშვილი³ და ფირცხალავა⁴, ქუთაისში – გიორგი ზდანევიჩი. უცხოეთში მუშაობენ 1904 წლის მოძრაობის ლიდერები, რომლებიც ნაწილობრივ რუსთა მიერ იქნენ მსჯავრდებულნი, ნაწილობრივ გასახლებულნი იყვნენ. მათ შორის სურგულაძე, ნერეთელი, კერესელიძე და არქიმანდრიტი ნიკოლოზი. თათრებმა შეადგინეს ცალკე კომიტეტები, ისევე როგორც დაღესტნის მოსახლეობამ, რომლებიც, ამავე დროს, ტფილისის ქართულ კომიტეტთან მუდმივ კავშირში იმყოფებიან. ადრე თათრები სომხებთან ერთად მუშაობდნენ, თუმცა, ომის დაწყებისთანავე მათ გამოეყვნენ და ქართულ კომიტეტს შეუერთდნენ. თათართა კომიტეტის თავმჯდომარე თავადი უცმიევია, კავკასიის ვიცე-მეფის ყოფილი გენერალ-ადიუტანტი. თათრები, ისევე როგორც დაღესტნის მთიელი ხალხები, დიდ წილად შეიარაღებულნი არიან. თუმცა თურქთა მიმართ, მიუხედავად იმისა, რომ ისინი მაჰმადიანები არიან, არავითარი ნდობა არა აქვთ და უცდიან ქართველთა მოქმედებას, ვინაიდან არასრულ აჯანყებას წარმატების არავითარი პერსპექტივა არ გააჩნია. ქართულ-მაჰმადიანური მოსახლეობა, რაშიც მე პირადად შემქმნელი დავრწმუნებულვიყავი, მტკიცედ მიიღტვის ქრისტიანი ქართველებისადმი. იმყოფება საკუთარ ბეგთა სრული გავლენის ქვეშ, რო-

¹ იგულისხმება გოთუა პართენ (1873-1936).

² იგულისხმება აფხაზი კონსტანტინე (კოტე) (1867-1923).

³ იგულისხმება ლასხიშვილი გიორგი (1866-1931).

⁴ იგულისხმება ფირცხალავა სამსონ (1872-1952).

გორც ასლან ბეგი¹, ქიამილ ბეგი, ალი ფაშას შვილი² და ა.შ. ომის დასაწყისში ეს ბეგები მუშაობდნენ თურქული საქმისათვის, თუმცა დღეს სავსებით უარი თქვეს თურქებზე და მიუერთდნენ ქრისტიან ქართველებს დამოუკიდებელი საქართველოსათვის. შეიარაღებულ ძალთა საერთო რაოდენობა, რომელიც კავკასიის ხალხებმა შეიძლება გამოიყვანონ, არ იქნება დიდად გადაჭარბებული შევაფასოთ 150 000 კაცის ოდენობით, რომლებიც ქკვიან და აჯანყებებში გამოცდილ ქრისტიან ქართველთა წინამძღოლობით არც თუ მცირე დახმარებას გაგვინვევენ ამ ომში. 1904-1905 რევოლუციის წლებში, თავად ქართველებს გააჩნდათ მდიდარი ფულადი რესურსები. მაშინ ისინი იარაღს შვეიცარიაში ყიდულობდნენ და დაემორჩილნენ მხოლოდ რუსთა ძალის მნიშვნელოვან უპირატესობას, რომელიც დაუნდობლად სპობდა მთელს სოფლებს და მოსახლეობას სისხლში ახრჩობდა. სამნუხაროდ, სადღეისოდ არ არსებობს აუცილებელი კავშირი კავკასიის შიგნით და გარეთ მოქმედ კომიტეტებს შორის და პირველ რიგში, მატერიალური საშუალებები, რათა მოძრაობას შესაბამისი რადიკალიზმი შევძინოთ.

მოზელი

Politisches Archiv des Auswärtigen Amts (PA AA), Akten Betreffend den Krieg 1914, Unternehmungen und Aufwiegelungen gegen unsere Feinde im Kaukasus. R 21011.
თარგმანი გერმანულიდან.

¹ იგულისხმება აბაშიძე ასლან ბეგი (1877-1924).

² იგულისხმება თავდგირიძე ქიამილ ბეგი.

№ 45

**თურქეთში გერმანიის საბარეო საქმეთა სამინისტროს
ნდობით აღჭურვილი პირის, ლუი მოზელის
მოხსენებითი ბარათი გერმანიის იმპერიის საბარეო
საქმეთა სამინისტროს, „თურქეთის მთავრობისათვის
წასაყენებელი მოთხოვნების შესახებ“**

1915 წლის 22 მარტი
კონსტანტინოპოლი

1. პასუხისმგებელი მინისტრის ან დიდი ვეზირის მიერ თურქულ-ქართული შეთანხმების ოფიციალური ხელმოწერა.
2. კავკასიური შიდა ორგანიზაციების შეუზღუდავი გადასვლა გერმანელების ხელში და იქ ამჟამად მოქმედი ახალგაზრდა თურქთა კომიტეტის უკან განვევა.
3. თურქ მოხალისეებზე განაწილებული 6 000 გერმანული თოფის (დანციგი) გადაცემა, რომელთა განთავსება რიზეში ან რომელიმე კიდევ უფრო ახლო მდებარე ადგილზე იქნებოდა სასურველი. ამ თოფებისთვის საბრძოლო მასალა ამ ეტაპზე არ არსებობს, თუმცა მომარაგება შესაძლებელი იქნება თურქეთთან მისაწოდებელი გზის გახსნის შემთხვევაში.
4. სრული გარანტია, რომ თურქული სახელისუფლო ორგანოები მიიღებენ მითითებას კავკასიური მოძრაობის, მისი თურქეთის მიწაზე მომზადებისას, ყოველმხრივ მხარდაჭერის შესახებ სატრანსპორტო საშუალებებით. მათ განკარგულებაში აქლემების, ცხენების, მანქანების, კაიკების, ძრავებიანი ნაგებობების გამოყოფის თაობაზე; ლეგიონერებისთვის ყაზარმების და სხვა საზოგადოებრივი ნაგებობების დათმობაზე, თუკი მათზე პრეტენზიას არ აცხადებენ მოქმედი სამხედროები.
5. საკვები პროდუქტების რეკვიზიციისაზე, ადგილობრივ საყოველთაო ფასებში მყისიერი გადახდით.
6. თურქებმა უნდა აღიარონ საქართველოს მიწაზე მყოფი ქართული მთავრობა და ამ მთავრობას უნდა მიენდოს მომავალში დაკავებულ ტერიტორიებზე სამოქალაქო მმართველობის ჩამოყალიბება. შესაბამისად, ვალის, მუთესარიფის, კაიმაკანის, მუდირის დანიშვნა. ტერიტორიებზე უპირატესად მაჰმადიანური მოსახლეობით უნდა დაინიშნონ მაჰმადიანი, ხოლო ქრისტიანულ მიწებზე კი, – ქრისტიანი მოხელეები.
7. გერმანელებს უნდა მიეცეთ თურქეთის მიწაზე უკაბელო სატელეგრაფო სადგურების აგების საშუალება, რომლებიც კავკასიური მოძრაობის ხელ-

მძღვანელობას კონსტანტინოპოლში საიმპერატორო გერმანულ საელჩოს-
თან დააკავშირებენ.

8. უნდა მოგვეცეს უფლება რუსი ტყვეების სამომავლო ტრანსპორტირება-
ზე თურქეთის ტერიტორიაზე, ისევე როგორც ადგილებზე, სადაც მოხდება
მათი განთავსება.

მოზელი

*Politisches Archiv des Auswärtigen Amts (PA AA), Akten Betreffend den Krieg 1914,
Unternehmungen und Aufwiegungen gegen unsere Feinde im Kaukasus. R 21011.
თარგმანი გერმანულიდან.*

№ 46

საქართველოს განთავისუფლების კომიტეტის
წევრის, მიხეილ წერეთლის წერილი აღმოსავლეთის
საინფორმაციო ბიუროს ხელმძღვანელს, დოქტორ
კარლ ემილ შაბინგერ ფრაიჰერ ფონ შოვინგენს,
მცირედი ფულადი დახმარების თხოვნით

1915 წლის 24 მარტი
ბერლინი

პატივცემულო ბატონო დოქტორო,

გერმანიის საელჩომ კონსტანტინოპოლში დახმარება გამინია მხოლოდ გზის-
თვის და რადგან გზად მრავალი სირთულე შეგვხვდა, აქ ვერ ჩამოვიდოდი ბატონი
მოზელი რომ არ დამხმარებოდა. ახლა ყველანაირი საშუალების გარეშე ვარ, ამას
გარდა, ჩემი მცირედი ვალები უნდა გადავიხადო და აუცილებელი საჭიროებების
ნაკლებობა მაქვს. უმორჩილესად მინდა გთხოვოთ, მცირედი ფულადი თანხით
რომ შემეწიოთ. მერწმუნეთ, ჩემს სამშობლოსთან რომ კავშირი მქონდეს, საგა-
რეო საქმეთა სამინისტროს ასეთი წვრილმანებით არ შევანუხებდი, მაგრამ ახლა
დავბრუნდი და მინდა ბოდიში მოგიხადოთ.

ახალი პასპორტი აქამდე არ მიმიღია

პატივისცემით,
თქვენი ერთგული მ. წერეთელი

*Politisches Archiv des Auswärtigen Amtes (PA AA), Akten Betreffend den Krieg 1914,
Unternehmungen und Aufwiegelingen gegen unsere Feinde im Kaukasus. R 21011.
თარგმანი გერმანულიდან.*

№ 47

კონსტანტინოპოლში გერმანიის საბანგებო და
სრულუფლებიანი ელჩის, ბარონ ჰანს ფრაიჰერ
ფონ ვანგენჰაიმის თელეგრაფა გერმანიის იმპერიის
საგარეო საქმეთა სამინისტროს, კავკასიის ფრონტზე
არსებული მდგომარეობის თაობაზე

1915 წლის 25 მარტი
პერა

იმპერიის კონსული ტრაპიზონში იტყობინება:

„სურგულაძეს, როგორც ჩანს, არ უნდა, რომ საქართველო საბოლოოდ ჩაით-
რიოს, სანამ გარკვეული არ არის საომარი მდგომარეობა. ჩემის აზრით, კავკასი-
ური მოძრაობა უნდა თავისით ენერგიულად წარიმართოს, ამავდროულად აქაუ-
რი წამოწყება გაგრძელდეს. ამის შესახებ 13 მარტის ცნობა გზავნი.“

მოზელის რაიმე ახალი წინადადების შემთხვევაში, გათვალისწინებულ უნდა
იქნეს, რომ მას, პირადი ინტერესებიდან გამომდინარე, მეთაურობის შენარჩუნე-
ბა უნდა“.

ვანგენჰაიმი

*Politisches Archiv des Auswärtigen Amts (PA AA), Akten Betreffend den Krieg 1914,
Unternehmungen und Aufwiegungen gegen unsere Feinde im Kaukasus. R 21011.
თარგმანი გერმანულიდან.*

№ 48

საქართველოს განთავისუფლების კომიტეტის წევრის, მიხეილ წერეთლის წერილი ოთო გიუნდერ ფონ ვეზენდორფს, ბერლინის იმპერიის საგარეო საქმეთა სამინისტროს ლეგაციის მდივანს და ახლო აღმოსავლეთის საქმეთა რეფერატს, ქართველ ემიგრანტთა, რაფაელ ნიჟარაძის, ალექსი ანჯაფარიძის, ივანე ბებოვის და ალექსანდრე სვანიძის სანდოობის, მათ მიერ ქართველ სამხედრო ტყვეთა შორის პროპაგანდის წარმოების და ბერლინში ქართული გაზეთის გამოცემის საქმეში თანამშრომლობის შესაძლებლობის შესახებ

1915 წლის 31 მარტი
ბერლინი

ამით პატივი მაქვს საგარეო საქმეთა სამინისტროს შემდეგი მოვახსენო:

- 1) ქართველი ბატონები რაფაელ ნიჟარაძე და ალექსი ანჯაფარიძე, რომელთაც მე ოსტრაუში შანდაუსთან ვენვიე, აბსოლუტურად სანდონი არიან, თუმცა პროპაგანდისთვის ქართველ სამხედრო ტყვეთა შორის გამოუსადეგარნი. ისინი სრულიად ახალგაზრდა სტუდენტები არიან, რომელთაც არა აქვთ გამოცდილება მსგავსი პროპაგანდა აწარმოონ. ასევე ქართული გაზეთის ხელმძღვანელობაშიც, მათ ძნელად თუ შეეძლებათ მე დახმარება გამიწიონ. ისინი უმორჩილესად თხოვენ გერმანულ მთავრობას, მათ უფლება მისცეს გააგრძელონ სწავლა ბერლინის უმაღლეს სავაჭრო სკოლაში. მათ სურთ სკოლას ეწვიონ მსმენელთა სახით, ვინაიდან ყველა საკუთარი დოკუმენტი მათ მიერ მოსკოვის უმაღლეს სავაჭრო სკოლაში იქნა დატოვებული. ასევე სრულიად შემთხვევით აღმოჩნდნენ ისინი ტყვეობაშიც: ისინი გერმანიაში არდადაგებზე ჩამოვიდნენ, რათა წვეოდნენ მას და გერმანული შეესწავლათ, როცა მათ ომმა მოუხსნრო. ვფიქრობ, თუკი ისინი სამხედრო სამსახურისგან განთავისუფლებულებად ითვლებიან, შეიძლება მათ სახლში გამგზავრების უფლება მივცეთ, ვინაიდან მათი სანდოობა ჩემთვის აბსოლუტურად აშკარა არის.
- 2) ბატონი იოჰან ბეგოვი, რომელიც ორ ზემოხსენებულ ბატონთან ერთად ცხოვრობს, არ არის სომეხი, არამედ კათოლიკური მრწამსის ქართველია.

ის დრეზდენის პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტია. როდესაც ომი დაიწყო, მისმა ერთმა სომეხმა ნაცნობმა ურჩია მას საკუთარი თავი სომეხად გამოეცხადებინა და ბერლინის გერმანულ-სომხური საზოგადოებისთვის ეთხოვა, მისთვის სახლში გამგზავრების საშუალება მიეცა, რაც მან გააკეთა კიდეც, თუმცა შემდგომ ხსენებული საზოგადოებისგან პასუხი არ მიუღია. ის ასევე სანდო არის, თუმცა პროპაგანდის წარმოებისთვის და გაზეთის ხელმძღვანელობისთვის აგრეთვე უვარგისი. ის ასევე სთხოვს მთავრობას, დრეზდენის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში მისი უკანასკნელი ზეპირი გამოცდების ჩაბარების ნება დართონ. წერილობითი სამუშაო მან უკვე შეასრულა.

- 3) მე გავიგე, რომ ჩემი მეგობარი ქართველი, რომელსაც მე დიდი ხნის განმავლობაში ვიცნობ, ჰალეში (Volksmannstraße 11 p.) ცხოვრობს. მისი გვარი ალექსანდრე სვანიძეა. მე მას განვიხილავ იმ პირად, რომელიც სრულიად შეესაბამება ჩვენს მიზნებს. მე შემიძლია მისი სანდოობის გარანტირება. იქნებ შესაძლებელი იყოს, მას ჩემთან ერთად მუშაობა შევთავაზოთ, საქმე განვუმარტოთ და მისი თანხმობის შემთხვევაში, ბერლინში ჩამოსვლის უფლება მივცეთ?
- 4) ქართული წიგნები მე ჰაიდელბერგიდან ჩამოვიტანე და ბატონი შაბინგერის¹ განკარგულებაში გადავეცი.

უერთგულესად თქვენი,
მ. წერეთელი

Politisches Archiv des Auswärtigen Amtes (PA AA), Akten Betreffend den Krieg 1914, Unternehmungen und Aufwiegelungen gegen unsere Feinde im Kaukasus. R 21011.
თარგმანი გერმანულიდან.

¹ იგულისხმება ფონ შოვინგენი კარლ ემილ შაბინგერი ფრაიჰერ (von Schowingen Karl Emil Schabinger Freiherr) (1877-1967).

№ 49

საქართველოს განთავისუფლების კომიტეტის წევრის,
მიხეილ წერეთლის წერილი გერმანიის იმპერიის
სახელმწიფო მდივნის მოადგილეს ართურ ციპერმანს,
ქართველებისთვის იარაღის მიწოდების საჭიროებაზე

1915 წლის 3 აპრილი
ბერლინი

თქვენო აღმატებულებავე, ნება მომეცით უმორჩილესად შეგატყობინოთ, რომ
ოთხშაბათს ვიდრე შუადღემდე, როდესაც თქვენ მე დამიბარეთ, მოლაპარაკება
მინდა.

საქმე ეხება იარაღის მიწოდებას ქართული აჯანყებისთვის, რომელსაც გერ-
მანიის ხელისუფლება შეპირდა კომიტეტს. თავს ნებას მივცემ, რომ გაგაცნოთ
კომიტეტის მდგომარეობა და აჯანყების მოძრაობის განვითარება საქართველო-
ში, რათა თქვენმა აღმატებულებამ ნათლად დაინახოს, რომ კომიტეტის მხრიდან
მოქმედების დრო მოვიდა.

მ. წერეთელი

*Politisches Archiv des Auswärtigen Amts (PA AA), Akten Betreffend den Krieg 1914,
Unternehmungen und Aufwiegungen gegen unsere Feinde im Kaukasus. R 21011.
თარგმანი გერმანულიდან.*

№ 50

**საქართველოს განთავისუფლების კომიტეტის
წევრის, მიხეილ წერეთლის წერილი ოთო გიუნდარ
ფონ ვეზენდორფს, გერმანიის იმპერიის საგარეო
საქმეთა სამინისტროს ლეგაციის მდივანს და ახლო
აღმოსავლეთის საქმეთა რეფერატს, გერმანული
მთავრობის მიერ ხსენებული კომიტეტისადმი
დაპირებული იარაღის და საბრძოლო მასალების
ბადაცემის აუცილებლობის შესახებ**

1915 წლის 3 აპრილი
ბერლინი

ხელმომწერი წარმოადგენს აქ, ბერლინში, ქართულ კომიტეტს და პასუხისმგებლობა აკისრია მის და ქართველი ერის წინაშე ყველა იმ მოლაპარაკებისთვის, რომელიც წარმოებდა და წარმოებს გერმანიის მაღალ მთავრობასა და ქართულ კომიტეტს შორის.

როდესაც სექტემბრის თვეში ხელმომწერი, მაღალი საგარეო საქმეთა სამინისტროს სურვილით ბერლინში ჩავიდა, ხოლო იქედან კი კონსტანტინოპოლს გაემგზავრა, ქართულმა კომიტეტმა გერმანული მთავრობის მხრიდან მტკიცე დაპირება მიიღო, რომ ქართველთა აჯანყებისათვის მას გადმოეცემა აუცილებელი იარაღი, საბრძოლო მასალები და მატერიალური საშუალებები.

ვემყარებოდით რა ამ დაპირებას, ჩვენ გავაგზავნეთ დელეგატი შესაბამისი ინსტრუქციებით საქართველოში, სადაც გერმანიის საიმპერატორო მთავრობის მხრიდან ჩვენი გამანთავისუფლებელი მოძრაობისადმი შეთავაზებული დახმარება დიდი სიხარულით იქნა მიღებული და თავად საქართველოში მაშინვე ჩაეყარა საფუძველი შინაგან ორგანიზაციას.

ჯერ კიდევ რუსეთ-თურქეთის ომის დაწყებამდე მთელი ქართული კომიტეტი, კონსტანტინოპოლში გერმანიის საიმპერატორო საელჩოს წარმომადგენელ ბატონ მოზელთან ერთად, ტრაპიზონში გაემგზავრა, ხოლო იქედან – რუსულ საზღვარზე. ომის გამოცხადებიდან რამდენიმე დღის შემდეგ თურქმა მოხალისეებმა, კომიტეტთან ერთად გადაკვეთეს საზღვარი და წაიწიეს წინ მდინარე ჭოროხამდე.

ამრიგად დადგა მომენტი, როცა იარაღის დარიგება შესაძლებელი იყო და ბატონმა მოზელმა რამდენჯერმე დაჟინებით ტელეგრაფით მიმართა საიმპერატორო საელჩოს თხოვნით დაპირებული იარაღისა და საბრძოლო მასალის გამოგზავნის შესახებ, რაზეც მიიღო გულგასატყეხი ცნობა, რომ მის განკარგულებაში არავითარი იარაღი არ არსებობდა. ამასობაში ტფილისის და ქუთაისის კომიტე-

ტის მიერ გამოგზავნილი პირები ბორჩხაში ჩამოვიდნენ და ჩამოიტანეს ცნობები, რომ ორგანიზაციის შექმნა დასრულებულია, რომ მთელი კავკასია შედუღებულია და აკლიათ მხოლოდ იარაღი გამოსვლის განსახორციელებლად.

კონსტანტინოპოლიდან იარაღის გამოგზავნის ახალ ცდაზე უარყოფითი პასუხი მივიღეთ. თურქები არ იძლეოდნენ ჩვენს განკარგულებაში იარაღს და ამრიგად, ქართული კომიტეტი იძულებული გახდა კვლავ დაბრუნებულიყო ტრაპიზონში. ბატონი მოხელი გაემგზავრა კონსტანტინოპოლში, რათა იქ პირადად წარედგინა ანგარიში გერმანიის საიმპერატორო ელჩისათვის, ხოლო იქედან – მისი აღმატებულების ფონ ვანგეჰაიმის და მისი აღმატებულების ფონ დერ გოლც ფაშას რჩევით – ჩემთან ერთად ჩამოვიდა ბერლინში.

სამწუხაროდ, აქ მე მხოლოდ ის უნდა გამეგო, რომ უახლოეს ხანებში იარაღის მონოდება გამორიცხებულია და სადღეისოდ ჩემს ამოცანას წარმოადგენს, ვითანამშრომლო სამხედრო ტყვეებისთვის გაზეთის გამოცემის საქმეში. მსურს ამჟამად ვაცნობო თქვენს აღმატებულებას, რომ იმ შემთხვევაში, თუკი უახლოეს ხანებში იარაღის მონოდება გამორიცხებულია, ევროპიდან თურქეთში გამგზავრებულ ქართული კომიტეტის წევრებს ჯერ ტრაპიზონიდან კონსტანტინოპოლში გამოვიძახებ, და მათი თანხმობით ადგილობრივ ტყვეთა ბანაკებში პირადი პროპაგანდით ქართველ ტყვეებს ჩვენი საერთო მტრების – რუსების წინააღმდეგ განვანყობთ. ამის შემდეგ, პოლონური ლეგიონის მსგავსად აღმოსავლეთის საზღვარზე გერმანულ ჯარებთან ერთად ვიბრძოლებთ და ფრონტის ხაზიდან პროკლამაციების მეშვეობით გავლენას მოვახდენთ რუს ჯარისკაცებზე. ჩვენ, ქართველები, მზად ვართ გერმანული ინტერესებისთვის მსხვერპლად მოვიტანოთ სისხლიც და ქონებაც. ვიმედოვნებთ, რომ ზავის დადების შემდეგ საკითხი ჩვენი დამოუკიდებლობისა, რომელიც ჩვენ საერთაშორისო სამართლით გვეკუთვნის, წამოყენებული იქნება გერმანიის მაღალი მთავრობის მიერ.

იმ შემთხვევაში კი, თუ იარაღის მონოდება უახლოეს ხანებში შესაძლებელი გახდება, ჩვენ, გერმანიაში მყოფ ქართველ ტყვეებთან ერთად, ისევ გავემგზავრებით რუსულ-თურქულ საზღვარზე და თურქულ არმიასთან ერთად შევალთ ქართულ ტერიტორიაზე, შევაიარაღებთ მოსახლეობას და ვიბრძოლებთ უკანასკნელ კაცამდე რუსების წინააღმდეგ.

გთხოვთ მაპატიოთ, თქვენო აღმატებულებავ, ეს შენუხება, მაგრამ პირადად მე და ქართული კომიტეტის ყველა წევრი სადღეისოდ სასონარკვეთილ მდგომარეობაში ვიმყოფებით. ჩვენი მოქმედება ბოლო თვეების განმავლობაში რუსული მთავრობისთვის სრული დაწვრილებით არის ცნობილი. ჩვენ ვფლობთ ქონებას და გვყავს ოჯახები საქართველოში და ვმოქმედებდით მტკიცე რწმენით, რომ გერმანია დაგვეხმარებოდა იარაღით, რის შემდეგაც წარმატებაში დარწმუნებულები ვართ. ჩვენი მისიის წარუმატებლობის შემთხვევაში, ჩვენ დავკარგავთ ჩვენს ოჯახებსაც და ქონებასაც.

უდიდესი პატივისცემით,
მ. წერეთელი

Politisches Archiv des Auswärtigen Amtes (PAA), Akten Betreffend den Krieg 1914, Unternehmungen und Aufwiegelungen gegen unsere Feinde im Kaukasus. R 21011.

თარგმანი გერმანულიდან.

№ 51

**კონსტანტინოპოლში გერმანიის საბანკებო და
სრულუფლებიანი ელჩის, ბარონ ჰანს ფრაიჰერ ფონ
ჰანგენჰაიმის წერილი და ტრაპიზონში გერმანიის
კონსულის, ჰაინრიხ ბერგფელდის წერილის ასლი
გერმანიის იმპერიის საბარეო საქმეთა სამინისტროს,
თურქულ-ქართული ურთიერთობების შესახებ**

1915 წლის 7 აპრილი
პერა

თქვენს აღმატებულებას წარმოვუდგენ ტრაპიზონში იმპერატორის კონსულის წერილის ასლს, დათარიღებულს წინა თვის 13 რიცხვით¹, რომელიც ეხება ქართულ საკითხს მხედველობაში მისაღებად.

ჩემის აზრით, საქართველოს შიგნით რევოლუციური მოძრაობის მხარდაჭერის შესაძლებლობა ქრება. ამ მიზეზით დღეს მისაღწევი შედეგების თვალსაზრისით, ქართველების სერიოზული აჯანყება შესაძლებელია მხოლოდ თურქული ჯარების წარმატებული წინსვლის შემთხვევაში და რაც მთავარია, საჭირო იარაღის მიცემის შემდეგ. თუკი წლის დასაწყისში თურქულ საქმეს უკეთესობისკენ ექნება ცვლილებები, მეორე წინაპირობის შესრულება, არსებული მდგომარეობიდან გამომდინარე, ჯერ კიდევ წარმოუდგენელია.

ჩვენთვის აქტუალური საკითხია, რომ ქართველების სიმპატიები გერმანული საქმის მიმართ, მიმდინარე დროებითი არასასურველი გარემოებების მიუხედავად შევინარჩუნოთ და მაქსიმალურად მზად ვიყოთ, მდგომარეობის შეცვლის შემთხვევაში, მყისიერი ჩარევისათვის.

ამ კონტექსტში, ბუნებრივია, საუკეთესო იქნებოდა თურქეთის ხელისუფლების ცალსახა განცხადება, რომ ის უპირობოდ აღიარებს მომავალი საქართველოს სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობას, რითაც ქართველების უნდობლობას ბოლო მოეღებოდა და ამაღლდებოდა ძალისმიერი აჯანყების მიმართ მათი მხარდაჭერა. კაბინეტის უფროს თალაათ ბეის და ლეო კერესელიძის მიერ თავის დროზე ხელმოწერილ დოკუმენტში საქართველოს მომავალი მოწყობის საკითხი ღიადაა დატოვებული, რადგან გადაწყვეტილება უნდა დაექვემდებაროს საზავო ხელშეკრულებას. კომიტეტის გავლენიანი წევრების მსოფლმხედველობაში, არა მგონია რომ რაიმე ცვლილება არის მოსალოდნელი ჩემს № 343/14 მოხსენებაში წარმოდგენილი თურქული თვალსაზრისებიდან.

¹ იხ. დოკ. 42.

რაც შეეხება განსაკუთრებით ბატონ მოზელის საქმიანობას, მეც ასევე მიმაჩნია, რომ ტრაპიზონში მისი წარგზავნის მთავარი მიზანი, როგორც დამაკავშირებელი და შემრიგებელი ელემენტისა ახალგაზრდა თურქებსა და ქართველებს შორის, ვერ არის მიღწეული. მან საკუთარი თავი საომარი ოპერაციების სამხედრო ხელმძღვანელობას დაუკავშირა, რადგან საქმე მოხალისეების ჯგუფებს ეხებოდა და ალბათ ძირითადად ამ მიზეზით დაეჯახა ახალგაზრდა თურქთა კომიტეტის ამბიციურ წევრებს. თუ მომავალში უფრო დიდი აქცია დაიგეგმება, მეც იმ აზრის ვარ, რომ უკეთესი იქნება იქ ბატონ მოზელს მმართველი პოსტი არ მიეცეს. იმ მოსაზრებაზე, რომ ფულის საკითხებში ის არ არის სანდო, ნათელი მტკიცებულებები არ არსებობს. თუმცა მისი წარსულის და დღევანდელი ფინანსური პრობლემების გათვალისწინებით, კარგი იქნებოდა ადგილზე გარკვეული სიფრთხილის გამოჩენა. კონსული ბერგფელდი თავის დროზე მე შესაბამისად გავაფრთხილე.

ვანგენჰაიმი

Politisches Archiv des Auswärtigen Amts (PA AA), Akten Betreffend den Krieg 1914, Unternehmungen und Aufwiegungen gegen unsere Feinde im Kaukasus. R 21011.
თარგმანი გერმანულიდან.

№ 52

**საქართველოს განთავისუფლების კომიტეტის
წევრის, გიორგი მაჩაბლის წერილი გერმანიის
საბარეო საქმეთა სამინისტროს, რუსეთის კავკასიური
პოლიტიკის და ქართველების და კავკასიის
მაჰმადიანების რუსეთთან დაბრუნების შესახებ**

1915 წლის 9 აპრილი
ბერლინი

კავკასიაში ომმა ჩვენი გაკვირვება გამოიწვია და პოლიტიკურ პარტიებს არ დაუტოვა ორიენტირები და რთული მოვლენებისთვის მომზადების დრო. ამის მიუხედავად, სხვადასხვა პარტიების ლიდერებმა, უწინარესად კი სოციალისტების, სამხედროებსა და რეზერვისტებში წერილობითი მიმართვები გაავრცელეს, სადაც ხალხს მოუწოდებდნენ, იარაღის ასხმის მოწოდებას არ გაჰყოლოდნენ და დეზერტირობა აერჩიათ.

შედეგად, რუსეთის მთავრობამ რამდენიმე წამყვანი პოლიტიკოსი და გავლენიანი კაცი დააპატიმრა და სხვადასხვა მოშორებულ გუბერნიაში გადაასახლა, ასევე ძალიან მკაცრი სამხედრო ცენზურა შემოიღო.

გერმანელების და ავსტრიელების გამარჯვებების შესახებ ცნობები იმალებოდა და ვრცელდებოდა ყალბი ცნობები რუსების გამარჯვების შესახებ, რათა ხალხს შეენარჩუნებინა რწმენა, რომ რუსეთის საბოლოო გამარჯვება გარანტირებულია. თავიდანვე, მხოლოდ ინტელიგენციის წრეები უყურებდნენ ამ გამარჯვების შესახებ ცნობებს უნდობლობით, მაგრამ არ ჰქონდათ სათანადო მომენტი და შესაძლებლობა, გაეგრცვლებინათ მათი შეხედულება ხალხში. რადგან რუსეთის ხელისუფლებას ქართველების და თათრების მიმართ (ეს უკანასკნელნი დაახლოებით 5 მილიონია) ნდობა არ ჰქონდა, ეს ხალხები თავიდანვე განაიარაღეს. შეაიარაღეს მხოლოდ სომხები, როგორც კავკასიაში, ასევე თურქეთის მიწაზე.

მე ჩამოვედი რუსეთში რუსეთ-თურქეთის ომის დაწყებამდე ცოტა ხნით ადრე, იქიდან მაშინვე გავემგზავრე კავკასიაში და ზემოაღნიშნული რთული გარემოებების პირობებში მომიწია სამუშაოს დაწყება. ჩემი პირველი ამოცანა იყო, ჩვენი ხალხისთვის რეალური სამხედრო მდგომარეობის განმარტება, რამაც ჩემს თანამემამულეებზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. მე მაშინვე დავუკავშირდი სხვადასხვა პარტიების ადგილზე მყოფ ყველა ლიდერს და რამდენიმე დღეში შედგა ყრილობა, რომელმაც ერთსულოვნად გადაწყვიტა ემუშავა ერთად და საერთო ძალებით საქართველოს გათავისუფლებისთვის. ამ ყრილობაში მონაწილეობდნენ საქართველოს ყველა პარტიის და კლასის წარმომადგენლები. ჩემს მიერ დაფუძნებულ იქნა რამდენიმე გაზეთი, ქართულ რეგიონებში პროპაგანდისთვის,

და ქვეყნის ყველა კუთხეში წარგზავნილ იქნენ პროპაგანდისტები, რომლებიც ხალხს მოუწოდებდნენ ოტომანთა ჯარების შემოსვლის შემთხვევაში მეგობრულად მიეღოთ ისინი და დახმარება გაეწიათ.

განვაცხადეთ იარაღის დარიგების თაობაზე, რასაც გერმანიის მთავრობა შეგვპირდა და მოვახდინეთ ჯგუფების წინასწარი დანაწილება. რომ გვექონოდა ეს იარაღი რუსეთის მეფის ტფილისში ყოფნის დროს, ჩვენთვის იოლი იქნებოდა ჩაგვეჭრა სარკინიგზო კავშირი რუსეთთან და ტყვედ აგვეყვანა მეფე, რადგან იმ დროს კავკასიაში მცირე ჯარი იდგა.

იმ დროს, როცა თურქმა მოხალისეებმა ქართულ კომიტეტთან ერთად ქოროხამდე წაიწიეს წინ და თურქეთის არმია სარიყამიშში იდგა, რუსეთის მთავრობას გადაწყვეტილი ჰქონდა დაეთმო კავკასია, რადგან საომარ ოპერაციებს წაგებულად თვლიდა. უწყებებმა დატოვეს ტფილისი და არქივები მთლიანად რუსეთში გადაგზავნეს. ყველაფერი მზად იყო, რომ კავკასიას საკუთარი ბედი თავად გადაეწყვიტა. თვით რუსების შემთხვევითმა გამარჯვებამაც კი ოტომანთა არმიას სარიყამიშთან, ვერ შეცვალა ეს გადაწყვეტილება.

ეს იყო ინგლისი, რომელიც ბოლო მომენტში ჩაერია და მოითხოვა ძლიერი საჯარისო ნაწილების ტრანსპორტირება კავკასიაში, რადგან მას კარგად ესმოდა, რომ მაჰმადიანების აჯანყება კავკასიაში შეიძლებოდა იოლად გადასულიყო სპარსეთში, ავღანეთში და თვით ინდოეთშიც. ინგლისის ჩარევის შესახებ ინფორმაციის სისწორე იქიდანაც გამომდინარეობს, რომ რუსეთის კავკასიური სტრუქტურების მცდელობას, დამატებითი ჯარების გაგზავნის შესახებ, მთავარსარდალმა ნიკოლოზ ნიკოლოზის ძემ¹ უპასუხა, რომ შეუძლებელი იქნებოდა თუნდაც ერთი ჯარისკაცის გაგზავნა. მას სურდა ჯერ გერმანიისთვის და ავსტრიისთვის მოელო ბოლო, რის შემდეგაც იოლი იქნებოდა კავკასიის თურქებისთვის ხელახალი წართმევა. კავკასიაში გამოიგზავნა დაახლოებით 250 000 ჯარისკაცი, რომლებიც მოხსნეს რუმინეთის საზღვრიდან, რადგან რუსეთის მთავრობამ გარანტია მიიღო რუმინეთის მკაცრი ნეიტრალიტეტის შესახებ. ბოლოს ჩამოვიდა კიდევ ერთი საარმიო კორპუსი ციმბირიდან.

ჯარის ასეთი დიდი მასის მობილიზების მიუხედავად, ქართველ ხალხს თავისი გათავისუფლების და აჯანყების იდეაზე უარი არ უთქვამს, რაც ჩანს თუნდაც აჭარის ქართულ-მაჰმადიანური მოსახლეობის დამოკიდებულებიდან. თურქი მოხალისეების წინსვლასთან ერთად ისინი ათასობით გამოდიოდნენ და ითხოვდნენ იარაღს. შეპირებული იარაღის არქონამ, ბუნებრივია, გამოიწვია დემორალიზაცია მთელს მოსახლეობაში და მე დამჭირდა მოწოდებების გაკეთება, რომ ხალხი დამემშვიდებინა. ქართულმა კომიტეტმა მიაღწია შეთანხმებას კავკასიის მაჰმადიანებთან, რომ საერთო ძალებით მოხდეს კავკასიის გათავისუფლება. კავკასიიდან ჩემი გამგზავრების წინ, ბაქოში მქონდა შეხვედრა მაჰმადიანების ყველა წარმომადგენლებთან, სადაც ჩვენ მოვილაპარაკეთ სამომავლო გეგმების შესახებ. მათ მთხოვეს, რომ კაიზერის მთავრობასთან მათი ინტერესებიც წარმოვადგინო და ვამცნო იარაღით და მორალურად მხარდაჭერის თხოვნის შესახებ. მთელი კავკასიის მოსახლეობას, 7 მილიონ ადამიანს სომხების გარეშე (დაახლოებით 800 000), შეუძლია 2-3 თვის ვადაში 500 000-კაციანი ბრძოლისუნარიანი ჯარის გამოყვანა. (გასათვალისწინებელია, რომ მაჰმადიანურ მოსახლეობას

¹ იგულისხმება დიდი მთავარი რომანოვი ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე (უმცროსი) (1856-1929).

სამხედრო სამსახური არ უწევს და აქედან გამომდინარე, მთელი მოსახლეობა ქვეყანაში შენარჩუნდა და ჯარისკაცების მდიდარი რესურსი აქვს).

თურქების ყარსიდან და აჭარის მხარიდან უკან დახევის შედეგები, რომელსაც მე ცალკე ანგარიშად დოკუმენტებზე დაყრდნობით აღვწერ, უბრალოდ საშინელება იყო. მაჰმადიანი ქართველების ასეულობით სოფელი აჭარასა და ყარსის ოლქში სრულიად აღგავეს პირისაგან მიწისა. მოსახლეობა ნაწილობრივ ამოხოცეს და როცა ის მთებში გაიხიზნა, შიმშილისგან და სიცივისგან იქ დაიღუპა. რუსეთის მთავრობას გადანყვეტილი აქვს, ამ მხარის დანარჩენი მოსახლეობაც განდევნოს, ხოლო ამ ხალხის ქონება და მიწა კაზაკებს და სომხებს გაუნაწილოს. ეს უკანასკნელნი იყვნენ მაჰმადიანურ ოლქებში საზარელი მმართველობის ხელმძღვანელები და ინიციატორები, რასაც დოკუმენტურად დავასაბუთებ.

ახლა თავს უფლებას მივცემ, კაიზერის მთავრობას ქართველების და კავკასიის მაჰმადიანთა სახელით ვთხოვო, მოკლე ვადაში მაქსიმალურად ბევრი იარაღი და ტყვია-წამალი მოგვანოდოს, განკარგულებაში გადმოგვცეს საჭირო საშუალებები, უფლება მოგვცეს პირადი პროპაგანდა ვანარმოთ ტყვეთა ბანაკებში. ამით ჩვენ როგორც გერმანიის იმპერიის და მისი მოკავშირეების ინტერესებში წარმატებით დავასრულებთ დაწყებულ საქმეს, ისე დახმარებას გავუწევთ ჩვენს დატანჯულ თანამემამულეებს.

მინდა კიდევ ერთხელ გავამახვილო ყურადღება, რომ აჯანყება კავკასიაში უდავოდ ხელს შეუწყობს ამბოხს რუსეთის უღლის ქვეშ მყოფ სხვა ერებში და ცალსახად დიდ გავლენას იქონიებს მაჰმადიანებზე სპარსეთში, ავღანეთში, თურქესტანსა და თვით ინდოეთშიც კი. ასევე არ უნდა მიეცეს დავიწყებას კავკასიის ფასეული ბუნებრივი წიაღისეული, განსაკუთრებით სპილენძი და ნავთი, რომლებიც დღეს გერმანიისთვის დიდ როლს თამაშობენ.

თავადი გიორგი მაჩაბელი

Politisches Archiv des Auswärtigen Amtes (PA AA), Akten Betreffend den Krieg 1914, Unternehmungen und Aufwiegelungen gegen unsere Feinde im Kaukasus. R 21012.

თარგმანი გერმანულიდან.

№ 53

საქართველოს განთავისუფლების კომიტეტის წევრთა,
 ბიორგი მაჩაბლის და მიხეილ წერეთლის შეხვედრის
 ოქმი, გერმანიის არმიის სახელმეთო ძალების
 გენერალური შტაბის კოლიტიკის სექციის უფროსთან,
 კაპიტან რუდოლფ ნადოლნისთან, კონსტანტინოპოლში
 გერმანიის სამხედრო ატაშეს მოადგილესთან, კაპიტან
 ვოლკმანთან და ოსმალეთის იმპერიაში გერმანიის
 საბარეო საქმეთა სამინისტროს ნდობით აღჭურვილ
 პირთან, ლუი მოზელთან, კავკასიაში ვითარების
 შესაფასებლად და ქართველი მებრძოლებისათვის
 იარაღის, აღჭურვილობისა და ტყვია-წამლის
 მისაწოდებლად სამოქმედო გეგმის დასაფუძვლად

1915 წლის 10 აპრილი
 ბერლინი

კაპიტან ნადოლნისთან, კაპიტან ვოლკმანთან, ბატონ ლუი მოზელთან, თავად
 გიორგი მაჩაბელთან და ბატონ წერეთელთან ერთად დღეს კავკასიის საკითხის
 სამომავლო მოგვარებაზე მოვილაპარაკეთ. ქართველმა ბატონებმა აღნიშნეს,
 რომ მათსა და თათრულ ორგანიზაციებს შორის სრული ერთობა სუფევდა. ორი-
 ვე კომიტეტი მიისწრაფოდა დამოუკიდებელი კავკასიური სახელმწიფოს ჩამოყა-
 ლიბებისკენ. ქმედითი აჯანყების მოძრაობის აღმავლობა აქამდე იარაღის ნაკ-
 ლეობის გამო შეფერხდა, მაგრამ უპირველესად იმიტომ, რომ კავკასიელები და
 თურქები ერთმანეთის მიმართ უნდობლობას ამჟღავნებენ. პოლიტიკური თვალ-
 საზრისით, ქართველები და ასევე მაჰმადიანი კავკასიელები შიშობენ, რომ თურ-
 ქებს კავკასიის ნაწილის ანექსიის ან მთელ კავკასიაზე რაიმე სახის პროტექტო-
 რატის დამყარების იდეა ამოძრავებთ. ყველა კავკასიელს კი ურჩევნია რუსეთის
 ბატონობის ქვეშ დარჩენა, ვიდრე რაიმე ფორმით თურქეთის დამოკიდებულე-
 ბაში აღმოჩენა. სამხედრო ურთიერთობაში კავკასიელები ჩივიან, რომ მათ მიერ
 წარმატებით წამოწყებული მოძრაობა, თურქების მხრიდან ყოველმხრივ ხელის
 შეშლის საგანი ხდება. სათანადოდ მომზადებული აჯანყების ჩავარდნა მხოლოდ
 თურქებს უნდა მიენეროს.

იმპერიის ელჩს კონსტანტინოპოლში, რომელიც ამ საკითხით მუდმივად დაკა-
 ვებულია, შეეძლო ეცადა თურქებსა და კავკასიელებს შორის საბოლოო ურთი-
 ერთგაგების დამყარებისთვის შეენყო ხელი.

სამხედრო მეთაურობა ამიერიდან, გამონაკლისების გარეშე გერმანელებმა უნდა გადაიბარონ, რომელთაც დე ფაქტოდ მთელი მოძრაობა ხელში ჰყავთ, თუმცა ამავდროულად, შეინარჩუნონ კავშირი თურქეთის კავკასიურ არმიასთან და მოხდენილად იშუამდგომლონ მათ, ახალგაზრდა თურქთა კომიტეტსა და კავკასიელებს შორის.

კაპიტან ნადოლნის სურს დიდ გენერალურ შტაბს ურჩიოს, ამ მიზნით გაიგზავნოს დაახლოებით კაპიტანის რანგში მყოფი რომელიმე ოფიცერი ერზერუმში, რომელსაც ერთი ახალგაზრდა ოფიცერი და ოთხი საქმისთვის შესაფერისი გერმანელი ბატონი გაჰყვება თან. ოთხი ზემოხსენებული პირი, რომელთაც ბატონი მოზელი (ტრაპიზონი), ბატონი ფონ შმიდტი და ალბათ ბატონი ოელმანი (კონსტანტინოპოლის სამხედრო მისია) უნდა მიეკუთვნებოდნენ, განთავსდება სხვადასხვა პუნქტებში და მათ საინფორმაციო და საეტაპო სამსახურების ჩამოყალიბება დაევალებათ. კაპიტანმა ნადოლნიმ აღნიშნა, რომ დიდ გენერალურ შტაბში მისი მოლაპარაკებების შემდეგ შეიძლებოდა გათვლა გაკეთებულიყო გონივრულ ვადაში კონსტანტინოპოლში იარაღის ტრანსპორტირებაზე. იარაღის საჭიროება ქართველმა ბატონებმა ციფრებში ასე წარმოადგინეს:

50 000 თოფი 50 მილიონი პატრონით (ამჟამად გვაქვს 15 000 ვერნდლის თოფი დაახლოებით 1 მილიონი პატრონით). 20 ტყვიამფრქვევი 600 000 ტყვიით (ამჟამად უკვე გვაქვს). სხვადასხვა სისტემის დაახლოებით 1000 რევოლვერი, შესაბამისი საბრძოლო საშუალებებით, 5 000 ხანჯალი, სამთო ქვემეხების გარკვეული რიცხვი, ერთი ცალი პორტატული რადიო სადგური, ორი ცალი ადამიანის და ბარგის გადამტანი ტრანსპორტი, ასევე სანიტარული დახმარების ორი სადგურის აღჭურვილობა.

ასეთ შემთხვევაში ეს ბატონები იმედოვნებენ 50 000 კაცის გამოყვანას კავკასიაში.

6 თვიანი დროის მონაკვეთის საერთო ხარჯები, მთლიანი ნასყიდობების, ტრანსპორტის და ა.შ. ჩათვლით, დაახლოებით 10 მილიონი მარკის ზღვარს აღწევს. კაპიტანი ნადოლნი მიიჩნევს, რომ მოსამზადებელი პროცესი გერმანიაში და ორგანიზაციის ჩამოყალიბება კავკასიის სასაზღვრო ზოლში, მთლიანობაში დაახლოებით 6 კვირას მოითხოვს. კაპიტანმა ნადოლნიმ მიაწოდა ამის შესახებ ინფორმაცია დიდ გენერალურ შტაბს და რამდენიმე დღეში შეგვატყობინებს მის გადაწყვეტილებას. ის ვარაუდობს, რომ წამოწყების ხარჯები უთანხმოების საგანი გახდება საგარეო საქმეთა სამინისტროსთან.

ბატონი მოზელი აღნიშნავს, რომ კავკასიაში 6 000 ძველი მაუზერის თოფია განაწილებული, რომელთათვისაც ამჟამად ყოველგვარი ტყვია-წამალი გვაკლია. საცავების შევსება სასწრაფოდ საჭიროა.

Politisches Archiv des Auswärtigen Amtes (PA AA), Akten Betreffend den Krieg 1914, Unternehmungen und Aufwiegungen gegen unsere Feinde im Kaukasus. R 21012.
თარგმანი გერმანულიდან.

№ 54

ბერნში ბერმანიის საბანგებო და სრულუფლებიანი
დესპანის, ბიზბერდ ფრაიჰერ ფონ რომბერგის
თელეგრამა ბერმანიის იმპერიის საბარეო საქმეთა
სამინისტროსადმი, უცნობი ქართველის სამშობლოში
ბაზმზავრების შესახებ

1915 წლის 14 აპრილი
ბერნი

გენერალური კონსული გაისლერი ჟენევიდან იტყობინება:

„ქართველი კერესელიძე¹ რამდენიმე კვირის წინ კონსტანტინოპოლიდან აქ დაბრუნდა, მზადყოფნას გამოთქვამს თურქეთის ფრონტზე საქმიანობისთვის და აღნიშნავს, რომ მისი პარტიის დავალებით ერთი სანდო ქართველი შემდეგ დღეებში ჟენევიდან ოდესის გავლით საქართველოში გაემგზავრება და მზადყოფნას გამოთქვამს კაიზერის მთავრობის რაიმე დავალება შეასრულოს“.

რომბერგი

*Politisches Archiv des Auswärtigen Amts (PA AA), Akten Betreffend den Krieg 1914,
Unternehmungen und Aufwiegungen gegen unsere Feinde im Kaukasus. R 21012.
თარგმანი გერმანულიდან.*

¹ იგულისხმება კერესელიძე ლეო (1883-1943).

№ 55

**საქართველოს განთავისუფლების კომიტეტის
ერთ-ერთი აქტივისტის, მიხეილ თარხანოვის
(ირაკლი ტატიშვილის) ანგარიში დოქტორ
თეოდორ ვებერს, კონსტანტინოპოლში გერმანიის
იპკერიის საელჩოს პირველ დრაგომანს, მის მიერ
თურქეთ-რუსეთის საზღვარზე განხორციელებული
საიდუმლო მისიისა და საქართველოში არსებული
შიდაპოლიტიკური მდგომარეობის შესახებ**

1915 წლის 20 აპრილი
კონსტანტინოპოლი

მივემგზავრებოდი რა მისიით, რომელიც გერმანიის საელჩომ დამაკისრა, მე ჩემს წინაშე მიზნად დავისახე შემომეტანა საქართველოში რაც შეიძლება დიდი რაოდენობა ასაფეთქებელი მასალის, რევოლუციური აქციის განსახორციელებლად და ადგილზე პოლიტიკური სიტუაცია, განწყობილებები და ზოგადად პოლიტიკური საკითხები შემესწავლა. შევასრულე რა ეს მისია შესაძლებლობის ფარგლებში იმდენად, რამდენადაც ამის გაკეთების საშუალებას გარემოებები იძლეოდნენ, პატივი მაქვს ამით წარმოგიდგინოთ შემდეგი მოხსენება.

ძნელი და დამქანცველი მგზავრობის შემდეგ, 18 თებერვალს ჩავედი ერზინჯანში, სადაც ორგანიზაციული ზომები მივიღე საქართველოში 300 კილოგრამი დინამიტის, ბომბების კაფსულ-დეტონატორების, ნაგანის და ბრაუნინგის სისტემების 150 რევოლვერის შემოტანისათვის. ორ დღეში, 20 თებერვალს, მე ჩემს დამხმარე პირთან ერთად მზად ვიყავი გასამგზავრებლად, რის შესახებაც ტელეგრამით შეგატყობინეთ. ჩემი გამგზავრების დღეს დავავადდი სახადის ავადმყოფობით, რამაც გამგზავრებაში ხელი შემიშალა. ვითვალისწინებდი რა წინასწარ ამით შექმნილ საშიშროებას, დროის დაკარგვას და დაგვიანებას, რომლებიც ჩემს მკურნალობას მოყვებოდა, მე დავავალე ჩემს დამხმარე პირს საკუთარ თავზე აელო ჩემს მიერ ნაშოვნო მასალების დანიშნულების ადგილას ტრანსპორტირება. აგრეთვე დავალე მივეცი დაწვრილებით გაეგო ჩემთვის ყველაფრის შესახებ, რაც ხდებოდა ჩემს ქვეყანაში, ვგეგმავდი რა შეერთებას მასთან, როგორც კი დავძლებდი ავადმყოფობას. ასე, ავადმყოფობის პირველი შეტევის შემდეგ, რომელიც 8 დღეს გრძელდებოდა და რომლის დროსაც მუდმივად 38-41 გრადუსი სიცხე მქონდა, გავემგზავრე ბაიბურთში, რათა იქ მიმეღწია საზღვრისათვის ისე, როგორც ეს გააკეთა ჩემმა დამხმარე პირმა. გზაში ავადმყოფობის მეორე შეტე-

ვა შემიყარა, რომელმაც არ მომცა მგზავრობის გაგრძელების საშუალება. იძულებული გავხდი დავბრუნებულიყავი ერზინჯანში, სადაც მკურნავდა დოქტორი ნოიკირხი, გერმანული წითელი ჯვრიდან, რომელიც ნეოსალვარსანის¹ ნემსებს მიკეთებდა. ამ მკურნალობის შედეგად, რამდენიმე დღეში შვევა ვიგრძენი, გამოკეთების ნიშნები დამეტყო, მაგრამ ვერ განვიკურნე სიცხისგან, რომელიც ახლაც მანუხებს. ავადმყოფობის ამ მეორე შეტევისაგან მე იმდენად ფიზიკურად და მორალურად დაუძლურებულად ვიგრძენი თავი, რომ იძულებული გავხდი უარი მეთქვა იდეაზე გამეგრძელებინა მგზავრობა და მიმეღწია საზღვრისათვის. სწორედ ამ მიზეზით, ნახევრად მკვდარი ავადმყოფობით, რომელიც მძვინვარებდა მთელს ტერიტორიაზე, იძულებული გავხდი დავბრუნებულიყავი კონსტანტინოპოლში, მითუმეტეს, რომ საქართველოსკენ მიმავალი ყველა გზები რუსული არმიის ძლიერი კონცენტრაციის შეგედად იყვნენ გადაჭრილი.

პირმა, რომელიც მე გავაგზავნე საქართველოში, იქ ჩაღწევა შეძლო და დანიშნულების ადგილს მიაღწია, საიდანაც ჩემთვის საჭირო ცნობები მომანოდა, რომლებსაც მე მოკლედ აქვე წარმოგიდგენთ.

ომი მოულოდნელი აღმოჩნდა ქართველი ერისათვის. თავდაპირველად, მას არ ჰქონდა განსაზღვრული დამოკიდებულება მის მიმართ, სრულებით არ არსებობდა აზრთა ერთობა და თანხმობა, საერთო წარმმართავი იდეები სხვადასხვა პოლიტიკურ პარტიებს შორის. იქ ნამდვილად ნაკლებად იმყოფებოდნენ კომიტეტის გერმანიის და თურქეთში მოქმედების საქმის ყურში. ამ ახალ ომში ერი მხოლოდ განსაცდელს ხედავდა და მომავლის გაურკვეველობის გამო დაბნეულობაში იყო. თანდათანობით მასებში შეაღწიეს ხმებმა გერმანიის და თურქეთის მთავრობების დაპირებების შესახებ, რამაც პოლიტიკურ დაჯგუფებებს მუშაობისკენ უბიძგა, რათა ნამდვილი მომენტისთვის მათი განწყობა გამოეხატა და დაეფიქსირებინათ, აგრეთვე საკუთარი მოქმედების კოორდინაცია მოეხდინათ. იმ პირთა ინიციატივით, რომლებსაც სხვადასხვა დროს აქედან მიმართეს თხოვნით, ორგანიზებულ იქნა სხვადასხვა პარტიათა კომიტეტი, რომლის მიზანიც იყო, თურქეთის სასარგებლოდ პროპაგანდა გაენია, მისთვის ქართველი ერის თანაგრძნობა გამოეწვია და შესაბამის დროს რევოლუციური აქცია განეხორციელებინა. ამ პროპაგანდას შედეგად მოჰყვა დეზერტირობები რუსული არმიიდან, რომელთა რიცხვი დღითი დღე იზრდება და ერის უკმაყოფილება, რომელიც ფრიად ცივად შეხვდა საქართველოში ჩამოსული ნიკოლოზ II-ის დაპირებებს. ცენტრალურ საქართველოში, უკანასკნელი რევოლუციის მსგავსად დაიწყო რაზმების, ე.წ. წითელი ასეულების შექმნა, რომლებიც შეძლებისდაგვარად არიან შეიარაღებულები, ხოლო ინტელიგენციაში და პოლიტიკურ პარტიებში ადგილი ჰქონდა სიმპათიის გამოვლენას თურქეთის მიმართ. რუსეთის მთავრობამ შენიშნა და გაიგო ეს საფაშუშო სამსახურის მეშვეობით, რომელიც შექმნილ იქნა სომეხთა მიერ რუსების სასარგებლოდ, რის შედეგადაც ზღვარი არ ჰქონდა სასტიკ რეპრესიულ ზომებს (დახვრეტებს, ჩამოხრჩობებს). სწორედ ამით უპასუხა რუსეთმა თუნდაც ყველაზე სუსტ და უმნიშვნელო ეროვნულ გრძნობებს, რომლებსაც გამოხატავდნენ ქართველები. ასეთ გარემოებებში რევოლუციური აქციის განხორციელება საქართველოში, სადაც კონცენტრირებულია 250 000-კაციანი რუსული არმია, პოლიტიკურ პარტიათა გაერთიანებული კომიტეტის მიერ ქვეყნისთვის

¹ ნეოსალვარსანი – წამალი, რომელიც იმ დროს გამოიყენებოდა ძირითადად სიფილისის და სხვადასხვა ტრიპანოზულ დაავადებათა სამკურნალოდ.

დამღუპველად იქნა მიჩნეული, ისევე როგორც სრულიად უიმედოდ წარმატების მიღწევის თვალსაზრისით. არმიის დეზერტირებმა და ერის უკმაყოფილო ჯგუფების წარმომადგენლებმა შექმნეს, როგორც მე ეს უკვე ვახსენე ზემოთ, რევოლუციური რაზმები. კავკასიაში თურქული არმიის საკმარისად მნიშვნელოვანი წარმატება, რომელსაც საქართველოში ასეთი მოუთმენლობით ელოდებოდნენ, მოძრაობაში მოიყვანდა ამ შეიარაღებულ რაზმებს, რომლებიც არ დააკლებდნენ საკუთარ ეფექტურ ძალისხმევას აქციის წარმატებით განხორციელებისთვის. პარტიათა გაერთიანებულმა კომიტეტმა გადანყვიტა დელეგაციის გაგზავნა გერმანიაში და თურქეთში, რასაც აუცილებლად განხორციელებისთვის, თუკი შეძლებს როგორმე თავი დააღწიოს რუსული ხელისუფლების თვალყურის დევნას და ყურადღებას.

ასაფეთქებელი მასალა, რომელიც მე შემოვატანინე საქართველოში, გადაეცა სხვადასხვა პარტიათა მიერ ორგანიზებულ კომიტეტს, რომელიც ხელსაყრელ დროს მას აუცილებლად გამოიყენებს.

ვიმყოფები რა ყოველთვის თქვენს განკარგულებაში იმ ცნობათა თვალსაზრისით, რომელთა მიღებასაც თქვენ მოისურვებთ ჩემგან, პატივი მაქვს დავრჩე, ბატონო დოქტორო, თქვენს უმორჩილეს მსახურად.

მ. თარხანოვი

Politisches Archiv des Auswärtigen Amts (PAA), Akten Betreffend den Krieg 1914, Unternehmungen und Aufwiegungen gegen unsere Feinde im Kaukasus. R 21012.
თარგმანი ფრანგულიდან.

№ 56

**კონსტანტინოპოლში გერმანიის საბანგებო
და სრულუფლებიანი ელჩის,
ბარონ ჰანს ფრაიჰერ ფონ ვანგენჰაიმის თელეგრამა
გერმანიის იმპერიის საბარეო საქმეთა
სამინისტროს, ქართული კომიტეტის წევრ,
მიხეილ თარხანოვის (ირაკლი ტატიშვილის)
მიერ შეუსრულებელი დაპირების შესახებ**

1915 წლის 24 აპრილი
პერა

თარხანოვის გვართ აქ მცხოვრებმა ქართველმა ტატიმ¹, რომელიც თავის დროზე ბატონების კერესელიძის² და წერეთლის შუამავლობით გავიცანი, გააკეთა შემოთავაზება, რომ წავიდეს კავკასიაში და იქ ყველანაირი გზით, განსაკუთრებით ქმედითი პროპაგანდით, საქართველოს რევოლუციონირებაში შეიტანოს წვლილი. ამა წლის იანვარში, ამჯერად საჭირო საშუალებებით აღჭურვილი, ის სახმელეთო გზით რუსეთის საზღვრისკენ გაემგზავრა.

ის ახლა უკან დაბრუნდა, ისე რომ აღებული ვალდებულება არ შეუსრულებია. მის მიერ თავისი მოგზაურობის შესახებ წარმოდგენილ მოხსენებას, წარმოგიდგინებ აქ ხელნაწერის სახით.

თარხანოვი აღნიშნავს, რომ პირვანდელი გეგმის შესრულებაში მას ხელი განსაკუთრებით მძიმე ავადმყოფობამ შეუშალა. ამ ინფორმაციის დასადასტურებლად, ის წარმოადგენს გერმანელი ექიმის დოქტორ ნოიკირხის (წითელი ჯვრის ექსპედიცია), ერზინჯანიდან, აქვე დართულ ცნობას.

ამ მოვლენის სისწორე რომც არ დავაყენოთ კითხვის ქვეშ, უცნაურად მოჩანს, რომ თარხანოვს, რომელიც იმდენად გამოჯანმრთელებული იყო, რომ მოგზაურობა შეძლო, საზღვრის გადაკვეთის ოდნავი მცდელობაც არ ჰქონია. ის, რომ საომარი ოპერაციების შედეგად არსებული მდგომარეობის გამო ის სერიოზულ სირთულეებს წააწყდებოდა, მისი აქედან წასვლის დროს უკვე განხილული და გათვალისწინებული იყო.

ახლა კი საინტერესო იქნებოდა, თუ რა შეფასებას მისცემს წერეთელი, რომელთანაც როგორც სერიოზულ და სანდო ხასიათის კაცთან მინდა გასაუბრება, თარხანოვის მისიას. ასევე გთხოვთ საშუალება მომცეთ, თარხანოვის ინფორმაცია კავკასიაში არსებული მდგომარეობის შესახებ იმ ანგარიშს შევადარო, რო-

¹ იგულისხმება ტატიშვილი ირაკლი (1884-1946).

² იგულისხმება კერესელიძე ლეო (1883-1943).

მელიც, როგორც ჩანს, ბერლინში ამჟამად დაბრუნებულმა თავადმა მაჩაბელმა თავისი შთაბეჭდილებების საფუძველზე შეადგინა.

ვანგენჰაიმი

Politisches Archiv des Auswärtigen Amts (PA AA), Akten Betreffend den Krieg 1914, Unternehmungen und Aufwiegelungen gegen unsere Feinde im Kaukasus. R 21012.
თარგმანი გერმანულიდან.

№ 57

**გერმანიის არმიის სახმელეთო ძალების გენერალური
შტაბის პოლიტიკის საქციის უფროსის, კაპიტან
რუდოლფ ნადოლნის და კავკასიის მეთაურთა
ოფიცრის, თადარიგის კაპიტან ფრიდრიხ-ვერნერ
ფონ დერ შულენბურგის მიერ შედგენილი
„ხარჯთა წინადადება კავკასიის აჯანყებისთვის“,
გამოთვლილი პირველი ექვსი თვისთვის**

1915 წლის 21 მაისი
ბერლინი

1. გერმანული ხელმძღვანელობა:

ა) ხელფასები და დანამატები:

1. კავკასიაში მეთაურთა ოფიცერი, თვიურად 1000 მარკა, დანამატი (სამხედრო ფონდიდან გადასახდელი სამსახურებრივი სარგო) 6 000 მარკა
2. მეთაურთა ოფიცრის დამხმარე ოფიცერი, როგორც ქვემოთ 1) 6 000 მარკა
3. 4 გერმანელი ნდობით აღჭურვილი პირი, თვიური ხელფასი თითოზე 1 300 მარკა, სულ 31 200 მარკა
4. 8 სამხედრო მოხალისე მონაწილე, ანაზღაურება კოლონიალური ჯარების უნტერ-ოფიცრების მსგავსად, თითოზე 600 მარკა, სულ 28 800 მარკა
5. 2 ექიმი აღმოსავლეთ და დასავლეთ კავკასიის ომის თეატრებისთვის, როგორც ქვემოთ 1), სულ 12 000 მარკა
6. 1 ტელეგრაფისტი რადიოსადგურისთვის, თვიური ხელფასი 400 მარკა, სულ 2 400 მარკა

ჯამი 86 400 მარკა

ბ) საკვების ფული 8 სამხედრო მოხალისისთვის და 1 ტელეგრაფისტისთვის, დღიურად 15 მარკა, სულ 24 300 მარკა

გ) აღჭურვილობის და მგზავრობის ფული

1. თითოეული ოფიცრის და ექიმისთვის 4 000 მარკა*, სულ 16 000 მარკა
2. 1 ნდობით აღჭურვილი პირისთვის, რომელიც ამჟამად ბერლინშია, 3000 მარკა
3. დანარჩენი სამი ნდობით აღჭურვილი პირისთვის, რომლებიც თურქეთში უნდა დაითანხმონ, თითოზე 2 500 მარკა, სულ 7 500 მარკა

* თანხა შეიძლება გაზრდილ იქნეს, ისე როგორც ამას ადგილი აქვს სპარსეთისთვის მეთაურთა ოფიცრისთვის, რადგან უკანასკნელს აზიაში რკინიგზის ნაწილობრივი გამოყენება შეუძლია.

4. 8 ომის მოხალისისთვის და 1 ტელეგრაფისტისთვის თითოზე 2 500 მარკა, სულ 22 500 მარკა

ჯამი 49 000 მარკა

- დ) საჩუქრებისთვის თურქულ მხარეზე მეკავშირე ოფიცრის დაყენებისთვის, 6 000 მარკა
- ე) გაუთვალისწინებელი ხარჯები მგ ზავრობის დროს და მეკავშირე ოფიცრის ინსტიტუტის შექმნისას, 14 300 მარკა

საერთო ჯამი 180 000 მარკა

2. აჯანყების ხარჯები

- ა) სახმელეთო საგზაო მონაკვეთი კონსტანტინოპოლიდან კავკასიისკენ
 1. 10 ეტაპის ჩამოყალიბება (ოთახების ქირა, ბანაკების მომზადება, ცხენების ან სამგზავრო საშუალებების ქირაობა ან ყიდვა, ხელფასები პერსონალისთვის, პერსონალისა და ცხენების საკვები მარაგის შევსება), 100 000 მარკა
 2. ეტაპების მოვლა-შენარჩუნება, 300 000 მარკა

ჯამი: 400 000 მარკა

ბ)

1. 2 ცალი მსუბუქი ავტომობილის და 2 ცალი სატვირთო მანქანის შეძენა სათადარიგო ნაწილებთან ერთად, 90 000 მარკა
2. მანქანების, შეკეთების, ნაწილების მოვლა-შენარჩუნება, 24 000 მარკა
3. 4 მძღოლის და 2 შემცვლელის ხელფასები და მოვლა-პატრონობა, 30 600 მარკა

ჯამი: 144 600 მარკა

- გ) მოძრავი რადიოსადგურის შექმნა, 16 500 მარკა
- დ) იარაღის და ტყვია-წამლის მომარაგება, 100 000 მარკა
- ე) სანიტარული მასალა 2 ცალი სანიტარული საველე საავადმყოფოსთვის, 90 000 მარკა.
- ვ) მარაგი სანიტარული მასალის შესავსებად, 40 000 მარკა

საერთო ჯამი: 791 100 მარკა

- ზ) გერმანელი მეთაურის მოგზაურობა აჯანყების რაიონში და დაზვერვის ხარჯები, 150 000 მარკა
- თ) აჯანყებულთა საკვებით მომარაგება, რისი ორგანიზებაც თურქეთის ტერიტორიაზე უნდა მოხდეს, 450 000 მარკა
- ი) საჩუქრები კავკასიის აჯანყების მოძრაობის მეთაურებისთვის და სხვა მნიშვნელოვანი პირებისთვის კავკასიაში, 50 000 მარკა

კ) ფულადი დახმარება აჯანყებულებისთვის და სხვა გაუთვალისწინებელი
გასაღები, 3 378 900 მარკა

საერთო ჯამი: 4 820 000 მარკა

საერთო ჯამი 2) 4 820 000 და 1) 180 000, სულ 5 000 000 მარკა

*Politisches Archiv des Auswärtigen Amts (PA AA), Akten Betreffend den Krieg 1914,
Unternehmungen und Aufwiegelungen gegen unsere Feinde im Kaukasus. R 21013.
თარგმანი გერმანულიდან.*

№ 58

**საქართველოს განთავისუფლების კომიტეტის წევრის,
გიორგი მაგალიის წერილი გერმანიის საგარეო
საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო მდივნის
მოადგილეს, ართურ ციხერმანს, ფულადი დახმარების
თხოვნით და კავკასიაში არსებული ვითარების შესახებ**

1915 წლის 28 მაისი
სტოკჰოლმი

თქვენო აღმატებულება,

ნება მიბოძეთ წერილზე ორი ტელეგრამის დართვით შემდეგი შეგატყობინოთ:
ამ თვის 16 რიცხვში აქეთ გამოვემართე, რათა სახლიდან გამოგზავნილი ფულ-
ლი მიმელო, რაც მე პრესაში ქართული პროპაგანდისთვის, ჩემი თანამემამულე-
ების მხარდაჭერისთვის და საკუთარი ცხოვრებისეული ხარჯებისთვის მჭირდე-
ბა. აქ ჩამოსვლისთანავე, 17 რიცხვში მაშინვე ტელეგრამა გავგზავნე სახლში და
ჩემი სურვილი ვუთხარი. 23 რიცხვამდე არანაირი პასუხი არ მოსულა და ამ დღეს
ხელახლა გავგზავნე ტელეგრამა (დიდი დაგვიანებებია დროის გამო). 24-ში მივი-
ღე პასუხი (პირველი დანართი), რომ პარასკევის შემდეგ გამომიგზავნიან ფულს.
თუმცა 25 რიცხვში ფულის ნაცვლად მივიღე სასწრაფო დეპეშა (მეორე დანარ-
თი), სადაც მწერენ, რომ ფულადი გზავნილები დიდ სირთულეებთან არის დაკავ-
შირებული, რომ გამგზავნისგან ფულის ანგარიშის ნოტარიალურად დამონშე-
ბულ ცნობას ითხოვენ და მნიშვნელოვან შემთხვევებში, სასჯელი 25 000 რუბლი
ჯარიმა და ციხე არის. ამ ინფორმაციამ ძალიან გამაკვირვა და ამაღელვა. ამაზე
მაშინვე ვუპასუხე, რომ არ მიეცათ არანაირი გარანტიები და იქნებ ეცადათ, ნა-
წილი მაინც გამოეგზავნათ. დღემდე არ მიმიღია არანაირი პასუხი, კვლავაც უნ-
და ველოდო და ამდენი დრო დავკარგო.

ჩემთვის უკიდურესად უსიამოვნოა ყველა ასეთ წვრილმანზე თქვენს აღმა-
ტებულებას ვწერო, მაგრამ ძალაუნებურად ვალდებული ვარ, ერთის მხრივ, ჩე-
მი გახანგრძლივებული მოგზაურობის მიზეზი მოგახსენოთ და მეორეს მხრივ,
თხოვნით მოგმართოთ, თქვენო აღმატებულება. ამ გარემოებებიდან და სირ-
თულეებიდან გამომდინარე, მინდა გთხოვოთ, თქვენო აღმატებულება, თანხა 10
000 მარკის ოდენობით რომ მომანოდოთ, რომ მუდმივად აქ ჩამოსვლა არ მჭირდე-
ბოდეს, რაც თავისთავად ბევრ ხარჯთან (მხოლოდ ორივე გზა დაახლოებით 500
მარკა ჯდება) და დროის კარგვასთან არის დაკავშირებული. მე აქამდე საერთო
საქმისთვის მრავალი ათასი გავეცი, და რაც მაქვს და რასაც ვფლობ საქმისთვის
ვიყენებ. ნორმალური მდგომარეობის აღდგენის შემდეგ, შესაძლებლობისთანავე

ამ თანხას მთავრობას უკან გადავუხდით. წინასწარ რომ მცოდნოდა, რომ ამდენი წინაღობა დამხვდებოდა გზაზე და სასწრაფო ტელეგრამის მიუხედავად ამდენი დრო დამეკარგებოდა, გავბედავდი, რომ გამგზავრების წინ ხსენებული თხოვნით შემემუხებინა თქვენი აღმატებულება.

რაც ჩვენს საქმეს შეეხება, მხოლოდ გულისტკივილით მინდა შევნიშნო, რომ ის წინ ნელა მიდის. თავიდან ყველაფერი კარგად მიდიოდა. ჩემი ინფორმაციის შემდეგ იარაღისა და გერმანიის მხარდაჭერის შესახებ, ყველაფერი მზად იყო კავკასიაში ბრძოლის დასაწყებად, მაგრამ სამწუხაროდ იარაღის მიწოდება ვერ მოხერხდა, დახმარება არ მოვიდა, ჩემი ყოფნა ტფილისში ყოველწამიერად არ იყო უსაფრთხო და უნდა ნავსულიყავი, რათა გამეგო ამ დროში რა მოხდა. ბერლინში გავიგე, რომ რუმინეთის მთავრობა იარაღის გადატანასთან დაკავშირებით სირთულეს ქმნიდა და არც თურქები იყვნენ ძალიან მონდომებულები ჩვენთვის რაიმეს დასათმობად. თავს ნებას მივცემ თქვენი აღმატებულების ყურადღება კვლავაც იქით მივაპყრო, რომ რუსეთის ძლევამოსილება მხოლოდ შიდა არეულობით და ამბოხებებით შესაძლოა დაინგრეს. ადამიანური რესურსი რუსეთში ჯერ კიდევ დიდია და სანამ მისი მეგობრები და ეგრეთწოდებული „ნეიტრალური სახელმწიფოები“ მას ფულით და ჭურვებით ამარაგებენ, რთული დასამარცხებელია. ჯერ კიდევ არ არის გვიან, რომ ჩვენს წამოწყებას დავეხმაროთ და განვახორციელოთ. ყველა საშუალებით უნდა ვეცადოთ. თუკი იარაღის გადატანა შეუძლებელია, მაშინ რევოლუციურ პარტიებს ფულით უნდა დავეხმაროთ. განსაკუთრებით ახლა, როდესაც რუსეთში საკვები პროდუქციის გაძვირების და შიმშილის გამო უკმაყოფილება შეინიშნება, ამ დროს შესაძლებლობა არ უნდა განიავდეს. კავკასია ხშირად იყო ასეთი მოძრაობების წამომწყები და არც ამჯერად გაუშვებს შესაძლებლობას, რომ ჩრდილოეთს ტონი მისცეს.

ძალიან გამეხარდა იმის მოსმენა, რომ თურქეთის მთავრობამ გრაფ შულენბურგის დამტკიცებას მხარი დაუჭირა და რომ მალე გრაფი თურქეთისკენ გაემგზავრება. ძალიან გული დამწყდება, თუ ჩემი აქ წამოსვლის გამო ვერ შევძლებ მასთან ერთად მგზავრობას. საქმის ინტერესიდან გამომდინარე, განსაკუთრებით პარტიების ლიდერებთან ურთიერთობის საკითხში, დიდი დახმარების განწევა შემეძლო, რადგან ყველაფერი ვიცი, თუ ვის უნდა მიმართოს კაცმა.

ახლა დაველოდები თქვენი აღმატებულების პასუხს, რომ სამომავლო გეგმები ჩამოვაყალიბო და თუ გრაფი შულენბურგი უკვე გაემგზავრება, მაშინათვე მას მივყვები მეც!

განსაკუთრებული პატივისცემით,
თქვენი აღმატებულების ერთგული,
თავადი მაჩაბელი

Politisches Archiv des Auswärtigen Amtes (PA AA), Akten Betreffend den Krieg 1914, Unternehmungen und Aufwiegelungen gegen unsere Feinde im Kaukasus. R 21013.

თარგმანი გერმანულიდან.

№ 59

**საქართველოს განთავისუფლების კომიტეტის
წევრის, გიორგი მაჩაბლის წერილი აღმოსავლეთის
სანიჭორმასიო ბიუროს ხელმძღვანელს, დოქტორ
კარლ ემილ შაბინგერ ფრაიჰერ ფონ შოვინგენს,
ფულადი დახმარებისა და კავკასიაში რუსეთის მიმართ
პოლიტიკის გააქტიურების შესახებ**

1915 წლის 29 მაისი
სტოკჰოლმი

ძვირფასო ბატონო დოქტორო,

გუშინ მივწერე მის აღმატებულება სახელმწიფო მდივნის მოადგილეს, თუ როგორი რთულია ფულის ყოველ ჯერზე სახლიდან მიღება, და დიდი ოდენობა – საერთოდ შეუძლებელია. ამჯერად მინდოდა, რომ ფულის მარაგი დიდი ხნით შემეგვსო და ამიტომ შევეუკვეთე მნიშვნელოვანი ოდენობა. დღეს მივიღე კიდევ ერთი დეპეშა, რომ ნებადართულია მხოლოდ 1000 რუბლის გამოგზავნა და რომ ჩემი ნათესავები, რაღაც დროის შემდეგ კიდევ ეცდებიან გამოგზავნას. დიახ, ამის შემდეგ აქედან საერთოდ ვეღარ მოვდიოდი, ან მიწევდა აქეთ-იქით მგზავრობა, რაც ჩემთვის ბევრი ხარჯია. მესამე გზავნილის გაკეთება კარგი არ არის, რადგან რუსული სამსახურები ამას როგორმე გაიგებენ და ჩემს ნათესავებს ძალიან არასასურველ მდგომარეობაში ჩააგდებენ. აქედან გამომდინარე მის აღმატებულებას ვთხოვე, რომ 10 000 მარკა სესხის სახით მომეცეს და იმედი მაქვს, რომ ამ მცირე თხოვნაზე უარს არ მეტყვიან. მით უფრო რომ, როგორც თქვენთვის კარგად ცნობილია, აქამდე არც მატერიალურად და არც მორალურად არასდროს მითაკილია საქმის კეთება და ამ შემთხვევაშიც ეს საქმის წინსვლას ემსახურება. მე თავისუფლად უნდა ვიყო, რომ თავი მთლიანად საქმეს მივუძღვნა.

„Berliner Tageblatt“-ის¹ 27 რიცხვის ნომერში (დილის გამოცემა), სათაურის ქვეშ „გალიციიდან რუსების განდევნა“ ვკითხულობთ, რომ გალიციის ბრძოლაში სამმა კავკასიურმა მსროლელმა დივიზიამ და პლასტუნთა ბრიგადამ (ფეხოსანმა კაზაკებმა) მიიღეს მონაწილეობა. მნიშვნელოვანია შევნიშნოთ, რომ ეს ჯარები იანვრამდე სპარსეთში იბრძოდნენ, შემდეგ ყარსთან და მოგვიანებით (აპრილში) ოდესაში გადასხეს. მე ჯერ კიდევ ტფილისში ვიყავი (ეს იყო მარტში), როდესაც ეს ჯარები (მსროლელი დივიზია და პლასტუნები) ბათუმისკენ გაგზავნეს. მსრო-

¹ „Berliner Tageblatt“ („ბერლინური ყოველდღიური ფურცელი“) – მსხვილი გერმანული ყოველდღიური გაზეთი. გამოდიოდა 1872-1939 წლებში.

ლელი დივიზიის მეთაურმა გენერალმა გაბაევმა¹ (სამწუხაროდ ქართველია) ერთ ჩემს მეგობართან თქვა, რომ მან ბრძანება მიიღო თავისი დივიზიით ბათუმში წასასვლელად და იქ გადაყვანისთვის მზადყოფნაში ყოფილიყო. თუმცა მან არ იცოდა, ჯარები ტრაპიზონის, ოდესის თუ კონსტანტინოპოლისთვის იქნებოდნენ განკუთვნილნი, მაგრამ ალბათ უფრო კონსტანტინოპოლისთვის. (ეს ყოველივე მე თქვენ და ბატონ კაპიტან ნადოლნის მოგახსენეთ, ჩემი ჩამოსვლის შემდეგ). ამჟამად ვხედავთ, რომ კავკასიაში მყოფი საუკეთესო ჯარები, რომლებმაც სარიყამიშის გამარჯვება მოიპოვეს, იქიდან მოხსნეს, ასე რომ ამჟამად კავკასიაში რამდენიმე კარგი კავალერიის პოლკის გარდა, სერიოზული ძალები აღარ არიან. ამ ფაქტების დადგენას დიდი მნიშვნელობა აქვს.

ახლა მთავარია, რომ ხელსაყრელი წამი და მოცემული შესაძლებლობა არ გავანიავოთ, ყველაფერი მოძრაობაში მოვიყვანოთ და ჩვენი ექსპედიცია დავაჩქაროთ. თურქები მარტო ვერაფერს მიაღწევენ. აჯანყებას კავკასიაში არა მხოლოდ სტრატეგიული ფასი აქვს, არამედ პოლიტიკურადაც მთელ რუსეთზე ძლიერ იმოქმედებს და გარდაუვლად გამოიწვევს სხვა აჯანყებებსაც. ეს რუსეთს დაანგრევს. თუკი რუსეთს იაპონიასთან არ შეეძლო ომის გაგრძელება დაწყებული არეულობების გამო, მისთვის მით უფრო რთული იქნება ცენტრალურ სახელმწიფოებთან ომი.

ამ დღეებში ველოდები ბატონ ვ[ასილ] დ[უმბაძეს]², ძალიან მაინტერესებს რა სიახლეს მომიყვება. ეს მე უკვე ვაცნობე აღნიშნულ ბატონს და ყველაფერს მოვუყერი თავს. იმედია, ამ თვალსაზრისითაც სასურველი მიზნები მიღწეულია. ამას გარდა ვცდილობ ფინელებთან შეთანხმებას. სამწუხაროდ არავის ვიცნობ, ვინც დამეხმარებოდა, და ამიტომ ძალიან უნდა დავიტვირთო.

გრაფ შულენბურგთან ერთად ჩემი მგზავრობის შესახებ ბატონ სახელმწიფო მდივნის მოადგილეს უკვე ვაცნობე. ამ წერილის შინაარსის შესახებ კარგი იქნებოდა, თუკი მის აღმატებულებას თქვენც აცნობებდით.

ძალიან სასიამოვნო იქნებოდა, ბატონო დოქტორო, თქვენგან რაიმეს გაგება. საუკეთესო სურვილებით,

თქვენი ერთგული თავადი მაჩაბელი

Politisches Archiv des Auswärtigen Amts (PA AA), Akten Betreffend den Krieg 1914, Unternehmungen und Aufwiegungen gegen unsere Feinde im Kaukasus. R 21013.

თარგმანი გერმანულიდან.

¹ იგულისხმება გაბაშვილი (გაბაევი) ვასილი (1853-1933).

² სტოკჰოლმში გერმანიის დესპანის ლუციუსის 1915 წლის 6 ივნისის ტელეგრამა საგარეო საქმეთა სამინისტროს: „მაჩაბელს სურს შემდეგ ოთხშაბათს დუმბაძის ჩამოსვლას აქ დაელოდოს. გთხოვთ მითითებას, საჭიროა თუ არა მისი დაუყოვნებლივი გამგზავრება. ფული ამ მომენტისთვის საჭირო არ არის“. Politisches Archiv des Auswärtigen Amts (PA AA), Akten Betreffend den Krieg 1914, Unternehmungen und Aufwiegungen gegen unsere Feinde im Kaukasus. R 21013.

№ 60

საქართველოს განთავისუფლების კომიტეტის წევრის,
მიხეილ წერეთლის წერილი ოთო გიუნდერ ფონ
ვეზენდონკს, გერმანიის იმპერიის საბარეო საქმეთა
სამინისტროს ლეგაციის მდივანს და
ახლო აღმოსავლეთის საქმეთა რეფერატს,
ლეო კერესელიძის დრაპიზონში შესაძლო
გამგზავრების შესახებ

1915 წლის 5 ივნისი
ბერლინი

პატივცემულო ბატონო ვეზენდონკ,

მე გავიგე, რომ ბატონი ლ. კერესელიძე, ქართული კომიტეტის მეთაური ტრაპიზონში, კონსტანტინოპოლს გაემგზავრა. აქედან გამომდინარე, უმორჩილესად გთხოვთ, ბატონ თ. ვეზერს, კონსტანტინოპოლში გერმანიის საელჩოს დრაგომანს, შემდეგი ტელეგრამა გაუგზავნოთ:

„გთხოვთ ტელეგრაფის მეშვეობით შეგვატყობინოთ, ლეო კერესელიძე კონსტანტინოპოლში მარტო ჩამოვიდა, თუ მთელ ქართულ კომიტეტთან ერთად და საერთოდ, რატომ გაემგზავრა ეს ხალხი ტრაპიზონიდან“. წერეთელი.

თქვენი ერთგული მ. წერეთელი

Politisches Archiv des Auswärtigen Amts (PA AA), Akten Betreffend den Krieg 1914, Unternehmungen und Aufwiegelungen gegen unsere Feinde im Kaukasus. R 21013.
თარგმანი გერმანულიდან.

№ 61

საქართველოს განთავისუფლების კომიტეტის
წევრის, გიორგი მაჩაბლის წერილი აღმოსავლეთის
საინფორმაციო ბიუროს ხელმძღვანელს, დოქტორ
კარლ ემილ შაბინგერ ფრაიჰერ ფონ შოვინგენს,
ბულგარეთის და რუმინეთის წარმომადგენლებთან
სამომავლო შეხვედრის გეგმების შესახებ

1915 წლის 5 ივნისი
სტოკჰოლმი

ბატონო დოქტორო,

დღეს შემატყობინეს, რომ შემიძლია ბერლინში ჩამოვიდე და ფულსაც დამახვედრებენ. მოგზაურობასთან დაკავშირებით ბერლინს მივწერე, რომ თუ ეს გადაუდებლად სასწრაფოა, ახლავე გამოვემგზავრები, თუ არა, მინდა რომ დუმბაძეს დაველოდო, რომელიც როგორც ტელეგრაფიდან ჩანს ოთხშაბათს აქ ჩამოდის. ჯერჯერობით ფული საჭირო არ არის, მე სახლიდან 1000 რუბლი მივიღე (მეტის უფლებას არ იძლევიან) და რაღაც დრო მეყოფა. ახლა მინდა გთხოვოთ, რომ მოგვიანებით მოთხოვნის შესაბამისად ბერლინში გადმომეცეს, რომ კვლავ აქ წამოსვლა არ მომიწიოს. ბერლინში ჩამოსვლის შემდეგ მაშინვე (თუ კიდევ შესაძლებელი იქნება) კონსტანტინოპოლს გავემგზავრები და გზად პრემიერ-მინისტრ ბრატრიანუს¹ და რადოსლავოვს² დაველაპარაკები. ახლა, როდესაც რუსეთის ძალები გალიციაში მარცხის შემდეგ ასე დასუსტებულნი არიან, დაინტერესებული ქვეყნების პირველ პირთათვის შეუმჩნეველი არ დარჩებოდა, რომ რუსეთში დიდი აჯანყებებია მოსალოდნელი. კავკასიური და რუმინულ-ბულგარული საერთო ინტერესების განმარტების შემდეგ და იმით, რომ რუსეთის გამარჯვების შემთხვევაში ეს ინტერესები საფრთხის ქვეშ დადგებიან, იქნებ მოვახერხო ჩვენი იარაღის ტრანზიტის შესახებ თანხმობის მოპოვება.

თუკი რუმინეთის ავსტრიის წინააღმდეგ ომში ჩართვის შემთხვევაში (რაც გამორიცხული არ არის), ჩვენი საქმე დაიმსხვრევა, არ შემეძლება ამ მსოფლიო სკანდალის ცივისსხლიან მაყურებლად დავრჩე. ყველაფერს გავაკეთებ, რომ მოვიპოვო გერმანიის მთავრობის ნებართვა და როგორც რიგითმა ჯარისკაცმა, მამაცი გერმანელი მეომრების რიგებში ვიბრძოლო სამართლიანობის მხარეს შეთქმულთა და მოსკოვიტთა წინააღმდეგ. ამას ღიად განვაცხადებ.

¹ იგულისხმება რუმინეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ბრატიანუ იონი ი. გ. (Brătianu Ion I. C.) (1864-1927).

² იგულისხმება ბულგარეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე რადოსლავოვი ვასილ ხრისტოვი (Радославов Васил Христов) (1854-1929).

ისტორია ერთხელაც ნათელს მოჰფენს საგნებს და საქართველოსაც ექნება იმის თქმის უფლება, რომ მისი ერთი შვილი სამართლიანთა მხარეს იბრძოდა.

სხვათაშორის, ჩემთვის ნაკლები მნიშვნელობა აქვს ამჟამად რას ამბობენ, მე ახლა აღშფოთებული ვარ ადამიანების დანაშაულებით.

ასე რომ, მალე შეხვედრის იმედით,
თქვენი ერთგული,
თავადი მაჩაბელი

*Politisches Archiv des Auswärtigen Amts (PA AA), Akten Betreffend den Krieg 1914,
Unternehmungen und Aufwiegelungen gegen unsere Feinde im Kaukasus. R 21013.
თარგმანი გერმანულიდან.*

№ 62

კონსტანტინოპოლში გერმანიის საბანგებო
და სრულუფლებიანი ელჩის, ბარონ ჰანს ფრაიჰერ
ფონ ვანგენჰაიმის თელეგრაფი გერმანიის იმპერიის
საბარეო საქმეთა სამინისტროსადმი,
საქართველოს განთავისუფლების კომიტეტის წევრის,
ლეო კერესელიძის სურვილზე საქართველოში
წასვლის შესახებ

1915 წლის 8 ივნისი
პერა

კერესელიძეს უნდა რუსეთის გავლით საქართველოში წასვლა, რადგან ამ დრო-
ისთვის ტრაპიზონში მისი მოქმედების შესაძლებლობა არ არსებობს. კომიტეტის
სხვა წევრები ადგილზე დარჩნენ. მე ვურჩიე კ[ერესელიძეს] დალოდებოდა გრაფ
შულენბურგის და მოზელის ჩამოსვლას.

ვანგენჰაიმი

*Politisches Archiv des Auswärtigen Amts (PA AA), Akten Betreffend den Krieg 1914,
Unternehmungen und Aufwiegelungen gegen unsere Feinde im Kaukasus. R 21013.
თარგმანი გერმანულიდან.*

№ 63

**საქართველოს განთავისუფლების კომიტეტის
მემორანდუმი, წარდგენილი ოსმალეთის იმპერიის
მთავრობისადმი, კონსტანტინოპოლის მიერ
ხსენებული კომიტეტის უპირობო აღიარების
აუსილებლობის შესახებ**

1915 წლის 15 ივნისი
კონსტანტინოპოლი

ა) ქართული კომიტეტი და მისი მოქმედება დღევანდელ დღემდე

ქართველ სეპარატისტთა ეროვნული კომიტეტი ორგანიზებულ იქნა ევროპაში მყოფ სხვადასხვა ქართული პოლიტიკური ჯგუფების მიერ და მიზნად ისახავდა დახმარება გაენია საქართველოსთვის მისი დამოუკიდებლობის აღსადგენად, რისთვისაც ესარგებლა ხელისშემწყობი გარემოებებით, რომლებსაც მას უქმნიდა ევროპული ომი.

საკუთარი გეგმის მისაღწევად დახმარების მიღების მიზნით, ოტომანურ და გერმანულ მთავრობებთან მოლაპარაკებების დაწყების შემდეგ, კომიტეტი სავალდებულოდ თვლიდა გაეგზავნა საკუთარი წარმომადგენლები საქართველოში. უკანასკნელთა მისიას წარმოადგენდა გაეცნოთ საკუთარი თანამემამულეებისთვის კომიტეტის ორგანიზაცია, გაეზიარებინათ მათთვის მისი მოქმედების გეგმა, დაემყარებინათ კავშირი და შეთანხმება დაედოთ კომიტეტსა და ერის წარმომადგენელთა შორის იმ მიზნით, რათა კომიტეტის მიერ განხორციელებული ყველა აქცია მათ სურვილებთან შესაბამისობაში ყოფილიყო. ეს მოვლენა ალტაცებით იქნა მიღებული საქართველოში; – ყველა პარტიის და ყველა კლასის წარმომადგენლები გაერთიანდნენ და დაადგინეს:

1. გაეგზავნათ საქართველოს ყველა კუთხეში საკუთარი წარმომადგენლები, რათა გაეფრთხილებინათ მოსახლეობა მეგობრულად შეხვედროდნენ ოტომანურ არმიას მისი ამოცანის განხორციელებისა და წინსვლის ხელშეწყობის მიზნით.
2. შემოეტანათ იარაღი საქართველოში, რათა შეეიარაღებინათ მოსახლეობა აქტიური ღონისძიების გასატარებლად რუსების კავკასიიდან განდევნის მიზნით, როდესაც ისინი დარწმუნდებიან, რომ თურქეთი შეასრულებს ყველა საკუთარ თავზე აღებულ ვალდებულებას საქართველოს მიმართ.

სამწუხაროდ, აქ ქვემოთხსენებულ მიზეზთა გამო, კომიტეტს საშუალება არ აღმოაჩნდა გაეგრძელებინა საკუთარი მუშაობა. ამან გააჩინა ეჭვები საქართვე-

ლოში. კომიტეტის წარმომადგენელი თავადი მაჩაბელი, რომელიც გერმანიაში იყო წასული, დაბრუნდა თურქეთში, რათა გაეგო კომიტეტის მოქმედების შეწყვეტის მოტივები და ისინი გაეცნო ქართველი ერისთვის, რომელიც ძლიერ მოუთმენლად ელოდება ცნობებს ამის შესახებ.

როდესაც კომიტეტი შეუდგა საკუთარ აქციებს ოქტომბერში¹ რუსეთ-თურქეთის საზღვარზე, ის საკუთარი თავის წინაშე ორ მიზანს ისახავდა:

1. შეექმნა ქართული ლეგიონები;
2. შემოეტანა საქართველოში იარაღი, რომელსაც მას გერმანია ჰპირდებოდა, რათა ის დაერიგებინა მოსახლეობისათვის. სამწუხაროდ, იარაღის ტრანსპორტირებას ხელი შეუშალეს პოლიტიკური ხასიათის გარემოებებმა.

ლეგიონთა ფორმირება დასახული იყო კომიტეტის მიერ არა მხოლოდ სამხედრო, არამედ, გარდა ამისა პოლიტიკური თვალსაზრისითაც. აუცილებელი იყო, რათა ქართველი ერი დარწმუნებული ყოფილიყო, რომ ოტომანთა არმია შემოვა საქართველოში არა როგორც მტერი, დაპყრობის მიზნით, არამედ როგორც მოყვარე, ქართულ ლეგიონებთან ერთად, რომლებსაც ქართველი ოფიცრები მეთაურობენ.

საბრძოლო მოქმედებები რუსეთსა და თურქეთს შორის არც კი დაწყებულა, როცა კომიტეტის წევრები გაემგზავრნენ საქართველოს საზღვრებზე და ენერგიულად შეუდგნენ ლეგიონთა ფორმირების საქმეს. ამის გარდა, ოტომანურ მთავრობას უნდა გადაეცა კომიტეტისთვის 5000 თოფი, რომელთა ნაწილიც უნდა გაგზავნილიყო საქართველოში. ამისდა მიუხედავად, ჩვენმა კომიტეტმა შეიტყო ახალგაზრდა თურქთა ტრაპიზონის კომიტეტისგან, რიზა ბეის თავმჯდომარეობით, რომ მას არ გადასცემენ ხსენებულ 5000 თოფს. ამრიგად, ჩვენი კომიტეტი აღმოჩნდა ახალი დაბრკოლების წინაშე. ამას მოყვა ლეგიონთა ფორმირების ფორმალური აკრძალვაც ტრაპიზონის კომიტეტის მხრიდან. და ეს სწორედ იმ დროს, როდესაც კომიტეტი შეუდგა მოლაპარაკებებს ქართველებთან, რომლებიც მსახურობდნენ რუსულ არმიაში, რათა ისინი გადაეხიზებინათ თავისი საქმისათვის, გადაეყვანა საზღვარზე და ჩაერიცხა ლეგიონებში. თუმცა ამის შემდგომ კომიტეტი არ იყო მორალურად მზად ეთანამშრომლა ახალგაზრდა თურქთა ტრაპიზონის კომიტეტთან, მან, ამისდა მიუხედავად, მიიღო მონაწილეობა ძირითად ბრძოლებში, როგორც, მაგალითად, მურღულთან, რომელიც ყველაზე დიდი იყო იმ ბრძოლებს შორის, რომლებიც საქართველოს საზღვართან გაიმართნენ. სხვათა შორის კაზაკთა ყაზარმები, რომლებიც საქართველოს საზღვარზე იმყოფებოდნენ, ისევე როგორც პირველი სოფლები მურღულის მახლობლად, აღებულ იქნენ ჩვენი კომიტეტის ერთ-ერთი წევრის მიერ. ამის შემდგომ კომიტეტმა კვლავ მიიღო მონაწილეობა ბრძოლაში, რომელსაც ადგილი ჰქონდა მურღულის ქვანახშირის საბადოებთან. ჩვენმა კომიტეტმა საკუთარი ძალებით ჩაიგდო ხელში რუსთა ზარბაზნები და დაატყვევა ბევრი რუსი ჯარისკაცი და ოფიცერი. მათ შორის გენერალური შტაბის ოფიცერი ლავროვი, ართვინის კომენდანტი.

ამ მოვლენათა შემდეგ ჩვენს კომიტეტს მოლაპარაკებები ჰქონდა რიზა ბეისთან, ახალგაზრდა თურქთა ტრაპიზონის კომიტეტის თავმჯდომარესთან, იმ გეგმის განხორციელების თაობაზე, რასაც შედეგად მოყვებოდა აჯანყება საქარ-

¹ იგულისხმება 1914 წლის ოქტომბერი.

თველოში. თუმცა ამ მოლაპარაკებებს არავითარი შედეგი არ მოჰყოლია. მურ-
ლულის ალების შემდგომ, კომიტეტი დაბარებულ იქნა ტრაპიზონში, სადაც 25
დღის განმავლობაში რჩებოდა აბსოლუტურ უმოქმედობაში.

მურლულთან დამარცხებამ მტრის რიგებში ისეთი პანიკა შვა, რომ მან დატო-
ვა საკუთარი პოზიციები ბორჩხასთან, მარადიდთან და აჭარის წყალთან. თუმცა
ეს გვიკაფავდა გზას აჭარისკენ, ჩვენი კომიტეტი რომელიც, ამისდა მიუხედავად,
სრულებითაც არ იყო მომხრე შეგვეტია ცუდად ორგანიზებულ მოხალისეთა კორ-
პუსთან ერთად, მოითხოვდა ამ უკანასკნელთა უკეთეს ორგანიზაციას, რადგან ამ
გარემოებებში მხოლოდ მოხალისეთა კორპუსი წარმოადგენს სამხედრო ძალას.

დეკემბრის ბოლოსთვის, როდესაც რუსებმა შეკრიბეს საკუთარი ძალები და
წამოიწყეს შეტევა მოხალისეთა კორპუსის წინააღმდეგ, რომელსაც რიზა ბეი მე-
თაურობდა, ქართული კომიტეტი ისევ დაპატიჟეს მონაწილეობა მიეღო ბრძოლა-
ში. ადგილზე მისვლისთანავე, მან კონსტატაცია გაუკეთა იმ ფაქტს, რომ მდგო-
მარეობა გაუარესდა და გამოსავლის პოვნა ძნელი იყო. ამისდა მიუხედავად,
კომიტეტმა თხოვნით მიმართა რიზა ბეის თანხმობა მიეცა აჭარელი ქართველე-
ბისგან რამდენიმე კორპუსის შექმნაზე და მათთვის რამდენიმე ასეული თოფის
გადაცემაზე. კომიტეტმა ეს თხოვნა ბატონ მოხელისა და პოლკოვნიკ შტანგეს
შუამავლობით მოახდინა. კომიტეტმა საკუთარ თავზე აიღო ამოცანა თავის კორ-
პუსებთან ერთად გადაეკვეთა ჩურჩუქ-სუ, შეჭრილიყო გურიაში და გადაეჭრა ბა-
თუმის რკინიგზის ხაზი. ამ თხოვნამ კვლავ მიიღო იგივე უარი.

ასეთ პირობებში, კომიტეტმა საკუთარ მოვალეობად მიიჩნია შეენწყვიტა თავი-
სი აქცია, რათა ის, შესაბამის შემთხვევაში, ახალ საფუძვლებზე განაახლოს.

ბ) თურქეთისთვის დამოუკიდებელი და ნეიტრალური საქართველოს მნიშვნელობა

ოტომანთა იმპერიულ მთავრობასთან ხელშეკრულების დადებასთან დაკავში-
რებით, ქართველ სეპარატისტთა ეროვნულ კომიტეტს პატივი აქვს წარუდგინოს
მას რამდენიმე მოსაზრება საერთაშორისო როლის მნიშვნელობასთან დაკავში-
რებით, რომელსაც ითამაშებს კავკასიაში დამოუკიდებელი საქართველო. გამომ-
დინარე მისი ჭეშმარიტი ღირებულებებიდან, ხსენებული მნიშვნელობა არ შეიძლება
დარჩეს მისთვის შეუმჩნეველი და შეუფასებელი. ეს ეფექტურად შეუწყობს ხელს
იმ მიზნის განხორციელებას, რომელსაც ისახავდა იმპერიული მთავრობა როდე-
საც იძულებული გახდა მონაწილეობა მიეღო ევროპულ კონფლიქტში, რათა ებრ-
ძოლა, უპირველეს ყოვლისა, რუსეთის – საკუთარი საუკუნოვანი მტრის წინააღმ-
დეგ. ხსენებულ ბრძოლას, დაწყებულს ამ გიგანტური სახელმწიფოს წინააღმდეგ,
ვერ ექნება რაციონალური საფუძველი, თუკი თურქეთის მთავარი მიზანი არ იქნე-
ბა მომავალში საკუთარი არსებობის გარანტირება და რუსეთში შემავალი ყველა
ელემენტის მშვიდობიანი განვითარების უზრუნველყოფა, რათა ამით ბოლო მოუ-
ღოს ყველა იმ მიზნებს, რომლებსაც რუსეთი მუდმივად ისახავდა საკუთარი თავის
წინაშე. რუსეთი არ შეწყვეტს ამ იდეების ერთგულებას, თუკი დიდი მარცხი, რასაც
თან მოყვება შედეგები, რომელთა წინასწარ გათვალისწინებასაც ის, სავარაუდოდ,
ვერ შეძლებს, არ გახდის მას უსაფრთხოოდ. რუსეთს კი ვერ წარმოვიდგენთ ესეთად
მანამდე, სანამ ეს იმპერია, შემდგარი განსხვავებული, მაგრამ კარგად შეკრული
ელემენტებისგან, არ იქნება განწირული დაქუცმაცებისთვის. ხოლო ეს დაქუცმა-
ცება შეიძლება პრობლემატური იყოს, თუკი სამხედრო წარუმატებლობის შედეგად

ხალხები, რომლებიც გამოხატავენ ეროვნულ იმედებსა და გრძნობებს, არ მიიღებენ გამხმრებელ-დახმარებას საკუთარი პოლიტიკური დამოუკიდებლობის განხორციელებისთვის და მიღწევისათვის. ეს ნამდვილად რეალურია, რადგან ქართველ, უკრაინელ, ფინელ და რუსეთთან ვასალური კავშირებით შეკრულ სხვა ერთა ამგვარი იმედები და განწყობები ცნობილი უნდა იყოს იმპერიული მთავრობისათვის. ხსენებული გეგმის განხორციელების მიზნით თურქეთმა, როგორც ამას აკეთებენ მისი მოკავშირეებიც, დახმარების ხელი უნდა გაუწოდოს ამ ერებს, რათა ხელი შეუშალოს სხვა მოვლენათა განვითარებას, რომლებიც არ შეიძლება არ იყვნენ მიმართულნი მის საზიანოდ. რადგან ხსენებულ მეამბოხე და მოჯანყე მოძრაობებს შეუძლიათ იცვალონ ხასიათი და ამრიგად, შინაგანი წესრიგის მოვლენებად გადაიქცნენ, რომელთა მიზანიც მხოლოდ პოლიტიკურ უფლებათა რეალიზაცია, ან ავტონომიაზე უფლებათა აღიარებაა. ისინი შორს იქნებიან იმისგან, რომ დაასუსტონ რუსეთი, რომლის მთავრობაც იძულებული იქნება წავიდეს დათმობებზე ან სულაც საკუთარ თავზე აიღოს ინიციატივა, რომელიც მას მხოლოდ განამტკიცებს და შესაბამისად, გახდის უფრო მძლავრს და აგრესიულს როგორც არასოდეს.

ქართული კომიტეტი უტოვებს იმპერიულ მთავრობას შესაძლებლობას თავად შეაფასოს ეს მოსაზრებები, რომლებსაც ის ყოველმხრივ უჭერს მხარს, რადგან სანამ ეს წინაპირობები კიდევ არსებობენ, მას აქვს საშუალება გამოიყენოს ისინი თავის სასარგებლოდ.

რაც შეეხება საქართველოს, ის გამოხატავს ამ სურვილს, რისი დასტურის მიზნით კომიტეტი თავს უფლებას აძლევს წარუდგინოს იმპერიულ მთავრობას ის, რაც ამ მიზნის მისაღწევად მოიმოქმედა ქართველმა ერმა. უპირველეს ყოვლისა, ქმედითი კომიტეტის შექმნა, რომელმაც საკუთარი შეტევის შედეგად უკუაგდო რუსები, აიღო მურღული და მიაღწია ბათუმამდე. მეორე, – სოლიდარობა, რომელიც გამოავლინა ქართველმა ერმა მისი მოქმედების მხარდაჭერით. გაერთიანება და შეთანხმება ყველა პარტიას შორის, რომლებიც მანამდე მისდევდნენ განსხვავებულ და მტრულ მიზნებს. ხსენებული გაერთიანების დასტურად, ამ გიგანტური ამოცანის განხორციელების მიზნით, – ცენტრალური კომიტეტის შექმნა. და ბოლოს, მისი სოლიდარობა სხვა ერთა მიმართ. – სოლიდარობა, დამყარებული შეთანხმებაზე და ხელშეკრულებებზე ფინეთის მოქმედების კომიტეტთან და კავკასიის ერებთან.

რუსეთი უსაფრთხო გახდება თურქეთისთვის მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი კავკასიაში აღმოცენდება ძველი ქართული სახელმწიფო, რომელიც შეასრულებს ბუფერული სახელმწიფოს როლს და შექმნის შეურყეველ კედელს, დამბას, რომელიც შეაკავებს სლავთა ნაკადის შეღწევას თურქეთის აზიურ ტერიტორიაზე. საქართველო ასრულებდა ამ როლს მანამდე, სანამ სარგებლობდა საკუთარი დამოუკიდებლობით. რუსეთს კი არასოდეს შეეძლო გამხდარიყო ამგვარ საშიშროებად და ჰქონოდა სამხრეთისკენ ექსპანსიის გეგმები, სანამ ეს საერთაშორისო ორგანიზმი არსებობდა ხელისშემშლელ გარემოებად მის გზაზე.

თუკი საქართველო, როგორც მას ამის სურვილი აქვს, შეიძენს ნეიტრალური ქვეყნის სტატუსს, ამით ის სრულებითაც არ გახდება შემანუხებელ საგნად მეზობელი ქვეყნებისათვის. პირიქით, ის შეიქნება უფრო დიდ მშვიდობის ფაქტორად, როგორც საკუთარი საერთაშორისო-სამართლებრივი მდგომარეობით, ისე ტერიტორიის დაურღვევლობის მეშვეობით. ამ შემთხვევაში ის შესაძლებლობას მისცემს მოსაზღვრე ქვეყნებს სხვანაირად განალაგონ საკუთარი თავდაცვითი ძალები და მათი კონცენტრაცია სხვაგვარად მოახდინონ. მუდმივი ნეიტრალიტე-

ტის სტატუსი მით უფრო მიღწევადია, რომ ის სრულ შესაბამისობაში იმყოფება საერთაშორისო სამართლის პრინციპებთან, რადგან ის ერთმანეთს დააცილებს ორ დიდ სახელმწიფოს იმ ადგილებში, სადაც მათი კონტაქტი უეჭველად წარმოშობს საერთაშორისო კონფლიქტებს და ამავე დროს, შეუნარჩუნებს პირდაპირ კონტაქტს სხვა სფეროებში. საქართველო წარმოადგენს მშვიდობის ფაქტორს და გარანტიას, როგორც მისი გეოგრაფიული მდგომარეობით, ისე საკუთარი მოსახლეობის რიცხვით, ვინაიდან, არის რა მოშორებული ხმელთაშუა ზღვის აუზს, არ შეუძლია ჰქონდეს ექსპანსიონისტური გეგმები, რომლებსაც გამოხატავს, მაგალითად, საბერძნეთი და სხვა ქვეყნები, ან საკუთარი ენერჯის კონცენტრაცია მოახდინოს ოცნებებზე და ტენდენციებზე, რომლებიც აღემატება მის როლს. პირიქით, საქართველოს, როგორც ამას ისეთი თანაბარი მნიშვნელობის ქვეყნების მაგალითი ადასტურებს, როგორც დანია და ნორვეგია არის, ძალუძს მხოლოდ მშვიდობის ფაქტორი იყოს, რადგან მისი მიზანი ვერ იქნება სხვა რამ, გარდა იმისა, რომ უზრუნველყოს სხვა სახელმწიფოთა კოლექტივში საკუთარი ეროვნული ინდივიდუალურობა. მას არ ძალუძს საკუთარი ენერჯია მიუძღვნას ამ მიზანს, თუკი უცხო ელემენტების და ტერიტორიების ინკორპორაციის მიზნით, ის დახარჯავს საკუთარ ენერჯიას და ძალებს ხსენებულ ელემენტთა შესანარჩუნებლად უკიდურესობამდე მიყვანილი სამხედრო სისტემის მეშვეობით. სადღეისოდ ყველაფერი ეს დადასტურებულია უარესი საერთაშორისო კონიუნქტურის პირობებში მყოფ დანიისა და ნორვეგიის მიერ, რომლებსაც არა აქვთ რა არავითარი სურვილი ისარგებლონ ევროპული შეტაკებით, რჩებიან თავიანთი შინაგანი საქმეებით დაკავებულ მშვიდობიან მაყურებლებად საკუთარი აბსოლუტური ნეიტრალიტეტის ფარგლებში. საქართველოს უანგარობა და ნეიტრალიტეტი იქნება კიდევ უფრო უკეთესად უზრუნველყოფილი, თუკი ქართული ტერიტორიის ყველა ნაწილი, ისტორიული და ეთნოლოგიური თვალსაზრისით (დადებული ხელშეკრულების ფარგლებში), შევა მომავალი სახელმწიფოს შემადგენლობაში, რაც, ამრიგად, არ აიძულებს ამ უკანასკნელს მიაპყროს საკუთარი მზერა რეგიონებს, რომლებზეც, ბალკანეთის ქვეყნების მსგავსად, ის ვერაფრით ვერ იტყვის უარს.

მოცემულ დებულებათა იმპერიული მთავრობისადმი წარდგენით, ქართულ კომიტეტს სურს გამოთქვას საკუთარი ღრმა რწმენა, რომ ნებისმიერ სხვა, მათ შორის დაპყრობით პოლიტიკას, რომელიც შორს დგას იმპერიის მთლიანობისა და მშვიდობიანი არსებობის უზრუნველყოფისგან, შეუძლია მხოლოდ უბიძგოს ქართველებს აღმოჩნდნენ მეზობელი ძლევამოსილი სახელმწიფოს დაცვის ქვეშ და განაახლონ მე-18 საუკუნის დასასრულის და მე-19 საუკუნის დასაწყისის ისტორიული მოვლენები, საქმის ვითარების იმ მდგომარეობამდე მიყვანით, რომელშიც ის ამჟამად იმყოფება.

Politisches Archiv des Auswärtigen Amtes (PA AA), Akten Betreffend den Krieg 1914, Unternehmungen und Aufwiegungen gegen unsere Feinde im Kaukasus. R 21014; Wien, Haus-, Hof- und Staatsarchiv (HHStA), Politisches Archiv (PA), I 947 Krieg 21 k Türkei: Georgisch-grusinischer Aufstand im Kaukasus 1914-18, Fol. 35-41.
თარგმანი ფრანგულიდან.

№ 64

საქართველოს განთავისუფლების კომიტეტის
 წევრის, გიორგი მაჩაბლის წერილი გერმანიის არმიის
 სახმელეთო ძალების გენერალური შტაბის პოლიტიკის
 საეცხიის უფროსს, კაპიტან რუდოლფ ნადოლნის,
 ქართველ ძველ ოფიცრებთან შეხვედრის სურვილზე
 და თურქებისგან გამოწვეული ხელოვნური
 კრობლემების შესახებ

1915 წლის 19 ივნისი
 ბერლინი

ბატონი წერეთლის ოთხ ოფიცერთა ტყვეთა ბანაკში მოგზაურობის შედეგად
 ნება მიბოძეთ, თქვენო აღმატებულებავ, მოგაწოდოთ რჩევა ჩვენი მიზნებისთვის
 საჭირო ქართველი ოფიცრების აღნიშნული ბანაკებიდან ბერლინში გადმოსაგ-
 ზავნად, რათა მე თავად შევამოწმო ეს ხალხი.

მხედველობაში არიან:

1. უფროსი ლეიტენანტი ჩიქოვანი
2. თადარიგის ლეიტენანტი ხერხეულიძე
(ორივე კიუსტრინში)
3. თადარიგის ლეიტენანტი ოქროპირიძე
შტრალზუნდი (დანჰოლმი)
4. კაპიტანი კონიევი (ჰალე ზაალეზე)
5. ლეიტენანტი ლალიძე
6. [ლეიტენანტი] ბარათოვი
(ორივე თორგაუში)

მე ამ ბატონებს მინდა უფრო ახლოს გავაცნო ჩვენი შეხედულებები და მათი
 მხარდაჭერით, რომელიმესი თუ ყველასი, ვცადო ჯარისკაცებს შორის პროპა-
 განდის წარმოება, რის საბოლოო მიზანს ქართული ლეგიონის შექმნა წარმო-
 ადგენს. ზუსტად სად და როგორ უნდა მოხდეს ამ ოფიცრების განთავსება, ჩემი
 მათთან გასაუბრების შემდეგ ამ საკითხით ისევ შეგეხმიანებით.

ქართველი ჯარისკაცები, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ სხვადასხვა ბანაკებში არი-
 ან გაფანტულები. ამიტომ ნება მომეცით გთხოვოთ, რაც შეიძლება მალე მოხდეს
 მათი თავმოყრა და ვიზრუნოთ იმაზე, რომ ისინი ისეთ პირობებში აღმოჩნდნენ,
 სადაც არც რუსები, არც სომხები და არც სხვა ეროვნების წარმომადგენლები არ
 იქნებიან.

ამასთანავე მინდა შევატყობინო თქვენს აღმატებულებას, რომ 4/17 მარტის ე.წ. სევასტოპოლის ტელეგრამის პეტერბურგის სატელეგრაფო სააგენტოს მიერ დაბეჭდვის და აქედან მომდინარე რუსეთის მთავრობის რეპრესიების მიუხედავად ჩემი თანამემამულეების მიმართ, ამ უკანასკნელების განწყობა არ შეცვლილა და ყველას იმედი აქვს ჩვენი სამშობლოს გერმანიის დახმარებით გათავისუფლების. 4/17 მარტის აღნიშნული ტელეგრამა აღწერდა ტრაპიზონში ქართული კომიტეტის გერმანელი წევრის წერილს გერმანიის საელჩოსადმი კონსტანტინოპოლში, რომელიც რუსებმა ჩაიგდეს ხელში და რომელიც შეიცავდა ინფორმაციას, რომ საქართველო მზად იყო აჯანყებისთვის და დახმარებას თხოულობდა. საქართველოს იმედებს ადასტურებს ტრაპიზონში ჩვენი კომიტეტის ერთი წევრის 1915 წლის 21 მაისით დათარიღებული შეტყობინება, რომელიც გვამცნობს, რომ რამდენიმე კვირის წინ ორი ადამიანი მოვიდა საქართველოს საზღვრიდან ინფორმაციით, რომ საზღვარზე მდებარე რუს ჯარისკაცებს შორის 1 800 ქართველი მეომარი (დრუჟინნიკი¹) იმყოფება, რომლებიც მზად არიან აჯანყებას შეუერთდნენ, თუ კომიტეტის მხრიდან მხარდაჭერა და მზადყოფნა იქნება გარანტირებული. სამწუხაროდ, თურქები გამუდმებით დიდ სირთულეებს გვიქმნიან თუნდაც სადაზვერვო სამსახურის კონტაქტებში ჩვენს თანამემამულეებსა და კომიტეტს შორის. ამ ორივე პირს დიდი შრომის განევა მოუწია ჩვენი კომიტეტის მოსაძებნად, რადგან თურქები მათ უარს ეუბნებოდნენ ყველანაირ ცნობაზე კომიტეტის ადგილსამყოფელის შესახებ. მხოლოდ გერმანელი ოფიცერის, შტანგეს დახმარებით მოახერხეს მათ ტრაპიზონში ჩამოსვლა და ამ ცნობის გადმოცემა. რამდენიმე დღის შემდეგ ისინი სამშობლოში გაემგზავრნენ, თუმცა გზაში, როგორც გაირკვა, ორივე დაიკარგა. ეს არ არის პირველი შემთხვევა, როდესაც ცნობების მომტანი ადამიანების ბედი თურქეთის მიწაზე სიბნელეში იკარგება. 8 ემისრიდან, რომლებიც ჩემი კავკასიაში ყოფნისას ტრაპიზონში გაიგზავნა, მხოლოდ ორმა შეძლო თურქების მიერ გამოწვეული სირთულეების დაძლევა და დაინიშნულების ადგილამდე მისვლა. ძალიან დასანანია, რომ ზუსტად ასე ამგვარ მნიშვნელოვან და აუცილებელ სადაზვერვო სამსახურს ეშლება ხელი.

ჩემი თხოვნა იქნებოდა, რომ გერმანიის მთავრობას ჩვენთვის თურქებისგან მეგობრული დამოკიდებულების მოპოვებაში შეეწყოს ხელი.

თავადი გიორგი მაჩაბელი

Politisches Archiv des Auswärtigen Amtes (PA AA), Akten Betreffend den Krieg 1914, Unternehmungen und Aufwiegelungen gegen unsere Feinde im Kaukasus. R 21013.
თარგმანი გერმანულიდან.

¹ Дружинник (რუს.) – იგულისხმება რუსული არმიის ქართველ მოხალისეთა რაზმის (грузинская добровольческая дружина) წევრი.

№ 65

საქართველოს განთავისუფლების კომიტეტის
წევრის, გიორგი მაჩაბლის წერილი გერმანიის
საგარეო საქმეთა სამინისტროს, ქართულ და ფინურ
დაპოუკიდებლობის მოძრაობებს შორის შეთანხმებაზე
ერთობლივი მოქმედების შესახებ

1915 წლის 26 ივნისი
ბერლინი

დღეს ფინურ და კავკასიურ გამანთავისუფლებელ მოძრაობებს შორის შედგა შეთანხმება ერთიანი მოქმედების შესახებ.

რადგან ამ გაერთიანებით ორივე გამანთავისუფლებელი მოძრაობის მნიშვნელობა სრულიად სხვა გახდა, თავს უფლებას ვაძლევ კაიზერის საგარეო საქმეთა სამინისტროს ამის თაობაზე შევატყობინო. დანარჩენის შესახებ გაეცანით ბატონ გადამდგარი პროკურორის, ვეტერჰოფის¹ დღევანდელი წერილიდან.

ამის შესახებ კავკასიური ორგანიზაციის წევრებს რომ ვაცნობო და სამომავლო გეგმების გატარებაზე მოვილაპარაკოთ, დღეს მივემგზავრები კონსტანტინოპოლში. ჩემი დაბრუნების შემდეგ, თავს უფლებას მივცემ იმპერიის საგარეო საქმეთა სამინისტროს კვლავ დაფუკავშირდე, შესაბამისი ზომების შესახებ მოსალაპარაკებლად.

კაიზერის საგარეო საქმეთა სამინისტროს ერთგული,
თავადი გიორგი მაჩაბელი

*Politisches Archiv des Auswärtigen Amtes (PA AA), Akten Betreffend den Krieg 1914,
Unternehmungen und Aufwiegelungen gegen unsere Feinde im Kaukasus. R 21013.
თარგმანი გერმანულიდან.*

¹ იგულისხმება ვეტერჰოფი ადოლფ ფრიდრიხ (ფრიც) (Wetterhoff Adolf Fredrik (Fritz)) (1878-1922).

№ 66

საქართველოს განთავისუფლების
კომიტეტის წევრის, გიორგი მაჩაბლის წერილი
ადმოსავლეთის საინფორმაციო ბიუროს
ხელმძღვანელს, დოქტორ კარლ ემილ შაბინგერ
ფრაიჰერ ფონ შოვინგენს, ლეო და გიორგი
კერესელიძეების მიერ, 1906 წელს დუშეთში
ჩატარებული ექსპროპრიაციის შესახებ

1915 წლის 15 ივლისი
კონსტანტინოპოლი

პატივცემულო ბატონო დოქტორო,

ძმები კერესელიძეები, რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, 1905-06 წლებში ნაციონალურ პარტიაში მუშაობდნენ და მონაწილეობა მიიღეს სახელმწიფო სალაროს ექსპროპრიაციაში დუშეთში, რასაც პოლიტიკური ხასიათი ჰქონდა.

რუსული ორგანოები კვალზე გავიდნენ და კერესელიძეებს სხვებთან ერთად შვეიცარიაში გაქცევა მოუწიათ. რუსეთის ხელისუფლებამ შვეიცარიის ხელისუფლებისგან ზემოხსენებული პირების გადაცემა მოითხოვა, რომელთა წინააღმდეგ შვეიცარიის ხელისუფლებამ საჩვენებელი გამოძიება წამოიწყო. ამ უკანასკნელმა დაადასტურა, რომ ბატონ კერესელიძეების მიერ ჩადენილი ქმედება პოლიტიკური ხასიათის იყო და გადაცემაზე უარი ითქვა. რაც შეეხება სასიკვდილო განაჩენს ნაციონალური პარტიის მხრიდან, ეს არ შეესაბამება სიმართლეს, იმ დროს უამრავი ასეთი და ჰაერიდან მოტანილი ქორი ვრცელდებოდა.

ძმები კერესელიძეები მაშინ ძალიან ახალგაზრდები და პარტიისადმი ძალიან ერთგულები იყვნენ. რომც ზოგიერთი წარუმატებლობა განეცადათ, ისინი კეთილი რწმენით მოქმედებდნენ.

ამჟამად ორივე ძმა, როგორც თქვენც იცით, ჩვენი საქმის თავგანწირული შემოქმედები არიან. უფროსმა საქართველოს საზღვარზე ურთულეს ბრძოლებში მიიღო მონაწილეობა და ორჯერ დაიჭრა.

სამწუხაროდ, პოლიტიკურად აქტიური ხალხის ბედი ძალიან მძიმეა: თუკი მაგალითად, ჩვენ მოვახერხებთ საქართველოში შეჭრას და რუსების გაძევებას, მაშინ სამშობლოს გამანთავისუფლებლად, გმირებად და ა.შ. გვიზეიმებენ, მაგრამ თუ წამოწყება ჩავარდება, ჩვენთვის ავანტიურისტის, უცხო ქვეყნების აგენტის და მსგავს სახელებს არ დაზოგავენ.

ბევრად უფრო სასარგებლო იქნებოდა, თუ ჩვენ ახლა იარაღის მომარაგების საკითხით დავკავდებით, ეს არის ერთადერთი დარდი, რაც მე მანვალებს და რაზმებს ვფიქრობ.

თქვენი ერთგული,
თავადი მაჩაბელი

*Politisches Archiv des Auswärtigen Amts (PA AA), Akten Betreffend den Krieg 1914,
Unternehmungen und Aufwiegelungen gegen unsere Feinde im Kaukasus. R 21014.
თარგმანი გერმანულიდან.*

№ 67

**საქართველოს განთავისუფლების კომიტეტის
მემორანდუმი ადოლფ ფრიდრიხ (ფრიხ)
ვეტერკოფს, ფინეთის დამოუკიდებლობის
კომიტეტის თავმჯდომარეს, ხსენებულ კომიტეტთა
შორის სამოკავშირეო შეთანხმების დადებასთან
დაკავშირებით**

1915 წლის 19 ივლისი
კონსტანტინოპოლი

ბატონო,

ქართველ სეპარატისტთა ეროვნული კომიტეტი, გაიგო რა მისი ერთ-ერთი წევრის და წარმომადგენლისგან, თავად გიორგი მაჩაბლისგან, რომ თქვენმა ეროვნული დამოუკიდებლობის კომიტეტმა ჩვენთან შეთანხმება დადო, გიცხადებთ საკუთარ სოლიდარობას საერთო განთავისუფლებისთვის მუშაობის საქმეში და გიგზავნით გულითად მოკითხვებს.

ჩვენი კომიტეტი სარგებლობს შემთხვევით, რათა გამოხატოს ფინელი ერის მიმართ საკუთარი ღრმა სიმპატიები და მაღალი პატივისცემა. ჩვენთვის პატივი არის მივიღოთ თქვენ კეთილშობილ ერში, რომლის მაღალი კულტურა და ეროვნული თვისებები დასავლური ცივილიზაციის აღტაცების საგანს წარმოადგენს, გამოძახილი ჩვენს ყიჟინზე განთავისუფლების შესახებ. გისურვებთ იმას, რომ ხელსაყრელი გარემოებების გამოყენებით თქვენ შეძლოთ იმ ბორკილების დამსხვრევა, რომლებიც ართმევენ ფინეთს მის სუვერენიტეტს, უბღალავენ თავმოყვარეობას ეროვნული ინსტიტუტების გაუქმებით და ფეხქვეშ თელავენ მის პოლიტიკურ თავისუფლებას. ქართველ სეპარატისტთა ეროვნული კომიტეტი იბრძვის საერთო საქმისთვის თქვენთან ერთად, რათა საერთო ძალისხმევით შედეგად აღმოცენდეს ჩვენ ჩაგრულ ხალხთა თავისუფლება და რომ ამიერიდან, არცერთმა კავშირმა არ დააბრკოლოს პროგრესის სფეროში მათი აღმავლობა.

პოლიტიკა, რომელსაც მისდევდა რუსეთი ჩვენს მიმართ, განადგურების პოლიტიკა იყო, და არასდროს ერები, როგორც ფინეთი და საქართველოა, შეგნებულად არ დათანხმდებიან მსგავსი უსამართლობის მოთმენას. ისინი აუცილებლად შეტევას მიიტანენ მასზე, ვინც თავს ესხმის მათ ეროვნულ არსებობას, რომლის დაცვასაც ისინი ღირსებით შეძლებენ, ისევე როგორც აიძულებენ პატივი სცენ საკუთარი ბრწყინვალე წარსულის ხსოვნას იმ ბრძოლით, რომელსაც ისინი მამავალში გასწევენ.

ამასთან დაკავშირებით, ამ უზენაეს საათს, რომლისგანაც დამოკიდებულია ჩვენი ორი ერის მომავალი, ქართველები ხელს უნვდიან ფინელებს ძმური კავშირის და სოლიდარობის ნიშნად.

ხელმოწერები:
თავადი მაჩაბელი,
ვიცე-პრეზიდენტი

ლეო კერესელიძე
ვ. ახმეტაშვილი
ხელმოწერა გაურჩევლად
მ. ქარცივაძე
ხელმოწერა გაურჩევლად
ე. ჩაჩავა

*Politisches Archiv des Auswärtigen Amts (PA AA), Akten Betreffend den Krieg 1914,
Unternehmungen und Aufwiegelungen gegen unsere Feinde im Kaukasus. R 21014.
თარგმანი ფრანგულიდან.*

№ 68

ქალაქ ოდესის უნივერსიტეტის სამმართველოს
 უფროსის, კოლეგოვნიკ პავლე ზავარზინის მოხსენებითი
 ბარათი, ოდესის უმაღლეს სასწავლო დაწესებულებების
 მოსწავლეთა მიერ 1914-1915 სასწავლო წლის
 დასაწყისიდან ჩადენილ დანაშაულებრივ ქმედებათა
 და ხსენებული სამმართველოს მიერ მათ წინააღმდეგ
 მიღებული ზომების შესახებ¹

20 июля 1915 года
 Одесса

С начала 1914-1915 учебного года и до сего времени в среде учащихся в высших учебных заведениях гор[ода] Одессы никаких выступлений не наблюдалось. – Существующие в университете землячества также слабо проявляли свою деятельность, и лишь небольшая группа студентов-грузин, принадлежавших к партии социалистов-федералистов, 13 октября минувшего года устроила собрание, на котором, по сведениям агентуры, присутствовал находящийся в городе Одессе проездом из Турции на Кавказ князь Георгий Васильев МАЧАБЕЛИ, сообщивший участникам собрания студентам университета: Клавдию Авесаломову ТКЕМАЛАДЗЕ, Христофору Лукичу РАЧВЕЛИШВИЛИ, Михаилу Дмитриеву САКВАРЕЛИДЗЕ и Михаилу Джибраилову ЯШВИЛИ, что эмигрантом Михаилом Георгиевым ЦЕРЕТЕЛИ и другими грузинами велись переговоры в Турции с представителями Германской империи, в которых, будто бы, принимал участие бывший германский посол в Петрограде граф ПУРТАЛЕС², а также турецкий военный министр ЭНВЕР-ПАША. ЦЕРЕТЕЛИ и его товарищи обратились к германцам с вопросом, будет ли заслушан меморандум [их] представителя [на] мирной конференции. На этот вопрос германцы, будто бы ответили, что может быть заслушан лишь в том случае, если грузины активно выразят свой протест против России. ЦЕРЕТЕЛИ и его товарищи дали утвердительный ответ, заявив при этом, что в нужную минуту грузины Кавказа могут выставить 50 тысяч человек. На это число германцы обещали дать вооружение, медикаменты и другие припасы, причем часть вооружения в то время уже находилась на границе Кавказа

¹ დოკუმენტს თან ახლავს შემდეგი მინაწერი: „Изложенные сведения представлены директору департамента полиции 15 и 25 октября 1914 года за №3213, 13 февраля и 8 марта 1915 года за №№ 588 и 852 и своевременно сообщены подлежащим начальникам губернских жандармских управлений и охранных отделений“.

² იგულისხმება ფონ პურტალესი იაკობ ლუდვიგ ფრიდრიხ ვილჰელმ იოაჰიმ (von Pourtalès Jacob Ludwig Friedrich Wilhelm Joachim) (1853-1928).

между Трапезундом и Батумом и для доставки такового контрабандным путем на берег заготовлены шлюпки; транспортировкой вооружения в Россию заведовал названный Михаил ЦЕРЕТЕЛИ. – Кроме того, германцы, будто бы, выдали представителям грузин тридцать тысяч рублей в виде аванса на расходы. – По поступившим впоследствии сведениям, транспорт оружия был выгружен на берег между Батумом и Трапезундом, но доставить его в Грузию не было возможности и потому, таковой достался аджарцам.

Об этих переговорах князь Георгий МАЧАБЕЛИ просил оповестить студентов-грузин других университетов, что принял на себя студент Христофор РАЧВЕЛИШВИЛИ, предполагавший передать это студентам Киевского университета св. Владимира, а последние должны были передать студентам Петрограда, Москвы и Харькова.

Из Одессы князь МАЧАБЕЛИ, как указывает агентура, выехал в Тифлис, где намерен был организовать национальный комитет, в состав коего должны были войти представители грузин всех направлений, сочувствующих автономии Грузии. Национальный комитет, по словам князя МАЧАБЕЛИ, должен был заняться подготовкой вооруженного восстания грузин на Кавказе, а в университетских городах князь МАЧАБЕЛИ предложил составить комитеты из трех лиц, которые могли бы подготовить учащихся грузин к тому, чтобы они могли по призыву национального комитета явиться на Кавказ и стать в ряды восставших.

Наступившие военные действия с Турцией прервали сношения Кавказа со студентами Новороссийского университета и потому они, не получая отсюда директивы, бездействовали. С наступлением Рождественских каникул студенты-грузины, входящие в состав партии социалистов-федералистов, выехали в Тифлис, где, по сведениям агентуры, избрали из своей среды студенческий комитет этой партии, в состав коего от Новороссийского университета вошли вышеназванные Христофор РАЧВЕЛИШВИЛИ и Михаил САКВАРЕЛИДЗЕ, причем первый из них являлся представителем от студенческого комитета в Центральном Комитете партии.

Члены студенческого комитета социалистов-федералистов занимались организацией рабочих в Тифлисе, для чего устраивали небольшие собрания рабочих, а также с агитационными целями выехали в некоторые уезды губернии. – Кроме того, студенческим комитетом было вынесено решение, в силу которого находившиеся в Тифлисе студенты социалисты-федералисты должны были оставаться там и потому, многие из них не возвратились своевременно в свои учебные заведения.

По дополнительным сведениям агентуры, в феврале месяце в гор[оде] Тифлисе организовался «Национальный Грузинский Комитет», в состав которого вошли представители всех существующих на Кавказе политических партий, а также беспартийные и представители от дворянства.

В виду сего студенческий комитет партии социалистов-федералистов сложил свои полномочия и входивший в таковой Христофор РАЧВЕЛИШВИЛИ 27 февраля возвратился в Одессу, где в виду предстоящих экзаменов никакой противоправительственной деятельности не проявлял, а затем, с наступлением каникулярного времени, выехал на Кавказ.

Начальник жандармского управления гор[ода] Одессы, полковник Заварзин

Государственный архив Российской Федерации (ГАРФ). Ф. 108.

Оп. 1914. Д. 24. Л. 43-45.

№ 69

საქართველოს განთავისუფლების კომიტეტის წევრის,
გიორგი მაჩაბლის წერილი ადოლფ ფრიდრიხ
(ფრის) ვებერჰოფს, ფინეთის დამოუკიდებლობის
კომიტეტის თავმჯდომარეს, ხსენებულ კომიტეტთა
შორის სამოკავშირეო შეთანხმების დადებასთან
დაკავშირებით

1915 წლის 21 ივლისი
პერა

ღრმად პატივცემულო ბატონო პროკურორო,

როგორც თქვენ თანდართული წერილიდან შეიტყობთ, ქართულმა კომიტეტმა სიხარულით მიიღო ცნობა ორმხრივი დაახლოების შესახებ და გიგზავნით საკუთარ მეგობრულ სალამს.

სამწუხაროდ, მე კიდევ აქაურობას ვარ მიჯაჭვული, რადგან მოლაპარაკებები თურქულ მთავრობასთან საშინლად ნელა მიიწევს წინ. თუმცა, იმედი მაქვს, რომ მალე ვიქნები მზად ვიომო, რათა ჩემი სამუშაო ბერლინში ისევ განვაახლო.

ჯერჯერობით კი მეგობრული სალმით,
სრულიად თქვენი ერთგული,
თავადი მაჩაბელი

*Politisches Archiv des Auswärtigen Amts (PA AA), Akten Betreffend den Krieg 1914,
Unternehmungen und Aufwiegelungen gegen unsere Feinde im Kaukasus. R 21014.
თარგმანი გერმანულიდან.*

№ 70

საქართველოს განთავისუფლების კომიტეტის წევრის,
ბიორგი კერესალიძის წერილი ოთო ბიუნდარ ფონ
ვეზენდონკს, გერმანიის იმპერიის საბარეო საქმეთა
სამინისტროს ლეიპციგის ოფისს და
ახლო აღმოსავლეთის საქმეთა რეფერატს,
ქართველი ძველი ოფიცრების განთავსებასთან
დაკავშირებული გეგმების შესახებ

1915 წლის 29 ივლისი
ბერლინი

ბატონო ფონ ვეზენდონკ,

მაქვს პატივი, რომ შემდეგი შეგატყობინოთ:

9-დან 25 ივლისამდე, 12 ტყვეთა ბანაკში 25 ქართველ ტყვე ოფიცერს ვესაუბრე. ოფიცრების საერთო რაოდენობა, რომლებიც ჩვენს მიზნებს შეესაბამებოდა, სამ კატეგორიად შეიძლება დაიყოს:

- ა) რომელთაც მზადყოფნა გამოთქვეს საქართველოს თავისუფლებისთვის იბრძოდნენ. მათი სახელებია:
1. მეტრეველი, ლეიტენანტი, ბურგ მაგდებურგი
 2. კანდელაკი, ლეიტენანტი, ოსნაბრიუკი
 3. ხერხეულიძე, ლეიტენანტი, გუტერსლო
 4. გაჩეჩილაძე, შტაბს-კაპიტანი, ჰანოვერ-მიუნდენი
 5. ადანაია, შტაბს-კაპიტანი, ჰაიდელბერგი
 6. სიამაშვილი, ლეიტენანტი, ფილინგენი
 7. ამაშუკელი, კაპიტანი, ინგოლშტადტი
 8. კიკნაძე, ლეიტენანტი, ნაისე
 9. ინჯია (იმ დახასიათებით, რაც კანდელაკმა მოგვცა. პირადად არ მინახავს)
- ბ) რომლებიც საქართველოს დამოუკიდებლობისთვის იმ შემთხვევაში იბრძოდნენ, თუ დაინახავდნენ უკვე მზა ორგანიზაციის არსებობას:
1. ლეჟინაძე, ლეიტენანტი, ვიურცბურგი
 2. მაღალოვი, კაპიტანი, კულმბახი
- გ) რომლებიც ან გარუსებულები, ანდაც ჩვენი მიზნისთვის გამოუსადეგარნი არიან:

ჩემი რჩევა:

1. პირველი კატეგორიის ოფიცრების (მათთან ერთად, ვინც ბატონმა წერეთელმა ადრე ნახა) კონცენტრაცია მოხდეს სადმე ბერლინთან, რადგან საშუალება გვქონდეს მათ უფრო ხშირად ვესტუმროთ და ვესაუბროთ.
2. მეორე კატეგორიის ოფიცრებსაც ასევე ბერლინიდან სადმე არცთუ შორს მოვუყაროთ თავი, მაგრამ პირველი კატეგორიისგან სრულიად განცალკევებულად, რადგან მათთანაც ხშირად საუბრის საშუალება გვქონდეს.
3. მოვამარაგოთ ისინი ქართული და რუსული წიგნებით, გერმანული კულტურის და გერმანიის ისტორიის შესახებ.

თქვენი ერთგული,
გიორგი კერესელიძე

Politisches Archiv des Auswärtigen Amtes (PA AA), Akten Betreffend den Krieg 1914, Unternehmungen und Aufwiegungen gegen unsere Feinde im Kaukasus. R 21014.
თარგმანი გერმანულიდან.

№ 71

საქართველოს განთავისუფლების კომიტეტის
 თავმჯდომარის, კეძრე სურგულაძის თელავრამა
 ტრაპიზონიდან ამავე კომიტეტის წევრს, ბიორგი
 მაჩაბელს კონსტანტინოპოლში, თურქეთის
 თერიტორიაზე ქართველ ლტოლვილთა
 მდგომარეობისა და ოსმალეთის ხელისუფლებასთან
 მოლაპარაკებისას საქართველოს სრული
 დამოუკიდებლობის მოთხოვნის წამოყენების
 აუცილებლობის შესახებ

1915 წლის 20 აგვისტო
 ტრაპიზონი

ლტოლვილთა რაოდენობა, რომელთაგანაც სულ მცირე 4000 კაცი შეიძლება იყოს შეიარაღებული, დაახლოებით 100 000-ს აღწევს. უნდა ვიფიქროთ იარაღის შოვნაზე. ამ დრომდე ესტატე მაჩაბლის ინფორმირება შეუძლებელი იყო. მის მიერ გამოგზავნილი ხალხი შეპყრობილია. ქართველები მთავრობას¹ ორდუში აგზავნიან. რელიგიის განურჩევლად ყველა ქართველს ჩვენი სრული ნდობა აქვს და მზად არიან იარაღი ჩვენთან ერთად. გთხოვთ, აწარმოთ მოლაპარაკებები საქართველოს სრული დამოუკიდებლობის საფუძველზე. საქართველო არავითარ შემთხვევაში არ დათანხმდება თურქთა ბატონობას.

Politisches Archiv des Auswärtigen Amts (PA AA), Akten Betreffend den Krieg 1914, Unternehmungen und Aufwiegelingen gegen unsere Feinde im Kaukasus. R 21014.
 თარგმანი გერმანულიდან.

¹ ასეა ტექსტში.

№ 72

**საქართველოს განთავისუფლების კომიტეტის წევრის,
გიორგი მაგაბლის წერილი გერმანიის საგარეო
საქმეთა სამინისტროს, ოსმალეთის იმპერიის მიერ
საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარების და
აჭარელი ლტოლვილებისთვის იარაღის მიწოდების
აუცილებლობის შესახებ**

1915 წლის 15 სექტემბერი
კონსტანტინოპოლი

ქართული კომიტეტის 15 ივნისის მემორანდუმის¹ თურქეთის მთავრობისთვის გადაცემის შემდეგ, რის შესახებაც გერმანიის კაიზერის საგარეო საქმეთა სამინისტროს ვაცნობე, კიდევ მომეცა შესაძლებლობა თურქეთის ხელისუფლების წარმომადგენლებთან ჩვენს საკითხზე გვემსჯელა.

ჩემი უკანასკნელი გასაუბრების შემდეგ მინისტრებთან, ენვერ ფაშასთან და თალაათ ბეისთან დიდ პორტაში, შემიძლია შეგატყობინოთ, რომ ამიერიდან ორივე მინისტრმა გამოხატა თანხმობა საქართველოს დამოუკიდებლობასთან დაკავშირებით.

ბოლოს, სამხედრო მინისტრ ენვერ ფაშას ნდობით აღჭურვილ პირთან, გენერალური შტაბის ერთ ოფიცერთან, ამ შეხვედრის შესახებ კიდევ მქონდა საუბრები, რამაც მათ შორის სამხედრო საკითხების საბოლოო მოგვარება გამოიწვია, ლეგიონის მშენებლობასა და საზღვრების დადგენის საკითხებში.

ამას გარდა საელჩოს პირველი დრაგომანის, ბატონ ვებერისგან მივიღე ცნობა, რომ დიდი ვეზირიც ეთანხმება ჩვენს დამოუკიდებლობას და მზადაა ამის შესახებ გერმანიის მთავრობასთან შესაბამისი ნოტები გაცვალოს.

რადგან ვიმედოვნებ, რომ ეს გაცვლა მალე შედგება, თავს ნებას მივცემ საგარეო საქმეთა სამინისტროს ყურადღება გავამახვილო შემდეგზე:

თურქეთთან მოსაზღვრე რეგიონებში ჩვენი პროპაგანდის წყალობით, აჭარის ქართული მოსახლეობა შეუერთდა თურქებს და ჩვენი კომიტეტის წევრების მეთაურობის ქვეშ, მონაწილეობა მიიღო მდინარე ყოროხის, მურღულის და სხვა ბრძოლებში რუსების წინააღმდეგ.

თურქების უკანდახევის შემდეგ საკუთარი საზღვრებისკენ, რუსების ხელახალ შემოსვლასთან ერთად, აჭარის პროვინცია საკუთარი ბედის ამარა აღმოჩნდა რუსების შურისძიების წინაშე. ეს ქვეყანა რუსებისთვის დამახასიათებელი ბარბაროსული მეთოდებით მთლიანად გააუდაბნოეს. მოსახლეობა ამოხოცეს

¹ იხ. დოკ. 63.

და აიძულეს თურქეთის მიწაზე ეპოვნა თავშესაფარი. ამ ლტოლვილების რაოდენობა, რომლებიც თურქეთის სხვადასხვა პროვინციებში არიან მიმოფანტულნი, დღეს 100 000-მდე გაიზარდა.

ჩემი ცნობით, ლტოლვილების მდგომარეობა სასონარკვეთილია. თურქეთის მთავრობამ აქამდე ფაქტიურად არაფერი გააკეთა მათთვის და უდავოდ დაიღუპებოდნენ, რომ არა გერმანიის ხელისუფლება, რომელმაც ტრაპიზონში ჩვენი კომიტეტის მეშვეობით მათ დახმარება მიუტანა.

ჩემი თანამემამულეების სახელით, ჩვენი განსაკუთრებული მადლობა მინდა გადავცე გერმანიის ხელისუფლებას ამისათვის.

ამ ლტოლვილებს არ აქვთ იმაზე უფრო ძლიერი სურვილი, ვიდრე საკუთარ კერას დაუბრუნდნენ და მოუთმენლად ელოდებიან იარაღს, ერთადერთ იმედს, რომ საკუთარი მიწა დაიბრუნონ. ამ წუთისთვის თავისუფლად შეიძლება 5 000 კაციანი ლეგიონის ჩამოყალიბება.

ამიტომ ვთხოვ გერმანიის მთავრობას, რომ თვალი მიაპყრონ ქართველი ლტოლვილების სანწყალობელ მდგომარეობას, რომელთაც გერმანიის სრული ნდობის პირობებში რუსეთის წინააღმდეგ აიღეს იარაღი. გარდა ამისა, ვთხოვ საგარეო საქმეთა სამინისტროს მიიღოს მხედველობაში, როგორც ადრე შეძლებისდაგვარად მოგახსენეთ, რომ საზღვრის მეორე მხარეზეც ქართული ლეგიონები შესაფერის მომენტს ელოდებიან, როდის მიეცემათ იარაღი და ნიშანი აჯანყების დასაწყებად.

რადგან ახლა თურქეთის ხელისუფლებამაც გამოხატა თანხმობა საქართველოს დამოუკიდებლობაზე, ამიტომ ვიმედოვნებ, რომ გერმანიის მაღალი მთავრობა, საერთო ინტერესებიდან გამომდინარე, მის კეთილ ნებას საქართველოს საკითხს კვლავაც დაუთმობს, და განსაკუთრებით კი მომავალ სამშვიდობო მოლაპარაკებებში რუსეთთან ჩვენ შესაბამის ადგილს მიგვიჩენს.

ერთგულებით,

თავადი გიორგი მაჩაბელი,

ეროვნულ-სეპარატისტთა ქართული კომიტეტის წარმომადგენელი

Politisches Archiv des Auswärtigen Amtes (PA AA), Akten Betreffend den Krieg 1914, Unternehmungen und Aufwiegelungen gegen unsere Feinde im Kaukasus. R 21014.

თარგმანი გერმანულიდან.

№ 73

ოსმალური არმიის გენერალური შტაბის პირველი
განყოფილების უფროსის, ვიცე-კოლკოვნიკ ისმეთ
ბეის¹ წერილი საქართველოს განთავისუფლების
კომიტეტის წევრს, გიორგი მაჩაბელს, ოძობანთა
იბკერიის ტერიტორიაზე ხსენებული კომიტეტის
ფუნქციონირებისა და თურქეთის იბკერიის მთავრობის
მიერ საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარების
პირობების შესახებ

1915 წლის 3(16) სექტემბერი
კონსტანტინოპოლი

ბატონო,

პატივი მაქვს დაგიდასტუროთ თქვენი 1915 წლის 17/30 აგვისტოთი დათარიღებული წერილის მიღება, რომელშიც თქვენ, ქართველ სეპარატისტთა ეროვნულ-კომიტეტის სახელით, აყალიბებთ შემდეგ წინადადებებს:

1. ოგომანთა საიმპერიო მთავრობამ აღიაროს საქართველოს დამოუკიდებლობა და მისი უცილობელი უფლება მის რეალურ და ისტორიულ ტერიტორიაზე, რომელიც მოიცავს ქვემო მოყვანილ საზღვრებს: დახოვსკაიდან² შავ ზღვაზე, პირდაპირი ხაზით აბიშირამდე³, შემდეგ პირდაპირი ხაზით იალბუზამდე, ამ უკანასკნელის ჩათვლით. იალბუზიდან პირდაპირი ხაზით ბალთამდე⁴, ბალთიდან პირდაპირი ხაზით ასახომდე⁵. ასახოდან ესაზღვრება დაღესტანს და ჩამოდის სალავათამდე⁶. სალავათიდან პირდაპირი ხაზით გოგჩის ტბამდე, რომლის ზედა ნაწილიც შეევა საქართველოს სახელმწიფოს შემადგენლობაში. გოგჩიდან პირდაპირი ხაზით ჩილდირის ტბამდე, ჩილდირის ტბიდან ბალვანამდე⁷, ბალვანიდან არტა-

¹ იგულისხმება ისმეთ ფაშა ინენიუ მუსტაფა (1884-1973).

² იგულისხმება დახოვსკაიას დასახლება (სტანიცა) თანამედროვე ადიღეთის მაიკოპის რაიონში.

³ იგულისხმება აბიშირას (აბიშირა-ახუბას) მთის ქედი თანამედროვე ყარაჩაი-ჩერქეზეთში.

⁴ ბალთა (ბალთას დასახლება) – ისტორიული აული თანამედროვე ყარაჩაი-ჩერქეზეთის ხაბუზის რაიონში. ამჟამად – ყიზილ-იურტი.

⁵ ასახო – მაღალმთიანი აული დაღესტანში (დიდოეთში).

⁶ სალავათი – მთავარი კავკასიის ქედის მთა დაღესტნისა და აზერბაიჯანის თანამედროვე საზღვარზე.

⁷ ბალვანა – ისტორიული სოფელი შავშეთში. ამჟამად – სოფელი ქირიზლი თანამედროვე თურქეთის ართვინის ოლქში.

ნუჯამდე, ამ უკანასკნელის ჩათვლით. არტანუჯიდან თურქეთ-რუსეთის საზღვრამდე, ადგილამდე, სადაც მოედინება მდინარე ჭოროხი. ქალაქები ელიზავეტოპოლი, ალექსანდროპოლი, ერივანი, ყარსი და არდაგანი რჩებიან ქართული ტერიტორიის გარეთ.

2. ოტომანთა მთავრობა არავითარი მოტივით არ შეუქმნის არავითარ დაბრკოლებას ქართველებს ჩამოაყალიბონ დროებითი მთავრობა რუსული არმიისგან განთავისუფლებული საქართველოს ტერიტორიის პირველივე ნაწილზე. ამის გარდა, ოტომანთა საიმპერიო მთავრობა საკუთარ თავზე ვალდებულებას იღებს არ შეუქმნას არავითარი დაბრკოლება, თუკი კომიტეტი საჭიროდ ჩათვლის, გამოაცხადოს დროებითი მთავრობის შექმნა მდინარე ჭოროხის მარცხენა ნაპირზეც კი, თუმცა ამ მდინარის მარცხენა მხარე ეთმობა თურქეთს.
3. ქართული დროებითი მთავრობის შექმნისთანავე, ოტომანთა საიმპერიო მთავრობა აღიარებს საქართველოს როგორც დამოუკიდებელ სახელმწიფოს და მიიღებს მის წარმომადგენელს.
4. ოტომანთა იმპერიული მთავრობა არავითარ შემთხვევაში არ განაცხადებს პრეტენზიას რუსული სახელმწიფოს რომელიმე სანარმოზე ან ქონებაზე საქართველოში. ეს სანარმოები და ქონება უნდა დაუბრუნდეს საქართველოს სახელმწიფოს, როგორც კომპენსაცია ზარალისთვის, რომელიც მიადგა ქართველ ერს საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში რუსული ბატონობის ფაქტით.
5. თურქული არმიის საქართველოში ყოფნის განმავლობაში, ოტომანთა იმპერიის მთავრობა არ დააკისრებს ქართველ ხალხს არავითარ გადასახადს და კონტრიბუციას.
6. რუსეთ-თურქეთის ომის განმავლობაში, ოტომანთა საიმპერიო მთავრობა არ შეუშლის ხელს კომიტეტისთვის, ან უფრო გვიან საქართველოს დროებითი მთავრობისთვის განკუთვნილი იარაღისა და ტყვია-წამლის საკუთარ ტერიტორიაზე ტრანსპორტირებას და გაუადვილებს მას ამ ამოცანის შესრულებას.
7. ოტომანთა საიმპერიო მთავრობა ხელს არ შეუშლის კომიტეტს ჩამოაყალიბოს ქართული ლეგიონები მის ტერიტორიაზე და გაუადვილებს მას ამ ამოცანას. ხსენებული ლეგიონები შედგება პირთა სამი კატეგორიისაგან:
 - ა) თურქეთში, გერმანიაში ან ავსტრიაში ინტერნირებული ქართველი სამხედრო ტყვეები.
 - ბ) ქართველი ემიგრანტები, რომლებმაც გადაკვეთეს საზღვარი და გადმოვიდნენ ოტომანთა ტერიტორიაზე ამ ზამთრის განმავლობაში სამხედრო მოქმედებების შედეგად.
 - გ) სამხედრო და სამოქალაქო პირები, რომლებიც გადმოვიდნენ საქართველოდან.
8. ქართულ ლეგიონთა ყველა ოფიცერი, ისევე როგორც მთავარსარდალი, უნდა დაინიშნოს ქართველ სეპარატისტთა ეროვნული კომიტეტის მიერ. რაც შეეხება ქართული არმიის ორგანიზაციასა და მის ურთიერთქმედებას ოტომანთა არმიასთან, ორივე მხარე თანხმდება:
 1. რომ ქართული არმიის შინაგანი ორგანიზაცია მთლიანად დამოკიდებული იქნება ქართულ მთავრობაზე.

2. რომ ყველა ოფიცერი, მეთაური, ისევე როგორც გენერალური შტაბი და მთავარსარდალი, იქნებიან დანიშნული და შეცვლილი დროებითი მთავრობის მიერ. ქართულ ლეგიონთა მთავარსარდალი იქნება კომპეტენტური პირი, რომელიც ისარგებლებს როგორც საიმპერიო მთავრობის, ისე ქართული კომიტეტის ნდობით.
3. იმ შემთხვევაში, თუკი ქართული არმიის მთავარსარდალს ამ ომის დროს დასჭირდება ოფიცერთა საკუთარი კადრების დამატებითი კომპლექტაცია, მას შეუძლია მიმართოს საიმპერიო მთავრობას, რათა სთხოვოს ოფიცრები, რომლებიც დასჭირდება.
4. ორი არმიის – ოტომანურის და ქართულის უზენაეს სარდლობას განახორციელებს კავკასიაში მოქმედი საიმპერიო არმიის მთავარსარდალი. კავკასიის არმიის გენერალური შტაბი განსაზღვრავს ქართულ ლეგიონთა მონაწილეობას ოპერაციებში, რათა მათმა მოქმედებამ არ დაარღვიოს სტრატეგიული გეგმის ერთობა. თუმცა ის მხედველობაში მიიღებს, რომ ქართულ ლეგიონთა მოქმედება მიმართული იქნება მომავალი ქართული სახელმწიფოს ტერიტორიის ნაწილის დასაკავებლად, იქ დროებითი მთავრობის გამოცხადების მიზნით, რაც ხელს შეუწყობს ქვეყანაში საერთო აჯანყებას.
5. ქართული არმიის შენახვის მიზნით, ისევე როგორც ყველა სხვა სამხედრო მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად, ოტომანთა საიმპერიო მთავრობა დახმარებას გაუწევს კომიტეტს ან დროებით მთავრობას იარაღის და ტყვია-წამლის მონოდებაში მონაწილეობით და ფინანსური დახმარების აღმოჩენით, რომლის თანხაც შეადგენს ქართული მთავრობის ოფიციალურ ვალს.
6. საერთო ზავის დადებისთანავე, ოტომანური მთავრობა გამოიყვანს საკუთარ ჯარს ქართული ტერიტორიიდან.

საიმპერიო მთავრობას ექნება უფლება:

1. ომის განმავლობაში საკუთარ განკარგულებაში ჰქონდეს რკინიგზის ხაზები და გზები.
2. საკუთარი არმიის საჭიროებისთვის რეკვიზიციების ჩატარება. მაგრამ ეს რეკვიზიციები უნდა განხორციელდებოდეს იქნენ საქართველოს დროებითი მთავრობის შუამავლობით.
3. ომის განმავლობაში იურისდიქციის განხორციელების, იმ შემთხვევაში, როცა საქმე ეხება სამხედრო კანონის გამოყენებას. მაგრამ ჩვეულებრივი სამოქალაქო, სისხლის სამართლის და ადმინისტრაციული იურისდიქცია, ეკუთვნის საქართველოს დროებით მთავრობას.

ქართველ სეპარატისტთა ეროვნულ კომიტეტს ეკისრება ვალდებულება:

1. თურქეთ-რუსეთის ომის მთელი დროის განმავლობაში მთელი ძალებით და საშუალებებით დაეხმაროს თურქულ არმიას.
2. ჩაატაროს საქართველოში ენერგიული პროპაგანდა თურქეთის სასარგებლოდ და რუსების წინააღმდეგ.

3. გააკეთოს ყველაფერი, რაც კი შესაძლებელია, რათა მოაწიოს საქართველოში აჯანყება რუსეთის მთავრობის წინააღმდეგ და ნებისმიერ შემთხვევაში უზრუნველყოს ქართველთა მეგობრული დამოკიდებულება თურქეთის მიმართ.
4. მიაწოდოს თურქულ არმიას ყველა შესაძლო ინფორმაცია რუსული არმიის მოძრაობის, მოქმედებათა გეგმის და დისლოკაციის შესახებ.
5. უზრუნველყოს საქართველოში თურქული არმიის მეგობრული მიღება, უჩვენოს მას გზები, ემსახუროს მეკვლედ მთებში და გაუადვილოს სამხედრო მოძრაობა.

ხელშეკრულების მუხლი: ოტომანთა საიმპერიო მთავრობის ყველა ვალდებულება ქართველ სეპარატისტთა კომიტეტის მიმართ გადადის საქართველოს დროებით მთავრობაზე, როცა ის გამოცხადებული იქნება.

ამის საპასუხოდ, პატივი მაქვს გაცნობოთ, რომ საიმპერიო მთავრობა იღებს ზემოთჩამოყალიბებულ წინადადებებს და ნებას რთავს ქართველ სეპარატისტთა ეროვნულ კომიტეტს, რომელსაც თქვენ წარმოადგენთ, იმუშაოს თურქეთში თქვენს მიერ მითითებული მიზნით და საშუალებით.

თავისთავად ცხადია, თქვენ მუდმივად გეყოლებათ სამხედრო ხელისუფლება თქვენი კომიტეტის მოქმედების საქმის კურსში.

იმ შემთხვევაში, თუკი ჩვენი საერთო ძალისხმევა წარმატებით დასრულდება, საზღვარი თურქეთსა და მომავალ ქართულ სახელმწიფოს შორის, განსაზღვრული იქნება შერეული სამხედრო კომისიის მიერ ზემომითითებული დელიმიტაციის ბაზის საფუძველზე და სტრატეგიულ აუცილებლობათა გათვალისწინებით.

გთხოვთ მიიღოთ, ბატონო, ჩემი მაღალი პატივისცემის ნიშნები.

დიდი გენერალური შტაბის პირველი განყოფილების უფროსი,
ვიცე-პოლკოვნიკი ისმეთი

Politisches Archiv des Auswärtigen Amtes (PA AA), Akten Betreffend den Krieg 1914, Unternehmungen und Aufwiegungen gegen unsere Feinde im Kaukasus. R 21015; Wien, Haus-, Hof- und Staatsarchiv (HHStA), Politisches Archiv (PA), I 947 Krieg 21 k Türkei: Georgisch-grusinischer Aufstand im Kaukasus 1914-18, Fol. 50-54.
თარგმანი ფრანგულიდან.

№ 74

საქართველოს განთავისუფლების კომიტეტის წევრთა,
 მიხეილ წერეთლის და გიორგი კერესელიძის წერილი
 ოთო გიუნთერ ფონ ვეზენდორგს, გერმანიის იმპერიის
 საგარეო საქმეთა სამინისტროს ლეგაციის მდივანს და
 ახლო აღმოსავლეთის საქმეთა რეფერატს, შვეიცარიაში
 დაფუძნებული ალტერნატიული ქართული კომიტეტის და
 არქიმანდრიმ ნიკოლოზის ინფორმაციის შესახებ

1915 წლის 22 სექტემბერი
 ბერლინი

პატივცემულო ბატონო ვეზენდორგ,

პატივი გვაქვს, რომ შემდეგი შეგატყობინოთ:

როგორც ჩვენ თქვენი და სხვა წყაროების საშუალებით გავიგეთ, ჟენევასა და ლოზანაში ორი ახალი ქართული კომიტეტი დაფუძნდა. ლოზანის კომიტეტის შესახებ საერთოდ არაფერი ვიცით, რაც შეეხება ჟენევის კომიტეტს, უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ კომიტეტმა უსამართლოდ მიითვისა ნამდვილი კომიტეტის: „საქართველოს განთავისუფლების კომიტეტის“ სახელი, რომელიც უკვე ერთი წელია გერმანიასა და თურქეთში მუშაობს. ამ კომიტეტის დამფუძნებელი არის ვინმე არქიმანდრიტი ნიკოლოზი, რომლის საქმიანობა თურქეთში ძალიან უსიამოვნოდ გამოიყურება. როდესაც ქართული კომიტეტი კონსტანტინოპოლსა და ტრაპიზონში მუშაობდა, არქიმანდრიტი ნიკოლოზი იყო ჩვენი კომიტეტის წევრი, მაგრამ მუდმივად სანინააღდეგოდ ინტრიგანობდა. თურქებმა შესაძლებლობა გამოიყენეს და ყველანაირად მხარს უჭერდნენ არქიმანდრიტს ჩვენს წინააღმდეგ ინტრიგებში. ახლახანს ბატონმა მაჩაბელმა ბოლოჯერ სცადა კონსტანტინოპოლში არქიმანდრიტის ქართულ კომიტეტთან შერიგება, მაგრამ ამაოდ. თურქებმა, სამწუხაროდ, არქიმანდრიტი საერთოდაც ჟენევაში გამოგზავნეს ახალი ქართული კომიტეტის დასაფუძნებლად და ახლა ის ნამდვილად მუშაობს თურქული ფულით და ინტრიგებით მხარდაჭერილი. ახალი ქართული კომიტეტის ე.წ. „შეფს“, მე (წერეთელი) ძალიან კარგად ვიცნობ. მისი პოლიტიკური წარსული კარგი არის, მაგრამ ის, ალბათ, სრულიად შემთხვევით შეხვდა არქიმანდრიტს ჟენევაში და ამ უკანასკნელმა მისი გადაბირება სცადა. ახალი ქართული კომიტეტის ამ „შეფს“ ჰქვია თეოდოტუს სახოკია¹. მას ჩვენი საქმის შესახებ ინფორმაცია არ აქვს. მე (წერეთელმა) ვცადე მისთვის მთელი ვითარების ახსნა და ვურჩიე,

¹ იგულისხმება სახოკია თედო (1868-1954).

არქიმანდრიტის ინტრიგებისთვის არ დაეჯერებინა. მალე მე მისგან პასუხს ველოდები. ბერნელ ქაჯაიას არ ვიცნობ. შესაძლებელია, რომ მოწოდება, რომელიც ახლახანს გერმანულ გაზეთებში გამოქვეყნდა (და რომლის ტექსტს ჩვენ ამ წერილთან ერთად გიგზავნით), ბატონ სახოკიას მიერ იყოს შედგენილი.

(ამის თაობაზე უმორჩილესად გვინდა გთხოვოთ, აღნიშნულ ბატონებს აუკრძალოთ შვეიცარიაში გერმანიის ელჩთან და კონსულებთან დაკავშირება.

ბატონ მაჩაბელს ასევე შეუძლია ზოგი რამ საინტერესო მოგიყვებოდეს კონსტანტინოპოლიდან მისი დაბრუნების შემდეგ).

თქვენი ერთგულები,
მ. წერეთელი
გ. კერესელიძე
ქართული კომიტეტის წევრები

Politisches Archiv des Auswärtigen Amts (PA AA), Akten Betreffend den Krieg 1914, Unternehmungen und Aufwiegungen gegen unsere Feinde im Kaukasus. R 21014.
თარგმანი გერმანულიდან.

№ 75

**ოსმალეთის იმპერიის ტერიტორიაზე შექმნილი
კავკასიური მისიის წარმომადგენელთა საერთო
ნოტა გოთლიბ ფონ იაგოვს, გერმანიის საგარეო
საქმეთა მინისტრს, გერმანიის და მისი მოკავშირეების
მიერ კავკასიელ ხალხთა დამოუკიდებლობისათვის
ბრძოლის მხარდაჭერისა და უკანასკნელთა მიერ
კავკასიის კონფედერაციული სახელმწიფოს შექმნის
აუცილებლობის შესახებ**

1915 წლის 15 ოქტომბერი
კონსტანტინოპოლი

კავკასიურ მისიას, შემდგარს ჩერქეზთა, დაღესტნელთა, ქართველთა, აზერ-ბაიჯანელ თათართა და ლეკთა წარმომადგენლებისგან, პატივი აქვს წარუდგინოს გერმანიის საიმპერიო მთავრობის კეთილმოსურნე განხილვას შემდეგი მოტივები და რეზოლუციები, რომლებიც სრულიად პასუხობენ კავკასიის ყველა მკვიდრი ხალხის შეხედულებებს, გრძნობებს და სურვილებს.

თუ გავითვალისწინებთ პოლიტიკას, რომელსაც ატარებდა კავკასიაში რუსული მთავრობა ამ მხარის იმპერიაში ინკორპორაციის შემდგომ. პოლიტიკას, რომელიც მიუხედავად კავკასიის ხალხთა მხრიდან მრავალრიცხოვანი ლოიალურობის ნიშნების გამოვლენისა, წარმოადგენს მხოლოდ თავდასხმათა მუდმივ წყებას ყოველგვარ ეროვნულ მისწრაფებებზე, ყველა განსაკუთრებულ ტრადიციებზე და რელიგიურ კულტზე რუსული მართლმადიდებლობის გარდა. პოლიტიკას, რომელიც იყენებს ყველა საშუალებას, კერძოდ კი გავლენიან კლასთა განადგურებას, სასკოლო პროგრამების რუსიფიკაციას, არარუსებისთვის კარიერის მიუწვდომლობას, გადასახადების უზომო ზრდას, მოსახლეობის თვითნებურად და მასობრივად ციმბირში გადასახლებას, ქვეყანაში რუსი კილონისტების დასახლებას, უსასტიკესი და უზომოთ შეურაცხმყოფელი და მჩაგვრელი ფორმით რუსული ენის, კულტურის, რელიგიის, ზნე-ჩვეულებების და ტრადიციების თავს მოხვევას;

თუ გავითვალისწინებთ განწყობას, რომელიც ასეთმა მმართველობამ ფატალურად შვა ქვეყანაში, სადაც შეინიშნება მხოლოდ სიძულვილი რუსების მიმართ და მწვავე სურვილი განთავისუფლებისკენ;

თუ გავითვალისწინებთ ნამდვილად რეალურ უძლურებას, რომელშიც ჩააგდო რუსეთი ამ ომმა;

თუ მხედველობაში მივიღებთ სხვადასხვა ელემენტების, რომლებიც წარმოადგენენ მოსახლეობას რასის, ენის და რელიგიის განურჩევლად, მჭიდროდ გამაერთიანებელი ტრადიციების, ზნე-ჩვეულებების, ინტერესებისა და უბედურების ერთობას;

მისიის წევრები, რომლებიც აბსოლუტურად დარწმუნებულნი არიან იმ სხვადასხვა ხალხთა უპირობო დახმარებაში და მხარდაჭერაში, რომლებსაც ისინი წარმოადგენენ, ერთხმად მიიღეს შემდეგი რეზოლუცია:

- ა) განვიხილოთ დრო, რომელშიც ჩვენ ვიმყოფებით, როგორც უმაგალითო ისტორიული ეპოქა და ვისარგებლოთ ამ უნიკალური შემთხვევით შეიარაღებული აჯანყების ორგანიზაციის მიზნით, რათა გავთავისუფლდეთ რუსული უღლისაგან და ამრიგად, ბოლო მოვუღოთ კაცობრიობის ერთი ნაწილის ტანჯვას, რომელიც უკვე ერთ საუკუნეზე მეტ ხანს იხრჩობა და უშვებლად ტირანული ხელისუფლების კლანჭებში.
- ბ) ჩამოვაცალიბოთ სახელმწიფოთა ერთგვარი კონფედერაცია, რომლის ყველა წევრი, იღებს და ინარჩუნებს რა მთლიან და სრულ ადმინისტრაციულ ავტონომიას, ვალდებული იქნება შესაძლებლობის ფარგლებში გამოეყოს აუცილებელი სამხედრო კონტინგენტი და ფინანსური საშუალებები საერთო ინტერესების და მთლიანად ქვეყნის უსაფრთხოების დასაცავად.
- გ) რუსეთის მხრიდან დაპყრობის ყველა მცდელობათაგან ახალი სახელმწიფოს დასაცავად, მიეცეს მას მოსახლეობის პირობებისადმი და ქვეყნის თავდაცვის მოთხოვნებისადმი ადაპტირებული სამხედრო ორგანიზაცია. დაიდოს სამხედრო კონვენცია თურქეთს და კავკასიის ქვეყნებს შორის, რომელიც უზრუნველყოფს ორივე სახელმწიფოს ურთიერთდახმარებას, მათი ტერიტორიალური მთლიანობის და საერთო ინტერესების დასაცავად.
- დ) განვუმარტოთ გერმანიის საიმპერიო მთავრობას და მის მოკავშირეებს არგუმენტები, რომლებიც ცხადყოფენ, რომ კავკასიის დაკარგვა სასიკვდილო დარტყმას მიაყენებს მათ მრისხანე მტრის პოლიტიკურ პრესტიჟს და საფრთხის შემცველ პოტენციალს, რომ მოძრაობა კავკასიაში აუცილებლად გამოიწვევს გაუთვალისწინებელ შედეგებს თურქესტანში, სპარსეთში, ავღანეთში, ინდოეთში და თავად რუსეთის წიაღში.
- ე) ვთხოვოთ გერმანიის საიმპერიო მთავრობას მისი მძლავრი დახმარება კავკასიელთა ეროვნული იდეალის რეალიზაციისათვის, რომელიც ისწრაფვის ახალი სახელმწიფოს შექმნისკენ და რომელიც დაკავშირებული იქნება საკუთარ კეთილისმყოფლებთან მუდმივი მადლიერების გრძნობით და სავალდებულოდ ჩათვლის შესთავაზოს მათ ყველა სახის ეკონომიკური და კულტურული პრივილეგიები, თავსებადი ქვეყნის ღირსებასთან და მისი დამოუკიდებლობის პრინციპთან.

ჩერქეზული ჯგუფის სახელით:

აზიზ მეკერი, კონსტანტინოპოლის სასოფლო-სამეურნეო აკადემიის პროფესორი

ქართული ჯგუფის სახელით:

თავადი გიორგი მაჩაბელი, ქიამილ თავდგირიძე, კავალერიის ლეიტენანტი

დალესტნური ჯგუფის სახელით:

დოქტორი ისა ქოცეკი ფაშა, ოტომანთა არმიის სანიტარული ინსპექტორი,
ბრიგადის გენერალი

თათართა და ლეკთა ჯგუფის სახელით:

სელიმ ბეი ბეზუთოვი

Wien, Haus-, Hof- und Staatsarchiv (HHStA), Politisches Archiv (PA), I 947 Krieg 21 k Türkei:

Georgisch-grusinischer Aufstand im Kaukasus 1914-18, Fol. 88-90.

თარგმანი ფრანგულიდან.

№ 76

**ოსმალეთის იმპერიაში ავსტრია-უნგრეთის
დროებითი რწმუნებულის, ბრაუნ კარლ ფონ
ფრაუდმანსდორფ-ვაინსბერგის წერილი
ბარონ შტეფან ფონ ბურნიანს, ავსტრია-უნგრეთის
იმპერიის საგარეო საქმეთა მინისტრს, „შეთანხმება
ქართულ კომიტეტსა და თურქულ მთავრობას შორის“**

1915 წლის 15 ოქტომბერი
კონსტანტინოპოლი

როგორც ბატონმა ელჩმა თავის მხრივ უკვე მოახსენა თქვენს აღმატებულე-ბას, ომის დასაწყისიდან გაჩნდა განზრახვა კავკასია რუსული უღლისგან გაგვე-თავისუფლებინა და იქ სახელმწიფო დაგვეფუძნებინა. აზრთა სხვაობა თურქულ და გერმანულ მთავრობებს შორის იმაში მდგომარეობდა, რომ თურქეთს რუსე-თის წინააღმდეგ შეტევითი ომის შედეგად კავკასიის დაპყრობის იმედი ჰქონდა და ფიქრობდა იქ თურქული უზენაესობის ქვეშ ქართული სახელმწიფო დაეარსე-ბინა. გერმანიის მხრივ, გეგმა იმაში მდგომარეობდა, რომ თურქეთთან კავკასი-ის მოსაზღვრე ოლქებში აჯანყებათა ორგანიზაციის შედეგად ეშვა დამოუკიდე-ბელი სახელმწიფოთა კავშირი. ამ ახალი სახელმწიფოს მიზანი უნდა ყოფილიყო, შეესრულებინა ბუფერული სახელმწიფოს როლი თურქეთს და რუსეთს შორის და ამავდროს, რუსეთსა და სპარსეთს შორის კავშირი გაენწყვიტა.

ამ იდეის განხორციელების მიზნით, გარკვეული ხნის განმავლობაში მუშა-ობს ქართული კომიტეტი. გერმანული და თურქული მხარე შეძლებისდაგვარად მხარს უჭერდა ბანდების აქციებს¹, თუმცა ყველა საორგანიზაციო მოქმედებებს აფერხებდა აზრთა სხვაობა ორ მთავრობას შორის. როგორც „ქართული სეპა-რატისტული ეროვნული კომიტეტის“ ბელადი, კონსტანტინოპოლში მოქმედებს ვინმე (თავადი) გიორგი მაჩაბელი.

კავკასიურ ლაშქრობაში² თურქთა დამარცხების შემდეგ, თურქული შეხედუ-ლებები გარკვეულწილად შეიცვალა და ახლა უკვე აქ მზად არიან დამოუკიდე-ბელ ქართულ სახელმწიფოთა კავშირის შექმნას ყოველგვარი შესაძლებელი დახ-მარება გაუწიონ.

ამ დღეებში მაჩაბელმა ბატონ სრულუფლებიან სამხედრო წარმომადგენელს წერილობითი დოკუმენტი გადასცა, რომელსაც ის, მასსა და თურქულ მთავრო-

¹ იგულისხმება პარტიზანული მოქმედებები რუსული არმიის ზურგში.

² იგულისხმება ოსმალეთის არმიის შეტევა კავკასიის ფრონტზე 1914 წლის ბოლოს და 1915 წლის დასაწყისში.

ბას შორის შემდგარ შეთანხმებად ახასიათებდა. უკანასკნელი ატარებს მისადმი მიმართული გენერალური შტაბის პირველი განყოფილების უფროსის წერილის ფორმას. თუმცა ის ამ წერილში თურქეთის მთავრობის სახელით საუბრობს, წერილის ფორმა უკიდურესად ფრთხილია.

ამ წერილში არსებული ხელშეკრულების ტექსტი განსაკუთრებით არის საინტერესო, რის გამოც ვუგზავნი თქვენს აღმატებულებას მის ასლს.

უპირველეს ყოვლისა, ამ დოკუმენტში მომავალი სახელმწიფოს საზღვრებია დადგენილი, და ამ გეგმის თანახმად, დედაქალაქად ტფილისი ივარაუდება. შემდგომ გათვალისწინებულია დროებითი ქართული მთავრობის დანიშვნა იმ მომენტისთვის, როდესაც საქართველო ან მისი ნაწილი რუსებისგან იქნება განმედილი. თურქეთის მთავრობა არწმუნებს კომიტეტს, რომ თურქული სამხედრო ოპერაციები ქართულ მიწა-წყალზე მდგომარეობას არაფრით შეცვლის და თურქეთის ტერიტორიაზე ქართული ლეგიონების ფორმირების და შექმნის ნებართვას იძლევა. ეს ლეგიონები შესდგება, უპირველეს ყოვლისა, ავსტრია-უნგრეთში და გერმანიაში მყოფი რუსი სამხედრო ტყვეებისგან.

თავის მხრივ თურქული მთავრობა პრეტენზიას აცხადებს უფლებაზე, ომის განმავლობაში საქართველოს რკინიგზა და გზები გამოიყენოს, ქართული მთავრობის მეშვეობით რეკვიზიცია განახორციელოს და ა.შ.

საბოლოოდ, ქართული კომიტეტი პირობას დებს, ომის მთელი ხნის განმავლობაში თურქეთის არმიას მხარი დაუჭიროს, საქართველოში თურქეთის მიმართ მეგობრული პროპაგანდა გაატაროს, ქვეყანა რუსების წინააღმდეგ ააჯანყოს, თურქულ არმიას რუსთა მოძრაობის შესახებ ცნობების მიმწოდებლად და გზის მეკვლედ ემსახუროს და ა.შ.

რამდენად განხორციელდება ყველა ეს გეგმა, როგორც ჩანს, გვიჩვენებს მომავალი.

გერმანული მთავრობა, როგორც ეს ტრაპიზონში საიმპერიო და სამეფო გენერალური საკონსულოს შეტყობინებიდან ჩანს, მხარს უჭერს ბანდების აქციას ფულის მეშვეობით და დაპირდა იარაღის და ტყვია-წამლის გამოგზავნას. აქამდე არაფერი ისმის კავკასიაში საერთო და ღია აჯანყების შესახებ, რომელსაც მუდამ დარწმუნებით ელოდებიან.

ჩვენს მიერ მრავალჯერხსენებული კომიტეტის გეგმები სცილდება მხოლოდ საქართველოს სახელმწიფოს შექმნას. ამ საფუძველზე ისინი მიისწრაფვიან დიდ დამოუკიდებელ კავკასიურ სახელმწიფოთა კავშირის დაარსებისკენ, რომელსაც მთავარ ცენტრებად სამი ქალაქი: – ტფილისი, ბაქო და ვლადიკავკაზი ეყოლება.

ჩემთვის მაინც საეჭვოდ რჩება, შეძლებენ თუ არა კავკასიაში მოსახლე და რასობრივად, ენობრივად და კულტურულად ამდენად განსხვავებული მრავალრიცხოვანი ეროვნებები, ერთ დამოუკიდებელ სახელმწიფოში სრულიად გაერთიანებას.

საიმპერიო და სამეფო დროებითი რწმუნებული
ტრაუტმანსდორფი

Wien, Haus-, Hof- und Staatsarchiv (HHStA), Politisches Archiv (PA), I 947 Krieg 21 k Türkei:
Georgisch-grusinischer Aufstand im Kaukasus 1914-18, Fol. 64-70.

თარგმანი გერმანულიდან.

№ 77

საქართველოს განთავისუფლების კომიტეტის წევრის,
გიორგი მარაბლის და კონსტანტინოპოლში გერმანიის
ელჩის, ბარონ ჰანს ფონ ვანგენჰაიმის თელეგრამა
რთო გიუნდერ ფონ ვეზენდორფს, გერმანიის იმპერიის
საგარეო საქმეთა სამინისტროს ლეგაციის მდივანს
და ახლო აღმოსავლეთის საქმეთა რეფერატს, ენვერ
ფაშასთან შეხვედრის შესახებ

1915 წლის 18 ოქტომბერი
ბერლინი

ენვერ ფაშამ თანხმობა განაცხადა ქართული მოძრაობის წარუმატებლობის შემთხვევაში მასში მონაწილე ქართველი ოფიცრები, მათი რუსული ჩინების შენარჩუნებით, მთლიანად აიყვანოს თურქულ არმიაში. ჯარისკაცები მიიღებენ საკუთრებაში მიწას. გთხოვთ, ეს ჩვენს ხალხს პროპაგანდის შესამსუბუქებლად შეატყობინოთ.

მარაბელი
ვანგენჰაიმი

*Politisches Archiv des Auswärtigen Amts (PA AA), Akten Betreffend den Krieg 1914,
Unternehmungen und Aufwiegelingen gegen unsere Feinde im Kaukasus. R 21015.
თარგმანი გერმანულიდან.*

№ 78

**საქართველოს განთავისუფლების კომიტეტის წევრის,
გიორგი მაჩაბლის წერილი ავსტრია-უნგრეთის
იმპერიის ელჩს კონსტანტინოპოლში, მარკგრაფ იოჰან
ფონ კალავიჩინის, თხოვნით ავსტრია-უნგრეთის
მთავრობამ, გერმანიის და თურქეთის იმპერიების
მთავრობების მსგავსად, ხელი შეუწყოს ხსენებული
კომიტეტის მოქმედებას და აღიაროს საქართველოს
დამოუკიდებლობა**

1915 წლის 20 ოქტომბერი
კონსტანტინოპოლი

ქართული კომიტეტის სახელით პატივი მაქვს თქვენს აღმატებულებას უმორჩილესად შემდეგი მოვახსენო:

მე-XIX საუკუნის დასაწყისში, როდესაც მთელი ევროპა ნაპოლეონის ომების გავლენის ქვეშ იმყოფებოდა, საქართველო ბოლო სასონარკვეთილ ბრძოლას ეწეოდა საკუთარი არსებობის და პოლიტიკური ყოფის შესანარჩუნებლად.

საქართველოსადმი მისი ორი მეზობელი მაჰმადიანური სახელმწიფოს, თურქეთის და სპარსეთის მუდმივმა მტრულმა დამოკიდებულებამ, რომელთა არსებობის აზრი მხოლოდ ფანატიკურ სიბრმავეში და ყოველგვარ პოლიტიკურ უაზრობაში მდგომარეობდა, საბოლოოდ მიიყვანეს საქართველო – ეს ძველი კულტურის ქრისტიანული სახელმწიფო – დასუსტებასა და დაცემამდე.

განუწყვეტელმა ომებმა სპარსეთთან და თურქეთთან დააყენეს საქართველოს უკანასკნელის წინა მეფე ერეკლე II (1762-1798) ალტერნატივის წინაშე: უარი ეთქვა თავის მამულზე და ხალხის ეროვნულ დაცვაზე, რითაც ქვეყანა მსხვერპლად მიეტანა, ან საკუთარი თავი მძლავრი სახელმწიფოს პროტექტორატის ქვეშ დაეყენებინა, რის შედეგადაც ის საკუთარ სამეფოს მაინც ინარჩუნებდა. მან იძულებით გადაწყვიტა აერჩია უკანასკნელი. თავდაპირველად ცდილობდა არჩევნის გაკეთებას ავსტრია-უნგრეთის კარზე, ვენაში, ხოლო შემდგომ, როდესაც ერთობას აქ ვერ მიაღწია, ურთიერთობა გააბა პაპის საყდართან. როცა ეს ნაბიჯიც უშედეგო აღმოჩნდა, ის იძულებული გახდა ეძია დაახლოება რუსეთთან, სახელმწიფოსთან, რომელთანაც უკვე ადრინდელი მოლაპარაკებები არსებობდა.

ხსენებული მოლაპარაკებები იმპერატორ ეკატერინე II-ს წარმომადგენლებსა და ერეკლე II-ს შორის დასრულდა ხელშეკრულების დადებით, რომლის თანახმად საქართველო, თავისი დამოუკიდებლობის შენარჩუნებასთან ერთად, საკუთარი სახელმწიფოს მეტაურს (ტახტის მემკვიდრეს), ეროვნულ მმართველობას,

კანონმდებლობას, ქვეყნის ეკლესიას, სამხედრო ძალებს, ფულის მოჭრას და ა.შ. ნებაყოფლობით აყენებდა რუსეთის პროტექტორატის ქვეშ. ეს სახელმწიფო ხელშეკრულება, რომელიც უეჭველად საერთაშორისო სამართლის ხასიათს ატარებს, რუსეთის კანონთა კრებულის მე-XI ტომში არის შეტანილი.

თუმცა იმპერატორმა ეკატერინე II-მ დაიფიცა, სამუდამოდ პატივი ეცა და დაეცვა ეს ხელშეკრულება, მათ შორის საკუთარი ტახტის მემკვიდრეების მემკვიდრეობითაც, ეს ფიცი სულ მალე დაირღვა, რადგან 1801 წელს ალექსანდრე I-მა საქართველოს სამეფო რუსულ გუბერნიებად გადააქცია და მას, თანდათანობით, ყოველგვარი თავისუფლება და უფლებები ჩამოარვა. თვით ხალხებისათვის წმინდათა წმინდა საეკლესიო სამართალიც კი, რისთვისაც საქართველო 362 წლიდან აწარმოებდა წმინდა ომებს, ფეხქვეშ გათელეს იმპერატორის სიტყვის გამტეხებმა.

ხსენებული კრიტიკული პერიოდის დროს, ევროპის დიდი სახელმწიფოები იმდენად იყვნენ დაკავებულნი საკუთარი საქმეებით, რომ პროტესტს ამ საერთაშორისო სამართლის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის გამო ადგილი არა ჰქონია და ალექსანდრე I-მა დაუბრკოლებლად შეძლო საკუთარი მსხვერპლის დამონება.

ქართველმა ხალხმა, რომელიც საკუთარი არსებობის რამდენიმე ათასწლეულს ითვლის და როგორც ძველ ასურელთა, მიდიელთა და ეგვიპტელთა თანამედროვემ, ამ ხალხთა მსგავსად შეიტანა საკუთარი წვლილი კაცობრიობის კულტურის ისტორიაში, არ დატოვა ამ ხელშეკრულების დარღვევა პროტესტის გარეშე. ის ხშირად ცდილობდა განთავისუფლებას რუსული უღლისაგან. ამის დასტურს წარმოადგენენ 1804, 1812, 1844 და 1878 წლების ეროვნული აჯანყებები. ჯერ კიდევ ახლახანს, 1905 წელს, რუსეთ-იაპონიის ომის დროს ქართველებმა ასევე აღმართეს აჯანყების დროშა, რათა რუსეთის რევოლუციის ავანგარდად ემოქმედათ, სამწუხაროდ, აგრეთვე უშედეგოდ. უსამართლობის უხეში ძალადობა დღევანდელ დღემდე გამარჯვებული რჩება.

თანამედროვე მსოფლიო ომი ისევ იძლევა იშვიათ ხელისშემწყობ გარემოებას ქართველთა ეროვნული იდეალების განხორციელებისთვის. საქართველოში არსებობს ყველა ის ფაქტორი, რომლებსაც შეუძლია უზრუნველყოს და გაამართლოს სახელმწიფოს არსებობა. ამის გარანტიად გვევლინება უძველესი ეროვნული სახელმწიფო ისტორია, ძველი ქრისტიანული კულტურა, საკუთარი ისტორიული და მკვეთრად შემოსაზღვრული ტერიტორია, ერთიანი ქართული მოსახლეობა განვითარებული ინტელექტუალური კლასით და თავისი განუყოფელი იურიდიული უფლებებით.

ქვეყანა ძალიან ნოციერია და ბუნებრივი რესურსებით და მინერალებით არის მდიდარი. სადღეისოდ უკვე კარგად ექსპლუატირებული სოფლის მეურნეობაც აგრეთვე იძლევა დამოუკიდებელი და მტკიცე ეროვნულ-ეკონომიკური სახალხო კეთილდღეობის გარანტიას, როგორც კი ნანატრი თავისუფლების მიღების შედეგად სასოფლო-სამეურნეო აღმავლობას წინ არაფერი დაუდგება და საშუალება ექნება თავისუფლად განვითარდეს.

დასავლეთით საქართველოს საზღვრებს შეადგენს შავი ზღვა, მდინარე ქორხის შესართავიდან დახოვსკაიას დასახლებამდე. ჩრდილოეთით – კავკასიონის მთების დიდი ქედი დაღესტანამდე. აღმოსავლეთით – ქვეყანა დაღესტანი და სამხრეთით – გოგჩას ტბა. უკანასკნელიდან საზღვარი თითქმის სწორხაზოვნად

მიემართება მდინარე ჭოროხამდე და შავ ზღვამდე (ზუსტი მონაცემები იხილეთ დანართში N°1).

საქართველოს სამეფოს ამ ტერიტორიაზე ცხოვრობს დაახლოებით 2 მილიონ ნახევარი ქართველი და დაახლოებით 1 მილიონი სხვა ერთა წარმომადგენელი, რის გამოც მომავალი სახელმწიფო 3 მილიონ მოსახლეს დაითვლის. ქვეყნის უმნიშვნელოვანესი ქალაქები არიან ტფილისი, ქუთაისი, ბათუმი, გორი, თელავი და ა.შ. ქართველთა უდიდესი ნაწილი ეკუთვნის ბერძულ-მართლმადიდებლურ რელიგიას, თუმცა აგრეთვე მოგვეპოვება დაახლოებით 300 000 მაჰმადიანი და დაახლოებით 50 000 რომაულ-კათოლიკური რწმენის მიმდევარი.

აღმოსავლეთ კავკასიას მიეკუთვნებიან დაღესტნელები და თათრები, ასე რომ, თუკი ისინიც აგრეთვე აჯანყდებიან, მთლიანი კავკასია, როგორც ცენტრალური ევროპის დიდ სახელმწიფოთა მოკავშირე, უკვე საკუთარი გეოგრაფიული მდებარეობის შედეგად ჩამოაყალიბებს ფრიად ხელსაყრელ ბუფერულ სახელმწიფოს, რომელიც საბოლოოდ მოუღებს ბოლოს რუსეთის გაუმაძღარ მადას დაპყრობებისადმი.

თუკი სადღეისოდ, ცენტრალური ევროპის დიდი ქვეყნები მხარს დაუჭერენ დამონებულ კავკასიას, ამით განხორციელებულ იქნება არა მხოლოდ ჰუმანიზმის და სამართლიანობის აქტი, არამედ, გარდა ამისა, ეს მიანიჭებს მათ სამეურნეო და პოლიტიკური ხასიათის სრულიად განსაკუთრებულ უპირატესობას, რუსეთის მუდმივი დანაკარგის ფონზე. გარდა ამისა, კავკასია ხსნის ახალ გზას სპარსეთ-ინდოეთისკენ და აერთიანებს კავკასიის გზას ბაღდადის გზასთან, რაც შემდგომ უეჭველად გამოიწვევს დიდ ცვლილებას აღმოსავლეთის ეკონომიკურ განვითარებაში. კავკასიის გავლით ავსტრია-უნგრეთისთვის და გერმანიისთვის შეიქმნება ახალი გასაღების ბაზარი ცენტრალურ აზიამდე.

ჯერ კიდევ დღევანდელი რუსეთ-თურქეთის ომის დაწყებამდე, ტრაპიზონში შეიქმნა ქართული კომიტეტი, რომელიც მუშაობს ეროვნული იდეალის განხორციელებისთვის. როგორც 15 ივნისის თურქეთის მთავრობისადმი კომიტეტის მემორანდუმიდან ჩანს¹ (იხ. დამატება N°2), კომიტეტის წევრებმა თავად მიიღეს აქტიური მონაწილეობა ბრძოლაში რუსეთის წინააღმდეგ აჭარაში. თუმცა სამხედრო წარმატება ამ ბრძოლებში დროებითი ხასიათის იყო, მან გვიჩვენა, რომ მოსახლეობამ, კომიტეტის წევრების მეთაურობით, აღტაცებით მოკიდა ხელი იარაღს. სამწუხაროდ, იარაღის ნაკლებობამ, ისევე როგორც კომიტეტის მიმართ თურქეთის მთავრობის ჯერ კიდევ გაურკვეველმა დამოკიდებულებამ, დააბრკოლა აჯანყების მოძრაობის შემდგომი განვითარება.

აჭარის ოლქში რუსების შეჭრის შემდგომ, მთელი ქვეყანა ცნობილ რუსულ-ბარბაროსულ სტილში იქნა გავერანებული, ხოლო მოსახლეობა იძულებული გახდა ლტოლვილად ეძება ხსნა თურქულ ტერიტორიაზე. ამ ლტოლვილთა რიცხვი მერყეობს 70 000-დან 90 000-მდე. ქართულმა კომიტეტმა იმ დროს გადაწყვიტა, არ განაახლოს საკუთარი მოქმედება მანამდე, სანამ სიცხადე და თანხმობა არ გაბატონდება თურქულ მთავრობასა და კომიტეტს შორის და სანამ ახლადშექმნილი სამთა კავშირი არ მოგვცემს რეალურ გარანტიებს საქართველოს მომავალი დამოუკიდებლობის შესახებ.

ამასობაში მიღწეულ იქნა ურთიერთგაგება თურქულ მთავრობასთან, რომლის ასლსაც თან ვურთავთ აქვე, N°1 დანართის სახით². ამის შედეგად კომიტეტი უკ-

¹ იხ. დოკ. 63.

² იხ. დოკ. 73.

ვე შეუდგა ზემოხსენებული ლტოლვილებისაგან ქართული ლეგიონების შექმნას და შეეძლება განაახლოს ბრძოლა, მას შემდეგ რაც ცენტრალური ევროპის დიდ სახელმწიფოებთან კავშირი დამყარდება, ხოლო აუცილებელი იარაღი იქნება მიღებული.

გარდა ამისა, კომიტეტი აპირებს ავსტრია-უნგრეთის და გერმანიის ტყვეთა ბანაკებში მყოფ ქართული ეროვნების სამხედრო ტყვეთა შორის ინტენსიური პროპაგანდის წარმოებას, ჩამოყალიბებულ ლეგიონებში მათ შემდგომ ჩასარიცხად. უეჭველად, ჩვენი ჯარები ამჟამად იქ მოქმედი თურქული არმიის დახმარებით შეძლებენ ქვეყნის განმეზღვრას საძულველი მტრისაგან და რუსული მჩაგვრელი უღლისაგან მის სამუდამოდ გათავისუფლებას.

სადღეისოდ, ქართველთა იმედი ნანატრი თავისუფლების და დამოუკიდებლობის მიღწევაზე უფრო დიდია, ვიდრე ოდესმე იყო, და ქართული ჯარი უეჭველად გამარჯვებულად შევა ქვეყანაში, თუკი პატარა, მამაცი სახელმწიფო მიიღებს ნანატრ დახმარებას ცენტრალური ევროპის დიდ სახელმწიფოთა მხრიდან.

მის აღმატებულება სამხედრო მინისტრ ენვერ ფაშასთან ჩემი საუბრის დროს უკანასკნელმა განაცხადა, რომ მისი მთავრობა მზად არის, ავსტრია-უნგრეთის და გერმანიის მთავრობებთან ერთად, მიიღოს გადაწყვეტილება საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარების შესახებ. როგორც ჩემთვის დანამდვილებით არის ცნობილი, ასევე მისი უმაღლესობა დიდი ვეზირიც იხრება იქითკენ, რათა აუცილებელი ნაბიჯები გადადგას ამ მიმართულებით.

ამ მიზეზით უმორჩილესად გთხოვთ, თქვენო აღმატებულებავ, ზეგავლენა მოახდინოთ სამეფო-საიმპერიო ავსტრია-უნგრეთის მთავრობაზე, რათა უკანასკნელმა ასევე დახმარება გაუწიოს ქართულ კომიტეტს და ამით ხელი შეუწყოს იმას, რომ მოკავშირე სახელმწიფოებს შორის მოკლე ხანებში დამყარდეს თანხმობა ამ საკითხთან დაკავშირებით.

დიდად მორჩილი თქვენი აღმატებულებისადმი,
თავადი გიორგი მაჩაბელი

*Wien, Haus-, Hof- und Staatsarchiv (HHStA), Politisches Archiv (PA), I 947 Krieg 21 k Türkei:
Georgisch-grusinischer Aufstand im Kaukasus 1914-18, Fol. 55-61.
თარგმანი გერმანულიდან.*

№ 79

რუსეთის იმპერიის პოლიციის დეპარტამენტის
შიერ მოგზადაბული მოკლე ცნობა
გიორგი მარაბლის შესახებ

24 октября 1915 года

Инженер князь Георгий Васильев МАЧАБЕЛИ, грузин по происхождению, до 1914 г[ода] в течение 9 лет безвыездно проживал за границей, причем в 1906 году состоял студентом Берлинского университета. 7 октября 1914 года Мачабели прибыл из заграницы в г[ород] Одессу, где 13 того же октября присутствовал на собрании студентов-грузин социалистов-федералистов. Из Одессы Мачабели 14 октября выехал в г[ород] Тифлис, где, по сведениям начальника жандармского управления г[орода] Одессы, приступил к организации Грузинского Национального Комитета, в состав коего предполагали войти представители грузин всех направлений, стремящихся к автономии Грузии, и задачей коего являлось подготовка вооруженного восстания грузин на Кавказе.

7 ноября Мачабели выехал из Тифлиса в Петроград с целью поступления в ряды действующей армии, откуда выехал обратно в Тифлис 28 ноября. Во время своего пребывания в столице Мачабели ни в чем предосудительном не был замечен.

Других сведений о Георгии Васильеве Мачабели в делах департамента полиции не имеется.

Государственный архив Российской Федерации (ГАРФ). Ф. 200. ДПОО. Оп. 1915. Д. 110. Л. 14-14 (об.).

№ 80

**საქართველოს განთავისუფლების კომიტეტის
წევრის, მიხეილ წერეთლის წერილი ოთო გიუნდარ
ფონ ვეზენდორფს, ბერლინის იმპერიის საბარეო
საქმეთა სამინისტროს ლეგაციის მდივანს და ახლო
აღმოსავლეთის საქმეთა რეფერატს, ქართველ ძველ
ოფიცრებში არსებული განწყობილებების შესახებ**

1915 წლის 25 ოქტომბერი
ბერლინი

პატივცემულო ბატონო ბარონ,

თავს უფლებას მივცემ იმ შთაბეჭდილებების შესახებ ჩაგაყენოთ საქმის კურსში, რომლებიც ავსტრიაში მყოფი ქართველი ტყვე ოფიცრებისგან მივიღე. ცალკეული ინფორმაცია ბატონმა ჰ. კოზაკმა უკვე შეგატყობინათ. მე მინდა მხოლოდ ჩემი თანამემამულეების ზოგადი დახასიათება წარმოგიდგინოთ და გირჩიოთ, თუ როგორ შეიძლება ამ ხალხის ჩვენი საქმის სასარგებლოდ გამოყენება.

მთლიანობაში მე 26 ოფიცერს ვესაუბრე. ისინი იყოფიან შემდეგ კატეგორიებად:

1. გარუსებულები, რომლებიც ჩვენი მიზნებისთვის არცერთ შემთხვევაში არ გამოდგებიან.
2. ნახევრადგარუსებულები, რომლებიც რუსებისადმი მეგობრულად არიან განწყობილი და რუსეთის მთავრობაზე დამოკიდებული. შესაბამისად, თითქმის შეუძლებელია ამ ხალხის ჩვენი საქმისთვის გამოყენება.
3. ასაკიანი პოლკოვნიკები და კაპიტნები, რომლებიც მიუხედავად იმისა, რომ კარგი ქართველები არიან, მთელი თავისი ენერჯია რუსეთის სამსახურს მიუძღვნეს. მათ ეშინიათ, და რუსეთის მთავრობის წინააღმდეგ წასვლაზე ფიქრი, ართმევს მათი ნაციონალური იდეიდან წამოსული ყველა ინიციატივის განხორციელების საშუალებას, მიუხედავად იმისა, რომ ეს იდეა მათ აქვთ.
4. სოციალ-დემოკრატები – ახალგაზრდა რეზერვის ოფიცრები – რომლებსაც მძლავრი ნაციონალური იდეა აქვთ, მაგრამ მათი თეორიების გამო, ჩვენს დაგეგმილ მოქმედებებში ალბათ ინიციატივას არ გადაიბარებენ.
5. ისეთები, რომლებიც ცუდ შთაბეჭდილებას ტოვებენ და არასაიმედონი ჩანან.
6. ახალგაზრდა და აგრეთვე რამდენიმე ასაკიანი ოფიცერი, რომლებიც კარგი ქართველები არიან და მძლავრი ეროვნული იდეით არიან შეპყრობილნი. ზოგ-

მა მათგანმა მაშინვე თანხმობა განაცხადა, რომ იმუშაონ საქართველოს დამოუკიდებლობისთვის. მე ყველა ჩვენი გეგმის შესახებ არ მითქვამს, მაგრამ ჩემი ღრმა რწმენით, მათ რომც სცოდნოდათ ჩვენი ყველა გეგმის შესახებ, უარს არ იტყოდნენ. ზემოხსენებული კარგი ელემენტები მოითხოვენ შემდეგს: ა) მტკიცებულებას, რომ მოსალოდნელია საქართველოს ნამდვილი დამოუკიდებლობა და არა თურქეთის მმართველობა საქართველოში. ბ) მათი არსებობის უზრუნველყოფა წარუმატებლობის შემთხვევაში (როგორც გავიგე, თავადმა გ. მაჩაბელმა კონსტანტინოპოლში შეთანხმება გააფორმა, რომლის მიხედვით, წარუმატებლობის შემთხვევაში, ქართველ ოფიცრებს თურქეთის არმიაში მიიღებენ, მაგრამ მე არ ვარ დარწმუნებული, რომ ამ ოფიცრებიდან ყველა მოისურვებს თურქეთში სამუდამოდ დარჩენას და თურქულ არმიაში სამსახურს). მათ უფრო ენდომებათ გერმანიაში ან ავსტრიაში დარჩენა და სწავლისთვის დროის დათმობა (თუკი საკმარისად ახალგაზრდები იქნებიან).

7. მთელი საკითხის კარგი ორგანიზება – იარაღის და ტყვია-წამლის სისტემატიური მიწოდება საქართველოს საზღვარზე და ა.შ. გერმანულ ექსპედიციასავე საქართველოში ისინი დიდ იმედებს ამყარებენ.

იმისთვის, რომ ეს ხალხი ჩვენი საქმისთვის გადავიბიროთ, მინდა შემდეგი რამ გირჩიოთ: 1. კიდევ ერთხელ ვიკითხოთ ტელეგრაფით ტრაპიზონში ქართულ კომიტეტთან და გერმანელ წარმომადგენლებთან, არის თუ არა 3000 ქართველი ისევ იქ, როგორც ადრე გვატყობინებდნენ. 2. დადებითი პასუხის მიღების შემთხვევაში, გერმანიასა და ავსტრიაში მყოფ საუკეთესო ქართველ ოფიცრებს გამოვკითხოთ, თუ არიან მზად იმ წუთშივე საქართველოს საზღვარზე ქართული არმიის განვრთნაში მიიღონ მონაწილეობა. 3. ისინი, რომლებიც ამ სამსახურის გასაწევად მზადყოფნას გამოთქვამენ, უნდა გადაყვანილ იქნან ბერლინში, რომ მათთან მთლიანი საკითხი იქნას მოლაპარაკებული და ბოლოს გადაიგზავნონ საზღვარზე.

ჩემის ღრმა რწმენით, ოფიცერთა პირველი კატეგორიებიც (ცუდების და მთლიანად გარუსებულების გამოკლებით) და რიგითი ჯარისკაცებიც გამოხატავენ საქართველოს მიწაზე ბრძოლისთვის მზადყოფნას, თუ ისინი რეალურად დაინახავენ, რომ საქართველოს მოსახლეობის ერთმა ნაწილმა იარაღი აიღო. ახლა მთავარი საკითხია ინიციატორების პოვნა.

თქვენი ერთგული,
მ. წერეთელი.

P.S. ზემოხსენებული რჩევის მოცემა შემდეგ ოფიცრებზე შეიძლება: ტყვეთა ბანაკი კონიორმოზე, უნგრეთი: კაპიტანი ქორჩეაშვილი და ლეიტენანტი ქორქაშვილი. – მიულინგი ვიზელბურგთან: ლეიტენანტი ჟორდანიას. – ბრაუნაუ ამ ინი: კაპიტანი ენუქიძე. – რაიხენბერგი: ლეიტენანტი ყუბანეიშვილი. – დოიჩგაბელი: კაპიტანი ჯაფარიძე. – ტერეზიენშტადტი: ლეიტენანტი მიხეილ სულავა და ლეიტენანტი გრიგოლ სულავა.

Politisches Archiv des Auswärtigen Amts (PA AA), Akten Betreffend den Krieg 1914, Unternehmungen und Aufwiegelungen gegen unsere Feinde im Kaukasus. R 21015.

თარგმანი გერმანულიდან.

№ 81

კონსტანტინოპოლში ავსტრია-უნგრეთის საბანაბო
და სრულუფლებიანი ელჩის, მარკბრაუ იოჰან ფონ
პალავიჩინის წერილი ავსტრია-უნგრეთის იმპერიის
საბარეო საქმეთა მინისტრს, ბარონ შტეფან ფონ
ბურიანს, საქართველოს განთავისუფლების კომიტეტის
წევრთან, ბიორგი მარაბელთან მისი შახვედრის შესახებ

1915 წლის 26 ოქტომბერი
კონსტანტინოპოლი

გიგზავნით დანართში (თავად) გიორგი მაჩაბლის მიერ ჩემს სახელზე გამოგზავნილ წერილს¹, რომელშიც ის ავითარებს ქართული ეროვნული კომიტეტის გეგმებს დამოუკიდებელი საქართველოს და კავკასიურ სახელმწიფოთა კავშირის დაარსების შესახებ და საიმპერიო და სამეფო მთავრობას ამ მისწრაფებათა მხარდაჭერისკენ მოუწოდებს. ამ წერილს დანართების სახით თან ერთვის: მემორანდუმი, რომელიც ამა წლის 15 ივნისს ქართულმა კომიტეტმა გადასცა თურქეთის მთავრობას, და თურქეთის მთავრობის, უფრი სწორედ კი თურქული გენერალური შტაბის პასუხი ხსენებულ მემორანდუმზე. ეს პასუხი თან ერთვოდა უკვე ციტირებულ ანგარიშს², რომელშიც ის განხილულ იქნა.

გადაცემის თხოვნასთან ერთად მაჩაბელმა სიტყვიერად დასძინა, რომ ქართული კომიტეტისთვის არ არის საკმარისი თურქული მხარის მიერ საქართველოს დასაარსებელი დროებითი მთავრობის და მომავალი საქართველოს დაპირებული აღიარება. მისი სურვილი იქნებოდა, რომ ავსტრია-უნგრეთს და გერმანიას, თავის მხრივ ასევე მოეხდინათ თურქულ დაპირებათა შესრულების რაიმე ფორმით გარანტირება. ამ მხარდაჭერას კომიტეტი, უპირველეს ყოვლისა, განიხილავს ნებართვაში, შეძლონ ჩარიცხონ რუსი სამხედრო ტყვეები კავკასიიდან ქართულ ლეგიონებში და იარაღის და ტყვია-ნამლის მინოდებაში. გერმანელთა მხრიდან მოცემულია ყოველივე ამის, ისევე როგორც გარკვეული ფინანსური დახმარების აღმოჩენის დაპირება.

შემდგომ დანართში გიგზავნით მემორანდუმის ასლს, რომელიც ქართულმა კომიტეტმა უკვე წინა წლის სექტემბერში გადასცა ბერლინში საგარეო საქმეთა სამინისტროს³.

საიმპერიო და სამეფო ელჩი პალავიჩინი

Wien, Haus-, Hof- und Staatsarchiv (HHStA), Politisches Archiv (PA), I 947 Krieg 21 k Türkei:
Georgisch-grusinischer Aufstand im Kaukasus 1914-18, Fol. 34-35.
თარგმანი გერმანულიდან.

¹ იხ. დოკ. 78.

² იგულისხმება დოკ. 78.

³ იხ. დოკ. 10, 11.

№ 82

**საქართველოს განთავისუფლების კომიტეტის
წევრის, გიორგი კერესელიძის წერილი ოთო გიუნდერ
ფონ ვეზენდონკს, ბერლინის იმპერიის საგარეო
საქმეთა სამინისტროს ლეგაციის მდივანს და ახლო
აღმოსავლეთის საქმეთა რეფერატს, შტრალზუნდში
ქართველ ოფიცრებთან შეხვედრის შესახებ**

1915 წლის 30 ოქტომბერი
ბერლინი

პატივცემულო ბატონო ბარონ,

მაქვს პატივი ჩემი შტრალზუნდში მოგზაურობის შემდეგ შეგატყობინოთ:

მე იქ სამი ქართველი სამხედრო ტყვე ოფიცერი ვნახე და ყველა მათგანს ვესაუბრე. ლეიტენანტმა მძინაროვმა ადრე უკვე მოახსენა გერმანიის მთავრობას საქართველოში არსებული ვითარების შესახებ და აცნობა, რომ ქართველი ხალხი რუსების საქართველოდან გაძევების იდეით აღტაცებულია, რომ ათასი შეიარაღებული კაცი თავადაზნაურობის მარშალ ნიჟარაძის¹ მეთაურობით დგას დასავლეთ საქართველოში, ხოლო ათასი კაცი, თავად აფხაზის² მეთაურობით – აღმოსავლეთ საქართველოში. ეს მოხალისეები რუსეთის მთავრობის ნებართვით არიან შეიარაღებული, თითქოს საქმე გვექონდეს თურქების შემოჭრის დროს მათ გამოყენებასთან. სინამდვილეში კი, ყველა ეს მოხალისე ეკუთვნის საქართველოს დამოუკიდებლობის პარტიას და მზად არიან თურქებთან ერთად რუსების წინააღმდეგ გამოვიდნენ. პროპაგანდისტები მგზავრობენ მთელს ქვეყანაში და მოსახლეობას ამზადებენ ქართული კომიტეტის და თურქეთის არმიის მისაღებად. მუსულმანები (თათრები, ლეკები და სხვ.) ქართველებთან ერთად მუშაობენ.

ლეიტენანტმა მძინაროვმა მე იგივე მომიყვა, რაც მან უკვე აცნობა გერმანიის მთავრობას, რამდენიმე დამატებითი დეტალითურთ. მან ასევე განმარტა, რომ ის თავად მიეკუთვნება საქართველოს დამოუკიდებლობის პარტიას და მზადაა გაემგზავროს ტრაპიზონში და იქ ქართული არმიის მომზადებაში მიიღოს მონაწილეობა. იგივე განმარტება მომცეს ლეიტენანტებმა ლორთქიფანიძემ და გვიშინამა.

ცოსენში ოფიცრებმა ამაშუკელმა, სიამაშვილმა, ხერხეულიძემ და ადანაიამ ჩვენი რჩევა გადაწყვეტით უარყვეს და შესაბამისად, მათ შემდეგ სამშაბათს ცო-

¹ იგულისხმება ნიჟარაძე დავით (1856-1922).

² იგულისხმება აფხაზი კონსტანტინე (კოტე) (1867-1923).

სენიდან წაიყვანენ. როგორც ჩვენ ბატონ ობერ-ლეიტენანტ ბიოლოვთან მოვი-
ლაპარაკეთ, ჯერ გვინდა ზემოხსენებულ შტრალზუნდში მყოფ ოფიცრებს კიდევ
ერთხელ წერილობით ვკითხოთ, თუ ისინი ნამდვილად არიან მზად ჩვენს გეგმებს
ემსახურონ და სასწრაფოდ გაემგზავრონ ტრაპიზონში და მათი თანხმობის შემ-
თხვევაში ისინი მოვიყვანოთ ცოსენში, მას შემდეგ რაც ცუდი ელემენტები იქი-
დან მოცილებული იქნებიან. წერილობით წინადადებას შტრალზუნდში მყოფ
ოფიცრებს ჩვენ ობერ-ლეიტენანტ ბიოლოვის მეშვეობით გავუკეთებთ.

თქვენი ერთგული,
გიორგი კერესელიძე

*Politisches Archiv des Auswärtigen Amts (PA AA), Akten Betreffend den Krieg 1914,
Unternehmungen und Aufwiegungen gegen unsere Feinde.
Tätigkeit in den Gefangenenlagern in Deutschland. R 21251.
თარგმანი გერმანულიდან.*

№ 83

**საქართველოს განთავისუფლების კომიტეტის
წევრის, მიხეილ წერეთლის წერილი ოთო გიუნდარ
ფონ ვეზენდორფს, ბერლინის იმპერიის საგარეო
საქმეთა სამინისტროს ლეგაციის მდივანს და ახლო
აღმოსავლეთის საქმეთა რეფერატს, ქართველი
ოფიცრების და ჯარისკაცების ცოხლის სახედრო
ძველთა ბანაკში ყოფნასთან დაკავშირებით**

1915 წლის 1 ნოემბერი
ბერლინი

პატივცემულო ბატონო ბარონ,

თავს უფლებას ვაძლევთ შემდეგი რამ გაცნობოთ და გირჩიოთ:

ახლა ვხედავთ, რომ ქართული ეროვნების ყველა ოფიცრის ცოხლში თავმოყრა დიდი შეცდომა იყო. როგორც ჩვენთვის უკვე ნათელი გახდა, ამ ოფიცრების ცოხლში მოყვანა საერთოდ არ უნდა მომხდარიყო, არამედ მხოლოდ მათი, რომლებმაც პირველ გასაუბრებებზე ჩვენ საქმეში მხარდაჭერა გამოხატეს, სადმე ბერლინის მახლობლად ან თვით ბერლინში უნდა მომხდარიყო ტრანსპორტირება და იქ დამუშავება. ცოხლში სხვადასხვა ჯგუფებთან შეხების შედეგად, ზოგიერთი იქ მოყვანილი ოფიცერი ჩვენი საქმისთვის მთლიანად დაიკარგა, რადგან ამ ჯგუფებში ძლიერია რუსების მიერ გავრცელებული რწმენა, რომ გერმანიას არ ჰყავს საკმარისად საკუთარი ოფიცრები და ჯარისკაცები და იძულებულია სხვა ერთა ჯარისკაცებსა და ოფიცრებში აწარმოოს პროპაგანდა, რათა უცხოური ძალები თავის სასარგებლოდ აომოს. ქართველი ჯარისკაცების და ცოხლში მათთან შეხებაში შესული ზოგი ოფიცრის ეს რწმენა იმდენად ძლიერია, რომ ჩვენთვის სრულიად შეუძლებელი აღმოჩნდა ამ მცდარი და შეშლილი აზრის ამ ხალხის თავიდან ამოგდება. ჩვენ ყოველთვის ვცდილობდით ხალხის დარწმუნებას, რომ გერმანიას კოლოსალური სამხედრო ძლიერება აქვს და არანაირად არ სჭირდება ტყვეობაში მყოფი უცხოელები მისი სამხედრო მიზნებისთვის, თუმცა ყველა ჩვენი გამონათქვამი უნდობლობით იქნა მიღებული. კიდევ უფრო მეტიც, თითოეული მეგობრული გასაუბრება გერმანელი ოფიცრების ან სამოქალაქო პირების მხრიდან ზემოხსენებულ ქართველ ოფიცრებთან და ჯარისკაცებთან, ყველა საუბარი საქართველოს დამოუკიდებლობაზე და ა.შ. ამ ხალხის მიერ ისე იქნა აღქმული, თითქოს გერმანიას ამ საკითხში არა საქართველოსი, არამედ თავისი საკუთარი ინტერესი ჰქონდეს. ასეთ შემთხვევებში ჩვენ ვცადეთ ხალხი დაგვერ-

წმუნებინა, რომ გერმანია ჩვენს განთავისუფლებაში მხოლოდ პოლიტიკურად იყო დაინტერესებული, მაგრამ ამაოდ.

აქედან გამომდინარე, გვაქვს პატივი შემდეგი რჩევა წარმოგიდგინოთ, რაც ჩვენ აბსოლუტურად საჭიროდ მიგვაჩნია:

1. რაც შეიძლება სწრაფად შეწყდეს ქართველი ოფიცრების შემდგომი გადაყვანა ცოსენში და მხოლოდ სამი ქართველი ოფიცერი – მძინაროვი, ლორთქიფანიძე და გვიშიანი, ჩვენს წინადადებაზე მათი დადებითი პასუხის შემთხვევაში, რაც ჩვენ მათ წერილობით ბატონ ობერ-ლეიტენანტ ბიოლოვის ხელით მოვანოდეთ, ჩამოვიყვანოთ შტრალზუნდიდან ცოსენში.
2. ოფიცრები ამაშუკელი, სიამაშვილი, ხერხეულიძე და ადანაია რაც შეიძლება სწრაფად გაიგზავნონ ცოსენიდან იქ, საიდანაც მოვიდნენ.
3. ოფიცრები კიკნაძე და კანდელაკი და ისინი, ვინც ჩვენს საქმეში სამუშაოდ მზად არიან, დარჩნენ ცოსენში და მოხდეს მათი ჯარისკაცებისგან სრული იზოლირება.
4. არცერთმა გერმანელმა ოფიცერმა და არცერთმა გერმანელმა სამოქალაქო პირმა არ უნდა ილაპარაკოს არცერთ ქართველ ოფიცერთან და ჯარისკაცთან საქართველოს და რუსეთის საკითხებზეც კი, ამ საუბრების ზემოხსენებული არასწორი შეფასებიდან გამომდინარე ქართველი ტყვეების მხრიდან. პროპაგანდა და ხალხის დამუშავება მთლიანად ჩვენ გადმოგვებაროს.
5. ჯარისკაცებთანაც იგივე ტაქტიკის მიყოლა. (რაც ჯარისკაცებს ეხება, მოგვიანებით გვინდა გავაკეთოთ რეკომენდაცია, თუ რა მოვიმოქმედოთ მათთან).
6. არ მივცეთ ქართველი ოფიცრების და ჯარისკაცების არანაციონალისტული ელემენტებს, რომლებმაც ჩვენს შეთავაზებაზე უარი თქვეს, იმის შემჩნევის საშუალება, რომ გერმანელები მათი საქციელით უკმაყოფილონი არიან, რათა ეს ხალხი სახლში გერმანიაზე კარგი შთაბეჭდილებით დაბრუნდეს, რომ მომავალში ჩვენ აქ მუშაობის საშუალება გვქონდეს და ჩვენს ხალხს გერმანიის ნდობა ჰქონდეს.

არ უნდა დაგვაინწყდეს, რომ პრინციპები, რომლებიც ქართველებთან და თათრებთან მიმართებაში უნდა იქნას გამოყენებული, ძირეულად განსხვავებულია. საკუთარი რელიგიის გამო ქართველებს არ უწევთ ბრძოლა, რადგან ისინი ქრისტიანები და (სამწუხაროდ) რუსების ერთმორწმუნეები არიან. ფულით და მსგავსი დაპირებებით ქართველების, განსაკუთრებით კი ქართველი ოფიცრების ჩვენს საქმეზე გადაბირება, სრულიად შეუძლებელია, რადგან ამ ხალხს გადამეტებული სიამაყე და ღირსება აქვს. მხოლოდ ეროვნულ იდეას და რწმენას, რომ მთელი ჩვენი წამოწყება ავანტიურა არ არის და წარმატებით დასრულდება, შეუძლიათ ამ ხალხის ჩვენს მხარეს გადმობირება.

ამ მოხსენების ასლი გვინდა გადავუგზავნოთ ბატონ კაპიტან ნადოლნისაც.

თქვენი ერთგული,

მ. წერეთელი

საქართველოს დამოუკიდებლობის პარტიის კომიტეტის წარმომადგენელი

Politisches Archiv des Auswärtigen Amtes (PA AA), Akten Betreffend den Krieg 1914, Unternehmungen und Aufwiegelungen gegen unsere Feinde. Tätigkeit in den Gefangenenlagern in Deutschland. R 21251.

თარგმანი გერმანულიდან.

№ 84

**საქართველოს განთავისუფლების კომიტეტის
წევრის, მიხეილ წერეთლის წერილი ოთო გიუნდერ
ფონ ვეზენდორფს, გერმანიის იმპერიის საგარეო
საქმეთა სამინისტროს ლეგაციის მდივანს და ახლო
აღმოსავლეთის საქმეთა რეფერატს, ქართველი ტყვე
ოფიცრების ტრაპიზონში გაგზავრების შესახებ**

1915 წლის 10 ნოემბერი
ბერლინი

პატივცემულო ბატონო ბარონ,

მაქვს პატივი შემდეგი გაცნობით:

ბატონ ობერ-ლეიტენანტ ბიოლოვის და აგრეთვე ბატონ ობერ-ლეიტენანტ კლაინოვის (რომელიც ქართველი სამხედრო ტყვეების საუკეთესო მცოდნეა ცოსენში) შეხედულებით, ყველანაირი პროპაგანდა ცოსენის ბანაკში შეუძლებელი და უშედეგოა. ბატონ ობერ-ლეიტენანტ ბიოლოვს უნდა, რომ ცოსენში დროებით აღარ იხილოს აგიტატორები და საერთოდაც, ქართველი ჯარისკაცები გაიყვანოს ცოსენიდან. ბატონი ობერ-ლეიტენანტი კლაინოვი ფიქრობს, რომ უმჯობესი იქნება ყველა ქართველი ტყვე განაწილდეს ორად და სხვა ბანაკებში განთავსდნენ, ბერლინის მახლობლად. ეს იმ შემთხვევისთვის, რომ თუ ეს ხალხი ისევ დაგვჭირდება, ისინი აქვე გვყავდეს. ის მიიჩნევს, რომ მათი გადაბირება ჯერ კიდევ შესაძლებელია, თუკი საქართველოში ნამდვილად მოქმედება დაიწყება.

ოფიცრებთან საქმე უკეთაა. ნამდვილია, რომ ბატონი კიკნაძე ცოსენში რჩება და სრულიად უდავოდ ჩვენთან იმუშავებს, სხვებმა ჩვენი შეთავაზება იუარეს და უკვე დატოვეს ცოსენი. თუმცა ბატონებმა მძინაროვმა, ლორთქიფანიძემ და გვიშიანმა ჩემს წერილობით შეთავაზებაზე ძალიან აღფრთოვანებული წერილით მიპასუხეს და კვლავაც მზდყოფნა გამოთქვეს, ახლავე დაიწყონ ჩვენთან მუშაობა. გუშინ მათ შესახებ უკვე ვაცნობეთ შტრალზუნდში ტელეგრაფით და მალე ცოსენში ჩამოვლენ.

საჭიროა, რომ ეს ოთხი ოფიცერი, რაც შეიძლება სწრაფად გაემგზავროს ტრაპიზონში. ჩვენც გვინდა, რომ ისინი ორი-სამი დღით ბერლინში დარჩნენ და ოდნავ ამოისუნთქონ. ტრაპიზონში მალე გამგზავრება თავად ოფიცრებსაც უნდათ. ამას გარდა, ბატონმა ობერ-ლეიტენანტმა ბიოლოვმა მთხოვა გავაკეთოთ ყველაფერი, რომ რაც შეიძლება სწრაფად წავიყვანოთ ოფიცრები ცოსენიდან.

თქვენ იცით, პატივცემულო ბატონო ბარონ, რომ თქვენ და არა მე, შეგიძლიათ ამ საკითხის მოგვარება.

ხვალ მინდა პირადად გესტუმროთ და დეტალებზე დაგელაპარაკოთ.

თქვენი ერთგული,
მ. ნერეთელი

*Politisches Archiv des Auswärtigen Amts (PA AA), Akten Betreffend den Krieg 1914,
Unternehmungen und Aufwiegungen gegen unsere Feinde.
Tätigkeit in den Gefangenenlagern in Deutschland. R 21251.
თარგმანი გერმანულიდან.*

№ 85

**საქართველოს განთავისუფლების კომიტეტის
წევრის, გიორგი მაჩაბლის წერილი პოლკოვნიკ
ოტო ფონ ლოსოვს, გერმანიის იმპერიის სამხედრო
ატაშეს კონსტანტინოპოლში, თხოვნით, გერმანულმა
სარდლობამ დახმარება გაუწიოს ხსენებულ კომიტეტს
თურქეთის ტერიტორიაზე ქართული ლეგიონის
ფორმირების და შეიარაღების საქმეში**

1915 წლის 14 ნოემბერი
კონსტანტინოპოლი

თავს უფლებას მივცემ წარვადგინო თქვენი მაღალაღმატებულების კეთილ-
განწყობილ განხილვაზე შემდეგი მოხსენებითი ბარათი კავკასიური გამანთავი-
სუფლებელი მოძრაობის შესახებ თხოვნით, რათა ეს მონაცემები ჩვენი საქმის
სასარგებლოდ ბერლინშიც გამოიყენოთ.

მთელი კავკასიური მოძრაობა შეიძლება ორ ნაწილად დავყოთ, კერძოდ კი:

- ა) დასავლეთკავკასიურ, შესაბამისად ქართულ და
- ბ) აღმოსავლეთკავკასიურ, ანუ თათრულ-დაღესტნურ მოძრაობად.

აქედან გამომდინარე, ჩემს ამ მოხსენებაში მსურს მხედველობაში მივიღო
მხოლოდ პირველი, ანუ ქართული მოძრაობა. თუმცა, ამასთან ერთად ისიც უნდა
ავლნიშნო, რომ აუცილებელია, რომ ორმა მოძრაობამ ხელი-ხელ ჩაკიდებულმა
იმუშავონ, რათა მთლიანად კავკასიისთვის წარმატებას მიაღწიონ.

ცენტრი

ცენტრის ადგილად ამ ორივე მოძრაობისთვის მართებულად არჩეულ იქნა ერ-
ზერუმი, რომელსაც სადღეისოდ ხელმძღვანელობს ბატონი გრაფი ფონ დერ შუ-
ლენბურგი.

ლეგიონები

შესაბამისი ქართული ლეგიონები შედგება:

- 1) ტრაპიზონში და სხვა ადგილებში მყოფი ქართველი ლტოლვილებისგან.

- 2) გერმანულ და ავსტრო-უნგრულ ტყვეობაში მყოფ რუსული არმიის ქართველი ჯარისკაცებისაგან.

პირველი ჯგუფიდან სადღეისოდ უკვე შეკრებილია დაახლოებით 1 500 კაცი, რომელთა რიცხვიდან უკვე დაახლოებით 800 კაცი, ზია ბეის¹ მეთაურობით, შედის ქვედანაყოფ „ლაზისტანში“, რომელიც იმყოფება ბატონ ვიცე-პოლკოვნიკ შტანგეს მეთაურობის ქვეშ. დანარჩენი 700 კაცი ტრაპიზონში არის შეკრებილი და ელოდება აუცილებელ სამხედრო წვრთნას. ზემოხსენებული 1 500 კაცის გარდა, აუცილებელია კიდევ დაახლოებით 2000-3000 ბრძოლისუნარიანი მამაკაცის ლტოლვილებისგან ამორჩევა, რა მიზნითაც შესაბამის პროპაგანდას გასწევს გავლენიან ქართველ მაჰმადიანთაგან შემდგარი კომისია. ვგეგმავ, შევადგინო ეს კომისია აქვე კონსტანტინოპოლში, ჩემი ბერლინიდან უშუალოდ დაბრუნების შემდგომ, და ნამდვილად იმედი მაქვს, ლტოლვილი ბრძოლისუნარიანი მამაკაცებიდან როგორც მინიმუმ ზემოხსენებული 2000-3000 მებრძოლი გადავიბირო.

სადღეისოდ, გერმანული მთავრობის მიერ ტრაპიზონში ლტოლვილებისადმი დახმარების განევის დროს, სასურველია ძირითადად ის ოჯახები მივიღოთ მხედველობაში, რომლებიც გამოყოფენ ბრძოლისუნარიან მამაკაცებს გამათავისუფლებელი ბრძოლისთვის.

მე აგრეთვე იმედი მაქვს, ზემოხსენებულ ტყვეთა ბანაკებში მყოფი დაახლოებით 8000-9000 ქართველიდან გადავიბირო სულ მცირე 4000 ჯარისკაცი ჩვენი გამანთავისუფლებელი ბრძოლისთვის. ბატონ ვიცე-პოლკოვნიკ შტანგეს შეხედულებით, წარმატებული შეტევისთვის საჭირო არის სულ მცირე 5000 კაცისგან შემდგარი ლეგიონი, რა რიცხვიც, ზემომოყვანილი ფორმირების შედეგად მალე ხელში გვეყოლება.

ოფიცერთა კორპუსი

საამისოდ აუცილებელი ოფიცერთა კორპუსი იქნება შედგენილი:

- ა) რუსული არმიის ქართველ ოფიცერთაგან, რომლებიც ამ დროისთვის ასევე ტყვეობაში იმყოფებიან.
- ბ) ქართული წარმოშობის ოფიცერთაგან, რომლებიც თურქულ ჯარში მსახურობენ.

ამასთან დაკავშირებით მოგმართავთ თხოვნით, რათა უზენაესმა სარდლობამ ხსენებული ქართული ლეგიონი გერმანულ ხელებში ამყოფოს და რომ ამის გარდა, ლეგიონს გერმანელი ოფიცრები მიუჩინოს.

ქართველ ტყვე ოფიცერთაგან ერთმა ნაწილმა უკვე გამოთქვა მზადყოფნა გადმოსულიყო და ემსახურა ლეგიონში და ვვარაუდობ, რომ შევძლებ არანაკლებ 25 ოფიცრის იმედი მქონდეს. გარდა ამისა, პუნქტ „ბ“-ს ქვეშ მოხსენიებულ ოფიცრებს შორის ბევრი მზად არის მონაწილეობა მიიღოს ქართულ გამანთავისუფლებელ მოძრაობაში, თუკი თურქეთის მთავრობა ამის უფლებას მისცემს. მსურს გთხოვოთ, მთავარსარდლობა მიანდოთ ბატონ ვიცე-პოლკოვნიკ შტან-

¹ იგულისხმება აბაშიძე (სანჯაკბეგიშვილი-აბაშიძე) ზია ბეგი (1875-?).

გეს, რადგან ის უკვე კარგად იცნობს ქვეყანას და იქ არსებულ ურთიერთობებს და გააცნობიერა, კავკასიის მინაზე ყოფნის დროს, კარგი სახელის მოხვეჭის და მომხრეთა გაჩენის აუცილებლობა.

გარდა ამისა მსურს გამოვთქვა სურვილი, თურქეთში მყოფ გერმანელ ოფიცერთაგან მაიორ ა. ფიშერის, ამჟამად მე-4 არმია (მეტყვიამფრქვევე), და კაპიტან მაშმაიერის, ამჟამად მე-4 არმია (ინფანტერია), ლეგიონში გადმოყვანის შესახებ. ამის გარდა, გადმოგვცეთ ჩვენი საქმის განკარგულებაში კიდევ დაახლოებით 4-5 ახალგაზრდა ოფიცერი.

ძალიან სასურველი იქნებოდა, თუკი უკვე ახლა ზოგი ამ ოფიცერთაგანი გაგზავნილ იქნებოდა ტრაპიზონში, იქ მყოფი ლეგიონერების ინსტრუქტორებად, რათა უკვე ამჟამად შევძლოთ დავინყოთ მოსამზადებელი სამუშაოები.

ინტენდანტის სამსახურის ხელმძღვანელობისთვის ასევე გთხოვთ გამოაგზავნოთ ჩვენს განკარგულებაში გერმანელი ბატონები და ჩემს თავს უფლებას ვაძლევ ამ მიზნისთვის ამჟამად აქ მყოფ ბატონ მაიორ შვინდტის კანდიდატურა შემოგთავაზოთ.

იმ შემთხვევაში, თუკი ჩემი წინადადებები მიღებული იქნება და შევძლებთ ახლავე შევუდგეთ ყველა სამზადისს, ჩვენ შეგვეძლება გადავიდეთ შეტევაზე მარტის დასაწყისში, კლიმატური თვალსაზრისით ხელსაყრელ დროს.

იარაღი

ლეგიონისთვის აუცილებელი იარაღი ტრაპიზონში უნდა გამოიგზავნოს. ამასთან ერთად უნდა აღინიშნოს, რომ ზემოხსენებულ 5000-6000 ლეგიონერთა შეიარაღების გარდა, მხედველობაში მიღებულ უნდა იქნეს ასევე საქართველოს მოსახლეობაც, რომელიც საქართველოში ჩვენი შეჭრის დროს შეუერთდება ჩვენს ლეგიონს, როგორც ამას ადგილი ჰქონდა შარშან წელს.

ასეთ შემთხვევაში, საჭირო თოფების რიცხვი დროებით 10 000 ცალის დონეზე უნდა განისაზღვროს.

რაზმები

აგრეთვე სასურველი იქნებოდა რიგი რაზმები ჩამოგვეყალიბებინა, რომელთა მიზანიც იქნება დაბრკოლებები შეუქმნან მტრულ არმიას, აწარმოონ პარტიზანური ბრძოლა, ქვეყანაში იარაღი შეიტანონ და საკუთარ თავზე აიღონ ფართო პროპაგანდა პროკლამაციების გავრცელებით. ისინი უნდა იყვნენ შეიარაღებულინი კარაბინებით, ხმლებით და რევოლვერებით.

საგანგებო ჯარების შესაიარაღებლად აუცილებელია ტყვიამფრქვევების შესაბამისი რაოდენობა, მცირე კალიბრის (გადასატან) სამთო არტილერიასთან ერთად.

ჩერქეზები

მსურს, გარდა ამისა, აღვნიშნო, რომ ჩერქეზებმა შეთანხმებას მიაღწიეს ჩვენს ქართულ კომიტეტთან, რომლის თანახმად მათ ასევე სურთ შეუდგნენ ლეგიონების ჩამოყალიბებას და ჩვენთან ერთად ბრძოლაში ჩართვას. როგორც მარნ-

მუნებს ჩერქეზული კომიტეტის წარმომადგენელი, ჩვენ შეგვიძლია 10 000-20 000 კაცის იმედი გვქონდეს.

თუკი ერთიან კავშირში ადგილი ექნება მთლიანი კავკასიური მოძრაობის საერთო გამოსვლას, ანუ თუკი ჩვენ ჩერქეზულ ლეგიონთან ერთად დასავლეთის მხრიდან შევუტევთ აჭარის ოლქს,

თათრები

თათრები, გარანტირებული რიცხვით 30 000-40 000 კაცამდე, თავის მხრივ შეტევაზე გადავლენ აღმოსავლეთის მხრიდან, აზერბაიჯანის ტერიტორიიდან. ამრიგად ადვილი იქნება ცენტრში მოქმედი მე-3 თურქული არმიის დახმარებით შევიჭრათ კავკასიაში და ჩვენს მიზანს სავსებით მივაღწიოთ.

სრული პატივისცემით,
თავადი მაჩაბელი

Politisches Archiv des Auswärtigen Amts (PA AA), Akten Betreffend den Krieg 1914, Unternehmungen und Aufwiegungen gegen unsere Feinde im Kaukasus. R 21016.
თარგმანი გერმანულიდან.

№ 86

საქართველოს განთავისუფლების კომიტეტის
წევრის, გიორგი კერესელიძის წერილი ოთო ბიუნდერ
ფონ ვეზენდონკს, გერმანიის იმპერიის საბარეო
საქმეთა სამინისტროს ლეგაციის მდივანს და ახლო
აღმოსავლეთის საქმეთა რეფერატს, ირაკლი
ჯაბადარის პიროვნების შესახებ

1915 წლის 3 დეკემბერი
ბერლინი

პატივცემულო ბატონო ბარონ,

პატივი მაქვს შემდეგი შეგატყობინოთ: გამოვიძიე ბატონ ჯაბადარის საკითხი და დავადგინე, რომ ის პოლიტიკური საქმისთვის გამოსადეგი არ არის, მიუხედავად იმისა, რომ კარგი ქართველია. კომიტეტმა (რომელიც 5 ქართველისგან შედგებოდა), რომელმაც ბერნში დაიწყო მუშაობა და რომელსაც ჯაბადარიც მიეკუთვნებოდა, აღარ არსებობს. ამ სამუშაოში, ჩემის აზრით, ჯაბადარს ცოტა პერსონალური ინტერესიც ჰქონდა. თუმცა მას შეუძლია ჩვენს საქმეს სხვა ფორმით გაუწიოს სამსახური: როგორც ნიჭიერ კომპოზიტორს და ქართული მუსიკის კარგ მცოდნეს, მას შეუძლია ბერლინში გამოვიდეს და ბერლინურ პუბლიკას ქართული მუსიკის შესახებ ცნობა მისცეს. ფულს (1010 მარკა), რომელიც მან ვოლფის ბიუროს¹ მისცა, უკან ველარ მიიღებს, რადგან ორკესტრმა, დარბაზმა და სხვ. უკვე მიიღეს იქიდან რასაც ითხოვდნენ, ხოლო იმაში, რომ ჯაბადარი ბერლინში არ ჩამოვიდა, ვოლფის ბიურო დამნაშავე არ არის. ამ თანხიდან ჯაბადარს ჯერ კიდევ შეუძლია 375 მარკის მიღება, მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ ბერლინში ჩამოვა. მე ჯაბადარს მივწერე, რომ ცოტა ხნით ჩამოვიდეს და შეეპირდი, რომ ყველაფერში დავეხმარებოდი, მაგრამ აქამდე მისგან პასუხი არ მიმიღია. პატივცემულო ბატონო ბარონ, თუ თქვენ კვლავ გაინტერესებთ ბატონ ჯაბადარის პიროვნება, თქვენს სამსახურში მიგულეთ და ყოველთვის შემოძლია დეტალების შესახებ ინფორმაციის მოცემა.

თქვენი ერთგული,
გიორგი კერესელიძე

Politisches Archiv des Auswärtigen Amtes (PAA), Akten Betreffend den Krieg 1914, Unternehmungen und Aufwiegelingen gegen unsere Feinde im Kaukasus. R 21016.

თარგმანი გერმანულიდან.

¹ იგულისხმება ე.წ. „ვოლფის სატელეგრაფო ბიურო“ (Wolffs Telegraphisches Bureau) – 1849-1934 წლებში არსებული უმსხვილესი გერმანული სატელეგრაფო სააგენტო.

№ 87

საქართველოს განთავისუფლების კომიტეტის წევრთა,
ბიორგი მაჩაბლის და მიხეილ წერეთლის მიერ
ბერლინში 1915 წლის 16 დეკემბერს
წაკითხული მოხსენებები: თავადი ბიორგი მაჩაბელი.
„შესავალი კავკასიის პრობლემაში“. მიხეილ ფონ
წერეთელი. „კავკასიის ხალხები და კულტურა“

ბატონ მიხეილ ფონ წერეთლის მოხსენებას შესავალი გაუკეთა თავადმა გიორგი მაჩაბელმა, რომელიც სხვათა შორის ეხებოდა შემდეგ საკითხებს:

კავკასიის რეგიონი უკვე დიდი ხანია რუსებისთვის მათი სამხედრო მოქმედებების არენად იქცა. სწორედ აქედან ემუქრებოდნენ ისინი მუდმივად ერთის მხრივ სპარსეთს, მეორეს მხრივ კი თურქეთს. რუსეთი ცდილობდა ამ გამავალი კარიბჭით პროგრესული იმპულსების ჩახშობას ორივე ქვეყანაში, რომლებიც მიზნად ისახავდნენ სოციალური და ეკონომიკური ცხოვრების განახლებას.

რუსების გაძევება კავკასიიდან და მათი მმართველობის განადგურება შავ ზღვაზე, შესაძლებელს გახდის დამოუკიდებელი ქართული სამეფოს არსებობას. ეს ბუნებრივად იქნება ბუფერული სახელმწიფო ერთის მხრივ რუსეთს, ხოლო მეორეს მხრივ კი სპარსეთსა და თურქეთს შორის, რაც თანამედროვე გაგებით წარმატებული განვითარების გარანტია იქნებოდა.

კავკასიის პოლიტიკური ორგანიზაცია უნდა იყოს დაფუძნებული დამოუკიდებელი კავკასიური სახელმწიფოების კავშირის პრინციპზე. დამოუკიდებელი სახელმწიფო საქართველო, მთის ხალხების კავშირი (ჩერქეზები, დაღესტნელები, ჩეჩნები და სხვ.) და თათრების სახელმწიფო – ესაა სამი პოლიტიკურად დამოუკიდებელი სხეული, რომლებიც დიდი სახელმწიფოების მიერ ნეიტრალურად აღიარებულ კავკასიურ კავშირს ჩამოაყალიბებენ. რელიგიური განსხვავებები სახელმწიფო გაერთიანებას არ შეუშლიან ხელს, რადგან ერთიანობის იდეა დიდი ხანია არსებობს კავკასიის ხალხებს შორის.

კავკასიის ნეიტრალიზაციით ევროპა ეკონომიკური თვალსაზრისითაც არის დაინტერესებული. სადღეისოდ კავკასია ვაჭრობას უმეტესად სწორედ ევროპასთან აწარმოებს. ნავთი, მანგანუმი, სპილენძი, მატყლი, ბამბა და ა.შ. დიდი რაოდენობით გაედინება ევროპაში. საწარმოო კაპიტალი, რომელიც კავკასიის სიმდიდრეების ექსპლუატაციას აწარმოებს, ევროპული წარმომავლობისაა. რუსეთი, სინამდვილეში, ყველა საშუალებით და სისტემატიურად ცდილობს ევროპული კაპიტალის კავკასიაში შემოდინების შეჩერებას. რუსული საბაჟო სისტემა აფერ-

ხებს ევროპული საქონლის იმპორტს და ავალდებულებს კავკასიელებს, რუსეთში დამზადებული ცუდი და ძვირი პროდუქციის შექმნას. ევროპული კაპიტალის უკმარისობის გამო, კავკასიის დიდი ბუნებრივი სიმდიდრეები ექსპლუატაციის გარეშე რჩება. კავკასია რომ დამოუკიდებელი იყოს, გერმანული კაპიტალისთვის ის იქნებოდა ბრწყინვალე დაბანდების საშუალება, გერმანული მეცნიერებისა და ტექნიკისთვის – ნაყოფიერი, ჯერაც აუთვისებელი არეალი.

დღეს განსახილველი პრობლემის მნიშვნელობის გათვალისწინებით, გთხოვთ, ჩემს მეგობარსა და თანამემამულეს, წერეთელს დავუგდოთ ყური. მისი მონათხრობი გაჩვენებთ თქვენ, თუ რაოდენ საინტერესო საკითხებს წარუდგენს ჩვენი ქვეყანა მეცნიერებას.

მიხეილ ფონ წერეთელი: კავკასიის ხალხები და კულტურა

სადღეისოდ, განათლებული ევროპელებისთვისაც კი, კავკასია ჯერაც *terra incognita*¹ და სამეცნიერო კვლევის გერია. კავკასია ლამაზი და მდიდარია. მან დაიმსახურა ინტერესი არა მხოლოდ მოგზაურების მხრიდან, არამედ მისი წიაღისეულის შესწავლა ასევე ძლიერი კაპიტალის მქონე მენარმეთაგან, პოლიტიკური თვალთახედვიდან კი – როგორც შესაძლო ნეიტრალურმა ზონამ მოძალებულ რუსულ იმპერიალიზმსა და თურქეთსა და სპარსეთს შორის. ჩვენ უფლება გვაქვს ჩვენი ქვეყნისთვის უფრო მაღალი და კეთილშობილი ინტერესები გავატაროთ, ინტერესები იმ ხალხისთვის, რომელიც აქ ცხოვრობს ათასწლეულების მანძილზე, მისი კულტურის და მისი ისტორიისთვის.

ცნობილია, რომ ძველი დროის ანთროპოლოგია ადამიანთა რასებს კანის ფერის მიხედვით ყოფდა, საუბრობდა შავ, ყვითელ და თეთრ ე.ი. კავკასიურ რასაზე, და ამ ნიშნით კავკასიელებს ევროპულ ხალხებთან – სლავებთან, გერმანელებთან, კელტებთან და ა.შ. აყენებდა. მთელ შტოსაც კი, ეს სახელი უწოდა. ახალმა კვლევებმა, რომლებიც თავის ქალის აგებულებაში რასობრივი ნაირსახეობის განმასხვავებელ ნიშნებს ხედავენ, ეს უარყვეს. კავკასიელები არიან ბრახიკეფალები (მოკლეთავიანები) და მათი მონათესავენი არიან არა დოლიხოკეფალი ინდოგერმანები, არამედ ალბათ უძველეს დროში მომეზობლე კაპადოკიელები, ლიდიელები, კარიელები, ხეთები, ელამელები, შუმერები და ა.შ., რომლებიც ალბათ ძველ კავკასიელებთან ერთად პრეარიულ და პრესემიტურ რასას მიეკუთვნებოდნენ. ის თავდაპირველად დასახლებული იყო წინა აზიის და სამხრეთ ევროპის დიდ ნაწილზე. ამ რასის უკანასკნელი წარჩენები უნდა იყვნენ თანამედროვე კავკასიელები.

განსაკუთრებით რთულ, მაგრამ ამასთანავე საინტერესო პრობლემას წარმოადგენს კავკასიური ენების კვლევა. მისი სხვათაშორის ჯერაც მერყევი შედეგები ჩანს იგივე მიმართულებით მიდიან, როგორც ანთროპოლოგიის. არცერთ დღეისთვის ცოცხალ ენასთან ინდოგერმანული, სემიტური, თურანული ან რომელიმე სხვა ოჯახიდან, ვერ ხერხდება ქართულის, ჩერქეზულის, ლეკურის და დანარჩენების დაკავშირება. თუმცა ჩანს, რომ მეტნაკლები ნათესაობა არსებობს, მაგალითად, ქართული ენის, ელამურ და შუმერულ ენებთან. ქართველი ხალხი და სხვა კავკასიელები არიან, ამრიგად, უკანასკნელი ცოცხალი წარმომადგენელი

¹ Terra incognita (ლათ.) – უცნობი მიწა.

იმ რასისა, რომელიც პრესემიტურ და პრეარიულ პერიოდში წინა აზიაში განსაკუთრებულ და მნიშვნელოვან კულტურას ქმნიდა. ამ კულტურის უკანასკნელი ნაკვალევიც კი ადგილზე დიდი ხნის წინ გაქრა, მხოლოდ ბრაზიკეფალთა ტიპს ვხვდებით მცირე აზიაში, სპარსეთში, სომხეთში და ა.შ.

როდის შემოვიდნენ ქართველები და დანარჩენი კავკასიური ტომები კავკასიაში? ამ კითხვაზე ყველაზე მეტად არქეოლოგიამ უნდა გაგვცეს პასუხი. სამწუხაროდ, აქამდე კავკასიაში ძალიან ცოტა არასაკმარისად სისტემური გათხრები წარმოებდა. ყველაზე მნიშვნელოვანი შედეგები ვირხოვის¹ მიერ გამოკვლეულმა ყუბანის სამარხებმა მოგვცეს, რომლებიც რკინის ხანის დასაწყისს მიეკუთვნება (ძვ. წ. XI-X სს.). მაშინ კავკასიის პირველი ბინადრები დოლიხოკეფალები იყვნენ, ე.ი. არაქართველები. მხოლოდ იმ ხანაში, როდესაც ყუბანის სამარხები შეიქმნა, როგორც ჩანს, ისინი კავკასიაში შემოვიდნენ. მათ უკვე უკან მიტოვებული ჰქონდათ ქვის და ბრინჯაოს ხანები.

კავკასიელ ხალხთა მათ ახალ სამშობლოში პირველ სამოსახლოებზე მრავალჯერ ვართ ინფორმირებული ასირიული წარწერებით, ბიბლიური ამბებიდან და ბერძენი მწერლების ცნობებით.

ძველი და ახალი ცნობების შედარების საფუძველზე, შეგვიძლია თვალი მივადევნოთ კავკასიელთა სამხრეთ-დასავლეთიდან ჩრდილო-აღმოსავლეთისკენ მოძრაობას, ასევე ბერძენი მწერლებისგან შეგვიძლია დავადგინოთ მათი პოლიტიკური და კულტურული ძლიერების დაცემა, რომელსაც ჰქონდა ადგილი ასირიელების დროს. ასირიულ და ძველბერძნულ ხანაში კავკასიელები ფართოდ ცნობილი იყვნენ ლითონის ხელოსნებად. ისინი რკინის გამომგონებლებად ითვლებოდნენ, ხალიბური ფოლადი ყველაზე მოთხოვნადი იყო მთელს ძველ სამყაროში. ახალ, ბერძნულ ხანაში, ეს ტომები დაუძღვრდნენ და გაველურდნენ.

ჩვენ ვხედავთ, რომ ქართულ ეთნოსს ძველ ისტორიულ ხანაში საკუთარი კულტურა ჰქონდა, რომელიც როგორც მეგობრულ, ისე მტრულ შეხებაში იყო ბაბილონურ-ასირიული სამყაროს დიდ წრესთან. VII საუკუნეში ის ჩრდილო-აღმოსავლეთისკენ იქნა განდევნილი და ბერძნებთან ახლო ურთიერთობაში შედის. VI საუკუნეში ქართველი ერი სახლდება იმ ადგილას, სადაც ის დღესაც ცხოვრობს. რომელ დროს შემოვიდნენ დანარჩენი კავკასიელები: ჩერქეზები, ჩეჩნები, ლეკები და სხვები, რთული სათქმელია. საკითხი, თუ როდის შეუერთდნენ მათ ინდო-გერმანული ელემენტები (ოსები, სომხების ზედა ფენა) და თურანელები (თათრები), რომლებიც კავკასიის ბედისთვის ასევე მნიშვნელოვანი გახდნენ, სცილდება ჩვენს თემას.

ქრისტიანობის მიღებით საქართველო კავშირში შევიდა ბიზანტიურ-რომაულ სამყაროსთან და ამით დასავლეთის ჰორიზონტზე და მისი გავლენის ქვეშ აღმოჩნდა. ჩვენი პოლიტიკური ისტორია ამ დროიდან (ერთი მოკლე, ბედნიერი პერიოდის გამოკლებით XII-დან XIII-ე საუკუნემდე ქართველ ბაგრატიონთა ბატონობის ქვეშ), საშინელ დრამას წარმოადგენს.

საქართველომ გადაიტანა რომაელების, ბიზანტიელების, სპარსელების (I-VII სს.), არაბების (VII-XII სს.), მონღოლების (XIII-XIV სს.), თურქების და სპარსელების (XV-XVIII სს.)² და ბოლოს რუსების ცვალებადი ბატონობა.

¹ იგულისხმება ვირხოვი რუდოლფ ლუდვიგ კარლ (Virchow Rudolf Ludwig Karl) – გერმანელი ექიმი, არქეოლოგი და პოლიტიკოსი.

² ტექსტში უეჭველად კორექტურული შეცდომის შედეგად – (XIII-XIV სს.).

ქართველ ერზე ღრმა გავლენა მოახდინა ქრისტიანობამ. ქრისტიანობის პირველ საუკუნეებში სომხები, ქართველები და სხვა კავკასიელები ქმნიდნენ აღმოსავლური წრის იმ ნაწილს, რომელსაც ასევე სპარსელი, სირიელი და ებრაელი ქრისტიანები მიეკუთვნებოდნენ. სომხურად და ქართულად შესრულებულია წმინდა ნერილის უძველესი თარგმანები. ადრექრისტიანული ხანის სასულიერო დაპირისპირებებში გარკვეულ როლს ქართველებიც თამაშობდნენ.

ბერძნული ფილოსოფიის გავლენამ საფუძველი ჩაუყარა საქართველოში ნეოპლატონურ სკოლას (XI ს. იოანე პეტრიწონელი). მე-XII და მე-XIII საუკუნეებში ჩნდება გამორჩეული მწერლების და პოეტების მთელი წყება, მათ შორის ყველაზე ცნობილია შოთა რუსთაველი (რომანი „ვეფხისტყაოსანი“). მე-XI-დან მე-XIV საუკუნემდე შემუშავდა ქართული სამოქალაქო, სახელმწიფო და საეკლესიო სამართალი. მე-XVIII საუკუნეში მეფე ვახტანგ VI-მ ახალი კოდექსი შექმნა, რომელშიც ძველი სამართლის ელემენტები გადაიტანა. ინტელექტუალური შრომის გავრცელების არეალებს წარმოადგენდნენ მე-VI საუკუნიდან წარმოქმნილი მონასტრები. აქვე განვითარდა ორიგინალური ქართული საეკლესიო მუსიკა და ამავე ადგილზე წარმოიქმნა უპირატესად საეკლესიო მიზნებისკენ მიმართული მხატვრობა და სამშენებლო ხელოვნება.

Fürst Georg Matschabelli. Einführung in das kaukasische Problem, Michael von Tseretheli. Völker und Kultur des Kaukasus. Berlin, Nachrichtenstelle für den Orient, 1915.
თარგმანი გერმანულიდან.

№ 88

აღმოსავლეთის საინფორმაციო ბიუროს
თანაშრომლის, ჰარალდ კოზაკის წერილი ოთხ
ბიუტეარ ფონ ვეზენდონკს, გერმანიის იმპერიის
საგარეო საქმეთა სამინისტროს ლეგაციის მდივანს
და ახლო აღმოსავლეთის საქმეთა რეფერატს,
კონსტანტინე გამსახურდიას თანაშრომლად
აყვანის შესახებ

1915 წლის 18 დეკემბერი
ბერლინი

პატივცემულო ბატონო ფონ ვეზენდონკ,

პროფესორ ფონ დერ ლაიენის¹ მიერ ნარჩევი ქართველი გამსახურდია ჩამო-
ვიდა და გვინდა, რომ აქ მუდმივ თანამშრომლად დავიტოვოთ. მინდა გთხოვოთ
წინასწარი მოლაპარაკებისამებრ, ბატონი წერეთლისთვის აქამდე აღმოსავლეთის
საინფორმაციო ბიუროს მიერ გადასახდელი 150 მარკა ლეგაციის სალაროზე
გადაიტანოთ, რათა აღმოსავლეთის ბიუროში გამოთავისუფლებული 150 მარკა
გამსახურდიამ მიიღოს თვიურ ხელფასად.

ჰარალდ კოზაკი

*Politisches Archiv des Auswärtigen Amts (PA AA), Akten Betreffend den Krieg 1914,
Unternehmungen und Aufwiegelungen gegen unsere Feinde im Kaukasus. R 21016.
თარგმანი გერმანულიდან.*

¹ იგულისხმება ფონ დერ ლაიენი ფრიდრიხ (von der Leyen Friedrich) (1873-1966).

№ 89

აღმოსავლეთის საინფორმაციო ბიუროს თანამშრომლის,
ჰარალდ კოზაკის წერილი ოთხოვნილი გიუნტერ ფონ ვეზენდონკს,
გერმანიის იმპერიის საგარეო საქმეთა სამინისტროს
ლეგაციის მდივანს და ახლო აღმოსავლეთის საქმეთა
რეფერატს, ქართველი ოფიცრებისთვის საბუთების
დამზადების საჭიროების შესახებ

1915 წლის 20 დეკემბერი
ბერლინი

პატივცემულო ბატონო ფონ ვეზენდონკ!

დღეს ცოსენ-ინბერგეს ბანაკიდან 5 ქართველი ოფიცერი და 3 ქართველი უნ-
ტერ-ოფიცერი ბერლინში მოვიყვანე და ბაიერსის სასტუმროში დავაბინავე, მას
შემდეგ რაც ყველა მათგანს სამოქალაქო ტანსაცმელი ჩავაცვი.

მათი სახელებია:

1. რაჟდენ მძინარიშვილი, ლეიტენანტი, ფსევდონიმი (ლადო ახალკაცი)
2. ვლადიმერ ლორთქიფანიძე, ლეიტენანტი, ფსევდონიმი
(ირაკლი მერკვილაძე)
3. შალვა ოქროპირიძე, რეზერვის ლეიტენანტი, ფსევდონიმი
(გიორგი დისეველი)
4. პორფირ გვიშიანი, ლეიტენანტი, ფსევდონიმი (არჩილ ინგურაძე)
5. ელიზბარ კიკნაძე, ლეიტენანტი, ფსევდონიმი (ლეონ ბელელაშვილი)
6. დათიკო ტატიშვილი, უნტერ-ოფიცერი, ფსევდონიმი (ვანო მარანელი)
7. შალვა წერეთელი, უნტერ-ოფიცერი, ფსევდონიმი (გიორგი ჩახრუხაძე)
8. იოსებ ჭანტურაშვილი, უნტერ-ოფიცერი, ფსევდონიმი (პავლე სურვილაძე)

ბატონებს არ აქვთ საბუთები, ამიტომ გთხოვთ მათ დამზადებას და ბერლინის
კომენდატურის ინფორმირებას ამის შესახებ.

ერთგულებით,
ჰარალდ კოზაკი

*Politisches Archiv des Auswärtigen Amts (PA AA), Akten Betreffend den Krieg 1914,
Unternehmungen und Aufwiegelungen gegen unsere Feinde im Kaukasus. R 21016.*

თარგმანი გერმანულიდან.

№ 90

საქართველოს განთავისუფლების კომიტეტის წევრის,
გიორგი მაჩაბლის წერილი გერმანიის იმპერიის
საგარეო საქმეთა მინისტრის (სახელმწიფო მდივნის)
მოადგილეს, ართურ ციპერმანს, გერმანულ-ქართული
საზოგადოების დაფუძნების შესახებ

1915 წლის 29 დეკემბერი
ბერლინი

თქვენო აღმატებულება,

თავს უფლებას მივცემ, გთხოვოთ გასაუბრება გერმანულ-ქართული საზოგადოების დაფუძნებასთან დაკავშირებით, რაც ჩვენი ინტერესის საგანს წარმოადგენს. ასევე, კონსტანტინოპოლში საინფორმაციო ცენტრის დაარსების შესახებ.

თქვენი წინასწარი ინფორმირების მიზნით, აქვე წარმოგიდგენთ პროექტის მონახაზს. დიდი მოთმინებით დაველოდები თქვენს გამოხმაურებას.

თქვენი აღმატებულების ერთგული,
თავადი გიორგი მაჩაბელი

*Politisches Archiv des Auswärtigen Amts (PA AA), Akten Betreffend den Krieg 1914,
Unternehmungen und Aufwiegungen gegen unsere Feinde im Kaukasus. R 21016.*

თარგმანი გერმანულიდან.

№ 91

საქართველოს განთავისუფლების კომიტეტის
წევრის, გიორგი მაჩაბლის მიერ გერმანიის იმპერიის
საგარეო საქმეთა მინისტრის (სახელმწიფო მდივნის)
მოადგილის, ართურ ციგერმანისადმი
წარდგენილი გერმანულ-ქართული საზოგადოების
წესდების პროექტი

1915 წლის 29 დეკემბერი
ბერლინი

გერმანულ-ქართული საზოგადოება

გერმანულ-ქართული საზოგადოების მიზანია, გერმანიასა და საქართველოს შორის, ასევე კავკასიის რეგიონებთან უფრო მჭიდრო კულტურული და ეკონომიკური ურთიერთობების ჩამოყალიბება.

საზოგადოების ცენტრი მდებარეობს ბერლინში. გათვალისწინებულია, რომ საზოგადოების განშტოებები მდებარეობდნენ გერმანიის და მოკავშირე ქვეყნების მნიშვნელოვან ქალაქებში.

საზოგადოების სურვილია, რომ ემსახუროს გამორჩეულად შემდეგ მიზნებს:

კულტურული პროგრამა:

საქართველოს და კავკასიის შესახებ ყველა სახის ცნობადობის მხარდაჭერა უნივერსიტეტებზე და სასწავლო დაწესებულებებზე ზეგავლენის მოხდენით, შესაბამისი სასწავლო მიმართულებების ჩამოყალიბების თვალსაზრისით ენათმეცნიერებაში, კულტურის ისტორიაში, არქეოლოგიასა და სხვა დარგებში.

ეკონომიკური პროგრამა:

საინფორმაციო ცენტრის ჩამოყალიბება ყველა ორმხრივი ეკონომიკური ხასიათის ინტერესების შესახებ, განსაკუთრებით ეკონომიკური არქივის შექმნის გზით.

საქართველოს და კავკასიის ქვეყნების შესახებ ბიბლიოთეკის შექმნა, სადაც განსაკუთრებული მნიშვნელობა მიენიჭებოდა პროფილურ და საინფორმაციო გაზეთებს, ასევე ფოტო მასალას.

ორივე პროგრამის მხარდაჭერა უნდა მოხდეს შემდეგი გზით:
მოხსენებების წარდგენა გერმანიაში.

კავკასიის შესახებ ლიტერატურის გამოცემა და მხარდაჭერა.
 პრესის დამუშავება.
 სასწავლო მოგზაურობების დაფინანსება.
 კავკასიის ქვეყნებში ტურისტული ინტერესების მხარდაჭერა.

გერმანულ-ქართული საზოგადოების გამოცემები

კავკასიის სამეცნიერო პრობლემები, ავტორი მ. წერეთელი.
 შავი ზღვა, ავტორი რაიხსრატის წევრი დოქტორი ოიგენ ლევიცკი.
 გერმანიის ინტერესები საქართველოში და მის მეზობელ რეგიონებში.
 საქართველოს და კავკასიის ქვეყნების რუკა. (დამატებითი რუკებით).
 კავკასიის რეგიონის ეკონომიკური მდგომარეობა და შესაძლებლობები.
 კავკასიის ნავთობის ინდუსტრია.
 კავკასიის ქვეყნების ისტორია.
 კასპიის ზღვა.
 ბაღდადის რკინიგზა, კავკასიის რეგიონი და ტრანსკასპია.
 ქართველი ხალხის სოციალური წყობა.
 კავკასიის ეთნოსები.
 კავკასია თქმულებებსა და პოეზიაში.

გერმანულ-ქართული საზოგადოების გამოცემები წევრებისთვის უფასოა. გარდა ამისა, ისინი წარმოადგენენ საშუალებას, რომ პრესას და საზოგადოებას კვლავაც მივუთითოთ ამ რეგიონის მნიშვნელობაზე.

Politisches Archiv des Auswärtigen Amtes (PAA), Akten Betreffend den Krieg 1914, Unternehmungen und Aufwiegelingen gegen unsere Feinde im Kaukasus. R 21016.
 თარგმანი გერმანულიდან.

№ 92

**საქართველოს განთავისუფლების კომიტეტის
წევრების, გიორგი მაჩაბლის, მიხეილ წერეთლის,
გიორგი კერესელიძის და ქიაშილ თავდგირიძის
მოხსენება კავშირის რუდოლფ ნადოლნის, გერმანიის
არმიის სახმელეთო ძალების გენერალური შტაბის
კოლიტიკის სექციის უფროსს, ძველთა ბანაკებში
ქართული პროპაგანდის შესახებ**

1915 წლის 30 დეკემბერი
ბერლინი

ქართული კომიტეტის ხელმძღვანელ წევრებს სურვილი აქვთ გააკეთონ მოხსენება ამ დრომდე ქართველ ტყვეებს შორის პროპაგანდის ნარეზობის შესახებ და აგრეთვე წარმოადგინონ რჩევები სამომავლო საქმიანობის თაობაზე.

თავის დროზე ქართული კომიტეტი მოლაპარაკებებს აწარმოებდა ქართველი ტყვეების გამოსაყოფად და ამას შესაბამისი ღირებულებებიც მოჰყვება. თუმცა აქ, ადგილი ჰქონდა შეცდომას. რუს ტყვეთა ბანაკებში ქართველთა გამოძახების დროს ქართველების უმეტესობამ, რომლებიც რუსულად გრუზინებად იწოდებიან, არ იცოდა რომ მათ გულისხმობდნენ, ხოლო მეორეს მხრივ ბევრი გრიგორიანელი სომეხი, ასევე გიორგის ჯვრის ბევრი მფლობელი – ყველა იმ რწმენით, რომ მათ გულისხმობდნენ – წინ გამოვიდნენ და როგორც „ქართველები“ ცოსენის სპეციალურ ბანაკში მოიყვანეს¹.

როდესაც ამ ხალხში პროპაგანდა გაჩაღდა, ცალსახა იყო, რომ არაქართველების მხრიდან კონტრპროპაგანდა წარმოიშვა, რაშიც მათთან ახლოს მყოფი ფრანგი, ბელგიელი და ინგლისელი ტყვეებიც იღებდნენ მონაწილეობას. ეს უკანასკნელები იმ არგუმენტს იყენებდნენ, რომ გერმანიას ჯარისკაცები აღარ ჰყავდა და ახლა ტყვეების გადაბირებას ცდილობდა სამხედრო სამსახურისთვის.

გარდა ამისა, ტყვეებს იმით ემუქრებოდნენ, რომ მათ სახელებს რუსეთში ცნობადს გახდიდნენ და შესაბამისად, მათ და მათ ნათესავებს რუსეთის მთავრობის რეპრესიების ქვეშ მოაქცევდნენ. ეს მუქარები ძირითადად მოდიოდა ერთი რუსი მღვდლისგან, რომელიც რაღაც ამოუხსნელი გზით ასევე „ქართულ ბანაკში“ აღ-

¹ მოცემულ შემთხვევაში საქმე გვაქვს ენობრივ აღრევასთან. როდესაც გერმანელებმა ბანაკებში გამოიძახეს ქართველები ანუ „Georgier“, იმ ქართველებმა ვინც ტერმინ „გრუზინს“ იყო მიჩვეული, ვერ გაიგეს, რომ მათ გულისხმობდნენ. სამაგიეროდ, სომხებს, რომლებიც გერმანულად „გრიგორიანელებად“ („Gregorianer“) იწოდებოდნენ და ასევე წმინდა გიორგის ჯვრის (გერმანულად „Georgskreuz“) მფლობელები იყვნენ, ეგონათ რომ მათ გულისხმობდნენ და ამ შეცდომის შედეგად გაყვნენ სხვა ქართველებს ცოსენის ბანაკში.

მოჩნდა და რომელიც ჯვრის და სახარების, სამსახურეობრივ ფიცსა და რელიგი-
აზე აქცენტის გამახვილებით ჩვენი პროპაგანდის საწინააღმდეგოდ წარმატებით
მუშაობდა. ამ მღვდელმა ერთი რუსი გენერლის წინაშე დაიტრაბახა კიდეც, რომ
მისი გამოსვლის შემდეგ ქართველთა შორის გერმანული პროპაგანდა უშედეგოდ
დარჩებოდა.

ასევე ქართველ ოფიცრებს შორის, რომლებიც უნდა დაგვხმარებოდნენ, არა-
საიმედო ელემენტები იყვნენ. ზოგი, რომელიც დასახმარებლად მზად იყო, სრუ-
ლიად უინიციატივო აღმოჩნდა და დანარჩენთაგან, ზოგი მიეკუთვნებოდა ქართ-
ველების პატარა რუსოფილურ დაჯგუფებას. ქართველებს ასევე აფიქრებდათ,
როდესაც მათ ეუბნებოდნენ, რომ თურქების მხარეს მოუწევდათ ბრძოლა. თურ-
ქების და სპარსელების წინააღმდეგ ქართველებს, ისტორიული საფუძვლები-
დან გამომდინარე, გასაგები უნდობლობა აქვთ, რადგან ამ ორივე მუსულმანუ-
რი ქვეყნის მტრობამ ქართველი ერი ჯერ რუსების ხელში ჩააგდო და უბრალო
ხალხს გაუჭირდა, ახლახანს სრულიად შეცვლილი მდგომარეობის გაგება.

ასევე გერმანული მხრიდან ადგილი ჰქონდა რამდენიმე მოუსაზრებელ ქმედე-
ბას. განსაკუთრებით, ქართველმა ჯარისკაცებმა კითხვებზე მათი ქვეყნის პო-
ლიტიკური მომავლის შესახებ ისეთი პასუხები მიიღეს, რასაც ისინი ვერ მოინო-
ნებდნენ. და ბოლოს, დამაზიანებელი იყო ისიც, რომ ქართველები ცოსენში რუს
თათრებთან ერთად განათავსეს, რომლებიც პროპაგანდისტული მიზნებიდან გა-
მომდინარე ჰოჯების მიერ ისე იყვნენ დამუშავებული, როგორც ეს მათთვის იყო
შესაბამისი, თუმცა ეწინააღმდეგებოდა ქართველების ფსიქოლოგიას და ამით
მათი უნდობლობა უფრო გაძლიერდა.

ესაა ძირითადი მიზეზები, თუ რატომ აღმოჩნდა უშედეგო პროპაგანდა ცოსენ-
ის 1 500 „ქართველს“ შორის. აქვე გვინდა წარმოვადგინოთ რამდენიმე წინადა-
დება, რომლებშიც ვხედავთ უფრო სწრაფი და უკეთესი შედეგების იარაღს:

პირველ რიგში უმთავრესად მიგვაჩნია, რომ თუ ეს როგორმე შესაძლებელია
ტექნიკურად, მოგვეცეს სრულიად ცალკე ბანაკი 1000-2000 ტყვისთვის.

გარდა ამისა, უნდა შედგეს დანარჩენი ტყვე ქართველების ზუსტი სია (წარმო-
მავლობის და პროფესიის მითითებით), რომლის მიხედვითაც გაკეთდება პირვე-
ლი არჩევანი.

ახლებური პროპაგანდისთვის, რომლისთვისაც ჩვენ განსაკუთრებული პროგ-
რამა შევიმუშავეთ და რომლის დროსაც თავიდან ყველანაირი პოლიტიკური
შეფერილობა უნდა აცილებული იქნას, ჩვენი თხოვნა იქნება, ყველანაირი გა-
რეჩარევა გამოირიცხოს, რათა აქციის მთლიანობა შენარჩუნებულ იქნეს. განსა-
კუთრებით სასურველი იქნებოდა, თუკი ბატონი ობერ-ლეიტენანტი კლაინოვი,
რომელმაც ქართველი ტყვეების ფსიქოლოგია ძალიან კარგად გაიცნო, მიმაგ-
რებულ იქნება აღნიშნული აქციისადმი და რომელიმე ქართველ ოფიცერთან ერ-
თად მიენდობა ქართული ბანაკის ზედამხედველობა.

ახალმა პროპაგანდამ ქართველები ნაბიჯნაბიჯ უნდა მიიყვანოს იმ შეგნე-
ბამდე, რომ მათ მოცემული გზებით შეუძლიათ საკუთარი სამშობლოს გათავი-
სუფლებაში შეიტანონ წვლილი. ყველა შემთხვევაში ამ პროპაგანდამ, რომელსაც
ჩვენ წარმოგიდგენთ, ქართველებში გერმანიისადმი მეგობრული განწყობა უნდა
მოიტანოს, რამაც, როგორც არ უნდა განვითარდეს მოვლენები, მოგვიანებით სა-
ქართველოში თავისი შედეგი უნდა მოიტანოს.

ჩვენ ასევე ვითხოვთ, რომ გერმანიის მთავრობამ ჩვენი პროპაგანდის პროგრამა რჩევითი სახით გააცნოს ავსტრიის მთავრობას. განსაკუთრებულად სასურველი იქნებოდა, რომ პარალელური აქცია განხორციელდეს ავსტრია-უნგრეთშიც.

აგრეთვე, უმჯობესი იქნებოდა, თუკი როგორც გერმანიაში ისევე ავსტრიაში, ახალ ქართველ ტყვეთა ბანაკები შერჩეული იქნებოდა ბერლინთან და ვენასთან შეძლებისდაგვარად ახლოს.

ბოლოს კი, განსაკუთრებული პროპაგანდა დაგეგმილია ქართველ ოფიცერთა შორისაც. ერთი ჩვენი ოფიცერთაგანი, რომელიც ბერლინში რჩება, ბატონ კერესელიძესთან¹ ან ჩვენი კომიტეტის რომელიმე სხვა წევრთან ერთად, გამოარჩევს ქართველ ოფიცრებს ყველა ტყვეთა ბანაკიდან, გაიცნობს პირადად და დაამუშავებს. მათგან მიზანშეწონილად მიჩნეულები კი, შემდეგ აგრეთვე ახალ ქართველ ტყვეთა ბანაკებში უნდა იქნან გადაგზავნილი.

თავადი გიორგი მაჩაბელი
თავადი ქიამილ თავდგირიძე
მიხეილ ფონ ნერეთელი
გიორგი კერესელიძე

*Politisches Archiv des Auswärtigen Amtes (PA AA), Akten Betreffend den Krieg 1914,
Unternehmungen und Aufwiegelungen gegen unsere Feinde.
Tätigkeit in den Gefangenenlagern in Deutschland. R 21252.
თარგმანი გერმანულიდან.*

¹ იგულისხმება კერესელიძე გიორგი (1885-1960).

№ 93

საქართველოს განთავისუფლების კომიტეტის
წევრის, გიორგი მაჩაბლის წერილი ოტო გიუნდერ
ფონ ვეზენდონკს, გერმანიის იმპერიის საგარეო
საქმეთა სამინისტროს ლეგაციის მდივანს და ახლო
აღმოსავლეთის საქმეთა რეფერატს, ძველთა ბანაკ
გუბერსლოვში ქართველ ოფიცრებთან საუბრების შესახებ

1916 წლის იანვრის დასაწყისი
ბერლინი

პატივცემულო ბატონო ვეზენდონკ!

27 დეკემბერს მივედი ტყვეთა ბანაკ გუტერსლოში იმ მიზნით, რომ დავლაპარაკებოდი ამ ბანაკში მყოფ რუს ოფიცერს, ეროვნებით ქართველ თავად ხერხეულიძეს. ჩვენი საუბრიდან გაირკვა, რომ ბატონი ხერხეულიძე ჩვენი მოძრაობის მიმართ დიდ ინტერესს გამოხატავს, თუმცა რადგან წამოწყება საწყის ეტაპზეა და ის საკმარისად უსაფრთხოდ ვერ გრძნობს თავს, ჯერ არ სურს თანამშრომლობა. მაგრამ მთხოვა, რომ ის საქმის კურსში ვამყოფო და მზადაა, როდესაც პირველი ნაბიჯები წარმატებით გადაიდგმება, ჩვენს ლეგიონში შემოვიდეს. მან ასევე გამოხატა უნდობლობა თურქების სურვილის მიმართ, მისცენ საქართველოს თავისუფლება და ისაუბრა კიდევ რამდენიმე ნაკლებად მნიშვნელოვან დაბრკოლებაზე, მაგალითად, გერმანიაში მყოფ ქართველ ჯარისკაცებში პროპაგანდის წარმოების სირთულეზე. ჩვენ მივედით იმ დასკვნამდე, რომ ის დროებით შესაბამის მომენტამდე ტყვეთა ბანაკში უნდა დარჩეს.

მის გარდა მე დაველაპარაკე კიდევ ერთ ოფიცერს, ბატონ კოსტანოვს, რომელმაც აღფრთოვანება გამოხატა საქართველოს გათავისუფლებასთან დაკავშირებით, თუმცა შიშობდა, რომ რუსები კავკასიაში ძალიან ძლიერები არიან და თურქებს არ აქვთ სათანადო ძალა, რომ კავკასიის ფრონტზე, რომელთან ჩვენი დამოუკიდებლობის მოძრაობაც დაკავშირებულია, შეტევა წამოიწყონ. მაგრამ თუკი ოპერაციები კავკასიის ფრონტზე ჩვენს სასარგებლოდ წარიმართებოდა, ისიც გამოხატავს მზადყოფნას, რომ ჩვენთან იმუშაოს.

დროებით ისიც ტყვეთა ბანაკში რჩება, რადგან მისი მხრიდან ჩემი აზრითაც ინიციატივა ასევე არ არის მოსალოდნელი.

ერთგულებით, თავადი მაჩაბელი

*Politisches Archiv des Auswärtigen Amts (PA AA), Akten Betreffend den Krieg 1914
Unternehmungen und Aufwiegelingen gegen unsere Feinde im Kaukasus. R 21017.*

თარგმანი გერმანულიდან.

№ 94

საქართველოს განთავისუფლების კომიტეტის წევრების,
მიხეილ წერეთლის და გიორგი კერესელიძის წერილი
ოტო გიუნდერ ფონ ვეზენდონკს, გერმანიის იმპერიის
საგარეო საქმეთა სამინისტროს ლეგაციის მდივანს და
ახლო აღმოსავლეთის საქმეთა რეფერატს, ქართველ
სამხედრო მცვეებთან დაკავშირებული სხვადასხვა
საკითხების შესახებ

1916 წლის 14 იანვარი
ბერლინი

პატივცემულო ბატონო ფონ ვეზენდონკ,

თავს უფლებას მივცემთ უმორჩილესად გთხოვოთ შემდეგი:

1. რაც შეიძლება სწრაფად მოგვცეთ შესაძლებლობა ბატონ უფროს ლეიტენანტ ლ. ახალკაცთან ერთად გავემგზავროთ ავსტრიაში და ვინახულოთ ქართველი ტყვე ოფიცრები (6 კაცი) მიულინგში ვიზელბურგთან.
2. მოგვცეთ გერმანიაში მყოფი ქართველი ტყვე ოფიცრების ახალი სია და მათთან შეხვედრის საშუალება.
3. ბატონ უფროს ლეიტენანტ ლ. ახალკაცთან ერთად მოგვეცეს თორგაუში კიდევ ერთხელ გამგზავრების საშუალება, რომ კვლავ შევძლოთ კაპიტან ლალიძესთან დალაპარაკება.
4. რადგან ჩვენმა თანამემამულეებმა, ბატონებმა რაფაელ ნიჟარაძემ და ალექსი ანჯაფარიძემ ჩვენთან სათანამშრომლოდ მზადყოფნა გამოხატეს, უმორჩილესად გთხოვთ აღნიშნული ბატონები გათავისუფლდნენ პოლიციის ზედამხედველობიდან და მიეცეთ ბერლინის წითელი ჯვრის სანიტარული სამსახურის ცნობა.

განსაკუთრებით გთხოვთ, დააჩქაროთ ჩვენი გამგზავრება ავსტრიაში.

ამ წერილს, თქვენის ნებართვით, გიგზავნით ბატონ უფროს მასწავლებელ ჰ. კოზაკის საშუალებით.

ერთგულებით,
მ. წერეთელი
გ. კერესელიძე

*Politisches Archiv des Auswärtigen Amts (PA AA), Akten Betreffend den Krieg 1914,
Unternehmungen und Aufwiegelungen gegen unsere Feinde.
Tätigkeit in den Gefangenenlagern in Deutschland. R 21253.
თარგმანი გერმანულიდან.*

№ 95

**კავკასიის შიკაპშირა ოფიცრის, გერმანიის არმიის
თადარიგის კაპიტანის, ბრაუნ ფრიდრიხ-ვერნერ ფონ
დერ შულენბურგის მოხსენება გერმანული არმიის
გენერალურ შტაბს, ძრაპიზონში დისლოცირებული
ქართული ლეგიონის და მასთან დაკავშირებული
საკითხების შესახებ**

1916 წლის 15 იანვარი
ტრაპიზონი

ტრაპიზონში ჩემი ხელახალი ჩასვლის დროს, შესაძლებლობა მქონდა მენახა ქართული ლეგიონი ყოველგვარ გასაჭირში. არ უნდა გამოგვრჩეს მხედველობიდან, რომ არცერთი ადგილობრივი ხელისუფლება არ არის კარგად განწყობილი ქართული საქმის მიმართ. თუმცა ადგილობრივ ხელისუფლებებზე ენერგიული ზემოქმედების შედეგად აქამდე ყოველთვის იმას ვაღწევდით, რომ კონსტანტინოპოლიდან მომდინარე ბრძანებებს შესაბამისი მსვლელობა ეძლეოდა, რაც საშუალებას გვაძლევდა გაგვეთვალისწინებინა ქართველთა სურვილები, ამას, ამისდამიუხედავად, არ შეეძლო შეეცვალა არსებული მტრული დამოკიდებულების ფაქტი. ადგილობრივ „ერთობისა და პროგრესის“ კომიტეტთან ახლოსმდგომი წრე, რომელშიც არ შედიან მნიშვნელოვანი პირები, საკუთარ განსაკუთრებულ მიზნად ამიერკავკასიის დაპყრობა დაისახეს. მათი შეხედულებით, კავკასიის დიდი ქედი თურქეთის ბუნებრივი საზღვარია, რომლის გავრცელებით იმ ადგილამდე, უნდა მიაღწიონ ქვეყნის უსაფრთხოებას. ამ ამოცანის სიდიადე, თავისთავად იზიდავს თავისკენ ნახევრადგანათლებულებს და პარტიის წევრები არ ფიქრობენ იმაზე, გამართლებულია თუ არა მათი შეხედულება ისტორიული თუ ეთნოგრაფიული თვალსაზრისით და არც იმაზე, რომ მათი სურვილების აღსრულება თურქეთისთვის დიდი პოლიტიკური სირთულეების მომტანია. აშკარაა, რომ ადგილობრივი ახალგაზრდა თურქები ამგვარ პირობებში ქართველთა სურვილებისთვის დაბრკოლებას წარმოადგენენ და მათ მუშაობას მთელი საკუთარი ძალებით სირთულეებს უმზადებენ. მათგანვე მოდის წინააღმდეგობა და შეფერხებები, რომლის შესახებაც ყოველთვის ჩივიან ბატონები, რომლებსაც ლეგიონში ჯარისკაცთა ჩარიცხვა აბარიათ. აი ახლაც, ნდობით აღჭურვილმა პირმა მოზელმა ამასიიდან შეგვატყობინა, რომ მისადმი უკვე ვალდებულ ხალხს დეზერტირობისკენ უბიძგავენ და რომ ის იძულებულია ხსენებულ ადგილას დროებით შეაჩეროს ლეგიონში ჩასარიცხი სამუშაოები.

მე-3 ოტომანთა არმიის ყოფილ მეთაურს, მაჰმუდ ქიამილ ფაშას¹, სავსებით მხედველობიდან რჩება უპირატესობანი, რომლებსაც თურქეთს უქმნის საქართ-

¹ იგულისხმება ქიამილ ფაშა მაჰმუდ (1880-1922).

ველოს ბუფერული სახელმწიფო და საფრთხეები, რომლებიც მოყვებიან მართლმადიდებელი ხალხის შემოერთებას თურქულ-რუსულ საზღვარზე. ის განიცდის, უცნობ მიზეზთა გამო, პირადულ მტრობას ქართველთა მიმართ, რაც ხშირად გავლენას ახდენს მის მოქმედებებზე. გარდა ამისა, მან მე პირდაპირ განმიცხადა, რომ უიმედოდ თვლის ქართველთა მისწრაფებებს, რადგან მარტო ლეგიონს არ შეუძლია დაიპყროს საქართველო, ხოლო თავად მას მეტი აღარ სწამს ახალი თურქული შეტევის რუსთა წინააღმდეგ.

არც ადგილობრივი ვალი ჩანს დიდად აღფრთოვანებული ქართველებით და მათი საქმით. მას სირთულეები უნდა ჰქონოდა „ერთობისა და პროგრესის“ ადგილობრივ კომიტეტთან და როგორც ჩანს, სურს არ გაანაწყენოს ახალგაზრდა თურქთა წრეები ზედმეტად გულმოდგინე მუშაობით ქართველთა სასარგებლოდ. სხვა მხრივ მან არაერთგზის გაუწია ჩვენს საქმეს სასარგებლო სამსახური.

ტრაპიზონის სამხედრო კომენდანტი ავნი ფაშა¹ თავად ქართველია და გულთან ახლოს მოაქვს ქართველთა საქმე. თუმცა, ის არ ეკუთვნის „ერთობის და პროგრესის“ პარტიას, რის გამოც მუდმივად ცდილობს დაამტკიცოს საკუთარი კარგი თურქული შეხედულებანი, რათა თავიდან აიცილოს ახალგაზრდა თურქებთან შეტაკება. ამ გარემოებით იხსნება ყველა მისგან მომდინარე სირთულეები.

ყველაფერ ამას ისიც ემატება, რომ ქართული კომიტეტის ადგილობრივ წევრებს, პიროვნული თვალსაზრისით, ნაკლებად შესწევთ უნარი შესაბამისი შთაბეჭდილება მოახდინონ, რაც ადგილობრივ ვალთან დამოკიდებულებაში არც თუ უმნიშვნელო ფაქტორს წარმოადგენს. კომიტეტის თავმჯდომარე სურგულაძეს და წევრ ოსმან ბეის, ორივე არაჩვეულებრივად მუყაით, კარგად მოაზროვნე და ღია პიროვნებებს, აკლიათ მიდრეკილება წესრიგისადმი და ხასიათის ყოველგვარი სიმტკიცე. ამის შედეგია, რომ მათ საქმეებში სრული უწესრიგობა სუფევს, და რომ მათი ყოველი გამოსვლა ადგილობრივი ხელისუფლების და ქართულ კომიტეტში მათი მეგობრების წინაშე, წარუმატებელია.

ქართული ლეგიონის ახლანდელი მეთაური კერესელიძე², არავითარ შემთხვევაში არ შეეფერება ამ პოსტს. ვერ ვუარყოფთ, რომ მისი ამოცანა, ქართველი მოხალისეებისგან, რომლებიც არასდროს ჯარისკაცები არ ყოფილან, გამწვრთნელი პერსონალის უკმარისობის პირობებში ვარგისი ჯარი შექმნას, ძალიან ძნელია. კერესელიძეს, რომელიც თავად არასდროს არ ყოფილა ჯარისკაცი, აკლია არა მხოლოდ ყოველგვარი სამხედრო ნიჭიერება, არამედ გულმოდგინეობაც. მისი უვარგისობა კარგად არის ცნობილი აქაური ხელმძღვანელი პირებისათვის და ზიანს აყენებს ქართულ საქმეს.

თავადი მაღალოვი³ მსახურობს კერესელიძის მეთაურობის ქვეშ ქართულ ლეგიონში. ის აგრეთვე არასდროს არ ყოფილა ჯარისკაცი, თუმცა, უეჭველად ფლობს საქმისათვის აუცილებელ სამხედრო ტალანტს და გულმოდგინეობას. თუმცა ის, გაურკვეველ მიზეზთა გამო, იმყოფება დამოკიდებულ მდგომარეობაში კერესელიძის მიმართ და თავს უფლებას აძლევს დაავადებული იყოს მისი ზარმაცობით. გარდა ამისა, ცოტა ხნის წინ მან სისულელე ჩაიდინა და მაჰმადიანი გახდა, რათა სომეხი ქალი შეენარჩუნებინა, რომელიც მან უკანასკნელ ზაფხულს

¹ იგულისხმება ავნი ფაშა აჰმედ (1874-1937?).

² იგულისხმება კერესელიძე ლეო (1883-1943).

³ იგულისხმება მაღალაშვილი (მაღალოვი) ნესტორი (მურად ბეი) (1882-1937).

გასახლებისგან გადაარჩინა, რომელიც, როგორც ყვებიან, ძალიან ლამაზი არის. ვინაიდან მაჰმადიანობაში გადასვლის მისი მიზეზები ცნობილია, ამას არ შეუწყვია ხელი საუკეთესო თურქულ წრეებში მისი ავტორიტეტის ზრდისათვის.

ზია ბეი თავადი აბაშიძე¹, აქაური ქართული კომიტეტის უკანასკნელი წევრი, მაჰმადიანია და ეკუთვნის ძალიან ცნობილ კავკასიურ გვარს. თუმცა თავად ის, თითქმის არასდროს არაფრით არ გამოირჩევა.

1914 წლის შემოდგომაზე გერმანიის საიმპერატორო მთავრობამ ქართული ლეგიონისთვის ტრაპიზონში 88-ე მოდელის 5000 მაუზერის თოფი გამოაგზავნა. თუმცა, იარაღი აქ უმისამართოდ ჩამოვიდა, რისი შედეგიც ის იყო, რომ ის თურქულმა ხელისუფლებამ ჩაიგდო ხელში და ამ იარაღით თურქ მოხალისეთა არარეგულარული რაზმები შეიარაღა. ტრაპიზონში ჩემი პირველი ყოფნის დროს აქ კიდევ მოიპოვებოდა 1 400 ხსენებული თოფი, რა თქმა უნდა, ტყვია-ნამლის გარეშე, დანარჩენები გაიფანტნენ. მე მაშინ შევძელი ის, რომ ავნი ფაშამ ლეგიონს 200 ხსენებული თოფი გადასცა და დაგვპირდა დანარჩენებიც გადაეცა, როცა ლეგიონი რიცხოვრივად გაიზრდებოდა. პარალელურად მე კონსტანტინოპოლში ტყვია-ნამალი შევუკვეთე. საკუთარი დაპირება დამატებითი იარაღის გაცემის შესახებ სამხედრო კომენდანტმა არ შეასრულა, ასე რომ მე ერზერუმში ამის შესახებ არაფერი გამიგია. ჩემი აქ მეორე მგზავრობის წინ, მივიღე ნდობით აღჭურვილი პირის, ფონ შმიდტის ტელეგრაფული შეტყობინება, რომ თურქთა მფლობელობაში კიდევ არსებული 1 200 თოფი, ჯერ კიდევ ერთი თვის წინ კონსტანტინოპოლიდან მოსული ბრძანებით იქ გაიგზავნა. ბატონი ფონ შმიდტი არ იყო ინფორმირებული ამის შესახებ. არმიის მეთაურთან დასმულმა შეკითხვამ გაარკვია, რომ ასეთი ბრძანება მართლაც მოსულა კონსტანტინოპოლიდან.

მაჰმუდ ქიამილ ფაშამ თითქოსდაც არ იცოდა, რომ საქმე ლეგიონისთვის დაპირებულ იარაღს ეხებოდა, და ამის გამო მე არაფერი შემატყობინა. ამის შემდეგ მე ბატონ სამხედრო ატაშეს კონსტანტინოპოლში ტელეგრაფით ვთხოვე, აიძულოს იარაღი უკან გამოგზავნონ, თუმცა ამაზე პასუხი მივიღე, რომ ეს შეუძლებელი არის, რადგან იარაღი უკვე სპარსეთში გაიგზავნა. ამის შემდგომ უკვე აქ ტრაპიზონში ჩემს მიერ დადგენილ იქნა, რომ ავნი ფაშამ ლეგიონის მეთაურს თავიდანვე შეატყობინა იარაღის გაგზავნის ბრძანების შესახებ, თუმცა ბატონ კერესელიძეს, რომელიც მაშინ, მართალია, რევმატოიდური არტრიტით იყო დაავადებული, დაავიანდა შეტყობინება ბატონ ფონ შმიდტისთვის ან ერთ-ერთი კომიტეტის წევრისთვის გადაეცა.

იარაღის დაკარგვა ძალიან სანწყენია, რადგან თქვენ ნება დაგვრთედ ლეგიონი სულ ცოტა ნაწილობრივ მაინც თანამედროვე იარაღით აღვეჭურვა, რაც მის წინაშე დასახული ამოცანის განხორციელებისათვის აუცილებლად გვეჩვენება. ჩემმა მცდელობამ ბატონ სამხედრო ატაშეს შუამდგომლობით მიგველო 1000 რუსული თოფი, წარუმატებლად ჩაიარა.

ტრაპიზონის ვილაიეთი პრაქტიკულად არ აწარმოებს მარცვლეულობას. როგორც ჯარისთვის, ისე მოსახლეობისათვის, ის სამსუნიდან უნდა იქნეს შემოტანილი. ამგვარ პირობებში, სადღეისოდ ფასები ძალიან მაღალია. ტრაპიზონში ჯერ კიდევ ჩემი პირველი ყოფნის დროს მე კონსტანტინოპოლში ბრძანება მოვიპოვე, რათა ლეგიონს უფლება მიენიჭოს მიიღოს საკვები სამთავრობო მარა-

¹ იგულისხმება აბაშიძე (სანჯაკბეგიშვილი-აბაშიძე) ზია ბეგი (1875-?).

გებიდან. მიუხედავად ამისა, ამ დრომდე ლეგიონს ხელისუფლებიდან არაფერი მიუღია. ვალიმ, რომლის ხელშიც კვების მთელი სისტემა, სამხედროს ჩათვლით არის გაერთიანებული, არაერთგზის განაცხადა, რომ მას არ გააჩნია საკმარისი მარაგი, რათა ლეგიონი გამოკვებოს. მე ამჟამად შევეხე ამ გარემოებას მასთან საუბრის დროს, და მან მე განმიმარტა, რომ მარაგის არმიისათვის შესყიდვა არ იმყოფება მის კომპეტენციაში. შესაბამისი რეკვიზიციური კომისია შეისყიდის მხოლოდ იმ რაოდენობას, რაც უშუალოდ თურქული ჯარებისთვის არის აუცილებელი. თავად ის ვალდებულია, ნაღდი ფულით იყიდოს სამოქალაქო მოსახლეობისთვის შესასყიდი მარაგი. შესაბამისად, მას არ შეუძლია ისინი ლეგიონს მიყიდოს მნიშვნელოვნად უფრო დაბალ ფასებში, აქაურ ბაზართან შედარებით. ვალიმ შემოგვთავაზა, რომ ლეგიონს საკუთარი მოთხოვნილებანი თავად დაეკმაყოფილებინა სამსუნში შესყიდვების მეშვეობით და დაგვპირდა შესყიდულის ტრანსპორტირება უფასოდ საკუთარი გემების მეშვეობით მოეხდინა.

ამასთან ერთად ლეგიონს საკუთარ თავზე უნდა აელო შესყიდვათა გადაზიდვის რისკი. ეს რისკი კი, ძალიან დიდია, რადგან აქ აქტიურად მოქმედი რუსული სატორპედო კატერები ყოველდღე ძირავენ სატრანსპორტო ნაგებობების გარკვეულ რიცხვს და როგორც წესი, არც თავად ნაგებობის კაპიტნები არიან სანდონი. მიუხედავად იმისა, რომ აქაც და სამსუნშიც დამარცხება განვიცადე, მე საჭიროდ ჩავთვალე „ჰოჰშტრასერის და კამპანიის“ დიდი შვეიცარული სავაჭრო სახლისთვის დამევალებინა შეესყიდა ფქვილის და ხორბლის ერთი თვისთვის საჭირო რაოდენობა და აქეთ გამოეგზავნა. თუმცა კამპანიამ აიღო საკუთარ თავზე დავალების შესრულება და ნდობით აღჭურვილი პირი მოხელიც, რომელიც ამჟამად სამსუნში იმყოფება, მუშაობს ამ საქმეზე, იმ ოთხი კვირის განმავლობაში, რაც მე აქ ვიმყოფები, ვერ მოხერხდა გადაზიდვების დაწყება. თუკი შედეგს მალე ვერ მივაღწევთ, მაშინ მე თხოვნით მივმართავ ბატონ სამხედრო ატაშეს, მოახერხოს, რათა სამხედრო რეკვიზიციულ კომისიას დაევალოს შესყიდვები აგრეთვე ლეგიონისთვისაც განახორციელოს, ისე რომ მისი მოთხოვნილებები ადგილობრივი სანყოფილებიდან იქნენ დაკმაყოფილებულნი.

ტრაპიზონში ჩემს ჩამოსვლამდე ცოტა ხნით ადრე ავნი ფაშამ, აშკარად ახალგაზრდა თურქთა წრეების იძულებით, შეეცადა ლეგიონის თურქიზაცია მოეხდინა. მან უცებ შესთავაზა, რათა ბრძანებების ქართული ენა თურქულით შეცვლილიყო. ასევე სანვრთნელი მიზნებისთვისაც მან ზოგი უნტერ-ოფიცერი წარადგინა, რომლებიც მხოლოდ თურქულად საუბრობენ. რადგან ლეგიონის ოფიცრები არ ლაპარაკობენ თურქულად, მე, ქართული კომიტეტის სურვილით, შევძელი იმის მიღწევას, რომ ავნი ფაშამ საკუთარი წინადადება უკან წაიღო და წარადგინა ქართულად მოსაუბრე სანვრთნელი პერსონალი.

ზოგიერთი უთანხმოება, რომელიც ვალისთან ლეგიონის განთავსებასთან დაკავშირებით წარმოიქმნა, შეიძლება მოგვარებულ იქნას სირთულეების გარეშე.

გრაფი შულენბურგი

Politisches Archiv des Auswärtigen Amtes (PA AA), Akten Betreffend den Krieg 1914, Unternehmungen und Aufwiegungen gegen unsere Feinde im Kaukasus. R 21018.

თარგმანი გერმანულიდან.

№ 96

კავკასიის შიდაკავშირე ოფისრის, გერმანიის არმიის
თადარიგის კავშირის, გრაფ ფრიდრიხ-ვერნერ ფონ
დერ შულენბურგის მოხსენება გერმანული არმიის
გენერალურ შტაბს, ძრაპიზონში დისლოცირებული
ქართული ლეგიონის და მასთან დაკავშირებული
საკითხების შესახებ

1916 წლის 20 იანვარი
ტრაპიზონი

ფორმირების პროცესში აქ მყოფი ქართული ლეგიონის პირადი შემადგენლობის რაოდენობა წინა წლის დეკემბრის შუა რიცხვებში ძნელად თუ აღწევდა 500 კაცს. ბოლო 4 კვირის განმავლობაში ამ რიცხვმა 700 კაცს მიაღწია, რომლებსაც მალე შემდგომი 60-80 ახალწვეულიც შემოუერთდება. ბოლო კვირების განმავლობაში, ნდობით აღჭურვილი პირი მოზელი მარტო ეწეოდა ლეგიონში ჩასარიცხ სამუშაოს ტერიტორიაზე სივასსა და სამსუნს შორის. მან, ქართველი სურგულაძის დახმარების გარეშე უკეთეს შედეგს მიაღწია, ვიდრე ადრე მასთან ერთად. მას შემდეგ, რაც მან ისევ იმ სირთულეებზე შემომჩივლა, რომლებსაც მას მუშაობაში უქმნიდნენ, მე თხოვნით მივმართე ბატონ მოზელს აქ ჩამოსულიყო, რათა გვეთათბირა, როგორ იქნებოდა შესაძლებელი ლეგიონში ჩასარიცხი სამუშაოები შემდგომში უკეთესად გაგვეხორციელებინა. ქართული კომიტეტის წევრი ზია ბეი აბაშიძე უკვე 14 დღეა რაც ლეგიონში ჩასარიცხი მისიით იმყოფება რიზეს ოლქში. რაიმე წარმატება ამ თვალსაზრისით, ადრე მას ჯერ კიდევ არა ჰქონია.

სავარაუდოდ, ლეგიონის პირადი შემადგენლობის რიცხვი სირთულეების გარეშე შეიძლება გავზარდოთ 1000-1 200 კაცამდე. თუკი ლეგიონის შემადგენლობის რიცხვი ამაზე მნიშვნელოვნად მეტად უნდა გაიზარდოს, ამისთვის ახალი დიდი შრომა იქნება საჭირო.

ჩემი აზრით, ჯერჯერობით დაახლოებით 1 200-კაციანი პირადი შემადგენლობით უნდა დავკმაყოფილდეთ. ადრე გათვალისწინებული 3000 კაცის რაოდენობა პასუხობს ქართული კომიტეტის გასაგებ სურვილს, რათა მათი ჯარი მაქსიმალურად ძლიერი იყოს. გარდა ამისა, ამის მომხრედ გამოდიოდა ვიცე-პოლკოვნიკი შტანგე, რომელიც ფიქრობდა ამ რაოდენობის დახმარებით ხელახლა განეხორციელებინა შეტევა ლაზისტანში. ლეგიონის მიზანია იმ ცენტრის როლი შეასრულოს, რომელსაც, საქართველოში ნემისმიერი შეჭრის დროს, სხვა მეამბოხეებიც შეუერთდებიან. მათი შემდგომი ამოცანა უნდა იყოს, ამიერკავკასიის რევოლუციონერთა წრეებს დაუმტკიცონ, რომ მათ სასარგებლოდ მუშაობენ და ანგარიშგასაწევ ძალას წარმოადგენენ. ლეგიონმა, ამ თვალსაზრისით, თავმოყრის

ადგილის ფაქტორის როლიც უნდა შეასრულოს. ამ ორივე მიზნის მისაღწევად ლეგიონის პირადი შემადგენლობის რაოდენობას არა აქვს დიდი მნიშვნელობა. ამას ისიც უნდა დავუმატოთ, რომ 3000-კაციანი ჯარისთვის გვაკლია ოფიცერთა და უნტერ-ოფიცერთა საკადრო პერსონალი, და რომ მათი შეიარაღება და აღჭურვა განსაკუთრებულ სირთულეებს გვიმზადებს. 1 200-კაციანი პირადი შემადგენლობა ადგილობრივი წარმოდგენით, ორ გაძლიერებულ ბატალიონს შეესაბამება. აქ მყოფი თურქული ბატალიონები, ჩვეულებრივ, მხოლოდ 400 კაცს შეიცავენ. გარდა ამისა, 1 200 კაცი არ არის უმნიშვნელო ჯარი ადგილობრივი მაღალმთიანი ომის პირობებში, რომელიც იშვიათად იძლევა ერთ ადგილას 150 კაცზე მეტის გამოყენების საშუალებას.

ამჟამად ლეგიონი ოთხ, დაახლოებით 130-კაციან ასეულად არის დაყოფილი, რომელთა რიცხვიც 150 კაცამდე უნდა გაიზარდოს. გარდა ამისა არსებობს სამეურნეო ასეული, რომლისგანაც, უფრო გვიან, უნდა შეიქმნას სატრანსპორტო ასეული. ლეგიონის მეთაური, ქართული კომიტეტის წევრი ლეო კერესელიძეა, რომელთანაც ასეულის მეთაურად მსახურობს ასევე კომიტეტის წევრი, თავადი ნესტორ მაღალოვი. ადგილობრივმა სამხედრო კომენდანტმა ავნი ფაშამ ინსტრუქტორებად ქართული წარმოშობის სამი თურქი ოფიცერი წარადგინა. ლეგიონის მეთაურმა დანიშნა უნტერ-ოფიცერთა არაპროპორციულად დიდი რაოდენობა. მათგან მეტნაკლებად მხოლოდ 10 კაცამდია ვარგისი, რომლებიც ადრე რუსი ჯარისკაცები იყვნენ.

ლეგიონის წვრთნა ჯერ კიდევ აშკარად არ არის დასრულებული, რისი მიზეზიც რეალურად ვარგისი გამწვრთნელი პერსონალის და იარაღის ნაკლებობაა. სამხედრო სამსახური შედარებით კარგად არის შეთვისებული. ვარჯიში სროლებში ვერ ჩატარდა, ხოლო საველე სამსახური ჯერ კიდევ საწყის სტადიაზე იმყოფება. მას, ამ ბოლო დროს, იმანაც შეუშალა ხელი, რომ აქ ძალიან ცუდი ამინდები იდგა, ხოლო ჯარისკაცებს ჯერ კიდევ არ ჰქონდათ შინლები. ამ თვალსაზრისით, უპირველესყოვლისა ის იქნებოდა სასარგებლო, თუკი აქ ჩამოვიდოდნენ დაპირებული გერმანელი და ქართველი ოფიცრები.

შესაძლოა, ლეგიონის წვრთნის საქმე უფრო წაწველიყო წინ, ლეგიონის მეთაურ კერესელიძეს მის წინაშე მდგარი ამოცანისადმი უფრო მეტი გაგება და უფრო მეტი სიბეჯითე რომ გამოეჩინა. მე უკვე ვახსენე ეს პუნქტი ჩემს წინა მოხსენებაში. ქართული კომიტეტის წევრებთან სურგულაძესთან და ოსმან ბეისთან ერთად მოვილაპარაკეთ, რომ ბატონი კერესელიძე ლეიტენანტ შლიფაკს¹ უნდა ჩაენაცვლებინა, უკანასკნელი ძალიან ახალგაზრდა რომ არ ყოფილიყო, და მას ამ საქმეში ენის არცოდნა რომ არ უშლიდეს ხელს. ბუნებრივია, საქმეთა ვითარების შესაბამისად ფრიად სასურველი იქნებოდა, რომ ლეგიონის მეთაურის პოსტზე აქტიური გერმანელი ოფიცერი – ძველი ობერ-ლეიტენანტი ან ახალგაზრდა კაპიტანი ყოფილიყო წარდგენილი. მთლიანობაში, ლეგიონერები არასდროს ყოფილან ჯარისკაცები, რადგან მაჰმადიანი კავკასიელები რუსეთში სამხედრო სამსახურიდან არიან განთავისუფლებულები. ამოცანა, მათგან ბრძოლისუნარიანი ჯარი შექმნან, აღემატება ქართული კომიტეტის წევრთა შესაძლებლობებს. ეს ძნელი იქნება გერმანელი რეზერვის ოფიცრისთვისაც და წარმატების მიღწევის პერსპექტივის თვალსაზრისით, უნდა დაევალოს მხოლოდ აქტიურ გერმა-

¹ იგულისხმება შლიფაკი ჰორსტ (Schliephack Horst).

ნელ ოფიცერს, რომელსაც ჯარის წვრთნის გამოცდილება გააჩნია. ყოფილ რუს ოფიცერთა ლეგიონის მეთაურის თანამდებობაზე დანიშვნა გამორიცხულია იმის გამო, რომ ადგილობრივი სამხედრო ხელისუფლება ამგვარ ნაბიჯს საკუთარ უდიდეს უნდობლობას დაუპირისპირებს. თავის მხრივ, ქართველებს არავითარ შემთხვევაში არ სურთ, რომ იხილონ ლეგიონის სათავეში თურქი ოფიცერი. ყველა ეს სიძნელე გერმანელი მეთაურის დანიშვნით შეიძლება დავძლიოთ. მე, ჩემს მხრივ, იმას მივაქციე ყურადღება, რომ ვიცე-პოლკოვნიკ შტანგეს წარმომადგენელი, რომლის ჩამოსვლის შესახებაც შემატყობინა ბატონმა სამხედრო ატაშემ, ვიცე-პოლკოვნიკ შტანგეს დაბრუნების შემდეგ ლეგიონის მეთაურად შეიძლება იქნეს დანიშნული. სამწუხაროდ, ამ ბატონს ჯერჯერობით აქამდე არ მოუღწევია. აქედან გამომდინარე, თავს უფლებას ვაძლევ აქ ისევ გავიმეორე ჩემი თხოვნა, ლეგიონის მეთაურად შესაბამისი აქტიური გერმანელი ოფიცერი გამოგვიყოთ.

ლეგიონის ჩასაცემელი და აღჭურვა ძალიან დიდ სიძნელეებს გვიქმნის. ადგილობრივმა სამხედრო ხელისუფლებამ ყველა ვარგისი სამხედრო მასალის რეკვიზიცია მოახდინა და ამისდა მიუხედავად, მაინც ვერ ახერხებს მათი ჯარები ერთიანად, ან თუნდაც საკმარისად აღჭურვოს. თურქ ჯარისკაცებზე ყველა სახის უნიფორმა შეიძლება დაინახოთ, ზოლებიანის და მოხატულის ჩათვლით. მხოლოდ იმ გარემოებას, რომ ლეგიონს ნაღდი ფულის გადახდის საშუალება ჰქონდა, უნდა ვუმადლოდეთ, რომ მისთვის დამალული ქსოვილისა და ტყავის მარაგები წვდომადი გახდა. ჩვენ შევძელით ლეგიონი ერთიან, კარგი ყავისფერი ქსოვილის უნიფორმაში გამოგვეწყოს, და ის მკვრივი და ადგილობრივი ფორმის ფეხსაცმლით მოგვემარაგებინა. უნიფორმის გარეგნული სახისთვის ოდნავ გაუბრალოებული აჭარული ნაციონალური კოსტუმი ავარჩიეთ. ლეგიონი თავსაბურავად ატარებს ადგილობრივი ტიურბანების მსგავს თავზე მოხვეულ ყაბალახებს. მთლიანობაში, უნიფორმა იმდენად პრაქტიკული აღმოჩნდა, რომ ადგილობრივ სამხედრო ხელისუფლებას სურს ის ოტომანურ არმიაში შემოსაღებად შესთავაზოს. უმორჩილესად თან ვურთავთ ორ ფოტოსურათს, რომელზეც ლეგიონის ასეულია გამოსახული. ყავისფერი შინლებისთვის ქსოვილის შოვნა შეუძლებელი აღმოჩნდა. ამ მიზეზით, სხვა არაფერი დაგვრჩენია, გარდა იმისა, რომ ლეგიონს ცისფერი შინლები დავურიგოთ. აღჭურვილობას ემატება ზურგის ტომარა, პატრონტაში, საველე მათარა და ადგილობრივი დანა. ბრეზენტის კარვები და სასანგრე ინსტრუმენტი, რომელთა შოვნაც აქ შეუძლებელია, გერმანიაში უნდა მოვითხოვოთ.

ლეგიონით დაკავებულ თურქ და გერმანელ ბატონებსაც მიაჩნიათ, რომ ლეგიონის ჯარისკაცები უკეთეს სამხედრო მასალას წარმოადგენენ. უკვე ამჟამად, მარშის დროს, ლეგიონი გაცილებით უკეთეს შთაბეჭდილებას სტოვებს, ადგილობრივ თურქულ საჯარისო ნაწილებთან შედარებით, რასაც, რა თქმა უნდა, მნიშვნელოვნად უწყობს ხელს მისი კარგი და ერთიანი უნიფორმა.

ლეგიონის აღჭურვისთვის და საგარნიზონო სოფელ სეფანოსთვის, რომლის სახლებშიც ყველგან მოგლუჯილი იყო კარები, ფანჯრები და ყველაფერი ის, რისი წაღებაც შეიძლებოდა, უნდა თავიდან შეიქმნას სამკერვალო, სამეწარმე, სადურგლო, სამჭედლო და სხვა სახელოსნოები. იქ, ლეგიონის ჯარისკაცთა გარდა, იმუშავენ განსაკუთრებით ბერძენი ხელოსნები და აგრეთვე ბევრ ლეგიონერთა ცოლებიც.

მცირე სახსრებით, მოხალისე ექიმმა დოქტორ ფრიკემ სეფანოსში ძალიან ლამაზი ლაზარეთი შექმნა, რომელიც სრულად აკმაყოფილებს ლეგიონის მოთხოვნილებებს და მათ თურქული დანესებულებებისგან დამოუკიდებლად ხდის.

ადრე ლეგიონისთვის დაახლოებით 100 საზიდი ცხოველი (ცხენი და სახედარი) იქნა შეძენილი, რომლებიც ამჟამად აკმაყოფილებენ მის მოთხოვნებს. იმ შემთხვევაში, თუკი ლეგიონს დღევანდელ მდგომარეობაში სალაშქროდ გასვლა მოუნევს, აუცილებელი იქნება დამატებით 150-200 საზიდი ცხოველის შექმნა, რომელთა პოვნაც მხოლოდ სამსუნსა და სივასს შორის მდებარე ტერიტორიაზე იქნება შესაძლებელი. ტრაპიზონის ვილაიეთში არ გამოყავთ ცხენები და სახედარები, რის გამოც ეს ცხოველები აქ იშვიათები და ძალიან ძვირები არიან.

ყველა საყიდელი ლეგიონის აღჭურვისა და შენახვისათვის, ისევე როგორც ჯერ კიდევ ჯარის მომარაგებისთვის, ადგილობრივ ბაზარზე მცირე პარტიებად უნდა იქნეს შეძენილი. ამის გამო, განსაკუთრებით სანყის ეტაპზე გაიზარდა განსახორციელებელი სამუშაოს მოცულობა. თავდაპირველად გათვალისწინებული იყო, რომ ყველა შესყიდვა ქართული კომიტეტის მეშვეობით მომხდარიყო, და რომ საამისო ავანსები მეკავშირე ოფიცრის ხაზინიდან გაეღოთ. თუმცა, მალე გამოირკვა, რომ კომიტეტი ამ ამოცანის შესრულებისთვის სრულიად არ იყო მზად. ამან ხაზინაში დიდი უნესრიგობა და ფულის გაფლანგვა შექმნა, რის გამოც ნდობით აღჭურვილი პირი ფონ შმიდტი სულ მალე იძულებული იყო ავანსების პრაქტიკაზე უარი ეთქვა და ხსენებული სახაზინო საქმეები გერმანულ ხელეში გადაეცა.

სამხედრო მოხალისე ოსენკოპმა, რომელიც ადრე ცალმაისტერი¹ იყო, მოაწყო მონესრიგებული ხარჯთაღრიცხვა, სავაჭრო პრინციპების მიხედვით. საქმეთა მოცულობამ, აიძულა ნდობით აღჭურვილი პირი შეექმნა რამდენიმე კლერკით დაკომპლექტებული ბუღალტერია.

განსაკუთრებით სასარგებლო აღმოჩნდა გერმანული წარმოშობის რუსი ტყვეების გამოყენება, რომლებიც მე-3 ოტომანურმა არმიამ მეკავშირე ოფიცერს გადასცა. ამ ხალხისგან აქ 40 კაცი არის დასაქმებული, რომლებიც მეკავშირე ოფიცრის შტაბისადმი მიკუთვნებულ ნდობით აღჭურვილ პირებად ითვლებიან. თავიანთ პოსტებზე მათ ეს ნდობა ყველგან კარგად გაამართლეს.

ძლიერმა შეტევამ, რომელიც რუსებმა ბოლო კვირების განმავლობაში ერზერუმის აღმოსავლეთით წამოიწყეს და რომელიც არც თუ ისეთი უშედეგო აღმოჩნდა, ლეგიონისთვის სასურველი შედეგი გამოიღო. ცნობებმა ერზერუმისკენ თურქების დახვეის შესახებ, „აქ ოფიცერთა შორის პანიკა გამოიწვიეს“². ამას ისიც დაემატა, რომ ამავდროულად რიზესთან რუსების საზღვაო დესანტის შიში ჰქონდათ. ადგილობრივი სამხედრო მეთაური იძულებული იქნა, მთელი აქ მყოფი ჯარი – სამი სუსტი ბატალიონი და ერთი საველე ბატარეა – რიზეში და ქოროხის დაბლობში გაეგზავნა, რის შედეგადაც ტრაპიზონი დამცველთაგან მთლიანად დაცლილი აღმოჩნდა. ამ მიზეზით ავნი ფაშამ ლეგიონს 84-ე მოდელის 300 მოძველებული მაუზერის თოფი და 50 000 ვაზნა გადასცა, რათა ლეგიონს შეეძლო შეტევაზე გადასულიყო, რუსთა ტრაპიზონზე შესაძლებელი თავდასხმის შემთხვევაში. ვინაიდან აქ კიდევ შენახული 200 ცალი 88-ე მოდელის მაუზერის თოფისთვის ტყვია-წამალი არ არსებობდა, მოცემულ შემთხვევაში ლეგიონის ნახევარზე მეტი კვლავინდებურად უმოქმედობისთვის იყო განწირული.

¹ Zahlmeister (გერმ.) – ხაზინადარი.

² ეს ციტატა ტექსტში ფრანგულად არის მოცემული: „ont causé ici une panique parmi les officiers“.

იმედი გვაქვს, რომ აქ მალე ჩამოვლენ ლეგიონისტვის განკუთვნილი გერმანელი და ქართველი იფიცრები თავიანთი იარაღით, რადგან შესაბამისი განვრთნის გარეშე ჯარის შექმნა შეუძლებელია. მე, ამ თვალსაზრისით, უკვე არაერთხელ გავაკეთე მიმართვა ტელეგრაფით.

გრაფი ფონ დერ შულენბურგი

Politisches Archiv des Auswärtigen Amts (PA AA), Akten Betreffend den Krieg 1914, Unternehmungen und Aufwiegungen gegen unsere Feinde im Kaukasus. R 21018.
თარგმანი გერმანულიდან.

№ 97

**საქართველოს განთავისუფლების კომიტეტის
წევრების, გიორგი კერესელიძის და მიხეილ
წერეთლის წერილი ოთო გიუნთერ ფონ ვეზენდონკს,
ბერლინის იმპერიის საბარეო საქმეთა სამინისტროს
ლეგაციის მდივანს და ახლო აღმოსავლეთის საქმეთა
რეფერატს, ბერლინი ცენზურის მხრიდან კომიტეტის
წევრებისთვის შექმნილი უხერხულობების შესახებ**

1916 წლის 31 იანვარი
ბერლინი

პატივცემულო ბატონო ბარონ,

ბოდიში გვინდა გთხოვოთ, რომ ამ წერილით განუხებთ, მაგრამ ჩვენ ცუდ მდგომარეობაში აღმოვჩნდით და სხვანაირად არ შეგვეძლო:

რამდენიმე ხნის წინ, როგორც იცით, ლეო კერესელიძის წერილი, რომელიც მან ტრაპიზონის საკონსულოდან და კონსტანტინოპოლის საელჩოდან თავის ცოლს გაუგზავნა, გახსნეს. ბატონმა კერესელიძემ (ტრაპიზონის ქართული კომიტეტის წევრმა) აღბათ არ იცოდა, რომ ეს წერილი ცენზურის გავლით უნდა წასულიყო, თორემ, აღბათ, არ დანერდა იმას, რაც დანერა.

ახლახანს, წერილი, რომელიც ქალბატონმა გ. კერესელიძემ მის ქმარს გაუგზავნა (ყენევიდან) ცნობათა ბიუროში¹ გახსნეს და გადათარგმნეს. ამჯერად, ჩვენ ვფიქრობთ, რომ ცენზურამ წერილი შეცდომით აიღო, რადგან მას არ შეეძლო სცოდნოდა, ვის ეკუთვნოდა წერილი. მაგრამ ახლახანს გ. კერესელიძემ კვლავ ორი წერილი მიიღო ცნობათა ბიუროდან წერეთლის საშუალებით და იქიდან ერთი კვლავ გახსნილი. წერეთელი იძულებული იყო ხელი მოეწერა, რომ მან წერილები მიიღო და მისი პირობით, ამ წერილებში არაფერი პოლიტიკის შესახებ არ იყო.

ახლა, პატივცემულო ბატონო ბარონ, ჩვენი საქმის დასაწყისში ყენევის საკონსულოდან, კონსტანტინოპოლის საელჩოდან, ტრაპიზონის საკონსულოდან, ბატონ კონსულ შაბინგერისგან² და თქვენი მხრიდანაც იყო პირობა მოცემული, რომ ჩვენი კომიტეტის წევრების წერილები ცენზურის გარეშე იმოდრავებდნენ, რაც აქამდე სინამდვილეშიც ყოველთვის ასე იყო. მაგრამ რადგან ახლა ჩვენი მი-

¹ იგულისხმება აღმოსავლეთის ცნობათა ბიურო (Nachrichtenstelle für den Orient).

² იგულისხმება ფონ შოვინგენი კარლ ემილ შაბინგერი ფრაიჰერ (von Schowingen Karl Emil Schabinger Freiherr) (1877-1967).

მონერა ცენზურას ექვემდებარება, ეს დიდად აზარალებს საქმეს, რადგან: 1) ჩვენ ხანდახან იძულებულნი ვართ სხვადასხვა პირებთან შევიდეთ შეხებაში, რომლებმაც ჩვენს საქმეზე არაფერი იციან, მაგრამ მისთვის გადმოხილება გვინდა და როდესაც ამ პირებისაგან ხანდახან არასასურველ პასუხს ვღებულობთ, შეიძლება ის უბრალოდ ცენზურის მიერ იქნას კონფისკირებული, რადგან ცენზურას არ შეუძლია იცოდეს, რის შესახებ მიდის საუბარი. 2) რადგან ქართული წერილები ძალიან გვიან მივა შესაბამის ადრესატამდე, იმიტომ რომ კონტროლი და თარგმანი მოითხოვს დიდ დროს. 3) რადგან არავის შეუძლია იმის გარანტიის მოცემა, რომ მთარგმნელი უფრო სანდოა ვიდრე ჩვენ ან ისინი, ვინც ჩვენ გვწერს. 4) რადგან ჩვენ ჩვენი გაზეთისთვის წერილებს და სტატიებს უფრო გვიან მივიღებთ და ასევე ავტორების სახელების ცოდნის უფლება ჩვენს გარდა არავის აქვს, როგორც ჩვენ ხალხს მივეცით პირობა. 5) რადგან ხანდახან ძალიან პირადული წერილების შინაარსს გაიგებენ ისეთი ადამიანები, რომლებსაც ჩვენი ოჯახური საქმეების ცოდნა არ სჭირდებათ და ა.შ.

აქედან გამომდინარე, უმორჩილესად გვინდა გთხოვოთ, რომ შეგვატყობინოთ, ცენზურის მიერ თუ არის გადაწყვეტილი ჩვენი წერილების კონტროლი, რადგან ჩვენ ვიცოდეთ, როგორ და რომელ ენაზე სჯობია დავწეროთ.

მაგრამ თუ მთელს ცენზურას წერილების თარგმნის გარდა საქმე არ აქვს, თავს უფლებას მივცემთ თავაზიანად გთხოვოთ, ჩვენი წერილები აღარ გაგზავნოთ ცნობათა ბიუროში, არამედ პირდაპირ ჩვენს მისამართზე.

თქვენი ერთგული,
გ. კერესელიძე
მ. წერეთელი

*Politisches Archiv des Auswärtigen Amts (PA AA), Akten Betreffend den Krieg 1914,
Unternehmungen und Aufwiegelungen gegen unsere Feinde im Kaukasus. R 21017.
თარგმანი გერმანულიდან.*

№ 98

საქართველოს განთავისუფლების კომიტეტის
წევრების, მიხეილ წერეთლის და გიორგი
კერესელიძის წერილი ოდო გიუნთერ ფონ ვეზენდონკს,
ბერლინის იმპერიის საგარეო საქმეთა სამინისტროს
ლეგაციის მდივანს და ახლო აღმოსავლეთის საქმეთა
რეფერატს, წარმოქმნილ ფინანსურ პრობლემაში
დახმარების შესახებ

1916 წლის 31 იანვარი
ბერლინი

დიდად პატივცემულო ბატონო ბარონ,

როგორც ჩვენ ტრაპიზონში გამგზავრებულ ჩვენს ქართველ ოფიცრებთან მოვილაპარაკეთ, ფული, რომელიც მათ ბერლინში სახლიდან უნდა მიეღოთ, ქართულ კომიტეტში უნდა დარჩენილიყო, ხოლო ისინი იგივე რაოდენობის თანხას ტრაპიზონში ტრაპიზონის ქართული კომიტეტისგან მიიღებდნენ. ვინაიდან ამას გარდა, ჩვენ განზრახული გვაქვს ასეთი გზით თანხის საკმაოდ დიდი ოდენობა საქართველოდან ჩვენი პარტიისგან ბერლინში მივიღოთ, თავს უფლებას მივცემთ თავაზიანად გთხოვოთ, მისწეროთ ბატონ გრეჩს ცნობათა ბიუროში, რომ ფული, რომელიც მას ზემოხსენებული ოფიცრებისთვის უნდა მიეღო, ჩვენ (წერეთელს ან კერესელიძეს) მოგვცეს, რადგან სამწუხაროდ, ვერ მოვახერხეთ მათგან წერილობითი ნებართვის აღება, რომ ფული პირდაპირ ბატონ გრეჩისგან გამოგვეთხოვა.

თქვენი სრულიად ერთგულები,
გ. კერესელიძე, მ. წერეთელი

*Politisches Archiv des Auswärtigen Amts (PA AA), Akten Betreffend den Krieg 1914,
Unternehmungen und Aufwiegelingen gegen unsere Feinde im Kaukasus. R 21017.
თარგმანი გერმანულიდან.*

№ 99

**კავკასიის შიდაპირე ოფისრის, გერმანიის არმიის
თადარიგის კაპიტნის, ბრაუნ ფრიდრიხ-ვერნერ ფონ
დერ შულენბურგის მოხსენება გერმანიის სახმელეთო
ჯარების ბენერალური შტაბის კოლიტიკის სექციას
ბერლინში, კავკასიის ფრონტზე თურქებსა და
ქართველებს შორის არსებული უნდობლობის
და ამის მიზეზების შესახებ**

1916 წლის 1 თებერვალი
ტრაპიზონი

ქართველი თავადი ესტად მაჩაბელი¹ სარდლობს კავკასიაში რუსეთის მხარეს მყოფ სამილიციო დანაყოფს (დრუჟინას), რომელიც ქართველებისგან შედგება და 1 200 ქვეითს და 200 ცხენოსანს მოიცავს. თავადი მიეკუთვნება ნაციონალ-სე-პარატისტულ პარტიას და გასული წლის ზაფხულში ადგილობრივ ქართულ კომიტეტს სამი ემისარი გამოუგზავნა დავალებით, შეეტყობინებინათ, რომ ის და მისი ხალხი მზად არიან მოცემულ მომენტში ჩვენს მხარეს გადმოვიდნენ. სამი ემისარი დატყვევებულ იქნა თურქული ჯარების მიერ და თვეების მანძილზე ერთიდან მეორე ადგილზე გადაჰყავდათ, მანამდე ისინი საკუთარ მიზანს, – ტრაპი-ზონს მიაღწევდნენ. ერთი მათგანი გზაში დაიღუპა. გასული წლის სექტემბერში, ტრაპიზონში ჩემი ყოფნის დროს, დარჩენილ ორივე მათგანს ჯერ კიდევ ექცე-ოდნენ როგორც სამხედრო ტყვეებს და საჭირო გახდა ჩემი ჩარევა არმიის მე-თაურთან, რომ ისინი გაეთავისუფლებინათ და ქართული კომიტეტის განკარგუ-ლებაში გადაეცათ. მხოლოდ ახლა შეიძლებოდა იმაზე ფიქრი, რომ თავადისთვის პასუხი მისივე ემისრების მეშვეობით გაგვეგზავნა.

მე უკვე მაშინვე მივანიშნე ადგილობრივ ქართულ კომიტეტს, რომ რაც შეიძ-ლება სწრაფად იყო საჭირო ჯგუფები რუსული ფრონტის ზურგში გაგვეგზავ-ნა, რომლებსაც უნდა დაერღვიათ მტრის ზურგის კომუნიკაციები. გარდა ამისა, ქართველ რევოლუციონერებს უნდა მიეღოთ მონოდება ემისრებისგან, ადგილზე თავად ჩამოეყალიბებინათ მსგავსი ჯგუფები. კომიტეტმა მიპასუხა, რომ მათ უკ-ვე დიდი ხნის მანძილზე იგივე სურვილი ჰქონდათ, მაგრამ თურქები მათ ყველა მცდელობას, თურქული ფრონტის ხაზის გავლით ხალხი კავკასიისკენ გაეგზავ-ნათ, მუდმივად უშლიდნენ ხელს. აღნიშნული საკითხი განვიხილე მაშინ ჯერ კიდევ აქ მყოფ ვიცე-პოლკოვნიკ შტანგესთან და ადგილობრივ სამხედრო მეთაურთან. ორივე ბატონმა ეგრეთწოდებულ დანაყოფ „ლაზისტანს“ წერილობითი ბრძანებ-

¹ იგულისხმება მაჩაბელი ესტატე.

ბი მისცეს, რათა მას ერთი ასეთი ჯგუფისთვის რუსეთის ტერიტორიაზე გადასვლის საშუალება მიეცა. ტრაპიზონიდან ჩემი გამგზავრებიდან მოკლე ხანში, ხალხი აქედან მართლაც გაიგზავნა. როდესაც შუა დეკემბერში უკან დავბრუნდი, ჯგუფი რამდენიმეკვირიანი არყოფნის შემდეგ ცარიელი ხელებით აგრეთვე დაბრუნდა ტრაპიზონში. ისინი ამბობდნენ, რომ მათ მთელი თურქული ფრონტის გასწვრივ აგზავნიდნენ აქეთ-იქეთ, თუმცა არცერთგან არ მისცეს საშუალება უშუალოდ გადაეკვეთა ფრონტის ხაზი. აქაურ სამხედრო უწყებებში კი ფრონტიდან მოსული ამის საპირისპირო მოხსენება იდო, რომლის მიხედვით თითქოს ეს ხალხი ყველა შეთავაზებულ გადასასვლელ მონაკვეთებზე სარგებლის ნახვას ცდილობდა, რის გამოც ჩაითვალა, რომ მათ რუსეთში გადასვლის ნამდვილი სურვილი არ ჰქონდათ.

რადგან შეუძლებელი იყო გადამემონებინა, თუ რომელი მტკიცება იყო სწორი, ადგილობრივი ვალისგან წერილობითი საშვი გამოვითხოვე და ნდობით აღჭურვილ პირ ფონ შმიდტთან ერთად იგივე ჯგუფი საზღვარზე ხელახლა გავგზავნე. ბატონი ფონ შმიდტი „ლაზისტანის“ დანაყოფში ყველგან უდიდესი პატივისცემით მიიღეს. ის ირწმუნება, რომ რუსეთის ტერიტორიაზე გადასვლა სახმელეთო გზით რამდენიმე თვის წინ სრულებით შესაძლებელი იყო, მაგრამ ამჟამად გამორიცხულია, რადგან მთების ზედა ნაწილები ყველგან თოვლის დიდი მასით არიან დაფარულნი, ხეობები კი ყველგან რუსული თხრილებით არიან ჩაკეტილი. აქედან გამომდინარე, არაფერი გვრჩებოდა იმის გარდა, რომ ხალხი საზღვაო გზით გავგვეგზავნა. მიუხედავად იმისა, რომ რუსული სატორპედო ნავეების გამო ეს გზა საკმაოდ სახიფათო იყო, ამ ხალხმა საამისოდ მაშინვე მზადყოფნა გამოხატა და ვინედან ფოთისკენ ნავით გაემგზავრნენ. მიაღწიეს თუ არა მათ მიზანს, რა თქმა უნდა ჯერ ვერ დადგინდა.

თურქების მიერ ამ საქმეში შექმნილი სირთულეები უკავშირდება უსაზღვრო უნდობლობას და შიშს, რომელიც მათ ქართველების შპიონაჟის მიმართ აქვთ. ამის დამახასიათებლად შემდეგი შემთხვევა გამოდგება:

მოკლე დროში მას შემდეგ, რაც აღნიშნული ჯგუფი ვინედან გაემგზავრა, რუსულმა სატორპედო ნავეებმა დაბომბეს თურქების მარცხენა, ზღვისპირა ფრთა. ამასთანავე, მათ სრულიად შემთხვევით მოახვედრეს გადამალულ თურქულ ზარბაზანს. მიუხედავად იმისა, რომ სრულიად ცალსახაა, რომ გაგზავნილი ქართველები არასოდეს ყოფილან ზარბაზნის ახლოს, შესაბამისმა თურქმა მეთაურმა გვამცნო, რომ მხოლოდ რუსეთში გაგზავნილ ხალხს შეეძლო გაეცა ინფორმაცია ზარბაზნის ადგილმდებარეობის შესახებ. საბედნიეროდ, ადგილობრივ სამხედრო კომენდანტს, რომელიც პირადად იცნობს გაგზავნილ ხალხს, მიაჩნია, რომ ისინი სრულიად სანდონი და ღალატზე არნამსვლელნი არიან. აქედან გამომდინარე, მე ვიმედოვნებ, რომ ამ პირველი გაგზავნილი ყინული მოლბა და მომავალში სირთულეები არ შეგვექმნება. შემდეგ ხანებში განზრახული მაქვს კიდევ ერთი ჯგუფი, ჩემს დაქვემდებარებაში მყოფი გერმანელი პირის თანხლებით, ვინეში გავგზავნო, იქიდან კი გემით – რუსეთის მიმართულებით.

ხელმოწერილი გრაფი ფონ დერ შულენბურგი

Politisches Archiv des Auswärtigen Amtes (PA AA), Akten Betreffend den Krieg 1914, Unternehmungen und Aufwiegungen gegen unsere Feinde im Kaukasus. R 21018.

თარგმანი გერმანულიდან.

№ 100

საქართველოს განთავისუფლების კომიტეტის
წევრების, ბიორგი კერესელიძის და მიხეილ
წერეთლის წერილი ოთო გიუნთერ ფონ ვეზენდონკს,
ბერმანიის იმპერიის საბარეო საქმეთა სამინისტროს
ლეგაციის მდივანს და ახლო აღმოსავლეთის
საქმეთა რეფერატს, ბიორგი კერესელიძის შენევაში
ბასამგზავრებალად თანხის გამოყოფის შესახებ

1916 წლის 10 თებერვალი
ბერლინი

პატივცემულო ბატონო ბარონ,

ახლახანს შევიტყვეთ, რომ ერთი სანდო ქართველი, რომლის შესახებ თქვენ-
თან უკვე გვისაუბრია, ჟენევიდან საქართველოში გასამგზავრებალად არის მზად.
ჩვენ ძალიან მნიშვნელოვნად მიგვაჩნია, რომ ბატონი კერესელიძე ჟენევაში გა-
ემგზავროს, რათა ხსენებული ბატონის მეშვეობით ქართველებს ჩვენს სამშობ-
ლოში უამბოს ჩვენი საქმის მდგომარეობის შესახებ და რომ დახმარების და ინ-
ფორმაციის თხოვნით მიმართოს. ამიტომ, თავს უფლებას მივცემთ, თავაზიანად
გთხოვოთ, რომ მიეცეს ბატონ კერესელიძეს ჟენევაში გამგზავრების საშუალება
და რაც შეიძლება მალე გამოეყოს 500 მარკა, ბატონი კერესელიძის სამგზავრო
ფული (200) და დახმარება მეორე ბატონისთვის (300).

ერთგულებით,
გ. კერესელიძე
მ. წერეთელი

*Politisches Archiv des Auswärtigen Amts (PA AA), Akten Betreffend den Krieg 1914,
Unternehmungen und Aufwiegelingen gegen unsere Feinde im Kaukasus. R 21017.*

თარგმანი გერმანულიდან.

№ 101

ერნსტ ფონ კვიატკოვსკის, ტრაპიზონში ავსტრია-უნგრეთის კონსულის მოხსენება ავსტრია-უნგრეთის იმპერიის საგარეო საქმეთა მინისტრს, ბარონ შტეფან ფონ ბურნიანს, საქართველოს განთავისუფლების კომიტეტის მიმართ გერმანული და თურქული მხარის დამოკიდებულების შესახებ

1916 წლის 11 თებერვალი
ტრაპიზონი

სამი გარემოება სძენს ქართული საქმის თანამედროვე მდგომარეობას ნაკლებად პერსპექტიულ იერს:

- 1) თურქთა მუდმივი ინტრიგები (უარყოფითი დამოკიდებულება, დაბრკოლებები, ეჭვები), განსაკუთრებით ქართულ ლეგიონში ჩარიცხვის გამო, რომელიც ამჟამად ძნელად თუ ითვლის 800 კაცს.
- 2) ადგილობრივი ქართული კომიტეტის ზოგ წევრთა, პირველ რიგში უკვე მოცილებული ლეგიონის მეთაურის¹, არასაკმარისი ვარგისიანობა.
- 3) წამოწყებისადმი ადგილობრივი გერმანული სამხედრო მისიის არასაკმარისი ინტერესი და მტრული განწყობაც კი.

კონსულის, დოქტორ ბერგფელდის მიერ ქართულ საქმესთან დაკავშირებით თურქთა სურვილებისადმი ყველაფერში მათმებლურმა დამოკიდებულებამ, განაპირობა წინა წელს დასავლეთის ფრონტიდან გრაფ შულენბურგის, ტფილისში გერმანიის ყოფილი კონსულის, ენერგიული და მომლხიბლველი კაცის აქ გამოძახება, რომელსაც ახლადშედგენილი მისიის ხელმძღვანელობა ჩაებარა.

მისმა გულგრილობამ და აგრეთვე აშკარა არაკეთილმა დამოკიდებულებამ, ერთის გამოკლებით, მისიის სხვა წევრთა (ჩვეულებრივად სანდო ადამიანთა) მხრიდან, რომლებიც სრულიად განსხვავებულ პირებს და ურთიერთობებს გერმანული საზომით უდგებიან, მისიასა და ქართულ კომიტეტს შორის საქმე ღრმა გაუცხოვებამდე მიიყვანა, რაც თავდაპირველად დიდად პერსპექტიულ წამოწყებას სერიოზულად აყენებს კითხვის ქვეშ.

ბოლო დროის შთაბეჭდილებების რეზიუმირებისას, მსურს ხაზი გავუსვა:

- 1) გერმანელები, ქართველები და თურქები, ქართულ საქმესთან მიმართებაში ამჟამად იმყოფებიან პირდაპირ ურთიერთდამაბრკოლებელ პოზიციებზე.

¹ იგულისხმება კერესელიძე ლეო (1883-1943).

- 2) როგორც ქართველებს ურჩევნიათ რუსული ბატონობა თურქულს, ასევე თურქეთი უყურებს უკეთესი თვალით რუსულს, ვიდრე დამოუკიდებელ კავკასიას.

„ჩვენ არა იმიტომ მოვიშორეთ სომხები და მათი სწრაფვა ავტონომიისკენ, რომ დავუშვათ ახალი ქრისტიანული სახელმწიფოს წარმოქმნა ჩვენს საზღვრებზე“, საყვედურით განუცხადა ერზერუმის ვალიმ ადგილობრივი ქართული კომიტეტის წარგზავნილს, და ამ სიტყვებში გასაგებად გამოხატა ოფიციალური თურქეთის და ახალგაზრდა თურქთა კომიტეტის განწყობა.

ქართული წამოწყების შემდგომი განვითარება, ჩემი აზრით, ომის ხანგრძლივობაზე არის დამოკიდებული, რადგან გერმანიას სრული ინტერესი და შესაძლებლობაც აქვს, კავკასიაში განწყობის (მათ შორის ბოლო დროის დაღაღის შესახებ ქუთაისის და ბათუმის პროცესის)¹ გათვალისწინებით, დიდი სამხედრო ძალის გამოყენების შემთხვევაში რუსეთს, მის ყველაზე მტკივნეულ ადგილას, დარტყმა მიაყენოს.

ამავე ანგარიშს ვატყობინებ კონსტანტინოპოლს.

საიმპერიო და სამეფო კონსული კვიატკოვსკი

Wien, Haus-, Hof- und Staatsarchiv (HHStA), Politisches Archiv (PA), I 947 Krieg 21 k Türkei: Georgisch-grusinischer Aufstand im Kaukasus 1914-18, Fol. 167.

თარგმანი გერმანულიდან.

¹ იგულისხმებიან 1915 წელს რუსული ხელისუფლების მიერ დანყებული სასამართლო პროცესები მის ხელში ჩავარდნილ იმ აჭარელ მუსულმანთა წინააღმდეგ, რომლებიც, ოსმალური არმიის 1914 წლის ბოლოს – 1915 წლის დასაწყისში ჭოროხის მხარეში დროებითი წინსვლის დროს, შეუერთდნენ უკანასკნელს და მათ შორის იქ მყოფ ქართველ მოხალისეთა რაზმებს.

№ 102

**საქართველოს განთავისუფლების კომიტეტის წევრის,
გიორგი მაჩაბლის მოხსენება კავითან რუდოლფ
ნადოლნის, გერმანიის არმიის სახმელეთო ძალების
გენერალური შტაბის კოლიტიკის სექციის უფროსს,
„ქართული საკითხის მდგომარეობის შესახებ“**

1916 წლის 12 თებერვალი
ბერლინი

თურქეთის მთავრობამ კმაყოფილებით მიიღო ცნობა, რომ გერმანია მხარს უჭერს პროპაგანდას ქართველ ოფიცრებსა და ჯარისკაცებს შორის ტყვეთა ბანაკებში, ისევე როგორც იმას, რომ ამისთვის საჭირო ხალხი ტრაპიზონის მახლობლად ჩამოყალიბებულ ქართულ ლეგიონებში უნდა გაიგზავნოს. თურქეთის სამხედრო სტრუქტურებმა თავის მხრივ უკვე ტრაპიზონში გამოაგზავნეს კონსტანტინოპოლში ჩასული პირველი ქართველი ოფიცრები და უნტერ-ოფიცრები. მანამდე, ისინი მიიღო თავად სამხედრო მინისტრმა ენვერ ფაშამ და მათ მიზნებთან საკუთარი შეხედულებების სრული თანხვედრის ხაზგასმით, წამოწყებაში დახმარებას შეპირდა.

თურქეთის მთავრობა ტყვეებს შორის პროპაგანდას ასევე ძალიან მნიშვნელოვნად მიიჩნევს და თანხმობას გამოთქვამს, ამ პროპაგანდის შედეგად თურქეთში ჩასული ქართველი ჯარისკაცები საქართველოს ფრონტზე გაგზავნოს, სადაც ისინი ჩაირიცხებიან საკუთრივ ქართულ ლეგიონებში, რომელთა განსაკუთრებული უნიფორმები და დროშები თურქული სტრუქტურებისგან დაშვებულ იქნა. ამ დროისთვის ქართული ლეგიონი დაახლოებით ათასი კაცისგან შედგება, ასე რომ საგანგებო ფორმირების შექმნისთვის მნიშვნელოვანი იქნებოდა, რომ ეს ციფრი რაც შეიძლება სწრაფად და მნიშვნელოვნად გაიზარდოს.

ხელმომწერი კომიტეტის და მისი 30.12.1915¹ და 6.1.1916 განცხადებების საფუძველზე, თავს უფლებას მივცემ კიდევ ერთხელ გამოვთქვა თხოვნა, დაკმაყოფილდეს ჩვენი მიმართვა ტყვეებს შორის პროპაგანდის წარმოებასთან დაკავშირებით.

გარდა იმისა, რომ ჩვენს მიერ განზრახული პროპაგანდა, ნებისმიერ შემთხვევაში გერმანული საქმისთვის საჭირო შედეგს მიაღწევს, ღრმად ვართ დარწმუნებული, რომ ჩვენ, ძველი გამოცდილებიდან გამომდინარე, შევძლებთ წარმატებით ვიმუშაოთ ქართველ ჯარისკაცებს შორის. აგრეთვე, კიდევ ერთხელ გვსურს გთხოვოთ ერთგულებით, რომ ქართველი ტყვეები ყველა შემთხვევაში განთავ-

¹ იხ. დოკ. 92.

სებულ იქნან ცალკე ბანაკებში, რადგან ჩვენს პროპაგანდას სხვა მხრიდან არ შეეძინას რამე დაბრკოლება.

ჩვენ აღნიშნული პროპაგანდა ქართველ ტყვეთა ბანაკებში განსაკუთრებით სასწრაფოდ მიგვაჩნია და გთხოვთ, რომ ჩვენი მომართვის საკითხი უსწრაფესად იქნას მოგვარებული. ამავდროულად, გვაქვს უფლება ყურადღება გავამახვილოთ იმაზე, რომ უკვე განხორციელებულია მოსამზადებელი სამუშაოები ნდობით აღჭურვილი პირების საქართველოში გასაგზავნად, რათა უახლოეს ხანებში სანდო ადამიანები ურთიერთობაში შევიდნენ ადგილზე მოსახლეობასთან და პარტიების მეთაურებთან. ეს ნდობით აღჭურვილი პირები ნაწილობრივ რუსეთის და ნეიტრალური ქვეყნების გავლით, ნაწილობრივ კი თურქეთის გზით ჩავლენ საქართველოში და ყველაფერს გააკეთებენ, რომ მალე დაიწყოს ენერგიული მუშაობა საზღვრის ორივე მხარეს. მოქმედების ასეთი ფორმა სრულიად მხარდაჭერილია თურქეთის მთავრობის მიერ და მასთან დაკავშირებულ ნაბიჯებში ყველანაირი მხარდაჭერა გამომიცხადეს.

კიდევ ერთხელ მოგმართავთ თხოვნით, შეძლებისდაგვარად სწრაფი გადაწყვეტილების შესახებ. ხელს ვაწერ ქართული კომიტეტის სახელით,

ერთგულებით,
თავადი მაჩაბელი

Politisches Archiv des Auswärtigen Amts (PA AA), Akten Betreffend den Krieg 1914, Unternehmungen und Aufwiegelingen gegen unsere Feinde. Tätigkeit in den Gefangenenlagern in Deutschland. R 21253.
თარგმანი გერმანულიდან.

№ 103

**საქართველოს განთავისუფლების კომიტეტის წევრის,
გიორგი მაჩაბლის წერილი კაპიტან რუდოლფ
ნადოლნის, გერმანიის არმიის სახმელეთო ძალების
გენერალური შტაბის პოლიტიკის სექციის უფროსს, მის
მიერ, ლეიტენანტ ახალკაცთან ერთად, თორბაუს ძყვე
ოფიცერთა ბანაკში ქართველი ეროვნების ოფიცერთა
მონახულების და მათთან საუბრების შესახებ**

1916 წლის 27 თებერვალი
ბერლინი

1916 წლის 7 თებერვალს მე, ლეიტენანტ ახალკაცთან ერთად, ვენზე ტყვე ოფიცერთა ბანაკს თორგაუში, ხსენებულ ბანაკში მყოფი ქართველი ეროვნების ოფიცერთან საუბრის მიზნით. თორგაუში იმყოფებოდა ქვემოთაღნიშნული ოთხი ქართველი ოფიცერი:

1. კალატოზოვი ი. დ. – 201-ე ინფანტერიის პოლკის კაპიტანი, თელავიდან, ტფილისის გუბერნიიდან.
2. ლალიძე ვ. დ. – 201-ე ინფანტერიის პოლკის კაპიტანი, ქუთაისიდან.
3. თვარაძე ა. ი. – 201-ე ინფანტერიის პოლკის ლეიტენანტი, ქუთაისიდან.
4. მიქაბერიძე ა. ი. – მე-14 გრენადერთა პოლკის კაპიტანი, ორიოლიდან.

ჩვენ ვესაუბრეთ ოთხივე ოფიცერს, მათ შორის ცალ-ცალკე ლეიტენანტ თვარაძეს და კაპიტან მიქაბერიძეს, და ერთად ორივე კაპიტანს – კალატოზოვს და ლალიძეს. მთლიანობაში საუბრებმა სამ საათზე მეტ ხანს (12-დან 13-მდე) გასტანეს. მათ შორის ლეიტენანტ თვარაძესთან – დაახლოებით ერთი საათი, კაპიტან მიქაბერიძესთან – ნახევარი საათი, და ორივე კაპიტანთან – ლალიძესთან და კალატოზოვთან – დაახლოებით საათნახევარი.

საუბარი ქართულ ენაზე წარმოებდა, რომელსაც ოთხივე ოფიცერი კარგად ფლობდა. თავს უფლებას მივცემ დანვრილებით გადმოგცეთ ამ საუბრების შინაარსი, რადგან აქედან კარგად ჩანს ჩვენ თანამემამულეთა განწყობა და მათი განსხვავებული შეხედულებები ჩვენი მოძრაობისა და მიზნის შესახებ.

ლეიტენანტ თვარაძეზე ჩვენი ეროვნული მიზნის მისაღწევად ჩვენს მიერ ჩატარებულმა წინასწარმა სამუშაომ (პროპაგანდამ, ლეგიონთა ფორმირებამ და ა.შ.) დიდი გავლენა მოახდინა, ისევე როგორც იმ ფაქტმა, რომ ლეიტენანტი ახალკაცი და ზოგი მისი მეგობარი უკვე ჩავიდნენ ტრაპიზონში, სადაც ჩვენს მოძრაო-

ბას შეუერთდნენ. თუმცა მისი ოჯახი (ცოლი და შვილი) საქართველოში დარჩა, მან მზაობა განაცხადა ჩვენს მოძრაობას შეერთებოდა. თვალცრემლიანმა მოგვიყვა, რომ რუსულ ჯარში სამსახური ცხოვრების გაჭირვებამ აიძულა. მან, რა თქმა უნდა, გამოთქვა ეჭვი იმის შესახებ, რომ რუსები, შესაძლოა, მძიმე და სრულ დამარცხებას განიცდიან. განსაკუთრებით იმიტომ, რომ მისი აზრით, თურქები ამ ფრონტზე ძალზე სუსტნი არიან იმისთვის, რათა შეიჭრან კავკასიაში. იმ შემთხვევაში, თუკი საქმისთვის მის გამოყენებას მოვისურვებთ, მან გვთხოვა ისე მოგვეწყო, რათა მას შეძლებისდაგვარად შეუმჩნევლად (მაგალითად, რამდენიმე სხვა ოფიცერთან ერთდროულად, როდესაც ისინი დრო და დრო ოფიცერთა ერთი ბანაკიდან მეორეში გადაყავთ) შეეძლოს თორგაუს დატოვება, რომ თორგაუს ბანაკში მყოფ სხვა რუს ოფიცრებს არაფრის ეჭვი არ დაეხადოს. ტყვე ოფიცრები განსაკუთრებული სიფრთხილით ეკიდებიან ერთმანეთს და ცნობას ამის შესახებ, შეუძლია რაიმე გზით რუსეთში ჩააღწიოს. როგორც კი ის ჩვენი მიზნებისთვის დაგვჭირდება, თავს უფლებას მივცემ განსაკუთრებული ხასიათის წინადადება მოგაწოდოთ, თორგაუდან მისი გამოყვანის გზის შესახებ.

კაპიტანი მიქაბერიძე დგას იმ პოზიციაზე, რომ საქართველო ვერ შეძლებს საკუთარი მიზნის მიღწევას რუსთა დამარცხების შედეგად, რასაც ის არარეალურად მიიჩნევს. მას უფრო სწამს, რომ რუსეთში ომის შემდეგ ლიბერალური მთავრობა შეიქმნება, რომლისგან საქართველოსთვისაც ავტონომიის მინიჭებას უნდა მოველოდოთ. იმ შემთხვევაში, თუკი ჩვენივე გზით ჩვენს მიზანს უნდა მივაღწიოთ, რაც მას მთელი გულით სურს, ამ შემთხვევაში შეკითხვაზე, იქნება ის რუსეთის თუ საქართველოს მხარეს, არჩევანს უყოყმანოდ საქართველოს სასარგებლოდ გააკეთებს.

ორივე კაპიტანს ლალიძეს და კალატოზოვს კავკასიაში დიდი ოჯახები დარჩათ, რის გამოც რეპრესიების შიშით დღევანდელი ვითარების პირობებში არ სურთ მათი საფრთხეში ჩაგდება.

ორივეს ასევე არ სწამს უახლოეს მომავალში თურქული არმიის წარმატების. თუკი, ამისდა მიუხედავად, საბრძოლო მოქმედებები საქართველოს ტერიტორიაზე გადაინაცვლებენ, ამ შემთხვევაში ისინი ერთ მომენტსაც არ დააყოვნებენ, რათა ჩვენთან ერთად იბრძოლონ ჩვენი განთავისუფლებისთვის და ამ მიზნის მისაღწევად, ასევე თავს არ შეიკავებენ მათი ოჯახების გამოც. ორივე ოფიცერი დიდ კმაყოფილებას გამოთქვამს ჩვენი მუშაობის და წარმატების გამო და გვთხოვს მომავალშიც ისინი რეგულარულად ვამყოფოდ ყველაფრის საქმის კურსში. მათ სურთ ქართული გაზეთის გამოსვლისთანავე მიიღონ მისი ეგზემპლარები. ამავე დროს რუსთა მიერ ერზერუმის პირველი ფორტის აღებამ, რაც სულ ახლახანს გახდა ცნობილი, საფრთხეში ჩააგდო მათზე ჩვენი პროპაგანდის ზეგავლენა და ვიზიტის მიზნები.

როგორც ამ საუბრებიდან ჩანს, ქართველ ოფიცრებს შორის არ არსებობს არავითარი აზრთა სხვაობა ქართული მიზნის შესახებ. არსებობს მხოლოდ ეჭვები, რამდენად შესაძლებელი იქნება რუსული ძალის იმდენად საკმარისად განადგურება, რომ ამ გზით საქართველოში შეიარაღებული აჯანყების საშუალებით ჩვენი მიზნების მიღწევა იყოს შესაძლებელი. განსაკუთრებით ეჭვობენ იმაში, რომ თურქებს საშუალება ჰქონდეთ რუსეთის წინააღმდეგ შეტევა წამოიწყონ, რომლისგანაც უპირველეს ყოვლისა არის დამოკიდებული ჩვენი საქმის წარმატება.

თუკი მსგავსი აზრები უკვე რუსულ სამსახურში მყოფ ქართველ ოფიცრებში ბატონობენ, ადვილი წარმოსადგენია, როგორი უნდა იყოს ქართველი ხალხის განწყობა.

უერთგულესად თქვენი,
თავადი გიორგი მაჩაბელი

Politisches Archiv des Auswärtigen Amts (PA AA), Akten Betreffend den Krieg 1914, Unternehmungen und Aufwiegungen gegen unsere Feinde im Kaukasus. R 21018.

თარგმანი გერმანულიდან.

№ 104

**საქართველოს განთავისუფლების კომიტეტის წევრის,
ბიორგი მაჩაბლის მოხსენება გერმანიის იმპერიის
საბარეო საქმეთა სამინისტროს და კავითან რუდოლფ
ნადოლნის, გერმანიის არმიის სახმელეთო ძალების
გენერალური შტაბის პოლიტიკის სექციის უფროსს,
საქართველოში არსებული განწყობილების და
კომიტეტის წევრ ლეო კერესელიძის საქართველოში
დაბეგმილი გამგზავრების შესახებ**

1916 წლის 2 მარტი
ბერლინი

ტრაპიზონიდან ახლადჩამოსულ ცნობებზე დაყრდნობით შემძლია გაცნობით, რომ საქმე თავად საქართველოს შიგნით წინ მიდის. საქართველოს სხვადასხვა მოსაზღვრე რაიონებში არის დაახლოებით ათასი ქართველი დეზერტირი და დაახლოებით ამდენივე, გურიასა და ქუთაისის გუბერნიაში, რომლებიც იმ მომენტს ელოდებიან მოუთმენლად, როდესაც ქართველ მოხალისეებსა და დამოუკიდებლობისთვის ბრძოლას შეუერთდებიან.

ქართული ლეგიონები, რომლებიც ტფილისში ქართული ორგანიზაციის მიერ რუსეთის საჯარისო შენაერთების შიგნით იქნა ჩამოყალიბებული და რომლებიც ჩემი ბიძაშვილის, ესტატე მაჩაბლის მეთაურობით თურქეთის საზღვრისკენ გაიგზავნა, ტრაპიზონთან განთავსებული თურქეთის საჯარისო შენაერთების შემადგენლობაში მყოფ ქართულ ლეგიონებთან კავშირის დასამყარებლად, რომელთა შესახებ დიდი ხნის მანძილზე არაფერი გვსმენოდა, ახლა კვლავ რუსეთის ფრონტზე დგანან და მზად არიან ნებისმიერ წამს ჩვენს მოძრაობას შეუერთდნენ.

როგორც ადრე უკვე მოგახსენეთ, ჩემმა ბიძაშვილმა თურქებთან ისევ ემისრები გააგზავნა, რომ მისი მზადყოფნა ეჩვენებინა, მაგრამ, სამწუხაროდ, თურქებმა ისინი არ გამოიყენეს და ცნობების მომტანები დაატუსაღეს კიდეც. მაშინ მხოლოდ ვიცე-პოლკოვნიკ შტანგეს მეშვეობით მოხერხდა ორ ქართულ ჯგუფს შორის კავშირის დამყარება.

საქართველოში პროპაგანდის უკეთ გაგრძელების მიზნით განსაკუთრებით სასურველია, რომ აქედან დროგამოშვებით რამდენიმე ქართველი გაემგზავროს, რათა მოსახლეობაში გაავრცელონ ინფორმაცია ომის მდგომარეობის და გერმანიასა და თურქეთში საქართველოს საკითხის წინსვლის თაობაზე. შემდეგ დღეებში ერთი ქართველი მიემგზავრება შვეიცარიიდან სამშობლოში, რომ ამ მიმართულებით იმუშაოს. ამის გარდა, ასევე მნიშვნელოვნად მიმაჩნია, რომ ჩემი

ძმა¹ განსაკუთრებული დავალებით იქით გაემართოს იმ აქციის მხარდასაჭერად, რომლის გეგმაც გენერალურ შტაბში შემუშავდა. მე ჩემი ძმისგან ტელეგრაფით მივიღე ცნობა შვეიცარიიდან, რომ მისი ჯანმრთელობა, რომლის აღსადგენადაც ის რამდენიმე წელი შვეიცარიაში იმყოფება, უკვე საშუალებას აძლევს სამშობლოსკენ მოგზაურობის განსახორციელებლად. იმისთვის, რომ მასთან შეუმჩნევლად მოვილაპარაკოთ ყველაფერ აუცილებელზე, მიზანშეწონილად მიმაჩნია მასთან ქრისტიანიაში² შეხვედრა.

მტკიცედ ვარ დარწმუნებული იმაში, რომ როგორც თავის დროს კავკასიაში ჩემმა ყოფნამ თავისი ნაყოფი მოიტანა, ასევე ჩემი ძმის მოგზაურობაც, რომელსაც პეტერბურგში შესაძლებლობა ექნება დუმის ქართველ დეპუტატებსაც შეხვედეს (მაგალითად, ჩხეიძეს³ და ჩხენკელს⁴, რომლებთანაც ადრე მეც მქონდა შეხება), კარგი შედეგებით დასრულდება.

თქვენი ერთგული,
თავადი გიორგი მაჩაბელი

Politisches Archiv des Auswärtigen Amts (PA AA), Akten Betreffend den Krieg 1914, Unternehmungen und Aufwiegelungen gegen unsere Feinde im Kaukasus. R 21018.
თარგმანი გერმანულიდან.

¹ იგულისხმება გიორგი მაჩაბლის ძმა – ნიკო (ნიკოლოზ) მაჩაბელი.

² ქრისტიანია – 1624-1925 წლებში ნორვეგიის დედაქალაქ ოსლოს სახელწოდება.

³ იგულისხმება ჩხეიძე ნიკოლოზ (კარლო) (1864-1926).

⁴ იგულისხმება ჩხენკელი აკაკი (1874-1956).

№ 105

ერნსტ ფონ კვიატკოვსკის, ტრაპიზონში ავსტრია-უნგრეთის კონსულის მოხსენება ავსტრია-უნგრეთის იმპერიის საგარეო საქმეთა მინისტრს, ბარონ შტეფან ფონ ბურიანს, ქართული ლეგიონის ტრაპიზონიდან სამსუნი გადმოყვანის და ამის მიზეზების შესახებ

1916 წლის 5 მარტი
ტრაპიზონი

ქართული ლეგიონის სამსუნში გადმოყვანა განპირობებულ იქნა რუსული წარმატებებით სომხეთის საბრძოლო თეატრზე, ლეგიონის არასაკმარისი სამხედრო განვრთვით და არც თუ მცირე წილად თურქთა მხრიდან მუდმივად მომდინარე სირთულეებით. დამახასიათებელია ადგილობრივი ვალის სიტყვები:

„მე ამ ხალხის მიმართ არავითარი ნდობა არა მაქვს. მათ არაფერი გააჩნიათ, არავითარი მორალი არა აქვთ“. კომიტეტის ზოგი წევრის ნაკლები ვარგისიანობა მათ მიერ დაკავებული თანამდებობებისათვის, არასასურველი ინციდენტები ლეგიონის მოსამსახურეთა შორის (ყოველდღიური ინციდენტები, ვალები), გასაგებ იერს სძენენ ამ სიტყვებს.

გერმანული მხრიდან, განსაკუთრებით ბოლო თვეების განმავლობაში, დასახული ამოცანის შესასრულებლად მცირე პასუხისმგებლობა შეინიშნებოდა.

ამავე ანგარიშს ვაგზავნი კონსტანტინოპოლში.

საიმპერიო და სამეფო კონსული კვიატკოვსკი

*Wien, Haus-, Hof- und Staatsarchiv (HHStA), Politisches Archiv (PA), I 947 Krieg 21 k Türkei:
Georgisch-grusinischer Aufstand im Kaukasus 1914-18, Fol. 116.
თარგმანი გერმანულიდან.*

№ 106

**საქართველოს განთავისუფლების კომიტეტის
წევრების, მიხეილ წერეთლის და გიორგი მარაბლის
წერილი ოთო გიუნთერ ფონ ვეზენდორფს, გერმანიის
იმპერიის საბარეო საქმეთა სამინისტროს ლეგაციის
მდივანს და ახლო აღმოსავლეთის საქმეთა რეფერატს,
გერმანიისა და ავსტრიის სამხედრო ძველთა ბანაკებში
ქართველ ძველებთან ჩასატარებელი სამუშაოების
შესახებ**

1916 წლის 10 მარტი
ბერლინი

პატივცემულო ბატონო ვეზენდორფ!

თავს უფლებას მივცემთ შემდეგი რამ გთხოვოთ:

1. მიგვაჩნია, რომ თავადი მაჩაბელი და ლეიტენანტი ახალკაცი რაც შეიძლება მალე უნდა ეწვიონ ზაგანის ტყვეთა ბანაკს, რომ:
 - ა. ის შვიდი ადამიანი, ვინც თანხმობა განაცხადა თანამშრომლობაზე, დეტალურად გამოკითხონ და მიიღონ გადაწყვეტილება უახლოეს გეგმებზე.
 - ბ. გაეცნონ ზაგანის ბანაკის ქართველ ტყვეებში არსებულ ზოგად განწყობას. ამასთან დაკავშირებით არ იგეგმება რაიმე სახის პროპაგანდა, არამედ უნდა დადგინდეს ზეგავლენის გარეშე ხალხს შორის არსებული განწყობა. ძირითადად აქ საქმე ეხება ნათელის მოფენას, თუ რა ფორმით ახდენენ ახლად მოსული ტყვეები და უკვე ადგილზე მყოფები ერთმანეთზე ზეგავლენას, რა ფორმის გავლენებთან გვაქვს საქმე და როგორია ორივე მხარის ქცევა.
2. ერზერუმის ალებისა და თურქეთის სამხედრო მოქმედებათა თეატრზე მდგომარეობის გაუარესების მიუხედავად, ვფიქრობთ, რომ არ უნდა დაეკარგოს სწრაფი ცვლილებების იმედი ფრონტის ამ მონაკვეთზეც და ნებისმიერ შემთხვევაში, არ გვინდა დაეკარგოს დრო, რომ ავსტრიაში დაგეგმილი პროპაგანდა არ გადაიდოს. ჩვენ ასევე აუცილებლად მიგვაჩნია, რომ რაც შეიძლება მალე ბატონები თავადი მაჩაბელი, ფონ წერეთელი და ლეიტენანტი ახალკაცი ავსტრიაში წავიდნენ, რადგან:
 - ა. მიუღწევი ვიზელბურგთან, სადაც იმყოფებიან ოფიცრები, რომლებმაც ჩვენთან სამუშაოდ მზადყოფნა გამოხატეს, ესაუბრონ და სამუშაოს დასაწყებად მოამზადონ.

ბ. ეწვიონ ბრუქსის ბანაკს, სადაც იმყოფება ათი ქართველი ტყვე ოფიცერი, რომლებსაც ლეიტენანტი ახალკაცი პირადად კარგად იცნობს.

გ. ეგერის ბანაკში ინახულონ ქართველი ჯარისკაცები და მათ შორის უკვე მოლაპარაკებული ფრთხილი პროპაგანდის წარმოება დაიწყო. ამ მიზნით სათანადოდ მიგვაჩნია, ბატონი ლეიტენანტი ახალკაცი და ერთი ან რამდენიმე ჩვენს მიერ სრულიად სანდოდ მიჩნეული ქართველი ოფიცერი, ავსტრიის ბანაკებიდან ეგერში უკან ჩამოვიყვანოთ, რათა იქ სისტემატიური პროპაგანდა გატარებულ იქნას.

ერთგულებით,
მ. [ფონ] წერეთელი
თავადი გიორგი მაჩაბელი

Politisches Archiv des Auswärtigen Amtes (PA AA), Akten Betreffend den Krieg 1914, Unternehmungen und Aufwiegelungen gegen unsere Feinde. Tätigkeit in den Gefangenenlagern in Deutschland. R 21254.
თარგმანი გერმანულიდან.

№ 107

**საქართველოს განთავისუფლების კომიტეტის წევრის,
გიორგი მაჩაბლის მოხსენება კავითან რუდოლფ
ნადოლნის, გერმანიის არმიის სახმელეთო ძალების
გენერალური შტაბის კოლიტიკის სექციის უფროსს,
ზაგანის სამხედრო ძვეთა ბანაკში მისი ვიზიტის და
ქართველ ძვეთებში არსებული განწყობების შესახებ**

1916 წლის 13 მარტი
ბერლინი

დღეს, 1916 წლის 13 მარტს, ლეიტენანტ ახალკაცთან ერთად ვენზე ზაგანის ტყვეთა ბანაკს, იმ მიზნით, რომ კონსულტაცია გამეარა შვიდ ადამიანთან, რომლებიც ადრეც გამოხატავდნენ მზადყოფნას სათანამშრომლოდ, ისევე როგორც გავცნობოდი ზაგანში მყოფი დანარჩენი ქართველი ტყვეების განწყობას.

პირველად შვიდი ადამიანიდან სამს ვესაუბრეთ, რომლებიც რაღაც ფორმით უფრო მსგავსები არიან. ესენია:

1. უნტერ-ოფიცერი პლატონ ქორქია
2. უნტერ-ოფიცერი აკ. ქარჩავა
3. უნტერ-ოფიცერი ალ. ბერძენი

შემდეგ კი დანარჩენ ოთხთან:

4. მოხალისე ილია კიკნაძე
5. ჯარისკაცი გიორგი მოლაშვილი
6. ჯარისკაცი ზაქარია დაკშვილი¹
7. ჯარისკაცი გიორგი სიქაძე

ჩვენ შევძელით დადგენა, რომ ყველა ეს პირი, განსაკუთრებით კი პირველი სამი დასახელებული, მზად არიან თავი შესწირონ საქართველოს საქმეს და ახლავე მიიღონ მონაწილეობა ჩვენს სამუშაოში, ჩვენი მითითებების თანახმად. თუმცა, ამ შვიდი ადამიანის მდგომარეობა ზაგანში აუტანელი გახდა იმიტომ, რომ რამდენიმე სხვა ტყვე მათ მიმართ მტრულ დამოკიდებულებას ამჟღავნებს. აქედან ჩვენი პირველი თხოვნაც, რომ ეს ხალხი სხვა ბანაკში გადავიდეს (ალბათ თათრულ-მაჰმადიანურ ბანაკში), სულ ცოტა მცირე ხნით მაინც, სანამ მათი გა-

¹ ასეა ტექსტში.

მოყენების დრო მოვა და სანამ ავსტრიულ ბანაკებში ქართველი ტყვეების საკითხი გაირკვევა. როდესაც შესაძლებლობა გვექნება ქართველ ტყვეებს შორის ავსტრიულ ბანაკებში პროპაგანდა ვანარმოოთ, მაშინ ამ შვიდიდან რამდენიმეს ავსტრიაში გადაყვანას შევძლებთ, რომ იქ ქართველ ტყვეებთან პროპაგანდაში მიიღონ მონაწილეობა. ზოგიერთი მათგანი გამოყენებადია კავკასიურ ექსპედიციაში, რომლის მომზადებითაც ვართ დაკავებული. ყველა ამ მიზეზიდან გამომდინარე, გვაქვს სასწრაფო ინტერესი, რომ ეს შვიდი ადამიანი მოცილებულ იქნას ზაგანის ბანაკს.

გარდა ამისა, ჩვენ ვესაუბრეთ ჯარისკაც ესტატე კაჭარავას. ის სერიოზული და გულწრფელი კაცის შთაბეჭდილებას ტოვებს და გამოხატა მზადყოფნა დარჩეს ზაგანში, იქ ქართველ ტყვეთა შორის პროპაგანდის გასაგრძელებლად. მისი აზრით, რასაც ჩვენც ვუჭერთ მხარს, დასაწყისში დაშვებულმა შეცდომებმა პროპაგანდას დიდი ზიანი მიაყენეს. ამ თვალსაზრისით, ჩვენს ძველ შეტყობინებებზე მივითითებთ. გარდა ამისა, ხელნაწერის სახით გამოცემულმა ქართულმა გაზეთმა¹, მისი აზრით, არანაირი სარგებელი არ მოიტანა, პირიქით ზარალიც კი მოგვაყენა, რადგან ხალხს რჩებოდა შთაბეჭდილება, რომ ეს გაზეთი ნაკლებად ქართულ, არამედ, უფრო მეტად, გერმანულ ინტერესებს ემსახურებოდა. ჩვენი გეგმა, რომ ტყვეებისთვის ბეჭდური ქართული გაზეთი გამოგვეცა, მას ძალიან მოეწონა, განსაკუთრებით თუ ეს გაზეთი შეძლებისდაგვარად თავად საქართველოდან ბევრ ინფორმაციას შეიცავდა. ის შეგვპირდა მოგვანოდოს ინფორმაცია იმაზე, თუ როგორ შთაბეჭდილებას მოახდენდა ახალი გაზეთი ტყვეებზე და სურს, რომ თავის პროპაგანდისტულ საქმიანობაში განსაკუთრებული სიფრთხილედ გამოიჩინოს.

გარდა ამისა, ვესაუბრეთ მოხალისე ყაზბეგს, რომელიც განათლებისა და გონებრივი განვითარების საკითხში ბევრად უფრო მალლა დგას, ვიდრე სხვა ჯარისკაცები. ხანგრძლივი საუბრის შემდეგ, მანაც თანხმობა განაცხადა, მეგობარ ტყვეთა შორის ჩვენთვის სასარგებლო პროპაგანდა გასწიოს.

რაც შეეხება ზოგად განწყობას, გვინდა ვთქვათ, რომ ძველთან შედარებით ის ბევრად გაუმჯობესდა. მართალია, იქ კიდევ არის ზოგი თვითნება ადამიანი, რომლებიც არასახარბიელო გავლენას ახდენენ სხვებზე, მაგრამ არა იმ რაოდენობით, როგორც ადრე ცოსენში. მდგომარეობის გაუმჯობესების მიზეზი ის არის, რომ ქართველები ამ ბანაკში სხვა ეროვნებებისგან მთლიანად განცალკევებულნი არიან და მათ აქ, როგორც ბანაკის კომენდანტმა დაგვიდასტურა, კარგად ექცევიან. მაგალითად, ზემოხსენებულ ადამიანებთან ვიზიტის დროს, მთლიანობაში არ მიგვიღია მტრული დამოკიდებულება სხვებისგან. პირიქით, ბევრმა გამოკვეთილად მეგობრული ცნობისმოყვარეობა გამოხატა იმ დღეს.

ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ დაგეგმილი ახალი გაზეთით, რომელშიც მთავარი აქცენტი საქართველოდან მიღებულ მრავალრიცხოვან ინფორმაციასა და სხვადასხვა ფრონტებიდან კარგ ცნობებზე უნდა გაკეთდეს, ყველა იქ მყოფ ტყვეს, დროთა განმავლობაში, ჩვენი საქმისადმი კეთილად განწყობილებს გავხდით. როგორც ზემოხსენებულმა ჯარისკაცებმა შეგვატყობინეს, ტყვეებს შორის ბევ-

¹ იგულისხმება 1915-1916 წლებში აღმოსავლეთის ცნობათა ბიუროს (Nachrichtenstelle für den Orient) მიერ საქართველოს განთავისუფლების კომიტეტთან თანამშრომლობაში ქართველი სამხედრო ტყვეებისათვის ფოტოლითოგრაფიული წესით გამოცემული გაზეთი „კავკასია“ („Kaukasien. Zeitung für die grusinischen kriegsgefangenen“).

რი ისეთია, რომლებიც გულში ჩვენდამი სიმპატიით არიან განწყობილი, მაგრამ ემინიათ მათი დამოკიდებულების გამოხატვის. გარდა ამისა, ბოლო ხანებში მოსულ ტყვეებში ძალიან ბევრი კარგი ელემენტი უნდა იყოს.

როგორც ბანაკის კომენდანტმა, ბატონმა ობერ-ლეიტენანტმა ვაისბროთმა შეგვატყობინა, მალე ტყვეები მინდვრის სამუშაოებზე იქნებიან გამოყენებული, მაგრამ ეს არანაირად არ შეუშლის ხელს პროპაგანდისტულ სამუშაოს. პირიქით, პროპაგანდის წარმოება იმით იქნება შემსუბუქებული, რომ მოგვინევს უფრო პატარა ჯგუფებთან მუშაობა, რომლებიც დარჩება ბანაკში, მაშინ როდესაც უფრო დიდი ნაწილი სამუშაოზე გაიგზავნება. მხოლოდ სასურველი იქნებოდა, რომ ეს მომუშავეები ყოველთვის ერთად იყვნენ და სამუშაოს შემდეგ ერთად დაბრუნდნენ ზაგანში.

ამას გარდა მნიშვნელოვანია, რომ ჩვენი კომიტეტიდან ვინმე დროდადრო ეწვეოდა ზაგანის ბანაკს, რომ ხალხთან შეხებაში დარჩეს და ზოგადი განწყობის შესახებ მუდმივად შეეძლოს ინფორმაციის მონოდება.

სრული ერთგულებით,
თავადი გიორგი მაჩაბელი

*Politisches Archiv des Auswärtigen Amtes (PA AA), Akten Betreffend den Krieg 1914,
Unternehmungen und Aufwiegelungen gegen unsere Feinde.
Tätigkeit in den Gefangenenlagern in Deutschland. R 21254.
თარგმანი გერმანულიდან.*

№ 108

ქართული ლეგიონის მე-2 ეხელონის მეთაურის,
ოფიცრის მოვალეობის შემსრულებლის ა. ოსენკოვის
მოხსენება კავკასიის მეკავშირე ოფიცერს, თადარიგის
კაპიტან ბრაუ ფრიდრიხ-ვერნერ ფონ დერ
შულენბურგს, მისი მეთაურობის ქვეშ მყოფი ეხელონის
ტრაპიზონიდან სამსუნში გადმოსვლის შესახებ

1916 წლის 20 მარტი
სამსუნი

ჩემს მიერ მიღებული დავალების თანახმად, ტრაპიზონიდან სამსუნში გადა-
მეყვანა ქართული ლეგიონის მეორე ეხელონი, შემდგარი ორი ასეულისგან 3
ოფიცრის და 231 ჯარისკაცის, 6 საბრძოლო ცხენის და 13 სატვირთე ცხოველის
ჩათვლით, მე გამოვედი ტრაპიზონიდან 29 თებერვალს და ნაბრძანები ეტაპების
დაცვით, შემოვედი სამსუნში 15 მარტს დღის 4 საათსა და 30 წუთზე.

ამ 16-დღიანი მარშის შესახებ შემდეგი უნდა მოგახსენოთ.

- 1) ოფიცრებს და ჯარისკაცებს ყოველმხრივ კარგად ეჭირათ თავი. თავდაპირ-
ველად მარშის წესრიგი ნაკლებად იქნა დაცული და კოლონა კილომეტრების
განმავლობაში ცალ-ცალკე დაყოფილი მოძრაობდა. თუმცა თანდათანო-
ბით მე შევძელი ხალხი ქვედანაყოფთა უკეთესი დაცვის რეჟიმში მომეყ-
ვანა და სამი თუ ოთხი სამარშო დღის შემდეგ ჩემი ჯარი იმდენად შეკრუ-
ლად მიდიოდა მარშით, რამდენადაც ამის საშუალებას გზის მდგომარეობა
იძლეოდა. ყველა ოფიცერი არ იშურებდა კეთილსინდისიერ მცდელობებს
ჯარისკაცებთან ურთიერთობებში და ხალხის და ტაქტით ასრულებდნენ
ჩემს რჩევის ფორმით მოცემულ ბრძანებებს. ჯარისკაცები ადვილად ემორ-
ჩილებოდნენ ბრძანებებს, არასდროს არ იყვნენ უკმაყოფილნი კვებით და
საცხოვრებელი პირობებით, და თავის მხრივ ხელი შეუწყვეს იმას, რომ მარ-
შმა კარგად ჩაიარა. დეზერტირების სახით ჯარმა მხოლოდ სამი ჯარისკაცი
დაკარგა, რომლებიც, სავარაუდოდ, ან თავად ნებაყოფლობით დაბრუნდე-
ბიან, ან ადვილად ისევ წამოყვანილნი იქნებიან, რადგან ისინი იმ ადგილას
გაუჩინარდნენ, რომლის სიახლოვესაც მათი ოჯახები იყვნენ დასახლებუ-
ლები. ავადმყოფთა და დაუძღვრებულთა სახით, მე დაახლოებით 10 კაცამ-
დე დავტოვე სხვადასხვა საეტაპო სადგომებზე.
- 2) სხვა მხრივ, უნიფორმა და აღჭურვილობა უკეთესის სურვილს ტოვებს. უნი-
ფორმა მრავალი განსხვავებული ფასონით არის შეკერილი, რომელთა უმე-
ტესობაც არასწორი ზომის არის, რის შედეგადაც ძლიერად მოცვეთილი და

დახეულია. შინლები კარგია, ოღონდ ასევე არასწორი ზომის. ფეხსაცმელი ცუდი. ჯარისკაცები აქ სრულიად მოცვეთილი ფეხსაცმლით ჩამოვიდნენ, თუმცა ჩემს მიერ გზად რამდენიმე ათეული სანდალიები და ფეხსაცმელი იქნა ახლიდან შეძენილი. ამის მიზეზი, ერთის მხრივ არასწორ ზომებში მდგომარეობს, მეორეს მხრივ კი მცირე ყურადღებაში, რომელსაც ჯარისკაცები, წმინდა უვიცობიდან გამომდინარე, უთმობენ საკუთარ საქმეს. ქსოვილის ფეხსახვევები არ არიან პრაქტიკულნი. გაცილებით უფრო მოსახერხებლად, მე ადგილობრივი მოხმარების ნაქსოვი ფეხსახვევები მიმაჩნია.

ზურგჩანთებს შორის მხოლოდ მცირე ნაწილი იყო ვარგისი გამოსაყენებლად. კომიტეტის სახელოსნოებში დამზადებული ზურგჩანთები წყობიდან მთლიანად გამოვიდნენ. მათი ქსოვილი ძალიან თხელია, ხოლო სამუშაო – უხარისხოდ შესრულებული. უკანასკნელ ზურგჩანთაგან, გამოსაყენებლად ვარგისი არც ერთი აღარ დაგვრჩა.

- 3) ეტაპები კარგად იყო ორგანიზებული და ყველგან საუკეთესოდ ფუნქციონირებდა. ეტაპებს შორის არსებული ინტერვალები ნაწილობრივ უფრო გრძელიც უნდა ყოფილიყვნენ, რის შედეგად მთელი გზის 4-5 სამარშო დღით შემცირება იქნებოდა შესაძლებელი. გზის ცალკე მონაკვეთების სიმოკლის გამო, მე, მთლიანობაში, 2 დასვენების დღე დამჭირდა.
- 4) მე შევეცადე ეტაპთა სადგომებისთვის შეძლებისდაგვარად ნაკლები ყურადღება მიმექცია, და უფრო სწორედ მიმაჩნდა ჯარისკაცებისთვის რეგულარულად ახალი საკვები შემეძინა. ამის შედეგად, ერთის მხრივ ხალხის კვებაში დიდი მრავალფერობა შევიტანე, მეორეს მხრივ კი სატვირთო ცხოველებსაც არ სჭირდებოდათ ნამოღებული პროვიანტით გადატვირთულნი ყოფილიყვნენ.
მარშის დროს კვებისათვის ლობიო უვარგისია, მისი დიდი ხნის განმავლობაში მომზადების აუცილებლობის გამო, სამაგიეროდ მშვენივრად გამოსადეგია ბრინჯი და ბურღული. შესაძლებელი იყო ნედლი თევზის დიდი რაოდენობით და იაფად შეძენა. კონსერვირებული ცხვრის ხორცის (ყაურმას) ზოგი საკონსერვო ქილა, როგორც გაფუჭებული გადასაგდები იყო. პური, როგორც საკუთარი ფქვილიდან გამომცხვარი, ისე თავისუფალ ფასებში ნაყიდი, ყველგან კარგი იყო. პურის ყოველდღიური რაციონი 300 გრამის ოდენობით, კვების დანარჩენ რაციონთან ერთად, მე საკმარისზე მეტად მეჩვენება.
- 5) თურქული ხელისუფლება ყველგან იჩენდა ჩვენდამი ყურადღებას. რაიმე სახის სიძნელეები მე არასდროს შემხვედრია.
- 6) ჩემი ეშელონის შესვლა დიდ დასახლებულ პუნქტებში ყოველთვის მტკიცედ შეკრული სამარშო კოლონის სახით ხორციელდებოდა, რაც შესამჩნევ შტაბეჭდილებას ახდენდა მოსახლეობაზე. ორდუდან დაწყებული, საიდანაც გამოსვლის მცირე ხნის წინ მე მთელი ჯარი მეჩეთში შევყარე, რათა მათ ღვთისმსახურებაში მიეღოთ მონაწილეობა, თითქმის ყოველ ადგილას, ჩვენი იქ შესვლის შემდეგ, გვიერთდებოდნენ ჩვენ მრავალრიცხოვანი მოხალისეები, ასე რომ მე-2 ეშელონის ორივე ასეული ამჟამად სრულად არის დაკომპლექტებული.

ა. ოსენკოპი

Bundesarchiv Berlin-Lichterfelde (BArch), Nachlass Schulenburg, N2273/111.

თარგმანი გერმანულიდან.

№ 109

საქართველოს განთავისუფლების კომიტეტის წევრის,
გიორგი მაჩაბლის მოხსენება გერმანიის იმპერიის
საბარეო საქმეთა სამინისტროსადმი, მისი შვიცხარიაში
მოგზაურობის შესახებ

1916 წლის 25 მარტი
ბერლინი

ნება მომეცით მოგახსენოთ ჩემი შვეიცარიაში მოგზაურობის შესახებ.

13 მარტის საღამოს წამოვიწყე მოგზაურობა შვეიცარიისკენ, რათა ბატონ მიხაილოვთან¹ გამემართა მოლაპარაკება დაგეგმილ ექსპედიციასთან დაკავშირებით. მოლაპარაკებული იყო, რომ მე მას ლუცერნში უნდა შევხვედროდი. სიფრთხილის გამო ციურიხიდან, სადაც ნახევარი საათი დავყავი, ლუცერნში ვიკითხე თუ ის უკვე იქ იმყოფებოდა. უარყოფითი პასუხის შემდეგ გავემგზავრე ბერნში, რათა გამერკვია ლეგაციაში, თუ იყო და როდის ბატონი მ[იხაილოვი] დაგეგმილი შეხვედრის შესახებ ინფორმირებული. იქ მითხრეს, რომ წერილი ან იგივე დღეს, ან შემდეგ დღეებში მის ხელთ იქნებოდა. ლეგაციაში მოლაპარაკების შემდეგ გადაწყდა, რომ დროის დაზოგვის მიზნით ლოზანაში უნდა წავსულიყავი და ბატონი მ[იხაილოვი] სასწრაფო წერილის მეშვეობით იქვე მიმეხმო. იმავე საღამოს გავემგზავრე ლოზანასკენ, სადაც შემდეგ დღეს ბატონ მ[იხაილოვს] შევხვდი.

დეტალური მოლაპარაკების შემდეგ მივედით შედეგამდე, რომ ის გადაიბარებდა მისიას და რომ მისი სამგზავრო დოკუმენტები და ა.შ. მონესრიგებული უნდა ყოფილიყო. ის დარჩა ჩემთან ლოზანაში და შემდეგ დღეებში ჩვენ ყველაფერი საჭირო გავაკეთეთ, რომ სათანადო ვიზა და ა.შ. მიგვეღო. ბატონმა მიხაილოვმა მითხრა, რომ მას დაახლოებით თვენახევრის მანძილზე სახლიდან არანაირი ცნობა არ მიუღია და რომ ტელეგრამები და სხვ. უპასუხოდ რჩებოდა.

ჩვენ დავადგინეთ, რომ მისიის განსახორციელებლად და იქაური ვალების გასასტუმრებლად მთლიანობაში 4 500 ფრანკი იყო საჭირო. აქედან 1 500 ფრანკი საჭირო იყო, ანგარიშის გასწორების და პასპორტების ჩათვლით, პეტროგრადამდე მისვლისათვის. დანარჩენს ის რუსული ოქროს ფორმით წაიღებს, რომ ადგილზე ფულის პრობლემა არ შეექმნას. ეს თანხები ჩვენ ბერნიდან მოგვანოდეს.

¹ მიხაილოვი – საქართველოს განთავისუფლების კომიტეტის წევრის, გიორგი მაჩაბლის ძმის, ნიკოლოზ მაჩაბლის ფსევდონიმი, რომელიც, გერმანული დაზვერვის 1916 წლის 19 აპრილის მონაცემებით, დიდი ხნის განმავლობაში ცხოვრობდა ლოზანაში (შვეიცარია), ოტელ „პანსიონ-ბელვედერში“. როგორც მასალებიდან ჩანს, გიორგი მაჩაბელი იყენებდა თავის ძმას მეკავშირედ საქართველოში მყოფ იატაკქვეშა ეროვნულ-გამანთავისუფლებელი მოძრაობის წარმომადგენლებთან.

ჩემი იქ ყოფნისას მივიღეთ ფრანგული და რუსული ვიზები და განვიზრახეთ განაცხადი გაგვეგზავნა ლონდონში მოგზაურობის უფლებაზე (ნებართვის ოფისი, დაუნინგ სტრიტი), რაც ახალი კანონებით მოგზაურობამდე 8 დღით ადრე უნდა გაიგზავნოს. ასევე ამისთვის საჭირო ორი ინგლისელის ხელმოწერა გავაკეთეთ. დარჩა მხოლოდ ინგლისის საკონსულოს ვიზა, მაგრამ ამის გაკეთება მხოლოდ ბერნშია შესაძლებელი, რადგან ინგლისის კონსულს ლოზანაში ამის უფლება არ აქვს. რადგანაც დანარჩენი ფორმალობები, რაც ინგლისის მთავრობის წინაშე აუცილებელია, უკვე მოგვარებულია, ინგლისის ვიზა აღარანაირ დაბრკოლებას არ შექმნის, ასე რომ ბატონი მ[იხაილოვი] სამშაბათს, 28 მარტს გაემგზავრება.

მე მას თავისი მისიის შესასრულებლად უზუსტესი მითითებები გაუუკეთე და ის 20-დან 25 აპრილამდე საჭირო ადგილზე იქნება და პარალელურად, მეორე ბატონი, რომელიც მე მას დავუსახელე, სხვა ადგილზე იქნება და ორივენი, ამ დროიდან მაისის ბოლომდე, გეგმის მიხედვით იმოქმედებენ.

14 რიცხვში, ბერნიდან ჩემი გამგზავრების წინ, შემთხვევით შევხვდი ბატონ აშოვს, რომელიც დიდი ხნის გამგზავრებული უნდა ყოფილიყო. თუმცა, როგორც გაირკვა, რუსული ვიზის გამო, რაზეც ჟენევის კონსულმა უარი განუცხადა, დიდი პრობლემები შეექმნა და რუსული ლეგაციის გამო ბერნში გამგზავრება მოუწია, სადაც მისი ინგლისური ვიზაც უნდა მოეყვანა წესრიგში. მისთვის შექმნილი სირთულეების საგანგებო მიზეზი ის იყო, რომ ომის დროს რუსეთიდან ბულგარეთის და საბერძნეთის გავლით ჩამოვიდა შვეიცარიაში. თუმცა მან მე შემატყობინა, რომ უკვე მიიღო დაპირება ვიზის თაობაზე, ამგვარად ამ საკითხის მონესრიგების შემდეგ გაემგზავრებოდა. სამწუხაროდ, მასთან მოგვიანებით საუბრის საშუალება უკვე აღარ მქონდა, რადგან ლოზანაში გავემგზავრე, თუმცა მას ვთხოვე, აუცილებლად შეგვატყობინოს, როგორც კი სირთულეებს გადალახავდა.

მომეცა შესაძლებლობა, რომ შემთხვევით დავლაპარაკებოდი კრეისერ „ასკოლდის“ ვინმე რუსი საზღვაო ოფიცრის ახლო ნათესავს, ვისგანაც შევიტყვე, რომ „ასკოლდის“ მანქანებს მძიმე დეფექტები ჰქონდათ და ოთხი თვით გადაუგზავნიათ შესაკეთებლად ტულონის დოკში. მას ასევე საკუთარი გამოცდილებიდან სცოდნია, რომ „ასკოლდის“ ოფიცრებს ძალიან უკმაყოფილო განწყობა აქვთ, რადგან ფრანგები „ასკოლდს“ მუდმივად ყველაზე რთულ დავალებებს აძლევდნენ. ეს ცნობები შეიძლება საინტერესო იყოს.

სრული ერთგულებით,
თავადი გიორგი მარჩაბელი

Politisches Archiv des Auswärtigen Amtes (PA AA), Akten Betreffend den Krieg 1914, Unternehmungen und Aufwiegungen gegen unsere Feinde im Kaukasus. R 21018.
თარგმანი გერმანულიდან.

№ 110

**ბერმანიის სამხედრო ატაშეს კონსტანტინოპოლში,
კოლკოვნიკ ოთო ფონ ლოსოვის თელეგრაფი
სახელმეთო ჭარბის ბენერალური შტაბის კოლიტიკის
სექციას ბერლინში, ქართულ ლეგიონში მისი ყოფილი
მეთაურის, მაიორ ლეო კერესელიძის თანამდებობიდან
გადადგომის შემდეგ შექმნილი მდგომარეობის შესახებ**

1916 წლის 29 მარტი
პერა

პასუხი ტელეგრამაზე № 6492: 27 მარტს ლეიტენანტი შედე გვატყობინებს სამსუნთან:

„მას შემდეგ, რაც ქართულმა კომიტეტმა გრაფ შულენბურგის ინიციატივით კერელი¹ ლეგიონის სარდლობიდან გადადგომისკენ აიძულა და მის ადგილას ლეიტენანტი შლიფაკი აირჩია, კერელმა შლიფაკთან ერთად ჩამოსულ ქართველ ოფიცრებზე საკუთარი თავის სასარგებლოდ გავლენის მოხდენა შეძლო, ვინაიდან მან მათ პასიური წინააღმდეგობის განევა ურჩია. ამ წინააღმდეგობამ ტრაპიზონში რამდენჯერმე, ხოლო სამსუნში აქამდე ერთხელ იჩინა თავი, თუმცა ამ დრომდე მეთაურის ენერგიული მოქმედების შედეგად დაძლეულ იქნა. ამისდა მიუხედავად, დამოკიდებულება მათდამი არ არის სრულებით დამაკმაყოფილებელი. ვინაიდან ქართულმა კომიტეტმა მიზნად დაისახა ქართველ ოფიცერთა ინტერესები მეთაურის წინაშე წარედგინა, ის მათ მეტისმეტად ყოფითი საკითხების გარეგან მხარეებთან დაკავშირებული პრეტენზიების წამოყენებისკენ უბიძგებს. ჩვენი მხრიდან უთანხმოება დიდ ზეგავლენას ახდენს მათ სამსახურეობრივ საქციელზე. სხვა მხრივ, შლიფაკის აზრით, ქართველი ოფიცრები კარგი სამხედროები არიან. მათ ვერ უსაყვედურებ ენთუზიაზმის ნაკლებობას, სამაგიეროდ, მეტისმეტად აკლიათ სამსახურის ცნების გაგება საყარაულო სამსახურშიც კი, ახასიათებთ პირადული მგრძობიარობა და კომფორტული ცხოვრებისკენ მიდრეკილებას.

ამ მიზეზით, აქ არაერთგზის განხილულ იქნა საკითხი მათი უკან გაგზავნის მოთხოვნის შესახებ, თუმცა ჩვენ ჯერ კიდევ მიგვაჩნია, რომ თანდათანობით მეგობრულ ურთიერთობას განვაფიქრებთ. ამ მომენტისთვის სერიოზული კონფლიქტი არ არსებობს. რა იყო ბერლინში გაგზავნილი ტელეგრამის მიზეზი, არ ვიცით არც შლიფაკმა და არც მე, სავარაუდოდ, მხოლოდ ზოგადი უკმაყოფილება. მაჩაბლის საქმეში ჩარევას ჩვენ შეგვიძლია მხოლოდ მივესალმოთ, მან უნდა

¹ იგულისხმება კერესელიძე ლეო (1883-1943).

საჭირო ზომით შეზღუდოს კომიტეტის განცხადებები და მათ განუმარტოს, რომ ისინი სრულებით ჩვენგან არიან დამოკიდებულნი და ლეგიონი, არჩევნის წინაშე დაყენების შემთხვევაში, უფრო გერმანელებს გაყვება, ვიდრე მათ თანამემამულეებს. კერძოდ მოქმედება, რომელიც კონსტანტინოპოლში იმყოფება, ჩვენთვის შეიძლება მხოლოდ საზიანო იყოს. დასასრული“.

დამატება: კერძო უხლოეს დღეებში აქედან გაემგზავრება.

Politisches Archiv des Auswärtigen Amtes (PA AA), Akten Betreffend den Krieg 1914, Unternehmungen und Aufwiegungen gegen unsere Feinde im Kaukasus. R 21018.

თარგმანი გერმანულიდან.

№ 111

**საქართველოს განთავისუფლების კომიტეტის წევრის,
მიხეილ წერეთლის მოხსენება კავითან ერნსტ ფონ
ჰიულსენს, გერმანიის არმიის სახმელეთო ძალების
გენერალური შტაბის კოლიტიკის სექციის უფროსს,
მისი და ლეიტენანტ ახალკაცის მიულინების, ბრუქსის
და ებერის სამხედრო ძეგვითა ბანაკებში ვიზიტების და
შტაბეჭდვების შესახებ**

1916 წლის 19 აპრილი
ბერლინი

ავსტრიაში უკანასკნელი მოგზაურობის დროს (28 მარტიდან 15 აპრილამდე) მე და ბატონი ლეიტენანტი ახალკაცი ვენვიეთ მიულინგის ბანაკს, სადაც იმყოფება ხუთი ქართველი ოფიცერი, რომლებმაც პირველი მოგზაურობის დროს ჩვენზე კარგი შთაბეჭდილება დატოვეს და თანამშრომლობის პირობა მოგვცეს.

ამ ოფიცრებიდან მხოლოდ ერთმა, უფროსმა ლეიტენანტმა ჟორდანიამ გამოხატა მზადყოფნა, რომ ჩვენს სასარგებლოდ იმუშავედა. ის მზად არის, რომ ახლავე გაემგზავროს ეგერში, სადაც ქართველი ტყვე ჯარისკაცები არიან თავმოყრილი და იქ წარმართოს პროპაგანდა. კაპიტანმა ენუქიძემ აგვიხსნა, რომ მას საქართველოში ორი ოჯახი ჰყავდა გამოსაკვები, საკუთარი და მისი გარდაცვლილი ძმის ოჯახი. აქედან გამომდინარე, მისთვის დიდ რისკთან იქნებოდა დაკავშირებული, რომ ახლავე ამ საქმეში ჩაბმულიყო. გარდა ამისა, მისთვის მთელი საქმე უფრო ბუნდოვანი გახდა. პირველი, იმიტომ, რომ თურქები სრულიად დამარცხდნენ და არავინ იცის, საერთოდ შეუძლიათ თუ არა თურქებს ისევ შეტევის წამოწყება. მეორე, მისთვის საეჭვო იყო, თუ როგორი დამოკიდებულება ექნებოდათ დიდ სახელმწიფოებს, განსაკუთრებით კი თურქეთს, საქართველოს საკითხის მიმართ თუნდაც თურქეთის წარმატების შემთხვევაში. და მესამე, ოფიცრები წარუმატებლობის შემთხვევაში არანაირად დაზღვეული არ იქნებოდნენ. სამომავლოდ, თურქეთის არმიაში შესვლა მისი აზრით შეუძლებელი იქნებოდა. ყველა ამ მიზეზიდან გამომდინარე, ის სრულიად შეუძლებლად მიიჩნევს, რომ შეუერთდეს საქმეს დღევანდელ დღეს. მაგრამ თუკი თურქები წინ წაიწევენ და საბრძოლო მოქმედებების თეატრი საქართველოს ტერიტორიაზე გადავიდოდა, ქართველი ოფიცრები მზად იქნებოდნენ სამშობლოს მოწოდებას გაყოლოდნენ და ის, ასეთ შემთხვევაში, აუცილებლად მზად იქნებოდა საკუთარი თავი ჩვენს განკარგულებაში დაეყენებინა.

სულავა მიხეილი აღმოჩნდა რუსი ოფიცრების მუქარების გავლენის ქვეშ და უარი განაცხადა ჩვენთან მუშაობაზე. ქორქაშვილიც იგივე პოზიციაზეა და ავ-

სტრიული ბანაკების მეთაურობას თხოვნითაც კი მიმართა, რომ პროპაგანდასთან ყველანაირი თანამშრომლობისგან გაათავისუფლონ. სულავა გრიგოლი არ იკავებს გადამწყვეტ პოზიციას, თუმცა მზადაა ითანამშრომლოს, როგორც კი ფრონტი კვლავ საქართველოს ტერიტორიაზე გადაინაცვლებს.

როგორც ჩვენ უფროსმა ლეიტენანტმა ჟორდანიამ შეგვატყობინა, რუსი ოფიცრები ატერორებენ ქართველებს და მათ მოლალატეებად მიიჩნევენ. ეს არის უმთავრესი საფუძველი, თუ რატომ იკავებენ თავს ქართველი ოფიცრები, მაგრამ ჩვენ დიდი იმედი გვაქვს, რომ ყველა ქართველი ოფიცერი, თურქების საქართველოს ტერიტორიაზე შესვლის შემთხვევაში, რუსებს საკუთარი თავის დაშინების უფლებას უკვე აღარ მისცემს და მთელი გულით გახდება საქმის თანამონაწილე.

ჩვენ უპირობოდ საჭიროდ მიგვაჩნია, რომ უფროსი ლეიტენანტი ჟორდანიას ეგერში გადავიდეს, ხოლო დანარჩენი ოფიცრები, ყველანაირად ხელშეუხებლები, მიუღინგში დარჩნენ.

მიუღინგიდან ჩვენ ნავედით ბრუქსში. იქ იმყოფება ათი ქართველი ოფიცერი. თუმცა, ისინი რუსების ისეთი მკაცრი მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფებიან, რომ ჩვენ მხოლოდ დიდი გაჭირვებით მოვახერხეთ, ერთერთ მათგანთან ბანაკში დალაპარაკება. კაპიტანი მღებაროვი, იქაური ოფიცრებისგან საუკეთესო და ლეიტენანტი ახალკაცის პირადი ნაცნობი, არის ნამდვილი ქართველი და მაშინვე გამოხატა მზადყოფნა ჩვენთან თანამშრომლობაზე, თუმცა ასევე მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც თურქები უკვე საქართველოსკენ იქნებიან გაჭრილები. მისი რჩევით, ჩვენ კიდევ ერთხელ დაველაპარაკეთ მას, მღებაროვს, და კიდევ ერთს, კაპიტან მირზოევს, საიდუმლოდ საავადმყოფოში, სადაც რუსები ამ საუბრის შესახებ ინფორმაციას ვერ მიიღებდნენ. ამ საუბრებიდან გაირკვა შემდეგი:

1. ქართველი ოფიცრებისთვის, ნარუმატებლობის შემთხვევაში მოგვიანებით თურქულ არმიაში შესვლის შეთავაზება, არის უაზრობა და მხოლოდ უარყოფით შთაბეჭდილებას ახდენს. თუმცა, რაიმე სახის გარანტია ასეთი ცუდი შემთხვევისთვის მაინც უნდა იქნას შეთავაზებული. განსაკუთრებით მოხუცი ოფიცრების, მეთაურების და სხვების მიმართ.
2. კაპიტანი მღებაროვი პირადად ესაუბრა დანარჩენ ყველა ცხრავე ოფიცერს (ძირითადად მოხუცი მეთაურები) და არცერთ მათგანს თანამშრომლობაზე უარი არ უთქვამს. პირიქით, ყველამ გამოხატა სურვილი, რომ გადაიყვანონ ეგერში, სადაც კონცენტრირებული არიან ქართველი ჯარისკაცები. უკანასკნელი პასუხი, რომელიც ჩვენ ვენის სამხედრო სამინისტროსგან მივიღეთ, იტყობინება, რომ ათი ოფიცერი ითხოვს ან ყველას ეგერში გადაყვანას, ან ყველას ბრუქსში დატოვებას. კაპიტანი მღებაროვი გვთავაზობს ტაქტიკას, რომ ყველა ოფიცერი ეგერში იქნას გადაყვანილი, რომ არცერთი მათგანი რუსული გავლენის ქვეშ არ დარჩეს ბრუქსში და რალაცნაირად საქმეს ხელი არ შეუშალოს. თუკი ამის განხორციელება შეუძლებელი იქნება, მაშინ სჯობია ყველა ბრუქსში დარჩეს, რათა ერთად გაუნიონ წინააღმდეგობა რუსულ გავლენებს და ჰქონდეთ შესაძლებლობა, ცალკეული ელემენტები, რომლებიც რუსულ გავლენას დაექვემდებარებიან, საფრთხეს მოარიდონ.
3. თუკი საქმე მივიდოდა ბრძოლებამდე საქართველოს ტერიტორიაზე, ყველა იქნებოდა მზად მაშინვე საქართველოსკენ გასამგზავრებლად.

შემდეგ, ჩვენ ეგერისკენ გავემგზავრეთ. იქ ჩასულებმა მაშინვე შევიტყვეთ, რომ ბანაკში ნიშანდობლივი ქორები დადიოდა: განზრახული იყო ქართველების ჩაყვანა თურქეთში, ისევე როგორც მოხდა თათრების შემთხვევაში, უნდათ ქართველების მათი ძმების და ერთმორწმუნეების წინააღმდეგ ბრძოლაში გამოყენება და ა.შ. ზოგმა ჯარისკაცმა განგვიმარტა, რომ მათ ეს ქორები იტალიის ფრონტზე, ისევე როგორც სარკინიგზო მშენებლობებზე მუშაობისას გაიგეს.

ამის გარდა, ეგერის ტყვეთა ბანაკის კომენდანტმა, ბატონმა გენერალმა სმითმა გვაცნობა, რომ ბერლინიდან ეგერში მაჰმადიანური ბანაკის სანახავად ჩამოსულმა მარშალმა ფუად ფაშამ¹ მას პირადად შეატყობინა, რომ თურქეთის მთავრობა მიზნად ისახავდა კავკასიის დაპყრობის შემთხვევაში, უბრალოდ მოეხდინა მთელი ქვეყნის ანექსია. შესაძლებელია, ეს ქართველმა ჯარისკაცებმაც შეიტყვეს. ფუად ფაშა პირადად ესაუბრა მაჰმადიან და ქართველ ჯარისკაცებს, მაგრამ რა უთხრა მან მათ, ან როგორ იქნა მისი ნათქვამი აღქმული ან გაგებული, ვერ დავადგინეთ.

თავდაპირველად, ჩვენ ვცადეთ ამ ქორების გაქარწყლება ათი შერჩეული უნტერ-ოფიცრის წინაშე და მათ გავაცნეთ ჩვენი ჩასვლის მიზანი და მთელი საქმის მდგომარეობა. აღნიშნული ათი უნტერ-ოფიცრის დახმარებით, ერთ ყაზარმაში გავმართეთ ჯარისკაცებთან შეხვედრა, რომელსაც დაახლოებით 500 ადამიანი ესწრებოდა. მათ ყველაფერი სრულ სიმშვიდეში მოისმინეს. ჩვენ მათ ავუხსენით, თუ რა გააკეთა ჩვენმა ორგანიზაციამ აქამდე გერმანიაში, ავსტრიაში, თურქეთსა და საქართველოში. ვცადეთ მათთვის ცხადად გვეჩვენებინა, თუ რა მნიშვნელობა აქვს ამ საქმეს და რას ფიქრობს ქართველი ხალხი ჩვენს მოქმედებაზე. ზოგმა ჩვენი იდეები მთლიანად მიიღო, ზოგმა კი გამოთქვა იგივე ეჭვები, რაც ცოსენში:

1. თურქების არასაიმედოობის შესახებ.
2. კავკასიის ფრონტზე თურქების დამარცხების შესახებ.
3. წარუმატებლობის შემთხვევაში, ქართველი ჯარისკაცების საშინელი მდგომარეობის შესახებ.

ბოლოს კი ძალიან ბევრი დაგვეთანხმა, რომ თურქების წინსვლის და რუსების დამარცხების შემთხვევაში, ყველა ქართველის მოვალეობა იყო, მათი სამშობლოს და ოჯახის სამსახურში ჩადგომა. ამ საუბრების შემდეგ შევიძინეთ მთელი რიგი ერთგული მხარდამჭერები.

ამ დღეს ჯარისკაცებს სრულად უნდოდათ შეკრებაზე დასწრება, მაგრამ ყაზარმა ამისთვის არ კმაროდა და ჩვენ ავუხსენით, რომ ჩვენ შემდეგ დღეს უფრო დიდ შეკრებას ჩავატარებდით, სადაც ყველას შეეძლებოდა მონაწილეობის მიღება. ამასობაში, ჩვენმა სანდო პირებმა ჩუმად გვაცნობეს, რომ ორი უნტერ-ოფიცერი, რომლებიც პირველ შეკრებაზე ჩვენს სასარგებლოდ გამოვიდნენ, სინამდვილეში ჯარისკაცების ჩვენს წინააღმდეგ ნაქეზებას ცდილობდნენ. ჩვენი ინიციატივით, კომენდანტმა ბრძანება გასცა ამ ორი ადამიანის ბრუქსის ბანაკში გადაყვანის თაობაზე. მაგრამ მათ მანამდე მაინც მოახერხეს ღამით საიდუმლო კრების ჩატარება, სადაც ჯარისკაცთა ერთი ნაწილის ჩვენს წინააღმდეგ გადა-

¹ იგულისხმება დელი ფუად ფაშა (1835-1931).

ბირება შეძლეს, ისე რომ დიდ შეკრებაზე ეს ხალხი ცალკე იდგა და არაფრის გაგონება არ სურდათ. თუმცა ჩვენ მაინც დაველაპარაკეთ ჯგუფური ფორმით 1000-დან დაახლოებით 200-300 ტყვეს და დეტალურად წარვუდგინეთ ჩვენი საქმე. ეს ჯგუფები ბოლოს დაგვეთანხმნენ იმაში, რომ საჭირო იყო საქართველოს ბედზე დაფიქრება, აუცილებელი იყო ფრთხილად მოქმედება და როდესაც დრო მოვიდოდა, მზაობა სამშობლოს თავისუფლების იარაღით ხელში დასაცავად.

ბოლო შთაბეჭდილებით ეგერში უამრავი კარგი ელემენტია, რომელთა შორის გაზეთის და ჩვენი პროპაგანდისტების მიერ პერსონალური დამუშავების საფუძველზე კარგი გავლენის მოხდენაა შესაძლებელი. თავდაპირველად ეს ჯარისკაცები არ გამოხატავდნენ მზადყოფნას მაშინვე წასულიყვნენ ჩვენს ლეგიონებში თურქეთში, მაგრამ ნაბიჯ-ნაბიჯ საქმე მაინც აქამდე მივა, ისევე როგორც ცოსენის გამოცდილებამ გვაჩვენა. ხოლო თურქეთის წარმატების შემთხვევაში, ქართველი ტყვეები ალბათ სრული შემადგენლობით იქნებიან მზად თანამონაწილეობისთვის.

ამ ყოველივეს შემდეგ, გვინდა შემდეგი რამ ვითხოვოთ:

1. ქართული ტყვეთა გაზეთი, ცენზურის გერმანულ ტექსტთან ერთად, შესაბამისი რაოდენობით პირდაპირ გადაიგზავნოს სამხედრო სამინისტროში ვენაში, შემდგომში ბანაკში გადასაგზავნად. ჩვენ იქ უკვე დაგვპირდნენ, რომ ეგზემპლარებს ეგერში გააგზავნიან.
2. ეგერის ბანაკის ჯარისკაცები არ უნდა დაშორდნენ დიდი მანძილით ადგილს, არამედ დასაქმდნენ მახლობელ მიდამოებში, ისე რომ მუდმივად ხელმისაწვდომი იყვნენ საქმისთვის.
3. სასწრაფოდ მოხდეს უფროს ლეიტენანტ ჟორდანიას მიუღინგიდან და ათი ოფიცრის ბრუქსიდან ეგერში გადაყვანა. დღეისთვის ეგერში ოფიცრების განყოფილება არ არის და ამიტომ, ბატონმა პოლკოვნიკმა შტუცმა, ვენის სამხედრო სამინისტროდან, აგვისხნა, რომ არ ჰქონდათ უფლება ოფიცრები საკუთარიდან ჯარისკაცების ბანაკში გადაეყვანათ. მაგრამ, როგორც ბატონ პოლკოვნიკ შტუცს უკვე ვაცნობეთ, ეგერის ბანაკის კომენდანტმა, ბატონმა გენერალმა სმიტმა აგვისხნა, რომ იქ ჯერ კიდევ არსებობდა ადრე ოფიცრების ბანაკისთვის აშენებული ყაზარმები და მას ოფიცერთა მხედველობაში მიღებული რაოდენობა, მათი ნოდებების შესაბამისი საცხოვრებელი ფართით და საკვებით უზრუნველყოფა შეეძლო. მთლიანობაში, ამ თერთმეტმა ოფიცერმა თავად გამოხატა სურვილი ეგერში გადაყვანის თაობაზე და არ ვფიქრობთ, რომ მომავალში ეს ოფიცრები რაიმეზე ჩივილს დაიწყებენ. ბატონი პოლკოვნიკი შტუცი შეგვპირდა, რომ ოფიცრების გადაყვანაზე მალე მოგვანვდიდა ინფორმაციას და ჩვენ გვინდა ვითხოვოთ ამ პასუხის მაქსიმალურად დაჩქარება.

ბატონმა პოლკოვნიკმა შტუცმა ბოლოს განგვიმარტა, რომ სამხედრო სამინისტროს არ შეეძლო დაეშვა ქართველი ოფიცრების მიერ რუსულ უნიფორმაში ჯარისკაცებს შორის ღია პროპაგანდის წარმოება. ამის მიუხედავად, ჩვენ გვინდა პირველ რიგში ჩვენი თერთმეტი ოფიცერი, თუნდაც პროპაგანდის გარეშე, ეგერში გვყავდეს ჯარისკაცებთან. კავშირი ოფიცრებსა და ჯარისკაცებს შორის შეგვიძლია დროებით არაპირდაპირი გზით, ჩვენი პროპაგანდისტების საშუალებით დავამყაროთ.

4. ერთი აქაური გათავისუფლებული ოფიცერი, უფროსი ლეიტენანტი ახალკაცი, ან უფროსი ლეიტენანტი თვარაძე, რომელიც ახლა თორგაუშია, გაიგზავნოს პროპაგანდისტად ეგერში. გარდა ამისა, ბატონმა პოლკოვნიკმა შტუცმა ნება დაგვრთო, რომ უფროსმა ლეიტენანტმა ჟორდანიამ პროპაგანდა აწარმოოს სამოქალაქო ტანსაცმლით ჯარისკაცებთან ეგერში.
5. შეძლებისდაგვარად მოხდეს ავსტრიის ყველა ტყვეთა ბანაკში გაბნეული ქართველი ჯარისკაცების კონცენტრაცია ეგერში.

სამოქალაქო ტყვეს ა. მანსვეტოვს, რომელიც ახლა ვენის მახლობლად ბადენში იმყოფება, საკუთარი სურვილით და გერმანიის მთავრობის ნებართვით უნდა ბერლინში ჩამოსვლა, სადაც საკუთარი ხარჯებით ცხოვრებას და ჩვენთან მუშაობას აპირებს. მისი სურვილის შეძლებისდაგვარად მალე დაკმაყოფილება ჩვენთვისაც ძალიან მისაღები იქნებოდა.

რაც შეეხება ქართველ ოფიცერთა უსაფრთხოებას წარუმატებლობის შემთხვევაში, ამასთან დაკავშირებით მოკლე ხანში საგანგებო წინადადებას მოგაწვდით.

გარდა ამისა, გვინდა მივიღოთ კონსულტაციის შესაძლებლობა იმის თაობაზე, თუ რა გზით შეიძლება განხორციელდეს შეხვედრა ბატონ დავით ღამბაშიძესთან (ახლა ლონდონშია) რომელიმე ნეიტრალურ ქვეყანაში, მაგალითად, ქრისტიანიაში ან სტოკჰოლმში.

თქვენი სრულიად ერთგული,
მ. ფონ ნერეთელი

Politisches Archiv des Auswärtigen Amtes (PA AA), Akten Betreffend den Krieg 1914, Unternehmungen und Aufwiegelingen gegen unsere Feinde. Tätigkeit in den Gefangenenlagern in Deutschland. R 21255.
თარგმანი გერმანულიდან.

№ 112

**გერმანულ-ქართული საზოგადოების აღმასრულებელი
საბჭოს და წევრების სია, 1916 წლის 25 აპრილის
მდგომარეობით**

გერმანულ-ქართული საზოგადოების აღმასრულებელი საბჭო

1. თავმჯდომარე
საიდუმლო მრჩეველი პროფესორი დოქტორი ფონ ლისტი¹, რაიხსტაგის
წევრი
2. თავმჯდომარე
თავადი გიორგი მაჩაბელი
ხაზინადარი
კონსული ერნსტ ფოსენი

ამონარიდი აქამდელი წევრების სიიდან
(მდგომარეობა 1916 წლის 25 აპრილისთვის)

მისი უმაღლესობა ჰერცოგი ადოლფ ფრიდრიხ ფონ მეკლენბურგი
რაიხსტაგის დეპუტატი ბასერმანი²
საიდუმლო მრჩეველი პროფესორი დოქტორი ბაიშლაგი³
სავაჭრო მრჩეველი კარლ ბოში
საიდუმლო მრჩეველი პროფესორი დოქტორი ჰანს დელბრუკი
პოლკოვნიკი ფონ დისტი⁴
პროფესორი რუდოლფ ოიკენი, იენა
ბანკის დირექტორი დოქტორი ჰერბერტ გუტმანი
მისი აღმატებულება ფონ ჰარნაკი⁵
გრაფი ჰენკელ ფონ დონერსმარკი
გენერალური კონსული ჟან გეორგე
მისი აღმატებულება ფონ ჰენტიგი⁶, სახელმწიფო მინისტრი
სავაჭრო მრჩეველი ჰ. ჰომელი⁷, მაინცი

¹ იგულისხმება ფონ ლისტი ფრანც რიტერ (von Liszt Franz Ritter) (1851-1919).

² იგულისხმება ბასერმანი ერნსტ (Bassermann Ernst) (1854-1917).

³ იგულისხმება ბაიშლაგი ფრანც ჰაინრიხ ავგუსტ (Beyschlag Franz Heinrich August) (1856-1935).

⁴ იგულისხმება ფონ დისტი ვალტერ ფრიდრიხ ოტო (von Diest Walther Friedrich Otto) (1851-1932).

⁵ იგულისხმება ფონ ჰარნაკი კარლ გუსტავ ადოლფ (von Harnack Karl Gustav Adolf) (1851-1930).

⁶ იგულისხმება ფონ ჰენტიგი ფილიპ ჰერმან ოტო (von Hentig Philipp Hermann Otto) (1852-1934).

⁷ იგულისხმება ჰომელი ჰერმან ალექსანდერ (Hommel Hermann Alexander) (1849-1920?).

მისი აღმატებულება იმჰოფ ფაშა¹
 გიორგი ფონ კერესელიძე
 საიდუმლო მრჩეველი პროფესორი დოქტორი კრუში²
 პროფესორი დოქტორი პაულ ლაზარუსი
 ვილჰელმ ფონ მასოვი, გადამდგარი კაპიტანი
 პროფესორი დოქტორი მიტვოხი³
 სავაჭრო მრჩეველი შარლ ვ. პალმიე, დრეზდენი
 მისი აღმატებულება რაშდაუ⁴, კაიზერის ელჩი
 მისი აღმატებულება ფონ რიხტერი⁵, სახელმწიფო მინისტრი
 საიდუმლო მრჩეველი პროფესორი დოქტორი ზახაუ⁶
 პროფესორი დოქტორი შიმანი⁷
 დოქტორი ფალკ შუპი
 საიდუმლო მრჩეველი შვაბახი, რაიხსტაგის წევრი⁸
 მაიორი კურდ შვაბე
 საიდუმლო მრჩეველი პროფესორი დოქტორი ზერინგი⁹
 პროფესორი დოქტორი ლუდვიგ შტაინი
 დოქტორი ზუდეკუმი¹⁰, რაიხსტაგის წევრი
 მიხეილ ფონ ნერეთელი
 დევის ტრიჩი
 დოქტორი ო. ფოლბერი¹¹
 დოქტორი კარლ ფოლმიოლერი
 მისი აღმატებულება პროფესორი ად. ვაგნერი¹²
 ლეგაციის მდივანი დოქტორი ფონ ვეზენდონკი¹³
 საიდუმლო მრჩეველი ვიტინგი¹⁴
 ქალბატონი ფონ ვიტი
 დირექტორი ჰერმან ვოლფი (რიკმერს-ლინიე), ჰამბურგი

*ნინო ბადუალ-კერესელიძის პირადი არქივი. ექს-ან-პროვანსი, საფრანგეთი.
 თარგმანი გერმანულიდან.*

¹ იგულისხმება იმჰოფ ფაშა ჰაინრიხ კარლ აბრაჰამ (Imhoff Pascha Heinrich Karl Abraham) (1854-1918).

² იგულისხმება კრუში პაულ (Krusch Paul) (1869-1939).

³ იგულისხმება მიტვოხი ოიგენ (Mittwoch Eugen) (1876-1942).

⁴ იგულისხმება რაშდაუ ლუდვიგ ალფრედ (Raschdau Ludwig Alfred) (1849-1943).

⁵ იგულისხმება ფონ რიხტერი ერნსტ ფრიდრიხ ჰერმან (von Richter Ernst Friedrich Hermann) (1862-1935).

⁶ იგულისხმება ზახაუ კარლ ედუარდ (Sachau Carl Eduard) (1845-1930).

⁷ იგულისხმება შიმანი თეოდორ ჰაინრიხ კრისტიან კარლ (Schiemann Theodor Heinrich Christian Karl) (1847-1921).

⁸ იგულისხმება შვაბახი ფელიქს (Schwabach Felix) (1855-1928).

⁹ იგულისხმება ზერინგი მაქს (Serling Max) (1857-1939).

¹⁰ იგულისხმება ზუდეკუმი ალბერტ ოსკარ ვილჰელმ (Südekum Albert Oskar Wilhelm) (1871-1944).

¹¹ იგულისხმება ფოლბერი ოტო ჰაინრიხ ფრიდრიხ (Vollbehr Otto Heinrich Friedrich) (1869-1946).

¹² იგულისხმება ვაგნერი ადოლფ (Wagner Adolf) (1835-1917).

¹³ იგულისხმება ფონ ვეზენდონკი ოტო გიუნტერ (von Wesendonk Otto Günther) (1885-1933).

¹⁴ იგულისხმება ვიტინგი რიხარდ (Witting Richard) (1856-1923).

№ 113

კეთრობრადის დამსავი განყოფილების უფროსის,
გენერალ-მაიორ კონსტანტინე გლობაჩოვის
სააგენტურო ბარათი, კონსტანტინოპოლში ქართული
კომიტეტის და ბათუმის ოლქში 1914-1915 წლების
ზამთარში ოსმალური ჯარის შეფრის დროს, სომხების
აჯარელთა მიმართ დამოკიდებულების შესახებ

26 апреля 1916 года

Петроград

По сведениям, полученным во вверенном мне отделении от совершенно секретной агентуры, положение дел в кавказской подпольной организации, именующей себя «социалисты-федералисты Грузии», может быть обрисовано нижеследующим:

Еще перед началом настоящей войны с Турцией, в Константинополе, в среде эмигрировавших из России наиболее видных и серьезных представителей партии социалистов-федералистов Грузии (исповедуя официальную программу партии социалистов-революционеров, они, фактически, являются крайними грузинскими националистами), сорганизовался особый комитет, во главе коего стоят бывший ранее анархистом некий Михаил ЦЕРЕТЕЛИ и Петр СУРГУЛАДЗЕ, бывший педагог по профессии.

Комитет этот принял наименование «Грузинского Комитета» и поставил своей задачей (об этом можно судить по выпущенному им «манифесту грузинскому народу», усердно распространявшемуся им же в период вторжения турецких войск в Батумскую область) создание грузинского автономного государства при содействии германо-турецких вооруженных сил.

В осуществление означенной задачи они начали, помимо усиленной агитации среди населения Грузии, вести энергичные переговоры с правительством Турции и Германии, обещая последним, в случае появления турецких войск, широкую поддержку со стороны готового восстать против России грузинского народа. На основании этих обещаний и была послана германским комиссаром из м[естечка] Вице в Берлин телеграмма с ходатайством о присылке оружия грузинам: телеграмма эта была перехвачена русскими властями.

Замыслы этого «Грузинского Комитета» встретили сочувственное отношение со стороны находящегося в пределах Кавказа ЦК социалистов-федералистов, исключением являлись лишь два члена названного комитета: Георгий Феликсович ЗДАНОВИЧ (поляк по отцу, грузин по матери, бывший народник, председатель Совета

съезда марганце-промышленников) и князь Иван (Кита) АБАШИДЗЕ (тов[арищ] председателя Совета съезда марганце-промышленников).

Пропаганда «Грузинского Комитета» и членов партии грузинских социалистов-федералистов в остальном населении Грузии отклика не встретила, особенно потому, что агитация эта вызвала более чем резкий отпор со стороны грузинских социал-демократов (Ной ЖОРДАНИЯ «Ан» открыто выступил против них с громовой статьей в № 37 газеты «Азри»¹ – центрального грузинского эсдековского органа, издающегося легально).

Столь нашумевший вопрос о массовой измене аджарцев, хотя и имел некоторую связь с деятельностью «Грузинского Комитета», – однако, в действительности, носил определенный характер умышленного оклеветания всего грузинского народа со стороны, главным образом, армян, экономически являющихся наиболее сильной частью местного населения и всеми мерами старающихся построить свое личное благополучие на невзгодах и утеснениях народностей неармянского происхождения.

Крестьянское население Аджарии, от перехода к русскому владычеству лишь выиграло, и сожалеть о владычестве турок и утраченных правах сильного могла лишь весьма незначительная часть наименее культурных дворян-беков. Отсюда и результаты: идеями «Грузинского Комитета» в действительности, увлеклись лишь отдельные беки, кои естественным образом увлекли за собой более чем незначительную часть того крестьянского населения, которое, в силу своей бедности, находилось по отношению к изменникам-бекам в тяжелой экономической и едва ли не определенно крепостной зависимости.

Ставя в основу всей своей деятельности [создание] самостоятельного «армянского царства», армянские деятели усердно не только муссировали факт измены отдельных аджарцев, но даже весьма охотно инспирировали проявления этой измены, стремясь избавиться на своей «будущей» территории от ненавистного им мусульманского населения и попутно желая выслужиться своей квази-преданностью перед представителями русского правительства.

Характерными и достоверными показателями изложенной выше провокационной деятельности армян могут послужить следующие факты, определенно проверенные и подтвердившиеся при позднейших официальных расследованиях.

1) Собственниками и арендаторами земель, оставленных ушедшими в Турцию аджарцами, оказались исключительно армяне, не только караулившие подобные уходы, но даже как бы косвенно им содействовавшие.

2) Фактическими данными подтверждается то обстоятельство, что подавляющая масса оставшихся на местах аджарцев, в период вторжения турецких войск, защищая армян с оружием в руках, спасала последних от разгрома и зверств турецких башибузуков и четников.

3) Попытки армян опорочить армию указаниями на ее погромные действия в районе Аджарии и Карской области, несмотря на свою повторность и интенсивность успехом не увенчалась, так как при позднейших даже официальных расследованиях было определенно доказано, что разгромы селений и убийства с грабежами и насилиями учинились не русскими войсками к аджарцам, а, после прохождения

¹ „აზრი“ – ქუთაისში 1914 წელს გამომავალი ყოველდღიური სოციალ-დემოკრატიული მიმართულების პოლიტიკური, სამეცნიერო და სალიტერატურო გაზეთი. რედაქტორ-გამომცემელი: – ალ. ცერცვაძე. დაიხურა მთავრობის განკარგულებით 1914 წლის ივნისში.

русских войск, армянскими дружинниками и просто армянским населением, зачастую переодевшимися в форму русских воинских частей.

4) На Батумском процессе, где происходил суд над обвиняемыми в измене аджарцами, выяснилась характерная и более чем странная картина: свидетелями со стороны обвинения выступали исключительно лишь одни армяне, а свидетелями со стороны защиты обвиняемых также исключительно выступали представители местной русской правительственной администрации. Обстоятельство это настолько резко бросалось в глаза, что обвинитель отказался от обвинения и поддерживал таковое лишь в отношении трех человек, уличавшихся в грабежах. Суд отверг обвинение в измене и признал виновными в грабежах лишь этих трех человек.

Как результат всего вышеизложенного, необходимо отметить, что в будущем, после ликвидации настоящей войны, более чем вероятны проявления резкой ненависти со стороны грузин по отношению к оклеветавшим их армянам и весьма возможны погромные эксцессы, уже и в предыдущие годы неоднократно имевшие место в отношении армян со стороны кавказских татар и других местных мусульман, так как там репутация армянского народа хуже и порочнее, чем репутация евреев, эксплуатирующих население Российской империи на западной границе таковой.

Об изложенном имею честь донести Вашему Превосходительству для сведения и докладываю, что копия сего донесения мною вместе с сим за № 107, препровождается начальнику Тифлисского губернского жандармского управления.

Генерал-майор Глобачев

Государственный архив Российской Федерации (ГАРФ). Ф. 105. ДПОО. Оп. 1916. Д. 24 г. 57. Л. 1-2 (об.).

№ 114

საქართველოს განთავისუფლების კომიტეტის წევრის,
 ბიორგი მაჩაბლის წერილი გერმანიის საბარეო
 საქმეთა სამინისტროს და გერმანიის სახელმეთო
 ჯარების გენერალური შტაბის პოლიტიკის საქმისას,
 ევროპიდან საქართველოსა და რუსეთისკენ
 გამგზავრებული ქართველების შესახებ

1916 წლის 2 მაისი
 ბერლინი

მარტში ჩვენი ინიციატივით ჟენევიდან ტფილისში წასული ქართველის შესახებ, მისი ერთი ჟენეველი მეგობრისგან მივიღეთ ინფორმაცია, მისი ტფილისში წარმატებით ჩასვლის შესახებ. მანამდე ჩვენ მისგან შვედეთიდან მავილეთ ცნობა, რომელშიც ის იმავე გზით¹ გვატყობინებდა, რომ რთული მგზავრობა ჰქონდა ინგლისიდან შვედეთში. ერთმა გერმანულმა წყალქვეშა ნავმა გააჩერა გემი და გაჩხრიკა, თუმცა ყველაფერმა კარგად ჩაიარა. ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ ის კარგად შეასრულებს ყველაფერს, რაც დავავალეთ.

მეორე ქართველის შესახებ, რომელიც გარკვეული დავალებებით ცოტა ხნის წინ რუსეთში გაემგზავრა, ჯერ სამწუხაროდ არა გვაქვს ინფორმაცია, თუმცა უნდა ვიგულისხმობთ, რომ ის თავის დანიშნულების ადგილს მიაღწევს და მაშინვე მოგვანვდის ინფორმაციას.

თქვენი სრულიად ერთგული,
 თავადი მაჩაბელი

Politisches Archiv des Auswärtigen Amts (PA AA), Akten Betreffend den Krieg 1914, Unternehmungen und Aufwiegungen gegen unsere Feinde im Kaukasus. R 21019.
 თარგმანი გერმანულიდან.

¹ ანუ მეგობრის დახმარებით.

№ 115

**საქართველოს განთავისუფლების კომიტეტის წევრთა,
მიხეილ წერეთლის და გიორგი კერესელიძის წერილი
ბერმანიის საბარეო საქმეთა სამინისტროს და
ბერმანიის სახმელეთო ჯარების ბენერალური შტაბის
კოლიტიკის სექციას, კონსტანტინე გამსახურდიას
პროპაგანდისტად მოწვევის, ქართველი ძველი
ჯარისკაცების და საქართველოში გამგზავრებული
პირების შესახებ**

1916 წლის 8 მაისი
ბერლინი

თავს უფლებას მივცემთ შემდეგი შეგატყობინოთ:

- 1) ჩვენ მნიშვნელოვნად მიგვაჩნია, ვინაიდან თავადი მაჩაბელი და ბატონი ლეიტენანტი ახალკაცი აქედან გაემგზავრნენ, ჩვენი მუშაობის შემსუბუქების მიზნით (პროპაგანდისტული საქმიანობა, გაზეთის გამოცემა და სხვ.) ახალი თანამშრომელი ავიყვანოთ. რადგან თითქმის ყველა ქართველი ჯარისკაცი, რომლებიც მალე ზაგანიდან ოდერის ფრანკფურტში უნდა იქნან გადაყვანილი, მეგრელები არიან, გვსურს პროპაგანდისტად მოვიწვიოთ ბატონი კონსტანტინე გამსახურდია, რომელიც ამჟამად ცნობათა ბიუროში მუშაობს, თავად მეგრელია და შესაბამისად, თავის თანამემამულეებთან უკეთესად გასაუბრება შეეძლება. ამას გარდა, ბატონ გამსახურდიას შეუძლია გაზეთის გამოცემაში დიდი დახმარება გაგვინოს. აქვე გვინდა გთხოვოთ, რომ არსებული სიძვირის გათვალისწინებით, მისი ხელფასი თვეში 200 მარკამდე გაზარდოთ.
- 2) ჩვენ მიგვაჩნია, რომ უკეთესი იქნებოდა ახალი ქართველი სამხედრო ტყვეები, რომლებიც ამჟამად რუსებთან ერთად სხვადასხვა ბანაკებში იმყოფებიან, ჯერჯერობით არ გადავიყვანოთ ზაგანში, რათა ჩვენს მონინალმდეგებს ზაგანში მათი ზეგავლენის საშუალება არ ჰქონდეთ. ჩვენ ჯერ გვინდა ვცადოთ, რომ ზაგანში შეძლებისდაგვარად მხარდამჭერების დიდი რაოდენობა მოვიპოვოთ და ამის შემდეგ გადავიყვანოთ ისინი ფრანკფურტში. ის ელემენტები, რომელთა გადაბირება შეუძლებელია, ზაგანიდან მხოლოდ მაშინ უნდა იქნან გადაყვანილი, როდესაც იქ ახალ ქართველ ტყვეებს მიიყვანენ, სადაც მათთან პროპაგანდა ახლიდან და მონინალმდეგისგან გავლენის გარეშე იქნება შესაძლებელი.

- 3) თუკი არ მივიღებთ ინფორმაციას დაახლოებით 2 თვის წინ საქართველოში გამგზავრებული ნ[იკოლოზ] მ[აჩაბლის] იქ წარმატებით ჩასვლის შესახებ, სასურველი იქნებოდა რაც შეიძლება სწრაფად საქართველოში სხვა სანდო ქართველის გაგზავნა, რომელიც იქ ჩვენი ექსპედიციის მისაღებად საჭირო ზომებს მიიღებდა.

სრული ერთგულებით,
მ. წერეთელი
გ. კერესელიძე

*Politisches Archiv des Auswärtigen Amts (PA AA), Akten Betreffend den Krieg 1914,
Unternehmungen und Aufwiegungen gegen unsere Feinde im Kaukasus. R 21019.
თარგმანი გერმანულიდან.*

№ 116

კონსტანდინოპოლში ავსტრია-უნგრეთის საბანგებო
და სრულუფლებიანი ელჩის, მარკგრაფ იოჰან
ფონ პალაპიჩინის შეთყობინება ავსტრია-უნგრეთის
იმპერიის საბარეო საქმეთა სამინისტროს, გრაფ
ფრიდრიხ-ვერნერ ფონ დერ შულენბურგის ქართული
ლეგიონის შეთაურად დანიშვნის შესახებ

1916 წლის 14 მაისი
პერა

ბატონი კვიციანოსკი ტელეგრაფით გვატყობინებს:

„ბერლინის მითითების თანახმად, გრაფმა შულენბურგმა საკუთარ თავზე უნდა აიღოს ქართული ლეგიონის მეთაურობა და უკანასკნელის შემადგენლობაში გერმანელი ოფიცრები უნდა იქნენ შეყვანილნი.

პოლიტიკურ-სამხედრო ვითარების გარდა, ქართული საქმის მდგომარეობა, ისევე როგორც ადრე, არ არის ხელსაყრელი. ლეგიონში ხშირია დეზერტირობის ფაქტები და დაპირისპირება ქრისტიანებსა და მაჰმადიანებს შორის“.

*Wien, Haus-, Hof- und Staatsarchiv (HHStA), Politisches Archiv (PA), I 947 Krieg 21 k Türkei:
Georgisch-grusinischer Aufstand im Kaukasus 1914-18, Fol. 122.
თარგმანი გერმანულიდან.*

№ 117

**საქართველოს განთავისუფლების კომიტეტის წევრთა,
მიხეილ წერეთლის და გიორგი კერესელიძის თხოვნის
წერილი უცნობ გერმანელ მოხელეს, ქართველი
სამოქალაქო ძველების, სტუდენტების სვანიძის და
გიორგობიანის განთავისუფლების შესახებ**

1916 წლის 16 მაისი
ბერლინი

თავს ნებას მივცემთ შემდეგი გთხოვოთ: უკვე ერთი წელია, რაც სამოქალაქო ტყვე სტუდენტები სვანიძე და გიორგობიანი სამხედრო ტყვე ჯარისკაცებთან ერთად იმყოფებიან ტყვეთა ბანაკში. ჩვენთვის უცნობია, თუ რა მიზეზით დააკავა პოლიციამ გიორგობიანი. ხოლო რაც შეეხება ბატონ სვანიძეს, როგორც იცით, მის შემთხვევაში გაუგებრობა მოხდა. მან ბატონ კონსულ შაბინგერს ის კი არ განუცხადა, რომ ის ქართველი არ არის, რუსია, ან გერმანიისადმი მტრულად არის განწყობილი, არამედ ის, რომ ის არ მიეკუთვნება საქართველოს დამოუკიდებლობის პარტიას და სოციალ-დემოკრატი არის. არასეპარატისტული პარტიები არსებობს ყველა დაჩაგრულ ერებში და ამ ჯგუფებისადმი მიკუთვნება (ან არმიკუთვნება სეპარატისტულ პარტიებთან) მათი სამშობლოსთვის, ან იმ ქვეყნისთვის, სადაც ისინი ცხოვრობენ, საფრთხეს არ წარმოადგენს.

როგორც ჩვენთვის ცნობილია, სვანიძე სოციალ-დემოკრატია, მაგრამ ამასთანავე კარგი ქართველი, რომელმაც, როგორც უკვე იცით, ბოლოს მზადყოფნა გამოხატა ჩვენთან სათანამშრომლოდ და ის არაა არც გერმანიისადმი მტრულად განწყობილი და არც რუსოფილი. საფუძველი, თუ რატომ თქვა მან თავიდან უარი ჩვენთან თანამშრომლობაზე, იყო აზრთა სხვადასხვაობა სოციალურ პროგრამებთან დაკავშირებით. გარდა ამისა, მისი ფინანსური მდგომარეობა მოითხოვს, რომ ომის დასრულების შემდეგ სახლში დაბრუნდეს, ასე რომ მას ამ მიზეზითაც უნდა ჰქონოდა ეჭვი, რომ შეერთებოდა ჩვენს მუშაობას. რუსეთის მიერ ჩაგრული ერების მსგავსი წარმომადგენლები ბევრია გერმანიაში, რომელთა მიმართ არანაირი სხვა შეზღუდვა არ არის დაწესებული, გარდა პოლიციაში რუტინული აღრიცხვებისა.

თუ რაში დაადანაშაულებს სვანიძე ჰალეში, ვერ შევიტყუეთ, მიუხედავად იმისა, რომ ყველანაირად ვეცადეთ და სხვადასხვა ადამიანები გამოვკითხეთ. თავად სვანიძემ ჩვენ გვითხრა, რომ პოლიციამ ის იმიტომ დააპატიმრა, რომ ვილაცამ მისი ნებართვის და ცოდნის გარეშე, მისი სახელით რაღაც პროტესტს მოაწერა ხელი.

ტყვეობაში მყოფ ჯარისკაცებთან ამ ორი სტუდენტის განთავსებამ, ქართველ სამხედრო ტყვე ჯარისკაცებზეც უსიამოვნო შთაბეჭდილება მოახდინა. ისინი ყოველთვის კითხულობდნენ (სიტყვიერად), „რატომ არ შეეძლო გერმანიას ორი უდანაშაულო ქართველი სტუდენტის გათავისუფლება, თუკი მას საქართველოს გათავისუფლება ნამდვილად სურდა“.

ჩვენ ღრმად ვართ დარწმუნებული იმაში, რომ როდესაც ომის შემდეგ ორივე ქართველი სტუდენტი და ის ჯარისკაცები, რომელთათვისაც ეს შემთხვევები ცნობილია, შინ დაბრუნდებიან, ისინი ასეთი გზით ვერ იმუშავებენ გერმანიის სასარგებლოდ, რაც შეიძლება ძალიან ხელისშემშლელი გამოდგეს ჩვენს სამომავლო მუშაობაში საქართველოში.

თქვენთვისაც საინტერესო იქნება გაიგოთ, თუ რა მოსაზრებებს ავითარებენ ჩვენი პროპაგანდის მონინაალმდეგეები ამ ორი სტუდენტის დაკავებასთან დაკავშირებით. მაგალითად, ახსენებენ, რომ ისევე როგორც ადრე არ გამოუხატავს გერმანიას ინტერესი რუსეთის მიერ ჩაგრული ერებისადმი (ვინაიდან რუსული მხარის მიერ დევნილი პირებიც კი, გერმანული პოლიციის მიერ დაკავებული და რუსეთისადმი გადაცემული იქნენ), სინამდვილეში გერმანიისგან ამ მიმართულებით არც ახლა არის რამე მოსალოდნელი, რაც დადასტურდა ორივე სტუდენტის დაპატიმრებით.

ამ ყოველივეს შემდეგ, თავს უფლებას ვაძლევთ, რომ სვანიძის და გიორგობიანის გათავისუფლება გთხოვოთ და მათ უფლება მისცეთ, რათა საყოველთაო შეზღუდვების პირობებში თავისუფლად გადაადგილება შეძლონ. ჩვენთვის ასევე ღირებული იქნებოდა, რომ ეს პროცედურა გამოყენებული ყოფილიყო აგრეთვე სხვა ქართველი სამოქალაქო ტყვეების მიმართ, რომელთა არსებობის შესახებ ჩვენ არაფერი ვიცით, ან, ასეთი შემთხვევების არსებობისას, შესაძლებლობა მოგვეცეს გავეცნოთ ამ შემთხვევებს და მათ შესახებ თქვენ მოგახსენოთ. ბუნებრივია, ჩვენ მხოლოდ ისეთი პირების სასარგებლოდ გამოვალთ, რომელთა სანდოობა სადავო არ არის. მეორეს მხრივ, თუ სახეზე იქნება სახიფათო ელემენტები, ჩვენ თვითონვე გვაქვს უდიდესი ინტერესი, რომ ასეთები განეიტრალებული ვიხილოთ.

ბოლოს, კიდევ ერთხელ გვინდა გთხოვოთ, ბატონ სვანიძეს უფლება მისცეთ, ჩააბაროს ზეპირი სადოქტორო გამოცდა პალეში. მისი წერილობითი ნაშრომი იქაურმა უნივერსიტეტმა უკვე ჩაიბარა. ჩვენ მინიშნებას ვაკეთებთ დრეზდენის პოლიტექნიკუმის ქართველი სტუდენტის – ბეგოვის შემთხვევაზე, რომელსაც თქვენ თავად მიეცით დრეზდენში გამოცდების ჩაბარების საშუალება. ისიც ასევე არ მონაწილეობდა ჩვენს მუშაობაში და ნებათვანა მას იმიტომ მიეცა, რომ მისი პიროვნული ხასიათის და გერმანიისადმი მისი დამოკიდებულების სანინაალმდეგოდ არაფერი არსებობდა.

ჩვენ კვლავ ვიმეორებთ, რომ ორივე სამოქალაქო ტყვის განთავისუფლება და განსაკუთრებით ბატონ სვანიძის დაშვება გამოცდაზე, როგორც უშუალოდ ამ პირებზე, ისე ქართველ სამხედრო ტყვეებზე ბრწყინვალე შთაბეჭდილებას მოახდენს და ჩვენ სრულიად დარწმუნებულები ვართ, რომ რამე საეჭვო გერმანული თვალთახედვიდან, ამ შემთხვევაში არ არსებობს.

განსაკუთრებული პატივისცემით,
თქვენი სრულიად ერთგული,
გ. ფ[ონ] კერესელიძე
მ. წერეთელი

Politisches Archiv des Auswärtigen Amtes (PA AA), Akten Betreffend den Krieg 1914, Unternehmungen und Aufwiegelungen gegen unsere Feinde. Tätigkeit in den Gefangenenlagern in Deutschland. R 21256.

თარგმანი გერმანულიდან.

№ 118

**ქართული ლეგიონის ვაფენაისტერის¹, ოთო
შლიფაკის მოხსენება ქართული ლეგიონის პეტიურს,
თადარიგის კაპიტან ბრაფ ფრიდრიხ-ვერნერ ფონ
დერ შულენბურგს, ხსენებული სამხედრო ნაწილისთვის
გამომგზავნილი ვერნდლის მოდელის შაშხანების²
და მათდამი დართული ვაზნების ვარპისიანობის
შემოწმების შესახებ**

1916 წლის 20 მაისი
სამსუნი

ვერნდლის შაშხანებისადმი ვაზნების მიღების შემდგომ, ჩემს მიერ შაშხანების და ვაზნების ვარგისიანობის შემოწმება იქნა ჩატარებული და შემდეგი იქნა დადგენილი:

- 1) შაშხანებს ზოგადად ძალიან სუსტი ექსტრაქტორი აქვთ, რაც კონსტრუქციული შეცდომითაა განპირობებული.
- 2) შაშხანების უმეტესობას საკეტები გაცვეთილი აქვთ, რის გამოც სროლისას მასრებზე ხშირად ნაპრალები ჩნდება, ისინი სავაზნეში იჭედებიან და თავისთავად სუსტი ექსტრაქტორის გამო მათი ამოგდება შეუძლებელია. ამ მიზნით შომპოლის გამოყენება ხდება საჭირო.
- 3) ვაზნები გამოყოფენ ძლიერ კვამლს, რის გამოც სროლის ადგილი მყისვე ცნობილი ხდება.
- 4) ვაზნები მეტისმეტად ძველებია, მათი დამზადების დრო 1878 წელსაც კი აღწევს. ბევრ ვაზნას ისიც ემართება, რომ მასრა ვერ უძლებს სროლას, განზე იგლიჯება, ლულაში ხვდება და იქ იჭედება. მომდევნო გასროლისას, დეფორმაციის გამო, ლულა შეიძლება გამოუსადეგარი გახდეს.
- 5) შაშხანების გადახურება უკვე 10 გასროლის შემდეგ ხდება.

ზემოჩამოთვლილ ნაკლოვანებათა დადგენის შემდეგ, რასაც ისიც ემატება, რომ შაშხანები „ერთჯერადი სროლის“ არიან, მათი ვაზნები კი თითქმის ორჯერ

¹ Waffenmeister (გერმ.) – მეიარაღე.

² ვერნდლის მოდელის შაშხანა (Werndl-Holub 1867) – ავსტრო-უნგრული ი. ვერნდლის და კ. ჰოლუბის სისტემის 1867 წლის მოდელის შაშხანა. შედგებოდა ავსტრია-უნგრეთის არმიის შეიარაღებაზე. 1886 წლიდან მათი გამოშვება შეწყდა, ავსტრია-უნგრეთის არმიის მანლიხერის სისტემის შაშხანებით გადაიარაღებასთან დაკავშირებით. მიუხედავად ამისა, ვერნდლის შაშხანამ მონაწილეობა მიიღო პირველ მსოფლიო ომში, თანამედროვე შაშხანების უკმარისობის გამო.

მეტს იწონის, თანამედროვე იარაღის ვაზნებთან შედარებით, გამოგზავნილი ვერნდლის შაშხანები, მათდამი განკუთვნილ ვაზნებთან ერთად, უნდა დავახასიათო როგორც გამოუსადეგარნი სამხედრო მიზნებისთვის.

შლიფაკი
ვაფენმაისტერი

Bundesarchiv Berlin-Lichterfelde (BArch), Nachlass Schulenburg, N2273/111.
თარგმანი გერმანულიდან.

№ 119

გერმანულ-ქართული საზოგადოების ხელმძღვანელთა
წერილი ოიგან მიტროსს, აღმოსავლეთის ცნობათა
ბიუროს დირექტორს, ანბარიში საზოგადოების მიერ
გაწეული და დაგეგმილი მუშაობის შესახებ

1916 წლის 29 მაისი
ბერლინი

თქვენო აღმატებულება,

გვინდა თქვენს მიერ ჩვენთვის გამოცემული განცხადებების დასტურის გამო უდიდესი მადლობა გადაგიხადოთ და თავს უფლებას ვაძლევთ თან დაგიერთოთ საფოსტო ჩეკ-ფორმა ჩვენს ხაზინადართან, ბატონ კონსულ ფოსენტან თანხის გადასაგზავნად. აგრეთვე, თავს ნებას მივცემთ, გადმოგცეთ წიგნის „საქართველო და მსოფლიო ომის“ ერთი ეგზემპლარი¹.

ამავდროულად, გვინდა წარმოგიდგინოთ მოკლე ნარკვევი ჩვენი საზოგადოების აქამდელი საქმიანობის შესახებ. დაგეგმილი გამოცემებიდან, ჩვენი ბოლო წერილის შემდეგ დასრულებულია რაიხსტაგის დეპუტატ ოიგენ ლევიცკის ნაშრომი შავი ზღვის შესახებ² და შესაძლებელია შემდეგი ორი კვირის მანძილზე მზად იყოს გადმოსაგზავნად. შემდეგში გამოვა: „გერმანული ინტერესები საქართველოში და მის სამეზობლოში“, ასევე „კავკასიის ქვეყნების ეკონომიკური მდგომარეობა და შესაძლებლობები“.

გარდა ამისა, ჩვენი პროპაგანდის მეშვეობით დაიბეჭდა დიდი რაოდენობით სტატიები გაზეთებსა და ჟურნალებში, ასე მაგალითად, ბოლო დღეებში პრიატ-დოცენტ დოქტორ ალბრეხტ ვირთის სტატია „Tag“-ში³, ისევე როგორც პ. კლოტცელის ნაშრომი „Grenzboten“-ში⁴. ამათ გარდა, კიდევ დიდი რაოდენობით მოკლე ცნობები გაზეთებში.

ჩვენს დაგეგმილ ბიბლიოთეკასთან დაკავშირებით ბევრი ნაბიჯი გადაიდგა წინ. უმეტესად ჩვენი წევრის, ბატონ დოქტორ ფოლბერის⁵ მონდომების ხარჯზე,

¹ იგულისხმება მიხეილ წერეთლის პოტსდამში 1915 წელს გამოცემული წიგნი „საქართველო და მსოფლიო ომი“ („Georgien und der Weltkrieg“).

² იგულისხმება უკრაინელი მოღვაწის ევგენ ლევიცკის ბროშურა „შავი ზღვა“ („Das Schwarze Meer“), რომელიც, საბოლოოდ, არ იქნა გამოქვეყნებული.

³ სავარაუდოდ, იგულისხმება „Berliner Tageblatt“ („ბერლინური ყოველდღიური ფურცელი“) – მსხვილი გერმანული ყოველდღიური გაზეთი. გამოდიოდა 1872-1939 წლებში.

⁴ „Die Grenzboten“ („სასაზღვრო მოამბე“) – 1841-1922 წლებში თავდაპირველად ბრიუსელში, შემდეგ ლაიფციგში, და ბოლოს ბერლინში გამომავალი ნაციონალურ-ლიბერალური მიმართულების გერმანული გაზეთი. იბეჭდებოდა ხან ყოველ ერთ, ხან ყოველ ორ კვირაში.

⁵ იგულისხმება ფოლბერი ოტო ჰაინრიხ ფრიდრიხ (Vollbehrr Otto Heinrich Friedrich) (1869-1946).

საკუთრებაში მივიღეთ ნაწილობრივ იშვიათი და ძალიან ფასეული ნაშრომების დიდი რაოდენობა საქართველოს და კავკასიის შესახებ. დაგეგმილი საინფორმაციო ცენტრის საქმეც წინ მიდის. ჩვენ უკვე მზად ვართ, რომ უკვე მოგროვებული მასალა არქივის მსგავსად ორგანიზებულ ფორმაში მოვაქციოთ და უკვე შეგვიძლია დაინტერესებულ პირებს ფასეული მასალა შევთავაზოთ. რაც შეეხება მოხსენებით საქმიანობას, აქამდე შემოვიფარგლებოდით კერძო ღონისძიებებით და ვფიქრობთ, რომ შემოდგომის დასაწყისისთვის გამოვიდეთ საჯარო ღონისძიებებზე. ბატონმა საიდუმლო მრჩეველმა პროფესორმა ფონ ლუშანმა¹, რომელიც ჩვენი მისწრაფებების მიმართ დიდ ინტერესს გამოხატავს, მზადყოფნა გამოთქვა შემოდგომის დასაწყისში გააკეთოს ერთი მოხსენება კავკასიის ხალხების შესახებ. ამ შესაძლებლობის პარალელურად, წარმოდგენილი იქნება ჩვენი ფოტომათაბეჭადი, რომელიც ხალხთმცოდნეობრივის გარდა ლანდშაფტის და სხვა მასალასაც შეიცავს.

ბოლოს, ჩვენ მოვახერხეთ „Osteuropäische Zukunft“-ის სახით² (ჟურნალი გერმანიის ამოცანების შესახებ აღმოსავლეთში და სამხრეთ-აღმოსავლეთში, ლემანის გამომცემლობა, მიუნხენი, პაულ ჰაიზერშტრასე 26, – გამონერის საფასური წლიურად 16 მარკა, გერმანულ-ქართული საზოგადოების წევრებისთვის – 8 მარკა) გვეპოვა შესაფერისი ჟურნალი, რომელიც ჩვენთვის ხელმისაწვდომია როგორც ოფიციალური ორგანო და რომელმაც ჩვენი მისწრაფებების შესახებ უკვე გამოიტანა სხვადასხვა სტატიები და ცნობები.

ამგვარად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ჩვენი საზოგადოების მუშაობა კარგად მიმდინარეობს და ჩვენი მეგობრების და წევრების განსაკუთრებული მადლობელი ვიქნებოდით, თუკი ისინი მეგობრულად მიგვითითებდნენ, თუ რომელი პერსონებისთვის შეგვეძლო მიგვემართა ჩვენი პროპაგანდისტული საქმიანობისთვის.

განსაკუთრებული პატივისცემით,
გერმანულ-ქართული საზოგადოება

*ნინო ბადუალ-კერესელიძის პირადი არქივი. ექს-ან-პროვანსი, საფრანგეთი.
თარგმანი გერმანულიდან.*

¹ იგულისხმება ფონ ლუშანი ფელიქს (von Luschan Felix) (1854-1924).

² იგულისხმება მიუნხენში 1916 წლის იანვრიდან 1918 წლის ოქტომბრამდე ერთ თვეში ორჯერ გამომავალი ჟურნალი „Osteuropäische Zukunft. Zeitschrift für Deutschlands Aufgaben im Osten und Südosten“ („აღმოსავლეთ ევროპის მომავალი. ჟურნალი გერმანიის ამოცანებისთვის აღმოსავლეთით და სამხრეთ-აღმოსავლეთით“). 1916 წლის აპრილიდან ჟურნალს ოფიციალურად ეწოდებოდა უკრაინის გამანთავისუფლებელი მოძრაობის გერმანულ მხარდამჭერთა გაერთიანება „უკრაინის“, გერმანიაში დუნაის და ბალკანეთის ქვეყნების კავშირის და გერმანულ-ქართული საზოგადოების ორგანო: „Osteuropäische Zukunft. Zeitschrift für Deutschlands Aufgaben im Osten und Südosten. Amtliches Organ des Verbandes deutscher Vörderer der ukrainischen Freiheits-Bestrebungen „Ukraine“, des Donau und Balkanländervereins in Deutschland „Dubvid“ E. V. München und der „Deutsch-Georgischen Gesellschaft, Berlin“. მოგვიანებით ჟურნალის რედაქციას გერმანულ-ფინური გაერთიანებაც შეუერთდა. თუმცა, ჟურნალი, როგორც მისი სახელწოდებიდანაც ჩანს, ძირითად ყურადღებას უთმობდა უკრაინის, ფინეთის და პოლონეთის საკითხებს, მასში დაიბეჭდა არაერთი საინტერესო სტატია საქართველოსა და კავკასიის შესახებ.

№ 120

**გერმანულ-ქართული საზოგადოების
აღმასრულებელი საბჭოს და წევრების სია,
1916 წლის 1 ივნისის მდგომარეობით**

გერმანულ-ქართული საზოგადოების აღმასრულებელი საბჭო

საიდუმლო მრჩეველი პროფესორი
დოქტორი ფონ ლისტი, რაიხსტაგის წევრი
თავადი გიორგი მაჩაბელი
კონსული ერნსტ ფოსენი
დოქტორი ო. ფოლბერი
დევის ტრიჩი

მიხეილ ფონ წერეთელი

პირველი თავმჯდომარე

მეორე თავმჯდომარე
ხაზინადარი
ხაზინადარის მოადგილე
გენერალური მდივანი და
ადმინისტრატორი
მოადგილე

**ამონარიდი წევრების სიიდან
1916 წლის 1 ივნისის მდგომარეობით**

მისი უმაღლესობა ჰერცოგი ადოლფ ფრიდრიხ ფონ მეკლენბურგი
დოქტორი ალბურგი¹
დოქტორი რიხარდ ბარი²
რაიხსტაგის დეპუტატი მაიორი ბასერმანი
გრაფი ო. ფონ ბაუდისინი³
საიდუმლო მთავარი სამთო მრჩეველი პროფესორი დოქტორი ბაიშლაგი
სავაჭრო მრჩეველი კარლ ბოში
ერის ბრანდტი, თადარიგის კაპიტანი
ოიგენ ლ. გარბათი
საიდუმლო მრჩეველი პროფესორი დოქტორი ჰანს დელბრუკი
პოლკოვნიკი ფონ დისტი
დოქტორი არტურ დიქსი
ფონ ეკარდტი⁴, გადამდგარი კაპიტანი
პროფესორი დოქტორი რუდოლფ ოიკენი, იენა

¹ იგულისხმება ალბურგი იოჰანეს ჰაინრიხ ვილჰელმ (Ahlburg Johannes Heinrich Wilhelm) (1883-1919).

² იგულისხმება ბარი რიხარდ (Bahr Richard) (1867-1936).

³ იგულისხმება ბაუდისინი ვოლფ ვილჰელმ ფრიდრიხ გრაფ ფონ (Baudissin Wolf Wilhelm Friedrich Graf von) (1847-1926).

⁴ იგულისხმება ეკარდტი ჰაინრიხ ფონ (Eckardt Heinrich von) (1861-1945).

ჰერბერტ ოილენბერგი¹, კაიზერსვერთი რაინზე
 პროფესორი დოქტორი რუდოლფ ფიცნერი
 ალექსანდერ ფლინში
 რიხარდ ფრანკი
 გენერალური კონსული ჟან გეორგე
 გზელიუსი²
 ბანკის დირექტორი დოქტორი ჰერბერტ გუტმანი
 მისი აღმატებულება პროფესორი დოქტორი ფონ ჰარნაკი
 დირექტორი ე. ჰაინემანი³
 ჰეკი⁴, გერმანული კონტინენტალური გაზის საზოგადოების გენერალური დირექტორი, დესაუ
 გრაფი ჰენკელ ფონ დონერსმარკი
 მისი აღმატებულება ფონ ჰენტიგი, სახელმწიფო მინისტრი
 პროფესორი დოქტორი ანდრეას ჰოისლერი
 სავაჭრო მრჩეველი ჰ. ჰომელი, მაინცი
 მისი აღმატებულება გენერალ-ლეიტენანტი იმჰოფ ფაშა
 მთავარი რედაქტორი ს. კარო
 საიდუმლო მრჩეველი პროფესორი დოქტორი კრუმი
 ბარონესა თუსი კუჩინბახი
 პროფესორი დოქტორი პაულ ლაზარუსი
 ფრაიჰერ ფონ ლედებური
 სამთო მაღაროს დირექტორი ლემანი⁵
 ობერბიურგერმაისტერი დოქტორი ლემბკე⁶, მიულჰაიმი რურზე
 იოზ. მ. ლევი⁷, მუნიციპალური საბჭოს წევრი, მანჰაიმი
 გენერალური კონსული იულიუს გუსტავ ლიხტი
 ა. ლომანი⁸, ბრემენი
 ქალბატონი ლორენცი
 საიდუმლო მრჩეველი პროფესორი დოქტორი ფონ ლუშანი
 ვილჰელმ ფონ მასოვი, გადამდგარი კაპიტანი
 პროფესორი დოქტორი რ. მემკე⁹, დეგერლოხი შტუტგარდტთან
 პროფესორი ვალდემარ მაიერი
 პროფესორი დოქტორი მიტვოხი
 გუსტავ ფონ მიულერი, შტუტგარტი
 სავაჭრო მრჩეველი შარლ ვ. პალმიე, დრეზდენი
 მანქანათმშენებლობისა და მეტალის ფაბრიკა, აქციონერთა საზოგადოება, რაგუნი (ანჰალტი)

¹ იგულისხმება ოილენბერგი ჰერბერტ (Eulenberg Herbert) (1876-1949).

² გზელიუსი (Gsellius) – მრავალსაუკუნოვანი ტრადიციის მქონე წიგნების და ანტიკვარიატის მაღაზია ბერლინში.

³ იგულისხმება ჰაინემანი ელკან (Heinemann Elkan) (1859-1941).

⁴ იგულისხმება ჰეკი ბრუნო (Heck Bruno) (1877-1941).

⁵ იგულისხმება ლემანი კარლ (Lehmann Karl) (1883-1978).

⁶ იგულისხმება ლემბკე პაულ (Lembke Paul) (1860-1939).

⁷ იგულისხმება ლევი იოზეფ (Levi Josef) (1862-1933).

⁸ იგულისხმება ლომანი ალფრედ (Lohman Alfred) (1870-1919).

⁹ იგულისხმება მემკე რუდოლფ (Mehmke Rudolf) (1857-1944).

მისი აღმატებულება რაშდაუ, კაიზერის დესპანი
 მისი აღმატებულება ფონ რიხტერი, სახელმწიფო მინისტრი
 მ. რუმი
 საიდუმლო მრჩეველი პროფესორი დოქტორი ზახაუ
 ფერდინანდ შეფერი
 პროფესორი დოქტორი თეოდორ შიმანი
 დირექტორი შმიტერლიოვი
 დოქტორი ინჟინერი შროდტერი¹, გერმანელ მეტალურგთა კავშირი, დიუსელ-
 დორფი
 დოქტორი ფალკ შუპი
 დოქტორი ლ. ჰ. შუტცი², მაინის ფრანკფურტი
 საიდუმლო მრჩეველი შვაბახი
 მაიორი კურდ შვაბე
 საიდუმლო მრჩეველი პროფესორი დოქტორი ზერინგი
 პროფესორი დოქტორი ლუდვიგ შტაინი
 პროფესორი დოქტორი რ. შტიუბე³, ლაიფციგი
 დოქტორი ალბერტ ზუდეკუმი, გერმანიის ფოლადის მრეწველთა კავშირი, დი-
 უსელდორფი
 დოქტორი კარლ ფოლმიოლერი
 ქალბატონი დოქტორი ფოლმიოლერი
 მისი აღმატებულება პროფესორი ად. ვაგნერი
 ლეგაციის მდივანი დოქტორი ფონ ვეზენდონკი
 საიდუმლო მრჩეველი ვიტინგი
 ქალბატონი ფონ ვიტი
 ადვოკატი არტურ ვოლფი⁴
 დირექტორი ჰერმან ვოლფი (რიკმერს-ლინიე), ჰამბურგი
 გენერალური დირექტორი ფ. ვუსტენჰოფერი⁵, ესენ-ბორბეკი
 სასწავლო მრჩეველი, პროფესორი დოქტორი ციმერერი⁶, რეგენსბურგი
 დოქტორი ცინტგრაფი⁷, რაიხის კოლონიური განყოფილების ხელმძღვანელი
 ფონ გვინერი⁸, დოიჩე ბანკის დირექტორი
 მაქსიმილიან ჰარდენი⁹
 დოქტორი კ. ბრატარი¹⁰, ულშტაინი
 ბერნჰარდი¹¹
 სამხედრო კორესპონდენტი ბატონი დოქტორი ვალენტინერი¹²

¹ იგულისხმება შროდტერი ალექსანდერ ემილ ადოლფ (Schrödter Alexander Emil Adolf) (1855-1928).

² იგულისხმება შუტცი ლუდვიგ ჰარალდ (Schütz Ludwig Harald) (1873-1941).

³ იგულისხმება შტიუბე რუდოლფ ჰაინრიხ კარლ (Stübe Rudolf Heinrich Karl) (1870-1930).

⁴ იგულისხმება ვოლფი არტურ (Wolff Arthur).

⁵ იგულისხმება ვუსტენჰოფერი ფრანც იაკობ კარლ (Wüstenhöfer Franz Jacob Karl) (1859-1927).

⁶ იგულისხმება ციმერერი ფრანც (Zimmerer Franz).

⁷ იგულისხმება ცინტგრაფი ალფრედ (Zintgraff Alfred) (1878-1944).

⁸ იგულისხმება გვინერი არტურ ფილიპ ფრიდრიხ ვილჰელმ ფონ (Gwinner Arthur Phillip Friedrich Wilhelm von).

⁹ იგულისხმება ჰარდენი მაქსიმილიან (Harden Maximilian) (1861-1927).

¹⁰ იგულისხმება ბრატარი კარლ ადოლფ (Brattar Carl Adolf) (1861-?).

¹¹ იგულისხმება ბერნჰარდი გეორგ (Bernhard Georg) (1875-1944).

¹² იგულისხმება ვალენტინერი ვილჰელმ რაინჰოლდ (Valentiner Wilhelm Reinhold) (1880-1958).

მაიორი ვიურცი¹
დოიტელმოზერი², რაიხსკანცელარია
დირექტორი მაქს რაინჰარდტი³
დოქტორი ფელიქს ჰოლენდერი⁴
ადვოკატი დოქტორი ვანგემანი, ფრიდრიხშტრასე 90
ფრიდრიხ ნაუმანი⁵, რაიხსტაგის დეპუტატი
კიულმანი⁶
ბუსშე-ჰადენჰაუზენ⁷

*ნინო ბადუალ-კერესელიძის პირადი არქივი. ექს-ან-პროვანსი, საფრანგეთი.
თარგმანი გერმანულიდან.*

¹ იგულისხმება ვიურცი ემილ (Würz Emil).

² იგულისხმება დოიტელმოზერი ერჰარდ ედუარდ (Deutmoser Erhard Eduard) (1873-1956).

³ იგულისხმება რაინჰარდტი მაქს (Reinhardt Max) (1873-1943).

⁴ იგულისხმება ჰოლენდერი ფელიქს (Holländer Felix) (1867-1931).

⁵ იგულისხმება ნაუმანი ფრიდრიხ (Naumann Friedrich) (1860-1919).

⁶ იგულისხმება ფონ კიულმანი რიხარდ (von Kühlmann Richard) (1873-1948).

⁷ იგულისხმება ფონ დემ ბუსშე-ჰადენჰაუზენ ჰილმარ ფრაიჰერ (von dem Bussche-Haddenhausen Hilmar Freiherr) (1867-1939).

№ 121

საქართველოს განთავისუფლების კომიტეტის წევრის,
 მიხეილ წერეთლის წერილი გერმანიის საბარაო
 საქმეთა სამინისტროს, მისი და ხსენებული კომიტეტის
 თანაშრომელ, კონსტანტინე გამსახურდიას ოდერის
 ფრანკფურტის სამხედრო მყვითა ბანაკში ვიზიტისა და
 38 ქართველ მყვითთან შეხვედრის შესახებ

1916 წლის 1 ივნისი
 ბერლინი

26 მაისს მე და ბატონი კონსტანტინე გამსახურდია ოდერის ფრანკფურტის ტყვეთა ბანაკში ვენზეთ და ვესაუბრეთ 38 ქართველ სამხედრო ტყვეს, რომლებიც იქ ზაგანიდან იქნა გადაყვანილი. ტყვეებმა ჩვენ ძალიან მტრულად მიგვიღეს და კატეგორიულად განაცხადეს, რომ მათ ზაგანში არასოდეს უთქვამთ, რომ ჩვენს საქმეში თანამშრომლობა უნდოდათ და საერთოდ არ იცოდნენ, რატომ გადაიყვანეს ისინი ფრანკფურტში. პირიქით: მათთან ერთ სამოქალაქო პირს საკმაოდ ხშირად უსაუბრია საქართველოს გათავისუფლების შესახებ, მათთვის უკვე ცნობილი ხერხებით, მაგრამ ისინი ამ მისწრაფებებისადმი სოლიდარული არასოდეს ყოფილან.

გარდა ამისა, ტყვეებმა განმარტეს, რომ ზაგანის ბანაკის სტრუქტურები ტრანსპორტირების დროს მათ მიმართ ძალადობრივ მეთოდს იყენებდნენ და მათ შეურაცხყოფა მიაყენეს, როდესაც არ უნდოდათ საკუთარი ნებით ზაგანის ბანაკის დატოვება. ჩვენს ჩამოსვლამდე ფრანკფურტში, იგივე უთხრეს ტყვეებმა კაპიტან ლომანს, რომელმაც თავის მხრივ, ასევე დაადასტურა, რომ ზაგანიდან მომავალი ცნობების მიხედვითაც, ტყვეები ზაგანიდან ფრანკფურტში ძალის გამოყენებით უნდა ყოფილიყვნენ გადაყვანილი.

შემდგომ ტყვეებმა განმარტეს, რომ ისინი ჯარისკაცები იყვნენ და მათ მხოლოდ სამხედრო პირებთან და არა ვილაც სამოქალაქო პირებთან ურთიერთობა სურდათ, მიუხედავად იმისა, იქნებოდნენ ისინი ქართველები, გერმანელები თუ რუსები. ისინი ითხოვენ, რომ გერმანიის მთავრობამ და ქართულმა კომიტეტმა მათ თავი დაანებონ, „თუ ჩვენ გვინდა, რომ არა არაადამიანები, არამედ ქრისტიანები ვიყოთ“.

ეს ყოველივე მე შევატყობინე ბატონ კაპიტანებს ფონ ჰიულსენს და ნადოლნის, გენერალურ შტაბში, ბერლინში დაბრუნებისთანავე, და ბატონმა კაპიტანებმა გადამწყვიტეს, ბატონი პოლკოვნიკი ვაისბროთი ზაგანიდან ფრანკფურტში გამოეძახებინათ და ბატონ კაპიტან ფონ ჰიულსენის თანდასწრებით განეხილათ საკითხი იქვე ადგილზე, რადგან ზაგანის ბანაკიდან 38 კაცის სია გადაგზავნილი

იქნა იმ განმარტებით, რომ დასახელებულებმა მზადყოფნა გამოხატეს რუსეთის წინააღმდეგ საბრძოლველად.

ჩემი დაკვირვებით, განწყობა აღნიშნულ 38 კაცში განსაკუთრებულად ცუდი იყო. პირველ ყოვლისა, ისინი თურქების მიმართ საერთოდ არანაირ ნდობას არ გამოხატავდნენ, არამედ ეშინოდათ განადგურების, იმ შემთხვევაში თუ თურქები საქართველოში შევიდოდნენ. აგრეთვე ისინი დარწმუნებული არიან რუსეთის უძლეველობაში და აქვთ რუსთა მხრიდან მოღალატეების მიმართ შურისძიების უდიდესი შიში და ა.შ. ამას გარდა, ისინი ყველანი ავად არიან და ისე დათრგუნულად გამოიყურებიან, რომ ამჟამად ამ მიზეზითაც სამხედრო მოქმედებებისთვის სრულიად გამოუსადეგარი არიან.

აქედან გამომდინარე, ჩემი რჩევაა, რომ ეს ხალხი მათი სურვილის შესაბამისად, უკან გადაიგზავნოს ზაგანში და იქ ხელუხლებელი დარჩეს. ქართველ ტყვეთა გაზეთით მომარაგების გარდა, არ ჩატარდეს იქ არანაირი პროპაგანდა. თუკი შემდეგში რამდენიმე მათგანი ჩვენთან მუშაობას მოისურვებს, მათგან უნდა გამოთხოვილ იქნას წერილობითი განმარტება, რომელიც დააზუსტებს, რა ფორმით უნდათ მათ ჩვენთან თანამშრომლობა.

ერთგულებით,
მ. ფ[ონ] წერეთელი

*Politisches Archiv des Auswärtigen Amtes (PA AA), Akten Betreffend den Krieg 1914,
Unternehmungen und Aufwiegelingen gegen unsere Feinde.
Tätigkeit in den Gefangenenlagern in Deutschland. R 21258.
თარგმანი გერმანულიდან.*

№ 122

საქართველოს განთავისუფლების კომიტეტის წევრის,
ბიორგი მაჩაბლის წერილი აღმოსავლეთის ცნობათა
ბიუროს დირექტორს, პროფესორ ოიბენ მიტვოსს,
თურქეთში ქართველი სამხედროების მდგომარეობის
და ზოგადი ვითარების შესახებ

1916 წლის 2 ივნისი
პერა

პატივცემულო ბატონო დოქტორო,

ჩემი ბრალი არ არის, რომ აქამდე არაფერი მომიწერია. 3 კვირაზე მეტია აქ ვართ და არაფერი, არაფერი ვიცოდით ჩვენი გეგმის შესახებ. რა თქმა უნდა, უსაქმოდ არ ვყოფილვართ, ჩვენ თურქულ სტრუქტურებს ვთხოვეთ, რომ სამხედრო და სასროლი ვარჯიშები მოეწყოთ და ეს ყველაფერი საუკეთესო სურვილების მიხედვით წარიმართა. მე პირადად ვიყავი ესად ფაშასთან¹ (პირველი არმიის მეთაურთან) და მან ყველაფრის ნება მოგვცა, რაც ჩვენთვის საჭირო იყო. ჩვენ ისე დავმეგობრდით თურქ ოფიცრებთან და ჯარისკაცებთან, რომლებიც ჩვენზე იყვნენ მომაგრებულნი, რომ ეს უკანასკნელნი სინანულს გამოხატავდნენ, როდესაც ვარჯიშები დასრულდა. მე ჩემი პატარა ფოტოაპარატით სხვადასხვა ფოტოები გადავიღე და ხალხში დავარიგე, ისინი ძალიან გახარებულები იყვნენ, განსაკუთრებით კი ჯარისკაცები. მე სულ უფრო და უფრო მივდივარ იმ დასკვნისკენ, რომ თურქებთან მუშაობა ძალიან კარგად არის შესაძლებელი, მათთან სწორად მოქცევაა მხოლოდ საჭირო. სამი ქართველის გამგზავრების შესახებ (ლეიტენანტი ახალკაცი ორ სხვა ქართველთან ერთად) მივწერე ბატონ კაპიტან ფონ ჰიულსენს, მაგრამ შემდეგ კურიერს გამოვატან ერთ ამომწურავ მოხსენებას. ერთი გასახარი ინფორმაცია შემიძლია მოგანოდოთ, რომ მეორე კომიტეტმა (ნიკოლოზი² და სხვები) უბადრუკად შეწყვიტა არსებობა. ისინი ქმედებებით ერთმანეთს ზენოლის ქვეშ აქცევდნენ და ერთმანეთის წინააღმდეგ თურქებთან იყვნენ შეფიცული. [...]³

მე არ მინდა, რომ ჩემი კორესპონდენცია წერეთელთან, კოზაკის ან ვინმე სხვის გავლით მიდიოდეს, რადგან ისინი ხანდახან შეიცავენ ინფორმაციას, რაც მხოლოდ ქართულმა კომიტეტმა და გერმანიის მთავრობამ შეიძლება იცოდნენ.

¹ იგულისხმება ესად ფაშა მეჰმედ (1862-1952).

² იგულისხმება ნიკოლოზ (ნიკოლა) არქიმანდრიტი.

³ გიორგი მაჩაბლის ამ წერილის შემდეგი ერთი ფურცელი არქივში არ შემორჩენილა.

„ქართული გაზეთის“¹ შესახებ, რომელმაც აქაც ქართულ კოლონიაში დიდი კმაყოფილება გამოიწვია, ადრე ფრაიჰერ ფონ ოპენჰაიმთან შევთანხმდით, რომ თურქეთისთვის განკუთვნილი ეგზემპლარების რაოდენობა პირდაპირ აქაურ ცნობათა ბიუროს უნდა გაეგზავნოს და აქედან მოხდება შემდგომი გადანაწილება. ამასვე ვწერ ბატონ წერეთელს და ვთხოვ მას, რომ იგივეს დაუჭიროს მხარი.

ამ თანდართულ წერილში ასევე მოიძებნება რამდენიმე ფოტო და ჩემ სახლში დატოვებული ჩემოდნის გასაღები.

მე ვიმედოვნებ, რომ შემდეგ ცნობებში აქ გამოთქმული შეხედულებები თქვენს თანხმობას მიიღებენ და რომ ჩვენი საქმე აქ, თურქეთში, სამუდამოდ ჯანსაღ და პერსპექტიულ საფუძველზე დადგება.

საუკეთესო სურვილებით,
თქვენი ერთგული,
გიორგი მამულია

*Politisches Archiv des Auswärtigen Amtes (PA AA), Akten Betreffend den Krieg 1914,
Unternehmungen und Aufwiegungen gegen unsere Feinde im Kaukasus. R 21019.
თარგმანი გერმანულიდან.*

¹ „ქართული გაზეთი“ – საქართველოს განთავისუფლების კომიტეტის მიერ (რედაქტორი – გიორგი კერესელიძე) გერმანიის და ავსტრია-უნგრეთის სამხედრო ტყვეთა ბანაკებში მყოფი ქართველი ჯარისკაცებისთვის და ოფიცრებისთვის ბერლინში გამოცემული გაზეთი. გამოდიოდა აღმოსავლეთის ცნობათა ბიუროს (ნახრიხტენშტელეს) დაფინანსებით 1916 წლის აპრილიდან 1918 წლის სექტემბრამდე. სულ გამოიცა 58 ნომერი.

№ 123

**საქართველოს განთავისუფლების
კომიტეტის წევრის, მიხეილ წერეთლის ინსტრუქცია
ქართველ ოფიცერ ერეკლე (ჰერაკლიუს)
შორდანიასადმი, ებერის სამხედრო ძველთა ბანაკში
ჩასათარბილი სამუშაოს შესახებ**

1916 წლის 5 ივნისი
ბერლინი

ჩემო ძვირფასო ჰერაკლიუს,

როდესაც ჩვენ თქვენთან მიუღინგში ვიყავით, ბევრჯერ ვცადეთ თქვენი ეგერში გადაყვანა მოგვეხერხებინა, მაგრამ ეს საქმე საკმაოდ რთული აღმოჩნდა. ახლა ეს ნამდვილად მოხდება და თქვენ შეგიძლიათ ჩვენი ქართული საქმისთვის ძალიან ბევრი გააკეთოთ, თუკი თქვენ ქართველ ჯარისკაცებში ფრთხილ პროპაგანდას გასწევთ. ჩვენ (მე და ლადო¹) ეგერის ბანაკში ნამყოფები ვართ. ჯარისკაცების ნახევარზე მეტმა ჩვენი შეთავაზებისადმი პროტესტი გამოხატა, მაგრამ დანარჩენებმა ეს წინადადება ძალიან სიმპატიურადაც კი მიიღეს, იმისდა მიუხედავად რომ ამბობდნენ, ასეთ საქმეებში ადამიანი ძალიან ფრთხილად და ჭკვიანურად უნდა იქცეოდეს.

თქვენ შეხვდით უნტერ-ოფიცერ ღლონტს და ერთ მეგრელს (გვარი დამავინყა), ისინი გეტყვიან, ვის უნდა დაელაპარაკოთ თავიდან.

კანონის მიხედვით არ შეიძლება, რომ ფორმიანმა ოფიცერმა ჯარისკაცებს შორის ასეთი პროპაგანდა ჩაატაროს, მაგრამ თქვენ ეს ძალიან მოხერხებულად უნდა ქნათ, ისე რომ ვერც ჩვენმა ხალხმა შენიშნოს და არც ბანაკის სტრუქტურებს მოხვდეს თვალში. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ თქვენ, როგორც ოფიცერი, ჯარისკაცებს შორის იყოთ, რადგან მათ მკაფიოდ გამოხატეს, რომ სამოქალაქო პირებთან საქმის ქონა არ სურთ.

თავდაპირველად, თქვენ უნდა მოძებნოთ 10 საიმედო უნტერ-ოფიცერი და ჯარისკაცი, რომლებიც პატრიოტული იდეით არიან შთაგონებული, ვერ იტანენ ტყვეობაში ყოფნას და შესაბამისად, წასვლა უნდათ, და დაარწმუნოთ ისინი, რომ სამსუნში ჩვენს ლეგიონში სჯობს წავიდნენ. თუკი ისინი მთლიანად თანახმანი იქნებიან, შეატყობინეთ ეს ბატონ გენერალს და უკვე ის იზრუნებს გაგზავნაზე. გაგზავნა უნდა მოხდეს როგორც ყოველთვის, თითქოს ეს ხალხი სამუშაოზე იგზავნება, ან ხდება მათი სხვა ბანაკში გადაყვანა. თქვენ რჩებით ადგილზე და ამუ-

¹ იგულისხმება მძინარიშვილი (მძინაროვი) რაჟდენ (ახალკაცი ლადო).

შავებთ მომდევნო ნაწილს, რომელიც ასევე სამსუნში გაიგზავნება და ასე შემდეგ, ვიდრე კარგ ელემენტებს არ ამოწურავთ. ბოლო ნაკადთან ერთად თქვენც გაემგზავრეთ სამსუნში. მომწერეთ თქვენი პირველი შთაბეჭდილების შესახებ ეგერიდან, როდესაც ადგილზე იქნებით. ჩემი მისამართია: მიხეილ წერეთელი, ბამბერგერშტრასე 54, ბერლინი, ბ. 50.

ლადო უკვე გაემგზავრა.

მე ველოდები თქვენს პასუხს, მომწერეთ რაც შეიძლება სწრაფად. ახლა თითოეული ქართველის ვალდებულებაა იმუშაოს. ან ახლა, ან არასოდეს. ჩვენ რომც ვერაფერს მივაღწიოთ, სულ ერთია – სხვები მოგვიანებით სხვა საქმიანობას წამოიწყებენ. ომის შემდეგ რუსები ჩვენ ყველა შემთხვევაში გაგვანადგურებენ და უმჯობესია ბრძოლაში დავიღუპოთ.

საუკეთესო მოკითხვით,

მ. წერეთელი

Politisches Archiv des Auswärtigen Amts (PA AA), Akten Betreffend den Krieg 1914, Unternehmungen und Aufwiegelingen gegen unsere Feinde. Tätigkeit in den Gefangenenlagern in Deutschland. R 21258.
თარგმანი გერმანულიდან.

№ 124

ქართული ლეგიონის გეთაურის, თადარიგის კაპიტნის,
 ბრაუნ ფრიდრიხ-ვერნერ ფონ დერ შულენბურგის
 მოხსენება გერმანიის არმიის სახმელეთო ძალების
 გენერალური შტაბის პოლიტიკის სექციას, ლეგიონის
 თანამედროვე ცეცხლსასროლი იარაღით აღჭურვის
 აუცილებლობის შესახებ

1916 წლის 6 ივნისი
 სამსუნი

უკვე ჩემს მიერ ერზინჯანიდან ამა წლის 2 აპრილს გამოგზავნილი N°8 ტელეგ-რამით მე იმაზე მივუთითე, რომ ქართული ლეგიონისთვის გადაცემული ვერნდ-ლის შაშხანები უაღრესად ცუდი, თითქმის გამოუსადეგარნიც კი არიან. ჩემი აქ ჩამოსვლის შემდეგ, მე განვახორციელე იარაღის და ვაზნების შემოწმება, რომლის შედეგიც ვაფენმაისტერის ასლში თან დართული წინა თვის 20 რიცხვის მოხსენებაში არის წარმოდგენილი¹. მისი მიხედვით, შაშხანები არა მხოლოდ ცუდი, არამედ სიცოცხლისთვის სახიფათონიც კი არიან. ვაზნების განსაკუთრებით დიდი სიმძიმის გამო, ცალკე ჯარისკაცს და გათვალისწინებულ სატვირთო ცხოველებს მხოლოდ იმის ნაწილის ტარება შეუძლიათ, რასაც თანამედროვე შეიარაღების მქონე ჯარი დაატარებს.

აქედან გამომდინარე, თავს უფლებას ვაძლევ გავიმეორო ჩემი თხოვნა ლეგიონს უმოკლეს ხანებში თანამედროვე, უკეთეს შემთხვევაში, რუსული იარაღი გამოეგზავნოს. სრულიად არაცივილიზებული შიდა აფრიკის, შიდა აზიის და ა.შ. ტომებისგან განსხვავებით, კავკასიის ეროვნებები კარგად იცნობენ ცეცხლსასროლ იარაღს, რომლითაც მუდმივად მარაგდებოდნენ, თუკი ის, როგორც ამ ბოლო დროს, რუსების მიერ არ იყო ძალით კონფისკირებული. ამ მიზეზით კავკასიელები იარაღის გადამეტებული სიყვარულით არიან შეპყრობილნი, რაც ცუდად შეიარაღებულ კაცს დამცირების გრძნობას უჩენს. ლეგიონში ამის შედეგად არსებული ვერნდლის შაშხანებით დიდი უკმაყოფილების ჩახშობას ამ დრომდე მე იმაზე მითითებით ვახერხებდი, რომ მომავალში ლეგიონს უკეთესი იარაღი მოეწოდება.

Bundesarchiv Berlin-Lichterfelde (BArch), Nachlass Schulenburg, N2273/111.
 თარგმანი გერმანულიდან.

¹ იხ. დოკ. 118.

№ 125

ერნსტ ფონ კვიატკოვსკის, ძრავიზონში
ავსტრია-უნგრეთის კონსულის, მოხსენება
ავსტრია-უნგრეთის იმპერიის საბარეო საქმეთა
მინისტრს, ბარონ შტეფან ფონ ბურნიანს,
რეორგანიზაციის პროცესში მყოფი სამსუხში
დისლოცირებული ქართული ლეგიონის შესახებ

1916 წლის 7 ივნისი
სამსუნი

სადღეისოდ, ლეგიონი საკუთარ შემადგენლობაში ითვლის 14 ქართველ ოფიცერს, 672 მეზრძოლ და 244 არამეზრძოლ ჯარისკაცს, 170 ცხენს, 11 (რუსულ) ტყვიამფრქვევს, 740 ვერნდლის მოდელის შაშხანას, 150 გერმანულ თოფს (1888 წლის მოდელის) და 40 კარაბინს.

გრაფ შულენბურგის მიერ სამხედრო ნაწილის მეთაურობის გადმობარების (რომელიც ამჟამად საკუთარ ხელში აერთიანებს წამოწყების პოლიტიკურ და სამხედრო ხელმძღვანელობას), და ლეგიონის ტყვიამფრქვევებით მომარაგების შემდგომ, უკანასკნელში უკეთესი განწყობილება შეინიშნება.

გერმანულ-ქართული საზოგადოების დაარსება ბერლინში, ისევე როგორც შენევიდან იქ ქართული სტამბის გადატანა, საუბრობს იმაზე, რომ გერმანია განაგრძობს მონაწილეობას ქართულ საქმეში.

იგივე მოხსენებას ვაგზავნი კონსტანტინოპოლში.

საიმპერიო და სამეფო კონსული კვიატკოვსკი

Wien, Haus-, Hof- und Staatsarchiv (HHStA), Politisches Archiv (PA), I 947 Krieg 21 k Türkei:
Georgisch-grusinischer Aufstand im Kaukasus 1914-18, Fol. 123.
თარგმანი გერმანულიდან.

№ 126

საქართველოს განთავისუფლების კომიტეტის
წევრის, მიხეილ წერეთლის წერილი ოთო გიუნდერ
ფონ ვეზენდორფს, ბერმანიის იმპერიის საბარეო
საქმეთა სამინისტროს ლეგაციის მდივანს და ახლო
აღმოსავლეთის საქმეთა რეფერატს, ბიორბი მაჩაბლის
მიერ კონსტანტინოპოლიდან მოწოდებული ცნობების
შესახებ და წყალქვეშა ნავებით ქართველების
კავკასიისკენ გამგზავრების თაობაზე

1916 წლის 14 ივნისი
ბერლინი

პატივცემულო ბატონო ბარონ,

მაქვს პატივი, რომ შემდეგი შეგატყობინოთ:

რამდენიმე დღის წინ მივიღე ინფორმაცია თავად მაჩაბლისგან, რომ ექსპედიცია სხვანაირად იქნა მხარდაჭერილი, ვიდრე ისე როგორც აქ, ბერლინში ფიქრობდნენ, რადგან გეგმა, რომელიც ბერლინში იქნა შემუშავებული, კონსტანტინოპოლში სხვადასხვა სირთულეების გამო შეუსრულებლად მიიჩნიეს. ბოლო წამამდე არავინ იცოდა, როდის შეძლებდა წყალქვეშა ნავი გამგზავრებას და რამდენი კაცის წაყვანას შეძლებდა. უცბად გამოჩნდა სამხედრო ატაშეს მოადგილე და შეატყობინა, რომ წყალქვეშა ნავი 5 საათზე აპირებდა ფ[ონ] მ[აჩაბლის] წაყვანას და მას 3 პირის გაყოლება შეეძლო. ასეთ მოკლე დროში შეუძლებელი იყო ხალხის ამისთვის მომზადება და მხოლოდ შემდეგი დღის 1 საათზე გაემგზავრნენ წყალქვეშა ნავით კონსტანტინოპოლიდან საქართველოსკენ ბატონი ლეიტენანტი ლ. ახალკაცი, პლატონ ქორქია და კიდევ ერთი კონსტანტინოპოლელი ქართველი, რაჟდენი. ისინი ახლა უკვე ალბათ საქართველოში არიან, თუკი გადასხდომა საერთოდ მოხერხდა. მაჩაბელმა თავად ვერ შეძლო გამგზავრება, მაგრამ, პირველი: ბატონი ლეიტენანტი ახალკაცი ყველაფერს გააკეთებს რაც საჭიროა, და მეორე: მაჩაბელი სხვა დროს გაემგზავრება. ეს ხალხი 1 ივნისს გაემგზავრა.

სამი-ოთხი კვირის შემდეგ სხვა ჯგუფი გაემგზავრება კავკასიისკენ: გაზავატი¹, სელიმ-ბეი², მის ნდობით აღჭურვილ პირთან ერთად, და ერთი ქართველი (აკაკიუსი) გამყოლი.

¹ იგულისხმება არზამაკოვი უზდენ (გაზავატი).

² იგულისხმება ბებუთოვი სელიმ ბეი მეჰრალი ოღლუ (1883-1943).

მესამე ჯგუფთან ერთად, რომელიც მეორეს შემდეგ გაიგზავნება, თავადი მამულია წავა, თუკი პირველი ორი ექსპედიცია შედგება.

გარდა ამისა, ბატონი მამულია იწერება, რომ თურქებთან მოლაპარაკებების შემდეგ მისთვის ნათელი გახდა, რომ ის ქიამილ ბეი თავდგირიძესთან ერთად (კონსტანტინოპოლში ქართული კომიტეტის წევრი) სამსუნში უნდა გამგზავრებულიყო, რომ იქ გარკვეული დროით სურგულაძეს შეხვედროდა და მუდმივი უთანხმოებებისათვის საბოლოოდ დაესვა წერტილი. მისი რჩევაა, რომ ბატონ სურგულაძეს, ბერლინში ჩამოსვლის საშუალება მიეცეს, სადაც ის ბატონ გამსახურდიას წასვლის გამო საჭირო შეიძლება იყოს, ან გაიგზავნოს ეგერში ავსტრიაში, რათა ავსტრიის ქართველ ტყვეებში პროპაგანდა აწარმოოს. სხვათაშორის, მას ასევე შეეძლო კონსტანტინოპოლში დარჩენა, რომ იქ მამულია ჩაანაცვლოს.

უმორჩილესად გთხოვთ, რომ ამასთან დაკავშირებით გამოხატოთ მოსაზრება.

ახლახანს ბატონ მამულიასგან კიდევ ერთი ტელეგრამა მივიღე შემდეგი შინაარსით: „შეატყობინე იქ, რომ მეც შენთან ერთად მოვემგზავრები, ძალიან მნიშვნელოვანია. მაქვს დრო“. ის გულისხმობს „ეროვნებათა კავშირის“ კონგრესს¹ და მეც მნიშვნელოვნად მიმაჩნია, რომ ის კონსტანტინოპოლიდან ლოზანაში ამ კონგრესზე ჩამოვიდეს.

ამის თაობაზე მინდა თავაზიანად გთხოვოთ, გააგზავნოთ ტელეგრამა კონსტანტინოპოლში, რომ მამულიას ამ კონგრესზე მონაწილეობის მიღების უფლება აქვს.

თქვენი სრულიად ერთგული,
მ. ფ[ონ] წერეთელი

Politisches Archiv des Auswärtigen Amts (PA AA), Akten Betreffend den Krieg 1914, Unternehmungen und Aufwiegelungen gegen unsere Feinde im Kaukasus. R 21019.
თარგმანი გერმანულიდან.

¹ იგულისხმება მცირე ერთა ანტიიმპერიული ბრძოლის კოორდინაციის მიზნით 1912 წელს დაარსებული „ერთა კავშირის“ მიერ, 1916 წლის 27-29 ივნისს ლოზანაში (შვეიცარიაში) ჩატარებული მესამე კონფერენცია, რომელზეც ცალკე სიტყვით გამოვიდა საქართველოს განთავისუფლების კომიტეტის წევრი მ. წერეთელი.

№ 127

**საქართველოს განთავისუფლების კომიტეტის წევრის,
გიორგი მაჩაბლის წერილი გერმანიის იმპერიის
საბარეო საქმეთა სამინისტროს, კონსტანტინოპოლში
მის მიერ ჩატარებული საგუშაოს და თურქულ წრეებთან
წარმოებული მოლაპარაკების შესახებ**

1916 წლის 15 ივნისი
კონსტანტინოპოლი

კონსტანტინოპოლში ჩასვლისთანავე ერთ-ერთი ჩემი ამოცანა იყო ოტომანთა მთავრობის შეხედულებების ზონდირება მომეხდინა, რათა გამეგო, რა აზრისა იყო ის ზოგადად, ჩვენს აქციაზე და კერძოდ კი – ქართულ ლეგიონზე. ამ მიზნით მე შეხვედრები მქონდა „ერთობისა და პროგრესის“ კომიტეტის წარმომადგენელთან რიზა ბეისთან, რომელსაც მთავრობამ ჩვენი საკითხის მოწესრიგება და იმ რეგიონის მმართველობა დაავალა, სადაც ჩვენმა ლეგიონმა უნდა იმოქმედოს.

ის ახლახანს ჩამოვიდა სამსუნიდან, სადაც ინახულა ჩვენი ლეგიონი. მის მიერ მიღებული შთაბეჭდილება კარგი იყო, მას კმაყოფილი იერი ჰქონდა და აქებდა მის სამხედრო ორგანიზაციას. ჩვენი საუბრის დროს მან მე გამაგებინა, რომ ქართულ კომიტეტს სამსუნში ქმედითი კაცი აკლდა, რომელსაც შეეძლო მთავრობის სრული ნდობის მოპოვება. მე აღვნიშნე, რომ აქედან ძირითადად ჩანს, ჩვენი კომიტეტის ძალთა ზრდის აუცილებლობა. მან ასევე აღნიშნა, რომ ჩვენს ოფიცრებს შორის ადგილი ჰქონდა უკმაყოფილებას. მე შემიძლია სიტყვა-სიტყვით მოვიყვანო სიტყვები, რომელიც მან მითხრა ლეგიონის შესახებ ჩვენი საუბრის დროს: „თუ პიროვნება, რომლის უნარი ჩვენს ნდობას დაიმსახურებს, ამ საქმეს საკუთარ ხელში ჩაიბარებს და თუ თქვენი სახსრები საშუალებას მოგცემენ უფრო დიდი სამხედრო ქვედანაყოფი შეინახოთ, მე შემიძლია შევიყვანო თქვენს ლეგიონში 3000-მდე მუჰაჯირი“ (ქართველი ლტოლვილები, რომლებიც იძულებულნი იყვნენ აჭარიდან თავი შეეფარებინათ ოტომანთა ტერიტორიაზე, როცა ოსმალურმა ჯარებმა უკან დაიხიეს).

მე დავინახე, რომ მას არა აქვს კარგი ურთიერთობა ზოგიერთ ჩვენიანთან, და მისმა პირადულმა გრძნობებმა და განწყობებმა თავისი დალი დაასვეს მის შეხედულებას მათ შესახებ.

რაც შეეხება ლეგიონის გაძლიერებას, მან მითხრა, რომ სრულ დახმარებას მპირდებოდა და დაავალებდა მასში შესვლას ყველა მუჰაჯირს, რომლებმაც სამსუნში ყოფნის დროს მას რჩევა სთხოვეს, თუკი მე თანახმა ვიქნებოდი გავმგზავრებულიყავი სამსუნში, რათა ლეიტენანტ ქიამილ ბეი თავდგირიძესთან (ყოფილი

სამხედრო-საზღვაო მინისტრის, მაჰმუდ ფაშას ბიძაშვილი და ფუად ფაშას¹ მისი-ის წევრი) საქმე საკუთარ ხელში ამეყვანა.

სამსუნში მყოფ ორ პირს, რომლებიც, ესე ვთქვათ, საქმის სულს წარმოადგენდნენ, უკვე დაღლილობის ნიშნები ეტყობოდათ იმ მუდმივი სამუშაოდან, რომელსაც ისინი განუწყვეტლივ ეწეოდნენ ორი წლის განმავლობაში. ბატონ სურგულაძის წერილებში, რომელიც მე აქ ჩემი ჩამოსვლისთანავე ვნახე, ის მწარედ ჩიოდა და ითხოვდა დახმარებას. ოსმან ბეი² ავადმყოფობს და მხოლოდ არარეგულარულად ახერხებს სამუშაოს სიძნელების დაძლევას. ამიტომაც, მე აუცილებლად მიმაჩნია, დროებით გავაგზავნოთ ვინმე ამ მის შესაცვლელად, ან დასახმარებლად. – ისეთი პირი, რომელიც თავის ამოცანასაც ჩინებურად შეასრულებს და ოტომანთა მთავრობის ნდობითაც ისარგებლებს.

კონსტანტინოპოლში დაბრუნებისას, მე იმედი მქონდა ჩემს სხვა მეგობრებთან ერთად დაუყოვნებლივ გავმგზავრებულიყავი საქართველოში. ექსპედიციის დაგვიანება ჩვენი მიზეზით არ მომხდარა, ის ჩვენგან არ იყო დამოკიდებული. უფრო მეტიც, გეგმა უნდა შეცვლილიყო, რადგან გადაყვანის ერთჯერადად განხორციელება შეუძლებელი იყო და ყველა წყალქვეშა ნავს არ შეეძლო გადაეყვანა 3 ან 4 პირზე მეტი. ამრიგად ექსპედიცია სამ ჯგუფად უნდა დაყოფილიყო, რომელთაგანაც ერთი, ლეიტენანტ ახალკაცის, უკვე გაემგზავრა სხვა ორ ქართველთან ერთად, ხოლო მეორე სელიმ ბეის³ და გაზავატის⁴ არის, მათ მეგზურებთან ერთად. მე თავად, ვგეგმავ გავყვე მესამე ჯგუფს. ჩემი მესამე ჯგუფთან ერთად გამგზავრება არავითარ შემთხვევაში არ შეამცირებს მცდელობის შედეგს, რადგან ლეიტენანტი ახალკაცი და ჩვენი ორგანიზაცია ჩემს ჩამოსვლამდე გააკეთებენ აუცილებელს და აქციას მოქმედებაში მოიყვანენ. მე ამის, ისევე როგორც ლეიტენანტის და მისი მეგობრების უნარისა და ერთგულების, მტკიცედ მჯერა და მწამს.

მე კიდევ მსურდა მესარგებლა ჩემი კონსტანტინოპოლში ყოფნით, რათა მტკიცე საფუძველზე დამეფუძნებინა ჩვენი მოქმედება ოტომანთა მთავრობასთან, მომენერსებინა როგორც პოლიტიკური, ისე სამხედრო საკითხები, რათა გაუთვალისწინებელი და შესაძლო გაუგებრობები არ ემუქრებოდეს მომავალში მათ შეფერხებით ან ჩაშლით. ამ მიზნით მე საჭიროდ ვთვლი ასევე გავმგზავრო სამსუნში, ლეიტენანტ ქიამილ ბეი თავდგირიძესთან ერთად, და ვნახო რამდენად გაგვიწევს ჩვენ დახმარებას ოტომანთა მთავრობა, თუკი რაღაც დროით გვიხილავს ქართული კომიტეტის სათავეში. წინასწარ დარწმუნებული ვარ, რომ სამსუნში ჩვენს გამგზავრებით სიძნელები ნამდვილად დაიძლევა, მითუმეტეს რომ აქ, როგორც მე უკვე აღვნიშნე, წარმატება და შედეგი დიდად დამოკიდებული არის პირად ურთიერთობებზე.

ვაცენებ რა ჩემს წინადადებას იმპერიის საგარეო საქმეთა სამინისტროს და გენერალური შტაბის პოლიტიკის სექციის წინაშე, მე მათ ვთხოვ კეთილი ინებონ და მაცნობონ თავისი აზრი რაც შეიძლება სწრაფად (ტელეგრამით), რათა დაუყოვნებლივ შევძლო შევუდგე მოქმედებას, თუკი ამაზე დასტური მომეცემა.

ჩემი კონსტანტინოპოლში ყოფნის დროს გადაჭრილ იქნა ორი სხვა, ყურადღების ღირსი საკითხი. პირველი არის არქიმანდრიტ ნიკოლოზის ჯგუფის დაშლა,

¹ იგულისხმება დელი ფუად ფაშა (1835-1931).

² იგულისხმება ქარცივაძე მელიტონ (ოსმან ბეი).

³ იგულისხმება ბებუთოვი სელიმ ბეი მეჰრალი ოღლუ (1883-1943).

⁴ იგულისხმება არზამაკოვი უზდენ (გაზავატი).

რომლის ინტრიგები ამდენად აბრკოლებდნენ ჩვენს მოქმედებას. მისი კომიტეტის წევრებმა მომმართვეს თხოვნით, მომეცა მათთვის სამუშაო. მე ვფიქრობ ისინი სამსუნში გავაგზავნო, სადაც მათ სამხედრო დისციპლინის პირობებს და მათდამი მოცემულ სამუშაოს დავუქვემდებარებ. საამისოდ ისინი მომცემენ მე ვალდებულების ხელწერილებს. ამრიგად ერთხელ და სამუდამოდ ავმოვფხვრით ახალი ინტრიგების თესლს კონსტანტინოპოლში.

მეორე – თურქულ ენაზე ყოველთვიური ჟურნალის გამოცემაა, რის შესახებაც მე ბატონ ბარონ ოპენჰაიმს ვესაუბრე. მან იდეა მშვენივრად ჩათვალა და მე მისგან თანხმობა მივიღე, სხვათაშორის, საამისოდ საჭირო მცირე ხარჯთა გათვალისწინებით. მან მითხრა, რომ შეუძლია აუცილებელი თანხის გამონახვა და დამპირდა მის გამოცემას ცნობათა ბიუროს¹ საშუალებებით. მე მაშინვე მივმართე ოტომანთა მთავრობას, მისი ნებართვის მისაღებად. ჩვენ მოგვთხოვეს სანიმუშო ეგზემპლარი, რომლის წარდგენის და შესწავლის შემდეგ ნებართვა, იმედი უნდა ვიქონიოთ, იქნება მოცემული. ჩვენ იქ გამოვაქვეყნებთ სტატიებს, რომლის მთავარი მიზანი იქნება კარგ ურთიერთობათა განვითარება ოსმალურ წრეებთან და მათი თანაგრძნობის მოპოვება. ჩვენ იქ ჩავრთავთ, ასევე, ქართული გაზეთებიდან თარგმნილ სტატიებს, რათა გავაცნოთ მდგომარეობა და აზრთა განწყობა საქართველოში და კავკასიაში. ამ ჟურნალში ითანამშრომლობენ ასევე კავკასიის სხვა ხალხთა წარმომადგენლები, რაც კიდევ უფრო განამტკიცებს არსებული სოლიდარობის კავშირს.

თავადი გიორგი მაჩაბელი

Politisches Archiv des Auswärtigen Amts (PA AA), Akten Betreffend den Krieg 1914, Unternehmungen und Aufwiegelungen gegen unsere Feinde im Kaukasus. R 21019.

თარგმანი ფრანგულიდან.

¹ იგულისხმება აღმოსავლეთის ცნობათა ბიურო (Nachrichtenstelle für den Orient).

№ 128

საქართველოს განთავისუფლების კომიტეტის
წევრის, გიორგი კარეასელიძის წერილი ოთო გიუნდერ
ფონ ვეზენდონკს, გერმანიის იმპერიის საბარეო
საქმეთა სამინისტროს ლეგაციის მდივანს და ახლო
აღმოსავლეთის საქმეთა რეფერატს, ქართველი
ინფორმატორებისგან მიღებულ
ცნობებზე საქართველოში არსებული დადებითი
განწყობილების შესახებ

1916 წლის 20 ივნისი
ბერლინი

ბატონო ბარონ,

მაქვს პატივი შეგატყობინოთ, რომ ჩემი ერთი თანამემამულეთაგანი ჩემი სურვილით საქართველოში გაემგზავრა. მას დაევალა რამდენიმე დიდი მნიშვნელობის და გავლენის მქონე პირის სტუმრობა, რათა მათ ჩვენი წამოწყებების გეგმა გააცნოს. ის ყველაფერს გააკეთებს იმისათვის, რომ ჩვენი თანამშრომლობა საუკეთესოდ იქნას მიღებული.

გარდა ამისა, მე დაველაპარაკე ერთ მწერალს, რომელიც საქართველოში ძალიან ცნობილი და პატივსაცემი კაცია როგორც მწერალი და ასევე, როგორც თავდაჯერებული რევოლუციონერი. ის მზადაა, თუკი ჩვენ ამას საჭიროდ და აუცილებლად ჩავთვლით, რომ საქართველოში გაემგზავროს და ყველა მითითება შეასრულოს.

ასევე ბატონი, რომელიც რამდენიმე ხნის წინ საქართველოში გავგზავნე, ხშირად იძლევა იქიდან ცნობებს. მაშინ, როდესაც მე შვეიცარიაში ვიყავი, მისგან ერთი წერილი ჩამოვიდა, რომელშიც გამოხატავდა აღფრთოვანებას იმით, რაც მან საქართველოში ნახა და მოისმინა. ის ამბობს, რომ განწყობილება რომელიც ჩვენ ხალხში სუფევს, აძლევს მას იმის რწმენას, რომ გვაქვს უფლება საუკეთესოს იმედი გვქონდეს ჩვენი ქვეყნის მომავალთან დაკავშირებით.

განსაკუთრებული პატივისცემით,
გ. კერესელიძე

Politisches Archiv des Auswärtigen Amts (PA AA), Akten Betreffend den Krieg 1914, Unternehmungen und Aufwiegelingen gegen unsere Feinde im Kaukasus. R 21019.

თარგმანი გერმანულიდან.

№ 129

საქართველოს განთავისუფლების კომიტეტის წევრის,
მიხეილ წერეთლის წერილი გერმანიის იმპერიის
საგარეო საქმეთა სამინისტროს, ხსენებული კომიტეტის
მოკავშირე კირის, არკადი მანსვეტოვისთვის
გერმანული ვიზის მიცემის შესახებ

1916 წლის 21 ივნისი
ბერლინი

მაქვს პატივი შემდეგი გაცნობით:

ქართულმა კომიტეტმა შეისწავლა ბატონ არკადი მანსვეტოვის საკითხი და დაადგინა, რომ საქმე შეცდომას ეხება.

მანსვეტოვებთან ვენის მახლობლად ბადენში (ტერეზიენგასე 8) ჩემს ვიზიტამდე რვა თვით ადრე, მან განაცხადი გააკეთა ლიეჟში მგზავრობის ნებართვის მისაღებად. ბატონმა მანსვეტოვმა მგზავრობის შესახებ ნებართვა მიიღო იმავე დროისთვის, ანუ აპრილის ბოლოს, როდესაც მან თანხმობა განაცხადა, რომ ქართულ კომიტეტთან ეთანამშრომლა და ბერლინში გამგზავრებულიყო. ლიეჟში გასამგზავრებელი პასპორტის მიღებიდან რამდენიმე დღის შემდეგ, ბატონმა მანსვეტოვმა მიიღო ახლა უკვე ავსტრიის მთავრობის ნებართვა ბერლინში გასამგზავრებლად და ისე მოხდა, რომ მან ორივე დოკუმენტი ერთმანეთის მიყოლებით მოკლე ხანში წარადგინა ვენაში გერმანიის საპასპორტო სამსახურში. აქედან წარმოიქმნა გაუგებრობა, თითქოს ბატონ მანსვეტოვს არა ბერლინისკენ, არამედ ლიეჟში გამგზავრება სურდა. ის წინანდებურად მზად არის, რომ ბერლინში ქართულ კომიტეტთან ითანამშრომლოს და ლიეჟში მოგზაურობაზე უარი თქვას.

ახლა მინდა გთხოვოთ, რომ ბატონ მანსვეტოვს ბერლინში გამგზავრების შესახებ თანხმობა მიეცეს და გერმანიის იმპერიის საპასპორტო სამსახურს ვენაში ამის შესახებ ცნობა მიეწოდოს.

ერთგულებით,
კომიტეტის სახელით,
მ. ფ[ონ] წერეთელი

*Politisches Archiv des Auswärtigen Amts (PA AA), Akten Betreffend den Krieg 1914,
Unternehmungen und Aufwiegungen gegen unsere Feinde im Kaukasus. R 21019.*

თარგმანი გერმანულიდან.

№ 130

**საქართველოს განთავისუფლების კომიტეტის წევრის,
მიხეილ წერეთლის წერილი გერმანიის საბარეო
საქმეთა სამინისტროს, თურქეთში თურქულ ენაზე
ქართული გაზეთის გამოშვების და ამ გაზეთის
ერთ-ერთი თანამშრომლის, მიხეილ თარხანოვის
(ირაკლი ტატიშვილის) შესახებ**

1916 წლის 22 ივლისი
ბერლინი

ამით პატივი მაქვს შემდეგი მოგახსენოთ:

გუშინწინ მე მივიღე კონსტანტინოპოლიდან ბატონ თარხანოვის წერილი, რომელიც იქ ქართული საქმისთვის მუშაობს. ამ წერილში ის შემდეგს მაგყობინებს:

თავადმა მარაბელმა, კონსტანტინოპოლიდან წამოსვლის წინ გერმანელ სამხედრო ატაშეს ესაუბრა თურქული გაზეთის დაარსების შესახებ, თურქეთში ქართული პროპაგანდის განევის მიზნით. ამ აზრს იზიარებდა თურქეთში გერმანული პრესის წარმომადგენელი, ისევე როგორც თურქული მთავრობა. გაზეთის ერთ-ერთი თანამშრომელი თავად თარხანოვი უნდა ყოფილიყო. ბატონი სამხედრო ატაშე თავად მარაბელს ამ გაზეთისთვის ყოველთვიური სუბსიდიის სახით 35 თურქულ ლირას დაპირდა. თანხა შულენბურგის ფონდიდან, ან გერმანული საელჩოს მიერ უნდა ყოფილიყო გადახდილი. ამ თანხიდან ბატონ თარხანოვს გაზეთში თანამშრომლობისათვის ყოველთვიურად 8 ლირა საზღაური ეკუთვნოდა.

ბატონმა თარხანოვმა თავად მარაბლის წასვლის შემდეგ გაზეთის პირველი ნომერი მოამზადა და შეადგინა, და ის თურქულ ენაზე ათარგმნინა. როდესაც ამის შემდგომ მან ბატონი გოზალოვი¹, ადგილობრივი ქართული კომიტეტის წევრი, საელჩოში გააგზავნა დავალებით ფული გამოერთმია, უკანასკნელმა ფულის გადახდაზე უარი განაცხადა, საამისოდ მიზეზთა შეტყობინების გარეშე. თუმცა, დოქტორმა ვებერმა² ურჩია ბატონ გოზალოვს ამის შესახებ ბერლინში, საგარეო საქმეთა სამინისტროსთვის მიენერა, რათა მას კონსტანტინოპოლში საკუთარი თანხმობა ეცნობებინა გაზეთის გამოცემის და სუბსიდიის გადახდის შესახებ.

საკუთარი პირადი მდგომარეობის შესახებ ბატონი თარხანოვი შემდეგს იწერება:

ადრე ის, თავისი მუშაობისთვის, გერმანიის საელჩოდან იღებდა ყოველთვიურ ჰონორარს 15 ლირის ოდენობით. გასული წლის გაზაფხულიდან კი, მხოლოდ 8

¹ იგულისხმება გოზალიშვილი (გოზალოვი) ალექსანდრე.

² იგულისხმება ვებერი თეოდორ (1872-?) (Weber Theodor).

ლირას იღებს. ამჟამად მას ამ მცირე თანხასაც არ უხდინან და ვინაიდან, ის ამის გარდა ავადმყოფობს, ამის გამო მეტად უმწეო მდგომარეობაში იმყოფება. ამიტომაც ის ითხოვს, იმ შემთხვევაში თუ გაზეთის დაარსებას და სუბსიდიის გადახდას რაიმე მიზეზთა გამო არ მოისურვებენ, გაუშვან ის შვეიცარიაში და მის განკარგულებაში მგზავრობისთვის საჭირო ფული გამოყონ, ისევე როგორც შემდგომი თანხა, რომლითაც მას შვეიცარიაში არსებობა შეეძლება, სანამ ის კავშირს არ დაამყარებს საკუთარ ნათესავებთან საქართველოში. მან თქვა, რომ იმიტომ აძლევს საკუთარ თავს უფლებას ეს თხოვნა წამოაყენოს, რომ ის ომის დასაწყისშივე, ბატონ საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის, მისი აღმატებულება ციმერმანის¹ 1 ოქტომბრის დეპეშით ბრიუსელიდან ბერლინში ჩამოვიდა, და ამ დროდან მოყოლებული საქმისთვის ბეჯითად მუშაობდა.

ბატონი თარხანოვი თხოვნით მიმართავს საგარეო საქმეთა სამინისტროს, რათა მან ამ საქმის შესახებ შეტყობინება ტელეგრაფით გადაუგზავნოს გერმანიის საელჩოს კონსტანტინოპოლში. ამის გარდა, ხელმომწერი ითხოვს, რომ მას ასევე აცნობონ ამ გადაწყვეტილების შესახებ, რათა თავის მხრივ შეეძლოს შეატყობინოს ეს ბატონ თარხანოვს. ასევე მეგობრულად გააგებინონ, შეძლო თუ არა თავადმა მაჩაბელმა ამ გაზეთის საქმის თაობაზე საგარეო საქმეთა სამინისტროსთვის მოხსენების წარდგენა.

ქართული კომიტეტის სახელით,
უმორჩილესად თქვენი,
მ. ფონ წერეთელი

*Politisches Archiv des Auswärtigen Amts (PA AA), Akten Betreffend den Krieg 1914,
Unternehmungen und Aufwiegelingen gegen unsere Feinde im Kaukasus. R 21020.
თარგმანი გერმანულიდან.*

¹ იგულისხმება ციმერმანი არტურ (Zimmermann Arthur) (1864-1940).

№ 131

კონსტანტინოპოლში გერმანიის საგზაო ატაშეს
 მოადგილის, კაპიტან ვოლკმანის თელეგრამა
 გერმანიის არმიის სახელმეთო ქალების გენერალური
 შტაბის პოლიტიკის სექციას ბერლინში, საქართველოს
 განთავისუფლების კომიტეტის წევრის, გიორგი
 მაჩაბლის პირადი წერილის ამონაწილით,
 საქართველოში მისი არალეგალური ჩასვლის შესახებ

1916 წლის 24 ივლისი
 პერა

პირად წერილში წყალქვეშა ნავიდან, რომელმაც ის კავკასიაში გადაიყვანა, თავადი მაჩაბელი იწერება:

„გთხოვთ მისწეროთ ბერლინში, რომ მე ჯერ სამსუნში მინდოდა ჩასვლა და ამის შემდეგ – კავკასიაში, მაგრამ ეს ვერ მოხერხდა და ამ მიზეზით მე ყოველგვარ პასუხისმგებლობას ვიხსნი სირთულეებზე, რომლებიც მოგვიანებით ჩვენს საქმეებში შეიძლება წარმოიქმნას. წარმატებით ჩასვლის შემთხვევაში დავიცდი 2 თვეს, და თუ თურქთა შეტევა უშედეგო აღმოჩნდება, შევეცდები ისევ დავბრუნდე უცხოეთში. თავად კავკასიაში, რაც კი ჩვენს ძალებში იქნება, ყველაფერი მომზადდება. კაპიტანთან ცნობების გადაცემის შესახებ აუცილებელზე მოველაპარაკე, თუმცა არ ვიცი, შევძლებთ ჩვენ თუ არა ყველაფრის განხორციელებას“.

ხელმოწერა:
 ვოლკმანი

Politisches Archiv des Auswärtigen Amtes (PA AA), Akten Betreffend den Krieg 1914, Unternehmungen und Aufwiegelungen gegen unsere Feinde im Kaukasus. R 21020.
 თარგმანი გერმანულიდან.

№ 132

ერნსტ ფონ კვიატკოვსკის, ტრაპიზონში ავსტრია-უნგრეთის კონსულის მოხსენება ავსტრია-უნგრეთის იმპერიის საგარეო საქმეთა მინისტრს, ბარონ შტაფან ფონ ბურიანს, ქართული ლეგიონის მიმართ ოსმალეთის იმპერიის ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენელთა დამოკიდებულების შესახებ

1916 წლის 30 ივლისი
სამსუნო

კონფიდენციალურად!

ბოლო დღეების ორი ინციდენტი დამახასიათებელია თურქულ ხელისუფლებასა და ქართულ ლეგიონს (შესაბამისად, მის ხელმძღვანელ გერმანულ მისიას) შორის არსებული ურთიერთობებისათვის.

- 1) გრაფმა შულენბურგმა, ლეგიონის მეთაურმა, მიიღო არმიის სარდლობისაგან სასტიკი საყვედური, ვინაიდან მან, მუტასარიფის¹ მოადგილისადმი მიმართულ საკუთარ საპირისპირო საჩივარში, ჩიოდა ქალაქში მომხდარი ღამის სროლების გამო.
- 2) ტრაპიზონის ვალიმ, რომელიც ამჟამად ორდუში იმყოფება, უბრძანა ქართულ პატრულს, რომელიც დეზერტირებს დაეძებდა, ორდუ სამი საათის განმავლობაში დაეტოვებინა.

იგივეს ვატყობინებ კონსტანტინოპოლში.

საიმპერიო და სამეფო კონსული კვიატკოვსკი

Wien, Haus-, Hof- und Staatsarchiv (HHStA), Politisches Archiv (PA), I 947 Krieg 21 k Türkei: Georgisch-grusinischer Aufstand im Kaukasus 1914-18, Fol. 133.
თარგმანი გერმანულიდან.

¹ მუტასარიფი (Mutasarrif) – ოსმალეთის იმპერიაში ნებისმიერი სანჯაყის ადმინისტრაციის მეთაური, რომელიც დანიშნული იყო უშუალოდ სულთნის მიერ.

№ 133

საქართველოს განთავისუფლების კომიტეტის
წევრთა, მიხეილ წერეთლის, გიორგი კერესელიძის
და სოლომონ ვადაკურის (ვადაჭკორიას) წერილი
ოტო ბიუნდერ ფონ ვეზენდორკს, გერმანიის იმპერიის
საგარეო საქმეთა სამინისტროს ლეგაციის მდივანს
და ახლო აღმოსავლეთის საქმეთა რეფერატს, მათი
ანაზღაურების გაზრდის აუცილებლობის შესახებ

1916 წლის 27 აგვისტო
ბერლინი

პატივცემულო ბატონო ფონ ვეზენდონკ,

გვინდა შემდეგი გაცნობით და ასევე გთხოვოთ:

დიდი გაძვირებებიდან გამომდინარე, ცხოვრება ჩვენთვის თითქმის შეუძლებელი გახდა. ჩვენ არ გვინდოდა ამის გამო ფული გვეთხოვა და აქამდე თავს ვიტანდით, მაგრამ ახლა ასე ვეღარ გაგრძელებთ. ჩვენ გვაკლია ყველაზე საჭიროც კი, და ამ პირობებში სამუშაოს გაგრძელება ძალიან რთულია.

ამიტომაც თავაზიანად გთხოვთ, გაძვირების დანამატი 100 მარკის ოდენობით წერეთლისთვის და კერესელიძისთვის და 50 მარკა ვადაკურისთვის რომ დაგვიმტკიცოთ.

როგორც იცით, აქ ჩვენი სამშობლოდან დახმარების მიღება განსაკუთრებით რთულია, თორემ ამ თხოვნით თქვენ არ შეგანუხებდით.

თქვენი დადებითი პასუხის მიღების იმედით,

ვანერთ ხელს თქვენი ერთგული,

მ. წერეთელი

ს. ვადაკური

გ. კერესელიძე

*Politisches Archiv des Auswärtigen Amts (PA AA), Akten Betreffend den Krieg 1914,
Unternehmungen und Aufwiegungen gegen unsere Feinde im Kaukasus. R 21020.
თარგმანი გერმანულიდან.*

№ 134

საქართველოს განთავისუფლების კომიტეტის
წევრთა, გიორგი კარესელიძის და მიხეილ
წერეთლის მოხსენება ოთო გიუნდერ ფონ
ვეზენდონკს, გერმანიის იმპერიის საგარეო
საქმეთა სამინისტროს ლეგაციის მდივანს და ახლო
აღმოსავლეთის საქმეთა რეფერატს, კარასუნდში
დისლოცირებული ქართული ლეგიონის წიაღში ზოგ
გერმანელ და ქართველ სამხედრო მოსამსახურეთა
შორის წარმოქმნილი უთანხმოებისა და
კონფლიქტის დარეგულირების სასწრაფო
აუცილებლობის შესახებ

1916 წლის 22 სექტემბერი
ბერლინი

იმ დროიდან მოყოლებული, რაც ქართული კომიტეტი გერმანელთა და თურქთა დახმარებით თურქეთში საკუთარ მუშაობას შეუდგა, რათა რუსთა წინააღმდეგ ქართველთა გამოსვლის ორგანიზაცია მოეხდინა და ქართული ლეგიონები ჩამოეყალიბებინა, ამ თვალსაზრისით (როგორც ეს თქვენთვისაც არის ცნობილი), შედარებით ბევრი რამ იქნა მიღწეული, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ ფრიად დიდი სიძნელეები გვქონდა. ეს სიძნელეები განსხვავებული ხასიათისა იყვნენ, მაგრამ ჩვენ გვსურს ძირითადად მხოლოდ ისინი დავასახელოთ, რომლებსაც ჩვენ თავად საქმეში მონაწილე პირები გვიქმნიდნენ.

ხსენებულ სირთულეებს – ჩვენ იძულებულნი ვართ ეს ამჟამად პირველად ვახსენოთ – ჩვენ გვიქმნიდა სამივე მხარე: ქართველები, თურქები და სამწუხაროდ, ზოგი გერმანელიც, რომელიც თავდაპირველად ტრაპიზონში და რუსულ-თურქულ ფრონტზე, და ბოლოს სამსუნში და კერასუნტში ჩვენთან მუშაობდნენ და დღესაც მუშაობენ.

პირველი: როგორც თქვენთვის ცნობილი არის, ჩვენი მუშაობის დასაწყისში ქართულმა კომიტეტმა თურქული მხარისგან ბევრი დაბრკოლება ნახა. დახმარების მაგივრად, ჩვენთან მომუშავე „ერთობის და პროგრესის“ კომიტეტის წარმომადგენლები ცდილობდნენ ყველა საშუალებებით ჩვენი სამუშაოს დაბრკოლებას. ისინი ყოველთვის ჩვენს წინააღმდეგ ინტრიგებს ეწეოდნენ და ჩვენი მტკიცე რწმენით, თუმცა ჩვენ საამისოდ არავითარი ზუსტი მტკიცება არ მოგვეპოვება,

ერთხელ ვინეში (ლაზისტანში) ჩვენს მოკვლასაც ცდილობდნენ¹. რომ არა კონსტანტინოპოლში არსებული სხვა, ჩვენდამი მეგობრულად განწყობილი თურქული მხარე, რომელმაც ჩვენ დახმარება გაგვინია, მთელს ჩვენს წამოწყებაზე ჩვენ დიდი ხანია უარი უნდა გვეთქვა. მაგრამ ამ თურქულმა მხარემ, ასევე გერმანულმა საელჩომ კონსტანტინოპოლში და ჩვენმა იქაურმა ენერგიულმა წარმომადგენელმა, თავადმა გიორგი მაჩაბელმა, შეძლეს ყველა დაბრკოლების გადალახვა და ჯერჯერობით მაინც ჩვენ შეგვიძლია ჩვენი სამუშაო იქ, თურქული მხარისგან დაუბრკოლებლად გავაგრძელოთ.

მეორე: ჩვენს ქართველებს შორის, და ჩვენი კომიტეტის შიგნითაც კი, არსებობდნენ ელემენტები, რომლებიც არც თუ მცირე წილად აფერხებდნენ ჩვენს სამუშაოს. ხსენებული ელემენტები აგრეთვე ინტრიგებს ენეოდნენ, მათი მთელი ყოფაქცევა უკიდურესად არასიმპატიური და დაუფიქრებელი იყო. ესეც ასევე, პირდაპირ იქნა გამოყენებული ჩვენ თურქ მოწინააღმდეგეთა მიერ, რომლებიც ჩვენ მუდამ გვსაყვედურობდნენ, რომ ჩვენს კომიტეტში ელემენტები გვყავდა, რომელთაც ყოველგვარი სამუშაო შეუძლებელი იყო, და რომ ჩვენ აქედან მომდინარე გაურკვევლობებში თავად ვიყავით დამნაშავე. ამასთან ერთად, ჩვენი თურქი მოწინააღმდეგეები მხარს უჭერდნენ იმავე დესტრუქციულ ქართველ ელემენტებს, და იყენებდნენ მათ საკუთარ ინტრიგებში ჩვენს წინააღმდეგ.

გერმანელები სამართლიანად იყვნენ უკმაყოფილნი ამ ელემენტებით და მათ წინააღმდეგ ბერლინში გენერალურ შტაბში და საგარეო საქმეთა სამინისტროში მრავალრიცხოვანი საჩივრები გაგზავნეს. თუმცა, ჩვენი კომიტეტი არასდროს არ ფიქრობდა ჩვენს წიაღში არსებული ეს ცუდი ელემენტები დაცვის ქვეშ აეყვანა და მათი საქციელი გაემართლებინა. პირიქით, ყოველი ცალკე აღებული საქმის შესაფერისი გამოძიების შემდეგ, ჩვენ თავადვე მივიღეთ მკაცრი ზომები საკუთარი ხალხის წინააღმდეგ და როგორც კი ვხედავდით, რომ რომელიმე მათგანთან აბსოლუტურად შეუძლებელი იყო მუშაობა, მათ სრულებით ვაშორებდით ჩვენს წრეს. როგორც, მაგალითად, არქიმანდრიტი ნიკოლოზი კონსტანტინოპოლში უბრალოდ მოშორებულ იქნა თავად მაჩაბლის მიერ. ფრონტზე მყოფ ჩვენი კომიტეტის ორ წევრს, მათი დაუფიქრებელი და უღირსი საქციელის გამო, ჩვენ უმკაცრესი საყვედურები მივეცით. ჩვენ ასევე მოვექეციით ზოგიერთ აქედან იქ გაგზავნილ ქართველ ოფიცერს, რომლებიც იქ უტაქტოდ იქცეოდნენ. ჩვენ ახლაც ვართ მზად არ დავინდოთ ჩვენი ხალხი, თუკი გაირკვევა, რომ ისინი შეგნებულად თუ შეუგნებლად ზიანს აყენებენ ჩვენს საერთო საქმეს.

მესამე: ახლა კი ჩვენ იძულებულნი ვართ, შევეხოთ ჩვენთვის ძალიან არასასიამოვნო და მძიმე პუნქტს. ჩვენ გვსურს გულწრფელად განვაცხადოთ, რომ ჩვენი სიმპატია გერმანიის და გერმანელი ხალხის მიმართ უღრმესი მადლიერების გრძნობიდან მომდინარეობს, და ამ მიზეზით ჩვენთვის უფრო მტკივნეულია ამ მხარეს მყოფი ვინმეს შესახებ არაკეთილგანწყობით საუბარი. ეს აგრეთვე იყო მიზეზი იმისა, რომ რუსულ-თურქულ ფრონტზე ჩვენი საერთო მუშაობის ორი

¹ იგულისხმება 1914 წლის ბოლოს, ოსმალეთის იმპერიის პირველ მსოფლიო ომში უშუალოდ ჩაბმამდე, სახლში ვინეში, სადაც დაბინავებულნი იყვნენ საქართველოს განთავისუფლების კომიტეტის წევრები გიორგი კერესელიძე და ნესტორ მაღალაშვილი, დაუდგენელი მიზეზით ხანძრის გაჩენა, რამაც კომიტეტის ხსენებულ წევრთა სიცოცხლე კინალამ შეინირა. გიორგი კერესელიძის აზრით, ეს ხანძარი, შესაძლებელია, საგანგებოდ იყო მოწყობილი მათდამი არაკეთილად განწყობილ თურქთა მიერ. იხ.: გიორგი კერესელიძე. საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი (1914-1918 წწ.). ქართული ემიგრაცია. თბილისი, 2013, №1, გვ. 161.

ნლის განმავლობაში, ჩვენ არაფერი გვითქვამს იმ გერმანელთა შესახებ, რომლებიც უსამართლოდ შეურაცხყოფას გვაყენებდნენ და ზოგადად უღირსოდ იქცეოდნენ. ჩვენ ყველაფერს ვიტანდით მანამდე, სანამ შეგვეძლო იმის რწმენა გვქონოდა, რომ ასეთი დამოკიდებულებით შეძლებისდაგვარად უკეთესად ვემსახურებოდით საქმეს და გვერჩინა დუმილი გაგვეგრძელებინა ყოველივე ამის შესახებ, რომ არ მოგვჩვენებოდა, რომ საბოლოოდ, ამის შედეგად თავად საქმე დგებოდა განსაკუთრებული საფრთხის ქვეშ.

ჩვენ წინ გვიდევს სამსუნში ჩვენი თავმჯდომარის მოხსენება, რომელიც დაბეჯითებით გვაპატივებს, ჩვენი საერთო საქმის ინტერესებში სასწრაფოდ შეგატყობინოთ, რომ ახალგაზრდა ქართველი ოფიცრები, რომლებიც ადგილობრივი ტყვეობიდან იქ გაემგზავრნენ რათა ლეგიონებში ემსახურათ, ზოგ გერმანელთა მხრიდან იგივე შეურაცხყოფებს და უხემ მოპყრობას განიცდიან, როგორც უფრო ადრე ამას ადგილი ჰქონდა ჩვენს მიმართ.

ვჩქარობთ აქვე გავუსვათ ხაზი იმას, რომ აქ არ იგულისხმება გრაფი შულენბურგი. პირიქით, როგორც აქ, ისე იქ, ის ჩვენი მხრიდან დიდი სიყვარულით და პატივისცემით სარგებლობს.

ჩვენი ოფიცრებიც, ასევე ძალიან დიდი დროის განმავლობაში, ძირითადად ჩვენი თხოვნით, ყველაფერზე სდუმდნენ. თუმცა, სხვა მხარის წარმომადგენელთა მიერ ეს მოთმინება სრულიად არასწორად იქნა გაგებული და ის ჩვენი ოფიცრების პირად სისუსტეს, ან თავმოყვარეობის უკმარისობას მიაწერეს, რის შედეგადაც, ისინი უფრო შორსაც კი წავიდნენ საკუთარ ხსენებულ საექვო ქმედებებში.

ჩვენი ოფიცრები განმსჭვალულნი არიან რკინისებული დისციპლინის, ინტენსიური მუშაობის და ა.შ. აუცილებლობით, მაგრამ მათ მეტი არ შეუძლიათ ამ უხეში მოპყრობის და შეურაცხყოფების ატანა, უბრალოდ იმიტომ, რომ ისინი არიან ოფიცრები და ოფიცერთა შესაბამისი თავმოყვარეობის გრძობა გააჩნიათ. ისინი, გარდა ამისა, არ წარმოადგენენ არავითარ საექვო ელემენტებს და ავანტიურისტებს, არამედ კარგი და ნაწილობრივ საუკეთესო ქართული გვარებიდან მოდიან. ამრიგად, მოპყრობა, რომელსაც ისინი იქ უმიზეზოდ და უსაზღვროდ განიცდიან, ყველა შემთხვევაში დაუშვებელია.

თუკი ამ მიმართულებით ცვლილება არ მოხდა, ყოველ დღეს შეიძლება წარმოიქმნას საშინელი კონფლიქტი, რომელიც ჩვენთვისაც იქნება დამლუპველი, და არც გერმანიისთვის, რომელიც ჩვენ ამდენი ხნის განმავლობაში გვინევდა დახმარებას, არ იქნება სასიამოვნო.

ჩვენ წინ გვიდევს მოხსენება, რომლის თანახმად მდგომარეობამ უკიდურეს ზღვარს მიაღწია და მოითხოვს სასწრაფო ჩარევას. ჩვენი თავმჯდომარე სიტყვასიტყვით შემდეგს იწერება: „წინასწარ უნდა იცოდეთ და მთელი საქმე დაუყოვნებლივ წარუდგინეთ იქ არსებულ შესაბამის უწყებებს, რომ შემდგომ უთანხმოებათა წარმოქმნის, ან უბრალოდ უარესის დადგომის შემთხვევაში, ამის ბრალი ჩვენთან მომუშავე შესაბამის გერმანელებს დაედებათ. ისინი ჩვენს წინააღმდეგ განუწყვეტელ ინტრიგებს ეწევიან. ნამდვილად, ცხოველის მოთმინება უნდა გქონდეს, რომ ეს ყველაფერი აიტანო და კვლავაც იძულებული იყო მსგავსი შეურაცხყოფები განიცადო. თუკი მანდ ვინმეს ჩვენი მოსმენა სურს, უთხარით, რომ ჩვენ გულწრფელად მზად ვართ ყოველგვარი მსხვერპლის გაღებით მათთან ერთად ვიმუშაოთ, მაგრამ ჩვენ არა ვართ ბუშმენები, და თუკი ჩვენ დღეს დახმარებას ვსაჭიროებთ, ეს არ ნიშნავს იმას, რომ ჩვენ სხვებზე ნაკლები თავმოყვარეო-

ბის გრძნობა გვაქვს. განსაკუთრებით საზიზღრად ეპყრობიან ჩვენს ოფიცრებს. X ისევ ფაშად გადაიქცა და განაგრძობს საკუთარ ძველ ინტრიგებს. დანარჩენები მას შეუერთდნენ. აქ ბევრი სამწუხარო ამბავი მოხდა, მაგრამ ამის შესახებ მე ჯერჯერობით არაფერს ვამბობ...“.

ასეთ მდგომარეობაშია საქმე იქ და როგორც თქვენ ხედავთ, კონფლიქტი გარდაუვალი ჩანს, თუკი სასწრაფოდ არ გაკეთდება აუცილებელი.

ამიტომაც, ჩვენ უკიდურესი დაბეჯითებით გთხოვთ, მოიმოქმედოთ ყველაფერი რაც თქვენს ძალებშია, რათა მძიმე ზარალს გვერდი ავუაროთ. იქნებ, უკეთესი იყოს (და ყოველ შემთხვევაში, ჩვენ ამას დიდი სიხარულით დავეთანხმებით), თუკი თქვენ გრაფ შულენბურგს დააბარებდით, რათა მას საქმე შეესწავლა და დამნაშავეები მყისვე მათი სამუშაო სფეროდან მოეშორებინა.

გარწმუნებთ, რომ ყველა ჩვენთაგანი, და განსაკუთრებით ყოველი ზემოხსენებულ ახალგაზრდა ოფიცერთაგან, რომლებმაც საკუთარ ქართულ სამშობლოს შესწირეს მათი ვალდებულებანი და მთელი მომავალი, ჩვენთვის ყველასთვის საერთო უმაღლესი იდეალით არიან გამსჭვალულნი, და რომ ჩვენ უდიდეს ალტაცებას, სიმპატიას და მადლიერების გრძნობას განვიცდით გერმანიისა და გერმანული მთავრობის მიმართ. სწორედ ამ საფუძვლიდან გამომდინარე, ჩვენ უდიდესი დაბეჯითებით გთხოვთ, არ დაგვინგრიოთ ეს ჩვენი იდეალი ორი თუ სამი ინტრიგანის გამო, და რისკის ქვეშ არ დააყენოთ კეთილი ურთიერთობები, რომლებიც ესოდენ ძვირფასია ჩვენი უბედური ხალხისათვის, იმ შემთხვევაშიც კი, თუ ჩვენ დღევანდელ წამონყებას წილად არავითარი წარმატება არ უნდა ხვდეს.

ამკარად მცდარი იქნებოდა ვინმეს ეფიქრა, რომ ასეთი წამონყებისთვის სწორედ ავანტიურისტები და ინტრიგანები არიან საუკეთესოდ მოწოდებულნი. ასეთები ვერასდროს შეძლებენ რაიმე პოზიტიურის მიღწევას და ვერც ამ შემთხვევაში მიაღწევენ რამეს. მათ ჩვენი საქმის არაფერი გაეგებათ და არავითარ პატივს არ სცემენ ჩვენს მიზნებს. როდესაც ჩვენ, აქციის დასაწყისში ფრონტზე ვიმყოფებოდით, ჩვენ იქ ბევრი კარგი გერმანელი და კარგი ოფიცერი გავიცანით და შევიძინეთ მათი მეგობრობა. ესენი იყვნენ გულწრფელი, მამაცი, განათლებული, ჭკვიანი იდეალისტები, რომლებსაც ზემოხსენებულ ხალხთან საერთო არაფერი ჰქონდათ. ჩვენ, თუკი ეს შესაძლებელია, ასეთ პიროვნებებთან გვსურს გავნაგრძოთ მუშაობა, ვინაიდან ჩვენ არა ვართ ავანტიურისტები და ჩვენს ცხოვრებაში არასდროს არ ვენეოდით ინტრიგებს. ამავე დროს, ჩვენ არავითარ შემთხვევაში არ ძალგვიძს ვიმუშაოთ ამ ყოფილ საქმოსნებთან და აგენტებთან, რომლებიც არა მხოლოდ ჩვენს საქმეს ვნებენ, არამედ აგრეთვე ახდენენ გერმანელთა კეთილი სახელის დისკრედიტირებას.

ჩვენ კიდევ ერთხელ გთხოვთ: 1) გრაფ შულენბურგს, თუკი ეს შესაძლებელია, გამოსადეგი დამხმარე ძალა გამოუგზავნოთ, 2) მისწეროთ მას, რომ მან საკუთარ დღევანდელ დამხმარეებს აუკრძალოს ინტრიგები, რომლებსაც ისინი ღმერთმა უწყის რა მიზნით ეწევიან, და იზრუნოს ჩვენი ხალხის სამართლიან და ღირსეულ მოპყრობაზე.

მთელი ომის განმავლობაში ქართველი ხალხი საკუთარ ხსნას გერმანიისგან ელის. ჩვენი ხალხი, ჩვენ აქ საკუთარ წარმომადგენლებად განგვიხილავს. ეს სრულიად ზუსტად იცის რუსულმა მთავრობამაც და ჩვენ უკვე ვფიგურირებთ პეტერბურგის პრესაში, როგორც სახელმწიფო მოღალატეები. ქართული პრესა სასწრაფოდ ცდილობს, ერთის მხრივ რუსული მთავრობა „ქართველთა

ერთგულებაში დაარწმუნოს“, და მეორეს მხრივ, გაგვამართლოს ქართული საზოგადოებრიობის წინაშე. გერმანულ პროპაგანდას ჩვენს ადგილობრივ პრესაშიც ეწევიან და თანაც ისე მოხერხებულად, რომ რუსულ ცენზურას არ შეეძლო ამ საქმეში ჩარეულიყო. ეს მძიმე ამოცანა საკუთარ თავზე აიღო ერთმა ქართველმა მწერალმა, ტფილისის რუსული არმიის გენერალური შტაბის ერთ-ერთმა საუკეთესო ოფიცერმა, რომელმაც საკუთარი პოსტი ჯერ კიდევ ადრე დაკარგა თავისი ქართულ-პატრიოტული განწყობის გამო. ქართველები იმედით და მოუთმენლად ელოდებოდნენ თურქთა და ქართულ ლეგიონთა შემოსვლას მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი გერმანულ დახმარებას ხედავდნენ მათ უკან. უშუალოდ თურქთა მიმართ, მათ აბსოლუტურად არავითარი ნდობა არა აქვთ. ყოველგვარ დაბრკოლებათა მიუხედავად, ჩვენ შევძელით თურქულ ტერიტორიაზე გერმანელთა და თურქთა დახმარებით რაღაცის შექმნა, ჩამოვაყალიბეთ მცირე ჯარი, რომლის სათავეშიც ქართველი ოფიცრები დავაყენეთ და რომელიც მათ სრული ნდობით გადავეცით. და თუკი ზოგი უტაქტო პიროვნება, ჩვენ უკვე ამჟამად გვექცევა ისე, როგორც ზემოთ იქნა აღწერილი, რა უნდა იფიქროს ამ შემთხვევაში ჩვენმა ხალხმა? ხომ არ მივლენ ისინი უნებლიეთ იმ აზრამდე, რომ ამგვარი და მათი მსგავსი ადამიანები ასევე ცუდად და უარესადაც კი მოექცევიან მთელს ერს, თუ საქართველოში შემოვლენ?

თუკი დღეს ამ ხალხის გამო ჩვენი საქმე კრახით დამთავრდება, ამას ყველაფერს გამოიყენებენ ჩვენი საერთო მტრებიც, გერმანელთა ყველგან კომპრომეტაციის მიზნით. მათი ჩვეული წესის თანახმად, ისინი ყველა საშუალებას გამოიყენებენ, რათა ჩვენ ორივეს ზიანი მოგვაყენონ და სამუდამოდ შეუძლებლად გახადონ შემდგომი მუშაობა საქართველოში.

ჩვენ ვართ სრულიად და ყოველთვის მზად, გავაკეთოთ ყველაფერი, რაც ჩვენ ძალებში შედის, რათა მსგავსი წარუმატებლობა თავიდან ავიცილოთ და მოგმართავთ თხოვნით, იმ შემთხვევაში, თუკი საქმის გამოძიების შედეგები დაემთხვევიან ჩვენი კომიტეტის შეტყობინებას, მიიღოთ უმკაცრესი ზომები, რათა ყველა ზარალის მომტანი ელემენტი ჩამოაშოროთ ამ აქციას.

გარდა ამისა, კომიტეტი გვატყობინებს: მან მიიღო ორი დეპეშა ლ. კერესელიძისაგან. პირველში ის გვამცნობს, რომ 1000 ქურთთან ერთად იბრძვის სპარსეთში რუსების წინააღმდეგ. მეორეში კი იმას, რომ ქართულ მილიციაში თავად მაჩაბლის (ჩვენი მეგობრის ბიძაშვილის) მეთაურობით, რუსებმა შენერგეს სომეხი და რუსი ჯაშუშები. ბრძოლის დროს ლ. კერესელიძემ აგრეთვე რამდენიმე ქართველი დაატყვევა, რომლებმაც მზაობა განაცხადეს ჩვენს ლეგიონებში შესულიყვნენ, მაგრამ მათთან დაკავშირება, სადღეისოდ, საკმაოდ ძნელია.

უდიდესი პატივისცემით, უერთგულესად თქვენი,

გ. ფ[ონ] კერესელიძე

მ. ფ[ონ] წერეთელი

ბერლინში ქართული კომიტეტის წევრები

Politisches Archiv des Auswärtigen Amtes (PA AA), Akten Betreffend den Krieg 1914, Unternehmungen und Aufwiegungen gegen unsere Feinde im Kaukasus. R 21021.

თარგმანი გერმანულიდან.

№ 135

**საქართველოს განთავისუფლების კომიტეტის
წევრთა, მიხეილ წერეთლის და გიორგი კერესელიძის
მოხსენება გერმანული არმიის სახელმწიფო
ქალაქის ბენარალური შტაბის კოლიტიკის სექციას,
ხსენებული კომიტეტის კერასუნდში დისლოცირებული
ქართული ლეგიონის გერმანული კერსონალის
ზოგ წარმომადგენელთან უთანხმოებისა და
დაპირისპირების შესახებ**

1916 წლის 25 სექტემბერი
ბერლინი

ჩვენი ბოლო მოხსენების დამატებით და ბატონ ლეგაციის მდივანთან ფონ ვე-ზენდონკთან გამართული საუბრის საფუძველზე, თავს უფლებას ვაძლევთ შემდეგი შეგატყობინოთ.

ვინაიდან ჩვენი კომიტეტი თავის უკანასკნელ ანგარიშში მოხსენიებულ ბატონებს განხეთქილების შემოტანას აბრალებს, და პირიქით, ხსენებული ბატონები ამაში ბრალს ჩვენს ხალხს სდებენ, გვსურს შემოგთავაზოთ ორივე მხარე აქ დავ-პატიჟოთ და საქმე გამოვიძიოთ, როგორც ეს ასევე ბატონმა ვეზენდონკმა ჩათვალა სამართლიანად.

საქმე ეხება ერთის მხრივ ბატონებს მოზელს და შლიფაკს¹, და მეორეს მხრივ ბატონებს პეტრე სურგულაძეს, ოსმან ბეის, ლეო კერესელიძეს და რომელიმე იქაურ ქართველ ოფიცერთაგანს, როგორც საკუთარი მეგობრების წარმომადგენელს. ბატონი გრაფი შულენბურგი ნებისმიერ შემთხვევაში ჩამოდის აქ შვებულებაში. ამრიგად, ზემოხსენებულთა თანდასწრებით ჩვენ ყოველგვარი საშუალება გვექნება საქმის ზუსტი გამოძიება ჩავატაროთ. მისი შედეგის თანახმად აუცილებელი იქნება, რეალურად ზიანის მომტანი ელემენტები იქაურ მუშაობას მოვაცილოთ და მთელი წამოწყება ახალ საფუძველზე დავამყაროთ.

ამასობაში, იქ დარჩენილ ქართველ ოფიცრებს მითითება მიეცემათ, ქართული კომიტეტის და ქართველთა სახელით საერთოდ არავითარი სამხედრო ოპერაციები არ აწარმოონ. თუკი ამ დროის განმავლობაში ლეგიონთა გამოყენება აუცილებელი გახდა, მათ უნდა იმოქმედონ როგორც თურქმა მოხალისეებმა (ქართული განმასხვავებელი ნიშნების, დროშების, ეპოლეტების და ა.შ. გარეშე).

ამ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით მოგმართავთ თხოვნით: – თქვენი თანხმობის შემთხვევაში, შეატყობინოთ ამის შესახებ ჩვენს იქაურ კომიტეტს და იქ მომუშავე გერმანელებს.

¹ იგულისხმება შლიფაკი ჰორსტ (Schliephack Horst).

ახლა კი, თავს უფლებას ვაძლევთ აგრეთვე შემდეგის შესახებ შეგატყობინოთ: ბატონმა ვეზენდონკმა ჩვენ ერთ-ერთი იქედან მოსული მოხსენების შინაარსი გაგვაცნო, რომლის თანახმად ქართველი ოფიცერი კიკნაძე¹ გერმანულ ტყვეთა ბანაკში უნდა იქნეს დაბრუნებული. მოხსენების წარმდგენი გარდა ამისა იწერება, რომ მთელი წამოწყების შემდგომი გაგრძელება მხოლოდ ქართული კომიტეტის გარეშე არის შესაძლებელი.

ამასთან დაკავშირებით გვსურს აღვნიშნოთ:

- 1) რომ ზომა მიღებული კიკნაძის წინააღმდეგ, რომელიც არავითარ შემთხვევაში არ ჰგავს დისციპლინარულ სასჯელს, ჩვენ ძალიან საეჭვოდ გვეჩვენება, რადგან მისი დაბრუნება გერმანიაში ტყვეთა ბანაკში, მის შემდგომ რუსეთში გაცემას გულისხმობს, რაც იმას ნიშნავს, თითქოსდაც მას სასიკვდილო განაჩენი გამოუტანეს. ჩვენთვის უცნობია, რამდენად საერთოდ დაიმსახურა კიკნაძემ სასჯელი. გამოუტანა მას სასჯელი სამხედრო სასამართლომ, თუ ამის შესახებ შეეკითხნენ ბერლინში რომელიმე კომპეტენტურ უწყებას?
- 2) და თუ კიკნაძემ საკუთარი სასჯელი ნამდვილად დაიმსახურა და მას განაჩენი კანონიერად გამოუტანეს, რატომ არ დახვრიტეს ის იქვე, არამედ არჩიეს გზა, რომელმაც ის რუსეთში გაცემისკენ უნდა მიიყვანოს, სადაც მას სახრჩობელა ელოდება.
- 3) რაც კომიტეტს შეეხება, მისი გაუქმება არავის შეუძლია, მისი შემქმნელი პარტიისა და თავად კომიტეტის გარდა. ყოველ შემთხვევაში, მისი გაუქმების საკითხს ვერ მივანდობთ ბატონებს მოზელს და შლიფაკს.
- 4) თუკი მიღებულ იქნება აზრი ზემოხსენებულ ბატონთა სურვილის დაკმაყოფილების თაობაზე და ქართულ კომიტეტთან თანამშრომლობა გაუქმდება, გაუთვალისწინებლად ჩვენი წინადადებისა ბერლინში გამოძიების ჩატარების შესახებ, ასეთ შემთხვევაში მოგმართავთ თხოვნით, ლეგიონები ან დაიშალონ, ან ისინი ზემოხსენებული გზით, როგორც თურქული საჯარისო ნაწილები იქნენ გამოყენებულნი. იმ ქართველ ოფიცრებს, რომლებიც იქ შემდგომაც სამსახურს მოისურვებენ, ბუნებრივია, შეუძლიათ ეს გააკეთონ, მაგრამ საკუთარი რისკის ფასად, როგორც თურქმა მოხალისეებმა. ამ შემთხვევაში, როგორც ჯარისკაცები ისინი აგრეთვე ვალდებულნი არიან მოიხსნან ქართული განმასხვავებელი ნიშნები.

გთხოვთ გაგვიგოთ, რომ ჩვენ, ქართველი ერისადმი ჩვენი პასუხისმგებლობის გამო, არ შეგვიძლია ვიმოქმედოთ სხვანაირად.

დიდი პატივისცემით, უმორჩილესად თქვენი,

მ. ფ[ონ] წერეთელი

გ. ფ[ონ] კერესელიძის მაგივრად მ. ფ[ონ] წერეთელი

Politisches Archiv des Auswärtigen Amtes (PA AA), Akten Betreffend den Krieg 1914, Unternehmungen und Aufwiegelingen gegen unsere Feinde im Kaukasus. R 21021.

თარგმანი გერმანულიდან.

¹ იგულისხმება კაპიტანი კიკნაძე ელიზბარ (ბელელაშვილი ლეონ).

№ 136

**საქართველოს განთავისუფლების კომიტეტის წევრის,
მიხეილ წერეთლის წერილი გერმანიის საბარეო
საქმეთა სამინისტროს, ქართველი ოფიცრის და
ყოფილი საზღვარდრო ტყვის ელიზბარ კიკნაძის (ლეონ
ბელელაშვილის) მოხსენების შესახებ, თურქეთში
ქართულ ლეგიონში არსებული პრობლემების და
დაპირისპირებების თაობაზე**

1916 წლის 4 ოქტომბერი
ბერლინი

ახლახანს ვესტუმრე ბატონ კაპიტან კიკნაძეს ვიუნსდორფის ტყვეთა ბანაკში და დიდ ხანს და დანვრილებით ვესაუბრე მის შემთხვევაზე და ჩვენს ფრონტზე არსებულ ზოგად მდგომარეობაზე. მან შემდეგი მითხრა:

ლეგიონის მარშზე ყოფნისას, ოფიცერი ინგურიძე, მეტყვიამფრქვევეთა ათეულის მეთაური, მას (კიკნაძეს) მსვლელობის განმავლობაში გამუდმებით აწუხებდა თხოვნით ცხენების და ჯარისკაცების შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ მათი შესრულება ხშირად შეუძლებელი იყო, კიკნაძე მის სურვილებს ყოველთვის დადებითად ხვდებოდა, ამ ბოლო შემთხვევის გარდა. როდესაც ლეგიონები რომელიმე ქალაქში ჩავიდნენ და ოფიცრები სასტუმროში დაბინავდნენ, ინგურიძე მის ოთახში შეიჭრა და ყვირილი მორთო, ისე რომ ჯარისკაცები და სასტუმროს დანარჩენი სტუმრები სირბილით მოვარდნენ. კიკნაძემ სთხოვა მას, რომ ეს საჯარო სცენა მიეტოვებინა და საკითხი მოგვიანებით მშვიდათ განეხილათ, მაგრამ მხოლოდ დიდი დაბრკოლების შედეგად მოახერხა მისი მოცილება. თუმცა, ცოტა ხნის შემდეგ, მის ოთახში მეორე პირი შეიჭრა, ვინმე ს. ლაბაძე, რომელიც ადრე აქ ბანდიტად და მკვლელად იყო ცნობილი, ამასობაში კი, როგორი საკვირველიც არ უნდა იყოს, „ლეიტენანტი“ გამხდარა. (კიკნაძეს სურს რომ იცოდეს, ამ ყაჩაღს ვინ მიანიჭა სამხედრო ჩინი და რა დამსახურებისთვის შეიძლებოდა ეს მომხდარიყო!). მანაც მიაცენა ყველა შესაძლო შეურაცხყოფა, რაზეც კიკნაძემ განაცხადა, რომ მას სურდა მყისვე სამსუნში დაბრუნება და ოფიცრისადმი ჯარის და საზოგადოების წინაშე ასეთი გაუგონარი დამოკიდებულების შესახებ ჩივილი. კიკნაძემ თქვა, რომ ამ შეურაცხყოფებისგან მას, როგორც ოფიცერს ეკადრებოდა, იარაღით უნდა დაეცვა თავი, მაგრამ არ წავიდა ამაზე, რომ ქართული საქმისთვის ზიანი არ მიეყენებია.

როდესაც კიკნაძის სურვილი წასვლის შესახებ გაცხადდა, მოვიდა მურად ბეი¹ (ესეც თავისი ცხოვრების მანძილზე არასოდეს ყოფილა ოფიცერი და არ ვიცით,

¹ მაღალაშვილი (მაღალოვი) ნესტორი (მურად ბეი) (1882-1937).

ვინ დანიშნა ის „ლეგიონის შტაბის უფროსად“) და აუხსნა კიკნაძეს, რომ მას წასვლის უფლება არ ჰქონდა და თუ მაინც იზამდა ამას, მაშინ ის მის წინააღმდეგ უმკაცრეს ზომებს მიიღებდა. კიკნაძემ უპასუხა, რომ არც მურად ბეი და არც ყაჩაღი ლაბაძე მისი უფროსები არ იყვნენ და ის სამსუნში წავიდოდა, რომ ამ აუტანლობების შესახებ საჩივარი წარედგინა. ის ნამდვილად გაემგზავრა, მაგრამ მურად ბეიმ მის კვალად გაგზავნა ბანდიტი ლაბაძე შეიარაღებულ ჯარისკაცებთან ერთად და ესენი მას მოკვლით დაემუქრნენ, თუ უკან არ დაბრუნდებოდა. კიკნაძემ უარი თქვა, მაგრამ ლაბაძემ მოახერხა მოტყუებით მისი განიარაღება და შებოჭვა, რის შემდეგაც ჯარისკაცების თანდასწრებით კვლავ შეურაცხყოფას აყენებდა და ასე მიიყვანა ჯარში უკან. მთელი ქალაქი და ყველა ჯარისკაცი იყო ამის თვითმხილველი.

კიკნაძემ განაცხადა, მას უნდა ჩემს გერმანელ მეგობრებს ვკითხო, რომელი ოფიცერი, რომელსაც თავმოყვარეობა აქვს, დარჩებოდა ასეთ „არმიაში“, სადაც ოფიცრებს ყაჩაღები და ავანტიურისტები ასეთი ფორმით ექცევიან.

ნებისმიერ შემთხვევაში, მას არ შეეძლო ოფიცრად იქ დარჩენა და მალე მართლაც წავიდა სამსუნში. როგორც მე ვიცი, ჯარისკაცები თავად ძალიან უკმაყოფილონი არიან ამით, რადგან კიკნაძე სინამდვილეში საუკეთესო ოფიცერი იყო. სამსუნში კომიტეტთან მოლაპარაკების შემდეგ მან, ყველაფრის მიუხედავად, გამოხატა მზადყოფნა ლეგიონში დაბრუნებულიყო. სურგულაძემ ამის შესახებ ასევე ორჯერ მისწერა გრაფ შულენბურგს და სთხოვა საპასუხო წერილი მოენერა, რომელიც ჯერ არ მოსულა. ბოლოს, დიდი ხნის ამას ლოდინის შემდეგ, ბატონ შლიფაკთან ერთად და მისი დახმარებითვე კიკნაძე კონსტანტინოპოლში ჩავიდა.

იქ მას, როგორც ქართველ ოფიცერს, რომლის წინააღმდეგ არაფერი არსებობდა, ძალიან კარგად ექცეოდნენ. მას იმედი ჰქონდა, რომ რაიმე საქმეს იპოვიდა. ის ცხოვრობდა იქ დაყენებულ ერთ გემზე გერმანელ ოფიცრებთან ერთად, რომლებიც მას გულითადად ეპყრობოდნენ, როგორც მათ „მოკავშირეს“ და მეგობარს.

უცბად იქაური გერმანიის საელჩოდან მოვიდა ბრძანება, რომ კიკნაძე ბერლინისკენ უნდა გამგზავრებულიყო. ვილაცამ გაავრცელა ჭორი, რომ კიკნაძე რუსი სამხედრო ტყვე იყო. გემის კაპიტანი და სხვა გერმანელი ოფიცრები ამით ძალიან შეშფოთებულები იყვნენ. კიკნაძეც ვერ ხვდებოდა, რა უნდა გაეკეთებინა მას ბერლინში. ის, როგორც რუსი სამხედრო ტყვე, ოღონდ ქართულ ფორმაში, ჩამოიყვანეს ბერლინში და ის მხოლოდ ბულგარელ ოფიცრებს უნდა უმადლოდეს, რომლებსაც თავისი მდგომარეობის შესახებ უამბო, რომ სათანადო ფორმით შეძლო ბერლინამდე მგზავრობა. ვიუნსდორფში ის ახლა რუს ტყვედ მიიჩნევა. მე პირადად ვესაუბრე ადგილობრივი ბანაკის კომენდანტს, რომელმაც მითხრა, რომ მან თავადაც არ იცოდა თუ რა ხდებოდა და რომ ეს განსაკუთრებული შემთხვევა იყო. ამისდა მიუხედავად, კიკნაძეს ბანაკში ძალიან კარგად ეპყრობიან, როგორც თავისუფალ ოფიცერს, რომელიც მხოლოდ გაურკვეველი მიზეზით იმყოფება ბანაკში. თუმცა მას რუსს უწოდებენ, რის წინააღმდეგაც მას პროტესტი სურს.

კიკნაძემ ჩემთან (ძალიან უხალისოდ) თავისი ხელფასის შესახებაც ისაუბრა და შემექმნა შთაბეჭდილება, რომ მას ის არ მიუღია სრული მოცულობით. ამას გარდა, ბატონ ფონ შმიდტს კონსტანტინოპოლში მისთვის რაღაც თანხა უნდა გადაეცა, რომელიც მას არ მიუღია, რადგან ფონ შმიდტს სახლში არ შეხვედრია. გამომგზავრების წინ მას მისცეს მხოლოდ სამგზავრო ფული, იმ პირობით, რომ

დანარჩენს ბერლინში მიიღებდა. ის იმედოვნებდა, რომ ბერლინში დაუბრკოლებლად იცხოვრებდა და რომელიმე მხრიდან (ის ალბათ ან გერმანიის მთავრობას, ან ჩვენს კომიტეტს გულისხმობდა) ექნებოდა დახმარება, სანამ თავისით გამოიმუშავებდა რამეს. მოულოდნელად კი ის აღმოჩნდა ტყვეთა ბანაკში და თანაც როგორც რუსი ოფიცერი, რაიმე ახსნა-განმარტების გარეშე.

ზოგადი მდგომარეობის შესახებ კიკნაძემ შემდეგი ცნობები მომანოდა:

როდესაც ქართველი ოფიცრები ტრაპიზონში ჩამოვიდნენ, ლეგიონების მეთაური კერესელიძე იყო. ყველაფერი მიდიოდა შეძლებისდაგვარად კარგად, არა იმიტომ, რომ კერესელიძე კარგი და გამოცდილი ოფიცერი იყო, არამედ იმიტომ, რომ როგორც ქართველი და ენერგიული კაცი ჯარისკაცებს შორის დიდი სიყვარულით სარგებლობდა. ასევე ოფიცრები სრულიად იყვნენ იმ აზრზე, რომ კერესელიძე ლეგიონების მეთაურად უნდა დარჩენილიყო, სანამ გამოჩნდებოდა ვინმე შესაფერისი და საქმიანი ქართველი ოფიცერი. თუმცა მოკლე ხანში კომიტეტმა ოფიცრებს განუცხადა, რომ კერესელიძე გერმანელი ოფიცრით აუცილებლად უნდა ჩანაცვლებულიყო და რომ ჩვენს ოფიცრებს ახალ მეთაურთან სრული ერთგულებით უნდა ემუშავათ. ჩვენ კომიტეტის ამ მოსაზრებას არ ვიზიარებდით და არა იმიტომ, რომ პრინციპულად გერმანელი მეთაურის რაიმე საწინააღმდეგო გვექონდა, არამედ იმიტომ, რომ დარწმუნებულები ვიყავით, რომ ჯარისკაცები ამით უკმაყოფილო დარჩებოდნენ. მაგრამ ჩვენ ამით მხოლოდ მოსაზრება გამოვთქვით და კომიტეტის გადაწყვეტილებას დავემორჩილეთ. ამის შემდეგ დაინიშნა მეთაურად შლიფაკი, რომელმაც, სხვათა შორის, მთელს ამ ამბავს კარგად უმეთაურა. კერესელიძე წავიდა სპარსეთში.

შლიფაკის შემდეგ მეთაურობა გადაიბარა გრაფმა შულენბურგმა. საქმე მისი ხელმძღვანელობის ქვეშ ბევრად უარესად წავიდა, ვიდრე შლიფაკთან. ალბათ შულენბურგმა დანიშნა მურად ბეიცი შტაბის უფროსად. ყოველ შემთხვევაში, მთელი საქმე მას შემდეგ რაც შულენბურგმა მეთაურობა გადაიბარა გერმანული ხელმძღვანელობის ქვეშ არის მოქცეული. ქართული კომიტეტი საერთოდ არანაირ როლს აღარ თამაშობს, არა აქვს ძალა და ავტორიტეტი, მას აღარაფერს ეკითხებიან და ა.შ. და ამის შედეგად, ამ დროიდან მოყოლებული, მოვლენებზე პასუხისმგებლობა ვეღარ დაეკისრება. ეს ძალიან არასახარბიელოდ მოქმედებს ჯარისკაცებზე, რადგან ისინი რწმენას კარგავენ, რომ ქართული მიზნებისთვის შევიდნენ ლეგიონებში.

ჭორები, რომ ქართველ ოფიცრებს სამხედრო საკითხების ხმის მიცემით გადაწყვეტა სურდათ, უსაფუძვლოა. ასეთი მოთხოვნის უაზრობა ჩვენ ყველას კარგად გვესმის. ჩვენ არც არასდროს მოგვითხოვია მსგავსი რამ, საუბარი იყო მხოლოდ იმაზე, რომ ჩამოყალიბებულიყო ქართველ ოფიცერთა შტაბი, რომელიც გერმანელ ოფიცრებთან ერთად სამოქმედო პროგრამას შეიმუშავებდა. ამ მიზნით მართლაც მრავალი მოლაპარაკება შედგა, რომელზეც გერმანელებს მონაწილეობა არასოდეს არ მიუღიათ.

გერმანელებსა და ქართველებს შორის უთანხმოება ორივე მხრიდან უღირსი ელემენტების არსებობით უნდა ავხსნათ. რა თქმა უნდა, გერმანელებს სრული უფლება აქვთ პროტესტი გამოხატონ ჩვენს მხარეს მყოფი ცუდი ელემენტების გამო, მაგრამ მეორეს მხრივ ჩვენც უნდა გავასაჩივროთ, რომ ზოგი გერმანელი ჩვენს საუკეთესო განზრახვებს და უმეგობრულეს დამოკიდებულებას უმწარესი შეურაცხყოფებით პასუხობს. გერმანიიდან ასევე იქ ჩამოსულ ტყვე რუს გერმა-

ნელებს ბევრად უკეთ ექცევიან, ვიდრე ჩვენ. ჩვენ ამის საწინააღმდეგოც არაფერი გვაქვს, მაგრამ დაუშვებელია, რომ ამ ჯგუფიდან თითოეულ ჯარისკაცს ან უნტერ-ოფიცერს უფრო მეტი ნდობა ჰქონდეს, ვიდრე მთელს ჩვენ ოფიცრობას ან კომიტეტს. ერთ-ერთმა ასეთმა ტყვე რუსმა გერმანელმა, მაგალითად, სრულიად დაიმსახურა ოფიცერ ლორთქიფანიძის მიერ მის მიმართ გამოყენებული ზომა, თუმცა ამისთვის ლორთქიფანიძემ მიიღო 20-დღიანი პატიმრობა და ა.შ. როგორი ავტორიტეტი უნდა ჰქონდეთ ჩვენს ოფიცრებს ასეთ პირობებში, ან რა უნდა იფიქრონ ქართველმა ჯარისკაცებმა, როდესაც ასეთი მოვლენების მოწმენი არიან? შულებზურგი შესანიშნავი ადამიანია, მაგრამ არ არის მიუკერძოებელი, და ესაა ერთ-ერთი მიზეზი, თუ რატომ არ მიდის მთელი ეს წამოწყება წინ. მხოლოდ გერმანელთა და ქართველთა ერთობლივ მუშაობას და საკუთარი ცუდი ელემენტების წინააღმდეგ საერთო ბრძოლას, შეუძლიათ საქმე წინ წაიყვანონ.

რაც შეეხება მოზელს (ამ ყველაფრის შესახებ კვლავ კიკნაძის მოხსენებას ვყვები), ის წარმოადგენს უბრალოდ მადემორალიზებულ ელემენტს მთელს წამოწყებაში. ის მუდმივად ცდილობდა ქართველებსა და სხვებს შორის, ქრისტიანთა და მაჰმადიანთა შორის ურთიერთობებისთვის ხელის შეშლას და ინტრიგებს იმდენად ხლართავდა, რომ ბოლოს იმ საბაბით, რომ ქართველების თავდასხმისგან დაცვა სჭირდებოდა, პირადი დაცვისთვის გვარდია ჩამოაყალიბა. ის ჯარისკაცებში ავრცელებს ხმებს, რომ ისინი არა ქართველი, არამედ გერმანელი ჯარისკაცები არიან, შესაბამისად, არ უნდა იბრძოლონ მომავალში¹ და ა.შ.

მოზელის და სხვების ინტრიგები, საიდანაც მრავალნაირი გაუგებრობა წარმოიქმნება, არის მიზეზი იმისა, თუ რატომ მიმდინარეობს მთელი წამოწყება ასე ცუდად.

რაც შეეხება დეზერტირობას, კიკნაძემ ამის შესახებ შემდეგი განაცხადა:

- 1) რამდენიმე მაჰმადიანი იმიტომ გაიქცა, რომ ხელფასი არ მიიღეს, მაგრამ რუსებთან არ გაქცეულან.
- 2) გერმანიიდან ჩამოსული ქრისტიანი სამხედრო ტყვეებიდან მხოლოდ სამი კაცი გაიქცა. ერთი გაიქცა რუსეთში 60 ბერძენთან ერთად, რომლებიც თურქეთის სანაპიროზე რუსებმა გემში ჩასხეს. დანარჩენი ორი ბერძენ და სომეხ ბანდიტებს შეუერთდა, მას შემდეგ რაც მათ ისინი დაათვრეს. ერთი მათგანი უკან დაბრუნდა, მეორის შესახებ კი არაფერი გვსმენია.

რაც შეეხება ლეო კერესელიძეს, კიკნაძემ ის კონსტანტინოპოლში ნახა. მან თქვა, რომ უკვე დიდი ხნის განმავლობაში სიცხე ჰქონდა, რის მიზეზიც მისი ტუბერკულოზი უნდა იყოს. ასეთია კიკნაძის მოხსენება. ის ასევე დამპირდა, მის მიერ გადატანილის და ნანახის შესახებ წერილობითი ანგარიში წარმოადგინოს.

ყველა ამ ცნობებს განვდიოთ პირდაპირ, ყველანაირი საკუთარი შეფასების გარეშე, როგორც გამოსაძიებელ მასალას შემთხვევისა, რომლის სამართლიანად დადგენა ორივე მხარის ინტერესებში თანბრად შედის. ახლა კი თავს უფლებას მივცემ, შემდეგი გთხოვოთ:

¹ როგორც ჩანს, იგულისხმება მოზელის აზრი იმის შესახებ, რომ ლეგიონი არ უნდა ყოფილიყო გამოყენებული რუსეთ-თურქეთის ფრონტზე როგორც უბრალო საველე ნაწილი, არამედ მხოლოდ პოლიტიკურ-სამხედრო მიზნებით, მას შემდეგ, რაც თურქული ჯარი საქართველოს საზღვარს გადაკვეთდა.

- 1) მე მირჩიოთ, რა ვუყოთ კიკნაძეს. რუსი სამხედრო ტყვე ის არანაირად აღარ არის და გთხოვთ თავაზიანად, ბანაკის ადმინისტრაციას აცნობოთ ამის შესახებ. მიმაჩნია, რომ გამოძიების დასრულებამდე ის უნდა აღქმულ იქნას როგორც ქართველი ოფიცერი და მიიღოს შესაბამისი ანაზღაურება. სამხედრო სასამართლოს განაჩენი მას გამოტანილი არა აქვს და საქმე რომ დისციპლინარულ სასჯელს ეხებოდეს, ის მას ადგილზევე ან კონსტანტინოპოლში მიიღებდა. ყოველ შემთხვევაში, ვითარების ფაქტობრივი მდგომარეობიდან გამომდინარე უნდა აღინიშნოს, რომ არც ადგილობრივ გერმანელ ოფიცრებს, არც ქართულ კომიტეტს და არც აგრეთვე ქართველ ოფიცრებს მისი წასვლის წინააღმდეგ არ დაუჩივლიათ და ის შლიფაკის თანხლებით და მისი დახმარებით ჩავიდა კონსტანტინოპოლში. ამას გარდა, გთხოვთ ინფორმაციას, რაც მის საცხოვრებელს შეეხება, თუ ის გათავისუფლდება და თუ შეუძლია იმედი ჰქონდეს ანაზღაურების, სანამ გამოძიება დასრულდება.
- 2) კერესელიძე დაავადებულია ძვლების ტუბერკულოზით. ეს ჩემთვის დიდი ხანია ცნობილი. აქედანაა გამომწვეული მისი მუდმივი სიცხეც. თუკი თურქმა ექიმმა კონსტანტინოპოლში ამისგან ტიფი დაადგინა, ეს არ უნდა იყოს ჩვენთვის საბოლოოდ გადამწყვეტი და ჩემი რჩევა იქნებოდა, რომ მისი გამოკვლევა გერმანელ ექიმს დაევალოს და თუ ტიფის ეჭვი არ დადასტურდება, რაც შეიძლება სწრაფად მიიღოს უფლება ბერლინში ჩამოსასვლელად. ფულის პრობლემა მის შემთხვევაში არ არსებობს, რადგან მას აქვს საჭირო თანხის შვეიცარიაში მოპოვების შესაძლებლობა.

განსაკუთრებული პატივისცემით,
 თქვენი სრულიად ერთგული,
 მ. ფ[ონ] ნერეთელი

*Politisches Archiv des Auswärtigen Amts (PA AA), Akten Betreffend den Krieg 1914,
 Unternehmungen und Aufwiegungen gegen unsere Feinde im Kaukasus. R 21021.
 თარგმანი გერმანულიდან.*

№ 137

ერნსტ ფონ კვიატკოვსკის, ძრავიზონში ავსტრია-უნგრეთის კონსულის შეთყობინება ავსტრია-უნგრეთის იმპერიის საბარეო საქმეთა მინისტრს, ბარონ შტეფან ფონ ბურიანს, ქართული ლეგიონის მეთაურის, გრაფ ფრიდრიხ-ვერნერ ფონ დერ შულენბურგის და საქართველოს განთავისუფლების კომიტეტის თავმჯდომარის, პეტრე სურგულაძის ბერლინში შესაძლო გამოძახების შესახებ

1916 წლის 27 ოქტომბერი
სამსუნი

დაპირისპირებამ ადგილობრივ ქართულ კომიტეტში, მცირე ინტერესმა ქართული საქმის ხელმძღვანელი გერმანული სამხედრო მისიის მხრიდან, ისევე როგორც ქართული ლეგიონის მიერ წინათ მიღწეულმა მცირე წარმატებებმა, საქმე კრიზისამდე მიიყვანეს, რომელმაც, შესაძლებელია, წამოწყება კითხვის ქვეშ დააყენოს და რომლის შესახებაც გადანყვეტილება ექსპედიციის მეთაურის, გრაფ შულენბურგის მომავალ შევებულებაში გამგზავრების დროს უნდა იქნეს მიღებული.

აგრეთვე ადგილობრივი ქართული კომიტეტის თავმჯდომარე პეტრე სურგულაძეც ბერლინში იქნება გამოძახებული.

რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, გერმანული საელჩო კონსტანტინოპოლში და იქაური უფლებამოსილი სამხედრო წარმომადგენელი არ არიან ქართული წამოწყების მიმართ კეთილად განწყობილნი, იმ დროს როდესაც ბერლინში (გენერალურ შტაბში) მისი გაგრძელების სურვილი აქვთ.

თურქთა უარყოფითი დამოკიდებულება არ სუსტდება.

საიმპერიო და სამეფო კონსული კვიატკოვსკი

Wien, Haus-, Hof- und Staatsarchiv (HHStA), Politisches Archiv (PA), I 947 Krieg 21 k Türkei:
Georgisch-grusinischer Aufstand im Kaukasus 1914-18, Fol. 135.
თარგმანი გერმანულიდან.

№ 138

საქართველოს განთავისუფლების კომიტეტის
წევრის, მიხეილ წერეთლის წერილი ოთო გიუნდარ
ფონ ვეზენდორფს, გერმანიის იმპერიის საგარეო
საქმეთა სამინისტროს ლეგაციის მდივანს და ახლო
აღმოსავლეთის საქმეთა რეფერატს, კომიტეტის
წევრების, ლეო კერესელიძის და ოსმან ბეი
ქარცივაძისადმი დახმარების განვების შესახებ

1916 წლის 1 დეკემბერი
ბერლინი

პატივცემულო ბატონო ბარონ,

თავს უფლებას მივცემ ბატონების ლეო კერესელიძის და ოსმან ბეის სახელით
შემდეგი გთხოვოთ:

- 1) შესაბამის ბატონებს რომ მიეცეთ მათი თვიური ხელფასი 30 თურქული ლირის ოდენობით, რასაც ისინი თურქეთში იღებდნენ. მათ თვეზე მეტია, რაც ხელფასი არ მიუღიათ. ეს ხელფასი განსაკუთრებით სჭირდებათ ექიმთან მკურნალობისთვის, რადგან ორივე ავად არიან.
- 2) გარდა ამისა, ბატონ ლეო კერესელიძეს უნდა თქვენ თავაზიანად გთხოვოთ, რომ ბატონ დოქტორ ვებერს, კონსტანტინოპოლში გერმანიის საელჩოს დრაგომანს, ტელეგრაფის საშუალებით ჰკითხოთ, გაიგზავნა უკვე თუ არა ბატონ კერესელიძის ჩემოდანი ბერლინში და თუ არა, თუ იქნებიან ისეთი თავაზიანები, რომ რაც შეიძლება სწრაფად ჩემოდანი ბერლინში გამოგზავნონ.

თქვენი ერთგული,
მ. ნერეთელი

*Politisches Archiv des Auswärtigen Amts (PA AA), Akten Betreffend den Krieg 1914,
Unternehmungen und Aufwiegungen gegen unsere Feinde im Kaukasus. R 21022.
თარგმანი გერმანულიდან.*

№ 139

**საქართველოს განთავისუფლების კომიტეტის
წევრთა, პეტრე სურგულაძის, მიხეილ წერეთლის,
ოსმან ბეი ქარცივაძის, ლეო კერესელიძის და
ბიორგი კერესელიძის წერილი გერმანიის გენერალურ
შტაბს და საბარეო საქმეთა სამინისტროს, ქართული
ლეგიონის რეორგანიზაციის და მისი სამომავლო
გამოყენების თაობაზე კომიტეტის
თვალსაზრისის შესახებ**

1916 წლის 12 დეკემბერი
ბერლინი

გვაქვს პატივი, რომ შემდეგი გაცნობოთ:

საქართველოს ნაციონალური კომიტეტი გენერალური შტაბის და საგარეო საქმეთა სამინისტროს წინადადებების შესწავლის შემდეგ მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ლეგიონის მოქმედება არსებულ პირობებში და აქამდელი ფორმებით, შეუძლებელია გაგრძელდეს. თუმცა, მთელი წამოწყების სხვადასხვა თვალსაზრისებით განხილვის შემდეგ, კომიტეტი მივიდა შემდეგ დასკვნამდე:

ჩვენს ლეგიონს აქვს დიდი და მრავალმხრივი მნიშვნელობა, – როგორც პოლიტიკური, ისე მორალური თვალსაზრისით. ის, რომ ჩვენს მიერ აქ განუღმამა ქმედებებმა საქართველოში სიმპატიები ჰპოვა, იმაში მდგომარეობს, რომ მთელმა ქართველმა ხალხმა იცის, რომ გერმანიის დახმარებით ოტომანთა მინაზე მომავალი ქართული არმიის ბირთვი ჩამოყალიბდა, რომლის წინაშეც ოტომანთა ჯართან ერთად იდგა ამოცანა საქართველოში შესვლის, იქ ეროვნული ძალების თავმოყრის და რუსეთის წინააღმდეგ გამანთავისუფლებელი ბრძოლის წარმოების. თურქი ხალხის და თურქეთის მთავრობის გარკვეული წარმომადგენლებისთვის ჩვენს ლეგიონს ასევე დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან მისით ჩვენი ერი მოკავშირედ წარმოჩინდებოდა და ჯერ კიდევ დღესაც წარმოჩინდება.

იმავე ლეგიონს გერმანიის საზოგადოებრივ აზრში შესაძლოა უფრო მეტი ფასი ჰქონოდა, ისევე როგორც ყველა სხვა დაჩაგრულ ერებს, რომლებიც გერმანიის არმიასთან ერთად და გერმანიის მოკავშირეთა ჯარებთან ერთად ეროვნული თავისუფლების მოპოვებისთვის იბრძვიან. თუკი ჩვენი ლეგიონის გაუქმება ისეთი ფორმით მოხდება, როგორც ამას გენერალური შტაბი გვთავაზობს, ეს ქართველი ხალხისთვის იმის მანიშნებელი იქნება, რომ მან გერმანიაზე დამყარებულ ყველა მის იმედზე უარი უნდა თქვას, მოგვიანებით კი თითქმის შეუძლებელი იქ-

ნება, რომ ეს იმედები, რომლებიც ომის დროს საქართველოში თანდათან გაჩნდა, ჩვენს ხალხში კვლავ გავალვიძოთ.

ამ მიზეზით ქართულ კომიტეტს სრულიად აუცილებლად მიაჩნია, რომ ლეგიონი რაიმე ფორმით შენარჩუნდეს, რითაც ქართველ ხალხს არ შეექმნას ნარმოდგენა, რომ კავშირი ჩვენსა და ჩვენს მფარველ სახელმწიფოს შორის განწყდა. თუკი თურქეთის მიწაზე შეუძლებელი არის, რომ ჩვენ ჩვენს მოკავშირეებთან ერთად ვანარმოოთ ბრძოლა საერთო მტრის წინააღმდეგ, მაშინ გვსურს, რომ ჩვენმა ლეგიონმა გერმანელებთან ერთად დაღვაროს სისხლი ბრძოლაში რუსეთის წინააღმდეგ.

შესაბამისად, პატივი გვაქვს, რომ გენერალურ შტაბს და საგარეო საქმეთა სამინისტროს შემდეგი წინადადება წარვუდგინოთ: ამჟამად თურქეთში მყოფი ჩვენი ლეგიონის ერთ ნაწილს გარკვეული ხნით შვებულება მიეცეს, როგორც ეს გენერალურმა შტაბმა შემოგვთავაზა, იმ გარანტიით, რომ თურქეთის მთავრობა ჩვენს შვებულებაში მყოფ ლეგიონერებს თურქი ჯარისკაცების სახით ოტომანურ არმიას არ მიუერთებს და ქართულ კომიტეტს შესაძლებლობა ექნება შვებულებაში მყოფი ლეგიონერები პირველივე ხელსაყრელი გარემოებისას ლეგიონში დააბრუნოს. ლეგიონის მეორე ნაწილი კი გადაყვანილ იქნას რომელიმე გერმანულ-რუსულ ფრონტზე, დაექვემდებაროს გერმანულ სარდლობას და იბრძოლოს რუსეთის წინააღმდეგ.

თუკი გენერალური შტაბი და საგარეო საქმეთა სამინისტრო სრულიად შეუძლებლად მიიჩნევს ჩვენი ლეგიონის ერთი ნაწილის გერმანია-რუსეთის ფრონტზე გადაყვანას, ასეთ შემთხვევაში კომიტეტი გენერალური შტაბის დღევანდელ წინადადებას სრულად გაიზიარებს.

ორივე შემთხვევაში გვინდა საქმის დეტალები გენერალურ შტაბთან და საგარეო საქმეთა სამინისტროსთან ერთად განვიხილოთ.

უდიდესი პატივისცემით,
 თქვენი სრულიად ერთგული საქართველოს ნაციონალური კომიტეტის წევრები,
 პ. სურგულაძე
 მ. წერეთელი
 ოსმან ბეი ქარცივაძე
 ლეო კერესელიძე
 გ. კერესელიძე

Politisches Archiv des Auswärtigen Amtes (PA AA), Akten Betreffend den Krieg 1914, Unternehmungen und Aufwiegelungen gegen unsere Feinde im Kaukasus. R 21022.

თარგმანი გერმანულიდან.

№ 140

**საქართველოს განთავისუფლების კომიტეტის წევრთა,
მიხეილ წერეთლის და კეძრე სურგულაძის წერილი
კაპიტან ერნსტ ფონ ჰიულსენს,
ბერმანის არმიის სახმელეთო ძალების ბენერალური
შტაბის პოლიტიკის სექციის უფროსს, ქართული
ლეგიონის რეორგანიზაციასთან დაკავშირებული
შეთანხმებების შესახებ**

1916 წლის 18 დეკემბერი
ბერლინი

პატივცემულო ბატონო კაპიტანო,

წარმოდგენილ წერილში თავს უფლებას მივცემთ წერილობითი სახით წარმოგიდგინოთ პუნქტები, რომლებზეც ზეპირი მოლაპარაკებისას პრინციპულ თანხმობას მივალწიეთ და გთხოვთ თავაზიანად, რომ მათი საბოლოო მიღება მეგობრულად დაგვიდასტუროთ.

1. შეიარაღება და მთელი საბრძოლო მასალა ამჟამად თურქეთში მყოფი ქართული ლეგიონისა უნდა შენახულ იქნას ლეგიონისთვის, როდესაც ლეგიონს გერმანიის ფრონტზე გადაიყვანენ იქამდე, ვიდრე ის კვლავ არ დაუბრუნდება თურქეთ-რუსეთის ფრონტს.
2. ისინი, ჩვენი ლეგიონერებიდან, ვინც შვებულებში გავლენ და თურქეთში დარჩებიან, უნდა მიიღონ შვებულების მონაწილეობა, რომელსაც ხელს მოაწერს როგორც ქართული კომიტეტი, ისე ლეგიონის მეთაური. შვებულებში გასულ და თურქეთში დარჩენილ ქართველ ლეგიონერებზე გერმანიის მთავრობამ პასუხისმგებლობა უნდა აიღოს იმ თვალსაზრისით, რომ მათზე და მათ ოჯახებზე თურქების მხრიდან არ განხორციელდება ზენოლა და განსაკუთრებით, რომ ისინი, როგორც თურქი ჯარისკაცები, არ იქნებიან მიღებული ოსმალურ ჯარში.
3. შვებულებში გასულმა და თურქეთში დარჩენილმა ლეგიონერებმა უნდა მიიღონ მთელი ანაზღაურება ერთი, ორი ან სამი თვის მანძილზე, რაც დამოკიდებული იქნება მათ აქამდე განეულ სამსახურზე ლეგიონისთვის.
4. გერმანიის ფრონტზე წაყვანილმა ლეგიონერებმა უნდა მიიღონ იგივე ანაზღაურება რაც გერმანელმა ჯარისკაცებმა, ხოლო მათმა ოჯახებმა თურქეთში – იგივე ფულადი დახმარება, რასაც აქამდე იღებდნენ.

5. დაღუპულების ოჯახებმა ან დაინვალიდებულმა ლეგიონერებმა უნდა მიიღონ როგორც ერთჯერადი ფულადი დახმარება, ისე საბოლოო ანაზღაურება 15 თურქული ლირის ოდენობით
6. კომიტეტი სთხოვს გერმანიის მთავრობას, მხედველობაში იქონიოს ლეგიონერთა ბედი, თუკი ჩვენ ვერ მივაღწევთ ჩვენს მიზანს და ისინი საქართველოში დაბრუნების შესაძლებლობას დაკარგავენ.
7. ზოგიერთ ავადმყოფ უნტერ-ოფიცრებს, რომლებიც თურქების მიერ რუსულ ფრონტზე ტყვეებად იქნენ აყვანილი და ნებაყოფლობით და თურქებთან შეთანხმებით ქართული ლეგიონის სამსახურში შემოვიდნენ და აშკარა დამსახურებები მოიხვეჭეს, მკურნალობა უნდა გაეწიოს გერმანულ საავადმყოფოში (კონსტანტინოპოლში ან გერმანიაში) და იქ უნდა დარჩნენ გამოჯანმრთელებამდე, რათა შემდგომ კვლავ ლეგიონს შეუერთდნენ.
8. ოფიცერ ი. წერეთლის ოჯახმა, რომელიც მისი მოვალეობის აღსრულებისას დაიღუპა, ომის დამთავრებამდე უნდა მიიღოს ფულადი დახმარება თვიურად 12 თურქული ლირის ოდენობით.

ერთგულებით,
ქართული კომიტეტის სახელით,
პ. სურგულაძე
მ. წერეთელი

*Politisches Archiv des Auswärtigen Amtes (PA AA), Akten Betreffend den Krieg 1914,
Unternehmungen und Aufwiegelungen gegen unsere Feinde im Kaukasus. R 21022.
თარგმანი გერმანულიდან.*

№ 141

საქართველოს განთავისუფლების კომიტეტის
წევრის, მიხეილ წერეთლის წერილი ოთო გიუნდერ
ფონ ვეზენდორფს, გერმანიის იმპერიის საბარეო
საქმეთა სამინისტროს ლეგაციის მდივანს და ახლო
აღმოსავლეთის საქმეთა რეფერატს, ქართული
ლეგიონის ოფიცერ დისეველისთვის დახმარების
განხილვის შესახებ

1916 წლის 22 დეკემბერი
ბერლინი

პატივცემულო ბატონო ბარონ,

თავს უფლებას მივცემ, რომ შემდეგი გთხოვოთ:

მაიორი დისეველი, რომელიც აქ ბატონ სურგულაძესთან ერთად, როგორც ქართველი ოფიცრების წარმომადგენელი ჩამოვიდა, სჯობს სულ აქ დარჩეს, მას შემდეგ რაც ჩვენ ლეგიონის გერმანიის ფრონტზე გადაყვანას განვახორციელებთ. ამის თაობაზე გთხოვთ თავაზიანად, რომ ბატონ დისეველს მიეცეს ანაზღაურების მიღების (თურქეთში ის იღებდა 20 თურქულ ლირას, აქ ალბათ შეუძლია, რომ ბატონ კიკნაძის მსგავსად, 300 მარკა მიიღოს) საშუალება ცნობათა ბიუროს მეშვეობით. ბატონმა დისეველმა უკვე მიიღო ანაზღაურება დეკემბრისთვის ძველი სტილის მიხედვით (ე.ი. ახალი სტილის მიხედვით 1917 წლის 13 იანვრამდე). ბატონ დისეველს თავისი ანაზღაურება 1917 წლის 1 იანვარს ახალი სტილით უნდა მიეღო, მაგრამ მას ესმის, რომ მისი ანაზღაურების ერთი ნაწილი, რომელიც 13 დღეს მოიცავს, უქმდება.

ერთგულებით,
კომიტეტის სახელით,
მ. წერეთელი

*Politisches Archiv des Auswärtigen Amtes (PA AA), Akten Betreffend den Krieg 1914,
Unternehmungen und Aufwiegelungen gegen unsere Feinde im Kaukasus. R 21022.
თარგმანი გერმანულიდან.*

№ 142

ერნსტ ფონ კვიატკოვსკის, ძრაპიზონში
ავსტრია-უნგრეთის კონსულის მოხსენება
ავსტრია-უნგრეთის იმპერიის საგარეო საქმეთა
მინისტრს, ბარონ შტეფან ფონ ბურნიანს,
ქართული ლეგიონის შესახებ

1916 წლის 23 დეკემბერი
სამსუნი

დაგვიანებულ მომარაგებასთან ერთად ლეგიონმა 1 400 კაცი დატოვა სამსუნი, რომელთაგან (ძირითადად მრავალრიცხოვანი დეზერტირობის და დაავადებათა გამო) 500 კაცზე ნაკლები 8 ტყვიამფრქვევთან ერთად იმყოფება ფრონტზე, ტირებოლუსთან.

გრძელდება წინა მოხსენებებში აღწერილი არამეგობრული ურთიერთობები (დაპირისპირებები ქართულ კომიტეტში, ლეგიონის ქრისტიან და მაჰმადიან ოფიცრებს შორის, გერმანულ მისიასა და კომიტეტს შორის).

ამჟამად, ყოველთვიური ხარჯები მისიისთვის, კომიტეტისთვის და ლეგიონისთვის, მატერიალური ნაწილის მიწოდების გარეშე, შეადგენს 125 000 მარკას.

იგივეს ვატყობინებ კონსტანტინოპოლს.

საიმპერიო და სამეფო კონსული კვიატკოვსკი

*Wien, Haus-, Hof- und Staatsarchiv (HHStA), Politisches Archiv (PA), I 947 Krieg 21 k Türkei:
Georgisch-grusinischer Aufstand im Kaukasus 1914-18, Fol. 137.*

თარგმანი გერმანულიდან.

№ 143

საქართველოს განთავისუფლების კომიტეტის წევრთა,
ბიორგი კერესელიძის და მიხეილ წერეთლის წერილი
ოთო ბიუნდერ ფონ ვეზენდორგს, გერმანიის იმპერიის
საგარეო საქმეთა სამინისტროს ლეგაციის მდივანს და
ახლო აღმოსავლეთის საქმეთა რეფერატს, ქართული
კომიტეტის მიერ გერმანიაში სამომავლოდ დაგეგმილი
პროპაგანდისტული საქმიანობის შესახებ

1916 წლის 29 დეკემბერი
ბერლინი

პატივცემულო ბატონო ბარონ,

თავს უფლებას მივცემთ შემდეგი გაცნობით:

ამომწურავ გეგმას ჩვენი პოლიტიკური საქმიანობის ორგანიზაციის შესახებ
აქ და კონსტანტინოპოლში მოგანვდით მთელი ქართული საქმის გარკვევის შემ-
დეგ. ამჟამად კი თავს უფლებას მივცემთ შემდეგი რამ გთხოვოთ:

1. მოგვცეთ ჩვენი პროპაგანდისტული ბროშურების ევროპულ ენებზე კვლავ
გამოცემის და ზოგადად გერმანიაში ჩვენი პროპაგანდის უკეთესად ორგა-
ნიზების საშუალება. როგორც იცით, ჩვენს მიერ აქამდე გამოცემული ბრო-
შურების რაოდენობა მცირეა და ამ ბროშურების გამოცემაც სირთულეებ-
თან იყო დაკავშირებული.
2. მოგვცეთ ბროშურების ქართულ ენაზე გამოცემის საშუალება, რადგან
ჩვენი ტყვეების გაზეთი მხოლოდ სამხედრო ტყვეებს შორის პროპაგანდის-
თვისაც კი არ არის საკმარისი. ტყვეები თავად გვთხოვენ ამის შესახებ.
3. მოგვცეთ ქართული ლიტერების დამზადების შესაძლებლობა, რადგან არ-
სებულები მხოლოდ გაზეთებისთვის კმარა და ბროშურების გამოცემა ამ
ლიტერებით შეუძლებელია. მათი დამზადება დაახლოებით 2000-2500 მარ-
კა დაჯდება.
4. გთხოვთ ნებართვას, რომ ჩვენს გაზეთსა და ბროშურებში თავისუფლად
გვქონდეს საქართველოს ისტორიაზე წერის უფლება, რადგან სამხედრო
ტყვეები მუდმივად ითხოვენ მსგავს სტატიებს.
5. გთხოვთ, რომ 1000 მარკა გადმოგვეცეს „რუსეთის არარუსი ხალხების ლი-
გისტვის“, რა თანხის, როგორც ლიგისტვის საწევროს გადახდა, დღემდე
ვერ შევძელით.

6. მცირე ხარჯებისთვის (მბეჭდავები, ტექსტების კორექტურა და სხვ.) 200-300 მარკა რომ თვიურად გამოგვიყოთ.

ერთგულებით,
ქართული კომიტეტის სახელით:
გ. ფ[ონ] კერესელიძე
მ. ნერეთელი

P.S.

- 7) რომ გაზარდოთ ჩვენ ტყვეთა გაზეთი 16 გვერდამდე.
8) ჩვენი გაზეთის შემთხვევითი თანამშრომლებისთვის ანაზღაურების სახით ყოველთვიურად 100 მარკა რომ გამოგვიყოთ.
თავს უფლებას მივცემთ, დეტალური წინადადება ჩვენი ტყვეთა გაზეთის გამოცემასთან დაკავშირებით მოგვიანებით გადმოგიგზავნოთ.

*Politisches Archiv des Auswärtigen Amtes (PA AA), Akten Betreffend den Krieg 1914,
Unternehmungen und Aufwiegungen gegen unsere Feinde im Kaukasus. R 21022.
თარგმანი გერმანულიდან.*

№ 144

ავსტრია-უნგრეთის საბანგებო და სრულუფლებიანი
ელჩის, მარკბრაფ იოჰან ფონ კალავიჩინის
შეთყობინება ვენაში საბარეო საქმეთა სამინისტროს,
მის მიერ თრაკიზონში ავსტრია-უნგრეთის კონსულის,
ერნსტ ფონ კვიატკოვსკის, ქართული ლეგიონის
დაშლის თაობაზე თელავრამის მიღების შესახებ

1917 წლის 9 იანვარი
პერა

საიმპერიო და სამეფო კონსული ტელეგრაფით გვატყობინებს სამსუნიდან:
„უკანასკნელი ბრძანების თანახმად, ლეგიონს კერასუნტში გადაიყვანენ და იქ
დაშლიან. მატერიალური ნაწილი რჩება თურქებს, რუს ქართველებს შეეძლება
თურქეთში ან გერმანიაში სამსახური“.

*Wien, Haus-, Hof- und Staatsarchiv (HHStA), Politisches Archiv (PA), I 947 Krieg 21 k Türkei:
Georgisch-grusinischer Aufstand im Kaukasus 1914-18, Fol. 142.
თარგმანი გერმანულიდან.*

№ 145

საქართველოს განთავისუფლების კომიტეტის
წევრის, მიხეილ წერეთლის წერილი ოთო გიუნდერ
ფონ ვეზენდორფს, გერმანიის იმპერიის საგარეო
საქმეთა სამინისტროს ლეგაციის მდივანს და ახლო
აღმოსავლეთის საქმეთა რეფერატს, ქართული
ლეგიონის ოფიცერ დისეველისთვის შესაბამისი
ჯამაბირის დანიშვნის შესახებ

1917 წლის 9 იანვარი
ბერლინი

პატივცემულო ბატონო ბარონ,

მაქვს პატივი შემდეგი გაცნობით:

ოფიცერი დისეველი არ არის თანახმა 300 მარკის ოდენობით ანაზღაურებაზე. იგი მიანიშნებს, რომ ის ბერლინში იმყოფება არა შვებულებაში, არამედ სამსახურეობრივად და რომ ის სულაც არ ფიქრობდა ბერლინში ჩამოსვლას. იგი გამოიძახეს ლეგიონის საკითხების გარკვევის მიზნით. გარდა ამისა, მისთვის 300 მარკა აშკარად არ არის საკმარისი და უმორჩილესად ითხოვს, მიეცეს მას ანაზღაურება თვიურად 20½ თურქული ლირის ოდენობით. ის, ნებისმიერ შემთხვევაში, 180 მარკით, რომელიც მან 13 იანვარს უნდა მიიღოს, ვერ გავა ფონს, რადგან აქამდე მას უკვე აქვს ლეგიონის ვალი 200 მარკაზე მეტი და დახმარებას ითხოვს, რომ უსიამოვნებები თავიდან აიცილოს.

კომიტეტის სახელით,

თქვენი ერთგული მ. ფ[ონ] წერეთელი

Politisches Archiv des Auswärtigen Amts (PA AA), Akten Betreffend den Krieg 1914, Unternehmungen und Aufwiegelingen gegen unsere Feinde im Kaukasus. R 21022.

თარგმანი გერმანულიდან.

№ 146

საქართველოს განთავისუფლების კომიტეტის წევრის,
მიხეილ წერეთლის წერილი ქართველ ოფიცერ
ირაკლი (ჰერაკლიუს) შორდანიასადმი, ქართული
ლეგიონის რეორგანიზაციის შესახებ

1917 წლის 15 იანვარი
ბერლინი

ერთგულო და ძვირფასო მეგობარო ჰერაკლიუს!

ჩვენ მივიღეთ თქვენი წერილი და ძალიან გაგვეხარდა, რომ თქვენ კვლავ ძველებურად მტკიცედ ხართ ჩამოყალიბებული. მაგრამ ჩვენც მიგვაჩნია, რომ ასეთი შეთავაზების გაკეთების უფლება არ გვაქვს. საქმე ეხება შემდეგს: ჩვენ ერთი წლის წინ თურქეთში მოვახდინეთ ქართული ლეგიონის ორგანიზება, ქართველი ოფიცრებით, ქართული უნიფორმით და სარდლობით ქართულ ენაზე. ლეგიონმა მონაწილეობა მიიღო რუსების წინააღმდეგ ბრძოლებში და დღემდე ბრძოლაში იმყოფება. გერმანელები ჩვენ ყველაფრით გვეხმარებოდნენ. მაგრამ, სამწუხაროდ სხვადასხვა მიზეზებიდან გამომდინარე, ჩვენს ლეგიონს აღარ შეუძლია რუსეთ-თურქეთის ფრონტზე დარჩენა, ასე რომ ჩვენ ლეგიონი ან საბოლოოდ უნდა გაგვეუქმებინა, ან გერმანია-რუსეთის ფრონტზე გაგვეგზავნა. ასეც გადაწყვიტეთ საკითხი და ჩვენი ლეგიონი შენარჩუნდება, რასაც ჩვენი საკითხისთვის დიდი მნიშვნელობა ექნება. ჩვენ დაუყოვნებლივ შეგატყობინებთ, როდესაც შესაძლებლობა გამოჩნდება და შეგეძლებათ გადანიშნულებით თავად, მოხვალთ თუ არა. თუ შესაძლებელი იქნება, რომ კვლავ თურქეთში დარჩეთ, ამის შესახებაც გაცნობებთ. ჯერჯერობით საქმე ისეა, როგორც მე გწერთ, ამ პირობებში კი თქვენი გათავისუფლება ჩემი აზრით უაზრო იქნებოდა.

დაელოდეთ ჩვენს პასუხს ჩვენი საკითხის გადანიშნულების შემდეგ. ამასთანავე, თუკი რამე მოხდება, ყველაფერს შეგატყობინებთ.

გისურვებთ მხნეობას და ჯანმრთელობას.

თქვენი ერთგული მ. წერეთელი

Politisches Archiv des Auswärtigen Amts (PA AA), Akten Betreffend den Krieg 1914, Unternehmungen und Aufwiegelungen gegen unsere Feinde im Kaukasus. R 21022.

თარგმანი გერმანულიდან.

№ 147

**საქართველოს განთავისუფლების
კომიტეტის წევრის, ლეო კერესელიძის წერილი
ოტო ბიუნდერ ფონ ვეზენდორფს, გერმანიის იმპერიის
საგარეო საქმეთა სამინისტროს ლეგაციის მდივანს
და ახლო აღმოსავლეთის საქმეთა რეფერატს,
თანაგრძნობით, გერმანულ-ამერიკულ დიპლომატიურ
ურთიერთობათა განწყვეტის გამო და მზარდობით,
რომავალშიც განაგრძოს მუშაობა საქართველოს
დამოუკიდებლობის აღსადგენად**

1917 წლის 16 თებერვალი

ძვირფასო ბატონო ბარონ,

ჩემმა ძმამ¹ გადმომცა თქვენი თხოვნა, გქონოდათ შვეიცარული სამოქალაქო სამართლის შესახებ ჩემი წიგნის² 2 ეგზემპლარი. ვჩქარობ ისინი თქვენ გამოგიგზავნოთ. ვსარგებლობ რა ამ შემთხვევით, გადმოგცემთ თქვენ, ისევე როგორც თქვენს სამშობლოს, მთელს ჩემს თანაგრძნობას გერმანულ-ამერიკულ დიპლომატიურ ურთიერთობათა განწყვეტის გამო. როგორც არასდროს და მთელი ჩემი უმნიშვნელო ძალებით, მე თქვენთან ვარ და ყოველი ქართველი, მე ამაში დარწმუნებული ვარ, იფიქრებს ჩემნაირად, თუკი ის არ არის საკუთარი ქვეყნის რენეგატი და უმადური გერმანიის მიმართ, რომელმაც ამ დრომდე, ამდენი გააკეთა ჩვენი საქმის მხარდასაჭერად, როგორც მატერიალური, ისე მორალური და პოლიტიკური თვალსაზრისით.

მე ველი მხოლოდ ჩემი ჯანმრთელობის აღდგენას და საქართველოს შესახებ ჩემი შრომის დასრულებას³, რათა გავნაგრძო ჩემი მოქმედება საერთო მტრის წინააღმდეგ.

დარწმუნებული ვარ, რომ მტრების მომრავლება და უსამართლობები, ჩადენილი გერმანელი ხალხის მიმართ, მხოლოდ გააძლიერებს მის ეროვნულ ენერგიას და სამხედრო ძალას.

¹ იგულისხმება კერესელიძე გიორგი (1885-1960).

² იგულისხმება ლეო კერესელიძის წიგნი „შვეიცარული სამოქალაქო სამართლის დაწყებითი სახელმძღვანელო: ვალდებულებათა (განახლებული) კოდექსი“ (L. Keresselidzé. Manuel élémentaire du droit civil suisse: code (révisé) des obligations. Genève, 1914).

³ იგულისხმება ლ. კერესელიძის 1917 წელს შვეიცარიაში გამოქვეყნებული ბროშურა: „საქართველო და რუსეთის ბატონობა“ (L. Keresselidzé. La Géorgie et la domination russe. Soleure, 1917.).

გთხოვთ მიიღოთ, ბატონო ბარონ, ჩემი მაღალი პატივისცემის ნიშნები.

თქვენი ერთგული ლეო დე კერესელიძე

*Politisches Archiv des Auswärtigen Amts (PA AA), Akten Betreffend den Krieg 1914,
Unternehmungen und Aufwiegungen gegen unsere Feinde im Kaukasus. R 21022.
თარგმანი ფრანგულიდან.*

№ 148

საქართველოს განთავისუფლების კომიტეტის
წევრის, მიხეილ წერეთლის წერილი კავშირსა
ფონ ვიულსენს, გერმანიის არმიის სახელმწიფო
ქალაქის გენერალური შტაბის პოლიტიკის სექციის
უფროსს, ქართული ლეგიონის თურქეთიდან
გერმანია-რუსეთის ფრონტზე გადაყვანაში გერმანული
მხარის დახმარებისა და ამ მიზნით თურქებზე
შესაბამისი ზედოლის განხორციელების
აუცილებლობის შესახებ

1917 წლის 20 თებერვალი
ბერლინი

პატივცემულო ბატონო,

გვაქვს პატივი, შემდეგი შეგატყობინოთ:

როგორც კონსტანტინოპოლში ჩვენი კომიტეტის ერთი წევრისგან შევიტყვეთ, ჩვენი ლეგიონი ვეჰიბ ფაშას¹ ბრძანებით უკვე გაუქმდა. ბატონმა მოზელმა სამსუნში ლეგიონისთვის განკუთვნილი ნივთები – ტანსაცმელი და ა.შ., თურქულ სამსახურებს გადასცა. ვინ დაავალა ბატონ მოზელს ასე მოქცევა, არ ვიცი. როგორც ბატონმა დოქტორ შედემ კონსტანტინოპოლს გააგებინა, თურქებმა ლეგიონისთვის განკუთვნილი ცხენებიც წაიყვანეს.

თურქები ხელს გვიშლიან ჩვენს საქმეში ახლაც, როგორც ყოველთვის, და თუ აქედან ძლიერი ზეწოლა არ განხორციელდა, ჩვენი ლეგიონის გერმანიაში გადაყვანა შეუძლებელი იქნება.

ამიტომ თავაზიანად გთხოვთ, ენერგიულად დაგვიჭიროთ მხარი, რომ თურქებმა ვერ შეძლონ ჩვენი ლეგიონის აქ გადმოყვანაში ხელის შეშლა და ამას გარდა, რომ შეგვატყობინოთ ჩვენს საკითხთან დაკავშირებული ყველა ინფორმაცია, რაც კონსტანტინოპოლიდან აქ ჩამოვა.

კომიტეტის სახელით,
თქვენი ერთგული,
მ. წერეთელი

*Politisches Archiv des Auswärtigen Amts (PA AA), Akten Betreffend den Krieg 1914,
Unternehmungen und Aufwiegelingen gegen unsere Feinde im Kaukasus. R 21022.*

თარგმანი გერმანულიდან.

¹ იგულისხმება ვეჰიბ ფაშა მეჰმედ (1877-1940).

№ 149

**საქართველოს განთავისუფლების კომიტეტის
წევრის, მიხეილ წერეთლის წერილი ოტო ბიუნდერ
ფონ ვეზენდორფს, გერმანიის იმპერიის საბარეო
საქმეთა სამინისტროს ლეგაციის მდივანს და ახლო
აღმოსავლეთის საქმეთა რეფერატს, ქართული
ლეგიონის გაუქმების შემდეგ თურქებსა და
ქართველებს შორის წარმოქმნილი გამწვავებული
ურთიერთობების შესახებ**

1917 წლის 26 თებერვალი
ბერლინი

პატივცემულო ბატონო ბარონ, თავაზიანად გთხოვთ, რომ ეს წერილი კონსტანტინოპოლში გადაუგზავნოთ გრაფ შულენბურგს.

გვაქვს პატივი, რომ შემდეგი გაცნობოთ:

ჩვენი თავმჯდომარე, ბატონი პ. სურგულაძე, გვწერს კონსტანტინოპოლიდან 1917 წლის 16 თებერვლით დათარიღებულ წერილში, რომ ჩვენს ლეგიონთან დაკავშირებული საკითხი ძალიან ცუდ მდგომარეობაში იმყოფება. როგორც 6 თებერვლით დათარიღებული ოსმან ბეის წერილიდან ვიცით, თურქებმა ჩვენი ლეგიონი დაშალეს, სანამ ბატონები სურგულაძე და ოსმან ბეი ბერლინიდან კონსტანტინოპოლში ჩავიდნენ და გერმანულმა მისიამ ლეგიონის გაუქმება დაჩქარებული წესით განახორციელა. მაგრამ აქ ყველაზე ცუდი ის არის, რომ თურქებმა თავისი პირობა კვლავ გატეხეს და არ უნდათ ჩვენს მუსლიმ ლეგიონერებს გერმანიის ფრონტზე წასვლის უფლება მისცენ. ბატონებმა სურგულაძემ და ოსმან ბეიმ კერასუნტიდან ბატონ დოქტორ შედესგან მიიღეს ტელეგრამა, სადაც ის იტყობინებოდა, რომ ის სამ დღეში იქიდან გაემგზავრებოდა. ამის შემდეგ ჩვენი ხალხი კონსტანტინოპოლში დარჩა და იქ იცდიდნენ. თუმცა, მათ მოითხოვეს ოფიცრებს და ლეგიონერებს ჰკითხონ, მათგან ვის სურს გერმანიის ფრონტზე წასვლა. სანამ ჩვენი ხალხი ამას მოითხოვდა, ჩვენმა ოფიცრებმა და ლეგიონერებმა გერმანულ ფრონტზე ლეგიონის გადაყვანის შესახებ ჩვენი გადანყვეტილების თაობაზე არაფერი იცოდნენ. დოქტორმა შედემ მაშინვე გვიპასუხა და შეგვატყობინა, რომ ლეგიონერთა უმრავლესობას გერმანიაში წასვლა სურს. ჩვენი ხალხი ამ იმედით დარჩა კონსტანტინოპოლში, ელოდებოდა საბოლოო გადანყვეტილებას და ემზადებოდა სამსუნში გასამგზავრებლად. მაგრამ ამ საქმეს თურქების მხრიდან მუდამ ხელი ეშლებოდა და 16 თებერვალს ყველაფერი გამოაშკარავდა. ამ დღეს ბატონმა გრაფმა შულენბურგმა მიიღო შეტყობინება ბატონ დოქტორ

შედეგად, რომ მე-3 არმიის სარდალმა განუცხადა, რომ მაჰმადიანებს ვერ მისცემდა გერმანიაში წასვლის უფლებას. გრაფი შულენბურგი მაშინვე წავიდა ალი ბაშ ჰამპას¹ სანახავად, ვისაც თურქეთის მთავრობამ ჩვენი საქმე მიაბარა, მაგრამ ალი ბაშ ჰამპამ მას სიტყვა-სიტყვით ასე უპასუხა: ეს მართალია, რომ ჩვენ თქვენ ყველაფერს შეგპირდით, მაგრამ ახლა ჩვენ არ შეგვიძლია ლეგიონერების გერმანიაში გაშვება, რადგან თავად სამხედრო მინისტრია ამ აზრზე. გრაფმა შულენბურგმა ბოლოს გერმანიის სამხედრო ატაშეს მიმართა, ბატონ ფონ ლოსოვს. ამ უკანასკნელმა კი აუხსნა, რომ საქმე უკვე მის უფლებამოსილების ჩარჩოებს ცილდებოდა და ქართულ კომიტეტს თავად უნდა მოელაპარაკა ამაზე თურქეთის მთავრობასთან.

ასეთია ჩვენი საქმის მდგომარეობა და კვლავაც, თავაზიანად გთხოვთ საჭირო ზომების მიღებას და თურქების იძულებას, რომ ჩვენი ლეგიონერები გერმანიაში გაუშვან. ეს ლეგიონერები არ არიან თურქეთის ქვეშევრდომები, რაც შეეხება რელიგიას, თურქებს არ უნდა შეეძლოთ ქართველების ამ საფუძვლით იქ გაჩერება. თავად საქართველოში არ ანსხვავებენ ქრისტიანებს და მაჰმადიანებს, თურქეთის მიწაზე ჩვენმა ხალხმა თურქებს მხოლოდ მეგობრობა და დახმარება აღმოუჩინა და რატომ უკრძალავენ ახლა თურქები მათ, საკუთარი ეროვნული მოვალეობა ისე შეასრულონ, როგორც თავად მიაჩნიათ ყველაზე სწორად, მით უფრო, როდესაც თავად თურქებს საკუთარ ტერიტორიაზე არანაირი უცხო ლეგიონის ხილვა არ სურთ?

ამგვარი საქციელით თურქები სამომავლოდ სრულიად აფუჭებენ კეთილ ურთიერთობას ქართველებთან, რადგან თავად საქართველოში ეს ყველაფერი არ დარჩება შეუმჩნეველი. ამით ისინი ძირს უთხრიან მთლიანად კავკასიურ საკითხს და ამის შედეგად, ბუნებრივია, საკუთარ თავს უფრო მეტად აზარალებენ.

თავაზიანად გთხოვთ, რომ ამ კუთხით თურქებზე გავლენა იქონიოთ და ამის შესახებ მისწეროთ მის აღმატებულებას გერმანიის ელჩს და ბატონ სამხედრო ატაშეს კონსტანტინოპოლში, რათა ყველა მათ ხელთ არსებული საშუალებით დაგვეხმარონ, რომ ჩვენი ქართველები თურქეთიდან წავიყვანოთ, რისი სურვილიც თავად თურქებს მუდმივად ჰქონდათ.

ბატონები სურგულაძე და ოსმან ბეი ირწუნებიან, რომ შეძლებენ ლეგიონერების უმეტესობის გერმანიაში გადმოყვანას, თუ ამაში თურქები არ შეგვიშლიან ხელს.

ქართული კომიტეტის სახელით,
თქვენი სრულიად ერთგული,
მ. წერეთელი

Politisches Archiv des Auswärtigen Amts (PA AA), Akten Betreffend den Krieg 1914, Unternehmungen und Aufwiegungen gegen unsere Feinde im Kaukasus. R 21022.
თარგმანი გერმანულიდან.

¹ იგულისხმება ალი ბაშ ჰამპა (1876-1918).

№ 150

საქართველოს განთავისუფლების კომიტეტის წევრის, ბიორგი კერესელიძის წერილი ოთო გიუნდერ ფონ ვეზენდოფს, გერმანიის იმპერიის საგარეო საქმეთა სამინისტროს ლეგაციის მდივანს და ახლო აღმოსავლეთის საქმეთა რეფერატს, ქართველი სამხედრო მყვების, მიქაბერიძის და ხეცურიანისადმი გადასაცემი წერილების შესახებ

1917 წლის 8 მარტი
ბერლინი

პატივცემულო ბატონო ბარონ!

თავს უფლებას მივცემ წარმოგიდგინოთ ორი ქართველი ტყვისთვის განკუთვნილი წერილი მათ თარგმანებთან ერთად და გთხოვოთ მათი გადაგზავნა შესაბამისად. აგრეთვე მინდა გთხოვოთ, პატივცემულო ბატონო ბარონ, არ დაგავიწყდეთ წერილის გადაგზავნა ოსმან ბეისთვის¹ კონსტანტინოპოლში.

წინასწარ დიდი მადლობით და ჩემი დიდი პატივისცემის დადასტურებით,
გ. კერესელიძე

Politisches Archiv des Auswärtigen Amts (PAA), Akten Betreffend den Krieg 1914, Unternehmungen und Aufwiegelungen gegen unsere Feinde im Kaukasus. R 21027.
თარგმანი გერმანულიდან.

დანართი № 1

საქართველოს განთავისუფლების კომიტეტის წევრის და გაზეთ „ქართული გაზეთის“ რედაქტორის, ბიორგი კერესელიძის წერილი ქართველ სამხედრო მყვებელთა კლემენტონ მიქაბერიძეს, ჰაილსბერგის მყვეთა ბანაკში

ძვირფასო თანამემამულე,
ჩვენ მივიღეთ თქვენი წერილი ქართულ, თქვენი მართასი კი რუსულ ენაზე და

¹ იგულისხმება ქარცივაძე მელიტონ (ოსმან ბეი).

გვიხარია, რომ ჩვენი გაზეთის ნომერი მიიღეთ. არ არის იოლი ტყვეობაში ყოფნა, მით უფრო როდესაც ადამიანმა იცის, რომ ის მოწყვეტილია საკუთარ ოჯახს, სამშობლოს და მეგობრებს იმ ხალხის გამო, რომელიც ჩვენი სამშობლოს მტერია. შესაძლოა ახლა, ტყვეობისას, ჩვენმა თანამემამულეებმა უკეთ გააცნობიერონ, რომ ჩვენი ერთადერთი მტერი რუსეთია და აღივსონ შურისძიებით. გერმანიის მთავრობა ყველაფერს აკეთებს (კანონის ფარგლებში) ჩვენი ეროვნული ამოცანის შესამსუბუქებლად. ჩვენ, როგორც თქვენ თავად ამბობთ, გერმანიის მთავრობისადმი მაღლიერები უნდა ვიყოთ. უმთავრესად იმიტომ, რომ გერმანიას ჩვენთვის ზიანი არასოდეს მოუყენებია, როდესაც ჩვენ ჩვენი სურვილის საწინააღმდეგოდ გერმანიის წინააღმდეგ ავლმართეთ იარაღი, ვინაიდან რუსეთის ჯარში ვიყავით. მაგრამ რა გავაკეთოთ, როდესაც ჩვენი ბედი ჩვენს სურვილზე არ არის დამოკიდებული? მონებს მათი სურვილების შესახებ არ ეკითხებიან! ჩვენ ხომ მხოლოდ მონები ვართ! თუმცა, ჩვენ იმით გვსურს ვიყოთ ამაყნი, რომ ჩვენ ყოველთვის ვცდილობდით მონობის გადაგდებას, ჩვენ ძალდატანებით ჩაგვაბეს მონობის უღელში და რომ ჩვენი ხალხი მუდამ მის წინააღმდეგ იბრძოდა.

გისურვებთ ყველაფერს საუკეთესოს და მოგესალმებით მეგობრულად.

P.S. ჩვენ თქვენი მაღლობელი ვიქნებოდით, თუ შეგვატყობინებდით იმ ქართველი ტყვეების სახელებს, რომლებიც ადრე თქვენს ბანაკში იმყოფებოდნენ.

Politisches Archiv des Auswärtigen Amtes (PAAA), Akten Betreffend den Krieg 1914, Unternehmungen und Aufwiegelingen gegen unsere Feinde im Kaukasus. R 21027.
თარგმანი გერმანულიდან.

დანართი № 2

საქართველოს განთავისუფლების კომიტეტის წევრის და გაზეთ „ქართული გაზეთის“ რედაქტორის, გიორგი კერესელიძის წერილი ქართველ სამხედრო ძვვა დემენტი ხეცურთან, გერდულენ-არნსდორფის ძვვითა ბანაკში

ძვირფასო თანამემამულე,

გაზეთის გამო ჩვენთან გამოგზავნილი 2 მარკა მივიღეთ. როგორც უკვე მოგწერეთ, რადგან ჩვენი გაზეთი ტყვეებს უფასოდ გადაეცემათ, გვინდოდა ფული უკან გამოგვეგზავნა. თუმცა, გადავწყვიტეთ, ეს მცირე თანხა ფონდად გამოვიყენოთ სამომავლო კულტურული ან პოლიტიკური ორგანიზაციისთვის. დარწმუნებული ვართ, რომ ამ ინფორმაციას სიხარულით მიესალმებით. ასეთი გზით თქვენ საფუძველი ჩაუყარეთ ისეთ საქმეს, რომელიც შემდეგში სასარგებლო შეიძლება იყოს ჩვენი საყვარელი სამშობლოსთვის. თუ თქვენ თანახმა ხართ, ამ დამხმარე ფონდს გვინდა სახელი „დემენტი“ ვუნოდოთ. აღნიშნული დამხმარე ფონდის მიზანს მოგვიანებით, ჩვენს მკითხველთა შორის გამოკითხვის შედეგად ჩამოვაყალიბებთ. სანამ თქვენი თანხმობა მიგვიღია, ამჟამად ჩვენს გაზეთში გამოვაქვეყნებთ, რომ ჩვენ ერთი ტყვისგან 2 მარკა მივიღეთ და ამ ფონდით ქართული ორგანიზაციის დაფუძნება გვინდა. ჩემის მხრივ ამ ფონდს ვამატებ 10 მარ-

კას და ვალდებულებას ვიღებ, ომის დროს მუდმივად, ყოველთვიურად შევიტანო 5 მარკა. ჩემს ნაცნობებს შორის ვანარმოებ პროპაგანდას და ვიმედოვნებ, რომ დიდ ფონდს მოვუყრით თავს. ჩვენი გაზეთის ყოველ ნომერში გამოვაქვეყნებთ ცნობას სალაროს შესახებ.

გისურვებთ ყოველივე საუკეთესოს და მოგესალმებით მეგობრულად.

*Politisches Archiv des Auswärtigen Amts (PA AA), Akten Betreffend den Krieg 1914,
Unternehmungen und Aufwiegungen gegen unsere Feinde im Kaukasus. R 21027.
თარგმანი გერმანულიდან.*

№ 151

საქართველოს განთავისუფლების კომიტეტის წევრის,
 ბიორგი მაგაბლიის წერილი გემ „ფრედერიკ VIII“-დან
 ოთო ბიუნდერ ფონ ვეზენდორფს, გერმანიის იმპერიის
 საგარეო საქმეთა სამინისტროს ლეგაციის მდივანს და
 ახლო აღმოსავლეთის საქმეთა რეფერატს,
 მისი მოგზაურობის შესახებ რუსეთში,
 იაპონიასა და ამერიკაში და მისი პოლიტიკური
 დაკვირვებების თაობაზე

1917 წლის 14 მარტი

ძვირფასო ბატონო ფონ ვეზენდონკ,

ამ წერილს გწერთ ორთქლმავალ გემ „ფრედერიკ VIII“-ზე ყოფნისას, რომლითაც ამერიკიდან გრძელი და არცთუ იოლი მოგზაურობის შემდეგ, მთელი რუსეთის, იაპონიის და წყნარი ოკეანის გავლით კვლავ ევროპაში ვბრუნდები.

სამწუხაროდ, ბოლო 4 დღის მანძილზე ისე ავად გავხდი, რომ საწოლად ვიყავი ჩავარდნილი და არ მქონდა უნარი ჩემი მოგზაურობის შესახებ ამომწურავი მოხსენება გამეგზავნა საგარეო საქმეთა სამინისტროსთვის.

კავკასიაში ჩემი ყოფნა და საქმიანობა, რაც შემეძლო მაქსიმალურად გავწელე და ყველაფერი გავაკეთე, რაც ჩემს შესაძლებლობებში შედიოდა. ბევრი რამ არ გამოვიდა და ბევრიც რამ ჩავარდა. ეს ღიად უნდა ვთქვა და მთავარი მიზეზები არის: 1. თურქების მხრიდან გამუდმებული უკან დახევა. 2. ბატონ ბ.-ს ორჭოფობა ფულის გადახდის თაობაზე (ამის შესახებ ზუსტად იცის გენერალურმა შტაბმა) და 3. რუსეთში ყველანაირი საქონლის და ნივთების საშინელი გაძვირება, რამაც შეუძლებელი გახადა ჩვენთვის ძლიერი რაზმის შენარჩუნება.

ამ ყველაფრის შესახებ, რა თქმა უნდა, ერთ სრულ მოხსენებას მოგაწვდით და გარდა ამისა ახალ წინადადებებს მოვამზადებ. ამჯერზე რუსეთში ძალიან, ძალიან რთული დროება გავიარე, ძალიან ხშირად ძალიან ახლოს ვიდექი სასიცოცხლო საფრთხესთან, ჯანმრთელობას სერიოზული ზიანი მივაყენე, მაგრამ არ მინდა ამ ყველაფრის მხედველობაში მიღება. მე მსურს, სანამ როგორმე შემიძლია, ჩემს პატარა უიღბლო სამშობლოს გავეუწიო დახმარება.

მე მტკიცედ დარწმუნებული ვარ, რომ შესაძლებელი იყო იაპონიის ჩვენს მხარეზე ყოფნა. მე იქ 3 კვირაზე მეტი გავატარე, ყველგან ვიყავი, სადაც კი შესაძლო იყო საზოგადოებრივი აზრის გაგება ომზე, რუსეთთან ან ინგლისთან მეგობრობაზე. მე არცერთი იაპონელისგან არ გამიგია, რომ გერმანელები დამარცხდები-

ან. ყველა ამბობს ცბიერი ღიმილით: „არ არის რეალური, ძალიან ძნელია გერმანელების წინააღმდეგ [ბრძოლა], ისინი ძალიან ძლიერები არიან...“. როგორც გავარკვიე, იქ არის ძალიან ძლიერი პროგერმანული პარტია და ინგლისელთა გავლენა სრულიად დაეცა.

არ გავუშვი ხელიდან შესაძლებლობა, რომ რამდენიმე მნიშვნელოვანი ნაცნობი შემეძინა, განსაკუთრებით კი ერთი მასწავლებელი, რომელიც ახლანდელი პრემიერის გრაფ ტერაუჩის¹ ოჯახსაც იცნობს. მისი სახელია პროფესორი სოიტო, მაგრამ დარწმუნებული არ ვარ, რადგან მისი ბარათი ამ გემზე ინგლისური შემონმების წინ გავანადგურე), მაგრამ მისი პოვნა ყოველთვის შემძლია ერთი ნაცნობი ექიმის მეშვეობით.

რაც შეეხება მეგობრობას რუსეთსა და იაპონიას შორის, შემძლია განვაცხადო, რომ ასეთი მეგობრობა ამ ორს შორის არ არსებობს და არც შეიძლება არსებობდეს. ამისი ბევრი მაგალითი მაქვს. იაპონელს მომჭირნე და მიზანმიმართული ხასიათი აქვს. კიაოჩოუ² უკვე დავიწყებულა, ამჟამად ფული კეთდება შეიარაღებაზე, მაგრამ ეს საკმარისი არ არის. იაპონია ხედავს, რომ თუ კვლავ ანტანტასთან დარჩება, ფულს ვეღარ გამოიმუშავებს. გამოიმუშავების და გადიდების სურვილი კი, პირიქით, გაიზარდა. ცენტრალურ სახელმწიფოებთან შეერთების და ერთდროულად, რუსეთისა და ამერიკისადმი ომის გამოცხადების შემთხვევაში, მიიღებს რუსეთისგან ციმბირის მდიდარ ნაწილებს და ამერიკისგან კუნძულებს (მანილა, ჰონოლულუ) და საბოლოოდ სამხედრო კონტრიბუციას. ამ საკითხთან დაკავშირებით, სიამოვნებით გავისაუბრებდი საგარეო საქმეთა სამინისტროში და მზადყოფნას გამოვთქვამდი უკან იაპონიაში წასვლის თაობაზე, თუკი ჩვენ რაიმე გადანყვეტილებამდე მივიდოდით.

ამჟამად არ შემძლია ყველა დეტალის შესახებ წერა, რადგან ჯერ კიდევ ძალიან სუსტად ვგრძნობ თავს და ორთქლმავალ გემზე საერთოდ შეუძლებელია კონცენტრირება.

გარდა ამისა, ბატონო დოქტორო, მინდა ბოდიში მოგიხადოთ საშინელი ხელნაწერის და ცუდი გერმანულის გამო.

გიძღვნიტ დროებით სალამს.

გულითადად თქვენი ერთგული,

თავადი გ. მაჩაბელი

Politisches Archiv des Auswärtigen Amtes (PA AA), Akten Betreffend den Krieg 1914, Unternehmungen und Aufwiegelungen gegen unsere Feinde im Kaukasus. R 21023.

თარგმანი გერმანულიდან.

¹ უფრო ზუსტად – ტერაუტი მასატაკე (1852-1919).

² კიაოჩოუ (Kiaochau) ან ციაო-ჯოუ (Kiautschou) – 1898-1914 წლებში არსებული გერმანიის კოლონია ცინის ჩინეთში, ადმინისტრაციული ცენტრით ცინდაო. 1914 წელს, პირველი მსოფლიო ომის დაწყების შემდეგ, დაპყრობილ იქნა იაპონიის მიერ.

№ 152

გერმანიის არმიის სახელმწიფო ძალების გენერალური
შტაბის პოლიტიკის საქმის უფროსის, კაპიტან
ერნსტ ფონ ჰიულსენის ბარათი, ქართული ლეგიონის
სამახსოვრო ემბლემის¹, მისი დაზღავების
შემთხვევაში, არაოფიციალური ხასიათის შესახებ

1917 წლის 15 მარტი
ბერლინი

ქართული კომიტეტის ერთი ადრინდელი შეტყობინების მიხედვით, ქართული ემბლემა მოიაზრება როგორც სამახსოვრო ნიშანი. ამის თაობაზე როგორც ქართული კომიტეტის წევრებს, ისევე გრაფ შულენბურგს გარკვევით განემარტათ, რომ რაიმე ორდენის შექმნა სრულიად გამორიცხული იყო და რომ სამახსოვრო ნიშანიც კი, არავითარ შემთხვევაში არ იქნებოდა ნებადართული სახელმწიფოსგან ან სახელმწიფო სახსრებით დამზადებული. თუკი ლეგიონი ასეთს დაამზადებდა, ეს იქნებოდა სავსებით პრივატული ამბავი. საკითხთან დაკავშირებით ვაფენმაისტერ შლიფაკს² მიმონერა ჰქონდა გრაფ შულენბურგთან და ამ უკანასკნელს 1917 წლის 21 თებერვალს გაუგზავნა აქ ასლში თანდართული ტელეგრამა, რომელსაც თან ახლავს შენიშვნა, რომ სახელმწიფო სახსრები ამ საქმისთვის არ იქნება ხელმისაწვდომი.

ფ[ონ] ჰიულსენი

ასლი

ტელეგრამა გერმანიის სამხედრო წარმომადგენელს პერაში, გრაფ შულენბურგისთვის:

1 თებერვლის ტელეგრამის შესახებ: ქართული ემბლემა შეკვეთილია. მიმღები მოითხოვს წინასწარ თანხას ათასი მარკის ოდენობით. გთხოვთ გაგზავნოთ ახლავე წინასწარი თანხა. შლიფაკი. შენიშვნა: სახელმწიფო სახსრები ამ საქმისთვის არ იქნება ხელმისაწვდომი.

გენერალური შტაბის პოლიტიკის სექცია, ბერლინი

Politisches Archiv des Auswärtigen Amts (PA AA), Akten Betreffend den Krieg 1914, Unternehmungen und Aufwiegelungen gegen unsere Feinde im Kaukasus. R 21023.
თარგმანი გერმანულიდან.

¹ იგულისხმება ქართული ლეგიონის სამახსოვრო ნიშანი (ისტორიულ ლიტერატურაში და ფალერისტიკაში ცნობილია ქართული ლეგიონის ორდენის, ან თამარ მეფის ორდენის სახელითაც), რომლისადმი ოფიციალური გერმანული სამხედრო ჯილდოს სტატუსის მინიჭებაზეც გერმანიის სარდლობამ, ფორმალური მიზეზებით, უარი განაცხადა.

² იგულისხმება ქართული ლეგიონის ვაფენმაისტერი (მეიარაღე) ოტო შლიფაკი.

№ 153

საქართველოს განთავისუფლების კომიტეტის
წევრის, მიხეილ წერეთლის წერილი ოთო გიუნდერ
ფონ ვეზენდორფს, გერმანიის იმპერიის საბარეო
საქმეთა სამინისტროს ლეგაციის მდივანს და ახლო
აღმოსავლეთის საქმეთა რეფერატს, თხოვნით
ი. სელდენის ბერლინის სამთო აკადემიაში ან
თქვენი სკოლაში მსმენელად დაშვების შესახებ

1917 წლის 18 მარტი
ბერლინი

პატივცემულო ბატონო ბარონ,

თავს უფლებას მივცემ შემდეგი გთხოვით:

ი. სელდესმა, რომლის ხელახლა მიღება გთხოვეთ ადრე კლაუსთალის სამთო
აკადემიაში, შემატყობინა, რომ აღნიშნული აკადემია ჯერჯერობით დაკეტილი
რჩება და ამჟამად მას სურს, ცოდნის განსაახლებლად ბერლინის სამთო აკადე-
მიაში ან ტექნიკურ სკოლაში დაუშვან მსმენელად. ამიტომ, გთხოვთ თავაზიანად,
თუ არის შესაძლებლობა, ბატონ სელდესს ზემოხსენებულ სკოლებში რეკომენ-
დაცია გაუწიოთ, მისი იქ შესასვლელად.

თქვენი განსაკუთრებით ერთგული,
მ. ნერეთელი

*Politisches Archiv des Auswärtigen Amts (PA AA), Akten Betreffend den Krieg 1914,
Unternehmungen und Aufwiegungen gegen unsere Feinde im Kaukasus. R 21027.
თარგმანი გერმანულიდან.*

№ 154

**საქართველოს განთავისუფლების კომიტეტის
წევრის, ბიორგი მაგაბლის წერილი ოტო ბიუნდერ
ფონ ვეზენდორფს, გერმანიის იმპერიის საგარეო
საქმეთა სამინისტროს ლეგაციის მდივანს და ახლო
აღმოსავლეთის საქმეთა რეფერატს, რუსეთში
მომხდარი თებერვლის რევოლუციის გამო რუსი
და ქართველი კოლიტიკური და საზოგადო
მოდვანებისადმი განსაზღვრნი თელეგრამების
თქმისთვის პროექტებით**

1917 წლის 20 მარტი
ბერლინი

ჩვენი გუშინდელი მოლაპარაკების გათვალისწინებით, თავს უფლებას მივცემ წინადადება წარმოგიდგინოთ, რომ საქართველოს ინტერესებიდან გამომდინარე ყველანაირი განცხადება მიმართულ იქნას რუსეთის შესაბამისი სტრუქტურებისადმი.

როდესაც ბატონები ფონ წერეთელი და კერესელიძე ამ მიზნით შვეიცარიაში წავლენ, ძალიან მიზანმიმართულად მივიჩნევ, თუკი მე იმავე თვალსაზრისით სტოკჰოლმში ვიმოქმედებ.

გარდა ტელეგრამებისა, რომლებიც საქართველოში და რუსეთში მყოფ ქართველებს მინდა გავუგზავნო, მსურს მოგანოდოთ ერთი დეპეშის წინასწარი ფორმა, რომელიც მილიუკოვისადმი¹ გასაგზავნი, რომელსაც პირადად ვიცნობ. თუკი შენიშვნები გექნებათ ფორმასთან და შინაარსთან დაკავშირებით, გთხოვთ შემატყობინოთ.

გარდა ამისა, სტოკჰოლმში ვისურვებდი, თუკი არ იქნება რუსეთთან ლეგალური კავშირის საშუალება, ფინეთზე გავლით დავამყარო კავშირი პეტროგრადში ერთ მეგობართან.

ვრცელ მოხსენებას ჩემს მოგზაურობასთან დაკავშირებით, მიიღებთ მოგვიანებით.

თავადი გიორგი მაგაბელი

მილიუკოვისადმი გასაგზავნი ტელეგრამის წინასწარი ფორმა

როგორც რუსეთის, ასევე მისი ხალხის ინტერესებისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვნად მიმაჩნია, რომ აქამდელი მანიფესტის განხორციელებაში ახალმა ხელისუფლებამ რეალურად უზრუნველყოს ერების თავისუფლება. მხოლოდ

¹ იგულისხმება მილიუკოვი პავლე (1859-1943).

ასეთი გზით არის შესაძლებელი გარდატეხის განხორციელება და ქვეყნის აღმშენებლობაში ყველას ერთიანი და სასურველი თანამშრომლობა მიღწევადი. ასევე ჩვენ, საზღვარგარეთ მცხოვრები ქართველები, მივესალმებით საგანთა ყველა ახლებურ წყობას, რომელიც აქამდე მივიწყებული საქართველოს უფლებების აღდგენის გარანტიას უზრუნველყოფს.

თუმცა, ასეთი გარდაქმნა მოითხოვს იმპერიის ყველა ძალის ერთობას. ეს შეუძლებელია ომის დროს, რომელიც უკვე აღემატება რუსეთის ძალებს. ასევე წარმოუდგენელია, რომ რუსეთის ორგანიზაციის ნაკლებობამ, რომელმაც ომში დღევანდელი მდგომარეობა წარმოშვა, ახალი მდგომარეობით ისე გამოსწორდეს, რომ ერთდროულად საჭირო გარდაქმნების და საომარი მდგომარეობის ცვლილების შესაძლებლობა მოიტანოს. ამასთანავე რუსეთის გარდაქმნა არის გაცილებით უფრო მნიშვნელოვანი, ვიდრე სხვა რაიმე მისაღწევი შედეგი ამ ომში.

მე პირადად დარწმუნებული ვარ, რომ ახალი რუსეთი მშვიდობის თავშესაფარი გახდება და შესაძლებელი იქნება სწრაფი, არადაამცირებელი მშვიდობის მიღწევა, რითაც რუსეთს შეეძლება დაუბრკოლებლად განახორციელოს შიდა გარდაქმნები.

დუმის წევრებს ჩხეიძეს¹ და ჩხენკელს²

ჩვენ, უცხოეთში მცხოვრები ქართველები, განსაკუთრებით ვითხოვთ, გამოიყენოთ ყველა საშუალება, რომ რუსეთის რეფორმირების პერიოდში საქართველოს უფლებები აღდგეს 1783 წლის ხელშეკრულების მიხედვით.

ახლა საქართველოს ემუქრება შიმშილი და განადგურება.

მეც ვადასტურებ, რომ არადაამცირებელი მშვიდობა რუსეთთან მიღწევადია.

მსგავს ტელეგრამებს (მაგრამ მშვიდობის ხსენების გარეშე და საქართველოს ინტერესებზე მეტი ყურადღების გამახვილებით) ვუგზავნი:

1. თავადაზნაურობის მარშალს ტფილისში, თავად აფხაზს³.
2. ქართული სათვისტომოს თავმჯდომარეს მოსკოვში, თავად ალექსანდრე სუმბათოვს⁴.
3. პეტროგრადის კომიტეტის პროფესორებს, ალექს[ანდრე] ცაგარელს, თავად ჯავახოვს⁵, ნ. მარს.
4. კავკასიაში ქართულ და რუსულ ენებზე გამომავალი გაზეთების რედაქციებს.

Politisches Archiv des Auswärtigen Amtes (PA AA), Akten Betreffend den Krieg 1914, Unternehmungen und Aufwiegungen gegen unsere Feinde im Kaukasus. R 21023.
თარგმანი გერმანულიდან.

¹ იგულისხმება ჩხეიძე ნიკოლოზ (კარლო) (1864-1926).

² იგულისხმება ჩხენკელი აკაკი (1874-1956).

³ იგულისხმება აფხაზი კონსტანტინე (კოტე) (1867-1923).

⁴ იგულისხმება სუმბათაშვილი (სუმბათოვ)-იუჟინი ალექსანდრე (1857-1927).

⁵ იგულისხმება ჯავახიშვილი (ჯავახოვი) ივანე (1876-1940).

№ 155

საქართველოს განთავისუფლების კომიტეტის წევრის
და ქართული ლეგიონის ოფიცრის,
მურად ბეი (ნესტორ) მაღალაშვილის წერილი
გრეგ ფრიდრიხ-ვერნერ ფონ დერ შულენბურგს,
თხოვნით, მიეცეს მას და მის ოჯახს თურქეთიდან
გერმანიაში გაგზავრების უფლება

1917 წლის 22 მარტი
პერა

ბატონო გრაფ,

ჩვენს საუბართან დაკავშირებით, რომლის დროსაც თქვენ მე მირჩიეთ საცხოვრებელ ადგილად თურქეთი ამერჩია, პატივი მაქვს მივაპყრო თქვენი ყურადღება შემდეგ ფაქტებს:

ომის დაწყების დროს ქართული კომიტეტი, რომლის წევრიც მე ვიყავი და რომელიც იმჟამად შვეიცარიაში იმყოფებოდა, გაემგზავრა ბერლინში რათა გერმანიის მთავრობისთვის საკუთარი სამსახური შეეთავაზებინა. გერმანულ მთავრობასა და კომიტეტს შორის მოლაპარაკებულ იქნა, რომ უკანასკნელი თურქეთში გაემგზავრებოდა, რათა იქედან შეეცადა კავკასიაში ქართველი ხალხი აეჯანყებინა. ჩვენ მივიღეთ გერმანული მფარველობის დაპირება, როგორც თურქეთში ჩვენი ყოფნის დროს, ისე შვეიცარიაში ჩვენი თავისუფალი დაბრუნება იმ შემთხვევაში, თუკი ქართული წამოწყება წარუმატებელი აღმოჩნდება.

როდესაც ქართული ლეგიონი ფორმირებულ იქნა, მისი შექმნის დღიდანვე მე ჩავირიცხე მის რიგებში ვიცე-პოლკოვნიკის ჩინით. როდესაც ბოლოს და ბოლოს ლეგიონი დაშლილ იქნა, გერმანულმა მთავრობამ ლეგიონის ყველა ოფიცერს დაპირება მისცა, რომ მათ საკუთარი სურვილის მიხედვით შეუძლიათ აირჩიონ, დარჩნენ აქ, თურქეთში, თუ გაემგზავრონ გერმანიაში. ამრიგად, გერმანული მთავრობის დაპირებების მიხედვით, რომლებიც მას არ შეუძლია და არც სურს უარყოს, მე, როგორც ქართული კომიტეტის წევრს, უფლება მაქვს მოვითხოვო შვეიცარიაში დაბრუნება, ხოლო როგორც ლეგიონის ოფიცერს – გერმანიაში გამგზავრება. თურქეთის დატოვებას მე და ჩემს ოჯახს სერიოზული მიზეზები გვაიძულებენ.

მე მივიღე მუსულმანური რელიგია, მაგრამ არ გავხდი ოტომანური იმპერიის ქვეშევრდომი. ვინაიდან ქართულ კომიტეტს და ლეგიონის ოფიცრებს თურქეთში ცუდი თვალთ უყურებენ (მე-3 ოტომანური არმიის სარდლის ბრძანებით და

ჩვენი ნების წინააღმდეგ, ჩვენ იძულებულნი გავხდით სამსუნი დაგვეტოვებინა) და ვინაიდან, როგორც თქვენ ეგ კარგად იცით, გერმანულ მფარველობას არ შეუძლია ჩვენ სრული უსაფრთხოების გარანტია მოგვცეს, მე, თურქეთში დარჩენის შემთხვევაში, ყოველთვის ვიქნები ოტომანური მთავრობის იძულებითი ზომების ქვეშ. გარდა ამისა, როგორც ქართველს გამოსულს რუსეთიდან, მიუხედავად იმისა, რომ მუსულმანი ვარ, ვერასდროს შევძლებ ვიპოვო სამუშაო, რომელიც აქ ჩემს ოჯახთან ერთად არსებობის საშუალებას მომცემს, თურქეთში ცხოვრების საშინელი გაძვირების გათვალისწინებით. და ბოლოს, რუსეთში მომხდარი ბოლო მოვლენების გათვალისწინებით, აუცილებლად მიმაჩნია, რათა გერმანიის სასარგებლოდ განწყობილი ყველა ელემენტი მყისიერად მოძრაობაში იქნეს მოყვანილი, რათა რუსულ რევოლუციას ცენტრალური ევროპის სახელმწიფოებისთვის სასარგებლო მიმართულება მიეცეს.

კერძოდ, ამ მიზნის განსახორციელებლად მე მზად ვარ დავუყოვნებლივ გავემგზავრო კავკასიაში, როგორც კი ამას გადაწყვეტს კომიტეტი. მაგრამ ასეთ შემთხვევაში, რომელიც მე დიდი ხნით დამაშორებს, ჩემთვის აუცილებელია ვიცოდე, რომ ჩემი ოჯახი არ იმყოფება რაიმე საფრთხის ქვეშ. თქვენ გამაგებინეთ, რომ მოცემულ შემთხვევაში, შესაძლოა, სირთულეები გადაეღობოს წინ ოჯახთან ერთად შვეიცარიაში ჩემს გამგზავრებას. მე ამას სრულებითაც არ მოვიტხოვ, ვინაიდან მსურს გავაგრძელო მუშაობა. მაგრამ ამ მიზეზით, მითუმეტეს უნდა მოვიტხოვო, რათა მე უფლება მომცენ შევიფარო ჩემი ოჯახი გერმანიაში.

ვემყარები რა ყოველივე ზემოთქმულ მოსაზრებებს და განსაკუთრებით, გერმანული მთავრობის არაორაზროვან დაპირებებს, მოგმართავთ თხოვნით, კიდევ ერთხელ იშუამდგომლოთ უკანასკნელის წინაშე, რათა გაცემულ იქნას აუცილებელი ბრძანება, რომელიც მე და ჩემს ოჯახს გერმანიაში გამგზავრების საშუალებას მოგვცემს.

გთხოვთ მიიღოთ, ბატონო გრაფ, ჩემი მაღალი პატივისცემის ახალი დასტური, რომლითაც ვრჩები თქვენი ერთგული,

მურად მაღალაშვილი

Politisches Archiv des Auswärtigen Amts (PA AA), Akten Betreffend den Krieg 1914, Unternehmungen und Aufwiegelungen gegen unsere Feinde im Kaukasus. R 21023.

თარგმანი ფრანგულიდან.

№ 156

საქართველოს განთავისუფლების კომიტეტის წევრთა,
 ლეო კერესელიძის, გიორგი კერესელიძის და
 მიხეილ წერეთლის ძალგება რუსეთის დროებითი
 მთავრობის თავმჯდომარეს, თავად გიორგი ლვოვს,
 საქართველოს უფლების შესახებ, აღადგინოს საკუთარი
 სახელმწიფოებრივი სტატუსი 1783 წლის რუსეთ-
 საქართველოს ხელშეკრულების პირობების საფუძველზე

1917 წლის 26 მარტი
 ჟენევა

ქართული ეროვნული პარტიის ევროპული სექციის სახელით, პატივი გვაქვს შევახსენოთ რუსეთის დროებით მთავრობას, რომ რუსეთში პოლიტიკური რეჟიმის რადიკალური ცვლილების გამო და იმავე მთავრობის მანიფესტის თანახმად, რომელიც იძლევა რუსეთის არარუს ხალხთა ყველა თავისუფლებების გარანტიას, საქართველოს უფლება აქვს საკუთარ უფლებათა აღდგენა მოითხოვოს და შესაბამისად, დაუყოვნებლივ მოიწვიოს ქართული დამფუძნებელი კრება, რომელიც გამოიმუშავებს კონსტიტუციას ავტონომიური საქართველოსთვის, მის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ საზღვრებში რუსული პროტექტორატის ქვეშ 1783 წელს რუსეთსა და საქართველოს შორის დადებული ხელშეკრულების ძალით, რომელიც დარღვეულ იქნა პირველის მიერ ჩვენი ქვეყნის ოკუპაციის შემდეგ. საქართველოს, აგრეთვე, უფლება აქვს აღადგინოს საკუთარი ეკლესიის ავტოკეფალია, 1783 წლის ხელშეკრულებისა და კანონიკური სამართლის დარღვევით მოსპობილი ძველი რეჟიმის მიერ და შესაბამისად, ძველი რეჟიმის გაუქმების შემდეგ აირჩიოს კათალიკოსი. მან უნდა მოითხოვოს ტფილისიდან რუსი ეგზარქოსის დაუყოვნებლივ განწვევა. ორივე ქვეყნის დამფუძნებელი კრებები უნდა შეუდგნენ 1783 წლის ხელშეკრულების რევიზიას და პროტექტორატის ახალი ხელშეკრულების დადებას, რომელიც გააერთიანებს რუსეთს საქართველოსთან.

ლ. კერესელიძე

გ. კერესელიძე

მ. წერეთელი

ქართული ეროვნული პარტიის ევროპული კომიტეტის წევრები

*Les annales des nationalités. Bulletin de l'Union des nationalités.
 Fondateurs J. Gabryls et J. Pélissier. Lausanne, 1917, n°3-4, p. 82-83.*

თარგმანი ფრანგულიდან.

№ 157

საქართველოს განთავისუფლების კომიტეტის წევრთა,
ლეო კერესელიძის, ბიორგი კერესელიძის და
მიხეილ წერეთლის თელავრამა ეპისკოპოს ლეონიდეს,
ქართული ეკლესიის უფლების შესახებ,
აღადგინოს საკუთარი ავტოკეფალია 1783 წლის
რუსეთ-საქართველოს ხელშეკრულების
პირობების თანახმად

1917 წლის 26 მარტი
ჟენევა

გვაქვს პატივი, ვთხოვთ თქვენს ყოვლად სასულიეროს, შეატყობინოთ საქართველოს ყველა ეპისკოპოზებს და მთელს სამღვდელოებას ჩვენი პარტიის აზრი, რომლის მიხედვითაც საქართველოს უფლება აქვს აღადგინოს თავისი ეკლესიის ავტოკეფალია, მოსპობილი ძველი რეჟიმის მიერ წინააღმდეგ 1783 წლის ხელშეკრულებისა და კანონიურ უფლებისა და მოითხოვთ რა განვეუღო იქმნეს რუსის ეგზარქოსი თბილისიდან, დაუყონებლივ შეუდგეთ საქართველოს კათალიკოსის არჩევანს, თანახმად რუსეთის დროებითი მთავრობის მანიფესტისა.

ქართულ ეროვნულ პარტიის ევროპის კომიტეტის წევრები:
ლ. კერესელიძე, გ. კერესელიძე, მ. წერეთელი

ქართული გაზეთი, ბერლინი, 1917, № 30, გვ. 5.

№ 158

საქართველოს განთავისუფლების კომიტეტის წევრთა,
 ლეო კერესელიძის, ბიორგი კერესელიძის და მიხეილ
 წერეთლის თელავრამა გაზეთ „საქართველოს“¹
 რედაქციას, თხოვნით, გამოაქვეყნონ ქართული
 ეროვნული პარტიის სახელით ინფორმაცია
 საქართველოს უფლების შესახებ, აღადგინოს საკუთარი
 სახელმწიფოებრივი სტატუსი 1783 წლის რუსეთ-
 საქართველოს ხელშეკრულების პირობების საფუძველზე

1917 წლის 26 მარტი
 ჟენევა

გვაქვს პატივი ვთხოვთ რედაქციას, რათა მან შეატყობინოს ქართველ საზოგადოებას ჩვენი პარტიის აზრი, რომლის მიხედვით, რუსეთის ძველი რეჟიმის დანგრევის შემდეგ, საქართველოს აქვს უფლება დაუყონებლივ შეუდგეს საქართველოს დამფუძნებელ კრების მოწვევას, რომელიც შეიმუშავებს რუსეთის პროტექტორატის ქვეშ მის ისტორიულ და ეთნოგრაფიულ საზღვრებში აღდგენილ ავტონომიურ საქართველოს ეროვნულ კონსტიტუციას. საქართველოს აქვს უფლება აგრეთვე ამოიჩინოს ქართველი ეკლესიის კათალიკოსი.

საქართველოს აქვს უფლება მოიყვანოს სისრულეში ეს აქტები მიხედვით 1783 წლის ხელშეკრულებისა, რომელიც დარღვეულ იქმნა რუსეთის ძველი რეჟიმის მთავრობის მიერ და რომელიც შევიდა ძალაში ამ რეჟიმის მოსპობის უმალ.

იმავე შინაარსის დეპეშები გაეგზავნათ რუსეთის დროებით მთავრობას, ბატონს მინისტრთა თავმჯდომარეს რიბოს² და ბატონს მინისტრთა თავმჯდომარეს ლოიდ ჯორჯს³.

ქართული ეროვნული პარტიის ევროპის კომიტეტის წევრები:
 ლ. კერესელიძე, გ. კერესელიძე, მ. წერეთელი

ქართული გაზეთი, ბერლინი, 1917, № 30, გვ. 5.

¹ „საქართველო“ – ქართული ყოველდღიური პოლიტიკური, ეკონომიკური და ლიტერატურული გაზეთი ეროვნულ-დემოკრატიული მიმართულებისა. გამოდიოდა ტფილისში 1915-1921 წლებში. რედაქტორ-გამომცემელი – ს. შანშიაშვილი (1915-1916). 1917 წლიდან – გ. ვეშაპელი.

² იგულისხმება საფრანგეთის პრემიერ-მინისტრი რიბო ალექსანდრ ფელიქს ჟოზეფ (Ribot Alexandre Félix Joseph) (1842-1923).

³ იგულისხმება დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი ლოიდ ჯორჯი დევიდ (Lloyd George David) (1863-1945).

№ 159

საქართველოს განთავისუფლების კომიტეტის წევრის,
ბიორგი მაჩაბლის მოხსენება გერმანიის იმპერიის
საგარეო საქმეთა სამინისტროს, კავკასიაში, რუსეთში,
იაპონიაში და ამერიკაში მისი სადაზვერვო მიზნებით
მგზავრობის შესახებ

1917 წლის 27 მარტი
ბერლინი

1916 წლის 29 ივნისს, საღამოს 9 საათისთვის მე, ბატონებთან სელიმ ბეისთან¹, გაზავატთან² და ორ ქართველთან ერთად, საქართველოს შავი ზღვის სანაპიროზე, ანაკლიასთან ვიყავი გადმოსხმული. გადმოსხმამ უპრობლემოდ ჩაიარა, თუმცა, მალე, ჩვენ აღმოვჩნდით დიდი სირთულის წინაშე, ამ ადგილის უცოდინრობის (მეგზური სრულებით უვარგისი აღმოჩნდა) და განსაკუთრებით რთული და დაჭაობებული ტერიტორიის გამო, საიდანაც უნდა გამოგვეღწია. ამისდა მიუხედავად, მესამე დღისთვის, ჩვენ შევძელით კავშირი დაგვეჭირა ამ მიდამოს ადგილობრივ ქართველებთან, რომელთა შორის მე ყოფილი სკოლის მეგობარი, თავადი დ[ადიანი]³ ვნახე. ის დამეხმარა ტანსაცმლის და ეკიპირების შოვნაში და გარდა ამისა, თავად გააცილა სელიმ ბეი და გაზავატი ტფილისისკენ, სადაც ჩემმა იქაურმა მეგობრებმა ასევე იზრუნეს ამ ორი ბატონის მგზავრობის შემდგომ გაგრძელებაზე მათი დანიშნულების ადგილამდე. ორივე ბატონმა საკუთარი დანიშნულების ადგილამდე კარგად ჩააღწია, რითაც პირველი ამოცანა შესრულებულ იქნა.

მალე ამის შემდეგ, ჩემთან გამოცხადდა ქართული კომიტეტის წევრი, რომლისგანაც გავიგე, რომ პირველმა სამმა ქართველმა (ახალკაცმა და სხვებმა) დანიშნულების ადგილას ასევე კარგად ჩააღწიეს. სამნუხაროდ, ისე მოხდა, რომ მეგზური 5000 მანეთის თანხით, რომელიც მას ახალკაცმა შესანახად ჩააბარა, უკვალოდ გაქრა. თუმცა, ეს არ იყო ყველაზე დიდი უბედურება. უარესი ის იყო, რომ, როგორც მე მისგან უპირველეს ყოვლისა შევიტყვე, ჩვენმა სადაზვერვო სამსახურმა სრულებით შეწყვიტა მუშაობა. ადგილზე ჩასვლისთანავე, ახალკაცმა ჩვენი გეგმების და შემდგომი გადმოსხდომის შესახებ ანგარიში წარადგინა და კომიტეტმა მყისვე მიიღო ყველა ზომა, რათა ჩვენთვის შეეტყობინებინა, თუ სად უნდა მოგვეხდინა გადმოსხდომა. ჩვენმა მეგობრებმა ბათუმსა და ფოთს შორის მდინარის შესართავთან სრულიად განმარტოებით მდებარე სახლი შეიძინეს, სა-

¹ იგულისხმება ბებუთოვი სელიმ ბეი მეჰრალი ოღლუ (1883-1943).

² იგულისხმება არზამაკოვი უზდენ (მეტსახელი – გაზავატი).

³ იგულისხმება დადიანი ნიკოლოზ (კოკი) (1878-1939).

დაც ისინი ჩვენ გველოდებოდნენ და სადაც ჩვენც სავსებით კარგად შეგვეძლო გადმოგვეტვირთა იარაღის დიდი რაოდენობა. ცნობა ამის შესახებ ქრისტიანი-აში შეთანხმებულ მისამართზე ტელეგრაფით გამოგზავნა ბატონმა მ[აჩაბელ-მა],¹ რომელიც თავის დროზე შვეიცარიიდან საქართველოში ჩამოვიდა, თუმცა დეპეშა უკან მოუვიდა შეტყობინებით, რომ ადრესატი იქ არ ცხოვრობდა. ასევე მეორე ტელეგრამაც, ადრესატამდე მიუღწევლად დაბრუნდა უკან. გარდა ამისა, ქართველებმა მისწერეს აქ მყოფ ოფიცრებსაც, მაგრამ ჩვენ ამის შესახებ ასევე არაფერი ვიცოდით.

მე ავუხსენი კომიტეტს ჩემი განზრახვები და მოვითხოვე ენერგიული ზომების მიღება მომავალი დიდი თურქული შეტევის მხარდასაჭერად. კომიტეტმა ასევე დიდი სიხარულით მიიღო ჩემი ცნობები, რის შემდეგაც მოქმედების ზუსტი გეგმა იქნა შემუშავებული.

მე დავრჩი დასავლეთ საქართველოში, სადაც ჩემი პრიმიტიული ბინა „ჭალა-დიდის“ ფრიად დიდი ტყის მასივში მდებარე ტყის ქოხში დავიდე და შევუდექი ქართველი დეზერტირების, რომლებიც ათასობით იმალებოდნენ ამ მიდამოებში, ჩვენს მხარეს გადაბირებას. სულ მცირე ხნის განმავლობაში მე შევძელი 180 კაცი შემეკრიბა. მათგან 80 კაცი ჩემთან მყავდა, დანარჩენი 100 კაცი კი, ჩემი ორი მეგობრის მეთვალყურეობის ქვეშ, ორ სხვადასხვა ადგილას – სურამის გვირაბის და რკინიგზის სიახლოვეს მყავდა განლაგებული.

თუმცა, კომიტეტთან ერთად ჩვენ მივიღეთ გადაწყვეტილება არავითარი აქცია არ დაგვეწყო მანამდე, სანამ თურქები რეალურად არ განახორციელებდნენ ძლიერ შეტევას და არ წაინევდნენ წინ რუსულ ფრონტზე. აგრეთვე, მითითება მივეციტ ფრონტზე მყოფ ჩვენ ქართველ ოფიცრებს, თურქებისთვის დახმარება გაენიათ. ამის შემდგომ ტფილისის კომიტეტმა განაახლა საკუთარი ადრინდელი აქტიური მოქმედება. იარაღის გარკვეული რაოდენობა იქნა დარიგებული, შევუდექით ასაფეთქებელი მასალის მოძიებას. საქართველოს ყველა ნაწილში გაიგზავნა ემისრები, რომლებმაც გლეხებს უბრძანეს მიღებული ახალი მოსავლიდან რაც შეიძლება მეტი გადაემალათ, რათა რუს აღმასრულებელ მოხელეებს რაც შეიძლება ნაკლები ჩავარდნოდათ ხელში.

მაგრამ ამის შემდგომ, დაგვიდგა დიდი იმედგაცრუების დრო. ყოველ დღე მოგვდიოდა ცნობები კავკასიის ფრონტზე რუსთა გამარჯვებების შესახებ. სწორედ დროის ამ მონაკვეთში გამოაცხადეს ბაიბურთის, ერზინჯანის და სხვა მრავალი ადგილის აღების შესახებ.

ბევრი რამ უსიამოვნო შევიტყვე ჩვენს ოფიცერთა მიმართ თურქი ოფიცრების დამოკიდებულების შესახებ. ბევრმა ქართველმა ოფიცერმა გაბედა კიდევ, მათ მხარეს გადასულიყო, რათა თურქები ზუსტად ჩაეყენებინა საქმის ყურში ჩვენი მდგომარეობის შესახებ. თუმცა, თურქებმა მიიღეს ისინი სრული უნდობლობით და არაფერზე წასულან მათ შესახებდრად. ამის გამო, ჩემი ერთ-ერთი ბიძაშვილი სამხედრო-საველე სასამართლოს წინაშეც კი აღმოჩნდა და დაიხვრიტებოდა კიდევ, მთელი ოფიცერთა კორპუსი რომ არ გამოსარჩლებოდა. ამის შემდეგ, ის ფრონტის სხვა მხარეს გაგზავნეს. მსგავსმა სამწუხარო მოვლენებმა ბევრი რამ დაგვაკარგინა.

¹ იგულისხმება ნიკოლოზ მაჩაბელი, გიორგი მაჩაბლის ძმა, რომელსაც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, უკანასკნელი იყენებდა მეკავშირედ საქართველოში მყოფ იატაკქვეშა ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის წარმომადგენლებთან.

თურქული შეტევის მოლოდინი, იარაღის შესყიდვა, ხალხის შენახვა და მრავალი სხვა რამ დიდ თანხებს მოითხოვდა. ჩვენ უნდა მეტნაკლებად ჩაგვეცვა და აღგვეჭურვა ჩვენი ხალხი და თუ გავითვალისწინებთ, რომ რუსეთში და განსაკუთრებით კავკასიაში, ფასები ყველაფერზე 10-20 ჯერ გაიზარდა, ცხადი გახდა, რომ ჩვენ, ჩვენი მწირი საშუალებებით, ამას დიდ ხანს ვერ გავუძლებდით. მე დაახლოებით 4 კვირა დავრჩი დასავლეთ საქართველოში. ვინაიდან ფულადი საშუალებები მენურებოდა და ამავე დროს, უარი მივიღე ბატონ ბ-სგანაც, რომელსაც ჩვენთვის კიდევ 50 000 მანეთი უნდა გადაეხადა, იძულებული გავხდი მიმელო გადაწყვეტილება, სამხედრო რაზმი დროებით დამეშალა და ტფილისში წავსულიყავი, რათა მძიმე მდგომარეობაზე მეთათბირა.

იქ გადაწყდა, უკვე დამყარებული მეგობრული ურთიერთობა თათრებთან და ყველა მთიელ ხალხებთან კიდევ უფრო განგვემტკიცებინა, რათა შემდგომი მოქმედების საერთო გეგმა გამოგვემუშაებინა.

ამ მიზნით მე, გადაცმული და სხვა სახელის ქვეშ, ბაქოში გავემგზავრე, სადაც თათართა თავკაცებთან ვანარმოებდი მოლაპარაკებას. (სხვათაშორის, არ შემიძლია არ დავიჩივლო ლეიტენანტ მაჰმუდ ბეის რუმინეთიდან გაქცევის გამო, რომელსაც გერმანულმა მთავრობამ ნდობა გამოუცხადა. კმაყოფილებით შევიტყვე, რომ ის, ამ ნდობის ღალატისათვის, გაძევებულია მთელი ბაქოს საზოგადოებისგან და საკუთარ მეგობართა წრისგან).

ბაქოდან ვლადიკავკაზში გავემგზავრე, რათა ასევე მესაუბრა იქაურ თავკაცებთან. იქ ძალიან ენერგიულად იმუშავა ბატონმა გაზავატმაც, რომელმაც აგრეთვე ჩამოაყალიბა მცირე შეიარაღებული რაზმი. თუმცა, ისიც ჩიოდა ბ-ზე, რომელმაც დაპირებული ფული არ გადაუხადა. გულისამაჩუყებელი იყო, როდესაც ჭაღარა და თვალაცრემლებული ინგუშები და ჩეჩნები, ჩემთან თავისუფალი კავკასიის შექმნის შესაძლებლობაზე საუბრობდნენ. ერთ-ერთმა უხუცესმა სიტყვა-სიტყვით შემდეგი მითხრა: „ჩვენი უმცროსი ძმის, გაზავატის ჩამოსვლამ და მის მიერ გადმოცემულმა ცნობამ ჩვენ ძალიან გაგვახარა. მაგრამ ამ ცნობის გამეორება ჩვენი მოძმე ერის წარმომადგენლის მიერ, რომელმაც ამ საქმეში წამყვანი როლი უნდა ითამაშოს, აღუნერელი სიხარულით აღავსებს ჩვენს გულებს. გვითხარით ჩვენ, რა უნდა გავაკეთოთ, და ჩვენ ყველანი – დიდი და პატარა – მზად ვართ თან გამოგყვეთ“.

არჩეულ იქნა ის ხალხი, რომლებსაც მუდმივი კავშირი უნდა ჰქონოდათ ქართულ და თათრულ კომიტეტთან.

ამასობაში შემატყობინეს, რომ ბევრი იმ პირთაგან, რომლებმაც ჩვენ გადმოსხდომის შემდეგ დახმარება გაგვინია, დაპატიმრებულ იქნა. ამ მიზეზით ტფილისში გავემართე, სადაც ქრთამის მეშვეობით შევძელით თავკაცები გაგვეთავისუფლებინა. ამის შემდეგ, ისევ ვლადიკავკაზში გავემგზავრე, რადგან ჩემი ტფილისში ყოფნა, სადაც აგრეთვე ახალკაცი და სხვა ქართველებიც იმალებოდნენ, ძალიან სახიფათო იყო. ვლადიკავკაზში სწორედ მაშინ, როცა დიდი ტერორისტული აქტის ორგანიზაციაზე ვინყებდი მუშაობას, პოლიცია დამადგა თავს, რომლისგანაც მხოლოდ მეტად სარისკო საშუალებით შევძელი დამეღწია თავი. თუმცა, ამის შედეგად, ჩემი შემდგომი იქ ყოფნა შეუძლებელი გახდა.

იმ დროიდან სხვა თვალსაზრისითაც მომესპო ყოველგვარი მოქმედების საშუალება, რადგან თურქებმა, ამასობაში, ძალიან შორს დაიხიეს უკან და ჩვენ, უახლოეს მომავალში, არ გვრჩებოდა რაციონალური მოქმედების არავითარი პერსპექტივა.

ამ მიზეზით, სხვა პირად გადაცემული, პეტროგრაფში გავემგზავრე, სადაც იმედი მქონდა, ჩემი ნათესავებისა და მეგობრების დახმარებით, როგორმე შევდეტში ჩამელნია. სამწუხაროდ, პასპორტის შეძენა შევდეტში წასასვლელად სრულიად შეუძლებელი იყო. მისი შოვნა მხოლოდ იაპონიაში წასასვლელად აღმოჩნდა შესაძლებელი. რადგან ნებისმიერ შემთხვევაში, მე არ შემიძლო დიდი ხნის განმავლობაში პეტროგრაფში დავრჩენილიყავი, იაპონიაში გავემგზავრე, რათა ამერიკის გავლით, გერმანიაში დავბრუნებულიყავი. აგრეთვე ვვარაუდობდი, რომ იქაც არ დავრჩებოდი უმოქმედოდ.

ჩემი შთაბეჭდილება იაპონიის შესახებ შემდეგია. იქ არა იმდენად ცინდაოს დაკავებით, რამდენადაც რუსეთისადმი შეიარაღების და სხვა ნივთების მიწოდებით მიღებული მოგებით არიან ფრიად კმაყოფილნი. მსოფლიოში საკუთარი მდგომარეობის უზრუნველყოფისთვის, იაპონელები ასევე დიდ უპირატესობას ხედავენ იმაში, რომ თეთრი რასის წარმომადგენლები ურთიერთგლეჯაზე არიან გადასულნი. რუსეთსა და იაპონიას შორის არ არსებობს და არც შეიძლება არსებობდეს არავითარი გულწრფელი მეგობრობა. რუსებმა სრულიად დაკარგეს თავისი პრესტიჟი იაპონელთა თვალში, რომლებიც მათ ფრიად ზემოდან ქვემოთ უყურებენ. მე ეს ჩემს თავზეც გამოცდილი მაქვს. საკუთარ მრავალრიცხოვან მიზანთაგან ერთ-ერთზე, კერძოდ კი აღმოსავლეთ ციმბირის დაპყრობაზე, იაპონიას არავითარ შემთხვევაში არ უთქვამს უარი, რაც ადრე თუ გვიან კონფლიქტს გამოიწვევს.

რაც ინგლისურ გავლენას შეეხება, მსურს ვთქვა, რომ მისგან, ინგლისურ-იაპონური ხელშეკრულების გარდა, არაფერია დარჩენილი. ინგლისელთა პრესტიჟი ძალიან დაცემულია, ხოლო ინგლისელ ელჩთა მცდელობებმა, ენახათ ბარონი კადო¹ პრემიერ-მინისტრად, კრახი განიცადა. მე იაპონიაში სწორედ ამ სამთავრობო კრიზისის დროს ვიმყოფებოდი და შემიძლო მეხილა, რამდენად მცირე ანგარიშს უწევენ იაპონელები საკუთარ ინგლისელ მეგობრებს.

ასევე ბევრი შესაძლებლობა მქონდა სხვადასხვა წრის იაპონელებთან მესაუბრა და შევძელი მეხილა, რამდენად მოსწონთ მათ გერმანული სიძლიერე. იაპონელს გერმანია თითქმის დაუმარცხებლად მიაჩნია და თავს იწონებს იმით, რომ მას აღმოსავლეთ აზიის გერმანელს უწოდებენ.

იაპონიაში დაახლოებით სამი კვირის განმავლობაში გავჩერდი და ყველაფერი ჩემს მიერ ნანახი და გაგონილი მეტყველებს იმაზე, რომ იაპონიას ძალიან ადვილად შეუძლია გამოეყოს საკუთარ მოკავშირეებს და სანინაალმდეგო ზეგავლენის ქვეშ მოექცეს. იაპონიას აგრეთვე ძალა შესწევს, ომი ერთდროულად ამერიკის და რუსეთის წინააღმდეგ აწარმოოს და გაიმარჯვოს. მე ასევე ვფიქრობ, რომ იაპონია საამისოდ მხოლოდ ხელსაყრელ მომენტს ელოდება.

სამწუხაროდ, მე ვერ შევძელი დავახლოებოდი იაპონურ მთავრობას, ვინაიდან მე მოგონილი სახელით ვმოგზაურობდი, და ვინაიდან მე არ ვიცოდი, რამდენად აწყობდა ეს გერმანიის ხელისუფლებას. ყოველ შემთხვევაში, ამის დრო კიდევ არსებობს, თუკი გერმანულ მთავრობას იაპონურთან კონტაქტის დამყარება სურს. აგრეთვე, ამერიკის ინგლისის მხარეზე ომში ჩაბმაც და ამერიკულ-ჩინური მეგობრობის ძლიერი ხაზგასმაც გამოაფხიზლებს იაპონიას. მოგებისა და ფულისადმი დაუოკებელი სწრაფვა იაპონიაში იმდენად გაიზარდა, რომ ინგლისთან

¹ უფრო სწორედ – კატო ტომოსაბურო (1861-1923).

უპერსპექტივო მეგობრობა არ შეიძლება დიდი ხნის განმავლობაში შენარჩუნებული იყოს. რაც უფრო მეტად გაიზრდება გერმანიის მტრების რიცხვი, მით უფრო იზრდება ასევე, სანინალმდეგო ჯგუფის შიგნით კონფლიქტის გაჩაღების საფრთხეც.

ჩინეთის შესახებ მხოლოდ ის შემიძლია ვთქვა, რომ ამერიკელები ნამდვილად უწყობდნენ ხელს ჩინელთა მიერ ურთიერთობების განწყვეტას გერმანიასთან, მაგრამ არა იმისთვის, რომ ისინი გერმანიის წინააღმდეგ გამოეყენებინათ, არამედ იმ მიზნით, რომ იაპონიისთვის ეჩვენებინათ, რამდენად სოლიდარულნი არიან ამერიკა და ჩინეთი. ეს პოლიტიკა იმდენად თავისთავად ცხადად ითვლება ამერიკაში, რომ მასზე არც საუბრობენ. ისინი აგრეთვე მიემხრობიან ბევრის მიერ გაზიარებულ აზრს, რომ შეერთებული შტატების მიერ ომის გამოცხადება, უფრო იაპონიის წინააღმდეგ სამხედრო მომზადებათა შენიღბვას, ვიდრე გერმანიის წინააღმდეგ საომარ მოქმედებებში რეალურ ჩართვას უნდა ემსახურებოდეს.

იაპონიიდან მე ამერიკაში გავემგზავრე, თუმცა ჩემი პასპორტი მხოლოდ იაპონიამდე იწარჩუნებდა ძალას. იაპონიაში მგზავრობის დროს გავიცანი რუსი ბატონი კ., რომელსაც რუსეთისთვის თვითმფრინავთა ძრავები უნდა წამოელო და ამავე დროს, ამერიკაში როგორც კურიერი მიემგზავრებოდა. ის დამპირდა, მიუხედავად იმისა, რომ ახლოს არ მიცნობდა, ჩემს თაობაზე სან-ფრანცისკოში რუს კონსულთან ესაუბრა, თუ მე მასთან ერთად ამერიკაში გავემგზავრებოდი. ამრიგად, ნოემბრის დასაწყისში ამერიკაში ჩამოვედი. მოხელეები, რომლებიც ვერ კითხულობდნენ რუსულად, პასპორტებს ყოველგვარი სირთულეების გარეშე სცემდნენ. სან-ფრანცისკოში მე რუს კონსულს მოვუყევი (რომელთანაც, ისევე როგორც რუს აგენტებთან, მე ბატონმა კ-მ წარმადგინა), რომ იაპონიაში სხვადასხვა შესყიდვების განხორციელება ვცადე და ვინაიდან იქ ვერაფერი ვნახე, ამერიკაში ჩამოვედი, რათა ავტომობილთა ძრავები და სხვა მსგავსი რამ მენახა, და რომ მე აქედან მალე რუსეთში დაბრუნება მსურდა. ამის გარდა, ერთ-ერთ ავტოსკოლაში მე მართლაც 2 კვირაში დავასრულე 6-კვირიანი საავტომობილო კურსი.

სან-ფრანცისკოში რუსული მხარისგან შევიტყვე, რომ ბერკლიში მდებარე Hall-Scott Motor Company რუსული ჯარის სარდლობისთვის ყოველდღიურად თვითმფრინავის 2 ძრავას აწარმოებს და მთლიანობაში, უკვე მიაწოდა მას 150-200 ცალი. აგრეთვე ისიც, რომ ასაფეთქებელი მასალის მწარმოებელი ფაბრიკა „ჰერკულესი“, ოუქლენდში, რუსეთს ასაფეთქებელ მასალას და დენტს აწვდის.

სამწუხაროდ, მე ვერ შევძელი გერმანიის იქაურ გენერალურ კონსულთან კავშირის დამყარება, რადგან სწორედ ამ დროს მიმდინარეობდა სამწუხარო სასამართლო პროცესი გენერალური კონსულის და საკონსულოს სხვა მოხელეთა წინააღმდეგ.

ვინაიდან, მე იქაურ რუსთა ნდობა მოვიპოვე (მივიღე სარეკომენდაციო წერილიც კი ნიუ-იორკში რუსეთის საკონსულოს მდივნის სახელზე), მინდოდა ნიუ-იორკში გამგზავრება. სამწუხაროდ, პლევრიტით დავავადდი, რის გამოც ლოგინად ჩავვარდი 3 კვირის განმავლობაში. შემდეგ, ნიუ-იორკში და ვაშინგტონში გავემგზავრე, სადაც გერმანიის საელჩოს მივაკითხე. იქ ავუხსენი ჩემი განზრახვები და ასევე, მოვუყევი იაპონიაში ჩემს მიერ მიღებული შთაბეჭდილებების შესახებ. რჩევა მივიღე, შეძლებისდაგვარად გერმანიაში დავბრუნებულიყავი. ამრი-

გად, დავბრუნდი ნიუ-იორკში და შევძელი, მას შემდეგ რაც რუსეთში შემდგომი მგზავრობისთვის რუსული საკონსულოსგან მივიღე ვიზა, ჯერ კიდევ იანვარში, სრულიად შემთხვევით, ადგილი „ფრედერიკ VIII“-ზე დამეკავებინა.

გემზე, ასევე შემთხვევით, ტფილისში ამერიკელი კონსული ს. გავიცანი, რომელთანაც ძალიან დავმეგობრდი. მისი აზრით, შეერთებულ შტატებსა და რუსეთს შორის მჭიდრო ურთიერთობები უნდა გაბმულიყო. ამერიკა არასდროს არ ჩაერეოდა რუსეთის შინაგან საქმეებში, როგორც ამას ინგლისი აკეთებდა, არამედ ეკონომიკური მოღვაწეობით შემოიფარგლებოდა.

მე ჩამოვედი გემიდან ქრისტიანიაში, რათა შეუმჩნევლად (ნორვეგიიდან, და არა დანიიდან) გერმანიაში ჩამეღწია.

როგორც ეს უკვე წინა ანგარიშში ვახსენე¹, ვფიქრობ შემდგომ დღეებში შვედეთში გავემგზავრო, რათა იქედან რუსეთში ჩემს მეგობრებთან და პატივცემულ თანამემამულეებთან კავშირი დავამყარო და შეძლებისდაგვარად, სტოკჰოლმში რუსული სამშვიდობო საზოგადოება დავაფუძნო, რათა ამით უცხოეთიდან გავაძლიერო რუსეთში მშვიდობის მომხრეები.

თავადი გიორგი მაჩაბელი

Politisches Archiv des Auswärtigen Amtes (PA AA), Akten Betreffend den Krieg 1914, Unternehmungen und Aufwiegungen gegen unsere Feinde im Kaukasus. R 21023.

თარგმანი გერმანულიდან.

¹ იხ. დოკ. 154.

№ 160

საქართველოს განთავისუფლების
კომიტეტის წევრის, ბიორბი კერესელიძის წერილი
ფონ რენტე-ფინკს, შვეიცარიაში ბერმანის ლეგაციის
მდივანს, რუსეთსა და საქართველოში კომიტეტის
წევრის, ლეო კერესელიძის გაგზავნის
აუცილებლობის შესახებ

1917 წლის 29 მარტი
ბერნი

ბატონო,

პატივი მაქვს გთხოვოთ კეთილი ინებოთ გადასცეთ ბატონ ფონ ვეზენდონკს, რომ ამჟამად ჟენევაში მყოფი ქართული ეროვნული კომიტეტის წევრები საჭიროდ თვლიან გააგზავნონ კავკასიაში კომიტეტის ერთი წევრი, ლეო კერესელიძე, კომიტეტის ზოგადი ხაზის შესაბამისად მუშაობის მიზნით. ეს მუშაობა შედგება:

1. ბატონი ლ. კერესელიძე ყველა ცნობებს რუსეთის პოლიტიკური და ეკონომიკური მდგომარეობის, ასევე სამხედრო ინფორმაციას რუსთა ჯარების დისლოკაციის შესახებ, გადასცემს კომიტეტს და მთავრობას ბერლინში. ამ ცნობებს ის მოგვანვდის წერილობითი ფორმით და იმ პირთა მეშვეობით, რომლებსაც ის გააგზავნის შედეგში.
2. პროკლამაციების გავრცელებით და პოლიტიკური ჯგუფების ჩამოყალიბებით, ის ენერგიულ პროპაგანდას გასწევს სეპარატული ზავის სასარგებლოდ.
3. ის დააარსებს ქართულ გაზეთს ტფილისში (ან ქუთაისში), რომლის მიზანი იქნება გერმანოფილური პროპაგანდის წარმოება და რომელიც მიმართული იქნება ომის წინააღმდეგ.
4. ბატონი ლ. კერესელიძე] მიიღებს აუცილებელ ზომებს რუსეთში დესტაბილიზაციის ორგანიზაციისათვის ან პროპაგანდის საშუალებების, ან ისეთი რევოლუციური აქტების მეშვეობით, როგორც რკინიგზის ხაზების აფეთქება, სატელეგრაფო ხაზების და გზების კომუნიკაციების პერმანენტური განადგურებაა და ა.შ.
5. ის კავშირებს დაამყარებს ლენინის პარტიასთან მისი მოძრაობის ხელშეწყობის და დახმარების მიზნით. ამ ურთიერთობებს ხელს შეუწყობს ლენინის პარტიის რამდენიმე წევრი, რომლებიც უკვე არიან გაგზავნილი

რუსეთში ჩემს მიერ, კერძოდ, ერთ-ერთი ჩვენი თანამემამულე, ძველი ლენინისტი, რომელიც უკვე იმყოფება საქართველოში, რომელიც რუსეთში ლენინთან ერთად გაემგზავრა და რომლის იდეები სრულ შესაბამისობაში იმყოფებიან ქართული კომიტეტის იდეებთან. ის კავშირს დაამყარებს ჯგუფებთან და პირებთან, რომლებიც უკვე არიან გაგზავნილი, ან რომლებსაც მე მოგვიანებით გავგზავნი.

6. ის მოგვანვდის ყველა აუცილებელ ცნობას რუსეთში რევოლუციის მსვლელობისა და განვითარების შესახებ და იმ სარგებლობის თაობაზე, რომელიც შეიძლება ჰქონდეს როგორც ქართულ კომიტეტს, ისე გერმანიის მთავრობას მისი სამხედრო და პოლიტიკური აქციებისაგან.

მსურს განვაცხადო, რომ ეს მგზავრობა და მუშაობა ჩვენ მიგვაჩნია აბსოლუტურად აუცილებლად, და რომ მის შედეგებს ჩვენ განვიხილავთ როგორც ძალიან სასარგებლოს ჩვენი ეროვნული საქმისათვის.

ჩვენ უფრო მომგებიანად მიგვაჩნია, თუკი ბატონი. ლ. კ[ერესელიძე] შეასრულებს ამ მგზავრობას რუს ემიგრანტთა ეშელონში, რომელიც სავარაუდოდ აქედან 8-10 დღეში გაემგზავრება, რის გამოც გთხოვთ უმოკლეს დროში პასუხი გავცეთ ჩვენს მოთხოვნაზე.

ეს სამუშაო მოითხოვს ყოველთვიურ ხარჯს 5 000 რუბლის ოდენობით. მისთვის, ოღონდ, საშიში იქნება თავად წამოიღოს ერთდროულად რამდენიმე თვის თანხა, რასაც საზღვარზე რუსული ხელისუფლების წარმომადგენელთა ეჭვების გამოწვევა შეუძლია. ამიტომ, აუცილებელია, აქ გადავურიცხოთ მას 5 000 რუბლი პირველი თვისთვის, და შემდგომ ყოველთვიურად გავუგზავნოთ მას ეს თანხა ტფილისის ბანკის შუამავლობით სანდო მისამართზე, რომელსაც ის შეგვატყობინებს ჩასვლისთანავე.

გთხოვთ მიიღოთ, ბატონო, ჩემი მაღალი პატივისცემის ნიშნები.

გიორგი კერესელიძე, ქართული კომიტეტის წევრი

Politisches Archiv des Auswärtigen Amtes (PAA), Akten Betreffend den Krieg 1914, Unternehmungen und Aufwiegelungen gegen unsere Feinde im Kaukasus. R 21024.
თარგმანი ფრანგულიდან.

№ 161

საქართველოს განთავისუფლების კომიტეტის
წევრის, ბიორგი მაჩაბლის წერილი ოთო გიუნდერ
ფონ ვეზენდონკს, გერმანიის იმპერიის საგარეო
საქმეთა სამინისტროს ლეგაციის მდივანს და
ახლო აღმოსავლეთის საქმეთა რეფერატს, მისი
სტოკჰოლმში (შვედეთში) ჩასვლის და იქიდან
რუსეთის სახელმწიფო დუმის დეკრეტთან, აკაკი
ჩხენკელთან დაკავშირების მსდელობის შესახებ,
რუსეთში შიდაკოლიტიკური მდგომარეობის
ბარკვევის მიზნით

1917 წლის 30 მარტი
სტოკჰოლმი

ძვირფასო ბატონო ბარონ,

მე აქ გუშინ ღამე ჩამოვედი. დღეს დილით მისიას მივაკითხე. ჩემი ჩანთები
ჯერ არ ჩამოსულა. როგორც კი მე მათ მივიღებ, ეგრევე ტელეგრამას გამოვგ-
ზავნი. საიმპერიო კანცლერის ბოლო გამოსვლა ჩემთვის არაჩვეულებრივად გა-
მახარებელი სიურპრიზია. მე ტელეგრამის ტექსტს ოდნავ შევცვლი, რათა მასში
ეს გამოსვლა დავიმონმო.

მისიაში გავიგე ფინური კომიტეტის მისამართი და ეგრევე კავშირი დავამყა-
რე ბატონ დოქტორ გუმ[ერუს]თან¹. დღეს საღამოს ჩვენ ბატონ ჩხენკელს (დუმის
დეპუტატს) წერილი გავუგზავნეთ, რომელშიც მე მას ვთხოვ აუცილებლად რო-
გორმე ჰაპარანდაში² ჩამოვიდეს, სადაც ჩვენ ერთმანეთს შეგვიძლია შევხვდეთ.
მე ძლიერად ხაზს ვუსვამ ჩვენი შეხვედრის მნიშვნელობას და აუცილებლობას.
თუკი მე შევძლებ მასთან საუბარს, ჩვენ ჩვენს წინაშე იმის ნათელი სურათი გვექ-
ნება, თუ როგორია ნამდვილი მდგომარეობა რუსეთში და რა უნდა მოვიმოქმე-
დოთ ჩვენი მხრივ.

თქვენ მიიღებთ ჩემგან ყოველ მეორე ან მესამე დღეს შეტყობინებებს, თუკი
რამე მნიშვნელოვანი იქნება, ტელეგრაფით.

¹ იგულისხმება გუმერუსი ჰერმან გრიგორიუსი (Gummerus Herman Gregorius) (1877-1948).

² ჰაპარანდა (Haparanda) – დასახლებული პუნქტი შვედეთის ჩრდილოეთით. განლაგებულია მდ.
ტურნეელვენის დასავლეთ ნაპირზე. ხსენებულ მდინარეზე გადის საზღვარი ფინეთთან, ხოლო
მდინარის მეორე ნაპირზე, განლაგებულია ქალაქი ტორნიო.

მე აქ დროებით „გრანდ ოტელში“ ვცხოვრობ, მაგრამ ვარ პატარა ავეჯიანი ბინის მომხრე, რათა თვალში ბევრ ხალხს არ ვეცემოდე და თავისუფალი გადაადგილების საშუალება მქონდეს.

ამრიგად, შემდეგ წერილამდე, საუკეთესო სურვილებით.

სრულიად ერთგულად თქვენი, გ. მაჩაბელი

Politisches Archiv des Auswärtigen Amts (PA AA), Akten Betreffend den Krieg 1914, Unternehmungen und Aufwiegelungen gegen unsere Feinde im Kaukasus. R 21023.

თარგმანი გერმანულიდან.

№ 162

საქართველოს განთავისუფლების კომიტეტის
წევრის, გიორგი მაჩაბლის წერილი ოთო ბიუნდერ
ფონ ვეზენდორფს, ბერლინის იმპერიის საგარეო
საქმეთა სამინისტროს ლეგაციის მდივანს და ახლო
აღმოსავლეთის საქმეთა რეფერატს, სტოკჰოლმში
(შვედეთში) მის მიერ ჩატარებული საუბარო და
მოქმედების შესახებ

1917 წლის 3 აპრილი
სტოკჰოლმი

ძვირფასო ბატონო ბარონ,

ტელეგრამები ჩხენკელის], ჩხეიძის] და მილიუკოვის] სახელზე 1 აპრილს გაიგზავნა. მილიუკოვისადმი] მიმართული ტექსტის მეორე ნაწილში მე ზოგი ცვლილება შევიტანე, რომელიც რუსულ თარგმანში ასე უღერს: „პირადად ჩემის მხრივ, მინდა ისიც დავამატო, რომ გერმანია, ჩემი რწმენით და როგორც საიმპერიო კანცლერის ბოლო გამოსვლიდან ჩანს, რუსეთთან გულწრფელი ზავის დადებისკენ იხრება, რუსეთის შინაგან საქმეებში ჩარევის გარეშე. ამიტომაც, დანაშაული იქნებოდა, უაზრო და სრულიად უსარგებლო ომის გაგრძელება და უდანაშაულო ხალხის შემდგომი სისხლის ღვრა. თქვენი გამარჯვება – უდიდესი გამარჯვებაა, რომლის მიღწევასაც თქვენ (იგულისხმება რუსეთი) შეძელით, და მხოლოდ სწრაფი და ღირსეული ზავი მოგცემთ საშუალებას დაასრულოთ თქვენი მადლიანი სამუშაო, – თავისუფლება და მშვიდობა დაამყაროთ“. თუკი ჩემი ტელეგრამა უპასუხოდ დარჩა, მე მოვძებნი სხვა საშუალებას, რათა ახალი მთავრობის ომის წყურვილი დავასუსტო. ხვალ ადგილობრივ გაზეთში „Nya Dagligt Allehanda“¹ გამოდის სტატია საქართველოს შესახებ, რომელშიც დღევანდელი მთავრობა არც თუ ნაქებ კონტექსტში არის წარმოდგენილი. გარდა ამისა, მე ფინელები დავიყოლიე, მოგვეწყო დიდი საზავო კონფერენცია რუსეთის დანარჩენი ეროვნებების წარმომადგენლებთან და შესაძლებელია, აგრეთვე რუს სოციალისტებთანაც. ამ დღეებში ჩვენ გამოვიმუშავეთ პროგრამას და მცირე გადავდგამთ აუციებელ ნაბიჯებს მის შესაკრებად.

ჩვენ უნდა ყველაფერი ვცადოთ, რათა რუსეთში მშვიდობის მომხრე მხარე გავაძლიეროთ. თუკი აქამდე ქართველთა იმედები ომზე იყვნენ დამყარებულნი, ამ-

¹ „Nya Dagligt Allehanda“ („ახალი ყოველდღიური ყოველნაირი ამბები“) – შვედური გაზეთი. გამოდიოდა სტოკჰოლმში 1859-1944 წლებში.

ჟამად ისინი ზავის დადებას ეფუძნებიან, რადგან დარწმუნებული ვარ, რომ მშვიდობის დამყარებისთანავე რუსეთში ისეთი უნესრიგობა წარმოიქმნება, რომ ჩვენ ადვილად შევძლებთ ამ ქაოსიდან რუსეთს სრულიად გამოვეყოთ. მე მივწერე მთელი რიგი წერილები ჩემს მეგობრებს და გაზეთებს საქართველოში და რუსეთში, სადაც ხალხს მოვუწოდებ აწარმოონ პროპაგანდა მშვიდობის სასარგებლოდ და მშვიდობის მომხრეებს დაუჭირონ მხარე. ამ წერილებს ჩვენ არალეგალურად ვაგზავნით, ასე რომ იმედი გვაქვს, რომ ისინი მონახავენ საკუთარ ადრესატებს.

ჩემს წერილზე ჩხ[ენკელისადმი], რის შესახებაც მე თქვენ პირველ წერილში გატყობინებდით, მე ჯერჯერობით პასუხი არ მომსვლია და არც შემდეგო მქონდა ასეთი მცირე ხნის განმავლობაში. ამის გარდა, მისი დაჭერა არც თუ ისე ადვილია, ვინაიდან ის ამჟამად მუდმივად მოგზაურობს. მე მაინც იმედს ვინარჩუნებ, რომ ის წერილს მიიღებს და რომ მე მისგან რამეს გავიგონებ. თუკი ჩვენ გამოგვივა, სადმე რომ შევხვდეთ, მაშინ მე წინასწარ, ყოველ შემთხვევაში რამოდენიმე მნიშვნელოვან საკითხში მაინც ოდნავ მეტად უნდა ვიყო ინფორმირებული, რადგან არ შემიძლია მას ცარიელი სიტყვებით შევეგებო. ის არის სერიოზული და ჩუმიად მომუშავე პარლამენტარი, რომელსაც საკუთარ კოლეგებზე უფრო დიდი გავლენა აქვს, ვიდრე მეორეს, – ჩხ[ეიძეს], რომელიც უფრო მეტი პოპულარობით სარგებლობს. ამიტომ შევეცდები, რომ საგარეო საქმეთა სამინისტრომ ადგილობრივი მისიის მეშვეობით მე დაგეგმილი შეხვედრის შესახებ ინფორმაცია მომანოდოს, – როგორ დასვამს გერმანული მთავრობა შემდგომი სამი დღის განმავლობაში, რომლებიც, როგორც ჩანს, მოლაპარაკებათა პროგრამას შეადგენენ, რუსეთის დაპყრობილი ტერიტორიების საკითხს. ბალკანების (სერბია, მონტენეგრო, რუმინეთი) და დარდანელების საკითხს (მე არ ვგულისხმობ კონსტანტინოპოლს, რადგან მე უნდა განვაცხადო, რომ ამ საკითხში გერმანული მთავრობის შეხედულებას ვიცნობ).

ვარწმუნებ გერმანულ მთავრობას, რომ ყველაფერს, რასაც ნდობით გამიზიარებენ, არავინ გაიგებს და ჩხ[ენკელს] მხოლოდ იმ შემთხვევაში გავუმხელ, თუკი დავრწმუნდები, რომ ზავის დადების პერსპექტივა რეალურად არსებობს.

გთხოვთ, ძვირფასო ბატონო ბარონ, ინდოელ და სპარსელ ბატონებს როგორმე შეატყობინოთ, რომ სამნუხაროდ ახლანდელ გარემოებებში ჯერ-ჯერობით ვერაფერი ვქენი, მაგრამ იმედი მაქვს, რომ მალე შევეხმიანები.

გარდა ამისა, სამნუხაროდ უნდა გთხოვოთ მისიის მეშვეობით 2000 კრონა გამომიგზავნოთ. აქ საშინლად ძვირი ცხოვრებაა და 100 მარკაში მხოლოდ 52 კრონას ვიღებ. ოტელიდან გადავედი. ჯერ ეგერთი, რათა შეძლებისდაგვარად მშვიდად და შეუმჩნეველად ვიყო, და მეორეც, რათა გავექცე აქაურ მაღალ ფასებს. ჩემთვის პატარა ავეჯიანი ბინა ვიქირავე და იმედი მაქვს, რომ იქ კარგად მოვეწყობი.

მეგობრული სალმით,
უერთგულესად თქვენი,
გ. მაჩაბელი

Politisches Archiv des Auswärtigen Amtes (PA AA), Akten Betreffend den Krieg 1914, Unternehmungen und Aufwiegungen gegen unsere Feinde im Kaukasus. R 21023.

თარგმანი გერმანულიდან.

№ 163

საქართველოს განთავისუფლების კომიტეტის
თავმჯდომარის, კეთრე სურგულაძის თელავრამა
მიხეილ წერეთელს და ბიორგი მარაბელს,
რუსეთის 1917 წლის თებერვლის რევოლუციის
შედეგად შექმნილი ახალი გარემოებების გამო
კომიტეტის წევრთა შეხვედრის ორგანიზაციის
აუცილებლობის შესახებ

1917 წლის 5 აპრილი
კონსტანტინოპოლი

რუსული რევოლუცია ვითარების ახალი ცვლილების და ჩვენი მოღვაწეობის
ახალი ფორმით და ახალ ასპარეზზე განვითარების საშუალების იმედს გვაძლევს.
აუცილებლად ვთვლით შევხვედეთ ერთმანეთს, რათა საუბარი გვქონდეს ამის თა-
ობაზე. შესაბამისად, გვაცნობეთ, თუ შეძლებთ ჩამოსვლას ან სხვანაირად ორგა-
ნიზაცია გაუკეთოთ ჩვენს შეხვედრას.

სურგულაძე

*Politisches Archiv des Auswärtigen Amts (PA AA), Akten Betreffend den Krieg 1914,
Unternehmungen und Aufwiegungen gegen unsere Feinde im Kaukasus. R 21023.
თარგმანი ფრანგულიდან.*

№ 164

საქართველოს განთავისუფლების კომიტეტის წევრის, მიხეილ წერეთლის წერილი ოთო ბიუნდერ ფონ ვეზენდონკს, გერმანიის იმპერიის საგარეო საქმეთა სამინისტროს ლეგაციის მდივანს და ახლო აღმოსავლეთის საქმეთა რეფერატს, ხსენებული კომიტეტის წევრების, ბიორგი მაგაბლის, კედრე სურგულაძის და ბიორგი კერესელიძისთვის გადასაგზავნი წერილების თქმის შესახებ¹

1917 წლის 7 აპრილი
ბერლინი

პატივცემულო ბატონო ბარონ,

თავაზიანად გთხოვთ ეს წერილები გაუგზავნოთ ბატონებს მაჩაბელს, სურგულაძეს და კერესელიძეს სტოკჰოლმში, კონსტანტინოპოლში და ჟენევაში.

თქვენი ერთგული მ. წერეთელი

წერილი პეტრეს და ოსმანს²

ავტორი ამბობს, რომ ის შვეიცარიაში იყო და ახლა დაბრუნდა. მან დეპეშა მიიღო. გიორგი³ აქ არ არის, ის სტოკჰოლმშია და იქ დიდი ხანი დარჩება. ავტორს ახლა იქ გამგზავრება დროებით არ შეუძლია. კავკასიის საკითხი დროებით უნდა შეჩერდეს, იქ ადგილზე ახლა ვერაფერი გაკეთდება. მოსაზრებები ჩხეიძის შესახებ და მისი დამოკიდებულება გერმანიის მიმართ ორ დანარჩენ წერილში. თქვენ უნდა მისწეროთ მას, რა ხდება იქ ახალი და რა ისმის საქართველოს შესახებ. გოგია⁴ ჟენევაში დარჩა. მადლობა ოსმანს ფულისთვის.

¹ გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს არქივში, ხსენებულ წერილთა დაცული შინაარსი, ქართულიდან გერმანულად თარგმნილ იქნა აღმოსავლეთის ცნობათა ბიუროს (ნახრიხტენშტელეს) მიერ.

² იგულისხმება ქარცივაძე მელიტონ (ოსმან ბეი).

³ იგულისხმება მაჩაბელი გიორგი (1885-1935).

⁴ იგულისხმება კერესელიძე გიორგი (1885-1960).

წერილი გიორგის და ლეოს (კერესელიძეებს)

ავტორი საუბრობს ლეოს წიგნის დაბეჭდვის შესახებ¹, მან არ იცის დაბეჭდავს თუ არა ვეზენდონკი და ცნობათა ბიურო ამ წიგნს, მან ვეზენდონკთან ასევე ისაუბრა სტოკჰოლმის კონგრესის² შესახებ. ის ასევე საუბრობს რუსეთის რევოლუციის შესახებ და ჩხეიძეს³ იდიოტს უწოდებს. მან პეტრესგან⁴ დეპეშა მიიღო. ასევე საუბრობს ის რუსი ემიგრანტების შესახებ გერმანიაში, ამის შესახებ მას არაფერი გაუგია. აქ სიახლე იქნებოდა ჩინეთის ჩართვა ომში. ომის სიძულვილი და ევროპის განადგურება და ომის შედეგები. გოგია მალე უკან უნდა დაბრუნდეს. მან მიიღო თავისი შვილის წერილი. თქვენ მალე უნდა მოინეროთ.

ავტორი წერს, რომ ის შვეიცარიიდან დაბრუნდა, გოგია იქ დარჩა. ის ცუდს წერს ჩხეიძის შესახებ, რომელმაც გერმანიას ომი გამოუცხადა, თუმცა მშვიდობაზე ლაპარაკობდა. შემდეგ ის საუბრობს ქართული დელეგაციის შესახებ სტოკჰოლმში და მათი მისაღები რეზოლუციის შესახებ. მან ვეზენდონკთან ისაუბრა ამის თაობაზე. ავტორი ურჩევს მიმღებს კონგრესის შესახებ ვეზენდონკს მისწეროს. მან მიიღო პეტრეს დეპეშა სტამბულიდან. საქმიანობამ სტამბულში დროებით უნდა მოიცადოს, ოფიცრები აქ დარჩნენ. მას უნდა რომ პეტრეს ამის შესახებ მისწეროს. მოკითხვა. მან უნდა უკან მოინეროს⁵.

Politisches Archiv des Auswärtigen Amts (PA AA), Akten Betreffend den Krieg 1914, Unternehmungen und Aufwiegungen gegen unsere Feinde im Kaukasus. R 21023.

თარგმანი გერმანულიდან.

¹ იგულისხმება ლ. კერესელიძის 1917 წელს შვეიცარიაში გამოქვეყნებული ბროშურა: „საქართველო და რუსეთის ბატონობა“ (L. Keresselidzé. La Géorgie et la domination russe. Soleure, 1917.).

² იგულისხმება 1917 წლის ზაფხულში სტოკჰოლმში დაგეგმილი სამშვიდობო სოციალისტური კონფერენცია, რომელიც, საბოლოოდ, არ გაიმართა.

³ იგულისხმება ჩხეიძე ნიკოლოზ (კარლო) (1864-1926).

⁴ იგულისხმება სურგულაძე პეტრე (1871-1931).

⁵ ამ წერილის შინაარს ადრესატი არ აწერია, მაგრამ ეგზავნება გიორგი მაჩაბელს.

№ 165

**საქართველოს განთავისუფლების კომიტეტის
წევრის, ბიორგი მაგაბლის წერილი ოთო ბიუნდერ
ფონ ვეზენდორფს, ბერმანის იმპერიის საბარეო
საქმეთა სამინისტროს ლეგაციის მდივანს და ახლო
აღმოსავლეთის საქმეთა რეფერატს, სტოკჰოლმში
(შვედეთში) მის მიერ ჩატარებული საბუშაოს და
მომავალი გეგმების შესახებ**

1917 წლის 8 აპრილი
სტოკჰოლმი

დიდად პატივცემულო ბატონო ბარონ,

პეტროგრადიდან ჯერ კიდევ არავითარი ცნობები არა მაქვს. გუშინ ჩხეიძეს ისევ გავუგზავნე ტელეგრამა, რომელსაც შემდეგი შინაარსი ჰქონდა: „თქვენმა მოწოდებამ მსოფლიოს ყველა ხალხისადმი აქ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. მე ვსაუბრობ სხვადასხვა ეროვნებათა და ჯგუფების წარმომადგენლებთან. ყველა ულოცავს (მიესალმება) თქვენს კეთილშობილებას და იმედი აქვთ, რომ რუსული დემოკრატია შეძლებს მსოფლიო მშვიდობის დამყარებას, რითაც მუდმივ და საუკეთესო ძეგლს აუგებს რუსეთის განთავისუფლებას. დაბეჯითებით შემოძლია გითხრათ, რომ რუსულ თავისუფლებას გარედან საფრთხე ემუქრება. თუკი თქვენ თქვენი დიდი იდეის განხორციელებას შეუდგებით, მოხარული ვიქნები თქვენთვის როგორმე სასარგებლო ვიყო. სიამოვნებით ვიქნები მზად ნებისმიერი სამსახურისათვის. გთხოვთ მიესალმოდეთ და მოლოცვა გადასცეთ კაკი წერეთელს¹. ველოდები სიახლეებს. გ. მ“. კაკი წერეთელი პირველი დუმის წევრი იყო და თავის დროს, ვიბორგის მოწოდების გამო, ციმბირში იქნა გადასახლებული. ის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთი ლიდერია და ხალხის ძალიან დიდი სიყვარულით სარგებლობს. წერეთელი დიდი ენთუზიაზმით ისევ იქნა მიღებული პეტროგრადში. ჩვენი წერეთელი და მე მას პირადად ვიცნობთ.

ჩხენკელისგან მე უკვე არ შემოძლია რაიმე პასუხი მომივიდეს, რადგან ის, როგორც რუსული გაზეთიდან შევძელი გამეგო, კავკასიისკენ გაემგზავრა.

ჩემი აზრით, ჩვენ უნდა გავაძლიეროთ ზავის მომხრე პარტია მიუხედავად იმისა, რომელი ელემენტებისგან შედგება ის. ამით ისინი არ იქნებიან სრულიად დაძლეულნი ომის მომხრეთა მიერ და ამით მთავრობას ძლიერ ოპოზიციას გაუწევენ. მიუხედავად დამაწყნარებელი ცნობების, რომლებიც რუსეთიდან მოდის, რუსული გაზეთებიდან მაინც ჩანს, რომ იქ უწესრიგობა მეფობს, რომელიც ადვილად

¹ იგულისხმება წერეთელი ირაკლი (1881-1959).

შეიძლება გადაიზარდოს ანარქიაში. ამიტომაც, ასევე სასწრაფოდ აუცილებელია მოწოდებების მეშვეობით რუსები ფრონტზე ომის წინააღმდეგ აღვაგზნოთ. მე ოდნავ ვერკვევი რუსულ ხასიათში და მის ფსიქოლოგიაში. დამიჯერეთ, ამ მოწოდებებს ჩვენთვის დიდი სამსახურის განევა შეუძლიათ. რა თქმა უნდა, ყველაფერი დამოკიდებული იქნება ამ მიმართებების შინაარსზე. ისინი დიდი გულმოდგინებით და უპირველეს ყოვლისა, დროის და გარემოებათა გათვალისწინებით უნდა იქნენ შედგენილნი. მე თან ვურთავ ამ წერილს ერთი ასეთი მოწოდების ტექსტს და დიდად მესიამოვნებოდა იმის გაგონება, რომ ის გამოყენებულ იქნა. ჩვენ ხშირად უნდა გავავრცელოთ მსგავსი ფურცლები, რომლებიც სამართლიანად მიუთითებენ რუსული მთავრობის შეცდომებზე. ეს ფურცლები თვითმფრინავების მეშვეობით ყველგან უნდა იქნენ ჩამოყრილნი, თვით ფრონტისპირა ქალაქებში და სოფლებშიც კი. ჩვენ არ უნდა მივცეთ რუს გლეხთა და ჯარისკაცთა ნაღრძობ ტვინს მოსვენების საშუალება.

ბარონ ფონ როპპმა¹ ტელეგრაფით გააკეთა განცხადება კონფერენციის მომზადების წინააღმდეგ. ამ მიზეზით, ბატონი დოქტორი გუმმერუსი ბერლინში ჩამოვა, რათა თქვენთან და ფონ როპპთან ეს საკითხი განიხილოს. ჩემი მხრივ მიმაჩნია, რომ კონფერენცია, შეკრებილი ლიგის მეშვეობით და სხვა რუსულ პარტიათა დაპატიჟებით, რაც შეიძლება მალე უნდა გაიმართოს.

იმ შემთხვევაში, თუკი პეტროგრადიდან არავითარ ცნობებს არ მივიღებ და ჩემი შემდგომი აქ ყოფნა უსარგებლო იქნა, თხოვნით მივმართავ გერმანულ მთავრობას სრულად მიმიღოს საკუთარ განკარგულებაში. უკიდურეს შემთხვევაში, თავს არც იმისგან შევიკავებ, როგორმე პეტერბურგში შევალნიო და აუცილებელი გაფიცვები მოვანყო, ჩვენთვის საზიანო პიროვნებათა მოსაცილებლად. ჩემი ბედი იმდენად მჭიდროდ არის დაკავშირებული საქართველოს და გერმანიის ინტერესებთან, რომ მე არაფრისგან არ დავიხვევ უკან, რასაც ჩვენთვის სარგებლობის მოტანა შეეძლება. თუკი ჩვენი მტრები კიდევ უფრო მომრავლდებიან, ჩვენ მაინც გავიმარჯვებთ და ამით კიდევ უფრო მეტ დიდებას მივაღწევთ.

თქვენი ქვეშაირიტად ერთგული,
თავადი გ. მაჩაბელი

*Politisches Archiv des Auswärtigen Amtes (PA AA), Akten Betreffend den Krieg 1914,
Unternehmungen und Aufwiegelingen gegen unsere Feinde im Kaukasus. R 21023.
თარგმანი გერმანულიდან.*

¹ იგულისხმება ფონ დერ როპპი ფრიდრიხ თეოდორ ლუი სილვესტრ (von der Ropp Friedrich Theodor Louis Sylvester (1879-1964).

№ 166

**საქართველოს განთავისუფლების კომიტეტის
წევრის, გიორგი მაჩაბლის წერილი ოთო ბიუნდერ
ფონ ვეზენდორფს, ბერმანიის იმპერიის საბარეო
საქმეთა სამინისტროს ლეგაციის მდივანს და ახლო
აღმოსავლეთის საქმეთა რეფერატს, სტოკჰოლმში
ბარონ ვოლდემარ ფონ უქსკულთან¹ შეხვედრის
შესახებ**

1917 წლის 10 აპრილი
სტოკჰოლმი

პატივცემულო ბატონო ბარონ,

რამდენიმე დღის წინ მეწვია ბარონი ვოლდემარ ფონ უქსკული, რომელმაც ჩემი აქ ყოფნის შესახებ შვედურ გაზეთში ჩემი სტატიიდან შეიტყო. აღმოჩნდა, რომ ჩვენ ბევრი საერთო მეგობარი გვყავს, პირველ ყოვლისა ბატონი გაზავათი, რომელსაც ჩემთვის ძალიან ბევრი კარგი აქვს ბარონ უქსკულის შესახებ მონათხრობი, თუ როგორ აძლევდა საშუალებას მას ჯერ უცხოეთში გამგზავრების, შემდეგ კი გერმანიაში დაბრუნების. გაზავათმა მითხრა, რომ ის ბარონ უქსკულის მაღლიერი უნდა იყოს და მთხოვა, თუკი ბარონს როგორმე შევხვდებოდი აქ, მისი მისალმება გადამეცა. მე ბარონ უქსკულს ვუთხარი, რომ გაზავათს კავკასიაში დავეხმარე, რომ ის იქ იმყოფება და თავისი ხალხისთვის მუშაობს, რაც ბარონმა უკვე იცოდა. დღეს დილით ბარონმა უქსკულმა შემატყობინა, რომ აქაური გერმანიის სამხედრო ატაშეს, ფონ გუზეს აგენტს, რომელსაც ასევე სტატია უნდა წაეკითხა, ჩემი გაცნობა და რუსეთის მდგომარეობაზე დალაპარაკება უნდა. მე მას თანხმობა მივეცი და დღეს ნაშუადღევს შევხვდი ამ ბატონ რაინჰაიმერს. მას შემდეგ რაც ბევრი საკითხი განვიხილეთ, ბატონმა რაინჰაიმერმა მკითხა, ხომ არ მინდოდა გერმანიის მთავრობასთან კავშირის დამყარება. მე მას ავუხსენი (რაიმე უფრო დეტალურის გარეშე), რომ მე უკვე ვიმყოფები გერმანიის მთავრობასთან კავშირში და სხვადასხვა საკითხებით ვარ დაკავებული. მის შეკითხვაზე, თუ ვისთან მაქვს კორესპონდენცია, თქვენი სახელი დავასახელე იმ წინაპირობით, რომ კონფიდენციალურობა საჭირო არ არის. რაიმე გაუგებრობა რომ არ წარმოიქმნას, თავს ვალდებულად მივიჩნევ, ეს ყველაფერი თქვენ შეგატყობინოთ. ჩემთვის სულერთია ბერლინიდან მივიღებ ინსტრუქციებს თუ აქაური სამხედრო

¹ იგულისხმება ფონ უქსკული ვოლდემარ კარლ ჰაინრიხ ალექსანდერ (von Uexküll Woldemar Karl Heinrich Alexander) (1860-1952).

ატაშესგან, მთავარი აქ ის არის, რომ რამეს გაკეთება შეუძლო და უმოქმედოდ არ დავრჩე.

რაც ჩემს შთაბეჭდილებას შეეხება ბატონ ბარონ ვოლდემარ უქსკულზე, სიამოვნებით მინდა აღვნიშნო, რომ ის კარგად იცნობს კავკასიას და კარგი, გულწრფელი გერმანელია. რუსეთში მისი მამულების ბედი ახლა არცთუ იოლი გამოსარკვევია მისთვის.

თქვენი ერთგული,
თავადი მაჩაბელი

P. S. თქვენი პაკეტი ჩემთან არის. ველოდები ცნობებს თქვენგან. რამდენიმე დღის წინ მე მოგწერეთ მიმართოთ ბატონ ფონ კინლინს¹, რათა მან პაკეტის გაგზავნა უზრუნველყოს.

Politisches Archiv des Auswärtigen Amts (PA AA), Akten Betreffend den Krieg 1914, Unternehmungen und Aufwiegungen gegen unsere Feinde im Kaukasus. R 21023.
თარგმანი გერმანულიდან.

¹ როგორც ჩანს, იგულისხმება ფონ კინლინი ალბერტ (von Kienlin Albert) – შვედეთში გერმანიის ლეგაციის მდივანი.

№ 167

**საქართველოს განთავისუფლების კომიტეტის
წევრის, გიორგი მაჩაბლის წერილი ოთო ბიუნდერ
ფონ ვეზენდორფს, ბერმანის იმპერიის საბარეო
საქმეთა სამინისტროს ლეგაციის მდივანს და ახლო
აღმოსავლეთის საქმეთა რეფერატს, რუსეთში
მშვიდობის მომხრე ძალების მხარდაჭერის
აუცილებლობის შესახებ**

1917 წლის 15 აპრილი
სტოკჰოლმი

პატივცემულო ბატონო ბარონ!

კვლავაც გიგზავნით პროპაგანდისტული პროკლამაციების ორ ესკიზს, რომლებიც ფრონტისთვისაა განკუთვნილი. სამწუხაროდ, თქვენგან ინფორმაცია არ მომსვლია რას ფიქრობთ, გამოდგება თუ არა ეს პროკლამაციები სამომავლოდ. მე ვფიქრობ, ამასთან დაკავშირებით დაველაპარაკო აქაურ სამხედრო ატაშესაც და მასაც გადავცე ესკიზები. ამიტომ, სასურველი იქნებოდა ამაზე თქვენი აზრის მოსმენა.

პეტროგრადიდან სიახლე არ მომსვლია, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ ჩემი ტელეგრამები უშედეგოდ არ დარჩებოდნენ შესაბამის ბატონებთან მიმართებაში. თუ ეს საჭირო იქნება, იქ გამგზავრებასაც გადავწყვეტილი. უკვე ვგეგმავ, თუ როგორ შემიძლია ამ მოგზაურობის განხორციელება.

ჩემი მოსაზრების შესახებ, რომ ჩვენი ლიგა მაქსიმალურად სწრაფად მოიწვევს აქ კონფერენციას, უკვე მოგწერეთ და კვლავ შემიძლია გავიმეორო, რომ განსაკუთრებით სასწრაფოა ყველა მხრიდან და ყველა საშუალებით, მშვიდობის მხარდამჭერებს დავეხმაროთ რუსეთში, რომ ისინი დღევანდელი ხელისუფლების წინააღმდეგ ძლიერი ოპოზიციით გამოვიდნენ.

ჩემი აზრით, როგორც ამჟამად აშკარად ვითარდება მოვლენები რუსეთში, მოხდება შეტაკება მთავრობასა და მუშურ კომიტეტს შორის, რაც რუსეთს ახალი კატასტროფისკენ წაიყვანს.

მაგრამ თუ მშვიდობის პარტია გაიმარჯვებს, მაშინ უეჭველად საქმე მივა სეპარატულ მშვიდობამდე.

თქვენი ერთგული
თავადი გიორგი მაჩაბელი

პროპაგანდისტური პროკლამაციების გარდა, გიგზავნით ამონაჭრებს რუსული გაზეთებიდან „საქართველოს“ შესახებ და წერილს წერეთლისადმი, რომელსაც მეგობრულად გთხოვთ, მას გადაუგზავნოთ. თქვენი პაკეტი გუშინ გაიგზავნა.

Politisches Archiv des Auswärtigen Amts (PA AA), Akten Betreffend den Krieg 1914, Unternehmungen und Aufwiegungen gegen unsere Feinde im Kaukasus. R 21023.
თარგმანი გერმანულიდან.

№ 168

**საქართველოს განთავისუფლების კომიტეტის
წევრის, გიორგი კერესელიძის წერილი ოთო გიუნდერ
ფონ ვეზენდონკს, გერმანიის იმპერიის საბარეო
საქმეთა სამინისტროს ლეგაციის მდივანს და ახლო
აღმოსავლეთის საქმეთა რეფერატს, შვეიცარიაში
მის მიერ რუსული ემიგრაციის წარმომადგენლებთან
ჩატარებული სამუშაოს შესახებ**

1917 წლის აპრილის შუა რიცხვები
ჟენევა

ბატონო ბარონ,

ჩემი აზრით, რაც უფრო მეტი დეზორგანიზაციის მატარებელი ელემენტი დაბრუნდება რუსეთში, ელემენტები, რომლებიც საკუთარ თავში შეიცავენ რუსეთის შიდა ცხოვრების და შესაბამისად, ომის წარმოების დეზორგანიზაციას, – მით უფრო იქნება მდგომარეობა მომგებიანი ჩვენთვის, ხოლო ჩვენი მიზნები – ადვილად მიღწევადი.

მე ვმუშაობ ამ მიმართულებით.

რუსი ემიგრანტები იყოფიან შემდეგ ორ ნაწილებად: პირველი, პატრიოტული მიმართულების, რომლებიც მოითხოვენ ომს დასასრულამდე. მეორე, „ინტერნაციონალისტები“, მოითხოვენ დაუყოვნებლივ მშვიდობას, საბრძოლო მოქმედებების შეწყვეტას, პროლეტარიატის დიქტატურას და ა.შ. ერთი სიტყვით, უკანასკნელ ელემენტებს თან მოაქვთ სრული დეზორგანიზაცია, განსაკუთრებით ისეთ ახალ ორგანიზაციაში, როგორც რუსული დროებითი მთავრობაა, ისევე როგორც რუსეთის ახალ საზოგადოებაში, იმ შემთხვევაშიც კი, თუ უკანასკნელი ჯერ კიდევ არც არის ჩამოყალიბებული.

გამომდინარე ამ მდგომარეობიდან და მისი გამოყენების მიზნით, მე ვაკეთებ ყველაფერს, რაც კი შესაძლებელია, რათა გავაძლიერო ინტერნაციონალისტური ტენდენციები.

მე დახმარებას ვუწევ რუს ინტერნაციონალისტთა და ანარქისტთა ჯგუფის ორგანიზაციას, რომლებიც აქაც კი (შვეიცარიაში) არასდროს მისცემენ რუს პატრიოტებს შესაძლებლობას ჩაატარონ მიტინგი ან რაიმე სხვა დემონსტრაცია, დიდი სკანდალის გარეშე. რამდენიმე დღის წინ ადგილი ჰქონდა რუს პატრიოტთა მიტინგს, რომელმაც არაფერი მოიტანა, ცხვირ-პირის მტვრევით დიდი სკანდალის გარდა და ა.შ. შეიძლება დარწმუნებული ვიყო, რომ რუს პატრიოტთა ყველა დემონსტრაციებს იგივე შედეგი მოჰყვება და პროანტანტურ გაზეთებს არ ექნებათ საშუალება განაცხადონ რუსი ხალხის ნების სრული ერთობის შესახებ.

მე საშუალება მივეცი 4 რუს ინტერნაციონალისტს დაბრუნებულიყვნენ რუსეთში საფრანგეთიდან. აგრეთვე, მე მათ დავავალე ენახათ რამდენიმე ქართველი, რომლებიც იმყოფებიან საფრანგეთში და ეიძულებინათ ეს უკანასკნელებიც დაუყოვნებლივ დაბრუნებოდნენ სამშობლოს.

რუს ემიგრანტთა ეშელონთან ერთად, რომელიც ჩამოყალიბებულ იქნა შვეიცარიაში და გერმანიის გზით დაბრუნდება რუსეთში, 2 ქართველი გაემგზავრა (ორშაბათს, 9 აპრილს). ერთი მათგანი ჩემი ძველი მეგობარია, ბრმად ერთგული ქართული საქმისადმი, ძალიან აქტიური და გამოცდილი რევოლუციონერი. მეორე ძველი ინტერნაციონალისტია, რომელიც სეპარატული ზავისათვის მთელი თავისი სიფიცხით იბრძვის.

გარდა ამისა, 6 რუსი ინტერნაციონალისტი ჩემი თხოვნით იმავე ეშელონით გაემგზავრა. ამ უკანასკნელთაგან ერთს მე დიდი ხანია პირადად ვიცნობ და დარწმუნებული ვარ საკუთარი იდეებისადმი მის ერთგულებაში და მის სიძულვილში ყოველივე პატრიოტულის მიმართ. მე მას „ლიად“ ვუთხარი, რომ ჩემი, როგორც საქართველოს შვილის ინტერესები, რომელმაც ამ ომის განმავლობაში ასეთი ტანჯვა განიცადა და რომელსაც არ შეუძლია მეტი მსხვერპლის გაღება იმის გარეშე, რომ სასიკვდილო ჭრილობა მიიყენოს, სრულ შესაბამისობაში იმყოფება მისი, როგორც ინტერნაციონალისტის ინტერესებთან. თუკი ის, როგორც მისი მეგობრები, ამ მიმართულებით მუშაობს, მე შემიძლია მათ მატერიალური დახმარება გავუწიო.

თუკი ბატონი ბარონი მიიჩნევს, რომ მსგავსი ხალხის გაგზავნა თანხის გაღებად ღირს, შესაძლებელია მათი გაგზავნა ორი გზით გავაგრძელოთ: გერმანიისა და საფრანგეთის გავლით. საკმარისი იქნება თანხა 3000-დან 4000 ფრანკამდე. დრო კიდევ საშუალებას გვაძლევს, შევადგინოთ რჩეული ხალხის მცირე ჯგუფები.

კიდევ რამდენიმე აბსოლუტურად აუცილებელი ქართველის გაგზავნის მიზნით, რომლებსაც არ შეუძლიათ გაემგზავრონ პირველ ეშელონთან ერთად დროისა და სახსრების ნაკლებობის გამო, საჭიროა თანხა 2000 ფრანკის ოდენობით.

მდგომარეობა რუსეთში უმართავი ხდება. საჭიროა გამოვიყენოთ ხელსაყრელი მომენტი.

ჩვენს მიერ გამომუშავებულ იქნა გეგმა, რომელსაც შეუძლია დიდი შედეგები იქონიოს. ამ ოპერაციას სათავეში კომიტეტის ერთ-ერთი წევრი ჩაუდგება. ბერლინში ჩემს დაბრუნებისთანავე მე ვესაუბრები ბატონ ბარონს.

რაც შეეხება ბატონ ვერშოვსკის და მის მეგობრებს, მე ეს საკითხი საფუძვლიანად შევისწავლე და ვიმოქმედებ შეძლებისდაგვარად გარემოებების მიხედვით.

ყოველ შემთხვევაში, თუკი მე ამ უკანასკნელთა გამგზავრების აუცილებლობას ვერ დავინახავ, საჭირო იქნება მათ დახმარება გავუწიოთ მუშაობაში თუნდაც აქვე.

მე თქვენ გაცნობებთ ყველა დეტალს ჩვენი შეხვედრის დროს.

ვთხოვ ბატონ ბარონს, მომანოდოს რაც შეიძლება მალე აუცილებელი თანხები.

გთხოვთ მიიღოთ, ბატონო ბარონ, ჩემი საუკეთესო მოკითხვები.

გიორგი კერესელიძე

Politisches Archiv des Auswärtigen Amtes (PA AA), Akten Betreffend den Krieg 1914, Unternehmungen und Aufwiegungen gegen unsere Feinde im Kaukasus. R 21023.

თარგმანი ფრანგულიდან.

№ 169

საქართველოს განთავისუფლების კომიტეტის წევრის,
 მიხეილ წერეთლის წერილი აბავე კომიტეტის წევრებს,
 ლეო და გიორგი კერესელიძეებს, სტოკჰოლმში
 (შვედეთი) მისი მივლინების და უკანასკნელთა მიერ
 ბერლინში ჩასატარებელი სამუშაოს შესახებ

1917 წლის 22 აპრილი
 ბერლინი

ძვირფასო ძმებო, ლეო და გოგია!

საჩქაროდ მივდივარ სტოკჰოლმში. გიორგი¹ მიბარებს ტელეგრამით. ალათ კაი ხანს დამჭირდება იქ გაჩერება. ამასთანავე ვეზენდონკმა მითხრა, რომ გოგია² კიდევ უნდა დარჩეს ჟენევაში, რადგანაც ბევრი საქმეები აქვსო. ასე რომ ბერლინში კაცი აღარ რჩება. ჩვენები კი უკვე გამოვიდნენ სტამბოლიდან გუშინ: 71 სალდათი და 8 ოფიცერი. ამათ აქ პატრონობა უნდა, მათ საქმეზედ შტაბში და სამინისტროში სიარული. ამიტომ პეტრეს³ ჩამოყვანა ვსთხოვე წერილით შტაბსა და სამინისტროს. ალბათ ჩამოიყვანენ. ხომ მაინც უნდა ჩამოსულიყო თვითონვე მთელ კომიტეტთან ერთად, რომელიც იქ უნდა ყოფილიყო, დასტოვებდა რა სტამბოლში წარმომადგენელს.

ლეოს წიგნი⁴ მოიწონა ვეზენდონკმაც და ვსთხოვე გამოეგზავნა უკანვე ხელნაწერი დასაბუქდათ. ალბათ ამისრულებს თხოვნას. მხოლოდ გთხოვა, ლეო, წინასიტყვაობა გამოსცვალეო, რუსის მთავრობას ნუ აგინებ, რევოლუცია მიიღე მხედველობაში და აგრეთვე ისეთი ტონი დაიჭირე, რომ ცენტრალურ სახელმწიფოთადმი მიმდევრობა არ დაგვნამონო. – გამოაგზავნე, რაც შეიძლება მალე მეორე ნახევარი. თუ უკვე გამოგზავნილია ჩემს სახელზე, ხელად მისწერე მიტვოსს⁵ Nachrichtenstelle-ში, ვეზენდონკს გაუგზავნოს ჩემს სახელზე იქ მყოფი პაკეტი, თორემ იღება საუკუნედ, სანამ მე არ ჩამოვალ და დაგვიანდება წიგნის გამოცემა. – წიგნი ძლიერ კარგია, ლამაზად დაწერილი და გრძნობით, აგრეთვე კარგი შინაარსის, მხოლოდ ფრანგული უნდა მოსწორდეს.

მამ ნახვამდის. ვნახოთ რა ამბავია იქით.

¹ იგულისხმება მაჩაბელი გიორგი (1885-1935).

² იგულისხმება კერესელიძე გიორგი (1885-1960).

³ იგულისხმება სურგულაძე პეტრე (1871-1931).

⁴ იგულისხმება ლ. კერესელიძის ბროშურის: „საქართველო და რუსეთის ბატონობა“ (La Géorgie et la domination russe) ხელნაწერი.

⁵ იგულისხმება მიტვოხი ოიგენ (Mittwoch Eugen) (1876-1942).

კაცო, ამდენ წერილებსა გწერთ, თქვენც და ნანასაც, და ერთი პასუხიც არ გამეცით, არა გრცხვენიათ? მაგრამ მგონი არც ჩემი წერილები მოგდისთ, და არც მე მომდის თქვენი.

მოკითხვა ყველას – ნანას, თამარს¹, მათეს², ლულუს³, აგრეთვე კომანდოს⁴, დავითსა და ყველას ერთიანად.

თქვენი მიხაკო

გამოქვეყნებულია ფაქსიმილიეს სახით წიგნში: ლ. ზ. ურუშაძე. მიხაკო წერეთელი. დიადი სულის უკვდავება. თბილისი, 2012, გვ. 241-243.

¹ იგულისხმება გიორგი კერესელიძის მეუღლე – თამარ ციციშვილი (1884-1942).

² იგულისხმება გიორგი კერესელიძის ვაჟი – მათე კერესელიძე (1906-1970).

³ იგულისხმება გიორგი კერესელიძის ვაჟი – ლეო (ლულუ) კერესელიძე (1908-1979).

⁴ იგულისხმება გოგელია გიორგი (კომანდო) (1878-1924).

№ 170

**საქართველოს განთავისუფლების კომიტეტის
წევრის, ბიორგი კერესელიძის წერილი ოთო ბიუნდერ
ფონ ვეზენდონკს, გერმანიის იმპერიის საბარეო
საქმეთა სამინისტროს ლეგაციის მდივანს და ახლო
აღმოსავლეთის საქმეთა რეფერატს, შვეიცარიაში
მის მიერ რუს ანარქისტთა წარმომადგენლებთან
ჩატარებული სამუშაოს შესახებ**

1917 წლის მაისის პირველი ნახევარი
ჟენევა

ბატონო ბარონ,

როგორც მე უკვე მოგწერეთ, მე ვაგრძელებ მუშაობას ომის დაუყოვნებლივი შეწყვეტისათვის.

ვაგრძელებ ანარქისტ-ინდივიდუალისტთა ჯგუფის „სვობოდნაია მისლ“-ის საკითხის შესწავლას, რომელთა მდივანი ბატონი ვერშოვსკია. ამ ჯგუფს რუსეთში გარკვეული გავლენა გააჩნია. მის წევრთა უდიდესი ნაწილი რუსეთში იმყოფება, მცირე ნაწილი კი – ჟენევაში და პარიზში. საბრძოლო მოქმედების დასაწყისისთანავე, ეს ჯგუფი ომის წინააღმდეგ მუშაობდა. ამ დრომდე გარემოებებმა მას არ მისცა საშუალება უფრო ეფექტურად განეფითებინა საკუთარი მუშაობა. ამჟამად მას მეტი შანსები აქვს იმუშაოს უფრო თავისუფლად, რუსეთში მდგომარეობის ცვლილების გათვალისწინებით.

რამდენიმე დღეში ჩვენ დავბეჭდავთ პროკლამაციას ომის დაუყოვნებლივ შეწყვეტისა და მთავრობის დამხობის სასარგებლოდ, რომელსაც, ვერშოვსკის ჯგუფის სახელით, ხელს თავად ის აწერს. ეს პროკლამაცია რუსულ და ფრანგულ ენაზე დაიბეჭდება და ევროპაში გავრცელდება. მე ვითავე მისი 50 ეგზემპლარის რუსეთში გადაგზავნა, სადაც ის თავიდან დაიბეჭდება და ჯარსა და მოსახლეობაში დიდი ოდენობით გავრცელდება. ამ ჯგუფის 4 წევრი უკვე გაემგზავრა რუს ემიგრანტთა მეორე ეშელონით გერმანიის გავლით. როგორც გავიგე, ფორმირების პროცესშია რუს ემიგრანტთა მესამე ეშელონი, რომელიც მალე გაემგზავრება. იმედი მაქვს, გავაგზავნო მასთან ერთად ამ ჯგუფის რამდენიმე წევრი.

რუსეთში მათი მუშაობა იქნება პროპაგანდა ზავის დაუყოვნებლივ დადებისთვის, ბრძოლა მთავრობის და ყოველგვარი ხელისუფლების წინააღმდეგ. ეს პროპაგანდა განსაკუთრებით ძლიერი იქნება ფრონტზე, ჯარისკაცებს შორის.

თუ ბატონი ბარონი ჩემთან თანახმაა, მე მას ვთხოვ დაუყოვნებლივ მიპასუხოს და გამიგზავნოს თანხა 3000 ფრანკის ოდენობით და ისინი 20 მაისამდე მომანოდოს.

ჩვენი მომავალი შეხვედრის დროს მე თქვენ აგიხსნით, თუ რა გზით არის შესაძლებელი განვაგრძოთ მუშაობა ამ ჯგუფთან.

ბატონ ვერშოვსკისთან ყველა ჩემი მოლაპარაკება ატარებს პირად ხასიათს.

მე მას ავუხსენი, რომ როგორც ქართველი მხარს ვუჭერ ომის დაუყოვნებლივ შეწყვეტას და მხოლოდ ამ მიზნით და მისი სამუშაოსადმი ჩემი თანაგრძნობის გამო ვუწევ მას დახმარებას.

გთხოვთ, ბატონო ბარონ, მიიღოთ ჩემი საუკეთესო მოკითხვები.

გიორგი კერესელიძე

Politisches Archiv des Auswärtigen Amts (PA AA), Akten Betreffend den Krieg 1914, Unternehmungen und Aufwiegelingen gegen unsere Feinde im Kaukasus. R 21023.

თარგმანი ფრანგულიდან.

№ 171

საქართველოს განთავისუფლების კომიტეტის
წევრის, მიხეილ წერეთლის წერილი ოტო გიუნდერ
ფონ ვეზენდორფს, გერმანიის იმპერიის საგარეო
საქმეთა სამინისტროს ლეგაციის მდივანს და
ახლო აღმოსავლეთის საქმეთა რეფერატს,
კომიტეტის თავმჯდომარის, კედრე სურგულაძის
კონსტანტინოპოლიდან ბერლინში გადმოყვანის
საჭიროების შესახებ

1917 წლის 23 აპრილი
ბერლინი

პატივცემულო ბატონო ბარონ!

თავაზიანად მინდა გთხოვოთ, ბატონი სურგულაძე აქ კონსტანტინოპოლიდან ჩამოიყვანოთ, რადგან მე სტოკჰოლმში უნდა წავიდე და ბატონი კერესელიძე¹ შვეიცარიაში რჩება. ახლა ჩვენი ლეგიონი და ოფიცრები ბერლინში მოდიან და გენერალური შტაბი და საგარეო საქმეთა სამინისტრო ალბათ საჭიროდ ჩათვლიან ჩვენი კომიტეტის წარმომადგენელთან სხვადასხვა საკითხებზე მოლაპარაკებას. სურგულაძე ნებისმიერ შემთხვევაში აქ უნდა ჩამოვიდეს ლეგიონის გამგზავრების შემდეგ.

ამას გარდა მე მივწერ ბატონ ლეო კერესელიძეს, რომ მან თავისი ბროშურის მეორე ნახევარი გამოგიგზავნოთ და ნაწერის შესავალი შეცვალოს. ალბათ, თქვენ გაუგზავნით თავისი ბროშურის პირველ ნაწილს უკან, რომ თქვენი ნებართვით გამოქვეყნდეს.

თავაზიანად გთხოვთ, რომ არ დაგავინყდეთ სასაზღვრო სამსახურისთვის ცნობის მიწოდება ჩემი ჩამოსვლის თაობაზე.

კარგად ბრძანდებოდეთ,
თქვენი ერთგული,
მ. წერეთელი (კოზლოვსკი)²

*Politisches Archiv des Auswärtigen Amtes (PA AA), Akten Betreffend den Krieg 1914,
Unternehmungen und Aufwiegelungen gegen unsere Feinde im Kaukasus. R 21023.*

თარგმანი გერმანულიდან.

¹ იგულისხმება კერესელიძე გიორგი (1885-1960).

² როგორც ჩანს, გვართან ერთად მითითებულია ფსევდონიმიც.

№ 172

**საქართველოს განთავისუფლების კომიტეტის
წევრის, ბიორგი კერესელიძის თხოვნა ოთო ბიუნდერ
ფონ ვეზენდონკს, გერმანიის იმპერიის საბარეო
საქმეთა სამინისტროს ლეგაციის მდივანს და ახლო
აღმოსავლეთის საქმეთა რეფერატს, მისი ოჯახისთვის
გერმანული პასპორტის მიცემის შესახებ, მოკლე
დროში საქართველოში განსამზავრებლად**

1917 წლის 25 აპრილი
ჟენევა

ბატონო ბარონ,

რამდენიმე დღეში გადის რუსი ემიგრანტების მეორე ეტაპი. გერმანიის მთავრობის მიერ რუსი ემიგრანტებისთვის გამოყოფილ ვაგონებში ადგილის სიმცირის გამო, კომიტეტმა ჩემს ოჯახს, რამდენიმე სხვის მსგავსად, ამ ეტაპში მონაწილეობის მიღებაზე უარი უთხრა. ჩემი ოჯახის ვითარება და ცოლის ჯანმრთელობის მდგომარეობა ჩემს მხრიდან მოითხოვენ ოჯახის სამშობლოში გაგზავნას.

ბატონო ბარონ, გთხოვთ რაც შეიძლება სწრაფად უზრუნველყოთ, რომ ჩემმა ცოლმა და ჩემმა ორივე ბავშვმა პასპორტები მიიღონ, რითიც საშუალება ექნებათ გერმანიის გავლით იმგზავრონ. რადგან ჯანმრთელობა არ აძლევს ჩემს ცოლს საშუალებას მარტო იმგზავროს, ორი ქართველი, რომელიც მეორე ეტაპით მგზავრობს, ჩემს ცოლს სტოკჰოლმში დაელოდება, რათა იქიდან გაყვნენ. აქედან გამომდინარე ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ჩემმა ოჯახმა ნებართვა მალე მიიღოს, რათა, ასე რომ ვთქვათ, ეტაპთან ერთად ჩავიდეს შვედეთში.

ჩემი ცოლის საქართველოში ყოფნა საჭირო და მნიშვნელოვანია ჩვენი საქმიანობისთვის, რადგან ჩემი ცოლის დახმარებით მუდმივ, სანდო და ზუსტ ინფორმაციებს მივიღებთ შიდაპოლიტიკური მდგომარეობის შესახებ.

ამასთანავე, მინდა გაცნობოთ, რომ საქართველოდან კარგი ცნობები მივიღე, რომელთა შესახებაც ჩემი დაბრუნების შემდეგ მოგახსენებთ. ცნობილი რუსი სოციალისტის ტროცკის¹ და მასთან ერთად სხვა ოცდაათი სოციალისტის ტყვედ აყვანამ ინგლისელების მიერ ინგლისურ პორტში, რუს ემიგრანტებში დიდი აღშფოთება გამოიწვია, მაშინ როდესაც გერმანიის მთავრობის მიერ რუსი ემიგრანტებისთვის თავისუფალი შესვლის ნებართვის გაცემას დიდი სიხარული მოჰყვა.

¹ იგულისხმება ტროცკი ლევ (1879-1940).

ბატონო ბარონ, კვლავაც გთხოვთ ტელეგრაფით განკარგულება გასცეთ, რომ 8 დღის განმავლობაში შემეძლოს ჩემი ოჯახის სამშობლოში გაგზავნა.

განსაკუთრებული პატივისცემით,
გიორგი კერესელიძე

*Politisches Archiv des Auswärtigen Amts (PA AA), Akten Betreffend den Krieg 1914,
Unternehmungen und Aufwiegungen gegen unsere Feinde im Kaukasus. R 21023.
თარგმანი გერმანულიდან.*

№ 173

საქართველოს განთავისუფლების კომიტეტის წევრის,
მიხეილ წერეთლის წერილი მის ნაცნობ ქალბატონ
ლეკფერტს,¹ ბერმანიაში, თხოვნით მისი რუსული
პასპორტის ბერმანიის საბარეო საქმეთა სამინისტროს
მეშვეობით სტოკჰოლმში გაგზავნის შესახებ

1917 წლის 27 აპრილი
სტოკჰოლმი

პატივცემულო ქალბატონო ლეკფერტ,

მე უკვე სტოკჰოლმში ვიმყოფები და თავს კარგად ვგრძნობ. მხოლოდ ერთი თხოვნა მაქვს თქვენთან. ჩემს საწერ მაგიდაში, რომელიღაც უჯრაში (ზუსტად არ მახსოვს რომელში) ჩემი რუსული პასპორტი დევს. სამი სხვადასხვა პასპორტია ერთად და გთხოვთ ის ამოარჩიოთ, რომელსაც ანერია თარიღი 1913 (მწვანედ შეკრული) და ბატონ ფონ ვეზენდონკს (საგარეო საქმეთა სამინისტრო, ვილჰელმშტრასე 75) გაუგზავნოთ თხოვნით, რომ რაც შეიძლება მალე გამომიგზავნოს ის აქ. აქ მე ჩემი საკუთარი გვარით უნდა ვიცხოვრო და გთხოვთ, მომწერეთ ბარათები ზემოთ აღნიშნულ მისამართზე. კეთილი მოკითხვა თავად მაჩაბლისგან. მომწერეთ თუ ბატონი კერესელიძე² უკვე ჩამოვიდა. როგორ ხართ თქვენ, კარლი და ნალი? ყველას მოკითხვა. ჯერჯერობით აქ ვრჩები. ალბათ ერთ თვეში დავბრუნდები.

თქვენი ერთგული მ. წერეთელი

Politisches Archiv des Auswärtigen Amtes (PA AA), Akten Betreffend den Krieg 1914, Unternehmungen und Aufwiegelingen gegen unsere Feinde im Kaukasus. R 21023.
თარგმანი გერმანულიდან.

¹ ქალბატონი ლეკფერტი – როგორც ჩანს, იგულისხმება იმ ბინის მესაკუთრე, რომელსაც ქირობა და მიხეილ წერეთელი.

² იგულისხმება კერესელიძე გიორგი (1885-1960).

№ 174

საქართველოს განთავისუფლების კომიტეტის წევრის,
გიორგი მაჩაბლის წერილი უცნობ მაღალი რანგის
გერმანელ თანამდებობის პირს,
მარია კარმისტან მისი ქორწინების შესახებ

1917 წლის 1 მაისი
სტოკჰოლმი

მაღალპატივცემულო ბატონო მინისტრო,

ნება მომეცით ჩემი შინაგანი მადლიერება გამოვხატო თქვენი შესანიშნავი მზადყოფნის გამო, გქონდეთ სურვილი დაეხმაროთ ქალბატონ ფოლმიოლერს¹ მის საკითხში. თქვენი ახლანდელი განზრახვა, რომ ამის შესახებ მის აღმატებულებას, სახელმწიფო მდივან ციმერმანს² და ვიცე-პოლკოვნიკ ფონ ჰაფტგენს მოახსენოთ, მთლიანად ეთანხმება ჩემს სურვილს და მოსაზრებას. მე გარწმუნებთ, ბატონო მინისტრო, რომ გერმანიის მთავრობის შეხედულება ჩემს ქორწინებასთან დაკავშირებით ქალბატონ ფოლმიოლერთან, დაუსრულებელი მადლიერებით მავალდებულებს და ჩემს ერთგულებას და დამოკიდებულებას საერთო საქმისადმი კიდევ უფრო აძლიერებს.

ამასთან, კიდევ მინდა სიამოვნებით დავამატო, რომ ჩემ და ქალბატონ ფოლმიოლერის დამოკიდებულებაში სრული ჰარმონია სუფევს და რომ მე ნებისმიერი თვალსაზრისით მისთვის თავდებად დადგომა შემიძლია.

მიიღეთ კვლავ ჩემგან განსაკუთრებული მადლობა,
თქვენი ერთგული,
თავადი გიორგი მაჩაბელი

*Politisches Archiv des Auswärtigen Amts (PA AA), Akten Betreffend den Krieg 1914,
Unternehmungen und Aufwiegelungen gegen unsere Feinde im Kaukasus. R 21023.
თარგმანი გერმანულიდან.*

¹ ფოლმიოლერი (Vollmoeller) – გვარი, რომელსაც 1904-1917 წლებში ატარებდა თავად გიორგი მაჩაბლის მეუღლე, მარია კარმი, როდესაც პირველ ქორწინებაში იმყოფებოდა გერმანელ დრამატულ მსახიობთან, კარლ გუსტავ ფოლმიოლერთან.

² იგულისხმება ციმერმანი არტურ (Zimmermann Arthur) (1864-1940).

№ 175

საქართველოს განთავისუფლების კომიტეტის
წევრის, მიხეილ წერეთლის წერილი კომიტეტის
თავმჯდომარეს, კემრე სურგულაძეს,
კონსტანტინოპოლიდან ბერლინში უკანასკნელის
ჩამოსვლის აუცილებლობის შესახებ

1917 წლის 5 მაისი
სტოკჰოლმი

ჩემო ძვირფასო პეტრე,

გუშინ მივიღე შენი წერილი და ვჩქარობ გიპასუხო. მე უკვე დაახლოებით 10 დღეა, რაც სტოკჰოლმში ვარ გიორგისთან¹ ერთად, და ჩვენ ვაკეთებთ აქ ყველაფერს იმას, რაც სასარგებლოა საქართველოსთან კავშირის დასამყარებლად. ჩემი (ისევე როგორც გიორგის) ყოფნა აქ ძალზე საჭიროა და სწორედ ამ მიზეზით მე არ შემიძლია ჩამოვიდე არც კონსტანტინოპოლში და არც ბერლინში.

შემოთავაზებაში, რომელიც ჩვენ გაფუკეთეთ გერმანულ მთავრობას, ჩვენ არ დავუშვით არავითარი შეცდომა. ჩვენ იქ დავწერეთ ის, რაც გადავწყვიტეთ, უბრალოდ ცუდად გამოვიანგარიშეთ. მე არა მაქვს ამ შემოთავაზების ასლი, მაგრამ მშვენივრად მახსოვს, რაც დავწერეთ ამ მოთხოვნაში. მაგრამ რაც შეეხება 160 პიასტრს, გასაკვირია ბატონ გრაფ შულენბურგის მხრიდან, რომ ის უარს ამბობს ლეგიონერებისთვის მათ გადახდაზე და ამცირებს ჯამაგირს 130 პიასტრამდე.

მე ყველაფერს მივწერ ბერლინში და შევეკითხები, თუ არის შესაძლებელი ჯამაგირის გაზრდა ან, უკიდურეს შემთხვევაში, თუ არიან თანახმანი ის არ შეამცირონ მაინც.

სამწუხაროდ, მე არ შემიძლია მივიღო ლეგიონერები ბერლინში, რადგან იქ არა ვარ. როცა მე შვედეთში გავემგზავრე, გიორგი კერესელიძე შენევაში იყო და მე არ ვიცი, დაბრუნდა ის ბერლინში თუ არა.

აბსოლუტურად აუცილებელია, რომ ჩამოხვიდე ბერლინში. კონსტანტინოპოლში უკვე არაფერია გასაკეთებელი, მას შემდეგ რაც ჩვენი ლეგიონი გერმანიაშია. დატოვე ოსმან ბეი² კონსტანტინოპოლში და მყისვე ბერლინში ჩამოდი, რადგან იქ ამჟამად არავინ არის, რომ მიხედოს ჩვენს საქმეებს, მე კი აქედან ფეხს ვერ მოვიცვლი. მივწერ ბერლინში, რომ გაგიადვილონ ჩამოსვლა.

¹ იგულისხმება მაჩაბელი გიორგი (1885-1935).

² იგულისხმება ქარცივაძე მელიტონ (ოსმან ბეი).

გარკვეული ხნის შემდეგ მეც დავბრუნდები ბერლინში. ამ დროისთვის, იქ სავარაუდოდ გოგიაც¹ იქნება. ჩვენ ერთად დავილაპარაკებთ და გადავწყვედთ რა უნდა გავაკეთოთ.

ჩემი ძმური მოკითხვა შენ და ოსმანს და ყველა მეგობარს.
გიორგი გულითად მოკითხვას გითვლის.

შენი მიხეილ წერეთელი

*Politisches Archiv des Auswärtigen Amts (PA AA), Akten Betreffend den Krieg 1914,
Unternehmungen und Aufwiegungen gegen unsere Feinde im Kaukasus. R 21023.
თარგმანი ფრანგულიდან.*

¹ იგულისხმება კერესელიძე გიორგი (1885-1960).

№ 176

საქართველოს განთავისუფლების კომიტეტის
წევრის, მიხეილ წერეთლის წერილი ოტო გიუნდერ
ფონ ვეზენდორფს, გერმანიის იმპერიის საგარეო
საქმეთა სამინისტროს ლეგაციის მდივანს და ახლო
აღმოსავლეთის საქმეთა რეფერატს, ქართული
ლეგიონის წევრებისთვის ხელფასების გაზრდის შესახებ

1917 წლის 5 მაისი
სტოკჰოლმი

პატივცემულო ბატონო ბარონ!

თავს უფლებას ვაძლევ შემდეგი გაცნობით:

გუშინ მივიღე ბატონ სურგულაძის წერილი კონსტანტინოპოლიდან, რომელსაც ამ წერილთან ერთად გიგზავნით. ამ წერილიდან ჩანს, თუ რაშია საქმე: ჩვენი ლეგიონერები საკუთარი ოჯახების დასახმარებლად, თურქეთში არსებული საშინელი გაძვირებიდან გამომდინარე, ითხოვენ 160 პიასტრის ნაცვლად 2 თურქულ ლირას, რასაც ადრე იღებდნენ.

გთხოვთ თავაზიანად, თუ შესაძლებელია დააკმაყოფილოთ ჩვენი ლეგიონერების ეს სურვილი და მათი ოჯახების დასახმარებლად ზემოხსენებული თანხა გაცეთ. თუკი ეს შეუძლებელია, გთხოვთ თავაზიანად, სულ მცირე 160 პიასტრი მაინც მიეცეთ ლეგიონერებს. ადრე ისინი ამ თანხას იღებდნენ და არა 130 პიასტრს, რისი მიცემაც ლეგიონერებისთვის ამჟამად უნდა ბატონ გრაფ შულენბურგს.

ამას გარდა გთხოვთ თავაზიანად, რომ ბატონი სურგულაძე რაც შეიძლება სწრაფად ჩამოიყვანოთ ბერლინში, რადგან იქ ახლა არავინაა, რომ ჩვენს საქმეებს და განსაკუთრებით ლეგიონერებს, რომლებიც მალე გერმანიაში ჩამოვლენ, მიხედოს. ბატონი კერესელიძე კვლავ ჟენევაშია და ბერლინში რომც იყოს, მარტო მაინც ხომ ვერ შეძლებდა ყველა საკითხის მოგვარებას.

თავაზიანად გთხოვთ, რომ წერილი ბატონ სურგულაძეს რაც შეიძლება დროულად გაუგზავნოთ კონსტანტინოპოლში.

თქვენი ერთგული,
მ. წერეთელი

Politisches Archiv des Auswärtigen Amtes (PA AA), Akten Betreffend den Krieg 1914, Unternehmungen und Aufwiegungen gegen unsere Feinde im Kaukasus. R 21023.

თარგმანი გერმანულიდან.

№ 177

**ქართული ლეგიონის ყოფილი მეთაურის, თადარიგის
კაკიძის ფრიდრიხ-ვერნერ ფონ დერ შულენბურგის
მოხსენებიდან გენერალ ოთო ფონ ლოსოვს, გერმანიის
იმპერიის სამხედრო ატაშეს კონსტანტინოპოლში,
კავკასიური ოპერაციის დასრულების და ოსმალეთის
თერიტორიაზე ქართული ლეგიონის დაშლის შესახებ**

1917 წლის 7 მაისი
კონსტანტინოპოლი

კავკასიური ოპერაცია და განსაკუთრებით ქართული ლეგიონის დაშლა ბოლომდე არის მიყვანილი. ფინანსური ანგარიშსწორება დასრულებულია.

ქართველი ოფიცრები და ჯარისკაცები ნაწილობრივ გერმანიაში არიან ტრანსპორტირებულნი, ნაწილობრივ გაშვებულნი. აქ ჯერ კიდევ იმყოფება მხოლოდ ქართველი ობერ-ლეიტენანტი სერგო ლაბაძე და 13 ქართველი ჯარისკაცი, რომელთაგანაც 6 ქართული კომიტეტის მიერ იზმიდში გაიგზავნა, ხოლო 7 იტალიურ ჰოსპიტალშია მიღებული. ობერ-ლეიტენანტი ლაბაძე შემდგომ განკარგულებამდე აქ უნდა დარჩეს, 13 ჯარისკაცი, რომელთა სიასაც თან ვურთავთ, იქნება შეძლებისდაგვარად უმოკლეს ხანებში „კორკოვადო“-ზე¹ გადაყვანილი და გერმანიაში, ზალცვედელის ბანაკში გაგზავნილნი. ქართველი ჯარისკაცები, თუკი ისინი ჯერ კიდევ არ წვანან ჰოსპიტალში ან არ იმყოფებიან იზმიდში, ამ დროისთვის ცხოვრობენ ოტელ „ედენ“-ში პერაში, პერას პროსპექტზე. მათზე მეთვალყურეობას ახორციელებს ვიცე-ფელდფებელი კოლოდჯეი. ოტელში თითო კაცისთვის დღეში 7 პიასტრი არის გადასახდელი. ამა თვის 5 რიცხვამდე ფული გადახდილია.

ქართული კომიტეტიდან აქ იმყოფებიან ბატონები სურგულაძე, ოსმან ბეი, ზია ბეი აბაშიძე, მურად ბეი მაღალაშვილი და კომიტეტის მდივანი კოზალი². და ბოლოს, აქ აგრეთვე იმყოფებიან ქართველი ოფიცრების, სერგო ლაბაძის, ვანო წერეთლის და ალექსანდრე ცაგურიშვილის ოჯახები.

გარდა ამისა, კავკასიის ოპერაციისგან დიდი ხნის განმავლობაში იღებდნენ დახმარებას კონსტანტინოპოლში მყოფი ქართველები: – ალექსანდრე კოზალი (კოზალოვი), თარხანოვი და ქიამილ ბეი თავდგირიძე. ალექსანდრე კოზალი (კოზალოვი) თან გაყვა უკანასკნელ ქართულ ტრანსპორტს გერმანიაში, დანარჩენი ორი კი, ჯერ-ჯერობით, აქ არიან.

¹ კორკოვადო (Corcovado) – გერმანული სამგზავრო ხომალდი. პირველი მსოფლიო ომის განმავლობაში გამოყენებულ იქნა როგორც გერმანული ხმელთაშუა ზღვის სამხედრო-საზღვაო დივიზიონის შტაბის განთავსების ადგილი და საცხოვრებელი გემი, სადგომით კონსტანტინოპოლში.

² იგულისხმება გოზალიშვილი (გოზალოვი) ალექსანდრე.

ყველა ქართული კომიტეტის წევრმა, ოფიცერმა, იფიცერთა ოჯახებმა და ხსენებულმა ბატონებმა კოზალმა (კოზალოვმა), თარხანოვმა და ქიამილ ბეიმ, მიიღეს მათი კუთვნილი ჯამაგირი, რომელიც მათ ამა წლის 31 მაისის ჩათვლით გადაეხადა. თან ვურთავთ მათ მიერ ამა წლის 1 ივნისიდან კუთვნილი ჯამაგირის სიას.

აქ ჯერ კიდევ მყოფ ქართველ ჯარისკაცთაგან, ალი მუსტაფა ოღლიმ, აჰმედ სეფერ ოღლიმ, მუსტაფა ჰუსეინ ოღლიმ, იუსუფ მეჰმედ ოღლიმ და პერი ჰაფიზ ოღლიმ ამა წლის 31 მაისის ჩათვლით უკვე მიიღეს მათი ოჯახების კუთვნილი დახმარება თვიურად 130 პიასტრის ოდენობით. ამას თან ერთვის ყოველდღიური კვების ფული 25 პიასტრის ოდენობით ამა თვის 12 რიცხვის ჩათვლით. დანარჩენი 8 ჯარისკაცისთვის ამ დრომდე დამატებით 130 პიასტრის თანხა არის გადასახდელი. რაიმე სხვა ჯამაგირს ქართველი ჯარისკაცები ვერ მოითხოვენ. მათ დაპირდნენ შესაბამის გერმანულ ჯამაგირს იმ დღიდან, როგორც კი ისინი სამსახურს გერმანიაში დაიწყებენ.

გერმანელთაგან, რომლებიც მეკავშირე ოფიცრის შტაბს მიეკუთვნებოდნენ, ბატონები თადარიგის ლეიტენანტი ჰორსტ შლიფაკი, შტაბის ექიმი დოქტორი შტოფელსი, ვაფენმაისტერი ოტო შლიფაკი, ვიცე-ფელდფებელი კულცერი და ვიცე-ფელდფებელი შლივინსკი ნაწილობრივ ან უკვე ჩავიდნენ გერმანიაში, ანდა გზაში იმყოფებიან იქ ჩასასვლელად. აქ იმყოფებიან მხოლოდ ლეიტენანტი დოქტორი შედე, მოხალისე ექიმი დოქტორი ფრიკე, ოფიცრის მოვალეობის შემსრულებელი ოსენკოპი და ნდობით აღჭურვილი პირი ოსვალდ ფონ შმიდტი. ბატონები დოქტორ შედე, დოქტორ ფრიკე და ოსენკოპი, რომლებმაც მიიღეს ხანგრძლივი შვებულება, შემდგომ დღეებში გაემგზავრებიან გერმანიაში. მათ მიყვება ბატონი ფონ შმიდტი. თავად მე ზეგისთვის ბეირუთში მივემგზავრები.

ნდობით აღჭურვილი პირი ლუი მოზელი ჯერ კიდევ სამსუნში იმყოფება, სადაც ის, პერაში გერმანული საიმპერიო საელჩოს სურვილით, გერმანულ საიმპერიო საკონსულოშია მივლენილი.

ვიცე-ფელდფებელ ოტო ბაუერშმიდტს დაევალა კავკასიური ოპერაციის მიერ კუთვნილი ავტომობილი ანგორადან კონსტანტინოპოლში გადაეყვანა. ის ჯერ კიდევ გზაშია და დაბრუნებისთანავე, აგრეთვე გაემგზავრება გერმანიაში.

ვიცე-ფელდფებელი კოლოდჟეი სამხედრო მისიას უბრუნდება.

ყველა კავკასიის ოპერაციაში მონაწილე გერმანელმა მიიღო საკუთარი კუთვნილი ჯამაგირი, რომელიც მათ ამა წლის 31 მაისის ჩათვლით გადაეხადათ. მხოლოდ ფელდფებელმა კოლოდჟეიმ საკუთარი მაისის ხელფასის გარდა დამატებით უნდა მიიღოს 965 მარკა. ამის თაობაზე ის მიმართავს კაიზერულ საელჩოს (სალაროს ადმინისტრაციას).

მთელი ქართული ლეგიონის და მეკავშირე ოფიცრის შტაბის განკარგულებაში მყოფი იარაღი, ტყვია-წამალი, ცხენები და სხვა მასალები ან სამსუნში და კერასუნტში თურქული ხელისუფლებისადმი იქნა გადაცემული, ან, სხვა შემთხვევაში, თავისუფლად გაიყიდა. აქ ჯერ კიდევ მყოფი იარაღი, პატრონტაშები და სამედიცინო ინსტრუმენტები თან იქნებიან წამოღებულნი. უმორჩილესად თან ვურთავ თურქული ხელისუფლების მიერ იარაღის გადმოცემისას შედგენილ მიღების მოწმობას.

კავკასიის ოპერაცია, თუმცა ის სრულებითაც არ ექვემდებარებოდა ინსტრუქციას ფინანსური ანგარიშის ჩაბარების შესახებ, სავაჭრო პრინციპებზე დამყარებულ ზუსტ ხარჯთაღრიცხვას აწარმოებდა. ამისდა მიუხედავად, ხარჯ-

თაღრიცხვის წარმოების დროს სრული სიცხადის და სიზუსტის სწორად დაცვა შეუძლებელი იყო. ამის მიზეზი, უპირველეს ყოვლისა, ქართული ლეგიონის ხშირი გადაადგილება იყო, განვრთნილი და სანდო პერსონალის ნაკლებობა, ისევე როგორც სახაზინო და საბუღალტრო ანგარიშებთან დაკავშირებულ ყველა პირთა ხშირი ავადმყოფობა. გარდა ამისა, ის გარემოება, რომ ქართველთაგან მხოლოდ უიშვიათეს შემთხვევებში იქნა მიღებული შესაბამისი ანგარიში მათდამი გაცემული ავანსების შესახებ და ბოლოს, საერთო ურთიერთობები აღმოსავლეთ ანატოლიაში, რომლებიც ყოველთვის არ გვაძლევდნენ საშუალებას წესიერად გაფორმებული ქვითრები და ა.შ. წამოგველო. რაც შეეხება მეკავშირე ოფიცრის გერმანული შტაბის ხარჯთაღრიცხვას და გერმანელთა ანგარიშსწორებას, აქ წიგნებში სრული სიცხადე და წესრიგი სუფევს. [...]

Politisches Archiv des Auswärtigen Amts (PA AA), Akten Betreffend den Krieg 1914, Unternehmungen und Aufwiegelingen gegen unsere Feinde im Kaukasus. R 21024.
თარგმანი გერმანულიდან.

№ 178

**საქართველოს განთავისუფლების კომიტეტის
წევრის, გიორგი მაჩაბლის წერილი გერმანიის
საგარეო საქმეთა სამინისტროს, რუსეთში არსებული
შიდაკოლიტიკური მდგომარეობის და სტოკჰოლმში
სოციალისტთა საერთაშორისო სამშვიდობო კონგრესის
მოწვევის მხედლობების შესახებ**

1917 წლის 15 მაისი
სტოკჰოლმი

რუსეთიდან ბოლოს მიღებული ცნობებით კვლავ შეუძლებელია ნათელი სურათის დადგენა, იქ მიმდინარე მოვლენების შესახებ. მშვიდობის მომხრეები აგრძელებენ თავის სამუშაოს და ასევე ძლიერ პროპაგანდას ეწევიან ჯარში. ძალიან მნიშვნელოვანია, თუკი ახლანდელ დროებით სამინისტროში¹ მემარცხენეების წარმომადგენლები შევლენ და კოალიციურ კაბინეტს შექმნიან. თუ ეს მოხდება, უნდა დაველოდოთ თუ ვინ შევა ამ სამინისტროში და რა ტიპის ახალი განმარტებები გაკეთდება. ჩემი რწმენით, კოალიციური კაბინეტი რუსულ პირობებში რაიმე ახალს არ მოიტანს. გაცილებით მეტი ეფექტურობა ექნება გერმანიის მთავრობის მხრიდან ახალ განმარტებას, ჩემს მიერ ადრე გამოთქმული აზრის კონტექსტში, რუსეთის მშვიდობის მომხრე პარტიის სურვილების გათვალისწინების შესახებ, რითაც ასევე გამოწვეული იქნება არეულობა რუსეთის შიდა საქმეებში.

რაც შეეხება აქაურ სოციალისტთა სამშვიდობო საერთაშორისო კონგრესს, მისი წარმატება დიდად არის დამოკიდებული რუსების მონაწილეობაზე, რასაც აქ სრულიად ითვისებენ. ჩვენ, რუსეთის ყველა ერების წარმომადგენლებმა, როგორებიც ფინელები, ესტონელები, ლიტველები, ლატვიელები, ქართველები, თათრები, პოლონელები არიან, ერთობლივი სხდომა ჩავატარეთ, რათა სამშვიდობო კონგრესზე ამ ეროვნებების სოციალისტთა მონაწილეობა განგვეხილა. სამწუხაროდ, ამჟამად სტოკჰოლმში ასეთი სოციალისტები ცოტაა და მათაც მხოლოდ მაშინ შეუძლიათ კონგრესში მონაწილეობის მიღება, თუკი შესაბამისი პარტიებიდან კანონიერ მანდატს ფლობენ. ამიტომ, გადავდგით ნაბიჯები, რომ კონგრესის მონაწილეებისთვის მანდატები მიგველო.

წერეთელმა და მე ამის გამო რამდენჯერმე ტელეგრამა გავგზავნეთ საქართველოში, მაგრამ პასუხი აქამდე არ მიგვიღია. ჩვენ ვშიშობთ, რომ ტელეგრამე-

¹ იგულისხმება რუსეთის დროებითი მთავრობის პირველი კოალიციური შემადგენლობა (10 „მინისტრი-კაპიტალისტი“ და 6 მინისტრი-სოციალისტი, მინისტრი-პრეზიდენტი – თავადი გიორგი ლვოვი), რომელიც ე.წ. აპრილის კრიზისის შედეგად 1917 წლის 5 (18) მაისს ჩამოყალიბდა.

ბი რუსულმა ცენზურამ ჩაიგდო ხელში. ჩვენ აგრეთვე რამდენიმე სხვა გზითაც ვცადეთ ჩვენს თანამემამულეებთან წერილობითი ფორმით დაკავშირება, მაგრამ არც ასე მიგვიღია რაიმე პასუხი. მე მხოლოდ ჩემი ძმისგან პეტროგრადიდან მივიღე ტელეგრამა, საიდანაც ჩანს, რომ ჩემი მეგობრები პეტროგრადში უსაქმოდ არ არიან. შეიძლება შევძლო მუდმივი კავშირი დავამყარო ამ ჯგუფთან, რომ საბოლოოდ ამ მეგობრების დახმარებით საჭირო ცნობები გადავგზავნო და სასურველი გავიგო. ზემოხსენებული ეროვნებათა სხდომის შედეგი ის იყო, რომ პირველ რიგში, მივიღეთ ზოგადი სურათი რუსეთის ყველა არარუს ქვეყანაში არსებული ვითარების შესახებ, მეორეს მხრივ, ყველა ერმა თვითგამორკვევის უფლებას დაუჭირა მხარე და ამ პოზიციაზე დარჩება, და მესამე, გადანყდა გარკვეული ტიპის საინფორმაციო ბიუროს დაარსება, რომ შეგვეძლოს ერთმანეთისთვის სხვადასხვა ქვეყნებში არსებული მდგომარეობის გაცნობა და თუ შესაძლებელი იქნება, სოციალისტების სამშვიდობო კონგრესზე თვითგამორკვევის უფლების მოთხოვნით ერთიანად გამოსვლა.

ბიუროს სამომავლო საქმიანობის და მოვლენების ზოგადი მიმდინარეობის შესახებ, ყოველი შესაძლებლობისთანავე გაცნობებთ.

თქვენი სრულიად ერთგული,
გიორგი მამულია

Politisches Archiv des Auswärtigen Amtes (PA AA), Akten Betreffend den Krieg 1914, Unternehmungen und Aufwiegungen gegen unsere Feinde im Kaukasus. R 21023.
თარგმანი გერმანულიდან.

№ 179

საქართველოს განთავისუფლების კომიტეტის
თავმჯდომარის, კედრე სურგულაძის წერილი იბავე
კომიტეტის წევრს, მიხეილ წერეთელს, ქართული
ლეგიონის ოსმალეთიდან ბერბანიაში გადმოყვანის და
ბერლინში არსებული ვითარების შესახებ

1917 წლის 16 მაისი
ბერლინი

ძმაო მიხაკო. ეს ერთი კვირეა, უკვე ბერლინში ვარ. წერილი არ მოგწერე, რადგან სადაც მე წავალ, იქ ყოველთვის საქმე დაბინდულია. მე მიკვირს შენი ამბავი. როცა ლეგიონის გადმოყვანაზე ლაპარაკი იყო, გახსოვს უსათუოდ, მე წინააღმდეგი ვიყავი, ხოლო შენ დიდი სიხარულით მიემხრე და მეც, რაკი ყველა მომხრე გახდით, ველარ გენინაალმდეგეთ. ეხლა, როცა ლეგიონი აქ ჩამოიყვანეთ, ისე წასულხარ, რომ არაფერი ვიცით. საქმე კი აქაც ჩახლართულია. ჩვენი ლეგიონი გაათავსეს უკრაინელების ლაგერში, როგორც ტყვეები. წინადადება მომცეს, სამუშაოთ გავიყვანოთ. ეს ჩემი აზრით შეუძლებელია. თუ დარჩებიან, დარჩნენ, როგორც ჯარისკაცები, თუ არა და მინა ოსმალეთში გაცილებით მეტია თავისუფალი, წავიდნენ და იქ იმუშავონ. ერთი სიტყვით, ჯერ კიდევ ბურუსშია ჩვენი საქმე. შენ რომ ჩემთვის ერთი სიტყვა მოგეწოდებია, სულ აღარავის წამოვიყვანდით. გარდა ამისა, ახლა ბევრი რჩება აფიცერთაგანი თავისუფალი, ზოგ მათგანს სურს ჩვენში გადასვლა. ეგების ეს საქმე გახერხდეს. რამდენად შესაძლებელია, შენ უფრო გეცოდინება. სტამბოლში დარჩენილი წევრები კომიტეტისა სულ საყვედურებში არიან. უნდათ აქ ჩამოსვლა. კერესელიძის (გოგისი) არაფერი ისმის. მაცნობე, შენ გეცოდინება. თუ არ ჩამოვა, გაზეთს განვაგრძობთ. ტყვეებიდან უთვალავი წერილები მოდის, გვეხვეწებიან გამოველაპარაკოთ და გზა ვუჩვენოთ. მეტის-მეტად საჭიროა ერთად შევხვდეთ ერთმანეთს ამ ახალ პირობებში და ჩვენი საქმეები მოვანესიეროთ. სად არის გიორგი მაჩაბელი? თუ მანდ არის, ერთი ვნახოთ ერთმანეთი. მასთან ლაპარაკი მეტად საჭიროა. ყოველ შემთხვევაში მარტო ნუ დამტოვებთ. ეს წერილი მიიღო თუ არა, მაშინვე მიპასუხე, თუ შეიძლებოდეს ტელეგრაფით, სადაა გიორგი, ჩამოხვალთ თუ არა და რას აპირებთ.

შენი პეტრე სურგულაძე

ისევ ძველ ბინაზე დავდექი.
ველი თქვენ პასუხს.

რაც შეეხება რუსეთს, ვფიქრობ, ამ მოკლე დროში იქ დაინყება დიდი რეაქცია, რომელიც შეიძლება საერთო ამბოხით დასრულდეს და ჩვენ რომ ამ მომენტი არ ვისარგებლოთ, დიდი ისტორიული უბედურება იქნება ჩვენთვის.

Politisches Archiv des Auswärtigen Amts (PA AA), Akten Betreffend den Krieg 1914, Unternehmungen und Aufwiegungen gegen unsere Feinde im Kaukasus (Personalia). R 21027.

№ 180

საქართველოს განთავისუფლების კომიტეტის
წევრის, გიორგი მაჩაბლის წერილი ოტო გიუნდერ
ფონ ვეზენდონკს, გერმანიის იმპერიის საბარეო
საქმეთა სამინისტროს ლეგაციის მდივანს და ახლო
აღმოსავლეთის საქმეთა რეფერატს, სტოკჰოლმში
დაგეგმილი სოციალისტების სამშვიდობო
კონგრესზე საქართველოდან
სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის
წარმომადგენელთა შესაძლო ჩასვლის შესახებ

1917 წლის 21 მაისი
სტოკჰოლმი

პატივცემულო ბატონო ბარონ,

დღეს როგორც იქნა მივიღეთ ერთი ტელეგრამა ტფილისიდან, რომელიც შემდეგს იტყობინება: „ჩვენ სოციალისტების სამშვიდობო კონგრესისთვის ვგზავნით სპეციალურ დელეგაციას“, საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტური პარტიის კომიტეტის ხელმოწერით. აქედან ჩანს, რომ ჩვენმა მეგობრებმა ტფილისში ჩვენი ცნობები მიიღეს და ჩვენ ჩვენს მიზნებში გვეთანხმებიან. ქართველის ჩამოსვლა ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანი იქნებოდა. ეს სამშვიდობო კონფერენცია რომც არ შედგეს, ჩვენი მეგობრის მონაყოლით შეგვეძლება საქართველოში არსებული მდგომარეობის შესახებ წარმოდგენა გვექონდეს. გარდა ამისა, მას, როგორც ქართული ნაციონალისტური პარტიის ოფიციალურ წარმომადგენელს, შეეძლება სხვა სამუშაოებშიც, სხვა ეროვნებათა წარმომადგენლებთან ერთად მიიღოს მონაწილეობა.

წერეთელი და მე გთხოვთ კვლავაც, რომ ბერლინში ჩვენი მეგობრების წერილები დიდი დაყოვნების გარეშე მოგვანოდოთ. წერეთლის ორივე წერილი ჩემდამი, თავის დროზე დიდი დაგვიანებით მივიღე. მეორე წერილი, მაგალითად, ერთი თვის შემდეგ მივიღე, როდესაც ბატონი წერეთელი დიდი ხნის (14 დღის) ჩამოსული იყო. ახლა ძალიან ველოდებით ერთ წერილს ბატონ სურგულაძისგან, რომელმაც ამომწურავი წერილის საფოსტო ბარათით გამოგზავნის შესახებ დიდი ხანია გვამცნო და თავაზიანად გთხოვთ, რაც შეიძლება სწრაფად გამოგვიგზავნოთ. წინააღმდეგ შემთხვევაში, არარეგულარული კორესპონდენცია ძალიან გვირთულებს მუშაობას.

სამშვიდობო კონფერენციის შესახებ აქ ზუსტად არაფერი იციან, ნებისმიერ შემთხვევაში ჩვენ მზად ვართ, რომ მონაწილეობა მივიღოთ.

თქვენი სრულიად ერთგული,
თავადი მამაბელი

*Politisches Archiv des Auswärtigen Amts (PA AA), Akten Betreffend den Krieg 1914,
Unternehmungen und Aufwiegelingen gegen unsere Feinde im Kaukasus. R 21023.
თარგმანი გერმანულიდან.*

№ 181

**საქართველოს განთავისუფლების კომიტეტის
თავმჯდომარის, კედრე სურგულაძის წერილი
სტამბულში მყოფ იმავე კომიტეტის წევრებს,
ოსმან ბეი (მელიტორე) ქარსივადეს და მურად ბეი
(ნესტორე) გადალაშვილს, ქართული ლეგიონის
ოსმალეთიდან ბერმანიაში გადმოყვანის და რუსეთის
შიდაპოლიტიკური მდგომარეობის თაობაზე**

1917 წლის 22 მაისი
ბერლინი

იმ დღიდან, რაც აქ ჩამოველ ლეგიონის საქმეში ვარ გაბმული, მაგრამ დღემ-
დისაც ვერაფერი გამოვარკვიე და ამიტომაც ვერაფერი მოვიწერე. საქმე ის არის,
რომ ლეგიონი მოუთავსებიათ ტყვეთა ბანაკში და აზრად ჰქონდათ შეცვლილი
პირობების მიხედვით ლეგიონერები სამუშაოზე გაეწვიათ. მე მაშინვე წაველ სა-
ნახავად ხალხისა. პირველი ეშელონი ძალიან კარგად ჩამოსულა, არც გაჭირვე-
ბიათ გზაში და არც არაფერი. ხოლო მეორე ეშელონი საოცრად გაუნვალებიათ.
ხალხისთვის გზაში უცემიათ, შიმშილით მოუკლავთ. უყიდიად განგებ ღორის
ხორცის კონსერვები და შეუთავაზებიათ ჯარისკაცებისათვის. რასაკვირველია,
ისინი არ სჭამდნენ. ეს ექიმ შელყელცს და მის კამპანიას ძალიან გახარებიათ,
მთელი საგზალი თავისთვის დაუტოვებიათ და სამაგიეროთ თვითეულ ჯარისკა-
ცისათვის თითო მარკა დაურიგებიათ. ასე მამაძალღურად უწვალებიათ ხალხი
და გზა-გზა გერმანელი უცხო ჯარისკაცები რომ არ დახმარებოდენ, კიდევ უარეს
დღეს დაგვაყრიდენ. ჯარისკაცებს ველაპარაკე. რასაკვირველია, კომიტეტი პირ-
შავად გამოდის. საყვედურებით შემხვდნენ. ცოლ-შვილი რად დაგვატოვებოდა
და აქ თუ სამუშაოზე მოგყავდით, ბარემ იქ დავრჩებოდით და ვიმუშავებდით.
მეც ამის შესაფერი მოხსენება მივეცი, სადაც ვამბობ, ან ლეგიონი სამხედრო ორ-
განიზაციით იქმნას დაცული, თუ არა და ხალხი უკან დააბრუნეთ მეთქი. იმედი
მაქვს, ამ ორ დღეში პასუხი მივიღო. მიხაკო და მაჩაბელი სტო[კ]ჰოლმში არიან,
ზედიზედ ორი წერილი მივწერე და ჯერ არავითარი პასუხი არა მაქვს. ჯერ-ჯე-
რობით პოლიტიკური მდგომარეობა ისეთია, რომ ჩვენი საქმე დავიწყებისკენ მი-
დის. მაგრამ ადვილად შეიძლება ეს მდგომარეობა შეიცვალოს. მაშინ შესაძლებე-
ლია ჩვენსკენაც მზე ამოვიდეს. რამდენად რუსულ, გერმანულ და შვეიცარიულ
გაზეთების კითხვით შეიძლება რამე გაიგოს კაცმა, რუსეთში დიდი რყევაა. ჯარი
მოშლილია. ბურჟუაზიული და სოციალისტური პარტიები ვერ შეთანხმებულან.
სამწუხაროდ ჩვენდა, ამ ბოლო დროს სოციალისტურ პარტიების უმრავლესობამ

შეიგნო, რომ მას არ შეუძლია მთავრობა ხელში ჩაიგდოს და სახელმწიფოებრივ საქმეებს გაუძღვეს. და რადგან ბურჟუაზიულ პარტიასაც არ აქვს საკმაო ღონე, ამიტომ საერთო თანამშრომლობის გზას დაადგინენ და შეერთებული სამინისტრო შეადგინეს. თუ ეს გზა სასიცოცხლო გამოდგა, მაშინ რევოლუცია არსებითად დასრულებულად უნდა ჩავთვალოთ და ჩვენც მაშინ დედას გვიტირებენ. წინააღმდეგ შემთხვევაში, ადვილი შესაძლებელია რუსეთი სულ დაიშალოს და რამდენიმე სახელმწიფო გამოიჭრას. რამდენადაც მე შევნიშნე, გერმანიის მთავრობა ცდილობს მეგობრულად მოეპყროს რუსებს, თითქო განზე დადგეს და უცადოს რუსეთის საქმეთა შინაგან განვითარებას. აქედან ცხადია, ჩვენს საქმესაც დაეკარგება თავისი მნიშვნელობა. მაგრამ, ვფიქრობ ეს მდგომარეობა დიდ ხანს არ გაგრძელდეს და ამ შემთხვევაში შემოიძლია ვთქვა, თუმცა საკმაოდ არ ვიცი საერთო სამხედრო პირობები, გერმანია შემცდარ გზას ადგია. რუსეთს ბევრი დიდი მიზეზი აქვს და მათში განსაკუთრებით ფინანსიური, ცალკე ზავი არ ჩამოაგდოს, ხოლო საერთო შერიგება დღეს-დღეობით ძალიან ძნელი საქმეა. ეროვნული საკითხი რუსეთში მეტად გართულებულია. რუსის მთავრობამ სცნო ფინლანდიის და პოლონეთის უფლებანი. დანარჩენ ერების შესახებ ბურუსში ახვევენ საქმეს. ამბობენ, ეხლა ჩუმად იყავით, დამფუძნებელ კრებას დაუცადეთ და ის თქვენ ყოველივე სიკეთეს მოგანიჭებთო. მაგრამ უკრაინელები შეეცადნენ ეხლავე შეადგინონ ეროვნული ჯარი, მოიწვიონ თავიანთი დამფუძნებელი კრება და თვითონვე განახორციელონ თავიანთი თავისუფლება. ამავე გზას ადგანან ლიტველები. ჩვენში, სამწუხაროდ, პარტიები ვერ შეთანხმებულან, რის გამო ფედერალისტთა და ნაციონალისტთა ცდას გზა გადაულობა გადაჭრილმა წინააღმდეგობამ რუსებისა და ს[ოციალ]-დემოკრატებისა. საქმე მეტად გამწვავებულია და არ მგონია შეუტაკებლად დასრულდეს. ვუცდი ლეგიონის საკითხის გამორკვევას, როცა ეს საკითხი გამოირკვევა, მაშინ რამდენიმე სხვა საკითხსაც გამოვარკვევთ. გადასვლის საქმე, როგორც ჩვენ ვფიქრობდით, არ ვფიქრობ მოხერხდეს. მხოლოდ ეგების შესაძლებელი იყოს შვეციის გზით. შეიძლება მეც გადავიდე, რამდენიმე აფიცერთაგანაც. გოგია¹ აქ არ არის, როგორც მითხრეს ცოლ-შვილს აგზავნის რუსეთშიო. ზია ბეგის² საკითხი არ დამიყენებია ჯერ-ჯერობით. მე რომ მკითხოთ, აქ ჩამოსვლა არაფერი სახარბიელოა. ყოველ შემთხვევაში, ამ ორ-სამ დღეში იმედი მაქვს კედისა³ საქმე გამოვარკვიო. ეცადეთ თურქებთან კავშირი არ შეწყვიტოთ და თუ რამე ახალია, მაცნობეთ. ადვილად შესაძლებელია, რუსებმა უკან დაიხიონ. ხომ არავინ წავიდა ჩვენსკენ? მოგიკითხეს ყველამ. ვასოს გადასცემთ, რომ სოლომონი⁴ წასვლას აპირებს. ის რაღას ფიქრობს, მოიწეროს.

პეტრე სურგულაძე

დ. ვცხოვრობ ძველ ბინაზე.

Politisches Archiv des Auswärtigen Amtes (PA AA), Akten Betreffend den Krieg 1914, Unternehmungen und Aufwiegungen gegen unsere Feinde im Kaukasus(Personalia).

R 21027.

¹ იგულისხმება კერესელიძე გიორგი (1885-1960).

² იგულისხმება აბაშიძე (სანჯაკბეგიშვილი-აბაშიძე) ზია ბეგი (1875-?).

³ იგულისხმება კედია სპირიდონი (1884-1947).

⁴ იგულისხმება ვადაჭკორია (ვადაკური) სოლომონ (1880-1928).

№ 182

საქართველოს განთავისუფლების კომიტეტის
თავმჯდომარის, კედრე სურგულაძის წერილი
გერმანიის საბარეო საქმეთა სამინისტროს, გერმანიის
და ავსტრია-უნგრეთის ძველთა ბანაკებში მყოფ
ქართველებთან ჩასათარებელი პროპაგანდისტული
სამუშაოს აუცილებლობის შესახებ

1917 წლის 29 მაისი
ბერლინი

იმის გათვალისწინებით, რომ ქართული კომიტეტი სხვადასხვა ტყვეთა ბანაკიდან დატყვევებული ქართველი ოფიცრებისგან და ჯარისკაცებისგან ბევრ წერილს იღებს თხოვნით, არსებული მდგომარეობის განმარტების შესახებ, რომელიც რევოლუციიდან წარმოიშვა, ასევე მისი მიზნების და საქმიანობის შესახებ, ჩვენ იმ აზრის ვართ, რომ მიზანშეწონილი და განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი იქნებოდა ბანაკებში დღევანდელი დროის შესაბამისი პროპაგანდის წარმოება. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ გავავრცელოთ სწორი წარმოდგენა საქართველოში არსებულ პოლიტიკურ ვითარებაზე და მოვლენებს მოვფინოთ ნათელი, რომ მოვემზადოთ სამომავლოდ.

ქართული კომიტეტი, შესაბამისად, მიმართავს იმპერიის საგარეო საქმეთა სამინისტროს თავაზიანი თხოვნით, რომ დაეხმაროს მას ამ საკითხში და უჩვენოს მას საშუალება და გზა, რაც საჭიროა გერმანულ და ავსტრო-უნგრულ ტყვეთა ბანაკებში ვიზიტებისთვის.

განსაკუთრებული პატივისცემით,
პ. სურგულაძე

Politisches Archiv des Auswärtigen Amts (PA AA), Akten Betreffend den Krieg 1914, Unternehmungen und Aufwiegungen gegen unsere Feinde im Kaukasus. R 21023.
თარგმანი გერმანულიდან.

№ 183

**საქართველოს განთავისუფლების კომიტეტის წევრის,
გიორგი მაგაბლის წერილი კომიტეტის თავმჯდომარეს,
პეტრე სურგულაძეს, სტოკჰოლმსა და ბერლინში
კომიტეტის მიერ ჩასატარებელი საუბაროების შესახებ**

1917 წლის 1 ივნისი
სტოკჰოლმი

ძვირფასო პეტრე,

შენი 19 მაისის წერილი¹ ჩვენ მხოლოდ დღეს მივიღეთ.

რადგან ჩვენ მიმონერას ქართულ ენაზე გაურკვეველი დაგვიანებები მოსდის, რაც ჩვენს მუშაობას ხელს უშლის – იძულებული ვარ, რომ ეს წერილი გერმანულად მოგწერო, რომ შენ ის დროულად მიიღო. ძალიან ვწუხვარ, რომ ჩემი დაბრუნების შემდეგ არ მომცემია ჯერ შესაძლებლობა, რომ დაგლაპარაკებოდი. ამ წუთისთვის ჩემი და მიხას აქ ყოფნა სრულიად აუცილებელია და მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში ჩამოვიდოდა ერთ-ერთი ჩვენგანი მანდ მოკლე დროით. შენ იცი, რომ აქ ამჟამად დიდი მზადება მიმდინარეობს მომავალი სოციალისტური კონგრესისთვის. ჩვენი მიზანი იქითაა მიმართული, რომ ჩვენ, ან საერთოდ ქართველების წარმომადგენელმა, მიიღოს მასში მონაწილეობა. ჩვენ საჭირო ნაბიჯები გადავდგით, ტფილისიდან ფედერალისტებისგან მივიღეთ ტელეგრამა, რომ ამ პარტიის ერთ წარმომადგენელს უნდა ჩამოსვლა და ვიმედოვნებთ, რომ საქართველოს საკითხი ამ კონგრესზე იქნება განხილული. ეს ყველა ჩვენთაგანისთვის არის მთავარი საკითხი და არ გვაქვს უფლება, რომ ამ მიზნისთვის მუშაობას ხელი შევეშალოთ სხვა უფრო პატარა საკითხებით. ამ თვეში ამ საკითხმა გადაწყვეტა უნდა ჰპოვოს და ამის შემდეგ უფრო თავისუფლად მექნება საშუალება დრო დავუთმო იმ საკითხებს, რაზეც შენ მოგვწერე.

უმჯობესი იქნებოდა, რომ შენ ალექსანდრესთან² ერთად აქ ჩამოსვლა შეგძლებოდა. სამწუხაროდ, ამ შემთხვევაში მანდ ჩვენიანი აღარავინ იქნებოდა, რომ საქმეებისთვის მიეხედა. ამიტომ გთხოვ, დროებით დაელოდო მანდაური საკითხების მოგვარებას. ამის შესახებ მივწერ ბატონ ვეზენდონკსაც და ვთხოვ, რომ ჩვენი ლეგიონის საკითხზე ამჟამად არანაირი გადაწყვეტილება არ მიიღონ, სანამ ჩვენ ერთად ამის შესახებ არ მივიღებთ გადაწყვეტილებას. მე იმ აზრის ვარ, რომ ჩვენ ოფიცრებისა და ჯარისკაცებისთვის შევძლებთ ისეთი პირობების გამოძებნას,

¹ როგორც ჩანს, იგილისხმება პეტრე სურგულაძის 1917 წლის 16 მაისის წერილი მიხეილ წერეთელს. იხ. დოკ. 179.

² იგულისხმება გოზალიშვილი (გოზალოვი) ალექსანდრე.

რაც მათ მომავალს საფრთხეს არ შეუქმნის. ამიტომ გთხოვ, რომ ამ ხალხს დაე-
ლაპარაკო და დაამშვიდო, რომ მალე ისინი კარგად დაბინავდებიან.

რაც შეეხება შენს და სხვა ქართველების გამგზავრებას სამშობლოში, მე და
მისა ვთანხმდებით, რომ ყველა ჩვენს მეგობარს, ვისაც კი შეეძლება, უნდა წამო-
ვიდეს, რადგან მათ ახლა იქ მეტი სარგებლის მოტანა შეუძლიათ, ვიდრე აქ.

მე იმ აზრის ვარ, რომ საუკეთესო იქნებოდა თქვენი შვეიცარიიდან, გერმა-
ნიის გავლით, სხვა ემიგრანტებთან ერთად გამგზავრება. ძალიან სამწუხაროა,
რომ ჩვენი ხალხი არ შეუერთდა ლენინის ჯგუფს ან სხვებს. მაგალითად, ბატონ
ვადაჭკორიას¹ თავისუფლად შეეძლო რომ ასე გამგზავრებულიყო. ამის შესახებ
მოგვიანებითაც შეგვიძლია ვისაუბროთ. ჩვენი ოფიცრებისთვის უკეთესად მი-
მაჩნია, რომ ისინი გერმანიაში დარჩნენ ამჟამად, რადგან მათ ემიგრანტების სა-
ხელით მგზავრობა გაუჭირდებათ. ლეომ² ჩვენ მოგვწერა, რომ მასაც საქართვე-
ლოში უნდა წასვლა და ელოდება მგზავრობის ნებართვას. მასაც იქ ბევრად მეტი
სარგებლის მოტანა შეუძლია. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ ქართვე-
ლები ერთიანად და ძლიერად გამოვიდნენ მათი დამოუკიდებლობის და უფლე-
ბების დასაცავად, რადგან ახლანდელი შესაძლებლობის არგამოყენების უფლე-
ბა არ გვაქვს. ჩვენ, ძვირფასო პეტრე, ბევრ რამესთან გვინევს ბრძოლა და რომც
ვერ შევძლოთ თავისუფალი ქართული დროშის ფრიალის ხილვა, ჩვენი მუშაობა
აუცილებლად მოიტანს ნაყოფს და საფუძველს ჩაუყრის საქართველოს თავი-
სუფლებას.

ახლა ჩვენი მიზანია მოთმინება ვიქონიოთ, გადაქანცული ნერვები გავაერთი-
ანოთ და დაწყებული სამუშაო ბოლომდე მივიყვანოთ.

გთხოვ, მომიკითხე ყველა მანდაური მეგობარი, უთხარი ალექსანდრეს, რომ
მისი ბარათი მივიღე და ძალიან გამეხარდება ჩემი ერთგული მეგობრების მოკლე
ხანში კონსტანტინოპოლში ხილვა.

გულითადი მოკითხვით,
შენი ერთგული გიორგი

*Politisches Archiv des Auswärtigen Amts (PA AA), Akten Betreffend den Krieg 1914,
Unternehmungen und Aufwiegelungen gegen unsere Feinde im Kaukasus. R 21024.
თარგმანი გერმანულიდან.*

¹ იგულისხმება ვადაჭკორია (ვადაკური) სოლომონ (1880-1928).

² იგულისხმება კერესელიძე ლეო (1883-1943).

№ 184

**საქართველოს განთავისუფლების კომიტეტის
წევრის, გიორგი მაჩაბლის წერილი ოთო ბიუნდერ
ფონ ვეზენდონკს, ბერმანის იმპერიის საბარეო
საქმეთა სამინისტროს ლეგაციის მდივანს და ახლო
აღმოსავლეთის საქმეთა რეფერატს, ქართველ
ლეგიონერებთან დაკავშირებული საკითხების
ბადაწყვეტის მისი ან მიხეილ წერეთლის ბერმანიაში
დაბრუნებამდე გადაღების შესახებ**

1917 წლის 1 ივნისი
სტოკჰოლმი

პატივცემულო ბარონ ფონ ვეზენდონკ,

დღეს მივიღეთ წერილი ბატონ სურგულაძისგან. სამწუხაროდ, წერილი კვლავ დიდი დაგვიანებით ჩამოვიდა. ის 12 დღე იყო გზაში და არაა გასაკვირი, რომ ბატონი სურგულაძე ბრალს გვდებს იმაში, რომ ჩვენ მას დიდი ხნის მანძილზე პასუხი არ მივწერეთ მის ძველ წერილზე, რომელიც ასევე დაგვიანებით ჩამოვიდა. ამიტომ, თანდართულ წერილს მას გერმანულად ვწერ იმ იმედით, რომ მას დროულად მიიღებს. გარდა ამისა, ის გვატყობინებს, რომ წერეთლის წერილი, რომელიც თქვენ ცნობათა ბიუროში მასთან გადასაგზავნად გაგზავნეთ, დაიკარგა.

თუკი ჩვენი კორესპონდენციის დაგვიანება ქართული ენიდან გამომდინარეობს, გთხოვთ, რომ ამის თაობაზე შემატყობინოთ, რათა ჩვენ მხოლოდ გერმანულად ან ფრანგულად ვიკონტაქტოთ, რადგან ასეთი დიდი დაგვიანებები, როდესაც თითოეულ დღეს თავისი მნიშვნელობა აქვს, აფორიაქებს ადამიანებს და ართულებს საქმეს. ძალიან სამწუხაროა ჩემთვის, რომ ამის შესახებ უკვე მესამედ უნდა დავიჩივლო, მაგრამ თქვენ თავად მიხვდებით, რომ შეუძლებელია აქედან ბერლინამდე წერილს 2-3 კვირა დასჭირდეს და კონსტანტინოპოლიდან გამოგზავნილი წერილი, რომელიც 30 იანვრით თარიღდება, მხოლოდ რამდენიმე დღის წინ ჩამოდიოდეს.

ბატონი სურგულაძე ითხოვს, რომ რომელიმე ჩვენგანი ბერლინში ჩამოვიდეს ოფიცრებისა და ლეგიონერების საკითხების გადასაწყვეტად. რადგან ამჟამად აქ სამშვიდობო კონფერენციის საკითხი როგორც ჩანს აქტუალური გახდება და მე ჩემს ძმას ველოდები ყოველდღე პეტროგრადიდან და ასევე ბევრი სხვა საკითხია მოსაგვარებელი, ჩვენთვის ახლა შეუძლებელია წამოსვლა. ამიტომ, გთხოვთ თქვენ, რომ დროებით ზემოხსენებულ საკითხებთან დაკავშირებით გეგმა არ შე-

იმუშაოთ, სანამ მე ან ბატონი წერეთელი არ დავბრუნდებით და სანამ ჩვენს მეგობრებთან ერთად საკითხთან დაკავშირებით არ მოვილაპარაკებთ. იქამდე კი ლეგიონებს შეუძლიათ ალბათ იქვე დარჩნენ, სადაც ახლა არიან განთავსებული.

თქვენი სურვილისამებრ, უკან გიგზავნით გიორგი კერესელიძის მოხსენებას წერეთლის და ჩემს პასუხთან ერთად.

თქვენი სრულიად ერთგული,
თავადი მაჩაბელი

*Politisches Archiv des Auswärtigen Amts (PA AA), Akten Betreffend den Krieg 1914,
Unternehmungen und Aufwiegelingen gegen unsere Feinde im Kaukasus. R 21024.
თარგმანი გერმანულიდან.*

№ 185

საქართველოს განთავისუფლების კომიტეტის
წევრების, ბიორგი მაჩაბლის და მიხეილ წერეთლის
წერილი, ლეო კერესელიძის საქართველოში
დაბრუნების შემთხვევაში სამოქმედო გეგმის შესახებ

1917 წლის 1 ივნისი
სტოკჰოლმი

ორი ქართველი ოფიცრის კავკასიაში ჩასვლა გასახარია, იმის მიუხედავად, რომ დღეს სამხედრო თვალსაზრისით ორივე მათგანს ძნელად თუ რამის გაკეთება შეეძლოს. ასევე შეიარაღებული აჯანყება და რაზმების ჩამოყალიბება ადგილზე ბევრს ვერაფერს შეცვლის, რადგან პოლიტიკური და სამხედრო მდგომარეობა კავკასიაში ამ მომენტისთვის ამის შესაძლებლობას არ იძლევა. რაც შეეხება ბატონ ლეო კერესელიძის სხვა საქმიანობას, ჯერ უნდა დაველოდოთ, მიიღებს თუ არა ის საერთოდ ნებართვას საქართველოში დაბრუნების შესახებ. თუ ის ასეთ ნებართვას მიიღებს, მაშინ მასთან ერთად ყველაფერზე უნდა მოვილაპარაკოთ და სამოქმედო პროგრამა შევიმუშავოთ. ჩემი ტფილისში პირველად ყოფნის დროს, ჩვენ დავაარსეთ გაზეთი, რომელიც ქართულ ეროვნულ ინტერესებს იცავს და ეს გაზეთი („საქართველო“) ჩვენს ინტერესებს დღემდე იცავს. ბატონ ლეო კერესელიძეს შეუძლია ამ გაზეთს შეუერთდეს. ყველა შემთხვევაში, მის დაბრუნებას საქართველოში ის მნიშვნელობა აქვს, რომ ის იქ ჩვენს იდეებს გაავრცელებს და მშვიდობის პროპაგანდას აწარმოებს.

თავადი გიორგი მაჩაბელი
მ. წერეთელი

*Politisches Archiv des Auswärtigen Amtes (PA AA), Akten Betreffend den Krieg 1914,
Unternehmungen und Aufwiegungen gegen unsere Feinde im Kaukasus. R 21024.
თარგმანი გერმანულიდან.*

№ 186

საქართველოს განთავისუფლების კომიტეტის წევრის,
მიხეილ წერეთლის წერილი კომიტეტის თავმჯდომარეს,
პეტრე სურგულაძეს, კომიტეტის მიერ ქართველ
თყვეებთან ჩასათარებელი საშუალების შესახებ

1917 წლის 2 ივნისი
სტოკჰოლმი

ძვირფასო პეტრე,

შენი წერილი მივიღე, რაზეც გიორგი ამომწურავ პასუხს მოგცემს. ყველაფერს, რასაც ის მოგწერს, ასევე ჩემი მოსაზრებაცაა: ჯერჯერობით უნდა დავიცადოთ. ბანაკებში ჩვენი ლეგიონერები თავისუფლები არიან, მათ არ ექცევიან როგორც ტყვეებს და მეტს სამხედრო სტრუქტურებისგან ვერ მოვითხოვთ. ჩვენი ხალხის დასავლეთ ფრონტზე გაგზავნა, უაზრობა იქნებოდა ახლა, რომ აღარაფერი ვთქვათ აღმოსავლეთის ფრონტზე მათ საბრძოლველად გაგზავნაზე. რაღა რჩება გასაკეთებელი, გარდა იმისა, რომ დავიცადოთ, ან ეს ხალხი სამუშაოდ გაგზავნოთ სადმე? შენი საქართველოში გამგზავრებით (და ასევე სხვა ქართველების წასვლით) ჩვენთვის ბევრი რამის მიღწევა შეიძლება, მაგრამ სამწუხაროდ ახლა საქართველოში გამგზავრება არც ისე იოლია. გარდა ამისა, ჩვენი გამგზავრების წინ, ჩვენი აქაური საქმეების სრული ლიკვიდაცია უნდა მოვახერხოთ. მისწერე გოგიას¹ შენევაში, ან ტელეგრამა გაუგზავნე (ეს კიდევ უკეთესია) და ჰკითხე როდის ჩამოვა, და თუ კიდევ დიდხანს რჩება იქ, გაზეთის გამოცემა შენ უნდა განაგრძო და ჩვენს ტყვეებს რევოლუციის მნიშვნელობა აუხსნა. მალე მოიწერე და დაწყნარდი. მე ამ თვის ბოლოს ჩამოვალ ბერლინში, მანამდე არ შემიძლია. მოკითხვა ყველა მეგობარს.

შენი მიხაკო წერეთელი

Politisches Archiv des Auswärtigen Amtes (PA AA), Akten Betreffend den Krieg 1914, Unternehmungen und Aufwiegungen gegen unsere Feinde im Kaukasus. R 21024.
თარგმანი გერმანულიდან.

¹ იგულისხმება კერესელიძე გიორგი (1885-1960).

№ 187

**საქართველოს განთავისუფლების კომიტეტის წევრის,
გიორგი კერესელიძის მოხსენება კავშირს ერნსტ ფონ
ჰიულსენს, გერმანიის არმიის სახმელეთო ძალების
გენერალური შტაბის პოლიტიკის სექციის უფროსს,
სტოკჰოლმში და კოპენჰაგენში მისი მივლინებისა და
იქ ჩატარებული სამუშაოს შესახებ**

1917 წლის ივნისის პირველი ნახევარი
ბერლინი

1917 წლის 3 ივნისს სტოკჰოლმში ჩასვლისთანავე, მე დაუყოვნებლივ კავშირი დავამყარე ჩემს მეგობრებთან მ[აჩაბელთან] და წ[ერეთელთან]. თავად საქმესთან დაკავშირებით სრული თანხმობა სუფევს. აუცილებელი ნაბიჯების შესახებ მე იმ აზრის ვიყავი, რომ რუსული წარმომადგენლობები სტოკჰოლმში არ არიან გამოსადეგი ასეთი მოქმედებისთვის, ვინაიდან სრულად არიან დამოკიდებულნი ცენტრალურ მთავრობაზე და ყოველი იქაური ცვლილებიდან საკუთარი მდგომარეობის გაუარესების ყოველთვის უნდა გვეშინოდეს.

ამრიგად გვრჩებოდა მხოლოდ კონტაქტის დამყარება პეტერბურგში, რისთვისაც იმ დროს ორი გზა არსებობდა. მ[აჩაბლის] ახლო ნათესავს ყოველ დღე ელიან სტოკჰოლმში და მას შეუძლია შემდგომი აიღოს საკუთარ თავზე. რადგან, ამისდა მიუხედავად, ანგარიში უნდა გაგვეწია მისი ჩამოსვლის დაგვიანების შესაძლებლობისთვის (და აგრეთვე სხვა მიზეზთა გამო), მ[აჩაბელმა] დაუყოვნებლივ ურთიერთობა დაამყარა ფოსტის და ტელეგრაფის სისტემის მინისტრთან¹ შეკითხვით, შეუძლია თუ არა მას უდიდესი მნიშვნელობის საქმეზე მოლაპარაკების საწარმოებლად პეტერბურგში ჩამოვიდეს? 5-ში ჩემი წამოსვლის დროს ამ ტელეგრამაზე პასუხი ჯერ კიდევ არ იყო მოსული. პირიქით, სწორედ 2 ივნისს პეტერბურგში მოვიდა მ[აჩაბლის] ნათესავის მიერ სასწრაფოდ გამოგზავნილი ტელეგრამა, რომ ის მხოლოდ 4-სთვის მიიღებს თავის პასპორტს და მაშინ დაუყოვნებლივ გამოემგზავრება. ვინაიდან არ იყო ცხადი, იგულისხმებოდა 4 ივნისი ძველი თუ ახალი სტილით და საუკეთესო შემთხვევაშიც, მგზავრობის სირთულეებიც უნდა მიგველო მხედველობაში, მოვილაპარაკეთ, რომ მე მეტს აღარ დავუცდი, არამედ დავბრუნდები და წარვადგენ მოხსენებას, რათა სასურველ შემთხვევაში მალე ისევ გავემგზავრო სტოკჰოლმში.

¹ იგულისხმება წერეთელი ირაკლი (1881-1959), რომელსაც რუსეთის დროებითი მთავრობის პირველ კოალიციურ მთავრობაში 1917 წლის მაისიდან ეკავა ფოსტის და ტელეგრაფის მინისტრის თანამდებობა.

ამავე დროს, მ[აჩაბლის] პეტერბურგში მგზავრობის შემთხვევაშიც, წ[ერეთლის] სახით სტოკჰოლმში სანდო პირი რჩება, ასე რომ სადაზვერვო სამსახურს ზრუნვა არ მოაკლდება, რაც, სხვათა შორის, სხვა მიზნებისთვის განსაზღვრული კურიერთა სამსახურის დახმარებითაც შეიძლება იქნეს განხორციელებული.

ვინაიდან, ამასობაში, სოციალისტთა კონფერენცია შედარებით დიდი ხნით გადადებულ იქნა (ჩემი ჩამოსვლის დროს აცხადებდნენ, რომ ის ივლისის შუა რიცხვებში უნდა გაიმართოს, ხოლო ჩემი წამოსვლის წინ ამბობდნენ, რომ ის 28 ივნისსა და 5 ივლისს შორის არის დაგეგმილი), ვივარაუდებ, რომ საქმეს, მნიშვნელოვან ჯგუფთა არ ყოფნის გამო, მთლიანად არ დაანებებენ თავს. განვიხილეთ იმის შესაძლებლობა, რომ წ[ერეთელი], რომელსაც ბერლინშიც ბევრი სამუშაო აქვს, დროებით უნდა ჩამოვიდეს, რათა, შესაძლოა, სხვა დროს დაბრუნდეს სტოკჰოლმში.

როგორც იმ შემთხვევისთვის, თუ მ[აჩაბლის] ნათესავი ჩამოვა, ისე იმ შემთხვევისთვის, თუკი ის თავად გაემგზავრება პეტერბურგში, ჩვენ იმ აზრისა ვართ, რომ განმეორებითი პირადი კონსულტაციები შესაძლოა აუცილებელი იყოს. ეს მ[აჩაბლისთვის] და წ[ერეთლისთვის] სხვა მიზეზებითაც არის სასურველი. ჯერ კიდევ სტოკჰოლმში მათ გამგზავრებამდე და მაშინ განხილული მიზნებისთვის იმაზე ვისაუბრეთ, ხომ არ უნდა წამოვიდეს იქ ასევე მეც? ისინი ამჟამადაც ფიქრობენ, რომ მათი იქაური სამუშაო ძალიან მოიგებს იმით, თუკი მე შევძლებ მათთვის ამ საქმეში სასარგებლო ვიყო.

ამასობაში ყოველდღიურ პრესაშიც გაჩენილი ცნობების შედეგად, სამოქალაქო ტყვეთა გაცვლის რუსთა წინადადების შესახებ, მთელი საქმე სასურველ ფორმატში შევიდა და მე, ჩემი ზეპირი ანგარიშის ჩაბარების შემდეგ, კ[ომ]იტეტთან შეთანხმებით ჩემს სტოკჰოლმელ მეგობრებს შემდეგი ტელეგრამა გავუგზავნე:

„ნაიკითხეთ დღევანდელი პარასკევის „თაგებლათის“ წინა გვერდი, ქვემო ნაწილი. აქ რუსულად ოფიციალურად არის წამოწეული შორსმომავალი პარალელური საკითხები. შეძლებისამებრ გადაეცით ადგილობრივი სტრუქტურების გაგებითი დამოკიდებულება მანდაური ვერბალური მოლაპარაკებების მიმართ. 3 ივნისი“.

ამ ტელეგრამაზე მე ეს-ეს არის მივიღე (დილით სამშაბათს) აქ დართული საპასუხო დეპეშა.

ბოლოს, იმასაც აღვნიშნავ, რომ მე ჩემი სტოკჰოლმში და კოპენჰაგენში ყოფნა სხვადასხვა კონტაქტების დასამყარებლადაც გამოვიყენე, რომლებიც პირდაპირ თუ არაპირდაპირ იმას ემსახურებიან, რომ ხელი შეუწყონ დაგეგმილ აქციას. ამის შესახებ, თუ ამის სურვილი გექნებათ, სიამოვნებით საგანგებოდ მოგახსენებთ.

*ნინო ბადუალ-კერესელიძის პირადი არქივი. ექს-ან-პროვანსი, საფრანგეთი.
თარგმანი გერმანულიდან.*

№ 188

საქართველოს განთავისუფლების კომიტეტის
თავმჯდომარის, პეტრე სურგულაძის წერილი ოტო
გიუნდერ ფონ ვეზენდორფს, გერმანიის იმპერიის
საგარეო საქმეთა სამინისტროს ლეგაციის მდივანს და
ახლო აღმოსავლეთის საქმეთა რეფერატს, მის მიერ
ზაგანის ძველ ბანაკში მგზავრობისა და თხოვნით,
ძველ უფროს ლეიტენანტ სიამაშვილთან შეხვედრის
ორგანიზაციის შესახებ

1917 წლის 7 ივნისი
ბერლინი

ბატონო,

ჩვენი გუშინდელი საუბრის დროს ჩვენ გადავწყვიტეთ, რომ მე თავდაპირველად ზაგანის ტყვეთა ბანაკში გავემგზავრები. იქ მე, უპირველეს ყოვლისა, მსურს მოვიხაზულო ანტონ ჭელაძე (ობერ-კილვიცის სამუშაო ჯგუფიდან) და ერასტი კაჭარავა (ყაზარმა 8 №117) ზაგან გრიუნთალი.

აგრეთვე გთხოვთ მომიწყობთ შეხვედრა, რომელიც მე ამჟამად მინდა რომ მქონდეს, უფროს ლეიტენანტ სიამაშვილთან, რომელიც ფილინგენ-ბადენის ოფიცრების ტყვეთა ბანაკში იმყოფება. ამ უკანასკნელ პირთან მე მინდა განსაკუთრებული საუბარი მქონდეს.

მიიღეთ, ბატონო, ჩემი დიდი პატივისცემის ნიშნები.

პეტრე სურგულაძე

Politisches Archiv des Auswärtigen Amts (PA AA), Akten Betreffend den Krieg 1914, Unternehmungen und Aufwiegungen gegen unsere Feinde im Kaukasus. R 21024.
თარგმანი ფრანგულიდან.

№ 189

საქართველოს განთავისუფლების კომიტეტის
თავმჯდომარის, პეტრე სურგულაძის წერილი ოტო
გიუნდერ ფონ ვეზენდორფს, გერმანიის იმპერიის
საგარეო საქმეთა სამინისტროს ლეგაციის მდივანს და
ახლო აღმოსავლეთის საქმეთა რეფერატს, მის მიერ
ზაბანის და სხვა ძველთა ბანაკების კომიტეტის წევრ,
სოლომონ ვადაკურთან (ვადაჭკორიასთან) ერთად
მონახულების შესახებ

1917 წლის 7 ივნისი
ბერლინი

ბატონო,

ამით პატივი მაქვს გაცნობოთ, რომ ზაგანში და სხვაგან ჩემი მოგზაურობის
განმავლობაში მე თან მომყვება ბატონი სოლომონ ვადაკური.
გთხოვთ, მიიღოთ, ბატონო, ჩემი მხრიდან უმაღლესი პატივისცემის ნიშნები.

პ. სურგულაძე

*Politisches Archiv des Auswärtigen Amts (PA AA), Akten Betreffend den Krieg 1914,
Unternehmungen und Aufwiegelingen gegen unsere Feinde im Kaukasus. R 21024.
თარგმანი ფრანგულიდან.*

№ 190

საქართველოს განთავისუფლების კომიტეტის
წევრის, გიორგი მაჩაბლის წერილი ოთო გიუნდერ
ფონ ვეზენდონკს, გერმანიის იმპერიის საბარეო
საქმეთა სამინისტროს ლეგაციის მდივანს და ახლო
აღმოსავლეთის საქმეთა რეფერატს, რუსულ გაზეთ
«НОВОЕ ВРЕМЯ»-ში¹ გამოქვეყნებული სტატიის
„სუხომლინოვის² შებენიანების“ და იმ ნაბიჯების შესახებ,
რომელთა გადადგმასაც აპირებდა რუსეთის ყოფილი
სამხედრო მინისტრის სუხომლინოვის თანაშემწის,
ვასილ დუმბაძის დასახმარებლად

1917 წლის 9 ივნისი
სტოკჰოლმი

დიდად პატივცემულო ბატონო ბარონ ფონ ვეზენდონკ!

ტენდენციურ „ნოვოე ვრემიაში“ გამოქვეყნებული სტატიის, „სუხომლინოვის შემთხვევის“ შესახებ უნდა ავლნიშნო, რომ მასში ბევრი ფაქტია გაყალბებული. არ არის მართალი, რომ მე ვიცნობ ბატონებს ალტშილერს, ვაილერს, გოშკევიჩს და სხვებს. ის, რაც შეეხება ჩემს ურთიერთობებს დუმბაძესთან³, და ის, რაც მოიმოქმედა ბატონმა დუმბაძემ, გერმანიაში ცნობილია მაღალი ინსტანციებისთვის, ამიტომ არ მჭირდება ამ საკითხს დაეუბრუნდე. გაზეთის მტკიცება, რომ ბატონ დუმბაძეს ურთიერთობა ჰქონდა აქაურ დესპან ფონ ლუციუსთან⁴, აგრეთვე არ შეესაბამება სინამდვილეს, ისევე როგორც ის, რომ მე დამაპატიმრეს და ჩამომახრჩვეს (!). ჩემთვის უცნობია, რა მოიმოქმედა ბატონმა დუმბაძემ პეტროგრაღში, რათა ისევე გერმანიაში ჩამოსულიყო. ის, ყოველ შემთხვევაში, შეეცადა ეს განეხორციელებინა. განზრახვა მაქვს, ამ არასიმპატიურ პუბლიკაციაზე ჩემი პასუხი შევიტანო აქაური იუსტიციის მინისტრის სახელზე, მისი რუსულ პრესაში შესაძ-

¹ «Новое Время» („ახალი დროება“) - რუსული გაზეთი. გამოდიოდა პეტერბურგში 1868-1917 წლებში. 1869 წლამდე გამოდიოდა ხუთჯერ კვირაში. შემდეგ - ყოველდღიურად. 1881 წლიდან გამოდიოდა ორი გამოცემა - დილის და საღამოს. 1891 წლიდან გამოდიოდა ყოველკვირეული ილუსტრირებული დამატებით. 1917 წელს, ბოლშევიკური ოქტომბრის გადატრიალების შემდეგ, დახურულ იქნა ბოლშევიკური ხელისუფლების მიერ.

² იგულისხმება სუხომლინოვი ვლადიმერი (1848-1926).

³ იგულისხმება დუმბაძე ვასილი (1881-1943).

⁴ იგულისხმება ლუციუს ფონ შტოედტენ ჰელმუტ ედუარდ ფერდინანდ (Lucius von Stuedten Hellmuth Eduard Ferdinand) (1869-1934).

ლებელი გამოქვეყნების მიზნით. მსურს გარკვევით და ღიად იმაზე მივუთითო, რომ ჩემს მოღვაწეობას შპიონაჟთან საერთო არაფერი აქვს, არამედ, რომ მე საქართველოს განთავისუფლებისთვის ვიღწვი და რუსეთის ნებისმიერი მთავრობის წინააღმდეგ ვიბრძოლებ, სანამ საქართველოს უფლებები არ იქნება აღდგენილი. ჩემს ურთიერთობებს დუმადესთან მასში იმით ავხსნი, რომ მე შევეცადე ბატონი დუმბაძე ქართული საქმისთვის გადამეხირობინა, მაგრამ ამისგან თავი შევიკავე, რადგან შევნიშნე, რომ მას არ შეეძლო სუფთა გულით საკუთარი თავი საქმისთვის გაენირა.

ამ გზით, მე შევეცადე ბატონ დუმბაძეს დახმარება აღმოვუჩინო, რომელსაც 20 წელი ციხე მიუსაჯეს. ვფიქრობ, გერმანულ მთავრობას არაფერი ექნება ამ ჩემი ნაბიჯის წინააღმდეგი, რადგან ბატონ დუმბაძეს, როგორც აშკარად გამოკვეთილ გერმანოფილს და კარგ ქართველს, შემდგომში, მისი განთავისუფლების შემთხვევაში, ჩვენთვის ისევე კარგი სამსახურის განწევა შეუძლია.

უერთგულესად თქვენი,
თავადი გიორგი მაჩაბელი

*Politisches Archiv des Auswärtigen Amtes (PA AA), Akten Betreffend den Krieg 1914,
Unternehmungen und Aufwiegelungen gegen unsere Feinde im Kaukasus. R 21024.
თარგმანი გერმანულიდან.*

№ 191

**საქართველოს განთავისუფლების კომიტეტის
წევრის, მიხეილ წერეთლის წერილი ოთო გიუნდარ
ფონ ვეზენდორფს, ბერლინის იმპერიის საგარეო
საქმეთა სამინისტროს ლეგაციის მდივანს და ახლო
აღმოსავლეთის საქმეთა რეფერატს, სტოკჰოლმში
არსებული მდგომარეობის და ქართული ბაზეთის
გამოცემასთან დაკავშირებული საკითხების შესახებ**

1917 წლის 15 ივნისი
სტოკჰოლმი

პატივცემულო ბატონო ბარონ!

მაქვს პატივი გაცნობოთ, რომ მე ჯერჯერობით აქ უნდა დავრჩე და მინდა დავუვლოდო, სანამ არ გადაწყდება სოციალისტური კონფერენციის მოწვევის საკითხი. ჩვენ ყველა საშუალებით ვცდილობთ ქართველებთან დაკავშირებას, სულ მცირე იქედან ქართული გაზეთების მიღებას მაინც, მაგრამ ეს ძალიან ძნელია. ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ მალე აქ ჩამოვა გიორგი მაჩაბლის ძმა და შესაძლოა, ერთი ქართველი დელეგატი სოციალისტ-ფედერალისტური პარტიიდან, რომელიც სამშობლოდან მნიშვნელოვან ცნობებს ჩამოიტანს. საქართველოს შესახებ მემორანდუმი ჩვენ უკვე გადავეცით სოციალისტურ ბიუროს და სხვადასხვა სოციალისტურ დელეგაციებს¹.

მსოფლიოს დაჩაგრული ხალხების მოქმედების შესახებ თქვენ ალბათ უკვე გაცნობეს ბატონებმა გუმერუსმა და შატომ². ჩვენ ჩამოვყალიბებთ ერთიან დელეგაციას, როდესაც ბატონები დაბრუნდებიან და თუ უკრაინელის და ირლანდიელის ხელმოწერებს მიიღებენ³.

ასევე მინდა რჩევა მოგცეთ, მსოფლიოს დაჩაგრულ ხალხთა კონგრესი სტოკჰოლმში იქნას მოწვეული. ამ საკითხთან დაკავშირებით ბატონ შატოსაც სურდა თქვენთან საუბარი და ჩემთვის სასიამოვნო იქნებოდა ცოდნა, თუ როგორია თქვენი დამოკიდებულება ამ წამოწყების მიმართ. კონგრესის მოწვევის ინიციატივა შეიძლება აიტაცოს ერთმა ნაცნობმა ნენჰაბერმა.

¹ იხ. დოკ. 194.

² იგულისხმება შატოპადიაია (მეტსახელი – შატო) ვირენდრანათი (Chattopadhyaya (Chatto) Virendranath) (1880-1937).

³ იგულისხმება 1916 წელს დაარსებულ „რუსეთის არარუს ხალხთა ლიგის“ ხელმძღვანელთა მცდელობა, რათა სტოკჰოლმის სოციალისტურ სამშვიდობო კონფერენციაზე, ლიგაში შემავალი ხალხების წარმომადგენლები ერთიანი დელეგაციით იქნენ წარმოდგენილნი.

მე მინდა თავაზიანად გთხოვოთ შემდეგი: მე და ბატონი კერესელიძე¹ ადრე გაზეთის გამოცემისთვის ვიღებდით ცნობათა ბიუროდან 350 მარკას და თუ შეგიძლიათ ბატონ გრეის უთხრათ, რომ მან ეს ფული ბატონ სურგულაძეს მისცეს. კერესელიძე აქ არ არის და ქართული გაზეთის გამოცემა ახლა გადაიბარა სურგულაძემ და რადგან მან გაზეთის რუსული ტექსტი ცნობათა ბიუროს ცენზურისთვის უნდა მიანოდოს და ეს რუსული ტექსტი გერმანულად უნდა იქნას თარგმნილი, ცნობათა ბიუროს ბატონები ძალიან ჩვიან ამის გამო. თუმცა ამ ფულით სურგულაძეს შეუძლია ერთი მბეჭდავი ქალის აყვანა და ცენზურისთვის პირდაპირ გერმანული ტექსტის გაგზავნა, როგორც ამას ადრე ვაკეთებდით. გარდა ამისა, თავაზიანად გთხოვთ, რომ ეს წერილი ბატონ სურგულაძეს გადაუგზავნოთ. მე მას ავუხსნი, თუ როგორ უნდა გაკეთდეს გაზეთი.

ბატონო ბარონ, მე მინდა თქვენ ერთი ახლახანს მიღებული რამ შეგატყობინოთ. აქაურ საელჩოში მაჩვენეს ბერლინიდან გამოგზავნილი დეპეშა, სადაც ეწერა, რომ მე და ბატონი ტრიჩი² ვაცხადებდით, რომ ჩვენ აქ გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს დავალებით ვმუშაობდით დაჩაგრულ ხალხთა გათავისუფლებისათვის და სხვა. ეს მთელი ისტორია სრული აბსურდია. ასეთ უაზრობას არც მე და არც ბატონი ტრიჩი არ ვიზიარებთ. მან, ვინც ეს ისტორია გაავრცელა, ალბათ ან არ აქვს მოსაწერი არაფერი და ასეთებს იგონებს, რომ რამე მოინეროს, ან ძალიან ცუდად ლეზულობს ინფორმაციებს. ერთადერთხელ ვისაუბრეთ მე და ბატონმა ტრიჩმა დაჩაგრული ხალხების შესახებ ერთ რესტორანში, სხვათაშორის კარგ, თქვენთვისაც ნაცნობ მეგობრებში, დაჩაგრულ ხალხთა კონგრესის მოწვევის შესახებ, ალბათ გეორგ ბრანდესის³ ინიციატივით. სულ ეს იყო. რეპორტიორმა ალბათ ეს მოისმინა და საკითხი უკუღმართად დაარეპორტა. ბატონო ბარონ, ასეთი არაკვალიფიციური რეპორტიორები ბევრად მეტს აშავებენ თქვენთვის და ჩვენთვის, ვიდრე სარგებელი მოაქვთ და თავაზიანად გთხოვთ, ასევე პერსონალურად, როგორც კარგი ნაცნობი, რომელსაც სამი წელია იცნობთ, რომ არ დაიჯეროთ ასეთი სრულიად უვარგისი ცნობები, ხოლო მომწოდებელს სერიოზული გაფრთხილება მისცეთ, რომ ის თავის ცნობებთან ყურადღებით იყოს და ჩვენი რთული და არასასიამოვნო სამუშაო აქ, კიდევ უფრო მეტად არ დაამძიმოს. თქვენ ვერ წარმოიდგენთ, ბატონო ბარონ, თუ ხალხი, ნაცნობები და უცნობები, როგორი უნდობლობით არიან ჩვენს მიმართ და როგორი შეურაცხყოფის წინაშე შესაძლოა აღმოვჩნდეთ აქ ნებისმიერ წამს. როდესაც დავბრუნდები, მოგიყვებით, თუ რის მომსწრე გავხდი ერთხელ აქ.

თქვენი ერთგული,
მ. წერეთელი

Politisches Archiv des Auswärtigen Amtes (PA AA), Akten Betreffend den Krieg 1914, Unternehmungen und Aufwiegungen gegen unsere Feinde im Kaukasus. R 21024.
თარგმანი გერმანულიდან.

¹ იგულისხმება კერესელიძე გიორგი (1885-1960).

² იგულისხმება ტრიჩი დევის (Trietsch Davis) (1870-1935).

³ იგულისხმება ბრანდესი გეორგ (ნამდვილი გვარი და სახელი: კოენი მორის) (Brandes Georg (Cohen Morris)) (1842-1927).

№ 192

**საქართველოს განთავისუფლების კომიტეტის
წევრის, გიორგი მაჩაბლის წერილი გერმანიის
საბარეო საქმეთა მინისტრს, ართურ ციმერმანს,
მაჩაბლის მეუღლის გერმანიაში შესვლის
უფლების მიხედვის თხოვნით**

1917 წლის 19 ივნისი
სტოკჰოლმი

თავს უფლებას მივცემ, ერთგულებით წარვუდგინო მის აღმატებულებას ერთი პირადი თხოვნა:

როგორც თქვენი აღმატებულება აქაური დესპანისგან, ბარონ ლუციუსისგან ინფორმირებულ იქნა, მე დავქორწინდი ქალბატონ დოქტორ ფოლმიოლერზე. მე გავიგე, რომ ჩემი მეუღლის გერმანიაში დაბრუნება შეიძლება გართულდეს იმ საფუძველზე, რომ ის, ახალი ქორწინების შემდეგ, მტრულად განწყობილი უცხოელი გახდა¹. მიუხედავად იმისა, რომ ასეთი მტკიცება ფორმალურად სწორი იქნებოდა, ის არ შეესაბამება არც ჩემს დამოკიდებულებას და არც აქამდელ საქმიანობას და მე, როგორც ერთ ქართველს უმაღლეს დონეზე მაზიანებს. ჩემი მეუღლის გერმანიაში დაბრუნებას, ჩვენს დაქორწინებამდე არაფერი ედგა წინ, რადგან ის ფლობდა პასპორტს უკან დაბრუნების უფლებით, ასე რომ ახლა მისი დაბრუნების შეფერხება ტვირთად მე მანევს. ჩემი მეუღლის ბერლინში ყოფნა შემდეგი სამი თვის მანძილზე განსაკუთრებით საჭიროა, რადგან მან უნდა შეასრულოს ნოი-ბაბელსბერგში მდებარე გერმანიის ბიოსკოპ-საზოგადოებასთან² დადებული კონტრაქტი, რისი არშესრულებაც მაღალ ჯარიმებთანაა დაკავშირებული. ორივე თანდართული წერილი დაარწმუნებს თქვენს აღმატებულებას საკითხის მნიშვნელობაში. ამიტომ უერთგულესად ვთხოვ თქვენს აღმატებულებას, რომ ყურადღება მიაქციოს ამ ყველაფერს და უზრუნველყოს, რომ ჩემს მეუღლეს მისი ფსევდონიმით „მარია კარმი“ (შემთხვევა რომ ავირიდოთ თავიდან), მიეცეს ბერლინში გამგზავრების ნებართვა.

ამასთანავე, მინდა გამოვთქვა იმედი, რომ ჩემი მეუღლის ქონება, რომელიც გერმანული ფასიანი ქალაქებისგან შედგება, მისი ჩემზე დაქორწინების გამო

¹ იგულისხმება ის, რომ გიორგი მაჩაბელზე დაქორწინების შემდეგ, მარია კარმი (1904-1917 წლებში პირველი ქორწინების დროს – მარია ფოლმიოლერი) იურიდიული თვალსაზრისით რუსეთის იმპერიის მოქალაქის მეუღლე გახდა.

² იგულისხმება ბერლინში 1903-1921 წლებში არსებული გერმანული კინემატოგრაფიული საზოგადოება „Deutsche Bioscop GmbH“.

არ იქნება სეკვესტრირებული. ზუსტად ახლა, როდესაც რუსეთში გამგზავრების ალბათობა წინ მაქვს, მინდა ვიყო დარწმუნებული, რომ ჩემი ცოლი დაზღვეულია.

მე ასევე მინდა თქვენი აღმატებულება დავარწმუნო, რომ ყველა ქორი ჩემი მეუღლის ცუდ დამოკიდებულებაზე გერმანიის მიმართ, აბსოლუტური ტყუილია, რომლის გასასწორებლად ყოველთვის მზად ვარ გამოვიდე.

იმ იმედით, რომ თქვენი აღმატებულება დაინტერესებასა და დახმარებაზე უარს არ იტყვის, რითაც განსაკუთრებული მადლობით დამავალდებულებს, ვაწერ ხელს

თქვენი აღმატებულების ერთგული,
თავადი გიორგი მაჩაბელი

P.S. აქვე თან ვურთავ ორ წერილს, რომლების უკან გამოგზავნა თავაზიანად მინდა გთხოვოთ.

*Politisches Archiv des Auswärtigen Amts (PA AA), Akten Betreffend den Krieg 1914,
Unternehmungen und Aufwiegungen gegen unsere Feinde im Kaukasus. R 21024.
თარგმანი გერმანულიდან.*

№ 193

**აღმოსავლეთის საინფორმაციო ბიუროს მიერ
შედგენილი საქართველოს განთავისუფლების
კომიტეტის თავმჯდომარის, კედრე სურგულაძის
წერილის შინაარსი კომიტეტის კონსტანტინოპოლში
დროებით წარმომადგენელს, მურად ბეი (ნესტორ)
მალალაშვილს, ევროპაში მყოფი კომიტეტის წევრების
მდგომარეობის შესახებ**

1917 წლის 20 ივნისი
ბერლინი

ავტორი წერს წერილს, რადგან მას მისგან¹ საერთოდ არანაირი ინფორმაცია არ მიუღია. მათი საკითხი ჯერ კიდევ ძველ დონეზეა. ლეგიონის საკითხი ჯერ კიდევ არ არის მთლიანად გარკვეული და მას ჯერ არ შეუძლია თქვას, როგორ გადაწყდება ეს საკითხი. წერეთელი და მაჩაბელი სტოკჰოლმში არიან, მან რამდენიმე დღის წინ დეპეშა მიიღო, რომ მაჩაბელი მოდის. ის ძალიან ელოდება მას. დღეს მან ორივესგან მიიღო წერილი, გადაწყდა რომ ყველანი უნდა შეიკრიბონ, რადგან ძალიან მნიშვნელოვანი საკითხებია განსახილველი. საქართველოდან მათ მიიღეს დეპეშა ფედერალისტებისგან, რომ მათი წარმომადგენელი იქნება გამოგზავნილი, ასევე გაზეთებშიც ყოფილა, რომ ქართველები სტოკჰოლმში წავიდნენ. გოგია² შვეიცარიაშია და მისგან არაფერი ისმის. ბატონმა ფონ ვეზენდონკმა თქვა, რომ გოგია გზავნიდა თავის ოჯახს საქართველოში. ასევე ლეოსაც³ უნდა საქართველოში წასვლა. თხოვნა წერილის მიმღებს, რომ არ გაუზიაროს თავისი შეხედულებები მას ამ ყველაფრის შესახებ. ცნობა, თუ როგორ არიან აქ მყოფი მეგობრები. ავტორის აზრით, კომიტეტის ერთი წევრი კონსტანტინოპოლში უნდა დარჩეს. საქართველოში არსებული მდგომარეობის შესახებ არაფერი ისმის, რუსული გაზეთები ამის შესახებ არაფერს წერენ და ქართული გაზეთები არ ჩამოდიან. მდგომარეობა რუსეთში ძალიან ქაოსურია, სუფევს შიმშილი და სიღატაკე. ავტორის აზრით, რუსეთი, როგორც ომის მონაწილე, მის მეგობრებს აღარ იყენებს. დაწერე ქართველ ფედერალისტებსა და სოციალ-დემოკრატებს შორის ბრძოლის შესახებ და მდგომარეობაზე კავკასიაში, რომ შეფასების გაკეთება იყო შესაძლებელი. თუკი რევოლუცია გაგრძელდება, რუსეთში ყველაფერი მორჩე-

¹ იგულისხმება მალალაშვილი (მალალოვი) ნესტორი (მურად ბეი) (1882-1937).

² იგულისხმება კერესელიძე გიორგი (1885-1960).

³ იგულისხმება კერესელიძე ლეო (1883-1943).

ბა. გაზეთები წერენ, რომ კაზაკები თავს დაესხნენ სოფლებს. მოკითხვა ყველას, გამოგზავნე ხშირად და ბევრი საინტერესო წერილი. მიმღებმა უნდა უკან მოიწეროს.

პეტრე სურგულაძე

Politisches Archiv des Auswärtigen Amts (PA AA), Akten Betreffend den Krieg 1914, Unternehmungen und Aufwiegelingen gegen unsere Feinde im Kaukasus. R 21024.
თარგმანი გერმანულიდან.

№ 194

**მემორანდუმი საქართველოს საკითხის შესახებ,
წარდგენილი სტოკჰოლმის სოციალისტთა
საერთაშორისო კომისიისადმი საქართველოს
სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის და
საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის
წარმომადგენლების, მიხეილ წერეთლის და
გიორგი მაჩაბლის მიერ¹**

1917 წლის 25 ივნისი
სტოკჰოლმი

საქართველო არ არის რუსთა მიერ დაპყრობილი ქვეყანა. აღმოსავლეთ საქართველომ რუსეთის პროტექტორატი 1783 წელს, იმპერატორ ეკატერინე II-ს და საქართველოს მეფეს ერეკლე II-ს შორის დადებული ხელშეკრულების შედეგად აღიარა. 1804 წლის ხელშეკრულებამ, რომელიც იმერეთის მეფე სოლომონ II-ს და რუსეთის იმპერატორ ალექსანდრე I-ს შორის გენერალ ციციანოვის შუამდგომლობით იქნა დადებული, დაამყარა იმავე იმპერიის პროტექტორატი დასავლეთ საქართველოზე.

ხსენებულ ხელშეკრულებათა თანახმად, საქართველოს ორივე ნაწილს უნდა შეენარჩუნებინა სრული ავტონომია საკუთარ შინაგან საქმეებში, თუმცა, მათ უარი განაცხადეს უფლებაზე დამოუკიდებლად ემოქმედათ უცხო სახელმწიფოთა მიმართებაში.

ხელშეკრულებათა დადების და რატიფიკაციის შემდეგ ქართველებმა მიიღეს რუსები როგორც მათი მოკავშირეები და დამცველები, მაგრამ რუსებმა დაარღვიეს ხელშეკრულებები იმპერატორ პავლე I-ის მანიფესტით (1801 წლის 18 იანვრის) და იმპერატორ ალექსანდრე I-ის (იმავე წლის 12 სექტემბრის) მანიფესტით და ქვეყნის სამხედრო ოკუპაციის შემდეგ, განახორციელეს რა ქართული ეროვნული

¹ მემორანდუმის სათაური მოცემულია ჟურნალ „Der Neue Orient“-ის მიხედვით, სადაც დაიბეჭდა ხსენებული დოკუმენტი. თავად მემორანდუმი უშუალოდ გადაეცა ბიუროს, რომლის ფუნქციონირება დაიწყო 1917 წლის ზაფხულში სტოკჰოლმში სამშვიდობო სოციალისტური კონფერენციის ორგანიზება. ხსენებული სამშვიდობო კონფერენცია საბოლოოდ არ გაიმართა (ძირითადი მიზეზი, ანტანტის ბლოკის მთავრობების წინააღმდეგობა იყო, რომლებმაც საკუთარი ქვეყნების სოციალისტებს შეეძლოთ ჩასასვლელად ვიზების გაცემაზე უარი უთხრეს). გერმანელ სოციალისტთა დელეგაცია 2 ივნისს ჩავიდა სტოკჰოლმში, სადაც მისი მთავარი წევრები 19 ივნისამდე დარჩნენ. სტოკჰოლმში იმყოფებოდნენ აგრეთვე მთელი რიგი ქვეყნების სოციალისტების სხვა დელეგაციებიც. ამ დროის განმავლობაში გამართული თათბირების დროს, გ. მაჩაბელმა და მ. წერეთელმა გადასცეს იქ მყოფ დელეგაციათა წარმომადგენლებს მემორანდუმი „საქართველოს საკითხის შესახებ“, რომლის თარგმანსაც ვთავაზობთ მკითხველს.

ნული ინსტიტუტების რუსული ინსტიტუტებით სისტემატიური შეცვლა, გადააქციეს საქართველო რუსეთის პროვინციად.

115 წლის განმავლობაში საქართველო რუსიფიკაციის სასტიკ პოლიტიკას განიცდიდა. რუსეთი სდევნიდა ქართულ ენას, ძარცვავდა გლეხებს, ქართველი ერის გარუსების მიზნით ცდილობდა ქვეყნის კოლონიზაციას რუსი გლეხების მეშვეობით. მან მოსპო ძველი ქართული ეკლესიის დამოუკიდებლობა, წაართვა მას ქონება და რუსულ სინოდს დაუმორჩილა. ხელშეკრულებათა დარღვევით, მან აიძულა ქართველები მათი სამხედრო სამსახური რუსეთში მოეხადათ, სადაც ისინი სახლში დაბრუნებამდე იხოცებოდნენ ან, საიდანაც ისინი საქართველოში ავადმყოფები ბრუნდებოდნენ, რომლებსაც აღარ შეეძლოთ საკუთარი ოჯახები შეენახათ. ბოლოს, მან რამდენჯერმე სისხლში ჩაახშო ქართველი ერის 1804, 1812 წლის და შემდგომი აჯანყებები, რომლებიც ფიცის გამტეხთა ტირანიის წინააღმდეგ იყვნენ მიმართული.

დღეს რუსეთი რევოლუციაში იმყოფება, ცარიზმი დამხობილია. რუსეთის რევოლუცია არ არის მხოლოდ რუსი ხალხის რევოლუციური აქციის შედეგი, ის რუსეთის ყველა ხალხთა შემოქმედებას წარმოადგენს. შესაბამისად, დიდი იმპერიის ყველა ხალხი ასევე უნდა სარგებლობდეს მოპოვებული თავისუფლებით. რუსეთის ყველა ხალხთა თანასწორობა – აი რას უნდა ემყარებოდეს ეს თავისუფლება. რუს მოქალაქეთა უფლებების დეკლარაცია, რომელიც რევოლუციურმა მთავრობამ გამოაცხადა, არ არის საკმარისი რუსეთისათვის. ამ დეკლარაციას უნდა დაემატოს ხალხთა თანასწორობის დეკლარაციაც, რომლის მიხედვით ყოველი ხალხი თავისუფლად გადაწყვეტს თავის საკუთარ ბედს.

საქართველო ჯერ კიდევ ვერ ხედავს დამსხვრეულს საკუთარი პოლიტიკური მონობის ბორკილებს, თუმცა მან, უდიდესი გმირული მსხვერპლის გაღებით, ხელი შეუწყო რუსეთის რევოლუციას, განსაკუთრებით 1904 წლიდან ჩვენს დღემდე.

არ უნდა დავივიწყოთ, რომ საქართველო ის ქვეყანაა, სადაც სოციალისტური იდეები უკვე 25 წელია, რაც ბატონობენ. ამ პერიოდის განმავლობაში, ქართველმა სოციალისტებმა, გაავრცელეს სოციალისტური იდეალი არა მხოლოდ საქართველოში, არამედ კავკასიის ყველა ხალხს შორის. მათ შექმნეს სოციალისტური პრესა და ლიტერატურა ქართულ ენაზე, მათ გაავრცელეს ხალხთა ძმობის და სოლიდარობის იდეები ყველგან, სადაც მშრომელთა კლასებს საშუალება ჰქონდათ გაეგოთ და მიეღოთ ეს ახალი დოქტრინა. ისინი ენერგიულად იბრძოდნენ ბურჟუაზიული პარტიების შოვინიზმის და გადამეტებული ნაციონალიზმის წინააღმდეგ. ისინი წინ მიუძღვოდნენ კავკასიის ხალხებს 1905 წლის რევოლუციის დროს და შეასრულეს არა მხოლოდ დიდი სამუშაო ძველი რეჟიმის მოსასპობად, არამედ ასევე დემოკრატიულ საფუძველზე საზოგადოების რეორგანიზაციისათვის. მათ მისცეს საუკეთესო სოციალისტი წარმომადგენლები რუსეთის ოთხივე დუმას (ჟორდანია¹, რამიშვილი², გომართელი³, ჯაფარიძე⁴, წერეთელი⁵, გეგეჭკორი⁶ და ა.შ.). ისინი იყვნენ და ამ დრომდე რჩებიან რუსეთის სოციალ-დემოკრა-

¹ იგულისხმება ჟორდანია ნოე (1868-1953).

² იგულისხმება რამიშვილი ნოე (1881-1930).

³ იგულისხმება გომართელი ივანე (1876-1938).

⁴ იგულისხმება ჯაფარიძე სერგო (1871-1937).

⁵ იგულისხმება წერეთელი ირაკლი (1881-1959).

⁶ იგულისხმება გეგეჭკორი ევგენი (1881-1954).

ტიული პარტიის აქტიურ და ერთგულ წევრებად. და ბოლოს, რუსეთის რევოლუციის ამ ტრიუმფის დროს, ჩვენ ვხედავთ ქართველ სოციალისტებს: – ჩხეიძეს¹, წერეთელს, ჩხენკელს² და სხვებს დიდი მოძრაობის სათავეში.

საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტურმა პარტიამ ასევე გაუწია დიდი სამსახური სოციალისტურ საქმეს საქართველოში და მთლიანად კავკასიაში. დაარსებული 1902 წელს, მას ამ დროიდან არ შეუწყვეტია სოციალისტური იდეების გავრცელება ქართველ მუშებსა და გლეხებს შორის. პარტია მძლავრი გახდა თავისი ორგანიზაციის მეშვეობით, განსაკუთრებით, დაწყებული 1905 წლის რევოლუციიდან, რომლის დროს ის ისეთივე დიდ როლს თამაშობდა, როგორც სოციალ-დემოკრატიული პარტია. მისი პროგრამა ღრმად სოციალისტურია. მართლაც, სოციალისტ-ფედერალისტები მოითხოვენ მინის სოციალიზაციას და იმ პროგრამის განხორციელებას, რომელიც, როგორც მინიმუმ, იდენტურია სოციალ-დემოკრატიულ პროგრამისა. ისინი აღიარებენ კლასობრივ ბრძოლას და სოციალიზმის საბოლოო გამარჯვებას. ამ პარტიამ აგრეთვე შექმნა სოციალისტური პრესა და ლიტერატურა ქართულ ენაზე. მაგრამ რაც მისთვის განსაკუთრებით დამახასიათებელია, ეს არის საქართველოსთვის ტერიტორიული ავტონომიის მოთხოვნა, რომელიც რუსეთმა 1783 და 1804 წლების ხელშეკრულების დარღვევით გააუქმა. აგრეთვე, მათი პოლიტიკური პროგრამის თანახმად, ავტონომიური საქართველოსგან და კავკასიის სხვა ქვეყნებისგან შემდგარი კავკასიური კონფედერაცია უნდა შეადგენდეს პოლიტიკურ ორგანიზმს, დამოუკიდებელს ყველა თავის შინაგან საქმეებში, მაგრამ გაერთიანებულს ფედერაციული კავშირებით რუსეთის დიდ რესპუბლიკასთან. ეს უკანასკნელი უნდა შედგებოდეს შეერთებული შტატების პრინციპით, რაც აუცილებელია დემოკრატიული პრინციპების გამარჯვებისათვის და რუსეთის ხალხთა ჭეშმარიტი სოლიდარობის განსახორციელებლად.

თუმცა, რუსეთის რევოლუციას ჯერ-ჯერობით არ უჩვენებია, რომ მას სურს იაროს ხალხთა თანასწორობის მიმართულებით. ამის სრულიად საპირისპიროდ, რევოლუციური მოღვაწეები აცხადებენ, რომ მოძრაობამ არ უნდა მიგვიყვანოს რუსეთის სახელმწიფოს დეცენტრალიზაციამდე, და რუსეთის ერთა დამოუკიდებელმა რევოლუციურმა აქციამ შეიძლება ზიანი მიაყენოს რევოლუციის საერთო საქმეს. სწორედ ამ სრულიად მცდარი აზრის გამო, დროებითა მთავრობამ გადადო ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა რუსეთის გენერალური დამფუძნებელი კრების მონვევამდე. აუქმებს ყველა ქართულ სამხედრო და ეროვნულ ორგანიზაციას, იმ გასაკვირი საბაბით, რომ ეს ორგანიზაციები ხელს უშლიან „არმიის ერთიანობას“. არ აღიარებს არც საქართველოს, უკრაინის და სხვა ერების ავტონომიას, არც მათ უფლებას ეროვნული დამფუძნებელი კრებების მოსაწვევად.

ყველაფერი ეს გვაიძულებს ვივარაუდოთ, რომ რევოლუციურ მოღვაწეებს არავითარი განზრახვა არა აქვთ დაუბრუნონ საქართველოს მისი კანონიერი უფლებები, ისევე როგორც ამის სურვილი არასდროს ჰქონდათ ძველი რეჟიმის მოღვაწეებს. სწორედ ამ მიზეზით, ჩვენ ვუცხადებთ სხვადასხვა ქვეყნის სოციალისტებს, რომლებიც სტოკჰოლმში საყოველთაო ზავის საკითხისა და ყველა ხალხთა უფლებების განსახილველად შეიკრიბნენ, ჩვენს მოთხოვნებს, რომლებიც, სხვათაშორის, უკვე ცნობილია რუსეთის დროებითი მთავრობისთვის:

¹ იგულისხმება ჩხეიძე ნიკოლოზ (კარლო) (1864-1926).

² იგულისხმება ჩხენკელი აკაკი (1874-1956).

ვთვლით რა, რომ 115 წლის განმავლობაში ქართველი ხალხის დამონება ცარიზმის უკანონო აქტი იყო, რომელიც არ აღიარებდა არც რატიფიცირებულ ხელშეკრულებებს და არც ზოგადად საერთაშორისო სამართლის პრინციპებს; რომ რუსეთის რევოლუცია, როგორც ცარიზმის სრული უარყოფა, ვალდებულა დაგვიბრუნოს ჩვენ ჩვენი კანონიერი უფლებანი; რომ საქართველოს ტერიტორიალურ ავტონომიას მოითხოვენ ბურჟუაზიული დემოკრატიული პარტიები, საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა პარტია, სოციალ-დემოკრატიული პარტია და ბოლოს და ბოლოს, ქართველი ერის უდიდესი ნაწილი;

მივიჩნევთ რა აგრეთვე, რომ კავკასიის კონფედერაციის ჩამოყალიბება, რომელიც პოლიტიკური ერთეულებისგან და ეროვნული ავტონომიებისგან შედგება და რუსეთის რესპუბლიკასთან არის ფედერირებული, იქნება ერთადერთი რაციონალური გადაწყვეტა კავკასიის ეროვნული საკითხისა, რომლის პოლიტიკური ბედი, სადღეისოდ, ისევე როგორც წარსულში, საქართველოზე არის დამოკიდებული;

ვთვლით რა ასევე, რომ ცენტრალიზმი რუსეთში ყოველთვის მიგვიყვანს იმპერიალიზმისკენ, მილიტარიზმისკენ და ბიუროკრატიზმისკენ, რომელთა ქვეშ რუსეთი გმინავდა რევოლუციამდე, რადგან დიდ სახელმწიფოთა ცენტრალიზმის ლოგიკა ისეთია, რომ ცენტრალიზმი შეუძლებლად ქმნის ქვეყნის სრულ დემოკრატიზაციას (რეფერენდუმის შემოღებას, ინიციატივას, პირდაპირ კანონმდებლობას და ა.შ.);

რაც მთავარია, მივიჩნევთ რა, რომ საერთაშორისო სოლიდარობას, რომლის გარეშეც შეუძლებელია სოციალისტური იდეალის განხორციელება, არ შეუძლია იარსებოს რუსეთში, თუკი რუსეთის ყველა ხალხი არ მოიპოვებს უფლებას პოლიტიკურად ავტონომიურ არსებობაზე, რადგან პროლეტარიატი ყოველთვის ერთიანდება ბურჟუაზიასთან იქ, სადაც საქმე ეხება ეროვნული უფლებების დაცვას, რომ ბურჟუაზიის და პროლეტარიატის თანამშრომლობა ინვესს მათი კლასობრივი შეგნების დაქვეითებას და კლასობრივ ბრძოლას ნაკლებად ინტენსიურს ხდის;

და ბოლოს, ვთვლით რა, რომ სოციალიზმისთვის დამლუპველი ცენტრალიზმის ყველა ამ შედეგის თავიდან აცილების მიზნით, არსებობს მხოლოდ ერთი საშუალება, – ხალხს თვითორგანიზაციის უფლება მივანიჭოთ;

ჩვენ მოვითხოვთ საქართველოსთვის (ისევე როგორც რუსეთის იმპერიაში ინკორპორირებული ყველა სხვა ერებისთვის):

1. უფლებას საქართველოს დამფუძნებელი კრების მონვევაზე, რომლის ტერიტორია, სუფთა ქართული მოსახლეობის 85 პროცენტით (მართლმადიდებლები, მაჰმადიანები, კათოლიკები), მოიცავს ტფილისის და ქუთაისის გუბერნიებს, ბათუმის და სოხუმის ოლქებს, ყარსის ოლქის ნახევარს და ზაქათალას. საქართველოს ეროვნული კრება გამოიმუშავებს კონსტიტუციას ავტონომიური საქართველოსთვის და საქართველოს სახელით წარადგენს რუსეთთან ახალი კავშირის პროექტს, ისევე როგორც კავკასიის სხვა ხალხებთან კავშირის პროექტს.
2. უფლებას გადაწყვიტოს, რუსეთის წარმომადგენლებთან ერთად, რუსეთთან ამ ახალი კავშირის ფორმა. კერძოდ კი: ა) უფლებას, რუსეთის წარმომადგენლებთან ერთად განახორციელოს 1783 და 1804 წლების ხელშეკრუ-

ლებების რევიზია. ბ) უფლებას ახალი ხელშეკრულების დადებაზე, თუკი ხელმომწერი მხარეები აუცილებლად ჩათვლიან კავშირის შენარჩუნებას. გ) ძველ ხელშეკრულებათა ანუღირების უფლებას, თუკი ფედერაციული პრინციპი მიღებულია რუსეთის მიერ, და საქართველო შედის რუსეთის კონფედერაციაში როგორც ავტონომიური სახელმწიფო. დ) უფლებას იმავე ხელშეკრულებების გაუქმებაზე და 1783 და 1804 წლების წინა სტატუს-ქვოს აღდგენაზე, თუკი რუსები არ მიიღებენ ფედერაციულ პრინციპს და უკვე არ მოისურვებენ საქართველოს დაცვას, კერძოდ კი: – ძველ ქართულ სახელმწიფოთა სუვერენიტეტის აღდგენას.

3. რუსეთის დროებითი მთავრობის მიერ ქართული ეკლესიის დამოუკიდებლობის მყისიერი აღდგენის აკრძალვის გაუქმება. ხსენებული აკრძალვა უკანონო არის კანონიკური სამართლის თვალსაზრისით, რომლის თანახმად რუსეთის დროებით მთავრობას არაფერი ესაქმება ქართულ ეკლესიასთან, რომელიც ავტოკეფალურად იქნა აღიარებული მე-XI საუკუნეში აღმოსავლეთის და დასავლეთის ეკლესიათა მიერ. სხვა მხრივ, ეს აკრძალვა წინააღმდეგობაში ექცევა იმავე დროებითი მთავრობის პირველ მანიფესტთან, რომელიც ოფიციალურად აცხადებს სინდისის თავისუფლებას ყველა აღმსარებლობის ყველა ხალხებისთვის. ქართველებისთვის სინდისის თავისუფლება ნიშნავს, უპირველეს ყოვლისა უფლებას თავისუფლად მოაგვარონ ეროვნული საეკლესიო საქმეები.
4. მტრებთან ზავის დადებას და საერთაშორისო ურთიერთობების აღდგენას, ან, სულ მცირე მაინც, ძველ რუსულ-ქართულ ხელშეკრულებათა იმ მუხლების დაცვას, რომლის მიხედვითაც საქართველო ვალდებული იყო საგარეო შეჭრის შემთხვევაში დაეცვა საკუთარი საზღვრები, მაგრამ არასდროს – მხარი დაეჭირა რუსეთის იმპერიისათვის მის იმპერიალისტურ ავანტიურებში იმ ხალხთა წინააღმდეგ, რომლებიც არასდროს ყოფილან საქართველოს მტრები.
5. ერთადერთს, რასაც ჩვენ მოვითხოვთ ჩვენი ქვეყნისთვის, არის ცნობილი ხალხთა უფლება თავისუფლად გადაწყვიტონ მათი საკუთარი ბედი. სხვათა შორის, ეს უფლება შეტანილია რუსეთის რევოლუციური და სოციალისტური პარტიების ყველა პროგრამაში. ჩვენ მართლაც, მოვითხოვთ მხოლოდ ამ უფლებას და შევასხენებთ ამ პარტიებს, რომ ისინი არ იცავენ მათ საკუთარ პროგრამებს.

ამჟამად საქართველოში ხორციელდება პოლიტიკური და ეროვნული საორგანიზაციო სამუშაო, ისევე როგორც ამას ადგილი აქვს უკრაინაში, რუსეთის დროებითი მთავრობის პროტესტების და აკრძალვების მიუხედავად. ქართულმა პოლიტიკურმა პარტიებმა, ქართველმა ჯარისკაცებმა, ოფიცრებმა და გენერლებმა გადაწყვიტეს იარაღით ხელში მოიპოვონ ეროვნული ავტონომია, თუკი ცენტრს არ სურს ნებაყოფლობით მიანიჭოს ის ქართველ ხალხს და თუკი ის მას ხელს შეუშლის ამ საორგანიზაციო მუშაობის განხორციელებაში. ეს მოძრაობა ვრცელდება რუსულ-თურქულ ფრონტამდე და საქართველოში დროებითი მთავრობის კომისარი ხარლამოვი¹ იძულებული იყო გამგზავრებულიყო ამ ფრონტზე, ქარ-

¹ იგულისხმება ხარლამოვი ვასილი (1875-1957).

თველ ჯარისკაცთა დანაშაულების მიზნით. – ფენომენი, ანალოგიური იმისა, რასაც ვუყურებთ უკრაინაში. და თუ დროებითი მთავრობის ამ დამოკიდებულების შედეგად, რუსეთის ხალხთა უზარმაზარი დამოუკიდებელი საორგანიზაციო სამუშაო სისტემატიურად დაბრკოლდება ცენტრის მიერ, ამ შემთხვევაში არარუსი ხალხები იძულებულნი გახდებიან მოაწყონ ახალი რევოლუცია, მათი სამართლიანი და ლეგიტიმური უფლებების განაღდების მიზნით.

ეს მხედველობაში უნდა იქნას მიღებული რუს რევოლუციონერთა მიერ, თუკი ისინი დაინტერესებულნი არიან სახელმწიფოს ერთიანობის შენარჩუნებით.

ჩვენ ვთხოვთ სოციალისტთა საერთაშორისო კომისიას: 1. მხედველობაში მიიღოს ქართული საკითხი, როცა ეროვნებათა საკითხი განხილული იქნება სოციალისტთა კონფერენციის სხდომებზე ან დელეგატთა დახურულ კონფერენციებზე. 2. დაუშვან საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის დელეგატები სოციალისტთა კონფერენციაზე, როცა ამ უკანასკნელს ადგილი ექნება, რათა ქართველმა სოციალისტებმა თავად შეძლონ წარუდგინონ კონფერენციას მათი საქმე და მათი პრინციპები.

Der Neue Orient. Halbmonatsschrift für das politische, wirtschaftliche und geistige Leben im gesamten Osten.

Berlin, 1917. Sonderbeilage zu Band 1, Heft 11/12. SS. 557-559.

თარგმანი ფრანგულიდან.

№ 195

**საქართველოს განთავისუფლების კომიტეტის
თავმჯდომარის, კედრე სურგულაძის წერილი იმავი
კომიტეტის წევრს, მიხეილ წერეთელს, ბერლინში
არსებული ვითარებისა და იმ ჩასათარებელი
სამუშაოს შესახებ**

1917 წლის 26 ივნისი
ბერლინი

ძმაო მიხაკო. შენი უკანასკნელი წერილი ქართულად დანერგილი მივიღე. განაგრძეთ მუშაობა, ვიდრე მანდ რამე არის, თუმცა მე სტოკჰოლმისაგან დიდს არაფერს მოველი, გარდა პროპაგანდის შესაძლებლობისა. ამავე დროს იცოდეთ, მოითავოთ საქმეები თუ არა, უსათუოდ ჩამოდით. შენ გემახსოვრება, ზამთარში ბერლინში რომ ვიყავი, თუ რა ატმოსფერო იყო ჩემს გარშემო. შემდეგ თუ უფრო გამწვავდა, თვარა არაფერი შეცვლილა. ჩემთვის საკმარისია სამ წელიწადს რომ გაუძეულ ასეთ მდგომარეობას. დანვრილებით არ გწერ, მხოლოდ გეტყვი ეხლა ყოვლად შეუძლებელია წინანდებურად საქმე გაგრძელდეს. მე თუ ზამთარში თავი შევიკავე, მხოლოდ იმ მოსაზრებით, რომ გიორგი ჩამოვა და ერთად მოვილაპარაკებთ მეთქი. ეხლა, ჩემი აზრით, რაც შეიძლება ჩქარა, ერთი საერთო კრება გავმართოთ და საბოლოოდ გამოვარკვიოთ ჩვენი მდგომარეობა. ეს ჩემთვის აუცილებლად საჭიროა. გიორგი სად არის? ტრაპიზონიდან დაწყებული ბერლინამდე უზნეობის ნუმპეში დავფართხალობ და სული შემეიგუბდა. გოგია¹ ჩამოვიდა, გაზეთის ერთი ნომერი გამოვეცი, შემდეგ ის განაგრძობს. მე კი ვაპირებ ტყვეები ჩამოვიარო, ცოტა გამოველაპარაკო, რადგან ამ ბოლო დროს მათგან ბევრი წერილი მოდის. ამ დღეებში როგორც გოგიამ სთქვა, „პრინცი“ ლეოც² ჩამოვა. გთხოვთ მანდ განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოთ არაველიკოროსთა ორგანიზაციას³. თუ რამეა ასეთი, უსათუოდ მონაწილეობა უნდა მივიღოთ, რომ საერთო იერიში მივიტანოთ მოსკოველთა ბუნაგზე. ამასთანავე, ერთი სათხოვარი მაქვს. ტყვეები ძალიან ითხოვენ ქართულ წიგნებს, რომელნიც, ჩვენდა სამარცხვინოთ, ჩვენ არ მოგვეპოვება. ჟენევის ბიბლიოთეკა, როგორც სჩანს, წყალს წაუღია. გთხოვ მიმართო ან შვეციის წითელ ჯვარს, ან სხვა ვინმეს, ან პირდაპირ ჩვენ დანესებულებას, ეს როგორც შენ საუიმჯობესოთ დაინახო და მოსთხოვო მათ ტყვე ქართველთა სახელით ქართული წიგნები ბლომად. ბევრ ტყვე ქართველს

¹ იგულისხმება კერესელიძე გიორგი (1885-1960).

² იგულისხმება კერესელიძე ლეო (1883-1943).

³ იგულისხმება 1916 წელს შვეიცარიაში დაარსებული „რუსეთის არარუს ხალხთა ლიგა“ (Die Liga der Fremdvölker Russlands).

გერმანული უსწავლია და შენი წიგნები მივანოდე. აგრეთვე დ[ოქტო]რ მეკელაინს¹ ვსთხოვე შეადგინოს პატარა სახელმძღვანელო გერმანულ ენისა ქართველებისათვის და ეხლა მუშაობს. იცი თუ არა, უნგრელ პოეტს ვიკარის² „ვეფხისტყაოსანი“ უთარგმნია და ბეჭდავს ზიჩის³ დასურათებით. კარგი იქნება, როცა გამოვა, შენც მიაყოლო ერთი სტატია. დიდი მოკითხვა გიორგის. მაცნობე თქვენი ამბავი, რამდენად შეიძლებოდა, დანვრილებით. ჩემი აზრით, რუსეთის საქმეებს ჯერ კიდევ სიბნელის ზენარი აფარია. ძნელი სათქმელია, თუ რა მოგველის. თქვენი აზრი მაინც მეტად საინტერესოა, იქ ახლო ხართ. დიდ მოკითხვას გითვლიან შენ და გიორგის ყველანი. პასუხს ველი.

შენი პეტრე სურგულაძე

Politisches Archiv des Auswärtigen Amts (PA AA), Akten Betreffend den Krieg 1914, Unternehmungen und Aufwiegelungen gegen unsere Feinde im Kaukasus (Personalia). R 21027.

¹ იგულისხმება ფონ მეკელაინი რიხარდ (von Meckelein Richard) (1880-1948).

² იგულისხმება ვიკარი ბელა (Vikár Béla) (1859-1945).

³ იგულისხმება ზიჩი მიხაი (Zichy Mihály) (1827-1906).

№ 196

საქართველოს განთავისუფლების კომიტეტის
თავმჯდომარის, პეტრე სურგულაძის წერილი ოტო
გიუნდერ ფონ ვეზენდორფს, გერმანიის იმპერიის
საგარეო საქმეთა სამინისტროს ლეგაციის მდივანს
და ახლო აღმოსავლეთის საქმეთა რეფერატს,
თხოვნით ქართული ლეგიონის ოფიცერ პორფირი
გვიშიანისთვის (არჩილ ინგურიძისთვის) მის მიერ
კუთვნილი თანხის გადმორიცხვის შესახებ

1917 წლის 28 ივნისი
ბერლინი

ბატონო ბარონ,

ცნობათა ბიურომ მიიღო:

1916 წლის 26 აპრილს – 107 მარკა და 25 პფენინგი და 5 მაისს – 147 მარკა და 69 პფენინგი, რომელიც ქართული ლეგიონის ოფიცერ პორფირი გვიშიანისთვის (არჩილ ინგურიძისთვის) იყო განკუთვნილი.

ცნობათა ბიუროს სალარომ ეს თანხა საგარეო საქმეთა სამინისტროს გადაურიცხა.

ოფიცერმა გვიშიანმა (ინგურიძემ) ეს თანხა არ მიიღო. პატივი მაქვს ნამდვილი წერილით გთხოვოთ, კეთილი ინებოთ მილოთ ზომები, რათა ზემოხსენებული თანხები მას დაუბრუნდეს.

ამის მოლოდინში, გთხოვთ მიიღოთ, ბატონო ბარონ, ჩემი უმაღლესი პატივისცემის ნიშნები.

პ. სურგულაძე

Politisches Archiv des Auswärtigen Amts (PA AA), Akten Betreffend den Krieg 1914, Unternehmungen und Aufwiegelungen gegen unsere Feinde im Kaukasus. R 21024.
თარგმანი ფრანგულიდან.

№ 197

საქართველოს განთავისუფლების კომიტეტის
წევრის, გიორგი მაჩაბლის წერილი ოტო
გიუნთერ ფონ ვეზენდონკს, გერმანიის იმპერიის
საგარეო საქმეთა სამინისტროს ლეგაციის
მდივანს და ახლო აღმოსავლეთის საქმეთა
რეფერატს, კომიტეტის წევრ,
ლეო კერესელიძის საქართველოში შესაძლო
გამგზავრებასთან დაკავშირებით

1917 წლის 29 ივნისი
სტოკჰოლმი

პატივცემულო ბარონ ფონ ვეზენდონკ!

ბატონ გიორგი კერესელიძის მიერ შენგეიდან ხელახლა გამოგზავნილ წინადადებაზე მისი ძმის, ლეო კ[ერესელიძის] რუსეთში გამგზავრების შესახებ, ფონ წერეთელს და მე პრინციპში არაფერი გვაქვს საწინააღმდეგო, მხოლოდ ვშიშობთ, რომ მოქმედი სახელით, როგორც ემიგრანტმა, შეძლოს საზღვრის გადაკვეთა. ნებისმიერ შემთხვევაში, არაფერი გვაქვს საწინააღმდეგო, რომ მან სცადოს ეს მოგზაურობა და ამჟამად სამგზავრო ფული გადაეცეს. თუკი ის შეძლებს საზღვრის გადალახვას, ვიმედოვნებთ, რომ მისი მუშაობა უშედეგოდ არ ჩაივლის. ასეთ კარგ შემთხვევაში, საჭირო იქნება მისი ფულით დახმარება, მას შემდეგ რაც ყველა დარწმუნდება, რომ მისი საქმიანობა სასარგებლოა. გთხოვთ იმ შემთხვევაში, თუკი გერმანიის მთავრობა მის გეგმას მიიღებს, მიეცეს ლეო კერესელიძეს ემიგრანტთა შემდეგ ჯგუფთან ერთად გამგზავრების საშუალება და აუცილებლად მოგვეთათბიროს აქ ამის შესახებ.

ამის შემდეგ ჩვენ მასთან ერთად შევიმუშავეთ საერთო გეგმას და უპირველესად, კარგ სადაზვერვო სამსახურს მოვანყობთ, რაც ჩვენ ამჟამად სრულიად გვაკლია.

ბატონი ფონ წერეთელი და მე საერთოდ იმ აზრის ვართ, რომ გაცილებით უფრო მიზანმიმართული იქნებოდა, თუკი ჩვენი კომიტეტის წევრთა ნაწილი საქართველოში წავიდოდა, რათა იქ მხარი დაუჭირონ ჩვენს პოლიტიკურ მეგობრებს. თურქეთში ჩვენი მუშაობის შეწყვეტის შემდეგ, ბევრი მათგანი საქმის გარეშე დარჩა და უფრო სწორი იქნებოდა, რომ ლეგიონების ლიკვიდაცია მოხდეს ხარ-

ჯების დასაზოგად. ამ ყველაფრის შესახებ ბატონი ფ[ონ] წერეთელი უფრო ზუსტად მოგახსენებთ პირისპირ, ბერლინში დაბრუნების შემდეგ.

თქვენი სრულიად ერთგული,
თავადი მამაბელი

*Politisches Archiv des Auswärtigen Amts (PA AA), Akten Betreffend den Krieg 1914,
Unternehmungen und Aufwiegelingen gegen unsere Feinde im Kaukasus. R 21024.
თარგმანი გერმანულიდან.*

№ 198

საქართველოს განთავისუფლების კომიტეტის წევრის,
 მიხეილ წერეთლის წერილი გერმანიის საბარეო
 საქმეთა სამინისტროს, კომიტეტის წევრ,
 ლეო კერესელიძისთვის ბერლინში ჩასვლის უფლების
 პინიჭების შესახებ

1917 წლის 23 ივლისი
 ბერლინი

მაქვს პატივი ქართული კომიტეტის სახელით შემდეგი გაცნობით:

როგორც შემთხვევით შევიტყვეთ, ქართული კომიტეტის წევრს, ლეო კერესელიძეს, რომელიც ამჟამად შვეიცარიაში იმყოფება, პოლიციის მიერ აკრძალა გერმანიაში შემოსვლა და ყოფნა. არც ჩვენ და არც ბატონმა ლეო კერესელიძემ ამაზე არაფერი ვიცოდით და ზუსტად ახლა, როდესაც მისი ბერლინში ყოფნა მნიშვნელოვანია, რომ ჩვენს მიერ დაგეგმილ კომიტეტის კონფერენციაში მიიღოს მონაწილეობა, აწყდება სირთულეებს ბერლინში გასამგზავრებლად. თავაზიანად გთხოვთ, რომ შეგვატყობინოთ, რა მოიპოვება ბატონ ლეო კერესელიძის წინააღმდეგ და თუ ეს შემთხვევა გაუგებრობას მიეწერება, რაც შეიძლება სწრაფად მიეცეს ბატონ ლეო კერესელიძეს ბერლინში ჩამოსვლის საშუალება.

ერთგულებით,
 კომიტეტის სახელით,
 მ. ფ[ონ] წერეთელი

*Politisches Archiv des Auswärtigen Amts (PA AA), Akten Betreffend den Krieg 1914,
 Unternehmungen und Aufwiegelungen gegen unsere Feinde im Kaukasus. R 21024.
 თარგმანი გერმანულიდან.*

№ 199

**საქართველოს განთავისუფლების კომიტეტის
მემორანდუმი გერმანიის იმპერიის რაიჰსკანცლერს,
თეობალდ თეოდორ ფრიდრიხ ალფრედ ფონ
ბეთმან-ჰოლვებს, ოთხთა კავშირის სახელმწიფოთა
მთავრობების მიერ საქართველოს
სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის
აღიარების აუცილებლობის შესახებ**

1917 წლის 26 ივლისი
ბერლინი

თქვენო აღმატებულება,

საქართველოს სახელმწიფოს გაუქმების დროიდან პოლიტიკური ორიენტაციის საკითხი, ახალი ვითარებიდან გამომდინარე, ქართველი ერის ყველაზე მნიშვნელოვან და მძიმე საკითხად გადაიქცა, ვინაიდან მის რეალურ გადანყვეტაზე, ამიერიდან დამოკიდებული იყო თავად მისი არსებობა.

გასული საუკუნის დასაწყისში, როდესაც ქართველები, მოტყუებულნი რუსთა მიერ, რომლებმაც რატიფიცირებული ხელშეკრულების დარღვევით საქართველოში შეაღწიეს, რამდენჯერმე აჯანყდნენ ფიცის გამტეხთა ტირანიისგან გასანთავისუფლებლად, ისინი დახმარებას საკუთარ მეზობლებთან – სპარსელებთან და თურქებთან ეძებდნენ. უფლისწული ალექსანდრე, რომელიც სათავეში ჩაუდგა აჯანყებას აღმოსავლეთ საქართველოში, ებრძოდა რუსებს სპარსეთის სიძლიერის და დახმარების იმედით. იმერეთის (დასავლეთ საქართველოს) მეფე სოლომონ II, თავის ბრძოლაში რუსთა წინააღმდეგ, რომელმაც მრავალ წელს გასტანა, დახმარებას თურქეთს თხოვდა. დამარცხებულმა, მან მართლაც თავი თურქეთს შეაფარა, სადაც გარდაიცვალა.

სამწუხაროდ, თავის თავგანწირულ ბრძოლაში ეროვნული დამოუკიდებლობის დასაცავად და რუსთა ბატონობის წინააღმდეგ, საქართველომ ვერასდროს ვერ იპოვა საკუთარ მეზობლებთან არც საკმარისი დახმარება, არც თუნდაც გამხნევება და დამოუკიდებლობაზე მისი უფლების ლოიალური აღიარება, რაც საჭირო და აბსოლუტურად აუცილებელია იმისათვის, რათა დამონებულმა ერმა ენერგიულად შეეძლოს ბრძოლა უცხოური ბატონობის წინააღმდეგ და ეს ბრძოლა მისი საქმის საბოლოო გამარჯვებამდე მიიყვანოს.

ამრიგად, საქართველო, რომელსაც უკვე აღარ შეეძლო ჰქონოდა მეზობელ დიდ სახელმწიფოთა დახმარების იმედი, იძულებული გახდა რუსულ რევოლუცი-

ურ პარტიებს შეერთებოდა რუსული დესპოტური რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით, რათა გარდაექმნა უკნასკნელი, იგი ქართველი ხალხისთვის ნაკლებად საშიშად გაეხადა და ამ საშუალებებით მაინც უზრუნველყო საკუთარი ეროვნული არსებობა. სწორედ საქართველოს საერთაშორისო მდგომარეობით უნდა აიხსნას ის საკვირველი ფენომენი, რომ ყველა რუსულ რევოლუციურ პარტიაში, მათი წარმოქმნის დღეებიდან, ქართველები ყოველთვის თამაშობდნენ ფრიად დიდ როლს და ხშირად საკუთარ თავსაც სწირავდნენ რუსულ რევოლუციურ საქმეს უფრო დიდი სიმამაცით და აღმაფრენით, ვიდრე თავად რუსი რევოლუციონერები.

თუმცა, სადღეისოდ ჩვენ ვვარაუდობთ, რომ ქართული საკითხის მთელი საერთაშორისო მნიშვნელობის გათვალისწინებით, ჩვენმა მეზობლებმა, რეალური პოლიტიკიდან გამომდინარე, უნდა შეცვალონ საკუთარი ძველი თვალსაზრისი ქართული საკითხის ფასეულობის შესახებ, აღიარონ ქართველი ერის უფლება დამოუკიდებლობაზე და დახმარება გაუწიონ მის ბრძოლაში რუსთა ბატონობისაგან გასანთავისუფლებლად.

რუსეთსა და თურქეთს შორის ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე ბრძოლაში, ქართველი ერის პოლიტიკურ ორიენტაციას მნიშვნელოვანი წონა აქვს.

მაგრამ საქართველოს ეს პოლიტიკური ორიენტაცია მთლიანად იქნება განსაზღვრული იმ პოლიტიკის მიერ, რომელსაც მოკავშირე სახელმწიფოები; ავსტრია-უნგრეთი, გერმანია, თურქეთი და ბულგარეთი გაატარებენ საქართველოს მიმართ. რუსეთის განახლების და რეკონსტრუქციის საქმეში ქართველი ერის თანამშრომლობა რუსებთან მხოლოდ იძულებითი ხასიათისაა. ქართველები, განსხვავებული პარტიების და პროგრამების მიუხედავად, ყველანი სრულ დამოუკიდებლობისკენ მიისწრაფვიან. მაგრამ იმისთვის, რათა ეს სწრაფვა ქართველთა დაუძლეველ სურვილად იქცეს, იმისთვის, რათა მთელი ერი ჩაებას ბრძოლაში საბოლოო გადამწყვეტილებით განახორციელოს ეს იდეალი, აუცილებელია, რომ საქართველო დარწმუნებული იყოს და გააჩნდეს აბსოლუტური და რეალური გარანტიები, რომ იმ შემთხვევაში, თუკი ის ღიად აჯანყდება რუსეთის წინააღმდეგ, მეზობელი თურქეთი და მისი მოკავშირეები მას მეგობრობის ხელს გაუწვდიან და გაუადვილებენ პოლიტიკური განთავისუფლების საქმეს.

ყოველივე ამის გათვალისწინებით, აუცილებლად მიგვაჩნია:

- 1) რომ მოკავშირე დიდმა სახელმწიფოებმა: ავსტრია-უნგრეთმა, გერმანიამ, თურქეთმა და ბულგარეთმა, უკვე ამ დროიდან პრინციპში, აღიარონ საქართველოს დამოუკიდებლობა მისი ტერიტორიის ფარგლებში.
- 2) რომ მათ ქართველ ერს მისი დროებითი მთავრობის დაუყოვნებლივი აღიარების გარანტია მისცენ, იმ შემთხვევაში, თუ საქართველო აჯანყდება რუსების წინააღმდეგ და ქართული დროებითი მთავრობა იქნება გამოცხადებული.
- 3) რომ მათ გარანტია მისცენ, რომ სამხედრო აუცილებლობის შემთხვევაში, ერთ-ერთი მოკავშირე დიდი სახელმწიფოს არმია შევა საქართველოში, რომ ეს არმია იქ მოიქცევა როგორც იმ სახელმწიფოს არმია, რომელიც იმყოფება მეორე მოკავშირე სახელმწიფოს ტერიტორიაზე, საერთაშორისო სამართლის ნორმების შესაბამისად, რომლითაც ზოგადად ხელმძღვანელობენ ამ შემთხვევებში.

- 4) რომ ისინი გააგზავნიან საქართველოში თავიანთ დიპლომატიურ და სამხედრო წარმომადგენლებს, და რომ ისინი თავად მიიღებენ ქართველ წარმომადგენლებს საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოს და მისი დროებითი მთავრობის აღიარებისთანავე.

გერმანიის და თურქეთის მძლავრი დახმარება, ისევე როგორც ავსტრია-უნგრეთის და ბულგარეთის სიმპატიები, რომლითაც ჩვენ ამ დრომდე ვსარგებლობდით, და რომლებიც ჩვენ ყოველთვის გვამხნეებდნენ ჩვენს მუშაობაში, საშუალებას გვაძლევს იმედი ვიქონიოთ, რომ სადღეისოდ ქართული საკითხი მათ, შესაძლებელია, კიდევ უფრო მეტად აინტერესებთ იმ მოვლენების გათვალისწინებით, რომლებიც ამჟამად რუსეთში ვითარდება.

ამიტომ გვჯერა, რომ მოკავშირე მთავრობების შეხედულებათა თანხვედრა, მონახავს საჯარო და გამამხნეებელ გამონათქვამებს ქართველი ერისათვის მაღალ მხარეთა შორის ნოტების გაცვლაში, რათა ამრიგად მისი ოფიციალური აღიარება საერთაშორისო აქტის მეშვეობით დაფიქსირდეს.

ამ მიზეზით, პატივი გვაქვს თხოვნით მივმართოდ გერმანიის საიმპერიო მთავრობას, თუკი მაღალი მხარე ამას მიზანშეწონილად ჩათვლის, ამის თაობაზე ავსტრია-უნგრეთის, თურქეთის და ბულგარეთის მთავრობებთან ნოტებით გაცვლა განახორციელოს და გაგვაგებინოს საკუთარი საბოლოო აზრი ქართული საკითხის შესახებ.

ნამდვილი მემორანდუმი ავსტრია-უნგრეთის, თურქეთის და ბულგარეთის მთავრობებს გაეგზავნა.

ქართული ეროვნული კომიტეტი.

თავმჯდომარე: პეტრე სურგულაძე

წევრები: გიორგი კერესელიძე

თავადი გიორგი მაჩაბელი

მიხეილ წერეთელი

მდივანი: ალექსანდრე გოზალიშვილი

Politisches Archiv des Auswärtigen Amtes (PA AA), Akten Betreffend den Krieg 1914, Unternehmungen und Aufwiegungen gegen unsere Feinde im Kaukasus. R 21024.

თარგმანი ფრანგულიდან.

№ 200

საქართველოს განთავისუფლების კომიტეტის
წევრის, ბიორგი მაჩაბლის წერილი გერმანიის
იმპერიის საბარეო საქმეთა სამინისტროს,
კომიტეტის მიერ შესრულებული სამუშაოს და
მის მიერ დასახული მომავალი
ბეზმების შესახებ

1917 წლის 28 ივლისი
ბერლინი

ამით თავს უფლებას მივცემ, საგარეო საქმეთა სამინისტროს სხვადასხვა ქართულ გარემოებათა შესახებ შემდეგი ანგარიში წარვუდგინო.

1) განწყობა ქართველ სამხედრო ტყვეთა შორის

ტყვეთა ბანაკებში ჩემი პირადი კონტაქტის, ისევე როგორც ფრიად მრავალრიცხოვანი წერილების საფუძველზე, რომლებიც ბოლო დროს მიიღო კომიტეტმა ყველა ბანაკის ოფიცრებისგან და ჯარისკაცებისგან, შეიძლება უეჭველად დადგენილ იქნეს, რომ ტყვეთა განწყობა რუსეთის რევოლუციის დროიდან საფუძვლიანად შეიცვალა ყველაფერ იმასთან შედარებით, რაც ჩვენ ადრე შეგვეძლო შეგვენიშნა, და რომ ახალი წარმატებითი პროპაგანდისტის უპირობოდ არსებობს საფუძველი. ასევე ზაგანში არსებულ ბანაკში ვიზიტის, ისევე როგორც სამხედრო სამინისტროში კონსულტაციების შედეგად შემეძლო დამედგინა, რომ ქართველ ტყვეთა შორის ფართო პროპაგანდისტული წარმოებას ტექნიკური თვალსაზრისითაც (პროპაგანდისტების და პრესის მეშვეობით) არ ელობება წინ დიდი სირთულეები.

2) პრესა

გაზეთმა ქართველი ტყვეებისათვის ასევე დიდად შეუწყო ხელი ეროვნული გრძნობის ზრდას, რის გამოც ჩვენ ვვარაუდობთ, გავაძლიეროთ მსგავსი პროპაგანდა. გაზეთი, ნახევარ თვეში ერთხელ გამოსვლის მაგიერ, ყოველ კვირას დაიბეჭდება და გარდა ამისა, ინფორმაციას გავავრცელებთ ქართულ ენაზე გამომავალი სხვადასხვა ბროშურების მეშვეობით. ჩვენ მოგვმართავს ბევრი თანამშრომელი ბანაკებიდან. ჩვენ ვიღებთ შეტყობინებებს და ასობით წერილს, მათ შორის ისეთებსაც, რომლებიც ჩვენ აშკარად გამოქვეყნების მიზნით გვეგზავნება.

3) ახალი პროპაგანდის მიზანი

ჩვენ გვსურს ახალი პროპაგანდა იმაზე ავაგოთ, რომ ქართველი ტყვეები უახლოეს ხანებში სამხედრო გამოყენებისთვის მოვამზადოთ. თუმცა, ამ დროისთვის ჯერ კიდევ შეუძლებელია წინასწარ განვჭვრიტოთ, ამ გამოყენების გზა, ნებისმიერ შემთხვევაში მნიშვნელოვანია მზად გვექონდეს დიდი კორპუსი, რომელიც, საქართველოს განთავისუფლების ინტერესში, როგორც თავად ქვეყანაში (ბალკანებიდან შავი ზღვის გავლით), ისე თურქეთის ფრონტზე, ან ასევე შესაძლებელია, უკრაინულ აქციასთან დაკავშირებით შეიძლება იყოს გამოყენებული.

4) პოლიტიკური აქცია

დღევანდელი მდგომარეობა საქართველოში შემდეგია: მხედველობაში მისაღები არის ძირითადად სამი პოლიტიკური მიმდინარეობა, სოციალ-დემოკრატები, სოციალ-ფედერალისტები და ეროვნულ-დემოკრატები. ბუნებრივია, ეს სამი პარტია რუსეთში მომხდარი გარდატეხის წინა დროიდან იღებს სათავეებს და მათ არ შეეძლოთ განთავისუფლებულიყვნენ ამ გარდატეხის გავლენისაგან. სოციალ-დემოკრატები დიდწილად იმ პოზიციაზე დგანან, რომ მათ რუსულ სოციალ-დემოკრატიასთან ერთად უნდა იბრძოლონ გამანთავისუფლებელი მიზნებისთვის. თუმცა, სოციალ-დემოკრატთა ნაწილი თავიდანვე ეროვნულ ბაზისზე იდგა და ისინი წინააღმდეგნი არ არიან იბრძოლონ ქართველთა ეროვნული ავტონომიის დამყარებისათვის.

ორი დანარჩენი პარტია ქართველი ხალხის ნაციონალისტურ მოთხოვნათა მებაირახტეა. განსაკუთრებით ამ მოთხოვნით, ბოლო დროს გამოდის ეროვნულ-დემოკრატიული პარტია, საკუთარ ორგანო „საქართველო“-თი. ამ დრომდე, ორივე ნაციონალისტური პარტიის პროპაგანდის დამაბრკოლებელი გარემოების როლს ასრულებდა მოსაზრება, რომ საქართველო, იმ შემთხვევაშიც თუკი შეძლებს რუსული მოძალადე ხელისუფლებისგან განთავისუფლებას, სულ ადვილად შეიძლება აღმოჩნდეს სხვა სახის – თურქთა დამოკიდებულებაში. ეს მოსაზრება მნიშვნელოვანწილად თავიდანვე ურთულდება ნაციონალისტებს მუშაობას.

ამან უბიძგა ჩვენს კომიტეტს ნაბიჯები გადაგვედგა, რათა დაზღვეულნი ვყოფილიყავით ამ თვალსაზრისით. ეს-ეს არის ჩვენ, საგარეო საქმეთა სამინისტროს ბერლინში, ისევე როგორც ავსტრია-უნგრეთის, ბულგარეთის და თურქეთის აქაურ წარმომადგენლებს, მათი მთავრობებისადმი გადასაცემად მემორანდუმი გავუგზავნეთ, რომელშიც აუცილებლად მივიჩნევთ, რომ მაღალმა მთავრობებმა, ერთმანეთს შორის ნოტების გაცვლის ფორმით გარანტია მოგვცენ, რომ ქართველთა მიერ დამოუკიდებლობის გამოცხადების შემთხვევაში, მას, ყველა თვალსაზრისით, პატივს სცემენ¹.

ჩვენ იმიტომ ვუსვამთ ხაზს ამ საკითხის შეძლებისდაგვარად მყისი გადაწყვეტის აუცილებლობას, რომ, ჩვენი მოსაზრების თანახმად, ქართული საქმე სწორედ ამჟამად, უკრაინაში განვითარებული მოვლენების შედეგად შეიძლება ძალიან სწრაფად მოვიდეს მოძრაობაში. მხოლოდ ამგვარი დაპირების მიღების შემთხვევაში, შეიძლება ჩვენ ჩვენი პროპაგანდის სრულად ამოქმედების იმედი გვექონდეს. საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის გამოცხადების მნიშვნელობა

¹ იხ. დოკ. 199.

დროის ამ მონაკვეთში და კავკასიის ფრონტზე და უკრაინაში არსებული მდგომარეობის პირობებში, დანვრილებით განხილვას არ საჭიროებს.

5) კონფერენცია

ჩვენ ვაპირებთ უახლოეს დროს ჩვენი კომიტეტის ყველა წევრი ბერლინში ჩამოვიყვანოთ, რათა ახალი მდგომარეობა განვიხილოთ და ჩვენი შემდგომი მოქმედებისათვის შესაბამისი პროგრამა გამოვიმუშაოთ. ამასთან ერთად, ვითათბირებთ ზოგ ჩვენ წევრთა კავკასიაში გაგზავნის შესახებ. ძალიან მიზანშეწონილი იქნებოდა, თუკი ამ დროისთვის ჩვენი აქცია უკვე შედეგს მოიტანდა, მთავრობათა მიერ ნოტების გაცვლის თვალსაზრისით. ასეთ შემთხვევაში, ჩვენი ემისრები თან რაიმე პოზიტიურის ნალებას შეძლებდნენ, რაც ჩვენს იქაურ მეგობრებზე უდიდეს გავლენას მოახდენდა.

6) სტოკჰოლმში ჩემი მოღვაწეობა

როგორც საგარეო საქმეთა სამინისტროსთვის უკვე ცნობილია, ყოველი ახალი რუსული სამინისტროს შექმნისთანავე¹ მე მათ მივმართავდი, რათა ჩემი აზრი მოვლენათა მომავალი განვითარების შესახებ მეცნობებინა და ამ თვალსაზრისით მათზე გავლენა მომეხდინა. ამასთან ერთად, მე ასევე შევეცადე პეტერბურგში მგზავრობისთვის ნებართვა მიმეღო. ჩემს ბოლო ტელეგრამაზე მინისტრ წერეთლის² სახელზე, მე, სამწუხაროდ, პასუხი მომივიდა, რომ უნდა მივმართო საგარეო საქმეთა სექციას პეტერბურგში, ჩემი მგზავრობის მიზნების ზუსტი მონაცემებით, რისგანაც მე დროებით თავი უნდა შემიკავებინა, რადგან ამის შემდეგ ჩემს მიერ გერმანული მთავრობისადმი გაგზავნილ შეკითხვაზე, რა უნდა მეთქვა, პასუხი ვერ მივიღე. ამ სირთულეებთან დაკავშირებით, მე ყოველმხრივ შევეცადე სტოკჰოლმში ჩემი ძმა ჩამომეყვანა. მის მიერ მრავალი ნაბიჯის გადადგმის შემდეგ მან მომწერა, რომ მან საბოლოოდ შეძლო აგვისტოს დასაწყისისთვის ეს ნებართვა მიეღო. იმედი მაქვს, რომ ამასობაში არაფერს ახალს არ ექნება ადგილი.

ამის შედეგად, მის შესახვედრად მალე სტოკჰოლმში უნდა დავბრუნდე. მის ჩამოსვლას ჩვენთვის უდიდესი მნიშვნელობა ექნება. უპირველეს ყოვლისა, მას შეეძლება კარგად ჩაგვაყენოს საქმის კურსში რუსეთში და საქართველოში არსებული პოლიტიკური მდგომარეობის შესახებ. მეორე, – შეეძლება ჩვენგან ინსტრუქციების ნალება და გადაცემა. და მესამე, – მასთან ერთად ჩვენ შევძლებთ სანდო სადაზვერვო სამსახურზე მოვილაპარაკოთ, რომლის მეშვეობით ყველა ჩვენს მიზანს მნიშვნელოვანწილად წავწევთ წინ.

(ჩემს ძმასთან მოლაპარაკების შემდეგ, მე ვფიქრობ მყისვე დავბრუნდე ბერლინში და საკუთარი თავი მთლიანად მივუძღვნა ამ სამუშაოს შესრულებას).

თავადი გიორგი მაჩაბელი

Politisches Archiv des Auswärtigen Amtes (PA AA), Akten Betreffend den Krieg 1914, Unternehmungen und Aufwiegelungen gegen unsere Feinde im Kaukasus. R 21024.

თარგმანი გერმანულიდან.

¹ იგულისხმება 1917 წლის რუსეთის დროებითი მთავრობის ყოველი ახალი შემადგენლობა.

² იგულისხმება წერეთელი ირაკლი (1881-1959).

№ 201

საქართველოს განთავისუფლების კომიტეტის
წევრის, ლეო კერესელიძის წერილი ოთო გიუნდერ
ფონ ვეზენდონკს, ბერლინის იმპერიის საბარეო
საქმეთა სამინისტროს ლეგაციის მდივანს და ახლო
აღმოსავლეთის საქმეთა რეფერატს, თხოვნით
შეხვედრის დანიშვნის შესახებ

1917 წლის აგვისტოს დასაწყისი

ბატონო ბარონ,

მე ეს-ეს არის შევიტყვე ბატონ მარიუმისგან, რომ თქვენ ამჟამად შვეიცარიაში იმყოფებით. მინდა ვისარგებლო თქვენი აქ ყოფნით რათა თქვენ საქმეზე გესაუბროთ. ამ მიზეზით გთხოვთ, ბატონო ბარონ, შეხვედრა დამინიშნოთ. მე მოვალ იქ, სადაც თქვენ მოისურვებთ, მხოლოდ მომწერეთ ადგილი და დღე, როდესაც შემიძლია თქვენ შეგხვდეთ, მისამართზე: ბატონი კერესელიძე, ქალბატონ ლეკულტრთან¹, ავანში (ვო). ან, თუ თქვენ გირჩევნიათ, თქვენ შეგიძლიათ დამირეკოთ დილის 10 საათსა და შუა დღეს შორის, ავანში, ნომერი 31. მსურს გითხრათ, რომ ეს ძალიან საჩქაროა და მე თქვენი ნამდვილად მადლობელი ვიქნები, თუ თქვენ შეხვედრას დამინიშნავთ რაც შეიძლება მალე.

თქვენი პასუხის მოლოდინში, მიიღეთ, ბატონო ბარონ, ჩემი საუკეთესო სურვილები.

ლეო კერესელიძე

Politisches Archiv des Auswärtigen Amts (PA AA), Akten Betreffend den Krieg 1914, Unternehmungen und Aufwiegelungen gegen unsere Feinde im Kaukasus. R 21024.
თარგმანი ფრანგულიდან.

¹ იგულისხმება ლეო კერესელიძის მეუღლე – მართა ლეკულტრი (1885-1975).

№ 202

ოდო გიუნთერ ფონ ვეზენდონკის, გერმანიის იმპერიის
საგარეო საქმეთა სამინისტროს ლეგაციის მდივნის და
ახლო აღმოსავლეთის საქმეთა რეფერატის წერილი
საქართველოს განთავისუფლების კომიტეტის წევრს,
ლევო კერესელიძეს, უკანასკნელთან შეხვედრის
დანიშვნის შესახებ

1917 წლის 4 აგვისტო

ძვირფასო ბატონო კერესელიძე,

მე ეს-ეს არის მივიღე თქვენი თავაზიანი წერილი. მე ძალიან კმაყოფილი ვიქ-
ნები თქვენ გინახულოთ, მაგრამ ამჟამად ვიმყოფები სამსახურეობრივ მივლინე-
ბაში მთებში. როგორც კი დავბრუნდები ლიუცერნში, აუცილებლად შეხვედრას
დაგინიშნავთ.

გთხოვთ, მიიღოთ ჩემგან ჩემი მაღალი პატივისცემის ნიშნები.

ვეზენდონკი

*Politisches Archiv des Auswärtigen Amts (PA AA), Akten Betreffend den Krieg 1914,
Unternehmungen und Aufwiegelungen gegen unsere Feinde im Kaukasus. R 21024.
თარგმანი ფრანგულიდან.*

№ 203

**სტოკჰოლმში (შვედეთი) გერმანული დაზვერვის
რეზიდენტის, კაკიტან ჰანს შტაინვაქსის მოხსენებითი
ბარათი კაკიტან ერნსტ ფონ ჰიულსენს, გერმანიის
არმიის სახმელეთო ძალების გენერალური შტაბის
კოლიტიკის სექციის უფროსს, საქართველოს
ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთ
ლიდერთან, შალვა ქარუმიძესთან მისი შეხვედრის და
უკანასკნელის მიერ საქართველოში და კავკასიაში
მიმდინარე მოვლენების შესახებ მოცემული
ცნობების თაობაზე**

1917 წლის 9 აგვისტო
სტოკჰოლმი

დეპუტატი ქარუმიძე, ქართული ეროვნულ-დემოკრატიული პარტიიდან, შემდეგ მონაცემებს იძლევა:

1917 წლის 8 მაისს პარტიამ ვლადიკავკაზში ყრილობა ჩაატარა, რომელშიც როგორც ჩრდილოეთის მთიელმა ხალხებმა (დაღესტნელებმა, ყაზარდოელებმა, ჩეჩნებმა და ა.შ.), ისე სამხრეთ კავკასიის (თათრულმა) ტომებმა მიიღეს მონაწილეობა.

რუსეთში რევოლუციის შედეგად მომხდარი გადატრიალების თაობაზე ყრილობამ დაადგინა, შეექმნათ სამი რესპუბლიკური სახელმწიფოსგან (საქართველო, აზერბაიჯანი (თათრები) და ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკა (ჩრდილოეთის მთიელი ტომები)) შემდგარი თავისუფალი, დამოუკიდებელი, ფედერატიული რესპუბლიკა და საკუთარი მიზნების მისაღწევად, რევოლუცია მოემზადებინათ.

გეგმების გამომუშავება პარტიის სამხედრო შტაბს მიანდეს, რომლის სათავეში გენერლები ორბელიანი¹, გაბაევი² და ლეონიძე³ დგანან.

პარტიის სამხედრო შტაბმა მოახერხა დამოუკიდებელი საქართველოს იდეის მხარეზე, უპირველეს ყოვლისა, რუსეთის არმიის შემადგენლობაში არსებული და ფორმირების პროცესში მყოფი ქართული საარმიო კორპუსის ოფიცერთა შემადგენლობა გადაეხირობინა.

ქართული სამხედრო ორგანიზაციის ცენტრალურ ლეგალურ ორგანოს შეადგენს ასევე რუსთა მიერაც გარემოებათა ძალით აღიარებული „ქართული სამხედრო

¹ იგულისხმება ორბელიანი გიორგი (1853-1924).

² იგულისხმება გაბაშვილი (გაბაევი) ვასილი (1853-1933).

³ როგორც ჩანს, იგულისხმება ლეონიძე (ლიონიძე) ალექსანდრე (1856-?).

ორგანიზაცია“ ტფილისში. პრეზიდუმი შედგება შემდეგ პირთაგან: თავმჯდომარე – გენერალი ჭავჭავაძე¹. ნევრები – სამსახურიდან გადამდგარი შტაბს-კაპიტანი იოსებ გედევანოვი², დოქტორი ოშევახოვი³, ტირაძე⁴. აღმასრულებელი კომიტეტი შედგება 12 ადამიანისგან – უმეტეს წილად ეროვნულ-დემოკრატებისგან. ქართულ სამხედრო ორგანიზაციას სურს რუსულ არმიაში მიმოფანტული ყველა ქართველის შეკრება და ერთიანი ქართული ჯარის, ქართველ ოფიცერთა მეთაურობით, ჩამოყალიბება.

სამხედრო თვალსაზრისით, ორგანიზაცია განაგებს შემდეგ ჯარს:

- 1) ქართულ ცხენოსანთა პოლკს, თავად ჭავჭავაძის⁵ მეთაურობით. (პოლკის ისტორია: პოლკი მონაწილეობდა შეტევაში ბალდაზე, შეუერთდა ინგლისელებს, შემდგომ კი გაყვანილ იქნა დასვენებაზე კერმანდშაში⁶ და ამასობაში, ქართული სამხედრო ორგანიზაციის წინადადებით და თავად ორბელიანის სურვილით გადასასვლელი მარშით მიემართება ტფილისის გუბერნიაში, ბორჩალოვში⁷. იქ, ამის შემდგომ, პოლკის საფუძველზე ქართული ცხემოსანთა დივიზია უნდა ჩამოყალიბდეს. ქართულ სამხედრო ორგანიზაციას რუსეთის დროებითი მთავრობისგან უფლება აქვს მიღებული, ქართველები რუსულ დრაგუნთა და შესაბამისად, ულანთა ნიჟეგოვდსკის⁸, ჰევერსკის⁹, ტენკოის¹⁰ პოლკებისგან გამოიყვანოს და ისინი ფორმირების პროცესში მყოფ ახალ ქართულ ცხენოსანთა პოლკებში ჩარიცხოს.
- 2) ქართული ფეხოსანთა პოლკი. მეთაური:¹¹
(პოლკის ისტორია: თავდაპირველად ჩამოყალიბებული იქნა როგორც ქართული დრუჟინა (ლანდვერის მობილიზაცია). 1916 წელს იბრძოდა ვანთან და მის აღმოსავლეთით. თურქთა მხარეზე რამდენიმე ქართველი ოფიცრის გადასვლის გამო უნდა დაშლილიყო. თუმცა მერე, ნაწილობრივ რუსული სამეთაურო შემადგენლობის ქვეშ მყოფ ბატალიონად იქნა გადაფორმირებული. ამის შემდეგ კი – პოლკად გაიშალა. პოლკი აბჭალახის¹² რაიონში ისვენებს, რათა იქ შემდგომ, ფორმირების პროცესში მყოფ ქართულ კორპუსს შეუერთდეს. ფორმირების პროცესში უნდა იყოს მეტყვიამფრქვევეთა გუნდი, კაპიტან ცაგურიას მეთაურობით¹³.

¹ როგორც ჩანს, იგულისხმება ჭავჭავაძე დავით (1878-?).

² იგულისხმება გედევანიშვილი (გედევანოვი) იოსებ (1872-1939).

³ დოკუმენტში: Dr. Oschewachow. სავარაუდოდ, დოქტორი ჯავახოვი.

⁴ დოკუმენტში: Tiradse.

⁵ იგულისხმება ჭავჭავაძე დავითი (1878-?).

⁶ უფრო ზუსტად – კერმანშაჰი – ქალაქი ირანის დასავლეთ ნაწილში.

⁷ იგულისხმება ტფილისის გუბერნიის ბორჩალოს მაზრა.

⁸ ტექსტში – Nischegowdski. როგორც ჩანს, იგულისხმება მე-17 დრაგუნთა ნიჟეგოროდსკის პოლკი.

⁹ ტექსტში – Hewerski. როგორც ჩანს, იგულისხმება მე-18 სევერსკის დრაგუნთა პოლკი.

¹⁰ ტექსტში – Tenkoi. სამწუხაროდ, იდენტიფიკაცია ვერ ხერხდება.

¹¹ პოლკის მეთაურის გვარი დოკუმენტში გამოტოვებულია.

¹² იგულისხმება ავჭალა, ტფილისთან.

¹³ იგულისხმება ცაგურია ირაკლი (?-1969).

პოლკოვნიკმა ამილახვარმა¹ და გენერალმა ლეონიძემ (უწინ კავკასიის 1 საარმიო კორპუსი) უფლება მოიპოვეს, ქართული ეროვნული საარტილერიო ბრიგადა ჩამოეყალიბებინათ.

ფორმირების პროცესში მყოფი ამ ქართული არმიის მეთაურები, ოფიცერთა კორპუსი და რიგითი შემადგენლობა, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის მხარეზე იმყოფება და მზად არიან იმოქმედონ თავისუფალი საქართველოს სასარგებლოდ. ქართული სამხედრო ორგანიზაცია მუშაობს მჭიდრო კავშირში ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის სამხედრო შტაბთან.

გარდა ამისა, უკანასკნელის მიერ შემდეგი ორგანიზაციები არიან შექმნილი.

რუსული არმიის რიგებიდან ქართველთა ძლიერი დეზერტირობის დაწყებისას, რუსეთის მუშათა და ჯარისკაცთა საბჭომ ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიას შესთავაზა, ეზრუნა იმისათვის, რათა დეზერტირები საკუთარ პოლკებს დაბრუნებოდნენ. პარტიას არ შეეძლო ამ წინადადებაზე ღიად უარი ეთქვა. ამავე დროს, მას მეორეს მხრივ სურდა გადაერჩინა ქართველები და ისინი ტყუილუბრალო მსხვერპლად არ გაენირა. აქედან გამომდინარე, მან მიმართა „საძმოს ხალხის და სამშობლოს სახელით“, რომლის ხელმძღვანელობაც ცნობილმა სახალხო გმირმა და ყაჩაღთა მეთაურმა, ბორია ბუჩუკურმა გადაიბარა (ადიუტანტი – სელიმ ხანია), და რომელმაც მონოდებების, მუქარების და სხვა მსგავსი მოქმედების შედეგად, ხელი შეუშალა ყველა ქართველ დეზერტირს რუსული მთავრობის მოთხოვნას და მორჩილებოდნენ.

ამჟამად საძმო თავის შემადგენლობაში 16 000 კაცს ითვლის, რომელთა უმეტესობა განვრთნილი ჯარისკაცები არიან. ისინი მთებში ცხოვრობენ და რუსული მთავრობის ნებისმიერ რეკვიზიციებს და სხვა მსგავს ღონისძიებებს უშლიან ხელს.

(სხვათა შორის, მსგავსი ორგანიზაცია არსებობს აფხაზებთანაც, თავად ჯონტო შარვადშიძის² მეთაურობით).

ამის გარდა, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის სამხედრო შტაბის განკარგულებაში იმყოფება კიდევ დაახლოებით 8000-ზე მეტი შეიარაღებული მთიელი: (ჩეოსარი³, ფშაველი, ონშიური⁴ და მწყემსთა ტომები). გარდა ამისა, პარტიამ, ადგილობრივ გაერთიანებათა მსგავსად, ტანმოვარჯიშეთა გაერთიანება „ამირანი“ შექმნა, რომლის მიზანიც ახალგაზრდობის სამხედრო მომზადება არის.

ამრიგად, საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის სამხედრო შტაბი ანგარიშობს, რომ ის, ორგანიზაციული საკითხების განხორციელების შემდეგ, 2 თვეში 50 000 ქართველს დააყენებს თოფის ქვეშ. მთლიანობაში ქართველებს შეუძლიათ, ყველა რუსეთის არმიაში მომსახურე ქართველის გამოწვევით, 100 000 განვრთნილი ჯარისკაცი გამოიყვანონ.

ჩრდილოელ მთიელთა ტომები „ჩრდილოელ მთიელ ხალხთა კავშირში“ გა-

¹ იგულისხმება ამილახვარი ალექსანდრე (1879-1968).

² იგულისხმება შერვაშიძე ჯოტო (?-1935).

³ ტექსტი – Cheosari. იგულისხმება – ხევსური.

⁴ ტექსტი – Onchiuri. შესაძლებელია, იგულისხმება – მთიული.

ერთიანდნენ. მათი მხარე კავკასიის მთიანეთის დიდი ქედის ჩრდილოეთით მდებარეობს და მოიცავს ტომებს (დასავლეთიდან აღმოსავლეთით): ადიღეველებს, ჩერქეზებს, ნოღაელებს, ოსებს, ყაბარდოელებს, ყარა-ნოღაელებს, ჩეჩნებს (ინგუშებს), ავარელებს (დაღესტნელებს), კუმიკებს (კასპიის ზღვის პირას მომთაბარე ტომს), მთლიანად 3 მილიონი ადამიანის რაოდენობით.

მათი ლიდერი ტაპა ჩერმოევია¹ (ნავთობმენარმე, მეფის ლეიბ-გვარდიისა და კავკასიური ცხენოსანი დივიზიის ყოფილი ოფიცერი, რომელიც ვინმე ჩაუშაზე (სულთნის ქალიშვილზე) არის დაქორწინებული და დიდი გავლენით სარგებლობს. გარდა ამისა ამსარაკოვი – დაბადებით ალბოგაჩიევი², რაშიდ ბეგ კაპლანოვი³.

ისინი, ნაწილობრივ, იარაღით არიან მომარაგებულები, ცოტა საბრძოლო მარაგი აქვთ. საკუთარ მხარეში ჯერ კიდევ საკმარისი სურსათის მარაგი და ცხენები გააჩნიათ, რომლებიც მათ სამხედრო რეკვიზიციებისას შეინარჩუნეს. ისინი ბრძოლისუნარიან ადამიანურ მასალას შეადგენენ, რომლებიც მათი ტომობრივი ორგანიზაციის მეშვეობით ტრადიციულ სამხედრო ორგანიზაციას ფლობენ და საკუთარ ბეგებს ბუნებრივ ბელადებად განიხილავენ.

„ჩრდილოელ მთიელ ხალხთა კავშირს“ არ გააჩნია საკუთარი სამხედრო შტაბი, მაგრამ ის აგზავნის წარმომადგენელს ქართველთა სამხედრო შტაბში. აქამდე მთიელ ხალხებს არ გაყავდათ ჯარისკაცები რუსულ ჯარში სამსახურისათვის. ომის დასაწყისში მათ ჩამოაყალიბეს მოხალისეთა ცხენოსანთა დივიზია, რომელიც ჯერ თავად ორბელიანის მეთაურობის ქვეშ, ხოლო შემდეგ კი, დიდი მთავრის მიხეილ ალექსანდრეს-ძეს უზენაესი სარდლობის ქვეშ იმყოფებოდა⁴. ამ დროისათვის ის ჯერ კიდევ გალიციის საზღვარზე უნდა იდგეს და საკუთარ შემადგენლობაში 1500-2000 ხმალს უნდა ითვლიდეს.

მთიელ ხალხებში ძლიერი ანტირუსული განწყობა სუფევს, რომელსაც „სე-ქი“-ს რელიგიური სექტა ასაზრდოებს.

მათ მიერ გამოსაყვან მებრძოლთა რაოდენობას სამხედრო შტაბი 100 000 კაცად აფასებს. ისინი ძალიან კარგ სამხედრო მასალას წარმოადგენენ.

რუსული მთავრობის არმოსვენების თვალსაზრისით, ტრანსპორტებზე თავდასხმების, სამხედრო ობიექტების გადაწვის და სხვა მსგავსი ქმედებების მეშვეობით, უკვე ახლა მუშაობს თავისი ბანდით ზუგაშ გაზავატი⁵, რომელიც ასევე ხელს უშლის ამ მხარეში სამხედრო რეკვიზიციების ჩატარებას.

¹ იგულისხმება ჩერმოევი აბდულ მეჯიდ (ტაპა) (1882-1937).

² შესაძლოა – ალბოგაჩიევი დუა-ჰაჯი – ჩრდილოეთ კავკასიის მთიელი საზოგადო და რელიგიური მოღვაწე, წარმოშობით ინგუში. 1917 წლის მარტში არჩეულ იქნა ინგუშეთის დროებითი აღმასრულებელი კომიტეტის წევრად.

³ იგულისხმება კაპლანოვი (კაპლან) რაშიდ ხანი (1883/85-1937).

⁴ იგულისხმება 1914 წლის 23 აგვისტოს ჩამოყალიბებული რუსეთის საიმპერატორო არმიის კავკასიის ცხენოსანთა ტერიტორიალური დივიზია (უფრო ცნობილი, როგორც „ველური დივიზია“), რომელიც 90 პროცენტით შედგებოდა კავკასიის მკვიდრი მოხალისე-მუსულმანებისგან. 1916 წლის თებერვლამდე დივიზიის პირველი მეთაური დიდი მთავარი მიხეილ ალექსანდრეს ძე იყო, ხოლო 1916 წლის თებერვლიდან 1917 წლის აგვისტომდე – გენერალ-ლეიტენანტი დიმიტრი ბაგრატიონი, რომლის გვარიც, შესაძლოა, ორბელიანში აერია ქარუმიძეს.

⁵ იგულისხმება არზამაკოვი უზდენ (მეტსახელი – გაზავატი).

მომავალი კავკასიის ფედერაციული რესპუბლიკის მესამე ერთეულს, შეადგენს აზერბაიჯანის სახელის ქვეშ გაერთიანებული თათართა მხარე. ის მოიცავს დღევანდელი ბაქოს, ერივნისა და ელიზავეტპოლის გუბერნიებს, დასავლეთით – დაახლოებით ყარსამდე, ხოლო სამხრეთით – გარემოებებიდან გამომდინარე, დაახლოებით ვანამდე და ურმიის ტბამდე.

აზერბაიჯანული გაერთიანება დგას დოქტორ ჰუსეინ უჟაევისა¹ და ალი მარდან ბეგ თოფჩიბაშევის ხელმძღვანელობის ქვეშ. ის ასევე აგზავნის წარმომადგენელს ქართველთა სამხედრო შტაბში. მთლიანობაში, ისინი ნაკლებად კარგად არიან ორგანიზებულები, თანაც მათ, ძირითადად, აკლიათ იარაღი.

მათ შეუძლიათ 150 000 კაცის გამოყვანა.

უკვე ახლა იქ მომუშავე ცალკე ბანდებს შორის, უნდა გამოვყოთ განთქმული სულეიმანი (მოადგილე აფროსი აბასინოვი). ამ ბანდის მოქმედების ტერიტორია, რომელიც 700 შაშხანით არის შეიარაღებული, ვრცელდება ახოვშადან² სპარსულ საზღვრამდე. სულეიმანი არაერთხელ წარმატებით დაესხა თავს რუსულ ტრანსპორტებს, ხელი შეუშალა ამ მხარეში ყოველნაირ რეკვიზიციებს და წარმატებით დაამარცხა მასზე ძლიერი რუსული ქვედანაყოფები. ის სარგებლობს დიდი პატივისცემით იქაურ მოსახლეობას შორის და ამჟამად, ქართველ უნტერ-ოფიცერთა დახმარებით, საკუთარი ბანდის სამხედრო ორგანიზაციით არის დაკავებული.

„აზერბაიჯანული კავშირის“ ტერიტორიის ერთ-ერთ რთულ საკითხად, სომხური საკითხი უნდა გამოიყოს. რუსეთის სომეხთა და თურქეთიდან ლტოლვილ სომეხთა უმეტესობა იქ ცხოვრობს. ისინი სამხედრო თვალსაზრისით ინგლისელთა მიერ არიან ორგანიზებულნი და ამჟამად ხინის³ და კაშკალეს⁴ შორის მდგომი რუსული ჯარის ბირთვის შეადგენენ. პოზიციები ბითლისს და მუშს შორის მთლიანად სომეხ 40 000 ჯარისკაცს უკავია. მთლიანობაში, კავკასიის არმიაში დაახლოებით 60 000 სომეხი ჯარისკაცი უნდა იყოს.

რაც სომეხთა მომავალს შეეხება, ქართველები, ისევე როგორც ჩრდილოელი მთიელი ხალხები, მზად არიან გადასცენ სომეხებს ავტონომიური ოლქი ეჩმიადინს, ერზერუმს, ვანის ტბასა და ურმიის ტბას შორის. აზერბაიჯანელი თათრები ამ გეგმას ჯერ კიდევ ვერ შეურიგდნენ. მათ გრძნობებს საუკეთესოდ გამოხატავს სომეხთა სრული განადგურება.

თუმცა, რევოლუციური აფეთქების შემდეგ შეიძლება მივიჩნიოთ, რომ ქართველთა და თათართა ხელისუფლების ქვეშ მყოფ საკუთარ ოჯახთა გამო სომეხები მშვიდობას ინარჩუნებენ და შესაბამისად, მიიღებენ უკანასკნელთა წინადადებას. მითუმეტეს, რომ მათ უკვე არ უნდა ჰქონდეთ იმედები საკუთარი პოლიტიკური იდეალების განხორციელებაზე. უკვე ამჟამად, მათ გაყიდეს საკუთარი ქონების უმეტესობა და სურვილი აქვთ ამერიკაში გადაბარგდნენ.

ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის სამხედრო შტაბი გერმანიას ამჟამად შემდეგს სთხოვს:

¹ იგულისხმება ალაევი (ალაოლლუ) აჰმედ ბეკი (1869-1939).

² ტექსტში – Achowscha.

³ ტექსტში – Chinis.

⁴ ტექსტში – Kaschkale.

1) ფულად დახმარებას, ორგანიზაციის შემდგომი განვითარების მიზნით. ამჟამად ყოველთვიურად თანხას 300 000 რუბლის ოდენობით, რომელსაც შტაბი სამ მონაწილე ჯგუფს შორის გაანაწილებს.

2) პარტია უპირობოდ აუცილებლად მიიჩნევს გერმანელთა პროპაგანდის მხარდაჭერას და მათი გავლენის ზრდას კავკასიაში და მტკიცებულად განიცდის, რომ აქამდე არ ჰქონია ადგილი იმას, რომ გერმანულ მთავრობას, დაახლოებით რაიხსტაგის დონეზე, გამოეხატა თავისი პოზიცია და საკუთარი სიმპატია ავტონომიური კავკასიის მიმართ და დახმარება აღეთქვა ყველა იქ მცხოვრებ არარუს ხალხთა ლტოლვისადმი მათი ეროვნული იდეალების განხორციელებაზე (რასაც უკვე ჰქონია ადგილი უკრაინელთა მიმართ). ეს, უპირველეს ყოვლისა, კავკასიური მოძრაობის ხელმძღვანელებს აუცილებელ ავტორიტეტს შესძენდა და შესაძლებლობას მისცემდა, საკუთარი მისწრაფებებით ღიად გამოსულიყვნენ, რაც საპირწონის როლს შეასრულებდა რუსეთის იმპერიის შიგნით, ნაწილობრივი ავტონომიის მინიჭების ინგლისელთა დაპირებებისა ან ავტონომიის მხოლოდ სომეხთათვის მოთხოვნასთან მიმართებაში.

3) იარაღის მეშვეობით მხარდაჭერას. მოთხოვნილი იქნება 60 000 შაშხანა, საბრძოლო მარაგი, ხელყუმბარები, ასაფეთქებელი მასალა და 40 ტყვიამფრქვევი.

ტრანსპორტირება წყალქვეშა ნაგებობით უნდა მოხდეს. ადგილები გადმოსასხამად უკვე მომზადებული არიან.

შტაინვაქსი

Politisches Archiv des Auswärtigen Amts (PA AA),

Akten Betreffend Russisch-Asien. Kaukasus.

R 11041.

თარგმანი გერმანულიდან.

№ 204

საქართველოს განთავისუფლების კომიტეტის წევრთა,
გიორგი მაჩაბლის და მიხეილ წერეთლის მოხსენება
ბერმანის იმპერიის საბარეო საქმეთა სამინისტროს,
„დღევანდელი მდგომარეობა საქართველოში“

1917 წლის 9 აგვისტო
სტოკჰოლმი

რუსეთის რევოლუციამ საქართველოს ახალი პოლიტიკური პერსპექტივა გაუხსნა და მთელი ქართველი ერი გაერთიანდა ეროვნული იდეალის მისაღწევად.

დღევანდელი მოძრაობის სათავეში ეროვნულ-დემოკრატიული პარტია დგას, რომელმაც გაიცნობიერა საქართველოს სხვა პოლიტიკურ პარტიებთან და კავკასიის სხვა ხალხებთან ურთიერთგაგების დამყარების და ძლიერი ორგანიზაციის შექმნის აუცილებლობა. ამ პარტიის ზეგავლენით ტფილისში სამხედრო ორგანიზაცია ჩამოყალიბდა, რომელიც საქართველოს ყველა პარტიების წარმომადგენლებისგან შედგება. ამ სამხედრო ორგანიზაციის სათავეში გენერალი ჭავჭავაძე¹ დგას. ხსენებულ ორგანიზაციაში სხვა გამოჩენილი ქართველი სამხედრო პირებიც მონაწილეობენ, რომლებიც სხვადასხვა პარტიებს წარმოადგენენ. ეს არის ოფიციალური ორგანიზაცია, რომელიც საკუთარ გაზეთს („ჯარისკაცს“)² ფლობს, რომელიც ძალიან გავრცელებულია ჯარისკაცთა შორის. ამ ორგანიზაციის მიზანი საკუთარი ქართული არმიის დაარსებაა, რომელიც ჯარის ყველა სახეობისგან უნდა შედგებოდეს. დროებით მთავრობას ამ ორგანიზაციის დაშლა და გაზეთის დახურვა სურდა, მაგრამ ქართველთა მხრიდან ძლიერი წინააღმდეგობის გამო, მთავრობამ ამაზე უარი თქვა. ამჟამად ორგანიზაცია 28 000 წევრს ითვლის და მათი რაოდენობა ყოველდღიურად იზრდება. მალე ჩამოყალიბდება საკუთარი ცხენოსანთა დივიზია, რომლის ფორმირებაც პოლკოვნიკ თავად ჭავჭავაძეს³ აქვს მინდობილი. პოლკოვნიკი თავადი ამილახვარი⁴ აყალიბებს ტყვიამფრქვეველთა გუნდებს, ხოლო კაპიტანი ცაგურია⁵ – სამთო არტილერიას. ამ სამხედრო ორგანიზაციის უახლოესი მიზანი, საკუთარ ხელში მთელი კავკასიის არმიის მეთაურობის ხელში ჩაგდებაა, ისევე როგორც მეთაურთა შემადგენლო-

¹ როგორც ჩანს, იგულისხმება ჭავჭავაძე ალექსანდრე (1870-1930).

² შესაძლოა, იგულისხმება 1917 წელს ტფილისში მცირე ხნით გამომავალი ყოველდღიური გაზეთი „Солдатский вестник“ („ჯარისკაცული მაცნე“). რედაქტორ-გამომცემელი: სერგეი მარესევიჩი. გაზეთი გამოდიოდა სამხედრო ცენტრის ნებართვით და მასში ქვეყნდებოდა პეტროგრადის სატელეგრაფო სააგენტოს დეპეშები, ომის ფრონტებზე მიმდინარე ამბების შესახებ.

³ იგულისხმება ჭავჭავაძე დავითი (1878-?).

⁴ იგულისხმება ამილახვარი ალექსანდრე (1879-1968).

⁵ იგულისხმება ცაგურია ირაკლი (?-1969).

ბის ქართველთა მიერ ჩანაცვლება. ამ თვალსაზრისით უკვე დიდი შედეგი არის მიღწეული. მაგალითად, გადაყენებულ იქნა გენერალი იუდენიჩი¹, კავკასიის არმიის უზენაესი სარდალი, რომლის სახელიც გერმანიაში და თურქეთში ძალიან ცნობილი არის. მისი გადაყენება ჩვენი ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ზეწოლის შედეგად მოხდა, სოციალ-დემოკრატთა დახმარებით, რომლებიც ძლიერად არიან წარმოდგენილი ტფილისის მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოში. მის ადგილას ქართველი, გენერალი მდივანი² აირჩიეს, რის გამოც რუსებმა და სომხებმა პროტესტი განაცხადეს, რადგან არ სურდათ, რომ ის არმიის ერთადერთი სარდალი ყოფილიყო. მეორე სარდალად გენერალი პრჟევალსკი³ (ერზერუმის ამლები) დანიშნეს, რომელიც მდივანთან ერთად სადღეისოდ კავკასიის არმიას მეთაურობს. ვინაიდან, კავკასიაში გენერალი პრჟევალსკი ასევე ძალზე ძლიერად რუსეთის ინტერესებს იცავს, მიმდინარეობს დიდი მუშაობა, რათა ეს გენერალი აგრეთვე მოცილებულ იქნეს და მის ადგილას, ქართველი თუ არა, ისეთი რუსი მაინც დაინიშნოს, რომელსაც იქ დიდი გავლენა ვერ ექნება. კავკასიის ფრონტის ბევრ ციხესიმაგრეში კომენდანტები ქართველები არიან. მაგალითად, ყარსის ციხესიმაგრეში – პოლკოვნიკი მუსხელოვი⁴.

ამ მნიშვნელოვანი სამხედრო ორგანიზაციის გარდა, ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიასთან არსებობს აგრეთვე საიდუმლო სამხედრო შტაბი, რომლის წევრები უგამოჩენილესი და უდამსახურებულესი ქართველი გენერლებისგან და მაღალი ოფიცრებისგან შედგება, მათ შორის მეფის გენერალ-ადიუტანტი თავადი ორბელიანი, რომელიც ომის დასაწყისში მეფის მიერ საგანგებო მისიით საფრანგეთში და ინგლისში იქნა მივლენილი. გარდა ამისა, ამ ომში გამოჩენილი გენერლები: გაბაევი, მაკაევი⁵, ვაჩნაძე⁶, ლეონიძე⁷ და სხვები. ეს შტაბი ასრულებს ზემოხსენებული პარტიის სამხედრო მრჩევლის როლს და მუშაობს ქართველთა შესაძლებელი აჯანყების გეგმებზე. ხსენებულ შტაბთან არსებობს სექცია საიდუმლო ორგანიზაციებისთვის, როგორც, მაგალითად, „სამშობლოსა და ხალხის საძმო“, რომელიც საგანგებოდ მუშაობს დეზერტირობის ორგანიზაციაზე. მათი რიცხვი 16-18 ათას კაცს შორის მერყეობს. ეს ძმობა შედგება მცირე ბანდებისგან, რომლებიც ყველგან, საქართველოს ყველა ნაწილში არიან მიმოხვეული და დეზერტირებს აკავებენ ომში მონაწილეობისაგან.

ეროვნულ-დემოკრატიულმა პარტიამ აგრეთვე ტანვარჯიშის საზოგადოება დააფუძნა, სახელად „ამირანი“ (პრომეთეოსი). „ამირანის“ მიზანი, ყველა სტუდენტთა და 16-17 წლის მოსწავლეთა, ისევე როგორც ქართველ ინტელიგენტთა, რომლებმაც ჯერ არ მიიღეს სამხედრო წვრთნა, სამხედრო მომზადებაა, რათა ყველა ბრძოლისუნარიანმა ქართველებმა სამხედრო წვრთნა გაიარონ, რომ, აუცილებლობის შემთხვევაში, მომზადებულ იქნენ რეზერვისტებად ოფიცერთა თანამდებობების დასაკავებლად და მეთაურებად აჯანყების დროს. მასწავლებლებად და ხელმძღვანელებად იქ სამხედრო ორგანიზაციის წევრები და სხვა ქართველი ოფიცრები მოღვაწეობენ.

¹ იგულისხმება იუდენიჩი ნიკოლოზ (1862-1933).

² იგულისხმება გენერალი მდივანი ზაქარია (შაქრო) (1867-1933).

³ იგულისხმება გენერალი პრჟევალსკი მიხეილ (1859-1934).

⁴ იგულისხმება პოლკოვნიკი მუსხელოვი (მუსხელიშვილი) იაკობი (1865-?).

⁵ იგულისხმება გენერალი მაკაევი (მაყაშვილი) აბელ (1860-1920).

⁶ იგულისხმება გენერალი ვაჩნაძე ალექსანდრე (1855-?).

⁷ იგულისხმება ლეონიძე (ლიონიძე) ალექსანდრე (1856-?).

თავიანთ ყრილობაზე, კავკასიაში არსებული 7 ოფიცერთა სკოლის (2 მოქმედი არმიის და 5 თადარიგის ოფიცრებისთვის) ქართველმა იუნკერებმა, რომლებიც იქ მოსწავლეთა 65 პროცენტს შეადგენენ, ერთხმად მიიღეს რეზოლუცია, რომ ისინი მხოლოდ ზემოხსენებული ქართული სამხედრო ორგანიზაციის ხელმძღვანელობის ქვეშ მყოფ ქართულ არმიაში იმსახურებენ. ეს რეზოლუცია მინისტრ კერენსკის¹ გაეგზავნა, თუმცა ამას არ მოყოლია პასუხი. ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ინიციატივით შეიქმნა კავკასიის ყველა წარმომადგენელთა ბიურო, რომელიც ამ ერთა მტკიცე კავშირისთვის ზრუნავს და მოქმედების საერთო გეგმა აქვს გამომუშავებული.

ბოლშევიკებთან პარტიას მუდმივი კონტაქტი აქვს დამყარებული. ის ფულითაც კი დაეხმარა ბოლშევიკთა გაზეთ „კავკასიის მუშას“². ამ გაზეთის რედაქტორი და პროპაგანდისტთა დიდი ნაწილი ქართველები არიან, რომლებიც ხელიხელ ჩაკიდებულნი თანამშრომლობენ ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიასთან.

სოციალ-დემოკრატიული პარტიის (მენშევიკთა) დიდი ნაწილი ასევე ეროვნულ პოზიციაზე დადგა და ამ ეროვნულ ტენდენციებს ორი გაზეთი – „ალიონი“³ და „ხალხის თავისუფლება“⁴ ასახავს. სოციალ-დემოკრატთა ეს ტრანსფორმაცია მათი რუსული რევოლუციით და ანარქიით გულაცრუებას უნდა მივანეროთ. მუშათა საბჭოს და სრულიად კავკასიის აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე ასევე ქართველი ნოე ჟორდანიას, რომელსაც რეზიდენცია გუბერნატორის სასახლეში აქვს. კავკასიის დროებითი მთავრობის 5 კომისარს შორის ორი ქართველია (ჩხენკელი და აბაშიძე⁵), ერთი თათარი (ჯაფაროვი)⁶, ერთი რუსი (ხარლამოვი)⁷ და ერთი სომეხი (პაპაჯანოვი)⁸, რომლებმაც ასევე სასახლეში დაიდეს ბინა.

საპოლიციო სამსახურს, სადღეისოდ ტფილისში და სხვა ქალაქებში რევოლუციონერები ეწევიან, რაშიც ასევე ძლიერად მონაწილეობენ ქართველები.

კავკასიის არმიაში ამჟამად 40-50 ათასი ქართველი არის მიმოზნეული (ყველა ფრონტზე მათი რიცხვი 160-180 ათასია, ომის დასაწყისიდან 350 000 კაცი იყო განვეული), რომელთა უმეტესობაც უკვე ქართული სამხედრო ორგანიზაციის წევრია. გარდა ამისა, იქვე იმყოფება ამდენივე რაოდენობის უკრაინელიც, რომლებიც, შეძლებისდაგვარად, აგრეთვე გადასაბირებლები არიან ჩვენი საერთო საქმისათვის. ამ მომენტში ჩვენი პარტიის დეპუტაცია კიევში უნდა იმყოფებოდეს და უკრაინულ რადასთან მოლაპარაკებებს აწარმოებს, რომ უკრაინაში მყოფმა ქართველებმა, აჯანყების შემთხვევაში, უკრაინელებს გაუწიონ დახმარება.

¹ იგულისხმება კერენსკი ალექსანდრე (1881-1970).

² იგულისხმება ტფილისში 1917 წლის მარტიდან 1918 წლის თებერვლამდე გამომავალი ყოველდღიური ბოლშევიკური გაზეთი «Кавказский рабочий», რსდმპ(ბ)-ს ტფილისის კომიტეტის, ხოლო შემდეგ – კავკასიის და ტფილისის რსდმპ(ბ)-ს კომიტეტის ორგანო.

³ იგულისხმება ტფილისში 1917-1918 წლებში კვირაში ორჯერ გამომავალი ქართული პოლიტიკურ-ლიტერატურული გაზეთი „ალიონი“ – საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის ერთი ჯგუფის – „ალიონის“ („ალიონისტების“) ორგანო. რედაქტორი – პ. საყვარელიძე, გამომცემელი – ლ. სანიძე.

⁴ იგულისხმება ტფილისში 1917 წელს გამომავალი სოციალ-დემოკრატიული ყოველდღიური გაზეთი „ხალხის თავისუფლება“.

⁵ იგულისხმება აბაშიძე ივანე (კიტა) (1870-1917).

⁶ იგულისხმება ჯაფაროვი მამედ-იუსიფ ჰაჯიბაბა ოლლი (1885-1938).

⁷ იგულისხმება ხარლამოვი ვასილი (1875-1957).

⁸ იგულისხმება პაპაჯანოვი (პაპაჯანიანი) მიხეილ (1869-1929).

რება და პირიქით. ორივე მხარეს გაიგზავნებიან საგანგებო პროპაგანდისტები, რომლებიც იმუშავებენ ამ მიმართულებით.

აგრეთვე დიდი პროპაგანდა ჩატარდება რუსეთში ფრონტის სხვა მონაკვეთებზე მყოფ ქართველებთანაც, მათი დეზერტირობაზე დაყოლიების და საქართველოში ჩამოსვლის მიზნით.

გაგრძელების გარეშეც ცხადია, რომ სადღეისოდ ჩვენ საშუალება გვაქვს რუსული კავკასიის არმია დავშალოთ და კავკასიაში აჯანყება ვცადოთ. თუმცა, ამასთან ერთად, ყველაზე დიდ საშიშროებას ის წარმოადგენს, რომ დაშლილი, უდისციპლინო და დამშეული კავკასიის არმია მთელს მხარეს გაძარცვავს, ხოლო აჯანყების განხორციელება არსებული საშუალებებით ვერ იქნება შესაძლებელი. ამის შედეგად, შესაძლებელია ანარქია და სილატაკე წარმოიქმნას. ამ მიზეზით ჩვენს ხელმძღვანელებს მიაჩნიათ, რომ აუცილებელია შეიქმნას ყველა თვალსაზრისით ძლიერი ორგანიზაცია, ხოლო მატერიალური და მორალური დახმარება გარედან უნდა იქნეს უზრუნველყოფილი. უპირველეს ყოვლისა, ცენტრალური ევროპის დიდმა სახელმწიფოებმა გარანტიები უნდა მოგვცენ, რომ უშუალოდ ჩვენი დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ, ის აღიარებული იქნება ცენტრალური ევროპის დიდ სახელმწიფოთა მიერ და მას არცერთი მხრიდან არაფერი დაემუქრება. მეორე, – ჩვენს განკარგულებაში აუცილებელი ფულადი რესურსები და იარაღი მოგვანოდონ, და მათით სისტემატიური მომარაგება უზრუნველყონ. ამ საკითხის დეტალების შესახებ, ჩვენ უნდა კიდევ დანვრილებით მოვილაპარაკოთ და შევთანხმდეთ

კავკასიის ფრონტი შედგება 450-500 000 კაცისგან, რომელთაგანაც 300 000 არის ბრძოლისუნარიანი, ვინაიდან სხვადასხვა ეპიდემიებმა არმიის დეციმირება მოახდინეს. ნითელი ჯვრის წარმომადგენლის, ციციანოვის მონაცემებით, ტფილისში 1917 წლის აპრილში ჩატარებულ ექიმთა და სანიტართა ყრილობაზე დადგენილ იქნა, რომ ერთი თვის განმავლობაში მხოლოდ ერთ სანიტარულ ნაწილს 30 000 დაავადებულმა ჯარისკაცმა მიმართა. საბრძოლო მარაგი და სურსათი საკმარისი რაოდენობით მოიპოვება, თუმცა ფრონტი ორივეში დიდ ნაკლებობას განიცდის, ცუდი სატრანსპორტო საშუალებების გამო. გარდა ამისა, არსებობს ცხენების და ფურაჟის დიდი ნაკლებობა. კავკასიის არმიის ჯარისკაცებს შორის რევოლუციას სრულიად არავითარი ენთუზიაზმი არ გამოუწვევია, მაგრამ მოსპო ყოველგვარი დისციპლინა და ბევრი დეზერტირი გააჩინა.

უინტერესო არ არის, რომ ინგლისელებს ასევე სურდათ ჩარეულიყვნენ ჩვენს შინაგან საქმეებში, ვინაიდან მათ ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენლებს შესთავაზეს, რომ რუსეთის მთავრობაზე გავლენას მოახდენენ, მრავალი რეფორმის შემოღების მიზნით, და პარტიას ფულით დაუჭერდნენ მხარს, თუკი ის მათ სურვილს შეასრულებს და უცხოეთში საკუთარ წარმომადგენლებს, წერეთელს¹ და მაჩაბელს², გერმანიაში მუშაობას აუკრძალავს. პარტიამ კატეგორიულად უარყო ეს წინადადებები, ასე რომ, ამჟამად ინგლისელები მხოლოდ სომხებთან თანამშრომლობენ.

არ იქნება გაზვიადებული განვაცხადოთ, რომ მთელი საქართველო, გლეხებით დაწყებული და თავადებით დამთავრებული, გაჟღენთილია იმ აზრით, რომ საქართველოს განთავისუფლების ზარმა ჩამოჰკრა. ჩვენ იმედი გვაქვს, რომ გერ-

¹ იგულისხმება წერეთელი მიხეილ (მიხაკო) (1878-1965).

² იგულისხმება მაჩაბელი გიორგი (1885-1935).

მანიის მთავრობა ქართულ და კავკასიურ საქმეს სერიოზულ ყურადღებას მიაქცევს და საერთო ინტერესებში, ჩვენი მიზნის მიღწევაში დაგვეხმარება.

თავადი გიორგი მაჩაბელი
მ. ფონ წერეთელი

*Politisches Archiv des Auswärtigen Amts (PA AA),
Akten Betreffend Russisch-Asien. Kaukasus.*

R 11041.

თარგმანი გერმანულიდან.

№ 205

აღმოსავლეთის საინფორმაციო ბიუროს მიერ
შედგენილი საქართველოს განთავისუფლების
კომიტეტის წევრის, ლეო კერესელიძის წერილის
შინაარსი იმავე კომიტეტის წევრ,
ბიორგი კერესელიძისადმი, მისი საქართველოში
დაბრუნების საქმეში კომიტეტის დახმარების
აუცილებლობის შესახებ

1917 წლის 20 აგვისტო
ბერნი

ძმას, გ. კერესელიძეს.

ავტორი სთხოვს მას, თამარის¹ თხოვნით, უკანასკნელს რამდენიმე ფრანკი გაუგზავნოს. ის (თამარი) იძულებულია ამჟამად იქ დარჩეს, თუმცა სურს, თუკი უკან სამშობლოში ვერ წავა, სულ ცოტა შვედეთში მაინც გადასახლდეს. გ[იორგიმ] უნდა მაშინვე უპასუხოს.

რაც მას შეეხება, უნდა მისწეროს კომიტეტმა და გ[იორგიმ]. კონსულმა ჟენევაში მზადყოფნა გამოთქვა მიეცა პასპორტი ყველა ქართველისთვის, ვისაც სამშობლოში გამგზავრება სურდა. თუმცა როდესაც მან ეს მოისურვა, მას ამაზე უარი ეთქვა. თუ ის მას 7-9 დღეში არ მიიღებს, საჩივარს შეიტანს. კითხვა დაისმის, თუ არის აქ ვებენდონკი და თუ არის მისი ან შტაბის დახმარებით შესაძლებელი პასპორტის მიღება.

Politisches Archiv des Auswärtigen Amts (PA AA), Akten Betreffend den Krieg 1914, Unternehmungen und Aufwiegelungen gegen unsere Feinde im Kaukasus. R 21024.
თარგმანი გერმანულიდან.

¹ იგულისხმება გიორგი კერესელიძის მეუღლე – თამარ ციციშვილი (1884-1942).

№ 206

აღმოსავლეთის საინფორმაციო ბიუროს მიერ
 შედგენილი საქართველოს განთავისუფლების
 კომიტეტის წევრის, ლეო კერესელიძის წერილის
 შინაარსი ხსენებულ კომიტეტს ბერლინში,
 უკანასკნელის მხრიდან საქართველოში მისი
 დაბრუნების საქმეში დახმარების განხორციელების
 აუცილებლობის შესახებ

1917 წლის 20 აგვისტო
 ბერნი

უკვე 2 თვეზე მეტია სთხოვს მეგობრებს, რომ მისცენ [ბერლინში] ჩამოსვლის საშუალება და უშოვონ, გერმანიის დახმარებით, პასპორტი. მალე მათ მას უპასუხეს, რომ ვეზენდონკი ავად იყო და რომ ის ბერლინში არ იყო. ავტორი წერს, რომ მისი მოგზაურობა ხომ, ბოლოსდაბოლოს, ვეზენდონკის თვალების ტკივილზე არ იქნება დამოკიდებული და მან კარგად იცის, რომ პასპორტის საკითხები შტაბზეა დამოკიდებული. მას სურს სამშობლოში დაბრუნება და კომიტეტისგან უნდა რომ მიიღოს სამგზავრო პასპორტი. კომიტეტმა უნდა იშუამდგომლოს მის დასახმარებლად. თუ მისთვის არაფერი გაკეთდება, იძულებული იქნება სხვა გზები გამონახოს. თან ერთვის მიღებული ქართული გაზეთები.

Politisches Archiv des Auswärtigen Amtes (PA AA), Akten Betreffend den Krieg 1914, Unternehmungen und Aufwiegelungen gegen unsere Feinde im Kaukasus. R 21024.
 თარგმანი გერმანულიდან.

№ 207

საქართველოს განთავისუფლების კომიტეტის
თავმჯდომარის, პეტრე სურგულაძის წერილი ოტო
გიუნდერ ფონ ვეზენდონკს, გერმანიის იმპერიის
საბარეო საქმეთა სამინისტროს ლეგაციის მრჩეველს
და ახლო აღმოსავლეთის საქმეთა რეფერატს,
ქართული კომიტეტის სამომავლო სამოქმედო
გეგმების შესახებ

1917 წლის 22 აგვისტო
ბერლინი

პატივცემულო ბატონო ლეგაციის მრჩეველო!

მიმდინარე თვის 18 რიცხვის ჩვენი მოლაპარაკების შესაბამისად, თავს უფლებას მივცემთ შემდეგი გაცნობით:

I.

ქართულმა კომიტეტმა გადმოგცათ ჩვენი მემორანდუმი გერმანიის და მოკავშირე ქვეყნების მთავრობების მიმართ, სადაც წინ წამოწეულია საკითხი, რომ ქართველი ხალხის მკაფიო და განსაზღვრული საქმიანობისთვის, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია მისი უფლებების მოკავშირე სახელმწიფოთა მხრიდან პატივისცემა და აღიარება.

ქართულ კომიტეტს სურს ხაზი გაუსვას ქართველი ხალხის ენერგიულ მისწრაფებას საკუთარი თავისუფლების აღდგენისკენ და მის ბრძოლას მრავალწლიანი წინააღმდეგ. ქართველ ხალხს არ ძალუძს საკმარისად კარგად წარმოაჩინოს მისი საერთაშორისო მდგომარეობის სირთულე, რომლის მოგვარება წარმოადგენს ქართველი ხალხის მთელი პოლიტიკური საქმიანობის წინაპირობას. ეს არის ქართველი ხალხის საერთო აზრი და რწმენა და ქართული კომიტეტი მხოლოდ ამ რწმენის გახმოვანებას ახდენს, რაზეც, სხვათაშორის, ცოტა ხნის წინ სტოკჰოლმში ცალსახად მიუთითებდა ჩვენი პარტიის ტფილისის ცენტრალური კომიტეტის წარმომადგენელი.

ამიტომ, თავს უფლებას მივცემთ, კიდევ ერთხელ გთხოვოთ, რომ რაც შეიძლება მალე შეგვატყობინოთ პასუხი აღნიშნულ მემორანდუმთან დაკავშირებით.

II.

რაც შეეხება თქვენს მეგობრულ რჩევას, რომ თქვენთვის წარგვედგინა საბუთი ჩვენი საკითხის შესაძლო სახსენებლად პოლიტიკურ კონტექსტში, ჩვენ ვფიქ-

რობთ, რომ არარუსი ხალხების (უკრაინელები და ა.შ.) საკითხის ხსენების კონტექსტში, შეიძლება ამის აღნიშვნა:

„ასევე საქართველოსაც, რომელიც 1783 წელს საერთაშორისო ხელშეკრულების საფუძველზე შევიდა რუსეთის პროტექტორატის ქვეშ, და რომელიც 1801 წელს ხელშეკრულების დარღვევის შედეგად რამდენიმე რუსულ გუბერნიად გარდაიქმნა, აქვს პრეტენზია, რომ მოითხოვოს მისი დარღვეული უფლებების აღდგენა. აგრეთვე ქართველების მეზობელ კავკასიელ ერებს, რომლებიც ნაწილობრივ, მხოლოდ რამდენიმე ათეული წლის წინ აღმოჩნდნენ რუსული ძალადობრივი მმართველობის ქვეშ, სრული უფლება აქვთ, რომ ანტანტის მთავარი მოწოდება ხალხთა თვითგამორკვევის შესახებ, საკუთარ თავზე ზედგამოჭრილად მიიღონ“.

III.

გარდა ამისა, კომიტეტი მნიშვნელოვნად მიიჩნევს, ბევრად უფრო დიდი დობით, ვიდრე აქამდე, პრესის მნიშვნელობით დაკავებას. ამ თვალსაზრისით კარგი იქნებოდა, სტოკჰოლმსა და ბერლინში ინფორმაციისა და პრესის ბიუროს შექმნა. ამ მიზნით ჩვენი კომიტეტის ერთი ან ორი წევრი სტოკჰოლმში გაემგზავრება, რომლებსაც ექნებათ მუდმივი კავშირი ჩვენს მეგობრებთან საქართველოში. კავკასიიდან მომავალი ცნობები იქიდან უნდა გავრცელდეს. ბერლინის ბიუროს ექნებოდა განსაკუთრებული დავალება, რომ გერმანიის და მოკავშირე ქვეყნების პრესა ამ საკითხთა კომპლექსის შესახებ გაანათლოს და საამისოდ საჭირო განმარტებები მიანოდოს.

IV.

რაც შეეხება ქართველ ტყვეებს შორის პროპაგანდას გერმანიაში, კარგი იქნებოდა სულ მცირე იმ ოფიცრებთან დაკავშირება მაინც, რომლებმაც ჩვენ პირდაპირ გვთხოვეს, რომ მათთვის ინფორმაცია მუდმივად მიგვეწოდებინა. ასეთი გზით ჩვენ გავაფართოვებთ ჩვენს სამსახურში მდგომი ქართველების წრეს, რაც ჩვენ უკეთეს მდგომარეობაში ჩაგვაყენებს, მომავალი შესაძლებლობების გამოსაყენებლად.

ჯარისკაცებს შორის არსებული განწყობის შესახებ, მოგანვდით ჩვენთან შემოსული ქართველი ტყვეების ასეულობით წერილის საფუძველზე დანერილ ამომწურავ მოხსენებას, საიდანაც ჩანს, რომ განწყობა ჯარისკაცებს შორისაც ძალიან სასარგებლოა პროპაგანდისტისთვის. ყველა შემთხვევაში, ვითხოვთ ამ საკითხის გადაწყვეტის დროებით გადადებას.

V.

კომიტეტს განსაკუთრებით მნიშვნელოვნად მიაჩნია, რომ უსწრაფესად განახორციელოს კომიტეტის ზემოხსენებული საერთო სხდომის მოწვევა ბერლინში, და გთხოვთ, რომ კომიტეტის წევრებს მიეცეთ კონსტანტინოპოლიდან და ჟენევიდან ჩამოსვლის საშუალება.

განსაკუთრებული პატივისცემით,
ერთგულებით,
პეტრე სურგულაძე

Politisches Archiv des Auswärtigen Amtes (PA AA), Akten Betreffend den Krieg 1914, Unternehmungen und Aufwiegungen gegen unsere Feinde im Kaukasus. R 21024.

თარგმანი გერმანულიდან.

№ 208

საქართველოს განთავისუფლების კომიტეტის
წევრის, ბიორგი მაჩაბლის წერილი რუდოლფ
ნადოლნის, გერმანიის საბარეო საქმეთა
სამინისტროს საიდუმლო მრჩეველს, სტოკჰოლმსა
და ბერლინში შესაქმნელად დაგეგმილ
საინფორმაციო ბიუროთა საჭიროებების შესახებ

1917 წლის 27 აგვისტო
ბერლინი

პატივცემულო ბატონო საიდუმლო მრჩეველო!

ჩვენი მოლაპარაკების საფუძველზე, თავს უფლებას ვაძლევ, რომ ქვემოთ წარმოგიდგინოთ დაგეგმილ საინფორმაციო სამსახურთან დაკავშირებული დეტალები, თქვენი სურვილისამებრ.

მხედველობაში მიღებულია ორი საინფორმაციო ბიურო, ერთი სტოკჰოლმში, მეორე კი ბერლინში.

სტოკჰოლმის ბიურომ უნდა შეინარჩუნოს მუდმივი კავშირი საქართველოსთან და რუსეთთან. საქართველოს საკითხებთან დაკავშირებით, ეს უნდა იყოს მუდმივად ნეიტრალური მისამართი და სტოკჰოლმში მყოფ ქართველებს თავშეყრის ადგილი უნდა შესთავაზოს. ბიურო უნდა მოემსახუროს ნეიტრალურ პრესას და თუ საჭირო იქნება პოლიტიკური ხასიათის განმარტებები, ნეიტრალურ უცხოეთში მათ გავრცელებაზე იზრუნოს.

რაც შეეხება დაფუძნებას და ხარჯებს, ამის შესახებ ქართული კომიტეტის სტოკჰოლმის წარმომადგენლები ბატონ დირექტორ შტაინვაქსთან¹ შეთანხმდებიან.

ბერლინის საინფორმაციო ბიურო კავშირში უნდა იყოს სტოკჰოლმთან და ბერლინის კომიტეტთან. მისი დავალებებია:

- პრესის მომსახურება,
- საზოგადოებრიობის განათლება,
- მასალების შეგროვება,
- პუბლიკაციების გავრცელება.

ამისთვის საჭიროა ბინა განათებით და გათბობით, საბეჭდი მანქანა, ტელეფონი და ა.შ. ასევე დამხმარე ძალა და თანხა საბეჭდი საშუალებებისთვის, ქალაქდისთვის და საფოსტო ბაჟისათვის. საქმის გასაძლოლად საჭიროა ერთი კაცი,

¹ იგულისხმება შტაინვაქსი ჰანს (Steinwachs Hans) (1880-1934).

რომელიც თავად დაამუშავებს ინფორმაციას პრესისთვის და ასევე პერსონალურად მიაწვდის ინფორმაციას. მთლიანობაში ბერლინის საინფორმაციო ბიუროსთვის ყოველთვიურად 500 მარკა იქნება საჭირო.

ქართულ კომიტეტს მიაჩნია, რომ ამ სამუშაოს შეთავსება ქართველი ტყვეების გაზეთთან შეუძლებელია. გაზეთი, რომელიც ახლა ყოველკვირეულად უნდა გამოვიდეს, ტექნიკური თვალსაზრისით დიდ სამუშაოს მოითხოვს და მხოლოდ მისთვისაც კი, ამ წუთისთვის ძალიან ცოტა მუშახელია ხელმისაწვდომი.

უნინარეს ყოვლისა კი, გაზეთი და საინფორმაციო ბიურო ორი სრულიად განსხვავებული სამუშაო წრეა, რადგან გაზეთმა კავშირი უნდა დაამყაროს სამხედრო ტყვეებთან, საინფორმაციო ბიურომ კი – გერმანულ საზოგადოებრიობასთან.

თქვენი სრულიად ერთგული,
თავადი მაჩაბელი

*Politisches Archiv des Auswärtigen Amtes (PAA), Akten Betreffend den Krieg 1914,
Unternehmungen und Aufwiegungen gegen unsere Feinde im Kaukasus. R 21024.
თარგმანი გერმანულიდან.*

№ 209

საქართველოს განთავისუფლების კომიტეტის
წევრის, მიხეილ წერეთლის წერილი ოთო გიუნდარ
ფონ ვეზენდორფს, ბერმანიის იმპერიის საბარეო
საქმეთა სამინისტროს ლეგაციის მდივანს და ახლო
აღმოსავლეთის საქმეთა რეფერატს, თხოვნით
კომიტეტის წევრ, ლეო კერესელიძისთვის,
შვიცხარიდან ბერმანიაში ჩამოსვლაში დახმარების
ბანების შესახებ

1917 წლის 28 აგვისტო
ბერლინი

პატივცემულო ბატონო ბარონ,

ჩვენი კომიტეტის სახელით თავს უფლებას მივცემ კიდევ ერთი თხოვნა გადმოგცეთ ბატონ ლეო კერესელიძის საქმესთან დაკავშირებით. მას შემდეგ, რაც ბატონ საიდუმლო მრჩეველ ნადოლნისთან ვისაუბრე, ნათელი გახდა, რომ საკითხის გადაწყვეტა თქვენი თანამონაწილეობის გარეშე შეუძლებელია და ბატონ ნადოლნისაც სურს, რომ თქვენ მას აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მისწეროთ.

მაქვს პატივი კვლავ შეგახსენოთ, რომ სირთულე გაუგებრობას უკავშირდება. მაშინ, როდესაც ბატონი ლეო კერესელიძე ჟენევაში მიდიოდა, მას არ განუცხადებია, რომ ის კომიტეტიდან გადიოდა და შვეიცარიაში თავისი პირადი საკითხების გამო მიდიოდა. არამედ, რადგან მისი წასვლა დიდ სირთულეებთან იყო დაკავშირებული, თქვენ ის არჩევნის წინაშე დააყენეთ, ან ბერლინში დარჩენილიყო, ან მხოლოდ იმ შემთხვევაში წასულიყო შვეიცარიაში, თუ აიღებდა ვალდებულებას, რომ იქ ნ თვე დარჩებოდა. მან ბოლო აირჩია და განმარტა, რომ შვეიცარიაში გადაუდებელი პირადი საქმეები ჰქონდა. ასეთი იყო საქმის ვითარება და მსურს თავაზიანად გთხოვოთ, ბატონ საიდუმლო მრჩეველ ნადოლნის ეს შეატყობინოთ.

კომიტეტის დავალებით, აგრეთვე, თავაზიანად გთხოვთ, ბატონ ლეო კერესელიძეს მისცეთ ბერლინში ჩამოსვლისა და თუ საჭირო იქნება, აგრეთვე შვეიცარიაში უკან გამგზავრების საშუალება, რადგან ჩვენი კომიტეტი უკვე ბერლინშია შეკრებილი კონფერენციის ჩასატარებლად. კონსტანტინოპოლელი წევრები უკვე აქ არიან, გვაკლია მხოლოდ ლეო კერესელიძე. მისი არყოფნა ხელს უშლის კონფერენციის მუშაობას, რადგან ჩვენი კონფერენცია მოწვეულია იმ მიზნით, რომ თითოეულმა წევრმა კომიტეტის წინაშე საკუთარი გასული საქმიანობის ან-

გარიში წარმოადგინოს, რითაც გაუმჯობესდება საქმის საერთო ორგანიზაცია. ისეთი წევრის დასწრება, როგორც ლეო კერესელიძეა, რომელმაც ჩვენს მუშაობაში დიდი როლი ითამაშა, აუცილებელი არის. აქედან გამომდინარე, კიდევ ერთხელ მინდა გთხოვოთ, შეატყობინოთ ეს ბატონ საიდუმლო მრჩეველ ნადოლნის და ლეო კერესელიძეს საშუალება მისცეთ, რაც შეიძლება მალე ჩამოვიდეს ბერლინში, რათა კომიტეტმა თავისი კონფერენცია გამართოს და პრაქტიკულ სამუშაოზე გადავიდეს.

თქვენი განსაკუთრებით ერთგული,
მ. წერეთელი

*Politisches Archiv des Auswärtigen Amtes (PA AA), Akten Betreffend den Krieg 1914,
Unternehmungen und Aufwiegungen gegen unsere Feinde im Kaukasus. R 21027.*

თარგმანი გერმანულიდან.

№ 210

საქართველოს განთავისუფლების კომიტეტის
წევრის, ლეო კერესელიძის წერილი ბარონ
ბიზბარტ ფრაიჰერ ფონ რობერტს, შვეიცარიაში
ბერნანდის იმპერიის საბანკებო და სრულუფლებიან
დესკანს, თხოვნით მის მიერ შედგენილი
მემორანდუმის და ბროშურის დასაბეჭდად საჭირო
ფულადი თანხის გამოყოფის შესახებ

1917 წლის სექტემბრის დასაწყისი
ჟენევა

ძვირფასო ბატონო ბარონ,

გიგზავნით „საქართველოს უფლებებს დამოუკიდებლობაზე“¹ და „ღია წერილს ბატონებს პუანკარეს და ვილსონს“².

„ღია წერილში“, ვეხები რა ერთა თავისუფლებას, ვსაუბრობ ასევე ელზასზე და გერმანულ პოლონეთზე, ისევე როგორც ავსტრიის დაჩაგრულ ერებზე, იმ მიზეზით, რათა მე არ დამნამონ სუბიექტურობა.

მე გამოვდივარ ზოგადად დაჩაგრულ ერთა თვალთახედვიდან. ამრიგად, როგორც მე დარწმუნებული ვარ, ეს ბროშურა მოახდენს უფრო დიდ გავლენას, განსაკუთრებით ნეიტრალურ ქვეყნებში.

რაც შეეხება „საქართველოს უფლებებს დამოუკიდებლობაზე“, მე მსურდა (როგორც თქვენ მე მირჩიეთ კიდევ) ის ხელათვე დამეხეჭდა, რათა ჩემთან ერთად გერმანიაში წამომეღო. თუმცა, უნდა გამოგიტყდეთ, რომ ამჟამად არ ვფლობ შესაბამის თანხას, ამის ჩემი ხარჯით გასაკეთებლად. ხვალ მე დაველაპარაკები ერთ-ერთ სტამბას და შეგატყობინებთ, რამდენი ეღირება 1500 ეგზემპლარი. მე მსურს დავბეჭდო 1500 ეგზემპლარი, რათა ისინი ნაწილობრივ აქაც დავარიგო, რისი გაკეთებაც ნამდვილად ღირს.

კიდევ ერთხელ გთხოვთ, ხელი შეუწყოთ ჩემს გამგზავრებას რაც შეიძლება მალე. მინდა ბერლინში ვიყო არაუგვიანეს 4-5 ოქტომბრისა.

ამჟამად მე ჟენევაში ვარ და ჩემს მგზავრობამდე აქ დავრჩები.

მიიღეთ, ბატონო ბარონ, ჩემი მაღალი პატივისცემის ნიშნები.

ლეო კერესელიძე

¹ იგულისხმება ამ წერილის დაწერის შემდეგ რამდენიმე დღეში საქართველოს განთავისუფლების კომიტეტის სახელით ლეო კერესელიძის მიერ ჟენევაში, ტიპოგრაფიული წესით ფრანგულ ენაზე დაბეჭდილი მემორანდუმი, „საქართველოს უფლება დამოუკიდებლობაზე“.

² „ღია წერილი ბატონებს პუანკარეს და ვილსონს“ – ლეო კერესელიძის მიერ 1917 წელს ჟენევაში დაწერილი ბროშურა, რომელიც, როგორც ჩანს, საბოლოო ჯამში არ იქნა გამოქვეყნებული.

მისამართი: Mr. Keresselidzé. Hotel-Pension Fleisch, Rond Point de Plainpalais. Genève.

P.S. მე არ შემიძლია გამოგიგზავნოთ დღეს „ღია წერილი“, რადგან მივეცი ის საბეჭდ მანქანაზე დასაბეჭდათ, და ის მხოლოდ ხვალისთვის იქნება დაბეჭდილი. ამ დილას მე ვიყავი სტამბაში. 400-500 ეგზემპლარის დაბეჭდვა და ფოსტით გავრცელება ეღირება 150 ფრანკი. მე მათ გავუგზავნი ყველა ცნობილ პირს, პროფესორებს, სახელმწიფო მოხელეებს და ა.შ. ველოდები მხოლოდ თქვენს პასუხს, რათა სტამბას სამუშაო მივცე.

Politisches Archiv des Auswärtigen Amtes (PA AA), Akten Betreffend den Krieg 1914, Unternehmungen und Aufwiegelungen gegen unsere Feinde im Kaukasus. R 21024.
თარგმანი ფრანგულიდან.

№ 211

საქართველოს განთავისუფლების კომიტეტის წევრის,
 ლეო კერესელიძის მიერ ხსენებული კომიტეტის
 სახელით შედგენილი და თიკობრაფიული წესით
 შენევაში დაბეჭდილი მემორანდუმი,
 „საქართველოს უფლება დამოუკიდებლობაზე“

1917 წლის სექტემბრის დასაწყისი
 შენევა

სხვა ერებთან ერთად, რომლებსაც პოლიტიკური დამოუკიდებლობის მიღწევა სურთ და რომელთათვის ნამდვილმა ომმა დღის წესრიგში ცხადად დააყენა ეროვნული საკითხი, იმყოფება საქართველოც, რომლის პრობლემაც ნაკლებად მნიშვნელოვანი არ გახლავთ.

საქართველო მიიღტვის ეროვნული დამოუკიდებლობისაკენ და გადანყვეტილი აქვს მოიპოვოს ის ნებისმიერ ფასად.

საქართველო ერთ-ერთი იმ ერთაგანია, რომელთა უფლებები დამოუკიდებლობაზე ცხადზე ცხადია და ყველაზე მეტად უცილობელი, როგორც კონკრეტულად რუსეთის, ისე ევროპის დიდ სახელმწიფოთა და შესაბამისად, ზოგადად საერთაშორისო სამართლის მიმართ.

სამართლის თვალსაზრისით, პროტექტორატი ორ სახელმწიფოს შორის დადებულ კონვენციას წარმოადგენს, რომლის ძალითაც დამცველი ვალდებულებას იღებს მტრისგან დაიცვას დასაცავი. თავის მხრივ, დასაცავი ვალდებულებას იღებს უარი თქვას საგარეო პოლიტიკაზე და ამ სფეროში დამცველისადმი საკუთარი უფლებების დელეგირება მოახდინოს.

1783 წლის კონვენცია მეფე ერეკლეს და რუსეთს შორის, ძირითადად პროტექტორატის ტიპის კონვენციას წარმოადგენს.

ამ კონვენციის თანახმად, საქართველო ინარჩუნებდა სრულ შინაგან სუვერენიტეტს; – ზუსტად დელიმიტირებული და განსაზღვრული ქართული ტერიტორია, ქართველ წინაპართა მემკვიდრეობას წარმოადგენდა.

არმია, კანონმდებლობა, ფინანსური სისტემა და ქვეყნის პოლიტიკური და სამართლებრივი ცხოვრების ყველა გამოვლინებანი, რჩებოდნენ ქართული სახელმწიფოს სუვერენიტეტის ქვეშ.

მაგრამ რუსეთის მთავრობამ არ სცა დიდი ხნის განმავლობაში პატივი ამ კონვენციას. 1801 წელს, სახელმწიფო გადატრიალების მეშვეობით, რუსულმა მთავრობამ დაამხო საქართველოს მთავრობა და საქართველოს სუფთა და უბრალო ანექსია გამოაცხადა.

ამ როგორც იურიდიული, ისე საერთაშორისო სამართლის თვალსაზრისით უკანონო ანექსიიდან მოყოლებული, იმპერიის მთავრობა ქვეყანაში ტირანიის და ტერორის რეჟიმს ახორციელებს.

საქართველოს აგრეთვე გააჩნია ეროვნული, ისტორიული და ბუნებრივი უფლება პოლიტიკურ არსებობაზე და დამოუკიდებლობაზე.

საქართველო სრულიად განსაზღვრულ ერს წარმოადგენს, რომელიც ერთ ენაზე საუბრობს, საერთო ისტორიული ბედით, ეროვნული სულით, ზნე-ჩვეულებებით და ტრადიციებით არის გაერთიანებული. ქართველი ხალხი რეალურ ტერიტორიას ფლობს, რომელზეც საუკუნეების განმავლობაში ცხოვრობს, რომელსაც ის, საკუთარი სისხლის და მძიმე მსხვერპლთა ფასად, საუკუნეების განმავლობაში იცავდა მტრებისაგან. ამჟამად, ამ ტერიტორიაზე ქართველები წარმოადგენენ აბსოლუტურ უმრავლესობას, ანუ 86 პროცენტზე მეტს.

ქართული ცივილიზაცია ძალიან ძველია და დასაბამს ჩვენს ნელთაალრიცხვამდე რამდენიმე საუკუნის წინ იღებს. მას ჰქონდა საკუთარი დიდების და დაცემის პერიოდები. მე-19 საუკუნეში, რუსული რუსიფიკატორული სისტემის წყალობით ქართული ცივილიზაციის განვითარება ძლიერად შეფერხებულ იქნა, მაგრამ, ყველაფრის მიუხედავად, სადღეისოდ ის ჯერ კიდევ დიდად აღემატება რუსულ ცივილიზაციას.

თოთხმეტი საუკუნის განმავლობაში საქართველო იცავდა ქრისტიანულ რელიგიას და ცივილიზაციას აზიაში და ჩვენს დღემდე მათი შენარჩუნება შეძლო.

ოცდახუთ საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში საქართველოს საკუთარი პოლიტიკური ცხოვრება ჰქონდა და ის, სხვადასხვა ეროვნული რეჟიმების ქვეშ, ყოველთვის პოლიტიკურად ორგანიზებული იყო.

დამოუკიდებლობის და პოლიტიკური არსებობის სული არასდროს არ იყო ჩამქრალი საქართველოში. პირიქით, ქართველი ხალხი ცხოვრებისკენ მიილტვის, რადგან საკუთარ თავს ამის ღირსად გრძნობს. ამის აშკარა მოწმობა – მისი დიდებული წარსული და აწმყოა!

აი უფლებები, რომლებსაც დაეყრდნობა საქართველო, როდესაც წარსდგება საერთაშორისო სასამართლოს წინ, და ეს უკანასკნელი, თუ უსამართლობის ჩადენა არ სურს, ვალდებულია აღიაროს ისინი და დაადასტუროს.

ამ სიტყვებით ჩვენ მივმართავთ ცივილიზებულ მსოფლიოს, ევროპულ სახელმწიფოებს და ინტელექტუალურ ევროპას, დამოუკიდებლობაზე ჩვენ პოლიტიკურ, ისტორიულ და ბუნებრივ უფლებათა კიდევ ერთხელ შეხსენების მიზნით, და ვამბობთ: „ნუ დარჩებით ცივილიზებული ერის განადგურების გულგრილ მოწმეებად, რომლისთვისაც საკმარისი იქნება მის ყველაზე სამართლიან და წმინდა უფლებათა აღიარება, რათა ის აღორძინდეს, პოლიტიკურად ორგანიზებულ იქნეს და ბოლოს და ბოლოს, დაიკავოს საკუთარი ადგილი დამოუკიდებელ ერთა ოჯახის წევრად“.

ქართული ეროვნული კომიტეტი

ნინო ბადუალ-კერესელიძის პირადი არქივი. ექს-ან-პროვანსი, საფრანგეთი.
თარგმანი ფრანგულიდან.

№ 212

საქართველოს განთავისუფლების კომიტეტის
თავმჯდომარის, კედრე სურგულაძის წერილი
ბერმანის არმიის სახელმეთო ძალების
ბენერალური შტაბის კოლიტიკის სექციის უფროსს,
კაპიტან ერნსტ ფონ ჰიულსენს, კომიტეტის
მხარეზე მომუშავე ქართველი ოფიცრებისა და
სხვა პირებისთვის გასანავი სხვადასხვა ტიპის
დახმარების შესახებ

1917 წლის 3 სექტემბერი
ბერლინი

პატივცემულო ბატონო კაპიტანო,
მაქვს პატივი შემდეგი გაცნობით:

1. კომიტეტმა საბოლოოდ გადაწყვიტა, რომ უნდა მოხდეს შემდეგი ოფიცრების ტექნიკურად განსწავლა:
კაპიტნები: ინგურიძე
დისეველი
კიკნაძე (ბელელაშვილი)
მერკვილაძე
უფროსი ლეიტენანტები: ჩახრუხაძე
ჩაჩავა
ლეიტენანტები: ირემაძე
მანჯავიძე
ოფიცრის მოვალეობის შემსრულებელი: ჭყონია
სტუდენტები: ანჯაფარიძე
ნიჟარაძე
2. კომიტეტი თავაზიანად გთხოვთ, რომ მიეცეს ბატონ ვარშანიძეს ბერლინში ჩამოსვლის და კომიტეტში მუშაობის საშუალება.
3. კომიტეტი გთხოვთ, ოფიცერი ჰასან ჩევი ოლლი და მეჰმედ მუსტაფაევი გაგზავნოთ სახლში, სამსუნში. გარდა ამისა, აღნიშნული პირები კონსტანტინოპოლამდე მთავრობის ხარჯით ჩაიყვანოთ, მისცეთ ერთჯერადად სამი თვის ხელფასი და პასპორტი თავისუფალი მგზავრობისთვის.
4. ოფიცრების მოვალეობის შემსრულებლებს ნიკლაურს და ნიკოლაიშვილს რაიმე სამსახური მოუძებნოთ.

5. რადგან ბატონები ნიჟარაძე და ანჯაფარიძე აქ დასაქმებულები არიან, რითაც ცხოვრობენ, და ვინაიდან იძულებულნი არიან ეს საქმიანობა შეწყვიტონ, ხსენებულ პირებს საქართველოში გამგზავრებამდე დაუნიშნოთ ხელფასი 300 მარკის ოდენობით (თითოეულს).

თქვენი სრულიად ერთგული,
ხელმომწერი: პიერ სურგულაძე

*Politisches Archiv des Auswärtigen Amts (PA AA), Akten Betreffend den Krieg 1914,
Unternehmungen und Aufwiegelungen gegen unsere Feinde im Kaukasus. R 21024.
თარგმანი გერმანულიდან.*

№ 213

საქართველოს განთავისუფლების კომიტეტის
წევრის, ლეო კერესალიძის წერილი ოთო გიუნდერ
ფონ ვეზენდორფს, ბერმანიის იმპერიის საბარეო
საქმეთა სამინისტროს ლეგაციის მრჩეველს და ახლო
აღმოსავლეთის საქმეთა რეფერატს, თხოვნით მისცენ
პასპორტი ბერმანიაში ჩასასვლელად

1917 წლის 8 სექტემბერი
ჟენევა

ძვირფასო ბატონო ბარონ,

აი, უკვე 8 სექტემბერია, მე კი არავითარი პასუხი არა მაქვს ჩემი მგზავრობის შესახებ. ვერ დაგიმალავთ, რომ ეს დიდად მანალვლებს. მეჩვენება, რომ მე არ დავიმსახურე ვყოფილიყავი განსაკუთრებული მოპყრობის ობიექტი, თუ გავითვალისწინებთ, რომ მე ვიყავი კომიტეტის ერთ-ერთ ყველაზე აქტიური წევრი. იმ დროს, როდესაც ჩემი მეგობრები თავიანთ პასპორტებს მყისვე და ყოველჯერ იღებენ, როდესაც ამას ჩვენი საქმე მოითხოვს, მე მჭირდება რამდენიმეთვიანი დემარშები... ამისდა მიუხედავად, მე ჯერ კიდევ თქვენი იმედი მაქვს. ვიმედოვნებ, რომ თქვენ ამაცილებთ მე, ისევე როგორც ჩვენს კომიტეტს, უდიდეს გულსიტკივილს და როგორც მე ვიცი, ჩვენი კომიტეტი დიდად ნაწყენია ამ ფაქტით. ყოველ შემთხვევაში, გთხოვთ, ბატონო ბარონ, რომ თუ ამის განხორციელება ვერ მოხერხდება, სულ მცირე მომწეროთ კატეგორიული და საბოლოო უარი. ეს იმისთვის, რათა ვიცოდეთ თუ რაშია საქმე. აგრეთვე კომიტეტისთვის აუცილებელია იცოდეს საბოლოო პასუხი და გადაწყვეტილება: – „კი“ თუ „არა“. – მრთავენ თუ არა მე ნებას, ჩავიდე ბერლინში ჩემი მოღვაწეობის გასაგრძელებლად.

თქვენი რჩევის თანახმად მე დავბეჭდე „საქართველოს უფლება“¹. გიგზავნით რამდენიმე ეგზემპლარს. მე ბოდიშს გიხდით მუდმივი შეწუხებისთვის, მაგრამ ამჟამად ამას ვაკეთებ უკანასკნელად. თქვენ შეგიძლიათ პირდაპირ მიპასუხოთ ჩემს მისამართზე, რადგან გარწმუნებთ, რომ შვეიცარიაში წერილები არ ექვემდებარებიან ცენზურას, ან, შეიძლება, ეს უფრო მიზანშეწონილი იქნება ჟენევის საკონსულოს მეშვეობით. მე გავაფრთხილებ საკონსულოს, რომ უნდა მივიღო წერილი თქვენგან.

¹ იგულისხმება ფრანგულ ენაზე ტიპოგრაფიული წესით შვეიცარიაში დაბეჭდილი მემორანდუმი „საქართველოს უფლება დამოუკიდებლობაზე“. იხ. დოკ. 211.

მე თქვენ გამოგიგზავნეთ „ღია წერილი“¹ და არც კი ვიცე, მიიღეთ ის, თუ არა. მე დიდად მინდა ვიცოდეთ თქვენი აზრი. ადვილად მიხვდებით, რომ ამ წერილში მე ასევე ოდნავ ვსაუბრობ გერმანიის და ავსტრიის წინააღმდეგ იმ მიზნით, რათა მკითხველზე უფრო მეტი შთაბეჭდილება მოვახდინო. ამრიგად, ვსაუბრობ რა ზოგადად ყველა სახელმწიფოს წინააღმდეგ, მე უდიდეს უხერხულობას ვუქმნი საფრანგეთს, ინგლისს და ამერიკას.

თქვენი, იმედია, შემრიგებლური პასუხის მოლოდინში, გთხოვთ მიიღოთ, ბატონო ბარონ, ჩემი ღრმა პატივისცემის ნიშნები.

ლეო კერესელიძე

Politisches Archiv des Auswärtigen Amtes (PA AA), Akten Betreffend den Krieg 1914, Unternehmungen und Aufwiegelingen gegen unsere Feinde im Kaukasus. R 21024.
თარგმანი ფრანგულიდან.

¹ იგულისხმება ლეო კერესელიძის გამოუქვეყნებელი ბროშურის („ღია წერილი ბატონებს პუანკარეს და ვილსონს“) ხელნაწერი.

№ 214

ოდო გიუნთარ ფონ ვეზენდონკის, გერმანიის იმპერიის
საბარეო საქმეთა სამინისტროს ლეგაციის მრჩევლის
და ახლო აღმოსავლეთის საქმეთა რეფერატის
წერილი საქართველოს განთავისუფლების კომიტეტის
წევრს, ლეო კერესელიძეს, მისი თხოვნის პასუხად
მისცენ პასპორტი გერმანიაში ჩასასვლელად

1917 წლის 12 სექტემბერი
ბერლინი

ძვირფასო ბატონო,

თქვენი ამა თვის 8 რიცხვის თავაზიანი წერილი, გადაიკვეთა ჩემს წერილთან,
რომელიც თქვენ ამასობაში მიგიღიათ. სამწუხაროდ, მე ჯერ კიდევ არაფერი
მსმენია ბერლინიდან და აუცილებლად შეგატყობინებთ კომპეტენტურ ორგანო-
თა პასუხს უმოკლეს ხანებში.

გთხოვთ მიიღოთ ჩემი საუკეთესო სურვილები.

ოტო გ. ვეზენდონკი

*Politisches Archiv des Auswärtigen Amts (PA AA), Akten Betreffend den Krieg 1914,
Unternehmungen und Aufwiegelingen gegen unsere Feinde im Kaukasus. R 21024.*

თარგმანი ფრანგულიდან.

№ 215

საქართველოს განთავისუფლების კომიტეტის წევრის,
მიხეილ წერეთლის თელავრამა ხსენებული კომიტეტის
წევრ გიორგი მაჩაბელს, სტოკჰოლმში,
რუსეთის მოქალაქეების პასპორტებთან
დაკავშირებული მდგომარეობის შესახებ

1917 წლის 12 სექტემბერი
ბერლინი

გთხოვთ შემატყობინეთ, ლეგალური პასპორტის მქონე რუსი ემიგრანტების ცოლებს და შვილებს განსაკუთრებული სირთულეების გარეშე რუსეთის საზღვრის გადალახვა შეუძლიათ თუ არა, ან საერთოდ თუ შეუძლიათ.

წერეთელი

Politisches Archiv des Auswärtigen Amts (PA AA), Akten Betreffend den Krieg 1914, Unternehmungen und Aufwiegelingen gegen unsere Feinde im Kaukasus. R 21024.
თარგმანი გერმანულიდან.

№ 216

**საქართველოს განთავისუფლების კომიტეტის წევრის,
ბიორგი მაჩაბლის მოხსენება კავითან ჰანს შტაინვაქსს,
გერმანიის არმიის სახელმეთო ძალების გენერალური
შტაბის პოლიტიკის საქციის რეზიდენტს სტოკჰოლმში,
ხსენებული კომიტეტის მომავალი გეგმების შესახებ**

1917 წლის 13 სექტემბერი
სტოკჰოლმი

დიდად პატივცემულო ბატონო დირექტორო!

როგორც რუსული გაზეთების ცნობებიდან ჩანს, ეროვნებათა საკითხი რუსეთში ძალიან ნელა ვითარდება და არც ცალკეული ერები გამოდიან ენერგიულად მათი საკითხის გადაწყვეტის მიზნით. მაგალითად, მოსკოვის სახელმწიფო კონფერენციაზე, მაჰმადიანთა, სომეხთა, ქართველთა, ლატვიელთა, ესტონელთა, პოლონელთა და ებრაელთა წარმომადგენლებმა (უკრაინელებმა და ფინელებმა არ მიიღეს მონაწილეობა კონფერენციაზე) საკუთარი სურვილები წარადგინეს, მაგრამ არცერთმა მათგანმა არ ისაუბრა ეროვნული იდეის მყისვე განხორციელების შესახებ. ეს ისევ იყო ის ფრაზები, რომელთა მოსმენაც ისე ხშირად გვინევს. სამწუხაროა, რომ ქართველებმა და მაჰმადიანებმა ამ კონფერენციაში მიიღეს მონაწილეობა, იმის მაგიერ, რომ მთავრობას ენერგიულად დაპირისპირებოდნენ, რისთვისაც ნამდვილად საკმარისი საფუძვლები ჰქონდათ. ბევრად უკეთესი იქნებოდა, უკრაინელებისავით კონფერენციისადმი ბოიკოტი გამოეცხადებინათ და ამით აშკარად გამოეხატათ უნდობლობა მთავრობის მიმართ.

ამ მიზეზით ვფიქრობ, ეს საკითხი და ზოგადად, ქართველთა პასიური ქცევა, ბერლინში ჩვენი კომიტეტის შემდგომი სხდომის განხილვაზე გავიტანო. ჩვენ აუცილებელი ნაბიჯები უნდა გადავდგათ, რათა გავაძლიეროთ პროპაგანდა საქართველოში, რომელმაც, უახლოეს ხანებში, ქართველთა აჯანყებას უნდა შეუწყოს ხელი. ჩემი აზრით, მიზანშეწონილი იქნებოდა, თუკი ჩვენი კომიტეტის სხვადასხვა წევრები თან გაჰყვებიან პირველივე წყალქვეშა ნავეს.

ამით ჩვენ არა მხოლოდ დავეხმარებით ჩვენს თანამემამულეებს იარაღით და მასაღით, არამედ აგრეთვე ქვეყანაში ახალ და საღ, რეალურ პოლიტიკაზე დამყარებულ იდეებს გავავრცელებთ და ჩვენს პოლიტიკურად მოაზროვნე ხალხზეც გავლენის მოხდენას შევძლებთ. ამისთვის აუცილებელი ნაბეჭდი მასალა და მონოდებები შესაძლებელია ბერლინის ქართულ სტამბაში, მათ გამგზავრებამდე იქნეს დამზადებული.

მთელი ჩვენი მომავალი იმაზე არის დამოკიდებული, თუ როგორ განვითარდება მოვლენები თავად ქვეყანაში და რა შეიძლება მოვიმოქმედოთ დღევანდელ გადამწყვეტ მომენტში საქართველოს მდგომარეობისთვის. რომელი ჩვენგანი გაემგზავრება, კომიტეტის გადასაწყვეტია, თუმცა ამ მიზნით ყველაზე უფრო გავლენიანი და ენერგიული წევრები შეირჩევა, ვინაიდან ჩვენთვის სიმძიმის ცენტრი ამჟამად საქართველოში იმყოფება და მხოლოდ უშუალოდ იქ ჩატარებული სამუშაოთი შეიძლება სასურველი შედეგების იმედი გვექონდეს.

თუმცა, აუცილებელი არის, რომ საქართველოში პირველ მგზავრობას ადგილი მალევე ჰქონდეს, რათა არ დაგვარგოთ დრო. ამის გარდა, ზამთარიც საქართველოში მუშაობას [შეგვიფერხებს].

ჩვენს მიერ პეტროგრადის გავლით დაგეგმილი და განხორციელებული კავშირი ჩვენს თანამემამულეებთან, ამ დრომდე ძალიან არადაამაკმაყოფილებელი აღმოჩნდა. ქარუმიძის აქედან გამგზავრების შემდეგ ჩვენ მხოლოდ ის შევიტყვეთ, რომ ის პეტერბურგში ჩასულა. რა მოიმოქმედა მან შემდგომში, და მიიღო თუ არა ჩვენი ფულადი გზავნილი, ჩვენთვის სრულიად უცნობია. 31 აგვისტოს და 6 სექტემბრის ჩემს ტელეგრამებზე მე, ამ დღემდე, პასუხი არ მიმიღია.

ამ მიზეზით, მე შევწყვეტ სტოკჰოლმში ჩემს შემდგომ ყოფნას, რათა ბერლინში ეს ყველაფერი ჩემს თანამემამულეებთან განვიხილო და ექსპედიციისათვის აუცილებელი მზადებანი განვახორციელო. მაშინვე, გენერალური შტაბის პოლიტიკის სექციასთან ჩვენ გამოვიმუშავეთ მგზავრობის ზუსტ გეგმას, საქართველოსთან კავშირის აღდგენას და სხვა მსგავს საკითხებს.

ჩემს აქაურ ბინას, რომელიც ჩვენი პეტერბურგელი მეგობრებისთვის კონსპირაციული მისამართის როლს ასრულებდა, გადაიბარებს გრაფი ადელმანი¹, რომელიც პეტროგრადიდან ცნობების ან გზავნილების მიღების შემთხვევაში, მათ გადაცემაზე, ან შემდგომ გადაგზავნაზე იზუნებს.

ჩვენ დროებით უნდა გადავდოთ სტოკჰოლმში ქართული საინფორმაციო ბიუროს შესახებ გადაწყვეტილების მიღება, სხვა ზემოხსენებულ საკითხთა გადაწყვეტამდე.

იმედით, რომ თქვენ, დიდად პატივცემულო ბატონო დირექტორო, დაეთანხმებით ამ წერილის შინაარსს,

უერთგულესად თქვენი,
თავადი მარჩბელი

Politisches Archiv des Auswärtigen Amtes (PA AA), Akten Betreffend den Krieg 1914, Unternehmungen und Aufwiegungen gegen unsere Feinde im Kaukasus. R 21024.
თარგმანი გერმანულიდან.

¹ გრაფი ადელმანი (Adelmann) – კაპიტან ჰ. შტაინვაქსის ერთ-ერთი თანამემგნე.

№ 217

საქართველოს განთავისუფლების კომიტეტის წევრის,
ბიორგი კერესელიძის წერილი ბერლინში თურქეთის
საელჩოს მრჩეველს, თხოვნით რათა ოსმალეთის
იმპერიის მთავრობამ აღიაროს საქართველოს
დამოუკიდებლობა, ქართველთა მიერ მისი
გამოცხადების შემთხვევაში

1917 წლის სექტემბრის პირველი ნახევარი
ბერლინი

ღრმად პატივცემულო ბატონო საელჩოს მრჩეველო!

რამდენიმე კვირის წინ, მე პატივი მქონდა, წარმედგინა თქვენთვის ქართული კომიტეტის მემორანდუმი, ბერლინში მისი აღმატებულების თურქეთის ელჩის-თვის გადასაცემად, რომელშიც, სხვათა შორის, გამოთქმული იყო სურვილი, რათა თურქეთის მთავრობას, ქართველთა მიერ დამოუკიდებლობის გამოცხადების შემთხვევაში, ცენტრალური ევროპის დიდ სახელმწიფოთა მთავრობებთან ერთად, უკვე ამჟამად, ნოტის გზით განეხორციელებინა ახალი სახელმწიფოს აღიარება¹.

სამწუხაროდ, ჩვენთვის ამ დღემდე უცნობია, რა პოზიცია უკავია თურქეთის იმპერიის მთავრობას ამ საკითხის მიმართ. აქედან გამომდინარე, ქართული კომიტეტი კვლავ იმეორებს საკუთარ თხოვნას გადადგათ საჭირო ნაბიჯები, რათა ხელი შეუწყოს ამგვარი განცხადების უმოკლეს ხანებში გაკეთებას.

საქართველოს დამოუკიდებლობას, რომლის მაგალითს მიბაძავენ სხვა კავკასიელი ხალხებიც, დიდი მნიშვნელობა აქვს თურქეთის მთავრობისათვის, რადგან ამის შედეგად, ის ერთი დარტყმით მომავალში გარანტირებული იქნება რუსთა სახიფათო მეზობლობისაგან ნეიტრალური ბუფერული სახელმწიფოს ჩამოყალიბების მეშვეობით.

ამ დროისთვის ქართველთა წამოწყებულ აჯანყებას, შედეგად მოყვება მთელი რუსული კავკასიის არმიის დაშლა, რაც თურქულ ჯარებს საშუალებას მისცემს მძიმე ბრძოლებისა და დანაკარგების გარეშე უკან დაიბრუნონ ამ ომის დროს ყველა დაკარგული ტერიტორია. ამავ დროს, ამის შედეგად თურქეთი შეძლებს ამ დრომდე ყველა ამ ფრონტზე დაკავებული ჯარების, მათი იქ შემდგომი გამოყენების გარეშე, სხვა საბრძოლო მოქმედების თეატრებისთვის გამოთავისუფლებასაც. თუმცა, რათა დავარწმუნოთ ქართველები ნავიდნენ გადამწყვეტ აქციაზე,

¹ იხ. დოკ. 199.

მათ სრული გარანტია უნდა ჰქონდეთ, რომ მათი დამოუკიდებლობა უკვე წინასწარ ხელუხლებლად მიიჩნევა და რომ თურქული ჯარი შეძლებს რუსულ-თურქული საზღვრის გადალახვას.

ამგვარი გარანტიის გარეშე, ქართველი ხალხის ხელმძღვანელები ვერ შეძლებენ აჯანყების სასარგებლოდ გამოსვლას, რადგან ისინი საკუთარ თავზე ვერ აიღებენ ვერავითარ პასუხისმგებლობას რაიმე იმედგაცრუების შედეგებისათვის.

აქედან გამომდინარე და საერთო ინტერესთა სახელით, ქართული კომიტეტი კვლავ ითხოვს, შეძლებისდაგვარად უმოკლეს ხანებში, ამ საკითხის მოსაგვარებლად ზომების მიღებას.

ქართული კომიტეტის სახელით:

გ. კერესელიძე

*ნინო ბადუალ-კერესელიძის პირადი არქივი. ექს-ან-პროვანსი, საფრანგეთი.
თარგმანი გერმანულიდან.*

№ 218

კონსტანტინოპოლში გერმანიის იმპერიის საბანგებო
და სრულუფლებიანი ელჩის, ბრაუნ იოჰან ფონ
ბერნშტორფის წერილი გერმანიის საბარეო საქმეთა
სამინისტროს, მის მიერ ოსმალეთის იმპერიის საბარეო
საქმეთა მინისტრთან კავკასიის საკითხის თაობაზე
საუბრის შესახებ

1917 წლის 19 სექტემბერი
პერა

ადგილობრივ საგარეო საქმეთა მინისტრთან მე კავკასიელთა რუსეთისგან ჩამოშორების საკითხი განვიხილე. თურქული მთავრობა სრულიად თანახმა არის ჩვენს მიერ მოცემული აღიარების დაპირებასთან, თუმცა მინისტრი ძალიან სკეპტიკურად საუბრობდა კავკასიელთა შესაძლებლობის თაობაზე წარმატებული აჯანყება განახორციელონ.

ი. ბერნშტორფი

*Politisches Archiv des Auswärtigen Amts (PA AA),
Akten Betreffend Russisch-Asien. Kaukasus.
R 11041.
თარგმანი გერმანულიდან.*

№ 219

საქართველოს განთავისუფლების კომიტეტის წევრის,
 ალექსანდრე გოზალიშვილის თხოვნა გერმანიის
 იმპერიის საგარეო საქმეთა სამინისტროს, კულტურის
 სამინისტროსთან შუამდგომლობის თაობაზე, მისი
 ბერლინის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე
 მიღების შესახებ

1917 წლის 24 სექტემბერი
 ბერლინი

ვხელმძღვანელობ რა სურვილით, დავასრულო სწავლა გერმანიაში და სადოქტორო გამოცდა აქ ჩავაბარო, პატივი მაქვს ვთხოვო საგარეო საქმეთა სამინისტროს რეკომენდაცია კულტურის სამინისტროსთან, რათა მომენიჭოს იმატრიკულაციის უფლება ბერლინის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე და ამგვარად მომეცეს შესაძლებლობა განვახორციელო ჩემი გეგმები იმ ქვეყანაში, რომელთანაც მაკავშირებს სიმპატია და ღრმა აღფრთოვანების გრძნობა.

პატივი მაქვს, განცხადებას თან დავურთო ლიცენზიანტის მოწმობა (გაცემული დიპლომის ნაცვლად კონსტანტინოპოლის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის მიერ) და მისი თარგმანი გერმანულ ენაზე, ისევე როგორც ჩემი ნათლობის მოწმობა.

ალექსანდრე გოზალიშვილი

Politisches Archiv des Auswärtigen Amts (PA AA), Akten Betreffend den Krieg 1914, Unternehmungen und Aufwiegelungen gegen unsere Feinde im Kaukasus. R 21027.
 თარგმანი გერმანულიდან.

№ 220

**შვედურ გაზეთ „STOCKHOLMS DAGBLAD“-ის¹
1917 წლის 26 ნოემბრის ნომერში დაბეჭდილი
ბიორგი მაჩაბლის სტატია „საქართველო და რუსეთის
რევოლუცია. ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის
მუშაობა თვითმართველობის შემოღებისათვის“**

საქართველოს ბოლო მეფეებმა ერეკლე II-მ და გიორგი XIII-მ მე-18 საუკუნის ბოლოს რუსეთის მფლობელებს დიდი სამსახური გაუწიეს, ვინაიდან რუსულ იმპერიალიზმს საერთაშორისოდ სავალდებულო ხელშეკრულებებით საქართველოში გზა კავკასიის მიუვალი მთების გავლით გაუღეს. ხსენებულ მეფეებს სწამდათ, რომ რუსეთის იმპერატორი მომავალში ამ ხელშეკრულებას დაიცავს და ქართველთა უფლებებს პატივს სცემს. მას შემდეგ რაც რუსებმა, ამასობაში, საქართველოში მტკიცედ ფეხი მოიკიდეს, მალე ეს ხელშეკრულება დაარღვიეს და მოკავშირე საქართველო ძალმომრეობით დამონებულ ქვეყნად გადააქციეს. უმადურობა, უსამართლობა და ტირანია იყო რუსული პასუხი ნდობაზე და განუვალ სამსახურზე, ვინაიდან მხოლოდ ქართველთა დახმარებით შეძლეს რუსებმა მთელი კავკასიის დაპყრობა და რუსეთის სამხრეთის საზღვრების თურქეთის და სპარსეთის ხარჯზე გაფართოვება. ქართველები სასტიკად მოტყუვდნენ. საქმე პროტესტებამდე და აჯანყებამდე მისულა, რომლებსაც დიდი შედეგი არ მოუტანიათ და ამრიგად, რუს დესპოტთა უღელი ასწლეულზე მეტი ხნის განმავლობაში ტვირთად დაედო ქართველ ხალხს.

ამჟამად დრონი შეიცვალნენ. იფეთქა დიდმა რევოლუციამ. რუსულმა დემოკრატიამ საკუთარ თავზე აიღო უზარმაზარი იმპერიის მმართველობა. ქართული დემოკრატიის ხელმძღვანელები არა მხოლოდ იღებდნენ მონაწილეობას საყოველთაო რევოლუციაში, არამედ სათავეშიც კი ედგნენ მთელს რუსულ დემოკრატიას. ისინი თავს სწირავდნენ უკანასკნელს და მიყავდათ ის ძალაუფლებამდე და გამარჯვებამდე. ყველა ისეთი გვარი, როგორცაა ჩხეიძე, წერეთელი და ჩხენკელი, ჭეშმარიტად ქართულია. ქართველი ხალხის წარმომადგენლები დუმაში იმედოვნებდნენ, ენდობოდნენ და ანდობდნენ საკუთარი ხალხის ბედს რუსულ დემოკრატიას. ისინი მისგან ხსნას, თავისუფლებას, სამართლიანობას, მაღლიერებას მოელოდნენ. და მართლაც, გააჩნდათ კი ამ ბატონებს მეტი საფუძველი საკუთარი იმედებისათვის, ვიდრე ქართველ მეფეებს, რომლებიც იგივეს ელოდებოდნენ რუსი მონარქებისაგან და ამგვარი გულგაცრუება განიცადეს? ხომ არ შემცდარან ბატონები ჩხეიძე და წერეთელი, როცა მათ ქართველი ხალხი რუსულ

¹ „Stockholms Dagblad“ („სტოკჰოლმის ყოველდღიური ფურცელი“) – კონსერვატიული მიმართულების შვედური დილის გაზეთი. გამოდიოდა სტოკჰოლმში 1824-1931 წლებში.

დემოკრატია გადის? დაუოკებს კი ეს ქართველ ხალხს ტანჯვას, ტკივილს და ჭრილობებს, და მას დახმარებას აღმოუჩინებს? ეს ფრიად საეჭვო საკითხი გახლავთ და მხოლოდ მომავალს ძალუძს გვიჩვენოს, რამდენად მართლები იყვნენ ეს ქართველები. ამ დრომდე, ქართველებმა მხოლოდ ძალიან მცირე დოზით ისარგებლეს თავისუფლებით, რომელიც რევოლუციას უნდა მოეცა. ამის მიზეზი იმაში უნდა ვეძიოთ, რომ ქართველი ხალხის ზემოხსენებულმა წარმომადგენლებმა, რომლებმაც უშუალოდ უნდა წარმოადგინონ საკუთარი ხალხი და დაიცვან მისი ინტერესები, ერთხელაც ვერ გაბედეს ქართველთა სახელის წარმოთქმა, რათა ამის შედეგად არ გამოენვიათ რუსული დემოკრატის ეჭვი საკუთარი თავის მიმართ. ამასობაში რევოლუციის ფსიქოლოგიურ მომენტს დრო ეწურება და ქართველი ხალხი საკუთარ „წარმომადგენლებს“ ანგარიშს მოსთხოვს, თუკი უკვე ძალიან გვიან არ არის და საქართველო ახალ რუსეთს უკვე არ გადაეცა. დროებითი მთავრობის მანიფესტის მიუხედავად, რომელმაც საზეიმოდ ყველა ეროვნული და რელიგიური შეზღუდვების გაუქმება გამოაცხადა, ქართველთა უკვე პირველი მცდელობა, საკუთარი უფლებების რეალიზაცია ქართული ეკლესიის თავისუფლების აღდგენის მეშვეობით მოეხდინათ, იმ ქართული მთავრობის წინააღმდეგობას აწყდება, რომელმაც ეს ლამაზი ფრაზები წარმოთქვა. მათ სურთ რუსეთის დამფუძნებელ კრებას მიანდონ ამ საკითხის გადაწყვეტა და აგზავნიან საქართველოში პროფესორ ბენეშევიჩს¹, ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის (ანუ დამოუკიდებელი მამამთავრის ყოლის) საკითხის შესწავლის მიზნით.

დიდი ძალისხმევით და მხოლოდ ძალის გამოყენების შედეგად, ქართველებმა მაინც შეძლეს საკუთარი ნების განხორციელება. ქართული ეკლესია მთელს საქრისტიანოში არსებულ დამოუკიდებელ ეკლესიებს შორის უძველესი არის. 1810 წლიდან ის რუს ეგზარქოსთა და სინოდის მიერ იმართება. სწორედ მაშინ წაერთვა მას უფლებები და დამოუკიდებლობა რუსთა მიერ. საქართველოს უკანასკნელი კათალიკოსი (ეპისკოპოსი) ანტონ II რუსეთში იქნა გაგზავნილი, ხოლო ეკლესია რუსეთის სინოდს დაუმორჩილეს. ამასობაში, ამ წლის მაისში 30 000 ქართველი მცხეთის ძველ საკათედრო ტაძარში (ქართველ ეპისკოპოსთა ძველ რეზიდენციაში) შეიკრიბა და საზეიმო ღვთისმსახურების შემდეგ ეპისკოპოსი ლეონიდე საკუთარ კათალიკოსად აირჩიეს.

ამის შემდგომ, ქართველები იბრძვიან სხვა საკუთარი უფლებებისათვის, რომელთა აღდგენაც ამ დრომდე ვერ განხორციელდა მთავრობის წინააღმდეგობის გამო. ისინი, ამასობაში, ყველაფრის მიუხედავად ბევრს მიაღწევდნენ, ჩხეიძეს, წერეთელს და სხვა სოციალ-დემოკრატთა ლიდერებს საკუთარ ქვეყანაზე უფრო მეტი რომ ეფიქრათ და ქართველთა მოთხოვნებისადმი რომ დაეჭირათ მხარი. თუმცა, არა ყველა ქართველი სოციალ-დემოკრატი იზიარებს თვალსაზრისს, რომელიც რუსული დემოკრატის მსახურთა მიერ არის მიღებული. საქართველოში, სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში განხეთქილება მოხდა, და პარტიის მნიშვნელოვანი ნაწილი სადღეისოდ საქართველოსთვის ავტონომიას ითხოვს. ომის დაწყებამდე სოციალ-დემოკრატები საქართველოს ერთ-ერთ უძლიერეს პარტიას წარმოადგენდნენ. ვინაიდან საქართველოში, ცუდად განვითარებული ინდუსტრიის შედეგად არ არსებობს დიდი მუშათა კლასი, სოციალ-დემოკრატთა ხელმძღვანელები მიხვდნენ, როგორც ღარიბი მცირე მიწიანი გლეხები და სოფ-

¹ იგულისხმება ბენეშევიჩი ვლადიმერი (1874-1938).

ლის პროლეტარიატი, ისე მსხვილი მინათმფლობელები საკუთარი მხარისკენ მივიდნენ და ამით პარტია გაეძლიერებინათ.

ომამდე სხვა დიდ პარტიას საქართველოში სოციალისტ-ფედერალისტური პარტია წარმოადგენდა, რომელიც ამჟამად რუსეთის ფედერაციულ რესპუბლიკად გადაქცევას უჭერს მხარს, რომლის შემადგენლობაშიც ფედერაციულ ერთეულს ასევე საქართველოც უნდა შეადგენდეს. ქართველთა დიდი მასა ამასობაში ხედავს, თუ როგორ იბრძვიან ფინელთა, უკრაინელთა და სხვა ხალხთა ხელმძღვანელები მათი სხვადასხვა ხალხის მიზნების მისაღწევად, იმ დროს, როდესაც ქართველთა ოფიციალურ წარმომადგენლებს საკუთარი ხალხი მიტოვებული ჰყავთ.

ამ მიზეზით, საქართველოში იზრდება ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის გავლენა, რომელიც მთლიანად ეროვნულ ნიადაგზე დგას და იმ უფლებათა აღდგენაზე მუშაობს, რომლებიც ეკუთვნით ქართველებს 1783 წელს ერეკლე II-ს და ეკატერინე II-ს შორის დადებული ხელშეკრულების ძალით. ხსენებული პარტია ყოველდღიურად იზრდება და მას, როგორც ჩანს, სწორი პოზიცია აქვს აღებული, რომელსაც სულ უფრო და უფრო იკავებს ქართველი ხალხი. საკუთარ ორგანოში „საქართველო“ პარტია თავის პროგრამას აქვეყნებს, რომელთა ძირითადი პუნქტები შემდეგია: საქართველოს კონსტიტუცია ტფილისში შეკრებილი ეროვნული კრების მიერ უნდა იყოს გამომუშავებული. საქართველოს ტერიტორია ტფილისის და ქუთაისის გუბერნიებს, ბათუმის, სოხუმის და ზაქათალას ოლქებს, არტაანს, ოლთისს და ტოტშის¹ მაზრის ნაწილს უნდა მოიცავდეს.

რაც კერძო საკუთრებას შეეხება, ამის შესახებ პროგრამაში ნათქვამია: „კერძო საკუთრება წმინდაა და კულტურულ ფაქტორს წარმოადგენს“.

ქართული ეკლესიის ზემოხსენებული განთავისუფლება, ამ პარტიის ინიციატივით და მისი მუშაობის შედეგად განხორციელდა. გარდა ამისა, პარტია მუშაობს ძლიერი სამხედრო ორგანიზაციისა და ქართული არმიის შექმნაზე, და საკუთარი თავის წინაშე სხვა მრავალი მიზნები დაისახა. კავკასიის ყველა ეროვნებათა წარმომადგენლების საბჭოს შექმნა, ასევე გათვალისწინებულია პარტიის პროგრამით. მიზანი, ქართველთა მეზობლებთან კონტაქტში შესვლა და მათთან მეგობრული ურთიერთობების დამყარებაა.

საქართველომ უნდა იცოდეს და მას უნდა ესმოდეს, რომ ამ მსოფლიოში ხალხთა უფლება არ მიიღება და არ იბოძება საჩუქრად, არამედ ბრძოლით უნდა იქნეს მოპოვებული. ჩვენს ისტორიაში ამის მრავალი მაგალითი არსებობს. სანამ ჩვენ ვიბრძოდით ჩვენი დამოუკიდებლობისათვის და თავისუფლებისათვის, ჩვენ შეგვეძლო გაგვეძლო საუკუნეების განმავლობაში. ხოლო როდესაც პირიქით, ჩვენ ჩვენი ბედი სხვა დიდ სახელმწიფოს მივანდეთ და დაცვას მისგან ველოდებოდით, აღმოვჩნდით დამონებულნი და განადგურების საფრთხის ქვეშ. ქართველი იდეალისტები სულ მალე დარწმუნდებიან, რომ რუსეთის დემოკრაციას ძალა არ შესწევს კულტურული პრობლემა გადაწყვიტოს. ამის გარდა, ეს დემოკრატია ეროვნულად რუსულია და ამ მიზეზით ყოველთვის შეეცდება სხვა, არარუსული დემოკრატიების დაჩაგვრას, როგორც ამას ადგილი აქვს სხვა, ეგრეთწოდებულ დემოკრატიულ ქვეყნებში. ჩხეიძემ, წერეთელმა და მათმა მეგობრებმა რუსული რევოლუციის განვითარება თავად რუსებს უნდა გადასცენ და ამის მაგიერ, სა-

¹ ტექსტში – Totschi. სავარაუდოდ, იგულისხმება სოჭი.

კუთარი თავი საკუთარ უბედურ ქვეყანას შესწირონ, რომელმაც მათ თავისი ბედი მიანდო. თავიანთ სამშობლოს მისი უფლებები უნდა მოუპოვონ და წინ გაუძღვენ ქართველ ხალხს მისი ეროვნული იდეალების განსახორციელებლად.

Politisches Archiv des Auswärtigen Amts (PA AA), Akten Betreffend den Krieg 1914, Unternehmungen und Aufwiegungen gegen unsere Feinde im Kaukasus. R 21025.
თარგმანი გერმანულიდან.

№ 221

**საქართველოს განთავისუფლების კომიტეტის
წევრის, ლეო კერესელიძის წერილი ხსენებულ
კომიტეტს ბერლინში, მის მიერ კომიტეტის
დათოვებისა და კომიტეტის წევრების, მიხარტ
არსებულ კრებებში შესახებ**

1917 წლის 26 სექტემბერი
სოლოტერნი

ქართულ სეპარატისტულ კომიტეტს ბერლინში

მაქვ პატივი მოვახსენო კომიტეტს შემდეგი:

ბატონმა ვეზენდონკმა მაცნობა წერილით, რომ გერმანიის მთავრობამ თანახმად ქართულ სეპარატისტულ კომიტეტისა გადაწყვიტა უარი მითხრას პასპორტზე. ამნაირი ჩემდამი საქციელი პირადად ჩემ და საერთოთ კომიტეტის შეურაცხყოფათ მიმაჩნია. ჩემის აზრით, კომიტეტის მოვალეობა არის ამისთანა საქციელს პროტესტით უპასუხოს და დაუყოვნებლივ დაანებოს თავი ყოველივე მოქმედებას გერმანიაში.

მხოლოდ დარწმუნებული ვარ, რომ კომიტეტი ამნაირ ზომას არ მიიღებს და ამ შეურაცხყოფასაც ისე იკისრებს, როგორც იკისრა სხვა ბევრი. ამიტომ მაქვს პატივი ვაცნობო ქართულ სეპარატისტულ კომიტეტს, რომ მე ვწყვეტ ყოველივე კავშირს მასთან. ჩემის აზრით, კომიტეტი ღირსეულად ვერ ასრულებს თავის მოვალეობას. იგი, როგორც მომქმედი ქართული ერის განსაზღვრულ წრის სახელით, არავის არ უნდა აძლევდეს ნებას თავის დამცირების.

დავძენ, რომ არა მარტო ეს არის მიზეზი ჩემი კომიტეტთან კავშირის შეწყვეტისა. ამის მიზეზი მრავალია, რომლებიც ამ სამი წლის განმავლობაში გროვდებოდნენ და რომლებმაც ჩემი მოთმინების საწყაული ამ უკანასკნელ ვერაგობის დამატებით გაავსეს. უმთავრეს მიზეზებს ქვემოთ ჩამოვთვლი, მხოლოდ აქვე ვაცნობებ კომიტეტს, რომ გერმანიის მთავრობასაც ვაცნობე ოფიციალურად, რომ მასთან ყოველივე კავშირი გაწყვიტე. გარდა მაგისა ვაცნობებ კომიტეტს, რომ გერმანიის მთავრობის ჩემდამი საქციელს ვთვლი ვერაგობათ და მოლაღატეობათ, რომ მე ისეთ ზომემს მივიღებ მის წინაშე, რომლისაც ღირსია ვერაგი და მოლაღატე. მე ვარ წარმომადგენელი განსაზღვრულ პოლიტიკურ აზრისა, რომელსაც აქვს ალაგი საქართველოში და რომლებსაც იქ თავისი მიმდევრები ჰყავს და მაშასადამე, ვარ წარმომადგენელი ჩემი ერის ერთი ნაწილისა. როგორც ასეთს, არა მაქვს უფლება ავიტანო არავისგან, თუ გინდ ეს უდიდესი იმპერია იყოს, არავითარი შეურაცხყოფა. დღეს მე მილაღატეს და კომიტეტს შეურაცხ-

ყოფა მიაყენეს; თუკი კომიტეტი კისრულობს ამ შეურაცხყოფას, იგი აღარ არის კომიტეტი, არამედ უბრალო აგენტი. ამისთანა კომიტეტთან მე არაფერი საერთო არ მსურს და არც შემიძლიან ვიქონიო.

აგრეთვე ქვევით ჩამოვსთვლი იმ მოზეზებსაც, რამაც მაიძულა გერმანიის მთავრობასთან კავშირი შევწყვიტო. კომიტეტი, რომელიც ნებას აძლევს ვისმეს თავისი წევრის დამცირებისა, და განიხვლისას, რომელიც ხელსაც კი უწყობს ამისთანა საქციელს, კომიტეტის სახელის ტარების ღირსი არ არის. ყოველნაირი დამცირება ავიტანე კომიტეტისგან თითქმის უპირატესათ ჩუმათ, მაგრამ რაც შეეხება მას, რომ კომიტეტი მიშლის ჩემს სამშობლოში დაბრუნებას, რომ კომიტეტი მიშლის ბერლინში მისვლას ჩემ მოვალეობის შესასრულებლათ და კომიტეტთან ერთად მოღვაწეობას, ამას ვსთვლი ღალატათ, ვერაგობათ და კომიტეტსაც ისე მოვექცევი, როგორც მოღალატეს და ვერაგს და ეს სახალხოთ. აი სხვათაშორის დანარჩენი მიზეზებიც ჩემი კომიტეტიდან გამოსვლისა:

- 1) მას შემდეგ, რაც რუსეთში რევოლუცია მოხდა, რამდენიმე წევრმა კომიტეტისა იკისრა სხვა და სხვა საქმენი გერმანიის მთავრობისაგან დავალებული – და გარეშე კომიტეტის გადაწყვეტილებისა. ამნაირი საქციელი არ არის ღირსი კომიტეტისა, არამედ უბრალო აგენტისა.
- 2) ცხრა თვე ვიმყოფები შვეიცარიაში და ამ ხნის განმავლობაში კომიტეტმა არ მომწერა ერთი წერილიც, არ მომცა არც ერთი ცნობა საერთო საქმეების შესახებ, თუმცა ეს ძალიან ადვილი იყო მისთვის.
- 3) კომიტეტს კარგათ მოეხსენებოდა, რომ მე შვეიცარიაში ძალიან ავათმყოფი წამოვედი, დაჭრილი, ქარებიანი და ციებიანი, რომ მე ყოველივე ეს დამემართა საერთო საქმეზე მუშაობაში. მან კარგათ იცოდა, რომ მე არ მქონდა არავითარი სახსარი ცხოვრებისა და თავის წამლობისა, რომ მე აქ ჩემი ყოველივე სამუშაო დავკარგე. მიუხედავად ამისა, მან არც ერთხელ არ მიკითხა, არ იზრუნა ჩემზე და არც ერთხელ არ მოაგონა გერმანიის მთავრობას მის ჩემდამი მატერიალური მოვალეობა.
- 4) კომიტეტის თავმჯდომარის პოლიტიკის წყალობით, მთელი ჩვენი მოქმედება ტრაპიზონში და შემდეგ სამსუნში არსებობდა შულენბურგის და სხვა ინტრიგანების ბრძანების ქვეშ. კომიტეტმა დაკარგა ყოველივე ღირსება. გაუხდა მოსამსახურეთ და ლაქიათ მოზელს, შულენბურგს და სხვებს. თუ ეს მართალი არ არის, დეე ოსმან ბეგმა და მაღალაშვილმა სინდისის ქვეშ პირდაპირ კომიტეტის წინაშე თქვან.
- 5) იანვრის ბოლოს 1916 წელს ბატონმა სურგულაძემ ღალატით იმოქმედა ჩემ წინაშე შეგნებულათ და საერთო საქმეების წინაშე ალბათ შეუგნებლათ. ჩუმათ კომიტეტისა მოელაპარაკა შულენბურგს ჩემი სარდლობიდან გამოცვლის შესახებ. ამ ორმა გავლენა იქონიეს გ. მაჩაბელზე, რომელმაც ბერლინში ამხანაგების შეუკითხავათ წერილი მისწერა შულენბურგს, რომელშიც სწერდა, რომ თანახმაა, მე გამომცვალონ და ჩემ ადგილას დააყენონ შლიბაქი¹. (ეს უკანასკნელი ამბავი მე თვით შულენბურგიდან ვიცი.) ამნაირათ გადამაყენეს მე სარდლობიდან მთელი ლეგიონის ჯარისკაცების და აფიცრების სურვილის წინააღმდეგ. მას შემდეგ ლეგიონს აღარ უხეირია. ყოვე-

¹ იგულისხმება შლიფაკი ჰორსტ (Schliephack Horst).

ლივე კომიტეტში ამნაირ უკანონო საქციელს თავმჯდომარისას სცნობდა დანაშაულათ და მას პასუხის გებაში მისცემდა. ქართ[ველ] სეპ[არატისტთა] კომ[იტეტმა] კი ამ შემთხვევას არავითარი ყურადღება არ მიაქცია.

- 6) ჩემ შემდეგ სარდლათ, შულენბურგის ბრძანებით, კომიტეტმა დანიშნა ბატ[ონი] შლიბაქი, კაცი ლოთი, ბრიყვი და უვიცი. ამ უკანასკნელმა გახრ-
ნნა და დაარღვია ის დისციპლინა, რომელიც მე ლეგიონში დიდი ენერჯის დახარჯვის შემდეგ შევქენი.
- 7) შულენბურგის ბძანებითვე კომიტეტმა გადააყენა ლოთი შლიბაქი და სარ-
დლათ დანიშნა თვით შულენბურგი, კაცი ქურდი (ამისი დამადასტურებელი საბუთები მაქვს და კიდევ გამოვაქვეყნებ), ბოზი ზნეობრივათ და სრული-
ათ სუსტი ხასიათით, რომელიც ყველა ინტრიგანის გავლენის ქვეშ იმყო-
ფებოდა. ამ უკანასკნელმა გასწიხლა და დაამცირა ლეგიონი. აფიცრებზე გააბატონა გარუსებული გერმანელი ტყვეები და ამით დაარღვია ისედაც დარღვეული დისციპლინა. ყველა ამის არა თუ მონამე იყო კომიტეტი, არა-
მედ ხელის შემწყობი თავისი თავმჯდომარის სახით.
- 8) ბატ[ონმა] სურგულაძემ ცილი დაგვწამა ზურგთ უკან მე და ოსმან ბეგს, ვი-
თომ მე და მას სტამბულში ყოფნის დროს 1915 წ[ელს] კომიტეტის ფული ქეიფში და ბოზებში დაგვეხარჯოს და ამაზე ლეგიონის აფიცრებში ილაპა-
რაკა, ხმა გაავრცელა. ეს ამბავი მე ოსმან ბეგისგან ვიცი. ვთხოვ კომიტეტს შეეკითხოს მას. კომიტეტმა ყოველივე კი იცოდა და არც ერთხელ შენიშვ-
ნაც კი არ მისცა თავის თავმჯდომარეს მის უკადრის საქციელის გამო.
- 9) ჩემი სარდლობის მთელი დროს განმავლობაში ჯარში იყო სრული წესიერე-
ბა და დისციპლინა. თუმცა აფიცრები ნაკლები მყავდა, მაინც ჯარი მეჭირა ხელში ჩემი ძალით და ავტორიტეტით. ჩემ შემდეგ კი გერმანელებმა და-
არღვიეს ყოველივე დისციპლინა და ჯარი და აფიცრობა დაამცირეს. ქარ-
თული ლეგიონი უბრალო გერმანულ ბატალიონათ გადააქციეს, მხოლოდ დამცირებულ და უღირს ბატალიონათ. საზიზლარი და ამაღელვებელი საქ-
ციელია ეს, თავმოყვარეობის შემლახავი! მაგრამ ამას მიხვდება მხოლოდ ის, ვისაც სამხედრო თავმოყვარეობა აქვს! ჩვენ პოლიტიკას კი ისეთი კაცი აწარმოებდა, რომელიც დაბადებულია და აღზრდილი სოფლის მასწავლებ-
ლათ და რომელიც ჩვენ პოლიტიკურ მოღვაწეობაში და საშინელ მოცულ გარემოებაში მხოლოდ წვრილან მოვლენებს ხედავდა და მათზე დედაკა-
ცურ ზომებს იღებდა.

კომიტეტმა ჩუმათ, უპროტესტოთ მოითმინა ქართული ლეგიონის დამცი-
რება! მე პირადათ აღარ შემიძლიან მეტი მოთმინება. პოლონეთის ლეგიო-
ნის სარდალი საპყრობილეში გდია¹. მე მადლობის მაგიერ ღალატით გადა-
მაყენეს და დღეს პასპორტსაც არ მაძლევენ ჩემ სამშობლოში დავბრუნდე,
მაშინ როდესაც ათასი ჯაშუში და პროვოკატორი პატივის ცემით გაატარეს
გერმანიაზე. კმარა ამდენი დამცირება ღირსების! მოლაღატეები დაინახა-
ვენ, თუ მე პირუტყვი ვარ თუ ადამიანი, რომელსაც ენა და თავი მახია!

¹ იგულისხმება 1917 წელს გერმანელთა მიერ გერმანიასა და ავსტრია-უნგრეთის მხარეზე მე-
ბრძოლი პოლონური ლეგიონების მეთაურის, იუზეფ პილსუდსკის დაპატიმრება, მას შემდეგ, რაც
უკანასკნელმა კატეგორიულად მოითხოვა ხსენებულ იმპერიათა მთავრობების მიერ პოლონეთის
დამოუკიდებლობის აღიარება და საკითხის გადაუჭრელობის გამო, აუკრძალა პოლონელ ლეგიო-
ნერებს ავსტრია-უნგრეთისა და გერმანიისადმი სამხედრო ფიცის მიცემა.

მთელ დროს ჩემი სარდლობისა მხოლოდ 13 დეზერტირი იყო, ამათში 9 დავიჭირე და საშინელი სასჯელი მივაყენე და თუ დანარჩენები ვერ დავიჭირე, ეს იმიტომ, რომ დრო არ მქონდა. ისინი გაიქცნენ იანვრის ბოლოში და მერამდენიმე დღის შემდეგ სარდლობიდან გადამაყენეს. გერმანელი სარდლების დროს კი დეზერტირები ასობით გაჩნდნენ ჯარში (ჰკითხეთ ამაზე კაპიტან ოქროპირიძეს).

თუ ყოველივე ამ პუნქტში ჩამოთვლილი ნამდვილი არ არის, ვთხოვ კომიტეტს შეეკითხოს ლიოტენანტ ლაბაძეს, სუ-ლიოტენანტს¹ ლ. მარჯანიძეს, სუ-ლიოტენანტ დ. მშველიძეს, ასეულის გამგებელს არსენ ლაცაბერიძეს, პეტრეს, ლევან ჭყონიას და სხვებს.

- 10) 1916 წლის იანვრის ბოლოს რუსის ჯარი მოაწვა ლაზისტანს. ამ ფაქტმა ქარ[თულ] კომიტეტს ორი ალტერნატივა დაუტოვა. ან უნდა ლეგიონს მონაწილეობა მიეღო ბრძოლაში და ფრონტზე წასულიყო, ან უნდა დაეხია და სამსუნში დაბანაკებულიყო. ოსმალეთის ჯარის უფროსმა მაცნობა, რომ ოსმალს ჯარი და ლაზისტანი განსაცდელშია და ლეგიონი საჩქაროთ მამაშველეთ. ამ დროს ოსმალს შტაბისაგან 400 თოფი უკვე მიღებული გვექონდა და 600-700 უნდა აგველო.

მე ვიყავ ომში წასვლის მომხრე შემდეგი მოსაზრებით: ა) თუ ომში არ წავედით და თურქების ჯარს განსაცდელის დროს უღალატეთ, ამით ოსმალეთს მოვიმდურებთ და მათ თვალში ნდობას დავკარგავთ. პირიქით, თუ ომში წავედით, ეჭვს გარეშეა ჩვენი ჯარი თავს ისახელებს და ამითვე დავიმსახურებთ ნდობას ოსმალთა მთავრობის თვალში. ეს გაგვიადვილებს ოსმალეთთან პოლიტიკას და სხვათა შორის ნებას მოგვცემს ოსმალეთის მთავრობას მოვთხოვოთ ხელი შეუწყოს აჭარელების მობილიზაციაში, რაც ლეგიონს 1500-2000 კაცს შემატებდა. მაშასადამე, ომში თუნდაც ლეგიონის ნახევარი დაგვეკარგა (შეუძლებელია მთების ომში), მაინც კი მოგებულში ვიყავით (იმ დროს შემეძლო ომში წამეყვანა 700 კარგათ მომზადებული ჯარისკაცი). ბ) მთელ ლაზისტანს ლეგიონზე ეჭირა თვალი, მასზე დიდ იმედს ამყარებდა. ქართველებს ძმებად სთვლიდნენ ლაზები და ლეგიონის მათდამი დახმარება განამტკიცებდა ამ ჩვენდამი სიმპატიას. ომში არ წასვლით კი ჩვენ ვღალატობდით ლაზისტანს და უბრძოლველად რუსის ხელში ვადებდით. ე) დახევა და სამსუნში დაბანაკება მოუტანდა მეტ ზარალს ლეგიონს ვიდრე ომში წასვლა. რადგანაც უბრძოლველად უკან დახევა ჯარს ზნეობრივად გახრწნის და დეზორგანიზაციას აყენებს. გარდა მაგისა სამსუნის ციება ჯარს დაასნეულებს და შეგვიმცირებს.

ორთავე ასრულდა. დახევის შემდეგ გაჩნდა საშინელი ციებ-ცხელება და სხვა ავთამყოფობა ჯარში. დეზერტირები ასობით გაჩნდნენ. ომში წასვლის წინააღმდეგი იყო ბ[ატონი] შულენბურგი ნამდვილათ იმიტომ, რომ ეს მას ლეგიონის ბრძანებლობას ხელიდან გამოაცლიდა და ქურდობასაც და ფარფაშსაც აღარ შესძლებდა. მხოლოდ გარეგნულათ იმითი ასაბუთებდა, რომ ჩვენ მოვალე არა ვართ, რომ ოსმალეთი დავიცვათ, ჩვენ მაშინ მივიღებთ ომში მონაწილეობას, როცა ოსმალეთის ჯარი გაიმარჯვებს და საქართველოს საზღვარს გადალახავსო. ბატონი სურგულაძის, ე.ი. თავისი ერთგული გრა-

¹ Sous-lieutenant (ფრ.) – უმცროსი ლეიტენანტი.

მაფონის (ეს თუთიყუში რომ არა ვსთქვა) დახმარებით, შულენბურგმა თავისი გაიყვანა. მაგრამ რამდენად გულწრფელი იყო ამისი მოქცევა ეს იქიდანა სჩანს, რომ სწორეთ მაშინ როცა რუსებმა წინ წამოიწიეს, მან კომიტეტს ძალა დაატანა ლეგიონი მისი სარდლობის ქვეშ სივასში წაეყვანა საომრათ (სივასში!) და როცა კომიტეტი ვერ დაიყოლია, მაშინ ლეგიონი რუსების წინააღმდეგ ტრაბეზუნდსა და კირასუნდ შუა წაიყვანა (თუმცა ამ დროს ლეგიონს არავითარი ძალა აღარ ჰქონდა და სულ 200 კაციდან შედგებოდა). სირცხვილი იმ კომიტეტს, რომელიც თავის ძმებს ლაზებს უბრძოლველათ რუსებს უგდებს ხელში და ოსმალს მინებს კი იცავს! მაგრამ როგორც ზემოთ ვსთქვი, კომიტეტი როგორც ასეთი აღარ არსებობდა, იგი იყო მხოლოდ მონა და მორჩილი შულენბურგისა, მოზელისა, ფრიკესი და სხ[ვების]. ბერლინში მყოფი წევრები არასდროს არ შევიდნენ გამოძიებაში, თუ რათ მოხდა ყოველივე ეს, რა მიზეზები იყო ამისთანა უთავბოლოობისა და ბოროტ მოქმედებისა. ამისთანა კომიტეტის ყოფნას არ ყოფნა სჯობია.

- 11) კომიტეტის დაუდევრობით, პეტრე სურგულაძის პოლიტიკის წყალობით და მით, რომ რამდენიმე წევრი კომიტეტის ეწეოდა კერძო პოლიტიკას, საერთო საქმე მთლათ ნახდა და ლეგიონმა უსახელოთ, არა ბრძოლის ველზე, არამედ სამსუნის ციების და შულენბურგ მოზელის ბრჭყალებში დალია სული. აქვე უნდა დავძინო შემდეგი: ვიცი, რომ ზოგ ზოგი თავის გასამართლებლათ იტყვიან, რომ თუ ლაზისტანის დასაცველათ ლეგიონის ომში წასვლას წინ აღუდგნენ, ეს იმიტომ, რომ მაშინ ლეგიონი მზათ არ იყო სამხედროთ. ეს არის ლეგიონის ცილის წამება და ვინც ამას იტყვის, არის უკანასკნელი დაცემული და უსინდისო პიროვნება. ლეგიონი სრულიათ მზათ იყო საბრძოლველათ. ამის საბუთები:

1) 700-800 მთლათ განვრთნილი შევიდოდა ცეცხლში, რაც ავნი ფაშამ კარგათ იცოდა და კომიტეტს შეუძლიან შეეკითხოს მას. იმასვე დაამტკიცებს მთლათ ტრაბეზუნში¹ მყოფი ოსმალს შტაბი.

2) კომიტეტმა ნახოს მონმოზა გერმანიიდან მოსული ქართ[ველი] აფიცრებისა, რომელიც მონმოზს, რომ ლეგიონი განვრთნილი იყო საკმარისად. მონმოზა გ. მაჩაბელს დაუტოვე სტამბოლში და მას უნდა ჰქონდეს.

პირიქით, როცა შულენბურგმა წაიყვანა ჯარი ომში, ეს უკანასკნელი მართლაც ომში წასაყვანი არ იყო. იგი იყო დასნეულებული, დეზერციის² ჭირ მოდებული და მთელი ძალა ლეგიონის მგონი 200 კაცს არ აღემატებოდა, თუ არა ვცდები. დისციპლინა შერყეული იყო, აფიცრებს შორის მტრობა ჩამოვარდნილი (მოიგონეთ კიკნაძეს ინციდენტი), აფიცრებსა და სარდლის შუა უნდობლობა და სიძულე. დეე, ყველა ამაზე კომიტეტი შეეკითხოს ყველა აფიცრებს. ამასთან ჯარს ომში წასვლა კი არ ესაჭიროებოდა, არამედ ხანგრძლივი ზნეობრივი, ფიზიკური და დისციპლინარული წამლობა ავტორიტეტიან და სინდისიან სარდლის ხელ ქვევით.

გერმანიის მთავრობასთან მოღვაწეობას თავს ვანებებ შემდეგი მიზეზებით.

1) თავიდანვე უფროსათ გერ[მანიის] მთ[ავრობამ] დაგვინიშნა მოზელი. კაცი ქურდი, გარყვნილი, ზნეობრივათ გახრწნილი და ზნეობრივათ დაცემუ-

¹ იგულისხმება ტრაპიზონი.

² სიტყვიდან désertion (ფრ.) – დეზერტირობა.

ლი. მის თანაშემწეთ რუსი შმიტი¹, ქურდი ესეც. მეორე თანაშემწეთ კიშკე, თუმცა სინდისიანი, მაგრამ ფსიხიურათ მოშლილი. მოზელი ყოველნაირათ გვამცირებდა. კომიტეტს უწოდებდა სახალხოთ ღორის ძაღლს, canaille², merde³ და სხვ. და ამ საზიზღარმა პიროვნებამ გამოგვაკლო ყოველივე მოქმედებას.

2) გერმანიის მთავრობა დაგვპირდა იარაღს საქართველოსთვის, მაგრამ არცერთი თოფი არ მოგვცა და საქართველოს პროვინციების ასაჯანყებლათ კი ხელი შეგვანყობინა.

3) გერმანიის მთავრობა დაგვპირდა, რომ ოსმალეთის მთავრობას აიძულებდა ნება მოეცა ჩვენთვის დროებით მთავრობისა, შევიდოდით თუ არა საქართველოში. ამაშიც მოგვატყუა და გვიღალატა.

4) შემდეგ დაგვინიშნეს შულენბურგი და იმისი მრავალი ამალა. ყველა ამ ამალის წევრი საზიზღარი პიროვნება იყო. ყველა ამ ინტრიგანებმა დასცეს კომიტეტის პიროვნება და ავტორიტეტი. ჩაიდინეს საშინელი საქციელი, გამოაცალეს კომიტეტს ხელიდან ყოველი საქმე და გაუხდნენ მას ბატონათ.

5) შულენბურგმა თავის ამალით ღალატით გადამაყენეს სარდლობიდან, ჩაიგდეს ლეგიონი ხელში, დაამცირეს, გასწიხლეს, შეულახეს ქართველ აფიცრებს თავმოყვარეობა და შემდეგ დაარღვიეს ლეგიონი, გაივსეს რა საკმარისათ ჯიბეები.

6) ჩემ არაბეთში ყოფნის დროს საქმე მოწყობილი მქონდა კავკასიაში წასვლისა სპარსეთის პროვინცია ფერეიდანზე, სადაც იქაური ქართველები მიწყობდნენ ხელს და კავკასიასა და ოსმალეთ შუა რეგულიარ ფოსტის გამართვას მპირდებოდნენ. მხოლოდ იქ მუსულში⁴ მყოფ გერმანელების ინტრიგების გამო ბატონ შვაბნერმა, მაიორმა კოჰენმა და გერ[მანიის] კონსულმა ძალა დამატანეს, რომ ადერბეიჯანზე წავსულიყავ და თუ უარს ვეტყვოდი, დაპატიმრებით დამემუქრნენ. ამაში ორი თვე დამაგვიანეს, გამგზავნეს ციებიან ადგილას, საიდანაც მხოლოდ ორი ოფიცერი გავგზავნე და მე საშინლათ ავით გავხდდი და მას აქეთ ეხლაც ავითა ვარ და დარწმუნებული ვარ, ეს ავით მყოფობა ბოლოს მომიღებს.

7) გერმ[ანიის] მთ[ავრობამ] უარი მითხრა პასპორტზე, რითიც შეურაცყოფა მომაყენა მე, კომიტეტს და მთელ პარტიას.

დავძენ, რომ ყოველივე ბოროტ მოქმედებას გერ[მანიის] მთ[ავრობისა] ჩვენ საქმისადმი აშკარათ ვყოფ, რათა იცოდეს ყველამ და ერიდოს მსოფლიო მოღალატეს და ვერაგს.

ესთხოვ კომიტეტს ეს ჩემი წერილი კრებაზე იყოს წაკითხული.

ლეო კერესელიძე

Politisches Archiv des Auswärtigen Amtes (PA AA), Akten Betreffend den Krieg 1914, Unternehmungen und Aufwiegelungen gegen unsere Feinde im Kaukasus. R 21024.

¹ იგულისხმება ფონ შმიდტი ოსვალდ (von Schmidt Oswald).

² Canaille (ფრ.) – არამზადა, ნაძირალა.

³ Merde (ფრ.) – განავალი, მძღნერი.

⁴ იგულისხმება ქალაქი მოსული ერავში.

№ 222

**საქართველოს განთავისუფლების კომიტეტის
წევრის, მიხეილ წერეთლის გამოსამშვიდობებელი
წერილი იმავთუ კომიტეტის წევრ, გიორგი მაჩაბელს,
წყალქვეშა ნავით მისი და ექსპედიციის სხვა წევრების,
საქართველოს ნაპირისკენ გამგზავრების წინ**

1917 წლის 1 ოქტომბერი
კონსტანტინოპოლი

ძვირფასო გიორგი,

ჩვენ, ალბათ, ხვალ დილას გავემგზავრებით. თუმცა, თუ ხვალ ვერ შევძელით გამგზავრება, მაშინ ჩვენი მგზავრობის დრო გაურკვეველია და მე აქ მურად ბეის¹ დავავალებ მყისვე შეგატყობინოს, როდის გავემგზავრებით.

ჩვენ თან მიგვაქვს შემდეგი ნივთები: 100 ცალი რუსული ქვეითთა თოფი 28 700 ტყვიით, 100 ცალი ხელყუმბარა, დეტონატორები, კაფსულები და ფული (370 000 რუბლი). მაუზერის რევოლვერები აქ არ მოიპოვება, ამიტომ შეპირებულ 500 რევოლვერს ვერ წავიღებთ. მათი ბერლინიდან გამოგზავნას კი დიდი დრო დასჭირდება. ყოველ შემთხვევაში, მათი დალოდება არ შეგვიძლია.

განწყობა ჩვენთან არის საუკეთესო. მე ვეცდები, რომ ინფორმაცია U 6-დან² თავად და ასევე კაპიტნის საშუალებით გამოვგზავნო. ყველა შემთხვევაში, მალე გაიგებ ჩვენი ბედის შესახებ ყველაფერს. საქართველოდან ვეცდები, რომ შენ მოგანოდო ცნობები. უკვე ვიცი, თუ როგორ უნდა გაკეთდეს ეს.

ეცადეთ, რომ მეორე ექსპედიციის ორგანიზება ოდნავ უკეთესად შეძლოთ და იარაღი ჩამოიტანოთ საქართველოში. 60 000 თოფის ტრანსპორტირების გეგმა ჩვენ აქ ვერ შევიმუშავეთ. ჩვენ გვითხრეს, რომ ეს გეგმა გენერალურ შტაბთან და საადმირალო შტაბთან ერთად უნდა შემუშავდეს.

კარგად იყავი, ჩემო ძვირფასო მეგობარო! თუ უკან არ დავბრუნდები, არ დაივიწყო შენი ერთგული მეგობარი. გაუგზავნე ჩემი სადოქტორო ნაშრომი ბატონ საიდუმლო მრჩეველს, პროფესორ დოქტორ კ. ბეცოლდს³ ჰაიდელბერგში, ბრუკენშტრასე 45. მასალა დიდი და საკმაოდ საინტერესოა ასიროლოგიისთვის, ბატონი პროფესორი მას კარგად გამოიყენებს.

¹ იგულისხმება მაღალაშვილი (მაღალოვი) ნესტორი (მურად ბეი) (1882-1937).

² U 6 – უფრო ზუსტად SM U 6 (Seiner Majestät Unterseeboot 6) – მისი უდიდებულესობის წყალქვეშა ნავი 6 – გერმანული იმპერიული ფლოტის ბენზინსა და ელექტროენერგიაზე მომუშავე წყალქვეშა ნავი, რომელსაც პირველი მსოფლიო ომის დროს იყენებდნენ.

³ იგულისხმება ბეცოლდი კარლ (Bezold Carl) (1859-1922).

ბევრ მოკითხვას და კოცნას გიგზავნი შენ და მეგობრულ მოკითხვას შენს მეუღლეს. მოიკითხე ყველა ჩვენი მეგობარი გულითადად და უთხარი, იცოდნენ, რომ მე ჩემს მოვალეობას ვასრულებ და ჩემზე არ იდარდონ.

ჩვენთან საკმაოდ დაღლილობაა. ჩვენ უკვე დღეს დილით უნდა გავმგზავრებულყავით, მაგრამ მოხდა რაღაც, რამაც მგზავრობის გადადება გამოიწვია. იმედია ხვალ დილით გავმგზავრებით. ყველა შემთხვევაში ეს სირთულე ჩვენგან და ფლოტისგან სრულიად დამოუკიდებელი მიზეზითაა.

ყველა დავალება, რაც მე კომიტეტმა მომცა, შევასრულე.

ნახვამდის, დაელოდე მომდევნო ცნობებს. ჩვენ ყველაფერს ისე გავაკეთებთ, როგორც ბერლინში მოვილაპარაკეთ.

შენი მიხეილ ნერეთელი

მოკითხვა ყველა ჩვენს მეგობარს, შენ და ყველას, ვინც ბერლინშია.

Politisches Archiv des Auswärtigen Amtes (PA AA), Akten Betreffend den Krieg 1914, Unternehmungen und Aufwiegelingen gegen unsere Feinde im Kaukasus. R 21025.
თარგმანი გერმანულიდან.

№ 223

საქართველოს განთავისუფლების კომიტეტის წევრების, კედრე სურგულაძის და ბიორგი მაჩაბლის წერილი გერმანიის საბარეო საქმეთა სამინისტროს აღმოსავლეთის კოლიტიკის საკითხების რეფერატს, საიდუმლო მრჩეველ რუდოლფ ნადოლნის, ქართველ ძველთა გაზეთის გამოსვლის სიხშირის გაზრდისა და ქართველი ოფიცრებისთვის თანაბარი ანაზღაურების მიცემის აუცილებლობის შესახებ

1917 წლის 3 ოქტომბერი
ბერლინი

პატივცემულო ბატონო საიდუმლო მრჩეველო,

- 1) როგორც ბატონმა ფონ ნერეთელმა შემატყობინა, ქართული კომიტეტის მიერ ცოტა ხნის წინ შემოთავაზებული ხარჯები ბერლინის საინფორმაციო ბიუროსთან დაკავშირებით, დაკმაყოფილდა. კომიტეტი ითხოვს, რომ 500 მარკის ოდენობით თანხა ყოველთვიურად ამ მიზნით გადაიგზავნოს აღმოსავლეთის ცნობათა ბიუროს ხაზინაში.
- 2) ტყვეების გაზეთის შესახებ კომიტეტმა, ტყვეებს შორის ძალიან გაცოცხლებული ინტერესის გათვალისწინებით გადანყვიტა, რომ გაზეთი უკვე ამ დროიდან ყოველკვირეულად გამოვიდეს და უფრო დიდი პროპაგანდა წარიმართოს ბროშურებითაც. გარდა ამისა, ბევრი პროპაგანდისტული წერილი უნდა მომზადდეს საქართველოში გასავრცელებლად.
- 3) ასეთი გაფართოებული საქმიანობის გამო ჩვენ დაგვჭირდება მეორე ქართველი ასოთამკრეფი, რის გამოც გთხოვთ, ზაგანის ტყვეთა ბანაკში (ამჟამად ნოი-კოტბუსში) მყოფი ქართველის, გვარად ჭელაძის გათავისუფლებას და აქ ჩამოყვანის ნებართვას. ამავედროულად გთხოვთ, დამტკიცდეს მისთვის თვიური ხელფასი 250 მარკის ოდენობით. ხსენებული პირი არის ძალიან კარგი ასოთამკრეფი და უფრო მეტიც, ჩვენს აქამდე ასოთამკრეფთან სალომონ ვადაკურთან ტფილისიდან დამეგობრებულია. თავისი სრული თანხმობის შესახებ, ჭელაძემ უკვე გვაცნობა წერილობით.
- 4) ბოლოს კომიტეტს უნდა შემდეგი რამ გთხოვოთ. ბერლინში მყოფი ოფიცრებიდან 3 მათგანი არის კაპიტანი: დისეველი, მერკვილაძე და ბელელაშვილი. ისინი აქამდე, თუმცა შემთხვევითობის გამო, იღებდნენ სხვადასხვა ანაზღაურებას, მაგალითად 400 მარკას, 380 მარკას და 300 მარკას. კომი-

ტეტი ითხოვს, რომ სამ კაპიტანს ანაზღაურება ერთნაირად მიეცეს 400 მარკის ოდენობით. ეს იქნება თანაბარი აქამდე ქართულ ლეგიონში კაპიტანების მიერ მიღებული გასამრჯელოსი, რომლებიც ადრე ოცნახევარ თურქულ ლირას იღებდნენ.

ქართული კომიტეტის სახელით,
თქვენი ერთგული,
პ. სურგულაძე
თავადი გიორგი მაჩაბელი

Politisches Archiv des Auswärtigen Amts (PA AA), Akten Betreffend den Krieg 1914, Unternehmungen und Aufwiegelingen gegen unsere Feinde im Kaukasus. R 21025.
თარგმანი გერმანულიდან.

№ 224

**გერმანიის იმპერიის საბარეო საქმეთა სამინისტროს
ნოთა საქართველოს განთავისუფლების კომიტეტს,
გერმანიის და თურქეთის მთავრობათა კრინციკული
თანხმობის შესახებ, აღიარონ კავკასიელ ხალხთა
ფედერაციული სახელმწიფო, უკანასკნელის მიერ
საკუთარი სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის
ბამოცხადების შემთხვევაში**

1917 წლის 8 ოქტომბერი
ბერლინი

ამა წლის 26 ივლისს ქართულმა ეროვნულმა კომიტეტმა გერმანიის, ავსტრია-უნგრეთის, ბულგარეთის და ოტომანთა მთავრობას წარუდგინა მემორანდუმი დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფოს შექმნის შესახებ¹. აგვისტოსთვის განმავლობაში ქართველთა, თათართა და მთიელ ხალხთა წარმომადგენლები კავკასიიდან სტოკჰოლმში ჩამოვიდნენ, სადაც მოგვიტხრეს იმ ფაქტის შესახებ, რომ კავკასიაში არსებობს სერიოზული მოძრაობა, რომლის მიზანიც დამოუკიდებელი ფედერაციული რესპუბლიკის შექმნა არის, რომელიც სამი ცალკე სახელმწიფოსგან შედგება: – საქართველოსგან, თათართა კავშირისგან და ზემო კავკასიისგან. ხსენებულმა დელეგატებმა თხოვნით მიმართეს გერმანულ მთავრობას, რათა მან მათ ამ წამოწყებაში დახმარება გაუწიოს.

საიმპერიო მთავრობამ კავკასიის წარმომადგენლებს მათი თხოვნით განუცხადა, რომ იმ შემთხვევაში, თუკი რუსეთის ყოფილ ტერიტორიაზე კავკასიაში დამოუკიდებელი სახელმწიფო შეიქმნება და ოფიციალურ ურთიერთობებში შევა საიმპერიო მთავრობასთან, უკანასკნელი მზად იქნება აღიაროს ეს სახელმწიფო. ამ სახელმწიფოს ურთიერთობები მის მეზობლებთან, მონესრიგებულნი იქნებიან, ყველაზე გვიან, საზავო მოლაპარაკებების დროს. ოტომანთა მთავრობამ განუცხადა საიმპერიო ელჩს კონსტანტინოპოლში, რომ ის სრულიად ეთანხმება პასუხს, რომელიც გერმანულმა მთავრობამ კავკასიელ წარმომადგენლებს გასცა.

*Politisches Archiv des Auswärtigen Amtes (PA AA),
Akten Betreffend Russisch-Asien. Kaukasus.
R 11041.*

თარგმანი ფრანგულიდან.

¹ იხ. დოკ. 199.

№ 225

საქართველოს განთავისუფლების კომიტეტის წევრის,
მიხაილ წერეთლის წერილი კომიტეტის წევრს,
ბიორგი მარაბელს, საქართველოს სანაკიროზე
გერმანული წყალქვეშა ნავიდან საბრძოლო
საშუალებების გადმოღვივების შესახებ

1917 წლის 9 ოქტომბერი

ძვირფასო ბიორგი,

ჩვენ ახლა გადმოვსხედით ყველანი და ხმელეთზე გადავიტანეთ 100 თოფი. ახლავე გავგზავნით გემისკენ პატარა ნავს, ტყვია-წამლის და ხელყუმბარების მოსატანად. იმედია ესეც გამოვა. ყველაფერი კარგად მიდის. ჩვენი ხალხი შეეგვხვდა. შემდეგ ჯერზე გამოგვიგზავნეთ 1000 მაუზერის რევოლვერი 1 მილიონი ტყვიით. ასევე, თუ შესაძლებელია, კიდევ 100 ხელყუმბარა. შემდეგი მგზავრობა წყალქვეშა ნავით 15 ნოემბერს (გერმანელთა გაანგარიშებით) შედგება, ნავი იგივე ადგილზე უნდა მოვიდეს. ბატონმა კაპიტანმა შვარცმა¹ ყველაფერი იცის. აქ ყველაფერი საშინლად ძვირია. შემდეგ ჯერზე აუცილებლად გამოგვიგზავნეთ 1 000 000 რუბლი წყალქვეშა ნავით. გაგზავნეთ ყველა თოფი (60 000) კონსტანტინოპოლში და იქიდან კერასუნტში. იყიდეთ სამი სწრაფმავალი ძრავიანი ნავი და შეგვატყობინეთ, როცა ყველაფერი იქნება მზად. შემდეგ ვეცდებით იარაღის ტრანსპორტირების ორგანიზებას. მისწერეთ როსტოვში, რომ მოგვცენ ავტომანქანები და შეგვატყობინეთ, როდესაც თქვენ ამას მისწერთ. ზოგადი მდგომარეობა კარგია და კიდევ უფრო უკეთესობისკენ წავა, თუ ყველაფერს გააკეთებთ, რასაც ჩვენ გწერთ. ეროვნულ საკითხში ყველა პარტია და მომავალი დროებითი მთავრობა (სამხედრო სამინისტრო უკვე არსებობს საიდუმლოდ) ერთიანია. ჩვენ კიდევ მოგწერთ ყველაფერს ამომწურავად. ალბათ, ვინმეს შემდეგი წყალქვეშა ნავით ან სტოკჰოლმის გავლით გავაგზავნით. ჩვენი წყალქვეშა გემის ბატონი კაპიტანი, ოფიცრები და ეკიპაჟი ისე კარგად გვექცეოდნენ, რომ ძმა ვერ დაუმტკიცებს საკუთარ ძმას უკეთესად მეგობრობას.

ხვალ გავალთ. ეცადეთ ყველა საშუალებით მუდმივად ჩვენთან კავშირში იყოთ.

თქვენი მიხაილო

*Politisches Archiv des Auswärtigen Amtes (PA AA), Akten Betreffend den Krieg 1914,
Unternehmungen und Aufwiegelungen gegen unsere Feinde im Kaukasus. R 21025.
თარგმანი გერმანულიდან.*

¹ იგულისხმება შვარცი კურტ (Schwarz Kurt) (1889-?).

№ 226

ბერმანიის იმპერიის სამხედრო-საზღვაო ძალების
წყალქვეშა ნავის SM UB 42-ს კაპიტნის,
ობერ-ლეიტენანტ კურდ შვარცის მოხსენება ბერმანიის
სამხედრო-საზღვაო სამინისტროს,
„ანბარიში წყალქვეშა ნავის SM UB 42-ს
მიერ კავკასიის სანაპიროზე ქართველ აგენტთა
გადმოსხმის შესახებ“

1917 წლის ოქტომბრის მეორე ნახევარი
კონსტანტინოპოლი

სრულიად საიდუმლოდ

I. მომზადება:

14 სექტემბერს მაღალ მეთაურთა ბერლინში ყოფნის დროს, ადმირალის შტაბ-სა და სამხედრო სამინისტროს შორის მიღწეულ იქნა შეთანხმება, კავკასიაში ქართველთა გამანთავისუფლებელ მისწრაფებათა ხელშეწყობის მიზნით აგენტები, სამხედრო მასალით, წყალქვეშა ნავის მეშვეობით კავკასიის სანაპიროზე გადმოგვესვა. წინასწარი მომზადება უკვე ჩატარებულ იქნა ქართველ აგენტთა მიერ, რომლებიც სტოკჰოლმის გავლით რუსეთიდან ბერლინში გაემგზავრნენ. სამხედრო სამინისტროს მიერ მოცემულ იქნა შემდეგი მითითებები.

პირველი წყალქვეშა ნავის ტვირთი უნდა შეიცავდეს:

1. ფულს (500 000 რუბლის ოდენობით).
2. ასაფეთქებელ მასალას (400-500 კილოგრამს, მონყობილობასთან ერთად).
3. ხელყუმბარებს (500 ცალს).
4. მაუზერის წარმოების რევოლვერებს, ტყვიებთან ერთად (30 000 – 50 000 ცალის ოდენობით).
5. შაშხანებს ტყვია-წამლით (წყალქვეშა ნავზე ადგილის არსებობისა და მისი წონითი შესაძლებლობის გათვალისწინებით).

წყალქვეშა ნავს თან აცილებს 6 ქართველი აგენტი.

პაროლი: ჩვენი მხრიდან: – მაკენზენი.

მათი მხრიდან: – ჰინდენბურგი.

შემდგომი ტრანსპორტირების შესახებ ადგილზე უნდა მოგველაპარაკა, ისევე

როგორც ყველაფერ იმის შესახებ, რაც შეეხებოდა ქართული აჯანყების ორგანიზაციასა და დროს.

განსახილველი იყო ჭურბასთან უმავთულო რადიოსადგურის შექმნა.

1 ოქტომბრიდან (ჩვენი წელთაღრიცხვით) ქართული სამხედრო ორგანიზაციის¹ წარმომადგენლები ელოდებიან პირველი წყალქვეშა ნავის მოსვლას პირველ გადმოსასხმელ ადგილას, მდინარე ჭურბას შესართავის სამხრეთით (მდინარე ხობის შენაკადთან), – რედუტ-კალეს² ჩრდილოეთით. გადმოსასხმელი ადგილი ჭურბას შესართავთან, ცეცხლის სიგნალით (მეთევზის ქვაბის ქვეშ დანთებული ცეცხლის მეშვეობით), დაახლოებით საღამოს 9 საათისთვის უნდა ყოფილიყო მოცემული. გადმოსასხმელი ადგილი მდებარეობს ტერიტორიაზე, რომელიც ეკუთვნის ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წევრს, ბესარიონ გვალისა³ და ულრანი ტყეებით არის გარემოცული. ხმელეთის მხრიდან უსაფრთხოების უზრუნველყოფაზე, გადასასხდომ ნავეებზე და ა.შ. ზრუნავენ ქართველები.

მეორე გადმოსასხმელი ადგილი, რომელიც დიდი ტვირთის მისაღებად არის განკუთვნილი, ფრონტის ჩრდილოეთით, სამეგრელოში გუდავასთან (გუდავსკისთან) მდებარეობს, მარლანიას მამულში. აქ ის სამ დიდ (მჩატე) სანდალს მოამზადებს, რომლებსაც ზღვაში შეეძლებათ გასვლა, რის გამოც იმ ადგილას სატრანსპორტო გემს არ დასჭირდება სანაპირომდე მისვლა, არამედ გადატვირთვას ღია ზღვაში განახორციელებს.

ტვირთის წყალქვეშა ნავით ტრანსპორტირებისთვის, გადმოსხდომის მხოლოდ პირველი ადგილი უნდა იქნეს განხილული.

გადმოსხდომის მეორე ადგილას განხორციელების შემთხვევაში, ეს ოპერაცია წარიმართება კონსტანტინოპოლისგან დამოუკიდებლად და მისი დახმარების გარეშე, ადმირალის შტაბის, კერძოდ კი, კონსტანცას სამხედრო-საზღვაო განყოფილების მიერ. ამ მიზეზით ქართველებს შეძლებისდაგვარად სურდათ ეცადათ, ერთ-ერთი კავკასიის ნაპირებთან მოცურავე რუსული გემი, ქრთამის დახმარებით თუ ძალის გამოყენებით ხელში ეგდოთ და ის შემდგომ კონსტანცაში გაეგზავნათ. ამ გეგმის განხორციელების შემთხვევაში, კონსტანცაში გემზე სამხედრო მასალა უნდა დატვირთულიყო, რომელიც გადმოსხდომის მეორე ადგილას დაიცლებოდა. ამრიგად, ქართველებს გემის ამგვარად გამყენების იმედი ჰქონდათ.

II. განხორციელება:

ოპერაციის განხორციელებისთვის წყალქვეშა ნავი SM UB 42 იქნა არჩეული, რომელიც ოქტომბრის დასაწყისისთვის მზად იყო ზღვაში გასასვლელად. აგენტთა ჩამოსვლა ადმირალის შტაბის შემდეგი ტელეგრამით გვამცნეს:

„შლუბახთან⁴ მოლაპარაკებული ოპერაცია შემდეგნაირად განვითარდება:

¹ ტექსტში შეცდომით: – ქართული სამხედრო სახელმწიფოს.

² რედუტ-კალე – რუსთა მიერ 1804 წელს საქართველოს სანაპიროზე ქ. ფოთიდან 17 ვერსით ჩრდილოეთით მდინარე ხობისწყლის შესართავთან აშენებული ციხესიმაგრე. ამჟამად – ქ. ყულევი.

³ არ არის გამორიცხული, იგულისხმება გვალა ბესარიონ ბეჟანის ძე – 1902 წლიდან ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ნამდვილი წევრი.

⁴ შლუბახი ერიკ ვალდემარ (Schlubach Eric Waldemar).

26 სექტემბერს ბერლინიდან კონსტანტინოპოლში შემდეგი ხალხი გაემგზავრება: ექვსი ქართველი. ხალხს გაუძღვება ბერლინის ქართული კომიტეტის თავმჯდომარე ბატონი მიხეილ წერეთელი. ხალხი შლუზახთან გამოცხადდება. გამგზავრება შეიძლება შედგეს 30 სექტემბერს. დაპირებული ტვირთი სამხედრო სრულუფლებიანი წარმომადგენლის მიერ [...]¹. გთხოვთ, მოელაპარაკეთ წერეთელს, როგორ შეიძლება განხორციელებულ იქნეს შემდგომი ოპერაციები“.

30 სექტემბერს კონსტანტინოპოლში სამხედრო-საზღვაო ძალების მეთაურმა, წყალქვეშა ნავის SM UB 42-ს კაპიტანმა, ბატონმა წერეთელმა და ოსმან ბეიმ² დანვრილებით დეტალებზე მოილაპარაკეს.

ამასობაში, სამხედრო სრულუფლებიანმა წარმომადგენელმა თურქული სამხედრო სამინისტროსგან შემდეგი სამხედრო მასალა მიიღო:

300 ყუთებში ჩაუნყობელი რუსული შაშხანა	2 000 კილოგრამი.
100 000 რუსული შაშხანის პატრონი 100 ყუთში	3 000 [კილოგრამი].
500 ხელყუმბარა 20 ყუთში	540 [კილოგრამი].
400 კილოგრამი ასაფეთქებელი მასალა 16 ყუთში	480 [კილოგრამი].
მთლიანად 136 ყუთი	6 020 კილოგრამი.

ვინაიდან წყალქვეშა ნავს SM UB 42-ს, ორივე სათადარიგო ტორპედოს დატოვების შემთხვევაშიც კი, მხოლოდ 2,5 ტონის დატვირთვა შეეძლო, ნამოღებული იქნა:

- 100 შაშხანა შესაბამისი აქსესუარით.
- 33 ყუთი პატრონებით (თითოში – 900 ცალი, სულ – 29 700 პატრონი).
- 5 რევოლვერი აქსესუარით და 1000 პატრონით.
- 1 ყუთი ასაფეთქებელი მასალით.
- 1 ყუთი ხელსაწყოების.
- 370 000 რუბლი.

სამწუხაროდ, ჩვენ შევძელით გვეშოვა საბრძოლო კრეისერ „გებენზე“ მხოლოდ 5 ცალი რევოლვერი ათასი პატრონით, რომლებიც სურდათ ქართველებს.

ბოსფორის შესასვლელის ნაღმებით ახალი დანაგვიანების გამო, წყალქვეშა ნავმა SM UB 42-მა მხოლოდ 4 ოქტომბერს შეძლო შავი ზღვის აღმოსავლეთ ნაწილში გაეცურა. ბორტზე 5 აგენტი იმყოფებოდა, მათ შორის, ბატონები წერეთელი და ოსმან ბეი.

მგზავრობის დროს მომხდარ ამბებს აღწერს წყალქვეშა ნავის SM UB 42-ის კაპიტანი, თავის სამხედრო დღიურში:

„1917 წლის 8 ოქტომბერი. დღის მეორე ნახევრის 4 საათი და 50 წუთი. ბორტის მარცხენა მხარეს წინ მოჩანან კავკასიის მთები, ხოლო ბორტის მარჯვენა მხარეს – მთები ბათუმთან. ჩაყვინთვა. შუა დღის განმავლობაში მივედით ნაპირთან და დავშორდით მას. გადმოსხდომის ადგილი დავადგინეთ.“

დღის მეორე ნახევრის 6 საათი. ამოყვინთედ. ანათებს ფოთის შუქურა. კომისიის³ ერთი წევრი გადასხმულია.

¹ ტექსტის რამდენიმე სიტყვა არ იკითხება.

² იგულისხმება ქარცივაძე მელიტონ (ოსმან ბეი).

³ როგორც ჩანს, იგულისხმება კომიტეტის.

სალამოს 10 საათი და 25 წუთი. ნავი ხმელეთიდან ბრუნდება უკან. წყალქვეშა ნავი შემდეგ სალამოს იმავე ადგილას უნდა იდგეს. ამ დროს ტვირთის წასაღებად ხმელეთიდან ნავი მოვა. გადმოსხდომისთვის ბატარეები დაცლილია სანაპიროს წინ.

1917 წლის 9 ოქტომბერი. დილის 2 საათი და 30 წუთი. ავიღეთ კურსი სანაპიროსკენ. ჩავყვინთედ. 23 მეტრის სიღრმეზე დავწექით გრუნტზე.

დღის მეორე ნახევრის 4 საათი. მიმოვიხედეთ ირგვლივ. წოლის ადგილი გადმოსხდომის ადგილის წინ გადავიტანეთ.

სალამოს 6 საათი 30 წუთი. ამოყვინთვა. სანაპიროდან ნავი ნელი ტემპით მოდის. ქართული კომისია სანაპიროზეა გადმოსხმული. ტვირთიც, რამდენადაც შესაძლებელია, გადატვირთული“.

ტვირთის ნავით წაღება შეწყვეტილ იქნა სანაპიროდან მას შემდეგ, რაც გადავტვირთეთ:

90 შაშხანა აქსესუარებით.

21 ყუთი პატრონებით – 18 900 ცალი.

5 რევოლვერი აქსესუარით და 1000 პატრონით.

1 ყუთი ასაფეთქებელი მასალით.

1 ყუთი ხელსაწყოებით.

370 000 რუბლი.

არ არსებობს არავითარი მონაცემები, რომ ოპერაცია რუსთა მიერ იქნა შემჩნეული.

III. შემდგომი გეგმები:

ქართველებმა გვთხოვეს ნოემბრის შუა რიცხვებში იმავე გადმოსხდომის ადგილას წყალქვეშა ნავის ახალი ვიზიტის შესახებ. წყალქვეშა ნავს SM UB 42-ს, დაახლოებით 8 ნიემბრისთვის შეუძლია მზად იყოს ამ ოპერაციისათვის. ქართველებს განსაკუთრებით სურთ რევოლვერების, მათ პატრონებთან ერთად მიღება, რადგან დიდი რაოდენობით შაშხანების, მათ პატრონთა ყუთებთან ერთად, ისევე როგორც ხელყუმბარების ყუთის ტრანსპორტირება, ცუდი სახმელეთო გზის გამო ძალიან დამამძიმებელი და თვალშისაცემია.

ადგილობრივ სრულუფლებიან სამხედრო წარმომადგენელს ვთხოვეთ, უპირველეს ყოვლისა ბერლინში სამხედრო სამინისტროში ტელეგრაფით 500 რევოლვერი, თავის პატრონებთან ერთად შეეკვეთა, რათა ისინი 5 ნოემბრამდე კონსტანტინოპოლში ჩამოსულიყვნენ.

მოლაპარაკება ქართული აჯანყების ორგანიზაციისა და დროის შესახებ, ისევე როგორც რადიოსადგურის დაყენების თაობაზე, ჯერ-ჯერობით არ მომხდარა. მოვლენათა შემდგომი განვითარება დამოკიდებულია აგენტთა წარმატებებზე და ცნობებზე, რომლებსაც ისინი მოგვანვდიან ხმელეთიდან, წყალქვეშა ნავის მეორე ვიზიტის დროს.

შვარცი

Bundesarchiv-Militärarchiv (BArch), Freiburg im Breisgau, RM 3/11137.

თარგმანი გერმანულიდან.

№ 227

საქართველოს განთავისუფლების კომიტეტის
წევრების, კედრე სურგულაძის და ბიორგი მაჩაბლის
წერილი გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს,
ქართული ლეგიონის წევრების, ოჯახებისთვის
დახმარების განხილვის შესახებ

1917 წლის 22 ოქტომბერი
ბერლინი

რამდენიმე ხნის წინ, ბატონ საიდუმლო მრჩეველ ნადოლნისთან მოლაპარაკებულ საკითხზე, კონსტანტინოპოლში მყოფი ქართული ლეგიონის ოფიცრების ოჯახების დახმარების შესახებ, ქართული კომიტეტი გთხოვთ:

წერეთლის ცოლს, რომლის ქმარი ვანო წერეთელი ქართულ ლეგიონში სამსახურისას მოკლეს თურქეთში, მისი მუდმივი დახმარების გარდა, მიეცეს ერთჯერადი სახით 20 თურქული ლირა.

ცაგურიშვილის¹ ცოლს, რომლის ქმარი ლეო კერესელიძის მიერ იქნა ბაღდადიდან საქართველოში გაგზავნილი, სადაც ის ამ წუთას ქართული საქმის გამო იმყოფება, გადაუხადონ დანამატი ყოველთვიურად 3 თურქული ლირის ოდენობით.

ქართული კომიტეტის სახელით,
პ. სურგულაძე
თავადი მანაბელი

Politisches Archiv des Auswärtigen Amts (PA AA), Akten Betreffend den Krieg 1914, Unternehmungen und Aufwiegelungen gegen unsere Feinde im Kaukasus. R 21025.
თარგმანი გერმანულიდან.

¹ იგულისხმება ცაგურიშვილი ალექსანდრე.

№ 228

საქართველოს განთავისუფლების კომიტეტის
წევრების, კედრე სურგულაძის და გიორგი მაჩაბლის
წერილი გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს,
ქართული ლეგიონის რაზმდანიმე წევრისთვის
აღმოსაჩენი დახმარების შესახებ

1917 წლის 22 ოქტომბერი
ბერლინი

გენერალური შტაბის პოლიტიკის სექციასთან შეთანხმების შესაბამისად, ქართული კომიტეტი ითხოვს ოფიცრის მოადგილე ნიკოლაიშვილის სწრაფად ზალცვედელიდან ბერლინში გადაყვანას, მისი ამჟამინდელი თვითური ხელფასის (260 მარკა) შენარჩუნებით. ხსენებული პირი იმუშავებს აქ ქართულ გაზეთში.

ქართული ლეგიონის ორივე დარჩენილმა ოფიცერმა, მუსტაფაევმა და შევი ოღლიმ სურვილი გამოთქვეს, თურქეთში უკან იყვნენ გაგზავნილნი. რადგან ეს საკითხიც პოლიტიკის სექციაში უკვე მოლაპარაკებული არის, ქართული კომიტეტი ითხოვს, რომ ორივე ბატონს მიეცეს კონსტანტინოპოლში გამგზავრების საშუალება და მიეცეთ, წინასწარი გადახდით, 3 თვის ხელფასი და თავისუფალი მგზავრობის გარანტია.

კონსტანტინოპოლში პატიმრობიდან გათავისუფლებული უფროსი ლეიტენანტი სურამელი, რომელმაც ქართველი ლეგიონერი მოკლა სამხედრო მოვალეობაზე თავის არიდების მიზეზით, სთხოვს კომიტეტს, რომ მისცენ მას დროებით კონსტანტინოპოლში გაჩერების საშუალება და მისი ყოველთვიური ხელფასი 340 მარკის ოდენობით კონსტანტინოპოლში გერმანიის საელჩოს მეშვეობით კვლავ გადაურიცხონ.

ქართული კომიტეტის სახელით,
პ. სურგულაძე
თავადი მაჩაბელი

*Politisches Archiv des Auswärtigen Amts (PA AA), Akten Betreffend den Krieg 1914,
Unternehmungen und Aufwiegelungen gegen unsere Feinde im Kaukasus. R 21025.
თარგმანი გერმანულიდან.*

№ 229

საქართველოს განთავისუფლების კომიტეტის წევრის,
გიორგი მაჩაბლის წერილი და ხარჯთაღრიცხვა
პროფესორ ოიბენ მიტვოსს, გერმანიის საბარეო
საქმეთა სამინისტროს აღმოსავლეთის ცნობათა
ბიუროს დირექტორს, ქართული კომიტეტის ფინანსურ
საქმიანობასთან დაკავშირებით

1917 წლის 22 ოქტომბერი
ბერლინი

პატივცემულო ბატონო პროფესორო!

- A) ჩვენი ბოლო მოლაპარაკების თანახმად, ქართული კომიტეტი გთხოვთ ბერლინში მყოფი 7 ქართველი ოფიცრისთვის სამოქალაქო ტანსაცმლის შესაძენად თითოზე 500 მარკის, მთლიანობაში კი 3 500 მარკის ლეგაციის სალაროზე გადმოგზავნას, რადგან ისინი თურქეთიდან ჩამოვიდნენ აქ საჭირო სამოქალაქო ტანსაცმლის გარეშე.
- B) ასევე, კომიტეტი ითხოვს, რომ ბატონ ალექსანდრე გოზალიშვილს, რომელიც აქამდე თვიურად 300 მარკას იღებდა, მიეცეს თვიურად 400 მარკა. ასევე ბატონ სალომონ ვადაკურს, 250 მარკის ნაცვლად მიეცეს თვიურად 350 მარკა. ეს უკანასკნელი უკვე ორ წელიწადზე მეტია „ქართულ გაზეთში“ მუშაობს და ყოველმხრივ დაამტკიცა თავისი ფასი და დიდი სამსახური გაუწია „ქართულ გაზეთს“.
- C) და ბოლოს, კომიტეტი გთხოვთ, როგორც მე უკვე მოვილაპარაკე თქვენთან, 1 ნოემბრიდან ყველას ხელფასები და სხვა დოტაციები კომიტეტს გადაუხადოთ. უფრო მცირედი ხარჯებისთვის, წინასწარ დაუგეგმავი შემთხვევებისთვის, მგზავრობებისთვის, ავადმყოფობებისთვის და სხვ. კომიტეტი გთხოვთ თვიურად 1000 მარკის ოდენობის დაწესებას, რაც ზემოხსენებულ ხარჯებთან ერთად ყოველთვიურად იქნება მისაღები.

ქართული კომიტეტის სახელით,
თავადი გიორგი მაჩაბელი

1917 წლის 22 ოქტომბრის წერილის დანართი:

მთლიანობაში საქართველოს საკითხთან დაკავშირებული სხვადასხვა ხელფასები და დამატებით ხარჯები:

	აქამდელი ჯამაგირი	მომატებული თანხა
პ. სურგულაძე	500 მარკა	
ა. გოზალიშვილი	300 [მარკა]	100 მარკა
გ. კერესელიძე	400 [მარკა]	
რ. ნიჟარაძე	300 [მარკა]	
ა. ანჯაფარიძე	300 [მარკა]	
ს. ვადაკური	250 [მარკა]	100 [მარკა]
გ. დისეველი (კაპიტანი)	400 [მარკა]	
კაპიტანი მერკვილაძე	380 [მარკა]	20 [მარკა]
კაპიტანი ბელელაშვილი	300 [მარკა]	100 [მარკა]
უფროსი ლეიტენანტი ჩახრუხაძე	340 [მარკა]	
ჩაჩავა	340 [მარკა]	
ლეიტენანტი ირემაძე	300 [მარკა]	
ვარშანიძე	260 [მარკა]	40 [მარკა]
„ქართული გაზეთი“	350 [მარკა]	
საინფორმაციო ბიურო	500 [მარკა]	
საერთო ხარჯები		1000 [მარკა]
	5 220 [მარკა]	1 360 [მარკა]
გაზრდილი ხარჯი: 1 360 [მარკა]		
ერთობლიობაში: 6 580 [მარკა]		

Politisches Archiv des Auswärtigen Amts (PA AA), Akten Betreffend den Krieg 1914, Unternehmungen und Aufwiegelingen gegen unsere Feinde im Kaukasus. R 21025.
თარგმანი გერმანულიდან.

№ 230

საქართველოს განთავისუფლების კომიტეტის წევრის,
 ბიორგი მაჩაბლის მოხსენებითი ბარათი კაპიტან
 ერნსტ ფონ ჰიულსენს, გერმანიის არმიის სახმელეთო
 ძალების გენერალური შტაბის პოლიტიკის საქციის
 უფროსს, საქართველოში გერმანული წყალქვეშა
 ნავით გასაგზავნი მორიგი არალეგალური ექსპედიციის
 პირადი შემადგენლობისა და ამასთან დაკავშირებით
 მისაღები ზომების შესახებ

1917 წლის 27 ოქტომბერი
 ბერლინი

ღრმად პატივცემულო ბატონო კაპიტანო!

ბატონ სურგულაძის ხელმძღვანელობის ქვეშ მყოფ შემდეგ ქართულ ექსპედი-
 ციაში მონაწილეობას მიიღებენ შემდეგი ბატონები:

ბერლინში მყოფ ოფიცერთაგან:

- 1) ჩახრუხაძე და
- 2) ირემაძე
- 3) ჰანოვერ-მიუნდენის ტყვეთა ბანაკში მყოფ ოფიცერთაგან, უფროსი ლეი-
 ტენანტი სიამაშვილი, რომლის განთავისუფლებასაც ითხოვს კომიტეტი,
 რადგან დრო კონსტანტინოპოლში მისი გამგზავრებისთვის ფრიად მცირე
 რჩება. კონსტანტინოპოლში ექსპედიციას შეუერთდება ერთი, აქ მხედვე-
 ლობაში მიღებულ ორ ბატონთაგან. კერძოდ, ან ბატონი შალვა ვარდიძე
 (ადგილობრივი ქართული მონასტრისგან), ან ტყვეობიდან განთავისუფ-
 ლებული უფროსი ლეიტენანტი სურამელი. საბოლოო გადაწყვეტილებას
 ამის შესახებ, მიიღებს კონსტანტინოპოლში ბატონი სურგულაძე.

ამ ექსპედიციის აღჭურვილობა იქნება ყველა დეტალში იგივე, რაც წინათ, და
 პოლიტიკის სექციისთვის ცნობილია.

მონაწილეთა პირადი ხარჯების, ასევე მათი ადგილობრივი ვალების, მგზავ-
 რობისა და კონსტანტინოპოლში ყოფნის დასაფარავად, საჭირო არის 5000 მარკა,
 რაც გულისხმობს თანხის სასწრაფოდ გამოგზავნას. ეს თანხა ნაწილდება შემ-
 დეგნაირად: ბატონ სურგულაძეს – 1500 მარკა, თითოეული 3 ხსენებული ოფიც-
 რისთვის – 1000 მარკა. გაუთვალისწინებელი ხარჯებისთვის – 500 მარკა. ექს-

პედიციის ხუთ მონაწილეთა კონსტანტინოპოლში აღჭურვისთვის, ზომებს იქვე მიიღებს ბატონი სურგულაძე.

დღეს დილით, მივიღე ბატონ წერეთლის 4 ოქტომბრის წერილი¹, რომელშიც ის მატყობინებს, რომ ყველაფერი კარგად მიდის. ხალხმა შეძლო ჩვენს მეგობრებთან შეხვედრა. საერთო პოლიტიკური მდგომარეობაც მშვენიერია. ეროვნულ საკითხში ყველა პარტია ერთიანია და მომავალი დროებითი მთავრობა (სამხედრო სამინისტროს ჩათვლით) უკვე არსებობს საიდუმლოდ.

ბატონი წერეთელი დაჟინებით ითხოვს მეორე ექსპედიციასთან ერთად 1000 000 [რუბლის] გამოგზავნას. ქვეყანაში საშინელი საყოველთაო სიძვირეა. გარდა ამისა, ის აყენებს იარაღის გაგზავნის წინადადებასაც, რომლის შესახებ პირადად მსურს გესაუბროთ.

ქართული კომიტეტის სახელით,
თავადი გიორგი მაჩაბელი

*Politisches Archiv des Auswärtigen Amts (PA AA), Akten Betreffend den Krieg 1914,
Unternehmungen und Aufwiegungen gegen unsere Feinde im Kaukasus. R 21025.
თარგმანი გერმანულიდან.*

¹ როგორც ჩანს, იგულისხმება 1917 წლის 9 ოქტომბრის წერილი. იხ. დოკ. 225.

№ 231

საქართველოს განთავისუფლების კომიტეტის წევრის,
გიორგი მაჩაბლის წერილი ოტო გიუნდერ ფონ ვეზენდორფს,
გერმანიის იმპერიის საგარეო საქმეთა სამინისტროს
ლეგაციის მრჩეველს და ახლო აღმოსავლეთის საქმეთა
რეფერატს, ვასილ დუმბაძის მიერ რუსულ გაზეთებში
გამოქვეყნებული ინფორმაციების შესახებ

1917 წლის 10 ნოემბერი
[ბერლინი]

პატივცემულო ბატონო ბარონ!

დუმბაძის საქმეზე მინდა შემდეგი განმარტება გავაკეთო:

დუმბაძის ცნობების შესახებ, რამაც სუხომლინოვის პროცესში გარკვეული როლი ითამაშა, სხვადასხვა რუსულ გაზეთებში სხვადასხვა ინფორმაციები გამოქვეყნდა, რომელთაგან შეუძლებელია საერთო სურათის დანახვა. მხოლოდ ერთია ცხადი, რომ ცნობებში წარმოდგენილი საგნები, დიდწილად ჰაერიდანაა მოტანილი. ეს მოსაზრებები, სავარაუდოდ, იქით უნდა იყოს მიმართული, რომ მას რუსეთის სამხედრო სამინისტროს და გენერალური შტაბის ნდობა მოუპოვოს. სხვათა შორის, მას ამით ასევე უნდოდა მიეღო საზღვარგარეთ შეუზღუდავი მოგზაურობების უფლება, რითაც საშუალება მიეცემოდა გარკვეულ სტრუქტურასთან ერთად ემუშავა ბერლინში.

ეს შესაბამისი სტრუქტურა, რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, მას თავის წერილებში არსად გაუმჟღავნებია. თუმცა, მე შესაბამისი სტრუქტურაში თავად გავიგე, რომ იქ მისი საქმიანობით ძალიან კმაყოფილნი არიან და რომ მან, სინამდვილეში, კარგი სამსახური შეასრულა.

მისი მოხსენების საკმაოდ უხეში დეტალები, რომლებთან მე მცირედითაც კი არ მაქვს შეხება, მხოლოდ ახლა გახდა ჩემთვის ცნობილი რუსული გაზეთების ინფორმაციებიდან სუხომლინოვის პროცესის შესახებ. ისინი თავად რუსეთშიც არასანდოდაა მიჩნეულნი და მას, სამწუხაროდ, უფრო გრძელვადიანი მოსახდელი სასჯელი მოუტანეს.

შემიძლია მხოლოდ გავიმეორო, რომ მის მიერ მოყვანილი ყველა ფანტასტიკური დეტალებისგან მე სრულიად შორს ვდგავარ.

თავადი გიორგი მაჩაბელი

Politisches Archiv des Auswärtigen Amtes (PAA), Akten Betreffend den Krieg 1914, Unternehmungen und Aufwiegungen gegen unsere Feinde im Kaukasus. R 21025.

თარგმანი გერმანულიდან.

№ 232

საქართველოს განთავისუფლების კომიტეტის წევრის,
გიორგი კერესელიძის წერილი ოთო გიუნდერ ფონ
ვეზენდონკს, გერმანიის იმპერიის საბარეო საქმეთა
სამინისტროს ლეგაციის მრჩეველს და ახლო
აღმოსავლეთის საქმეთა რეფერატს, თხოვნით მიეცეს
კომიტეტს ნებართვა ინახულოს რუს სამხედრო ძეგლთა
ბანაკებში ქართველი ოფიცრები

1917 წლის 13 ნოემბერი
ბერლინი

ბატონო ბარონ,

პატივი გვაქვს შეგატყობინოთ, რომ კომიტეტს აუცილებლად მიაჩნია კავშირი დაამყაროს და ინახულოს ოფიცერი კანდელაკი ბიშოფსვერდერში, საქსონიაში. ამ ბანაკში ასევე იმყოფება ათამდე ქართველი ოფიცერი.

ასევე, პატივი გვაქვს გაცნობოთ, რომ სამხედრო სამინისტრო დაგვპირდა ჩვენთვის ქართველ ოფიცერთა სია გადმოეცა. როდესაც ჩვენ გვექნება ზემოხსენებული სია, ჩვენ მოვახდენთ იმ პირთა არჩევანს, რომლებსაც სასარგებლოდ ჩავთვლით, და თავს უფლებას მივცემთ, მოგმართოთ თხოვნით ახალი ნებართვისთვის ვინახულოთ პირები, რომლებსაც მივიჩნევთ სასურველად.

გთხოვთ მიიღოთ, ბატონო ბარონ, ჩვენი უღრმესი პატივისცემის ნიშნები.

ქართული კომიტეტის სახელით,
გიორგი ფ[ონ] კერესელიძე

*Politisches Archiv des Auswärtigen Amts (PA AA), Akten Betreffend den Krieg 1914,
Unternehmungen und Aufwiegelungen gegen unsere Feinde im Kaukasus. R 21025.*

თარგმანი ფრანგულიდან.

№ 233

ოსმალეთის იმპერიის საბარეო საქმეთა
სამინისტროს ნოტა გერმანიის იმპერიის საელჩოს
კონსტანტინოპოლში, თურქეთის მთავრობის
თანხმობის შესახებ, არ შეუშალოს ხელი კავკასიაში
დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნას, ასეთის იმ
წარმოქმნის შემთხვევაში

1917 წლის 19 ნოემბერი
[კონსტანტინოპოლი]

პასუხად ვერბალური ნოტისა, რომელიც მისი უდიდებულესობის გერმანიის
იმპერატორის საელჩომ მოისურვა მისთვის გამოეგზავნა ამა წლის 8 ოქტომბერს,
საიმპერიო საგარეო საქმეთა სამინისტროს პატივი აქვს მას შემდეგი განცხადება
გაუკეთოს:

ოტომანთა საიმპერიო მთავრობა აცხადებს, რომ იმ შემთხვევაში, თუკი რუ-
სულ კავკასიაში დამოუკიდებელი სახელმწიფო შეიქმნება, ის არ გაუნევეს წინა-
აღმდეგობას მის ორგანიზაციას.

რაც შეეხება ამ სახელმწიფოს ტერიტორიას, ისევე როგორც მის ურთიერთო-
ბებს მოსაზღვრე სახელმწიფოებთან, ისინი დარეგულირებულნი იქნებიან შესა-
ბამის დროს.

*Politisches Archiv des Auswärtigen Amts (PA AA),
Akten Betreffend Russisch-Asien. Kaukasus.
R 11041.*

თარგმანი ფრანგულიდან.

№ 234

**საქართველოს განთავისუფლების კომიტეტის
წევრის, გიორგი მაჩაბლის წერილი ოთო ბიუნდერ
ფონ ვეზენდონკს, ბერლინის იმპერიის საგარეო
საქმეთა სამინისტროს ლეგაციის მრჩეველს და
ახლო აღმოსავლეთის საქმეთა რეფერატს, მისი
და მისი მეუღლის ყოველკვირეული პოლიციური
აღრიცხვებიდან განთავისუფლების თხოვნის შესახებ**

1917 წლის 27 ნოემბერი
ბერლინი

პატივცემულო ბარონო ფონ ვეზენდონკ,

სტოკჰოლმიდან დაბრუნებისა და ბერლინში ჩამოსვლის შემდეგ, გენერალურ შტაბში ბატონ კაპიტან ვარნჰოლცს ვთხოვე შეეტყობინებინა ბეცირკსკომანდო IV-თვის¹, რომელსაც მე ვექვემდებარები, რომ ჩვეულებრივი პოლიციური აღრიცხვებისგან და ა.შ., როგორც ჩემი ადრეული ყოფნისას ხდებოდა ბერლინში, მომავალშიც გათავისუფლებული უნდა ვყოფილიყავი. კაპიტანმა ვარნჰოლცმა მიპასუხა, რომ ახალი კანონების მიხედვით, ყველა უცხოელი ვალდებული იყო აღრიცხულიყო, რის შემდეგ მივედით შეთანხმებამდე, რომ მე აღრიცხვა თვეში ერთხელ უნდა გამეკეთებინა. ამის საპირისპიროდ, პოლიციის ბიუროში შემატყობინეს, რომ ბეცირკსკომანდო ითხოვდა კვირაში ერთხელ აღრიცხვას.

ამის გამო, კვლავ ვთხოვე როგორც გენერალურ შტაბს, ასევე საგარეო საქმეთა სამინისტროს, რომ თუ შეუძლებელი იყო ამ ფორმალობისგან სრული გათავისუფლება, თვეში ერთხელ აღრიცხვით დაკმაყოფილებულიყვნენ. ორივე ორგანო დამპირდა ამ საკითხით დაინტერესებულიყო. ამისდა მიუხედავად, ყოველ კვირა აღრიცხვა მიწევს. რადგან გუშინ, დროის აბსოლუტური უქონლობის გამო ხელი შემეშალა, დღეს დილით პოლიციამ გამაფრთხილა, რომ ამის გამო შეიძლებოდა უსიამოვნებები მქონოდა, რის შემდეგაც ჩემი აღრიცხვა განვაახლე.

იმის გათვალისწინებით, რომ ბევრმა ჩემმა ქართველმა მეგობარმა ცოტა ხნის წინ ბერლინი დატოვა, მთელი მათი სამუშაო ახლა მე მანევს და შესაბამისად, ჩემს დროში ძალიან შეზღუდული ვარ, აღნიშნული მიზეზებიდან გამომდინარე კიდევ

¹ Bezirkskommando (გერმ.) – საოლქო სარდლობა. – კაიზერულ გერმანიაში გენერალური სარდლობისადმი დაქვემდებარებული სამხედრო სტრუქტურა, რომელიც სამოქალაქო ორგანოებთან ურთიერთქმედების საფუძველზე ახორციელებდა სამხედრო ოლქებში წვევამდელთა განწვევას და აღჭურვა-მომარაგებას.

ერთხელ მინდა განსაკუთრებით გთხოვოთ, რომ გამათავისუფლოთ ამ პოლიციური კონტროლიდან.

როგორც თქვენთვის ცნობილია, მე მხოლოდ ომის განმავლობაში, გერმანიის მთავრობასთან შეთანხმების საფუძველზე ჩამოვედი აქ, ასე რომ არ არსებობს მიზეზი, რომ ჩემთან მიმართებაში განხორციელდეს მტრულად განწყობილ უცხოელების მიმართ არსებული აღრიცხვის წესები.

როგორი უსიამოვნოც არ უნდა ყოფილიყო ჩემთვის, როგორც ქართული კომიტეტის თავმჯდომარისთვის, პოლიციური კონტროლი, მე თვეში ერთხელ აღრიცხვასთან დაკავშირებით თანხმობა განვაცხადე, რომ ყველანაირი გართულება თავიდან აგვეცილებინა. მინდა დაჟინებით გთხოვოთ, შესაბამის სტრუქტურებს ურჩიოთ, რომ ამით დაკმაყოფილდნენ. იგივე უფლების მოპოვებას გთხოვთ ჩემი მეუღლისთვისაც, რომელიც ადრე 13 წლის მანძილზე გერმანიის ქვეშევრდომი იყო და ასევე არავითარ აღრიცხვებს არ ექვემდებარებოდა.

თქვენი ერთგული,
თავადი გიორგი მაჩაბელი

*Politisches Archiv des Auswärtigen Amts (PA AA), Akten Betreffend den Krieg 1914,
Unternehmungen und Aufwiegelingen gegen unsere Feinde im Kaukasus. R 21025.
თარგმანი გერმანულიდან.*

№ 235

საქართველოს განთავისუფლების კომიტეტის წევრის,
გიორგი კარესელიძის ანგარიში ოთხ გიუნდერ
ფონ ვეზენდონკს, გერმანიის იმპერიის საბარეო
საქმეთა საბინისტროს ლეგაციის მრჩეველს და
ახლო აღმოსავლეთის საქმეთა რეფერატს, თხოვნით
შვიდსართიანი მის მიერ ჩატარებულ საბუშაროსთან
დაკავშირებით განუვლი ხარჯების ანაზღაურების
შესახებ

1917 წლის 28 ნოემბერი
ბერლინი

ბატონო ბარონ,

შვეიცარიაში ჩემი ბოლო ყოფნის დროს, მე იქ სამ თვეზე მეტი ხნის განმავლობაში დავრჩი. იქ ჩასვლისთანავე, მე და ერთ-ერთ ჩემს მეგობარს, ქართველს, რომელიც ძალიან კარგ პირად ურთიერთობებში იმყოფებოდა ბატონ ლენინთან, იდეა მოგვივიდა, რომ რუსი ემიგრანტებისთვის შესაძლებელი იქნებოდა დაბრუნებულიყვნენ საკუთარ ქვეყანაში გერმანიის გავლით. თუმცა მე არ ვიცოდი, რომ გერმანულმა მთავრობამ ამის უფლება რუს ემიგრანტებს მისცა, მიზნად დავისახე დამერწმუნებინა ამაში თითოეული მათგანი, რადგან ვიცოდი, რომ გერმანულ მთავრობას საწინააღმდეგო არაფერი ჰქონდა რუსული ახალი მოძრაობის. მე არ ვიცი, ჰქონდათ თუ არა სხვებსაც იგივე იდეა, მაგრამ სწრაფად გავიგე, რომ ეს იდეა ხორციელდება და რომ უკვე შეუდგნენ რუს ემიგრანტთა პირველი ეშელონის ფორმირებას.

აშკარაა, რომ ამ გეგმას თავისი მოწინააღმდეგეები ყავდა და მათმა პროპაგანდამ ამ იდეას დიდი ზიანი მიაყენა. აშინებდნენ იმათ, ვინც მზაობას გამოთქვამდა გასამგზავრებლად. აუცილებელი იყო გვერბოდოდა მათი პროპაგანდის წინააღმდეგ იმავე საშუალებებით, ანუ პროპაგანდით. ამ მიზნით მე მუშაობას შევუდექი. შემდეგ აუცილებელი გახდა, რომ პირველი ეშელონით მე ის პირები გამეგზავნა, რომლებიც მათი მოქმედებით ხელს შეუშლიდნენ რუსეთში ახალი ორგანიზაციის ჩამოყალიბებას. ეს ყველაფერი დამოკიდებული იყო ხარჯებზე, რომლებიც წინასწარ უნდა გაგვეღო. აგრეთვე აუცილებელი იყო, რათა მე მატერიალურად დავხმარებოდი იმათ, რომლებიც უნდა გამეგზავრებულიყვნენ.

თავდაპირველად, მე ვფიქრობდი არავითარ შემთხვევაში არ მომეცა ამ მატერიალური დახმარებისთვის მოსყიდვის ხასიათი, ვინაიდან, ჩემი აზრით, ისი-

ნი, რომლებიც გულწრფელად ემსახურებოდნენ საკუთარ იდეებს, შეიძლება ყოფილიყვნენ იმ მიზნებისთვის, რომლებიც ჩვენ დავისახეთ, გაცილებით უფრო სასარგებლო, ვიდრე ისინი, რომელთა ჩვენს მხარეს გადაბირება შეგვეძლო მოსყიდვის მეშვეობით. ამ მიზეზით, გადავწყვიტე არცერთი მათგანისთვის არ მიმეცა მნიშვნელოვანი თანხები, რომლებსაც შეეძლოთ მათ შორის ეჭვი გამოენვიათ. ზოგიერთს მე შევძინე სახსრები პირადი დახმარების სახით, სხვებს – სესხის სახით, და სხვებს კიდევ – მესამე პირთა შუამავლობით. ყველაფერი იყო დამოკიდებული პირზე, რომელთანაც მქონდა საქმე.

მიუხედავად დიდი ეკონომიისა, რომლითაც ვახორციელებდი ჩემს ხარჯებს, 5 000 მარკა, რომელიც მივიღე ჩამოსვლისას ჟენევის საკონსულოში, სწრაფად იქნა დახარჯული. იმნაირად, რომ პირველი ეშელონის ფორმირებაზე და მის გაგზავნაზე, ისევე როგორც იმ პირებზე, რომელთა გაგზავნას მომავალში ვაპირებდი და იმათზე, რომელთა გამგზავრება სასურველი იყო, არამხოლოდ მთლიანად დაიხარჯა ეს თანხა, არამედ, იძულებული ვიყავი, გამენია ხარჯები ჩემი პირადი რესურსების მეშვეობით (პირველ ეშელონს თან გაყვინ, თუ არ ვცდები, რვა ან ცხრა პირი. აშკარაა, რომ მათ დახმარება გაუწიეს მათმა მეგობრებმა. ამავე დროის განმავლობაში, მე გავაგზავნე კიდევ სხვა რამდენიმე პირი რუსეთში საფრანგეთიდან).

მოგვიანებით, ფორმირებულ იქნა მეორე და მესამე ეშელონი. მე მივიღე აქტიური მონაწილეობა ამ ეშელონთა ორგანიზაციაში. ამ ბოლო ეშელონებთან ერთად მე გავაგზავნე რამდენიმე ათეული პირი, რომელთაგანაც მოსალოდნელი იყო რეალური სამსახური. გარდა ამისა, მე დახმარება გავუწიე ყველა ქართველს, რომელმაც გამოთქვა გამგზავრების სურვილი (ყველა ქართველიდან, რომელიც შვეიცარიაში იყო, ამჟამად იქ მხოლოდ სამი პირი დარჩა). ამ პირთა შორის მე აღმოვუჩინე დახმარება იმათაც კი, რომლებიც, ჩემი აზრით, არ შეიძლება ყოფილიყვნენ დიდად სასარგებლონი. მაგრამ, როგორც მე თქვენ უკვე გითხარით ბატონო ბარონ, მონტრეში, მე გავაკეთე ეს იმ მიზნით, რათა სხვებს არ ჰქონოდათ არავითარი ეჭვი ამ დახმარების წყაროს შესახებ, და შემდეგ, მე ვიყავი დარწმუნებული, რომ ის ქართველები, რომლებიც ჩვენ არ გვეთანხმებიან ტაქტიკაში, რომელსაც ნაციონალურ საკითხში ჩვენ მივსდევთ, როგორც კი ჩავლენ ქვეყანაში და კონსტატაციას გაუკეთებენ იქ არსებულ მდგომარეობას, იძულებულნი გახდებიან შეცვალონ საკუთარი იდეები, და რომ ნებისმიერ შემთხვევაში, მათი იქ ყოფნა ჩვენ არავითარ ზიანს არ მოგვაცენებს. ჩემს იმედს მე ვამყარებდი იმ ფაქტზეც, რომ იმგზავრებენ რა გერმანიის გავლით და ამრიგად ექნებათ რა საშუალება საკუთარ კერებს დაუბრუნდნენ, გერმანია მათ სიმპათიებს მოიპოვებს. რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, ჩემს ვარაუდებში მე სრულებით არ შევმცდარვარ და შედეგმაც გამიმართლა.

ყველა ეს ფული, და ის, რომელიც მე შემდგომ მივიღე კონსულისაგან ჟენევაში, მე დავხარჯე ამ პირთა ექსპედიციაზე და იმ სხვა ხარჯთა დასაფარავად, რომელსაც ეს გაგზავნა მოითხოვდა. ხშირად, მე კიდევ ვალდებული ვიყავი კერძო წყაროებიდან სესხისთვის მიმემართა. გერმანიიდან გაგზავნილი პირების გარდა, ოციოდე პირი მე საფრანგეთიდან და ინგლისიდან გავაგზავნე. ყველა პირს, რომელსაც რუსეთში დეზორგანიზაციის გამონვევა შეეძლო, მე მატერიალური დახმარება გავუწიე. გარდა ამისა, მე დავარწმუნე ისინი, რომლებსაც შეეძლოთ და სახსრები ჰქონდათ საკუთარი ხარჯით დაბრუნებულიყვნენ რუსეთში, სახლში დაბრუნების სარგებლობაში და აუცილებლობაში.

ამის გარდა, მიზნად დავისახე გადამეცა ქართველებისთვის, რომლებიც იმყოფებოდნენ საფრანგეთში, რომ აუცილებელი იყო საქართველოში დაბრუნება და საფრანგეთში მცხოვრები რუსების სათვისტომოებსა და საფრანგეთს შორის უთანხმოების ჩამოგდება, რაც რუსულ-ფრანგულ ურთიერთობებს დიდ ზიანს მიაყენებდა. და მართლაც, საფრანგეთში მცხოვრებ რუსებს შორის და საფრანგეთში დისლოცირებულ რუსულ სამხედრო ქვედანაყოფებში, ადგილი ჰქონდა უთანხმოებებს. არ ვიცი, იყო თუ არა ეს ჩემი მუშაობის შედეგი. ყოველ შემთხვევაში, პირებს რომლებიც მე იქ გავაგზავნე, ჰქონდათ დავალება გაეკრცელებინათ ეს უკმაყოფილება და ის კიდევ უფრო გაეზარდათ.

მე ასევე დახმარება გავუწიე რუს ანარქისტთა ჯგუფს, რომლებიც მივინყებულნი იყვნენ, ვინაიდან ვიცოდი, რომ მათ შორის იმყოფებოდნენ პირები, რომლებსაც სურდათ რუსეთში დაბრუნება და მოძრაობაში აქტიური მონაწილეობის მიღება.

ასევე ხარჯებს მოითხოვდა დეპუტების გაგზავნა. მაგალითად, იქ ჩასვლისთანავე მე გავუგზავნე დეპუტა ბატონ ლვოვს, რუსეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს, და ასევე ტელეგრამის მეშვეობით მე გავუგზავნე ამ დეპუტის ასლები ბატონებს რიბოს და ლოიდ ჯორჯს. მე გავუგზავნე დეპუტები ქართულ გაზეთ „საქართველოს“ ტფილისში და ეპისკოპოს ლეონიდეს ფოთში. (შევინახე რა შემთხვევით ამ დეპუტების კვიტანციები, მე შემიძლია ისინი თქვენ გამოგიგზავნოთ. ამ კვიტანციათა თანხა ადის 329. 80 ფრანკამდე). ცოტა ხნის შემდეგ, მე ისევ გავაგზავნე დეპუტები ტფილისში და სხვა ქალაქებში, სხვადასხვა საკითხთა თაობაზე.

რუსეთში მომხდარი რევოლუციის ცოტა ხნის შემდეგ, რუსმა პატრიოტებმა და ეროვნულმა სოციალისტებმა, რომლებიც შვეიცარიაში იმყოფებოდნენ, გავლენიანი ფრანგების და შვეიცარიელების მხარდაჭერით გადაწყვიტეს გრანდიოზული მიტინგის ორგანიზაცია პროფესორ მილოს¹ თავმჯდომარეობით. ამ მიტინგის მიზანი იყო ეჩვენებინათ ყველა რუსთა ერთობა, მათი საერთო სურვილი გაეგრძელებინათ ომი და მოკავშირეებს შორის საუკეთესო ურთიერთობების დემონსტრაცია. პროანტანტური პრესა უკვე ემზადებოდა აეტეხა დიდი ხმაური და ხოტბა გამოეთქვა რუსების მისამართით. მე კი, ჩემის მხრივ, მყისვე შევუდექი სამუშაოს. გადავწყვიტე ყველა ზომები მიმეღო ამ მიტინგის ჩასაშლელად ან იმოდენა სკანდალი გამომეწვია, რომელიც საფუძველს მისცემდა ეჭვით ეფიქრათ რუსებს შორის გამეფებულ ერთობაზე და მათ კეთილ დამოკიდებულებაზე ანტანტის ქვეყნების მიმართ. ამ მიტინგის ჩატარებამდე ცოტა ხნის წინ, მე შემთხვევა მქონდა მესაუბრა კონსულთან ჟენევაში და მისთვის მეთქვა, რომ უკვე მივეცი ინსტრუქცია ჩემს ხალხს და იმედი მაქვს, რომ რუსი პატრიოტები ვერ მიალწევენ საკუთარ მიზანს. მართლაც, ამ მიტინგის დროს ადგილი ჰქონდა დიდ სკანდალს. ვერც პროფესორმა მილომ, ვერც რომელიმე სხვა ორატორმა, ვერ შეძლეს სიტყვების წარმთქმა. პირიქით, სწორედ სხვებმა: – ინტერნაციონალისტებმა, ანარქისტებმა და ანტანტის მიზნებისადმი ცუდად განწყობილმა პირებმა შეძლეს საუბარი. საქმე ხელჩართულ შეტაკებამდეც მისულა, იყვნენ დაჭრილები, რომლებიც უნდა ჰოსპიტალში წაეყვანათ. ერთი სიტყვით, მიტინგი ჩაშლილი იქნა. ბუნებრივია, არც ერთ ანტანტოფილურ გაზეთს არ შეეძლო ესაუბრა რუსეთის სასარგებლოდ და ამრიგად, წინასწარ ჩაფიქრებული გეგმები ჩაიფუშა.

¹ იგულისხმება მილო ედგარ (Milhaud Edgard) (1873-1964).

ამის მისაღწევად კი, საჭირო იყო შევგუებოდით დიდი ხარჯის გაღების აუცილებლობას. საჭირო იყო გაგვეზავნა ხალხი კაფეებსა და რესტორნებში, რათა მათ ესაუბრათ ჯგუფებთან, რომლებიც უნდა გადაებირებინათ თავიანთ მხარეზე და ისინი განეწყობათ აქციისათვის პატრიოტთა წინააღმდეგ. შემდეგ კი, აუცილებელი იყო გაგვეერთიანებინა სხვადასხვა ჯგუფები და ერთიანი პროგრამა გამოგვემუშავებინა. მართლაც, საქმე ისე განვითარდა, რომ რუსი პატრიოტებისთვის შემდგომშიც კი შეუძლებელი გახდა ეფიქრათ რომელიმე მიტინგის ან დემონსტრაციის ორგანიზებაზე. დაახლოებით იგივე ამბავი მე დავმართე ჟენევაში რუს სტუდენტთა ორგანიზაციას „ნაუკა ი ჟიზნ“ („მეცნიერება და ცხოვრება“).

ამ ყველაფრის ორგანიზაციისა და სხვადასხვა გეგმების შედგენის მიზნით, ან ამ იდეის გასავრცელებლად, მე ხშირად იძულებული ვიყავი პირადად გამეტარებინა ან მთელი დღე, ან საღამო, ამა თუ იმ პირთან რესტორანში, თეატრში ან სასწავლო დარბაზში, რათა მათ მიეღოთ ჩემი თვალსაზრისი, მათზე გავლენა მომეხდინა და ამ იდეათა გავლენის ქვეშ დამეტოვებინა იმ სხვა შემთხვევამდე, როცა მე უკეთესად შევძლებდი მათთან ერთად შემედგინა მოქმედებათა გეგმა.

რუსი კაცის ხასიათი ისეთია, რომ აუცილებელია ჯერ მასთან დაახლოვება და ნდობაში შესვლა. ყველაფერს ამას ხელს უწყობს მასთან ერთად გატარებული დრო, საერთო ვახშმები, ღვინოს სმაში ერთად გატარებული ჟამი. მე უნდა ახლოს გამეცნო ესა თუ ის პირი, რათა გამეგო რამდენად შეიძლებოდა ის ყოფილიყო ჩემთვის სასარგებლო. რა თქმა უნდა, მათ შორის იყვნენ ისეთებიც, რომელთა სარგებლიანობა აშკარად საეჭვო იყო, ან მათი მხრიდან დახმარება, ჩვენთვის საშიშიც კი შეიძლება ყოფილიყო. რათა მათზე დოკუმენტალური ცნობები მოგვეპოვებინა, საჭირო იყო ხარჯთა გაღება.

განსაკუთრებით, საკმაოდ მნიშვნელოვან ხარჯთა გაღებას მოითხოვდა მოლაპარაკებები და საუბრები იოსებ დავრიშევთან¹. ის რუსეთის მოქალაქეა, რომელიც ქართველთან ქართველია, სომეხთან სომეხი და რუსთან რუსი. მე მას დიდია ხანია რაც ვიცნობ. ის არის განსაკუთრებით ჭკვიანი პიროვნება, რომელიც ავანტიურისტის ნამდვილ ტიპს წარმოადგენს. ის საფრანგეთის სამსახურში შესული ავიატორია. ბოლო დროს ის არჩეულ იქნა საფრანგეთში რუს ავიატორთა თავმჯდომარედ. მე მას შემთხვევით ჟენევაში შევხვდი. მას ფეხი დაზიანებული აქვს, მისივე თქმით, ჩამოვარდნის შედეგად. მისი სიტყვებით, მან მიიღო 2-3 კვირიანი შვეულება, რათა ემკურნალა თავისი ფეხისთვის შვეიცარიაში. მაგრამ მე მის მიზნებში ეჭვი მეპარება. მეჩვენება, რომ მას საიდუმლო მისია ჰქონდა, რათა რუსებს შორის სამხედრო სამსახურისთვის პირები გადაებირებინა და ისინი საფრანგეთში მოეყვანა. მასთან ურთიერთობები დიდ სიფრთხილეს მოითხოვდა, მასთან გამართულ ჩემს საუბრებს უშუალო შედეგები არ ჰქონდა, მაგრამ მე იმედი მაქვს, რომ ჩვენ შეგვიძლია მისგან სარგებლობა ვნახოთ, ან რომ ის ჩვენ მნიშვნელოვან სამსახურს გაგვიწევს. ჟენევაში მე მითხრეს, რომ გავლენიანი ინგლისელი, ყოფილი ჰედივის² მეგობარი, რომელსაც გერმანელების მიმართ დიდი სიმპატიები აქვს, იმყოფება ლოკარნოში. მითხრეს, რომ მას სურვილი ჰქონდა კავშირი ჰქონოდა გერმანელებთან. მე ხელათვე გავემგზავრე ლოკარნოში,

¹ იგულისხმება დავრიშაშვილი (დავრიშევი) იოსებ (1882-1975).

² ჰედივი (hàdiv ოსმალ.) – ეგვიპტის ვიცე-სულთნის ტიტული, ეგვიპტის ოსმალეთის იმპერიაზე დამოკიდებულების დროს (1867-1914).

გამოვიყენე ჩემი მეგობრების იქ ყოფნა და იქ ორი დღე გავატარე. პირადად მე არ გამიცნია ეს ინგლისელი, რადგან საქმისთვის უფრო სასურველად მიმაჩნდა, სიფრთხილის დაცვის მიზნით ცნობები მიმეღო მისი პიროვნების და საქციელის შესახებ. ჩემი აზრით, გერმანელს შეეძლო მასთან კავშირში შესვლა, და ჟენევაში ჩემი დაბრუნებისთანავე მე კონსულს მივეცი ამ პირის გვარი და სახელი და მას მის შესახებ დაწვრილებით ველაპარაკე. აქ მე მომყავს მხოლოდ რამდენიმე მაგალითი დოკუმენტაციის მიზნით, რადგან ყველაფრის მოყვანა შეუძლებელია. ლეგაციამ ბერნში და საკონსულომ ჟენევაში მთხოვეს მე შემეგროვებინა ცნობები ვინმე ანარქისტზე, რომელსაც, თუ სწორედ მახსოვს, გოლდენბერგი ერქვა. სანამ გავიგებდი სხვადასხვა ხმებს, რომლებიც მის შესახებ დადიოდნენ, და რომლებსაც თავისუფლად შეეძლოთ შეცდომაში შევეყვანე, მე აუცილებლად ჩავთვალე გამეცნო პირები, რომლებიც კარგად იცნობდნენ საქმეს, რომელშიც გარეული იყო გოლდენბერგი. ასევე, საჭირო იყო ამომეჩინა მათ შორის ისინი, რომელთა ნდობაც შეიძლებოდა. მე უნდა მემოქმედა ნელა და ფრთხილად, რათა არ გამოემწვია მათ შორის ეჭვები იმის თაობაზე, თუ რამდენად მაინტერესებდა ეს საქმე, და ისინი სრულიად ბუნებრივად მიმეყვანა იქამდე, რომ მათ ესაუბრათ მის შესახებ. ასეთივე იყო შვეიცარიაში რუს ქალთა ორგანიზაციის ხელმძღვანელთა პიროვნების გარკვევის საკითხიც.

ხშირად საჭირო იყო შვეიცარიის სხვადასხვა ქალაქებში მგზავრობა და იქ რამდენიმე დღით დარჩენა. მე დავბეჭდე ორი ბროშურა ანარქისტ-ინდივიდუალისტთა ჯგუფისათვის ჟენევაში ისე, როგორც მე ეს მსურდა. ერთი-ერთი მათგანი ორ ენაზე – ფრანგულად და რუსულად გამოვეცი. მე ისინი საფრანგეთში და რუსეთში გავაგზავნე.

შვეიცარიაში ჩამოსვლისას, მე ვვარაუდობდი იქ მხოლოდ ორი კვირა დავრჩენილიყავი. ჩემთან ერთად მე მხოლოდ 500 მარკა წამოვიღე, რაც მაშინ უდრიდა დაახლოებით 340 ფრანკს. მე კი იქ, სამ თვეზე მეტი ხნის განმავლობაში დარჩენა მომიწია. სამგზავრო ბილეთი ჩასვლა-დაბრუნებით იყო აღებული. თავისთავად ცხადია, რომ მან თავისი ფასი დაკარგა. 250 მარკას, რომელიც მე ქართული გაზეთებისთვის მივიღე ცნობათა ბიუროსგან, მე ჩემი პირადი სახსრებიდან კიდევ 250 ფრანკი დავუმატე და ისინი მივეცი ქართველებს, რომლებიც ბრუნდებოდნენ რუსეთში, ქართული გაზეთების გადაგზავნის მიზნით.

მცირე სესხების და მცირე ვალების გარდა, რომლებიც ჩემს მიერ იქნა აღებული, და ჩემი ცოლის ფულის გარდა, რომელიც ჩემს მიერ დახარჯულ იქნა და რომელთა საერთო თანხის დადგენა ჩემთვის ამჟამად შეუძლებელი არის, ჟენევაში როგორც კერძო პირმა მე ვისესხე სამი ათასი ფრანკი. სესხის სახით მე ვითხოვე ბერლინიდან კერძო პირისაგან 4 000 შვეიცარული ფრანკი. მთელი ეს ფული დახარჯულ იქნა საქმეში. მართალია, რომ ყოველჯერ როდესაც კრედიტების თხოვნით მოგმართავდით თქვენ, ბატონო ბარონ, უარი არასდროს მიმიღია, მაგრამ ეს ფული ხშირად დიდი დაგვიანებით აღწევდა ჩემთან (ერთხელ, მაგალითად, მე მივიღე 3 000 ფრანკი ისეთი დაგვიანებით, რომ უკვე არ შემეძლო გამომეყენებინა ისინი იმ მიზნით, რომლისთვისაც მოვითხოვე, და იძულებული ვიყავი ის ბერლინში დამებრუნებინა). გარდა ამისა, ბატონი კონსული მთხოვდა დამეზუსტებინა ფულის გამოყენება, როდესაც მე მას თხოვნით მივმართავდი. ამ მიზეზით ხშირად ხდებოდა ისე, რომ მეტისმეტი დაგვიანებით ჩემთან მოსული ფული მე უკვე არ შემეძლო გამომეყენებინა იმ მიზნით, რომლისთვისაც ისინი მოვითხოვე.

ამ დროს კი ახალი საქმეები, რომელთა წინასწარ გათვალისწინება შეუძლებელი იყო, მოითხოვდნენ ახალ ხარჯებს. ამგვარ გარემოებებში, მე ორჯერ დავაბრუნე ფული. პირველად – იმ შემთხვევაში, რომელიც მე უკვე მოვიხსენიე, ხოლო მეორეჯერ – თანხა 2 500 ფრანკის ოდენობით.

აუცილებელი იყო გამეკეთებინა ახალი მოთხოვნა ახალი მიზნების მისაღწევად. ვინაიდან, საქმე ხშირად საჩქარო იყო, მე ხშირად მიწევდა ამელო სესხი ადგილზე, ან, როდესაც ჩემთვის იქ ამის გაკეთება შეუძლებელი იყო, იძულებული ვიყავი მეთხოვა ისინი ბერლინში კერძო პირისაგან, რომელსაც კაპიტალები ჰქონდა შვეიცარიაში, რის შედეგადაც ორ ან სამ დღეში მე შემეძლო თანხის მფლობელი გავმხდარიყავი.

მე ჩემს თავს არასდროს მივცემდი უფლებას, ბატონო ბარონ, თქვენი თავი შემენუხებინა ან წერილით, ან ამ ანგარიშებით, რომ ამას არ ითხოვდეს მძიმე მდგომარეობა, რომელშიც მე ავლმოჩნდი. ასევე ჩემი ცოლისთვისაც შეუძლებელია მიიღოს ფული რუსეთიდან, ჯერ ერთი, იმიტომ რომ რუსული ფულის კურსი ძალიან დაცემულია და ამის გარდა, იმიტომ რომ ჩემს ცოლს არ გააჩნია მეტი ფულადი კაპიტალები. ის ფლობს მხოლოდ მინებს, რომელთა ქირით ან გაყიდვით იძენს სახსრებს. სადღეისოდ, ჩვენთან მინები უკვე არ იძლევიან ქირას, და მათი გაყიდვაც შეუძლებელი გახდა.

აგრეთვე, ჩემთვის ძალიან ძნელი და თითქმის შეუძლებელია, მოვიპოვო ფული სესხის მეშვეობით, რადგან ამ სამი წლის განმავლობაში დიდი ვალები დამედო. ყველა ამ მიზეზის გამო, იძულებული ვარ თქვენ შეგანუხოთ.

რომ დაგიმტკიცოთ, თუ რამდენად ძნელი არის ჩემთვის ფულის საკითხის წამოწევა, საკმარისია გავიხსენოთ, რომ თურქეთიდან ლეგიონის გადმოყვანის დროს გაყიდულ იქნა ცხენები. ყველა გერმანელმა და ქართველმა მიიღო საკუთარი ცხენების ღირებულება. ჩემი ცხენი ასევე იქნა გაყიდული ჩემს დაუკითხავად, მე კი აქედან არაფერი მიმიღია, მიუხედავად იმისა, რომ ჩემი ცხენი დიდი ღირებულების იყო¹. ისევე როგორც, მე სრულიად არ წამომიყენებია ძვირფასი საგნების დაკარგვის საკითხი, ვინაშე მომხდარი ხანძრის დროს².

გთხოვთ მიიღოთ, ბატონო ბარონ, ჩემი უდიდესი პატივისცემის ნიშნები.
გიორგი კერესელიძე

Politisches Archiv des Auswärtigen Amtes (PA AA), Akten Betreffend den Krieg 1914, Unternehmungen und Aufwiegelungen gegen unsere Feinde im Kaukasus. R 21025.

თარგმანი ფრანგულიდან.

¹ იგულისხმება ტრაპიზონში რუსეთის იმპერიის კონსულის ცხენი, რომელიც, გიორგი კერესელიძის მემუარების თანახმად, ოსმალეთის იმპერიის პირველ მსოფლიო ომში ჩართვის შემდეგ, ოსმალებმა მას საჩუქრად გადასცეს. იხ.: გ. კერესელიძე. საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი (1914-1918). ტექსტი გამოსცა და კომენტარები დაურთო გ. მამულიამ. ქართული ემიგრაცია. თბილისი, 2013, № 1, გვ. 158-159.

² იგულისხმება ოსმალეთის და რუსეთის იმპერიებს შორის საბრძოლო მოქმედებების დაწყებამდე ქ. ვინეში მდებარე იმ სახლის ხანძარი, რომელშიც გაჩერებულნი იყვნენ საქართველოს განთავისუფლების კომიტეტის წევრები ლეო და გიორგი კერესელიძეები და ნესტორ მაღალაშვილი. ხანძრის შედეგად განადგურდა 20 000 შვეიცარული ოქროს ფრანკი, რომელიც ლეო კერესელიძეს გადასცა მისმა საცოლემ, მართა ლეკულტრმა. იხ.: გ. კერესელიძე. საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი (1914-1918). გვ. 161.

№ 236

საქართველოს განთავისუფლების კომიტეტის
წევრის, გიორგი მაჩაბლის წერილი ოთო გიუნდერ
ფონ ვეზენდორფს, ბერლინის იმპერიის საგარეო
საქმეთა სამინისტროს ლეგაციის მდივანს და ახლო
აღმოსავლეთის საქმეთა რეფერატს, კომიტეტის
სამომავლო ხარჯთაღრიცხვის შესახებ

1917 წლის 26 ნოემბერი
ბერლინი

პატივცემულო ბატონო ბარონ,

აქვე მივცემ თავს უფლებას გადმოგცეთ ქართული კომიტეტის დეკემბრის ხელფასების და სხვა ხარჯების აღრიცხვა. შესაბამისი რაოდენობა და აგრეთვე სხვადასხვა საერთო ფონდებიდან განხორციელებული გადახდები და ხარჯები, მთლიანობაში 3 400 მარკა, გთხოვთ გადაგზავნოთ ცნობათა ბიუროს¹ სალაროში.

საქმის წარმოების გასამარტივებლად და გაუგებრობების თავიდან აცილების მიზნით, კომიტეტი ყოველი თვის ცვლილებამდე 8-10 დღით ადრე, თავის ბიუჯეტს წარმოადგენს შემდეგი თვისთვის და მას გასაცნობად და გადასამონ-მებლად გადმოგცემთ. გარდა ამისა, კომიტეტი ქართული კომიტეტისთვის განკუთვნილ თანხას აიღებს ცნობათა ბიუროს ანგარიშიდან და თავად მოუვლის ხელფასების განაწილებას. ამის შესახებ ვესაუბრე ბატონ პროფესორ მიტვოსს და ბატონ გრეჩს, რომლებმაც სრულიად მიიღეს ეს წინადადებები.

კომიტეტის სახელით:
თქვენი სრულიად ერთგული,
თავადი გიორგი მაჩაბელი

*Politisches Archiv des Auswärtigen Amtes (PA AA), Akten Betreffend den Krieg 1914,
Unternehmungen und Aufwiegungen gegen unsere Feinde im Kaukasus. R 21027.
თარგმანი გერმანულიდან.*

¹ იგულისხმება აღმოსავლეთის ცნობათა ბიურო (Nachrichtenstelle für den Orient).

№ 237

**საქართველოს განთავისუფლების კომიტეტის
თავმჯდომარის, პეტრე სურგულაძის მოხსენებითი
ბარათი კაპიტან ერნსტ ფონ ჰიულსენს, გერმანიის
არმიის სახმელეთო ძალების გენერალური შტაბის
პოლიტიკის სექციის უფროსს, კომიტეტის წევრების,
საქართველოს ნაპირებთან გერმანული წყალქვეშა
ნავით ექსპედიციისა და მათი წარუმატებლობის
მიზეზების შესახებ**

[1917 წლის 4 დეკემბერი
კონსტანტინოპოლი]

ამ ნომბრის 10 რიცხვს, დილის 10 საათზე, მე და ჩემი ოთხი თანამგზავრი გავემგზავრეთ კონსტანტინოპოლიდან და ვინაიდან, წყალქვეშა ნავს კიდევ სხვა მისიებიც ჰქონდა შესასრულებელი, მხოლოდ იმავე თვის 16 რიცხვის შუადღეს აღმოვჩნდით იმ ადგილას, რომელიც, ბატონ წყალქვეშა ნავის კაპიტანის თანახმად, ჭურია იყო. თუმცა, ზღვის ნაპირი ანაკლიას და რედუტ-კალეს შორის ძალიან დაბალი და უთანასწორო იყო, დანიშნული ადგილის პოვნა ძალიან ძნელი, რადგან წყალქვეშა ნავს არ შეეძლო საკმარისად მოახლოვებულიყო სანაპიროს, რომელიც არ იყო შესაფერისად შესწავლილი და მითითებული რუკაზე, ხოლო ზღვა – არ იყო საკმარისი სიღრმის.

ჩვენ ვიცადეთ წყალქვეშ სალამოს 6 საათამდე, როდესაც უკვე დაბნელდა, კაპიტანმა პირობითი სიგნალი მისცა, მაგრამ არავითარი პასუხი არ მიუღია. თუმცა ჩვენ იმედი გვქონდა, რომ ბატონ წერეთლის დაპირების თანახმად, ჩვენს დასახვედრად მოვიდოდნენ. მაშინ, წყალქვეშა ნავის პატარა ბარკასით, რომელიც 4 კაცზე მეტს ვერ იტევდა, სანაპიროსკენ გაემგზავრნენ ოფიცრები ირემაძე და სიამაშვილი, ორ მეზღვაურთან ერთად. უკანასკნელებს კაპიტანისგან ბრძანება ჰქონდათ მიღებული, დაეცადათ ოფიცრებისთვის სანაპიროზე 11 საათსა და 30 წუთამდე და თუკი ისინი უკან არ მოვიდოდნენ, უკან დაბრუნებულიყვნენ.

მე, ჩემის მხრივ, ვურჩიე ოფიცრებს ირემაძეს და სიამაშვილს გაეგოთ, გველოდებოდა თუ არა ჩვენ ვინმე ამ ადგილას. მათ უნდა მოენახათ სხვა ბარკასი, ოდნავ უფრო დიდი, რათა იარაღის და ტვია-წამლის ტრანსპორტირება მოეხდინათ. ჩვენი ნავი ამ საქმისთვის ძალიან პატარა იყო, მითუმეტეს, აღელვებული ზღვის პირობებში. ყოველი შემთხვევისათვის, თითო ოფიცერს თან ჰქონდა 2000 რუბლი და შეიარაღებული იყო მაუზერის რევოლვერებით და ბაიარდის ტიპის პისტოლეტებით. მეზღვაურებს მხოლოდ რევოლვერები ჰქონდათ. ჩვენ მოვილაპარა-

კეთ სამი ტიპის სიგნალის შესახებ: 1) ყველაფერი მზად არის, მოვდივართ, 2) ჩვენ მზად ვართ, მაგრამ დაგვიცადეთ, 3) ხვალამდე დაგვიცადეთ.

ბარკასის წასვლის დროს, მოსალოდნელი საფრთხის გამო, წყალქვეშა ნავის ხიდზე მხოლოდ კაპიტანი იდგა. კაპიტანმა ჩვენ გამოგვიცხადა, რომ ბარკასის წასვლიდან ორმოციოდე წუთის შემდეგ, მას მოესმა სროლის ხმა, მაგრამ ვერ გაარჩია, იყო თუ არა ეს თოფების თუ რევოლვერების სროლა. ჩვენ იქ ვუცადეთ შუალამედე. ვინაიდან არავინ დაბრუნებულა და ჩვენ თავად ვერ შევნიშნეთ რაიმე სიგნალი ნაპირის მხრიდან, წყალქვეშა ნავმა ჩაყვინთა ზღვაში. ჩვენ იქ დავბრუნდით კიდევ ორჯერ – 17 და 18 რიცხვში, საღამოს 21 საათზე, მაგრამ ამაოდ. ამინდი ძალიან ცუდი იყო. სხვათა შორის, უკვე სროლის ხმების შემდეგ, კაპიტანმა დააფიქსირა იმავე ადგილას ძრავიანი ნავი, რომელიც ჩვენს სიგნალებს არ პასუხობდა.

მეტის დაცდა შეუძლებელი იყო და ჩვენ, საერთო ჯამში, დავბრუნდით უკან. ვინაიდან, ჩემთვის განსაკუთრებით მძიმე იყო დავბრუნებულიყავი ასეთი მნიშვნელობის მისიისგან მის შეუსრულებლად, მე ვთხოვე ბატონ კაპიტანს მოენახა სხვა საშუალებები მის განსახორციელებლად. კაპიტანმა მე შემდეგი საშუალება შემომთავაზა: „მე ავიყვან ნავს სოხუმის მიდამოებში, რომელსაც თქვენ გადმოგცემთ. შემდეგ კი თქვენ იმოქმედეთ ისე, როგორც ჩათვლით უკეთესად. ან მოელაპარაკებით მენავეებს, ან დახოცავთ მათ თქვენი სანაპიროზე გადმოსხდომის წინ, ან ამის შემდეგ“. მე მას ვთხოვე ორი კაცი, ჩვენი გადმოსხდომის უზრუნველსაყოფად. კაპიტანმა, რომელმაც უკვე დაკარგა ორი, განაცხადა, რომ მას არა აქვს საკმარისი რაოდენობის პირადი შემადგენლობა და მას არ შეუძლია საფრთხის ქვეშ დააყენოს კიდევ ორი მეზღვაური. ასეთ პირობებში, ვერც მე ვერ გავრისკე ასეთი მნიშვნელოვანი თანხის ტრანსპორტირება.

ჩემთვის ძალიან ძნელია ჩვენი წარუმატებლობის მიზეზის ახსნა. მე წარმოდგენილი მაქვს შემდეგი რამდენიმე შესაძლებლობა:

- 1) ჩვენმა ხალხმა, რომელიც უნდა დაგხვედროდა, შესაძლებელია შეცვალა გადმოსხდომის ადგილი და ჩვენ ამის შესახებ შეგვატყობინა, მაგრამ ჩვენ ეს შეტყობინება არ მიგვიღია.
- 2) ზღვის სანაპირო ანაკლიასა და რედუტ-კალეს შორის ძალიან დაბალია, ხოლო ზღვის სიღრმე არასაკმარისად შესწავლილი. ადგილების იდენტიფიკაცია ძალიან ძნელია. გარდა ამისა, მეზღვაური, რომელსაც პირველი გადმოსხმის დროს¹ მიყავდა ნავი, ამჯერად ჩვენს შორის არ იმყოფებოდა. შესაძლებელია, ჩვენ სხვა ადგილას ვიყავით წასული.
- 3) შესაძლებელია, რუსებმა გაიგეს პირველი გადმოსხდომის შესახებ და სანაპიროზე მცველები განალაგეს, რასაც გვაფიქრებინებს ადგილზე ძრავიანი ნავის ყოფნა, რომელიც იქ იდგა, და ამ რაიონში რუსულ ნაღმოსანთან შეხვედრა. ასეთ შემთხვევაში, ოთხ გადასხმულ კაცს არ შეეძლო ჩვენთვის სიგნალის მოცემა, ვინაიდან ისინი ან მოკლულები არიან, ან ტყვედ შეპყრობილნი, ან ტყეებში გაქცეულნი.
- 4) შესაძლებელია კიდევაც, რომ მათ ჩვენ მოგვცეს სიგნალები, რომლებიც ჩვენ ვერ შევამჩნიეთ, ვინაიდან საშიშროების გამო წყალქვეშა ნავს არ შეეძლო იქ დარჩენა საკმარისად დიდი ხნის განმავლობაში.

¹ იგულისხმება 1917 წლის 8-9 ოქტომბერს იმავე გერმანული წყალქვეშა ნავით განხორციელებული ქართული კომიტეტის წევრთა და იარაღის და აღჭურვილობის გადმოსხმა საქართველოს სანაპიროზე.

თავს უფლებას მივცემ, გამოვთქვა აქ ჩემი უღრმესი მადლობა ბატონ ნყალ-ქვეშა ნავის კაპიტნის და მთელი მისი ეკიპაჟის მიმართ, მათი მეგობრული სტუმართმოყვარეობისთვის და ყველა სირთულეებისთვის, რომლებიც მათ ჩვენს გამომო 18 დღის განმავლობაში გადაიტანეს.

ჩემი აზრით, ვინაიდან შესაძლებელია, რომ დღე-დღეზე ჩვენთან რევოლუცია მოხდეს, ხოლო ფულის უკმარისობა საამისოდ დიდ დაბრკოლებას წარმოადგენს, სასწრაფოდ აუცილებელია ნყალქვეშა ნავით მეორე ექსპედიციის ორგანიზაცია, რომელსაც მიზნად ექნება მხოლოდ ფულის ტრანსპორტირება.

პ. სურგულაძე

Politisches Archiv des Auswärtigen Amts (PA AA), Akten Betreffend den Krieg 1914, Unternehmungen und Aufwiegungen gegen unsere Feinde im Kaukasus. R 21025.

თარგმანი ფრანგულიდან.

№ 238

**საქართველოს განთავისუფლების კომიტეტის
თავმჯდომარის, კედრე სურგულაძის წერილი
კომიტეტის წევრებს ბერლინში, კომიტეტის მიერ
საქართველოში ახალი საიდუმლო ექსპედიციის
გაგზავნის აუცილებლობის შესახებ**

1917 წლის 4 დეკემბერი
კონსტანტინოპოლი

მე დეტალურად ვაცნობე გენერალურ შტაბს, ისევე როგორც საგარეო საქმეთა სამინისტროს მიზეზი, რის გამოც ჩვენმა შემოსვლამ საქართველოში წარუმატებლობა განიცადა. დარწმუნებული ვარ, თქვენ ამ ფაქტის საქმის კურსში ხართ. ჩემი აზრით, სადღეისოდ სრულიად აუცილებელია მივიღოთ ყველა ზომები და გამოვძებნოთ გზები, რომელთა მეშვეობითაც ჩვენ შეგვეძლება უმოკლეს ხანებში მათ მივანოდოთ ფული. კიდევ უფრო სასურველი იქნებოდა, წყალქვეშა ნავით გამგზავრება და გადმოსხდომა ბათუმსა და ფოთს შორის და ფოთის ჩრდილოეთით. სამწუხაროდ, ჩემთვის შეუძლებელი იქნება გამგზავრება, ჩემი სისუსტის და ავადმყოფობის გამო. მე ვესაუბრე ჩვენებს: – მაღალაშვილი, ოფიცერი ლაბაძე, ვლადიმერ ჩხეიძე მზად არიან ნებისმიერ დროს გაემგზავრონ. ისინი თან წაიყვანენ აჰმედ თავდგირიძეს. ვლადიმერი და თავდგირიძე აქ ოჯახების გარეშე იმყოფებიან და შესაბამისად, მათთვის არავითარი დაბრკოლება არ არსებობს და ჩვენც, მათ მიმართ, არავითარი პრობლემა არ გვექნება. თუმცა, აუცილებელია გაუფრძელოთ სუბსიდია მაღალაშვილის და ოფიცერ ლაბაძის ოჯახებს. ამავე დროს, მაღალაშვილს სურს, რომ მისი ოჯახი გაგზავნილ იქნას თურქეთის საზღვრებს გარეთ, ის საკუთარ თავზე იღებს ყველა ხარჯს, საჭიროა მისთვის მხოლოდ ნებართვა მოვიპოვოთ.

თუკი ბერლინიდან სხვა ჯგუფი გაემგზავრება, საჭიროა მათ შორის იყოს ვინმე, ვინც ადგილებს იცნობს. თუკი წყალქვეშა ნავით გამგზავრება შეუძლებელი იქნება, საჭიროა გავაგზავნოთ ძრავიანი ნავით რამდენიმე კაცი, რომლებიც მიყვებიან სანაპიროს კერასუნტამდე, ხოლო იქედან – პირდაპირ ფოთამდე, ვინაიდან, თუ ცეცხლის შეწყვეტის ხელშეკრულება ხელმოწერილია, არ იქნება უკვე არავითარი საფრთხე და მათ შეუძლიათ გამოიქცნენ.

მე შეხვედრა მქონდა ალი ბაშ ჰამბასთან ჩემი წამოსვლის წინ. მე მას დანვრლებით აღუწერე ჩვენი საქმეები, მან მე შემდეგი განმიცხადა: „ოტომანთა მთავრობა ჩვენ ყოველგვარ სასურველ დახმარებას და თანადგომას აღმოგვიჩენს ჩვენი იდეალის განხორციელების მიზნით, რადგან თქვენი დამოუკიდებლობა ჩვენს ინტერესებში შედის და გააძლიერებს ოტომანთა იმპერიის პოზიციას; 1)

ბუფერული სახელმწიფოს შექმნით, 2) შავ ზღვაზე ბატონობის გამყოფი ხაზის შემცირებით, 3) ჩვენი ძალის იმდენად გაძლიერებით, რომ ისინი წინ აღუდგებიან რუსთა მიზნებს კონსტანტინოპოლზე. ამავე დროს, აუცილებელია იმუშაოთ კავკასიის ხალხებთან, ვინაიდან თქვენ, სხვა ქართველები¹, უფრო გაერთიანებული და განვითარებული ხართ, ვიდრე კავკასიის სხვა ხალხები და თქვენ უნდა აიღოთ თქვენს თავზე ხელმძღვანელობა და ა.შ.“. ჩემი დაბრუნებისთანავე მე ის კვლავ ვინახულე, ის დაღონებული იყო და დამპირდა ყოველგვარ დახმარებას.

დღეს აჰმედ ალაევმა² განაცხადა თავის გაზეთში: „ჩვენ მოვითხოვთ რუსეთისგან კავკასიის დამოუკიდებლობას“. მან იქვე დაამატა, რომ კავკასიაში სამი ძირითადი ხალხი ცხოვრობს: თათრები, ქართველები და სომხები. მას არ სწამს, რომ სომხები გაერთიანდნენ და მუშაობენ კავკასიის ჯგუფებთან ერთად, ვინაიდან მათ რუსთა მხარი უჭირავთ. თუმცა, ქართველები და თათრები გაერთიანდნენ და მათ მუშაობას წარმატებული შედეგები ექნება. ის მხარს უჭერს კავკასიურ ფედერაციას.

მე აქ დაველოდე თქვენს პასუხს სასტუმრო „ბრისტოლში“ მანამ, სანამ მიიღება რაიმე გადაწყვეტილება.

აუცილებელია, რომ ჩახრუხაძე დაბრუნდეს ბერლინში. აქ ყველა კარგად გრძნობს თავს.

გიგზავნით სალამს.

პ. სურგულაძე

Politisches Archiv des Auswärtigen Amtes (PA AA), Akten Betreffend den Krieg 1914, Unternehmungen und Aufwiegungen gegen unsere Feinde im Kaukasus. R 21025.

თარგმანი ფრანგულიდან.

¹ იგულისხმება ქრისტიანი ქართველები.

² იგულისხმება ალაევი (ალაოლლუ) აჰმედ ბეკი (1869-1939).

№ 239

საქართველოს განთავისუფლების კომიტეტის
წევრის, გიორგი მაჩაბლის წერილი ოთო ბიუნდერ
ფონ ვეზენდონკს, გერმანიის იმპერიის საბარეო
საქმეთა სამინისტროს ლეგაციის მდივანს და ახლო
აღმოსავლეთის საქმეთა რეფერატს, თხოვნით
ავსტრიაში დაკავებული ქართველის,
არკადი მანსვეტოვის განთავისუფლების და მისი
გერმანიაში ჩამოყვანაში დახმარების შესახებ

1917 წლის 5 დეკემბერი
ბერლინი

პატივცემულო ბატონო ბარონ ფონ ვეზენდონკ,

როგორც თქვენთვის ცნობილია, ჩვენ განმეორებით ვითხოვეთ ავსტრიაში
დაკავებული, კლოსტერ-ნოიბურგში, ვენის მახლობლად, ოტელ „შიკეში“ მყოფი
ქართველის, არკადი მანსვეტოვის გამოშვება. ჩვენ კვლავაც გვინდა მეგობრუ-
ლად გთხოვოთ, აღნიშნულ საკითხს ყურადღება დაუთმოთ და კიდევ ერთხელ
განვაცხადოთ, რომ ჩვენ ხსენებული ბატონის ბერლინში ჩამოსვლა გვსურს.

უდიდესი მადლობით წინასწარ,
ვანერ ხელს განსაკუთრებული პატივისცემით,

თავადი მაჩაბელი

*Politisches Archiv des Auswärtigen Amts (PA AA), Akten Betreffend den Krieg 1914,
Unternehmungen und Aufwiegelungen gegen unsere Feinde im Kaukasus. R 21027.
თარგმანი გერმანულიდან.*

№ 240

**საქართველოს განთავისუფლების კომიტეტის
წევრის, გიორგი მაჩაბლის წერილი ოთო ბიუნდერ
ფონ ვეზენდონკს, ბერლინის იმპერიის საგარეო
საქმეთა სამინისტროს ლეგაციის მრჩეველს
და ახლო აღმოსავლეთის საქმეთა რეფერატს,
ქართული კომიტეტის საინფორმაციო ბიუროს
მუშაობის შესახებ**

1917 წლის 13 დეკემბერი
ბერლინი

პატივცემულო ბატონო, ბარონ ფონ ვეზენდონკ!

ნება მომეცით, მოგაწოდოთ რამდენიმე ინფორმაცია ქართული საინფორმაციო ბიუროს შესახებ, რომელიც რამდენიმე თვეა საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ არის მხარდაჭერილი.

ბიუროს მიზანი უნდა ყოფილიყო პრესასა და ასევე საზოგადოებაში საქართველოს შესახებ ინფორმაციის გავრცელება. სამწუხაროდ, უკანასკნელმა მოვლენებმა რუსეთში გაართულა ჩვენს ქვეყანასთან ადრე დამყარებული კავშირი, ისე რომ, ჩვენ ძირითადად ზოგად საგაზეთო ინფორმაციებზე ვართ მიპყრობილნი, რომლებიც უპირატესად ძალიან მოკლე, გაურკვეველი და წინააღმდეგობრივია. ამის მიუხედავად, ბიურომ მწირ მასალაზე დაყრდნობით შეიმუშავა რამდენიმე სტატია სხვადასხვა გაზეთებისთვის და განაგრძობს მუშაობას, რომ ამ თვალსაზრისით ნათელი მოჰფინოს ჩვენს ქვეყანაში არსებულ მდგომარეობას და პროცესებს. სამწუხაროდ, ყოველდღიური პრესა მაინც არ იძვრის საქართველოს შესახებ სტატიების მიღების კუთხით, შესაძლებელია ქალაქის ნაკლებობის და ასევე ალბათ ცენზურის ყურადღების გამო.

დრო რომ არ დაეკარგა, ბიურომ ამასობაში წარმოადგინა კავკასიის ქვეყნების შესახებ ეკონომიკური ინფორმაციების ნაკრები და მიმოხილვა. ეს მასალები ისეა დამუშავებული, როგორც ეს თანდართული საცდელი ეგზემპლარებიდან ჩანს. ის წარმოადგენს უდავოდ ფასეულ მასალას ეკონომიკურად მნიშვნელოვანი კავკასიის ქვეყნების ცოდნის და გერმანიის ამ რეგიონებში საქმიანობის პროპაგანდის კუთხით, რაც მშვიდობის დამყარების შემდეგ დიდ შესაძლებლობებს ხსნის. ასეთ მასალებზე დაყრდნობით, ბიუროს მუდმივად შეუძლია რომ ცალკეული მნიშვნელოვანი ინფორმაციები შეაფასოს, მოამზადოს დოკუმენტები და ბევრი მსგავსი საქმე გააკეთოს.

ვსარგებლობ შემთხვევით, ქართული კომიტეტის სახელით მადლობა გადავუხადო საგარეო საქმეთა სამინისტროს ამ საქმეებში მხარდაჭერის გამო. იმედი მაქვს, რომ ის ამას მომავალშიც განახორციელებს.

განსაკუთრებული პატივისცემით,
თქვენი ერთგული,
თავადი გიორგი მაჩაბელი

*Politisches Archiv des Auswärtigen Amts (PA AA), Akten Betreffend den Krieg 1914,
Unternehmungen und Aufwiegungen gegen unsere Feinde im Kaukasus. R 21025.
თარგმანი გერმანულიდან.*

№ 241

**საქართველოს განთავისუფლების კომიტეტის
წევრის, ბიორგი მაჩაბლის მოხსენებითი ბარათი
ოთო ბიუნდერ ფონ ვეზენდორფს, გერმანიის
იმპერიის საბარეო საქმეთა სამინისტროს ლეგაციის
მრჩეველს და ახლო აღმოსავლეთის საქმეთა
რეფერატს, კოპენჰაგენში (დანიაში) ჩამოსული
საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის
თავმჯდომარესთან, სპირიდონ კედიასთან მისი
შეხვედრის, საქართველოში არსებული პოლიტიკური
მდგომარეობისა და ხსენებული კომიტეტის მომავალი
გეგმების შესახებ**

1917 წლის 26 დეკემბერი
ბერლინი

საქართველოდან სტოკჰოლმში ჩამოსული ბატონი სპირიდონ კედია, რომელსაც მე კოპენჰაგენში შევხვდი, არის ქართული ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარე, დამფუძნებელი კრების არჩევნებზე ამ პარტიის პირველი კანდიდატი, ტფილისის საქალაქო საბჭოს წევრი. ის ჩემი დიდი ხნის მეგობარია და ომის დასაწყისიდან მუშაობს ჩვენთან ერთად. მისი მგზავრობის მიზანი იყო მოეთხორო ჩვენთვის საქართველოში შექმნილი საერთო მდგომარეობის შესახებ, სხვადასხვა მნიშვნელოვანი საკითხები განეხილა, მიეღო ჩვენგან გადაწყვეტილებები ამის თაობაზე და ეცნობებინა ჩვენთვის ბატონ წერეთლის¹ მოღვაწეობის შესახებ, რომლისგან მას პირადად ჰქონდა დავალება მიღებული.

ბატონი კედია 1 ნოემბერს გამოემგზავრა ტფილისიდან და ვინაიდან, პასპორტის და სხვა დოკუმენტების შოვნა უკვე ტფილისში მოახერხა, იმედი ჰქონდა დაახლოებით 10 ან 12 ნოემბერს სტოკჰოლმში ყოფილიყო. სამწუხაროდ, მისი ჩამოსვლა სტოკჰოლმში გაინელა ამასობაში მომხდარი ბოლშევიკური გადატრიალებისა და მეორეს მხრივ, შვედეთში გასამგზავრი ვიზის მიღების სირთულეთა გამო.

ის ჩავიდა პეტერბურგში ბილშევიკთა მიერ ქალაქის ხელში ჩაგდების ზუსტად მეორე დღეს, თუმცა, შეძლო ბოლშევიკური მთავრობისაგან პასპორტის-

¹ იგულისხმება წერეთელი მიხეილი (1878-1965).

თვის ბეჭდის მიღება ქართველის, ჯულაშვილის¹ დახმარებით, რომელიც ამასობაში ლენინის მთავრობაში რუსეთის ეროვნებათა საქმეების სახალხო კომისარი გახდა. მის მგზავრობას დიდი სირთულე შეუქმნა შვედეთის მთავრობამ და ერთი თვის მცდელობების შემდეგ, კედამ შვედური ვიზის მიღება შეძლო ჩემი ძმის დახმარებით, რომელსაც შვედურ ფირმასთან კავშირი აქვს.

მის გამომგზავრებამდე საქართველოში არსებული მდგომარეობა, კერენსკის დამხობის შემდგომ სრულიად უნდა შეცვლილიყო და პეტერბურგში მოსული ცნობების თანახმად, ამჟამად მდგომარეობა შემდეგი უნდა იყოს:

ლენინის გამარჯვების შემდეგ, ბოლშევიკები ტფილისში ასევე შეეცადნენ იქ გამარჯვებისთვის მიეღნათ. თუმცა, მათი მოძრაობა ჯარის, მენშევიკთა მომხრეების და ქართული პოლკების მიერ იქნა ჩახშობილი. 28 ნოემბერს ტფილისში კავკასიური კოალიციური მთავრობა ჩამოყალიბდა, რომლის სათავეში კავკასიის ეროვნებათა 11 წარმომადგენელი დგას. მინისტრი-თავმჯდომარე და ამავე დროს საგარეო საქმეთა მინისტრი ქართველი გეგეჭკორია², დუმის ყოფილი დეპუტატი. შინაგან საქმეთა მინისტრი – ამჟამინდელი დუმის დეპუტატი ჩხენკელი³. იუსტიციის მინისტრი – მესხიშვილი (მესხიევი)⁴, ქართველ სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიიდან.

პირველი ორი მიეკუთვნება ქართველ სოციალ-დემოკრატებს (მენშევიკებს), დანარჩენი პორტფელები სხვა ეროვნებებს შორის არის განაწილებული.

ჩვენს ხელთ არსებული ცნობებით, ეს მთავრობა ცდილობს დამოუკიდებელი გახდეს და მარტომ დადოს ზავი თურქეთთან. მას უკვე უნდა დაეწყო მოლაპარაკებები თურქეთის მთავრობასთან. აუცილებელია ამ ცნობების სიზუსტის შემოწმება.

კავკასიისათვის საბოლოო სახელმწიფო რეფორმების გამომუშავების, კავკასიის ცალკეულ ეროვნებათა შორის დამოკიდებულების და რუსეთთან ურთიერთობების, ფინანსურ საკითხთა მოგვარებისა და სხვა მნიშვნელოვანი საკითხების თაობაზე, საგანგებო კომისიები შეიქმნება.

მთავრობა ებრძვის ყოველგვარ ბოლშევიკურ მოძრაობას, რადგან ბოლშევიკთა იდეებს საქმე მხოლოდ ყოველგვარი სახელმწიფოებრივი წესრიგის გაუქმებამდე და ანარქიამდე მიყავთ. არავითარ შემთხვევაში არ არსებობს იმის საშიშროება, რომ კავკასიის მთავრობა კალედინის⁵ მოძრაობას, ან რუსეთში კიდევ რომელიმე სხვა კონტრრევოლუციურ მთავრობას დაუჭერს მხარს, ან გამოვაომის გაგრძელების სასარგებლოდ. ჩვენი პოლიტიკა არის და რჩება, რუსეთში ლენინისტებს დაუჭიროთ მხარე, ხოლო ჩვენთან კი პირიქით – ისინი ჩავახშოთ.

ბატონ კედამს გამომგზავრებამდე მდგომარეობა საქართველოში ჯერ კიდევ არ იყო მთლად გარკვეული. რადგან სოციალისტური პარტიის ლიდერთა შორის კიდევ ბევრი იყო ისეთი, რომლებსაც რუსული დემოკრატიის ნდობა ჰქონდათ და რუსულ დემოკრატიასთან საერთო მუშაობა სურდათ, ჩვენს მეგობრებს, საქართველოს სრული დამოუკიდებლობის მომხრეთა რიცხვის გამრავლების მიზნით, საკუთარი მოქმედება კიდევ უფრო უნდა გაეძლიერებინათ. ჩვენმა ბატონმა წე-

¹ ტექსტში შეცდომით – ჯულაშვილის.

² იგულისხმება გეგეჭკორი ევგენი (1881-1954).

³ იგულისხმება ჩხენკელი აკაკი (1874-1956).

⁴ იგულისხმება ალექსი-მესხიშვილი შალვა (1884-1960).

⁵ იგულისხმება კალედინი ალექსი (1861-1918).

რეთელმა, საქართველოში თავისი ჩამოსვლის შემდეგ ამ მიმართულებით ბევრი რამ გააკეთა და სხვადასხვა პარტიების ხელმძღვანელებთან არცთუ წარუმატებელ კონსულტაციებს აწარმოებდა.

ამ მოლაპარაკებების დროს გამოიჩინა, რომ საქართველოს რუსეთისგან გამოყოფის შემთხვევაში, შესაძლებელია სხვადასხვა, ძირითადად ფინანსური ხასიათის სირთულეები წარმოიქმნას.

ჩნდება კითხვა, შეიძლება თუ არა აღებულ იქნას სახელმწიფო სესხი უცხოეთიდან (აქ, რა თქმა უნდა, უპირველეს ყოვლისა გერმანია იგულისხმება), მინერალური რესურსების საფუძველზე, ვინაიდან მომავალი მთავრობა მინერალური რესურსებს სახელმწიფო საკუთრებად გამოაცხადებს და ამ მიზნით მათ ნაციონალიზაციას მოახდენს.

2 დეკემბერს ტფილისში ჩატარებულ სადღესასწაულო სხდომაზე, რომელსაც ყველა პოლიტიკურ პარტიათა, კულტურულ საზოგადოებათა და სხვა ორგანიზაციათა წარმომადგენლები ესწრებოდნენ, ქართველ თავადაზნაურთა საზოგადოებამ განაცხადა, რომ ის მთელ თავის საკუთრებას, რომელიც ძირითადად უძრავი ქონებისგან შედგება და ასი მილიონი რუბლის ღირებულება აქვს, ქართული ეროვნული მთავრობის განკარგულებაში, მისი მიზნებისთვის გადასცემს. ამრიგად, ამით, გარანტიები ზემოხსენებული სახელმწიფო სესხის თაობაზე შემდგომ საფუძველს შეიძენენ.

ამ საკითხში სიცხადის შეტანა და გერმანული მთავრობის მხრიდან პოზიტიური პასუხი, თანამედროვე ეტაპის უმნიშვნელოვანეს საქმეს წარმოადგენს და ბატონ კედიას მგზავრობის მთავარი მიზეზი იყო.

ჩემის მხრივ, მსურს თხოვნით მივმართო გერმანულ მთავრობას ამ საკითხს განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს და ჩვენი მიზნის მისაღწევად, ამ მნიშვნელოვანი ფაქტორისადმი პოზიტიური მიდგომა გამოიჩინოს.

როგორც მდგომარეობის ზემომოყვანილი აღწერიდან გამომდინარეობს, კავკასიაში ყველა ეროვნებისგან შემდგარი კოალიციური მთავრობა შეიქმნა. ამრიგად, დაგეგმილი სესხის გარანტიად, არა მხოლოდ საქართველოს შემოსავლები და მინის მინერალური რესურსები, არის გასათვალისწინებელი, არამედ, ასევე, ბაქოს რაიონის მსოფლიოში უდიდესი ნავთობის წყაროები. შესაბამისად, ამისთანა სიმდიდრეზე დამყარებით, მომავალი კავკასიის მთავრობა სიძნელების გარეშე ყველა მისი ფონდებისთვის აუცილებელი სესხის ღია საფინანსო ბაზარზე მიღებას შეძლებს.

ვინაიდან, ჩემთვის ყოველთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო კავკასიას და გერმანიას შორის როგორც პოლიტიკური, ისე ეკონომიკური კავშირებისთვის გამესვა ხაზი, მე ამ ტრანსაქციაში ამ ორი ქვეყნის პირველ პირდაპირ კავშირებს ვხედავ, რომლებიც, უეჭველად, სარგებელს მოუტანენ ორივე მხარეს.

თუკი გერმანული მთავრობა მიიღებს გადაწყვეტილებას ამ წინსვლის სასარგებლოდ, ამ ცნობით ბატონი კედია, დაბრუნებისას შეძლებს დაიყოლიოს ახალი კავკასიური მთავრობა რუსეთისგან სრულ გამოყოფაზე, ვინაიდან ამით გადაწყვეტილი იქნება ამდენად მნიშვნელოვანი მომავალი საკითხი.

ამ საქმის დაწვრილებით განსახილველად, მე ყოველთვის ვარ მზად პირადი მოლაპარაკებისათვის. თუმცა, მსურს იმაზეც გავამახვილო ყურადღება, რომ ბატონი კედია მხოლოდ ამ თვის 31 რიცხვამდე უნდა დარჩეს შვედეთში და რომ, აქედან გამომდინარე, გადაწყვეტილება, შეძლებისდაგვარად, ამ დრომდე უნდა

იქნეს მიღებული. გერმანული მთავრობის შესაბამის გადანაცვეტილებას მხოლოდ იმ შემთხვევაში ექნება ძალა, თუკი საქართველოს ან კავკასიის ეროვნული დამოუკიდებელი მთავრობა იქნება ჩამოყალიბებული, რომელიც შეძლებს დაეყრდნოს ხსენებულ საფუძვლებს. ამავე დროს, შეთანხმების დეტალები მოგვიანებით ხელშეკრულებაზე და გერმანული მთავრობის ობიექტურ შეხედულებაზე იქნება დამოკიდებული. ჩემი აზრით, ამ გზით გერმანული მთავრობა საშუალებას იძენს, დაგვარწმუნოს ჩვენ საკუთარ პრინციპულ თანხმობაში.

თანხები, რომლის შესახებაც თავდაპირველად შეიძლება იყოს საუბარი, საქართველოსთვის 20, ხოლო კავკასიის ფედერაციისათვის 50 მილიონ მანეთს უნდა შეადგენდეს. ორივე თანხა არავითარ დამოკიდებულებაში არ იმყოფება უკვე არსებულ და ცნობილ ბუნებრივ სიმდიდრეებთან, რომლებიც მათი გარანტიის როლს შეასრულებენ.

დამოუკიდებლად ფინანსური საკითხის გადანაცვეტისგან, ბატონი კედია უპირველეს ყოვლისა ასევე მოითხოვს, რათა მას ახალი ქართული ან შესაბამისად კავკასიური მთავრობისადმი ევროპის ცენტრალურ დიდ სახელმწიფოთა მთავრობების მიერ ზუსტი ფორმით საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხის შესახებ განცხადებათა გადაცემის საშუალება ჰქონდეს. ამასობაში, გერმანიის მთავრობამ ჩვენ განცხადების საკუთარი ტექსტი გადმოგვცა, რისთვისაც მე მას, ქართული კომიტეტის სახელით, უერთგულეს მადლობას ვუხდით. ამ ტექსტს მე ბატონ კედიას გადავცემ. რაც შეეხება სხვა მთავრობათა განცხადებების ტექსტებს, არ ჩება საკმარისი დრო, ისინი შესაბამისი მთავრობებისაგან ბატონ კედიას გამგზავრებამდე მოვიპოვოთ. აქედან გამომდინარე, ჩვენ ძალიან მადლობელი ვიქნებით, თუკი ჩვენ შეტყობინებას გაგვიკეთებენ, რომ მოკავშირე სახელმწიფოები ამა და ამ დროს გერმანული მთავრობის განცხადებას შეუერთდნენ. ასეთ შემთხვევაში, ბატონი კედია, სახლში დაბრუნებისას, ამ განცხადების წაღებასაც შეძლებდა.

სხვათაშორის, ბატონმა კედიამ შემდეგი საინტერესო ცნობა მოგვანოდა ანტანტის, განსაკუთრებით კი, ინგლისელთა და ამერიკელთა მცდელობების შესახებ. ამ დიდ სახელმწიფოთა წარმომადგენლები სხვადასხვანაირად შეეცადნენ ქართველებზე გავლენა მოეპოვებინათ. კერძოდ კი, თავად ჩერქეზოვის¹, ცნობილი თავად კროპოტკინის მეგობრის მეშვეობით, რომელიც მრავალი ათწლეული მათთან ცხოვრობდა ინგლისში, როგორც ანარქისტი. თავადმა ორბელიანმა², რომელსაც ასევე მიმართა ანტანტამ, შუამავლის ამ როლზე უარი განაცხადა. გვპირდებიან ფინანსური საშუალებებით ყოველგვარ დახმარებას, ყველა ქართული პოლკის და ქართველი ჯარისკაცის ერთ ადგილას კონცენტრაციას, თანამედროვე შეიარაღებით მათ აღჭურვას და საქართველოს დამოუკიდებელ სახელმწიფოდ ქცევაში დახმარებასაც კი, იმ შემთხვევაში, თუკი ქართველები გააგრძელებენ ბრძოლას თურქეთის ფრონტზე.

ანტანტის ყველა წინადადება და დახმარების დაპირება ქართველებმა კატეგორიულად უარყვეს, ანტანტის დიდ გასაკვირად, რომელსაც ქართველთა ფულადი გაჭირვების იმედი ჰქონდა. მხოლოდ სომხებმა გამოიჩინეს მიდრეკილება, ერთგულნი დარჩენოდნენ ანტანტის ქვეყნებისადმი საკუთარ ორიენტაციას. თუმცა, ისინიც კი იწყებენ იმის გათვითცნობიერებას, რომ ეს პოლიტიკა წამგე-

¹ იგულისხმება ჩერქეზიშვილი ვარლამ (1846-1925).

² როგორც ჩანს, იგულისხმება ორბელიანი გიორგი (1853-1924).

ბიანი არის და ბოლო დროს, ისინიც კი ამჟღავნებენ უკვე ტენდენციას, კავკასიის სხვა ეროვნებებს შეუერთდნენ.

სურგულაძის ნარუმატებელ ექსპედიციაზე ბატონმა კედიამ ჯერ კიდევ არაფერი იცის. ის ძალიან შენუხდა ამ ცნობის გამო, მითუმეტეს, რომ იქ მომზადებულნი იყვნენ ამ ექსპედიციის მისაღებად და ამავე დროს, ხსენებულ ექსპედიციასთან ერთად მომავალი დახმარების დიდი იმედიც ჰქონდათ. მე ვესაუბრე ბატონ კედიას იმის შესახებ, თუ როგორ შეძლებს ის პეტერბურგიდან ამ დახმარების მიღების ორგანიზებას. ამის შესახებ თავს უფლებას მივცემ, თქვენ სიტყვიერად მოგახსენოთ.

პირველი ამოცანა, რომელიც ბატონმა კედიამ მისი დაბრუნებისთანავე, თუკი იმ დრომდე არაფერი მნიშვნელოვანი შეიცვალა, უნდა შეასრულოს, – თავისი შეტყობინების საფუძველზე, კავკასიური მთავრობა მისი დამოუკიდებლობის საბოლოო გამოცხადებაზე და თურქებთან ზავის დადებაზე დაიყოლიოს.

მისი შემდგომი ამოცანა იმის შესახებ ზრუნვა უნდა იყოს, რათა კავკასიის და თურქეთის მთავრობებს შორის ამ ზავის დადება, შავ ზღვაზე მიმოსვლის მყისიერი განახლების საკითხთან იყოს შეთანხმებული. ამით ჩვენ მოგვეცემა პირდაპირი კავშირის დამყარების საშუალება და ამის გარდა, შედარებით მნიშვნელობას შეიძენს ეკონომიკური ურთიერთობანი, როგორც თავად ამ ორი ქვეყნისთვის, ისე ცენტრალური ევროპის დიდი სახელმწიფოებისთვისაც.

უდიდესი პატივისცემით, უერთგულესად თქვენი,
თავადი გიორგი მაჩაბელი

*Politisches Archiv des Auswärtigen Amts (PA AA),
Akten Betreffend Russisch-Asien. Kaukasus.*

R 11041.

თარგმანი გერმანულიდან.

№ 242

**საქართველოს განთავისუფლების კომიტეტის
წევრთა, ბიორგი მაგაბლის და ბიორგი
კერესელიძის წერილი გერმანიის იმპერიის
საგარეო საქმეთა სამინისტროს, თხოვნით
ხელი შეუწყოს ქართველი სოციალ-დემოკრატის
სოლომონ ვადაკურის (ვადაჭკორიას)
საქართველოში დაბრუნებას, უკანასკნელის მიერ
ქართველ სოციალ-დემოკრატებში საქართველოს
და ამიერკავკასიის დამოუკიდებლობის
სასარგებლოდ მუშაობის მიზნით**

1918 წლის 2 იანვარი
ბერლინი

თანამედროვე საერთო მდგომარეობის საფუძვლიანი შესწავლის შედეგად ქართული კომიტეტი დარწმუნდა, რომ ნამდვილი მომენტისთვის და უახლოესი მომავლისთვის ჩვენ უნდა ანგარიში გავუწიოთ მენშევიკთა უპირატეს გავლენას საქართველოში. ამ გარემოებათა გათვალისწინებით, აუცილებლად მიგვაჩნია ჩვენი პოლიტიკა ამ ფაქტზე დავამყაროთ და ჩვენი მომავალი მუშაობა არ შევზღუდოთ, როგორც ადრე, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წრით, რომელიც საქართველოს დამოუკიდებლობის სასარგებლოდ გამოდის, არამედ შევუდგეთ მენშევიკებთან კავშირის დამყარებას და მათზე გავლენის მოპოვებას. ამის შესაძლებლობა მხოლოდ პირადი კონტაქტით მიიღწევა, რის საშუალებასაც ჩვენ ის ფაქტი გვაძლევს, რომ ჩვენს წრეში უკვე 3 წელიწადია რაც მენშევიკთა შორის ცნობილი და პატივისცემით მოსარგებლე მათი პარტიის წევრი, ბატონი სოლომონ ვადაკური იმყოფება, რომელიც, ისევე როგორც ტფილისში მყოფ მენშევიკთა ერთი ჯგუფი, საქართველოს დამოუკიდებლობის მომხრეა. თავისი ამ რწმენის ქეშმარიტება მან, ამ მთელი დროის განმავლობაში, სიტყვით და კალმით დაამტკიცა. მისი ხასიათის სერიოზულობა და სანდოობა ჩვენი კომიტეტის არცერთ წევრში არ იწვევს ეჭვს.

ბოლო დროის განმავლობაში, მან არაერთხელ გამოთქვა სურვილი დაბრუნებულიყო საქართველოში, რამაც კომიტეტს აზრი გაუჩინა, გამოეყენებინა ის როგორც შუამავალი პირი ჩვენს კომიტეტსა და მენშევიკებს შორის. ამის შესახებ ჩვენ აგრეთვე თავად მასთანაც გვექონდა საუბარი და კითხვაც დავუსვით, შეუძლია მას თუ არა საკუთარ პოლიტიკურ მეგობრებს შორის (რომლებსაც ჩხეიძე, ჩხენკელი, წერეთელი, ჟორდანიას და ამ პარტიის სხვა გამოჩენილი წევრები მიე-

კუთვნიან) ამ მიმართულებით იმოქმედოს. მან ამაზე განაცხადა, რომ მისი აზრი სწორედ ამ მიმართულებით მიდის, და რომ ის ყველაფერს შეეცდება, რათა საკუთარი მეგობრები დაიყოლიოს გადამწყვეტი პოლიტიკური ნამიჯები გადადგან ამ თვალსაზრისით. აუცილებლობის შემთხვევაში, ის მენშევიკთა შორის ახალ ჯგუფს ჩამოაყალიბებს, რომელიც საკუთარ პროგრამაში მიიღებს და მოითხოვს საქართველოს (ან კავკასიის ფედერაციის) დამოუკიდებელ სახელმწიფოდ ქცევას.

როგორც ჩვენ გავიგეთ, უკვე 10 იანვარს, პირველი რუსი სამოქალაქო ტყვეები რუსეთში უნდა დაბრუნდნენ. ჩვენ ძალიან მიზანშეწონილად მიგვაჩნია, თუკი ის უკვე ერთ-ერთი პირველი მატარებლით რუსეთში დაბრუნებას შეძლებს. რუსეთის დღევანდელ მთავრობას მისი პერსონის სანინააღმდეგოდ, დიდი ალბათობით, არაფერი ექნება, რადგან ის მათი მთავრობის ერთ-ერთ კომისარს (ჯუღაშვილ-სტალინს, ეროვნებათა საკითხებში) კარგად იცნობს და მისი დაცვის იმედი შეიძლება ჰქონდეს.

რათა მან საქართველოში წარმატებით მოქმედება შეძლოს, კომიტეტი შემოდის თხოვნით, რომ ბატონ ვადაკურს, როგორმე რუსეთში მისი ჩასვლის შემდგომ, განკარგულებაში გარკვეული თანხა გადაეცეს. გადაგზავნის გზის და თანხის რაოდენობის შესახებ, ჩვენ შემდგომში ზეპირად მოგელაპარაკებით.

ამგვარი კონტაქტის დამყარება პიროვნებებთან, რომლებიც მსგავს როლს არა მხოლოდ საქართველოში, არამედ მთლიანად რუსულ პოლიტიკაში თამაშობენ, ზოგადად არ იქნება უმნიშვნელო გერმანული მხარისთვისაც და სრულიად განსაკუთრებულ მნიშვნელობას შეიძენს საქართველოში, რაც მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს მას თავისუფალ სახელმწიფოდ აღდგენაში და გერმანიის მიმართულებით გრავიტაციაში.

ამის საფუძველზე, თავს უფლებას ვაძლევთ, ამ გეგმის მეგობრული მხარდაჭერა გთხოვოთ და ქართული კომიტეტის სახელით, წინასწარი მეგობრული მადლიერებით ხელს ვაწერთ:

თავადი გიორგი მაჩაბელი
გიორგი ფონ კერესელიძე

Politisches Archiv des Auswärtigen Amts (PA AA), Akten Betreffend den Krieg 1914, Unternehmungen und Aufwiegelungen gegen unsere Feinde im Kaukasus. R 21026.

თარგმანი გერმანულიდან.

№ 243

საქართველოს განთავისუფლების კომიტეტის წევრების, ბიორგი მაგაბლის და ბიორგი კერესელიძის წერილი ოთო ბიუნთერ ფონ ვეზენდოვს, გერმანიის იმპერიის საბარეო საქმეთა სამინისტროს ლეგაციის მრჩეველს და ახლო აღმოსავლეთის საქმეთა რეფერატს, ზაგანის ტყვეთა ბანაკში მყოფ ქართველ ჯარისკაცს კაჭარავას მდგომარეობის შესახებ.

1918 წლის 2 იანვარი
ბერლინი

ბატონო ბარონ ვეზენდონკ,

ზაგანის ტყვეთა ბანაკში, მე-8 ყაზარმაში, №17, იმყოფება ქართველი ტყვე გვარად კაჭარავა, რომელიც ჩვენთვის, მისი მიმონერით ჩვენს „ქართულ გაზეთთან“, დიდი ხანია ნაცნობია. გარდა ამისა, მან სცადა წიგნი დაეწერა გერმანული სოფლის მეურნეობის შესახებ, რომელიც რედაქციას წარმოუდგინა. ამჟამად ის ერთ-ერთ შრომით ნაწილში იმყოფება (მისი ზუსტი ადგილსამყოფელის დადგენა ზაგანში ყოველთვის შესაძლებელია). მას, ადრე, შრომის გამო არასოდეს დაუჩივლია. მხოლოდ უკანასკნელ ხანებში და მას შემდეგ, რაც ის ამ შრომით ნაწილში იმყოფება, ჩანს რომ მისი მდგომარეობა დამძიმდა და გამუდმებით გვთხოვს ჩვენ დახმარებას, იმისთვის რომ მან სხვა სამუშაო მიიღოს.

რადგან მას, გასული სამი წლის მანძილზე, არასოდეს არაფრის შესახებ არ დაუჩივლია, ვფიქრობთ, მის თხოვნას მხარი დავუჭიროთ და თქვენი მადლობელი ვიქნებოდით, თუკი რამეთი შეგეძლებოდათ მისთვის მდგომარეობის შემსუბუქება.

დიდი პატივისცემით, თქვენი სრულიად ერთგული,
ქართული კომიტეტის სახელით,
თავადი გიორგი მაჩაბელი
გიორგი ფონ კერესელიძე

Politisches Archiv des Auswärtigen Amts (PA AA), Akten Betreffend den Krieg 1914, Unternehmungen und Aufwiegelungen gegen unsere Feinde im Kaukasus. R 21027.
თარგმანი გერმანულიდან.

№ 244

კონსტანტინოპოლში გერმანიის სამხედრო ატაშეს,
კოლკოვნიკ ოთო ფონ ლოსოვის ძელეგრაფა
ფრონტიდან, გერმანიის არმიის სახმელეთო ძალების
გენერალური შტაბის პოლიტიკის საქციას ბერლინში,
საქართველოს განთავისუფლების კომიტეტის
თავმჯდომარე, პეტრე სურგულაძისთვის განუული
ფინანსური დახმარების შესახებ

1918 წლის 3 იანვარი

1917 წლის 4 დეკემბრის № 21331 იქაური ტელეგრამის გათვალისწინებით, სურგულაძეს მივეცი წინასწარ დამატებით 100 ლირა. ვითხოვ ანაზღაურებას საელჩოს ანგარიშზე. სურგულაძეს უნდა პატარა მისია, დაახლოებით სამი კაცისგან შემდგარი, კერასუნტში გაგზავნოს იმ მიზნით, რომ გარკვეული კონტაქტი დაამყაროს ქართველებთან რუსეთის ფრონტზე და მოიპოვოს ინფორმაცია. ალი ბაშ ჰამბა თანახმაა. იმ გამოცდილებიდან გამომდინარე, რაც მაქვს ვეჭიბ ფაშასთან, მე ვშიშობ, რომ ქართველების ხელახალი გამოჩენა მისი სარდლობის ზონაში, ხელახალ წინააღმდეგობებამდე მიგვიყვანს, რაც მომავალში, კონსტანტინოპოლში ჩვენი მოსაგვარებელი გახდება და ჩვენს თურქებთან ურთიერთობაში არასაჭირო უსიამოვნებას წარმოშობს. თუ ეს, ამისდამიუხედავად, მაინც სასურველია, უნდა იქნას წარმოდგენილი ფინანსური დახმარება 400-500 თურქული ლირის ოდენობით.

ლოსოვი

Politisches Archiv des Auswärtigen Amtes (PA AA), Akten Betreffend den Krieg 1914, Unternehmungen und Aufwiegelungen gegen unsere Feinde im Kaukasus. R 21026.
თარგმანი გერმანულიდან.

№ 245

**ქართული ლეგიონის ოფიცერთა წერილი
საქართველოს განთავისუფლების კომიტეტის წევრს,
გიორგი მაჩაბელს, ქართველ სამხედრო ძველთა
ბანაკის სამომავლო მოწყობის შესახებ**

1918 წლის 5 იანვარი
ჰანოვერ-მიუნდენი

ბატონო გიორგი!

პირველ ყოვლისა, გვინდა გთხოვოთ, რომ დიდი მადლობა გადასცეთ გერმანიის მთავრობას იმ დახმარებისთვის, რომელსაც ის ჩვენ გვინწევს ყველა ქართველი სამხედრო ტყვე ოფიცრის ერთ ბანაკში მოთავსების საქმეში. დაბეჯითებით საჭიროა, რომ ყველა ჩვენს მეგობარს უსწრაფესად ერთად მოვუყაროთ თავი, რათა ჩამოვაყალიბოთ ძლიერი ორგანიზაცია, რომელიც მიზნად დაისახავს, რომ ჩვენი ხმა დაუკავშიროს ქართველი ხალხის მისწრაფებას დამოუკიდებლობისაკენ და თუ საჭიროება მოითხოვს, ამ მისწრაფების განსახორციელებლად ენერგიულად იმოქმედოს. ამიტომ, ყველაზე უფრო მიზანშეწონილი იქნებოდა, ყველა ტყვე ქართველი ოფიცერი პატარა ბანაკში, ალბათ თავად ზაგანის ბანაკში ერთად იყოს თავმოყრილი. გარდა ამისა, ამ ბანაკში შემდგომ თავი უნდა მოეყაროს დატყვევებულ ქართველ ჯარისკაცებსაც, რათა ჩვენ, მათ შორის მუშაობის დაწყება შევძლოთ და ყველა აქ მყოფი ქართველი ერთი და იგივე იდეით იყოს შეპყრობილი.

ასეთი დაახლოება და მუშაობა ჩვენს ჯარისკაცებს შორის, არის პირდაპირი გაგებით მნიშვნელოვანი, რადგან ბევრი მათგანი ნაციონალურ საკითხში არ არის სათანადოდ განსწავლული, თუ რომელ მიზანს უნდა ემსახურონ, რომ მათი პოლიტიკური მდგომარეობა მომავალში გაუმჯობესდეს.

ჩვენ გვჯერა და ვიმედოვნებთ, რომ გერმანიის მთავრობა ამ თხოვნას სათანადო ყურადღებას მიაქცევს და შეძლებისდაგვარად მოკლე დროში, ჩვენი წინადადების განხორციელებას დაუჭერს მხარს.

ასე, გერმანიის მთავრობა სამუდამოდ მადლობელს გაგვხდის და ვიმედოვნებთ, რომ მომავალში ჩვენს მაღლიერებას საქმით დავამტკიცებთ.

ხელმოწერები:

კაპიტანი სტეფანე ყურაშვილი

უფროსი ლეიტენანტი ბიძინა ქუთათელაძე

ლეიტენანტი დავით კანდელაკი
ლეიტენანტი სოსო ევსტაფიევი
ლეიტენანტი ვანო ცერცვაძე

*Politisches Archiv des Auswärtigen Amts (PA AA), Akten Betreffend den Krieg 1914,
Unternehmungen und Aufwiegelungen gegen unsere Feinde im Kaukasus. R 21026.
თარგმანი გერმანულიდან.*

№ 246

შვედეთში გერმანიის დაზვერვის რეზიდენტის,
კაკიტან ჰანს შტაინვაჟის წერილი კაკიტან ერნსტ
ფონ ჰიულსენს, გერმანიის არმიის სახმელეთო
ძალების გენერალური შტაბის პოლიტიკის საქციის
უფროსს, ქართულ კომიტეტთან დაახლოვებული პირის,
სკირიდონ კედიასთვის ფულის გადახრის შესახებ

1918 წლის 6 იანვარი
სტოკჰოლმი

დიდად პატივცემულო ბატონო ფონ ჰიულსენ,

ჩვენ ამჟამად გვაქვს ხელსაყრელი შესაძლებლობა, რომ ფულის გადაგზავნა
კედიასთვის ასეთი გზით განვახორციელოთ:

შვედეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ერთი ყოფილი მაღალჩინოსანი
მზად არის, ფული რუბლჩეკის ფორმით პეტერბურგში შვედეთის საელჩოს ლე-
გაციის მრჩეველს კურიერის საშუალებით გადავუგზავნოთ. გზავნილი განხორ-
ციელდება ფირმის „სამხედრო ტყვეები, ზრუნვა, ფული“-ს¹ საშუალებით, ხოლო
ჩეკი განკუთვნილი იქნება პეტერბურგში გერმანული მისიისთვის. ამის თაობაზე
შვედეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ ნებართვა უკვე გასცა.

ახლა მნიშვნელოვანია, რომ ბატონი ვეზენდონკი, ან სხვა ბატონი ჩვენი საგა-
რეო საქმეთა სამინისტროდან მისწერდეს პრივატულ წერილს გერმანული მისიის
მისთვის ნაცნობ წევრს, სადაც ის შეატყობინებს, რომ შვედეთის საელჩო პეტერ-
ბურგში მას გადაუხდის გარკვეულ თანხას რუბლებში, რომელიც მან საგარეო
საქმეთა სამინისტროს ინსტრუქციის შესაბამისად (რომელსაც აქ თან დავურ-
თავთ), მიმღებს უნდა გადაუხადოს.

მინდა გულითადად გთხოვოთ, ეს წერილი რაც შეიძლება სწრაფად გადაამისა-
მართოთ, რათა ის მაშინვე ჩეკითა და ინსტრუქციით, პეტერბურგისკენ გაიგზავნოს.

საუკეთესო მოკითხვით, თქვენი ერთგული,
შტაინვაჟსი

*Politisches Archiv des Auswärtigen Amtes (PA AA), Akten Betreffend den Krieg 1914,
Unternehmungen und Aufwiegungen gegen unsere Feinde im Kaukasus. R 21026.
თარგმანი გერმანულიდან.*

¹ გერმანულად – „Kriegsgefangenen-Fürsorge-Gelder“.

№ 247

თელეგრამა, გაგზავნილი ფრედერიკ ფონ
როზენბერგის, გერმანიის იმპერიის საგარეო
საქმეთა სამინისტროს კოლიტიკური განყოფილების
უფროსის სახელზე, ქართული კომიტეტის წევრის,
ბიორგი მაჩაბლის უკრაინელ დელეგატებთან
შეხვედრის შესახებ

1918 წლის 7 იანვარი
ბერლინი

აქაური ქართული ნაციონალური კომიტეტი კითხულობს, თუ შეუძლია მის წარმომადგენელს, თავად გიორგი მაჩაბელს, შეხვედეს იქ მყოფ უკრაინელ დელეგატებს, ქართულ-უკრაინული ურთიერთობების განხილვის მიზნით. შეხვედრა ჩვენც სასარგებლოდ მიგვაჩნია. გთხოვთ, ფარულად გაარკვიოთ, თუ უკრაინელები მაჩაბელთან შეხვედრაზე თანახმანი არიან.

P.S. თავადი მაჩაბელი იტყობინება, რომ ერთი უკრაინელი წარმომადგენელი უკვე ტფილისშია. ის შეეცდება უკრაინელებთან საქართველოსა და უკრაინას შორის საერთო ინტერესებზე, მათ შორის შავ ზღვასთან დაკავშირებით ისაუბროს.

Politisches Archiv des Auswärtigen Amts (PA AA), Akten Betreffend den Krieg 1914, Unternehmungen und Aufwiegungen gegen unsere Feinde im Kaukasus. R 21026.
თარგმანი გერმანულიდან.

№ 248

საქართველოს განთავისუფლების კომიტეტის წევრის,
გიორგი მაჩაბლის წერილი გერმანიის იმპერიის
საგარეო საქმეთა სამინისტროს, ჰანოვერ-მიუნდენის
ოფიცერთა თყვითა ბანაკში მყოფ ქართველ ოფიცერთა
განსაკუთრებით სანდო ჯგუფის ზაბანის თყვითა
ბანაკის ქართველ ჯარისკაცთა შორის საქართველოს
დამოუკიდებლობის სასარგებლოდ პროკაბანდის
წარმოების მიზნით ე. ზაბანში გადაყვანის
აუცილებლობის შესახებ

1918 წლის 7 იანვარი
ბერლინი

გასული წლის 20 ნოემბერს, სამხედრო სამინისტროსთან შეთანხმებით, მე გავუგზავნე ცირკულარული წერილი 77 ქართველ ოფიცერს, რომლებიც ჩვენ ამ დრომდე სხვადასხვა ბანაკებში შეგვეძლო დაგვეფიქსირებინა. ამ წერილის ასლს მე თან ვურთავ (დანართი 1).

ხსენებულ წერილზე მე მთელი რიგი თანხმობისა და აღტკინების პასუხები მივიღე, რომელთაგანაც ზოგიერთის თარგმანს მე ასევე თან ვურთავ (დანართი 2).

ამ მიმოწერის საფუძველზე, ის ბატონები, რომლებმაც თანხმობით მიპასუხეს, ჰანოვერ-მიუნდენში უნდა ყოფილიყვნენ გადაყვანილნი. ვინაიდან პირველმა ხუთმა ქართველმა ოფიცერმა, რომლებიც, ან უკვე დიდი ხანია ჰანოვერ-მიუნდენში იმყოფებიან, რამდენჯერმე მთხოვეს მათთან კავშირი დამემყარებინა, მე, ამა თვის 3 რიცხვში იქ გავემგზავრე და მათ დაწვრილებით, ყოველივე აუცილებლის შესახებ ვესაუბრე. მე აქ აგრეთვე თან ვურთავ ამ ხუთ ოფიცერთა მიერ ჩემდამი მიწერილ და გადაცემულ წერილს (დანართი 3). აქედან ჩანს, რომ ბატონებს მგზნებარე სურვილი აქვთ თავად იმუშაონ ქართველ ჯარისკაცთა შორის საქართველოს დამოუკიდებლობის იდეის დამკვიდრების სასარგებლოდ.

ჩემი იქ ყოფნის და ოფიცრებთან დაწვრილებითი საუბრის შედეგად, მე სრულებით დარწმუნებული ვარ, რომ ეს ხუთი ბატონი დამოუკიდებელი საქართველოს აბსოლუტურად სანდო მომხრენი არიან და რომ, მათი აზრით, აგრეთვე ბევრი სხვაც, სხვადასხვა ბანაკებში გაბნეული ქართველი ოფიცერი, ეთანხმება მათ ამ თვალსაზრისით.

სამწუხაროდ, ბანაკის არჩევის საკითხთან დაკავშირებით დადგინდა, რომ ის, სხვადასხვა მიზეზთა გამო, ნაკლებად გამოსადეგია ჩვენი გეგმებისათვის. ბანაკი ძალიან დიდია და იმდენად სრულად დაკავებული, რომ შემდგომ ქართველ ოფი-

ცერთა იქ გადაყვანა დიდ სიძნელებთან არის დაკავშირებული. ის, გარდა ამისა, შეიცავს იმ საფრთხესაც, რომ მრავალრიცხოვანი უკრაინელი ოფიცრები, რომლებიც ამ ბანაკში იმყოფებიან, არ ეკუთვნიან ერთ ჯგუფს, არამედ, მათი პოლიტიკური შეხედულებებით უკრაინის მომავლის შესახებ, ერთმანეთს მკვეთრად არ ეთანხმებიან და ერთმანეთის მიმართ მუდმივ წინააღმდეგობაშიც კი იმყოფებიან. ამ კამათებში მათ ქართველი ოფიცრების ჩათრევაც სცადეს, მათზე საკუთარ შეხედულებათა სასარგებლოდ გავლენის მოხდენის მიზნით.

აქედან გამომდინარე, გაცილებით უკეთესი იქნებოდა, თუკი ქართველ ოფიცერთა ერთ პატარა ბანაკში თავმოყრა იქნებოდა შესაძლებელი. კიდევ უფრო უკეთესი იქნებოდა, თუკი შესაძლებლობა გვექნებოდა, ისინი ზაგანის ბანაკში, ან მის სიახლოვეს გადმოგვეყვანა, რითაც მათ შესაძლებლობა მიეცემოდათ იქ მყოფ ქართველ ჯარისკაცებთან შესულიყვნენ კონტაქტში და ისინი საქართველოს თავისუფლების სასარგებლოდ გაენათლებინათ და მათზე ზეგავლენა მოეხდინათ.

იმასთან დაკავშირებით, რომ ზაგანის ბანაკი ჯარისკაცთა ბანაკია, მე მსურს, როგორც საკითხის საუკეთესო გადაწყვეტა შემოგთავაზოთ, რომ ჩვენს მიერ საამისოდ შემოთავაზებულ ქართველ ოფიცრებს, ზაგანში თავისუფალი გადაადგილების უფლება მიენიჭოთ და აგრეთვე ჯარისკაცთა ბანაკშიც მოძრაობის საშუალება ჰქონდეთ.

ამგვარი მოპყრობა დიდი სიხარულით აღავსებს ქართველ ოფიცრებს და გერმანიის მიმართ ისეთ განწყობას შექმნის, რომელიც მათზე სამშობლოში დაბრუნების შემდეგაც გავლენას იქონიებს. გარდა ამისა, ამ ღონისძიების, როგორც სხვა არაფრის შედეგად, ქართველ ოფიცრებს ჩვენი გავლენის ქვეშ მოვაქცევთ.

ჩვენ ძალიან სასურველად იმასაც მივიჩნევთ, რომ დღევანდელი აქციის საფუძველზე შეკრებილი ქართველი ოფიცრების მეშვეობით, მოგვეცეს გერმანული ენის შესწავლის შესაძლებლობაც. ამ დრომდე, გერმანულ ტყვეობაში ყოფნა მათ საშუალებას აძლევდა ფრანგული და ინგლისური ენის ცოდნას დაუფლებოდნენ, რასაც ადგილი ჰქონდა ოფიცერთა ბანაკებში ინგლისელ, ფრანგ და ბელგიელ მეგობრებთან მათი ენობრივი გაცვლა-ურთიერთობის შედეგად. ამ ენობრივ გაცვლა-ურთიერთობას თან სდევდა, ბუნებრივია, აგრეთვე ყოველგვარი პოლიტიკური ზეგავლენა, მისი ომის შემდგომ პერიოდზე გავრცელების მცდელობასთან ერთად. მაგალითად, ინგლისელი ოფიცრები ჩვენი ქართველების იმაში დარწმუნებას ცდილობდნენ, რომ ინგლისი სიმპატიურად ეკიდება ქართველთა გამანთავისუფლებელ მისწრაფებებს და სესხსაც კი დაპირდა გეგეჟკორის დღევანდელ ქართულ სამინისტროს¹.

ჩემს მიერ შემოთავაზებული გზით, შესაძლებელია, არა მხოლოდ ბოლო მოვულოთ ყველა ამ ზეგავლენათა მცდელობებს, არამედ შესაძლებლობა მოგვეცემა გზა გავუკაფოთ განმანათლებლობას და ზეგავლენას გერმანიის სასარგებლოდ, რაც უეჭველად მომავალშიც მოგვიტანს საკუთარ ნაყოფებს.

ქართველ ოფიცერთა თავმოყრის ამ საკითხის შეძლებისდაგვარად სწრაფი გადაწყვეტა, გამომდინარე საერთო პოლიტიკური მდგომარეობიდან, რაც არ მოითხოვს შემდგომ გაჭიანურებას, ნამდვილად აუცილებელია. ამ მიზეზით, ჩვენ დიდად მადლობელნი და დავალებულნი ვიქნებით, თუკი ამ საქმესთან დაკავში-

¹ იგულისხმება ამიერკავკასიის კომისარიატის მთავრობა, რომელსაც სათავეში ევგენი გეგეჟკორი ედგა.

რებული ყველა აუცილებელი ნაბიჯი, შეძლებისდაგვარად, უსწრაფეს ვადებში იქნება გადადგმული.

უაღრესად დიდი პატივისცემით და სრული ერთგულებით,
ქართული კომიტეტის სახელით,
თავადი მაჩაბელი

*Politisches Archiv des Auswärtigen Amts (PA AA), Akten Betreffend den Krieg 1914,
Unternehmungen und Aufwiegungen gegen unsere Feinde im Kaukasus. R 21026.
თარგმანი გერმანულიდან.*

№ 249

საქართველოს განთავისუფლების კომიტეტის წევრის,
ბიორბი მაჩაბლის წერილი ოთო ბიუნდერ ფონ ვეზენდონკს,
ბერმანიის იმპერიის საბარეო საქმეთა სამინისტროს
ლეგაციის მრჩეველს და ახლო აღმოსავლეთის
საქმეთა რეფერატს, ბაზეთ „НАШ ВЕК“-ში¹ დაბეჭდილი
ინფორმაციის შესახებ ქართველთა თითქოს პრორუსული
ორიენტაციის თაობაზე

1918 წლის 14 იანვარი
ბერლინი

ბატონო ფონ ვეზენდონკ,

1918 წლის 4 იანვრის 188-ე ნომრის ლანის ქრონიკაზე პასუხის გასაცემად, მე, ბატონ კერესელიძესთან² ერთად, ხელი მოვკიდე შესაბამის ცნობას „რუსეთის ხალხთა“ პირველი ნომრის ანგარიშის საფუძველზე.

პირველი პუნქტის შესახებ (ნ. ნ. ჟორდანიას გამოსვლა ქართველთა რუსული ორიენტაციის თაობაზე), კერესელიძემ განაცხადა, რომ მისთვის სავსებით გაუგებარი არის საქმე, როგორც მას „ნაშ ვეკ“-ი წარმოგვიდგენს. ის ვარაუდობს, რომ აქ ტაქტიკურ მანევრთან გვაქვს საქმე, ვინაიდან ქვეყანა აზიური ფრონტიდან დაბრუნების პროცესში მყოფი ჯარის მხრიდან დიდი საფრთხის ქვეშ იმყოფება, რის გამოც, რუსეთისადმი მეგობრული დამოკიდებულება აუცილებლობას წარმოადგენს. თავის ვარაუდში, ის „საქართველო“-ს სტატიას ემყარება, რომელიც „ნაშ ვეკ“-ს თავის 1917 წლის 14/27 დეკემბრის მე-13 ნომერში აქვს დაბეჭდილი და რომელიც მართლაც ააშკარავებს მკვეთრ შიშს შინ დაბრუნების პროცესში მყოფი ჯარისკაცების წინაშე. („რუსეთის ხალხებმა“ სიტყვა-სიტყვით მოიყვანეს სტატია თავის მე-3 ნომერში). ეროვნული საბჭოს შემადგენლობა მისთვის იმის გარანტიას, რომ ეროვნული იდეა შეუძლებელია უარყოფილი ყოფილიყო. 30 მენშევიკის საპირისპიროდ, დგას „ალიონის“ ჯგუფის 4 მენშევიკი, 10 სოციალისტ-ფედერალისტი, 6 სოციალისტ-რევოლუციონერი, 9 ეროვნულ-დემოკრატი, 1 რადიკალ-დემოკრატი. ამრიგად, 30 წევრი, რომლებიც ეროვნული თვალსაზრისით სანდონი არიან და არ იხრებიან რუსეთისკენ. ამას ემატება აჭარელთა, ქართველ

¹ „Наш Век“ („ჩვენი საუკუნე“) – კონსტიტუციურ-დემოკრატიული მიმართულების რუსული ყოველდღიური პოლიტიკური, ლიტერატურული და ეკონომიკური გაზეთი. გამოდიოდა პეტროგრადში 1917 წლის ნოემბრიდან 1918 წლის აგვისტომდე. რედაქტორი-გამომცემელი – ი. ივანოვი.

² იგულისხმება კერესელიძე გიორგი (1885-1960).

ოსთა, სოხუმის და ზაქათალას ოლქთა 7 წარმომადგენელი, რომელთაგანაც ყველა, ან თითქმის ყველა, ნაციონალისტების რიცხვს უნდა მივაკუთნოთ.

რაც პირადად ჟორდანიას შეეხება, ის მიხეილ წერეთლის მეგობარია და მისი წერილებით ორი წლის წინ გარდაცვლილი დარდიაშვილისადმი, კარგად არის ცნობილი ბატონ კერესელიძისათვის. ის ეროვნულად აზროვნებს, თუმცა გადამწყვეტი ეროვნული მოქმედებისადმი, მას პარტიული დოქტრინა უშლის ხელს.

მეორე პუნქტთან დაკავშირებით (თავადაზნაურობის მარშლის კონსტანტინე აფხაზის გამოსვლის თაობაზე, რომელსაც „ნაშ ვეკ“-ი მხოლოდ აღნიშნავს, მაგრამ არ ციტირებს), კერესელიძე, პირადი ცნობების საფუძველზე ვარაუდობს, რომ აფხაზი, ტფილისის გუბერნიის არისტოკრატიის სახელით, ქართველ ხალხს საჩუქრად თავადაზნაურთა საზოგადოების 100 მილიონ რუბლად შეფასებულ მთელ უძრავ ქონებას გადასცემს. პირადი ქონების მსხვერპლად მოტანა, ქართულმა არისტოკრაციამ არ მოისურვა.

Politisches Archiv des Auswärtigen Amts (PA AA), Akten Betreffend den Krieg 1914, Unternehmungen und Aufwiegelingen gegen unsere Feinde im Kaukasus. R 21026.

თარგმანი გერმანულიდან.

№ 250

საქართველოს განთავისუფლების კომიტეტის წევრის,
 ბიორგი კერესელიძის წერილი ოთო ბიუნდერ ფონ
 ვეზენდონკს, გერმანიის იმპერიის საბარეო საქმეთა
 სამინისტროს ლეგაციის მრჩეველს და ახლო
 აღმოსავლეთის საქმეთა რეფერატს, დაბათებითი
 ცნობებით იმ ხარჯთა შესახებ, რომლებიც განაუღ იქნა
 მის მიერ შვეიცარიაში მუშაობის დროს

1918 წლის 15 იანვარი
 ბერლინი

ბატონო ბარონ,

დამატებით ანგარიშისადმი, რომელიც მე პატივი მქონდა გამეგზავნა თქვენთ-
 ვის შვეიცარიაში ჩემი ყოფნის და ამ ქვეყანაში ჩემი მოღვაწეობის შესახებ, პატი-
 ვი მაქვს გაცნობოთ, რომ ჟენევის საკონსულოსგან მიღებული ფულის გარდა, მე,
 ჩემის მხრივ, სამუშაოს საქმისათვის, რომელსაც მე ვეწეოდი, დაფხარჯე თანხა
 7000 შვეიცარული ფრანკის ოდენობით, რომელთა შესახებ დეტალები მოიპოვება
 ჩემს ზემოხსენებულ ანგარიშში.

გთხოვთ მიიღოთ, ბატონო ბარონ, ჩემი სრული პატივისცემის ნიშნები.

გიორგი დე კერესელიძე

*Politisches Archiv des Auswärtigen Amts (PA AA), Akten Betreffend den Krieg 1914,
 Unternehmungen und Aufwiegungen gegen unsere Feinde im Kaukasus. R 21026.
 თარგმანი ფრანგულიდან.*

№ 251

**საქართველოს განთავისუფლების კომიტეტის
წევრთა, გიორგი მაჩაბლის, გიორგი კერესელიძის და
ალექსანდრე გოზალიშვილის თელავრეა ფინეთის
რესპუბლიკის მთავრობას, მოლოცვებით, ფინეთის
დამოუკიდებლობის გამოცხადებასთან დაკავშირებით**

1918 წლის 22 იანვარი
სტოკჰოლმი

ვადევნებდით რა თვალს ცოცხალი სიმპატიით მცდელობებს, რომლებსაც ავითარებდა ფინელი ერი ბრძოლაში საკუთარი ნაციონალური დამოუკიდებლობისათვის, საქართველოს დამოუკიდებლობის ეროვნული კომიტეტი სარგებლობს მისი დამოუკიდებლობის გამოცხადების და აღიარების ბედნიერი შემთხვევით, რათა გადასცეს ფინეთის ერის და რესპუბლიკის მთავრობას საკუთარი გულწრფელი მოლოცვები და უსურვოს მას აყვავება, ღირსი მისი მაღალი ცივილიზაციისა, ისევე როგორც ეროვნული სუვერენიტეტის გარანტიის ქვეშ საკუთარი ბედის აღსრულება. ქართული ეროვნული კომიტეტი განსაკუთრებულ ბედნიერებად თვლის, მოულოცოს ფინელ ერს მისი წმინდა და განუყოფელი უფლების გამოყენება, თავად გადაწყვიტოს საკუთარი პოლიტიკური ბედი და მოქმედების მაგალითი მისცეს ყველა დაჩაგრულ ერს. ის იმედოვნებს, რომ საქართველოს წინასწარ შეუძლია მისი სიმპატიების და სოლიდარობის იმედი ჰქონდეს საკუთარ მცდელობებში, განთავისუფლდეს და ეროვნულ დამოუკიდებლობას მიაღწიოს.

საქართველოს დამოუკიდებლობის ეროვნული კომიტეტის სახელით:
თავადი მაჩაბელი
გიორგი დე კერესელიძე
ალექსანდრე გოზალიშვილი

*Le service historique de l'armée de Terre (SHAT) (Château de Vincennes).
7N2 2432. Dossier Keresseldzé Leon.
თარგმანი ფრანგულიდან.*

№ 252

საქართველოს განთავისუფლების კომიტეტის
წევრთა, ბიორგი მაჩაბლის და ბიორგი
კერესელიძის წერილი ფრედერიკ ფონ
როზენბერგს, ბერმანიის იმპერიის საბარეო
საქმეთა სამინისტროს კოლიტიკური განყოფილების
გამგას და ბერმანული დელეგაციის წევრს ბრესტ-
ლიტოვსკის სამშვიდობო მოლაპარაკებებზე,
თხოვნით, აცნობოს ბერმანიის საბარეო საქმეთა
მინისტრს, რიხარდ ფონ კიულმანს, საქართველოსა
და ამიერკავკასიაში მიმდინარე მოვლენების
შესახებ და ქალაქ ბათუმზე და ბათუმის ოლქზე
თურქეთა პრეტენზიების დაუშვებლობის თაობაზე

1918 წლის 23 იანვარი
ბერლინი

დიდად პატივცემულო ბატონო ბარონ!

ქართული კომიტეტი გთხოვთ, თქვენი აღმატებულების შემდგომი წერილის მეშვეობით ბატონ სახელმწიფო მდივან ფონ კიულმანისადმი, რომელსაც ქართული კომიტეტი დიდ მადლობას უხდის იმის გამო, რომ მან ბრესტ-ლიტოვსკში კავკასიური საკითხი ამ ფორმით გაახმოვანა, შემდეგი შეტყობინება გაუკეთოთ.

ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ეს მინიშნება უმოქმედოდ არ ჩაივლის ახალი კავკასიური მთავრობისათვის. აგრეთვე ტროცკის¹ პასუხსაც, თქვენი აღმატებულების შეკითხვაზე, ბევრისთვის უნდა აეხილა თვალი. არა მხოლოდ ის, რომ ბატონმა ტროცკიმ შეკითხვის შინაარსს გვერდი აუარა, ვინაიდან მან, კავკასიის პოზიციის მაგიერ რუსული კავკასიის არმიის შესახებ ცნობები გასცა, არამედ თავად ეს ცნობებიც, ჩვენი ინფორმაციით, არ შეესაბამება სინამდვილეს. შესაძლოა, კავკასიის არმიამ ზავის დადებას დაუჭირა მხარი, მაგრამ ის არავითარ შემთხვევაში არ იმყოფება სრულიად ბოლშევიკთა ბრძანების ან გავლენის ქვეშ. ეს ცხადად ჩანს ახალი მთავრობის შემადგენლობიდან, რომელშიც ბოლშევიკთა არც ერთი წარმომადგენელი არ იმყოფება. თუნდაც მხოლოდ კავკასიური არმია ბოლშევიკური რომ ყოფილიყო, ახალი მთავრობის მსგავსი შემადგენლობა ასეთი არმიის მოქმედების რაიონში შეუძლებელი იქნებოდა.

¹ იგულისხმება ტროცკი ლევ (1879-1940).

თუკი ახალი კავკასიური მთავრობა ჯერ კიდევ სრულებით არ გამოეყო რუსეთს, ეს უნდა აიხსნას რუსული არმიის იქ ყოფნით და ეროვნებათა საკითხის სირთულით. ამჟამად სირთულეთა რიცხვი მოიმატებს კიდევ, ვინაიდან რელიგიური საკითხიც, რომელიც ადრე კავკასიაში ძალიან ნაკლებად მჟღავნდებოდა, ასევე გამოიჩინს თავს. ამჟამად ბერლინში თურქული დელეგაცია იმყოფება, რომელიც კავკასიის ქართული და თათრული ოლქებიდან გადმოსახლებულთა შთამომავლებისგან შედგება. მათ სურთ, თურქთა ინტერესებში შეეცადონ საქართველოს მაჰმადიანური ოლქების, ბათუმის ჩათვლით, ისევე როგორც თათართა, ქურთთა და სომეხთა მიერ დასახლებული ყარსისა და არდაგანის ოლქების თურქეთის შემადგენლობაში შეყვანის სასარგებლოდ იმოქმედონ. ამ დელეგაციას ის განზრახვაც კი გააჩნია, ბერლინიდან პეტერბურგს გაემგზავროს, რათა რუსულ მთავრობაზეც კი მოახდინოს გავლენა ამ თვალსაზრისით!!!

თუმცა, დელეგაციის მიერ წარმოდგენილ საქმეს ხალხთა თვითგამორკვევის უფლებასთან საერთო არაფერი აქვს. ის ცდილობს მხოლოდ, ამ საბაბის ქვეშ შენიღბოს თურქეთის სურვილი, 1878 წელს რუსეთის სასარგებლოდ დაკარგული ტერიტორია უკან დაიბრუნოს.

მოსახლეობის ფაქტორი, რომელსაც რელიგიურ კუთვნილებასთან საერთო არაფერი აქვს, პირიქით შემდეგია:

უძველესი დროიდან ბათუმი ქართული ქალაქი იყო. თურქეთის მმართველობამ იქ მხოლოდ ის ცვლილება შეიტანა, რომ ყოფილი ქრისტიანული მოსახლეობის ნაწილი იძულებული იქნა ისლამში გადასულიყო. ათწლეულების განმავლობაში ქალაქის მმართველობა თითქმის მთლიანად ქრისტიანულ-ქართულიც კი იყო და მრავალი წლის განმავლობაში თანამდებობაზე მყოფი უკანასკნელი ქალაქის თავი (თავადი ანდრონიკოვი)¹, აგრეთვე ქრისტიანი ქართველია. გარდა ამისა, პოლიტიკური და ეკონომიკური თვალსაზრისითაც, ბათუმი საქართველოს სასიცოცხლოდ აუცილებელ შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს და მთელი ქვეყანა უსასტიკესი ფორმით, ერთიანად გამოვა თურქთა მხრიდან მის საქმეებში მსგავსი რაიმე ჩარევის მცდელობის წინააღმდეგ.

ვინაიდან ჩვენ კიდევ ერთხელ გთხოვთ, ამ გარემოებების შესახებ მისი აღმატებულება საქმის კურსში ჩააყენოთ, გვსურს იმაზეც მივუთითოთ, თუ რამდენად აუცილებელი იქნებოდა, თუკი გერმანული მთავრობა თურქეთზე გავლენას იმ თვალსაზრისით მოახდენდა, რომ ხალხთა თვითგამორკვევის პრინციპი ამ ოლქშიც არ ყოფილიყო კომპრომეტირებული ცალმხრივი ჩარევით ომამდე არსებულ სასაზღვრო ურთიერთობებში. ამგვარ მცდელობას, მხოლოდ, ფრიად სერიოზული ხასიათის ქიშპისთვის საბაბის მოცემა შეუძლია.

გამოვხატავთ რა ჩვენს დიდ კმაყოფილებას იმასთან დაკავშირებით, რომ თქვენმა აღმატებულებამ ჩვენს საკითხს მიაპყრო ბატონი სახელმწიფო მდივნის ყურადღება, ხელს ვაწერთ სრული ერთგულებით ქართული კომიტეტის სახელით:

თავადი გიორგი მაჩაბელი
გიორგი ფონ კერესელიძე

Politisches Archiv des Auswärtigen Amtes (PA AA), Akten Betreffend Russisch-Asien. Kaukasus. R 11041.

თარგმანი გერმანულიდან.

¹ იგულისხმება ანდრონიკაშვილი (ანდრონიკოვი) ივანე (ნიკო) (1862-1947).

№ 253

**ქართული კომიტეტის წევრის, გიორგი მაჩაბლის
წერილი ოტო გიუნდერ ფონ ვეზენდონკს, ბერლინის
იმპერიის საგარეო საქმეთა სამინისტროს ლეგაციის
მრჩეველს და ახლო აღმოსავლეთის საქმეთა
რეფერატს, კომიტეტის წევრის, ალექსანდრე
გოზალიშვილის ბერლინაში სწავლის და დისერტაციის
დასვინ სურვილის შესახებ**

1918 წლის 23 იანვარი
ბერლინი

ბატონო ბარონ,

ჩვენი ქართული კომიტეტის ერთ წევრს, ალექსანდრე გოზალიშვილს (გოზალოვს) სურს ადგილობრივ უნივერსიტეტში თავისი სწავლის სრულყოფა და დოქტორის ხარისხის მიღება. გასულ წლებში მან მიიღო იურიდიული განათლება კონსტანტინოპოლის თურქულ უნივერსიტეტში და სამართლის ხარისხი მოიპოვა. მან კონსტანტინოპოლში დაამთავრა ფრანგული გიმნაზია და გარდა ამისა, ტფილისში გიმნაზიის 7 კლასის გამოცდა ჩააბარა.

აქაურ უნივერსიტეტში ჩაბარების ადრეული მცდელობა გასულ სემესტრში კულტურის სამინისტროს მხრიდან უარყოფილ იქნა იმ მოტივით, რომ მისი სასკოლო საბუთები არ იყო საკმარისი. თუმცა, ვინაიდან, როგორც თქვენთვის ცნობილია, თურქეთის ქვეშევრდომები აქ საყოველთაოდ საჭირო საბუთების გარეშე მიიღებინან, ხოლო ბატონ გოზალიშვილს თურქული უნივერსიტეტიც კი აქვს დამთავრებული, შეგვიძლია ვიმედოვნოთ, რომ იგი შესაძლებელია მიიღონ. მან უკვე სთხოვა რამდენიმე სხვადასხვა პროფესორს, თუ მისცემდნენ მას სადისერტაციო თეზისებს, რაზეც პროფესორმა დოქტორმა ტრიპელმა თანხმობა გამოხატა. კულტურის სამინისტროს შეუძლია ამის შესახებ დასტური უშუალოდ პროფესორ დოქტორ ტრიპელისგან მიიღოს.

ბატონი გოზალიშვილი საუბრობს გერმანულად და მას კარგად ესმის ეს ენა. ამის გარდა, ის ფლობს კიდევ რამდენიმე სხვა ენასაც.

კომიტეტი გთხოვთ მეგობრულ დახმარებას ამ საკითხში და წინასწარ გიხდით დიდ მადლობას.

განსაკუთრებული პატივისცემით,
თავადი გიორგი მაჩაბელი

Politisches Archiv des Auswärtigen Amts (PA AA), Akten Betreffend den Krieg 1914, Unternehmungen und Aufwiegelungen gegen unsere Feinde im Kaukasus. R 21026.

თარგმანი გერმანულიდან.

№ 254

**საქართველოს განთავისუფლების კომიტეტის
წევრის, გიორგი მაჩაბლის წერილი ფრედერიკ ფონ
როზენბერგს, გერმანიის იმპერიის საბარეო საქმეთა
სამინისტროს პოლიტიკური განყოფილების გამგეს და
გერმანული დელეგაციის წევრს ბრესტ-ლიტოვსკის
სამშვიდობო მოლაპარაკებებზე, ამიერკავკასიაში
არსებული პოლიტიკური სიტუაციისა და აჭარის
საკითხის შესახებ**

1918 წლის 24 იანვარი
ბერლინი

დიდად პატივცემულო ბატონო ბარონ!

დამატებით ჩემს გუშინდელ წერილზე, ბრესტ-ლიტოვსკში ტროცკის განცხადებისა და აჭარის პროვინციის (ქართველ მაჰმადიანთა ოლქის) საკითხის შესახებ¹, პატივი მაქვს თქვენ აგრეთვე შემდეგი მოგახსენოთ:

ის, რომ კავკასიის არმია და კავკასია არ იმყოფება ბოლშევიკთა გავლენის ქვეშ, ჩანს ამ არმიის რეზოლუციიდან, რომელიც სრულიად რუსეთის გლეხთა საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს გაეგზავნა. (იხილეთ „ნაშ ვეკ“-ი, 1918 წლის 24 დეკემბერი – 1919 წლის 6 იანვარი, ნომერი 22). ამ რეზოლუციის შინაარსი შემდეგია:

„თუ მხედველობაში მივიღებთ,

1. რომ ფრონტზე საპატიო ცეცხლის შეწყვეტის ფაქტიდან გამომდინარე, რომელიც თურქეთის ინიციატივით კავკასიის რევოლუციურ არმიასა და თურქეთს შორის ექვსი თვის ვადით იქნა დადებული;
2. რომ საყოველთაო დემოკრატიული ზავის საკითხი მეომარ დიდ სახელმწიფოთა შორის მოლაპარაკებების საერთო მდგომარეობაზე არის დამოკიდებული, აგრეთვე იმის გათვალისწინებით;
3. რომ რუსეთის ნაწილმა რამდენიმე ფედერაციული რესპუბლიკა ჩამოაყალიბა, რომლებიც არ აღიარებენ სახალხო კომისართა ხელისუფლებას;
4. რომ კავკასიის არმია და კავკასია ამ ხელისუფლებას არ აღიარებენ;
5. რომ ამის შედეგად სახალხო კომისრები არ არიან მთელი ხალხის ნების გამოხატველები, არამედ მხოლოდ მისი უზურპატორები და აქედან გამომდინარე, გერმანიას ამ მთავრობასთან, რომელსაც ხალხი არ აღიარებს, არ შეუძლია გააგრძელოს მოლაპარაკებები ზავის შესახებ;

¹ იხ. დოკ. 252.

6. რომ ასეთ პირობებში დაწყებულმა საზავო მოლაპარაკებებმა, საბოლოო შედეგად, შესაძლებელია არმიისა და სამშობლოს სრული დაღუპვა და განადგურება მოიტანონ, და ბოლოს;
7. რომ ერთადერთი კანონიერი ორგანო, რომელთანაც ჩვენთან ომში მყოფ დიდ სახელმწიფოებს სამშვიდობო მოლაპარაკებებში შესვლა შეუძლიათ, დამფუძნებელი კრებაა,

კავკასიის არმიამ და კავკასიამ გადაწყვიტეს, მოითხოვონ დამფუძნებელი კრების დაუყოვნებლივი მოწვევა, რომელიც, მიიღებს რა ცეცხლის შეწყვეტას როგორც აღსრულებულ ფაქტს, პირველ საკითხად სასწრაფოდ საყოველთაო დემოკრატიული ზავის დადება უნდა გადაწყვიტოს“.

ეს რეზოლუცია, რომელიც სრულიად ახალ ინფორმაციას წარმოადგენს, საკუთარ თავზე სრულიად ცხადად ლაპარაკობს, ასე რომ შემდგომ კომენტარებს არ საჭიროებს.

ის, რომ ბოლშევიკებს კავკასიაში არავითარი ძალაუფლება არ გააჩნიათ, იქიდანაც ჩანს, რომ, როგორც მე პირველ წერილში უკვე ვახსენე, კავკასიურ კომისარიატში ბოლშევიკები არ არიან წარმოდგენილნი. (იხ. „დელი ნაროდა“-ს¹ 1917 წლის 9/22 დეკემბრის ნომერი 228).

აჭარის საკითხის შესახებ, მე მსურს თქვენ დამატებით შემდეგი შეგატყობინოთ:

ქართული ეროვნული ყრილობის მიერ მიღებულ ერთ-ერთ პირველ რეზოლუციაში, სხვათა შორის, ნათქვამია: „ქართული ტერიტორიების სრული თვითმმართველობა, საკუთარი დამფუძნებელი კრებით. ტერიტორიის საზღვრები ამ საკითხით დაინტერესებულ მეზობელ ეროვნებებთან შეთანხმებით იქნება დადგენილი. ქართულ ტერიტორიაზე მცხოვრები ეროვნული უმცირესობანი თავისუფალი კულტურული განვითარების სრულ გარანტიებს მიიღებენ.

მუსულმანური საქართველო (იგულისხმება აჭარა) მიიღებს ფართო თვითმმართველობას.

თუკი რუსეთში სამოქალაქო ომი გაგრძელდება, და დამფუძნებელი კრების მოწვევა უახლოეს დროში შეუძლებელი გახდება, ასეთ შემთხვევაში, როგორც ამიერკავკასიის, ისე ცალკე ეროვნებათა ადგილობრივი დამფუძნებელი კრებები იქნება მოწვეული, რათა, ურთიერთგაგების საფუძველზე, როგორც სხვადასხვა ეროვნულ-ტერიტორიული ერთეულების, ისე მთლიანად ამიერკავკასიის შესაბამისი დემოკრატიული და ეროვნული კონსტიტუციის მიღების შესახებ გადაწყვეტილება იქნეს მიღებული. საქართველოს დამფუძნებელი კრების მოწვევა ქართული ეროვნული საბჭოს მიერ უნდა განხორციელდეს“. (იხილეთ, „ნაშ ვეკ“, 1917 წლის 8/21 დეკემბრის მე-8 ნომერი).

იმავე გაზეთში ასევე ნათქვამია:

„23 ნოემბერს (ახალი სტილით 6 დეკემბერს) საქართველოს ეროვნული ყრილობის მიერ საქართველოს ეროვნული საბჭო იქნა არჩეული. სხვადასხვა პარ-

¹ «Дело народа» („სახალხო საქმე“) – ესერთა პარტიის ცენტრალური ორგანო, ყოველდღიური პოლიტიკური და ლიტერატურული გაზეთი. რედაქტორი – ვ. სუხომლინი. გამოდიოდა პეტროგრადში 1917 წლის მარტიდან 1918 წლის იანვრამდე, როდესაც აკრძალულ იქნა ბოლშევიკური ხელისუფლების მიერ. 1918 წლის მარტ-ივნისში – პეტროგრადში, იმავე წლის ოქტომბერში – სამარაში და 1919 წლის მარტში – მოსკოვში, გამოვიდა კიდევ რამდენიმე ათეული ნომერი.

ტიების 60 წარმომადგენელთა შორის, რომელთაგანაც 7 მოსაზღვრე ოლქებიდან არის, 3 ქართველი მაჰმადიანი, 1 ქართველი ოსი, 2 სოხუმის და 1 ზაქათალას ოლქების წარმომადგენელია.

ა. ჩხენკელის ბრძანებაში ამიერკავკასიის კომისარიატის თავმჯდომარესადმი („ნაშ ვეკ“, 1917 წლის 9/22 დეკემბრის მე-9 ნომერი), სადაც, სხვათა შორის, საკამათო გუბერნიები და მაზრები არის დასახელებული, აჭარაზე საერთოდ არ არის საუბარი.

კოპენჰაგენში ბატონ კ[ედიასთან] ჩემი შეხვედრის დროს, მან ასევე დამიდასტურა ყველა ეს ცნობა.

აქედან ჩანს, რომ აჭარლები სრულიად ნებაყოფლობით, კმაყოფილნი არიან საკუთარი ბედით. აქ მყოფი თურქული დელეგაციის ხელმძღვანელთან ჩემი საუბრის დროს, მე მას ამ ფაქტზე მივუთითე, რაშიც ისიც იძულებული იყო დამთანხმობდა. რაც შეეხება სხვა პროვინციებს (ყარს და არდაგანს), იქ მცხოვრებმა ეროვნებებმა თავად, გარედან ჩარევის გარეშე უნდა განსაზღვრონ საკუთარი ბედი.

თუკი რომელიმე ეს საკითხი რაიმე დამატებით ახსნას მოითხოვს, მე სიამოვნებით, მზად ვარ ნებისმიერი ცნობა მოგაწოდოთ.

უაღრესად ღრმა პატივისცემით,
თქვენდამი სრულიად ერთგული,
თავადი გიორგი მაჩაბელი

*Politisches Archiv des Auswärtigen Amts (PA AA),
Akten Betreffend Russisch-Asien. Kaukasus.
R 11041.*

თარგმანი გერმანულიდან.

№ 255

გერმანიის არმიის სახმელეთო ძალების
გენერალური შტაბის კოლიტიკის სექციის უფროსის,
კაპიტან ერნსტ ფონ ჰიულსენის წერილი გერმანიის
საგარეო საქმეთა სამინისტროს, ქართველი
სამხედრო ძეგვი კაჭარავას შესახებ

1918 წლის 30 იანვარი
ბერლინი

კაჭარავა 15 იანვრიდან ჩამოცილებულია შრომით ნაწილ „მეტყვეობა ვრონ-კეს“. ამჟამად ის იმყოფება ზაგანის ტყვეთა ბანაკში და დასაქმებულია შრომით ნაწილ „ბაუმშულე გერტნერში“ შონტალში, ზაგანთან, საიდანაც ყოველდღიურად ხდება მისი უკან დაბრუნება.

ფონ ჰიულსენი

*Politisches Archiv des Auswärtigen Amtes (PA AA), Akten Betreffend den Krieg 1914,
Unternehmungen und Aufwiegelungen gegen unsere Feinde im Kaukasus. R 21026.
თარგმანი გერმანულიდან.*

№ 256

საქართველოს განთავისუფლების კომიტეტის
წევრის, გიორგი მაჩაბლის წერილი ოთო ბიუნდერ
ფონ ვეზენდორფს, გერმანიის იმპერიის საგარეო
საქმეთა სამინისტროს ლეგაციის მრჩეველს და ახლო
აღმოსავლეთის საქმეთა რეფერატს, ქართველ ძეგვითა
ზაბანის ბანაკში არსებული მდგომარეობის შესახებ

1918 წლის 2 თებერვალი
ბერლინი

პატივცემულო ბატონო ბარონ,

ქართული კომიტეტის სახელით მაქვს პატივი შეგატყობინოთ, რომ სამხედრო
სამინისტრომ, როგორც იცით, მიიღო გადაწყვეტილება ქართველი ოფიცრების
ერთ განსაკუთრებულ ბანაკში, ზაგანში თავმოყრის შესახებ. ამ მიზნით ერთი
ჯარისკაცთა ყაზარმა უნდა შესაბამისად გადაკეთებულ იქნეს.

ქართულ კომიტეტს უნდა, ამჟამად გთხოვოთ, რომ ყაზარმის უკეთესი მონყო-
ბის მიზნით, დაახლოებით 10 000 მარკა გამოიყოს, რათა შიდა მონყოზა უკეთესი
გახდეს და სხვადასხვა საჭიროებებისთვის აუცილებელი სახსრები მზად გვექონ-
დეს.

ასევე გთხოვთ, რომ ეს თანხა, ამ მიზნით, გადაეცეს ბატონ კაპიტან ფონ ლუ-
ბერსს.

კომიტეტის სახელით წინასწარ დიდ მადლობას გიხდით და ხელს ვაწერ,

განსაკუთრებული პატივისცემით, სრული ერთგულებით,
თავადი მაჩაბელი

*Politisches Archiv des Auswärtigen Amts (PA AA), Akten Betreffend den Krieg 1914,
Unternehmungen und Aufwiegungen gegen unsere Feinde im Kaukasus. R 21026.
თარგმანი გერმანულიდან.*

№ 257

**გერმანიის საბარეო საქმეთა სამინისტროს
 შედგომიდან ფრედერიკ ფონ როზენბერგს, ხსენებული
 სამინისტროს პოლიტიკური განყოფილების უფროსს
 და ბრესტ-ლითოვსკის საზავო მოლაპარაკებებზე
 გერმანული დელეგაციის წევრს, საქართველოს
 განთავისუფლების კომიტეტის წევრის, გიორგი
 მაჩაბლის ინიციატივის შესახებ, დაიყოლიოს
 ამიერკავკასიის სეიმის მთავრობა სეპარატულ
 სამშვიდობო მოლაპარაკებებზე ცენტრალური
 ევროპის დიდ სახელმწიფოებთან**

1918 წლის 4 თებერვალი
 ბერლინი

თქვენს კეთილშობილებას, პატივისცემით, ცნობისათვის.

თავადი მაჩაბელი გვატყობინებს, რომ კონსტანტინოპოლიდან აქ ჩამოსულმა ქართველმა მაჰმადიანებმა აჰმედ ფაშამ და ჰასან ფეჰმიმ, თავადთან საუბრის შემდეგ, დიდ ვეზირ თალაათ ფაშას წერილობით შესთავაზეს, კონსტანტინოპოლიდან სავაჭრო გემით საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის ზოგი ქართველი მაჰმადიანი და ნდობით აღჭურვილი პირი ბათუმში გადაგზავნონ, რათა საქართველოს დროებით მთავრობას და კავკასიის თათრებს მოსთხოვონ, პირდაპირ საზავო მოლაპარაკებებში შევიდნენ ცენტრალური ევროპის დიდ სახელმწიფოებთან. ბათუმის და აჭარის თურქეთისადმი დაბრუნების საკითხი საერთოდ არ უნდა იქნეს ხსენებული ქართველებთან მიმართებაში, ვინაიდან, ამ შემთხვევაში, ისინი მყისვე ერთიანად გამოვლენ თურქებთან დაახლოების ნებისმიერი მცდელობის წინააღმდეგ. თავადმა მაჩაბელმა აჰმედ ფაშა და ჰასან ფეჰმი ამ პუნქტში დათმობაზე იმაზე მითითებით დაიყოლია, რომ სომხების სახით თურქებს და ქართველებს საერთო მტერი ყავთ და აქედან გამომდინარე, ორივეს ინტერესი აქვთ ხელი შეუშალონ ავტონომიური სომხეთის წარმოქმნას. თუმცა, იმისათვის, რათა ქართველები მზად იყვნენ ამ საკითხში ხელიხელჩაკიდებულმა იარონ თურქებთან ერთად, აუცილებელია, რომ თურქეთმა წინასწარ უარი თქვას ქართულ ტერიტორიათა ყოველგვარ მიტაცებაზე. ამის სანაცვლოდ, ქართველებს არავითარი ინტერესები არ ექნებათ ყარსზე და არდაგანზე.

*Politisches Archiv des Auswärtigen Amtes (PA AA),
 Akten Betreffend Russisch-Asien. Kaukasus. R 11041.
 თარგმანი გერმანულიდან.*

№ 258

ოსმალეთის იმპერიის დიდი ვეზირის,
 მეჰმედ თალაათ ფაშას, ბერლინში ოსმალეთის
 საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის,
 იბრაჰიმ ჰაკი ფაშას, ოსმალური არმიის
 ანატოლიური დაჯგუფების მეთაურის, მარშალ აჰმედ
 იფხეთ ფაშას და საქართველოს განთავისუფლების
 კომიტეტის წევრის, გიორგი მარაბლის 1918 წლის
 4 თებერვალს ვარშავაში შემდგარი
 მოლაპარაკებების „მოკლე ოქმი“

1918 წლის 5 თებერვალი
 ვარშავა

თავადი მაჩაბელი აღწერს საქართველოში შექმნილ მდგომარეობას და ძირითადად მიუთითებს სიძნელეებზე, რომლებიც ქართულ მთავრობას უშლის ხელს საკუთარი თავი თავისუფალ და დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოაცხადოს (იქნება ეს მხოლოდ საქართველოს მიერ, თუ კავკასიის სხვა ხალხებთან ერთად) და ამით ხელი შეუწყოს ქართველი ერის მიერ ნანატრი ზავის დადებას.

მთავარი სიძნელეებია:

- 1) მთელს რუსეთში არსებული ანენილი და გაურკვეველი მდგომარეობა და ბოლშევიკური მთავრობის არაგულწრფელი, უფრო სწორედ კი, ვერაგული პოზიცია ხალხთა თვითგამორკვევის უფლების მიმართ;
- 2) კავკასიაში ჯერ კიდევ მრავალრიცხოვანი რუსული ჯარების ყოფნა, რომლებიც ბოლშევიკური პროპაგანდის შედეგად, სრულიად თავაშვებულნი და უდისციპლინონი გახდნენ და სურთ ხელი შეუშალონ ყოველგვარ მშვიდობიან მუშაობას;
- 3) ეროვნებათა საკითხების მოგვარება (უპირველეს ყოვლისა სომხურის) თავად კავკასიაში და
- 4) ქართული მთავრობის გაურკვეველობა, რა პოზიციას დაიკავებს ახლადშექმნილი სახელმწიფოს მიმართ საქართველოს მთავარი მეზობელი თურქეთი და განაცხადებს თუ არა თურქული მთავრობა პრეტენზიას, ომის წინ რუსული საზღვრის ფარგლებში მყოფი ქართული ტერიტორიის რომელიმე ნაწილზე (იქნება ის მაჰმადიანი, თუ ქრისტიანი ქართველებით დასახლებული).

თავად მაჩაბლის შეხედულებით, უკანასკნელი სიძნელე შეიძლება ძალიან ადვილად დაძლეულ იქნას. მითუმეტეს, რომ ამ საკითხის გადაწყვეტა, მხოლოდ თურქული მთავრობისგან არის დამოკიდებული. აუცილებელი მხოლოდ ის არის, რომ თურქულმა მთავრობამ ქართველი ხალხის ისტორიული და ეთნოგრაფიული თვალსაზრისით კუთვნილ ტერიტორიათა ხელუხლებლობა აღიაროს და მომავალში პატივი სცეს ამ ტერიტორიებზე ქართული სახელმწიფოს სრულ სუვერენიტეტს. თავად თურქეთისთვის დიდი მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს, რომ მის საზღვარზე მოწესრიგებული და შინაგანად ძლიერად ორგანიზებული სახელმწიფო წარმოიქმნას, რომელიც ბუფერული სახელმწიფოს როლის შესრულებას შესძლებს. ზემოხსენებული მეოთხე სირთულის გადალახვას, შედეგად ექნება უშუალო სეპარატული ზავის დადება თურქეთსა და საქართველოს (შესაბამისად კავკასიას) შორის, რის შედეგადაც, საქართველოს საშუალება ექნებოდა მთელი თავისი ძალის კონცენტრირება დანარჩენ სიძნელეთა ლიკვიდაციაზე მოეხდინა. ამის გამო, საქართველო თურქეთის მუდმივად მადლობელი იქნებოდა, მასთან მეგობრულ და გულწრფელ ურთიერთობებს დაამყარებდა და განავითარებდა.

ამის შემდეგ, მისი უმაღლესობა დიდი ვეზირი არწმუნებს თავად მაჩაბელს, რომ თურქული მთავრობა მტკიცედ დგას იმ პოზიციაზე, რომ არ წამოაყენებს პრეტენზიას ქართულ ტერიტორიათა რომელიმე ნაწილზე, იქნება ეს აჭარა, ბათუმი, თუ რომელიმე სხვა და არც საქართველოს შინაგან საქმეთა მოგვარებაზე მოახდენს რაიმე ზეწოლას. მის უმაღლესობას სურს მხოლოდ, რომ საქართველომ, შეძლებისდაგვარად მალე განახორციელოს საკუთარი დამოუკიდებლობა და როგორც დამოუკიდებელმა სახელმწიფომ, თურქეთთან მეგობრულ ურთიერთობებში შესვლა შეძლოს. მისი უმაღლესობა იმისთვისაც კი იქნებოდა მზად, რომ დახმარება გაუწიოს ქართული სახელმწიფოს შექმნას და მშენებლობას, რადგან თურქეთისთვის ასევე მნიშვნელოვანია, რომ დამოუკიდებელი საქართველო, ან დამოუკიდებელი კავკასია, მეზობელ სახელმწიფოდ ჰყავდეს.

მისი აღმატებულება ჰაკკი ფაშა და მისი აღმატებულება იზზეთ ფაშა, უმატებენ მისი უმაღლესობის, დიდი ვეზირის სიტყვებს, მათ მიერ გაკეთებულ მსგავს განცხადებებს.

თავადი მაჩაბელი დიდი მადლიერებით ყურად იღებს მაღალ ბატონთა ამ განცხადებებს და საქართველოსთან დაახლოების განსახორციელებლად შემდეგს სთავაზობს:

მისია, შემდგარი თურქეთის მთავრობის ნახევრადოფიციალური წარმომადგენლებისგან და ქართული ეროვნული კომიტეტის მიერ დანიშნული ქართველი ბატონებისგან, კონსტანტინოპოლიდან საქართველოში უნდა გაიგზავნოს, რათა ქართული მთავრობა საქმის კურსში ჩააყენოს თურქული მთავრობის განზრახვების შესახებ და სთხოვოს, დანიშნოს საკუთარი დელეგატები საზავო მოლაპარაკებებისათვის და ისინი თურქეთში გააგზავნოს.

ეს წინადადება ყველა დამსწრეთა მიერ მოწონებულ იქნა.

ქართული ეროვნული კომიტეტი ყველაფერს შეეცდება, რათა ხელი შეუწყოს ამ საკითხის სწრაფ გადაწყვეტას. დეტალები მგზავრობის შესახებ, კონსტანტინოპოლში არის შესათანხმებელი.

თავადი მაჩაბელი პირობას დებს, უახლოეს ხანებში კონსტანტინოპოლში გაემგზავროს და თურქულ მთავრობასთან შეთანხმებით ყოველივე აუცილებელი მოაგვაროს.

5 თებერვალს, დღის მეორე ნახევარში გამართულ სხდომაზე, ეს ოქმი წაკითხული, ჩასწორებული და როგორც სწორი დამტკიცებულ იქნა, ყველა ზემოხსენებულ ბატონთა მიერ.

*Politisches Archiv des Auswärtigen Amts (PA AA),
Akten Betreffend Russisch-Asien. Kaukasus. R 11042.
თარგმანი გერმანულიდან.*

№ 259

გერმანიის კულტურის სამინისტროს წერილი
ბერლინის საგარეო ფრიდრიხ-ვილჰელმის
უნივერსიტეტის საიმპერიკულაციო კომისიას,
საქართველოს განთავისუფლების კომიტეტის
წევრის, ალექსანდრე გოზალიშვილისთვის,
იმპერიკულაციის მინიჭების თაობაზე

1918 წლის 11 თებერვალი
ბერლინი

რუსეთის მოქალაქე (ქართველი) ალექსანდრე გოზალიშვილმა (გოზალოვმა) ითხოვა მიღება ადგილობრივ უნივერსიტეტში სამართლის შესასწავლად. აღნიშნულმა პიროვნებამ წინასწარი სასკოლო განათლება მიიღო ტფილისის პირველ ვაჟთა გიმნაზიაში და ასევე, კონსტანტინოპოლის ფრანგულ გიმნაზიაში, ასევე დაკავებული იყო იურისპრუდენციის სწავლით კონსტანტინოპოლის უნივერსიტეტში. მე მინდა გამონაკლისის სახით დავუშვა, რომ მისი წინასწარი განათლება საკმარისად ჩაითვალოს და ვაძლევ ნებართვას საიმპერიკულაციო კომისიას, რომ მისი საბუთების წარმოდგენის შემდეგ მისცეს იმპერიკულაცია.

Politisches Archiv des Auswärtigen Amts (PA AA), Akten Betreffend den Krieg 1914, Unternehmungen und Aufwiegelungen gegen unsere Feinde im Kaukasus. R 21026.
თარგმანი გერმანულიდან.

№ 260

**საინფორმაციო შეთხოვნილება გერმანიის იმპერიის
ელჩს კონსტანტინოპოლში, ბრაუნ იოჰან ჰაინრიხ
ფონ ბრანდტნორფს, საქართველოს განთავისუფლების
კომიტეტის წევრის, გიორგი მარაბლის და
ავსტრო-უნგრელი ობერ-ლეიტენანტ ბრანდტნერის¹
კავკასიისკენ გამგზავრების შესახებ**

1918 წლის 28 თებერვალი
ბერლინი

თქვენს აღმატებულებას მინდა ტელეგრამა N°306-თან კავშირში შევატყობინო, რომ თავადი გიორგი მარაბელი და ავსტრო-უნგრელი ობერ-ლეიტენანტი ბრანდტნერი 68-ე ქვეითი პოლკიდან, მომდევნო დღეებში კონსტანტინოპოლისკენ გაემართებიან. ობერ-ლეიტენანტი ბრანდტნერი თავიდან ენვერ ფაშასთან გათავისუფლდება იმ დავალებებისგან, რომლებიც მან ბაქოში თურქული სამხედრო მისიის ხელმძღვანელისგან, რუშენი ბეისგან მიიღო. ენვერ ფაშასთან და თალაათ ფაშასთან კონსულტაციის შემდეგ, ობერ-ლეიტენანტი ბრანდტნერი და თავადი მარაბელი ფიქრობენ კავკასიისკენ გამგზავრებას, რამეთუ იქ საქართველოს, თათრების და მთის ხალხების ხელისუფლებებთან, ასევე კავკასიის საერთო ხელისუფლებასთან კონტაქტი დაამყარონ და იქიდან, ემისრის საშუალებით, კავკასიის მდგომარეობის შესახებ გამოგზავნონ ინფორმაცია. მათთან ერთად შემდეგი პირები ჩამოვლენ კონსტანტინოპოლში და გაემგზავრებიან კავკასიაში:

1. ქართველი სალომონ ვადაკური, მენშევიკების პარტიის წევრი.
2. ქართველი კაპიტანი, ივანე იმნაძე.
3. ქართველი უფროსი ლეიტენანტი, ბიძინა ქუთათელაძე.
4. ქართველი კაპიტანი მერკვილაძე.
5. ქართველი მუსლიმი სულეიმან ვარშანიძე.
6. ქართველი მუსლიმი აჰმედ დევიძე.
7. ინგუში ჯემალედდინ ალბოგაჩი, ერთი გავლენიანი მუსლიმის შვილი ვლადიკავკაზიდან.
8. დაღესტნელი ათამბეგ უცმიევი, ბაქოელი თათარი ლიდერის თავიევის² დისშვილი.

კონსტანტინოპოლში მათ, ალბათ, პეტრე სურგულაძე და რამდენიმე სხვა ქართველი სხვადასხვა პოლიტიკური მიმდინარეობებიდან, შეუერთდება.

¹ იგულისხმება ბრანდტნერ დეზიდერიუს (Brandtner Desiderius) (?-1918).

² იგულისხმება თავიევი ჰაჯი ზეინალაბდინ (1823-1924).

№ 261

გერმანიის იმპერიის საგარეო საქმეთა სამინისტროს
წერილი ცენდრალურ საკანსკორტო განყოფილებას,
კავკასიის ხალხთა ეროვნულ-განთავისუფლებელი
მოძრაობის აქტივისტებისათვის სამგზავრო
პასპორტების გაცემის შესახებ

1918 წლის 4 მარტი
ბერლინი

გთხოვთ, რომ გასცეთ სამგზავრო პასპორტები უცხოეთში: ავსტრია-უნგრეთის, ბულგარეთის და თურქეთის გავლით კავკასიისკენ, შემდეგი პირებისთვის:

1. იმნაძე ივანე, უფროსი მასწავლებელი, დაბადებული 1872 წლის 31 მარტს ტფილისში, ქართველი, ბერძნულ-მართლმადიდებლური აღმსარებლობის.
2. მერკვილაძე ირაკლი, სტუდენტი, დაბადებული 1895 წლის 31 მარტს ქუთაისში, [ქართველი, ბერძნულ-მართლმადიდებლური აღმსარებლობის].
3. ქუთათელაძე ბიძინა, კომერსანტი, დაბადებული 1889 წლის 22 დეკემბერს ქუთაისში, [ქართველი, ბერძნულ-მართლმადიდებლური აღმსარებლობის].
4. დევიძე აჰმედ, კომერსანტი, დაბადებული 1894 წლის 14 მაისს ბათუმში, [ქართველი], მაჰმადიანი.
5. ვარშანიძე სულეიმან, კომერსანტი, დაბადებული 1892 წლის 20 აპრილს ბათუმში, [ქართველი, მაჰმადიანი].
6. ვადაკური სოლომონ, ყურნალისტი, დაბადებული 1882 წლის 12 ივლისს ქუთაისში, [ქართველი], ბერძნულ-მართლმადიდებლური აღმსარებლობის.
7. ალბოგაჩი, ჯამალედდინ, სტუდენტი, დაბადებული 1894 წლის 26 აპრილს ვლადიკავკაზში, კავკასიელი, მაჰმადიანი.
8. ათამბეგ უცმიევი.

ამ ბატონებს განზრახული აქვთ 7 მარტს, ჩქაროსნული მატარებლით კოსპოლისკენ (ბუდაპეშტის და სოფიის გავლით) „ზოოლოგიური ბაღიდან“¹ გამგზავრება, შუადღით, 2:58 წუთზე.

Politisches Archiv des Auswärtigen Amts (PA AA), Akten Betreffend den Krieg 1914, Unternehmungen und Aufwiegelungen gegen unsere Feinde im Kaukasus. R 21026.

თარგმანი გერმანულიდან.

¹ იგულისხმება ბერლინის შარლოტენბურგის რაიონში მდებარე რკინიგზის სადგური „ზოოლოგიური ბაღი“ (Bahnhof Berlin Zoologischer Garten).

№ 262

კონსტანტინოპოლში ავსტრია-უნგრეთის ელჩის,
მარკგრაფ იოჰან ფონ პალავიჩინის თელეგრაფა
ავსტრია-უნგრეთის საგარეო საქმეთა მინისტრ,
ბრაუნ ოტოკარ ფონ ჩერნინისადმი, საქართველოს
ბანთავისუფლების კომიტეტის წევრ, გიორგი
მარაბელთან საუბრისა და ამიერკავკასიის
რესპუბლიკასა და თურქეთს შორის არსებული
სირთულეების შესახებ

1918 წლის 11 მარტი
პერა

ცნობილმა ქართველმა თავადმა მაჩაბელმა, რომელიც რამდენიმე დღეა აქ არის, მომძებნა და მითხრა, რომ მისი შეხედულებით მნიშვნელოვანია, ავსტრია-უნგრეთმა და გერმანიამ, ტრაპიზონში თურქეთსა და ამიერკავკასიის რესპუბლიკას შორის მიმდინარე მოლაპარაკებებზე (ჩემი დღევანდელი ტელეგრამა №149) მიიღონ მონაწილეობა.

თავადმა ხაზი გაუსვა, რომ ქართველები არასოდეს დათანხმდებიან, რომ ბათუმი თურქული გახდეს და ასევე არ ფიქრობს, რომ ეს ცენტრალური ევროპის დიდი ქვეყნების ინტერესებში შედიოდეს. მათი მონაწილეობა მოლაპარაკებებზე ამას ადვილად ხელს შეუშლიდა.

ამის საპირისპიროდ, ის ფიქრობს, რომ ყარსთან და არდაგანთან დაკავშირებით, თურქეთთან იოლად შეიძლებოდა მოლაპარაკება.

იმ შემთხვევაში, თუკი საიმპერიო და სამეფო მთავრობა ასეთ მოლაპარაკებებს ამიერკავკასიის რესპუბლიკასთან მხედველობაში მიიღებს, ჩემი შეხედულებით, ტრაპიზონი მათი წარმართვისთვის არ არის შესაფერისი ადგილი. პირიქით, სასურველად მიმაჩნია, რომ მსგავსი მოლაპარაკებები ოტომანთა ტერიტორიის გარეთ მოხდეს.

მარკგრაფი პალავიჩინი

Wien, Haus-, Hof- und Staatsarchiv, Politisches Archiv (HHStA, PA),
X 155 Russland Liasse XI k 1:
Kaukasus-Staaten: Allgemeines 1918 II-VIII.
თარგმანი გერმანულიდან.

№ 263

**კონსტანტინოპოლში ავსტრია-უნგრეთის ელჩის,
მარკბრაუ იოჰან ფონ კალავიჩინის წერილი
ავსტრია-უნგრეთის საბარეო საქმეთა მინისტრ, ბრაუ
ოტოკარ ფონ ჩერნინისადმი, ბიორგი მარაბელთან
საუბრის და ოსმალეთში ბათუმ-ყარს-არდაბანის
საკითხზე არსებული მიდგომების შესახებ**

1918 წლის 12 მარტი
პერა

ჩვენი გუშინდელი გასაუბრების დროს, რომლის შესახებ თქვენს აღმატებულებას ტელეგრაფის საშუალებით მოკლედ უკვე ვაცნობე, თავადმა მაჩაბელმა აგრეთვე მითხრა, რომ თალათ ფაშამ მას ვარშავაში უთხრა, თუმცა უკრაინასთან სამშვიდობო ხელშეკრულების გაფორმებამდე, რომ ბათუმი საქართველოს უნდა დარჩენოდა.

თავადი ამ ქალაქის ფლობას მისი ქვეყნისთვის უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს და სასიცოცხლოდაც კი მიიჩნევს, რადგან ის ამ რეგიონში ერთადერთ კარგ პორტს მოიცავს. საჭიროების შემთხვევაში მხედველობაში მისაღები ფოთის პორტი არის დაქვიშიანებული და ცუდი. როგორც უკვე გამცნეთ, მაჩაბელს არაფერი ექნებოდა სანინააღმდეგო, თუკი ყარსი და არდაგანი, რომლებიც მაჰმადიანებითაა დასახლებული, თურქეთს დარჩება.

ავსტრო-უნგრელმა ობერ-ლეიტენანტმა ბრანდტნერმა¹, რომელიც, როგორც მის აღმატებულებას მოეხსენება, ბოლო პერიოდში სამხრეთ კავკასიაში საქმეზე გაჩერდა და თავადს გაჰყვა გზაზე, ამის საპირისპიროდ მითხრა, რომ ბოლო ორ ხსენებულ ადგილს და ოლქს არ უნდათ არაფრის გაგონება თურქული მმართველობის ქვეშ დარჩენის შესახებ. ამას გარდა, ტფილისში უნდა იმყოფებოდეს ინგლისელი და ფრანგი ოფიცრების მიერ ორგანიზებული, დაახლოებით 60 000 კაციანი სომხური არმია. თურქების ეს ბუნებრივი, სამკვდროდ გადაკიდებული მტრები, მათივე თქმით, ოსმალეთის კავკასიაში დამკვიდრების შესახებ არაფრის გაგონებას არ აპირებენ.

სხვა მხრივ ისმის ხმები, რომ ტრაპიზონიდან უნდა დაიწყოს დიდი სამხედრო ექსპედიცია ბათუმის დასაკავებლად.

ამ ყველაფრიდან გამომდინარე ვასკვნი, რომ ეს საკითხი თურქეთის მთავრობას უფრო დიდ სირთულეებს უმზადებს, რამეთუ ის შესაძლებლობისთანავე მომენტალურ დაპირისპირებაში შეიძლება გადაიზარდოს ჩამოყალიბების პროცესში მყოფ ამიერკავკასიის რესპუბლიკასთან.

¹ იგულისხმება ბრანდტნერ დეზიდერიუს (Brandtner Desiderius) (?-1918).

აღნიშნულთან დაკავშირებით, ახლა არ შემიძლია ადგილობრივი ხელისუფლების საკმაო პოლიტიკური შეცდომების ჩამოთვლა, რომლებიც საკუთარი პრესტიჟის გასაძლიერებლად, ბოლშევიკებისგან მიღებულ დათმობას სამი კავკასიური ოლქის დაცლის შესახებ, საზოგადოების წინაშე წარმოადგენენ როგორც გადაცემას თურქეთისთვის. ამ თვალსაზრისით, ენვერ ფაშა განსაკუთრებით დამნაშავეა, რადგან მან რამდენიმე დღის წინ ისე წარმოაჩინა ეს საკითხი პალატაში, რომ თითქოს ზოგადად ბათუმის, ყარსის და არდაგანის თურქეთისთვის რეტროცესია უკვე *fait accompli*-ს¹ წარმოადგენდეს.

ჯემალ ფაშამ², რომელსაც ეს პოლიტიკური შეცდომა ასევე მიესადაგება, ხელახლა მითხრა, რომ მთავრობის მდგომარეობა აუტანელი გახდებოდა, თუკი საზოგადოება ამ საკითხში იმედგაცრუებული დარჩებოდა.

როგორც არის, ნათელია, რომ ახლა თალაათ ფაშას ანეკს ორი ძალიან დელიკატური საკითხი (თრაქიის და ამიერკავკასიის), რომელთა გადანყვეტა არანაკლებად შეეხება მისი კაბინეტის მდგომარეობას.

საიმპერიო და სამეფო ელჩი,
პალავიჩინი

Wien, Haus-, Hof- und Staatsarchiv, Politisches Archiv (HHStA, PA),

X 155 Russland Liasse XI k 1:

Kaukasus-Staaten: Allgemeines 1918 II-VIII.

თარგმანი გერმანულიდან.

¹ *Fait accompli* (ფრ.) – შემდგარი ფაქტი.

² იგულისხმება ჯემალ ფაშა აჰმედ (1872-1922).

№ 264

ავსტრია-უნგრეთის იმპერიის საბარეო საქმეთა
სამინისტროს ვერბალური ნოტა გერმანიის
საელჩოსადმი ვენაში, ქართველ სამხედრო ტყვეებს
შორის პროპაგანდის წარმოების თაობაზე

1918 წლის 14 მარტი
ვენა

პასუხად გასული თვის 25 რიცხვის ნოტაზე Z1 A 168, საიმპერატორო და სამეფო საგარეო საქმეთა სამინისტრო პატივისცემით აცხობინებს გერმანიის საიმპერატორო საელჩოს, რომ საიმპერატორო და სამეფო სამხედრო სამინისტროს მონაცემებით არსებული ქართველი სამხედრო ტყვეების მცირე რაოდენობის გამო, საგანგებო ბრძანებები, ისეთი როგორიც არსებობს პრუსიის საიმპერატორო სამხედრო სამინისტროში რუს სამხედრო ტყვეებს შორის პროპაგანდის წარმოებასთან დაკავშირებით, აღნიშნულ ეროვნებასთან მიმართებაში არ გამოიყენება. მეორეს მხრივ, კომპეტენტური ორგანოები არიან მზად, რომ „ქართული გაზეთი“ და სხვა ბეჭდური საშუალებები კვლავაც გაავრცელონ სამხედრო ტყვეებს შორის.

Politisches Archiv des Auswärtigen Amtes (PA AA), Akten Betreffend den Krieg 1914, Unternehmungen und Aufwiegelingen gegen unsere Feinde im Kaukasus. R 21026.
თარგმანი გერმანულიდან.

№ 265

კონსტანტინოპოლში ავსტრია-უნგრეთის ელჩის,
მარკბრაუ იოჰან ფონ კალაპირინის წერილი
ავსტრია-უნგრეთის საგარეო საქმეთა მინისტრ,
ბრაუ ოტოკარ ფონ ჩერნინსადმი, ამიერკავკასიაში
თურქეთის მისწრაფებების შესახებ

1918 წლის 19 მარტი
პერა

მე გავიგე საკმაოდ კარგი წყაროდან, რომ ენვერ ფაშას, ცოტა ხნის წინ, თავად მაჩაბლისთვის უნდა განემარტებინა, რომ თურქეთი კავკასიის რესპუბლიკას არ აღიარებდა მანამ, ვიდრე ეს უკანასკნელი მხარს არ დაუჭერდა ბათუმის, ყარსის და არდაგანის ოლქების თურქეთისთვის რეტროცესიას. (შეადარეთ ჩემი ამა წლის 17 მარტის ტელეგრამა №164)

სხვათაშორის, ოტომანური ჯარები ამ წუთისთვის, ბათუმიდან 30 კილომეტრში უნდა იდგნენ, ასე რომ, ამ ქალაქის დაკავება, შეიძლება უკვე გათვალისწინებული იქნას.

მეორეს მხრივ, თურქი ოფიცრები და მათ შორის ნური ბეი¹, ენვერ ფაშას ძმა, საზღვაო გზით, როგორც ჩანს, უკვე უნდა გამგზავრებულიყვნენ ბათუმში და თან წაეღოთ იარაღის მნიშვნელოვანი მარაგი ადგილობრივი მაჰმადიანებისთვის.

ეს ყოველივე საფუძველს აძლევს იმ შიშს, რომ თურქეთის საქმიანობა სამხრეთ კავკასიაში, ადგილობრივი ქრისტიანების წინააღმდეგ მობილიზებული მაჰმადიანების ბრძოლაში გადაიზარდა.

საიმპერიო და სამეფო ელჩი,
პალავიჩინი

Wien, Haus-, Hof- und Staatsarchiv, Politisches Archiv (HHStA, PA),

X 155 Russland Liasse XI k 1:

Kaukasus-Staaten: Allgemeines 1918 II-VIII.

თარგმანი გერმანულიდან.

¹ იგულისხმება კილიგილ ნური ფაშა (1881-1949).

№ 266

**საქართველოს განთავისუფლების კომიტეტის
წევრების, მიხეილ წერეთლის და ოსმან ბეი (მელიძე)
ქარცხვიანის მოხსენება გერმანიის იმპერიის საბარეო
საქმეთა სამინისტროს, საქართველოსა და კავკასიაში
1917 წლის ნოემბერ-1918 წლის მარტში არსებული
მდგომარეობისა და მათ მიერ იქ ჩატარებული
სამუშაოს შესახებ**

1918 წლის 21 მარტი
ბერლინი

როდესაც ჩვენ, გასული წლის ოქტომბერში, საქართველოში ჩამოვედით, პოლიტიკური მდგომარეობა შექმნილი იქ, ისევე როგორც ზოგადად კავკასიაში, ჯერ კიდევ არ იყო ცხადი. რევოლუციამ მოსპო ძველი რეჟიმი და კავკასიელებმა ხელისუფლება საკუთარი თავისკენ მოქაჩეს. თუმცა, დიდი ძალუფლება კიდევ რჩებოდა ფრონტზე მდგომი რუსული ჯარის, სამხედრო-საზღვაო სარდლობისა და ფრონტის რუს კომისართა ხელში. ეს უცხო ელემენტები სრულიად არ იყვნენ კეთილად განწყობილნი კავკასიის დამოუკიდებლობის მიმართ და ყველა საშუალებით აბრკოლებდნენ მხარის სრული განთავისუფლების პროცესს.

ბოლშევიკურმა რევოლუციამ სრულად მოწყვიტა კავკასია რუსეთს, მითუმეტეს, რომ კავკასიელებმა საკუთარ მხარეში არ აღიარეს ბოლშევიზმი. კავკასიამ ისარგებლა ხელსაყრელი გარემოებით და მყისვე შეუდგა მუშაობას საკუთარი თავის ორგანიზების მიზნით. ერთის მხრივ, ჩამოყალიბებულ იქნა ამიერკავკასიის კომისარიატი ქართველი გეგეჭკორის თავმჯდომარეობით. მასში შედიოდა საქართველო, თათართა ქვეყანა და სომხეთი. მეორეს მხრივ, შეიქმნენ საგანგებო ეროვნული მთავრობები: ქართული ტფილისში, თათრული ბაქოში და სომხური. თავის მხრივ, მთიელმა ხალხებმაც ჩამოაყალიბეს მთიელ ხალხთა ფედერაცია, საერთო მთავრობით ვლადიკავკაზში.

ეს პოლიტიკური ორგანიზაციები ერთმანეთის მიმართ გარკვეულ ურთიერთობებში იმყოფებოდნენ. მაგალითად, ამიერკავკასიის კომისარიატი არ ერეოდა საქართველოს შინაგან საქმეებში. მთიელ ხალხთა ფედერაციამ კავშირი კახაკებთან შეკრა, რომელმაც საკუთარი არაეფექტურობა გამოავლინა და ა.შ. ამის გარდა, კავკასიის ყველა ერი მუდმივ ურთიერთობებში იმყოფებოდა ერთმანეთთან, ისევე როგორც უკრაინელებთანაც.

სრულიად რუსეთის დამფუძნებელი კრების არჩევნები კავკასიაში ბოლშევიკურ რევოლუციამდე გაიმართა, თუმცა, რუსეთში კავკასიელ დეპუტატთა გაგ-

ზავნა ბოლშევიკური რევოლუციის გამო შეუძლებელი გახდა. კავკასიელებს პეტერბურგში საკუთარ დეპუტატთა გაგზავნა არც მოგვიანებით სურდათ, როცა რუსეთის დამფუძნებელი კრება ბოლშევიკთა ნებართვით შეიკრიბა. პირიქით, კავკასიელი დეპუტატები ტფილისში, კავკასიის სეიმის წევრებად შეიკრიბნენ.

მხოლოდ ტაქტიკურ მოსაზრებათა და რუსეთ-თურქეთის ფრონტზე მდგომი რუსული ჯარის შიშით განაცხადეს კავკასიელებმა, რომ კავკასიის რუსეთისგან გამოყოფა მათ სეპარატისტულ მისწრაფებებს კი არ უნდა მიენეროს, არამედ, უპირატესად რუსეთთან კავშირის ტექნიკურ სირთულეებს და კავკასიელი პარტიების მხრიდან, რუსეთის მმართველი ბოლშევიკების ხელისუფლების აღიარების შეუძლებლობას. ასეთი განცხადებების გაკეთება აბსოლუტურად აუცილებელი ძირითადად იმიტომ იყო, რომ 500 000 რუსი, რომელიც იმ დროს ფრონტზე იდგა, კავკასიას და განსაკუთრებით, საქართველოს, რუსეთისგან მათი გამოყოფის გამო, ხოცვა-ჟლეტით და გავერანებით ემუქრებოდა.

ამ მდგომარეობას კიდევ უფრო მეტად ართულებდნენ კავკასიის სხვადასხვა ხალხთა განსხვავებული ორიენტაციები. საქართველოში აშკარა გერმანული ორიენტაცია ბატონობდა, თათრებსა და ნაწილობრივ მთიელთა (ძირითადად მაჰმადიანთა) შორის – ოსმალური, რუსული და ანტანტოფილური – სომხებში.

ჩვენი ჩამოსვლიდან მცირე ხნის შემდეგ, საუბარი გვექონდა ქართული პარტიების ლიდერებთან, რომლებიც მართავდნენ საქართველოს (ჟორდანიასთან, ჩხენკელთან, გეგეჭკორთან და სხვებთან). გერმანიისა და მისი მოკავშირეების სახელით, ჩვენ მათ ის დაპირებები გადავეცით, რომელიც საქართველოს ოთხთა კავშირმა მისცა. ისევე როგორც უკანასკნელი მემორანდუმის შინაარსი, რომელიც ქართულმა კომიტეტმა ბერლინში გერმანიის, ავსტრია-უნგრეთის, ბულგარეთის და თურქეთის ოთხ მთავრობას გაუგზავნა და რომელშიც ჩვენ ხსენებულ მთავრობებს ვთხოვდით, რომ თურქეთის არმია, საამისოდ სამხედრო აუცილებლობის არსებობის შემთხვევაში, ქართულ ტერიტორიაზე როგორც ოთხთა კავშირის ქვეყნებთან კავშირში მყოფი და წინასწარ აღიარებული დამოუკიდებელი სახელმწიფოს ტერიტორიაზე უნდა შესულიყო. ჩვენ მათ ვურჩიეთ, შესაბამის დროს საქართველოს დამოუკიდებლობა გამოეცხადებინათ და უშუალოდ ამის შემდგომ, გერმანიაში, ავსტრია-უნგრეთში, ბულგარეთში და თურქეთში დელეგაცია გაეგზავნათ.

ამ მოლაპარაკებათა შემდგომ და არც თუ იმ ცნობათა გავლენის გარეშე, რომლებიც ჩვენ აქედან ჩავიტანეთ, 1917 წლის 19 ნოემბერს (ძველი სტილით) ტფილისში საქართველოს ეროვნული კრება შეიკრიბა. ხსენებულ კრებაზე საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება ფაქტობრივად განხორციელებულ იქნა, თუმცა მისი ოფიციალური გამოცხადება, ზემოხსენებულ მიზეზთა გამო არ იყო შესაძლებელი. მაჰმადიანმა ქართველებმა საკუთარი წარმომადგენლები გამოაგზავნეს, რომლებმაც განაცხადეს, რომ მათ პოლიტიკურ იდეალს თავისუფალი მაჰმადიანური საქართველოს თავისუფალ საქართველოში ყოფნა წარმოადგენს. ამავე კრებაზე ინგლისის, საფრანგეთის, იტალიის, ამერიკის და ა.შ. დიპლომატიურმა წარმომადგენლებმა საქართველოს მისი თავისუფლება მოულოცეს, ისევე როგორც სომხებმა, თათრებმა, მთიელებმა, პოლონელებმა, უკრაინელებმა, გერმანელებმა და თავად რუსებმაც კი. აღსანიშნავია, რომ ანტანტის დიპლომატიურ წარმომადგენელთა მოლოცვები, მათ მთავრობათა მხრიდან საქართველოს დამოუკიდებლობის მოგვიანებით ოფიციალური აღიარების დაპირებას შეიცავდა

და როგორც მეზობელი ხალხები მლიქვნელობითაც კი უსვამდნენ ხაზს, კავკასიის დამოუკიდებლობა საქართველოზე არის დამოკიდებული, რის გამოც უკანასკნელი უნდა წინ გაუძღვეს ყველა კავკასიელს და მხარე თავისუფლებამდე მიიყვანოს.

თუმცა, არცერთი ამ მოლოცვებიდან არ აღმოჩნდა გულწრფელი. რუსულმა ჯარმა ფრონტიდან მუქარის სიტყვები გაგვავიწოა. ანტანტის დიპლომატიური წარმომადგენლები ცდილობდნენ მდგომარეობა საკუთარი მიზნების განსახორციელებლად გამოეყენებინათ. მაჰმადიანებს სრულიად სხვა განზრახვები გააჩნდათ ქართველების და ქრისტიანების მიმართ, რაც ჩვენთვის თანდათანობით აშკარა შეიქმნა და რაც იმის მიზეზი გახდა, თუ რატომ არ შეეძლო საქართველოს გადაედგა არავითარი შემდგომი ნაბიჯი ქვეყნის დამოუკიდებლობის ოფიციალური გამოცხადების მიმართულებით.

ქართველთა, სომეხთა და თათართა ზემოხსენებულმა სამმა განსხვავებულმა ორიენტაციამ, კავკასიის ქრისტიანული მოსახლეობისთვის, განსაკუთრებით ქართველებისთვის და სომეხებისთვის, ზოგადად საშიში მდგომარეობა შექმნა. როდესაც თათრები და ზოგადად მაჰმადიანები ამიერკავკასიის კომისარიატის შექმნაზე თანხმდებოდნენ, ეს, ძირითადად, იმის გამო მოხდა, რომ ჩვენს მაჰმადიანურ მოსახლეობას ჯერ კიდევ არ შეეძლო ენამა თურქების საბოლოო გამარჯვების. ამიტომაც, თათრები იმ მომენტისთვის ემზადდებოდნენ, როდესაც თურქები, შესაძლოა, დაიკავებდნენ კავკასიას. თურქ აგენტებთან ერთად, ბაქოელი თათრები კავკასიის მაჰმადიანთა შორის თურქოფილურ პროპაგანდას ეწეოდნენ. ისინი ცდილობდნენ ქართველი მაჰმადიანებიც კი ჩამოეშორებინათ საქართველოდან, ავრცელებდნენ იგივე პანისლამურ იდეას მთიელ ხალხებს შორის და ამრიგად კლავდნენ კავკასიელ ხალხთა სოლიდარობისა და კავკასიის დამოუკიდებლობის იდეას. ჩვენ მრავალჯერ დავპატიჟეთ თათართა და მთიელ ხალხთა წარმომადგენლები, რათა აქედან მიღებული ცნობები მათთვის გაგვეზიარებინა, თუმცა ისინი, უეჭველად თურქ და თათარ აგენტთა გავლენის ქვეშ, ჩვენთან არასდროს გამოცხადებულან. მთიელ ხალხებთან ჩვენ ვლადიკავკაზში ჩვენი პარტიის წევრი გავგზავნეთ და მათი წარმომადგენლები მოლაპარაკებების საწარმოებლად ტფილისში დავპატიჟეთ, თუმცა, ჩვენთვის მოცემული დაპირების მიუხედავად, არცერთი მათგანი არ მოსულა ჩვენთან. გარდა ამისა, მაჰმადიანებმა ქართულ მოსაზღვრე პროვინციებზე პრეტენზიების გამოცხადება დაიწყეს; ლეკებმა – ზაქათალას ოლქზე, ოსებმა – ცენტრალური საქართველოს ნაწილზე, თათრებმა – მთელ მაჰმადიანურ საქართველოზე, ტფილისის სიახლოვეს მდებარე ბორჩალოს მაზრის ჩათვლითაც კი, და ა.შ. მაჰმადიანთა მტრული განწყობა ქრისტიანული მოსახლეობის მიმართ შედარებით კარგად გამოკვეთილი იყო და ამ მდგომარეობაში სომეხები, გერმანელები, ბერძნები და კავკასიის სხვა ქრისტიანები იძულებულნი იქნენ შეერთებოდნენ საქართველოს და მიმხრობოდნენ გერმანულ ორიენტაციას.

ანტანტის დიპლომატიურმა წარმომადგენლებმა, როგორც ნათქვამი იყო, ისარგებლეს ქრისტიანთა ამ მძიმე მდგომარეობით და ქართულ მთავრობას ოფიციალურად შემდეგი შესთავაზეს: სამოცი მილიონი რუბლი ერთჯერადი დახმარების სახით, მის განკარგულებაში იარაღის, ტყვია-ნამლის და სხვა საბრძოლო მასალის გადაცემა, ხოლო შემდეგ – განუსაზღვრელი კრედიტი და ქვეყნის დამოუკიდებლობის გარანტირება. ამის სანაცვლოდ, ქართველებს ქართული არმია

უნდა შეედგინათ, სომხებთან გაერთიანებულიყვნენ და ინგლისური სარდლობის ქვეშ ებრძოლათ თურქების წინააღმდეგ. თავის მხრივ, ინგლისელებმა ქართველ ოფიცრებს და ჯარისკაცებს შესთავაზეს, მაღალი გასამრჯელოს გამო ინგლისურ არმიაში შესულიყვნენ. ქართულმა მთავრობამ მათ ამ წინადადებაზე პასუხი არ გასცა, რაც წინადადების პირდაპირ უარყოფას ნიშნავს. არცერთი ჩვენი ოფიცერი ან ჯარისკაცი არ შესულა ინგლისის ჯარში, იმის იმედით, რომ გერმანია და მისი მოკავშირეები ჩვენს ქვეყანას გასაჭირში დაეხმარებიან, რომ თურქები შეასრულებენ ჩვენდამი მოცემულ დაპირებებს და ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობას იმ საზღვრებში აღიარებენ, რომლებიც თურქთა და ჩვენს კომიტეტს შორის დადებული შეთანხმებით იქნა განსაზღვრული.

საერთო მდგომარეობამ ქართველებს საბოლოოდ ხელი უბიძგა მიეღოთ მოქმედების შემდეგი გეგმა: 1) მონაწილეობა მიეღოთ ბოლშევიკურ მოძრაობაში თავად რუსეთში, ამრიგად რუსული იმპერიალიზმი დაასუსტონ და ამის შემდგომ, ისარგებლონ ბოლშევიკთა მიერ გამოცხადებული ერთა თვითგამორკვევის პრინციპით საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების დროს. 2) თავად საქართველოში ებრძოლონ ბოლშევიზმს, ძლიერი ეროვნული მთავრობა ჩამოაყალიბონ და ქვეყანაში წესრიგი დაამყარონ. 3) ხელი უბიძგონ რუსულ ჯარებს, ფრონტიდან რუსეთში დაბრუნდნენ, ისინი განაიარაღონ და საკუთარი არმიის ფორმირება განახორციელონ.

რუსეთში ბოლშევიკურ რევოლუციაში ქართველებმა მართლაც ითამაშეს დიდი როლი. ამჟამად, ბოლშევიკურ მთავრობაში ეროვნებათა საქმეების მინისტრი ქართველი – ჯულაშვილი-სტალინია. მეორეს მხრივ, თავად საქართველოში, ქართველებმა ჩანასახშივე აღკვეთეს ბოლშევიკური მოძრაობა. ქართულმა მთავრობამ ქვეყანაში წესრიგი დაამყარა. კავკასიაში რუსული ჯარის სარდლობაც კი იძულებული იყო მიეღო არმიის ნაციონალიზაცია. ქართველები შეუდგნენ საქართველოს გავლით რუსეთში მიმავალი რუსების განიარაღებას და საკუთარი არმიის ჩამოყალიბებას. ჩვენი ჯერ კიდევ იქ ყოფნის დროს, ერთი თვის განმავლობაში, რვა ქართული პოლკი იქნა ჩამოყალიბებული. ამას მოყვა საქართველოში საყოველთაო მობილიზაციის გამოცხადება და როგორც ჩვენ ერთი თვის წინ პეტერბურგში ჩვენი ყოფნის დროს შევიტყვეთ, სადღეისოდ საქართველოში, ჩვენი გენერლების და ოფიცრების სარდლობის ქვეშ, 200 000 კარგად შეიარაღებული ქართველი ჯარისკაცი დგას.

საქართველო ემზადებოდა საკუთარი დამოუკიდებლობა ოფიციალურად იმ მომენტში გამოეცხადებინა, როცა იქ უკვე აღარ იქნებოდა რუსული ჯარი, ხოლო მას თავად კი საკმარისი ძალები ეყოლებოდა, რათა დაეცვა ეს დამოუკიდებლობა, იმ იმედით, რომ გასაჭირის შემთხვევაში მას ოთხთა კავშირიც გაუწევდა დახმარებას.

თუმცა, უცბად და მოულოდნელად დაიწყო ბრესტის სამშვიდობო მოლაპარაკებები. კავკასიელთათვის დახშული იყო გზა, დელეგაცია ბრესტში გაეგზავნათ. დელეგაციის გაგზავნა შესაძლებელი რომც ყოფილიყო, ის ადგილზე მეტისმეტი დაგვიანებით ჩავიდოდა.

ის, რაც ბრესტში მოხდა, ჩვენთვის სრულიად მოულოდნელი აღმოჩნდა. თურქებმა დაარღვიეს დაპირებები, რომლებსაც ისინი ჩვენ მუდმივად გვაძლევდნენ ოთხი წლის განმავლობაში და იმ გარანტიების მიუხედავად, რომლებიც ჯერ კიდევ სულ ცოტა ხნის წინ ვარშავაში თალაათ ფაშამ თავად მაჩაბელს მისცა, ბა-

თუმცე და მაჰმადიანურ საქართველოზე წამოაყენეს პრეტენზია, რაც მართლაც მიიღეს რუსებისგან.

თურქებისადმი ქართულ ტერიტორიათა ამ დათმობის უარესი შედეგები წინასწარ ადვილად განსაჯვრეტია. განსაკუთრებით დასანანი ის არის, რომ ამის შედეგად მაჰმადიანები კავკასიაში უფრო მეტად შეგულიანდებიან, რათა ქრისტიანების წინააღმდეგ გამოვიდნენ და კავკასიის დამოუკიდებლობის შესაძლებლობა მოსპონ.

ამის გარდა, ჩვენ გვსურს ავლნიშნოთ შემდეგი: 1) წარსულში, თურქული ბატონობის დროს, ბათუმი პატარა ქალაქი იყო, რომლის მოსახლეობაც 6000 მაჰმადიან ქართველს ითვლიდა. თუმცა, რუსული ბატონობის დროს, ქართველთა მიერ ბათუმი თანამედროვე ქალაქად იქნა აშენებული, რომელიც სადღეისოდ 60 000 მცხოვრებს ითვლის, რომელთა უდიდეს ნაწილს ქრისტიანი ქართველები, აგრეთვე სომხები და სხვები შეადგენენ. ნავსადგური რუსული მთავრობის მიერ იქნა აშენებული. ამჟამად მაჰმადიანები იქ სრულ უმცირესობას შეადგენენ და თუკი ჩვენ მხედველობაში მივიღებთ ეროვნების პრინციპს, რომელიც ბრესტში თურქთა მიერაც იქნა აღიარებული, თურქებს აბსოლუტურად არავითარი უფლება არა აქვთ ბათუმზე პრეტენზია განაცხადონ. 2) ბათუმის მთელი ოლქი მაჰმადიანი ქართველებით არის დასახლებული. ეს მოსახლეობა საუბრობს ქართულ და არა თურქულ ენაზე და საყოველთაო პლებისციტის შემთხვევაში, ისინი უეჭველად საქართველოს მიუერთდებიან, რა თქმა უნდა, თუკი ვივარაუდებთ, რომ პლებისციტი სრულიად თავისუფლად, თურქული ჯარის მხრიდან ზეწოლისა, თურქ-თათარ აგენტთა და მოსყიდული ბეგებისა და ხოჯების მხრიდან პროპაგანდის გარეშე ჩატარდება. 3) იგივე შეიძლება ითქვას არდაგანის ოლქის მოსახლეობის უდიდესი ნაწილის, ისევე როგორც ყარსის ოლქის ნაწილისა და ლაზების შესახებაც კი. გარდა ამისა, არდაგანის და ყარსის ოლქებში სომეხთა და სხვა ქრისტიანთა მნიშვნელოვანი ნაწილი იმყოფება, რომლებიც ასევე უნდა იქნენ მხედველობაში მიღებულნი პლებისციტის ჩატარების დროს. 4) მაჰმადიანურ პროვინციებში რეფერენდუმის პრინციპის გამოყენება, სადაც ეროვნული შეგნება ამდენად სუსტად არის განვითარებული, და სადაც გადამწყვეტ როლს თამაშობს მოქრთამვა, ქართველებისთვის მიუღებელია, თუკი პლებისციტი არ იქნება აბსოლუტურად თავისუფალი, რაც, დღევანდელ ურთიერთობათა პირობებში, შეუძლებელი იქნება. 5) ჩვენი ქვეყნის ბედის გადანწყვეტისას, მაჰმადიანები წინა პლანზე რელიგიურ საკითხს აყენებენ. ასევე იქცევიან თურქებიც. ჩვენ კი, გადამწყვეტ პრინციპად მივიჩნევთ ეროვნულ-პოლიტიკურ საკითხს. რელიგიური ელემენტი, უკვე დიდი ხანია გამორიცხულია საერთაშორისო სამართლის მიერ, ასე რომ, როცა საკითხი პლებისციტის ჩატარებამდე მივა, საქართველოს მთელმა მოსახლეობამ რელიგიისგან დამოუკიდებლად ხმა უნდა მისცეს და უმრავლესობით გადანყვიტოს, რა უნდა იყოს უმთავრესი საქართველოს მომავლისთვის. თანახმად ეროვნების პრინციპისა, რომელიც თურქებმა ასევე მიიღეს ბრესტში, თურქთა ყოფილი ბატონობა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში არ შეიძლება განხილულ იყოს უფლებად, არამედ დაპყრობად და ჩვენს ქვეყანაში უხეში ძალით უცხო სახელმწიფოს დროებით ბატონობად. ეს პროვინციები ჩვენი ისტორიის დასაბამიდან საუკუნეების განმავლობაში ქართველებით იყვნენ დასახლებულნი და პოლიტიკურადაც საქართველოს ეკუთვნოდნენ. მხოლოდ მე-17 და მე-18 საუკუნეებში იქ იქნა დამყარებული თურქული ბატონობა და ამ

პერიოდშიც კი, ჩვენ ხშირად ვწმენდდით ჩვენს ქვეყანას თურქებისგან. 7) როდესაც თურქებმა და რუსებმა, რუსებისთვის წარმატებული რუსულ-თურქული ომის შემდგომ საქართველო ერთმანეთს შორის გაიყვეს, მსოფლიომ არ იცოდა, რომ 1783 წლის რუსულ-ქართული ხელშეკრულების თანახმად, ყველა ქართული პროვინცია, რომელსაც რუსები ქართველებთან ერთად თურქეთისგან დაიბრუნებდნენ, საქართველოს შემადგენლობაში უნდა შესულიყო. მაშინ რუსების მიერ მოტყუებული საქართველო თავის ხელშეკრულებებთან ერთად დავინწყებას იქნა მიცემული, თუმცა ახლა, რუსების მიერ ჩვენი ქვეყნის დატოვების შემდეგ, ჩვენ ჩვენს თავს განვიხილავთ ჩვენი საკუთარი ტერიტორიების ერთადერთ კანონიერ მემკვიდრეებად. უფლება ამ პროვინციებზე მხოლოდ საქართველოს გააჩნია. გარდა ამისა, ბრესტში რუსულ დელეგაციას არავითარი უფლება არ ჰქონდა, ჩვენთან კონსულტაციის გარეშე ეს ტერიტორიები თურქებისთვის დაეთმო, იმავე ეროვნების პრინციპიდან გამომდინარე, რომელიც იქ მყოფ მხარეთა მიერ იქნა მიღებული.

ამ მიზეზით, კავკასიის სეიმს სრული უფლება ჰქონდა განეცხადებინა, რომ ის არ ეთანხმება ლენინის ზავს თურქეთთან, და რომ ის მოითხოვს თურქეთის კავკასიასთან ამ ზავის რევიზიას.

როდესაც საქართველოში ჩვენი მისია დავასრულეთ და გერმანიაში დაბრუნებისთვის ვიყავით მზად, საქართველოს მთავრობამ ჩვენ ზეპირსიტყვიერი მანდატი მოგვცა (წერილობითი მანდატის ჩვენთვის მოცემა შეუძლებელი იყო, ვინაიდან რუსეთის გავლით მივემგზავრებოდით და გზაზე მუდმივად ვიჩხრიკებოდით), საქართველოს მდგომარეობის შესახებ გერმანული მთავრობისადმი გვეცნობებინა და უკან, საქართველოში, შემდეგ კითხვებზე უკანასკნელი და გარკვეული პასუხი ჩამოგვეტანა:

- 1) თუკი საქართველო საკუთარ დამოუკიდებლობას ოფიციალურად გამოაცხადებს, აღიარებს თუ არა გერმანია, ავსტრია-უნგრეთი და ბულგარეთი ამ დამოუკიდებლობას? დაიცავენ თუ არა ისინი საქართველოს თურქული ანექსიონიზმისგან და საქართველოში თურქული ჯარების შემოჭრის საფრთხისაგან და იზრუნებენ თუ არა იმაზე, რათა ქართული ტერიტორიის მთლიანობა თურქთა მიერ პატივცემულ იქნას?
- 2) თუკი დამოუკიდებელი კავკასია საკუთარ პოლიტიკურ ორგანიზაციას თავად შექმნის, აიძულებენ თუ არა ზემოხსენებული დიდი სახელმწიფოები თურქებს, არ ჩაერიონ ჩვენს შინაგან საქმეებში და მხარი არ დაუჭირონ მაჰმადიანთა პრეტენზიებს კავკასიაში?

ამ მიზეზით, უმორჩილესად გთხოვთ: 1) კიდევ ერთხელ, ზენოლა მოახდინოთ თურქებზე, რათა მათ უარი თქვან საკუთარ პრეტენზიებზე საქართველოს ტერიტორიებზე და განსაკუთრებით ბათუმზე, ვინაიდან ბათუმის და მისი ოლქის დაკარგვა საქართველოსთვის და მთლიანად კავკასიისათვის პოლიტიკურ და ეკონომიკურ სიკვდილს ნიშნავს. გარდა ამისა, შეწყვიტონ მათი პანისლამური პროპაგანდა კავკასიელ მაჰმადიანთა შორის, ვინაიდან საბოლოოდ, ამ პროპაგანდას კავკასიაში ქრისტიანებსა და მაჰმადიანებს შორის კონფლიქტამდე მიყავს საქმე, რაც ქრისტიანებს ამჟამად ანტანტას, ხოლო უფრო გვიან კი ისევ რუსებს ჩაუგდება ხელში. 2) თქვენი პასუხით რაც შეიძლება სწრაფად, საქართველოში დაბრუნების საშუალება მოგ-

ვცეთ, რათა ჩვენგან ცნობების მიღებისა და საქართველოს და შესაბამისად კავკასიის დამოუკიდებლობის ოფიციალური გამოცხადების შემდგომ, დელეგაცია გერმანიაში, ავსტრია-უნგრეთში და ბულგარეთში ჩამოვიდეს, რაც შესაძლებელს გახდის თურქეთთან საბოლოო ზავის დადებას.

- 3) ჩვენს განკარგულებაში გადმოგვცეთ ყველა ჩვენი სამხედრო ტყვე და მათი, როგორც შეიარაღებული ჯარის საქართველოში ტრანსპორტირება მოახდინოთ, რათა ქვეყანაში წესრიგის აღდგენა და ჩვენი დამოუკიდებლობის დაცვა შევძლოთ, ისევე, როგორც ამის უფლება მიიღო უკრაინამ. 4) საშუალება მოგვცეთ ოდესიდან ან კიევიდან ტელეგრაფით კავშირი დავამყაროთ ქართულ მთავრობასთან ტფილისში.

თქვენი სრულიად ერთგული,
ქარცივაძე ოსმან ბეი
მ. ფონ ნერეთელი

*Politisches Archiv des Auswärtigen Amts (PA AA),
Akten Betreffend Russisch-Asien. Kaukasus.
R 11043.*

თარგმანი გერმანულიდან.

№ 267

**საქართველოს განთავისუფლების კომიტეტის წევრის,
გიორგი მაჩაბლის წერილი კავშირსა და
კონსტიტუციის კომისიის წევრის, გიორგი
მაგულიას შიშის კომისიის სხდომის
საქართველოსა და კავშირის მიმართ
ოსმალეთის იმპერიის წინააღმდეგ
და ბერძენების შესახებ**

1918 წლის 22 მარტი
კონსტანტინოპოლი

დიდად პატივცემულო ბატონო კავშირსა,

ამასთან ერთად გაახლებთ ადგილობრივ ქართველთა მემორანდუმს, რომელიც ჩვენ გერმანიის ელჩს გადავეცით. ჩვენი პოლიტიკური მდგომარეობა ძალიან მძიმეა. თურქებს უპირობოთ ბათუმის დაუფლება სურთ და ურთიერთგაგების მიღწევა ძნელია. მე ვესაუბრე ენვერ ფაშას და ბევრ სხვა პოლიტიკოსს. შთაბეჭდილება, რომელიც მე შემიქმნა, შემდეგია:

თურქული მთავრობა საქართველოს ისეთ მთავრობას აღიარებს, რომელიც მიიღებს ბრესტ-ლიტოვსკის პირობებს. გარდა ამისა, თურქებს სურთ, რომ აღმოსავლეთ ამიერკავკასიის თურქმა თათრებმა (ელიზავეტპოლის, ბაქოს და სხვა ადგილების) ჩვენთან კონფედერაცია კი არ შექმნან, არამედ თურქეთს შეუერთდნენ. სომხური საკითხი არ შეიძლება დასმულ იქნას, რაც იმას ნიშნავს, რომ დამოუკიდებელმა სომხურმა სახელმწიფომ არ შეიძლება იარსებოს. თუმცა, უკანასკნელი პირობა ადვილად დასაძლევია, ვინაიდან სინამდვილეში, სომხები უმრავლესობას არსად არ შეადგენენ, ასე რომ, არც მათ შეუძლიათ სახელმწიფო შექმნან. ჩვენ მივმართეთ თურქეთის მთავრობას თხოვნით, ქართველთა ერთი ნაწილისთვის საქართველოში წასვლის და ზოგი ჩვენთაგანისთვის – ტრაპიზონში მგზავრობის ნებართვა მიეცა, რათა ჩვენს წარმომადგენლებს შევხვედროდით. ხვალ მე ისევ ვიქნები ენვერ ფაშასთან. იმედი მაქვს, შევძლებ ამ ნებართვის მიღებას. ვერც ბატონმა ობერ-ლეიტენანტმა ბრანდტენერმა მიაღწია ამ დრომდე ბევრ რამეს. თავდაპირველად, ის ნური ფაშასთან (ენვერის ძმასთან) ერთად მოსულის გავლით ბაქოში უნდა გამგზავრებულიყო. გუშინ ან დღეს ნური ფაშა გაემგზავრა, თუმცა ბრანდტენერი თან არ წაუყვანია. ამჟამად ის ცდილობს კავკასიაში სხვა გზით შეაღწიოს. მისი პოლიტიკა და გეგმები ჩემთვის სრულიად ნათელი არ არის.

ბატონმა უცმიევმა, რომელიც ნური ფაშასთან ერთად გაემგზავრა, საკუთარი სისულელით და არასერიოზულობით დიდი ზიანი მოგვაყენა. უეცრად, თურქე-

ბის თანდასწრებით, მან მკითხა, მქონდა თუ არა დავალება, გერმანული მთავრობისთვის კავკასიაში შექმნილი მდგომარეობის შესახებ მომეხსენებინა და სხვა ცნობები მომეწოდებინა. როდესაც მე ეს უარვყავი, მან თქვა, რომ ეს მას ბატონმა ფონ ტაუბემ უთხრა. მას ბევრი სხვა რამეც უნდა მოეყოლა თურქებისთვის. ის იქნა თან წაყვანილი ნური ფაშას მიერ, როგორც თავივეის¹ ბიძაშვილი. უინტერესო არ არის, რომ ნური ფაშამ ბრანდტენერს უთხრა, რომ თან არ მიყავს არცერთი გერმანელი ოფიცერი, რომლებიც თურქეთში იმყოფებიან საკმარისი რაოდენობით. აშკარა არის, რომ თურქებს ეშმაკობით თუ ძალით, მთელი აღმოსავლეთ კავკასიის დაპყრობა სურთ. თუკი თურქები ამას მიაღწევენ და აგრეთვე ჩრდილოეთ სპარსეთის (აზერბაიჯანის) ანექსიას მოახდენენ, თურქეთს და ინგლისს შორის ურთიერთგაგება გერმანიის მთელს აღმოსავლეთ პოლიტიკას გადაუღობავს გზას. კავკასია, როგორც ხიდი და გზა სპარსეთისკენ, ავღანეთისკენ და ცენტრალური აზიისკენ, თავისუფალი უნდა დარჩეს. ეს ცენტრალური ევროპის დიდ სახელმწიფოთა და განსაკუთრებით, გერმანიის პირდაპირ ინტერესებშია. ის გერმანელი პოლიტიკოსები, რომლებიც კავკასიაში თურქებს თავისუფალ ხელებს დაუტოვებენ, საკუთარ სამშობლოსვე არ გაუწევენ დიდ სამსახურს. მე ამაში დარწმუნებული ვარ და ამიტომ, სრულიად ღიად გეუბნებით ამას. არც ის უნდა დაგვაზინყდეს, რომ ოდესიდან ბათუმისა და კავკასიის გავლით ავღანეთში და ინდოეთში ექსპედიციის მოწყობა ადვილი საქმე არის, იმის გარეშე, რომ ამ ექსპედიციას უსიამოვნებები შეექმნას თურქთა მხრიდან. პირიქით, თუკი გერმანია ჩვენ დამოუკიდებლობის მიღწევაში დაგვეხმარება, ასევე ჩვენც, ჩვენი მხრიდან, ყოველგვარ დახმარებას გავუწევთ ნებისმიერ გერმანულ წამოწყებას.

იმედს ვინარჩუნებ, რომ გერმანული მთავრობა ჩვენ არ მიგვატოვებს და ბოლო მომენტში დახმარებაზე უარს არ გვეტყვის.

საუკეთესო მოკითხვით,
თქვენი სრულიად ერთგული,
გიორგი მაჩაბელი

*Politisches Archiv des Auswärtigen Amtes (PA AA),
Akten Betreffend Russisch-Asien. Kaukasus.
R 11043.*

თარგმანი გერმანულიდან.

¹ იგულისხმება თავივეი ჰაჯი ზეინალაბდინი (1823-1924).

№ 268

საქართველოს განთავისუფლების კომიტეტის წევრთა,
 მიხეილ წერეთლის, ოსმან ბეი (მელიტონ) ქარცივაძის
 და ალექსანდრე გოზალიშვილის შემორანდუმი
 ბრაფ ოტოკარ ფონ ჩარნინს, ავსტრია-უნგრეთის
 იმპერიის საბარეო საქმეთა მინისტრს, თხოვნით
 აღიაროს საქართველოს უფლება ბრესტ-ლიტოვსკის
 საზავო ხელშეკრულების იმ მუხლების გადასინჯვაზე,
 რომლებიც ბოლშევიკური რუსეთის მიერ თურქეთის
 იმპერიისადმი ბათუმის, არდაგანის და ყარსის ოლქთა
 გადაცემას შეეხება

1918 წლის 3 აპრილი
 ბერლინი

თქვენო აღმატებულება,

როგორც თქვენი აღმატებულებისთვის ცნობილია, თურქთა წარმომადგენლებმა ბრესტ-ლიტოვსკის საზავო კონფერენციაზე თურქეთისთვის ბათუმის, ყარსის და არდაგანის ოლქებისა და უშუალოდ ქალაქ ბათუმის გადაცემა მოითხოვეს. რუსულმა დელეგაციამ დაუთმო მათ ეს ტერიტორია. ამავე დროს, ორივე ხელმომწერმა მხარემ აღიარა ხალხთა უფლების პრინციპი, თავისუფლად გადაწყვიტონ საკუთარი პოლიტიკური ბედი.

ამგვარად, საქართველოს და კავკასიის კუთვნილი პროვინციები რუსეთმა სხვა დიდ სახელმწიფოს დაუთმო, იმის გარეშე, რომ ამ პროვინციათა მოსახლეობისთვის ეკითხათ მათი პოლიტიკური ბედის არჩევის შესახებ. თურქეთმა ისარგებლა რუსული დელეგაციის გამოუვალი მდგომარეობით, რომელიც იძულებული იყო ბრესტ-ლიტოვსკის მეორე კონფერენციის შემდეგ ხელი მოეწერა საზავო ხელშეკრულებისთვის, მისი პირობების კიდევ ერთხელ განხილვის გარეშე და როგორც თუმცა არასანდო წყაროებიდან არის ცნობილი, თურქებმა უკვე დაიკავეს პროვინციები, რომლებიც მათ დაუთმეს.

საქართველოს და კავკასიის წარმომადგენლები არ ესწრებოდნენ ბრესტ-ლიტოვსკის კონფერენციას, მაგრამ კავკასიის პარლამენტმა ეს-ეს არის განაცხადა, რომ მისთვის მიუღებელია ზავი, რომელიც ლენინმა თურქეთთან დადო. ჩვენც, ჩვენი მხრიდან, ვფლობთ რა ქართველთა სიტყვიერ მანდატს უცხოეთში საქართველოს ინტერესთა სახელით მოქმედებაზე, პატივი გვაქვს, მოკლედ გაგაცნოთ საქართველოს და მთლიანად კავკასიის დღევანდელი მდგომარეობა და განსა-

კუთრებით, ბრესტ-ლიტოვსკის მოლაპარაკებებზე ქართველი და კავკასიელი დელეგატების არდასწრების მიზეზი.

ქრისტიანული საქართველო, გამოფიტული საუკუნოვანი ბრძოლით თურქეთის და სპარსეთის წინააღმდეგ, რომელთა მიზანიც ქართველი ერის სრული განადგურება იყო, იძულებული გახდა მიეღო რუსეთის პროტექტორატი 1783 წლის ხელშეკრულებით, რომელიც რუსეთის იმპერიასა და საქართველოს დამოუკიდებელ სახელმწიფოს შორის იყო დადებული. დამოუკიდებელი საქართველოს პოლიტიკურ იდეალს ყოველთვის ქრისტიანული დასავლეთისკენ გზის გაკაფვა, აღმოსავლეთისგან სრული განთავისუფლება და დასავლური ქრისტიანული ცივილიზაციის წიაღში შეღწევა წარმოადგენდა. ეს გზა მას თურქეთმა გადაუკეტა და მას მხოლოდ ისლა დარჩენოდა, ჩრდილოეთის დიდ სახელმწიფოსთან, თანამორწმუნე რუსეთთან გაერთიანებულიყო.

1801 წელს რუსეთმა 1783 წლის ხელშეკრულება დაარღვია. მან სამხედრო ოკუპაციის მეშვეობით ქართული სახელმწიფო რუსეთის პროვინციად გადააქცია, იმისდა მიუხედავად, რომ ქართველები რამდენიმე ათეულობით წლის განმავლობაში იბრძოდნენ და პროტესტს აცხადებდნენ რუსული ძალმომრეობის წინააღმდეგ. 117 წლის განმავლობაში რუსეთის მიზანს ქართველი ხალხის ეროვნული არსებობის განადგურება წარმოადგენდა და რუსეთის ბოლო რევოლუციამდე, ქართველთა ბრძოლა მეფის მთავრობის რუსიფიკატორული პოლიტიკის წინააღმდეგ არ შეწყვეტილა.

რუსეთის თანამედროვე რევოლუცია ძველი რეჟიმის პირდაპირი უარყოფა გახლავთ. რუსეთის პირველმა რევოლუციურმა მთავრობამაც კი განაცხადა, რომ მეფის მთავრობის მიერ ჩადენილი ძველი უსამართლობები გაუქმებული უნდა იქნას. არარუს ხალხთა დამონება, რომლებიც რუსულ იმპერიაში იყვნენ ინკორპორირებულნი, განხილულ იქნა, როგორც ძველი რეჟიმის მიერ ჩადენილი ყველაზე დიდი უსამართლობა და რუსეთის ყველა რევოლუციურმა მთავრობამ, მართლაც განაცხადა ამ ხალხთა უფლებაზე თავისუფლად გადაწყვიტონ საკუთარი პოლიტიკური ბედი.

შესაბამისად, ცხადია, რომ ახალი რეჟიმის მიერ გამოცხადებული პრინციპების მიხედვით, საქართველო ან ნამდვილად უნდა აღდგეს სახელმწიფოდ, დაცულად რუსეთის პროტექტორატის მიერ 1783 წლის რუსულ-ქართული ხელშეკრულების თანახმად, რომელიც, ძველი რეჟიმის დამხობის შედეგად ძალაში შედის, ან, თუკი რუსებს და ქართველებს, ორთავეს საკუთარი მხრიდან, არ ექნებათ სურვილი დატოვონ ძველი ხელშეკრულება ძალაში, ან ის გადასინჯონ, საქართველოში უნდა აღდგენილ იქნეს 1783 წლამდე არსებული მდგომარეობა, რაც მას გაანთავისუფლებს ყოველგვარი სავალდებულო კავშირებისგან რუსეთის მიმართ. საქართველოს მითუმეტეს აქვს უფლება საკუთარი თავი დამოუკიდებლად გამოაცხადოს, რომ, ეროვნების პრინციპის მიხედვით, რომელიც რუსეთის რევოლუციურმა მთავრობებმა გამოაცხადეს, რუსეთის რამდენიმე ჩაგრულმა ხალხმა ისარგებლა ამ განცხადებით და საკუთარი თავი დამოუკიდებლად გამოაცხადა.

რევოლუციურ რუსეთს არავითარი სურვილი არ გამოუთქვამს გადახედოს 1783 წლის ხელშეკრულებას, ან ის ძალაში დატოვოს, იმისდა მიუხედავად, რომ ქართული საზოგადოება ამას მოითხოვდა. და როდესაც რუსულმა ბოლშევიკურმა რევოლუციამ, რომელსაც სხვათა შორის არავითარი წარმატება არ ჰქონდა ჩვენთან, კიდევ უფრო საჯაროდ და კიდევ უფრო ენერგიულად გამოაცხადა

ეროვნების პრინციპი, ამან სრულიად გამოყო რუსეთი კავკასიასა და საქართველოსგან და ეს უკანასკნელი უკვე ამ ფაქტის შედეგად დამოუკიდებელი გახდა. შეიქმნა ქართული, თათრული და სომხური ეროვნული მთავრობები, დაარსდა მთიელთა ფედერაცია და ამიერკავკასიის კომისარიატი, სადაც სადღეისოდ შედიან საქართველო, სომხები და თათრები. ბოლოს, მონვეულ იქნა ამიერკავკასიის პარლამენტი.

და თუკი მთლიანად კავკასიას, ან საქართველოს ცალკე აღებულს, არ შეეძლოთ ოფიციალურად თავი დამოუკიდებლად გამოეცხადებინათ, ამის მიზეზი მხოლოდ ხოცვა-ჟლეტის საფრთხე იყო, რომლითაც რუსულ-თურქულ ფრონტზე მყოფი 500 000-კაციანი რუსული არმია ემუქრებოდა ქვეყანას, მისი რუსეთისგან გამოყოფის გამო.

კავკასიელებმა და ქართველებმა გადანყვიტეს თავიდან მოეშორებინათ რუსული ჯარები, ისინი თანდათანობით რუსეთში გაეგზავნათ, განეიარაღებინათ და საკუთარი ეროვნული არმიები ჩამოეყალიბებინათ. მართლაც, რუსებმა დაინყეს რუსულ-თურქული ფრონტის დატოვება, ხოლო ქართული, სომხური და თათრული არმიები საკუთარი თავის ორგანიზებას შეუდგნენ. გადანყდა გამოეცხადებინათ ქვეყნის დამოუკიდებლობა იმ მომენტში, როდესაც რუსული ჯარები ევაკუირებულნი იქნებიან კავკასიიდან და კავკასიელებს საკმარისი ძალები ექნებათ, რათა დაიცვან საკუთარი ოფიციალურად გამოცხადებული დამოუკიდებლობა.

მაგრამ იმ დროს, როდესაც კავკასია საამისოდ ემზადებოდა, უეცრად დაწყებულ იქნა ბრესტ-ლიტოვსკის მოლაპარაკებები. ეს გახლავთ მიზეზი ბრესტ-ლიტოვსკის კონფერენციაზე კავკასიელ დელეგატთა არდასწრებისა. გარდა ამისა, კავკასიის ცუდი კომუნიკაციები რუსეთთან არ აძლევდნენ საშუალებას კავკასიელებს გაეგზავნათ დელეგაცია ბრესტ-ლიტოვსკში.

ამრიგად, ქართველი და კავკასიელი დელეგატების მონაწილეობის გარეშე რუსეთს და თურქეთს შორის ზავი იქნა დადებული. ამის შედეგი, რუსთა მიერ თურქებისათვის ქალაქ ბათუმის და ბათუმის, ყარსის და არდაგანის ოლქთა დათმობა იყო. თუმცა, ჩვენი აზრით, არც თურქებს არ ჰქონდათ უფლება მოეთხოვათ ეს პროვინციები და არც რუსებს დაეთმოთ ისინი, შემდეგ მიზეზთა გამო:

1. მართლაც, თურქებმა დაიპყრეს ეს პროვინციები, ქართული ქრისტიანული მოსახლეობა ძალით ისლამში მოაქციეს და მათ დაახლოებით ორი საუკუნის განმავლობაში ფლობდნენ. მაგრამ მათი დაპყრობის წინ, ეს პროვინციები საუკუნეთა განმავლობაში საქართველოს ეკუთვნოდა და თურქული ბატონობის დროსაც კი, დამპყრობლები იქიდან არაერთხელ განდევნილ იქნენ. ბათუმის და არდაგანის მთელს ოლქებში და ყარსის ოლქის ნაწილშიც კი, ქართული მაჰმადიანური მოსახლეობა ცხოვრობს, რომელთა უდიდესი ნაწილი, არც კი, საუბრობს თურქულ ენაზე და მათი დედაენა ქართული არის. შესაბამისად, ეროვნების პრინციპის მიხედვით, რომელიც თურქებმა ასევე მიიღეს ბრესტ-ლიტოვსკის კონფერენციაზე, ეს პროვინციები უნდა განიხილებოდნენ როგორც ქართული პროვინციები და არავითარ შემთხვევაში, – როგორც თურქული პროვინციები. რაც შეეხება ქალაქ ბათუმს, მისი მოსახლეობა თურქული ბატონობის დროს არ აღემატებოდა 6 000 ქართველ მაჰმადიანს, იმ დროს, როდესაც რუსული ბატონობის დროს ქალაქი ქრისტიანებით იყო დასახლებული და ამჟამად 60 000 მცხოვრებს ითვლის, რომელთა შორის უდიდეს ნაწილს ქართველი ქრისტიანები შეადგენენ. ნავსადგური

რუსული მთავრობის მიერ იქნა აშენებული. შესაბამისად, თურქებს ისეთივე უფლებები აქვთ ამ პროვინციებზე და ქალაქ ბათუმზე, როგორც ფრანგებს ელზას-ლოტარინგიაზე და ქალაქ სტრასბურგზე.

2. ისიც სიმართლეა, რომ თურქებმა და რუსებმა ერთმანეთს შორის გაიყვეს ქართული პროვინციები ხელშეკრულებების მეშვეობით, რომლებიც დადებულ იქნა XIX საუკუნის განმავლობაში რუსეთ-თურქეთის ომების შემდგომ და რომ თურქებს, შესაძლოა, ამ ხელშეკრულებათა ძალით მიაჩნიათ გამართლებულად მოითხოვონ ეს პროვინციები. მაგრამ 1783 წლის რუსულ-ქართული ხელშეკრულების თანახმად, ეს პროვინციები უნდა გამხდარიყო საქართველოს შემადგენელ ნაწილად იმ შემთხვევაში, თუკი ისინი დაბრუნებული იქნებოდნენ გაერთიანებული რუსული და ქართული ჯარების მიერ. (იხილეთ 1783 წლის ხელშეკრულების მე-X მუხლი, რუსეთის იმპერიის კანონთა კრებულში. ტ. XXI. გვ. 1013-1017. № 15. 835). იმ დროის რუსული და ქართული მთავრობა მათ განიხილავდა როგორც საქართველოს კანონიერ საკუთრებად. ამრიგად, რუსეთმა, 1783 წლის ხელშეკრულების დარღვევისა და თურქეთის წინააღმდეგ ძლევამოსილი ომების შემდგომ, თურქეთთან ერთად გაიყო ტერიტორია, რომელზეც უფლება არა ჰქონდა. რუსულმა დელეგაციამაც, ბრესტ-ლიტოვსკში ასევე დაუთმო თურქეთს სხვისი ტერიტორია, რომელიც მხოლოდ საქართველოს ეკუთვნოდა, რადგან მხოლოდ ის არის ერთადერთი კანონიერი მემკვიდრე ამ ტერიტორიისა საქართველოდან რუსული ჯარების ევაკუაციის შემდგომ და რომლის მისაკუთრების უფლება, ქართველთა თანხმობის გარეშე, არავის არა აქვს.

3. ბრესტ-ლიტოვსკში რუსული დელეგაციის მიერ თურქებისადმი კავკასიელი მოსახლეობის თანხმობის გარეშე კავკასიის სხვა პროვინციათა დათმობა, ასევე უსამართლოა ეროვნების პრინციპის თვალსაზრისით, რომელიც ბრესტ-ლიტოვსკში ხელმომწერი ყველა მხარის მიერ იქნა აღიარებული.

მთელი ომის განმავლობაში, თურქები განუწყვეტილად პირდებოდნენ უცხოეთში ქართულ ეროვნულ კომიტეტს საქართველოს დამოუკიდებლობაზე უფლების აღიარებას, თურქულ მთავრობასა და ქართულ კომიტეტს შორის დადებულ კონვენციათა მიერ დაფიქსირებულ საზღვრებში. ეს საზღვრები მოიცავდა ზუსტად იმ პროვინციებს, რომლებსაც ისინი ითხოვენ ახლა. უკანასკნელ მემორანდუმში, რომელიც წინა წლის ივლისში ჩვენმა კომიტეტმა გერმანიის საიმპერიო მთავრობას, ბერლინში ავსტრია-უნგრეთისა და თურქეთის ელჩებს და ბულგარეთის მინისტრს წარუდგინა, ჩვენ კიდევ ერთხელ ვთხოვდით ზემოხსენებულ დიდ სახელმწიფოებს დამოუკიდებლობაზე ჩვენი უფლების აღიარებას. აგრეთვე, თურქთა ჯარის საქართველოში შემოსვლის შემთხვევაში, თუკი ამას მაინც და მაინც მოითხოვს სამხედრო აუცილებლობა, მის ყოფნას ჩვენს ტერიტორიაზე მოკავშირე ქვეყნის ტერიტორიაზე მყოფი არმიის პირობით, რომლის დამოუკიდებლობაც აღიარებულია ჩვენს შორის დადებული კონვენციის მიერ დაფიქსირებულ საზღვრებში. ბრესტ-ლიტოვსკის მოლაპარაკებების დაწყებამდე ცოტა ხნით ადრე, მისი აღმატებულება თალაათ ფაშა უმეორებდა ვარშავაში ქართული კომიტეტის წევრს, თავად გიორგი მაჩაბელს, რომ თურქეთი არ წამოაყენებდა არავითარ პრეტენზიას ოლქებზე, რომლებიც ჩვენი ტერიტორიის ნაწილს შეადგენდნენ და რომ მისი მთავრობა მზად იყო ელიარებინა ჩვენი დამოუკიდებლობა ამ კონვენციის ფარგლებში. და ამ ყველაფრის მიუხედავად, თურქებმა ბრესტ-ლიტოვსკში ქართული პროვინციები მოითხოვეს, როგორც მათი კანონიერი საკუთრება.

თურქთა მიერ აღიარებული ეროვნების პრინციპი არ შეიძლება გაგებულ იქნეს ჩვენს მიერ როგორც რეფერენდუმი, რომელსაც უნდა მივმართოთ თურქთა მიერ მოთხოვნილი ქართული პროვინციების ბედის გადანყვეტის მიზნით. ჩვენ არ შეგვიძლია დავუშვათ რეფერენდუმის გამოყენება მაჰმადიანურ პროვინციებში, სადაც თურქ აგენტებს, მოსყიდულ ბეგებს და ხოჯებს, შეუძლიათ აიძულონ მოსახლეობა არჩევანი თურქული ბატონობის სასარგებლოდ გააკეთონ. თუკი ეროვნების პრინციპი საქართველოსთვის უმთავრესია ერის პოლიტიკური ბედის გადასაწყვეტად, მაჰმადიანებისთვის ასეთი – რელიგიური პრინციპია. მაგრამ რელიგიური ელემენტი უკვე დიდი ხანია გამორიცხულია საერთაშორისო სამართლიდან და თუკი საქართველოს პოლიტიკური მომავლის გადანყვეტა რეფერენდუმით გახდა აუცილებელი, ასეთ შემთხვევაში, მთლიანად ქართველმა ერმა, განურჩევლად აღმსარებლობისა, ხმა უნდა მისცეს საქართველოს მთელს ტერიტორიაზე და ხმათა უმრავლესობით გადანყვიტოს ქვეყნის პოლიტიკური ბედი.

როცა საქმე ეხება ერს, რომლის ყველა ნაწილი ერთი ეთნიკური წარმომავლობის არის და იგივე ენაზე საუბრობს, ცალკე და სხვა და სხვა პროვინციებში ჩატარებული რეფერენდუმი, რომელთა მცხოვრებნი სხვადასხვა აღმსარებლობებს მიეყვებიან, იქნება მიმართული ერის ინტერესების წინააღმდეგ, მისი პოლიტიკური მომავლის განადგურებისა და შესაბამისად, თავად ეროვნებათა პრინციპის უარყოფისკენ.

უნდა აგრეთვე აღვნიშნოთ, რომ ამ საკითხებში არა მხოლოდ საქართველო, არამედ მთლიანად კავკასიაც არის დაინტერესებული. ქალაქ ბათუმის გარეშე, რომელიც, ესე ვთქვათ, შავ ზღვაზე კავკასიის ერთადერთ პორტს წარმოადგენს, უკანასკნელის ეკონომიკური განვითარება შეფერხდება და პარალიზებული იქნება. მდიდარ კავკასიას კი დიდი ეკონომიკური მომავალი აქვს, თუკი ის პოლიტიკურად განთავისუფლებას შეძლებს. თურქთა მიერ ბათუმის დაუფლება განყვეტს კავკასიის თავისუფალ კომუნიკაციას ხმელთაშუა ზღვასთან და ევროპასთან, სადაც ის დღევანდელ დრომდე ახდენდა და მომავალშიც მოახდენს საკუთარი პროდუქციის ექსპორტირებას.

თურქთა მოთხოვნების დაკმაყოფილება განსაკუთრებით კავკასიელი ქრისტიანებისთვის შექმნიდა ძალიან რთულ ვითარებას. ის დაანგრევდა კავკასიას ეკონომიკური და სულიერი თვალსაზრისით, რადგან ქრისტიანები კავკასიაში ცივილიზაციისა და პროგრესის შემქმნელ ელემენტს შეადგენენ. თავად კავკასიის ხალხთა სოლიდარობისა და მხარის პოლიტიკური დამოუკიდებლობის იდეა, ძირითადად, ქართველთა პროპაგანდის შედეგად არის გავრცელებული კავკასიის მაჰმადიანურ მოსახლეობაში. ამ პროპაგანდის წარმატება ნაწილობრივ იმ გარემოებას უნდა მიენეროს, რომ კავკასიის მაჰმადიანებს არასდროს არ შეეძლოთ ჰქონოდათ იმის იმედი, რომ თურქები შეძლებდნენ ჩვენს მხარეში გადამწყვეტი როლი ეთამაშათ. თუმცა დღეს, როდესაც ხალიფას ჯარები სრულ მზადყოფნაში არიან იქ შემოვიდნენ და საუკეთესო პროვინციათა ანექსია მოახდინონ, კავკასიელ მუსულმანთა მიერ საკუთარი ეროვნული და პოლიტიკური ინტერესების შეგნება მოკლული იქნება მათი რელიგიური სიმპატიების მეშვეობით და სწორედ ამის შედეგად, თავად იდეა კავკასიის პოლიტიკური დამოუკიდებლობისა გახდება განუხორციელებელი. შეუძლებელი არ არის, რომ მაჰმადიანები შეიარაღებული გზით გამოვიდნენ ქრისტიანების წინააღმდეგ. სომეხ-თათართა ხოცვა-ჟლეტა, რომელსაც ჰქონდა ადგილი კავკასიის ზოგ მხარეში, უკვე ამის სიმპტომს წარ-

მოადგენს. მდგომარეობა იმ ზომამდე გართულდება, რომ ქრისტიანები, თუკი სადღეისოდ მათი დიდი რაოდენობა ხსნას მოკავშირეებისგან ელის¹, იძულებულნი გახდებიან ელოდონ რუსეთის აღორძინებას და ხელი შეუწყონ კავკასიაზე მისი ბატონობის აღდგენას. ეს საქართველოს წინა საუკუნის ისტორიის გამეორება იქნებოდა და ნულამდე დაიყვანდა ამ ომის საუკეთესო შედეგებს – ახლო აღმოსავლეთში რუსული იმპერიალიზმის განადგურებას.

ყოველივე ამის გათვალისწინებით, პატივი გვაქვს თხოვნით მივმართოთ თქვენს აღმატებულებას, კეთილი ინებოთ და მხედველობაში მიიღოთ ჩვენი მდგომარეობა, აღიაროთ საქართველოს და კავკასიის უფლება ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულების მუხლების გადასინჯვაზე, რომლებიც კავკასიის ტერიტორიის თურქებისადმი გადაცემას შეეხება, დაიცვათ კავკასიის ტერიტორიის მთლიანობა თურქული ანექსიისგან, აღიაროთ საქართველოს და კავკასიის დამოუკიდებლობა თავად კავკასიელთა და ქართველთა მიერ მისი ოფიციალურად გამოცხადებისთანავე და ხელი შეუწყოთ ყველა კავკასიელთა, რომელთაც შეგნებული აქვთ კავკასიის ყველა ხალხის საერთო საქმე, პოლიტიკური იდეალის რეალიზაციას. ეს იდეალი ამ ხალხთა თავისუფალი კონფედერაციის შექმნაში მდგომარეობს, რომელიც დიდ სახელმწიფოთა მიერ დამოუკიდებლად და ნეიტრალურად იქნება აღიარებული.

ქართული კომიტეტის წევრები:

მიხეილ ფონ წერეთელი

ოსმან ბეი ქარცივაძე

ალექსანდრე გოზალიშვილი

Wien, Haus-, Hof- und Staatsarchiv, Politisches Archiv (HHStA, PA), I 947 Krieg 21 k Türkei:

Georgisch-grusinischer Aufstand im Kaukasus 1914-18, Fol. 235-239.

თარგმანი ფრანგულიდან.

¹ იგულისხმება ოთხთა კავშირის ბლოკის სახელმწიფოები.

№ 269

საქართველოს განთავისუფლების კომიტეტის წევრის,
 ალექსანდრე გოგალიშვილის წერილი ოთო გიუნდერ
 ფონ ვეზენდორფს, გერმანიის იმპერიის საბარეო
 საქმეთა სამინისტროს ლეგაციის მრჩეველს და ახლო
 აღმოსავლეთის საქმეთა რეფერატს, თხოვნით,
 რათა შესაბამისი გერმანული უწყების მიერ მიღებულ
 იქნას ზომები ხსენებული კომიტეტის წევრებისადმი
 და მასთან თანამშრომლობაში მყოფი პირებისადმი
 ჯაშაბირის გადახდის მიზნით, შესაბამისი ფულადი
 თანხების გამოყოფის შესახებ

1918 წლის 5 აპრილი
 ბერლინი

ბატონო ბარონ,

ქართულ კომიტეტს პატივი აქვს გაცნობოთ, რომ წინა (მარტის) თვეში ბერ-
 ლინში ორი ქართველი ოფიცერი ჩამოვიდა: ლეიტენანტი ვესტაფიევი და ლეიტე-
 ნანტი მარანელი.

წინა თვის ბოლო რიცხვებში ასევე ჩამოვიდნენ: კომიტეტის წევრები, ბატონე-
 ბი მ. ფონ წერეთელი და ოსმან ბეი ქარცივაძე.

ამ თვეში ახლახანს ჩამოვიდნენ ზალცვედელიდან უნტერ-ოფიცერი ნიკლაუ-
 რი და ზაგანის ტყვეთა ბანაკიდან, ბატონი ჭელაძე.

რათა მათ ცნობათა ბიუროსგან ჯამაგირის მიღება შეძლონ, კომიტეტს პატივი
 აქვს მოგმართოთ თხოვნით, კეთილი ინებოთ გასცეთ ხსენებული ორგანოს სა-
 ხელზე აუცილებელი ინსტრუქციები.

კერძოდ, მარტის თვის ჯამაგირის გადასახდელად:

ლეიტენანტ ვესტაფიევს – 400 მარკის, ლეიტენანტ მარანელს – 340 მარკის
 ოდენობით.

აპრილის თვის ჯამაგირის გადასახდელად:

ოსმან ბეი ქარცივაძეს – 600 მარკის, ფონ წერეთელს – 400 მარკის, ვესტაფიევს
 – 400 მარკის, მარანელს 340 მარკის ოდენობით.

ბატონ ნიკლაურისთვის და ჭელაძესთვის, რომლებიც ახლახანს ჩამოვიდნენ,
 კომიტეტს პატივი აქვს მოგმართოთ თხოვნით, არსებული სიძვირის გათვალისწი-
 ნებით, დაუნიშნოთ თითოეულ მათგანს თვიური ჯამაგირი 300 მარკის ოდენობით.

ბატონ ჭელაძეს, რომელიც წამოსულია ტყვეთა ბანაკიდან გაზეთის სტამბაში სამუშაოდ, სრულიად არა აქვს ტანსაცმელი. შესაბამისად, კომიტეტს პატივი აქვს მოგმართოთ თხოვნით, მისთვის ზოგ ნივთთა, როგორც ტანსაცმელი და სხვ. გამოყოფის შესახებ.

გთხოვთ მიიღოთ, ბატონო ბარონ, ჩვენგან დიდი პატივისცემის ნიშნები.

კომიტეტის სახელით:

ალ. გოზალიშვილი

Politisches Archiv des Auswärtigen Amts (PA AA),

Akten Betreffend Russisch-Asien. Kaukasus.

R 11043.

თარგმანი ფრანგულიდან.

№ 270

საქართველოს განთავისუფლების კომიტეტის
წევრის, გიორგი მაჩაბლის მოხსენება გერმანიის
იმპერიის საგარეო საქმეთა სამინისტროს,
ოსმალეთის იმპერიაში მისი მივლინების, იქ
რატარაბული სამუშაოსა და კავკასიის მიმართ
თურქთა ზრახვების და პოლიტიკის შესახებ

1918 წლის 10 აპრილი
ბერლინი

ამა წლის 8 მარტს მე კონსტანტინოპოლში ჩამოვედი და მყისვე კავშირი დავამყარე ჩვენი კომიტეტის წევრებთან. უკვე იმავე დღის საღამოს მე ტელეგრაფით დავალება მივეცი ბატონ კერესელიძეს¹, სხვა ქართველები, რომლებიც კონსტანტინოპოლში ჩემს შემდგომ უნდა ჩამოსულიყვნენ, ჩემს შეტყობინებამდე ადგილზე გაეჩერებინა, რადგან იქ გაბატონებულმა განწყობამ მიჩვენა, რომ ჩვენს ამოცანას დიდი დაბრკოლება ელოებოდა წინ. სამწუხაროდ, ტელეგრამამ ბერლინში ოდნავ დაგვიანებით ჩააღწია და სხვა ქართველი ბატონები რამდენიმე დღის შემდგომ ასევე ჩამოვიდნენ კონსტანტინოპოლში.

ბრესტ-ლიტოვსკის საზავო ხელშეკრულებისა და კავკასიური სამშვიდობო დელეგაციის წევრთა ტრაპიზონში გაგზავნის შედეგად საერთო მდგომარეობა, რომელიც საფუძვლად ედო ჩვენს გეგმას, სრულიად შეიცვალა. ამ მიზეზით, მე ჩემს წინაშე შემდეგი ამოცანები დავისახე:

1. ბათუმის საკითხში თურქ სახელმწიფო მოღვაწეებზე გავლენა მომეხდინა.

2. კონსტანტინოპოლში მყოფი ქართველებისთვის, იქ ჩამოსულ ქართველებთან ერთად საქართველოში გამგზავრების ნებართვა მომეპოვებინა.

პირველ საკითხთან დაკავშირებით, მე სხვადასხვა დროს კონსულტაციები მქონდა სამხედრო მინისტრ ენვერ ფაშასთან და საგარეო საქმეთა მინისტრის მოვალეობის შემსრულებელთან ჰალილ ფაშასთან², რომლებიც ჯიუტად იმ პოზიციაზე იდგნენ, რომ სამი ოლქი: ყარსი, არდაგანი და ბათუმი უპირობოდ თურქეთის შემადგენლობაში უნდა შესულიყო. იმაზე მითითებამაც კი, რომ ასეთ პირობებში მეგობრული ურთიერთობა მეზობელ ქართულ სახელმწიფოსთან შეუძლებელი იქნებოდა, არ იქონია შთაბეჭდილება ამ ბატონებზე. სამხედრო მინისტრმა ენვერ ფაშამ საჯაროდ განაცხადა, რომ თურქული მთავრობა მხოლოდ ისეთ ქართულ მთავრობას აღიარებს, რომელიც მიიღებს ბრესტ-ლიტოვსკის პი-

¹ იგულისხმება კერესელიძე გიორგი (1885-1960).

² იგულისხმება მენთეშე ჰალილ ბეი (1874-1948).

რობებს. წინააღმდეგ შემთხვევაში, თურქეთს და საქართველოს შორის საომარი მდგომარეობა წარმოიქმნება. როდესაც მე სამხედრო მინისტრს ბათუმში სახალხო რეფერენდუმზე მივუთითე, მან განმიცხადა, რომ ბრესტ-ლიტოვსკის შეთანხმების მე-4 მუხლის თანახმად, სახალხო პლემბისციტს ძალა მხოლოდ თურქულ პოზიციასთან თანხმობაში შეიძლება ჰქონდეს.

აქედან ჩანს, რომ მე-4 მუხლი, თვითგამორკვევაზე უფლების აღიარების სახის ქვეშ, მხოლოდ შიშველი ძალის პოლიტიკას მალავს. ძლიერ შემანუხებელია აგრეთვე ამ მუხლის შინაარსის უზუსტობაც, რომელზედაც თურქები შესაძლებლად თვლიან საკუთარი ამა თუ იმ შეხედულების დამყარებას. შესაბამისი აბზაცი აცხადებს:

„არდაგანის, ყარსის და ბათუმის ოლქები აგრეთვე დაუყოვნებლივ იცლება რუსი ჯარების მიერ. რუსეთი არ ჩაერევა ამ ოლქთა სახელმწიფო მართვისა და საერთაშორისო ურთიერთობათა რეორგანიზაციაში, არამედ გადასცემს მათ ამ ოლქთა მოსახლეობას, რომლებიც რეორგანიზაციას მეზობელ სახელმწიფოებთან შეთანხმებით, კერძოდ კი თურქეთთან ერთად განახორციელებენ“.

როდესაც მე საქართველოსთვის ბათუმის პირდაპირ სასიცოცხლო მნიშვნელობაზე მივუთითე, სამხედრო მინისტრმა განაცხადა, რომ ბათუმი შეიძლება მიეცეს საქართველოს როგორც თავისუფალი პორტი, იმ პირობით, თუკი ყარსიდან ტფილისის გავლით ბათუმში მიმავალ რკინიგზის ხაზს ქართველები აგრეთვე თურქთა განკარგულებაში გადასცემენ.

ქართველებს არავითარ შემთხვევაში არ შეუძლიათ მათ მიერ კუთვნილი რკინიგზა, ამა თუ იმ ფორმით თურქებს გადასცენ, რომლებსაც მათ ქვეყანაშიც კი ძნელად თუ შეუძლიათ, საკუთარი რკინიგზის სისტემა წესრიგში იქონიონ.

მინისტრი ჰალილ ბეი იმ პოზიციასზე იდგა, რომ ბათუმის დაბრუნება ღირსების საკითხი არის და რომ თურქეთს იქ იმის ჩვენება სურს, რომ რუსული ბატონობის დროს აყვავებული ქალაქი აგრეთვე თურქული ბატონობის დროსაც კარგად განვითარდება. ამაზე მე მას მივუგე, რომ ბათუმი დღევანდელ მდგომარეობაში არა რუსთა, არამედ მისი ქართული მოსახლეობის მიერ იქნა მოყვანილი, და რომ თურქებს საკუთარ მიღწევათა ჩვენების მათივე მეზობელ პორტებში: რიზეში, ტრაპიზონში და ა.შ. საკმარისი საშუალება აქვთ.

ამ ორ თურქ მინისტრთან გამართული კონსულტაციების შემდეგ მე მაინც მრჩებოდა იმედი, რომ იმ დროს იქ ჯერ კიდევ არ მყოფ დიდ ვეზირს, თალაათ ფაშას, სხვა პოზიციის დაჭერა შეეძლო. მითუმეტეს, რომ ცოტა ხნის წინ ვარშავაში მან მე მკვეთრი დაპირება მომცა, რომ ბათუმი და აგრეთვე ჩვენი ქვეყნის მაჰმადიანი ქართველებით დასახლებული სხვა ოლქები, უცილობლად უნდა ეკუთვნოდეს ქართულ სახელმწიფოს. მისი აღმატებულება გერმანიის ელჩი, რომელთანაც მე ყოველთვის კავშირი მქონდა და რომელსაც მე მუდმივად ვაყენებდი ჩემს ურთიერთობათა საქმის კურსში, აგრეთვე მირჩევდა თალაათ ფაშას დაბრუნებას დავლოდებოდი.

თალაათ ფაშა, მხოლოდ კონსტანტინოპოლიდან ჩემს გამგზავრებამდე ცოტა ხნის წინ დაბრუნდა უკან და სამწუხაროდ, დაიკავა ისეთივე პოზიცია როგორც ენვერ ფაშამ და ხალილ ბეიმ. ჩემს საყვედურზეც, ვარშავაში ჩემთვის მოცემული დაპირების შესახებ, მან მხოლოდ ის მიპასუხა, რომ ამის შემდგომ საერთო მდგომარეობა შეიცვალა.

რაც შეეხება ქართველ ბატონთა საკუთარ სამშობლოში გამგზავრებას, ჩვენ ვერც ამ თვალსაზრისით მივალნიეთ რამეს, ვინაიდან თურქეთი, როგორც ჩანს

ზემოხსენებული თვალსაზრისიდან გამომდინარე ვარაუდობს, რომ, შესაძლოა, მისი გეგმების დამაბრკოლებელი საწინააღმდეგო პროპაგანდის წარმოების განზრახვასთან აქვს საქმე.

მას შემდეგ რაც ვნახე, რომ ჩემი იქ ყოფნა საქმეს დიდ სარგებლობას ვერ მოუტანს და თურქ ბატონებს განვუცხადე, რომ ბერლინში დაბრუნება მსურს, შემატყობინეს, რომ ჩემთვის და ბატონ სურგულაძისთვის მხოლოდ ტრაპიზონამდე მგ ზავრობის ნებართვა არის გაცემული. შემდგომი მგ ზავრობა საქართველოში კავკასიის ფრონტის სარდლისგან, ვეჰიბ ფაშასგან არის დამოკიდებული.

ვინაიდან გვეშინოდა, რომ ტრაპიზონში თურქეთს ჩვენთვის ყოველგვარი დაბრკოლებების შექმნა შეეძლო, ჩვენ ამაზე უარი განვაცხადეთ.

გარდა ამისა, კონსტანტინოპოლში ჩემი ყოფნის დროს, კონსულტაციები მქონდა ძალიან ბევრ პარლამენტართან, სენატორთან და პრესის წარმომადგენლებთან, რომლებსაც არ შეუძლიათ დიდი გავლენა იქონიონ თურქეთის პოლიტიკაზე ჩვენს მიმართ.

ამასობაში, თურქეთის მთავრობამ მრავალი ასეული თურქი ოფიცერი და პოლიტიკური აგენტი კავკასიაში გაგზავნა, რათა თათრებსა და სხვა მაჰმადიან ხალხთა ელემენტებს შორის თურქული პროპაგანდა აწარმოოს და კავკასიის კონფედერაციის წინააღმდეგ განაწყობა შექმნას. თურქეთი, გარდა ამისა, კავკასიის მაჰმადიანური მოსახლეობის შეიარაღებას ცდილობს, რათა მათ, იმ შემთხვევაში, თუკი ქართველები კავკასიაში თურქთა წინსვლას წინააღმდეგობას გაუწევენ, ქართველებს ზურგიდან შეუტიონ.

რაც სომხურ საკითხს შეეხება, თურქებს მტკიცედ აქვთ გადანყვეტილი, მაჰმადიანი ტომების მეშვეობით კავკასიაში ეს ერი ამოძირკვონ.

თურქეთის მთავრობის მიერ კავკასიის შინაგან საქმეებში ამგვარი ჩარევა, რომელსაც, ყველა მონაცემით, კონფედერაციული სახელმწიფოს შექმნა სურს, მხოლოდ შეუშლის ხელს კავკასიური საკითხის ამ ბუნებრივ გადანყვეტას. ამის შედეგად, ცხადია, დაიმსხვრევა ზავიც ცენტრალური ევროპის დიდ სახელმწიფოებთან, რომლის დადებისკენ მიისწრაფიან ამიერკავკასიის სახელმწიფოები.

შესაძლებელია თუ არა, გერმანიის მთავრობის ინტერესებში შედიოდეს ნედლეულით და მადნით ამდენად მდიდარ ქვეყანასთან მოახლოებული ზავის ჩავარდნის დაშვება, გერმანიის მიერვე ხელმოწერილი ბრესტ-ლიტოვსკის ზავის განსაზღვრებათა ამგვარი დამახინჯების გამო, – ამის შესახებ თავად გერმანიის მთავრობამ უნდა იმსჯელოს.

თუკი გერმანია თურქეთს კავკასიაში და აგრეთვე სპარსეთის აზერბაიჯანში თავისუფალი მოქმედების საშუალებას მისცემს, ჩემი აზრით, ამას შედეგად ადვილად შეიძლება მოყვეს მთელი თურქული და ისლამური პოლიტიკის შეცვლა, რის გამოც, შესაძლებელია, საფრთხე შეექმნას ასევე გერმანულ ინტერესებსაც აღმოსავლეთში.

არ უნდა დაგვავინწყდეს, რომ კავკასია გერმანიისთვის, საკუთარი მნიშვნელობის გარდა, აგრეთვე ტრანსკასპიაში, სპარსეთში, ინდოეთში უახლოეს გზას წარმოადგენს და რომ ომის განმავლობაში აქ წარმოქმნილი სიმპატიები უფრო ნაკლები რისკის ქვეშ იმ პოლიტიკის შედეგად მოექცევიან, რომელიც გერმანიის მიერ თან ხელმოწერილი შეთანხმების არპატივისცემას ემყარება.

აგრეთვე ბატონი ობერ-ლეიტენანტი ბრანდტენერიც, რომელსაც კონსტანტინოპოლიდან კავკასიაში ჩასვლა სურდა, იძულებული იყო ოდესისკენ აეღო გეზი.

თურქებს, არავითარ შემთხვევაში არ სურდათ ის კავკასიაში თან წაეყვანათ. ვინაიდან ოფიციალური ბრძანების საფუძველზე მას თან შეეძლო ოფიცრის მსახურიც წაეყვანა, მე შევთავაზე ბატონ სოლომონ ვადაკურს მასთან ერთად კავკასიაში გამგზავრებულიყო. ორივე ბატონი უკვე საქართველოსკენ მიმავალ გზაზე იმყოფება. გუშინ მე ბუქარესტიდან მივიღე მოკლე წერილი ბატონი ბრანდტენ-რისგან, რომლითაც უკანასკნელი მატყობინებს, რომ ისინი იქ მშვიდობით ჩავიდნენ და აგრძელებენ გზას.

რაც შეეხება ბატონ ალბაგაჩის (ინგუშს)¹, რომელიც ჩვენთან ერთად კონსტანტინოპოლში ჩამოვიდა, ჯერ კიდევ გაურკვეველია, მისცემენ თუ არა მას თურქები შესაძლებლობას კავკასიაში გაემგზავროს. მას პირდაპირ მიანიშნეს, რომ მგზავრობის ნებართვის მიღებას მხოლოდ იმ შემთხვევაში შეძლებს, თუკი განაცხადებს, რომ ეთანხმება თურქულ გეგმას – ჩრდილოეთ კავკასია თურქეთის პროტექტორატად იქცეს. მე ვურჩიე მას ყველაფერზე თანხმობა განაცხადოს, რათა საკუთარ სამშობლოში ჩავიდეს და იქ, ბატონ გაზავატთან² და სხვა მეგობრებთან ერთად, კავკასიის დამოუკიდებლობისათვის იმუშავოს.

40 000 რუბლიდან, რომელიც ჩვენი მისიისთვის გამოიყო, 5000 რუბლი მე ბატონ ვადაკურს გადავეცი. კიდევ 5000 რუბლი ბატონი ალბაგაჩისთვის კონსტანტინოპოლში გერმანიის საელჩოში ინახება. დანარჩენი 30 000 რუბლი მე ვთხოვე ელჩს უკან გამოეგზავნა ბერლინში.

დასასრულს, ქართული კომიტეტის სახელით მსურს მოგმართოთ თხოვნით, რათა ყველა კონსტანტინოპოლში შეკრებილ ქართველს ნებისმიერი გარემოების ქვეშ შესაძლებლობა მიეცეს გერმანიაში, ან სხვა თურქული ხელისუფლების კონტროლს მიღმა მყოფ ქვეყანაში გამგზავრებისა, რათა მათ შესაძლებლობა ჰქონდეთ, როგორც კი ამას სასურველად ჩათვლიან, საქართველოში ჩააღწიონ.

თავს უფლებას ვაძლევ, ამასთან ერთად გაახლოთ ზუსტი სია, დაწვრილებითი მონაცემებით.

უდიდესი პატივისცემით,
თქვენი სრულიად ერთგული,
[გიორგი მაჩაბელი]

*Politisches Archiv des Auswärtigen Amtes (PA AA),
Akten Betreffend Russisch-Asien. Kaukasus.
R 11043.*

თარგმანი გერმანულიდან.

¹ იგულისხმება ალბოგაჩი (ალბოგაჩიევი) ჯემალედდინი (1894-1949).

² იგულისხმება არზამაკოვი უზდენ (მეტსახელი – გაზავატი).

№ 271

**საქართველოს განთავისუფლების კომიტეტის წევრის,
გიორგი მაჩაბლის მოხსენება აკაკი ჩხენკელს,
გერმანიაში საქართველოს სამშვიდობო დელეგაციის
თავმჯდომარეს, ხსენებული კომიტეტის მიერ საკუთარი
არსებობის განმავლობაში განეული სამუშაოს შესახებ**

1918 წლის 29 აპრილი
ბერლინი

ძმაო აკაკი,

ამ წერილს ვატან გერმანიის საგარეო სამინისტროს მოხელეს Dr. Otto von Wesendonk-ს, დიდ მეგობარს ქართველებისას და უფრო დიდ მომხრეს დამოუკიდებელ საქართველოსისას და კავკასიისას. ეს ოთხი წელიწადია ამას აბარია ჩვენი საქმის დამუშავება სამინისტროში და მართლაც დიდის თავდადებით და ერთგულობით ეკიდებოდა ყველა უბრალო საკითხებსაც კი. მაგის მადლობლები უნდა ვიყვეთ, რომ გვაქვს აქ „ქართული გაზეთი“, რომლითაც დიდ შეღავათს ვაძლევთ ჩვენს ტყვეობით დაჩაგრულ ჯარისკაცებს და ოფიცრებს. რომ იცოდეთ რა აღფრთოვანებული წერილები მოგვდის ხოლმე მათგან და როგორის მოუთმენლობით ელიან ხოლმე ახალ ნომერს... ვეზენდონკი აგრეთვე დიდად გვეხმარება პროპაგანდა გაგვეწიან ჩვენი საკითხის შესახებ საზოგადოებრივ აზრში, ტყვეები ერთად შეგვეკრიბა, საუკეთესო პირობებში ყოფილიყვნენ და ერთი სიტყვით, ერთი თხოვნა ამის უყურადღებოდ და უპატივცემლოთ არ დარჩენილა. ეხლა ვეზენდონკი მიდის კონსტანტინეპოლში, რომ იქიდან თქვენთან სხვა გერმანულ წარმომადგენლებთან ერთად ზავის მოლაპარაკებაში მიიღოს მონაწილეობა. გთხოვთ ამ კაცს ყურადღებით მოექცეთ და გარწმუნებთ, შეგიძლიათ იქონიოთ მასთან სრული ნდობა, რომ ის რა წერტილამდისაც კი იქნება, დაიცავს ჩვენს ინტერესებს. კარგი იქნება კ[ერ]ძოთ მოელაპარაკოთ მას და აუხსნათ მას ჩვენი სურვილები, მეტადრე ბათუმის შესახებ, რომ ჩვენ უბათუმით ვერ ვიარსებებთ. გარდა მაგისა თურქებს თვალი უჭირავთ რკინის გზაზე (ბათუმ-თბილისი, თბილისი-ყარსი), არაფერ კომბინაციებზედ ამის შესახებ არ დასთანხმდეთ, გერმანელები მხარს დაგვიჭერენ. საერთოდ მაგრა იდეით და სულ იმას ეცადეთ, დაარწმუნოთ გერმანელები, რომ რაც თურქების გავლენა ნაკლები იქნება კავკასიაში, იმდენად მეტად იქნება დაცული გერმანული ინტერესები, რადგან კავკასია არის ხიდი ევროპის და აზიის შორის, ეგ არის შემაერთებელი ძარღვი ამ ორთა ქვეყნების შორის, როგორც კულტურულ, ისე ეკონომიკურ და პოლიტიკურ მხრივ. ამიტომ ეს ხიდი უნდა იყვეს თავისუფალი, დაცული საერთაშორისო ხელშეკრულებით და უზრუნველყოფილი ყველა მომავალ საფრთხეებისგან.

ეხლა მინდა მოკლედ გაგაცნოთ ყველა ის ხელშეკრულებანი, რომელიც მოხდა ჩვენ ეროვნულ კომიტეტის ინიციატივით ან იყო შეკრული ჩვენი კომიტეტის რომელიმე წარმომადგენლის და ამა თუ იმ მთავრობის შორის. ზოგიერთ მათგანს აქვს საერთაშორისო ხასიათი და ჩვენთვის მეტად საყურადღებოა, და თუ ზოგიერთს მათგანს ეს ხასიათი არა აქვს, მაინც მორალურად ჩვენთვის მნიშვნელოვანია და შეიძლება როგორც არგუმენტი გამოიყენოთ მოლაპარაკების დროს.

1. ხელწერილობითი განცხადება გერმანიის ელჩის კონსტანტინოპოლში ბარონ ვანგენჰაიმის მიერ 14 სექტემბერს 1914 წელს თვით ელჩის ხელმოწერით. ამ დოკუმენტში ელჩი გვარწმუნებს, რომ ზავზედ მოლაპარაკების დროს გერმანიის მთავრობა დაიცავს დამოუკიდებელ საქართველოს იმ ფარგლებში, რომელიც ეკუთვნის ისტორიულად და ეთნოგრაფიულად საქართველოს. საზღვრები დანვრილებით არის მოყვანილი ოსმალეთთან, რჩება რუსეთ-ოსმალეთის საზღვარი ამ ომის წინ.
2. ოსმალეთის მთავრობის განცხადება (ხელმოწერილი ისმეტ ბეისგან¹ – უფროსი ოსმალეთის გენერალურ შტაბის ერთი სექციისა), რომელშიც ოსმალეთის მთავრობა გვპირდება აღიაროს დამოუკიდებელი საქართველო და ხელშეუხებლობა საქართველოს ტერიტორიისა, იმ მომენტში, როდესაც საქართველო თავის დამოუკიდებლობას აღიარებს. აქ საზღვარი ჭოროხით თავდება, ყარსი და არდაგანის სამხრეთ ნაწილი გარეთ რჩება (16 სექტემბერი 1915).
3. წერილობითი განცხადებანი გერმანიის და ავსტრია-უნგრეთის საგარეო მინისტრებისა დეკემბერში 1915 წელს, რომ ორთავე მთავრობანი ყველა დახმარებას გაუწევენ კავკასიელებს მათ დამოუკიდებლობის განხორციელებაში.
4. ამ რამდენიმე თვის წინათ ჩვენის თხოვნით იყო გაცვლილი ოფიციალური ნოტა ცენტრალურ სახელმწიფოების და ოსმალეთს შორის, რომელსაც მიზნათ ჰქონდა სრული გარანტია შეექმნა ჩვენი დამოუკიდებლობის საკითხში. ამ ნოტას აქვს სრული ოფიციალური ხასიათი და ამის სისრულეში მოყვანისათვის ბევრი შრომა და ენერჯია მიუძღვის ფონ ვეზენდონკს. დანვრილებით ამაზე შეგიძლიანთ მას მოელაპარაკოთ.
5. გარდა ყველა ამისა, 4 თებერვალს 1918 წელს ქ. ვარშავაში მე მქონდა მოლაპარაკება დიდ ვეზირთან თალაათ ფაშასთან და დანარჩენ ოსმალეთის მთავრობის წარმომადგენლებთან (ჰა[კ]კი ფაშა, იზეთ ფაშა, და სხვები), რომლებმაც დამარწმუნეს, რომ ოსმალეთი მსურველია იყოს აღდგენილი დამოუკიდებელი საქართველო, ბათუმი და ბათუმის ოლქი უნდა შედიოდეს საქართველოს სახელმწიფოს ფარგლებში. ამ მოლაპარაკების პროტოკოლიც მაქვს. სამწუხაროთ, არ მქონდა არაფერი ოფიციალური მინდობილობა ჩვენი მთავრობისა, თორემ დღეს ზავი თურქებთან და ცენტრალურ სახელმწიფოებთან მზად იქნებოდა და არაფერი საჩხუბი და სადაო თურქებთან არ გვექნებოდა. მაშინ სხვა დრო იყო. რუსეთთან ზავი არ ხერხდებოდა და თურქები ცდილობდნენ ჩვენთან მაინც შეეკრათ ზავი და არაფერზედ დავას არ გვიტყებდნენ. მაგრამ სამწუხაროდ ვერც თქვენ გამოგზავნეთ

¹ იგულისხმება ისმეტ ფაშა ინენიუ მუსტაფა (1884-1973).

ვერავინ ბრესტ-ლიტოვსკში და ვერც ჩვენ ვისმეს მოგვანოდეთ ოფიციალური მანდატი, მაგრამ ეს წასული ხანაა და არ მინდა ეხლა ამაზე ლაპარაკი. ეს მომავლისათვის დარჩეს. ეხლა იმედი მაქვს მოახერხებთ ზავის მალე ჩამოგდებას და შეუდგეთ ჩვენ დაბეჩავებულ ქვეყნის აღდგენას და აღორძინებას, რასაც ჩვენ წრფელის გულით გისურვებთ.

ეხლა ორიოდე სიტყვა ჩვენ კომიტეტის და აქაური მის მუშაობის შესახებ. როგორც იქნებ იცოდეთ, ჩვენ კომიტეტს ჰქონდა მხოლოდ პოლიტიკური მიზანი – საქართველოს დამოუკიდებლობა. კავკასიის კონფედერაციის წინააღმდეგაც, რომლის ერთ ნაწილს საქართველო შეადგენდა – არაფერი გვქონდა. დღეს ჩვენი მიზანი აღსრულდა. ჩვენს მუშაობას თუ დღევანდლამდის რევოლუციონური, არალეგალური ხასიათი ჰქონდა, ეს ხასიათი მოისპო, ჩვენ ვართ ეხლა საზღვარ გარეთ მყოფი ქართველების ერთი ჯგუფი, რომელიც მთელი თავისი არსებით თქვენ გვერდში გიდგიათ და მოსურვებუღია ყოველის ღონისძიებით დაგეხმაროთ და თქვენ ძნელი მუშაობა გაგიადვილოთ, ჩვენ ველით თქვენ ყურადღებას, თქვენ ინსტრუქციებს, თქვენს ბრძანებას. ამ ოთხი წლის მუშაობის წყალობით ჩვენ შევიძინეთ ერთგვარი გამოცდილება და არც პატივს ვართ მოკლებულნი აქაურ მთავრობების წინაშე. ჩვენი აქაური მუშაობა შესდგება ეხლა მხოლოდ იმაში, აქაურ გავლენიან წრეებში გავავრცელოდ აზრი, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს დამოუკიდებელ საქართველოს ანუ კავკასიას, და რომ უბათუმოთ ჩვენი არსებობა პირდაპირ სათუთა. გარდა ამისა შევუდგეთ ქართველ ტყვე ჯარისკაცების და ოფიცრების შეკრეფას, რომ პირველივე შემთხვევაში, ერთ-ერთ რომელიმე შავი ზღვის პორტიდან (კონსტანცა, ბრაილა და სხვა) პირდაპირ საქართველოში გადავიყვანოთ. ძალიან გთხოვთ, პირდაპირ გემუდარებით ამ საკითხს თქვენც მეტად სერიოზული ყურადღება მიაქციოთ. ვერ წარმოიდგენთ რა სულიერ სასოწარკვეთილებაში არიან ჩვენი ტყვეები და როგორ ელიან თქვენ ამბავს, თქვენ ყურადღებას. ეს საკითხში რომ მალე საბოლოოდ გადაწყდეს, საჭიროა თქვენ მანდ მოუყაროთ თავი გერმანელ და ავსტრო-უნგრეთის ტყვეებს და ოფიციალურად მოსთხოვოთ აქაურ მთავრობებს, რომ ჩვენი ტყვეები გადმოიყვანონ მანდ და თავიანთები უკან წაიყვანონ. გარდა ამისა კარგი იქნება ერთ-ერთ ჩვენგანს ოფიციალური მინდობილობა გამოუგზავნოთ, აქაურ მთავრობის წინაშე იზრუნოს ამ საკითხის გამო. მაგ[ალითად], ავსტრია-უნგრეთში ჯერ არ ჰკრეფავენ ჩვენ ტყვეებს და თუ ოფიციალურად ვინმე ჩვენგანი შეუდგება ამ საკითხს, მაშინ საქმეს ძალიან გააადვილებს და მთავრობებიც უფრო სერიოზულად მოეკიდებიან ჩვენ თხოვნას. საჭიროა ეს ოფიციალური მინდობილობა რაც შეიძლება მალე იყვეს გამოგზავნილი. დეპუშითაც შეიძლება. ვეზენდონკს შეუძლიან ეს დეპუშა გამოგზავნოს.

ეხლა მინდა ჩვენი აზრიც გაგაცნოთ იმის შესახებ, რომ თუ კავკასიელმა თათრებმა ან სომხებმა გაგვიძნელონ ზავის ჩამოგდება, ჩვენთვის არახელსაყრელი საკითხები წამოაყენონ, მაშინ საქართველომ კერძოთ შეჰკრას ზავი და გამოეყოს კავკასიის კონფედერაციას, თუმცა ამას დიდი სიფრთხილით უნდა მოვეკიდოთ, რომ ჩვენი პოლიტიკური მდგომარეობა არ გაძნელდეს. ეს თქვენ უკეთ იცით, როგორც გადაწყვიტოთ. ჩვენ სამხედრო ძალას დიდი ყურადღება უნდა ჰქონდეს მიქცეული, მაგაზედ არის დამოკიდებული ჩვენი პრესტიჟი კავკასიაში და ჩვენ მეზობლების წინაშე. არ შეაჩეროთ ამაზე ზრუნვა ერთი წუთიც. სამწუხაროთ,

ბევრს რასმეს ამ წერილში ვერ გნერ, რაც მინდოდა კიდევ მეთქვა, მაგრამ თუ მოისურვებთ მზათა ვარ ჩამოვიდე და რითაც კი შემეძლება დაგეხმაროთ.

ყველა აქ მყოფი ქართველები გითვლიან თავიანთ სალამს და გისურვებენ გამარჯვებას და სისრულეში მოყვანას თქვენ დიდებულ დაწყებულ საქმისას.

მეც ვუერთდები მათ,
თქვენი ერთგული,
გიორგი მაჩაბელი

გთხოვთ ამ წერილის შინაარსი დანარჩენი ჩვენ დელეგაციის წევრებსაც გააცნოთ.

ბაქოელ თათრებს უნდა აუხსნათ, თუ რა განსაცდელში ჩავარდებიან სხვის ბატონობის ქვეშ რომ მოჰყვნენ. მე მგონი ბევრ მათგანს ეს მართლაც არ აქვს წარმოდგენილი.

*თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ემიგრაციის მუზეუმი.
ფ.მ. ა.5. ბ.1.*

№ 272

საქართველოს განთავისუფლების კომიტეტის წევრის,
ალექსანდრე გოზალიშვილის წერილი ოტო ბიუნდერ
ფონ ვეზენდორფს, გერმანიის იმპერიის საგარეო
საქმეთა სამინისტროს ლეგაციის მრჩეველს და
ახლო აღმოსავლეთის საქმეთა რეფერატს, თხოვნით
ხსენებული სამინისტროს მიერ კომიტეტისთვის
გამოყოფილი თვიური სარეზერვო ფონდის 3000
მარკამდე გაზრდის შესახებ

1918 წლის 3 მაისი
ბერლინი

ბატონო ბარონ,

ქართული კომიტეტის პირადი შემადგენლობის ხშირი წასვლის და ახალ პირთა ჩამოსვლის შედეგად, დროზე და მონესრიგებულად ჯამაგირების გადახდა ძნელი ხდება. იმ მიზნით, რათა თავიდან ავიცილოთ ყველა სახის სიძნელეები, რომლებიც შეუძლია შექმნას დაგვიანებამ, კომიტეტს პატივი აქვს თხოვნით მიმართოს საგარეო საქმეთა სამინისტროს გაზარდოს 3000 მარკამდე სარეზერვო თვიური ფონდი, რათა დროებით ჯამაგირთა გადახდა მთლიანად ამ თანხიდან განხორციელდეს.

კომიტეტი სარგებლობს შემთხვევით, რათა დაგიმონწმოთ, ბატონო ბარონ, საკუთარი მაღალი პატივისცემა.

ქართული კომიტეტის სახელით,
ალ. გოზალიშვილი

*Politisches Archiv des Auswärtigen Amts (PA AA),
Akten Betreffend Russisch-Asien. Kaukasus.
R 11045.*

თარგმანი ფრანგულიდან.

№ 273

ამიერკავკასიის დემოკრატიული ფედერაციული
რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის, აკაკი
ჩხენკელის მიერ სპირიდონ კედიას, საქართველოს
ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარის
სახელზე გაცემული მანდატი, უფლებით ხსენებული
რესპუბლიკის სახელით აწარმოოს პოლიტიკური
მოლაპარაკებები ოთხთა კავშირის სახელმწიფოებთან

1918 წლის 12 მაისი ბათუმი

ამიერკავკასიის რესპუბლიკის სახელით, მოქალაქე სპირიდონ კედიას ამით სრული უფლებები ეძლევა კავშირში შევიდეს და მოლაპარაკებები აწარმოოს გერმანიის და ავსტრია-უნგრეთის იმპერიების, ბულგარეთის და ოტომანთა იმპერიის მთავრობებთან ყველა საკითხებზე, რომლებიც შეეხებიან ტფილისში 1918 წლის 22 აპრილს გამოცხადებული ამიერკავკასიის რესპუბლიკის დამოუკიდებლობის აღიარებას, ისევე როგორც, ხსენებულ დიდ სახელმწიფოთა მონაწილეობას ბათუმის კონფერენციაზე და ზოგადად, სამხედრო და პოლიტიკური ხელშეკრულების გამომუშავებაზე, ერთის მხრივ ამიერკავკასიის რესპუბლიკას და მეორეს მხრივ, ოთხ მოკავშირე დიდ სახელმწიფოთა შორის.

ამიერკავკასიის რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე,
საგარეო საქმეთა მინისტრი
ა. ჩხენკელი

*ნინო ბადუალ-კერესელიძის პირადი არქივი. ექს-ან-პროვანსი, საფრანგეთი.
თარგმანი ფრანგულიდან.*

№ 274

**საქართველოს განთავისუფლების კომიტეტის
წევრის, გიორგი მაგალიის ბერმანულ გაზეთ
„BERLINER TAGEBLATT“-ის 1918 წლის 15 მაისის
დილის გამოშვებაში გამოქვეყნებული წერილი,
„ამიერკავკასიის რესპუბლიკა. მკითხველის წერილი“**

თავადი გიორგი მაგალია, ქართული კომიტეტის თავმჯდომარე, ჩვენი 6 მაისის ორშაბათის სტატიასთან დაკავშირებით გვიგზავნის წინამდებარე წერილს. რედაქცია.

რუსეთის რევოლუციის ქართველებმა დიდი წვლილი შეიტანეს. რუსეთის არარუსი ერებიდან მასში არავის წარმოუდგენია ქართველებზე მეტი მებრძოლი. სახელები ჩხეიძე, წერეთელი, ჩხენკელი, რამიშვილი და სხვები ჯერ კიდევ ყველას ახსოვს. რევოლუციის ხელმძღვანელობა საქართველოში, მისი დანაშაულებიდან უმეტესად, სოციალ-დემოკრატების (მენშევიკების) ხელში იყო. ამ პარტიის ლიდერები მისდევდნენ მოსაზრებას, რომ საქართველოს ფედერაციული რუსეთის შიგნით, აგრეთვე როგორც ფედერალურ ქვეყანას, ექნებოდა თავისი ეროვნული და ეკონომიკური განვითარების შესაძლებლობა.

ეს პოზიცია განპირობებული იყო საფრთხით, რაც უკავშირდებოდა თურქეთის დამოკიდებულებას სრულიად დამოუკიდებელი საქართველოს ან კავკასიის მიმართ და რუსეთის კავკასიის არმიის არსებობით, რომელიც გამოყოფის შემთხვევაში საქართველოს დაემუქრებოდა.

კერენსკის რეჟიმის დროს ქართველებმა ბევრი ეროვნული მოთხოვნა გაიტანეს, როგორც, მაგალითად, ეროვნული სამხედრო ნაწილების ჩამოყალიბება, სკოლებში ქართული ენის შემოღება, პირველი ქართული უნივერსიტეტის დაარსება და ა.შ. სახელისუფლებო ძალა მაშინ კომისრების ხელში იყო თავმოყრილი, რომლებიც აგრეთვე ქართული ეროვნებისა იყვნენ. მსგავსი მოვლენები და გარემოებები არსებობდა სხვა კავკასიელი ხალხების შემთხვევაშიც.

კერენსკის ჩამოგდებამდე, პეტერბურგში მომავალი დამფუძნებელი კრების არჩევნების ჩატარების შესახებ გამოცხადდა, რომელიც სხვათა შორის მხოლოდ ბოლშევიკური გადატრიალების შემდეგ გაიმართა და კავკასიაში ბოლშევიკებს სრული დამარცხება მოუტანა. უპირატესობა კვლავ მოიპოვეს უფრო მარჯვნივ მყოფმა სოციალისტებმა (მენშევიკებმა და სოციალისტ-ფედერალისტებმა), თუმცა წარმოდგენილები იყვნენ სხვა დემოკრატიული პარტიებიც. მაგრამ მას შემდეგ, რაც ბოლშევიკებმა დამფუძნებელი კრება გარეკეს, ამიერკავკასიის წარმომადგენლები ტფილისში შეიკრიბნენ და საკუთარი მთავრობა გამოაცხადეს, თავისი პარლამენტით, ჩხეიძის თავმჯდომარეობით, და თავისი სამინისტ-

როთი, რომელიც თორმეტი წევრისგან შედგებოდა, გეგეჭკორის თავმჯდომარეობის ქვეშ. როგორც პარლამენტში, ასევე სამინისტროში წარმოდგენილი იყვნენ ქართველები, თათრები და სომხები. გარდა ამ საყოველთაო ამიერკავკასიური მთავრობისა, ტფილისში ასევე არსებობს საგანგებო მთავრობა, ქვეყნის ქართული ნაწილისთვის, რომელიც ქართველთა ეროვნული კრების მიერ იქნა 1917 წლის დეკემბრის დასაწყისში მონვეული. ამის მსგავსად, სომხებს და თათრებს ქვეყნის მათ ნაწილებში, საკუთარ ორგანიზაციათა ცენტრები აქვთ.

ბოლშევიკთა მცდელობა, კავკასიაზე კონტროლი დაემყარებინათ, იოლად იქნა აღკვეთილი და ძალაუფლება დღემდე მტკიცედ უპყრიათ ხელთ ამიერკავკასიის ზემოხსენებულ სახელისუფლებო ორგანოებს.

ყველაფერი კარგი მიმართულებით მიდიოდა, როდესაც დაიწყო ბრესტ-ლიტოვსკის მოლაპარაკებები. ამიერკავკასიის მთავრობის წარმომადგენლებს არ შეეძლოთ მონაწილეობის მიღება ამ მოლაპარაკებებზე, რადგან მათი ქვეყანა მთლიანად ჩამოჭრილი იყო დანარჩენი რუსეთისგან, და არ ჰქონდათ არც სახმელეთო, არც საზღვაო გზა.

ბრესტში პირველი მოლაპარაკებების ჩაშლის შემდეგ, ამიერკავკასიის მთავრობამ თურქეთის საშუალებით წინადადებით მიმართა ცენტრალურ სახელმწიფოებს საიდუმლო ზავის დადების შესახებ. 25 თებერვალს თურქეთის პალატაში საგარეო საქმეთა მინისტრმა აჰმედ ნესიმი ბეიმ მიმართვა გაუკეთა პარლამენტს, რომ რუსეთის (იგულისხმება კავკასიის) კავკასიური ჯარების მთავარსარდლის შუამავლობით მიღებულ იქნა კავკასიის რესპუბლიკის პრეზიდენტის თხოვნა, შეერჩიათ შესაბამისი ადგილი სამშვიდობო მოლაპარაკებებისთვის. მინისტრი აქვე დასძინდა: „ჩვენ უყოყმანოდ მივიღეთ ეს თხოვნა“. სამწუხაროდ, არც თურქეთის და არც გერმანიის მხრიდან არ გაკეთებულა რამე, ამიერკავკასიის მთავრობის აღნიშნული სურვილის მისაღებად. გერმანიის მხრიდან ამას იმით ასაბუთებდნენ, რომ ამიერკავკასიის მთავრობას უშუალოდ გერმანიისთვის არ მიუმართავს და ამას გარდა, ახალი რესპუბლიკის დამოუკიდებლობა ჯერ კიდევ არ იყო აღიარებული რუსთა მიერ.

ამ დროს ადგილი ჰქონდა ბრესტ-ლიტოვსკის მეორე სამშვიდობო მოლაპარაკების დასრულებას, რომლის მიხედვით გერმანიის მთავრობამ პეტერბურგში ულტიმატუმი გაგზავნა. მოულოდნელად, სამშვიდობო ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ ცნობილი გახდა, რომ ბათუმის, ყარსის და არდაგანის პროვინციების საკითხი სამშვიდობო ხელშეკრულებაში ნახსენები იყო. თანაც ისეთი ფორმით, რომ აღნიშნული საკითხის გადაწყვეტა მოსახლეობის და თურქეთის მთავრობის შეთანხმებით უნდა მომხდარიყო. (იხ. ხელშეკრულების IV პუნქტი). ამ გაურკვეველ ფორმაში ბევრმა მაშინვე დაინახა კონფლიქტის შესაძლებლობა. რამდენიმე დღის შემდეგ თურქეთის პალატაში ენვერ ფაშამ ეს ოლქები თურქეთის კუთვნილებად გამოაცხადა.

ბრესტ-ლიტოვსკის საზავო ხელშეკრულების IV პუნქტი ქართველებისთვისაც დიდი სიურპრიზი იყო. სუფთა ქართული ოლქის თურქეთისთვის გადაცემა მას დიდ ზიანს აყენებს. ამ ტერიტორიების და განსაკუთრებით ქალაქ ბათუმის ანექსია (სადაც მოსახლეობის 60-70 პროცენტი ქართველია, ხოლო დანარჩენი შერეული: – სომხები, რუსები, ბერძნები და სხვ.) კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენებს ქართული, ისევე როგორც ამიერკავკასიის სახელმწიფოს არსებობას.

ამ გარემოებების გამო, ამიერკავკასიის მთავრობამ პროტესტი გამოხატა ბრესტ-ლიტოვსკის სამშვიდობო მოლაპარაკებების მასთან დაკავშირებულ ნა-

წილზე, ახალი მოლაპარაკებები მოითხოვა და პარალელურად, გამოაცხადა საკუთარი დელეგაციის ტრაპიზონში გაგზავნის შესახებ. დელეგატებმა ტრაპიზონში ოთხი კვირა ამაოდ გაატარეს, რადგან თურქეთის მთავრობამ თავის მხრივ იქ ოფიციალური დელეგაცია არ მიავლინა და ტრაპიზონში შეხვედრას მხოლოდ საინფორმაციო მნიშვნელობა მიანიჭა. კავკასიის მთავრობის დიდი იმედგაცრუება გამოიწვია იმან, რომ გერმანიის მხრიდანაც ტრაპიზონში არავინ ყოფილა მივლენილი. ამიერკავკასიის მთავრობის უკანასკნელი საქმიანობის შედეგად, მოხერხდა ახალი სამშვიდობო მოლაპარაკების დანიშვნა ბათუმში, სადაც გერმანიის წარმომადგენლები უკვე გაემგზავრნენ. იმედია, ახალი მოლაპარაკებებისას მოხერხდება ორივე მხარისთვის დამაკმაყოფილებელი შედეგის მიღწევა.

თავადი გიორგი მაჩაბელი

Berliner Tageblatt. Morgenausgabe, Berlin, 15. 5. 1918.

№ 275

საქართველოს განთავისუფლების კომიტეტის
წევრის, გიორგი მაჩაბლის წერილი ოტო
ბიუნდერ ფონ ვეზენდონკს, გერმანიის
იმპერიის საგარეო საქმეთა სამინისტროს
ლეგაციის მრჩეველს და აღმოსავლეთის
საქმეთა რეფერატს, კომიტეტის წევრების, ლეო
კერესელიძის და სოლომონ ვადაკურისთვის
დახმარების განვების თაობაზე

1918 წლის 28 მაისი
ბერლინი

ქართული კომიტეტის სახელით, ნება მიზოდეთ ერთგულებით შემდეგი გთხოვოთ:

1. შვეიცარიაში იმყოფება ჩვენი კომიტეტის ყოფილი წევრი ლეო კერესელიძე, გიორგი კერესელიძის ძმა, რომელიც აქ „ქართულ გაზეთს“ რედაქციას უწევს. ლეო კერესელიძემ თავისი ძმის მეშვეობით მიმართა ქართულ კომიტეტს, რათა მისი მხარდაჭერით პირველივე შესაძლებლობისთანავე სხვა ქართველ ბატონებთან ერთად მიეღო ნებართვა, გერმანიიდან საქართველოში უკან გამგზავრების შესახებ. კომიტეტი უერთდება ამ თხოვნას და გთხოვთ, ამ უფლების მინიჭებით ბატონ ლეო კერესელიძეს მაქსიმალურად სწრაფად გერმანიაში ჩამოსვლის საშუალება მისცეთ, რათა მან პირველი შესაძლებლობისთანავე საქართველოში გამგზავრება შეძლოს. ის იმყოფება სანატორიუმ სოლერში, დოქტორ კოტმანთან, ან, თუ იქიდან უკვე გათავისუფლდა, ვევეიში, ოტელში „დიუ ლაკი“.
2. ჩვენს გაზეთში ორი წლის განმავლობაში მომუშავე სალომონ ვადაკური, დაახლოებით ორი თვის წინ, მისიით გაემგზავრა საქართველოში. ის აქ გერმანელ ქალზე არის დაქორწინებული. რადგან მას, გამგზავრებისას, ცოლის და ბავშვის თან წაყვანა არ შეეძლო, თავის დროზე ჩვენ ვთხოვეთ საგარეო საქმეთა სამინისტროს, მისი ხელფასი 350 მარკის ოდენობით მისი არყოფნის დროს, ან მანამდე, სანამ ცოლის და შვილის წაყვანას მოახერხებს, უშუალოდ მისი მეუღლისთვის გადაგვეხადა, რასაც ამ დრომდეც ადგილი ჰქონდა. გვინდა გთხოვოთ, რომ ეს გადახდა სამომავლოდაც კვლავინდებურად გაგრძელდეს.

წინასწარ გიხდით რა მადლობას ქართული კომიტეტის სახელით ამ ორივე თხოვნის გათვალისწინებისათვის, ხელს ვაწერ,

განსაკუთრებული პატივისცემით,
თავადი გიორგი მაჩაბელი

*Politisches Archiv des Auswärtigen Amts (PA AA), Akten Betreffend den Krieg 1914,
Unternehmungen und Aufwiegungen gegen unsere Feinde im Kaukasus. R 21026.
თარგმანი გერმანულიდან.*

№ 276

საქართველოს განთავისუფლების კომიტეტის წევრის,
 ლეო კერესელიძის წერილის შინაარსი იმავე კომიტეტის
 წევრს, ბიორბი მაჩაბელს, შედგენილი აღმოსავლეთის
 საინფორმაციო ბიუროს მიერ, რომელშიც წერილის
 ავტორი თხოვნით მიმართავს კომიტეტს, მის მიერ 1914-
 1917 წლებში განხორციელებული ხარჯების ანაზღაურების შესახებ

1918 წლის ივნისი
 ბერლინი

წერილის ავტორი (ლეო კერესელიძე) ადრესატს ულოცავს დაქორწინებას და ატყობინებს, რომ როგორც ადრესატმა იცის, ომის დასაწყისში ვინეში (ბათუმის სამხრეთით) დაინვა სახლი, რის შედეგადაც წერილის ავტორმა დაკარგა 18 000 ფრანკი ფულადი სახით და 4000 ფრანკის ინვენტარი. რადგან ის ამჟამად დიდ გაჭირვებას განიცდის, თხოვნით მიმართავს კომიტეტს, რომ მას ეს თანხა გადაუგზავნონ. კომიტეტის მხრიდან უდიდესი უსამართლობა იქნებოდა, მისთვის სამშობლოსკენ გზა ჩაეკეტა და მისი მიზნებისთვის შეეშალა ხელი. ის იმედოვნებს, რომ კომიტეტი სათანადო ზომებს მიიღებს და მას ფულს უკან დაუბრუნებს. ადრესატმა კარგად იცის, რომ პ. ს[ურგულაძის] ლაღატმა¹ და სპარსეთის ექსპედიციამ წერილის ავტორი მთლიანად დასცეს. მას (წერილის ავტორს) ასევე ჰქონდა ბევრი ხარჯი სამკურნალო წამლების გამო. ომის გამო მისი კარიერა მთლიანად განადგურდა და არ ჰქონდა სამუშაო, ის სხვების მოწყალების ხარჯზე ცხოვრობდა. ასეთი ბედი მან ამდენი სამსახურის შემდეგ არ დაიმსახურა. ის მოითხოვდა მხოლოდ იმას, რაც მას სამართლიანად ეკუთვნოდა. მან დაკარგა 22 000 ფრანკზე მეტი და ეს ფული, რამდენადაც სწრაფად შესაძლებელი იყო, უპირობოდ სჭირდებოდა უკან. ამ წერილთან ერთად, ის ერთ წერილს ბატონ ფონ ვეზენდონკს უგზავნიდა, სადაც ასევე ითხოვს ფულს. ამ ფულის გამოყენება მას არა მხოლოდ საკუთარი თავისთვის სურს. მას მზად აქვს რამდენიმე წიგნი (საქართველოს შესახებ) და მათი დაბეჭდვა უნდა. წერილის ავტორის აზრით, საქართველოს საკითხი ძალიან ცუდად მოჩანს. ბოლოს ის ითხოვს, რომ მას ფული ბერნში გერმანიის საელჩოს, ან ჟენევაში კონსულის საშუალებით გადაეგზავნოს, და ასევე, რომ მას სწრაფად უპასუხონ.

Politisches Archiv des Auswärtigen Amtes (PA AA), Akten Betreffend den Krieg 1914, Unternehmungen und Aufwiegungen gegen unsere Feinde im Kaukasus. R 21027.
 თარგმანი გერმანულიდან.

¹ იგულისხმება 1916 წლის იანვრის ბოლოს, საქართველოს განთავისუფლების კომიტეტის თავმჯდომარის, პეტრე სურგულაძის თანხმობა გერმანელთა მოთხოვნაზე ლეო კერესელიძის ქართული ლეგიონის მეთაურის თანამდებობიდან გადაყენების შესახებ.

№ 277

**გერმანულ გაზეთ „VOSSISCHE ZEITUNG“-ის¹
1918 წლის 28 ივნისის ნომერში გამოქვეყნებული
წერილი „ჩვენ ქართველები“, საქართველოს
განთავისუფლების კომიტეტის წევრის, მიხეილ
წერეთლის გამოსვლის ტექსტით, საქართველოს
სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის
აღდგენასთან დაკავშირებით**

დღეს საღამოს, თურქეთის ელჩთან ერთად აქ ჩამოდის ტფილისის დროებითი მთავრობის დელეგატი და ამიერკავკასიის რესპუბლიკის ყოფილი პრეზიდენტი გეგეჭკორი². ქართული მოძრაობის მიზნებს, რომელთა განახლება მოხდა გუშინ ქართულ-გერმანული საზოგადოების მიღებაზე, საპროგრამო პუნქტებად აყალიბებს მიხეილ ფ[ონ] წერეთელი, კერენსკის კაბინეტის მინისტრის ძმა³, რომლებსაც ღიად უჭერს მხარს აქ მყოფი საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი და დუმის ყოფილი სოციალისტი დეპუტატი ჩხენკელი⁴. რადგან ჩვენც იმ აზრის ვართ, რომ ქართულ-რუსული დაპირისპირება ავტონომიის მინიჭების შესახებ დიდი ხნით არ უნდა გაგრძელდეს, მოხსენების სახით წარმოგიდგენთ წერეთლის განმარტებებს:

რუსეთის მმართველობა საქართველოში ბოლო 117 წლის განმავლობაში გარდამავალი ეპიზოდი იყო ჩვენს ისტორიაში და იმედია, რომ უკანასკნელი. ისევე როგორც ქართულმა ეკლესიამ, რომელიც მე-8 საუკუნიდან დამოუკიდებელი იყო და 1811 წელს ანტიკანონიკურად, ძალისმიერი გზით დაუქვემდებარეს რუსეთის სინოდს, 1917 წელს აღიდგინა ავტოკეფალია და მისი მეთაური, ძველი ქართული საეკლესიო სამართლის მიხედვით, არცერთი სხვა პატრიარქის უპირატესობას არ აღიარებს, ასევე ქართული სახელმწიფო, რომელიც 1801-1861 წლებს განმავლობაში რუსების მიერ რუსეთსა და საქართველოს შორის არსებული საერთაშორისო ხელშეკრულებების დარღვევით და არა ჩვეულებრივი ომების და დაპყრობების გზით იქნა განადგურებული, კვლავ აღდგა 1918 წლის 26 მაისს და ამიერიდან, გარდა საკუთარი სუვერენიტეტის, არ სცნობს არავის.

¹ „Vossische Zeitung“ („ფოსის გაზეთი“) – 1721-1934 წლებში ბერლინში გამოქვეყნებული ლიბერალური მიმართულების უძველესი და ერთ-ერთი უმსხვილესი ყოველდღიური გერმანული გაზეთი. ინოვებოდა მისი გამომცემლის, ქრისტიან ფრიდრიხ ფოსის სახელის მიხედვით.

² იგულისხმება გეგეჭკორი ევგენი (1881-1954).

³ კერენსკის კაბინეტის მინისტრად აქ იგულისხმება ქართველი სოციალ-დემოკრატი ირაკლი წერეთელი. გერმანული გაზეთი უშვებს აშკარა შეცდომას, რადგან ირაკლი და მიხეილ წერეთლები მხოლოდ მოგვარეები იყვნენ და არა ძმები.

⁴ იგულისხმება ჩხენკელი აკაკი (1874-1956).

ალბათ, ზოგი იფიქრებს, რომ მისი ტერიტორიული და მოსახლეობის სიმცირის გამო, საქართველოს არ შეუძლია დაიცვას საკუთარი პოლიტიკური დამოუკიდებლობა. კიდევ უფრო გაუმძაფრდებოდა ზოგს ეს აზრი მას შემდეგ, რაც ბოლო ინფორმაციების მიხედვით ამიერკავკასიის რესპუბლიკამ – ბევრად უფრო დიდი მოცულობის და მრავალრიცხოვანი მოსახლეობის მქონე ქვეყანამ, რომლის მხოლოდ ერთ ნაწილს წარმოადგენს საქართველო და რომელმაც 22 აპრილს გამოაცხადა დამოუკიდებლობა, უკვე შეწყვიტა არსებობა.

ჩვენ გვინდა ამ კითხვებზე მოკლე პასუხი გავცეთ: საქართველო სულაც არ არის განსაკუთრებით პატარა ქვეყანა. არსებობს საკმარისი რაოდენობის დამოუკიდებელი ქვეყნები, რომლებიც კიდევ უფრო პატარებია. საქართველოს ტერიტორიის ზომა დაახლოებით უტოლდება ბალკანეთის ომის წინა ბულგარეთისას და რიონის ველები, მტკვრის და ჭოროხის ზემო და შუაწელის მინები, აგრეთვე იორის და ალაზნის ველები ჩრდილო-აღმოსავლეთით და აფხაზეთი ჩრდილო-დასავლეთით, რომელთაგანაც შედგება საქართველო, უმდიდრესი მიწებია მთელს წინა აზიაში და შეუძლიათ 10 მილიონზე მეტი მცხოვრების გამოკვება, თუკი სოფლის მეურნეობა რაციონალურ ბაზისზე მოეწყობა. ამჟამინდელი მოსახლეობა ამ ტერიტორიაზე შეადგენს, დაახლოებით, სამ მილიონს და ქვეყნის ეკონომიკური ცხოვრების აღმავლობისა და უკეთესი სახალხო ჰიგიენის პირობებში, 25-30 წლის ვადაში გაორმაგდება.

რაც შეეხება ამიერკავკასიის რესპუბლიკას, მან არსებობა შეწყვიტა, რადგან ელემენტები რომლებისგანაც ის შედგებოდა, სრულიად განსხვავებულ კულტურულ სამყაროებს მიეკუთვნებოდნენ და როგორც მე ყოველთვის წინასწარმეტყველებდი, შეუძლებელი იყო ამ ჰეტეროგენული ელემენტების უცაბედად გაერთიანება და ყველა მათგანის ერთსა და იმავე ნორმებისთვის დაქვემდებარება. ჩვენმა ქართველმა პოლიტიკოსებმა ეს საქმე საპირისპირო ბოლოდან დაიწყეს. ყველა ამ ელემენტს ჯერ უნდა შეექმნა საკუთარი პოლიტიკური ცხოვრების საფუძვლები, საბოლოოდ შემოეფარგლა საკუთარი ტერიტორია, სხვებისგან მიეღო მისი უფლებების აღიარება, მისი პოლიტიკური ორიენტაცია და პოლიტიკური ბედი საბოლოოდ გადაეწყვიტა, საკუთარ საზოგადოებრივ ცხოვრებაში დაემყარებინა წესრიგი და როდესაც თითოეული ეს ელემენტი თვითორგანიზების და თვითჩამოყალიბების ასეთ პროცესებს გაივლიდა, მხოლოდ მაშინ იქნებოდა შესაძლებელი, რომ მათ სწორად გაგებული საერთო ინტერესების საფუძველზე შეექმნათ კავშირი ერთმანეთთან, დაეფუძნებინათ რაღაც სახის კონფედერაცია, რომლის ორგანო არა საერთო პარლამენტი, არამედ ამ ელემენტების წარმომადგენელთა კონგრესი იქნებოდა, რომელიც გადანყვეტდა მხოლოდ ზოგად ამიერკავკასიურ საკითხებს.

ამიერკავკასიის კონფედერაციის ჩამოყალიბება მომავლის საკითხია. ამ ჩვენი იდეალის განსახორციელებლად საჭიროა ორი წინაპირობა: პირველი, რომ ეს სახელმწიფოები არ უნდა აღმოჩნდნენ მეზობლების უფლის ქვეშ, და მეორე, რომ კავკასიის ხალხებმა უნდა გაიარონ ზემოთ აღწერილი პროცესი. პირველად საქართველომ დაიწყო ეს თვითგამორკვევის საქმე და იმედია, მალე კავკასიის სხვა ხალხებიც მიყვებიან მის მაგალითს. და თუ ეს ხალხები საქართველოს გულწრფელად და ძმურად დაუდგებიან გვერდში, საქართველოს ახლა შეუძლია ითამაშოს კავკასიელი ხალხების პოლიტიკური წინამძღოლის როლი და შეასრულოს იგივე ისტორიული მისია, როგორც ამას ჩვენი ქვეყანა საუკუნეების განმავლობაში ასრულებდა კავკასიაში.

თავისუფალი საქართველოს და თავისუფალი კავკასიის მნიშვნელობა სხვადასხვა გაგებით დიდია. პოლიტიკურად და ეკონომიკურად გაძლიერებული კავკასია ცენტრალური ევროპის სახელმწიფოებისთვის ითამაშებდა ბასტიონის როლს მტრული იმპერიების შემოტევების წინააღმდეგ და აგრეთვე, წინა აზიაში ან მთელს აზიაში, მათ მოწინააღმდეგეთა ეკონომიკურ კონკურენციაში. კავკასიაზე გადის გზა, რომელიც ცენტრალური ევროპის სახელმწიფოებს დააკავშირებდა თურქესტანთან, ასევე, შესაძლოა სამხრეთ რუსეთთან, ციმბირთან, ინდოეთთან და ჩინეთთან. ეკონომიკური კავშირი და პოლიტიკური მეგობრობა კავკასიასთან, საშუალებას მისცემს ცენტრალური ევროპის სახელმწიფოებს, რომ მათი ეკონომიკისთვის ხელმისაწვდომი გახადოს არამარტო თავად კავკასიის, არამედ უფრო შორეული ქვეყნების უზარმაზარი სიმდიდრეებიც, რომლებისკენ გზაც კავკასიაზე გადის. კავკასია იქნება არა მხოლოდ ხიდი აზიასა და ევროპას შორის, არამედ, საკუთარი ეკონომიკური განვითარების შემთხვევაში, საშუალება ექნება გაათავისუფლოს ცენტრალური ევროპის სახელმწიფოები, რომლებსაც ზოგიერთი თვალსაზრისით ეკონომიკური დამოკიდებულება ემუქრებათ ამერიკის და ინგლისის კოლონიებზე, ამ არასასურველი დამოკიდებულებისგან.

თუმცა, გერმანიას სხვა ინტერესიც აქვს საქართველოსა და კავკასიაში. – ბევრად უფრო კეთილშობილი ინტერესი, სახელდობრ – სამეცნიერო. იქ ცხოვრობენ რასები – თავად ქართველები და კავკასიელი მთის ხალხები, რომლებსაც არცერთ დღეს არსებულ რასასთან გენეტიკური ნათესაობა არ აკავშირებთ. უფრო სავარაუდოა, რომ ეს ხალხთა ჯგუფები წინა აზიის უძველეს კულტურულ ხალხებთან იყვნენ დაკავშირებულნი. ანთროპოლოგიას ამ თავისთავადი რასების კვლევაში ჯერ კიდევ ბევრი აქვს სათქმელი, რადგან აღნიშნულ რასობრივ პრობლემებთან დაკავშირებულია უმნიშვნელოვანესი მსოფლიო კულტურულ-ისტორიული ხასიათის პრობლემები.

ქართველი ხალხის ბედისთვის თვალის მიდევნება ქრისტესმობამდე XI საუკუნიდან დღემდე არის შესაძლებელი. მისი უძველესი სამშობლო მცირე აზიაში, უძველეს ხანებში მისი გადასახლება შავი ზღვის სანაპიროებისკენ, მისი შემოსვლა კავკასიაში, შემდეგ სახელმწიფოს დაარსება ქრისტესმობამდე მრავალი ასწლეულით ადრე, მოგვიანებით მისი ქრისტიანული კულტურა, მისი ხელოვნება და ლიტერატურა, რომელთა პირველ ძეგლებს ვფლობთ პირველი ქრისტიანული საუკუნეებიდან (უძველესი ქრისტიანობამდელი ჯერ კიდევ აღმოჩენილი არ არის), მისი საინტერესო საეკლესიო ისტორია, მისი სახელმწიფოებრიობის და საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარება, მისი ისტორიული ბედისწერა და მისი ურთიერთობები აღმოსავლეთის და ბერძნული სამყაროს კულტურულ ხალხებთან, ეს ყველაფერი კულტურის ისტორიისთვის დიდი ინტერესის საგანს წარმოადგენს.

ქართული ენა და სხვა ეგრეთწოდებულ კავკასიის ავტოქტონ ხალხთა ენები, ისეთივე მნიშვნელოვანი პრობლემაა ენათმეცნიერებისთვის, როგორც კავკასიელი ხალხების რასა ანთროპოლოგიისთვის, რადგან ეს ენათა ოჯახები მსოფლიოს სხვა ცოცხალ ენებთან ნათესაობას არ ამჟღავნებენ. უფრო მეტად ეს დგინდება დიდი ხნის წინ გამქრალი წინა აზიის ხალხთა ენების მიმართ, განსაკუთრებით მცირე აზიის და ეტრურის მიმართაც კი. დღეისათვის კოპტური და აბისინური ფილოლოგია ორიენტალური ენათმეცნიერების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს შტოებს წარმოადგენენ. ქართულს კი ის გერისავით ექცევა.

რასაც დღეს საქართველოს ეროვნულ მუზეუმში და სხვა კავკასიურ მუზეუმებში შევხვდებით, უმეტესად ჩვენი მიწის ზედაპირზეა მოპოვებული, თუ არ ჩავთვლით ძველსომხურ ქალაქ ანის ნანგრევებს, რომელიც პროფესორმა ნიკო მარმა, ქართველმა სწავლულმა გათხრის შედეგად აღმოაჩინა. მკაცრი სამეცნიერო მეთოდოლოგიით წარმართული სისტემატიური გათხრები საქართველოში და კავკასიაში, არქეოლოგიურ მეცნიერებას მნიშვნელოვანი შედეგებით გაამდიდრებს. სომხურ-ქართული ხელოვნება, მაგალითად, არ არის მეცნიერებისთვის ნაკლებად საინტერესო, ვიდრე სომხურ-ქართული ლიტერატურა, და ის სწავლულები, რომლებიც საქართველოს და სომხეთის ხელოვნების ისტორიით არიან დაკავებულნი, მალე დარწმუნდებოდნენ, რომ ამ პრობლემების გადაწყვეტა ახალ სინათლეს შეიტანდა ევროპელი ხალხების ხელოვნების ისტორიაშიც.

მთელი მსოფლიოს მასშტაბით, ძალიან ცოტა რეგიონს ახასიათებს ისეთი მრავალფეროვნება სოციალური ფორმების, ჩვევების და ტრადიციების, მემკვიდრეობითობის, ხალხური მუსიკის, ხალხური პოეზიის, მითების და რელიგიური წარმოდგენების, ეკონომიკური განვითარების საფეხურების, როგორც კავკასიას. ქრისტიანი ქართველები და სომხები მათი მდიდარი ისტორიით და საკმაოდ მაღალგანვითარებული სულიერი კულტურით და ეკონომიკური ცხოვრებით, მაჰმადიანი თათრები მათი საზოგადოებრივი ცხოვრების განსაკუთრებული სტრუქტურით, მთის ხალხები მათი ჯერ კიდევ საკმაოდ პრიმიტიული სოციალური ორგანიზაციებით და რელიგიური წარმოდგენებით – აქ მოინახება ადამიანების კულტურული მდგომარეობების მთელი რიგი, რაც წარმოადგენს სარკისებურ სურათს განვითარების უმდაბლესიდან უმაღლეს საფეხურებამდე.

ომამდე ცოტა ხნით ადრე, პროფესორმა მარმა დააფუძნა სომხური ძეგლების მუზეუმი ანიში და ომის მიმდინარეობისას, არქეოლოგიური ინსტიტუტი ტფილისში. საქართველოს ტფილისში აქვს ეროვნული მუზეუმი. უკვე დიდი ხანია, მუშაობს ერთი ქართული და ერთი სომხური ეთნოგრაფიულ-ისტორიული საზოგადოება. 1918 წლის იანვარში ჩვენ ტფილისში დავაარსეთ ქართული უნივერსიტეტი და იქ თავი მოვუყარეთ მთელს ჩვენს სამეცნიერო ძალებს, რომლებიც უმეტესად, რუსეთში იყვნენ გაფანტულები. თითქმის ყველა ქართველმა სწავლულმა რუსეთში, მათ შორის სახელით და რანგით ასაკოვანმა პროფესორებმა, მიატოვეს მათი კათედრები რუსეთში და ახლა ტფილისში ქართულ ენაზე ასწავლიან. ამგვარად, ჩვენ უკვე გვაქვს შექმნილი საფუძვლები საკუთარი ეროვნული მეცნიერებისთვის. გარდა ამისა, ქართულ ენაზე მეცნიერების წარმოება, ჩვენთვის ახალი ამოცანა არ არის. შუა საუკუნეების სქოლასტიკის დროიდან მოყოლებული, ჩვენ არ შეგვიწყვეტია კულტურული ერების გონებრივი ტენდენციებისთვის თვალის დევნება და ჩვენი ძალების შესაბამისად, ქართულ ენაზე იმ პრობლემების გამკლავება, რაც ევროპულ მეცნიერებას და ფილოსოფიას აინტერესებდა. ჩვენ იმედი გვაქვს, რომ მალე ტფილისის უნივერსიტეტში გერმანელი პროფესორებიც წაიკითხავენ ლექციებს, თავდაპირველად გერმანულ ენაზე და რამდენიმე წლის შემდეგ კი – ქართულად. ეს იქნებოდა საუკეთესო საშუალება იმ კავშირის განსამტკიცებლად, რომელიც არსებობს გერმანიას და საქართველოს შორის. საერთო სულიერი ინტერესები ერებს შორის ხომ უფრო მჭიდრო კავშირს ქმნის, ვიდრე წმინდა მატერიალური უპირატესობები.

ჩვენი ხალხის ტრაგედია იმაში მდგომარეობდა, რომ ჩვენ, ჩვენი აზიური საცხოვრისის მიუხედავად, და მიუხედავად აღმოსავლური კულტურის დიდი გავლენისა,

მთელი ჩვენი არსით არ გვინდოდა ვყოფილიყავით აღმოსავლეთის ხალხი, იმდროიდან, როდესაც ჩვენ ქრისტეს რელიგია მივიღეთ და მის საფუძველზე მთელი ჩვენი ნაციონალური კულტურა შევქმენით. ამ რელიგიის და ამ ქრისტიანულ-ნაციონალური კულტურისთვის ბრძოლაში აღმოსავლეთის წინააღმდეგ, ჩვენ დავბერდით და დავიღალეთ. ბევრად აღმატებულ მტერთან ბრძოლაში გადაქანცულებმა, დარიალის კარი გაფუხსენით რუსებს და მოვუხმეთ მათ ჩვენს დასახმარებლად. თუმცა, ჩვენი პოლიტიკური ბედის გადანყვეტის წამს, არ გვინდოდა რუსებთან კავშირის შეკვრა. ელჩები გავგზავნეთ პრუსიასა და ავსტრიაში, რომ იქ სასურველი დასაყრდენი გვეპოვა. ეს ელჩები გზაში დაიღუპნენ, – სად და როგორ, აქ არ გვინდა ამაზე საუბარი. გზა ევროპისკენ ჩვენთვის ყველა შემთხვევაში დაკეტილი იყო. მხოლოდ რუსეთს შეეძლო დახმარება. სავარაუდოდ, არ არსებობდა სხვა გამოსავალი და ჩვენ რუსეთთან გავაფორმეთ ცნობილი ხელშეკრულებები, რომლებიც მოგვიანებით დაარღვიეს ისე, რომ ჩვენ უღელდადგმული აღმოვჩნდით ჩვენი დამხმარეების მიერ.

დღეს, ბედმა ჩვენ კვლავ გაგვათავისუფლა და კავშირი მოგვიტანა იმ ქვეყნებთან, რომლებსაც 100 წლის წინ ამაოდ ვეძახდით დასახმარებლად. ფატუმმა¹ ჩვენ დასავლეთთან მიგვიყვანა. ახლა, როდესაც მივედით სასურველ მიზნამდე, გაგვეფორმებინა მუდმივი კავშირი დასავლეთთან, გვინდა, რომ საქართველომ, რომელსაც ასირიელთა დროიდან სიმშვიდე არ ჰქონია და საბოლოოდ მტრების თავდასხმებისგან სამუდამოდ დაზღვეული და გერმანიის მიერ დაცულია, საკუთარი სურვილის და მისი დიდი მოკავშირის ინტერესების შესაბამისად, კვლავ დაიწყოს მისი ეროვნული კულტურული მუშაობა. ჩვენდა სასიხარულოდ, შეგვიძლია ვთქვათ, რომ სახელმწიფო მდივან ფონ კიულმანის ბოლო სიტყვა რაიხსტაგში ჩვენთვის გარანტიად შეიძლება მივიჩნიოთ, რომ საქართველოს ბედი ამ თვალსაზრისით ნამდვილად გადანყვეტილია.

* * *

ქართული დელეგაცია, რომლის სათავეში საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი ჩხენკელი დგას, რამდენიმე დღეა ბერლინში იმყოფება. დღეს საღამოს თურქეთის ელჩ ჰაკი ფაშასთან² ერთად ბერლინში ჩამოდის ამიერკავკასიის რესპუბლიკის ყოფილი პრეზიდენტი გეგეჭკორი. როგორც ქართველებთან მოლაპარაკების პრელუდია, რაც სახელმწიფო მდივანმა ფონ კიულმანმა თავის ცნობილ სიტყვაში გამოაცხადა, ქართულ-გერმანულმა საზოგადოებამ, რომელიც უკვე სამი წელია არსებობს, გუშინ საღამოს გამართა მიღება სასტუმრო „ესპლანადეს“ დიდ დარბაზში, სადაც ასევე მიიღეს მონაწილეობა საზოგადოების წევრმა-ქალბატონებმა. ხუთ ქართველ წარგზავნილთან ერთად, იქ შეინიშნებოდა ჩვენი სამხედრო ატამე კონსტანტინოპოლში, გენერალი ფონ ლოსოვი. საგარეო საქმეთა სამინისტრომ, სამხედრო სამინისტრომ, გენერალურმა შტაბმა და ომის პრესის განყოფილებამ მიავლინეს საკუთარი წარმომადგენლები. სპარსეთის დესპანი, დესპანი რაშდაუ³, ყოფილი გუბერნატორი ფრაიჰერ ფონ რეხენბერგი, ფიურსტი გუილოტო ფონ ჰენელ-დონერსმარკი⁴, საპატიო სუფრასთან ისხდნენ.

¹ Fatum (ლათ.) – ბედი, ღვთის განგება.

² იგულისხმება ჰაკი ფაშა იბრაჰიმ (1863-1918).

³ იგულისხმება რაშდაუ ლუდვიგ ალფრედ (Raschdau Ludwig Alfred) (1849-1943).

⁴ უფრო ზუსტად – ფონ დონერსმარკი ჰენკელ გვიდო (von Donnersmarck Henckel Guido) (1830-1916).

გერმანულ-ქართული საზოგადოების თავმჯდომარის, თავად გიორგი მაჩაბლის შესავალმა სიტყვამ თბილი გამოსმაურება მიიღო. ცნობილი ქართველი ლიდერის, მიხეილ ფონ წერეთლის გამოსვლამ საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შესახებ, რომლის შინაარსი ზემოთ წარმოგიდგინეთ, ისეთივე აქტიური მონონება დაიმსახურა, როგორც პროფესორ ბერნშტაინის¹ სიღრმისეულმა, კომპეტენტურმა ინფორმაციებმა, რომელიც 30 წელია კავკასიაში ცხოვრობს და ყველა მიმართულებით გამოიკვლია ადგილობრივი გარემოებები, საქართველოს და კავკასიის ეკონომიკური მნიშვნელობის შესახებ.

Vossische Zeitung. Berlin, 28. 6. 1918. N° 326 (Abend-Ausgabe). S. 4.
თარგმანი გერმანულიდან.

¹ იგულისხმება ბერნშტაინი ერის (Bernstein Erich).

გამოქვეყნებული
მასალები
საქართველოს
განთავისუფლების
კომიტეტის შესახებ

დაბადება № 1

**საქართველოს განთავისუფლების კომიტეტის წევრის,
გიორგი მაჩაბლის ბერლინში, 1916 წლის თებერვალში
გამოქვეყნებული ბროშურა „საქართველოს იმედი“**

მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში, როდესაც მთელი ევროპა ნაპოლეონური ომების გავლენის ქვეშ იყო, საქართველო სასოწარკვეთილი აწარმოებდა უკანასკნელ ბრძოლებს მისი ყოფნის და პოლიტიკური არსებობისთვის.

მუდმივ მტრობას თურქეთთან და სპარსეთთან, ორივე მეზობელ მაჰმადიანურ სახელმწიფოსთან, საბოლოოდ უნდა გამოენჯია ამ ძველი კულტურული სახელმწიფოს, ქრისტიანული საქართველოს დასუსტება.

განუწყვეტელმა ბრძოლამ სპარსეთთან და თურქეთთან, საქართველოს უკანასკნელი მეფე ერეკლე II (1762-1798) დააყენა არჩევნის წინაშე, ან უარი ეთქვა წინაპართა მემკვიდრეობის და საკუთარი ხალხის ეროვნულ თავდაცვაზე და ამგვარად საკუთარი ქვეყანა გაენირა, ან ძლიერი სახელმწიფოს პროტექტორატში შესულიყო და ამ გზით სულ მცირე, სამეფოს არსებობა გადაერჩინა. გამოუვალ მიდგომარეობის გამო მან ბოლო ვარიანტი აირჩია და თავიდან მხარდაჭერას ეძებდა ვენაში, ავსტრიის სამეფო კარზე, მაგრამ როდესაც შეთანხმება აქ ვერ შედგა, კავშირი დაამყარა პაპის კურიასთან ვატიკანში. მას შემდეგ, რაც ეს ნაბიჯიც უშედეგო გამოდგა, ის იძულებული გახდა ხელახალი დაახლოვება ეძია რუსეთთან, რომელ სახელმწიფოსთანაც ადრე უკვე ჰქონდა მოლაპარაკებები ნაწარმოები.

ამ მოლაპარაკებების შედეგად, დედოფალ ეკატერინეს და მეფე ერეკლეს წარმომადგენლებს შორის გაფორმდა ხელშეკრულება, რომლის მიხედვით, საქართველო თავისი დამოუკიდებლობის, სამემკვიდრეო ტახტის, ეროვნული ადმინისტრაციის, საკუთარი კანონმდებლობის, ეროვნული ეკლესიის, სამხედრო და ფინანსური სისტემის შენარჩუნების პირობებში, საკუთარი ნებით დადგა რუსეთის პროტექტორატის ქვეშ. ეს სახელმწიფო ხელშეკრულება, რომელსაც უდავოდ საერთაშორისო სამართლის ხასიათი აქვს, სხვათაშორის, შეტანილია რუსეთის კანონთა წიგნშიც (ტომი XXI).

მიუხედავად იმისა, რომ დედოფალმა ეკატერინემ ფიცი დადო, რომ ამ ხელშეკრულებას უვადოდ პატივს სცემდა და განახორციელებდა, რასაც მისი ტახტის მემკვიდრეებიც უნდა მიერთებოდნენ, ფიცი უცბად გატეხილ იქნა, რადგან ალექსანდრე I-მა 1801 წელს საქართველოს სამეფო რუსეთის გუბერნიად გადააქცია და დროთა განმავლობაში, მას ყველა თავისუფლება და უფლება ჩამოართვა. თვით საეკლესიო სამართალიც კი, რაც ხალხისთვის უწმინდესი იყო, სიტყვის გამტეხ იმპერატორთა მიერ ფეხქვეშ იქნა გათელილი.

ევროპული სახელმწიფოები ამ კრიტიკულ მომენტში იმდენად იყვნენ საკუთარი თავით დაკავებული, რომ ამ საერთაშორისო სამართლის დამრღვევი დანაშაულების საწინააღმდეგო პროტესტი არ გაისმა და ალექსანდრე I-მა თავისი მსხვერპლის დამონება შეძლო.

ქართველ ხალხს, რომელსაც შეუძლია მრავალათასწლოვან არსებობას გაუსწოროს თვალი და როგორც ასირიელთა, მიდიელთა და ეგვიპტელთა თანამედროვეს საკუთარი წვლილი აქვს კაცობრიობის კულტურის ისტორიაში შეტანილი, არ შეეძლო მშვიდად მიეღო ხელშეკრულების დარღვევა. ის ხშირად ცდილობდა რუსეთის უღლისგან გათავისუფლებას. ამისი დასტურია 1804, 1812, 1844 და 1878 წლების ეროვნული აჯანყებები. არც ისე დიდი ხნის წინ, 1905 წელს, რუსეთ-იაპონიის ომის დროს, საქართველომაც აღმართა აჯანყების დროშა, რათა მონინავედ გამოსულიყო რუსეთის რევოლუციის დროს, თუმცა, სამწუხაროდ, კვლავ უშედეგოდ. უსამართლობის ველური ძალა დღემდე გამარჯვებული რჩება.

მიმდინარე მსოფლიო ომი, ეროვნული იდეალის განსახორციელებლად, საქართველოს იშვიათ ხელსაყრელ შესაძლებლობას სთავაზობს. ქვეყანა ფლობს ყველა იმ ფაქტორს, რომელსაც სახელმწიფოს არსებობის გარანტია ეფუძნება. უძველესი ეროვნული სახელმწიფო ისტორია, ძველი ქრისტიანული კულტურა, ისტორიული და მკაფიოდ შემოსაზღვრული ტერიტორია ერთგვაროვანი ქართული მოსახლეობით, განვითარებული ინტელიგენციის ფენა და ხელშეუხებელი საერთაშორისო სამართლებრივი მდგომარეობა, ამის გარანტიას ქმნიან.

ქვეყანა ძალიან უხვი და მდიდარია ბუნებრივი წიაღისეულით და მინერალებით. ასევე, დღესაც უნარიანად წარმართული სოფლის მეურნეობაც მიაღწევს თვითმყოფად, მყარ ეროვნულ-ეკონომიკურ მდგომარეობას, როგორც კი დიდი ხნის ნანატრი თავისუფლება სახალხო ეკონომიკის აღმასვლას კი არ შეაფერხებს, არამედ, პირიქით, თავისუფლად განვითარების საშუალებას მისცემს.

დასავლეთით, საქართველოს საზღვრებს წარმოადგენს შავი ზღვა, მდინარე ქოროხის შესართავიდან ადგილ დახოვსკაიამდე. ჩრდილოეთით, კავკასიონის მთების მთავარი ქედი დაღესტნამდე. აღმოსავლეთით, ქვეყანა დაღესტანი და სამხრეთით, გოგჩის ტბა. აქედან მიდის თითქმის პირდაპირი ხაზი მდინარე ქოროხამდე და შავ ზღვამდე.

საქართველოს სამეფოს ამ ტერიტორიაზე ცხოვრობს დაახლოებით ორმილიონნახევარი ქართველი და დაახლოებით ნახევარი მილიონი სხვა ეროვნების ადამიანი, ასე რომ მომავალი სახელმწიფოს მოსახლეობა სამ მილიონ ადამიანს აღწევს. ქვეყნის უმნიშვნელოვანესი ქალაქებია ტფილისი, ქუთაისი, ბათუმი, გორი, თელავი და ა.შ. ქართველთა აბსოლუტური უმრავლესობა ბერძნულ-მართლმადიდებლურ აღმსარებლობას მიეკუთვნება, თუმცა ასევე არის, დაახლოებით 300 000 მაჰმადიანი და 50 000 რომაული კათოლიკე.

აღმოსავლეთ კავკასიას მიეკუთვნებიან დაღესტნელები და თათრები, რომლებიც ასევე ელოდებიან იმას, რომ რუსეთის უღლისგან გათავისუფლდნენ. თუკი მთელი კავკასიის გათავისუფლება მოხერხდება, მაშინ ის, როგორც ცენტრალური ევროპის სახელმწიფოების მოკავშირე და მისი გეოგრაფიული მდებარეობიდან გამომდინარე, სასარგებლო ბუფერული სახელმწიფო, სამუდამოდ ბოლოს მოუღებს რუსეთის გაუმადლარ დაპყრობების სურვილებს სამხრეთისკენ და ხმელთაშუა ზღვის მიმართულებით.

* * *

ქართული კულტურის ისტორია ჩვენი წელთაღრიცხვის პირველი საუკუნეებიდან სრულიად ახალ მიმართულებას იღებს და ქართველმა ხალხმა, ამ მხრივ, მეცამეტე საუკუნემდე შეძლებისდაგვარად დიდი ქმედუნარიანობა გამოავლინა. შესაძლოა ითქვას, რომ ქართველებმა არანაკლები შექმნეს, ვიდრე ქრისტიანული აღმოსავლეთის სხვა კულტურულმა ხალხებმა და სხვადასხვა სფეროებში, ალბათ, მეტიც კი.

მაგალითად, ქართული ლიტერატურა ვითარდებოდა მეხუთე საუკუნიდან და ზუსტად მეცამეტე საუკუნემდე ეს განვითარება შეუჩერებლად მიდიოდა წინ. წმინდა ნერილის უძველესი თარგმანები ქრონოლოგიურად მიდიან დაკარგულ არამეულ ტექსტებამდე. სხვადასხვა თარგმანებიდან და ორიგინალური ნაშრომებიდან ჩანს მჭიდრო კავშირი, რომელიც იმ დროს არსებობდა ქართულ ქრისტიანობასა და არაბულ, სირიულ და სომხურ ქრისტიანობებს შორის. ანტიპაპ იპოლიტეს კომენტარები სოლომონის „ქებათა ქების“ შესახებ, სადღეისოდ, ქართულ თარგმანშია სრულად შემონახული, მაშინ როდესაც სხვა ენებზე, ეს ნაშრომი მხოლოდ ფრაგმენტულად შემორჩა. ანტიოქე სტრატეგოსის სპარსელთა მიერ იერუსალიმის დაპყრობის ისტორია (614 წ.), სრული სახით აგრეთვე მხოლოდ ქართულ თარგმანში არსებობს. „ბარლაამის და იოასაფის“ ცნობილი ისტორია, თავის პირველ ქრისტიანულ გადაამუშავებაში, ასევე ქართულ ენაზეა ცნობილი და ზოგი რუსი სწავლული საერთოდ მიიჩნევს, რომ ქართველმა მწერალმა, წმინდა ექვთიმე ათონელმა (მეთერთმეტე საუკუნეში), გადაამუშავა ეს ისტორია.

სამონასტრო ცხოვრება აქტიურად ვითარდება მეექვსე საუკუნიდან და თავის მონასტრებს, ქართველები აფუძნებდნენ არა მხოლოდ საქართველოში, არამედ უცხოეთშიც: – იერუსალიმში, სინას მთაზე, ათონზე, ბულგარეთში და ა.შ.

ამ მონასტრებში, ქართველ მწერალთა შრომით, დიდძალი ლიტერატურა შეიქმნა. წმინდა ნერილის და დასავლური ლიტერატურის ქმნილებების ახალი თარგმანები ბერძნულიდან, განსაკუთრებით ნეოპლატონიზმის გავლენის ქვეშ მყოფი ფილოსოფიური ლიტერატურის, ჩნდება ქართულ ენაზე და ვრცელდება მთელს საქართველოში.

ამ მწერალთაგან უდიდესნი იყვნენ: წმინდა ექვთიმე და წმინდა გიორგი მთაწმინდელი ათონის მთაზე, ისევე როგორც ცნობილი იოანე პეტრიწონელი პეტრიწზე (ბულგარეთში), პროკლე დიადოხოსის „თეოლოგიის ელემენტების“ მთარგმნელი და კომენტატორი.

ამ ეპოქის ქართული ლიტერატურა შეიცავს, ასევე, ზოგიერთ „წმინდანთა ცხოვრებებს“, რომლებმაც ძვირფასი ცნობები შემოგვინახეს ქართველთა და ქრისტიანული აღმოსავლეთის იმ დროის ურთიერთობების შესახებ. ასეთია, მაგალითად, წმინდა გიორგი მთაწმინდელის ცხოვრება, წმინდა გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება და ა.შ.

ამავე ხანებში ვითარდება საისტორიო მწერლობა და ქართველ მეფეთა თანამედროვენი აღწერენ პოლიტიკურ და სხვა მოვლენებს ჩვენი ისტორიის ქრისტიანული პერიოდის დასაწყისიდან. ამ აღწერების კრებული, სახელად „ქართლის ცხოვრება“, რომელიც საქართველოს მთელ ისტორიას მოიცავს, დღეს ჩვენს ერთ-ერთ უმთავრეს ისტორიულ წყაროს წარმოადგენს.

დიფერენციაციის შედეგად, რაც ჩვენი საზოგადოებრივი განვითარების შედეგი იყო, ნეოპლატონიზმის და სპარსული ლიტერატურის გავლენის ქვეშ წარმო-

იქმნა ქართული საერო ლიტერატურა, რომელიც ბევრად უსწრებდა წინ სომხურ და სხვა ქრისტიანულ ლიტერატურას. მეთერთმეტე საუკუნეში შეიქმნა შავთელის ბრწყინვალე ოდეები (მაგალითად, აბდულმესია, დავით აღმაშენებლის ქება), მეთორმეტე საუკუნეში ჩახრუხადის ოდეები (თამარიანი, თამარ მეფის ქება) და შოთა რუსთაველის ცნობილი რომანი – „ვეფხისტყაოსანი“, რომელიც, გარკვეული თვალსაზრისით, მხოლოდ დასავლეთევროპულ ლიტერატურას უტოლდება. მთელი წყება მნიშვნელოვანი მწერლებისა, რომელთა ნაშრომები დღეს ნაწილობრივ დაკარგულია, თავს იყრიან რუსთაველის დიდი სახელის გარშემო.

ლიტერატურის გვერდით ვითარდება ხელოვნება – არქიტექტურა, მხატვრობა, სკულპტურა და გამოყენებითი ხელოვნება. მდიდრული ეკლესიები, რომლებიც, დიდწილად განადგურებული, მაგრამ ნაწილობრივ, კარგად შემონახული არიან, მონუმბენ ორიგინალურ მხატვრობასთან და სკულპტურასთან ერთად, რომლებიც ამ ეკლესიებში შემორჩა, ქართული ხელოვნების განვითარების სიმალღეს. საქართველოს ეროვნული მუზეუმი ტფილისში და აგრეთვე რამდენიმე მონასტერი (მაგალითად, გელათი) ინახავენ უმშვენიერეს კოლექციებს ქართული მინიატურული და გამოყენებითი ხელოვნებისა.

მეტად აღსანიშნავია, აგრეთვე, ქართული საეკლესიო მუსიკის განვითარება, რომელიც ძველ მონასტრებში, ძირითადად, ხალხური მუსიკიდან წარმოიქმნა. მისი ბევრი ნაწარმოები შემორჩენილია და საერო ქართულ მუსიკასთან ერთად დიდი მნიშვნელობა ენიჭება.

ხელოვნებები და ლიტერატურა საქართველოში სახელმწიფო ორგანიზაციასა და სამართალთან ერთად განვითარდა. საეკლესიო სამართალი, რომელიც მონასტრებში შემუშავდა, ბაგრატ IV-ს სამართალი (მეთერთმეტე საუკუნე), ათაბაგების ბექას და ალბუღას სამართალი სამხრეთ საქართველოსთვის, გიორგი V-ს მსგავსივე სამართალი საქართველოს მთიელთათვის და ბოლოს, ვახტანგ VI-ს სასამართლო კოდექსი (მეთვრამეტე საუკუნე), მთელს აღმოსავლეთში ვერ ჰპოვებენ ტოლს იურიდიულ ტერმინთა სიციხადით, სიმარტივით და მაღალი ადამიანურობით.

მოკლე ხნით, საქართველო, მეთორმეტედან მეცამეტე საუკუნემდე, იყო არა მხოლოდ პოლიტიკურად მნიშვნელოვანი ძალა, რომელიც მთელს კავკასიაზე ბატონობდა, არამედ, ასევე, ცივილიზებული ქრისტიანული სახელმწიფო.

მონღოლთა თავდასხმებმა და ბატონობამ, მეცამეტედან მეთხუთმეტე საუკუნემდე, და მუდმივმა ომებმა თურქეთთან და სპარსეთთან, მიწასთან გაასწორეს ძველი, ძლიერი საქართველო, და ბოლოს რუსებმა, მათ მიერ საზეიმოდ შეფიცული ხელშეკრულების დარღვევის შემდეგ, ბოლო მოუღეს ქართულ სახელმწიფოს.

მაგრამ დღეს, როგორც ვნახეთ, ქართველი ხალხი არ შედგება არც შეთქმულებისგან ან მოღალატეებისგან და არც არაორგანიზებულ მასას წარმოადგენს. ის წარმოადგენს ერთიან ერს, რომელსაც ძალუძს თვალი გადაავლოს თავის ოცდასამსაუკუნოვან არსებობას და მისი რთული ბედ-იღბლის მიუხედავად, არავითარ შემთხვევაში არ მიიჩნევს დასრულებულად საკუთარ არსებობას. პირიქით, სწორედ ახლა, მსოფლიო ომის ავდარში, ის იმედოვნებს, რომ შეძლებს ცენტრალური ევროპის სახელმწიფოთა და თურქეთის მხარეს თავისი ხელახალი დაბადების მოპოვებას.

Die Hoffnung Georgiens. Sonderabdruck aus "Nord und Süd", Berlin, Februarheft 1916.

თარგმანი გერმანულიდან.

დაბადება № 2

**გერმანიის სამხედრო-საზღვაო ძალების
კაპიტან-ლეიტენანტის, კურთ შვარცის მოგონება
„საქართველოს განთავისუფლებელი მოძრაობა
და გერმანული წყალქვეშა ნავები“**

როდესაც დიდი ომის დროს, გერმანია და მისი მოკავშირეები მრავალი მტრისგან თავდასხმის შემდეგ საკუთარი არსებობისთვის იბრძოდნენ, გერმანიის სამხედრო სარდლობას დაუკავშირდნენ ქართველთა ეროვნული წრეები, რომელთაც სურდათ ცენტრალური ევროპის სახელმწიფოების ბრძოლაში აქტიურად ჩართვა მათი სამშობლოს თავისუფლების მოსაპოვებლად.

უკვე 1916 წლის ზაფხულში, U 38 წყალქვეშა ნავით, კაპიტან-ლეიტენანტ ვალენტინერის¹ მეთაურობით, საქართველოს სანაპიროზე, ბათუმის ჩრდილოეთით, გადაისხა ორი კავკასიური მისია, საქართველოში რუსეთის კავკასიური არმიის მომარაგების ჩასაშლელად, რომელიც იმ დროს ჩვენი მოკავშირე თურქების აღმოსავლეთის ფრონტს დიდ საფრთხეს უქმნიდა. 1917 წელს მე მომიხდა წყალქვეშა ნავ UB 42-ით საერთო ბრძოლის იგივე მიზნებს მივყოლოდი და კავკასიის სანაპიროზე ორი ექსპედიცია განმეხორციელებინა. მაშინ, როცა პირველი სრულიად წარმატებული აღმოჩნდა, მეორე მათგანი ნაკლებად იღბლიანი გამოდგა.

ოქტომბრის დასაწყისში გერმანულ-თურქული ფლოტის სარდლობისგან მივიღე დავალება, ხუთი ქართველისგან შემდგარი მისია საქართველოს სანაპიროსთან ერთ-ერთ ახლომონიშნულ ადგილზე გადამესხა და კავშირი დამემყარებინა დიდი რაოდენობით ცეცხლსასროლი იარაღის, ტყვია-წამლის და ასაფეთქებელი მასალის, ასევე ფულის გადმოსატვირთად. მისიის დასაწყებად და იარაღის ჩასატვირთად, ჩემს პატარა ნავს სარეზერვო ტორპედოების და თითქმის ყველანაირი საარტილერიო მუნიციის ნალებზე უარი უნდა ეთქვა. ჩემთვის, როგორც კაპიტანისთვის, ეს ნაკლებად მომხიბვლელი დავალება იყო, რომელიც ნავის შეტევით პოტენციალს და სამხედრო ქმედითუნარიანობას მკაფიოდ აქვეითებდა. ამასთანავე, ჩემი ეკიპაჟის ისედაც მწირი მოძრაობის და დასვენების შესაძლებლობები, დამატებით ხუთი პირის ნავზე ყოფნის პირობებში, ჩვეულებრივზე კიდევ უფრო მეტად უნდა შემცირებულიყო. ამრიგად, მთლიანობაში, ეს იყო დავალება, რომელსაც საკუთარი თავისთვის, როგორც შეტევით საქმიანობაზე მომართული წყალქვეშა ნავის ეკიპაჟი, არ ვისურვებდით. ეს მცირე აღტაცება კიდევ უფრო გაძლიერდა, როდესაც მისიის ჩასხდომის შემდეგ, ბოსფორის ამინდი არ იძლეოდა ნაღმმცველებთან ერთად გასვლის საშუალებას და ორი დღით ბოსფორში შეგვაცოვნა. მხოლოდ 1917 წლის 4 ოქტომბერს, როდესაც ღია ზღვას მივალწიეთ

¹ იგულისხმება ვალენტინერი მაქს (Valentiner Max) (1883-1949).

და კარგი ამინდის პირობებში შავი ზღვის აღმოსავლეთისკენ ავიღეთ გეზი, გაუმჯობესდა განწყობაც და ინტერესიც მომავალი საქმისადი, რადგან ის მაინც განსხვავდებოდა რუსეთის შავი ზღვის პორტებთან მოლოდინის მდგომრეობაში ყოფნის უკვე შეჩვეული ექსპედიციებისგან. ჩვენმა სტუმრებმა მალე მოიპოვეს ჩვენი სიმპატიები და იუმორით შეხვდნენ ტკივილსაც და სიხარულსაც, მათთვის უცხო წყალქვეშა ნავის ცხოვრებაში, ზღვაზე. მოვლენებისგან დაცლილი მგზავრობის დრო ქადრაკის თამაშით და პისტოლეტებით სავარჯიშო სროლებით შევაკეთ, ხოლო ხანგრძლივმა საუბრებმა ომისა და პოლიტიკის ათასობით პრობლემაზე პერსონალურად დაგვაახლოვა. სიხარულით ვიგონებ მისიის მეთაურ ბატონებს, ქერჩს¹, ნერეთელსა და ოსმან ბეის. 8 ოქტომბერს საქართველოს ნაპირს მივალნიეთ და ხანგრძლივი ძებნის შემდეგ, მივაგენით შეთანხმებული გადასხდომის ადგილს. დაღამების შემდეგ, ოსმან ბეი პატარა ნავით სანაპიროზე გადავსხით, რათა წყალქვეშა ნავიდან იარაღის გადაზიდვა მოემზადებინა. რამდენიმე საათის შემდეგ, ნავი დაბრუნდა შეტყობინებით, რომ შემდეგ საღამოს, იგივე ადგილას, უფრო დიდი ნავი იქნებოდა მზად, რათა მისიის დანარჩენი წევრები და ტვირთი ხმელეთზე გადაეტანა. ახლა ყველაფერი გეგმის მიხედვით მიდიოდა და შემდეგი ღამით მოხერხდა იარაღის, ტყვია-წამლის და ფულის ხმელეთზე გადატვირთვა. გადასხდომისას ჩვენი პირველი ქართველი მეგობრები დაგვემშვიდობნენ. ძლიერი ხელისჩამორთმევეები და საუკეთესო სურვილები მათ უცნობი განგებისკენ მიაცილებდა. ექსპედიციის შემდგომმა მოვლენებმა, ნავს სასურველი სამხედრო წარმატებაც მოუტანეს, შეიარაღებით დატვირთული რუსული ტრანსპორტის და აფრიანი გემის ჩაძირვისა და აგრეთვე, ტუაფსეს პორტის ობიექტების ხანმოკლე დაბომბვის სახით.

ჩემი წყალქვეშა ნავის მეორე ექსპედიცია საქართველოს გამანთავისუფლებელი მოძრაობისთვის, სამწუხაროდ, არ აღმოჩნდა ასეთივე იღბლიანი. ამჯერადაც, ქართველების ხუთკაციანი მისიის მიზანს, ბატონ პეტრე სურგულაძის ხელმძღვანელობის ქვეშ, იარაღით, ტყვია-წამლით და ფულით საქართველოს ნაპირზე გადასხდომა წარმოადგენდა. ერთი განსაკუთრებული დავალების შესრულების შემდეგ, ჩვენ, ნოემბრის მეტნაკლებად კარგი ამინდის პირობებში, შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროსკენ გავეშურეთ. ამჯერადაც, ჩვენი ახალი ქართველი მეგობრები, მათთვის უჩვეულო საზღვაო მოგზაურობის, ნავთის ბოლის, პურის სიძველის და პატარა ნავის ვიწრო სივრცეში ძილის ნაკლებობის მიუხედავად, მალე შეენყვნენ ჩვენთვის ჩვეული წყალქვეშა ნავის ცხოვრებას და ჩვენთვის ძვირფასი სტუმრები გახდნენ. 1917 წლის 16 ნოემბერს გადასხდომის ადგილს მივალნიეთ. რადგანაც ღამის დასაწყისში წინასწარ შეთანხმებული ცეცხლი შევნიშნეთ, ჩვენი პატარა დამხმარე ნავი ეკიპაჟის ორი მეზღვაურით და მისიის ორი წევრით ხმელეთზე გაიგზავნა, კავშირის დამყარების და ტვირთის დაცლის მოზადების მიზნით. მცირე ხნის შემდეგ, რაც ნავი ღამის ზღვის სიბნელეში გაუჩინარდა, ხმელეთიდან ძალთა ყეფის და სროლის ხმა გავიგონეთ. უფრო მეტის დადგენა წყალქვეშა ნავიდან შეუძლებელი იყო, ვინაიდან წყლის სიღრმიდან გამომდინარე, გადასხდომის ადგილს ვერ ვუახლოვდებოდით. ჩვენი დამხმარე ნავი უკან არ დაბრუნდა, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ შემდეგ დაშვებულ ველოდებოდით და ვეძებდით მას. ბოლოს იძულებული გახვდით ჩვენი გადასხმული ჯგუფ-

¹ ნერილის ავტორის, ან გაზეთის ამკრეფის აშკარა შეცდომა.

ფი დაკარგულად ჩაგვეთვალა. რადგან მეორე დამხმარე ნავის არქონის გამო, წარმატებული გადასხდომის განხორციელება შეუძლებელი იყო, ხოლო ბორტზე დარჩენილი მისიის წევრები, ძალისმიერი გზით მოპოვებული სატრანსპორტო საშუალებით სხვა ადგილას გადასხდომას უაზრობად თვლიდნენ, ექსპედიცია უნდა შეგვეწყვიტა. კონსტანტინოპოლში უკან გამგზავრების წინ, ახალ ათონთან შევძელით რუსული ორთქლმავალი და აფროსანი გემი ჩაგვეძირა. წყალქვეშა ნავეებით სხვა ექსპედიციები საქართველოს გამანთავისუფლებელ მოძრაობასთან კავშირში, როგორც ვიცი, აღარ შემდგარა.

დაე, ამ სტრიქონებმა გააღვიძონ მოგონება საქართველოს გამანთავისუფლებელი მოძრაობის წყალქვეშა ნავეებით ექსპედიციების შესახებ. თუკი, ამის შესახებ, მათი რომელიმე მონაწილე შეიტყობს, დაე იყოს ეს მეგობრული მოგონების ნიშანი. დაე, ქართული ეროვნული განთავისუფლების მოძრაობას იგივე წარმატება დაეხედოს, როგორსაც მოესწრო გერმანელი ერი ადოლფ ჰიტლერის მეთაურობის ქვეშ.

D. K. Schwarz (Kapitänleutnant a. D.).

Georgische Freiheitsbewegung und – deutsche Unterseeboote.

კლდე, ქართველ ნაციონალისტთა ორგანო. ბერლინი, 1935, № 17/18, გვ. 5.

თარგმანი გერმანულიდან¹.

¹ „კლდე, ქართველ ნაციონალისტთა ორგანო“ – 1934-1936 წლებში ბერლინში გამომავალი გერმანიაში ქართველ ნაციონალისტთა კავშირის ყოველთვიური გაზეთი. სულ, 1934 წლის ივლისიდან 1936 წლის მაისამდე, გამოვიდა 23 ნომერი.

დაბადება № 3

საქართველოს განთავისუფლების კომიტეტის წევრის,
 მიხეილ წერეთლის, გერმანულ ჟურნალში
 „ZWISCHEN KAUKASUS UND SINAI“¹
 1924 წელს გამოქვეყნებული სტატიიდან
 „საქართველო 1914 წლიდან დღემდე“

I
 მსოფლიო ომმა იმედი მისცა კავკასიელ და სხვა მრავალ, დიდი იმპერიალის-
 ტური სახელმწიფოებისგან ჩაგრულ ხალხებს, რომ დიდი ცვლილებების შემდეგ
 მათი ბედის შემსუბუქება მოხდებოდა პოლიტიკურ და სოციალურ ქრილში, ან
 საერთოდ, შესაძლებელი იქნებოდა მათი გათავისუფლება უცხოელთა ბატონო-
 ბისგან.

1801 წლიდან საქართველოში დამყარებული რუსული მმართველობა რუსე-
 თის მხრიდან ხელშეკრულების დარღვევას ემყარებოდა. ახლო აღმოსავლეთში
 თავისი იმპერიალისტური მიზნების განსახორციელებლად, რუსეთმა ორი ქარ-
 თული სამეფო და დანარჩენი სამთავროები რუსეთის პროვინციებად გადააქცია,
 როდესაც 1783-1857 წლებში, ამ პოლიტიკურ წარმონაქმნებთან გაფორმებული
 ხელშეკრულებები გატეხა და ქვეყნების ანექსია მოახდინა. მე-19 საუკუნის გან-
 მავლობაში, რუსეთი საქართველოში მისდევდა გაცხარებულ რუსიფიცირების
 პოლიტიკას: ხელშეკრულებებით და იპერატორთა მანიფესტებით საზეიმოდ გა-
 რანტირებული ქვეყნის ავტონომია, ჯერ კიდევ 1811 წლამდე კანონიკურად აღი-
 არებული იბერიის ეკლესიის ავტოკეფალია, ქვეყნის კანონმდებლობის მიხედვით
 ქართულად სამართალწარმოება, ეროვნული ჯარი, ეროვნული სკოლა და ა.შ. გა-
 ნადგურდა. შეიქმნა რუსული და სომხური კოლონიები, რათა განადგურებულიყო
 საქართველოს ტერიტორიული და ეთნოგრაფიული ერთიანობა. შემოღებულ იქ-
 ნა აუტანელი პოლიციური რეჟიმი, რათა ჩანასახშივე მოეკლათ ნებისმიერი წინა-
 აღმდეგობა, ან თავისუფალი აზრის გამოხატულება.

თუმცა, ქართველი ხალხის განადგურება და რუსიფიცირება შეუძლებელი აღ-
 მოჩნდა. ძველი კულტურის ხალხს, რომელსაც ათასწლოვანი პოლიტიკური და
 კულტურის ისტორია უმაგრებს ზურგს, არ შეეძლო ასე მარტივად დანებებოდა
 ბრძოლაში. რუსების შემოსვლის შემდეგ, ქართველი ხალხი მომხდურის წინა-
 აღმდეგ იბრძოდა, როგორც იარაღით ხელში, ასევე, ინტენსიური კულტურული

¹ „Zwischen Kaukasus und Sinai“ („კავკასიასა და სინაის შორის“) – 1918-1938 წლებში გერმანიაში
 არსებული „აზიელ მებრძოლთა კავშირის“ (აერთიანებდა ყოფილი ოსმალეთის იმპერიის ტერ-
 იტორიაზე 1914-1918 წლებში მომსახურე გერმანელ სამხედრო პირებს) ვეტერანთა ჟურნალი.
 სულ, 1921-1929 წლებში, გამოვიდა ექვსი ტომი.

საქმიანობით, რომელსაც უპირისპირებდა პეტერბურგის მთავრობის რუსიფიკატორულ გეგმებს. ამ ბრძოლის მიმდინარეობისას, ქართველმა ხალხმა ახალი კულტურული ცხოვრება შექმნა. ეს ახალი ქართული კულტურა იყო გაგრძელება, ძველის ორგანული განვითარება – ასევე, უფრო მეტად ევროპული, ვიდრე აზიური. და ეს ძველი, მაგრამ ხანგრძლივ ომებში გამაგრებული კულტურული ხალხი, 3 მილიონი მოსახლეობით, ევროპელ ხალხთა ადრე და ახლა სულიერად კიდევ უფრო მეტად მონათესავე, ძლიერი ეროვნული თვითმყოფადობით, ელოდებოდა, რომ ბოლოს, მისი უცხოთა ბატონობისგან გათავისუფლების საათი ჩამოჰკრავდა.

1914 წელს ჩანდა, რომ ეს შემთხვევა დადგა. ქართველ ხალხს კარგად ესმოდა, თუ როგორი იქნებოდა ბრძოლის შედეგი უკულტურო რუსეთს და კოლოსალური გონებრივი და ტექნოლოგიური ძალების მქონე გერმანიას შორის და იქცეოდა ჭკვიანურად და წინდახედულად, თავისი მიზნის – სახელმწიფოებრიობის აღდგენის მისაღწევად. ქართველები, ასევე მკაფიოდ ხედავდნენ, რომ თურქეთს დიდი ინტერესი ჰქონდა, ის ძალა, რომელმაც ისინი მე-19 საუკუნეში დაასუსტა და დაჩაგრა, კავკასიიდან გაეძევებინა, საიდანაც რუსეთი, საკუთარი გამარჯვების შემთხვევაში, თურქეთს უბრალოდ გაანადგურებდა. გერმანიას ეკონომიკური ინტერესები ჰკარნახობდა იგივე პოლიტიკას. აქედან წამოვიდა სოლიდარობა თურქეთთან. წარმოიქმნა ინტერესთა ერთობლიობა, ერთის მხრივ გერმანიასა და თურქეთს და პატარა კავკასიურ ხალხებს შორის, მეორეს მხრივ, დიდ საქმეში, რასაც ერქვა ახლო აღმოსავლეთის მომავალი საფრთხისაგან გათავისუფლება, როგორიც იყო რუსული მმართველობის დამყარება ამ მხარეებში. მოვლენებმა აჩვენა, რომ ქართველებს და სხვა კავკასიელ ხალხებს მაშინ არასწორი გათვლა არ გაუკეთებიათ.

აზერბაიჯანის თათრები, თურქეთთან რასით, ენით, რელიგიით და კულტურით დაკავშირებულნი, ბუნებრივია, თურქეთის მხარეს იდგნენ და გამარჯვებას უსურვებდნენ სულთანს, რომელსაც აზერბაიჯანის უცხო უღლისგან გათავისუფლება, დამოუკიდებლად ქცევა, ან თურქეთთან შეერთება სურდა. კავკასიის მთის მაჰმადიანი ხალხები იმავე გერმანულ-თურქული ორიენტაციის იყვნენ. სამოცნლიანი ბრძოლა თავისუფლებისთვის, რომელსაც ლეკები, ჩერქეზები, ჩეჩნები და სხვები აქამდე აწარმოებდნენ რუსეთთან, კავკასიის მთებში არ იყო დავინყებული, შამილის სული ცოცხლობდა იქ. ისინიც ელოდებოდნენ შესაფერის მომენტს, რომ საძულველი რუსული მმართველობის წინააღმდეგ ხმლისთვის ჩაეგლოთ ხელი.

მხოლოდ სომხები, სხვა პოლიტიკას მიყვებოდნენ და საკუთარ თავს სხვა მხარის მიერ იტყუებდნენ. აქედან გამომდინარე, მათ დიდი ეროვნული უბედურება მოიმზადეს. გასულ საუკუნეში თურქებთან ომების დროს, რუსები დაპირებებით აქეზებდნენ სომხებს თურქების წინააღმდეგ და ასე შექმნეს მემკვიდრეობითი მტრობა არამხოლოდ თურქებსა და სომხებს შორის, არამედ ასევე სომხებსა და კავკასიელ მაჰმადიანებს შორის. ზოგიერთმა ევროპულმა სახელმწიფომ და აგრეთვე, ეგრეთწოდებულმა მეგობრებმა ევროპასა და ამერიკაში, სომეხ ხალხს იგივე სამსახური გაუწია. პერიოდული სომხურ-თურქული და სომხურ-თათრული ხოცვა-ჟლეტა თურქეთსა და კავკასიაში – ეს იყო ამ პოლიტიკის შედეგი სომხებისთვის. მსოფლიო ომის დროს, რუსეთის მთავრობა და ასევე ლიბერალური რუსული პოლიტიკური წრეები პ. მილიუკოვის მეთაურობით, აღნიშნულ სომ-

ხურ-თურქულ მტრობას იყენებდნენ, აძლევდნენ სომხებს შეუსრულებად დაპირებებს, ამარაგებდნენ მათ ფულით და იარაღით და აიძულებდნენ, რომ მოენწყოთ ღია აჯანყება თურქეთის სომხეთში. ამ რუსული პროვოკაციის შედეგი იყო საშინელი შურისძიება, რომლითაც თურქები სომხურ მოსახლეობას გაუსწორდნენ. სამწუხაროდ, ამ უბედურების მიუხედავად, სომხებმა რუსულ ორიენტაციას თავი არ დაანებეს. ერთიანი ტერიტორიის გარეშე, გაბნეულნი სხვადასხვა ეთნოსებს შორის თურქეთსა და კავკასიაში, ისინი იმედოვნებდნენ რუსეთის გამარჯვების შემდეგ და რუსეთის დახმარებით მოეპოვებინათ ბატონობა მთელს სომხეთში – სულ მცირე, თურქეთის სომხეთში. ყველაზე უარეს შემთხვევაში, რუსეთის მიერ თურქეთის სომხეთის ანექსია სომეხი ხალხისთვის პრიორიტეტული იყო, რადგან მინიმუმ მოხდებოდა საძულველი თურქული ბატონობისგან განთავისუფლება.

ამგვარად, სომხური პოლიტიკა დიამეტრალურად დაპირისპირებული იყო ქართველების და კავკასიელი მაჰმადიანების პოლიტიკასთან. აქედან წარმოიშვა ძალიან უსიამოვნო განხეთქილებები, რომლებმაც კავკასიის გათავისუფლების საერთო საქმეს დიდი ზიანი მიაყენეს. ასეთი იმედებით და ასეთი პოლიტიკური შეხედულებებით შეხვდნენ კავკასიელი ხალხები მსოფლიო ომს. ზომიერი პარტიები ქადაგებდნენ სიფრთხილეს და რუსეთის მიმართ ლოიალობას, რევოლუციური პარტიები კი, აქტიურ მოქმედებებზე გადავიდნენ. ქართველები და ასევე კავკასიელი მაჰმადიანები, ომში რუსეთის მიმართ ლოიალურები რჩებოდნენ, მაგრამ შესაფერის დროს ელოდებოდნენ, მათი პოლიტიკური იდეალის უსაფრთხოდ და მინიმალური მსხვერპლით განსახორციელებლად. სომხები, როგორც უკვე აღვნიშნეთ, იარაღით ხელში გამოვიდნენ რუსეთის მხარეს, თურქეთის წინააღმდეგ. ყველა ხალხი და ყველა პარტია ერთი და იმავე იდეით იყო შთაგონებული, სრული გათავისუფლება უცხოთა ბატონობისგან, ან სულ მცირე, უცხო უღლის ქვეშ მძიმე ხვედრის შემსუბუქება რეფორმებით ან რევოლუციებით, რაც ომის შემდეგ მის მონაწილე ყველა ქვეყანაში სავარაუდო იყო.

საქართველოს სეპარატისტული ან გამანთავისუფლებელი პარტია, წინა საუკუნეში ხანგრძლივი დევნის შემდეგ, 1910 წელს კვლავ ორგანიზებულ იქნა და გაშალა თავისი პროპაგანდისტული საქმიანობა. თუმცა, იმავე წელს, პარტიის ერთი ჯგუფი იძულებული გახდა რუსეთის მთავრობის მხრიდან დევნის გამო, უცხოეთისთვის შეეფარებინა თავი. 1911 წელს ჟენევაში დაარსდა „განთავისუფლების კომიტეტი“ და გამოიცა გაზეთი „თავისუფალი საქართველო“¹ ქართულ ენაზე. კომიტეტის მთავარი ამოცანა იყო საზღვარგარეთ და თავად საქართველოში, საქართველოს დამოუკიდებლობის იდეის პროპაგანდა. ომის დაწყების შემდეგ, კომიტეტმა ურთიერთობა დაამყარა გერმანიის და თურქეთის მთავრობებთან და ცენტრალური ევროპის სახელმწიფოების და თურქეთის მთავრობებთან კომიტეტის თანამშრომლობის საკითხი დასვა, თუკი ისინი გამარჯვების და კავკასიიდან რუსების განდევნის შემთხვევაში, საქართველოს დამოუკიდებლობას აღიარებდნენ. კომიტეტის ეს წინადადება განსაკუთრებით კარგად მიიღო გერმანიის მთავრობამ და კომიტეტს გერმანული და თურქული მთავრობების მხრიდან წერილობითი გარანტიები მისცა, სადაც მომავლის ქართული სახელ-

¹ „თავისუფალი საქართველო“ – 1913-1914 წლებში ჟენევაში „ქართველ სეპარატისტთა ჟენევის ჯგუფის“ მიერ (რომლის საფუძველზეც, პირველი მსოფლიო ომის დროს, ჩამოყალიბდა საქართველოს განთავისუფლების კომიტეტი) გამოცემული ჟურნალი. რედაქტორ-გამომცემლები: – პეტრე სურგულაძე, ლეო კერესელიძე და გიორგი კერესელიძე.

მნიფოს საზღვრები იქნა დადგენილი. პარალელურად, კომიტეტმა კავშირი დაამყარა სამშობლოსთან და აცნობა გერმანული და თურქული მთავრობების წინადადების შესახებ ქვეყნის გავლენიან პარტიებს: – სოციალ-დემოკრატებს, ეროვნულ-დემოკრატებს და სოციალისტ-ფედერალისტებს. გეგმასთან დაკავშირებით უარყოფითი პოზიცია არცერთ პარტიას არ გამოუხატავს. თუმცა, მისი რთული საქმიანობის დროს, აქტიური მხარდაჭერა კომიტეტს მხოლოდ ერთი პარტიიდან მოსდიოდა, – ეროვნულ-დემოკრატებიდან. კომიტეტმა აქტიური საქმიანობა გაშალა კავკასიელ მაჰმადიანებთან ერთად თავად კავკასიაში, თურქეთსა და ბერლინში, რის შედეგადაც მიღწეულ იქნა კავკასიის დამოუკიდებლობის ნამდვილი მომხრეების სრული სოლიდარობა. ამგვარად, კომიტეტისთვის აუცილებლობას წარმოადგენდა ერთდროულად გერმანიაში, თურქეთსა და კავკასიაში მოქმედება. პირველ რიგში, ბერლინი იყო ადგილი, საიდანაც ქართველი ხალხი მოელოდა მისი პოლიტიკური ბედის გადწყვეტას. აქ, ქართველი პატრიოტები, რუსეთის ჩაგრულ ხალხთა სხვა წარმომადგენლებთან ერთად – პოლონელებთან, ფინელებთან, უკრაინელებთან და ა.შ., ღიად გამოდიოდნენ, რომ ყველა შესაძლო საშუალებით ებრძოლათ ერთად რუსეთის წინააღმდეგ და მათი ქვეყნების ბედის მიმართ, მსოფლიოს ინტერესი გაეღვიძებინათ. ასეთივე მნიშვნელოვანი ამოცანა ჰქონდა კომიტეტს კონსტანტინოპოლში. აქ უნდა დამდგარიყო ქართველების კავკასიელ მაჰმადიანებთან თანამშრომლობის საკითხი, ორმხრივი ურთიერთნდობის და სოლიდარობის საფუძველზე, რაც კავკასიის საკითხისადმი თურქეთის პოზიციაზე იყო დამოკიდებული. არც თუ იოლი საქმე გამოდგა თურქების დარწმუნება იმაში, რომ მთელი ამ წამოწყებისთვის სერიოზულად შეეხებათ და ის სამხედრო ინტრიგებისთვის არ გამოეყენებინათ. როდესაც კომიტეტმა ეს, გარკვეულწილად, მოახერხა, ანატოლიაში ქართველი მაჰმადიანებისგან, პატრიოტულად განწყობილი სამხედრო ტყვე ქართველებისგან და ომის წინ ემიგრაციაში წასული ქართველი პოლიტიკური ემიგრანტებისგან, ლეგიონის ფორმირება მოხდა, რომელსაც მსოფლიოსთვის უნდა დაემტკიცებინა, რომ საქართველოში ნამდვილად არსებობდნენ ელემენტები, რომლებსაც საკუთარი ქვეყნის დამოუკიდებლობისთვის ბრძოლა სურდათ და ღიად გამოვიდნენ საკუთარი მჩაგვრელის მტრის მხარეზე.

ამ თავგანწირულმა, თუმცა განსაკუთრებით თურქეთში, უამრავ სირთულესთან დაკავშირებულმა სამუშაომ კომიტეტის მხრიდან, ომის პირველ წლებში თავისი შედეგები მოიტანა. კომიტეტი თითქმის უწყვეტ კავშირში იყო სამშობლოსთან, ქართველ ხალხს აწვდიდა სწორ ინფორმაციას ომში არსებული მდგომარეობის შესახებ, გაანადგურა მასში არსებული რწმენა რუსეთის უზარმაზარი იმპერიის დაუმარცხებლობის შესახებ და გააძლიერა მისი იმედი, რომ საქართველოს გათავისუფლება შესაძლებელი იყო. ქართული არისტოკრატის მიერ ძველი ტრადიციისამებრ ჩამოყალიბებული ლეგიონი, რომელიც ომის დასაწყისში თურქეთის ფრონტზე რუსულ ჯარებთან ერთად იბრძოდა, რომ რუსეთის იმპერატორისთვის ქართველი ხალხის ერთგულება დაემტკიცებინა და ამის გამო, მოგვიანებით, სამშობლოსთვის მძიმე ბედის შემსუბუქება მოეპოვებინა, ახლა უკვე სიმპატიებით უყურებდა ფრონტის საპირისპირო ხაზზე მყოფი ქართველი პატრიოტების საქმიანობას. აქ ორივე მხრიდან ხვდებოდნენ ჩუმად დამოუკიდებლობის მომხრეები და მდგომარეობის შესახებ თათბირებს აწარმოებდნენ. განთავისუფლების კომიტეტის მხარეს არისტოკრატთა ლეგიონის ღია გადასვ-

ლამდე, ადვილად გასაგები მიზეზების გამო, საქმე არ მისულა: არ გვსურდა, რომ საქართველოს ღია აჯანყებაში შესული თურქეთის სომხეთის ბედი გაეზიარებინა. იმაში, რომ მაჰმადიანური საქართველოს მოსახლეობა, რომელიც 1915 წელს ამ ტერიტორიაზე შემოსულ თურქთა მხარეს გადავიდა და უკანასკნელთა გასვლის შემდეგ, რუსთა მიერ სასტიკად დაისაჯა, ბრალი მიუძღვის არა ქართულ კომიტეტს, რომლის წევრები იბრძოდნენ პატარა კავკასიური მოხალისეთა ჯგუფის სათავეში თურქ და ლაზ მოხალისეთა რაზმებთან ერთად, არამედ თურქულ პროპაგანდას.

ევროპაში პროპაგანდის შედეგად, კომიტეტმა შეძლო ჯერ გერმანიის და ავსტრიის შესაბამის წრეებში რწმენის გამყარება, რომ შესაძლებელი იყო, არა მხოლოდ საქართველოს და კავკასიის დამოუკიდებლობა, არამედ ბუფერული სახელმწიფოს შექმნა ერთის მხრივ, რუსეთს და მეორეს მხრივ, თურქეთს და ირანს შორის, რომელსაც ამ უკანასკნელთათვის და ისლამთან დაკავშირებული ცენტრალური ევროპის სახელმწიფოებისთვის, პოლიტიკურ და ეკონომიკურ ქრილში დიდი მნიშვნელობა ექნებოდა. ნეიტრალურ სახელმწიფოებში ქართული კომიტეტი შეხვდა მსოფლიოს თითქმის ყველა ჩაგრულ ხალხთა წარმომადგენლებს. პრესის, წიგნების თუ საერთაშორისო შეხვედრების საშუალებით, მაგალითად, როგორცაა ლოზანაში „Union des Nationalités“¹ მესამე კონგრესი 1916 წელს და სტოკჰოლმში, იმავე წელს, სოციალისტების შეკრება, ქართულმა კომიტეტმა წარმოადგინა ქართველი ხალხის სამართლიანი საკითხი მთელი ცივილიზებული სამყაროს წინაშე.

ქართული გაზეთის და ზეპირი პროპაგანდის საშუალებით, კომიტეტი უხსნიდა გერმანიასა და ავსტრიაში მყოფ ქართველ სამხედრო ტყვეებს სამშობლოს გათავისუფლების დიდ მნიშვნელობას. თუმცა, აქ მისი საქმიანობა წარმატებით არ დაგვირგვინებულა, რაც ტყვეთა ფსიქოლოგიით უნდა აიხსნას.

ასევე, ვერ მოიპოვა დიდი წარმატება კომიტეტმა მის საქმიანობაში თურქეთის შესაბამის პოლიტიკურ წრეებში. ბოლომდე ვერასოდეს მოხერხდა თურქეთის დარწმუნება, რომ კავკასიის გადაქცევა თურქეთის პროვინციად (გარდა იმისა, რომ კავკასიის გავლენიან ელემენტებში დამოუკიდებლობისადმი მისწრაფებები არსებობდა), ასევე საერთაშორისო-პოლიტიკურ დონეზეც შეუძლებელი იყო და თავად თურქეთისთვისაც არ იყო სასარგებლო. აქედან გამომდინარე, ქართული კომიტეტისთვის ძალიან რთული ამოცანა იყო, ყველა პატრიოტული კავკასიური ელემენტი ერთ საერთო საქმეში ჩაება. ეს მან უკეთ ბერლინში, ვიდრე კონსტანტინოპოლში შეძლო. გერმანიის დახმარებით და თურქეთის ნებართვით, კომიტეტმა ორგანიზება გაუწია, როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, ლეგიონს, რომელიც რუსთა წინააღმდეგ იბრძოდა და რომელიც, 1916 წელს, მე-III თურქული არმიის სარდლობას ექვემდებარებოდა. თუმცა, თურქებმა, ხანმოკლე მოქმედების შემდეგ, ეს ლეგიონი გააუქმეს. მისი წარჩენები გადაყვანილ იქნა რუმინეთში, სადაც ისინი, მაკენზენის² მეთაურობის ქვეშ, სხვა ტიპის სამხედრო სამსახურს ეწეოდნენ. ბრძოლაში მონაწილეობის მიღება მათ უკვე აღარ შეეძლოთ. ქართული ლეგიონის გაუქმებით თურქეთმა საბოლოოდ ნათლად აჩვენა, რომ კავკასიის დაკავების შემთხვევაში, ის გერმანიისა და ავსტრიისგან განსხვავებულ პოლი-

¹ „Union des Nationalités“ (ფრ.) – „ერთა კავშირი“.

² იგულისხმება ფონ მაკენზენი ანტონ ლუდვიგ ფრიდრიხ ავგუსტ (von Mackensen Anton Ludwig Friedrich August) (1849-1945).

ტიკას გაატარებდა. ამ დროიდან მოყოლებული, ქართული კომიტეტი მტკიცედ იყო დარწმუნებული, რომ თურქეთის გადარწმუნება თუ მთლიანად რეგიონის არა, კავკასიის მნიშვნელოვანი ნაწილების ანექსიისგან, შეუძლებელი იყო. სრულიად სხვა იყო გერმანიის მიზნები. ამიტომ, კომიტეტი მთელს იმედებს გერმანიაზე ამყარებდა და გერმანიამაც, სინამდვილეში, ყველაზე კრიტიკულ მომენტში, საქართველოს იმედები არ გაუცრუა.

გერმანიამ ქართული კომიტეტს განკარგულებაში მისი მუშაობისთვის ყველა საშუალება მისცა. – წყალქვეშა ნაგებიც კი, რომელთა მეშვეობით, კომიტეტის წევრები რამდენიმეჯერ საქართველოსკენ გაემგზავრნენ. გერმანია კომიტეტის მიმართ პოლიტიკურადაც გულწრფელი იყო, რაც მთავარი იყო, მუშაობის დროს. როდესაც ქართველ ხალხს გერმანიის განზრახვა შეატყობინეს, რუსეთზე გამარჯვების შემთხვევაში საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარების შესახებ, ხალხი დარწმუნებული იყო, რომ სამშობლო უბედურებაში კი არ ჩავარდებოდა, არამედ, მის ისტორიაში თავისუფლების ახალი ეპოქა გაიხსნებოდა. ეს რწმენა ახალისებდა კომიტეტს, რომ მისი რთული და ათას საშიშროებასთან დაკავშირებული სამუშაო ბოლომდე მიეყვანა და საქმისთვის მთლიანად მიეძღვნა თავი.

II

რუსეთის საშინელ მარცხს გერმანიასთან ომში, რევოლუცია და ფრონტის გაუქმება მოჰყვა. არმიის ბოლშევიზაცია მოხდა არამხოლოდ დასავლეთის (რუსეთის) ფრონტზე, სადაც ის დამარცხდა, არამედ თურქეთის ფრონტზეც, სადაც ის თითქმის მუდმივად გამარჯვებული იყო. 1917 წლის ოქტომბერში თავად რუსეთში დამყარდა ბოლშევიკური ტირანია. დამარცხებული არმიების უდიდესი სურვილი იყო მშვიდობა და სახლში დაბრუნება, და ამ დამარცხებული ჯარისკაცების ფსიქოლოგიაზე სპეკულირებდნენ ასევე ბოლშევიკებიც, როდესაც საკუთარ თავს მშვიდობის მომხრეებად წარმოაჩენდნენ. თურქეთის ფრონტზე რუსეთის ჯარების გამარჯვება კატასტროფაში გადაიზარდა. ცალკეულმა საჯარისო დანაყოფებმა დაიწყეს ფრონტის მიტოვება და კავკასიის გავლით რუსეთში დაბრუნება. კავკასია აღმოჩნდა ორ ცეცხლს შუა: საფრთხე, რომ დაახლოებით 500 000 გაბოლშევიკებული რუსი ჯარისკაცი წაღეკავდა ქვეყანას, რომელსაც ისინი სრულიად გაძარცვავდნენ და გაანადგურებდნენ, და საფრთხე თურქული ოკუპაციისა, რომელიც სავარაუდოდ, ასევე დიდ უბედურებას მოიტანდა. – ყველამ იცოდა, თუ რა მიზნებისთვის სურდა თურქეთს კავკასიის დაპყრობა!

1917 წლის შემოდგომაზე, საქართველოში გამოჩნდნენ ქართული კომიტეტის წევრები და გადასცეს გავლენიან ქართულ პარტიებს გერმანიის მთავრობის გარანტია საქართველოს ყველა საშუალებით დახმარების და ქვეყნის დამოუკიდებლობის, მისი გამოცხადების შემთხვევაში, აღიარების შესახებ. გერმანია მოითხოვდა, რომ საქართველოს ბერლინში გაემგზავნა თავისი სრულუფლებიანი წარმომადგენელი, რათა მასთან პირისპირ მომხდარიყო საკითხის განხილვა. კომიტეტის წევრები ისე დაბრუნდნენ ბერლინში, რომ სრულუფლებიანი წარმომადგენელი ვერ წამოიყვანეს: – გადაულახავმა სამგზავრო სირთულეებმა ეს შეუძლებელი გახადა.

ქართველი სოციალ-დემოკრატების ენერგიული და ჭკვიანური პროპაგანდის წყალობით, თურქეთის ფრონტიდან დაბრუნებული ჯარები საქართველოს ტერიტორიას და საქართველოს დედაქალაქ ტფილისს მხოლოდ ნაწილობრივ შეეხ-

ნენ. ისინი რუსეთში აზერბაიჯანის გავლით გაემგზავრნენ, მას შემდეგ, რაც მათი იარაღი ადგილობრივ მოსახლეობას დაუტოვეს. ამრიგად, კავკასია თითქმის უბრძოლველად გათავისუფლდა რუსებისგან, რუსეთმა თავად დატოვა კავკასია! კავკასიელი ხალხები კიდევ უფრო მეტად თვლიდნენ ვალდებულად თავს, რომ საკუთარი პოლიტიკური მომავლისთვის ეზრუნათ. ან უკვე, სომხებიც იძულებულნი იყვნენ, უარი ეთქვათ თავის რუსულ ორიენტაციაზე და დანარჩენ კავკასიელ ხალხებს სოლიდარობა გამოუცხადეს.

ჯერ კიდევ 1917 წლის მარტში, ქართველმა ხალხმა და სასულიერო წრეებმა აღადგინეს 1811 წელს რუსეთის მთავრობის მიერ ერთი უბრალო ადმინისტრაციული აქტით ანტიკანონიკურად განადგურებული იბერიის ეკლესიის ავტოკეფალია და მცხეთაში საქართველოს კათოლიკოსად (პატრიარქად) ეპისკოპოსი კირიონი აირჩიეს – ამ სახელის მატარებელი მეორე კათოლიკოსი. თუ როგორ იქცეოდა საქართველოს მიმართ ბოლშევიკებამდელი „რევოლუციური“ მთავრობა, ჩანს იმ ფაქტიდან, რომ საქართველოს არ აძლევდა ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის უფლებასაც კი. ასე რომ, ქართველმა ხალხმა ეს აქტი, დროებითი მთავრობის სურვილის წინააღმდეგ განახორციელა. იმავე წლის ნოემბერში, ტფილისში საქართველოს ეროვნული საბჭო შეიკრიბა, რომელიც ყველა პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებისგან შედგებოდა: – სოციალ-დემოკრატებისგან, ეროვნულ-დემოკრატებისგან და სოციალისტ-ფედერალისტებისგან. აღნიშნულ, სრულიად საქართველოს ეროვნულ საბჭოს, 19 ნოემბერს მიენდო ყველა ეროვნული საკითხის ხელმძღვანელობა. ამ წელს კულტურის სფეროში ჩატარებული სამუშაოდან აღნიშვნის ღირსია ტფილისის უნივერსიტეტის დაფუძნება, რომელიც მოგვიანებით საქართველოს სახელმწიფო უნივერსიტეტი გახდა. კავკასიის სხვა ხალხებმა – სომხებმა, აზერბაიჯანელებმა, მთიელებმა, ასევე შექმნეს მსგავსი პოლიტიკური ორგანოები. ეს ხალხები, უკვე უშუალოდ რევოლუციის შემდეგ მიხვდნენ თანამშრომლობის საჭიროებას. უკვე 1917 წლის მარტში ჩამოყალიბდა ამიერკავკასიის კომიტეტი, რომელსაც მთავრობის უფლებები და ფუნქციები ჰქონდა. ამის შემდეგ, 1918 წელს, სამხრეთ კავკასიის ხალხები, ეროვნული ინსტიტუტების ჩამოყალიბების შემდეგ, ერთ კონფედერაციაში გაერთიანდნენ. მათ თავი შორს ეჭირათ ბოლშევიკური რევოლუციისგან. პირიქით, რუსეთის დამფუძნებელ კრებაში მათ საკუთარი წარმომადგენლები გაგზავნეს. ბოლშევიკ მმართველთა მიერ მისი გაუქმების შემდეგ, კავკასიელი წარმომადგენლები უკან დაბრუნდნენ კავკასიაში. ან იმ ქვეყნებს რუსეთთან არაფერი აკავშირებდათ. პირიქით, ისინი ერთმანეთს დაუკავშირდნენ ნებაყოფლობითი ურთიერთგაგების საფუძველზე. მთიელ ხალხთა ფედერაცია მალევე მიუერთდებოდა ამიერკავკასიის ფედერაციას და ამრიგად ადგილი ექნებოდა სრულიად კავკასიის კონფედერაციის შექმნას, რომ კავკასიის გარეთ მოვლენების განვითარებას და დაპირისპირებებს თავად კავკასიელ ხალხებს შორის, ამ ხალხთა პოლიტიკური ბედი სხვანაირად არ განესაზღვრათ.

ბრესტ-ლიტოვსკში გაგზავნილმა თურქეთის სამშვიდობო დელეგაციამ, რომელიც ბრესტ-ლიტოვსკის ზავის დადებამდე ქართული კომიტეტის წარმომადგენელს რამდენჯერმე დაპირდა, რომ სამშვიდობო კონფერენციაზე არ ექნებოდა პრეტენზია იმ ქართულ პროვინციებზე, რომლებიც რუსეთმა მე-19 საუკუნის ომებში თურქეთს წაართვა, და რომლებიც, ქართული კომიტეტისთვის თურქეთის მთავრობის მიერ მიცემული გარანტიების შედეგად, დამოუკიდებელ საქარ-

თველოს უნდა დარჩენოდა, არ შეასრულა პირობა, მიუხედავად იმისა, რომ ვარშავაში აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებულ პროტოკოლს ქართული კომიტეტის წევრთან ერთად ხელი მოაწერა. კომიტეტის წარმომადგენელი იყო მხოლოდ რევოლუციური პარტიის წარმომადგენელი და არა აღიარებული სახელმწიფოს სრულუფლებიანი წარმომადგენელი და აქედან გამომდინარე, ვარშავის პროტოკოლს არანაირი იურიდიული ძალა არ ჰქონდა. მეორეს მხრივ, საქართველო არ იყო იმ მდგომარეობაში, რომ მისი სრულუფლებიანი წარმომადგენელი რუსეთის გავლით, პირდაპირ ბრესტ-ლიტოვსკში გაეგზავნა, როგორც ეს უკრაინელებმა შეძლეს. ასე რომ, თურქებმა ბრესტ-ლიტოვსკში ქალაქ ბათუმზე და მთელ ბათუმის ოლქზე პრეტენზია განაცხადეს, რაზეც რუსეთი დათანხმდა. ამით საქართველოს არსებობას საფრთხე დაემუქრა, თურქები კი თავს უფლებამოსილად თვლიდნენ, ხელშეკრულების მიხედვით მოპოვებული ოლქები დაეკავებინათ.

1918 წლის მარტში ტრაპიზონში მოლაპარაკებები გაიმართა რაუფ ბეის¹ მეთაურობის ქვეშ მყოფ თურქეთის დელეგაციას და სამხრეთ კავკასიის დელეგაციას შორის, რომლის მეთაური ქართველი ჩხენკელი იყო. რაუფ ბეი მოითხოვდა, ერთის მხრივ, პირველ რიგში ამიერკავკასიის დამოუკიდებლობის ოფიციალურ გამოცხადებას, რომ მასთან მოლაპარაკება საერთოდ შესაძლებელი ყოფილიყო და მეორეს მხრივ, ამიერკავკასიის მიერ ბათუმთან და ბათუმის ოლქთან დაკავშირებით ბრესტ-ლიტოვსკის ზავის პირობების აღიარებას. ამიერკავკასიის წარმომადგენლები იძულებულნი იყვნენ რაუფ ბეის მოთხოვნები მიეღოთ, მას შემდეგ, რაც თურქებმა ამ ოლქების დასაკავებლად ჯარები გაგზავნეს. ამის შემდეგ ამიერკავკასიური დელეგაცია მთავრობამ და სეიმმა ტელეგრაფის საშუალებით უკან გაიწვია. მათ არ სურდათ თურქეთთან სამშვიდობო პროექტის აღიარება. ჩხენკელმა თავისი გაიტანა, როდესაც 1918 წლის 22 აპრილს ამიერკავკასიის სახელმწიფოს დამოუკიდებლობა ოფიციალურად გამოცხადდა. მან ჩამოაყალიბა კაბინეტი, რომლის მეთაური და საგარეო საქმეთა მინისტრი თავად გახდა. ამის შესახებ საქმის კურსში ჩააყენეს დიდი სახელმწიფოები. თუმცა, თურქეთთან მშვიდობა ვერ მყარდებოდა და მათ, ბათუმის და ბათუმის ოლქის გარდა, დაიკავეს ქრისტიანული საქართველოს ერთი ნაწილი, – გურია, რითაც ბრესტ-ლიტოვსკის ზავით დადგენილი საზღვარი გადალახეს. თურქეთის ფრონტზე ნაჩქარევად თავმოყრილ ქართულ ჯარებს, რომლებიც არცთუ მრავალრიცხოვანი იყო, შეტევაზე გადმოსული თურქებისთვის სერიოზული წინააღმდეგობის გაწევა არ შეეძლოთ. კიდევ უფრო ნაკლებად ამის განხორციელება შეეძლოთ სომხურ ჯარებს. თურქებმა საქართველოს მთელი სამხრეთ-დასავლეთ ნაწილი დაიკავეს, რითაც მათ გზა გაეხსნათ კავკასიის შემდგომი ოკუპაციისათვის. თურქების შეკავება მხოლოდ გერმანელთა ჩარევას შეეძლო.

კავკასიის მთავრობამ დიდი სირთულეების შემდეგ მოახერხა თურქებთან ცეცხლის შეწყვეტაზე ხელი მოეწერა. ახალი მოლაპარაკებები გაიხსნა ბათუმში, სადაც თურქების მხრიდან ჰალილ ბეი², გერმანელებისგან გენერალი ფონ ლოსოვი³ და ამიერკავკასიელებისგან ჩხენკელი იღებდნენ მონაწილეობას დელეგაციათა მეთაურების რანგში. კავკასიის მთის ხალხები, რომლებიც ცოტა ხნით ადრე, ამიერკავკასიასთან კონფედერაციაში მიღებაზე აწარმოებდნენ მოლაპა-

¹ იგულისხმება ორბაი ჰუსეინ რაუფ (Orbay Hüseyin Rauf) (1881-1964).

² იგულისხმება მენთეშე ჰალილ (1874-1948).

³ იგულისხმება ფონ ლოსოვი ოტო (von Lossow Otto) (1868-1938).

რაკებებს, ამ კონფერენციაზეც იყვნენ წარმოდგენილნი. თურქეთის მხრიდან ის მოსაზრება გამოითქვა, რომ ამჟამად შექმნილი იყო სრულიად ახალი მდგომარეობა: თუკი ტრაპიზონში ისინი ბრესტ-ლიტოვსკის ზავით შეპირებული ტერიტორიებით დაკმაყოფილდებოდნენ, რაზეც მაშინ არ სურდა თანხმობის მიცემა ამიერკავკასიას, ახლა მათ უფლება ჰქონდათ ომში დამარცხებული ამიერკავკასიისგან დამატებითი ტერიტორიების ჩამოჭრა მოეთხოვათ. ისინი მოითხოვდნენ უკვე ახალციხის და ახალქალაქის მაზრების გადაცემას და დაახლოებით ნახევარ სომხეთს, სხვა მძიმე პირობების შესრულების გარდა. კავკასიელი წარმომადგენლები კვლავ იძულებულნი იყვნენ დათმობაზე წასულიყვნენ, რის შემდეგ, თურქებმა მათ მიერ მოთხოვნილი მაზრების გარდა, თითქმის მთელი აზერბაიჯანი დაიკავეს, ქალაქ ბაქოს გამოკლებით, სადაც ჯერაც ბოლშევიკები იყვნენ. აზერბაიჯანლებმა უღალატეს საერთო კავკასიურ საქმეს, აწარმოებდნენ თურქებთან სეპარატულ და საიდუმლო მოლაპარაკებებს სხვა, არაოფიციალური წარმომადგენლების მეშვეობით და ეხმარებოდნენ მათ ამიერკავკასიის დაპყრობაში.

ამ გარდამტეხ დროს, ასევე კარგად გამოჩნდა, რომ გერმანია კავკასიაში თურქებისგან სრულიად განსხვავებულ პოლიტიკას აწარმოებდა. უკრაინის დაკავებამ, ოდესის პორტმა, ყირიმმა და ა.შ. საგრძობლად შეამსუბუქეს კავშირი გერმანიასა და კავკასიას შორის და ბათუმში მოლაპარაკებების მიმდინარეობის დროს, კომიტეტმა მოახერხა გერმანიის დახმარებით და გერმანიის მთავრობის ინიციატივით, კავკასიის სრულუფლებიანი წარმომადგენელი სევასტოპოლის გავლით ბერლინში ჩაეყვანა. გერმანელმა სამხედრო ტყვეებმა, რომლებიც ომის დროს საქართველოში ინტერნირებულები იყვნენ, ჩამოაყალიბეს პატარა სამხედრო დანაყოფები, აღმართეს გერმანული დროშა და შეტევაზე მყოფ თურქებს დაუპირისპირდნენ, რათა ისინი საქართველოს ტერიტორიის შემდგომი დაპყრობისგან შეეკავებინათ. მაგრამ კავკასიური სახელმწიფოს არსებობა თურქების (და აზერბაიჯანლების) ზეწოლის გამო შეუძლებელი იყო. სეიმი გაუქმდა, გაქრა ამიერკავკასიური სახელმწიფო წარმონაქმნიც. ამის სანაცვლოდ, ცალკეულმა სახელმწიფოებმა თავი დამოუკიდებლად გამოაცხადეს: საქართველომ 1918 წლის 26 მაისს, სომხეთმა 27-ში და აზერბაიჯანმა, იმავე თვის 28-ში.

საქართველო გერმანიაში ეძებდა დასაყრდენს. გენერალი ლოსოვი ჩხენკელთან, საგარეო საქმეთა მინისტრთან და ქართული დელეგაციის მეთაურთან ერთად, ბერლინს გაემგზავრა, რათა გერმანიის მთავრობა ამ საკითხის ქართული თვალსაზრისით მოგვარებაზე დაეყოლიებინა. ბერლინში ქართული კომიტეტის საქმეები, ამიერიდან, ქართული სახელმწიფოს სრულუფლებიან წარმომადგენლებს გადაეხარათ.

ამასობაში, თურქები აძალებდნენ კავკასიურ სახელმწიფოებს დამამცირებელ, ურთულეს სამშვიდობო პირობებზე წასულიყვნენ. ჩხენკელი ამას აპროტესტებდა, მაგრამ მისი მოლაპარაკებები თურქეთის დიდ ვეზირ თალაათ ფაშასთან ბერლინში, უშედეგოდ მიმდინარეობდა. კავკასიის საკითხების მოგვარებისადმი დაგეგმილი კონფერენცია, რომელიც თურქების წინადადებით კონსტანტინოპოლში უნდა შემდგარიყო, ქართველების აზრით კი ბერლინში, – როცა ბათუმის ხელშეკრულება ჯერ კიდევ არ იყო რატიფიცირებული, – გერმანიისთვის მოვლენების არასახარბიელოდ განვითარების გამო, აღარასოდეს შედგა. თუმცა, გერმანია კონფერენციის გამართვას არ დალოდებია. 1918 წლის ივნისში პოლკოვნიკ კრეს ფონ კრესენშტაინის გერმანული საჯარისო დანაყოფების საქართველოში

გაგზავნით, გერმანიამ ამ ურთულეს დროს, საქართველოს და მთელ კავკასიას უდიდესი დახმარება გაუწია. ადამიანი იშვიათი არისტოკრატიული ხასიათით, განათლებით და გონიერებით, პოლკოვნიკი კრესი, მაშინვე მიხვდა, თუ როგორ პოლიტიკას უნდა მიჰყოლოდა კავკასიაში ადგილობრივი ხალხების და პარტიების მიმართ. მისი წინდახედული რჩევებით და სადაც საჭირო იყო, ენერგიული ჩარევით, შესაძლებელი გახდა ქვეყანაში წესრიგის და სახელმწიფო ორგანიზაციის საფუძვლების შექმნა. ქართველი ხალხი მის სახელს არასოდეს დაივიწყებს. ქართველი ხალხი სამუდამოდ მადლობელი დარჩება გერმანელი ხალხის და მისი მთავრობის მიმართ, რომელმაც საქართველოს ასეთი კაცი ზუსტად იმ დროს გამოუგზავნა, როდესაც ის უფსკრულის პირას იდგა და მან ის განადგურებისგან გადაარჩინა!

მაშინ, როდესაც ქართული დელეგაცია ბერლინში გერმანიასა და საქართველოს შორის სამომავლო პოლიტიკურ და ეკონომიკურ ურთიერთობებს საგანგებო ხელშეკრულებებით განსაზღვრავდა და ასევე, ევროპის სხვა სახელმწიფოებთან ურთიერთობების დამყარებით იყო დაკავებული, გერმანიის დახმარებით ქართული სახელმწიფოს საფუძველი შენდებოდა: შეიქმნა ქართული არმია, მოხდა ადმინისტრაციის და დროებითი იუსტიციის ორგანიზება, მონვეულ იქნა დამფუძნებელი კრება, რომელსაც ხალხისთვის კონსტიტუცია უნდა მიეცა, მუშაობა სამინისტროებში ნორმალურ მიმართულებას იძენდა, ფინანსები წესრიგში იქნა მოყვანილი, დაიწყო სავაჭრო ურთიერთობები საზღვარგარეთთან, რამდენადაც ეს მაშინ შესაძლებელი იყო და ა.შ. თანდათანობით, საქართველოს რესპუბლიკა ადგენდა თავის საერთო საზღვრებს. ის მოიცავდა უკვე თითქმის მთელ ქრისტიანულ საქართველოს. მხოლოდ თურქების მიერ დაკავებული ოლქები, რომელთა ბედი ჯერ კიდევ გადაუწყვეტელი იყო და აღმოსავლეთქართული პროვინციის – საინგილოს ნაწილი, რჩებოდა საქართველოს სუვერენიტეტის გარეთ. ქვეყანაში წესრიგი დამყარდა. ასევე სხვა კავკასიელი ხალხები მუშაობდნენ მონდომებით, რომ საკუთარი ცხოვრების ორგანიზება თავად მოეხერხებინათ. ამიერკავკასია ბოლშევიკებისგან სრულიად თავისუფალი იყო. გერმანიის მტკიცე ნებამ თურქული დესპოტიზმი შეამცირა და ზომიერების ფარგლებში მოაქცია, რათა კავკასიაში დამყარებულიყო წესრიგი და თავისუფლება. და იქ რომ გერმანიის ავტორიტეტი დიდი ხნით დარჩენილიყო, კავკასიური კონფედერაციის აღდგენა კვლავ შესაძლებელი გახდებოდა.

[...]

*Zwischen Kaukasus und Sinai. Jahrbuch des Bundes der Asienkämpfer.
Berlin-Schöneberg, 1924, Bd. 4. S. 135-149.
თარგმანი გერმანულიდან.*

ბიოგრაფიული კომენტარი

აბაშიძე ასლან ბეგი (1877-1924) – საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამხედრო და პოლიტიკური მოღვაწე. განათლება მიიღო მამის, თავად იბრაჰიმ აბაშიძის მიერ ოჯახში მოწვეული მასწავლებლების საშუალებით. სიჭაბუკიდანვე ჩაება ეროვნულ-გამანთავისუფლებელ მოძრაობაში. მონაწილეობდა 1905-1907 წლების რუსეთის პირველ რევოლუციაში. მეთაურობდა საბრძოლო რაზმს. 1905 წელს თავი გამოიჩინა ნასაკირალისა და ბათუმის ბრძოლებში. 1908 წელს დააპატიმრეს და ციმბირში გადაასახლეს. იმავე წლის დეკემბერში მოახერხა გადასახლებიდან გაქცევა და ოსმალეთში გახიზნვა, სადაც ოტომანთა უმაღლეს სამხედრო სკოლაში ჩაირიცხა და სამხედრო განათლება მიიღო. 1917 წლის რუსეთის თებერვლის რევოლუციის შემდეგ დაბრუნდა საქართველოში. მხარს უჭერდა პროქართულ ორიენტაციას აჭარაში. 1918 წლის მაისში, საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, მონაწილეობდა ქართული ეროვნული არმიის ჩამოყალიბებაში. იმავე წელს დაინიშნა სამხედრო სამინისტროს დავალებათა შტაბ-ოფიცრად და მიენიჭა პოლკოვნიკის სამხედრო წოდება, ხოლო შემდეგ, საქართველოს მთავრობის თავმჯდომარის წარდგინებით, გენერალ-მაიორობა. 1918 წლის ბოლოს მომხდარ საქართველო-სომხეთის ომში ხელმძღვანელობდა მაჰმადიან ქართველთა რაზმებს. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საბჭოთა რუსეთის მიერ 1921 წლის თებერვალ-მარტში ოკუპაციის შემდეგ თურქეთში გადასახლდა. აქტიურ მონაწილეობას იღებდა ანტიბოლშევიკურ ეროვნულ-გამანთავისუფლებელ მოძრაობაში. საიდუმლოდ იმყოფებოდა ბოლშევიკთა მიერ ოკუპირებულ საქართველოში. დაიღუპა სტამბოლში 1924 წელს (სავარაუდოდ, მონამლულ იქნა გპუ-ს აგენტების მიერ).

აბაშიძე ივანე (კიტა) (1870-1917) ქართველი საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწე, ლიტერატურათმცოდნე, კრიტიკოსი და პუბლიცისტი. 1889 წელს დაამთავრა ქუთაისის გიმნაზია, რის შემდეგაც 10 თვით გაემგზავრა პარიზში, სადაც თავისუფალ მსმენელად ესწრებოდა ლექციებს სორბონაში და სხვა უმაღლეს სასწავლებლებში. 1890 წელს შედის ოდესის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე, რომელსაც ამთავრებს 1895 წელს. იმავე წლიდან მუშაობდა ტფილისის კონტროლის პალატაში, შემდეგ – მომრიგებელ მოსამართლედ ჯერ რაჭის მაზრაში, მერე – ქიათურაში. 1896 წლიდან „ივერიის“ თანამშრომელი ხდება. 1901 წლიდან იყო ქიათურის შავი ქვის მრეწველთა საბჭოს „საურთიერთო ნდობის ბანკის“ თავმჯდომარე, შემდეგ კი საბჭოს თავმჯდომარის, გ. ზდანოვიჩის მოადგილე გახდა. 1905-1907 წლების რუსეთის პირველი რევოლუციის მონაწილე. 1909 წელს იქნა დაპატიმრებული იმავე წლის 22 თებერვალს ქუთაისში შემდგარ თავად-აზნაურთა შეკრებაზე მისი მონაწილეობისათვის, რომელზედაც ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის (დამოუკიდებლობის) მოთხოვნით გამოვიდა. რუსეთის 1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ დაინიშნა ამიერკავკასიის

საგანგებო კომისარიატის წევრად და ამიერკავკასიის განათლების კომისრად. თუმცა, ამ პოსტზე ხერხემლის ტუბერკულოზით დაავადების გამო ძალზე მცირე ხანს მოღვაწეობდა.

აბაშიძე (სანჯაკბეგიშვილი-აბაშიძე) ზია ბეგი (1875-?) – პირველი მსოფლიო ომის დროს ქართული ეროვნულ-გამანთავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი მთავარი აქტივისტი, ქართველ მაჰმადიან ბათუმელ დიდგვაროვან ბეგთა ოჯახიდან. სწავლობდა ბათუმის ორკლასიან სკოლაში, შემდეგ სამოქალაქო ექვსკლასიან სასწავლებელში და ექვსი წლის განმავლობაში, ბათუმის მედრესეში. შეისწავლა არაბული ენა და ითვლებოდა მთელს აჭარაში ყურანის საუკეთესო მცოდნედ. ამავე დროს მე-19 საუკუნის 90-იანი წლებიდან იყო აჭარის საქართველოსთან გაერთიანების მოძრაობის ერთ-ერთი ხელმძღვანელი. 1900-1908 წლებში – ბათუმის საქალაქო დუმის ხმოსანი. 1904-1905 წლებში – ბათუმში სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიის ადგილობრივი ორგანიზაციის ერთ-ერთი მთავარი დამაარსებელი და ხელმძღვანელი. რუსეთის 1905-1907 წლების პირველი რევოლუციის მონაწილე. რუსეთის იმპერიის სახელმწიფო დუმის საგუბერნიო ამომრჩეველი. რევოლუციური მოღვაწეობისათვის 1908 წლის დასაწყისში რუსეთის ხელისუფლებამ 5 წლით არხანგელსკის გუბერნიაში გადასახლება მიუსაჯა. შეძლო გაქცევა ოსმალეთის იმპერიაში, საიდანაც მცირე ხნით ევროპაში (საფრანგეთში და გერმანიაში) გადავიდა საცხოვრებლად. 1908 წელს ოსმალეთის იმპერიაში ახალგაზრდა თურქთა რევოლუციის შემდეგ დაბრუნდა კონსტანტინოპოლში, სადაც ქართული წრე შექმნა. პირველი მსოფლიო ომის წლებში – საქართველოს განთავისუფლების კომიტეტის წევრი. 1915-1917 წლებში – ქართული ლეგიონის ოფიცერი. 1918 წლის გაზაფხულზე ოსმალთა მიერ ბათუმის ოკუპაციის შემდეგ ჩავიდა ტფილისში და მონაწილეობა მიიღო სამაჰმადიანო საქართველოს გამანთავისუფლებელი კომიტეტის შედგენაში. კომიტეტის მიერ მივლინებულ იქნა ბულგარეთში, ავსტრია-უნგრეთში და ბერლინში, სადაც პროპაგანდას ეწეოდა ბათუმისა და აჭარის ოსმალთა მიერ ანექსიის წინააღმდეგ. პირველი მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ, ინგლისელთა მიერ 1918-1920 წლებში ბათუმის და ბათუმის ოლქის დროებითი დაკავების დროს, მოღვაწეობდა საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკასთან მათ შესაერთებლად. დამოუკიდებელი საქართველოს არსებობის დროს ეკავა ბათუმის ქალაქის თავის მოადგილის და მეჯლისის თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობები. იყო ბათუმის ლტოლვილთა კომიტეტის თავმჯდომარე. საქართველოს რესპუბლიკის საბჭოთა რუსეთის მიერ 1921 წლის თებერვალ-მარტში ოკუპაციის შემდეგ, დაპატიმრებულ იქნა და 5 წლით როსტოვში გადასახლებული.

ავნი ფაშა აჰმედ (1874-193?) – ქართული წარმოშობის ოსმალეთის იმპერიის სახელმწიფო და სამხედრო მოღვაწე. სწავლობდა სტამბულის სამხედრო სასწავლებლებში. 1897 წლის საბერძნეთ-ოსმალეთის ომის მონაწილე. 1898 წელს კაპიტანის ჩინით მსახურობდა მე-7 არმიის შტაბში. 1898 წლის სექტემბრიდან მსახურობდა მე-13 დივიზიის შტაბში, ხოლო 1900 წლის სექტემბრიდან კი – გენერალურ შტაბში. 1901 წლის დეკემბერში მიენიჭა მაიორის სამხედრო ჩინი. 1902 წლის იანვარში დაინიშნა 1 არმიის შტაბში. 1906 წლის აპრილს – ვიცე-პოლკოვნიკი. 1907 წლის მარტიდან მსახურობდა მე-3 არმიაში. 1908 წლის თებერვალში მიიღო პოლ-

კოვნიკის წოდება. 1908 წლის ოქტომბერში – 1 არმიის მე-2 რეგულარული დივიზიის შტაბის უფროსი. 1909 წლის თებერვლიდან – 1 არმიის 22-ე რეგულარული დივიზიის 47-ე პოლკის შტაბის უფროსი, ხოლო 1909 წლის მარტიდან – 1 არმიის მე-3 რეგულარული პოლკის შტაბის უფროსი. 1910 წლის იანვრიდან იმყოფებოდა მე-4 კოსოვოს არმიის სამსუნის ბრიგადის მეთაურის თანამდებობაზე. 1911 წლის იანვარში – დაინიშნა ბაბაესკის მე-9 დივიზიის სარდლად. 1911 წლის დეკემბერში მიიღო ბრიგადის გენერლის ჩინი და სანას დივიზიის სარდლობა ჩაიბარა. მონაწილეობდა 1911-1912 წლების ოსმალეთ-იტალიის და 1912-1913 წლების ბალკანეთის ომებში. 1914 წლის იანვარში დაინიშნა მე-10 კორპუსის წვევამდელთა განვების განყოფილების უფროსად. პირველი მსოფლიო ომის დაწყების შემდეგ – მე-3 არმიის ზურგის სამსახურის ინსპექტორი. 1915 წელს – ტრაპიზონის სამხედრო კომენდანტი. 1916-1918 წლებში – იკავებდა რიგ მაღალ სამხედრო თანამდებობებს ოსმალეთის არმიაში. 1919 წელს – სულთან მეჰმედ VI-ს მთავარი ადიუტანტი და სამხედრო-საზღვაო მინისტრი.

ფონ აიზენდეხერი კარლ (von Eisendecker Karl) (1841-1934) – გერმანელი სამხედრო-საზღვაო ოფიცერი, ვიცე-ადმირალი და დიპლომატი. მე-19 საუკუნის 60-იან წლებში დაიწყო სამსახური პრუსიის ფლოტში. 1862 წელს – დაასრულა სამხედრო-საზღვაო სკოლა და მიიღო ოფიცრის ჩინი. 1867 წელს გადავიდა საადმირალოში, ხოლო 1871 წელს გაგზავნილ იქნა სამხედრო-საზღვაო ფლოტის რწმუნებულად (1873 წლიდან – სამხედრო-საზღვაო ატაშედ) დიპლომატიურ წარმომადგენლობაში ვაშინგტონში (ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებული შტატები). 1875-1882 წლებში – გენერალური კონსული და მინისტრი-რეზიდენტი (1880 წლიდან საგანგებო და სრულუფლებიანი დესპანი) ტოკიოში (იაპონია). 1882-1884 წლებში – დესპანი ვაშინგტონში. 1884-1919 წლებში – პრუსიის დესპანი კარლს-რუეში (ბადენის დიდი საჰერცოგო).

ალბოგაჩი (ალბოგაჩიევი) ჯემალედინ (1894-1949) – ჩრდილოეთ კავკასიის მთიელთა ეროვნულ-გამანთავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი აქტივისტი, წარმოშობით ინგუში. სწავლობდა ლიეჟის (ბელგია) უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე. პირველი მსოფლიო ომის დასაწყისმა მოუსწრო სტუდენტურ არდადეგებზე, ვლადიკავკაზში. 1915 წლის აგვისტოში ჩავიდა შვეიცარიაში, სადაც ბაზელში გერმანიის საკონსულოს მეშვეობით კავშირი დაამყარა გერმანულ დაზვერვასთან. თანამშრომლობდა ოსმალეთის და გერმანიის იმპერიის ხელისუფლებებთან რუსეთის ბატონობისგან ჩრდილოეთ კავკასიის განთავისუფლების მიზნით. 1916 წლის 27-29 ივნისს ჩრდილოკავკასიელთა სახელით მონაწილეობდა ლოზანაში გამართულ „ერთა კავშირის“ მესამე კონგრესზე. 1917 წელს იმყოფებოდა ჩრდილოეთ კავკასიაში, სადაც ეწეოდა იატაკქვეშა მოღვაწეობას. 1918 წლის ზაფხულ-შემოდგომაზე – ოსმალეთის იმპერიაში ჩრდილოეთ კავკასიის და დაღესტნის მთიელთა კავშირის დიპლომატიური წარმომადგენელი. 1919-1920 წლებში – ჩრდილოეთ კავკასიის თავდაცვის საბჭოს საქართველოში და სომხეთში დიპლომატიური წარმომადგენლობის კურიერი. 1921 წელს ასრულებდა პარიზში ჩრდილოეთ კავკასიის დიპლომატიური დელეგაციის კურიერის მოვალეობებს. ემიგრაციაში ცხოვრობდა საფრანგეთში და გერმანიაში. გარდაიცვალა მაროკოში.

ალბურგი იოჰანეს ჰაინრიხ ვილჰელმ (Ahlburg Johannes Heinrich Wilhelm) (1883-1919) – გერმანელი გეოლოგი. 1903 წლიდან სწავლობდა ბერლინის უნივერსიტეტსა და სამთო აკადემიაში. 1906 წელს დაიცვა დისერტაცია და შეუდგა სამეცნიერო საქმიანობას ბერლინის სამთო აკადემიაში. იმავე წელს დაიწყო მუშაობა პრუსიის გეოლოგიურ საზოგადოებაში. იმყოფებოდა კვლევით მოგზაურობებში რუსეთში, უნგრეთში, ჰოლანდიის ინდოეთში. მსოფლიო ომის დროს თავდაპირველად იმყოფებოდა ფრონტზე, მოგვიანებით დაუბრუნდა პროფესიულ საქმიანობას. 1916-1918 წლებში – გერმანულ-ქართული საზოგადოების წევრი. გარდაიცვალა ესპანური გრიპით.

ალექსი-მესხიშვილი შალვა (1884-1960) – საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის ერთ-ერთი ხელმძღვანელი. 1909 წელს დაამთავრა ხარკოვის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. 1910 წლიდან მუშაობდა ნაფიცი ვეჟილის თანამშემნედ. 1917 წლის ნოემბრიდან 1918 წლის აპრილის ჩათვლით – ამიერკავკასიის კომისარიატის იუსტიციის კომისარი, საქართველოს ეროვნული საბჭოს წევრი. 1918-1919 წლებში – საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრი. 1919-1921 წლებში – საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრი. 1921 წლის მარტის შემდგომ და სიცოცხლის ბოლომდე მუშაობდა დამცველთა (ადვოკატთა) კოლეგიაში.

ალი ბაშ ჰამბა (1876-1918) – თურქული წარმოშობის ტუნისის და ოსმალეთის იმპერიის პოლიტიკური მოღვაწე. დაამთავრა პარიზის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. 1907-1911 წლებში – ყოველკვირეულ გაზეთ „Le Tunisien“-ის („ტუნისელი“) რედაქტორი. გაზეთი მრავალრიცხოვანი ტირაჟით იბეჭდებოდა საფრანგეთში, ალჟირში, ეგვიპტეში და თურქეთში. ეწეოდა ახალგაზრდა ტუნისელთა მოძრაობის იდეოლოგიის პროპაგანდას, რომელიც, ტუნისზე საფრანგეთის პროტექტორატის საწინააღმდეგოდ, მოითხოვდა ტუნისური საზოგადოების რეფორმირებას და ამავე დროს, მხარს უჭერდა პანისლამიზმს. 1912 წლის მარტში, ანტიფრანგული მოღვაწეობისთვის გასახლებულ იქნა საფრანგეთიდან. ცხოვრობდა შვეიცარიაში, ხოლო 1913 წლიდან – კონსტანტინოპოლში, სადაც ახალგაზრდა თურქთა პოლიტიკურ წრეში მრავალრიცხოვან კავშირებს ფლობდა. 1916 წელს – მაღრიბის გამანთავისუფლებელი კომიტეტის თავმჯდომარე. პარალელურად მუშაობდა თურქეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში. სხვასთან ერთად, მის ფუნქციებში შედიოდა, ოსმალეთის ტერიტორიაზე რუსეთის იმპერიის ჩაგრულ ხალხთა წარმომადგენლებთან კონტაქტების დამყარება და თურქეთის მთავრობასთან მათი მოქმედების კოორდინაციის უზრუნველყოფა. ამ ხაზით, თანამშრომლობდა თურქეთში მყოფ საქართველოს განთავისუფლების კომიტეტის წევრებთან.

ამილახვარი ალექსანდრე (1879-1968) – ქართველი სამხედრო მოღვაწე, პოლკოვნიკი, თავადი. სწავლობდა ტფილისის კადეტთა კორპუსში, საიდანაც 1899 წელს გადაიყვანეს პაჟთა კორპუსში, რომელიც დაასრულა 1901 წელს. 1902 წელს ხორუნიჟის ნოდებით გადაიყვანეს ყიზლიარ-გრებენსკის კაზაკურ პოლკში, საიმპერატორო კონვოის ლეიბ-გვარდიის მე-3 თერგის კაზაკთა ასეულში მიმაგრებით. 1909 წელს – პოდესაული. 1913 წელს – შტაბ-როტმისტრი. პირველი მსოფ-

ლიო ომის მონაწილე. 1914-1916 წლებში შტაბს-როტმისტრის ჩინით მსახურობდა „ველური დივიზიის“ თათრულ პოლკში. 1917 წელს გვარდიის პოლკოვნიკი და მის მიერ ფორმირებული ქართული ცხენოსანი პოლკის მეთაური. 1918-1921 წლებში ცხოვრობდა ტფილისში. 1921 წლიდან ემიგრაციაში საფრანგეთში. თანამშრომლობდა პარიზულ ემიგრანტულ ჟურნალ-გაზეთებში. 1936-1939 წლებში მონაწილეობდა ესპანეთის სამოქალაქო ომში გენერალ ფ. ფრანკოს მხარეზე. 1945-1954 წლებში ცხოვრობდა პერუში. 1957 წლიდან - ამერიკის შეერთებულ შტატებში. იყო ნიუ-იორკში რუს სამხედრო ინვალიდთა კავშირის თავმჯდომარე.

ანდრონიკაშვილი (ანდრონიკოვი) ივანე (ნიკო) (1862-1947) – ქართველი საზოგადო მოღვაწე, აგრონომი. 1887 წელს დაასრულა მოსკოვის ტყის აკადემია. 1902-1916 წლებში – ბათუმის ქალაქის თავი. ხელს უწყობდა ეროვნულ-გამანთავისუფლებელ მოძრაობას. მიუხედავად იმისა, რომ ანდრონიკაშვილის მმართველობა დაემთხვა 1905-1907 წლების რუსეთის პირველი რევოლუციის რთულ პერიოდს, მის დროს აშენდა სასმელი წყლის ახალი სათავე ნაგებობა და ქალთა გიმნაზია, დასრულდა ვაჟთა გიმნაზიის მშენებლობა, საფუძველი ჩაეყარა მწვანე კონცხის ბოტანიკური ბაღის განაშენიანებას და დაიწყო ქალაქის სანაპირო ზოლის შესწავლა ზღვის მიმოქცევის გასარკვევად.

არზამაკოვი უზდენ (მეტსახელი – გაზავატი) – პირველი მსოფლიო ომის დროს ჩრდილოეთ კავკასიის მთიელთა ეროვნულ-გამანთავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი მთავარი აქტივისტი, წარმოშობით ჩეჩენი. მისივე თქმით – დაღესტნის პოლკის ყოფილი ოფიცერი. 1915 წლის ნოემბერში, ბერლინში გერმანული სახმელეთო ძალების გენერალური შტაბის პოლიტიკის სექციის უფროსს, კაპიტან რ. ნადოლნის, იატაკქვეშა ორგანიზაციის „მზის, ვარსკლავის და ნახევარმთვარის“ სახელით თანამშრომლობა შესთავაზა, რომელიც ჩრდილოეთ-კავკასიელ მთიელთა შორის ანტირუსული აჯანყების ორგანიზაციას ისახავდა მიზნად. არზამაკოვის თქმით, თუმცა მის ორგანიზაციის წევრებს მხოლოდ 1000 შაშხანა ჰქონდათ, მათ უკვე განახორციელეს თავდასხმები რუსულ სამხედრო პოსტებზე და რკინიგზის ხაზებზე. 1916 წლის 29 ივნისს, გერმანული წყალქვეშა ნავიდან, გიორგი მაჩაბელთან და აზერბაიჯანელ სელიმ ბეი ბებუთოვთან ერთად გადმოსხმულ იქნა საქართველოს სანაპიროზე ანაკლიასთან, საიდანაც ტფილისის გავლით ვლადიკავკაზში გაემგზავრა. მისი მისიის მიზანი დონის როსტოვიდან დარუბანდამდე მიმავალ რკინიგზის ხაზზე დივერსიების ორგანიზაცია იყო, რასაც რუსეთ-თურქეთის ფრონტზე დისლოცირებული რუსული კავკასიის არმიის მომარაგების შეწყვეტა უნდა მოჰყოლოდა. მიუხედავად იმისა, რომ ტექნიკურ მიზეზთა გამო კონტაქტი არზამაკოვს და გერმანელებს შორის დროებით შეწყვეტილი იყო, 1917 წლის აგვისტოში ქართველმა ემისარმა, შალვა ქარუმიძემ, სტოკჰოლმში გერმანელებს აცნობა, რომ არზამაკოვი, „რუსული მთავრობის არმოსვენების“ მიზნით, თავისი რაზმით რუსულ სამხედრო ტრანსპორტებზე თავდასხმებს ახდენდა და სამხედრო ობიექტებს წვავდა. 1918 წელს არზამაკოვი ცდილობდა ესარგებლა გერმანელებთან საკუთარი კონტაქტებით ბერლინსა და ჩრდილოეთ კავკასიის და დაღესტნის მთიელთა კავშირის ხელმძღვანელთა შორის ურთიერთგაგების დასამყარებლად. ამ მიზნით, 1918 წლის ივნისში მონაწილეობდა საიდუმლო მოლაპარაკებებში ტფილისში კავკასიაში გერმანული სამ-

ხედრო მისიის მეთაურთან, გენერალ კრეს ფონ კრესენშტაინთან. იმავე წლის ივლის-აგვისტოში იმყოფებოდა ბერლინში, სადაც ასრულებდა ჩრდილოეთ კავკასიის და დაღესტნის მთიელთა კავშირის არაოფიციალური დიპლომატიური წარმომადგენლის როლს. არზამაკოვის შემდგომი ბედი უცნობია.

აფხაზი კონსტანტინე (კოტე) (1867-1923) – ქართველი საზოგადო, პოლიტიკური და სამხედრო მოღვაწე. 1885 წელს დაამთავრა ტფილისის კადეტთა სასწავლებელი, ხოლო 1890 წელს – პეტერბურგის სამხედრო აკადემია. მსახურობდა რუსეთის იმპერიის არმიაში. 1906-1917 წლებში – არჩეული იყო ტფილისის საადგილმამულო ბანკის სამეურვეო კომიტეტის წევრად. იმავე ხანებში მისი უშუალო ხელმძღვანელობით კახეთში გაყვანილ იქნა რკინიგზა. 1913-1914 და 1916-1917 წლებში – ქართლ-კახეთის თავადაზნაურთა წინამძღოლი (მარშალი). პირველი მსოფლიო ომის მონაწილე კავკასიის ფრონტზე. სარდლობდა საარტილერიო ბრიგადას. 1916 წელს მიიღო გენერალ-მაიორის ჩინი. 1916-1917 წლებში – რუსეთის იმპერიის სახელმწიფო საბჭოს წევრი. 1917-1918 წლებში - ტფილისის ქართული უნივერსიტეტის დამფუძნებელი საზოგადოების თავმჯდომარე. დიდი წვლილი შეიტანა ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსების საქმეში. 1917 წლის ივნისში – საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთი ფუძემდებელი. იმავე წლის თებერვალ-სექტემბერში – ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის ერთ-ერთი ინიციატორი. 1917 წლის ნოემბერში არჩეულ იქნა საქართველოს ეროვნული საბჭოს წევრად. 1919-1921 წლებში – საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების წევრი ეროვნულ-დემოკრატიული პარტიიდან. 1921 წლის თებერვალ-მარტში წითელი რუსეთის მიერ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ოკუპაციის შემდგომ, – ქართული ეროვნულ-გამანთავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი მთავარი ლიდერი. 1921-1923 წლებში ასრულებდა საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარის მოვალეობას. 1922-1923 წლებში – საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის და მისი სამხედრო ცენტრის თავმჯდომარე. 1923 წლის თებერვალში, შიდა გაცემის შედეგად დაპატიმრებულ იქნა ჩეკა-ს მიერ და იმავე წლის მაისში, დახვრიტეს.

აღაევი (აღაოღლუ) აჰმედ ბეკი (1869-1939) – აზერბაიჯანის და თურქეთის პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე, განმანათლებელი და პედაგოგი. დაამთავრა ტფილისის გიმნაზია. 1887 წელს შევიდა პეტერბურგის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში, თუმცა უკვე 1888 წელს გაემგზავრა პარიზში, სადაც სწავლობს კოლეჯ დე ფრანსის (სორბონას) აღმოსავლეთ ენების სკოლაში. ამავე დროს ეწეოდა პუბლიცისტურ მოღვაწეობას. 1894 წელს ბრუნდება კავკასიაში და ასწავლის ფრანგულ ენას ქალაქ შუშას (ყარაბაღი) რეალურ სასწავლებელში. 1897 წელს გადადის ბაქოში, სადაც განაგრძობს პედაგოგიურ მოღვაწეობას. ამ დროიდან 1907 წლამდე რედაქტორობდა რიგ გაზეთებს, რის დროსაც ადგილი ჰქონდა მის ევოლუციას პანთურქიზმის იდეოლოგიის სასარგებლოდ. 1905-1907 წლების პირველი რევოლუციის დროს სათავეში ედგა რუსეთის მუსულმანთა მოძრაობას, მონაწილეობდა მუსულმანთა ყრილობაში ნიჟნი ნოვგოროდში (1905 წ.), რის შედეგადაც ადგილი ჰქონდა პოლიტიკური პარტიის „İttifak-al-muslimin“ („მუსულმანთა კავშირის“) შექმნას. სტოლიპინის რეაქციის გამო 1909 წელს გადასახლდა

თურქეთში, სადაც განაგრძობს აქტიურ პუბლიცისტურ მოღვაწეობას. ოსმალეთის იმპერიის პირველ მსოფლიო ომში ჩართვის შემდეგ, შედის რუსეთის თურქულ-თათრული წარმოშობის ხალხთა უფლებების დამცველი კომიტეტის შემადგენლობაში, რომელიც, 1916 წლის მაისში, შეუერთდა შვეიცარიაში დაარსებულ „რუსეთის არარუს ხალხთა ლიგას“. 1918 წლის ზაფხულში ასრულებს პოლიტიკური მრჩევლის ფუნქციებს ამიერკავკასიაში დისლოცირებული კავკასიის ისლამური არმიის სარდალ გენერალ ნური ფაშასთან. აზერბაიჯანის დემოკრატიული რესპუბლიკის პარლამენტის წევრი. 1919 წლის დასაწყისში შეყვანილ იქნა პარიზის სამშვიდობო კონფერენციაზე აზერბაიჯანის დიპლომატიური დელეგაციის შემადგენლობაში. იმავე წლის მარტში, დელეგაციის კონსტანტინოპოლში ყოფნისას, დაპატიმრებულ იქნა ინგლისელთა მიერ, როგორც ოსმალეთის იმპერიაში ახალგაზრდა თურქთა რეჟიმის მომხრე და გადასახლებულ იქნა კუნძულ მალტაზე. 1921 წელს თურქეთში დაბრუნების შემდეგ – თურქეთის რესპუბლიკის დიდი ნაციონალური კრების დეპუტატი ყარსიდან.

ბაიშლაგი ფრანც ჰაინრიხ ავგუსტ (Beyschlag Franz Heinrich August) (1856-1935) – ბერლინის სამთო აკადემიის პროფესორი და პრუსიის სამეფო გეოლოგიური საზოგადოების დირექტორი. სწავლობდა ჰალეს უნივერსიტეტში, ბერლინის სამთო აკადემიაში და ბერლინის ჰუმბოლდის უნივერსიტეტში. 1883 წლიდან მუშაობდა გეოლოგად. 1892 წლიდან – ასწავლიდა ბერლინის სამთო აკადემიაში, სადაც, 1898 წელს, გეოლოგიის პროფესორი გახდა. 1901-1923 წლებში – პრუსიის სამეფო გეოლოგიური საზოგადოების დირექტორი.

ბარი რიხარდ (Bahr Richard) (1867-1936) – ბალტიელი გერმანელი პუბლიცისტი და ჟურნალისტი. მიეკუთვნებოდა ანტისლავურად და ანტირუსულად განწყობილი გერმანელების რიცხვს. ბალტიისპირეთს მიიჩნევდა გერმანელების აღმოსავლეთ ბასტიონად ბარბაროსი სლავების წინააღმდეგ ბრძოლაში. 1916 წლიდან – გერმანულ-ქართული საზოგადოების წევრი.

ბასერმანი ერნსტ (Bassermann Ernst) (1854-1917) – გერმანელი ადვოკატი და პოლიტიკოსი, რაიხსტაგის წევრი. იურიდიული განათლება მიიღო ჰაიდელბერგის უნივერსიტეტში, წლების მანძილზე მუშაობდა იურისტად და ცხოვრობდა მანჰაიმში. 90-იან წლებში იყო რაიხსტაგში ნაციონალ-ლიბერალური პარტიის ფრაქციის თავმჯდომარე, 1905 წლიდან კი მთელი პარტიის თავმჯდომარე გახდა. მსოფლიო ომის დაწყების შემდეგ ჯერ კაპიტნის, შემდეგ კი მაიორის წოდებით იმყოფებოდა დასავლეთის ფრონტზე. 1915 წელს გახდა მიტვობის საზოგადოების თანადამფუძნებელი, რომელმაც 1933 წლამდე იარსება და რომელშიც განიხილებოდა საშინაო და საგარეო პოლიტიკური საკითხები პოლიტიკის, ეკონომიკის და კულტურის სფეროთა სხვადასხვა წარმომადგენლების მიერ. იყო შეუზღუდავი წყალქვეშა ომის მომხრე და გუსტავ შტრეზემანთან ერთად მიეკუთვნებოდა ანექსიონისტ ნაციონალ-ლიბერალთა წრეს. 1916-1917 წლებში – გერმანულ-ქართული საზოგადოების წევრი.

ფონ ბაუდისინი ვოლფ ვილჰელმ ფრიდრიხ (von Baudissin Wolf Wilhelm Friedrich) (1847-1926) – გერმანელი თეოლოგი, გრაფი. თეოლოგიას და აღმო-

სავლეთმცოდნეობას სწავლობდა ერლანგენის, ჰაიდელბერგის, ბერლინის, ლაიფციგის და კილის უნივერსიტეტებში. იყო ძველი აღთქმის სპეციალისტი. 1880 წლიდან მონვეულ პროფესორად მუშაობდა სტრასბურგის უნივერსიტეტში, 1881 წლიდან ასწავლიდა მარბურგში. 1900 წლიდან სამუშაოდ გადავიდა ბერლინის უნივერსიტეტში. მიეკუთვნებოდა ძველი აღთქმის საუკეთესო სპეციალისტების რიცხვს. 1916 წლიდან – გერმანულ-ქართული საზოგადოების წევრი.

ბებუთოვი სელიმ ბეი მეჰრალი ოღლუ (1883-1943) – პირველი მსოფლიო ომის დროს აზერბაიჯანის ეროვნულ-გამანთავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი ხელმძღვანელი. დაწყებითი განათლება მიიღო ქ. შუშას რეალურ სასწავლებელში. 1904 წელს შევიდა პეტერბურგის ტექნოლოგიური ინსტიტუტის ქიმიურ ფაკულტეტზე. 1905 წლის იანვრის მოვლენების შედეგად ინსტიტუტის დახურვის შემდეგ, გაემგზავრა საფრანგეთში და შევიდა პარიზის პოლიტიკურ მეცნიერებათა სკოლაში, რომელიც დაასრულა 1910 წელს. 1913 წლამდე პარიზში, „ბერლიცის“ სკოლაში უფროსებისთვის ასწავლიდა რუსულ და თურქულ ენებს. 1913 წელს დაბრუნდა აზერბაიჯანში, სადაც შუშას სკოლაში ასწავლიდა ფრანგულ ენას. პირველი მსოფლიო ომის დაწყების შემდეგ გაემგზავრა ოსმალეთის იმპერიაში, სადაც 1915-1916 წლებში შედიოდა კავკასიური მისიის (კომიტეტის) შემადგენლობაში. ხელი მოაწერა მთელ რიგ დოკუმენტებს კავკასიის რუსეთის იმპერიისაგან განთავისუფლების და გაერთიანებული კავკასიური ფედერაციული სახელმწიფოს შექმნის აუცილებლობის შესახებ. თანამშრომლობდა საქართველოს განთავისუფლების კომიტეტთან. 1916 წლის 29 ივნისს, გერმანული წყალქვეშა ნავიდან გიორგი მაჩაბელთან ერთად საიდუმლოდ გადასმულ იქნა საქართველოს სანაპიროზე ანაკლიასთან, საიდანაც ტფილისის გავლით აზერბაიჯანში გაემგზავრა. 1917 წლის დეკემბერში ქ. განჯაში, არჩეულ იქნა რუსეთის დამფუძნებელი კრების წევრობის კანდიდატად. 1918 წლის ივლის-სექტემბერში – კონსტანტინოპოლში აზერბაიჯანის დელეგაციასთან არსებული ფინანსური მისიის წევრი. 1919 წელს – აზერბაიჯანის რესპუბლიკის მთავრობის მიერ შექმნილი ლტოლვილთა საქმეების უწყებათაშორისო კომისიის წევრი. 1920 წლის აპრილის ბოლოს საბჭოთა რუსეთის მიერ აზერბაიჯანის რესპუბლიკის ოკუპაციის შემდეგ მუშაობდა სხვადასხვა დაწესებულებებში ბაქოში, მათ შორის მხატვრული ლიტერატურის მთარგმნელად ფრანგულიდან აზერბაიჯანულ ენაზე. მუშაობდა ფრანგული ენის პედაგოგად ქ. ბაქოს ერთ-ერთ სკოლაში. 1942 წლის იანვარში დაპატიმრებულ იქნა ნკვდ-ს მიერ როგორც „ხალხის მტერი და სამშობლოს მოლალატი“. დახვრიტეს 1943 წლის იანვარში. რეაბილიტირებულ იქნა 1960 წელს.

ბენეშევიჩი ვლადიმერი (Бенешевич Владимир) (1874-1938) – რუსი და საბჭოთა იურისტი (საეკლესიო სამართლის სპეციალისტი), ისტორიკოსი, ბიზანტინისტი, პალეოგრაფი, რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, საიმპერატორო მართლმადიდებელი პალესტინური საზოგადოების წევრი. 1917 წლის გაზაფხულზე, რუსეთის დროებითი მთავრობის მიერ გამოგზავნილ იქნა ტფილისში საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხის გადაწყვეტის მიზნით.

ბერგფელდი ჰაინრიხ (Bergfeld Heinrich) – გერმანელი დიპლომატი. 1910 წლის მარტიდან 1918 წლის ნოემბრამდე – გერმანიის იმპერიის კონსული ტრაპიზონში

(1916-1917 წლებში, რუსული ჯარების მიერ ტრაპიზონის დროებითი დაკავების გამო, საკონსულოს ადგილსამყოფელი სამსუნში იყო გადატანილი).

ბერნშტაინი ერის (Bernstein Erich) (1866-1932) – მე-19 საუკუნის 80-იან წლებში ტფილისში დასახლებული გერმანელი კოლონისტი. ცნობილი გერმანელი სოციალ-დემოკრატის, ედუარდ ბერნშტაინის ბიძაშვილი. პროფესიით – პედაგოგი. ტფილისში 1906 წლიდან გამომავალი გერმანულენოვანი გაზეთის „Kaukasische Post“-ის („კავკასიური ფოსტა“) რედაქტორის წევრი. 1917 წლიდან იყო საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრი. იმავე წლის 14 მაისს ტფილისში გახსნილი გერმანელი ეროვნების რუსეთის მოქალაქეთა დელეგატთა სამხარეო ყრილობაზე, არჩეულ იქნა მის თავმჯდომარედ. 1918 წელს – გერმანული ეროვნული საბჭოს და ამიერკავკასიის სეიმის წევრი. შედიოდა ტფილისში გერმანული წარმომოხების ამიერკავკასიის მოქალაქეთა ცენტრალურ გაერთიანებაში. 1918 წლის 27 აპრილს მიიღო ამიერკავკასიის ფედერაციული დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობისგან უფლებამოსილება ეწარმოებინა მოლაპარაკებები გერმანიის, ავსტრია-უნგრეთისა და ბულგარეთის ხელისუფლებებთან, მათი მხრიდან ამიერკავკასიის რესპუბლიკის აღიარების მიზნით. 1918 წლის მაისში – გერმანიაში გაგზავნილი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დიპლომატიური დელეგაციის წევრი. 1919 წლის მარტიდან 1921 წლის მარტამდე – საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების წევრი სოციალ-დემოკრატიული პარტიიდან. იყო მომარაგების კომისიის წევრი და საბიუჯეტო-საფინანსო კომისიის მდივანი. საქართველოს საბჭოთა რუსეთის მიერ ოკუპაციის შემდეგ – გადასახლდა გერმანიაში.

ფონ ბერნშტორფი იოჰან ჰაინრიხ (von Bernstorff Johann Heinrich) (1862-1939) – გერმანელი დიპლომატი, გრაფი. იმყოფებოდა დიპლომატიურ პოსტებზე კონსტანტინოპოლში, ბელგრადში, სანქტ-პეტერბურგში, მიუნხენში და ლონდონში, სადაც 1902-1906 წლებში ეკავა საელჩოს მრჩევლის თანამდებობა. 1906-1908 წლებში მსახურობდა ქაიროში (ოსმალეთის იმპერია), ხოლო 1908-1917 წლებში იყო გერმანიის იმპერიის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ამერიკის შეერთებულ შტატებში. 1917-1918 წლებში – გერმანიის ელჩი ოსმალეთის იმპერიაში. 1921-1928 წლებში – რაიხსტაგის დეპუტატი გერმანული დემოკრატიული პარტიიდან. 1926-1928 წლებში – ერთა ლიგაში გერმანიის დელეგატი და განიარაღების მოსამზადებელ კომისიაში გერმანული დელეგაციის ხელმძღვანელი.

ბერნჰარდი გეორგ (Bernhard Georg) (1875-1944) – ებრაული წარმომოხების გერმანელი პუბლიცისტი. იურიდიული განათლება მიიღო ბერლინში ფრანც ფონ ლისტთან. 1901-1903 წლებში „პლუტუსის“ ფსევდონიმით მუშაობდა მაქსიმილიან ჰარდენის გაზეთ „Zukunft“-ში („მომავალი“). 1908 წლიდან მუშაობდა ულშტაინის გამომცემლობაში საგაზეთო განყოფილების ხელმძღვანელად. 1913 წელს ულშტაინმა შეიძინა გაზეთი „Vossische Zeitung“ („ფოსის გაზეთი“), რომლის მთავარი რედაქტორის პოსტიც, 1920-1930 წლებში, ეკავა ბერნჰარდს. პოლიტიკურად იყო სოციალ-დემოკრატი, თუმცა 1906 წელს პარტიიდან წასვლა მოუწია მის ლიდერ, ბებელთან დაპირისპირების გამო. 1916 წლის ივნისიდან – გერმანულ-ქართული

საზოგადოების წევრი. 1928 წელს არჩეულ იქნა რაიხსტაგის წევრად დემოკრატიკ-ბიდან. 1933 წელს ნაციონალ-სოციალისტთა ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ იძულებული იყო გაქცეულიყო გერმანიიდან. დასახლდა პარიზში, სადაც გამოსცემდა თავის გაზეთს „Pariser Tageblatt“ („პარიზის ყოველდღიური ფურცელი“), სადაც ბევრი ცნობილი მემარცხენე ავტორი წერდა. 1941 წელს წავიდა ემიგრაციაში ამერიკის შეერთებულ შტატებში. გარდაიცვალა ნიუ-იორკში.

ფონ ბეტმან-ჰოლვეგი თეობალდ თეოდორ ფრიდრიხ ალფრედ (von Bethmann Hollweg Theobald Theodor Friedrich Alfred) (1856-1921) – გერმანელი პოლიტიკური მოღვაწე. 1882-1905 წლებში – ბრანდენბურგის პროვინციის ობერ-პრეზიდენტი, 1905-1907 წლებში – პრუსიის შინაგან საქმეთა მინისტრი, ხოლო 1907-1909 წლებში – შინაგან საქმეთა იმპერიული სტატს-მდივანი. 1909-1917 წლებში ეკავა გერმანიის იმპერიის რაიხსკანცლერის თანამდებობა.

ბეცოლდი კარლ (Bezold Carl) (1859-1922) – გერმანელი ორიენტალისტი და სემიტურ ხალხთა სპეციალისტი. იყო ლონდონის „ბიბლიური არქეოლოგიის საზოგადოების“, ასევე ჰაიდელბერგის და ბავარიის მეცნიერებათა აკადემიების წევრი.

ბორნჰარდტი ფრიდრიხ ვილჰელმ კონრად ედუარდ (Bornhardt Friedrich Wilhelm Conrad Eduard) (1864-1946) – გერმანელი გეოლოგი. სწავლობდა რეალურ სასწავლებელში ბრაუნშვაიგში და ტიუბინგენის და ბერლინის უმაღლეს სამთოსაინჟინრო სასწავლებლებში. 1895 წელს საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ გაგზავნილ იქნა როგორც გეოლოგი და სამთო საქმის სპეციალისტი გერმანულ აღმოსავლეთ აფრიკაში. 1900 წელს – სამთო ინსპექტორი ქ. ქლაუსთალში. 1901 წელს სამთო სკოლის ხელმძღვანელი ქ. ზიგენში. 1906 წელს – ბერლინის სამთო აკადემიის და გეოლოგიური საზოგადოების დირექტორის მოადგილე. 1907 წელს – გეოლოგიური საზოგადოების დირექტორი და უფროსი საიდუმლო სამთო მრჩეველი. 1912 წელს – უფროსი საიდუმლო სამთო მრჩეველი და მრჩეველი-მომხსენებელი ვაჭრობისა და ინდუსტრიის პრუსიის სამინისტროში. პირველი მსოფლიო ომის დროს ხელმძღვანელობდა სამთო-საინჟინრო სამსახურს გერმანელთა მიერ ოკუპირებული ბრიუსელის გენერალ-გუბერნატორის სამოქალაქო ადმინისტრაციაში. 1917 წელს – სამხედრო სამინისტროს განკარგულებაში ბერლინში. 1922 წელს – ქ. ქლაუსთალის სამთო სამსახურის ხელმძღვანელი.

ბოში კარლ (Bosch Carl) (1851-1937) – გერმანელი საკვები პროდუქტების ფაბრიკანტი და სავაჭრო მრჩეველი. გატაცებული იყო აღმოსავლეთით, ხშირად მოგზაურობდა ჩრდილო და აღმოსავლეთ აფრიკაში და ახლო აღმოსავლეთში, დაახლოებით 10 წელი იცხოვრა ქაიროში. 1903 წელს კვლევითი ექსპედიციის ფარგლებში იმოგზაურა სტამბულიდან ისპაჰანის და თეირანის გავლით კასპიის ზღვამდე. 1905 წელს იყო კაიზერ ვილჰელმ II-ის მიერ აბისინიაში იმპერატორ მენელიკის კარზე მივლენილი დიპლომატიური მისიის წევრი. 1916-1918 წლებში – გერმანულ-ქართული საზოგადოების წევრი. 1928 წელს გამოაქვეყნა საკუთარი ავტობიოგრაფია სახელწოდებით: „ქარავნით მოგზაურობები. გერმანელი ვაჭრის თავგადასავლები ეგვიპტეში, მესოპოტამიაში, სპარსეთსა და აბისინიაში“.

ბრანდესი გეორგ (ნამდვილი გვარი და სახელი: **კოენი მორის**) (Brandes Georg (Cohen Morris)) (1842-1927) – დანიელი კრიტიკოსი და მწერალი, რომელმაც დიდი გავლენა მოახდინა სკანდინავურ და ევროპულ ლიტერატურაზე. ჩამოაყალიბა ახალი რეალიზმის და ნატურალიზმის პრინციპები. ლიტერატურაში კულტურული რადიკალიზმის მოძრაობის ფუძემდებელი. გამობდა ეროვნული უმცირესობების ჩაგვრას. პირველი მსოფლიო ომის დროს გამოდიოდა სახელმწიფოთა ორივე მემორი ბლოკის იმპერიალიზმის და აგრესიის წინააღმდეგ. საკუთარი ცხოვრების ბოლო წლები დაუთმო ანტირელიგიურ პოლემიკას.

ბრანდტნერ დეზიდერიუს (Brandtner Desiderius) (?-1918) – ავსტრო-უნგრელი ოფიცერი, ობერ-ლეიტენანტი. პირველი მსოფლიო ომის მონაწილე. 1916 წელს ტყვედ ჩავარდა რუსეთის ფრონტზე. სამარაში მყოფ სამხედრო ტყვეთა ბანაკიდან შეძლო გაქცევა ბაქოში, სადაც კავშირი დაამყარა ადგილობრივ მაჰმადიანურ კომიტეტთან და მასთან ერთად, 1917 წელს მონაწილეობას იღებდა მაჰმადიანური რაზმების ჩამოყალიბებაში. ავსტრია-უნგრეთში დაბრუნების შემდეგ, არმიის სარდლობამ ბრანდტნერი სპეციალური მისიის შესასრულებლად გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს განკარგულებაში გადასცა. ის და საქართველოს განთავისუფლების კომიტეტის წევრი, გიორგი მაჩაბელი, სათავეში უნდა ჩადგომოდნენ ქართული კომიტეტის წევრების, ქართველ მაჰმადიანთა და კათოლიკეთა, თურქეთში მცხოვრებ ქართველთა და ჩრდილოკავკასიელთა წარმომადგენლებისგან შემდგარ დელეგაციას და კავკასიაში გამგზავრებულიყვნენ. მისიის მიზანი, როგორც კავკასიაში შექმნილი მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის შეგროვება, ისე დამოუკიდებლობის მომხრე პარტიებზე გავლენის მოხდენა იყო, რათა მათ ხელისუფლება ხელში ჩაეგდოთ და ერთიანი ფედერალური კავკასიური სახელმწიფო გამოეცხადებინათ. კერძოდ, თათრული არმიის ჩამოყალიბების მიზნით, ბრანდტნერს აზერბაიჯანლებთან უნდა ემუშავა. ექსპედიცია ჩაიშალა ოსმალეთის მთავრობის პოზიციის გამო, რომელიც ბრანდტნერის მისიაში, კავკასიაში საკუთარი ექსპანსიონისტური გეგმების ხელისშემშლელ გარემოებას ხედავდა. ბრანდტნერმა კავკასიაში მხოლოდ 1918 წლის მაისში ჩააღწია, როდესაც იქ უკვე თავად გერმანელებიც იყვნენ. ივნისში, ტფილისიდან ბაქოში მგზავრობის დროს, ქ. ევლახთან, ბრანდტნერი ბანდიტური თავდასხმის მსხვერპლი გახდა.

ბრატარი კარლ ადოლფ (Brattar Carl Adolf) (1861-?) ავსტრიელი ჟურნალისტი, მწერალი და რედაქტორი. დაამთავრა ვენის უნივერსიტეტი ფილოლოგიის სპეციალობით. 1885-1901 წლებში მუშაობდა ნიუ-იორკში. 1905 წლიდან იყო ჰამბურგის და ნიუ-იორკის გაზეთების კორესპონდენტი ბალკანეთში. 1908-1931 წლებში ულშტაინის გამომცემლობის რედაქტორი. თარგმანებთან და სხვა წიგნებთან ერთად, 1915 წელს გამოცემული აქვს ბროშურა „სომხეთის საკითხი“. 1916 წლის ივნისიდან – გერმანულ-ქართული საზოგადოების წევრი.

ბრატიანუ იონ ი. გ. (Brătianu Ion I. C.) (1864-1927) – რუმინეთის სახელმწიფო მოღვაწე. 1897-1899 და 1901-1902 წლებში – რუმინეთის საზოგადოებრივი შრომის მინისტრი. 1907-1908 წლებში – შინაგან საქმეთა მინისტრი. 1909-1910, 1914-1919, 1922-1927 წლებში ხუთჯერ ეკავა რუმინეთის სამეფოს პრემიერ-მინისტრის პოსტი. 1919 წელს – რუმინეთის დიპლომატიური დელეგაციის თავმჯდომარე პარიზის სამშვიდობო კონფერენციაზე.

ფონ ბურიან რაიეჟ შტეფან (von Buriàn Rajecz Stephan) (1851-1922) – ავსტრო-უნგრელი დიპლომატი და სახელმწიფო მოღვაწე, ბარონი, გრაფი. დიპლომატიური აკადემიის დამთავრების შემდეგ, თავდაპირველად იმყოფებოდა საკონსულო სამსახურში, მათ შორის ავსტრია-უნგრეთის გენერალურ საკონსულოში მოსკოვში. შემდეგ გადავიდა დიპლომატიურ სამსახურში. 1887-1895 წლებში – ელჩი სოფიაში (ბულგარეთი), 1896-1897 წლებში – ელჩი ვიურტემბერგში. 1897-1903 წლებში – ელჩი ათენში (საბერძნეთი). ითვლებოდა ექსპერტად ბალკანების საკითხებში. 1900 წელს მიენიჭა ბარონის, ხოლო 1918 წელს – გრაფის ტიტული. 1903-1912 წლებში – ავსტრია-უნგრეთის ფინანსთა მინისტრი. 1913-1915 წლებში – სრულუფლებიანი მინისტრი უნგრეთის მეფესთან (იმპერატორ ფრანც-იოსების ერთ-ერთი ტიტული). ფაქტობრივად, ახორციელებდა კავშირს ვენის ცენტრალურ ხელისუფლებასა და ბუდაპეშტში უნგრეთის მთავრობას შორის. 1915-1916 წლებში – ავსტრია-უნგრეთის საგარეო საქმეთა მინისტრი. 1916-1918 წლებში – ხელახლა ფინანსთა მინისტრი.

ფონ დემბუსჟე-ჰადენჰაუზენჰილმარ ფრაიჰერ (von dem Bussche-Haddenhausen Hilmar Freiherr) (1867-1939) – გერმანელი დიპლომატი. იურიდიული განათლების მიღების შემდეგ ერთი პერიოდი მუშაობდა პროფესიით. 1895 წლიდან შევიდა დიპლომატიურ სამსახურში, მუშაობდა სხვადასხვა საელჩოებსა და საკონსულოებში. 1903 წელს იყო საელჩოს მრჩეველი ვაშინგტონში, 1906 წელს მომხსენებელი მრჩეველი საგარეო საქმეთა სამინისტროში. 1910-1913 წლებში – გერმანიის ელჩი ბუენოს აირესში (არგენტინა), 1915-1916 წლებში – ბუქარესტში (რუმინეთი). 1916-1918 წლებში – უმცროსი სახელმწიფო მდივანი საგარეო საქმეთა სამინისტროში. გერმანიაში რევოლუციის შემდეგ, 1919 წელს, დატოვა დიპლომატიური სამსახური. გარდაიცვალა ბუენოს აირესში.

გაბაშვილი (გაბაევი) ვასილი (1853-1933) – რუსეთის იმპერიის და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამხედრო მოღვაწე, გენერალ-ლეიტენანტი. დაამთავრა ტფილისის ფეხოსანთა იუნკერთა სასწავლებელი. 1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომის მონაწილე. 1901 წელს – პოლკოვნიკი. 1904-1908 წლებში 79-ე კურინის ფეხოსანთა პოლკის მეთაური. 1904-1905 წლების რუსეთ-იაპონიის ომის მონაწილე. 1908 წელს – გენერალ-მაიორი. 1908-1913 წლებში კავკასიური გრენადერთა დივიზიის 1 ბრიგადის მეთაური. 1913 წელს მიენიჭა გენერალ-ლეიტენანტის სამხედრო წოდება. პირველი მსოფლიო ომის მონაწილე. 1914-1915 წლებში მე-3 კავკასიური ფეხოსანთა ბრიგადის მეთაური. 1915-1916 წლებში – კავკასიური გრენადერთა დივიზიის მეთაური. 1916 წლის აგვისტოდან 1917 წლის ბოლომდე – ტფილისის სამხედრო კომენდანტი. 1917 წლის ბოლოს დანიშნულ იქნა ქართული საარმიო კორპუსის მეთაურად. 1918 წლის 26 მაისის შემდეგ მსახურობდა დამოუკიდებელი საქართველოს შეიარაღებულ ძალებში. 1921 წლის მარტის შემდეგ გავიდა პენსიაზე.

გამსახურდია კონსტანტინე (1891-1975) – ქართველი პროზაიკოსი, ესეისტი, კრიტიკოსი, ჟურნალისტი, მთარგმნელი, საზოგადო მოღვაწე. მეოცე საუკუნის ქართული მწერლობის ერთ-ერთი უმთავრესი წარმომადგენელი. წარმოშობით აბაშიდან. სასკოლო განათლება მიიღო ქუთაისის სათავადაზნაურო გიმნაზიაში,

რის შემდეგაც 1912-1913 წლებში ესწრებოდა ლექციებს კიონიგსბერგის და ლაიფციგის უნივერსიტეტებში გერმანიაში. იყო სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის წევრი. 1913-1914 წლებში ირიცხებოდა მოსკოვის უნივერსიტეტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტზე. 1914 წელს მსოფლიო ომის დაწყებას მიუხედავად საქორწინო მოგზაურობაში ყოფნის დროს, სადაც 3 აგვისტოს დააპატიმრეს, რადგან შეცდომით სერბი ეგონათ. პატიმრობა გაატარა ისმანიგის სასახლეში და ტრაუნშტაინის ტყვეთა ბანაკში. ტყვეობიდან გათავისუფლდა 1915 წლის 18 აგვისტოს. გარკვეული ხნით მიუნხენში რჩებოდა, ხოლო დეკემბრის შუა რიცხვებში ბერლინში გადავიდა აღმოსავლეთის საინფორმაციო ბიუროში სამუშაოდ მისი მიუნხენელი პროფესორის – ფრიდრიხ ფონ დერ ლაიენის რეკომენდაციით. ბერლინში ყოფნისას გამსახურდიას ჰქონდა ორი მოვალეობა: საქართველოს განთავისუფლების კომიტეტის გაზეთში მუშაობა და ქართველ სამხედრო ტყვეებთან შეხვედრა და მათი კომიტეტის მხარეს გადაბირება. 1916 წლის 27-29 ივნისს კომიტეტის სახელით მიხეილ წერეთელთან ერთად მონაწილეობდა ლოზანაში გამართულ „ერთა კავშირის“ მესამე კონგრესზე. 1916 წლის ბოლოს დაბრუნდა საქართველოში და მუშაობდა სოციალისტ-ფედერალისტურ პრესაში. 1918 წელს დამოუკიდებელი საქართველოს კულტურის სამინისტროს მიერ მივლენილ იქნა გერმანიაში ადგილობრივი სასკოლო სისტემის შესასწავლად. გერმანიაში ყოფნის დროს, 1919 წლის 15 მაისს, ბერლინის ფრიდრიხ-ვილჰელმის უნივერსიტეტში დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე „საქართველოს მეფე ერეკლე მეორე“. 1919 წლის აგვისტოში მონაწილეობა მიიღო საქართველოს ხელისუფლების მიერ ნაქირავებ გემ „ქრისტიან ნებეთი“ 1716 ქართველი სამხედრო ტყვის სამშობლოში დაბრუნებაში. 1923 წელს რამდენიმე თვით ესწრებოდა ლექციებს სორბონის უნივერსიტეტში პარიზში. საქართველოში საბოლოოდ დაბრუნების შემდეგ იყო მრავალჯერ დაპატიმრებული და გადასახლებული ბოლშევიკური ხელისუფლების მიერ, როგორც „რეაქციონერი მწერალი“, თუმცა გადაურჩა 1937 წლის სტალინისეულ რეპრესიებს, რომელმაც მისი თაობის მწერლების დიდი ნაწილი შეიწირა. რამდენიმე მნიშვნელოვანი ისტორიული რომანის ავტორი. 1944 წლიდან მეცნიერებათა აკადემიის წევრი. გარდაიცვალა და დაკრძალულია თბილისში, კოლხურ კოშკში.

გარბათი ოიგენ ლ. (Garbathy Eugen L.) (1880-1970) – გერმანიის იმპერიაში სიგარეტის ერთ-ერთი უდიდესი მწარმოებლის, იოზეფ გარბათის ვაჟი. წარმოშობით ებრაული ოჯახიდან, რომლის წევრებიც რუსეთის იმპერიიდან პრუსიაში გაიხიზნენ და იქ სიგარეტის იმპერიის შექმნას მიაღწიეს. გარბათის სიგარეტის ფაბრიკა ბერლინის უბან პანკოვში ფუნქციონირებდა. 1916-1918 წლებში – შედიოდა გერმანულ-ქართულ საზოგადოებაში ბერლინში. 1938 წელს ნაციონალ-სოციალისტურ გერმანიაში ანტიებრაული ფინანსური კანონმდებლობის მიღების და გარბათების ქონების ძალდატანებითი გაყიდვის შემდეგ, მთელი ოჯახი, სიგარეტის იმპერიის დამაარსებლის გარდა, ამერიკის შეერთებულ შტატებში გადასახლდა. იოზეფ გარბათი მშობლიურ პანკოვში, 88 წლის ასაკში გარდაიცვალა.

გაგაჭკორი ევგენი (1881-1954) – ქართველ სოციალ-დემოკრატთა და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ერთ-ერთი ხელმძღვანელი. 1907-1912 წლებში – რუსეთის იმპერიის მე-2 სახელმწიფო დუმის დეპუტატი. 1917 წლის ნოემბრიდან 1918 წლის აპრილის ჩათვლით – ამიერკავკასიის კომისარიატის თავ-

მჯდომარე, სადაც ეკავა საგარეო საქმეთა კომისრის თანამდებობა. 1918 წლის ივნისიდან 1921 წლის მარტამდე – საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი. 1921 წლის მარტიდან ემიგრაციაში საფრანგეთში. საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის უცხოეთის ბიუროს წევრი.

გედევანიშვილი (გედევანოვი) იოსებ (1872-1939) - ქართველი სამხედრო, პოლიტიკოსი, დრამატურგი, პუბლიცისტი. დაიბადა ტფილისის გუბერნიის დუშეთის მაზრის სოფელ მცხეთაში. დაამთავრა ტფილისის კადეტთა კორპუსი და პავლეს სამხედრო სასწავლებელი. სწავლობდა რუსეთის იმპერიის გენშტაბის აკადემიაში. 1904 წლიდან იყო საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიის წევრი. 1905 წლის რევოლუციის მონაწილე. 1906 წელს დუშეთის მაზრის სახაზინო ბანკის სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის სასარგებლოდ ლ. და გ. კერესელიძეებთან და ნ. მაღალაშვილთან ერთად ექსპროპრიაციაში მონაწილეობისათვის 1907 წელს კაპიტნის ნოდებით დათხოვნილ იქნა არმიიდან. ეწეოდა აქტიურ პოლიტიკურ და რევოლუციურ საქმიანობას. 1910 წლიდან მოღვაწეობდა სალიტერატურო სარბიელზე. 1919 წლის მარტში არჩეულ იქნა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების წევრად სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის სიით. 1918 წლის აგვისტოდან იყო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამხედრო სამინისტროს საერთო განყოფილების ხელმძღვანელი, 1919 წლის დასაწყისიდან – აფხაზეთის და შავი ზღვისპირეთის ქართული გარნიზონის სარდალი. 1920 წლის ბოლოდან ინიშნება ბორჩალოს მაზრის ქართული გარნიზონის სარდალად. 1920 წლის 4 დეკემბრიდან დაინიშნა სამხრეთის და სამხრეთ-აღმოსავლეთის ფრონტის სარდალად. 1926-1928 წლებში იყო ზ. ფალიაშვილის სახელობის თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის დირექტორი. 1928-1929 წლებში – ამიერკავკასიის რადიოგადაცემათა რწმუნებული. 1929 წლიდან მუშაობდა საქართველოს ცენტრალურ არქივში.

ფონ გვინერი არტურ ფილიპ ფრიდრიხ ვილჰელმ (von Gwinner Arthur Phillip Friedrich Wilhelm) – გერმანელი ბანკირი, მისი დროის ერთ-ერთი ცნობილი სახე. საბანკო საქმე ისწავლა და მუშაობდა ფრანკფურტში, ლონდონსა და მადრიდში. ფლობდა საკუთარ ბანკს, რომლის დახურვის შემდეგ შევიდა „დოიჩე ბანკის“ დირექტორთა საბჭოში 1894 წელს, სადაც იმყოფებოდა 1919 წლამდე. დიდი საგარეო გამოცდილებიდან გამომდინარე, მას ბანკის საგარეო საქმეების მართვა ევალებოდა. 1900 წლიდან გახდა ბანკის დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე გეორგ ფონ სიმენსის წასვლის შემდეგ. გვინერმა დიდი წვლილი შეიტანა გერმანიის ფინანსური ინტერესების გაძლიერებაში აღმოსავლეთ ევროპასა და ახლო აღმოსავლეთში, რის გამოც მას საგარეო საკითხებში პოლიტიკოსადაც აღიქვამდნენ. 1916-1918 წლებში იყო გერმანულ-ქართული საზოგადოების წევრი. 1919 წელს ბანკის მმართველობიდან წასვლის შემდეგაც რჩებოდა „დოიჩე ბანკის“ სამეთვალყურეო საბჭოს დირექტორის მოადგილედ. გატაცებული იყო მინერალოგიით, ბოტანიკით და ნუმისმატიკით. იყო ერლანგენის და ფრანკფურტის უნივერსიტეტების საპატიო პროფესორი.

გლობაჩოვი კონსტანტინე (Глобачёв Константин) (1870-1941) – რუსეთის იმპერიის პოლიციის ადმინისტრატორი, გენერალ-მაიორი. დაამთავრა პოლოცკის

კადეტთა კორპუსი და პავლეს პირველი სამხედრო სასწავლებელი. 1888 წლიდან შევიდა სამხედრო სამსახურში. 1903 წელს გადაყვანილ იქნა ჟანდარმთა ცალკე კორპუსში. 1905 წლიდან – ლოდის და ლასკის მაზრების ჟანდარმერიის სამმართველოს უფროსი. 1906 წელს მიენიჭა ჟანდარმთა ცალკე კორპუსის ვიცე-პოლკოვნიკის წოდება. 1909 წლიდან – ქ. ვარშავის საზოგადოებრივი უსაფრთხოების და წესრიგის დაცვის განყოფილების უფროსი. 1910 წელს მიენიჭა ჟანდარმერიის პოლკოვნიკის წოდება. 1912 წლიდან – ნიჟეგოროდის გუბერნიის ჟანდარმერიის სამმართველოს უფროსი. 1914 წლიდან – ქ. სევასტოპოლის ჟანდარმერიის სამმართველოს უფროსი. 1915-1917 წლებში – პეტროგრადის საზოგადოებრივი უსაფრთხოების და წესრიგის დაცვის განყოფილების უფროსი. 1916 წელს – მიენიჭა გენერალ-მაიორის წოდება. 1917 წლის თებერვლის რევოლუციის დროს გლობაჩოვი დაპატიმრებულ იქნა. გაათავისუფლეს მცირე ხნით ადრე ოქტომბრის ბოლშევიკურ გადატრიალებამდე. ემიგრაციაში ცხოვრობდა საფრანგეთში და აშშ-ში.

გოგელია გიორგი (კომანდო) (1878-1924) – ქართველ ანარქისტთა ერთ-ერთი ლიდერი. დაამთავრა ქუთაისის სასულიერო სემინარია და ლოზანის უნივერსიტეტის აგრონომიული ფაკულტეტი. 1897 წლიდან სწავლობდა ქ. ნანსის (საფრანგეთი) აგრონომიულ სასწავლებელში. ისმენდა ლექციების კურსს ქიმიკაში ჟენევის უმაღლეს სასწავლებელში. ჟენევაში რედაქტორობდა ანარქისტების პარტიულ ორგანოს „Хлеб и Воля“-ს („პური და თავისუფლება“), რომელშიც აქტიურად თანამშრომლობდნენ ცნობილი ანარქისტები: პეტრე კროპოტკინი, ვარლამ ჩერქეზიშვილი და ლუიჯი ბერტონი. 1905 წლის რუსეთის რევოლუციის დროს ჩამოვიდა საქართველოში, ეწეოდა რევოლუციურ პროპაგანდას სოხუმსა და ტფილისში, რედაქტორობდა გაზეთებს „ნობათი“ და „მუშა“. რევოლუციის ჩახშობის შემდეგ, ისევ ევროპას შეაფარა თავი. ცხოვრობდა ინგლისში და შვეიცარიაში. გამოაქვეყნა მთელი რიგი შრომები ანარქიზმის შესახებ. 1921 წელს მძიმედ ავადმყოფი დაბრუნდა საქართველოში. ცხოვრობდა ჯერ ქუთაისში, შემდეგ ქობულეთში.

გოზალიშვილი (გოზალოვი) ალექსანდრე – პირველი მსოფლიო ომის დროს საქართველოს ეროვნულ-გამანთავისუფლებელი მოძრაობის აქტივისტი. ტფილისში პირველ ვაჟთა გიმნაზიის 7-წლიანი კურსის დამთავრების შემდეგ, გაურკვეველ მიზეზთა გამო საცხოვრებლად ოსმალეთის იმპერიაში გადავიდა, სადაც დაამთავრა კონსტანტინოპოლის ფრანგული გიმნაზია. გარდა ამისა, პირველ მსოფლიო ომამდე დამთავრებული ჰქონდა კონსტანტინოპოლის თურქული უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. 1914-1918 წლებში – საქართველოს განთავისუფლების კომიტეტის წევრი. ასრულებდა კომიტეტის მდივნის მოვალეობას. 1918 წლის თებერვალში უფლება მიიღო შეესწავლა სამართალი და მოემზადებინა სადოქტორო დისერტაცია ბერლინის ფრიდრიხ-ვილჰელმის სამეფო უნივერსიტეტში, თუმცა უცნობია, შეძლო თუ არა ამის განხორციელება. 20-30-იან წლებში ცხოვრობდა სტამბოლში. პრომეთეისტული მოძრაობის მონაწილე. 1940 წელს – კავკასიის კონფედერაციის საბჭოს თურქული ფილიალის წევრი.

გოთუა პარტენ (1873-1936) – ქართველი მწერალი, პუბლიცისტი, პედაგოგი, ჟურნალისტ-გამომცემელი, საზოგადო მოღვაწე. დაამთავრა ოდესის უნივერსი-

ტეტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტი. 1898 წელს დანიშნეს ვლადიკავკაზის საქალაქო სასწავლებელსა და ქალთა გიმნაზიაში ისტორიის, გეოგრაფიის, პედაგოგიკის და მეთოდის მასწავლებლად. 1899 წლიდან იყო ვლადიკავკაზის ქართული სკოლის ფაქტობრივი ხელმძღვანელი და ქართული საზოგადოების თავმჯდომარე. 1903 წელს მუშაობა დაიწყო ტფილისის ბექდვითი კომიტეტის ცენზორად, თუმცა მალე დაითხოვეს „არაკეთილსაიმედობის“ გამო. 1905 წელს დააარსა ქართული ეროვნული ორიენტაციის რუსულენოვანი გაზეთი «Возрождение» („ალორძინება“), რისთვისაც იდევნებოდა ხელისუფლების მიერ. გაზეთთან თანამშრომლობდნენ იმდროინდელი პროგრესული საზოგადოების მოღვაწეები და მწერლები, მათ შორის ნიკო ნიკოლაძე და აკაკი წერეთელი. 1907 წელს აირჩიეს ქალაქის საბჭოს ხმოსნად. იღვნოდა აჭარაში ქართული სკოლების ქსელის გასაფართოებლად, ტფილისში პოლიტექნიკური უმაღლესი სასწავლებლის დასაარსებლად. იყო ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობის წევრი, შემდეგ კი – თავმჯდომარე. აქტიურად მონაწილეობდა საქალაქო და ცენტრალური ბანკის დაფუძნებაში, რომელსაც თვითონ ჩაუდგა სათავეში. გამოუშვა ქართული გაზეთები „სავაჭრო გზა“ და „ახალი დროება“. დასტამბა არაერთი ნაშრომი საქართველოს ეკონომიკური განვითარების საკითხებზე. იყო ქველმოქმედი (ეხმარებოდა ხელმოკლე ახალგაზრდა მწერლებსა და სტუდენტებს). დაიღუპა საგზაო კატასტროფის დროს. დაკრძალულია ვაკის სასაფლაოზე, მწერალთა ყოფილ პანთეონში.

ფონ დერ გოლც კოლმარ ფრაიჰერ (von der Goltz Colmar Freiherr) (1843-1916) – პრუსიელი და გერმანელი სამხედრო მოღვაწე, გენერალ-ფელდმარშალი. 1897 წელს დაამთავრა პრუსიის სამხედრო აკადემია. 1871 წლის საფრანგეთ-პრუსიის ომის მონაწილე. 1878 წლიდან მსახურობდა დიდი გენერალური შტაბის სამხედრო-ისტორიულ განყოფილებაში. 1883 წლიდან, გერმანიისა და ოსმალეთის იმპერიის დაახლოვების შემდეგ, გადადის თურქულ სამსახურში. 1886 წელს დაინიშნა ოსმალური იმპერიის გენერალური შტაბის უფროსის მოადგილედ და განახორციელა თურქული არმიის რეორგანიზაცია. თურქეთის მიერ 1897 წელს საბერძნეთის დამარცხების შემდეგ მიენიჭა მუშირის (მარშალის) წოდება. 1896 წელს დაბრუნდა გერმანიაში, სადაც მიენიჭა გენერალ-ლეიტენანტის სამხედრო წოდება. დივიზიის და კორპუსის მეთაური. 1907 წლიდან – გერმანიის სამხედრო სასწავლებელთა გენერალ-ინსპექტორი, ხოლო შემდეგ – მე-6 საარმიო ინსპექციის მეთაური. 1909-1912 წლებში – თურქეთის უმაღლესი სამხედრო საბჭოს თავმჯდომარე. 1911 წელს მიენიჭა პრუსიის გენერალ-ფელდმარშალის წოდება. პირველი მსოფლიო ომის მონაწილე. 1914 წელს იყო გერმანული ჯარების მიერ ოკუპირებული ბელგიის გენერალ-გუბერნატორი. 1914 წლის ნოემბრიდან 1915 წლის აპრილამდე – თურქეთის სულთან მეჰმედ V-ს ადიუტანტი. ფაქტობრივად, ხელმძღვანელობდა თურქული არმიის სამხედრო მოქმედებებს. 1915 წლის ოქტომბრიდან – კონსტანტინოპოლის რაიონში დისლოცირებული 1 თურქული არმიის მეთაური. იმავე წლის ოქტომბრიდან – მე-6 თურქული არმიის მეთაური მესოპოტამიაში, სადაც დაამარცხა ინგლისელები. დასაფლავებულია კონსტანტინოპოლში.

გომართელი ივანე (1876-1938) – ქართველი სოციალ-დემოკრატი. სწავლობდა ტფილისის სათავადაზნაურო გიმნაზიაში და ტფილისის მეორე გიმნაზიაში.

უმალესი სამედიცინო განათლება მიიღო მოსკოვის უნივერსიტეტში, რომელიც დაამთავრა 1899 წელს. 1897 წლიდან იყო რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის წევრი. 1905 წელს, მცირე ხნით დატოვა პარტია ეროვნულ საკითხში უთანხმოების გამო. 1901 წლიდან იყო ჟურნალ „კვალი“-ს თანამშრომელი. 1906 წელს – რუსეთის პირველი დუმის დეპუტატი რსდმპ-ს სიით, ქუთაისის გუბერნიიდან. იმავე წლის 10 ივლისს ხელი მოაწერა ვიბორგის მონოდებას, რის გამოც 1907 წელს 3 თვით დაპატიმრებული იყო. პოლიტიკური საბაბით დაპატიმრებული იყო 1908 და 1910-1911 წლებში. შედიოდა საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის „ალიონი“-ს ჯგუფში. 1917-1918 წლებში – საქართველოს ეროვნული საბჭოს წევრი. 1919-1921 წლებში – საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების წევრი სოციალ-დემოკრატიული პარტიიდან. იყო სარედაქციო ხელოვნების და სახალხო ჯანმრთელობის კომისიების თავმჯდომარე, სარეკომენდაციო და საპროპაგანდო კომისიების წევრი. 1921 წლის თებერვალ-მარტში საქართველოს რესპუბლიკის ბოლშევიკური რუსეთის მიერ ოკუპაციის შემდეგ, ჩამოშორდა პოლიტიკურ საქმიანობას.

გრიპარისი იოანის (Gryparis Ioannis) – ბერძენი დიპლომატი. 1910-1912 წლებში – საბერძნეთის სამეფოს საგარეო საქმეთა მინისტრი. შემდგომ წლებში – საბერძნეთის ელჩი ოსმალეთის იმპერიაში და ავსტრია-უნგრეთში.

გუმერუსი ჰერმან გრიგორიუს (Gummerus Herman Gregorius) (1877-1948) – ფინეთის საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწე, დიპლომატი და სახალხო პატრიოტული მოძრაობის ერთ-ერთი დამფუძნებელი. სწავლობდა ძველი რომის ისტორიას ჰელსინკის და ბერლინის უნივერსიტეტში, პროფესორ ედუარდ მაიერის ხელმძღვანელობით. 1906 წელს დაიცვა სადოქტორო დისერტაცია. 1904 წელს დაპატიმრებულ იქნა ცარისტული ხელისუფლების მიერ როგორც ფინეთის დამოუკიდებლობის მომხრე და დატუსაღებულ იქნა პეტრე-პავლეს ციხესიმაგრეში. პირველი მსოფლიო ომის დაწყების შემდეგ, 1914 წლის ბოლოდან ფინელებთან ფ. ვეტერჰოფთან, ი. ზუნდვალთან და კ. ცილიაკუსთან ერთად დაარსა ნეიტრალურ შვედეთში (სტოკჰოლმში) ფინეთის დამოუკიდებლობის კომიტეტი. 1916 წლის ივნისიდან ხელმძღვანელობდა სტოკჰოლმში „რუსეთის არარუს ხალხთა ლიგის“ ფინურ ბიუროს. თანამშრომლობდა გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროსთან, რომელსაც აწვდიდა სადაზვერვო და სხვა ინფორმაციას რუსეთში არსებული მდგომარეობის შესახებ. მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა ბალტიის ქვეყნების, უკრაინის და კავკასიის ეროვნულ-გამანთავისუფლებელი მოძრაობის წარმომადგენლებთან. 1918 წელს ფინეთის მიერ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ხელმძღვანელობდა ფინეთის დიპლომატიურ მისიას კიევში. 1920-1925 წლებში – ფინეთის დესპანი რომში. 1925 წელს დაბრუნდა ფინეთში. მემარჯვენე სახალხო-პატრიოტული მოძრაობის ერთ-ერთი დამაარსებელი. 1911-1920 და 1926-1947 წლებში ასწავლიდა ძველი რომის ისტორიას ჰელსინკის უნივერსიტეტში.

გუტმანი ჰერბერტ მაქსიმილიან (Gutmann Herbert Maximilian) (1879-1942) – გერმანიის იმპერიაში ცნობილი ებრაული წარმოშობის ბანკირთა ოჯახის წარმომადგენელი. მამამისი, ოიგენ გუტმანი, იყო „დრეზდნერ ბანკის“ („დრეზდენის ბანკის“) ერთ-ერთი დამფუძნებელი და მისი წარმატების შემოქმედი. ჰერბერტ

გუტმანმა ეკონომიკური განათლება მიიღო ბერლინის ფრიდრიხ-ვილჰელმის უნივერსიტეტში, რის შემდეგაც მამის გავლენით საბანკო საქმეში ჩაერთო. ჰქონდა განსაკუთრებული ინტერესი აღმოსავლეთის მიმართ, იყო ისლამური კულტურის ნიმუშების კოლექციონერი და 1906 წლის იანვარში, გერმანიის „ორი-ენტბანკის“ („აღმოსავლეთის ბანკის“) დამფუძნებელი. იყო გერმანულ-სპარსული საზოგადოების თავმჯდომარე და ვანზეეს გოლფის კლუბის პრეზიდენტი. აგრეთვე, 1916-1918 წლებში, – გერმანულ-ქართული საზოგადოების წევრი. გერმანიაში ნაციონალ-სოციალისტთა ხელისუფლების სათავეში მოსვლის შემდეგ, 1936 წელს იძულებული შეიქნა დაეტოვებინა გერმანია. გარდაიცვალა დიდ ბრიტანეთში.

დადიანი ნიკოლოზ (კოკი) (1878-1939) – ქართული ეროვნულ-გამანთავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი მოღვაწე. სწავლობდა ქუთაისის გიმნაზიაში, რომელიც არ დაუსრულებია. სრულიად ახალგაზრდა (იმ დროს ის ოცი წლისაც არ იყო) აირჩიეს სენაკის მაზრის თავადაზნაურობის მარშლად, რის შემდეგაც ამავე თანამდებობაზე ხელახლა ექვსჯერ იქნა არჩეული. 1917 წლამდე – სოციალისტ-ფედერალისტთა, ხოლო 1917 წლიდან – საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წევრი. უშუალო მონაწილეობას იღებდა საქართველოს განთავისუფლების კომიტეტის მიერ გერმანული წყალქვეშა ნავებით შემოტანილი იარაღის საკუთარი მამულის ტერიტორიაზე შენახვაში. 1918-1921 წლებში მსახურობდა საქართველოს შეიარაღებულ ძალებში. 1921 წლის თებერვალ-მარტში საქართველოს ბოლშევიკური რუსეთის მიერ ოკუპაციის და ანექსიის შემდეგ – ემიგრაციაში საფრანგეთში. ცხოვრობდა პარიზში. იყო ქართული პოლიტიკური ორგანიზაციების „თეთრი გიორგის“ და „ქართლოსის“ ერთ-ერთი ხელმძღვანელი.

დავრიშაშვილი (დავრიშევი) იოსებ (1882-1975) – ქართველი სოციალისტ-ფედერალისტი. დაიბადა გორში. 1905 წლის რუსეთის პირველი რევოლუციის მონაწილე. იყო სოციალისტ-ფედერალისტთა მებრძოლი რაზმის წევრი. 1906 წლის მაისში ლეო და გიორგი კერესელიძეებთან და ნესტორ მაღალაშვილთან ერთად მონაწილეობდა დუშეთის სახელმწიფო ბანკის განყოფილებაზე შეიარაღებულ თავდასხმაში, რის შედეგადაც სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის სასარგებლოდ რეკვიზირებულ იქნა 315 000 მანეთი. იმავე წელს იძულებული შეიქნა დაეტოვებინა საქართველო და გადასახლებულიყო ქ. ჟენევაში (შვეიცარია), სადაც მცირე ხნით, რუსეთის ხელისუფლების მოთხოვნით დააპატიმრეს, თუმცა მალევე გაანთავისუფლეს იმ მიზეზით, რომ მისი ქმედებები ატარებდა პოლიტიკურ, და არა კრიმინალურ ხასიათს. 1908 წელს პოლიტიკური ლტოლვილის სტატუსით დასახლდა საფრანგეთში, სადაც 1912 წლის ნოემბერში ჩააბარა გამოცდები მფრინავის წოდებაზე. სწავლობდა სორბონის უნივერსიტეტში. პირველი მსოფლიო ომის დაწყების შემდეგ მოხალისედ მსახურობდა ფრანგულ სამხედრო ავიაციაში. მიენიჭა უნტერ-ოფიცრის წოდება. 1916 წლის აგვისტოში საცდელი ფრენის დროს მიღებული სერიოზული ჭრილობის შემდეგ მუშაობდა ფრანგულ სამხედრო დაზვერვაში, რომლის მიერაც მივლინებულ იქნა რუსულ სამხედრო მისიაში საფრანგეთში. 1917 წელს გაგზავნილ იქნა საგანგებო საიდუმლო მისიებით შვეიცარიაში და ესპანეთში. იმავე წლის ივლისში ესპანეთში საიდუმლო მისიის შესრულებისას, ხელახლა იქნა მძიმედ დაჭრილი საავტომობილო კატასტროფის დროს. 1919 წელს

დაჯილდოვებული იყო ფრანგული სამხედრო ჯვრის ორდენით, ხოლო 1926 წელს – ფრანგული სამხედრო მედლით. 1939-1944 წლებში – საფრანგეთის წინააღმდეგობის მოძრაობის მონაწილე. გარდაიცვალა ქ. პარიზში, 1975 წელს.

დალესტანლი მეჰმედ ფაზილ ფაშა (1853-1916) – ოსმალეთის იმპერიის სამხედრო მოღვაწე, გენერალ-პოლკოვნიკი. დაიბადა დალესტანში, იმამ შამილის თანამებრძოლის ოჯახში. 1869 წელს სამხედრო სამსახურს იწყებს რუსეთის იმპერატორის კონვოის ლეიბ-გვარდიის კავკასიურ ესკადრონში. 1870 წელს მიენიჭა იუნკერის, ხოლო 1873 წელს – მილიციის პრაპორშჩიკის სამხედრო წოდება. 1874 წელს – ლეიბ-გვარდიის კავკასიური ესკადრონის მე-2 ათეულის ოფიცერი. 1876 წელს საკუთარი ნებით დატოვა რუსული სამხედრო სამსახური და საცხოვრებლად ოსმალეთის იმპერიაში გადავიდა, სადაც წარმატებულ სამხედრო კარიერას იწყებს. 1877 წელს – სულთან აბდულ ჰამიდ II-ს ადიუტანტი და კავკასიელ მუჰაჯირთა მე-3 კავალერიის ბრიგადის მეთაურის მოადგილე. 1876-1877 წლების რუსეთ-თურქეთის ომის მონაწილე. ხელი შეუწყო 1877 წლის აგვისტოში დალესტანში ანტირუსული აჯანყების ორგანიზაციას. 1878 წელს მიენიჭა პოლკოვნიკის სამხედრო წოდება. 1882 წელს გენერლის წოდებით იგზავნება ბალდადში, მე-6 არმიის მეთაურად. 1883 წელს – გენერალ-პოლკოვნიკი და მე-16 არმიის მეთაური. 1908-1914 წლებში – ბალდადის გუბერნატორი და კომენდანტი. 1914 წლის აგვისტოში – ენვერ ფაშას ბრძანებით შედგენილი კავკასიური სანიტარული მისიის (ოსმალეთის პირველ მსოფლიო ომში ჩართვის შემდეგ – კავკასიური კომიტეტის) წევრი, რომელიც კავკასიის რუსეთისგან განთავისუფლებას ისახავდა მიზნად. ხელი მოაწერა დეკლარაციას, კავკასიიდან რუსეთის განდევნის შემდეგ გაერთიანებული კავკასიური სახელმწიფოს შექმნის აუცილებლობის შესახებ. 1915 წელს დაინიშნა კავალერიის კორპუსის მეთაურად. დაიღუპა 1916 წლის თებერვალში, ბალდადის ინგლისელთაგან დაცვის დროს. სიკვდილის შემდეგ მიენიჭა მარშლის წოდება.

დეკანოზიშვილი (დეკანოზი) გიორგი (1868-1909) – ქართველ სოციალისტ-ფედერალისტთა ერთ-ერთი ლიდერი. 1892 წელს მისი აქტიური მონაწილეობით ქუთაისში დაფუძნდა რუსული იმპერიის ქართველ სტუდენტთა გაერთიანება – „საქართველოს თავისუფლების ლიგა“. 1892-1895 წლებში მუშაობდა ქიათურაში მანგანუმის სამრეწველო ფირმის ინჟინრად და საბადოს გამგედ. 1895-1898 წლებში – ბაქოს ნობელების ნავთობგადამამუშავებელი ფირმის კონტროლიორ-ინსპექტორი. 1896-1900 წლებში თანამშრომლობდა გაზეთ „ივერიასთან“. 1900 წელს ქართველ სოციალისტ-ფედერალისტთა პირველმა ჯგუფმა მისი თაოსნობით ტფილისში გამოსცა გაზეთი „ცნობის ფურცელი“. 1903 წელს გ. დეკანოზიშვილის ინიციატივით პარიზში დაარსდა გაზეთი „საქართველო“ (1904 წლის აპრილიდან – ქართველ სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიის ორგანო), რომელიც გამოდიოდა 1905 წლამდე. პარალელურად, 1903-1904 წლებში პარიზშივე გამოდიოდა „საქართველოს“ ფრანგულენოვანი ვერსია – „La Géorgie“. 1904 წელს იყო ჟენევაში ქართველ სოციალისტ-ფედერალისტთა ყრილობის ჩატარების ერთ-ერთი მოთავე. რუსეთ-იაპონიის ომის (1904-1905) და რუსეთის პირველი რევოლუციის (1905-1907) დროს კავშირი დაამყარა იაპონიის დაზვერვის წარმომადგენლებთან, რომელთა ფინანსური დახმარებით გემ „სირიუსით“ საქართვე-

ლოში გამოაგზავნა იარაღი და ტყვია-წამალი. 1909 წელს გარდაიცვალა ქ. კანში (საფრანგეთი).

დელბრუკი ჰანს გოტლიბ ლეოპოლდ (Delbrück Hans Gottlieb Leopold) (1848-1929) – ცნობილი გერმანელი სამხედრო ისტორიკოსი, თეორეტიკოსი და პოლიტიკოსი. სწავლობდა გრაიფსვალდის, ჰაიდელბერგის და ბონის უნივერსიტეტებში. ავტორი კლასიკური ოთხტომეულის: „სამხედრო ხელოვნების ისტორია პოლიტიკური ისტორიის ჩარჩოებში“. სამეცნიერო მოღვაწეობის გარდა, ეწეოდა აქტიურ პოლიტიკურ მოღვაწეობას. იყო პრუსიის წარმომადგენელთა სახლის და რაიხსტაგის წევრი. შიდაპოლიტიკურ საკითხებში ემხრობოდა ლიბერალ-პროგრესივისტულ იდეებს. მისი კრიტიკა მიმართული იყო კონსერვატორების და ნაციონალ-ლიბერალების წინააღმდეგ. საგარეო პოლიტიკურ საკითხებში, განსაკუთრებით კი გერმანიის „მსოფლიო პოლიტიკის“ და მასთან დაკავშირებულ ფლოტის მშენებლობის საკითხში, თავდაპირველად იყო შემტევი პარტიის მხარდამჭერი. 1907 წლის შემდეგ გახდა ლიბერალური პოლიტიკის მიმდევარი და ინგლისისთვის ანგარიშის განევას ემხრობოდა. პირველი მსოფლიო ომის წლებში იყო მასიური ომის მომხრე, თუმცა გამოდიოდა შეუზღუდავი წყალქვეშა ომის წინააღმდეგ. საკუთარი პოლიტიკური გემოვნების შეფასებისას, დელბრუკი თავს „განათლებულ კონსერვატორს“ უწოდებდა. 1916-1918 წლებში – გერმანულ-ქართული საზოგადოების წევრი.

დელი ფუად ფაშა (1835-1931) – ჩერქეზული (უბიხური) წარმოშობის ოსმალეთის ომპერიის მოღვაწე, მარშალი და სენატორი. დაასრულა დაწყებითი სკოლა სტამბოლში და სამხედრო სკოლა ქაიროში. თავი გამოიჩინა 1877-1878 წლების რუსულ-თურქული ომის დროს. მიენიჭა მარშლის წოდება, ეკავა ოსმალეთის შეიარაღებული ძალების მთავარსარდლის თანამდებობა. იყო დანიშნული ოსმალეთის იმპერიის ელჩის პოსტზე მთელ რიგ ქვეყნებში. 1902-1908 წლებში გადასახლებულ იქნა სირიაში, სულთან აბდულ ჰამიდ II-ს წინააღმდეგ შეთქმულებაში მონაწილეობის ბრალდებით. ახალგაზრდა თურქთა რევოლუციის შემდეგ დაბრუნდა სტამბოლში და აქტიური მონაწილეობა მიიღო ჩერქეზთა ერთობისა და ურთიერთდახმარების საზოგადოების შექმნაში. 1914 წელს ეწვეოდა ფაშას ინიციატივით დაარსებული კავკასიური კომიტეტის თავმჯდომარე, რომელიც, თურქეთის პირველ მსოფლიო ომში ოფიციალურად ჩაბმამდე, ოსმალური სანიტარული მისიის საფარქვეშ მოქმედებდა. 1915 წელს, ხსენებული კომიტეტის შემადგენლობაში შედიოდნენ ქართველი წარმომადგენლებიც, გიორგი მაჩაბლის და ქიამილ ბეგ თავდგირიძის სახით. გამოდიოდა ოსმალური არმიის ჩერქეზული ლეგიონის ფორმირებისა და რუსების კავკასიიდან განდევნის შემთხვევაში, თურქეთის პროტექტორატის ქვეშ მყოფი კავკასიის კონფედერაციის დაარსების ინიციატივით. თურქეთში ჩრდილოეთ კავკასიის პოლიტიკურ ემიგრანტთა კომიტეტის თავმჯდომარე.

ფონ დისტი ვალტერ ფრიდრიხ ოტო (von Diest Walther Friedrich Otto) (1851-1932) – გერმანელი ოფიცერი, პოლკოვნიკი. არის რამდენიმე წიგნის ავტორი მცირე აზიის თემატიკაზე, სამხედრო და საკუთარი გვარის ისტორიის საკითხებზე. 1916-1918 წლებში – გერმანულ-ქართული საზოგადოების წევრი.

დიქსი არტურ (Dix Arthur) (1875-1935) – გერმანელი ეკონომისტი და გეოპოლიტიკოსი, გერმანიის გარშემო მძლავრი შუაევროპული კავშირის შექმნის იდეის ავტორი, თეორეტიკოსი. განათლება მიიღო ბერლინის, კიონიგსბერგის და ლაიფციგის უნივერსიტეტებში. 1899 წლიდან მუშაობდა სხვადასხვა ნაციონალ-ლიბერალური მიმართულების პრესის ორგანოებში, 1911-1920 წლებში მუშაობდა გაზეთ „მსოფლიო პოლიტიკაში“. პირველი მსოფლიო ომის დროს, 1916-1918 წლებში, მუშაობდა სოფიაში (ბულგარეთი) გერმანიის იმპერიის ლეგაციის პრეს-ბიუროში. იყო ნაციონალ-ლიბერალური პარტიის წევრი. ამავე წლებში იყო გერმანულ-ქართული საზოგადოების წევრი. გერმანიაში ნაციონალ-სოციალისტთა ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, თანამშრომლობდა მათთან და დაწერა რამდენიმე ნაშრომი სივრცობრივი და რასობრივი პოლიტიკის შესახებ. არტურ დიქსის შეხედულებები საკმაოდ იყო წარმოდგენილი გერმანიის იმპერიის საგარეო პოლიტიკაში და მოგვიანებით, ვაიმარის რესპუბლიკის მემარჯვენე-ლიბერალ პოლიტიკოსთა იდეებში.

დოიტელმოზერი ერჰარდ ედუარდ (Deutelmoser Erhard Eduard) (1873-1956) – გერმანელი ოფიცერი. სამხედრო განათლება მიიღო ბერლინის სამხედრო აკადემიაში. 1906-1912 წლებში კაპიტანი, 1912 წლიდან მაიორი და პრუსიის სამხედრო სამინისტროს პრესის რეფერატის უფროსი. მსოფლიო ომის დაწყების შემდეგ მუშაობდა გენერალური შტაბის მესამე განყოფილებაში, რომელსაც პრესის პოლიტიკა და ცენზურა ეხებოდა. 1915 წლის ოქტომბერში დაინიშნა გენერალური შტაბის ახლადშექმნილი პრესის განყოფილების მეთაურად. 1916 წლის ივნისიდან – გერმანულ-ქართული საზოგადოების წევრი. 1916 წლის ბოლოდან 1918 წლამდე იყო საგარეო საქმეთა სამინისტროს პრესის განყოფილების უფროსი. 1917 წლის ბოლოდან – რაიხსკანცელარიის პრესის შეფი. 1919 წლიდან გავიდა შვებულეებაში და მუშაობდა კერძო ფირმაში ბერლინში.

ფონ დონერსმარკი ჰენკელ გვიდო (von Donnersmarck Henckel Guido) (1830-1916) – თავისი დროის ერთ-ერთი უმდიდრესი ადამიანი გერმანიის იმპერიაში, ფაბრიკანტი. თავისი ცხოვრების მანძილზე, მემკვიდრეობით გადმობარებული ნახშირის წარმოების ბრუნვა წლიური 16 000 ტონიდან 1848 წელს, გაზარდა 2,5 მილიონ ტონამდე 1916 წლისთვის. როგორც ქვეყნის ერთ-ერთ უმდიდრეს პერსონას შეეფერებოდა, მისი სასახლე ვერსალის სასახლის მსგავსად მოაწყო. ეხმარებოდა კათოლიკურ და ლუთერანულ ეკლესიებს მშენებლობებში. თავისი წარმოების 50 წლის იუბილეს აღსანიშნავად, 1898 წელს დააარსა „გვიდოს ფონდი“ საწყისი კაპიტალით 1,5 მილიონი მარკის ოდენობით. 1901 წელს იმპერატორმა ვილჰელმ II-მ მისი მემკვიდრეობითი ნობილიზაცია მოახდინა. პირველი მსოფლიო ომის დროს დონერსმარკმა ააშენა სამხედრო ლაზარეთი ბერლინის მახლობლად, რომელიც ფუნქციონირებდა მისი პირადი სახსრებით, სახელმწიფოს დახმარების გარეშე. ამავე პერიოდში დააფუძნა „დონერსმარკის ფონდი“, რომლის სახსრებით ომის შემდეგ, ლაზარეთი გადაკეთდა ომში დაზარალებულების სამედიცინო-კვლევით ცენტრად. ფონდი დღემდე არსებობს და სარეაბილიტაციო სამუშაოებს უჭერს მხარს. 1916-1918 წლებში – გერმანულ-ქართული საზოგადოების წევრი.

დუმბაძე ვასილი (1881-1943) – ქართველი პოლიტიკური მოღვაწე, ინჟინერი, ნიკოლოზ II-ის ამაღლის გენერალ-მაიორის, იალტის ქალაქის თავის ი. დუმბაძის ბიძაშ-

ვილი. 1914 წელს გამოაქვეყნა პეტერბურგში წიგნი „გენერალ-ადიუტანტი ვლადიმერ ალექსანდრეს ძე სუხომლინოვი («Генерал-адъютант Владимир Александрович Сухомлинов»), რომელიც რუსეთის იმდროინდელ სამხედრო მინისტრს ეძღვნებოდა. 1915 წელს ლონდონში გამოვიდა ამ წიგნის ინგლისური თარგმანი: „რუსეთის სამხედრო მინისტრი; გენერალ-ადიუტანტი ვლადიმერ ალექსანდრეს ძე სუხომლინოვის ცხოვრება და მოღვაწეობა“ („Russia's war minister; the life and work of Adjutant-General Vladimir Alexandrovitch Soukhomlinov“). 1915 წლის იანვარში, პეტერბურგში დუმბაძესთან კავშირი დაამყარა გერმანიიდან იქ საიდუმლოდ ჩასულმა მისმა ნაცნობმა, საქართველოს განთავისუფლების კომიტეტის წევრმა გიორგი მაჩაბელმა, რომელთან ერთად იმავე წლის მარტში დუმბაძე ნეიტრალურ შვედეთში ჩადის, სადაც მაჩაბელი სტოკჰოლმში მას ადგილობრივ გერმანელ დესპანს, ლუციუს ფონ შტოედტენს აცნობს. 1915 წლის მაის-ივნისში, სუხომლინოვის დავალებით მეორეჯერ იმოგზაურა სტოკჰოლმში, ხოლო იქიდან (ისევე გიორგი მაჩაბელთან ერთად) – ბერლინში, სადაც შეხვედრა ჰქონდა გერმანიის მაღალ პოლიტიკურ და სამხედრო ხელმძღვანელებთან. ვარაუდობენ, რომ ამ მოგზაურობის ფორმალური მიზანი იმპერატორ ნიკოლოზ II-ის უახლოესი გარემოცვის ზოგიერთ წარმომადგენელთან მხრიდან გერმანიასთან სეპარატული ზავის შესაძლებლობის ზონდირება იყო. ამავე დროს, როგორც თავად მოგვიანებით მიუთითებდა დუმბაძე, ის მოქმედებდა არა მხოლოდ საქართველოს, არამედ სრულიად კავკასიის განთავისუფლების ინტერესებში¹. 1915 წელს სუხომლინოვის თანამდებობიდან მოხსნის შემდეგ დუმბაძე დააპატიმრეს და სახელმწიფო ლაღატის ბრალდებით, 1916 წელს ჩამოხრჩობა მიუსაჯეს, რაც შემდგომ ნიკოლოზ II-ის ბრძანებით 20 წლით კატორღით შეუცვალეს. განთავისუფლდა 1918 წელს, ბოლშევიკური ამნისტიის შედეგად. 1920-იანი წლების დასაწყისში – საქართველოს და აზერბაიჯანის გენერალური დიპლომატიური და ეკონომიკური წარმომადგენელი ამერიკის შეერთებულ შტატებში. აწარმოებდა მოლაპარაკებას საგარეო სესხის აღების შესახებ, მიღებულ იქნა სახელმწიფო დეპარტამენტში, გახსნა ვაშინგტონში საქართველოს და აზერბაიჯანის არაოფიციალური დიპლომატიური წარმომადგენლობა საქართველოს და აზერბაიჯანის რესპუბლიკების ეროვნულ მთავრობათა კონფიდენციალური სააგენტოს სახელით. 1925 წელს გამოაქვეყნა ნიუ-იორკში წიგნი: „კავკასიის რესპუბლიკები. მსოფლიოს მიერ დავიწყებული მცირე დემოკრატიები“ („The Caucasian Republics. The Little Democracies the World Forgot“). 1926 წელს, ამერიკის სენატის ზოგიერთი წევრის დახმარებით, გამოვიდა ინიციატივით აშშ-ს მთავრობის მიერ საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარების შესახებ. იმავე წლის აპრილში ამ საკითხს მიეძღვნა ამერიკის სენატის უცხო საქმეთა კომისიის ორი სხდომა.

¹ 1926 წლის 2 ივნისს ნიუ-იორკიდან ფრანგულად მიწერილი წერილის რუსულად გაკეთებულ მინაწერში, ვასილ დუმბაძემ ამბების შესახებ საინტერესო ცნობას აწვდიდა ალი მარდანბეგ თოფჩიბაშის (თოფჩიბაშევის), აზერბაიჯანული დიპლომატიური დელეგაციის თავმჯდომარეს პარიზში: «Именно за кавказское дело, в 1915-1917 гг. закованный в кандалы стоял я, к смерти приговоренный, в Орл[овской] кат[оржной] тюрьме. Что бы то другие не говорили обо мне, моего характера, традиций и заветной мечты никто изменить не может. Умирал я совершенно спокойно, хотя ни один земляк не положил бы травы на мой труп – на труп повешенного «изменника» - чтобы защитить его от мук, ибо никто не знал, за что меня приговорили к повешению, а тот, кто знал, он был далеко от меня (М. Церетели) и нас разделяли границы и фронты. Это не было грузинское дело, а кавказское». იხ. V. Dumbadze. Lettre à A. M. Topchibacheff. New-York, 2. 6. 1926. Archives d'Ali Mardan-bey Topchibachi, carton N° 1/1. Le Centre d'études des mondes russe, caucasien et centre-europeen (CERCEC), l'École des hautes études en sciences sociales (EHESS).

ფონ ეკარდტი ჰაინრიხ (von Eckardt Heinrich) (1861-1945) – ბალტიელი გერმანელი დიპლომატი. დაიბადა რიგაში ცნობილი ჟურნალისტის, დიპლომატის და ბალტიური პანგერმანიზმისა და ანტისლავიზმის იდეოლოგის – იულიუს ფონ ეკარდტის ოჯახში. იენის უნივერსიტეტში სწავლობდა სამართალს და აღმოსავლურ ენებს. 1886 წლიდან იმყოფებოდა დიპლომატიურ სამსახურში. 90-იანი წლებიდან მოყოლებული მსახურობდა გერმანიის დიპლომატიურ წარმომადგენლობებში კონსტანტინოპოლში, სმირნაში (ოსმალეთის იმპერია), თეირანში (სპარსეთი), ბელგრადში (სერბეთი) და ათენში (საბერძნეთი). 1908-1910 წლებში იყო გერმანიის მინისტრი-რეზიდენტი კუბაში, 1911-1914 წლებში – მონტენეგროში, ხოლო 1915 წლიდან – მექსიკაში. 1916 წლის ივნისიდან – გერმანულ-ქართული საზოგადოების წევრი. ეკარდტი იყო საყოველთაოდ ცნობილი „ციმერმანის ტელეგრამის“ ადრესატი მექსიკაში. 1917 წლის იანვარში გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრმა არტურ ციმერმანმა ეკარდტს ტელეგრამა გაუგზავნა, რომელშიც ავალებდა გაეფორმებინა მექსიკასთან ამერიკის შეერთებული შტატების წინააღმდეგ მიმართული სამოკავშირეო ხელშეკრულება. ამ ალიანსის სანაცვლოდ, აშშ-ის დამარცხების შემდეგ მექსიკა მიიღებდა ტეხასს, არიზონას და ნიუ მექსიკოს. ტელეგრამა ხელში ჩაიგდო ბრიტანეთის დაზვერვამ და გამოაქვეყნა, რასაც ვაშინგტონსა და ბერლინს შორის ურთიერთობების საბოლოო გაფუჭება და ამერიკის შეერთებული შტატების მსოფლიო ომში ანტანტის მხარეს ჩართვა მოჰყვა. ეკარდტი სამსახურეობრივ პენსიაში გავიდა 1926 წელს.

ელშინი ალექსანდრე (Ельшин Александр) (1865-1951) – რუსეთის იმპერიის და უკრაინის სამხედრო მოღვაწე, გენერალ-ლეიტენანტი. დაამთავრა საზღვაო-ტექნიკური (მოგვიანებით – საზღვაო-საინჟინრო) სასწავლებელი. 1894 წელს – პირველი თანრიგით დაასრულა ნიკოლოზის გენერალური შტაბის აკადემია. 1894-1899 წლებში – ვარშავის სამხედრო ოლქის მე-4 ფეხოსანთა დივიზიის შტაბის უფროსი ადიუტანტი. 1899-1903 წლებში – ქერჩის ციხესიმაგრის შტაბის უფროსი, ვიცე-პოლკოვნიკი. 1903-1904 წლებში – მე-4 მსროლელი ბრიგადის შტაბ-ოფიცერი, პოლკოვნიკი. 1904-1905 წლების რუსეთ-იაპონიის ომის მონაწილე. 1904-1907 წლებში – ამურისპირეთის სამხედრო ოლქის სამხედრო-საოლქო სამმართველოს სამხედრო კომუნიკაციების უფროსი. 1907 წელს – ირკუტსკის სამხედრო ოლქის სამხედრო კომუნიკაციების უფროსი. 1907-1908 წლებში – 104-ე ფეხოსანთა პოლკის მეთაური. 1908-1909 წლებში – გენერალური შტაბის მთავარი სამმართველოს ობერ-კვარტირმეისტერის მოადგილე, გენერალ-მაიორი. 1909-1911 წლებში – ოდესის სამხედრო ოლქის სამხედრო კომუნიკაციების უფროსი. 1911-1913 წლებში – 22-ე საარმიო კორპუსის მეთაური. პირველი მსოფლიო ომის მონაწილე. 1913-1915 წლებში – მიხეილის (ბათუმის) ციხესიმაგრის კომენდანტი. 1914-1915 წლებში პარალელურად სარდლობდა კავკასიის არმიის ზღვისპირა რაზმს. 1915-1917 წლებში – კიევის სამხედრო ოლქში დისლოცირებული 42-ე დივიზიის მეთაური, გენერალ-ლეიტენანტი, დაჯილდოვებულ იქნა წმ. გიორგის იარაღით. 1917 წელს – მე-20 საარმიო კორპუსის მეთაური. 1918 წელს მსახურობდა ჰეტმან სკოროპადსკის უკრაინულ არმიაში. უკრაინის დერჟავას შეიარაღებული ძალების მთავარსარდლის შტაბის უფროსი. 1919 წლიდან – ემიგრაციაში ამერიკის შეერთებულ შტატებში.

ენვერ ფაშა ისმაილ (1881-1922) – ოსმალეთის იმპერიის სამხედრო და სახელმწიფო მოღვაწე, „ერთობისა და პროგრესის“ ახალგაზრდა თურქთა პარტიის ერთ-ერთი ლიდერი. 1913 წლიდან – არაოფიციალური ტრიუმვირატის წევრი (თალაათ ფაშასთან და ჯემალ ფაშასთან ერთად), რომელმაც ხელში ჩაიგდო ძალაუფლება ოსმალეთის იმპერიაში. ეკავა სამხედრო მინისტრის პოსტი. პანთურქიზმის და პანისლამიზმის ერთ-ერთი იდეოლოგი. მხარს უჭერდა თურქეთის სამხედრო კავშირს გერმანიასთან და ხელი შეუწყო თურქეთის ჩაბმას პირველ მსოფლიო ომში გერმანიის მხარზე. ომის დროს ეკავა უზენაესი მთავარსარდლის მოადგილის უმაღლესი სამხედრო პოსტი (უზენაეს მთავარსარდლად ითვლებოდა თავად სულთანნი).

ესად ფაშა მეჰმედ (1862-1952) – ოსმალეთის იმპერიის სამხედრო მოღვაწე, გენერალ-მაიორი. სწავლობდა იმპერიულ სამხედრო სკოლაში, საიდანაც გენერალური შტაბის ოფიცრად იქნა გამოშვებული. 1890-1894 წლებში – სწავლობდა გერმანიაში, პრუსიულ სამხედრო აკადემიაში. 1897 წლის ბერძნულ-თურქული ომის დროს მიენიჭა პოლკოვნიკის სამხედრო წოდება, მეთაურობდა პოლკს. 1899 წელს – ასწავლიდა გენერალური შტაბის სკოლაში. 1907 წელს – გენერალი, სალონიკში დისლოცირებული მე-3 არმიის შტაბის უფროსი. 1911 წელს – გალიპოლში დისლოცირებული მე-5 სარეზერვო დივიზიის მეთაური. 1913 წელს დანიშნულ იქნა იანინაში დისლოცირებული 23-ე დივიზიის მეთაურად. 1912-1913 წლების პირველი ბალკანეთის ომის დროს – იანინაში დისლოცირებული საარმიო კორპუსის მეთაური, დატყვევებულ იქნა ბერძენთა მიერ. 1913 წელს – მე-3 კორპუსის მეთაური. პირველი მსოფლიო ომის დაწყების შემდეგ, ოსმალური მე-5 არმიის მეთაურის, გერმანელი გენერლის ლ. ფონ ზანდერსის სარდლობის ქვეშ, დარდანელების ბრძოლის დროს (1915 წლის აპრილი – 1916 წლის იანვარი) ხელმძღვანელობდა დარდანელების დაცვას. 1915 წლის ოქტომბერში დაინიშნა 1 არმიის მეთაურად. 1917 წლის ბოლოს – სასწავლო მივლინებაში გერმანიაში. 1918 წლის თებერვალში დანიშნულ იქნა დარდანელების სექტორში მდებარე მე-5 არმიის მეთაურად. 1918 წლის ივნისში – კავკასიის ფრონტზე დისლოცირებული მე-3 არმიის მეთაური. 1918 წლის 30 ოქტომბრის მუდროსის ცეცხლის შეწყვეტის ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ – მე-2 არმიის დემობილიზაციისთვის პასუხისმგებელი გენერალ-ინსპექტორი. 1919 წლის ნოემბერში – გავიდა პენსიაზე. 1920 წლის მაის-აპრილში, მცირე ხნით ეკავა თურქეთის სამხედრო-საზღვაო მინისტრის თანამდებობა.

ვაგნერი ადოლფ (Wagner Adolf) (1835-1917) – გერმანელი ეკონომისტი. 1853-1857 წლებში სწავლობდა სამართალს და სახელმწიფო მეცნიერებებს გიოტინგენის და ჰაიდელბერგის უნივერსიტეტებში. 1858 წლიდან იყო დოცენტი ვენასა და ჰამბურგში, 1865 წლიდან – პროფესორი დორპატში (ტარტუ), 1868 წლიდან – ფრაიბურგში. 1870-1917 წლებში – სახელმწიფო მეცნიერებების და სახალხო ეკონომიკის პროფესორი ბერლინში. პარალელურად, 1871-1917 წლებში იყო პრუსიის სტატისტიკის ცენტრალური კომისიის წევრი, პრუსიის სტატისტიკის ბიუროს რეფერენტი. პოლიტიკური თვალსაზრისით ვაგნერი კონსერვატორი იყო, ეკავა სხვადასხვა თანამდებობები, მათ შორის – საიდუმლო სახელმწიფო მრჩევლის. იყო მილანის, ნეაპოლის, რომის, ვენეციის და ვენის მეცნიერებათა აკადემიების

წევრი. გამოქვეყნებული აქვს რამდენიმე მნიშვნელოვანი ნაშრომი ეკონომიკის სფეროში. 1916-1917 წლებში – გერმანულ-ქართული საზოგადოების წევრი.

ვადაჭკორია (ვადაკური) სოლომონ (1880-1928) – ქართველი სოციალ-დემოკრატი. 1897 წელს მუშაობდა გაზეთ „ცნობის ფურცელში“ ასოთამწყობად. 1887 წელს ტფილისში შევიდა რსდმპ-ში. იყო ტიპოგრაფიის მუშათა ორგანიზაციის ხელმძღვანელი. 1901-1902 წლებში – რსდმპ-ს ტფილისის კომიტეტის წევრი. 1903 წელს სამი თვით დააპატიმრა ჟანდარმერიამ. რუსული პირველი რევოლუციის მონაწილე. 1905 წლის დასაწყისიდან 1908 წლამდე კვლავ იყო ტფილისის კომიტეტის წევრი. იყო არალეგალურ გაზეთ „დილა“-ს პასუხისმგებელი რედაქტორი. 1905 წლის აგვისტოდან იმავე წლის ბოლომდე რამდენჯერმე იყო დაპატიმრებული. 1908 წლის თებერვალში დააპატიმრეს და 1909 წელს სამხედრო სასამართლომ ოთხი წლით კატორღა მიუსაჯა. კატორღის ვადის მოხდის შემდეგ, სამუდამოდ გადაასახლეს ციმბირში, საიდანაც წელიწადნახევრის შემდეგ მოახერხა გაქცევა საზღვარგარეთ. 1914-1915 წლებში ცხოვრობდა კონსტანტინოპოლში, სადაც თანამშრომლობდა საქართველოს განთავისუფლების კომიტეტთან და მუშაობდა ასოთამწყობად. 1915 წელს გადავიდა ბერლინში, სადაც კოოპტირებულ იქნა საქართველოს განთავისუფლების კომიტეტში. 1916-1918 წლებში მონაწილეობდა საქართველოს განთავისუფლების კომიტეტის გაზეთ „ქართული გაზეთის“ გამოცემაში. 1918 წელს დაბრუნდა საქართველოში. იყო ქართული ეროვნული საბჭოს წევრი. 1919-1920 წლებში – საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების წევრი, სოციალ-დემოკრატთა სიით. 1920-1921 წლებში – საქართველოს რესპუბლიკის ქალაქთა კავშირის ტიპოგრაფიის გამგის თანამემწე, მთავრობის ტიპოგრაფიის გამგე. 1921 წლის თებერვალ-მარტში საქართველოს რესპუბლიკის საბჭოთა რუსეთის მიერ ოკუპაციის შემდეგ დარჩა საქართველოში და მონაწილეობდა ანტიბოლშევიკური წინააღმდეგობის მოძრაობაში. 1921-1923 წლებში იმყოფებოდა არალეგალურ მდგომარეობაში, ციხეში ორი თვე გაატარა. 1922 წელს იყო საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის ტფილისის კომიტეტის თავმჯდომარე. 1923 წელს საზღვარგარეთ არალეგალურად გადასვლის უშედეგო მცდელობისა და დაპატიმრების შემდეგ თანხმობა განაცხადა ეთანამშრომლა ბოლშევიკებთან სოციალ-დემოკრატიული პარტიის „თვითლიკვიდაციის“ საქმეში. პარალელურად ეხმარებოდა იატაკქვეშეთში მყოფ თავის თანაპარტიელ ამხანაგებს ხელისუფლების ამნისტიის მიღებაში. 1925 წელს არალეგალურად წავიდა საზღვარგარეთ. ცხოვრების უკანასკნელი წლები ბერლინში გაატარა.

ვალენტინერი მაქს (Valentiner Max) (1883-1949) – გერმანიის იმპერიის და მესამე რაიხის სამხედრო-საზღვაო ფლოტის ოფიცერი, კაპიტან ცურ ზეე. 1902 წლის აპრილიდან დაიწყო სამსახური კაიზერულ სამხედრო-საზღვაო ფლოტში. 1914 წლის 22 მარტს მიენიჭა კაპიტან-ლეიტენანტის სამხედრო წოდება. იმავე წლის აპრილში დაასრულა წყალქვეშა ნავიგაციის სკოლა და კაპიტანის კურსები. პირველი მსოფლიო ომის მონაწილე. 1914 წლის დეკემბრიდან 1917 წლის სექტემბრამდე წყალქვეშა ნავის U 38-ის კაპიტანი. თავდაპირველად შედიოდა წყალქვეშა ნავების მე-2 ფლოტილიაში, ხოლო შემდეგ – მოქმედებდა ხმელთაშუა და შავ ზღვაში. 1916 წლის 29 ივნისს, სადაზვერვო-სადივერსიო მიზნებით გადასვა

საქართველოს სანაპიროზე, ანაკლიასთან, საიდუმლო კავკასიური მისია (ექსპედიცია) გიორგი მაჩაბლის, სელიმ ბეი ბებუთოვის და უზდენ არზამაკოვის მეთაურობით. 1916 წლის 26 დეკემბერს დაჯილდოვებულ იქნა ორდენით „დამსახურებისთვის“ („Pour le Mérite“). 1917 წლის ოქტომბრიდან 1918 წლის აპრილამდე – წყალქვეშა ნავის U 157-ის კაპიტანი. 1918 წლის აპრილში – წყალქვეშა ნავიგაციის სკოლის ინსტრუქტორი. ჩაძირა მონინაალმდეგის 144 გემი, საერთო წყლის მოცულობის 299 700 ტონით, რამაც მას წყალქვეშა ნავების ას-კაპიტანთა შორის მესამე ადგილი მოუტანა. 1919 წლის ნოემბერში დატოვა სამსახური. 1939-1945 წლებში დაუბრუნდა სამხედრო სამსახურს. მეორე მსოფლიო ომის მონაწილე. 1941 წლის 1 იანვარს მიენიჭა კაპიტან ცურ ზეეს სამხედრო ნოდება.

ვალენტინერი ვილჰელმ რაინჰოლდ (Valentiner Wilhelm Reinhold) (1880-1958) – გერმანელი ხელოვნების ისტორიკოსი. სწავლობდა ხელოვნებას ჰაიდელბერგის და დენ ჰააგის უნივერსიტეტებში, რის შემდეგაც მუშაობდა ამერიკის შეერთებულ შტატებში. გერმანიაში დაბრუნდა მსოფლიო ომის დაწყებისას და მოხალისედ ჩაენერა ბავარიულ საარტილერიო პოლკში. 1915 წლიდან მუშაობდა ახლად დაფუძნებულ ომის პრესის განყოფილებაში. 1916 წლიდან – გერმანულ-ქართული საზოგადოების წევრი. ომის შემდეგ მუშაობდა ჯერ გერმანიაში, მუზეუმების პოლიტიკის მიმართულებით, 1921 წელს კი კვლავ გადავიდა ამერიკის შეერთებულ შტატებში, სადაც დეტროიტის ხელოვნების მუზეუმის დირექტორად და სხვა მნიშვნელოვან თანამდებობებზე საქმიანობდა. გარდაიცვალა ნიუ-იორკში.

ფონ ვანგენჰაიმი ჰანს ფრაიჰერ (von Wangenheim Hans Freiherr) (1859-1915) – გერმანელი დიპლომატი, ბარონი. 1912-1915 წლებში – გერმანიის ელჩი ოსმალეთის იმპერიაში. ითამაშა დიდი როლი თურქეთის პირველ მსოფლიო ომში ცენტრალური ევროპის სახელმწიფოთა მხარეზე ჩართვის საქმეში. იყო ოსმალური იმპერიისადმი გერმანული სამხედრო დახმარების განწევს ერთ-ერთი ინიციატორი. მონაწილეობა მიიღო კონსტანტინოპოლში კადრის გერმანელ ოფიცერთა და ინჟინერთაგან შემდგარი გერმანული სამხედრო მისიის შექმნაში, რომელმაც მცირე ხნის განმავლობაში მნიშვნელოვნად შეძლო თურქული არმიის ბრძოლისუნარიანობის ამაღლება.

ვარდიქე შალვა (?-1958) ქართველი კათოლიკე მღვდელი და საზოგადო მოღვაწე. დაიბადა ადიგენის რაიონის სოფელ არალში. 1885 წელს ჩავიდა სტამბოლში განათლების მისაღებად. იქვე ენეოდა სასულიერო მოღვაწეობას, სადაც გახდა პეტრე ხარისჭირაშვილის მიერ სტამბოლში დაარსებული (XIX საუკუნის 60-იანი წლები) ქართველ კათოლიკეთა უმანკო ჩასახების საგანის (მონასტრის) წინამძღვარი. 1911 წელს სტამბოლში დააარსა ქართული კლუბი, სადაც შემუშავებულ იქნა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების პროგრამა. 1914-1918 წლებში – საქართველოს განთავისუფლების კომიტეტის წევრი. დაჯილდოვებული იყო თამარ მეფის ქართული ლეგიონის ორდენით (სამახსოვრო ნიშნით). საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ბოლშევიკური რუსეთის მიერ 1921 წლის თებერვალ-მარტში ოკუპაციის შემდეგ, იყო წითელი ჯვრის წარმომადგენელი ბოლშევიკურ საქართველოში. დახმარებას უწევდა

გაჭირვებაში ჩავარდნილ საქართველოს მოსახლეობას, რის გამოც ბოლშევიკთა მიერ დაპატიმრებულ და ქვეყნიდან გაძევებულ იქნა. 1926 წლიდან შედიოდა ქართველ პატრიოტთა „თეთრი გიორგის“ ორგანიზაციაში. 1942 წლიდან ანკარის ხელისუფლების მიერ გასახლებულ იქნა თურქეთის რესპუბლიკის ტერიტორიიდან. მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე ეწეოდა ქართული კულტურის პოპულარიზაციას საზღვარგარეთ. ფლობდა ცხრა ენას და უცხოურ ჟურნალ-გაზეთებში ცხრავე ენაზე აქვეყნებდა სტატიებს და უცხოელებს აცნობდა ქართული კულტურის ისტორიას. გარდაიცვალა ლიბანში 1958 წელს.

ვაჩნაძე ალექსანდრე (1855-?) – რუსეთის იმპერიის სამხედრო მოღვაწე, გენერალ-მაიორი. დაამთავრა პეტრეს პოლტავის სამხედრო გიმნაზია და ტფილისის ფეხოსანთა იუნკერთა სასწავლებელი. 1871 წლიდან – სამხედრო სამსახურში. 1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომის მონაწილე. 1899 წელს – ვიცე-პოლკოვნიკი. 1904-1905 წლების რუსეთ-იაპონიის ომის მონაწილე. 1905 წელს სამხედრო დამსახურებისთვის მიანიჭეს პოლკოვნიკის სამხედრო ჩინი. 1905-1906 წლებში – 53-ე ვოლინის ფეხოსანთა პოლკის მეთაური. 1906-1907 წლებში – 274-ე სტავუჩანის სათადარიგო ბატალიონის მეთაური. 1908-1910 წლებში – ასლანდუზის სათადარიგო ბატალიონის მეთაური. 1910 წლიდან – მე-5 მსროლელი პოლკის მეთაური. პირველი მსოფლიო ომის მონაწილე, რომლის დასაწყისშიც სამსახურიდან გადამდგარი გენერალ-მაიორი იყო. 1915 წელს იმავე ჩინით კვლავ მიღებულ იქნა სამხედრო სამსახურში, დანიშნულ იქნა ამიერკავკასიის მე-2 ფეხოსანთა სათადარიგო ბრიგადის მეთაურად. 1916 წელს ინარჩუნებდა იმავე ჩინს და თანამდებობას.

ვებერი თეოდორ (1872-?) (Weber Theodor) – გერმანელი დიპლომატი, აღმოსავლეთმცოდნეობის დოქტორი. დაიბადა გერმანელი მასწავლებლის ოჯახში სმირნაში (ოსმალეთის იმპერია). სწავლობდა გიმნაზიაში გერმანიაში. იქვე მიიღო უმაღლესი იურიდიული განათლებაც. ესწრებოდა აღმოსავლეთმცოდნეობის სემინარს ბერლინში. გახდა თურქული ენის დიპლომირებული სპეციალისტი. 1895 წლიდან იმყოფებოდა საგარეო საქმეთა სამინისტროს დრაგომანთა (თარჯიმანთა) სამსახურში და მივლინებულ იქნა გერმანულ გენერალურ საკონსულოში და საელჩოში კონსტანტინოპოლში. 1906-1908 წლებში ეკავა სმირნაში გერმანიის საკონსულოს დრაგომანის თანამდებობა. 1909 წელს – ხაიფაში (ოსმალეთის იმპერია) გერმანიის ვიცე-კონსული. 1909-1917 წლებში – კონსტანტინოპოლში გერმანიის საელჩოს პირველი დრაგომანი. პირველი მსოფლიო ომის დროს, ოსმალეთის იმპერიაში გერმანიის ელჩის გ. ფ. ვანგენჰაიმის დავალებით, საიდუმლო კავშირები ჰქონდა საქართველოს განთავისუფლების კომიტეტის წევრებთან თურქეთში, რომელთა სასარგებლოთაც, გ. კერესელიძის სიტყვებით, „დიდ აქტივობას იჩენდა“. 1917-1918 წლებში – გერმანიის კონსულის მოვალეობის შემსრულებელი სმირნაში.

ფონ ვეზენდონკი ოტო გიუნტერ (von Wesendonk Otto Günther) (1885-1933) – გერმანელი დიპლომატი, ქართველოლოგი, ბარონი. 1908 წლიდან იმყოფებოდა დიპლომატიურ სამსახურში. პირველი მსოფლიო ომის დროს ეკავა გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს პოლიტიკური განყოფილების ახლო აღმოსავლ-

ლეთის საქმეთა რეფერატის თანამდებობა, ჯერ ლეგაციის მდივნის, ხოლო შემდეგ ლეგაციის მრჩევლის რანგში. 1916-1918 წლებში იყო გერმანულ-ქართული საზოგადოების წევრი. 1923 წელს დაინიშნა გერმანიის გენერალურ კონსულად ტფილისში. კითხულობდა ლექციებს ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. ავტორი წიგნებისა: „ქართული წარმართობის შესახებ“ (Über georgisches Heidentum. Leipzig, 1924.) და „კავკასიური სამყაროდან“ (Aus der Kaukasischen Welt. Berlin, 1925).

ვეტერჰოფი ადოლფ ფრიდრიხ (ფრიც) (Wetterhoff Adolf Fredrik (Fritz)) (1878-1922) – ფინეთის ეროვნულ-გამანთავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი ხელმძღვანელი. განათლებით იურისტი. 1909 წელს ჩააბარა გამოცდები მოსამართლის თანამდებობაზე და მუშაობდა ფინეთში პროკურორად. 1913 წელს გადასახლდა ბერლინში. პირველი მსოფლიო ომის დასაწყისის შემდეგ, 1914 წლის ბოლოს დაარსა იოჰანეს ზუნდვალთან ერთად ფინეთის დამოუკიდებლობის კომიტეტი (1915 წლის დასაწყისში, კომიტეტს ჰერმან გუმერუსიც შეუერთდა), რომელიც შემდგომ ფინურ კანცელარიად გარდაიქმნა. თანამშრომლობდა გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროსთან და გერმანული არმიის გენერალურ შტაბთან, როგორც ექსპერტი რუსეთის და ფინეთის საკითხებში. მნიშვნელოვანი როლი შეასრულა გერმანიის არმიის მიერ ფინელ მოხალისეთა (ფინელ ეგერთა) ნაწილების ფორმირებაში. 1915 წლის ივნისში ხელი მოაწერა ხელშეკრულებას საქართველოს განთავისუფლების კომიტეტთან, ფინურ და კავკასიურ გამანთავისუფლებელ მოძრაობებს შორის რუსული იმპერიალიზმის წინააღმდეგ თანამშრომლობის შესახებ. 1915-1916 წლებში – ფინელ ეგერთა მოძრაობის პოლიტიკური ბიუროს თავმჯდომარე. 1918 წელს მსახურობდა ფინეთის საელჩოში ბერლინში. 1919 წელს – ფინეთის გენერალური კონსული ჰამბურგში. ამის შემდეგ, მუშაობდა ფინეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს პრეს-სამსახურში ჰელსინკში.

ვეპიზ ფაშა მეჰმედ (1877-1940) – ოსმალეთის იმპერიის სამხედრო მოღვაწე, გენერალი. 1899 წელს დაამთავრა თურქული სამხედრო აკადემია, რის შემდეგაც ჩარიცხულ იქნა იემენში დისლოცირებულ მე-4 არმიაში. 1909 წელს გადადის სამხედრო სამინისტროში. დაინიშნა კადეტთა კორპუსის მეთაურად და მიენიჭა მაიორის სამხედრო წოდება. პირველი ბალკანური ომის მონაწილე, რომლის დამთავრების შემდეგ დაინიშნა ჰიჯასში დისლოცირებული 22-ე დივიზიის მეთაურად, პოლკოვნიკის ჩინით. ოსმალეთის პირველ მსოფლიო ომში ჩაბმის შემდეგ, დაინიშნა მე-15 საარმიო კორპუსის მეთაურად გალიპოლიში. შემდგომ დაინიშნულ იქნა მე-2 არმიის სარდლად. 1916-1918 წლებში – მე-3 არმიის სარდალი კავკასიის ფრონტზე. გასული საუკუნის 30-იან წლებში მსახურობდა სამხედრო მრჩევლად ეთიოპიაში.

ვიკარი ბელა (Vikár Béla) (1859-1945) – უნგრელი ფოლკლორისტი, მწერალი, მთარგმნელი. 1911 წელს არჩეულ იქნა უნგრეთის აკადემიის წევრ-კორესპონდენტად. ფინეთის მეცნიერებათა აკადემიის საპატიო წევრი. იჩენდა ინტერესს ქართული ლიტერატურის და ფოლკლორის მიმართ, ჰქონდა მიმონერა უცხოეთში მყოფ ქართველებთან. მას შემდეგ, რაც მიხაი ზიჩიმ გააცნო ვიკარის შოთა რუსთაველის პოემა „ვეფხისტყაოსანი“, უკანასკნელმა დაიწყო მის უნგრულ თარგმანზე მუშაობა, რომელიც გამოიცა ბუდაპეშტში 1917 წელს. ამ გამოცემაში ჩართულია ზიჩის 26

ილუსტრაცია, ხოლო თარგმანს წინ უძღვის ვიკარის წინასიტყვაობა, რომელშიც იგი ვრცლად მსჯელობს პოემის ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობაზე.

ვიტინგი რიხარდ (Witting Richard) (1856-1923) – გერმანელი პოლიტიკოსი. წარმოშობით ებრაელი, დაიბადა ვიტკოვსკის გვარით, თუმცა სკოლის დასრულების შემდეგ ლუთერანული წესით მოინათლა და გვარი შეიცვალა. 1890-1902 წლებში იყო გერმანიის იმპერიის ქალაქ პოზენის (პოზნანის) მერი, რომლის განვითარება ვიტინგის სახელს უკავშირდება. 1902-1910 წლებში იყო გერმანიის „ნაციონალბანკის“ პრეზიდენტი. 1907 წელს გახდა პრუსიის ლანდტაგის წევრი. პირველ მსოფლიო ომამდე მიეკუთვნებოდა ნაციონალ-ლიბერალური პარტიის მემარჯვენე ფრთას და მოსალოდნელ ომში, ემხრობოდა ინგლისის განადგურებას. მიიჩნევა ვილჰელმის ეპოქის ბოლო ნაწილის „რუხ კარდინალად“ და ერთ-ერთ გავლენიან ფიგურად. მოკლე ხანში მსოფლიო ომის დაწყების შემდეგ, ვიტინგი ომის მოწინააღმდეგეთა ბანაკს შეუერთდა, რადგან თვლიდა, რომ ომი წაგებული იყო. 1916-1918 წლებში – გერმანულ-ქართული საზოგადოების წევრი. 1917 წელს ვიტინგთან მოლაპარაკების შემდეგ, მისმა მეგობარმა ჰუგო პროისმა შეიმუშავა ვაიმარის რესპუბლიკის კონსტიტუციის მოდელი. მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ, გეორგ მეცლერის სახელით პრესაში 1919 წლის იანვარში გამოქვეყნებულ სტატიაში, ვიტინგი ღიად ადანაშაულებდა გერმანიას ომის გაჩაღებაში.

ვიურცი ემილ (Würz Emil) – გერმანელი ოფიცერი და დაზვერვის თანამშრომელი. 1916 წლის ივნისიდან – გერმანულ-ქართული საზოგადოების წევრი. 1917 წლის აგვისტოში დაინიშნა გერმანიის სახმელეთო ძალების გენერალური შტაბის პოლიტიკის სექციის მესამე განყოფილების უფროსად.

ვოლპმანი (Wolpmann) – გერმანელი ოფიცერი, კაპიტანი, პირველი მსოფლიო ომის მონაწილე. 1914-1918 წლებში – გერმანიის სამხედრო ატაშეს მოადგილე კონსტანტინოპოლში.

ვოლფი არტურ (Wolff Arthur) – გერმანელი ადვოკატი, ასევე იყო გერმანიის თეატრების კავშირის პრეზიდენტი. 1916 წლის ივნისიდან – გერმანულ-ქართული საზოგადოების წევრი.

ვოლფი ჰერმან (Wolff Hermann) – გერმანული გემების კომპანია „რიკმერსის“ გენერალური დირექტორი. 1916-1918 წლებში – გერმანულ-ქართული საზოგადოების წევრი.

ვუსტენჰოფერი ფრანც იაკობ კარლ (Wüstenhöfer Franz Jacob Karl) (1859-1927) – გერმანელი მრეწველი. პროფესიული განათლება მიიღო გელზენკირხენში. 1913 წლიდან მუშაობდა ბორბეკის შახტების გენერალურ დირექტორად. 1916-1918 წლებში იყო გერმანულ-ქართული საზოგადოების წევრი. 1923 წელს ვუსტენჰოფერი ფრიც ტისენტან და რამდენიმე სხვა გერმანელ მრეწველთან ერთად დააპატიმრეს, როდესაც მათ უარი განაცხადეს ნახშირი საფრანგეთისთვის მიეწოდებინათ. სასამართლო გაიმართა ოკუპირებულ მაინცში, თუმცა ის მხოლოდ ფულადი ჯარიმით შემოიფარგლა. ვუსტენჰოფერის სიტყვებმა, რომ მას ვერავინ

აიძულებდა საკუთარი სამშობლოს წინააღმდეგ მოქმედებას, საზოგადოებაზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა.

ზავარზინი პავლე (Заварзин Павел) (1868-1932) – რუსეთის იმპერიის ჟანდარმერიის ოფიცერი, გენერალ-მაიორი. დაამთავრა ოდესის რეალური სასწავლებელი და ოდესის ფეხოსანთა იუნკერთა სასწავლებელი. 1888 წელს შევიდა სამხედრო სამსახურში. 1898 წელს პორუჩიკის ჩინით გადავიდა ჟანდარმთა ცალკე კორპუსში. ეკავა სხვადასხვა თანამდებობები. 1906 წლიდან – ქ. ვარშავის საზოგადოებრივი უსაფრთხოების და წესრიგის დაცვის განყოფილების უფროსი. 1909 წლიდან – ქ. მოსკოვის საზოგადოებრივი უსაფრთხოების და წესრიგის დაცვის განყოფილების უფროსი. 1912 წლიდან – ქ. ოდესის ჟანდარმერიის სამმართველოს უფროსი. 1916-1917 წლებში – ვარშავის გუბერნიის ჟანდარმერიის სამმართველოს უფროსი. 1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ, მცირე ხნით დაპატიმრებულ იქნა. ემიგრაციაში ცხოვრობდა საფრანგეთში.

ფონ ზანდერსი ოტო ვიქტორ კარლ ლიმან (von Sanders Otto Viktor Karl Liman) (1855-1929) – გერმანელი სამხედრო მოღვაწე, კავალერიის გენერალი და ოსმალეთის იმპერიის მარშალი. 1913 წლის 30 ივნისს დანიშნულ იქნა გერმანული სამხედრო მისიის ხელმძღვანელად ოსმალეთის იმპერიაში. იმავე წლის დეკემბერში გენერალ-ლეიტენანტის ჩინით გაემგზავრა თურქეთში, უაღრესად ცუდ მდგომარეობაში მყოფი ოსმალური არმიის რეორგანიზაციის მიზნით. მიენიჭა გერმანელი კავალერიის გენერლის და ოსმალური არმიის მარშლის ჩინი. ამავე დროს გახდა „გერმანულ-თურქული კავშირის“ საპატიო თავმჯდომარე. 1915 წლის 24 მარტს დაინიშნა გალიპოლის ნახევარკუნძულზე დისლოცირებული ახლადშექმნილი მე-5 ოსმალური არმიის სარდლად. გალიპოლის ბრძოლის დროს წარმატებით მოიგერია ანტანტის ჯარების ნაპირზე გადმოსხდომის მცდელობა. 1918 წლის თებერვლიდან იმავე წლის ნოემბრამდე – გერმანული აზიური კორპუსის მეთაური. 1918 წლის მარტში, ოსმალეთის სამხედრო მინისტრის ენვერ ფაშას თხოვნით, ჩაიბარა საარმიო დაჯგუფება F-ს (ოსმალური მე-7, მე-8 და მე-4 არმიები პალესტინაში და სირიაში) სარდლობა. თუმცა, ოსმალთა საუკეთესო ძალების კავკასიის ფრონტზე გაგზავნის გამო, ვერ შეძლო პალესტინაში ინგლისელთა შეტევის შეჩერება, რაც, საბოლოო ჯამში, პალესტინის ფრონტზე თურქული ჯარების სრული დამარცხებით დასრულდა.

ზახაუ კარლ ედუარდ (Sachau Carl Eduard) (1845-1930) – გერმანელი ორიენტალისტი. სემიტური ენების სპეციალისტი ვენის და ბერლინის უნივერსიტეტებში, ავსტრიის და პრუსიის მეცნიერებათა აკადემიების წევრი. განსაკუთრებით აღსანიშნავია ზახაუს კვლევები სირიული და არამეული დიალექტების შესახებ. მისი მოსწავლე იყო თანამედროვე გერმანული ისლამთმცოდნეობის ფუძემდებელი ოიგენ მიტვოხი. ზახაუ კონსულტანტად მონაწილეობდა ბერლინი-ბაღდადის რკინიგზის მშენებლობის პროექტში. 1916-1918 წლებში – გერმანულ-ქართული საზოგადოების წევრი.

ზდანევიჩი (მაიაშვილი) გიორგი (1855-1917) – ქართველი მენარმე და საზოგადო მოღვაწე. დაიბადა ქ. ქუთაისში. 1871 წელს წარჩინებით დაამთავრა ქუთა-

ისის კლასიკური გიმნაზია. იმავე წელს შევიდა პეტერბურგის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში, ხოლო 1873 წელს სასწავლებლად პეტერბურგის სამხედრო-სამედიცინო აკადემიაში გადავიდა. 1875 წელს რევოლუციური მოღვაწეობისათვის დააპატიმრეს. 1877 წელს „50-იანელების“ პროცესზე გაასამართლეს და 6 წლით და 8 თვით ციმბირში გადასახლება მიუსაჯეს. 1886 წლიდან ცხოვრობდა ტომსკში და რედაქტორობდა «Сибирская газета»-ს (“ციმბირის გაზეთს”). 1889 წელს დაბრუნდა საქართველოში და დასახლდა ქუთაისში. ამიერიდან მისი სახელი მჭიდროდ იყო დაკავშირებული ჭიათურის მანგანუმის მრეწველობასთან. იყო მანგანუმის მრეწველთა წარმომადგენლობითი ორგანოს ყრილობის დაარსების ინიციატორი და ამ საქმის ორგანიზატორი, ხოლო 1896-1917 წლებში – ყრილობის უცვლელი ხელმძღვანელი. ამ პერიოდიდან ხელმძღვანელობდა ჭიათურაში ქუჩების, გზების, ხიდების, მუშათა თეატრების, სასადილოების, ბიბლიოთეკების, აბანოს, წყალსადენების, საკანალიზაციო სისტემების და სხვა ინფრასტრუქტურის მშენებლობას. მისი ინიციატივით აგებული იქნა მცირე ელექტროსადგური და 1907 წლიდან ჭიათურის მოსახლეობა ელექტროგანათებით სარგებლობდა. გაყვანილი იქნა სატელეფონო ხაზები. 1897 წელს ჭიათურაში გაიხსნა საექიმო პუნქტი-აფთიაქი. 1911-1914 წლებში ზდანევიჩის მოღვაწეობის შედეგად ჭიათურაში უკვე არსებობდა საქალაქო სასწავლებელი, ვაჟთა უმაღლესი სასწავლებელი, ქალთა დაბალი დანყებითი სასწავლებელი, სამთო ტექნიკის განყოფილება და სხვა. დაინტერესებული იყო ქვეყნის სამეურნეო ცხოვრების გაუმჯობესებით, რაც ქართველი ხალხის სოციალური და ეროვნული განვითარების ქვაკუთხედად მიაჩნდა.

ზერინგი მაქს (Serin Max) (1857-1939) – გერმანელი ეკონომისტი, იურისტი. სწავლობდა სტრასბურგის და ლაიფციგის უნივერსიტეტებში. პრუსიის სოფლის მეურნეობის სამინისტროს დაკვეთით კვლევით მოგზაურობაში იმყოფებოდა ჩრდილოეთ ამერიკაში, ადგილობრივი აგრარული სექტორის შესწავლის მიზნით. ჰაბილიტაცია დაიცვა ბონის უნივერსიტეტში, თავად კი ასწავლიდა ბერლინის აგრარულ სკოლაში და ბერლინის უნივერსიტეტში. დაინტერესებული იყო კოლონიზაციის საკითხებით. 1912 წელს გახდა „საშინაო კოლონიზაციის მხარდამჭერი საზოგადოების“ თანადამფუძნებელი. პირველი მსოფლიო ომის დროს იყო პრუსიის სამხედრო სამინისტროს სამეცნიერო კომისიის თავმჯდომარე, სადაც 1916 წელს შეიმუშავა განსახლების გეგმები აღმოსავლეთში გერმანელთა მიერ დაკავებულ მიწებზე. 1916-1918 წლებში – გერმანულ-ქართული საზოგადოების წევრი. 1921 წელს დააფუძნა „გერმანიის აგრარული და განსახლების კვლევითი ინსტიტუტი“. გერმანიაში ნაციონალ-სოციალისტთა ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, ზერინგმა, მათ მიმართ ოპონირების გამო, დაკარგა გავლენა. ის ჩამოაცილეს სხვადასხვა თანამდებობებს და აქტიურ საზოგადოებრივ ცხოვრებას.

ზიჩი მიხაი (Zichy Mihály) (1827-1906) – უნგრელი ფერმწერი და გრაფიკოსი. უნგრული რომანტიზმის წარმომადგენელი. სწავლობდა ბუდაპეშტის უნივერსიტეტში. 1842 წლიდან მეცადინეობდა ფერწერაში იტალიელ მხატვარ ი. მარასტონისთან, რომელმაც გახსნა სამხატვრო სასწავლებელი ბუდაპეშტში. 1843 წელს გადადის ვენაში, სადაც სწავლობდა ფერწერას ფ. გ. ვალდმიულერის ხელმძღვანელობით. 1847 წლიდან ცხოვრობს პეტერბურგში. 1858 წელს აირჩიეს პეტერ-

ბურგის სამხატვრო აკადემიის აკადემიკოსად. 1859 წლიდან – საიმპერატორო კარის მხატვარი. 1874-1881 წლებში ცხოვრობდა ევროპაში. 1875-1880 წლებში იყო პარიზის უნგრელთა ურთიერთდახმარების საზოგადოების თავმჯდომარე. 1881-1882 წლებში ცხოვრობდა კავკასიაში (ტფილისში). ამ დროს მოწინავე ქართველი ინტელიგენციის თხოვნით დაიწყო შოთა რუსთაველის პოემის „ვეფხისტყაოსნის“ ილუსტრაციებზე მუშაობა. სულ შექმნა 34 სურათი (შეუკვეთეს 14) და აღნიშნული ნამუშევრები ქართველ ხალხს უსასყიდლოდ გადასცა. 1883-1906 წლებში – კვლავ საიმპერატორო კარის მხატვარი. როგორც დემოკრატი ხელოვანი თანაუგრძნობდა უნგრეთის რევოლუციას, იზიარებდა უტოპიური სოციალიზმის იდეებს.

ზუდეკუმი ალბერტ ოსკარ ვილჰელმ (Südekum Albert Oskar Wilhelm) (1871-1944) – გერმანელი პოლიტიკოსი და პუბლიცისტი. სწავლობდა ეკონომიკას ჟენევის, მიუნხენის, ბერლინის და კილის უნივერსიტეტებში. 1894 წელს კილის უნივერსიტეტში მიიღო დოქტორის ხარისხი. იყო სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრი. 1900 წელს გახდა რაიხსტაგის წევრი ნიურნბერგის საარჩევნო ოლქიდან და 18 წლის მანძილზე ასრულებდა დეპუტატის მოვალეობას. რაიხსტაგში ზუდეკუმი სტრატეგიულ მოკავშირედ მოიაზრებდა ლიბერალებს და ახლო ურთიერთობა დაამყარა მათ ცნობილ ლიდერებთან, ფრიდრიხ ნაუმანთან, თეოდორ ჰოისთან, ჰუგო პროისთან. პირველი მსოფლიო ომის დროს ზუდეკუმმა, მემარცხენეთა დიდი ნაწილისგან განსხვავებით, პატრიოტული პოზიცია დაიჭირა და კანცლერ თეობალდ ფონ ბელოვან-ჰოლვეგს მხარდაჭერა გამოუცხადა. ამ ღია პოზიციამ ზუდეკუმი მემარცხენე რადიკალებთან მტრობამდე მიიყვანა. ზუდეკუმი საკუთარ თავს პატრიოტად მოიაზრებდა და ერის და სოციალიზმის შეწყვეტას ისახავდა მიზნად. 1916-1918 წლებში – გერმანულ-ქართული საზოგადოების წევრი. მსოფლიო ომის შემდეგ ასრულებდა პრუსიის ფინანსთა მინისტრის ფუნქციებს, თუმცა 1920 წლის კაპ-ლუტვიციის პუტჩის შემდეგ პოლიტიკურ თანამდებობას ჩამოშორდა და ეკონომიკის სფეროში გადაინაცვლა. იყო ნაციონალ-სოციალიზმის მოწინააღმდეგე და კავშირი ჰქონდა მესამე რაიხის გერმანიაში არსებულ ანტიჰიტლერულ წრეებთან.

თაგევი ჰაჯი ზეინალაბდინ (1823-1924) – აზერბაიჯანელი მენარმე, მილიონერი და მეცენატი. ნამდვილი სახელმწიფო მრჩეველი.

თავდგირიძე ქიამილ ბეგი – პირველი მსოფლიო ომის დროს ოსმალეთის არმიის ოფიცერი, კავალერიის ლეიტენანტის წოდებით. მე-19 საუკუნის ცნობილი ქართველი მაჰმადიანი და ოსმალეთის იმპერიის მოღვაწის, ალი ფაშა თავდგირიძის უმცროსი შვილი. ფლობდა მსხვილ მამულებს სამსუნის რეგიონში. ახორციელებდა დიდ გავლენას ოსმალეთში მცხოვრებ მაჰმადიან ქართველებზე. 1914 წელს, სავარაუდოდ ოსმალური ხელისუფლების ინიციატივით, შევიდა საქართველოს განთავისუფლების კომიტეტში, თუმცა, გ. კერესელიძის თანახმად, პირველი მსოფლიო ომის მთელი დროის განმავლობაში, იმყოფებოდა სრულიად პროქართულ პოზიციებზე. ხელი მოაწერა კომიტეტის მთელ რიგ მნიშვნელოვან დოკუმენტებს და მემორანდუმებს. 1915-1917 წლებში – ქართული ლეგიონის ოფიცერი.

თალათ ფაშა მეჰმედ (1874-1921) – ოსმალეთის იმპერიის სახელმწიფო მოღვაწე. დაამთავრა უმაღლესი სკოლა ედირნეში. თავდაპირველად მუშაობდა ტელეგრაფის მოხელედ. შეუერთდა ახალგაზრდა თურქთა მოძრაობას, რის გამოც 1893 წელს 2 წლით დაპატიმრებულ იქნა, ხოლო შემდეგ გასახლებული სალონიკში, სადაც ახალგაზრდა თურქთა პარტიის ადგილობრივი ორგანიზაციის ხელმძღვანელი გახდა. 1908 წლის ახალგაზრდა თურქთა სახელმწიფო გადატრიალების შემდეგ – მეჯლისის დეპუტატი. 1909-1912 წლებში – თურქეთის შინაგან საქმეთა მინისტრი. 1912 წელს – ფოსტის და ტელეგრაფის მინისტრი. 1913-1917 წლებში კვლავ ეკავა შინაგან საქმეთა მინისტრის პოსტი. 1917-1918 წლებში – ოსმალეთის იმპერიის დიდი ვეზირი (პრემიერ-მინისტრი), „ერთობის და პროგრესის“ პარტიის ცკ-ს თავმჯდომარე. 1918 წლის ოქტომბერში აღიარა ახალგაზრდა თურქთა პოლიტიკის კრახი და გაიქცა გერმანიაში. 1919 წელს, კონსტანტინოპოლში საგანგებო საველეტრიბუნალის მიერ, პირველი მსოფლიო ომის დროს ოსმალეთის იმპერიის სომხური მოსახლეობის ხოცვა-ჟლეტის ბრალდებით დაუსწრებლად სიკვდილი მიესაჯა. 1921 წლის მარტში მოკლულ იქნა სომეხი ნაციონალისტის მიერ ბერლინში.

თოფჩიბაშევი (თოფჩიბაში) ალი მარდან ბეგი (1865-1934) – აზერბაიჯანის დემოკრატიული რესპუბლიკის ერთ-ერთი მთავარი ხელმძღვანელი. 1888 წელს დაამთავრა პეტერბურგის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. 1905-1907 წლების პირველი რევოლუციის დროს რუსეთის მუსულმანთა სამი ყრილობის მონაწილე. იყო პოლიტიკური პარტიის „İttifak-al-muslimin“ („მუსულმანთა კავშირის“) თავმჯდომარე. 1 სახელმწიფო დუმის დეპუტატი. ავტონომისტთა საპარლამენტო კავშირის წევრი. დუმის დაშლის შემდეგ ხელი მოაწერა ვიბორგის მონოდებას. 1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ – რუსეთის ფედერალიზაციის მომხრე. 1917 წლის აპრილში მონაწილეობას იღებდა კავკასიის მუსულმანთა ყრილობაში (ბაქოში) და სრულიად რუსეთის მუსულმანთა ყრილობაში (მოსკოვში). 1918 წლის თებერვლიდან მაისამდე – ამიერკავკასიის სეიმის წევრი. აზერბაიჯანის დიპლომატიური წარმომადგენელი საქართველოს და სომხეთის დიპლომატიურ დელეგაციებთან კონსტანტინოპოლში. 1918 წლის ოქტომბერ-დეკემბერში – აზერბაიჯანის საგარეო საქმეთა მინისტრი. იმავე წლის დეკემბერში – აზერბაიჯანის დემოკრატიული რესპუბლიკის პარლამენტის თავმჯდომარე. 1919 წლის დასაწყისში – აზერბაიჯანის დიპლომატიური დელეგაციის თავმჯდომარე პარიზის სამშვიდობო კონფერენციაზე. 1920 წლის აპრილის ბოლოდან – ემიგრაციაში საფრანგეთში. გასული საუკუნის 20-30-იან წლებში პარიზში, კავკასიის რესპუბლიკების სხვა დიპლომატიურ წარმომადგენლებთან ერთად, მოაწერა ხელი მთელ რიგ მნიშვნელოვან დეკლარაციებს, გაერთიანებული კავკასიური სახელმწიფოს შექმნის აუცილებლობის შესახებ.

ფონ იაგოვ გოთლიბ (von Jagow Gottlieb) (1863-1935) – გერმანელი დიპლომატი. დიპლომატიურ სამსახურში შევიდა 1895 წელს. 1907-1909 წლებში – გერმანიის იმპერიის დესპანი ლუქსემბურგში. 1909-1913 წლებში – საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი იტალიაში. 1913 წლის იანვრიდან 1916 წლის ნოემბრამდე – გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრი (სტატს-მდივანი). ხელი შეუწყო გერმანიის პირველ მსოფლიო ომში ჩართვას ავსტრია-უნგრეთის მხარეზე და ოსმალეთის იმპერიასთან სამხედრო კავშირის დადებას. მას შემდეგ, რაც მიღებულ იქნა გადაწყვეტილე-

ბა „შეუზღუდავი წყალქვეშა ომის“ განახლების შესახებ, რის წინააღმდეგაც გამოდიოდა იაგოვი, ის, საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტზე, ჩაანაცვლა ა. ციმერმანმა.

იზზეთ ფაშა აჰმედ (1864-1937) – ოსმალეთის იმპერიის და თურქეთის რესპუბლიკის სამხედრო და სახელმწიფო მოღვაწე, მარშალი. 1887-1890 წლებში სწავლობდა სტრატეგიას და სამხედრო გეოგრაფიას ოსმალურ სამხედრო კოლეჯში, რის შემდგომაც, 1894 წელს სწავლობდა გერმანიაში გენერალ ფრაიჰერ ფონ დერ გოლცთან. საბერძნეთ-თურქეთის ომის დროს მიენიჭა პოლკოვნიკის სამხედრო წოდება. ახალგაზრდა თურქეთა 1908 წლის რევოლუციის შემდგომ – ოსმალეთის არმიის გენერალური შტაბის უფროსი. 1911 წლიდან მსახურობდა ოსმალურ ნაწილებში იემენში. პირველ მსოფლიო ომში თურქეთის ჩაბმის დასაწყის სტადიაზე, სარდლობდა ოსმალურ მე-3 არმიას კავკასიის ფრონტზე. 1916 წელს – აგრეთვე კავკასიის ფრონტზე დისლოცირებული ოსმალური მე-2 არმიის სარდალი. 1917 წელს – ოსმალურ არმიათა ანატოლიური დაჯგუფების სარდალი, მარშლის წოდებით. 1918 წელს ასრულებდა პრემიერ-მინისტრის და საგარეო საქმეთა მინისტრის მოვალეობებს. 1919-1923 წლებში – თურქეთის დამოუკიდებლობისათვის ომის მონაწილე.

იმჰოფ ფაშა ჰაინრიხ კარლ აბრაჰამ (Imhoff Pascha Heinrich Karl Abraham) (1854-1918) – გერმანელი სამხედრო მოღვაწე, პრუსიის და ოსმალეთის არმიების გენერალ-ლეიტენანტი. სამხედრო კარიერა დაიწყო 1870 წელს, პრუსია-საფრანგეთის ომში მოხალისედ წასვლით. 1888 წელს მიიღო კაპიტნის წოდება, ხოლო 1897 წელს გახდა მაიორი. 1901 წლიდან პოლკოვნიკის წოდებით მსახურობდა ოსმალეთის არმიაში სულთან აბდულ ჰამიდ II-ის ადიუტანტად, შემდეგ კი არტილერიის ინსტრუქტორად. მიენიჭა გენერალ-ლეიტენანტის წოდება, სულთანმა კი ის ფაშას ტიტულით და პირველი ხარისხის მეჯიდიეს ორდენით დააჯილდოვა. 1910 წლიდან პოლკოვნიკის ჩინით კვლავ მსახურობდა პრუსიის არმიაში. იმავე წლის ბოლოს მიიღო გენერალ-მაიორის წოდება და დაინიშნა მე-4 საარტილერიო ბრიგადის მეთაურად. 1911 წელს, მისი დამსახურებების გამო, იმპერატორ ვილჰელმ II-ს მიერ დაჯილდოვებულ იქნა მეორე ხარისხის წითელი არწივის ორდენით. იმავე წლის ბოლოს, ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო გავიდა პენსიაში. მოგვიანებით, 1913 წელს, მიენიჭა გენერალ-ლეიტენანტის წოდება. 1916-1918 წლებში – გერმანულ-ქართული საზოგადოების წევრი.

ისმეთ ფაშა ინენიუ მუსტაფა (1884-1973) – ოსმალეთის იმპერიის და თურქეთის რესპუბლიკის სამხედრო და სახელმწიფო მოღვაწე, გენერალი. დაამთავრა სამხედრო-საარტილერიო სასწავლებელი. მონაწილეობდა პირველ მსოფლიო ომში ვიცე-პოლკოვნიკის და პოლკოვნიკის ჩინით. თავდაპირველად – თურქეთის გენერალური შტაბის პირველი განყოფილების უფროსად, ხოლო შემდგომ – მე-2 ოსმალური არმიის შტაბის უფროსად მესოპოტამიის ფრონტზე. მიენიჭა გენერლის წოდება. 1920 წელს მიემხრო მუსტაფა ქემალ ფაშას (ათათურქს), გახდა მისი უახლოესი თანამებრძოლი. 1920-1921 წლებში – ქემალისტური შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსი. 1921 წელს სოფელ ინენიუსთან დაამარცხა ბერძნული არმია (იმავე წელს, თურქეთში გვარების შემოღების დროს, ამ მოვლენის აღსანიშნავად მიენიჭა ინენიუს გვარი). 1922-1924 წლებში – პრემიერ-მინისტრ-

რი. პარალელურად, 1923-1924 წლებში, საგარეო საქმეთა მინისტრი. 1922 წლის ოქტომბერში, ანგორას დიდი ნაციონალური ყრილობის მთავრობის სახელით ხელი მოაწერა მუდანის შეთანხმებას ცეცხლის შეწყვეტის შესახებ. 1922-1923 წლებში ხელმძღვანელობდა თურქეთის დელეგაციას ლოზანის სამშვიდობო კონფერენციაზე. 1938 წელს, ათათურქის სიკვდილის შემდეგ, არჩეულ იქნა თურქეთის რესპუბლიკის პრეზიდენტად და სახალხო-რესპუბლიკური პარტიის თავმჯდომარედ. 1950 წელს, ხსენებული პარტიის არჩევნებში დამარცხების შემდეგ, დატოვა პრეზიდენტის და პარტიის თავმჯდომარის პოსტი. 1950-1960 წლებში – ოპოზიციის ლიდერი თურქულ მეჯლისში. 1961-1965 წლებში – პრემიერ-მინისტრი.

იუდენიჩი ნიკოლოზ (Юденич Николай) (1862-1933) – რუსეთის იმპერიის სამხედრო მოღვაწე, ინფანტერიის გენერალი. 1887 წელს დაასრულა გენერალური შტაბის აკადემია პირველი თანრიგით. 1896 წელს – პოლკოვნიკი. რუსეთ-იაპონიის ომის მონაწილე. 1905 წელს გენერალ-მაიორი, მე-5 მსროლელი დივიზიის მე-2 ბრიგადის მეთაური. 1907 წლის თებერვლიდან – კავკასიის სამხედრო ოლქის შტაბის გენერალ-კვარტირმეისტერი. 1912 წელს – გენერალ-ლეიტენანტი. იმავე წლიდან ყაზანის, ხოლო 1913 წლიდან – კავკასიის სამხედრო ოლქის უფროსი. პირველი მსოფლიო ომის დასაწყისის შემდეგ – ოსმალეთის ჯარების წინააღმდეგ მოქმედი კავკასიური არმიის მეთაური. 1915 წლის იანვარში – ინფანტერიის გენერალი და კავკასიური არმიის მთავარსარდალი. 1916 წლის თებერვალში აიღო ერზერუმი, ხოლო იმავე წლის აპრილში – ქ. ტრაპიზონი. 1917 წლის თებერვლის რევოლუციის დროს დაინიშნა კავკასიის ფრონტის მთავარსარდალად. იმავე წლის მაისში, როგორც დროებითი მთავრობის წინააღმდეგ განწყობილი პირი, გადაყენებულ იქნა ამ თანამდებობიდან. 1917 წლის ოქტომბრის ბოლშევიკური გადატრიალების შემდეგ – რუსეთის თეთრი მოძრაობის ერთ-ერთი მთავარი ხელმძღვანელი. 1919 წლის იანვრიდან – რუსეთის ჩრდილო-დასავლეთ რაიონებში თეთრი მოძრაობის ლიდერი. იმავე წლის ივნისიდან – თეთრი ჩრდილო-დასავლეთ არმიის მთავარსარდალი. იმავე წლის აგვისტოდან – ჩრდილოეთ-დასავლეთ მთავრობის სამხედრო მინისტრი. 1919 წლის ოქტომბერ-ნოემბერში, ჩრდილო-დასავლეთ არმიის პეტროგრადის ახლო მისადგომებთან ბოლშევიკური წითელი არმიის მიერ დამარცხების შემდეგ, 1920 წლიდან – ემიგრაციაში საფრანგეთში.

კალედინი ალექსი (Каледин Алексей) (1861-1918) – რუსეთის იმპერიის სამხედრო და სახელმწიფო მოღვაწე, კავალერიის გენერალი. პირველი მსოფლიო ომის დასაწყისში სარდლობდა მე-12 კავალერიის კორპუსს. 1918 წლის გაზაფხულიდან – მე-8 არმიის სარდალი. ნიკოლოზ II-ის ტახტიდან გადადგომის შემდეგ, არმიის სარდლობა გადააბარა გენერალ ლ. კორნილოვს. არჩეულ იქნა დონის კაზაკური ჯარის ატამანად. 1917-1918 წლების ზამთარში სათავეში ჩაუდგა აჯანყებას დონზე ბოლშევიკების წინააღმდეგ, რომლის დამარცხების შემდეგ სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა.

კაპლანოვი (კაპლან) რაშიდ ხანი (1883/85-1937) – ჩრდილოეთ კავკასიის და აზერბაიჯანის პოლიტიკური მოღვაწე, ეროვნებით კუმიკი. დაამთავრა სორბონის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. 1909-1910 წლებში მონაწილეობდა ახალგაზრდა თურქთა რევოლუციაში ოსმალეთის იმპერიაში. 1912/13 წელს

დაბრუნდა რუსეთში. 1917 წლის მარტში დანიშნულ იქნა თერგის ოლქის ხასავ-იურტის მაზრის კომისრად, ჩრდილოეთ კავკასიის და დაღესტნის გაერთიანებულ მთიელთა კავშირის დროებითი ცენტრალური კომიტეტის შექმნის ერთ-ერთი ინიციატორი და მისი წევრი. იმავე წლის მაისში არჩეულ იქნა მთიელთა კავშირის პირველი ყრილობის პრეზიდიუმის წევრად, წარუდგინა ყრილობას ხსენებული კავშირის კონსტიტუცია და პოლიტიკური პროგრამა. გაერთიანებულ მთიელთა კავშირის ცკ-ს თავმჯდომარის მოადგილე. იმავე წლის დეკემბერში – თერგის და დაღესტნის მთავრობის საგარეო ურთიერთობათა კომისარი, ხოლო შემდეგ, მცირე ხნით, – მთავრობის ფაქტიური თავმჯდომარე. 1918 წლის 11 მაისს ჩრდილოეთ კავკასიის და დაღესტნის გაერთიანებული მთიელთა კავშირის მიერ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის გამოცხადების ერთ-ერთი ინიციატორი. 1918-1919 წლებში – მთიელთა კავშირის რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრი და საკავშირო საბჭოს (პარლამენტის) თავმჯდომარე. 1919 წლის მარტში, დენიკინელთა მიერ ჩრდილოეთ კავკასიის ოკუპაციის გამო, გადადგა თანამდებობიდან. იმავე წლის აპრილში – განათლების და აღმსარებლობათა მინისტრი აზერბაიჯანის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობაში. 1919 წლის დეკემბერში – აზერბაიჯანის ვაჭრობის, მრეწველობის და სურსათის მინისტრი. 1920 წლის აპრილის ბოლოს წითელი არმიის მიერ აზერბაიჯანის ოკუპაციის შემდეგ დროებით დაპატიმრებულ იქნა ჩეკას მიერ. ცხოვრობდა მოსკოვში, კითხულობდა ლექციებს აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში, მუშაობდა იურისტ-კონსულტანტად. 1937 წელს დახვრიტეს სტალინური რეპრესიების დროს.

კარმი მარია (Carmi Maria), ასევე ჯილი (მაჩაბელი) ნორინა (Gilli (Matchabelli) Norina) (1880-1957) – შვეიცარიული წარმოშობის იტალიელი მსახიობი ქალი, თავად გიორგი მაჩაბლის მეუღლე. 1904 წელს გათხოვდა გერმანელ დრამატულ მსახიობზე კარლ გუსტავ ფოლმიოლერზე. 1907-1909 წლებში სწავლობდა ბერლინში, მაქს რაინჰარდის სამსახიობო სკოლაში. პირველ მსოფლიო ომამდე და მის დროს თამაშობდა ფლორენციის, ლონდონის და პარიზის თეატრებში. ამავე დროს – იტალიური და გერმანული კინოს ერთ-ერთი უცნობილესი მსახიობი. 1916 წელს ფოლმიოლერთან გაცილების შემდეგ, 1917 წელს ცოლად გაყვა გიორგი მაჩაბელს და პირველი მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ, დაბრუნდა იტალიაში, სადაც გიორგი მაჩაბელი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი დესპანის მოვალეობას ასრულებდა. იტალიაში მცირე ხნით თეატრალური მოღვაწეობის შემდეგ, 1923-1924 წლებში ქმართან ერთად გადასახლდა ამერიკის შეერთებულ შტატებში, სადაც განაგრძობდა თეატრალურ კარიერას. 1924 წელს დააარსა ქმართან ერთად „თავად მაჩაბლის პარფიუმერული კომპანია“ (Prince Matchabelli Perfume Company). 1933 წელს გამორდა გიორგი მაჩაბელს და 1935 წელს მისი სიკვდილის შემდგომ, კომპანია გაყიდა. ნორინა სიკვდილამდე ინდოელი სპირიტუალური მოძღვრის, მეჰერ ბაბას მიმდევარი იყო, რომელსაც მილიონიანი ქონება გადასცა. სიცოცხლის ბოლო წლების განმავლობაში, დიდწილად ცხოვრობდა ინდოეთში.

კატო ტომოსაბურო (1861-1923) – იაპონელი სახელმწიფო და სამხედრო მოღვაწე. 1880 წელს დაასრულა საიმპერიო ფლოტის სამხედრო აკადემია ტოკიოში. 1883 წელს – უმცროსი ლეიტენანტი. 1884-1886 წლებში – ბრუნდება აკადემია-

ში და სწავლობს ნავიგაციისა და საზღვაო არტილერიის თეორიას. ჩინეთთან ომის მონაწილე. 1897 წელს – მიიღო მე-3 რანგის კაპიტნის სამხედრო წოდება. 1899 წლიდან საშტაბო სამუშაოზე სამხედრო სამინისტროში. 1 რანგის კაპიტანი. 1903 წელს დაინიშნა ადმირალ ტოგოს შტაბის უფროსად და ინარჩუნებდა ამ თანამდებობას რუსეთ-იაპონიის 1904-1905 წლების ომის დროს. ცუსიმას ბრძოლის მონაწილე. ომის შემდეგ დაიკავა საზღვაო მინისტრის მოადგილის თანამდებობა და 1908 წელს მიენიჭა ვიცე-ადმირალის წოდება. 1915 წლის აგვისტოში დაინიშნა საზღვაო მინისტრად (სრული ადმირალის წოდების მინიჭებით). იკავებდა ამ თანამდებობას 8 წლის განმავლობაში. მის დროს შემუშავებულ იქნა გემთმშენებლობის პროგრამები, რამაც იაპონური ფლოტი მსოფლიოში წამყვან პოზიციებზე გაიყვანა. 1922-1923 წლებში – იაპონიის პრემიერ-მინისტრი.

კედია სპირიდონი (1884-1947) – ქართველ ეროვნულ-დემოკრატთა ერთ-ერთი მთავარი ხელმძღვანელი. 1904-1905 წლებში იმყოფებოდა სოციალისტ-ფედერალისტთა იდეოლოგიის ზეგავლენის ქვეშ და მონაწილეობდა პირველ რუსულ რევოლუციაში. 1906-1914 წლებში ცხოვრობდა საფრანგეთში, სადაც სწავლობდა სორბონის უნივერსიტეტში. 1914 წელს პირველი მსოფლიო ომის დაწყების შემდეგ საიდუმლოდ დაბრუნდა რუსეთში, სადაც პეტროგრადში დაპატიმრებულ იქნა და 3 თვით პატიმრობა მიესაჯა. დაბრუნდა ტფილისში და 1914-1916 წლებში, ამოდ ცდილობდა სოციალისტ-ფედერალისტებთან ერთად გაერთიანებული ეროვნული პარტიის შექმნას. 1917 წლის მაისში დააარსა საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია და მისი პირველი თავმჯდომარე გახდა. კავშირი ჰქონდა ბერლინში საქართველოს განთავისუფლების კომიტეტთან. 1919-1921 წლებში – საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების წევრი ეროვნულ-დემოკრატიული პარტიიდან. 1922-1923 წლებში დაპატიმრებული იყო ბოლშევიკთა მიერ და მოთავსებულ იქნა მეტეხის ციხეში. 1923 წლიდან – ემიგრაციაში საფრანგეთში. 1923-1939 წლებში – ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ახალგაზრდათა ფრაქციის ხელმძღვანელი. იმყოფებოდა ოპოზიციაში საქართველოს ეროვნული ცენტრის და სოციალ-დემოკრატთა მიმართ. 1925 წელს პარიზში სცემდა გაზეთს „სამშობლოსათვის“. 1932-1934 წლებში – პარიზში გამომავალი გაზეთის „საქართველოს გუმაგის“ მთავარი რედაქტორი. 1942-1943 წლებში – ბერლინში საქართველოს ეროვნული კომიტეტის წევრი.

კერენსკი ალექსანდრე (Керенский Александр) (1881-1970) – რუსეთის პოლიტიკური და სახელმწიფო მოღვაწე. დაამთავრა სანქტ-პეტერბურგის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. თავდაპირველად ესერთა პარტიის წევრი იყო. 1912 წელს გამოვიდა ესერთა პარტიიდან და შეუერთდა ტრუდოვიკების ჯგუფს. 1912-1915 წლებში მე-4 სახელმწიფო დუმის დეპუტატი ტრუდოვიკების სიით. თებერვლის რევოლუციის დროს – სახელმწიფო დუმის დროებითი კომიტეტის წევრი, პეტროგრადის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე (მეგობარი). 1917 წლის მარტიდან – კვლავ შევიდა ესერთა პარტიაში. იმავე წლის 2 მარტიდან 5 მაისამდე – რუსეთის რესპუბლიკის დროებითი მთავრობის იუსტიციის მინისტრი. იმავე წლის მაის-სექტემბერში – სამხედრო და საზღვაო მინისტრი დროებითი მთავრობის 1 და 2 კოალიციურ მთავრობებში. 1917 წლის 8 ივლისიდან 25 ოქტომბრამდე – დროებითი მთავრობის მინისტრი-თავმჯდომარე (პრემიერ-მინისტრი). ამავე

დროს, 30 აგვისტოდან, – უზენაესი მთავარსარდალი. 1917 წლის 25 ოქტომბრის ბოლშევიკური გადატრიალების შემდეგ, 1919 წლიდან ემიგრაციაში საფრანგეთში და ამერიკის შეერთებულ შტატებში.

კერესელიძე გიორგი (1885-1960) – პირველი მსოფლიო ომის დროს ქართული ეროვნულ-გამანთავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი ხელმძღვანელი. 1900 წელს დააფუძნა ლეო კერესელიძესთან და ნესტორ მაღალაშვილთან ერთად „საქართველოს დამოუკიდებლობის წრე“. თავდაპირველად თანამშრომლობდა სოციალისტ-ფედერალისტებთან. საქართველოში 1905 წლის რევოლუციის მონაწილე. 1906 წლის მაისში ძმასთან, ლეო კერესელიძესთან, და დედაშვილ ნესტორ მაღალაშვილთან ერთად მონაწილეობდა დუშეთის სახელმწიფო ბანკის განყოფილებაზე შეიარაღებულ თავდასხმაში, რის შედეგადაც სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის სასარგებლოდ რეკვიზირებულ იქნა 315 000 მანეთი. იმავე წელს, იძულებული შეიქნა დაეტოვებინა საქართველო და გადასახლებულიყო ჟენევაში (შვეიცარია). 1911-1914 წლებში – ქართველ სეპარატისტთა პარტიის უცხოეთში მოქმედი კომიტეტის წევრი. 1913-1914 წლებში – თანამშრომლობდა გაზეთ „თავისუფალ საქართველოში“. პირველი მსოფლიო ომის დროს საქართველოს განთავისუფლების კომიტეტის წევრი და 1916-1918 წლებში, მისი ბერლინში გამოძალი ორგანოს, გაზეთ „ქართული გაზეთის“ რედაქტორი. 1918-1922 წლებში – გერმანიაში საქართველოს ლეგაციის სამხედრო ატაშე, პოლკოვნიკის ჩინით. ემიგრაციაში – გერმანიაში და (1932 წლიდან) საფრანგეთში. 1922-1932 წლებში – გერმანიაში ქართული კოლონიის თავმჯდომარე. 1926-1945 წლებში – ქართველ პატრიოტთა ორგანიზაციის „თეთრი გიორგის“ წევრი. 1942-1945 წლებში – გერმანიაში კავკასიელ ემიგრანტთა საქმეების სამმართველოს უფროსი. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ გარდაცვალებამდე ცხოვრობდა საფრანგეთში.

კერესელიძე ლეო (1883-1943) – ქართული ეროვნულ-გამანთავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი ხელმძღვანელი. 1900 წელს დააფუძნა გიორგი კერესელიძესთან და ნესტორ მაღალაშვილთან ერთად „საქართველოს დამოუკიდებლობის წრე“. 1904 წლიდან თანამშრომლობდა სოციალისტ-ფედერალისტებთან. 1905 წელს მონაწილეობდა ევროპიდან საქართველოში იარაღის შემოტანის საიდუმლო ოპერაციებში. 1906 წლის მაისში სოციალისტ-ფედერალისტებთან ერთად მონაწილეობდა შეიარაღებულ თავდასხმაში ქ. დუშეთის სახელმწიფო ბანკის განყოფილებაზე, რის შედეგადაც პარტიის სასარგებლოდ რეკვიზირებულ იქნა 315 000 მანეთი. იმავე წელს დასახლდა ჟენევაში (შვეიცარია), სადაც 1907-1912 წლებში სწავლობდა ჟენევის უნივერსიტეტის იურიდიულ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე. ჟენევის უნივერსიტეტის პრივატ-დოცენტი. 1914-1918 წლებში საქართველოს განთავისუფლების კომიტეტის წევრი. 1915-1916 წლებში – ოსმალეთის ტერიტორიაზე დისლოცირებული ქართული ლეგიონის მეთაური, მაიორის ჩინით. 1918-1921 წლებში მსახურობდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შეიარაღებულ ძალებში. 1921 წლიდან – ემიგრაციაში. ცხოვრობდა თურქეთში, შვეიცარიაში, საფრანგეთში, მაროკოში და გერმანიაში. 1926-1943 წლებში – ქართველ პატრიოტთა ორგანიზაციის „თეთრი გიორგის“ გენერალური მდივანი. 1942-1943 წლებში – ბერლინში ქართული ეროვნული კომიტეტის წევრი. დაიღუპა 1943 წლის ნოემბერში, მოკავშირეთა ავიაციის მიერ ბერლინის დაბომბვის დროს.

ფონ კვიატკოვსკი ერნსტ (von Kwiatkowski Ernst) – ავსტრო-უნგრელი დიპლომატი. 1913 წლის ნოემბრიდან 1918 წლის ნოემბრამდე – ავსტრია-უნგრეთის იმპერიის კონსული ტრაპიზონში (1916-1917 წლებში, რუსული ჯარების მიერ ტრაპიზონის დროებითი დაკავების გამო, საკონსულოს ადგილსამყოფელი სამსუნში იყო გადატანილი).

კილიგილ ნური ფაშა (1881-1949) – ოსმალეთის იმპერიის სამხედრო მოღვაწე, გენერალ-ლეიტენანტი. ენვერ ფაშას არაღვიძლი ძმა. პირველი მსოფლიო ომის დროს, 1917 წლიდან სარდლობდა ლიბიის სანაპირო რაიონებში მოქმედ საარმიო დაჯგუფებას „აფრიკა“. 1918 წლის გაზაფხულზე დაინიშნა განჯის რაიონში დისლოცირებული და დაახლოებით 13 000 კაცისგან შემდგარი კავკასიის ისლამური არმიის მეთაურად (შედგებოდა როგორც თურქი, ისე აზერბაიჯანელი და ჩრდილოკავკასიელი მოხალისეებისგან). იმავე წლის ივლისში, კავკასიის ისლამურმა არმიამ აზერბაიჯანის ტერიტორიაზე, რამდენჯერმე დაამარცხა ბაქოს საბჭოს წითელი არმია, ხოლო 15 სექტემბერს გაათავისუფლა ბაქო ე.წ. ესერულ-მენშევიკური ცენტროკასპიის დიქტატურის მთავრობის სამხედრო ძალებისგან. პირველ მსოფლიო ომში ოსმალეთის იმპერიის დამარცხების შემდეგ, 1918 წლის ნოემბერში ნური ფაშა იძულებული იქნა დაეტოვებინა აზერბაიჯანის ტერიტორია. 1920 წლის ივლისში სათავეში ჩაუდგა აჯანყებას ბოლშევიკების წინააღმდეგ ყარაბაღში. დაპატიმრებულ იქნა ინგლისელთა მიერ, თუმცა ბათუმის ციხიდან გაქცევა მოახერხა. 1938 წლიდან ფლობდა იარაღის მწარმოებელ ქარხანას თურქეთში. დაიღუპა ქარხანაში აფეთქების დროს, 1949 წლის მარტში.

ფონ კიულმანი რიხარდ (von Kühlmann Richard) (1873-1948) – გერმანელი დიპლომატი და მენარმე. სწავლობდა სამართალს ლაიფციგის, ბერლინის და მიუნხენის უნივერსიტეტებში. 1896 წელს სამართლის დოქტორის ხარისხის დაცვის შემდეგ, 1899 წლიდან იმყოფებოდა დიპლომატიურ სამსახურში. თავდაპირველად, მუშაობდა ლეგაციის მრჩეველად გერმანიის საელჩოში სანქტ-პეტერბურგში (რუსეთის იმპერია), ხოლო შემდეგ – საელჩოში თეირანში (ირანი). 1905 წელს მსახურობდა მისიაში ტანჟერში (მაროკო). 1906 წელს დანიშნულ იქნა მისიის მრჩეველად ჰააგაში (ჰოლანდია), საიდანაც 1908 წელს გადაყვანილ იქნა საელჩოს მრჩეველის თანამდებობაზე ლონდონში (დიდი ბრიტანეთი). პირველი მსოფლიო ომის დაწყების შემდეგ, მონაწილეობდა საგანგებო მისიებში შვედეთში და ოსმალეთის იმპერიაში. 1915 წელს დაინიშნა გერმანიის დესპანად ჰააგაში, ხოლო 1916 წლის ოქტომბერში – საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად კონსტანტინოპოლში. 1917 წლის აგვისტოდან 1918 წლის ივლისამდე – გერმანიის იმპერიის სახელმწიფო მდივანი (საგარეო საქმეთა მინისტრი).

კოზაკი ჰარალდ (Cosack Harald) (1880-1960) – გერმანელი მეცნიერი და ექსპერტი. 1898 წელს დაასრულა ქ. პერნაუს გიმნაზია. 1899-1902 წლებში სწავლობდა ქიმიის, ხოლო 1902-1904 წლებში იურიდიულ ფაკულტეტზე დორპატის (ესტონეთი) უნივერსიტეტში. 1903 წელს – გერმანული ენის უფროსი მასწავლებელი სანქტ-პეტერბურგში. 1904-1909 წლებში – გერმანული ენის უფროსი მასწავლებელი ტაშკენტის რეალურ სასწავლებელში. 1909-1914 წლებში სწავლობდა ბერლინში ისტორიას და სლავისტიკას. 1915-1920 წლებში – ბერლინის აღმოსავლეთის ინსტიტუტის

რუსული განყოფილების ხელმძღვანელი. პარალელურად, 1915-1918 წლებში იყო გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს აღმოსავლეთის საინფორმაციო ბიუროს თანამშრომელი. ამ ხაზით თანამშრომლობდა საქართველოს განთავისუფლების კომიტეტთან, რომლის წევრებთან ერთად ეწეოდა ინტენსიურ სააგიტაციო-პროპაგანდისტულ მოღვაწეობას ქართველ ტყვეთა ბანაკებში. 1920-1922 წლებში – წითელი ჯვრის ლტოლვილთა სახლის ხელმძღვანელი. 1922 წელს – მიიღო ბერლინის უნივერსიტეტის ფილოლოგიის დოქტორის სამეცნიერო ხარისხი. 1923-1924 წლებში – უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის დამხმარე ბიბლიოთეკარი, ხოლო 1923-1930 წლებში – ბრესლაუს აღმოსავლეთ ევროპის ინსტიტუტის ასისტენტი. 1931-1932 წლებში – ბრესლაუს უნივერსიტეტის რუსული ენის ლექტორის შემცვლელი. 1932-1933 წლებში – კვლევის სტიპენდიანტი. 1934-1947 წლებში – ბერლინ-დალემის საიდუმლო პრუსიული სახელმწიფო არქივის პუბლიკაციათა განყოფილების ბიბლიოთეკარი. 1947-1951 წლებში – როსტოკში პროფესორის ხარისხით ასწავლიდა აღმოსავლეთ ევროპის ისტორიის სრულ კურსს. 1951 წელს – გავიდა პენსიაზე.

ფონ კრესენშტაინი ფრიდრიხ კრეს (von Kressenstein Friedrich Kress) (1870-1948) – გერმანელი სამხედრო მოღვაწე, გენერალი. პირველი მსოფლიო ომის მონაწილე. 1915-1917 წლებში – სუეცის არხის მიმართულებით მოქმედი პირველი თურქული ექსპედიციური კორპუსის მეთაური. 1917 წელს დაინიშნა მე-8 თურქული არმიის სარდლად. 1918 წლის ივნისიდან იმავე წლის დეკემბრამდე – კავკასიაში გერმანული სამხედრო მისიის მეთაური

კრუში პაულ (Krusch Paul) (1869-1939) – გერმანელი გეოლოგი და პრუსიის სამეფო გეოლოგიური საზოგადოების დირექტორი. სწავლობდა ლაიპციგის უნივერსიტეტსა და ბერლინის სამთო აკადემიაში. ბერლინში ყოფნისას მოხვდა ფრანც ბაიშლაგის წრეში და მუშაობდა მის ასისტენტად. 1895 წელს მიიღო დოქტორის ხარისხი ლაიფციგის უნივერსიტეტში. 1901 წლიდან იყო დოცენტი, 1906 წლიდან პროფესორი ბერლინის სამთო აკადემიაში. 1909 წლიდან იყო განყოფილების უფროსი პრუსიის სამეფო გეოლოგიურ საზოგადოებაში, რომლის დირექტორიც გახდა 1923 წელს და რჩებოდა 1933 წლამდე. მისი დამსახურებების გამო 1917 წელს კრუში დაინიშნა საიდუმლო მრჩევლად. გარდა ამისა, იყო გერმანიის გეოლოგიური საზოგადოების თავმჯდომარე. 1916-1918 წლებში – გერმანულ-ქართული საზოგადოების წევრი.

ლაზარუსი პაულ (Lazarus Paul) (1873-1957) – ებრაული წარმომავლობის გერმანელი მედიკოსი, რადიოლოგი. დაიბადა ავსტრია-უნგრეთის იმპერიაში, ბუკოვინის დედაქალაქ ჩერნოვიცში. სწავლობდა ჰაიდელბერგის, ბერლინის და ვენის უნივერსიტეტებში. 1897-1901 წლებში ასისტენტად მუშაობდა ვენაში, 1901-1907 წლებში – ბერლინში. 1907-1936 წლებში იყო წმინდა მარიამის და წმინდა ანტონის საავადმყოფოების მთავარი ექიმი ბერლინში. 1916-1918 წლებში – გერმანულ-ქართული საზოგადოების წევრი. 1933 წელს ნაციონალ-სოციალისტთა გერმანიაში ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, ლაზარუსს ეტაპობრივად ჩამოერთვა მოწინავე თანამდებობებზე მუშაობის უფლება. 1937 წელს იძულებული იყო დაეტოვებინა გერმანია და საცხოვრებლად გადასულიყო შვეიცარიაში, სადაც ქ. ფრიბურგში განაგრძო პროფესიული საქმიანობა.

ფონ დერ ლაიენი ფრიდრიხ (von der Leyen Friedrich) (1873-1966) – გერმანელი მედიევისტი და ფოლკლორისტი, ძველი გერმანული მითოლოგიის სპეციალისტი. 1894 წლამდე სწავლობდა მარბურგის, ლაიფციგის და ბერლინის უნივერსიტეტებში. 1899 წელს დაიცვა ჰაბილიტაცია მიუნხენში. 1920 წლიდან 1937 წლამდე, როდესაც ემერიტუსი გახდა, ფლობდა კათედრას ფილოლოგიაში კიოლნის უნივერსიტეტში. 1937 წელს დაინიშნა ფილოლოგიის გერმანული აკადემიის სენატორად. ერთი წლის შემდეგ გამოსცა ნაშრომი „ძველ გერმანელთა ღმერთები“. 1947-1953 წლებში – საპატიო პროფესორი კიოლნის და მიუნხენის უნივერსიტეტებში.

ლასხიშვილი გიორგი (1866-1931) – ქართველ სოციალისტ-ფედერალისტთა ერთ-ერთი ლიდერი, პუბლიცისტი, პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე. 1884 წელს ჩაირიცხა ოდესის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე, სადაც აქტიურად ჩაება რევოლუციური ორგანიზაციის „ახალგაზრდა ნაროდნაია ვოლიას“ სამხრეთის ჯგუფის მუშაობაში, რისთვისაც იგი ჯერ 1887 წელს გარიცხეს უნივერსიტეტიდან, ხოლო 1888 წლის თებერვალში დააპატიმრეს და 6 თვე ქუთაისის ციხეში ამყოფეს. გათავისუფლების შემდეგ, ერთ ხანს მუშაობდა საადგილმამულო ბანკში, მაგრამ 1889 წლის ზაფხულში კვლავ დააპატიმრეს და 5 წლით გააციმბირეს. 1894 წელს დაბრუნდა საქართველოში. მუშაობდა „ივერიის“ რედაქციაში, სადაც „ლალის“ ფსევდონიმით აქვეყნებდა წერილებს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ საკითხებზე. 1896 წელს „ივერიის“ დახურვის შემდეგ იყო „ცნობის ფურცლის“ ფაქტობრივი რედაქტორი. სწორედ აქ ჩაისახა მომავალი სოციალისტ-ფედერალისტთა პარტია, რომლის პრაქტიკული ხელმძღვანელობა მანვე იტვირთა. 1905 წელს პარიზში ყოფნისას, იყო გაზეთ „საქართველოს“ ერთ-ერთი რედაქტორი. მონაწილეობდა რუსეთის 1905-1907 წლების პირველ რევოლუციაში. იყო სოციალისტ-ფედერალისტთა მთავარი კომიტეტის წევრი, რომლის 1910 წელს ხელისუფლების მიერ დაპატიმრების შემდეგ, ის ჯერ 7 თვით ჩასვეს მეტეხის ციხეში, ხოლო შემდეგ 5 წლით ცხოვრება აუკრძალეს კავკასიაში. მან საცხოვრებლად ხარკოვი აირჩია, სადაც სამი წელი დაჰყო. 1918-1921 წლებში საქართველოს დამოუკიდებლობის დროს გ. ლასხიშვილი იყო განათლების მინისტრი და მთავრობის კაბინეტში სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის წარმომადგენელი. ბოლშევიკური რუსეთის მიერ დემოკრატიული საქართველოს ოკუპაციის შემდეგ, ჩამოსცილდა პოლიტიკურ საქმიანობას და მუშაობდა საგარეო ვაჭრობის სამინისტროში საფინანსო აგენტად, ბანკის გამგეობის წევრად. გიორგი ლასხიშვილის მემუარები გამოიცა 1934 წელს. დაკრძალულია მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა დიდუბის პანთეონში.

ლაშენალი ადრიან (Lachenal Adrien) (1874-1918) – შვეიცარიელი პოლიტიკური მოღვაწე და შვეიცარიის კონფედერაციის პრეზიდენტი. 1891-1892 წლებში – შვეიცარიის პარლამენტის ეროვნული საბჭოს პრეზიდენტი. 1892-1899 წლებში – შვეიცარიის ფედერალური საბჭოს წევრი. 1893-1895 წლებში – საგარეო საქმეთა დეპარტამენტის უფროსი. 1895 წელს – შვეიცარიის ვიცე-პრეზიდენტი. 1896 წელს – შვეიცარიის პრეზიდენტი და პოლიტიკური დეპარტამენტის უფროსი. 1897 წელს – ვაჭრობის, წარმოების და მინათმოქმედების დეპარტამენტის უფროსი. 1898-1899 წლებში – შინაგან საქმეთა დეპარტამენტის უფროსი. ფედერალური საბჭოდან გადადგომის შემდეგ არჩეულ იქნა სენატში, რომლის წევრიც იყო საკუთარ სიკვდილამდე. 1900-1913 წლებში – ჟენევის დიდი საბჭოს წევრი.

ლევია იოზეფ (Levi Josef) (1862-1933) – ვაჭარი და პოლიტიკოსი, სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრი. 1903-1933 წლებში იმყოფებოდა სხვადასხვა მმართველ თანამდებობებზე ქალაქ მანჰაიმში. 1916 წლის ივნისიდან – გერმანულ-ქართული საზოგადოების წევრი.

ლევიცკი ევგენ (ოიგენ) (Левицкий Евген) (1870-1925) – უკრაინელი საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწე, პირველი მსოფლიო ომის დროს უკრაინული ეროვნულ-გამანთავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი ხელმძღვანელი. დაიბადა იმ დროისთვის ავსტრია-უნგრეთის იმპერიის შემადგენლობაში შემავალ გალიციაში. 1888 წელს დაამთავრა ქ. ტარნოპოლის გიმნაზია. იურიდიული განათლება მიიღო ლვოვის და ვენის უნივერსიტეტებში, სადაც დაიცვა დისერტაცია და მიენიჭა სამართლის დოქტორის სამეცნიერო ხარისხი. 1890 წლის ოქტომბერში იყო პირველი უკრაინული პოლიტიკური პარტიის – რუსულ-უკრაინული რადიკალური პარტიის შექმნის ერთ-ერთი ინიციატორი. მიეკუთვნებოდა პარტიის მემარჯვენე ფრთას, რომლის წარმომადგენლებმა, 1899 წლის დეკემბერში, დააფუძნეს უკრაინის ეროვნულ-დემოკრატიული პარტია. იყო პარტიის უმაღლესი ორგანოს – სახალხო კომიტეტის და ორივე პარტიის პროგრამების თანაავტორი. თანამშრომლობდა უკრაინის ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ოფიციალურ ორგანოში – გაზეთ „ნაროდ“-ში („ხალხი“). იყო რიგი უკრაინული გაზეთების რედაქტორი. 1907 წელს არჩეულ იქნა ავსტრიის რაიხსრატის წევრად. პირველი მსოფლიო ომის დროს, ბერლინში უკრაინის განთავისუფლების კავშირის დავალებით, ეწეოდა ორგანიზაციულ და საგანმანათლებლო მოღვაწეობას გერმანიაში მყოფ უკრაინელ სამხედრო ტყვეთა შორის. იყო ნაყოფიერი პუბლიცისტი. 1918-1919 წლებში – დასავლეთ-უკრაინული სახალხო რესპუბლიკის ეროვნული რადის წევრი. 1919-1923 წლებში – ხსენებული რესპუბლიკის ელჩი ბერლინში და პრაღაში. 1923 წლის მარტიდან გარდაცვალებამდე ცხოვრობდა ვენაში, სადაც ეწეოდა საადვოკატო პრაქტიკას.

ლემანი კარლ (Lehmann Karl) (1883-1978) – გერმანელი მრეწველი. სწავლობდა ბერლინის სამთო აკადემიაში და ბონის უნივერსიტეტში. ამ უკანასკნელში მიიღო დოქტორის ხარისხი. მუშაობდა ქალაქ ესენში რაინის ფოლადის საწარმოში მარკუშიდერად, სადაც 13-წლიანი გამოცდილების შემდეგ დაინიშნა სამთო მალაროს დირექტორად. 1916-1918 წლებში – გერმანულ-ქართული საზოგადოების წევრი. 1942 წელს აირჩიეს ბერლინის ტექნიკური სასწავლებლის საპატიო პროფესორად. 1944 წელს გავიდა პენსიაზე. გამოქვეყნებული აქვს მრავალი სტატია სამთო მრეწველობის შესახებ.

ლემბკე პაულ (Lembke Paul) (1860-1939) – გერმანელი იურისტი, ქალაქ მიულჰაიმის მერი 1904-1928 წლებში. განათლება მიიღო სტრასბურგის, ჰაიდელბერგის და ბერლინის უნივერსიტეტებში. მისი მმართველობის პერიოდთან არის დაკავშირებული მიულჰაიმის დიდ ქალაქად ქცევა. ლემბკეს მერობის დროს აშენდა ბევრი მნიშვნელოვანი დანესებულება ქალაქში. დღესაც ერთი ქუჩა მიულჰაიმში მის სახელს ატარებს. 1916 წლის ივნისიდან – გერმანულ-ქართული საზოგადოების წევრი.

ლეონიდე (ერისკაცობაში **ლონგინოზ ოქროპირიძე** (1861-1921) – ქართველი სასულიერო და საზოგადო მოღვაწე, სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი და მცხეთა-ტფილისის მთავარეპისკოპოსი. პირველდაწყებითი განათლება მიიღო ტფილისის სასულიერო სასწავლებელში, შემდეგ სწავლობდა ტფილისის და სტავროპოლის სემინარიებში. 1884 წელს სწავლა კიევის სასულიერო აკადემიაში განაგრძო, რომელიც დაასრულა 1888 წელს. 1888-1897 წლებში ეწეოდა მისიონერულ მოღვაწეობას. იყო კავკასიაში მართლმადიდებლური ქრისტიანობის აღმდგენი საზოგადოების სკოლების ინსპექტორი, საქართველოს საეპარქიო სასწავლებელთა საბჭოს წევრი; ზედაზნის, ხირსის, იოანე ნათლისმცემლის მონასტერთა ზედამხედველი; ქართული ბიბლიის გამსწორებელი კომიტეტის თავმჯდომარე და საქართველოს იმერეთის სინოდის კანტორის წევრი. აქტიურად იბრძოდა საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალიის (დამოუკიდებლობის) აღსადგენად. 1898 წლიდან 1918 წლამდე იყო გორის, იმერეთისა და გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსი, ტფილისის მიტროპოლიტი. 1919-1921 წლებში – სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი და მცხეთა-ტფილისის მთავარეპისკოპოსი.

ლეონიძე (ლიონიძე) ალექსანდრე (1856-?) – რუსეთის იმპერიის სამხედრო მოღვაწე, გენერალ-მაიორი. განათლება მიიღო ტფილისის რეალურ გიმნაზიაში. 1877 წლიდან – სამხედრო სამსახურში. დაამთავრა კონსტანტინეს მე-2 სამხედრო სასწავლებელი. გამოშვებულ იქნა კავკასიურ გრენადერთა არტილერიის ბრიგადაში. 1904 წელს – ვიცე-პოლკოვნიკი, ბატარეის მეთაური. 1911 წელს – პოლკოვნიკი. 1912-1914 წლებში – კავკასიური სამორტირო-საარტილერიო დივიზიონის მეთაური, პირველი მსოფლიო ომის მონაწილე. ამავე წელს ავადმყოფობის გამო განთავისუფლებულ იქნა სამსახურიდან გენერალ-მაიორის წოდების მინიჭებით და მუნიციპალიტეტისა და პენსიის შენარჩუნებით.

ლვოვი გიორგი (Львов Георгий) (1861-1925) – რუსეთის იმპერიის და რუსეთის რესპუბლიკის პოლიტიკური მოღვაწე, თავადი. 1886-1893 წლებში მსახურობდა შინაგან საქმეთა სამინისტროში. 1902-1905 წლებში – ტულის გუბერნიის ერობის გამგეობის თავმჯდომარე. 1904-1905 წლების ერობათა ყრილობების მონაწილე. 1, მე-3 და მე-4 სახელმწიფო დუმების დეპუტატი. ახლოს იდგა კადეტებთან. თებერვლის რევოლუციის შემდეგ, 1917 წლის 2 მარტიდან 7 ივლისამდე, – დროებითი მთავრობის მინისტრი-თავმჯდომარე (პრემიერ-მინისტრი) და შინაგან საქმეთა მინისტრი. 1917 წლის ოქტომბრის ბოლშევიკური გადატრიალების შემდეგ ემიგრაციაში საფრანგეთში. 1919-1922 წლებში – პარიზში რუსული პოლიტიკური სათათბიროს თავმჯდომარე, რომლის ფუნქციებშიც შედიოდა ანტიბოლშევიკური ბრძოლის კოორდინაცია რუსეთის სამოქალაქო ომის დროს.

ფონ ლისტი ფრანც რიტერ (von Liszt Franz Ritter) (1851-1919) – ავსტრიელი იურისტი. განათლება მიიღო ვენის, გოტინგენის და გრაცის უნივერსიტეტებში. მოგვიანებით ასწავლიდა იურისპრუდენციას გისენის (1879), მარბურგის (1882) და ჰალეს (1889) უნივერსიტეტებში. 1902 წლიდან იყო გერმანიის იმპერიის იუსტიციის სამინისტროს მიერ სადამსჯელო კანონმდებლობის რეფორმისთვის შექმნილი სამეცნიერო კომიტეტის წევრი. მიეკუთვნებოდა პროგრესულ ლიბერალ

ავსტრიელ ინტელექტუალთა რიცხვს. იყო ბისმარკის თაყვანისმცემელი. 1912-1918 წლებში – გერმანიის იმპერიის რაიხსტაგის წევრი. 1916-1918 წლებში – გერმანულ-ქართული საზოგადოების ადმინისტრაციული საბჭოს პირველი თავმჯდომარე. სხვა მნიშვნელოვან ნაშრომებთან ერთად, გამოცემული აქვს ბროშურა „საქართველოს რესპუბლიკის საერთაშორისო სამართლებრივი მდგომარეობა“, სადაც საქართველოს უფლებას დამოუკიდებლობაზე თანამედროვე საერთაშორისო სამართლის პრინციპებით ასაბუთებს.

ლიხტი იულიუს გუსტავ (Licht Julius Gustav) (1866-1931) – ებრაული წარმომავლობის ავსტრო-გერმანელი ბიბლიოფილი და ხელოვნების ნიმუშების კოლექციონერი. დაიბადა ქალაქ ბრნოში. მუშაობდა აგენტად და სახელი გაითქვა როგორც საერთაშორისო ვაჭარმა. გარკვეული ვადით, 1908 წლის ივნისამდე დანიშნული იყო გვატემალის გენერალურ კონსულად ვენაში. მალე გადავიდა ბერლინში, სადაც გახდა კომპანიის მენილე, რომელიც ხელოვნების სხვადასხვა აქსესუარების ბიზნესს აწარმოებდა ბერლინში, ლონდონსა და სტოკჰოლმში. ასევე ეწეოდა მხატვრების ნამუშევრების შეგროვებას. 1916-1918 წლებში – გერმანულ-ქართული საზოგადოების წევრი. დარჩა ბერლინში სიცოცხლის ბოლომდე. მხოლოდ ავადმყოფობის პერიოდში დაბრუნდა ვენაში სამკურნალოდ, სადაც გარდაიცვალა.

ლოიდ ჯორჯი დევიდ (Lloyd George David) (1863-1945) – ბრიტანეთის იმპერიის პოლიტიკური მოღვაწე. 1890 წელს არჩეულ იქნა პარლამენტის დეპუტატად ლიბერალური პარტიიდან. 1905 წელს – მთავრობის წევრი. 1916-1922 წლებში – ბრიტანეთის იმპერიის პრემიერ-მინისტრი. ხელმძღვანელობდა ბრიტანეთის დელეგაციას გერმანიასთან მოლაპარაკებებზე, ხელი მოაწერა ვერსალის სამშვიდობო ხელშეკრულებას. 1921 წელს მონაწილეობდა მოლაპარაკებებში, რომლებსაც შედეგად დამოუკიდებელი ირლანდიის სახელმწიფოს შექმნა მოყვა. 1922 წელს – გადადგა თანამდებობიდან.

ლომანი ალფრედ (Lohman Alfred) (1870-1919) – ბრემენელი დიდვაჭარი. მე-19 საუკუნის 90-იან წლებში იმოგზაურა ავსტრალიაში სხვადასხვა სახის ევროპული საქონლის გასაყიდად. დაბრუნების შემდეგ, 1901 წელს დააარსა საკუთარი ფირმა ბრემენში. 1914-1915 წლებში იყო ბრემენის სავაჭრო კამერის პრეზიდენტი. პირველი მსოფლიო ომის დროს ლომანი დაეხმარა რაიხის ეკონომიკის სამინისტროს ბრიტანეთის საზღვაო ბლოკადის გასარღვევად სავაჭრო წყალქვეშა გემების შექმნაში. პროექტში მონაწილეობას იღებდნენ აგრეთვე გემების ფირმა „ნორდდოიჩე ლოიდი“ და „დოიჩე ბანკი“. აღნიშნულისთვის ალფრედ ლომანმა 1916 წელს ჰუგო კაუფმანისგან მიიღო სპეციალური მედალი წარწერით: „წყალქვეშა სავაჭრო ფლოტის შემქმნელს. ალფრედ ლომანს“. იმავე წლის ივნისიდან – გერმანულ-ქართული საზოგადოების წევრი. ლომანის დაარსებულ კომპანიას 2001 წელს 100 წელი შეუსრულდა.

ფონ ლოსოვი ოტო (von Lossow Otto) (1868-1938) – გერმანელი სამხედრო მოღვაწე, გენერალ-მაიორი. პირველი მსოფლიო ომის მონაწილე. 1914 წელს დაინიშნა მე-2 ბავარიული სარეზერვო კორპუსის შტაბის მეთაურად. 1915 წლის ივლისი-

დან პირველი მსოფლიო ომის დასასრულამდე – გერმანიის სამხედრო ატაშე ოსმალეთის იმპერიაში. 1918 წლის მაისში – გერმანიის სარდლობის წარმომადგენელი ბათუმის სამშვიდობო კონფერენციაზე.

ფონ ლუშანი ფელიქს (von Luschan Felix) (1854-1924) – ავსტრიელი ექიმი, ანთროპოლოგი და არქეოლოგი. განათლება მიიღო პარიზის და ვენის უნივერსიტეტებში. 1881 წლიდან მონაწილეობდა არქეოლოგიურ ექსპედიციებში მცირე აზიაში. 1882 წელს დაიცვა ჰაბილიტაცია ეთნოგრაფიაში. 1883 წელს მონაწილეობდა სენჯირლის არქეოლოგიურ ექსპედიციაში, რასაც მოყვა მოგზაურობა სამხრეთ-აღმოსავლეთ ანატოლიასა და სირიაში და მცირე აზიის ხალხთა კვლევები. მუშაობდა ბერლინის ხალხთმცოდნეობის მუზეუმის დირექტორის თანაშემწედ, ხოლო 1900 წლიდან – პროფესორად ბერლინის უნივერსიტეტში. მონაწილეობას იღებდა სამეცნიერო ექსპედიციებში სამხრეთ აფრიკაში, ახალ ზელანდიაში და ა.შ. 1916-1918 წლებში – გერმანულ-ქართული საზოგადოების წევრი.

ლუციუს ფონ შტოედტენ ჰელმუტ ედუარდ ფერდინანდ (Lucius von Stuedten Hellmuth Eduard Ferdinand) (1869-1934) – გერმანელი დიპლომატი. 1898-1906 წლებში მსახურობდა გერმანიის საელჩოში პარიზში, ჯერ ატაშეს, ხოლო შემდგომ ლეგაციის მდივნის რანგში. 1911 წელს დანიშნულ იქნა მრჩეველად გერმანიის საელჩოში პეტერბურგში. 1914 წელს – საკონსულო აგენტი და გენერალური კონსული დურაცოში (შუა ალბანეთში). 1915-1920 წლებში მსახურობდა გერმანიის დესპანად სტოკჰოლმში (შვედეთი). ხელს უწყობდა შვედეთის ნეიტრალიტეტის შენარჩუნებას პირველი მსოფლიო ომის დროს. 1917 წლის რუსეთის თებერვლის რევოლუციის შემდეგ დამყარებული ჰქონდა კონტაქტები რუს რევოლუციონერებთან და ოპოზიციის წარმომადგენლებთან. 1921-1927 წლებში – გერმანიის დესპანი ჰააგაში (ნიდერლანდები).

ფონ მასოვი ვილჰელმ (von Massow Wilhelm) (1891-1949) – გერმანელი არქეოლოგი. სწავლობდა ძველ ისტორიას და ფილოლოგიას იენის, ბონის და ბერლინის უნივერსიტეტებში. პირველი მსოფლიო ომის დროს მძიმედ დაიჭრა ლოდის მახლობლად. 1916-1918 წლებში იყო გერმანულ-ქართული საზოგადოების წევრი. 20-იან წლებში გერმანიის არქეოლოგიური ინსტიტუტის სტიპენდიით კვლევით მივლინებაში იმყოფებოდა საბერძნეთში და მუშაობდა ინსტიტუტის ათენის განყოფილებაში. 1926 წლიდან დაიწყო სამსახური ბერლინის მუზეუმებში. მასოვმა მონაწილეობა მიიღო პერგამონის საკურთხევლის გაკეთებაში. 1935 წელს გადავიდა ტრირში და რაინის ლანდესმუზეუმის დირექტორი გახდა, სადაც განსაკუთრებით იკვლევდა რომაულ ტრირს.

მაიერი ვალდემარ იულიუს (Meyer Waldemar Julius) (1853-1940) – გერმანელი მუსიკის პროფესორი, კომპოზიტორი, ვიოლინოს ვირტუოზი. 1882-1889 წლებში ცხოვრობდა ინგლისსა და საფრანგეთში, საიდანაც პროფესორის რანგში დაბრუნდა გერმანიაში. მაიერის პროფესიონალად ჩამოყალიბებაზე დიდი გავლენა იქონია იმ დროის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მევიოლინესთან – იოზეფ იოახიმთან სწავლამ და მეგობრობამ. მსოფლიო ომის დროს დააფუძნა „სახელოვნებო და სამეცნიერო მისწრაფებების კავშირი“, რომელიც ხშირად ატარებდა ღონის-

ძიებებს. 1916-1918 წლებში – გერმანულ-ქართული საზოგადოების წევრი. 1916 წელს შეიძინა ვილა ბერგჰაიმი ბერხტესგადენში, სადაც საცხოვრებლად გადავიდა 20-იანი წლებში და იქვე გარდაიცვალა.

მაკაევი (მაყაშვილი) აბელ (1860-1920) – რუსეთის იმპერიის, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის და აზერბაიჯანის სამხედრო მოღვაწე, გენერალ-მაიორი. ზოგადი განათლება მიიღო ელისავეტგრადის სამხედრო საწყის გიმნაზიაში. 1877 წლიდან – სამხედრო სამსახურში. 1880 წელს დაამთავრა ყაზანის ფეხოსანთა იუნკერთა სასწავლებელი. 1905 წელს – ვიცე-პოლკოვნიკი. 185-ე მსროლელი ბემკადიკლარის პოლკის მეთაური. 1914 წელს დაინიშნა 202-ე გორის მსროლელი პოლკის მეთაურად. პირველი მსოფლიო ომის მონაწილე კავკასიის ფრონტზე. 1914 წელს – მე-16 მეგრული გრენადერთა პოლკის მეთაური. 1915 წელს – გენერალ-მაიორი. 1916 წლის დეკემბრიდან – კავკასიური გრენადერთა დივიზიის მეთაური. 1917 წლის მარტში – კავკასიური გრენადერთა დივიზიის დროებითი მეთაური. 1917 წლის აპრილიდან – კავკასიური 1 გრენადერთა დივიზიის ბრიგადის მეთაური. 1918 წლიდან მსახურობდა საქართველოს შეიარაღებულ ძალებში. ახალციხეს გენერალ-გუბერნატორი და ქ. ტფილისის სამხედრო კომენდანტი. 1919 წლის აგვისტოდან მსახურობდა აზერბაიჯანის შეიარაღებულ ძალებში, 1 ფეხოსანთა დივიზიის მეთაურის მოადგილის და ხანკენდის გარნიზონის მოვალეობის შემსრულებლად. შემდგომ დაინიშნულ იქნა მე-2 ფეხოსანთა დივიზიის მეთაურის მოადგილედ, ხოლო 1920 წლის მარტიდან – განჯის გამაგრებული რაიონის უფროსად. 1920 წლის აპრილის ბოლოს საბჭოთა რუსეთის მიერ აზერბაიჯანის ოკუპაციის შემდგომ მოკლულ იქნა ბოლშევიკების მიერ.

ფონ მაკენზენი ანტონ ლუდვიგ ფრიდრიხ ავგუსტ (von Mackensen Anton Ludwig Friedrich August) (1849-1945) – გერმანელი გენერალ-ფელდმარშალი. 1869 წელს შევიდა სამხედრო სამსახურში. 1870-1871 წლების საფრანგეთ-პრუსიის ომის მონაწილე. მსახურობდა სხვადასხვა თანამდებობებზე გერმანულ არმიაში. 1908 წლიდან – 27-ე საარმიო კორპუსის მეთაური. პირველი მსოფლიო ომის მონაწილე. 1914 წლის ნოემბერში დაინიშნა აღმოსავლეთის ფრონტზე დისლოცირებული მე-9 გერმანული არმიის მეთაურად. 1915 წლის აპრილ-სექტემბერში – მე-11 არმიის მეთაური. 1915 წლის ოქტომბერში – არმიათა ჯგუფ „მაკენზენის“ მეთაური, რომელმაც, იმავე წლის დეკემბერში, მოახდინა სერბიის ტერიტორიის დაკავება. 1916 წელს დაინიშნა რუმინეთის წინააღმდეგ მოქმედი გერმანული, ბულგარული და ოსმალური ჯარების მეთაურად. დაამარცხა რუმინეთის არმია და მოახდინა რუმინეთის დიდი ნაწილის ოკუპაცია. 1917 წლის დასაწყისიდან – რუმინეთში გერმანული საოკუპაციო ჯარების მეთაური, ხოლო 1918 წლის მაის-დეკემბერში – რუმინეთში დისლოცირებული არმიის მთავარსარდალი. 1920 წელს გავიდა პენსიაზე.

მარი ნიკოლოზ (ნიკო) (1865-1934) – ენათმეცნიერი, ფილოლოგი, აღმოსავლეთმცოდნე, არქეოლოგი, კულტურის ისტორიკოსი, რუსეთის იმპერიის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი. მამა, იაკობ მარი, შოტლანდიელი ჰყავდა, დედა - ქართველი. სწავლობდა ოზურგეთის სამაზრო სასწავლებელში და ქუთაისის გიმნაზიაში. 1884 წელს დაამთავრა გიმნაზია, 1890 წელს – პეტერბურგის

უნივერსიტეტის აღმოსავლურ ენათა ფაკულტეტი. 1891 წლიდან – ამავე უნივერსიტეტის პრივატ-დოცენტი. 1894-1896 წლებში მუშაობდა სტრასბურგის უნივერსიტეტის, ვატიკანის და რომის ბიბლიოთეკებში. 1898 წელს ქართულ ხელნაწერთა შესასწავლად გაემგზავრა ათონის მთაზე, ხოლო 1902 წელს – სინის მთაზე ივ. ჯავახიშვილთან ერთად. 1913 წლიდან იყო პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლურ ენათა ფაკულტეტის დეკანი, 1924-1930 წლებში – ლენინგრადის საჯარო ბიბლიოთეკის დირექტორი, 1930 წლიდან – სსრკ-ის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი.

მალალაშვილი (მურბანი) (მალალოვი) ნესტორ (მურად ბეი) (1882-1937) – პირველი მსოფლიო ომის დროს ქართული ეროვნულ-გამანთავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი ხელმძღვანელი. 1900 წელს დააფუძნა ლეო და გიორგი კერესელიძეებთან ერთად „საქართველოს დამოუკიდებლობის წრე“. 1903 წლიდან თანამშრომლობდა სოციალისტ-ფედერალისტებთან. საქართველოში 1905-1907 წლების რევოლუციის მონაწილე. 1906 წლის მაისში, ექსპროპრიაციის მიზნით მონაწილეობდა ქ. დუშეთში სახელმწიფო ბანკის განყოფილებაზე შეიარაღებულ თავდასხმაში, რის შედეგადაც ექსპროპრირებულ იქნა 315 000 მანეთი. იმ წელსვე, ლ. და გ. კერესელიძეებთან ერთად გაიქცა ჟენევაში. 1907 წელს შვეიცარიის უმაღლესმა სასამართლომ, საქმის პოლიტიკური ხასიათიდან გამომდინარე, უარი უთხრა რუსეთის მთავრობას მის გაცემაზე. სწავლობდა ჟენევის უნივერსიტეტში. დააარსა პ. სურგულაძესთან და ლ. და გ. კერესელიძეებთან ერთად ქართველ სეპარატისტთა ჟენევის ჯგუფი, რომელმაც პირველმა ნამოყენა დღის წესრიგში საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის საკითხი. პირველი მსოფლიო ომის წლებში საქართველოს განთავისუფლების კომიტეტის წევრი და 1915-1917 წლებში, ოსმალეთის ტერიტორიაზე დისლოცირებული ქართული ლეგიონის ოფიცერი. 1921 წლიდან – ემიგრაციაში თურქეთში. 1924-1926 წლებში – სტამბოლში დაარსებული კავკასიის კონფედერატა კომიტეტის წევრი. 1920-იანი წლების მეორე ნახევარში – თურქეთის ტერიტორიაზე ქართული პატრიოტული ორგანიზაციის „თეთრი გიორგი“-ს ერთ-ერთი ხელმძღვანელი. 1930-იანი წლების დასაწყისში დაბრუნდა ბოლშევიკურ საქართველოში. დახვრიტეს სტალინური დიდი ტერორის დროს, 1937 წელს.

მაჩაბელი გიორგი (1885-1935) – პირველი მსოფლიო ომის დროს ქართული ეროვნულ-გამანთავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი უმთავრესი ხელმძღვანელი. თავდაპირველად, თანაუგრძობდა სოციალისტ-ფედერალისტებს და მიმონერა ჰქონდა მათ ლიდერ გ. დეკანოზიშვილთან. სწავლობდა გერმანიაში, ბერლინის სამთო აკადემიაში. 1914-1918 წლებში – საქართველოს განთავისუფლების კომიტეტის წევრი. ასრულებდა გერმანული გენერალური შტაბის ყველაზე კონფიდენციალურ და საიდუმლო დავალებებს. 1918-1923 წლებში – საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დიპლომატიური წარმომადგენელი ავსტრიაში და იტალიაში. 1923-1935 წლებში ცხოვრობდა ამერიკის შეერთებულ შტატებში, სადაც დააარსა პარფუმერული ფირმა „თავად მაჩაბლის სუნამოები“, რამაც საშუალება მისცა ფინანსური დახმარება გაენია ქართული და კავკასიური მემარჯვენე ემიგრანტული ორგანიზაციებისთვის. 1933-1935 წლებში – საფრანგეთში ქართველ თავადაზნაურთა კავშირის თავმჯდომარე.

მაჩაბელი ესტატე (ესტად) – რუსეთის იმპერიის არმიაში მომსახურე ქართველი ოფიცერი, თავადი. საქართველოს განთავისუფლების კომიტეტის წევრის, გიორგი მაჩაბლის ბიძაშვილი. 1909 წელს – მე-6 კავკასიური მსროლელი ბატალიონის პორუჩიკი. 1915-1916 წლებში, გერმანული დაზვერვის მონაცემებით, კაპიტნის ჩინით სარდლობდა კავკასიის ფრონტზე დისლოცირებული მოხალისე ქართველებისგან შემდგარ მილიციელთა რაზმს (დრუჟინას), რომელიც 1200 ფეხოსანი და 200 ცხენოსანი მეზრძოლისგან შედგებოდა. 1915 წელს საიდუმლო კავშირი ჰქონდა დამყარებული საქართველოს განთავისუფლების კომიტეტის წევრებთან ტრაპიზონში, რომლებსაც აწვდიდა სადაზვერვო ცნობებს კავკასიის ფრონტზე დისლოცირებული რუსული საჯარისო შენაერთებისა და ნაწილების შესახებ. 1916 წელს, გიორგი მაჩაბლის ცნობით, მონინაალმდეგესთან საიდუმლო კავშირების ქონის ბრალდებით, რუსული სარდლობის მიერ თანამდებობიდან გადაყენებულ იქნა და ვინაიდან ბრალეულობა ვერ დაუმტკიცდა, სხვა ფრონტზე იქნა გაგზავნილი. 1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ – მსახურობდა ქართულ მსროლელ პოლკში. იყო რუსეთის დროებითი მთავრობის ქართულ სამხედრო საქმეთა კომისარი. შემდგომი ბედი – უცნობია.

მდივანი ზაქარია (შაქრო) (1867-1933). 1884 წელს დაამთავრა ტფილისის კადეტთა კორპუსი. 1886 წელს – კონსტანტინეს სამხედრო სასწავლებელი, ხოლო 1898 წელს – გენერალური შტაბის აკადემია პირველი თანრიგით. 1904-1905 წლების რუსეთ-იაპონიის ომის მონაწილე. მსახურობდა კავკასიის სამხედრო ოლქში. 1902 წელს – ვიცე-პოლკოვნიკი. 1913 წელს დაინიშნა იმპერატორის ფლიგელ-ადიუტანტად. პირველი მსოფლიო ომის მონაწილე. 1915 წელს საბრძოლო წარჩინებისთვის მიენიჭა გენერალ-მაიორის სამხედრო ნოდება და ჩაირიცხა ნიკოლოზ II-ის ამაღლაში. შედიოდა იმპერატორის უახლოეს გარემოცვაში. 1915 წლის აპრილიდან იმავე წლის ივლისამდე იმყოფებოდა კავკასიის არმიის მთავარსარდლის განკარგულებაში. 1915 წლის ივლისიდან 1917 წლის მარტამდე მსახურობდა კავკასიის მე-4 საარმიო კორპუსის შტაბის უფროსად. 1917 წლის მარტიდან იმავე წლის აგვისტომდე – 39-ე ქვეითი დივიზიის უფროსი. 1917 წლის აგვისტო-სექტემბერში – კავკასიის სამხედრო ოლქის მთავარსარდალი. 1917 წლის დამლევინდან მონაწილეობას იღებდა ქართული ეროვნული კორპუსის ჩამოყალიბებაში. 1918-1921 წლებში მსახურობდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამხედრო სამინისტროში, მინისტრის მოადგილედ (ამხანაგად), ბათუმის ციხესიმაგრის შტაბის უფროსად და ბათუმის სამხედრო კომენდანტად. 1921 წლის მარტიდან – ემიგრაციაში, ჯერ თურქეთში, ხოლო შემდეგ საფრანგეთში.

ფონ მეკელაინი რიხარდ (von Meckelein Richard) (1880-1948) – გერმანელი ორიენტალისტი და სლავისტი, პროფესორი. 1914-1919 წლებში – გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროსთან არსებული აღმოსავლეთის საინფორმაციო ბიუროს თანამშრომელი. თარგმნიდა მასალებს ქართული ენიდანაც. პარალელურად, – შტატგარეშე თანამშრომელი პრუსიის სახელმწიფო ბიბლიოთეკაში. 1919 წელს – დაინიშნა პრუსიის სახელმწიფო ბიბლიოთეკის დამხმარე ბიბლიოთეკარად. 1920-1925 წლებში – ბიბლიოთეკის მრჩეველი პრუსიის სახელმწიფო ბიბლიოთეკაში. 1925 წელს დანიშნულ იქნა სამხრეთსლავური ენების „რეგულარულ მასწავლებლად“ ბერლინის ფრიდრიხ-ვილჰელმის უნივერსიტეტის აღმოსავლეთ-

მცოდნეობის სემინარზე. 1926 წელს – სამხრეთსლავური ენების მასწავლებელი და პროფესორი აღმოსავლეთმცოდნეობის სემინარზე. 1940 წელს – ქართულ და იუგოსლავურ ენათა დოცენტი ბერლინის უნივერსიტეტის „უცხოეთმცოდნეობის“ ფაკულტეტზე. 1946-1947 წლებში – რუსული ენის ლექტორი ფრიდრიხ-ვილჰელმის უნივერსიტეტის ფილოსოფიურ ფაკულტეტზე. 1946-1948 წლებში – რუსული, პოლონური და ჩეხური ენის ლექტორი ტექნიკური უნივერსიტეტის ზოგად ფაკულტეტზე.

მეკერი აზიზ (1877-1941) – ჩრდილოკავკასიური ეროვნულ-გამანთავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი აქტივისტი, პუბლიცისტი, წამოშობით ჩერქეზი. დაიბადა ყუბანის ოლქში. საწყისი განათლების მიღების შემდეგ, ოჯახთან ერთად გადასახლდა ოსმალეთის იმპერიაში. 1889 წელს შევიდა „სულთანიეს“ სკოლაში, კონსტანტინოპოლში, ხოლო 1896 წელს – ქ. დუეს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში (საფრანგეთი). მისი დასრულების შემდეგ, 1907 წელს დაბრუნდა ოსმალეთში, სადაც მუშაობდა მასწავლებლად სასოფლო-სამეურნეო აკადემიაში. პირველი მსოფლიო ომის დაწყების წინ და მის შემდეგ – შედიოდა ჩერქეზულ საქველმოქმედო კომიტეტში და კავკასიური მისიის (კომიტეტის) შემადგენლობაში, რომლის სახელითაც ხელი მოაწერა რიგ დოკუმენტებს კავკასიის რუსეთის ბატონობისგან განთავისუფლებისა და კავკასიური კონფედერაციის შექმნის აუცილებლობის შესახებ. 1916 წლის აპრილიდან შედიოდა „რუსეთის არარუს ხალხთა ლიგაში“, რომლის სახელითაც იმავე წლის 27-29 ივნისს მონაწილეობდა „ეროვნებათა კავშირის“ III კონგრესში, ქალაქ ლოზანაში (შვეიცარია). 1919 წელს – ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკის დიპლომატიური დელეგაციის წევრი პარიზის სამშვიდობო კონფერენციაზე. 1920 წელს იმყოფებოდა ტფილისში, სადაც იღწვოდა ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკის ბოლშევიკური ოკუპაციისგან განთავისუფლების სასარგებლოდ. იყო საქართველოსა და სომხეთში ჩრდილოეთ კავკასიის თავდაცვის საბჭოს დიპლომატიური წარმომადგენლობის მრჩეველი. 1923 წელს დაბრუნდა თურქეთში, ეწეოდა პედაგოგიურ მოღვაწეობას სტამბოლის სასოფლო-სამეურნეო აკადემიაში. 1932 წელს დაინიშნა სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის რექტორად ქ. ანკარაში.

ფონ მეკლენბურგი ადოლფ ფრიდრიხ (von Mecklenburg Adolf Friedrich) (1873-1969) – გერმანელი სახელმწიფო მოღვაწე, ჰერცოგი. დაიბადა მეკლენბურგის ცენტრ ქ. შვერინში და მიიღო სამხედრო განათლება. 1894 წელს იმოგზაურა ოსმალეთის იმპერიის აღმოსავლურ პროვინციებში, შემდეგ ანკარასა და კონსტანტინოპოლში. 1907-1908 და 1910-1911 წლებში მონაწილეობდა ექსპედიციებში აფრიკაში. 1923 წელს ესტუმრა ბალის და სუმატრას. პირველი მსოფლიო ომის დაწყებამდე, 1912-1914 წლებში – იყო გერმანიის აფრიკული კოლონიის ტოგოს უკანასკნელი გუბერნატორი. პირველი მსოფლიო ომის დროს, პოლკოვნიკის ჩინით, მონაწილეობას იღებდა სამხედრო მოქმედებებში დასავლეთის და ბალკანეთის ფრონტებზე. 1916 წელს დაინიშნა გერმანულ-სპარსული სამხედრო მისიის მეთაურად და აპრილიდან თავის რაზმთან ერთად მოსულში იმყოფებოდა, თუმცა თურქებთან და მათი მე-6 არმიის სარდალ ჰალილ ფაშასთან დაპირისპირების გამო, უკან განწევა მოითხოვა. 1916-1918 წლებში – გერმანულ-ქართული საზოგადოების წევრი. 1918 წლის დასაწყისისთვის ადოლფ ფრიდრიხის კანდიდატურა

ფინეთის მეფედ განიხილებოდა გერმანიის იმპერიის უმაღლეს წრეებში, მაგრამ ამ გეგმის წინააღმდეგ წავიდა ფელდმარშალი ე. ფონ ლუდენდორფი, რომელიც თვლიდა, რომ ფინეთის სამეფო ტახტზე, მხოლოდ ჰოჰენცოლერნთა დინასტიის წარმომადგენელი შეიძლებოდა არჩეულიყო. გარდა ამისა, მისივე კანდიდატურა განიხილებოდა აგრეთვე გაერთიანებული ბალტიური საჰერცოგოს ჰერცოგად, რომელშიც ახალი დამოუკიდებელი ბალტიური ქვეყნები უნდა შესულიყვნენ, თუმცა პირველ მსოფლიო ომში გერმანიის დამარცხებამ, ეს გეგმაც ჩაშალა. მსოფლიო ომებს შორის პერიოდში ეკავა გერმანიის კოლონიალური საზოგადოების ვიცე-პრეზიდენტის თანამდებობა, პირადად იცნობდა ადოლფ ჰიტლერს და ახალი ნაციონალ-სოციალისტური რეჟიმისადმი ლოიალურად იყო განწყობილი. გატაცებული იყო ცხენზე ჯირითით, რომლის დროსაც სერიოზული დაზიანება მიიღო, რის შემდეგ გადაერთო საავტომობილო სპორტზე. 1928-1934 წლებში იყო საავტომობილო კლუბის, საიმპერიო მონადირეთა კავშირის, გოლფის და ჩოგბურთის კლუბების პრეზიდენტი. 1936 წელს – ბერლინის ოლიმპიადის საორგანიზაციო კომიტეტის წევრი, 1926-1956 წლებში – საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის წევრი და 1949-1951 წლებში, – დასავლეთ გერმანიის ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი.

მემკე რუდოლფ (Mehmke Rudolf) (1857-1944) – გერმანელი მათემატიკოსი, პროფესორი. სწავლობდა არქიტექტურას და მათემატიკას შტუტგარტში, ტიუბინგენსა და ბერლინში. მათემატიკის პროფესორად მუშაობდა დარმშტადტის და შტუტგარტის ტექნიკურ უნივერსიტეტებში. 1916 წლის ივნისიდან – გერმანულ-ქართული საზოგადოების წევრი.

მენტეშე ჰალილ (1874-1948) – ოსმალეთის იმპერიის და თურქეთის რესპუბლიკის სახელმწიფო მოღვაწე, „ერთობის და პროგრესის“ კომიტეტის წევრი და ახალგაზრდა თურქთა ერთ-ერთი ლიდერი. 1908 წელს – პარლამენტის დეპუტატი ქ. მენტეშედან. 1912 წელს და 1914-1915 წლებში – ოსმალეთის იმპერიის პარლამენტის თავმჯდომარე. 1913-1914 წლებში – სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე. 1915 წლის ოქტომბრიდან 1917 წლის თებერვლის ჩათვლით – საგარეო საქმეთა მინისტრი. პარალელურად, 1916-1918 წლებში – იუსტიციის მინისტრი. 1918 წლის ზაფხულიდან კვლავ იქნა დანიშნული სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარის, ხოლო შემდეგ – პარლამენტის თავმჯდომარის თანამდებობაზე. 1919-1921 წლებში დაპატიმრებული იყო მოკავშირეების მიერ კუნძულ მალტაზე. 1931-1946 წლებში – თურქეთის დიდი ეროვნული კრების დეპუტატი ქ. იზმირიდან.

მილიუკოვი პავლე (Милуков Павел) (1859-1943) – რუსეთის იმპერიის და რუსეთის რესპუბლიკის საზოგადო, სამეცნიერო და პოლიტიკური მოღვაწე. დაამთავრა მოსკოვის უნივერსიტეტის ისტორიულ-ფილოლოგიური ფაკულტეტი. 1886 წლიდან – პრივატ-დოცენტი. მე-20 საუკუნის დასაწყისის გავლენიანი რუსი ისტორიკოსი. 1895 წელს გაძევებულ იქნა მოსკოვის უნივერსიტეტიდან და გადასახლებულ იქნა რიაზანში. 1897 წლიდან ეწეოდა პედაგოგიურ მოღვაწეობას სოფიაში (ბულგარეთი). რუსული ლიბერალიზმის დემოკრატიული ფრთის ერთ-ერთი ლიდერი. 1905 წელს კადეტთა პარტიის ერთ-ერთი შემქმნელი და მისი ხელმძღვანელი პარტიის მთელი არსებობის დროის განმავლობაში. მე-3 და მე-4 სახელმწიფო დუმათა დე-

პუტატი პეტერბურგიდან და კადეტური ფრაქციის უცვლელი თავმჯდომარე. პარტიის წამყვანი პუბლიცისტი და მისი გაზეთის „რეჩ“-ის («Речь») რედაქტორი. 1915 წლის ზაფხულში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა პროგრესული ბლოკის შექმნაში, რომლის სტრატეგიასაც და ტაქტიკასაც შემდგომ დიდწილად თავად განსაზღვრავდა. 1917 წლის თებერვალში არჩეულ იქნა სახელმწიფო სათათბიროს დროებითი კომიტეტის წევრად. 1917 წლის მარტიდან მაისამდე – დროებითი მთავრობის საგარეო საქმეთა მინისტრი. გადადგომის შემდეგ გადავიდა ოპოზიციაში მთავრობის მიმართ. 1917 წლის ოქტომბრის ბოლშევიკური გადატრიალების შემდეგ გაემგზავრა სამხრეთ რუსეთში, სადაც მონაწილეობდა ანტიბოლშევიკურ მოძრაობაში. 1918 წელს იყო გერმანული ორიენტაციის მომხრე. იმავე წლის ნოემბრიდან ცხოვრობდა პარიზში. 1921-1940 წლებში რედაქტორობდა რუსულ პარიზულ ემიგრანტულ გაზეთს „პოსლედნიე ნოვოსტი“ («Последние новости»). შედიოდა სახალხო თავისუფლების პარტიის პარიზულ დემოკრატიულ ჯგუფში.

მილო ედგარ (Milhaud Edgard) (1873-1964) – ფრანგი სოციალისტი და პაციფისტი მოღვაწე, კოლექტიური ეკონომიკის თეორეტიკოსი, პროფესორი. პირველი მსოფლიო ომის დროს გამოდიოდა იდეით საერთაშორისო ორგანიზაციების მეშვეობით ხანგრძლივადიანი მშვიდობის უზრუნველყოფის შესახებ. 1915 წელს მრავალრიცხოვანი კონფერენციების და სტატიების საშუალებით ცდილობდა საერთაშორისო არბიტრაჟის კონცეფციის პროპაგანდას. 1917 წელს მისი ძალისხმევით, მუშათა ინტერნაციონალის ფრანგული სექციის მიერ მიღებულ იქნა ინიციატივა, საერთაშორისო სოციალისტური ბიუროს მიერ მეომარი ქვეყნების სოციალისტთა სხვადასხვა ორგანიზაციების დაახლოვების შესახებ. 1917 წლის მარტში იყო მუშათა ინტერნაციონალის ფრანგული სექციის წარმომადგენელი მოკავშირეთა (ანტანტის) ქვეყნების სოციალისტთა კონფერენციაზე. გასული საუკუნის 20-იან წლებში ინარჩუნებდა კარგ ურთიერთობებს საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მთავრობასთან დევნილობაში პარიზში. 1926 წელს ჟენევაში გამოაქვეყნა ბროშურა „საქართველო, რუსეთი და ერთა ლიგა“ („La Géorgie, la Russie et la S.D.N.“), სადაც მხარს უჭერდა ბოლშევიკური რუსეთის მიერ ოკუპირებული საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენას.

მიტვოხი ოიგენ (Mittwoch Eugen) (1876-1942) – ებრაული წარმოშობის გერმანელი აღმოსავლეთმცოდნე, პროფესორი. ითვლება გერმანიაში თანამედროვე ისლამთმცოდნეობის დამაარსებლად, აგრეთვე მნიშვნელოვან ებრაელ მეცნიერად. 1905 წელს დაიცვა დისერტაცია ისლამთმცოდნეობაში. 1906 წლიდან 1933 წლამდე – ასწავლიდა ფ. ჰ. ეფრაიმის ებრაულ სკოლაში ბერლინში. 1916-1918 წლებში, კარლ ემილ შაბინგერ ფონ შოვინგენის შემდეგ დანიშნულ იქნა აღმოსავლეთის ნახრიხტენშტელეს (ცნობათა ბიუროს) ხელმძღვანელად. ამავე წლებში იყო გერმანულ-ქართული საზოგადოების წევრი. 1906, 1915-1916 წლებში ასწავლიდა ბერლინის უნივერსიტეტში და მცირე ხნით, 1917 წელს, – გრაიფსვალდის უნივერსიტეტში. 1919-1935 წლებში – მუშაობდა სემიტისტიკის პროფესორად ბერლინის უნივერსიტეტში. იყო ებრაელთა შორის მეცნიერების ხელშეწყობის საზოგადოების თავმჯდომარე. 1933 წლის დასაწყისში – მცირე ხნით მუშაობდა ებრაული საკითხების ექსპერტად საგარეო საქმეთა სამინისტროში. 1935 წლიდან – მუშაობდა საგარეო საქმეთა სამინისტროში ექსპერტად აბისინიის საკითხებში.

1939 წლიდან – ემიგრაციაში დიდ ბრიტანეთში. 1941 წლის მარტიდან საკუთარ გარდაცვალებამდე 1942 წლის ნოემბერში, – მუშაობდა მრჩეველად ბრიტანული ინფორმაციის სამინისტროს ახლო აღმოსავლეთის განყოფილებაში.

მიხაელესი ქრისტიან გუსტავ (Michahelles Christian Gustav) (1855-1932) – გერმანელი დიპლომატი. სწავლობდა სამართალმცოდნეობას რუპრეხტ-კარლის უნივერსიტეტში. 1882 წელს შევიდა დიპლომატიურ სამსახურში. 1889 წელს დაინიშნა კონსულად ზანზიბარში. 1892 წელს – გერმანიის კონსული ტრიესტში (ავსტრია-უნგრეთი). 1893 წელს – ნამდვილი ლეგაციის მრჩეველი საგარეო საქმეთა სამინისტროში. 1898-1900 წლებში – მინისტრი-რეზიდენტი ჰაიტიში, ხოლო 1901 წლიდან – მინისტრი-რეზიდენტი პერუში. ამ თანამდებობებზე 1910 წლამდე ყოფნისას, პარალელურად იყო 1902-1904 წლებში და 1906 წელს საგანგებო დესპანი და სრულუფლებიანი მინისტრი ბოლივიაში. 1910-1913 წლებში – დესპანი ბრაზილიაში. 1913-1916 წლებში – გერმანიის დესპანი ბულგარეთში. 1915 წელს ხელი მოაწერა მეგობრობის და მოკავშირეობის ხელშეკრულებას ბულგარეთთან, რასაც ამ ქვეყნის პირველ მსოფლიო ომში ცენტრალური ევროპის სახელმწიფოთა მხარეზე ჩართვა მოყვა. 1916-1917 წლებში – გერმანიის დესპანი ნორვეგიაში.

მოზელი ლუი (Mosel Louis) – პირველი მსოფლიო ომის დროს რუსეთ-თურქეთის კავკასიის ფრონტზე მოქმედი გერმანული დაზვერვის აგენტი, პროფესიით ვაჭარი. 1915 წლის დასაწყისში „კავკასიური ექსპედიციის“ ხელმძღვანელის რანგში, ქართველ მოხალისეებთან ერთად მონაწილეობდა საბრძოლო მოქმედებებში. თავი გამოიჩინა არდაგანის ალბისას, რისთვისაც თურქეთში გერმანიის ელჩის, ბარონ ფონ ვანგენჰაიმის მიერ, წარდგენილ იქნა პირველი ხარისხის რკინის ჯვრით დაჯილდოებაზე. 1915-1917 წლებში მონაწილეობდა გერმანული დაზვერვის მიერ წარმოებულ კავკასიის ოპერაციაში, გრაფ ფ.-ვ. ფონ დერ შულენბურგის მეთაურობით. 1917 წლის აგვისტოდან 1918 წლის იანვრამდე – გერმანიის კონსულის წარმომადგენელი სამსუნ-ტრაპიზონის რაიონში.

მუსხელოვი (მუსხელიშვილი) იაკობი (1865-?) – რუსეთის იმპერიის სამხედრო მოღვაწე, პოლკოვნიკი. ზოგადი განათლება მიიღო ტფილისის კადეტთა კორპუსში. სამხედრო სამსახურში – 1884 წლიდან. დაამთავრა მიხეილის საარტილერიო სასწავლებელი. გამოშვებულ იქნა ყარს-ალექსანდროპოლის ციხის არტილერიაში. წარმატებით დაამთავრა ოფიცერთა საარტილერიო სკოლა. 1907 წელს ვიცე-პოლკოვნიკი, ხოლო 1911 წლიდან – პოლკოვნიკი. 1914 წელს იმავე ჩინით მსახურობდა ყარსის ციხესიმაგრის არტილერიაში. პირველი მსოფლიო ომის მონაწილე კავკასიის ფრონტზე. 1914 წლის აგვისტოდან 1915 წლის აპრილამდე – მე-3 მძიმე საარტილერიო ბრიგადის 1 დივიზიონის მეთაური. 1916 წლის მაისიდან იმავე წლის ნოემბრამდე – დვინის სამხედრო ოლქის შტაბის ჩინთა თადარიგში, ხოლო 1916 წლის ნოემბრიდან – იმყოფებოდა კავკასიის სამხედრო ოლქის შტაბის ჩინთა თადარიგში.

ნადოლნი რუდოლფ (Nadolny Rudolf) (1873-1953) – გერმანელი დიპლომატი. 1903-1907 წლებში – გერმანიის იმპერიის ვიცე-კონსული სანქტ-პეტერბურგში. 1907 წელს – გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს მრჩეველი საგარეო ვაჭ-

რობის სფეროში. 1912-1914 წლებში ხელმძღვანელობდა დიპლომატიურ მისიებს სპარსეთში, ბოსნიაში და ალბანეთში. პირველი მსოფლიო ომის მონაწილე. 1914 წლის შემოდგომიდან – მუშაობდა გენერალური შტაბის მეთაურის მოადგილის სადაზვერვო განყოფილებაში. 1915 წლის გაზაფხულზე დანიშნულ იქნა სახმელეთო ძალების გენერალური შტაბის პოლიტიკის სექციის (განყოფილების) უფროსის თანამდებობაზე. ხსენებული სექციის ფუნქციებში, ანტანტის ქვეყნების (მათ შორის რუსეთის იმპერიის) კოლონიზირებული ხალხების გამანთავისუფლებელი მოძრაობის წარმომადგენლებთან მჭიდრო კავშირში, სადაზვერვო-დინვერსიული ოპერაციების განხორციელება შედიოდა. ამ ხაზით პირდაპირ კავშირში იმყოფებოდა საქართველოს განთავისუფლების კომიტეტთან. 1916 წლის ივლისში ნადოლნი, საქმეთა რწმუნებულის რანგში, საგანგებო მისიის სათავეში მივლინებულ იქნა სპარსულ ქერმანშაჰში, სადაც რჩებოდა 1917 წლის მარტამდე. ამავე წლის გაზაფხულზე დაბრუნდა გერმანიაში და 1919 წლამდე მსახურობდა საგარეო საქმეთა სამინისტროში აღმოსავლეთის პოლიტიკის საკითხების რეფერენტად. 1918 წლის იანვარ-მარტში მონაწილეობას იღებდა ბრესტ-ლიტოვსკის მოლაპარაკებებში. 1920 წელს – გერმანიის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი შვედეთში. 1924-1933 წლებში – გერმანიის ელჩი თურქეთში. 1932-1933 წლებში – მეთაურობდა გერმანიის დელეგაციას ერთა ლიგის შენევის კონფერენციაზე. 1933 წელს – გერმანიის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი მოსკოვში. იმავე წელსვე – გადადგა თანამდებობიდან.

ნაუმანი ფრიდრიხ (Naumann Friedrich) (1860-1919) – გერმანული ლიბერალიზმის უმთავრესი ფიგურა კაიზერის გერმანიაში. მიიღო სასულიერო განათლება, თუმცა 1897 წელს მღვდლობას თავი დაანება და მალევე დააარსა ნაციონალისტური „ნაციონალ-სოციალური კავშირი“. 1907 წელს არჩეულ იქნა რაიხსტაგის წევრად. მხარს უჭერდა ლიბერალებს და სოციალ-დემოკრატებს შორის თანამშრომლობას. მისი მიზანი შუა ფენის გაძლიერება და ამ მეთოდით, გერმანიის იმპერიის კონსტიტუციურ მონარქიად გარდაქმნა იყო. მსოფლიო ომის დაწყების დროს, ნაუმანი სახელმწიფო პოლიტიკის მხარდამჭერი იყო და შიდა ერთიანობას ქადაგებდა, მაგრამ მალე მიხვდა, რომ ომის მოგებისთვის გერმანიას რესურსები არ ეყოფოდა და მაქსიმალური რისი მიღწევაც შეიძლებოდა, ფრე იყო. გამოდიოდა იმ დროს ძალზედ პოპულარული საზღვაო იმპერიის იდეის წინააღმდეგ და გერმანიის მომავალს ევროპის კონტინენტზე გაფართოებაში ხედავდა. 1915 წელს გამოსცა წიგნი „შუა ევროპა“ (Mitteleuropa), რომელშიც გერმანიისა და ავსტრიის გარშემო მძლავრი ცენტრალურ ევროპული ფედერაციის შექმნის იდეას გამოთქვამდა. ეს წიგნი მაშინვე ბესტსელერი გახდა, თუმცა ოფიციალურად გავლენა არ მოუხდენია. 1916 წლის ივნისიდან – გერმანულ-ქართული საზოგადოების წევრი. გერმანიის ომში დამარცხების შემდეგ იყო ეროვნული კრების წევრი ვაიმარში, თუმცა კატეგორიულად ეწინააღმდეგებოდა ვერსალის ხელშეკრულებას. გარდაცვალებამდე მცირე ხნით ადრე აირჩიეს ახლადდაფუძნებული მემარცხენე ლიბერალური გერმანიის დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარედ.

ნესიმი ბეი აჰმედ (Nesimi Bey Ahmed) (1876-1958) – ოსმალეთის იმპერიის სახელმწიფო მოღვაწე. 1917 წლის თებერვალში-1918 წლის ოქტომბერში – ოსმალეთის იმპერიის საგარეო საქმეთა მინისტრი.

ნიკოლოზ (ნიკოლა) არქიმანდრიტი – პირველი მსოფლიო ომის დროს ოს-მალეთში მცხოვრები ქართული წარმოშობის ყოფილი საეკლესიო პირი. გიორგი კერესელიძის თანახმად, მონაწილეობდა 1908 წლის მაისში საქართველოს რუსი ეგზარქოსის, ნიკონის მკვლელობაში, რის გამოც იძულებული იქნა გამოქცეულიყო თურქეთში. ოსმალეთის ხელისუფლების თხოვნით, შეყვანილ იქნა საქართველოს განთავისუფლების კომიტეტში. ასრულებდა თურქთა ნდობით აღჭურვილი პირის როლს. თურქული ხელისუფლების მითითებით ეწეოდა ინტრიგებს კომიტეტში, სადაც ცდილობდა ოპოზიციური ჯგუფის შექმნას. 1916 წელს, საქართველოს განთავისუფლების კომიტეტის თურქულ ხელისუფლებასთან დაპირისპირების პიკის დროს, განთავისუფლების კომიტეტის გერმანელთა თვალში დელეგატიმიზაციის მიზნით, შეეცადა შეექმნა ალტერნატიული ქართული კომიტეტი ყენევაში. იმავე წელს, გიორგი მაჩაბლის ძალისხმევით, გარიცხულ იქნა განთავისუფლების კომიტეტის შემადგენლობიდან.

ნიჟარაძე დავით (1856-1922) – ქუთაისის საგუბერნიო თავადაზნაურობის წინამძღოლი, საგანგებო დავალებათა გენერალი. 1877 წელს მოხალისედ შევიდა სამურზაყანოს ირეგულარულ-ცხენოსნურ პოლკში. 1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომის მონაწილე. 1880 წელს – მიიღო მილიციის იუნკერის წოდება. 1883-1890 წლებში – ქუთაისის მაზრის მე-4 სამხედრო-ცხენოსანთა განყოფილების გამგე. 1888-1891 წლებში – ქუთაისის მაზრის აზნაურობის დეპუტატი. 1892 წლიდან – ასრულებდა სამაზრო თავადაზნაურობის წინამძღოლის ფუნქციებს. 1894-1912 წლებში – ქუთაისის სამაზრო თავადაზნაურობის წინამძღოლი. 1913-1919 წლებში – ქუთაისის გუბერნიის თავადაზნაურობის წინამძღოლი. პირველი მსოფლიო ომის დაწყების შემდეგ, 1914 წლის ოქტომბერში, კავკასიის არმიის მთავარსარდლის ბრძანებით, პარალელურად დაევალა ქუთაისის ქართული რაზმის ფეხოსანთა და ცხენოსანთა შემადგენლობის ფორმირება. ამ დავალების შესრულების შემდეგ, იმავე წლის ნოემრიდან დაინიშნა ხსენებული რაზმის მეთაურად, მილიციის პოლკოვნიკის წოდების მინიჭებით. 1916 წლის დეკემბერში – დაინიშნა განსაკუთრებულ დავალებათა გენერლად კავკასიის ნაცვალ ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე რომანოვთან. 1917 წელს ქართლ-კახეთის თავადაზნაურობის წინამძღოლ გენერალ-მაიორ კონსტანტინე (კოტე) აფხაზთან ერთად, გადასცა ქართველ ერს 42 მილიონი მანეთის ღირებულების თავადაზნაურთა ქონება.

ოიკენი რუდოლფ კრისტოფ (Eucken Rudolf Christoph) (1846-1926) – გერმანელი იდეალისტი ფილოსოფოსი, 1908 წელს – ნობელის პრემიის მფლობელი ლიტერატურის დარგში. თარგმნიდა არისტოტელეს და წერდა შრომებს ეთიკის და რელიგიის სფეროებში. განათლება მიიღო გიოტინგენის და ბერლინის უნივერსიტეტებში, რის შემდეგაც მუშაობდა ბაზელის უნივერსიტეტში შვეიცარიაში. 1874 წლიდან 1920 წლამდე უწყვეტად ასწავლიდა იენის უნივერსიტეტში, რისთვისაც იენის საპატიო მოქალაქეობა მიიღო. 10-იან წლებში გაცვლით პროფესორად იმყოფებოდა დიდ ბრიტანეთსა და ამერიკის შეერთებულ შტატებში. მსოფლიო ომის დროს მხარს უჭერდა ნაციონალურ იდეოლოგიას. 1916-1918 წლებში – გერმანულ-ქართული საზოგადოების წევრი.

ოილენბერგი ჰერბერტ (Eulenberg Herbert) (1876-1949) – გამოჩენილი გერმანელი პოეტი, მწერალი და დრამატურგი. 1913 წელს დრამისთვის „ბელინდა“ მიენიჭა შილერის პრემია. 1916 წლის ივნისიდან – გერმანულ-ქართული საზოგადოების წევრი. 20-იანი წლების ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული სცენარისტი გერმანიასა და ავსტრიაში. ნაციონალ-სოციალისტთა ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, პაციფისტი ოილენბერგის ნაწერები აიკრძალა და აღარც წიგნები იბეჭდებოდა, თუმცა ის არ დაუპატიმრებიათ. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ კვლავ დიდი პოპულარობით სარგებლობდა გერმანიაში.

ფონ ოპენჰაიმი მაქს ფრაიჰერ (von Oppenheim Max Freiherr) (1860-1946) – გერმანელი დიპლომატი, აღმოსავლეთმცოდნე და ახლო აღმოსავლეთის საკითხებში სპეციალიზებული არქეოლოგი. 1896-1910 წლებში – გერმანიის იმპერიის გენერალური საკონსულოს ატაშე ქაიროში (ოსმალეთის იმპერია). პირველი მსოფლიო ომის დასაწყისის შემდეგ, 1914 წელს საგარეო საქმეთა სამინისტროსთან თანამშრომლობაში ჩამოაყალიბა და 1916 წლამდე, სათავეში ედგა აღმოსავლეთის ცნობათა ბიუროს (Nachrichtenstelle für den Orient), რომლის მოზანიც ანტანტის ქვეყნების მუსულმანური კოლონიების „რევოლუციონირება“ და მათ მოსახლეობაში პროგერმანული პროპაგანდის წარმოება იყო. ბიუროს თანამშრომელთა უდიდესი ნაწილი ექსპერტებისგან და სპეციალისტებისგან – ორიენტალისტებისგან, არაბისტებისგან, ინდოლოგებისგან, მისიონერებისგან, ვაჭრებისგან და ა.შ. შედგებოდა. ხსენებული ბიურო მუდმივ კონტაქტს ინარჩუნებდა საქართველოს განთავისუფლების კომიტეტთან. ბიუროს ფინანსური მხარდაჭერით, კომიტეტის წევრთა მიერ ხორციელდებოდა პროპაგანდისტული ბროშურების გამოცემა. პარალელურად, აკეთებდა გერმანიაში აღმოსავლურ ენებზე მოსული წერილების თარგმანს გერმანული ცენზურისათვის.

ორბაი ჰუსეინ რაუფ (Orbay Hüseyin Rauf) (1881-1964) – ოსმალეთის იმპერიის და თურქეთის რესპუბლიკის სახელმწიფო და სამხედრო მოღვაწე. წარმოშობით – აფზახ მუჰაჯირთა ოჯახიდან. 1889 წელს დაამთავრა სამხედრო-საზღვაო და საინჟინრო სასწავლებელი. ბალკანეთის და პირველი მსოფლიო ომების მონაწილე, კრეისერ „ჰამიდიეს“ კაპიტანი. 1918 წლის მარტ-აპრილში – ოსმალეთის დელეგაციის მეთაური ტრაპიზონის სამშვიდობო კონფერენციაზე. 1918 წლის 30 ოქტომბერს კუნძულ ლემნოსზე ხელი მოაწერა მუდროსის ცეცხლის შეწყვეტის ხელშეკრულებას. 1919 წელს – ოსმალეთის იმპერიის სამხედრო-საზღვაო მინისტრი. იმავე წელს მიემხრო ქემალისტებს. 1922-1923 წლებში – თურქეთის დიდი ეროვნული კრების მთავრობის პრემიერ-მინისტრი. 1924 წელს – ოპოზიციური პროგრესივისტურ-რესპუბლიკური პარტიის ერთ-ერთი დამფუძნებელი. 1925 წელს გასახლებულ იქნა თურქეთიდან. 1935 წელს საშუალება მიეცა ამნისტიით დაბრუნებულიყო თურქეთში. 1939 წელს არჩეულ იქნა დიდი ეროვნული კრების დეპუტატად. მეორე მსოფლიო ომის დროს – თურქეთის ელჩი დიდ ბრიტანეთში.

ორბელიანი გიორგი (1853-1924) – რუსეთის იმპერიის სამხედრო მოღვაწე, გენერალ-ლეიტენანტი. დაამთავრა პაჟთა კორპუსი. 1875 წელს გამოშვებულ იქნა მისი უდიდებულესობის ლეიბ-გვარდიის გუსართა პოლკში, გვარდიის კორნეტის ჩინით. 1877 წელს – პორუჩიკი, 1877-1918 წლების რუსეთ-თურქეთის ომის

მონაწილე. 1878 წელს – შტაბს-როტმისტრი. 1882 წელს – როტმისტრი. 1896 წელს – პოლკოვნიკი. 1898-1899 წლებში მივლინებულ იქნა ინდოეთში. 1904 წლიდან გენერალ-მაიორის ჩინით კავკასიის ცხენოსანთა ბრიგადის მეთაური. 1904-1905 წლების რუსეთ-იაპონიის ომის მონაწილე. 1906 წლიდან მიმაგრებულ იქნა კავკასიის სამხედრო ოლქის შტაბს. 1907-1910 წლებში თერგის ოლქის მეთაურის და თერგის კაზაკური ჯარის დანიშნული ატამანის უფროსი მოადგილე. 1910 წელს გენერალ-ლეიტენანტის ჩინით ამიერკასპიის ცხენოსანთა ბრიგადის მეთაური. 1913 წლიდან თადარიგში, თუმცა პირველი მსოფლიო ომის დროს ხელახლა მიღებულ იქნა სამსახურში იმავე ჩინით. მსახურობდა სანიტარული და საევაკუაციო სამსახურის უფროსთან, პრინც ოლდენბურგთან. 1917 წლის ივლისში განთავისუფლებულ იქნა სამსახურიდან ავადმყოფობის გამო. 1921 წლიდან ემიგრაციაში საფრანგეთში. გარდაიცვალა ქ. ბიარიცში.

ფონ პალავიჩინი იოჰან (von Pallavicini Johann) (1848-1941) – ავსტრია-უნგრეთის იმპერიის დიპლომატი, მარკგრაფი. სწავლობდა ედინბურგში და ვენაში, რის შემდეგ შევიდა ავსტრია-უნგრეთის დიპლომატიურ სამსახურში. 1871 წელს დაინიშნა საელჩოს ატაშედ ბერლინში, 1878 წელს – პარიზში და 1880 წელს – ლონდონში. 1887 წელს – სერბეთში ავსტრია-უნგრეთის საელჩოს მდივანი. 1894 წელს მუშაობდა ადვოკატად მიუნხენში და იმავე წელს, დაინიშნა დიპლომატიურ პოსტზე საელჩოში პეტერბურგში. 1899 წელს – ავსტრია-უნგრეთის დესპანი რუმინეთში. 1906-1918 წლებში – საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ოსმალეთის იმპერიაში. 1911 წელს დროებით ასრულებდა ავსტრია-უნგრეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოვალეობებს. 1914 წელს პირველი მსოფლიო ომის დაწყების შემდეგ, ხელი შეუწყო თურქეთის ომში ჩართვას ოთხთა კავშირის სახელმწიფოთა მხარეზე.

პაპაჯანოვი (პაპაჯანიანი) მიხეილ (1869-1929) – სომეხი პოლიტიკური და სახელმწიფო მოღვაწე. დაამთავრა ტფილისის პირველი გიმნაზია და ნოვოროსიისკის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. ეწეოდა საადვოკატო პრაქტიკას ერივანში, ტფილისში და ალექსანდროპოლში, სადაც გახდა სამოქალაქო დუმის ხმოსანი. 1899 წელს გადმოდის ბაქოში, სადაც ეკავა საოლქო სასამართლოს ბაქოს კომიტეტის ნაფიცი მსაჯულის თანამდებობა. შემდგომ – ნაფიცი მსაჯულთა ბაქოს კომიტეტის თავმჯდომარე. მემარცხენე კადეტი. 1912 წლისთვის იყო დაშნაკცუთიუნის პარტიის აღმოსავლეთის ბიუროს წევრი. 1912-1917 წლებში არჩეულ იქნა რუსეთის იმპერიის მე-4 სახელმწიფო დუმაში ბაქოს, ელიზავეტპოლის და ერივნის გუბერნიებიდან. შედიოდა კადეტთა ფრაქციაში. პროგრესული ბლოკის წევრი. 1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ, იმავე წლის მარტიდან – ამიერკავკასიის საგანგებო კომიტეტის წევრი, კურირებდა იუსტიციის და ლტოლვილთა საკითხებს. იმავე წლის სექტემბერში – სომხეთის სახალხო პარტიის დამფუძნებელი კრების წევრი და მისი ერთ-ერთი ლიდერი. 1917-1918 წლებში – ამიერკავკასიის კომისარიატის წევრი. 1918 წლის 4 ივნისს, სომხეთის რესპუბლიკის სახელით, ხელი მოაწერა ბათუმის სამშვიდობო ხელშეკრულებას. 1919-1920 წლებში – სომხეთის რესპუბლიკის დიპლომატიური დელეგაციის წევრი პარიზის სამშვიდობო კონფერენციაზე. 1920 წლიდან ემიგრაციაში საფრანგეთში. 1929 წელს დაშნაკური პარტიის მიერ იქნა მივლინებული სსრკ-ში, ბოლშევიკური

სომხეთის მთავრობასთან მოლაპარაკებების წარმოების მიზნით, რომლის დროსაც გარდაიცვალა.

პრჟევალსკი მიხეილ (Пржевальский Михаил) (1859-1934) – რუსეთის იმპერიის სამხედრო მოღვაწე, ინფანტერიის გენერალი. 1876 წელს დაამთავრა პეტრეს პოლტავის სამხედრო გიმნაზია და 1879 წელს – მიხეილის საარტილერიო სასწავლებელი. 1884 წელს – დაამთავრა მიხეილის საარტილერიო აკადემია, ხოლო 1888 წელს – ნიკოლოზის გენერალური შტაბის აკადემია პირველი თანრიგით. მსახურობდა კავკასიის სამხედრო ოლქში. 1892 წელს გადავიდა დიპლომატიურ სამსახურში და დაინიშნა გენერალური საკონსულოს მდივნად ქ. ერზერუმში. 1896 წელს – პოლკოვნიკი. 1901 წელს დანიშნულ იქნა 39-ე მსროლელი დივიზიის შტაბის უფროსად. 1903 წელს – 155-ე ყუბანის მსროლელი პოლკის მეთაური. 1905 წელს – ყუბანის კაზაკთა ჯარის სამხედრო შტაბის უფროსი. 1906 წელს – გენერალ-მაიორი. 1906 წელს დანიშნულ იქნა თერგის კაზაკთა ჯარის სამხედრო შტაბის უფროსად. 1908 წელს – ყუბანის პლასტუნთა ბრიგადის მეთაური. პირველი მსოფლიო ომის მონაწილე კავკასიის ფრონტზე. 1915 წელს – გენერალ-ლეიტენანტი, მე-2 თურქესტანის საარმიო კორპუსის მეთაური. 1916 წელს – ინფანტერიის გენერალი. 1917 წლის აპრილში დაინიშნა კავკასიის არმიის მთავარსარდლად, ხოლო მაისში – კავკასიის ფრონტის ჯარების მთავარსარდლად. 1917 წლის დეკემბერში გადადგა ხსენებული თანამდებობიდან. შუერთდა ყუბანის ოლქში მოქმედ თეთრ რუსულ არმიას და 1918 წლის ბოლოს, დანიშნულ იქნა მოხალისეთა ჯარების სარდლად ჩრდილოეთ კავკასიაში. 1920 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე – ემიგრაციაში იუგოსლავიაში.

ფონ პურტალესი იაკობ ლუდვიგ ფრიდრიხ ვილჰელმ იოაჰიმ (von Pourtalès Jacob Ludwig Friedrich Wilhelm Joachim) (1853-1928) – გერმანელი დიპლომატი, გრაფი. 1879 წელს – გერმანიის საელჩოს ატაშე ვენაში. 1881 წელს ფლობდა ლეგაციის მდივნის დიპლომატიურ რანგს. მსახურობდა ვენაში, ჰააგასა და პარიზში. საელჩოს პირველი მდივანი სანქტ-პეტერბურგში. 1890 წლიდან მსახურობდა საგარეო საქმეთა სამინისტროს რუსეთის განყოფილებაში. 1899 წელს – დესპანი ჰააგაში, ხოლო 1902 წელს – მიუნხენში. 1907-1914 წლებში – გერმანიის იმპერიის ელჩი სანქტ-პეტერბურგში. 1914-1918 წლებში – საგარეო საქმეთა სამინისტროს რუსეთის განყოფილების უფროსი. ასრულებდა საგარეო საქმეთა მინისტრების, გოთლიბ ფონ იაგოვის, არტურ ციმერმანის და პაულ ჰინცეს მრჩევლის მოვალეობებს.

ჟორდანია ნოე (1868-1953) – საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის ხელმძღვანელი და დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობის თავმჯდომარე. 1891 წელს, ვარშავის ვეტერინალურ ინსტიტუტში სწავლისას, მიემხრო ევროპულ სოციალისტურ თეორიებს და რევოლუციურ მოძრაობას. 1892 წელს ტფილისში დაბრუნების შემდგომ, შექმნა რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ფილიალი საქართველოში. 1906 წელს არჩეულ იქნა I სახელმწიფო დუმის დეპუტატად, სადაც სოციალისტურ ფრაქციას თავმჯდომარეობდა. ხელი მოაწერა ვიბორგის მონოდებას, რის გამოც სამთვნიანი პატიმრობა მიუსაჯეს. 1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ, ტფილისის საბჭოს ერთ-ერთი ხელმძღვანელი, შემდგომ – კავკასიის ყველა რევოლუციური ორგანიზაციისა და ქართუ-

ლი სახალხო საბჭოს თავმჯდომარე. 1918 წლის ივნისიდან 1921 წლის მარტამდე – საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე. 1921 წლის მარტიდან ემიგრაციაში საფრანგეთში. ქართული ეროვნული ცენტრის და 1938 წლამდე საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის უცხოეთის ბიუროს თავმჯდომარე. პრომეთეისტული მოძრაობის ქართული ორგანიზაციის ერთ-ერთი ხელმძღვანელი. 1935-1939 წლებში – კავკასიის კონფედერაციის საბჭოს პრეზიდენტის თავმჯდომარე.

რადოსლავოვი ვასილ ხრისტოვი (Радославов Васил Христов) (1854-1929) – ბულგარეთის სახელმწიფო მოღვაწე. თავდაპირველად, ლიბერალური პარტიის, ხოლო შემდეგ – რადოსლავისტური ლიბერალური პარტიის წევრი. 1884-1886 და 1894 წლებში – იუსტიციის მინისტრი. 1886-1887 წლებში – მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე და შინაგან საქმეთა მინისტრი. 1894 წელს – განათლების მინისტრი. 1899-1900 წლებში – შინაგან საქმეთა მინისტრი. 1913-1918 წლებში – მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე. პარალელურად, 1913-1915 და 1916-1918 წლებში – შინაგან საქმეთა მინისტრი და 1913-1918 წლებში – საგარეო საქმეთა მინისტრი.

რაინჰარდტი მაქს (Reinhardt Max) (1873-1943) – ებრაული წარმოშობის ავსტრიელი თეატრისა და კინოს რეჟისორი და მსახიობი. მე-20 საუკუნის 10-20-იანი წლების თავის სფეროში ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ადამიანი. დაიბადა ებრაელი ვაჭრის ოჯახში, ვენის მახლობლად ბადენში, მაქს გოლდმანის სახელით. 1904 წელს გვარი თავის დედმამიშვილებთან ერთად შეიცვალა. ადრეულ წლებში მუშაობდა ვენის, პრესბურგის (ბრატისლავის), ზალცბურგის და ბერლინის თეატრებში, ასევე ამერიკის შეერთებულ შტატებში. რაინჰარდტი იყო კარლ გუსტავ ფოლმიოლერის პიესა „სასწაულის“ („The Miracle“) კინოვერსიის რეჟისორი, რომელმაც დიდი პოპულარობა მოიპოვა. კინოში მთავარ როლს – მადონას – განასახიერებდა ფოლმიოლერის მაშინდელი ცოლი მარია კარმი (იტალიელი მსახიობი ნორინა ჯილი), რომელიც 1917 წელს საქართველოს განთავისუფლების კომიტეტის ერთ-ერთი ლიდერის – გიორგი მაჩაბლის ცოლი გახდა. 1916-1918 წლებში რაინჰარდტი, ფოლმიოლერი და კარმი გერმანულ-ქართული საზოგადოების წევრები იყვნენ. 1933 წელს ნაციონალ-სოციალისტთა გერმანიის სათავეში მოსვლის შემდეგ, რაინჰარდტი მუდმივად გადასახლდა ვენაში, ხოლო 1937 წელს ვენიდან ამერიკის შეერთებულ შტატებში, სადაც გარდაიცვალა კიდეც 1943 წელს.

ფონ რაიჰენბერგი ვოლფსკილ ებერჰარდტი (von Reichenberg Wolfskeel Eberhard) (1875-1954) – გერმანელი სამხედრო მოღვაწე, გრაფი. პირველი მსოფლიო ომის მონაწილე. 1915 წლის იანვრიდან მაიორის ჩინით იმყოფებოდა ოსმალეთის იმპერიაში. ამავე წლის თებერვლიდან – სირიის გუბერნატორის შტაბის მეთაური. 1915 წლის ივნისიდან ფორმალურად გადავიდა ოსმალურ არმიაში და დაინიშნა მე-8 საარმიო კორპუსის მეთაურად. 1916-1917 წლებში იმყოფებოდა ოსმალურ მე-15 საარმიო კორპუსთან გალიციის ფრონტზე. 1917 წლის იანვრიდან – 52-ე გენერალური სარდლობის გენერალური შტაბის ოფიცერი რუმინეთში. 1918 წლის აგვისტო-დეკემბერში – კავკასიაში გერმანიის სამხედრო მისიის მეთაურის, გენერალ კრეს ფონ კრესენშტაინის შტაბის უფროსი და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამხედრო მინისტრის მრჩეველი.

რამიშვილი ნოე (1881-1930) – საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიისა და დამოუკიდებელი საქართველოს ერთ-ერთი მთავარი ხელმძღვანელი. 1902 წელს შევიდა სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში. 1918 წლის მაისის ბოლოდან ეკავა საქართველოს დროებითი მთავრობის თავმჯდომარის და შინაგან საქმეთა მინისტრის თანამდებობა. იმავე წლის 24 ივლისს შეცვლილ იქნა ამ თანამდებობაზე ნ. ჟორდანიას მიერ, თუმცა შეინარჩუნა შინაგან საქმეთა მინისტრის პოსტი. 1919-1921 წლებში, სხვადასხვა დროს ეკავა შინაგან საქმეთა, სამხედრო და სახალხო განათლების მინისტრთა თანამდებობები. 1921 წლიდან ემიგრაციაში საფრანგეთში. საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის უცხოეთის ბიუროს წევრი. 1930 წელს მოკლულ იქნა პარიზში ოგპუ-ს აგენტ პ. ჭანუყვაძის მიერ.

რამდაუ ლუდვიგ ალფრედ (Raschdau Ludwig Alfred) (1849-1943) – გერმანელი დიპლომატი. სწავლობდა იურისპრუდენციას ბრესლაუს, ჰაიდელბერგის და პარიზის უნივერსიტეტებში. 70-იანი წლებიდან შევიდა დიპლომატიურ სამსახურში. 1879 წელს იყო კონსული სმირნაში, 1882 წლიდან – ვიცე-კონსული ეგვიპტეში, მომდევნო წლებში ასევე იმყოფებოდა შესაბამის პოსტებზე ნიუ-იორკსა და ჰავანაში. 90-იანი წლებიდან თამაშობდა მნიშვნელოვან როლს, როგორც მრჩეველი საგარეო საქმეთა სამინისტროში. დიპლომატიურ სამსახურში რჩებოდა 1915 წლამდე. 1916 წელს გახდა გერმანულ-აზიური საზოგადოების თავმჯდომარე. ხსენებული თანამდებობა მან გადაიბარა გარდაცვლილი გენერლის – კოლმარ ფონ დერ გოლცისგან. 1916-1918 წლებში იყო გერმანულ-ქართული საზოგადოების წევრი.

რიბო ალექსანდრ ფელიქს ჟოზეფ (Ribot Alexandre Félix Joseph) (1842-1923) – ფრანგი სახელმწიფო მოღვაწე. იურიდიული განათლების მიღების შემდეგ, მუშაობდა ადვოკატად. 1878 წელს – არჩეულ იქნა დეპუტატთა პალატაში. მიეკუთვნებოდა რესპუბლიკურ-კონსერვატიულ ჯგუფს. 1890-1893 წლებში – საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრი. 1893 წელს – პრემიერ-მინისტრი და შინაგან საქმეთა მინისტრი. 1895 წელს – პრემიერ-მინისტრი და ფინანსთა მინისტრი. 1914 და 1917 წლებში – საფრანგეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი.

ფონ რიხტერი ერნსტ ფრიდრიხ ჰერმან (von Richter Ernst Friedrich Hermann) (1862-1935) – გერმანელი იურისტი და პოლიტიკოსი. განათლება მიიღო ბერლინის ფრიდრიხ-ვილჰელმის და ტიუბინგენის ებერჰარდ-კარლის უნივერსიტეტებში. 1891 წლიდან იყო პრუსიის საჯარო სამსახურში. 1900 წლიდან მუშაობდა პრუსიის შინაგან საქმეთა სამინისტროში, ასევე მთავრობის მრჩეველად. 1905-1914 წლებში იყო საქსენ-კობურგ-გოთას სახელმწიფო მინისტრი. 1908 წელს მიენიჭა მემკვიდრეობითი აზნაურის წოდება. პირველი მსოფლიო ომის დროს მუშაობდა გერმანიის წითელ ჯვარში. 1917-1920 წლებში იყო ჰანოვერის პროვინციის პრეზიდენტი. 1916-1918 წლებში – გერმანულ-ქართული საზოგადოების წევრი. 1919 წელს გახდა გერმანიის სახალხო პარტიის თანადამფუძნებელი. 1921 წელს პარტიის პრუსიის მთავრობაში შესვლის შემდეგ, გახდა პრუსიის ფინანსთა მინისტრი და ამ თანამდებობაზე იმყოფებოდა 1925 წლამდე. 1921-1928 წლებში იყო პრუსიის ლანდტაგის წევრი იმავე პარტიიდან.

ფონ როზენბერგი ფრედერიკ „ჰანს“ (von Rosenberg Frederic „Hans“) (1874-1937) – გერმანელი დიპლომატი და პოლიტიკური მოღვაწე. სწავლობდა სამართალს და სახელმწიფო ეკონომიკას ბონის, ჟენევის და ბერლინის უნივერსიტეტებში. მსახურობდა გერმანიის ლეგაციაში ანტვერპენში (ბელგია), რის შემდეგაც გადავიდა საგარეო საქმეთა სამინისტროში ბერლინში, სადაც 1918-1919 წლებში პოლიტიკურ განყოფილებას განაგებდა. 1918 წლის იანვარ-მარტში იყო გერმანული დელეგაციის წევრი ბრესტ-ლიტოვსკის სამშვიდობო კონფერენციაზე და იქ დადებული ხელშეკრულების ერთ-ერთი ხელმომწერი. 1920-1921 წლებში – საგანგებო და სრულუფლებიანი დესპანი ვენაში (ავსტრიაში), ხოლო 1921-1922 წლებში – გერმანიის დესპანი კოპენჰაგენში (დანიაში). 1922 წლის ნოემბრიდან 1923 წლის აგვისტომდე – გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრი. 1924 წელს დაინიშნა დესპანად სტოკჰოლმში (შვედეთი). 1933-1935 წლებში – საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ანკარაში (თურქეთი).

რომანოვი ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე (უმცროსი) (Романов Николай Николаевич (младший)) (1856-1929) – დიდი მთავარი, რუსეთის იმპერატორ ნიკოლოზ I-ს შვილიშვილი. 1900 წელს – კავალერიის გენერალი. 1904 წელს – გენერალ-ადიუტანტი. 1914-1915 წლებში და 1917 წლის მარტის დღეებში – რუსეთის იმპერიის ყველა სახმელეთო და საზღვაო სამხედრო ძალების უზენაესი მთავარსარდალი. 1915-1917 წლებში – იმპერატორის ნაცვალის კავკასიაში, კავკასიის არმიის მთავარსარდალი და კავკასიის კაზაკური ჯარების დანიშნული ატამანი. 1919 წლის აპრილიდან – ემიგრაციაში. ცხოვრობდა იტალიაში გენუაში, შემდეგ, 1922 წლიდან, – საფრანგეთში. 1924 წლის ნოემბრიდან რუსეთის საერთო-სამხედრო კავშირის (როვს-ის) ხელმძღვანელი. რუსული თეთრი ემიგრაციის ზოგიერთ დაჯგუფებათა მიერ განიხილებოდა როგორც პრეტენდენტი რუსეთის იმპერატორის ტახტზე.

ფონ რომბერგი გიზბერტ ფრაიჰერ (von Romberg Gisbert Freiherr) (1866-1939) – ბარონი, გერმანელი დიპლომატი. სწავლობდა სამართალმცოდნეობას რაინის ფრიდრიხ-ვილჰელმის უნივერსიტეტში, ბონში. 1889 წლიდან მსახურობდა საგარეო საქმეთა სამინისტროში. 1912-1919 წლებში – გერმანიის დესპანი ბერნში (შვეიცარია). 1919-1931 წლებში – საგარეო საქმეთა სამინისტროს პოლიტიკური განყოფილების აღმოსავლეთის რეფერატის უფროსი.

ფონ დერ როპპი ფრიდრიხ თეოდორ ლუი სილვესტრ (von der Ropp Friedrich Theodor Louis Sylvester) (1879-1964) – გერმანელი პოლიტიკური მოღვაწე და მწერალი, ბარონი. წამოშობით ბალტიისპირული ლიტვურ-გერმანული ოჯახიდან. სწავლობდა გიმნაზიაში დრეზდენში და ფრაიბურგის სამთო აკადემიაში, რომელიც დიპლომირებულ ინჟინრად დაასრულა 1903 წელს. ხელმძღვანელობდა სამთო-გეოლოგიურ სადაზვერვო სამუშაოებს აფრიკაში (ბელგიის კონგოში) და ეთიოპიაში. პირველი მსოფლიო ომის დროს მონაწილეობას იღებდა ბალტიისპირელ ხალხთა ეროვნულ-გამანთავისუფლებელ მოძრაობაში. 1916 წლის ივნისიდან 1918 წლის ნოემბრამდე – „რუსეთის არარუს ხალხთა ლიგის“ დამაარსებელი და გენერალური მდივანი. 1919 წელს იყო ბალტიის ლანდვერის საიდუმლო წარმომადგენელი პარიზში. 1920 წელს – საიდუმლო „ბალტიური ორდენის“ ერთ-ერთი დამაარსებელი და ხელმძღვანელი.

სალარ ალ დოვლე (1881-1961) – სპარსეთის მმართველის მუზაფარ ალ-დინ შაჰის (1896-1907) ვაჟი. 1907 წელს მონაწილეობდა მისი ძმის, ირანის შაჰ მუჰამედ ალი მირზას მცდელობაში შეიარაღებული გადატრიალების მეშვეობით გაეუქმებინა 1906 წელს სპარსეთში შემოღებული კონსტიტუცია და აბსოლუტური მონარქია აღედგინა. გადატრიალების მცდელობის დამარცხების შემდეგ, ძმასთან ერთად გადასახლებულ იქნა. 1911 წელს უშედეგოდ ცდილობდა ჩაეგდო ხელში ძალაუფლება ირანის ქურთისტანის, ხოლო შემდეგ – ხუზისტანის პროვინციებში. გაიქცა ევროპაში. პირველი მსოფლიო ომის დროს ეკავა პროგერმანული ორიენტაცია. 1914 წლის ოქტომბრისთვის ჩავიდა სპარსეთში და თურქულ ჯარებზე დაყრდნობით, ცდილობდა რუსთა ჯარების განდევნას ჩრდილოეთ ირანიდან.

სახოკია თედო (თეოდოტუს) (1868-1954) – ქართული ეროვნულ-გამანთავისუფლებელი მოძრაობის აქტიური მონაწილე, მწერალი, მთარგმნელი, ეთნოგრაფი, ლექსიკოგრაფი, პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე. 1884 წლიდან სწავლობდა ტფილისის სასულიერო სემინარიაში, საიდანაც გარიცხეს მოსწავლეთა არალეგალურ წრეში მონაწილეობისთვის. 1886 წლიდან სწავლობდა ჯერ ჟენევის უნივერსიტეტში, საბუნებისმეტყველო ფაკულტეტზე, ხოლო 1887 წლიდან პარიზის სორბონის უნივერსიტეტის ისტორიულ ფაკულტეტზე. 1889 წელს უსახსრობის გამო, იძულებული იყო დაბრუნებულიყო საქართველოში. 1894 წელს დაპატიმრებულ იქნა მეფის ჟანდარმერიის მიერ ვარშავაში შექმნილი საქართველოს განთავისუფლების ლიგის წევრებთან მიმონერის გამო, თუმცა უკვე 1895 წელს გაანთავისუფლეს. 1900 წელს შევიდა პარიზის უმაღლეს ანთროპოლოგიურ სასწავლებელში. 1901 წლიდან თანამშრომლობდა რომში მიხეილ თამარაშვილთან. 1902 წლიდან ცხოვრობდა საფრანგეთში, იყო პარიზში 1903-1905 წლებში გამოცემული საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა რევოლუციური პარტიის გაზეთ „საქართველოს“ თანარედაქტორი. თანამშრომლობდა საქართველოს ჟურნალ-გაზეთებში, განსაკუთრებით კი – „ცნობის ფურცელსა“ და „მოამბეში“, რომლებისთვისაც პარიზიდან აგზავნიდა წერილებს. პირველი რუსული რევოლუციის დროს, 1905 წლის გაზაფხულზე დაბრუნდა საქართველოში სოციალისტ-ფედერალისტებისთვის განკუთვნილი იარაღის საზღვაო გზით მიღების ორგანიზების მიზნით. ამ მიზეზით 1906 წელს დააპატიმრეს და 1909 წელს ციმბირში გადასახლეს, საიდანაც იმ წელსვე საფრანგეთში გაიქცა. 1917 წლამდე ცხოვრობდა პარიზში, ლონდონში და ბრიუსელში. 1917 წლიდან საბოლოოდ დაბრუნდა საქართველოში.

სვანიძე ალექსანდრე (1886-1941) – ძველი ქართველი ბოლშევიკი და საბჭოთა სახელმწიფო მოღვაწე. ი. სტალინის პირველი ცოლის, ე. სვანიძის ძმა. განათლება მიიღო ტფილისში და იენაში (გერმანიაში), სადაც სწავლობდა გერმანულ და ინგლისურ ენებს და ეწეოდა ძველ ცივილიზაციათა კვლევებს. 1901 წელს შევიდა რსდმპ-ში, ეწეოდა იატაკქვეშა მოღვაწეობას, ბოლშევიკი. 1919 წელს იძულებული იყო დაეტოვებინა დამოუკიდებელი საქართველო. 1920-1921 წლებში მუშაობდა საბჭოთა რუსეთის საგარეო საქმეთა ნარკომატში. 1921-1922 წლებში – ამიერკავკასიის საბჭოთა რესპუბლიკის ფინანსთა სახალხო კომისარი. 1924 წელს – საბჭოთა სავაჭრო წარმომადგენელი გერმანიაში. 1935 წელს – სსრკ-ს სა-

გარეო-სავაჭრო ბანკის მმართველობის თავმჯდომარის მოადგილე. პარალელურად ეწეოდა სამეცნიერო მოღვაწეობას. სტალინთან პირადი ახლო ურთიერთობის მიუხედავად, 1937 წელს დააპატიმრეს ფალსიფიცირებული ბრალდებით და 1941 წელს, დახვრიტეს, ზოგიერთი ცნობით, მისივე პირადი ბრძანებით.

სულიმან ასკერი (1884-1915) – ოსმალეთის იმპერიის სამხედრო მოღვაწე, გენერალი. 1905 წელს დაამთავრა სამხედრო აკადემია და მსახურობდა მე-3 არმიაში სალონიკში, სადაც შეუერთდა ახალგაზრდა თურქთა „ერთობის და პროგრესის“ კომიტეტს. 1909 წელს, ჟანდარმერიის პოლკის რეორგანიზაციის მიზნით, გადაყვანილ იქნა ბალდაღში. 1911 წელს მონაწილეობდა სამხედრო მოქმედებებში ლიბიაში იტალიელთა წინააღმდეგ. 1912 წელს მონაწილეობდა ბალკანეთის ომში, სადაც დასავლეთ თრაკიაში დროებითი თურქული მთავრობის მეთაური იყო. 1914 წელს შეუერთდა საიდუმლო სამსახურს „სპეციალური ორგანიზაცია“, რომელსაც პირადად ეწვეოდა ფაშა ხელმძღვანელობდა და ამ სტრუქტურაში ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი პირი გახდა. პირველ მსოფლიო ომში ოსმალეთის იმპერიის ჩართვის შემდეგ, დაინიშნა ერაყში დისლოცირებული ჯარების სარდლად და ბალდაღის გუბერნატორად. შაიბას ბრძოლაში ბრიტანელთაგან განცდილი მარცხის შემდეგ, 1915 წლის აპრილში სიცოცხლე თვითმკვლელობით ბასრაში დაასრულა.

სუმბათაშვილი (სუმბათოვ)-იუჟინი ალექსანდრე (1857-1927) – წარმოშობით ქართველი რუსი დრამატურგი, მსახიობი, რსფსრ-ს სახალხო არტისტი. 1863-1877 წლებში ცხოვრობდა საქართველოში. დაამთავრა ტფილისის ვაჟთა პირველი გიმნაზია. 1877-1881 წლებში სწავლობდა პეტერბურგის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე. ავტორი ოცამდე პიესისა, რომელთა ძირითადი ნაწილი სოციალურ პრობლემატიკას ეძღვნება. სუმბათაშვილ-იუჟინის პიესებში რომანტიკული პათოსი ერწყმის ქეშმარიტ რეალიზმს. საქართველოს უძღვნა სუმბათაშვილ-იუჟინმა ისტორიული დრამა „ღალატი“ (1903 წ.), რომელიც ერთგვარი ნოსტალგიაა საქართველოს გმირულ წარსულზე, მისი პიესები ქართულ ენაზე ითარგმნებოდა 1889 წლიდან (მთარგმნელები აკაკი წერეთელი, ვალერიან გუნია, კოტე მესხი, ნიკოლოზ ავალიშვილი). პროფესიულ სცენაზე პირველად გამოვიდა 1876 წელს ტფილისში სოლცევის ფსევდონიმით. 1878-1879 წლებში გამოდიოდა პეტერბურგის თეატრებში. არაერთხელ ყოფილა გასტროლებზე საქართველოში მცირე თეატრის დასთან ერთად. 1882 წლიდან გარდაცვალებამდე მოღვაწეობდა მოსკოვის მცირე თეატრში.

სურგულაძე პეტრე (სურატი პიერ) (1871-1931) – პირველი მსოფლიო ომის დროს საქართველოს ეროვნულ-გამანთავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი მთავარი ხელმძღვანელი. თავდაპირველად, სოციალისტ-ფედერალისტი. 1905 წელს – სოციალისტ-ფედერალისტთა ტფილისის კომიტეტის წევრი და საქართველოში პირველი რუსული რევოლუციის მონაწილე. 1909 წელს – სოციალისტ-ფედერალისტური პარტიის ცენტრალური ფედერალური კომიტეტის მდივანი. 1910 წლის აპრილში, ცარისტული ჟანდარმერიის მიერ საქართველოში სოციალისტ-ფედერალისტური პარტიის ლიკვიდაციის ოპერაციის ფარგლებში ჩატარებული რეპრესიების შედეგად დაპატიმრებულ იქნა. მიესაჯა 5 წლით კავკასიის

მხარიდან გასახლება. იმავე წლის ოქტომბერში, მონაწილეობდა სოციალისტ-ფედერალისტთა მემარჯვენე ახალგაზრდული ფრთის წარმომადგენელთა მიერ იატაკქვეშა „საქართველოს სეპარატისტთა ლიგის“ შექმნაში, რომლის მიერაც უცხოეთში წასვლა და მუშაობა დაევალა. 1910 წლის დეკემბერში თურქეთში გადასვლა შეძლო, საიდანაც ევროპაში (შვეიცარიაში) წავიდა. 1911 წელს – ქართველ სეპარატისტთა პარტიის უცხოეთის კომიტეტის თავმჯდომარე. 1913-1914 წლებში – ჟენევაში გამომავალი გაზეთ „თავისუფალი საქართველო“-ს რედაქტორი. პირველი მსოფლიო ომის დროს – საქართველოს განთავისუფლების კომიტეტის თავმჯდომარე. 1917 წელს – საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის დამფუძნებელი და მისი მთავარი კომიტეტის წევრი. 1919-1921 წლებში – საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების წევრი ეროვნულ-დემოკრატიული პარტიიდან, სამხედრო კომისიის წევრი. 1921 წლის მარტიდან გარდაცვალებამდე – ემიგრაციაში თურქეთში.

სუხომლინოვი ვლადიმერ (Сухомлинов Владимир) (1848-1926) – რუსეთის იმპერიის სამხედრო მოღვაწე, კავალერიის გენერალი. 1867 წელს დაამთავრა ნიკოლოზის კავალერიის სასწავლებელი. 1874 წელს დაასრულა გენერალური შტაბის აკადემია. 1874 წლიდან – 1 გვარდიის კავალერიის დივიზიის უფროსი ადიუტანტი. 1877 წლიდან – 1 კავალერიის კორპუსის საგანგებო დავალებათა ობერ-ოფიცერი. 1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომის მონაწილე. 1878 წელს დაინიშნა გენერალური შტაბის ნიკოლოზის აკადემიის საქმეთა მმართველად. პარალელურად ასწავლიდა ხსენებულ აკადემიაში და პაყთა კორპუსში. 1884 წელს – პავლოვგრადის ლეიბ-დრაგუნთა პოლკის მეთაური. 1886 წლიდან 12 წლის განმავლობაში იყო ოფიცერთა კავალერიის სკოლის უფროსი. ეწეოდა პუბლიცისტურ მოღვაწეობას. 1897 წელს – მე-10 კავალერიის დივიზიის უფროსი. 1899 წელს – კიევის სამხედრო ოლქის უფროსის შტაბის უფროსი. 1902 წელს – კიევის სამხედრო ოლქის სარდლის მოადგილე. 1904 წელს – კიევის სამხედრო ოლქის ჯარების სარდალი. 1905 წელს დაინიშნა კიევის, პოდოლსკისა და ვოლინის გენერალ-გუბერნატორად. მონარქისტული ორგანიზაციის „რუსული ყრილობის“ თავმჯდომარე. 1908 წელს დაინიშნა გენერალური შტაბის უფროსად. 1908-1909 წლებში – სახელმწიფო თავდაცვის საბჭოს წევრი. 1909-1915 წლებში – სამხედრო მინისტრი. 1911 წელს შეყვანილ იქნა სახელმწიფო საბჭოში. პირველ მსოფლიო ომში რუსეთის ჩაბმის მომხრე. 1915 წლის ივნისში, საზოგადოებრივი აზრის ზენოლის შედეგად, რომელიც სუხომლინოვს რუსული არმიის შეიარაღებით და ჭურვებით ცუდ მომარაგებაში ადანაშაულებდა, გადაყენებულ იქნა სამხედრო მინისტრის თანამდებობიდან. 1916 წლის მარტში მის წინააღმდეგ დაწყებული გამოძიების შედეგად, განთავისუფლებულ იქნა სამხედრო სამსახურიდან, ხოლო აპრილში, გარიცხულ იქნა სახელმწიფო საბჭოდან. 1916 წლის აპრილში დაპატიმრებულ იქნა და იმყოფებოდა პატიმრობაში პეტრე-პავლეს ციხესიმაგრეში. კერძოდ, სუხომლინოვს მისი ცოლის ნდობაში შესული საეჭვო საქმოსნის და მოსკოვის პოლიციის შტატ-გარეშე აგენტის, ნ. სოლოვიოვის პროტეჟირებაში და კონტრდაზვერვის სამსახურში მის მოწყობაში, აგრეთვე ავსტრიელ და გერმანელ აგენტებთან, ალტ-შილლერთან, ველერთან და გომპევიჩთან კონტაქტებში ადანაშაულებდნენ. 1916 წლის ოქტომბრიდან იმყოფებოდა შიდა პატიმრობაში. რუსეთის 1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ, 1 მარტს ცოლთან ერთად დაპატიმრებულ იქნა

სახელმწიფო დაღატაკის, ხელისუფლებაში ყოფნისას უმოქმედობისა და მექრთამეობის ბრალდებით. იმავე წლის სექტემბერში მიესაჯა უვადო კატორღა, სუხომლინოვის მეუღლე კი გამართლებულ იქნა. მალე კატორღა ციხეში პატიმრობით შეეცვალა. 1917 წლის ოქტომბრის ბოლშევიკური გადატრიალების შემდეგ, 1918 წლის მაისში ამნისტიით განთავისუფლებულ იქნა. ემიგრაციაში ცხოვრობდა გერმანიაში.

ტატიშვილი (ტატი) ირაკლი (თარხანოვი მიხეილ) (1884-1946) – ქართველი საზოგადო მოღვაწე, მეცნიერი, პედაგოგი, მთარგმნელი და პუბლიცისტი. დაწყებითი განათლება მიიღო გორში, შემდეგ სწავლობდა ელიზავეტპოლის გიმნაზიაში. 1904-1906 წლებში სწავლობდა გერმანიაში, ლაიფციგის უნივერსიტეტში. დაბრუნდა საქართველოში კურსის დაუმთავრებლად. ორჯერ იქნა დაპატიმრებული (გორსა და პეტერბურგში) ცარისტული პოლიციის მიერ, ანარქისტული მოღვაწეობის გამო. თანამშრომლობდა ანარქისტულ გაზეთებში „მუშა“ და „ხმა“. პატიმრობიდან განთავისუფლების შემდეგ – ემიგრაციაში, ჯერ თურქეთში, შემდეგ კი – ევროპაში. 1909-1911 წლებში სწავლობდა იურისპრუდენციას მონპელიეს უნივერსიტეტში (საფრანგეთი). 1913 წელს დაამთავრა პარიზის პოლიტიკურ მეცნიერებათა უმაღლესი სკოლა საერთაშორისო სამართლის სპეციალობით. პირველმა მსოფლიო ომმა მოუსწრო ბრიუსელში, სადაც იგი თედო სახოკიას ბინაზე ცხოვრობდა. ქართველთა ჯგუფთან ერთად მიემგზავრება კონსტანტინოპოლში, სადაც თანამშრომლობს საქართველოს განთავისუფლების კომიტეტთან. პარალელურად, წმინდა იოსების კოლეჯში ასწავლის ფრანგულ ენასა და ბუნებისმეტყველებას. მუშაობს ექიმადაც. 1918 წლის მაისში, საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ, ბრუნდება სამშობლოში. 1918 წელს ასწავლიდა გერმანულ ენას ჯერ გორის ვაჟთა გიმნაზიაში, შემდეგ კი – ტფილისის ვაჟთა ქართულ გიმნაზიაში. 1920-1921 წლებში იყო საგარეო საქმეთა სამინისტროს პოლიტიკური განყოფილების გამგე და ამავე სამინისტროს დირექტორი. 1921-1923 წლებში ასწავლიდა ვაჟთა მესამე ტექნიკუმში (ყოფილი ქართული გიმნაზია). 1922-1931 წლებში – ახლად დაარსებული ქართველმწერალთა აკადემიური ასოციაციის წევრი. ეწეოდა აქტიურ პუბლიცისტურ და ლიტერატურულ მოღვაწეობას. 1923 წლიდან – მუშაობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში საერთაშორისო საჯარო და კერძო სამართლის ლექტორად, ხოლო 1927 წლიდან – ასწავლიდა უცხო ენებს და ლიტერატურასაც. 1935 წელს დააარსა უნივერსიტეტში უცხო ენათა კათედრა და იყო მისი პირველი გამგე. თუმცა სამეცნიერო ხარისხი არ დაუცავს, უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭომ გამორჩეული პედაგოგიური მოღვაწეობისათვის მაინც მიანიჭა ჯერ დოცენტის, შემდგომ კი პროფესორის წოდება. 1941-1943 წლებში დაპატიმრებულ იქნა როგორც პოლიტიკურად არაკეთილსაიმედო. პატიმრობიდან გათავისუფლების შემდეგ კვლავ დაუბრუნდა უნივერსიტეტს და უცხო ენების სწავლების გარდა, 1945 წელს ხელი მოჰკიდა აღმოსავლეთის დიპლომატიის ისტორიის კურსს ახლად დაარსებულ აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტზე.

ტერაუტი მასატაკე (1852-1919) – იაპონელი პოლიტიკოსი, გრაფი, მარშალი, იაპონიის მე-18 პრემიერ-მინისტრი. კარიერა დაიწყო უბრალო ჯარისკაცად. 1882 წელს – სამხედრო ატაშე საფრანგეთში. 1898 წელს დანიშნულ იქნა იაპონიის არ-

მიის სამხედრო მომზადების პირველ მთავარ ინსპექტორად. 1901-1910 წლებში – სამხედრო მინისტრი. რუსეთ-იაპონიის ომის შემდეგ მიენიჭა ბარონის, ხოლო 1911 წელს – გრაფის ტიტული. 1910-1916 წლებში – კორეის გენერალ-გუბერნატორი. 1916-1918 წლებში – იაპონიის პრემიერ-მინისტრი.

ფონ ტრაუტმანსდორფი-ვაინსბერგი კარლ (von Trauttmansdorff-Weinsberg Karl) – ავსტრო-უნგრელი დიპლომატი. პირველი მსოფლიო ომის დროს ლეგაციის მრჩევლის რანგში მსახურობდა ავსტრია-უნგრეთის საელჩოში კონსტანტინოპოლში. 1915-1917 წლებში ასრულებდა ავსტრია-უნგრეთის დროებითი რწმუნებულის ფუნქციებს ოსმალეთის იმპერიაში.

ტრიჩი დევის (Trietsch Davis) (1870-1935) – ებრაელი გერმანულენოვანი მწერალი, ეკონომისტი და სიონისტი პოლიტიკოსი. 1893 წლიდან ბევრს მოგზაურობდა ევროპაში. 1899 წელს გაემგზავრა ნიუ-იორკში, ამერიკის შეერთებულ შტატებში, სადაც სწავლობდა ებრაელთა მიგრაციის პრობლემას, რის გადასაწყვეტადაც, 1895 წელს ებრაელთა მიერ კვიპროსის კოლონიზაციის წინადადებით გამოვიდა. 1898 წლიდან სიონისტურ პოზიციებზე გადავიდა და ვინაიდან, პალესტინაში დასახლება უახლოეს ხანებში არარეალურად ჩანდა, ებრაელთა უახლოეს მიზნად კვიპროსზე, სამხრეთ აფრიკაში ან ამერიკაში დასახლება მიიჩნია. მას შემდეგ, რაც ოფიციალურად შეუერთდა სიონისტურ მოძრაობას და სიონისტთა პირველ კონგრესში მიიღო მონაწილეობა, წამოაყენა პალესტინის, კვიპროსის და ელ-არიშის კოლონიზაციის წინადადება, რის პროპაგანდასაც ეწეოდა წიგნებში, სტატიებში და გამოსვლებში (თავად ამას „სიონისტურ მაქსიმალიზმს“ უწოდებდა). შემდგომ საცხოვრებლად ბერლინში გადავიდა, სადაც 1902 წელს იყო „ებრაული გამომცემლობის“ თანადამფუძნებელი. ეწეოდა ნაყოფიერ პუბლიცისტურ მოღვაწეობას. პირველი მსოფლიო ომის დროს თანამშრომლობდა გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროსთან და საქართველოს განთავისუფლების კომიტეტთან. 1916-1918 წლებში – გერმანულ-ქართული საზოგადოების გენერალური მდივანი და ადმინისტრატორი. 1918 წელს გამოსცა ბროშურა „საქართველო და კავკასია“ („Georgien und der Kaukasus“). 1932 წელს საბოლოოდ გადასახლდა პალესტინაში.

ტროცკი ლევ (Троцкий Лев) (1879-1940) – რუს ბოლშევიკთა ერთ-ერთი მთავარი ხელმძღვანელი. რსდმპ-ს წევრი 1897 წლიდან. 1917 წელს – პეტროგრადის საბჭოს თავმჯდომარე და რსფრ-ს საგარეო საქმეთა ნარკომი. 1917 და 1919-1926 წლებში – ბოლშევიკური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი. 1918-1924 წლებში – სამხედრო და საზღვაო საქმეთა ნარკომი, სსრკ-ს რევოლუციური სამხედრო საბჭოს თავმჯდომარე. ამავე დროს 1920 წელს – რსფრ-ს ტრანსპორტის ნარკომი. 1925 წლიდან – სსრკ-ს სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრი. ბოლშევიკური პარტიის რიგებში ანტისტალინური ოპოზიციის ერთ-ერთი უმთავრესი ხელმძღვანელი. 1927 წელს გარიცხულ იქნა პარტიიდან, ხოლო 1929 წელს – გაძევებულ იქნა საბჭოთა კავშირიდან. ემიგრაციაში აქტიურ ანტისტალინურ მოღვაწეობას ეწეოდა. 1940 წელს, სტალინის განკარგულებით, მოკლულ იქნა მექსიკაში ნკვდ-ს აგენტის მიერ.

ფონ უქსკული ვოლდემარ კარლ ჰაინრიხ ალექსანდერ (von Uexküll Woldemar Karl Heinrich Alexander) (1860-1952) – გერმანელ-ბალტიელი მწერალი და მისტიკოსი, ბარონი. დაიბადა ესტონეთში, ნოიენჰოფში. დაწერა არაერთი წიგნი კავკასიის (განსაკუთრებით ჩრდილოეთ კავკასიელ მთიელთა) შესახებ. პირველი მსოფლიო ომის დროს თანამშრომლობდა გერმანიის იმპერიის საგარეო საქმეთა სამინისტროსთან. 1916 წელს ლოზანაში „რუსეთის არარუს ხალხთა ლიგის“ ერთ-ერთი დამაარსებელი.

უცმიევი ათაბეკ (ზოგ წყაროში – **ათამბეკ**) – პირველი მსოფლიო ომის დროს კავკასიის რუსეთისგან გამოყოფის სასარგებლოდ ოსმალეთში და გერმანიაში მომუშავე ერთ-ერთი აქტივისტი. დაიბადა დერბენტში (დაღესტანში) მცხოვრებ ყალმუხთა ოჯახში. დედით – აზერბაიჯანელი, ცნობილი მილიონერის და ქველმოქმედის, ჰაჯი ზეინალაბდინ თაგიევის დისშვილი. სწავლობდა ვლადიკავკაზის კადეტთა კორპუსში. 1913 წელს ფილტვების ქლექის დაავადების სამკურნალოდ გაემგზავრა შვეიცარიაში. იყო თავგამოდებული თურქოფილი. 1918 წლის თებერვლიდან მხარს უჭერდა ოსმალეთის იმპერიის მიერ კავკასიის მთლიანად დაპყრობას. გერმანული დაზვერვის მიერ გამოძახებულ იქნა შვეიცარიიდან და იმავე წლის მარტში, ქართული ლეგიონის ოფიცრებთან ერთად გაგზავნილ იქნა კონსტანტინოპოლში. შეყვანილ იქნა კავკასიაში გასაგზავნად შედგენილ გიორგი მაჩაბლის და ავსტრო-უნგრულ ობერ-ლეიტენანტ დეზიდერიუს ბრანდტენერის საიდუმლო მისიაში, რომელიც ჩაშალა იმით, რომ ოსმალურ ხელისუფლებას ამცნო, რომ მაჩაბელს და ბრანდტენერს კავკასიაში თურქეთის ინტერესების საწინააღმდეგო გერმანული დაზვერვის საიდუმლო დავალებები უნდა შეესრულებინათ. უცმიევის შემდგომი ბედი უცნობია.

ფირცხალავა სამსონ (1872-1952) – ქართველ სოციალისტ-ფედერალისტთა ერთ-ერთი ხელმძღვანელი, პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწე. 1889-1893 წლებში სწავლობდა ქუთაისის გიმნაზიაში, ხოლო შემდეგ, პეტერბურგის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე, რომელიც დაასრულა 1898 წელს. 1902 წელს დაიწყო მუშაობა გაზეთ „ცნობის ფურცლის“ რედაქციაში და შეუერთდა რედაქციის გარშემო თავმოყრილ ჯგუფს, რომელიც შემდგომ საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტური პარტიის დამფუძნებლად იქცა. 1903 წლიდან იყო სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიის მთავარი კომიტეტის წევრი. 1910 წელს დაპატიმრებულ იქნა, როგორც სოციალისტ-ფედერალისტთა ერთ-ერთი ხელმძღვანელი და 1913 წლამდე გასახლებული იყო კავკასიის მხარიდან რუსეთში, ქ. ტვერში. 1917 წლის ნოემბერში არჩეულ იქნა ქართული ეროვნული საბჭოს წევრად. 1919-1921 წლებში – საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების წევრი სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიიდან. 1922 წლიდან – ემიგრაციაში საფრანგეთში. იყო ქართული ეროვნული ცენტრის წევრი, ასევე 1926-1935 წლებში პარიზში გამომავალი სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის უცხოეთის ბიუროს ჟურნალის „სახალხო საქმეს“ რედაქტორი. პრომეთეისტული მოძრაობის აქტიური მონაწილე. 1938-1939 წლებში – კავკასიის კონფედერაციის საბჭოს წევრი. 1948 წელს დაბრუნდა საბჭოთა საქართველოში. 1951 წელს დაპატიმრებული იქნა შინასახკომის მიერ. 1952 წელს მიესაჯა 25 წლით თავისუფლების აღკვეთა. გარდაიცვალა იმავე წელს, თბილისის ციხის საავადმყოფოში.

ფიცნერი რუდოლფ ვილჰელმ ჰერმან (Fitzner Rudolf Wilhelm Hermann) (1864-?) – გერმანელი პროფესორი, სპეციალობით ეკონომიკის გეოგრაფი. სწავლობდა გეოგრაფიას, ეთნოლოგიას და გეოლოგიას ჰალეს და ბერლინის უნივერსიტეტებში. 1900 წელს 4 თვიან კვლევით მოგზაურობაში იმყოფებოდა მცირე აზიაში. 1901-1906 წლებში – პრივატ-დოცენტად და პროფესორად მუშაობდა როსტოკის უნივერსიტეტში. 1906 წელს უნივერსიტეტის დატოვება მოუწია ცოლის მძიმე ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო. გარკვეული პერიოდი საქმიანობდა მცირე აზიაში, შემდეგ დაბრუნდა გერმანიაში. 1916-1918 წლებში – გერმანულ-ქართული საზოგადოების წევრი. ომის შემდგომი ინფლაციის დროს გაღარიბდა, მისი ბოლო წიგნი 1919-1920 წლებით თარიღდება. შემორჩენილია ფიცნერის 1936 წლის წერილი, სადაც ის ფინანსურ დახმარებას ითხოვს მეკლენბურგის მიწის სახელმწიფო სამინისტროსგან. სხვა დეტალები ფიცნერის ბიოგრაფიის ბოლო წლების შესახებ უცნობია.

ფლინში ალექსანდერ ფერდინანდ (Flinsch Alexander Ferdinand) (1872-1943) – ფლინშების ქალაღის ფაბრიკანტთა საგვარეულოს წარმომადგენელი. 1899 წლიდან იყო პაპისეული და მამისეული ქალაღის წარმოების თანამფლობელი. ასევე იყო ბერლინის ვაჭართა კავშირის პრეზიდენტი. პირველი მსოფლიო ომის დროს იყო ქალაღის მიწოდების საიმპერიო კომისიის თავმჯდომარე. 1916-1918 წლებში – გერმანულ-ქართული საზოგადოების წევრი.

ფოლბერი ოტო ჰაინრიხ ფრიდრიხ (Vollbehr Otto Heinrich Friedrich) (1869-1946) – გერმანელი ქიმიკოსი, გამომგონებელი და ანტიკვარისტი. სწავლობდა ქიმიას კილის, მარბურგის და ბერლინის უნივერსიტეტებში. სწავლის დამთავრების შემდეგ იმოგზაურა მსოფლიოს გარშემო. პირველი მსოფლიო ომის წინა ხანებში ფოლბერი მოექცა ავსტრიის დაზვერვის ინტერესთა სფეროში ბულგარეთის ტერიტორიაზე, სადაც ის ერთ-ერთი ბრიტანული საფინანსო ჯგუფის წარმომადგენლად მიიჩნეოდა. მსოფლიო ომის დროს ჩაბმული იყო ბულგარეთსა და თურქეთში აქტიურ ურთიერთობებში სხვადასხვა პოლიტიკურ ფიგურებთან, მეგობრობდა ბულგარეთის მთავრობის თავმჯდომარე რადოსლავოვთან და მალაღი ალბათობით, თანამშრომლობდა გერმანულ დაზვერვასთან. მსოფლიო ომის დასრულებიდან მალევე, ის სარკინიგზო ავარიაში მოყვა, ექიმის რჩევით ყველა საქმეს დაანება თავი და წიგნების შეგროვებას მიჰყო ხელი. ფოლბერი გახდა ცნობილი ანტიკვარისტი. მის კოლექციაში ყველაზე ცნობილი წიგნი – იყო პერგამენტზე დაბეჭდილი გუტენბერგის ბიბლიის სამტომეული. 1916-1918 წლებში – გერმანულ-ქართული საზოგადოების ხაზინადარის მოადგილე. შესწირა ხსენებულ საზოგადოებას მრავალი ფასიანი წიგნი საქართველოსა და კავკასიის შესახებ. ფოლბერის მდიდარი კოლექციის დიდი ნაწილი ამერიკის კონგრესის ბიბლიოთეკამ შეიძინა. თავადაც, წლების მანძილზე ცხოვრობდა შეერთებულ შტატებში და მეორე მსოფლიო ომის წინ დაბრუნდა გერმანიაში. ცხოვრობდა ბადენ-ბადენში, სადაც გარდაიცვალა კიდეც.

ფოლმიოლერი კარლ გუსტავ (Vollmöller Karl Gustav) (1878-1948) – გერმანელი ინტელექტუალი, თეატრის და კინოს რეჟისორი, არქეოლოგი, ფილოლოგი, პოეტი, დრამატურგი, მთარგმნელი, ავტომრბოლელი, თვითმფრინავის კონსტ-

რუქტორი. იყო საქართველოს განთავისუფლების კომიტეტის ლიდერის გიორგი მაჩაბლის მეუღლის, მსახიობ მარია კარმის პირველი ქმარი. კლასიკურ ფილოლოგიას და ხელოვნებას სწავლობდა ბერლინის, პარიზის და ბონის უნივერსიტეტებში. 1898 წლიდან მონაწილეობას ლებულობდა არქეოლოგიურ გათხრებში საბერძნეთში. გარდა სამეცნიერო საქმისა, წერდა პოემებს და დრამებს, თარგმნიდა ძველბერძენი ფილოსოფოსების ტექსტებს გერმანულად. ფოლმიოლერს საერთაშორისო აღიარება მოუპოვა მისმა 1911 წელს დაწერილმა პიესამ „სასწაული“, რომელიც რეჟისორმა მაქს რაინჰარდტმა დადგა სცენაზე, ხოლო მთავარ როლში გამოდიოდა მარია კარმი. ფოლმიოლერი იყო გატაცებული ავტომობილებით. 1902-1908 წლებში რეგულარულად ლებულობდა მონაწილეობას პილოტის რანგში ფრენებში გორდონ-ბენეტის თასზე. თავის ძმასთან ერთად აწყობდა თვითმფრინავის მოდელებს, რომელთაგან ერთი, 1910 წლის მოდელი, „დოიჩე მუ-ზეუმში“ ინახება დღესაც. პირველი მსოფლიო ომის დროს იმყოფებოდა გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს სამსახურში. 1914-1917 წლებში ოფიციალური მისიებით იმყოფებოდა დასავლეთ ევროპის ქვეყნებში. 1916-1918 წლებში მივლენილი იყო შვეიცარიაში. ამავე წლებში იყო გერმანულ-ქართული საზოგადოების წევრი. 20-იან წლებში ფოლმიოლერი წერდა სცენარებს კინოებისთვის. ამავე პერიოდს ეკუთვნის მისი სახელის გასვლა ფართო არენაზე, ევროპის საზღვრებს გარეთ. ნაციონალ-სოციალისტთა ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, ფოლმიოლერს გერმანიაში თითქმის აღარ უცხოვრია, მოგზაურობდა ევროპის სხვადასხვა ქალაქებში, ხოლო 1939 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე ცხოვრობდა ამერიკის შეერთებულ შტატებში.

ფოსენი ერნსტ (Vohsen Ernst) (1853-1919) – გერმანელი მოგზაური და კოლონისტი. აქტიურად იყო ჩართული გერმანიის აფრიკული კოლონიების საქმიანობაში. 1881-1888 წლებში – გერმანიის კონსული სიერა ლეონეში, 1888-1891 წლებში – გერმანიის აღმოსავლეთაფრიკული საზოგადოების გენერალური წარმომადგენელი ზანზიბარში, შემდეგ საზოგადოების დირექტორი ბერლინში. 1891 წელს ჩამოაყალიბა კოლონიალური გეოგრაფიის ინსტიტუტი. ფოსენი იყო გერმანიის კოლონიალური საზოგადოების კამერუნის (1894) და ტოგოს (1895) ექსპედიციების ორგანიზატორი. 1916-1918 წლებში – გერმანულ-ქართული საზოგადოების ხაზინადარი.

ფრანკი რიხარდ (Franck Richard) (1871-1931) – გერმანელი მენარმე, ყავის კომპანია „ჰაინრიხ ფრანკ ზონეს“ მეპატრონე. დაიბადა ვიურტემბერგის ქალაქ ლუდვიგსბურგში მდიდარი მენარმეების ოჯახში. 1915 წელს ფრანკმა პირადი კოლექციისთვის დაიწყო ომთან დაკავშირებული მასალის – წიგნების, საგაზეთო ფოტოების, საფოსტო მარკების, პლაკატების, გაუფასურებული ფულის, საკვების ტალონების, დღიურების და ზოგადად, ყველაფრის შეგროვება მთელი მსოფლიოდან, რაშიც მისი კომპანიის უცხოურმა ფილიალებმა შეუწყეს ხელი. ამგვარად, ფრანკის პირადი კოლექცია მალე გადაიქცა გერმანიაში გამორჩეულ მსოფლიო ომის ბიბლიოთეკად, რომელიც დღეს ვიურტემბერგის მიწის ბიბლიოთეკის უმნიშვნელოვანეს კოლექციებს მიეკუთვნება. 1916-1918 წლებში – გერმანულ-ქართული საზოგადოების წევრი. მსოფლიო ომის შემდეგ, ფრანკი აფინანსებდა ნაციონალ-სოციალისტებს. 1923 წელს მან მათ მისცა სესხი 60 000 შვეიცარიული

ფრანკის ოდენობით, რის შესახებ ა. ჰიტლერი მოგვიანებით აღნიშნავდა, რომ ფრანკის დახმარების გარეშე ვერ შეძლებდა ნაციონალ-სოციალისტური გაზეთის – „ფოლკიშე ბეობახტერის“ („სახალხო მიმომხილველის“) გამოცემას.

ქარუმიძე შალვა (1887-1953) – პირველი მსოფლიო ომის დროს ქართული ეროვნულ-გამანთავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი. დაიბადა ტფილისის გუბერნიის სოფელ ზერტში. 1912-1915 წლებში თანამშრომლობდა ჟურნალ „კლდეში“. პირველი მსოფლიო ომის დროს, 1915 წლიდან ხელმძღვანელობდა საქართველოს განთავისუფლების კომიტეტის ტფილისის ფილიალს. 1916-1917 წლებში პირადად მონაწილეობდა გერმანული წყალქვეშა ნავებისგან ქართველი პარტიზანებისთვის იარაღის და ტყვია-ნამლის მიღებაში. 1917 წელს საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთი დამფუძნებელი. იმავე წლის მაისში, როგორც საქართველოს დელეგატი, მონაწილეობდა ჩრდილოეთ კავკასიისა და დაღესტნის მთიელთა კავშირის პირველ ყრილობაში ვლადიკავკაზში. 1919-1921 წლებში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების წევრი ეროვნულ-დემოკრატიული პარტიიდან. 1921 წლის თებერვალში, მის მიერ ფორმირებულ ხევსურთა რაზმთან ერთად, პირადად მონაწილეობდა სამხედრო მოქმედებებში საქართველოში შემოჭრილი მე-11 ნითელი არმიის ნაწილების წინააღმდეგ. 1921 წლიდან ემიგრაციაში. ცხოვრობდა გერმანიაში და შვეიცარიაში. 1926-1927 წლებში ბერლინში ყოფნისას, მონაწილეობდა საიდუმლო ოპერაციაში, საბჭოთა კავშირის ფინანსური სისტემის ჩამოშლის მიზნით ყალბი საბჭოთა ჩერვონცების (10-მანეთიანი კუპიურების) დამზადებასა და სსრკ-ში გადაგზავნა-გავრცელებაში. ჩერვონცების ნაწილი ქარუმიძის მიერ წარმატებით იქნა გადაგზავნილი სსრკ-ში. საქმე, რომელშიც ქარუმიძის გარდა გარეული იყვნენ გერმანიის და დიდი ბრიტანეთის საკმაოდ მაღალი რანგის კონსერვატიული წრეების წარმომადგენლები, გახსნილ იქნა, მაგრამ ქარუმიძის სასამართლო პროცესი 1930 წლამდე გრძელდებოდა, რადგან უკანასკნელი საკუთარ მოქმედებებს პოლიტიკური მოტივებით ამართლებდა. საბჭოთა გავლენით, გერმანულმა სასამართლომ ქარუმიძეს, ორი წლით პატიმრობა მიუსაჯა, თუმცა განაჩენის განხორციელებამდე ქარუმიძე გაიქცა შვეიცარიაში, სადაც შვეიცარიის კონფედერაციის უზენაესმა სასამართლომ გერმანულ ხელისუფლებას მის გაცემაზე უარი უთხრა. საბჭოთა დაზვერვის მონაცემებით, ქარუმიძემ ამ ოპერაციისგან მიღებული ფულის ნაწილის შენარჩუნება შეძლო. 1933 წელს დაბრუნდა ბერლინში, სადაც იმავე წლის 10 ივნისს, ყველა მემარჯვენე ქართველი ემიგრანტის გაერთიანების მიზნით, „გერმანიაში ქართველ ნაციონალისტთა ორგანიზაცია“ დააფუძნა. ხსენებული ორგანიზაციის ბეჭდვითი ორგანო იყო 1933-1936 წლებში ბერლინში ქართულ და გერმანულ ენაზე გამომავალი ჟურნალი „კლდე“ („Der Fels“). 1936 წელს ცრუ დასმენის შედეგად გაძევებულ იქნა გერმანიიდან შვეიცარიაში. 1936-1939 წლებში, საბჭოთა დაზვერვის ინფორმაციის თანახმად, მონაწილეობდა საიდუმლო ოპერაციაში სამოქალაქო ომში გახვეულ ესპანეთში გენერალ ფ. ფრანკოს შეიარაღებული ძალებისადმი იარაღის მიწოდებაში.

ქარცივაძე მელიტონ (ოსმან ბეი) – პირველი მსოფლიო ომის დროს ოსმალეთის იმპერიის ტერიტორიაზე მცხოვრები ქართული ეროვნულ-გამანთავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი აქტივისტი. 1905-1907 წლების რუსეთის პირ-

ველი რევოლუციის მონაწილე. მას შემდეგ, რაც რუსეთის მთავრობამ ბათუმის ფოსტის ექსპროპრიაციაში მონაწილეობის ბრალდებით პასუხისმგებლობაში მისცა, იძულებული იყო ოსმალეთის იმპერიაში გახიზნულიყო. 1914-1918 წლებში – საქართველოს განთავისუფლების კომიტეტის წევრი. 1920-1921 წლებში ასრულებდა სამხედრო ატაშეს ფუნქციებს საქართველოს დიპლომატიურ მისიაში თურქეთის ანგორის დიდი ეროვნული კრების მთავრობასთან.

ქიამილ ფაშა მაჰმუდ (1880-1922) – ოსმალეთის იმპერიის სამხედრო მოღვაწე, გენერალი. 1902 წელს დაასრულა სამხედრო აკადემია. ბალკანეთის ომების მონაწილე. იყო მე-4 და მე-5 ოსმალური კორპუსების მეთაური. პირველი მსოფლიო ომის დასაწყისისთვის მსახურობდა სამხედრო მინისტრის მოადგილედ. 1914 წლის დეკემბერში მიენიჭა გენერლის წოდება და იყო დანიშნული მცირე აზიის აღმოსავლეთში დისლოცირებული მე-3 ოსმალური არმიის სარდლად, რომელიც შემდგომ მე-5 არმიას მიუერთდა. 1915 წლის თებერვლიდან 1916 წლის თებერვალში ერზერუმის ციხესიმაგრის დაცემამდე, სარდლობდა მე-3 არმიას, რის შემდეგაც გადაყენებულ იქნა სარდლობიდან.

ქუთათელაძე ბიძინა (1889-1969) – ქართველი ოფიცერი, ვიცე-პოლკოვნიკი. პირველი მსოფლიო ომის მონაწილე. ტყვედ ჩავარდნის შემდეგ, 1916-1917 წლებში ობერ-ლეიტენანტის ჩინით მსახურობდა გერმანული არმიის ქართულ ლეგიონში. 1918 წლიდან მსახურობდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შეიარაღებულ ძალებში. 1919 წლის ივნისში, იმავე თვის 16 რიცხვში საქართველო-აზერბაიჯანის შორის დადებული სამხედრო ალიანსის ხელშეკრულების თანახმად, ოფიცერ-ინსტრუქტორის სტატუსით გადავიდა აზერბაიჯანის რესპუბლიკის შეიარაღებულ ძალებში და დანიშნულ იქნა მე-5 ბაქოს პოლკის ბატალიონის მეთაურად. 1920 წლის აზერბაიჯან-სომხეთის ომის მონაწილე. იმავე წლის აპრილის ბოლოს აზერბაიჯანის რესპუბლიკის საბჭოთა რუსეთის მიერ ოკუპაციის შემდგომ, გაიკაფა გზა საქართველოსკენ, სადაც ისევ შევიდა საქართველოს სამხედრო სამსახურში. 1921 წლის თებერვალ-მარტში საქართველოს ბოლშევიკური რუსეთის მე-11 არმიის მიერ ოკუპაციის შემდეგ – ემიგრაციაში თურქეთში. 1923-1939 წლებში საკონტრაქტო საფუძველზე მსახურობდა პოლონეთის რესპუბლიკის შეიარაღებულ ძალებში. დაასრულა პოლონეთის არმიის სამხედრო-საინტენდანტო სკოლა. 1939 წლის გერმანია-პოლონეთის ომის მონაწილე. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ცხოვრობდა ინგლისში.

ღამბაშიძე დავით (-1946) – ქართველი ეროვნულ-დემოკრატი. დაამთავრა ჰაიდელბერგის უნივერსიტეტი გერმანიაში. 1918 წლამდე იყო რუსეთის სავაჭრო პალატის წარმომადგენელი ლონდონში. 1918 წლის ნოემბრიდან 1921 წლის თებერვლამდე – საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენელი დიდ ბრიტანეთში. 1921 წლის მარტიდან – ემიგრაციაში გერმანიაში და იტალიაში.

ყიფიანი (კელინგი) ჰავლე (პალიკო) (პოლ) (1864-1931) – ქართველ სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის ერთ-ერთი აქტივისტი. დაამთავრა პოლიტექნიკური ინსტიტუტი საფრანგეთში. 1905 წელს მონაწილეობდა გ. დეკანოზიშვილის ხელმძღვანელობით განხორციელებულ გემ „სირიუსით“ საქართველოში იარა-

ლის არალეგალურად შემოტანის ოპერაციაში. საქართველოში 1905-1907 წლების რევოლუციის მონაწილე. პირველი მსოფლიო ომის დროს ცდილობდა ეთანამშრომლა საქართველოს განთავისუფლების კომიტეტთან. 20-იანი წლებიდან გარდაცვალებამდე ცხოვრობდა ბრიუსელში (ბელგია).

შატოპადიაია (მეტსახელი – შატო) ვირენდრანათი (Chattopadhyaya (Chatto) Virendranath) (1880-1937) – ინდოელთა ეროვნულ-გამანთავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი რადიკალი ხელმძღვანელი. სწავლობდა დიდ ბრიტანეთში, ოქსფორდის უნივერსიტეტში, ხოლო შემდეგ – მიდლ ტამპლის იურიდიულ სკოლაში, საიდანაც გარიცხულ იქნა ინდოეთში მომსახურე ინგლისელ ჩინოვნიკთა წინააღმდეგ ტერორისტული აქტების მხარდაჭერის გამო. 1908 წელს – რადიკალურად ნაციონალისტური გაზეთ „ტალვარ“-ის („მახვილი“) გამომცემელი. იმყოფებოდა რუს სოციალისტთა და ბოლშევიკთა გავლენის ქვეშ. 1910 წელს დასახლდა პარიზში, სადაც მშრომელთა ინტერნაციონალის ფრანგულ სექციას შეუერთდა. ეწეოდა გააფთრებულ პროპაგანდას ინგლისელთა წინააღმდეგ პარიზში გამომავალ ინდურ ნაციონალისტურ პრესაში. 1914 წლის აპრილში შევიდა საქსონიის ანჰალტის უნივერსიტეტში, გერმანიაში, შედარებითი ფილოლოგიის შესასწავლად. პირველი მსოფლიო ომის დაწყების შემდეგ, 1914 წელს, გერმანიაში მყოფ სხვა ინდოელ ნაციონალისტ ლიდერებთან ერთად ჩამოაყალიბა ბერლინ-ინდოეთის კომიტეტი, რომლის გენერალური მდივანიც თავად გახდა. 1915 წელს კომიტეტს ინდოეთის დამოუკიდებლობის კომიტეტის სახელი ეწოდა. თანამშრომლობდა გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროსთან (ბარონ მაქს ფრაიჰერ ფონ ოპენჰაიმის აღმოსავლეთის ცნობათა ბიუროსთან) და გერმანული არმიის გენერალურ შტაბთან, ინდოეთში ანტიბრიტანული აჯანყების ორგანიზაციის მიზნით. 1917 წელს, ინდოეთში აჯანყების გეგმის ჩაფუშვის შემდეგ, კომიტეტი სტოკჰოლმში გადაიტანა. პირველი მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ, კავშირი დაამყარა რუს ბოლშევიკებთან, ლენინის ჩათვლით. 1927 წელს – გერმანიის კომუნისტური პარტიის წევრი. დააარსა ხსენებული პარტიის ინდური ნაციონალური სექცია. იმავე წელს, თან ახლდა ჯავახარლალ ნერუს „იმპერიალიზმის წინააღმდეგ ლიგის“ ბრიუსელის კონფერენციაზე, რომლის გენერალური მდივანიც თავად იყო. 30-იან წლებში ცხოვრობდა მოსკოვში. თანამშრომლობდა კომინტერნთან. დაიღუპა 1937 წელს, სტალინის დიდი ტერორის დროს.

შედე (Schede) – გერმანელი ოფიცერი, დოქტორი. პირველი მსოფლიო ომის მონაწილე. 1915-1917 წლებში ლეიტენანტის ჩინით მსახურობდა ქართულ ლეგიონში. 1916 წლის აპრილ-მაისში, ლეგიონის მეთაურის გრაფ ფ.-ვ. ფონ დერ შულენბურგის შვებულებაში ყოფნის დროს, დროებით ასრულებდა ქართული ლეგიონის მეთაურის მოვალეობებს.

ფონ შელენდორფი ფრიდრიხ ჰაინრიხ ბრუნო იულიუს ბრონზარტ (von Schellendorf Friedrich Heinrich Bruno Julius Bronsart) (1864-1950) – გერმანელი სამხედრო მოღვაწე, გენერალ-ლეიტენანტი. 1913 წლის ოქტომბერში შეყვანილ იქნა ოსმალეთის იმპერიაში გერმანული სამხედრო მისიის შემადგენლობაში. 1914 წლის თებერვალში დანიშნულ იქნა ოსმალური არმიის გენერალური შტაბის უფროსის თანამდებობაზე. პირველი მსოფლიო ომის დროს შედიოდა თურქეთის

სამხედრო მინისტრის, ენვერ ფაშას, უახლოეს თანამშრომელთა წრეში. დაიჭრა სარიყამიშის ბრძოლის დროს. 1917 წლის ნოემბერში განთავისუფლებულ იქნა დაკავებული თანამდებობიდან, განწვეულ იქნა თურქეთიდან და ომის ბოლომდე მეთაურობდა მე-4 სათადარიგო დივიზიას დასავლეთის ფრონტზე.

შერვაშიძე ჯოტო (?-1935) – საქართველოს (აფხაზეთის) პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე, მენარმე და ქველმოქმედი. 1917 წლის მარტში – სოხუმის ოლქის საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის კომიტეტის წევრი, რომლის მიზანიც აფხაზეთში ანარქიისა და ბოლშევიზმის გავრცელების წინააღმდეგ ბრძოლა იყო. იმავე წლის მაისიდან – საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წევრი. 1918-1921 წლებში – აფხაზეთის სახალხო საბჭოს წევრი. ბევრი გააკეთა აფხაზური არისტოკრატის დამოუკიდებელი საქართველოს ხელისუფლებისადმი ლოიალურობის უზრუნველყოფის მიზნით. 1921 წლის მარტში, საქართველოს საბჭოთა რუსეთის მიერ ოკუპაციის შემდეგ – ემიგრაციაში თურქეთში. 1925 წელს – კავკასიის კონფედერატა გაერთიანებული კომიტეტის წევრი. 1926 წლიდან – პრომეთეისტული მოძრაობის წევრი.

შვაბახი ფელიქს (Schwabach Felix) (1855-1928) – ებრაული წარმომავლობის გერმანელი პოლიტიკოსი, საიდუმლო სახელმწიფო მრჩეველი, ნაციონალ-ლიბერალური პარტიის წევრი. განათლებით იურისტი. 1903 წლამდე მუშაობდა გერმანიის რკინიგზის ადმინისტრაციაში. 1907-1918 წლებში იყო რაიხსტაგის წევრი მემელის საარჩევნო ოლქიდან. 1908-1913 წლებში – პრუსიის წარმომადგენელთა სახლის წევრი, ასევე ნაციონალ-ლიბერალური პარტიის აღმასრულებელი კომიტეტის წევრი. 1904 წელს, რკინიგზის სპეციალისტ ვილჰელმ ჰოფთან ერთად, კვლევით მოგზაურობაში იყო ჩრდილოეთ ამერიკაში, ადგილობრივი რკინიგზის შესასწავლად. შვაბახმა და ჰოფმა ამერიკული რკინიგზის შესახებ წიგნიც გამოაქვეყნეს. ჰენრიეტე შპაიერზე ქორწინების შედეგად, შვაბახი გახდა ბანკის თანამფლობელი მაინის ფრანკფურტში და მილიონერი. მსოფლიო ომის დროს იმყოფებოდა მოხელედ ბრიუსელში, ერთადერთი შვილი კი ფრონტზე დაეღუპა. 1916-1918 წლებში – გერმანულ-ქართული საზოგადოების წევრი. გარდაიცვალა ბერლინში.

შვაბე კურდ (Schwabe Kurd) (1866-1920) – გერმანელი კოლონიალური ოფიცერი და წიგნების ავტორი. 1893-1897 წლებში იმყოფებოდა სამხედრო მისიით ნამიბიაში, რომელიც მაშინ გერმანიის კოლონია იყო. 1900-1901 წლებში მონაწილეობას იღებდა აჯანყების ჩახშობაში ჩინეთში. 1908 წლამდე ეკავა სხვადასხვა სამხედრო თანამდებობები გენერალურ შტაბში და პრუსიის სამხედრო სამინისტროში. 1908 წელს მაიორის ჩინით გავიდა პენსიაში. იყო ყოფილი კოლონისტების საზოგადოებების წევრი. 1910 წელს იმოგზაურა აფრიკაში. პირველი მსოფლიო ომის დროს იმყოფებოდა სპეციალური მისიით მოკავშირე ოსმალეთის იმპერიაში. მონაწილეობას იღებდა სუეცის არხთან წარმოებულ შეტევებში, შემდგომში იბრძოდა პალესტინის ფრონტზე. იქ დაავადდა სიყვითლით და ფრონტისთვის გამოუსადეგარი გახდა, რის შემდეგ გადაიყვანეს რუმინეთში ტყვეთა ბანაკების ინსპექტორად. 1916-1918 წლებში – გერმანულ-ქართული საზოგადოების წევრი. გარდაიცვალა ომის დროს შეყრილი ავადმყოფობის შედეგად 1920 წელს. არის რამდენიმე წიგნის ავტორი გერმანული კოლონიების, განსაკუთრებით კი ნამიბიის შესახებ.

შვარცი კურტ (Schwarz Kurt) (1889-?) – გერმანიის იმპერიის სამხედრო-საზღვაო ფლოტის ოფიცერი, კაპიტან-ლეიტენანტი. 1908 წლის აპრილში დაიწყო სამსახური გერმანიის სამხედრო-საზღვაო ფლოტში. 1914 წელს მიენიჭა სამხედრო-საზღვაო ფლოტის ობერ-ლეიტენანტის ჩინი. სამსახურის ადგილი – ჰავანა. 1915 წლის აგვისტოში დაბრუნდა გერმანიაში. 1915 წლის ოქტომბრიდან სწავლობდა წყალქვეშა ნავიგაციის სკოლაში და გადიოდა კაპიტნის კურსებს. 1916 წლის ივნისიდან იმავე წლის ნოემბრამდე – წყალქვეშა ნავის UB 14-ს კაპიტანი. 1916 წლის ნოემბრიდან 1918 წლის აპრილამდე – წყალქვეშა ნავის UB 42-ს კაპიტანი. ახორციელებდა სამხედრო-საზღვაო ოპერაციებს შავ ზღვაში. 1918 წლის აპრილში კაპიტან-ლეიტენანტის ჩინით დაინიშნა წყალქვეშა ნავის UC 58-ს კაპიტნად. ჩაძირა მონინალმდეგის 7 გემი, 19 400 ტონის საერთო წყლის მოცულობით. 1919 წლის დეკემბრიდან გადადგა სამსახურიდან. 1934 წელს, ქართულ ემიგრანტულ ჟურნალ „კლდე“-ში გამოაქვეყნა მემუარები, 1917 წლის ოქტომბერში საქართველოს ნაპირებთან თავისი წყალქვეშა ექსპედიციის შესახებ.

შიმანი თეოდორ ჰაინრიხ კრისტიან კარლ (Schiemann Theodor Heinrich Christian Karl) (1847-1921) – გერმანელი ისტორიკოსი, აღმოსავლეთ ევროპის კვლევების ფუძემდებელი გერმანიაში, რუსეთის ისტორიის სპეციალისტი. წარმოშობით ბალტიელი გერმანელების ოჯახიდან. დაიბადა რუსეთის იმპერიაში, ქალაქ გრობინში. სწავლობდა დორპატის (ტარტუს) და გიოტინგენის უნივერსიტეტებში. გერმანიაში დოქტორის ხარისხის მიღების შემდეგ, გარკვეული პერიოდით ისევ ბალტიისპირეთში დაბრუნდა და ეწეოდა სამეცნიერო-პედაგოგიურ საქმიანობას. 80-იანი წლების ბოლოდან კითხულობდა ლექციებს ისტორიაში ბერლინის სამხედრო აკადემიაში. 1902 წელს დააფუძნა გერმანიაში უძველესი აღმოსავლეთ ევროპის ისტორიის სემინარი და იყო „აღმოსავლეთ ევროპის ისტორიის ჟურნალის“ ერთ-ერთი გამომცემელი. შიმანის კალამს ეკუთვნის მნიშვნელოვანი შრომები რუსეთის ისტორიის შესახებ. არის ავტორი დაახლოებით 1000 პუბლიცისტური სტატიის საგარეო პოლიტიკის შესახებ, რომლებსაც 22 წლის მანძილზე აქვეყნებდა პრესაში. შიმანი იყო მრავალეროვანი რუსეთის იმპერიის დასრულების მომხრე და მხარს უჭერდა განაპირა ქვეყნების მისწრაფებებს დამოუკიდებლობისკენ. მისმა შეხედულებებმა გერმანიის საგარეო პოლიტიკაზე სერიოზული გავლენა იქონია. იყო აქტიური მონინალმდეგე ბალტიისპირეთის რუსიფიკაციისა და ემხრობოდა იქ გერმანული კულტურის გაძლიერებას. 1915 წელს გამოქვეყნებულ წერილში აღნიშნავდა, რომ ესტონეთი, ლივლანდია და კურლანდია იყო ერთიანი გეოგრაფიულ-კულტურული ერთეული გერმანიის იმპერიისთვის, არა მხოლოდ მათი გერმანული ხასიათიდან გამომდინარე, არამედ ეკონომიკისთვისაც. 1916-1918 წლებში იყო გერმანულ-ქართული საზოგადოების წევრი. 1918 წელს ბალტიისპირეთის დაკავების შემდეგ, შიმანი დორპატის უნივერსიტეტის კურატორად დაინიშნა. უნივერსიტეტში წარმოთქმული სიტყვისას, შიმანი საუბრობდა რეგიონის რუსული ტირანიისგან გათავისუფლებაზე.

შლიფაკი ჰორსტ (Schliephack Horst) – გერმანელი ორიენტალისტი, მზვერავი და ოფიცერი. ფლობდა რუსულ და აღმოსავლურ ენებს. 1905-1907 წლებში როგორც ფოტოგრაფი და რესტავრატორი მონაწილეობდა არქეოლოგიურ ექსპედიციაში ეგვიპტეში (ოსმალეთის იმპერია). 1909-1910 წლებში – ლივერპულის

არქეოლოგიური ინსტიტუტის თანამშრომელი. მონაწილეობდა არქეოლოგიურ ექსპედიციებში სუდანში და ჩრდილოეთ სირიაში. 1912-1914 წლებში – ბერლინში სამეფო ხალხთამცოდნეობის (დღევანდელი ეთნოლოგიური) მუზეუმის მეცნიერ თანამშრომელი-რესტავრატორი. იყო ბერლინის ანთროპოლოგიის, ეთნოლოგიის და პირველყოფილი ისტორიის საზოგადოების წევრი. პირველი მსოფლიო ომის დაწყების შემდეგ, მოხალისედ ჩაენერა გერმანულ შეიარაღებულ ძალებში და საფუძვლიანი ინფანტერიული წვრთნის შემდეგ, მივლინებულ იქნა თარჯიმნად აღმოსავლეთის ფრონტზე მოქმედი 1-ლი საარმიო კორპუსის მეთაურთან, ინფანტერიის გენერალ ჰერმან ფონ ფრანსუასთან. სამხედრო-სადაზვერვო ოპერაციებში (რუსული ენის ცოდნის დახმარებით მონაწილეობის პოზიციების არაერთგზის გადაკვეთაში) მიღწეული წარმატების გამო, დაჯილდოვებულ იქნა მეორე ხარისხის რკინის ჯვრით. რუსული ენის ცოდნის მეშვეობით, მხოლოდ ერთი ოფიცრის დახმარებით შეძლო 30-კაციანი რუსული სატრანსპორტო კოლონის დატყვევება. მიენიჭა ვიცე-ფელდფებელის, ხოლო შემდეგ – ლეიტენანტის სამხედრო ნოდება. მსახურობდა მე-2 გრენადერთა პოლკის მე-4 სათადარიგო ბატალიონში. 1915 წლის 5 დეკემბრის ბრძანებით გადაყვანილ იქნა ოსმალეთის იმპერიის ტერიტორიაზე დისლოცირებულ გერმანულ სამხედრო ნაწილებში. 1915-1916 წლებში – ლეიტენანტის ჩინით ოსმალეთში ქართული ლეგიონის მეთაური. 1916-1917 წლებში – ქართული ლეგიონის ოფიცერი.

შლუბახი ერიკ ვალდემარ (Schlubach Eric Waldemar) (1878-1962) – გერმანიის იმპერიის და მესამე რაიხის სამხედრო-საზღვაო ოფიცერი, ფრეგატენ-კაპიტანი. 1897 წლიდან მსახურობდა გერმანიის იმპერიის სამხედრო-საზღვაო ფლოტში. 1903-1905 წლებში – მსახურობდა აღმოსავლეთ-აზიის ესკადრის შემადგენლობაში ჩინეთში, კორეაში, იაპონიაში და ციმბირში, სადაც მოუსწრო რუსეთ-იაპონიის ომს. 1907 წლიდან კაპიტან-ლეიტენანტის ჩინით მუშაობდა კილის სამხედრო აკადემიაში. პირველი მსოფლიო ომის მონაწილე, კორვეტენ-კაპიტანის და მოგვიანებით, ფრეგატენ-კაპიტანის ჩინით. 1917 წელს – „კონსტანტინოპოლის წყალქვეშა ნავეების ფლოტილის“ მეთაური, რომლის ფუნქციებშიც შედიოდა სამხედრო ოპერაციების წარმოება ხმელთაშუა და შავ ზღვაში ანტანტის ქვეყნების სამხედრო და სავაჭრო გემების წინააღმდეგ. მეორე მსოფლიო ომის მონაწილე კრიგსმარინეს ფრეგატენ-კაპიტანის რანგში.

ფონ შმიდტი ოსვალდ (von Schmidt Oswald) – პირველი მსოფლიო ომის დროს გერმანული დაზვერვის თანამშრომელი, ქართული ლეგიონის ოფიცერი. ბალტიისპირელი გერმანელი, თავდაპირველად – რუსეთის მოქალაქე. პირველი მსოფლიო ომის დაწყების შემდეგ, როგორც სამხედრო მოხალისემ, მიმართა გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს, რომელმაც ის ოსმალეთის იმპერიაში საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის, ბარონ ჰ. ფ. ფონ ვანგენჰაიმის განკარგულებაში გამოგზავნა. როგორც ნდობით აღჭურვილი პირი, შეყვანილ იქნა „კავკასიურ ექსპედიციაში“, რომლის შემადგენლობაშიც, 1914 წლის ბოლოს და 1915 წლის დასაწყისში, ქართველ მოხალისეებთან ერთად მონაწილეობდა საბრძოლო მოქმედებებში. თავი გამოიჩინა არდაგანის ალებისას, რისთვისაც ბარონ ფონ ვანგენჰაიმის მიერ წარდგენილ იქნა პირველი ხარისხის რკინის ჯვრით დაჯილდოებაზე (დაჯილდოება არ შედგა, რადგან გერმანიაში მოქმედი წესებით, რკინის

ჯვრის მიღება მხოლოდ გერმანული მოქალაქეობის მქონე პირებს შეეძლოთ). 1915 წელს მიენიჭა გერმანიის მოქალაქეობა და ოფიცრის (ლეიტენანტის) ჩინი. 1915-1917 წლებში მონაწილეობდა გერმანული დაზვერვის მიერ წარმოებულ კავკასიის ოპერაციაში, გრაფ ფ.-ვ. ფონ დერ შულენბურგის მეთაურობით. ამავე წლებში ეკავა ქართული ლეგიონის ოფიცრის თანამდებობა.

შმიტერლიოვი ბერნჰარდ ფონ (Schmiterlów Bernhard von) (1844-1933) – სამხედრო წიგნების ავტორი. 1926 წელს გამოცემული აქვს წიგნი გენერალ-ფელდ-მარშალ ფრაიჰერ ფონ დერ გოლცის ცხოვრების შესახებ.

ფონ შოვინგენი კარლ ემილ შაბინგერი ფრაიჰერ (von Schowingen Karl Emil Schabinger Freiherr) (1877-1967) – გერმანელი დიპლომატი და ორიენტალისტი. 1897 წლიდან სწავლობდა სამართალმცოდნეობას ჰაიდელბერგის უნივერსიტეტში, რომლის დამთავრების შემდგომ, ესწრებოდა მ. ჰარტმანის აღმოსავლურ ენათა სემინარს ბერლინში, სადაც შეისწავლა თურქული და სპარსული ენები. 1901 წლიდან – დიპლომატიურ სამსახურში. თავდაპირველად, მსახურობდა თარჯიმნად გერმანულ საელჩოში ტანჟერში (მაროკოში). 1915 წლის მარტიდან დაინიშნა აღმოსავლეთის საინფორმაციო ბიუროს ხელმძღვანელად. 1916-1918 წლებში – გერმანიის კონსული იაფაში (ოსმალეთის იმპერია). 1918-1924 წლებში მუშაობდა საგარეო საქმეთა სამინისტროს აღმოსავლეთის განყოფილებაში. დატოვა მნიშვნელოვანი სამეცნიერო მემკვიდრეობა.

შროდტერი ალექსანდერ ემილ ადოლფ (Schrödter Alexander Emil Adolf) (1855-1928) – გერმანელი მრეწველი. ტექნიკური განათლება მიიღო კარლსრუესა და ბერლინში. 1898-1916 წლებში იყო „გერმანიის ფოლადის მრეწველთა კავშირის“ მმართველთა საბჭოს თავმჯდომარე. 1896-1918 წლებში იყო დიუსელდორფის წარმომადგენელი მდივანი ლიბერალურ პარტიაში. 1916-1918 წლებში – გერმანულ-ქართული საზოგადოების წევრი.

შტაინი ლუდვიგ (Stein Ludwig) (1859-1930) – ებრაული წარმომავლობის გერმანულენოვანი ფილოსოფოსი, სოციოლოგი, პუბლიცისტი და რაბინი. დაიბადა უნგრეთში. სწავლობდა ფილოსოფიას ბერლინში და იქვე მუშაობდა რაბინად. ასწავლიდა ფილოსოფიას ციურიხის და ბერნის უნივერსიტეტებში. 1909 წლიდან დაბრუნდა ბერლინში და ეწეოდა პუბლიცისტურ საქმიანობას. იყო „ფოზიშე ცაიტუნგის“ პოლიტიკური რედაქტორი. მისი შრომები ეხებოდა ნიცშეს, ლაიბნიცს, შპენგლერს და ფილოსოფიის ისტორიის საკითხებს. შტაინი იყო „ფილოსოფიის ისტორიის არქივის“ გამომცემელი. 1916-1918 წლებში – გერმანულ-ქართული საზოგადოების წევრი.

შტაინვაქსი ჰანს (Steinwachs Hans) (1880-1934) – გერმანული გენერალური შტაბის მზვერავი, განათლებით სამთო ინჟინერი. პირველი მსოფლიო ომის დროს მის მთავარ პრიორიტეტებს წარმოადგენდა კონტაქტების დამყარება და შენარჩუნება რუსეთის იმპერიის ეროვნულ-გამანთავისუფლებელი და რევოლუციური მოძრაობების წარმომადგენლებთან. პასუხს აგებდა რუსულ ენაზე პროპაგანდისტული ლიტერატურის დამზადებაზე. 1916 წლის ზაფხულში გაიგზავნა

სპეციალური მისიით რუმინეთში. 1917-1918 წლებში კაპიტნის ჩინით და დირექტორის თანამდებობის საფარქვეშ მსახურობდა სავაჭრო ატაშედ გერმანიის ლეგაციაში სტოკჰოლმში (შვედეთი). 1918 წლის მაისში გამოწვეულ იქნა სტოკჰოლმიდან და ანტირუსულ პროპაგანდას ფინეთიდან ეწეოდა.

ფონ შტანგე (von Stange) – გერმანელი ოფიცერი, ვიცე-პოლკოვნიკი. 1914-1915 წლებში – თურქული მე-3 არმიის შემადგენლობაში შემავალი 2000-3000 ლაზი და აჭარელი მოხალისისგან შემდგარი ირეგულარული სამხედრო რაზმის მეთაური. 1914 წლის 25 დეკემბერს საკუთარ რაზმთან ერთად აიღო ქ. არდაგანი. იმყოფებოდა მჭიდრო კონტაქტში თურქეთში საქართველოს განთავისუფლების კომიტეტის წევრებთან.

შტიუბე რუდოლფ ჰაინრიხ კარლ (Stübe Rudolf Heinrich Karl) (1870-1930) – გერმანელი პროფესორი, რელიგიის ისტორიის სპეციალისტი. თეოლოგიას და აღმოსავლურ ენებს სწავლობდა როსტოკში, ჰალესა და ბერლინში. მოგვიანებით მუშაობდა ლაიფციგში. თეოლოგიის და ლიტერატურის ისტორიასთან დაკავშირებული ნიგნების გარდა, მას ეკუთვნის 1915 წელს გამოცემული ნაშრომი „უკრაინა და მისი ურთიერთობები ოსმალეთის იმპერიასთან“. 1916 წლის ივნისიდან – გერმანულ-ქართული საზოგადოების წევრი.

ფონ დერ შულენბურგი ფრიდრიხ-ვერნერ (von der Schulenburg Friedrich-Werner) (1875-1944) – გერმანელი დიპლომატი, გრაფი. 1901 წელს სამსახური დაიწყო გერმანიის იმპერიის საგარეო საქმეთა სამინისტროში. 1903 წლიდან – ბარსელონაში (ესპანეთი) გენერალური საკონსულოს ვიცე-კონსული. მსახურობდა ანალოგიურ თანამდებობებზე პრაღაში და ნეაპოლში, ხოლო 1906 წლიდან – ვარშავაში (იმ დროს შედიოდა რუსეთის იმპერიაში). 1911-1914 წლებში – კონსული ტფილისში. პირველი მსოფლიო ომის მონაწილე. 1914 წელს თადარიგის კაპიტნის ჩინით მსახურობდა საარტილერიო პოლკში დასავლეთის ფრონტზე. მარნის ბრძოლის შემდეგ დაინიშნა საარტილერიო ბატარეის მეთაურად. 1915 წელს – კავკასიაში მეკავშირე ოფიცერი ოსმალეთის იმპერიაში, ადგილსამყოფელით ტრაპიზონში. მის ფუნქციებში შედიოდა მუდმივი კონტაქტი საქართველოს განთავისუფლების კომიტეტის წევრებთან, კავკასიელ ხალხთა დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი აქტივისტების მოქმედების კოორდინაცია და კავკასიის ფრონტზე სადაზვერვო ოპერაციების წარმოება. 1916-1917 წლებში – ქართული ლეგიონის მეთაური. 1917-1918 წლებში – ხელმძღვანელობდა საკონსულო სამსახურს ბეირუთში და დამასკოში. 1918 წლის ივნისიდან იმავე წლის ნოემბრამდე – გერმანიის იმპერიის დიპლომატიური აგენტი (წარმომადგენელი) კავკასიაში, ადგილსამყოფელით ტფილისში. პირველი მსოფლიო ომის შემდეგ 1919 წელს, დაბრუნდა გერმანიაში. ეკავა მრჩევლის პოსტი საგარეო საქმეთა სამინისტროში. 1922-1931 წლებში – გერმანიის დესპანი თეირანში (სპარსეთი). 1931-1934 წლებში – დესპანი ბუქარესტში (რუმინეთი). 1934-1941 წლებში – გერმანიის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი მოსკოვში. გერმანია-საბჭოთა კავშირს შორის 1941 წლის 22 ივნისს ომის დაწყების შემდეგ, იყო ინტერნირებული და დაბრუნდა გერმანიაში. განაგრძო მუშაობა საგარეო საქმეთა სამინისტროში. 1942 წელს კოორდინაციას უწევდა კავკასიელ ემიგრანტთა ანტიბოლშევიკურ მოღვაწეობას, მხარს უჭერ-

და ქართული ეროვნულ-გამანთავისუფლებელი მოძრაობის წარმომადგენელთა მისწრაფებებს და ამავე წლის ივნისში, იყო ბერლინის ოტელ „ადლონ“-ში კავკასიელ ემიგრანტთა საგანგებო კონფერენციის მოწვევის ინიციატორი. 1944 წელს სიკვდილით დასაჯეს (ჩამოახრჩვეს) ა. ჰიტლერის წინააღმდეგ შეთქმულებაში მონაწილეობისათვის.

შუპი ჰაინრიხ (ფალკ) (Schupp Heinrich (Falk)) (1870-1923) – გერმანელი სტომატოლოგი, პუბლიცისტი და ბალკანეთისმცოდნე. საექიმო განათლება მიიღო ბერლინში, მიუნხენსა და ვენაში. ფლობდა კერძო სტომატოლოგიურ კლინიკას მიუნხენში. დაახლოებული იყო პანგერმანისტულ წრეებთან. შუპის ინტერესის სფეროს წარმოადგენდა ბალკანეთი, კერძოდ, ბულგარეთი. 1913 წელს დააფუძნა „დუნაის და ბალკანეთის ქვეყნების კავშირი გერმანიაში“. 1914 წელს ნახევრადოფიციალური მისიით იმყოფებოდა ბულგარეთში. 1915 წლიდან დაინტერესდა უკრაინის საკითხით. მონაწილეობას იღებდა უკრაინის განთავისუფლების კავშირის დაარსებაში, რომლის მდივანიც იყო 1918 წლამდე. 1916-1918 წლებში – მიუნხენში გამომავალი ჟურნალის „ალმოსავლეთ ევროპის მომავალი“-ს გამომცემელი.

შუტცი ლუდვიგ ჰარალდ (Schütz Ludwig Harald) (1873-1941) – გერმანელი პოლიგლოტი. სწავლობდა მათემატიკას, ფიზიკას, ქიმიას, მინერალოგიას. სწავლის პროცესში გაულვივდა ინტერესი ენებისადმი და ძმასთან ერთად შეისწავლა ისლანდიური. მოიპოვა დოქტორის ხარისხი ფილოსოფიაში ჰობსის და დეკარტის შესახებ დაწერილი ნაშრომით. გარკვეული დროით, 1909 წლამდე მუშაობდა მასწავლებლად, რის შემდეგაც მთელ დროს ენების შესწავლას უთმობდა. პარალელურად, ფრანკფურტის რადიოში კითხულობდა ლექციებს უცხო ხალხთა ენების, კულტურების და ლიტერატურების შესახებ. პირველი მსოფლიო ომის დროს მუშაობდა უცხოენოვანი წერილების საფოსტო ზედამხედველობაში. ცოტა ხნით იმყოფებოდა საფრანგეთის ფრონტზე, საიდანაც დამასკოში თარჯიმნად გადაიყვანეს. 1916-1918 წლებში – გერმანულ-ქართული საზოგადოების წევრი. ცხოვრების ბოლო წლებში შუტცის პირადი ბიბლიოთეკა 15 000 წიგნს მოიცავდა, სხვადასხვა დონეზე შესწავლილი ენების რაოდენობა კი დაახლოებით 300 იყო. შუტცი აგრეთვე წერდა ლექსებს, ზღაპრებს და ეწეოდა მთარგმნელობით საქმიანობას.

ჩერმოევი აბდულ მეჯიდ (ტაპა) (1882-1937) – ჩრდილოეთ კავკასიის და დაღესტნის მთიელთა კავშირის მთავრობის თავმჯდომარე და ჩრდილოეთ კავკასიის მთიელთა ეროვნულ-გამანთავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი მთავარი ხელმძღვანელი, წარმოშობით ჩეჩენი. სწავლობდა ვლადიკავკაზის გიმნაზიაში, ხოლო შემდეგ – ნიკოლოზის კავალერიის სასწავლებელში სანქტ-პეტერბურგში. 1901-1906 წლებში – იმპერატორ ნიკოლოზ II-ის პირადი კონვოს ოფიცერი. 1908 წელს დაბრუნდა ჩეჩნეთში. 1913 წელს დააარსა სანავთობო კომპანია „ალდინის ნავთობი“ («Алдынская нефть»), რითაც რეგიონის ერთ-ერთ უმდიდრეს მენარმედ იქცა. პირველი მსოფლიო ომის დროს ჩამოაყალიბა „ველური დივიზიის“ ჩეჩნური პოლკი. 1917 წლის მაისში იყო ვლადიკავკაზში ჩრდილოეთ კავკასიის მთიელთა პირველი ყრილობის ინიციატორი, სადაც არჩეულ იქნა ჩრდილოეთ

კავკასიის და დაღესტნის მთიელთა კავშირის ცენტრალური კომიტეტის წევრად. რუსეთში 1917 წლის ოქტომბრის ბოლშევიკური გადატრიალების შემდეგ, იმავე წლის ნოემბერში – ჩრდილოეთ კავკასიის და დაღესტნის მთიელთა კავშირის მთავრობის თავმჯდომარე. 1918 წლის აპრილ-მაისში მონაწილეობდა ტრაპიზონის და ბათუმის სამშვიდობო კონფერენციებზე, სადაც გამოვიდა ინიციატივით გაერთიანებული კავკასიური კონფედერატიული სახელმწიფოს შექმნის შესახებ. იმავე წლის 11 მაისს, ხელი მოაწერა დეკლარაციას ჩრდილოეთ კავკასიის სახელმწიფოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შესახებ. იმავე წლის დეკემბერში გადადგა მთიელთა კავშირის მთავრობის თავმჯდომარის თანამდებობიდან. 1919 წლის დასაწყისში დანიშნულ იქნა ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკის დიპლომატიური დელეგაციის თავმჯდომარედ პარიზის სამშვიდობო კონფერენციაზე. 1920 წლიდან, ჩრდილოეთ კავკასიის ბოლშევიკთა მიერ ოკუპაციის შემდეგ, – ემიგრაციაში საფრანგეთში. გასული საუკუნის 20-იან წლებში პარიზში, კავკასიის რესპუბლიკების სხვა დიპლომატიურ წარმომადგენლებთან ერთად, მოაწერა ხელი მთელ რიგ დეკლარაციებს გაერთიანებული კავკასიური სახელმწიფოს შექმნის აუცილებლობის შესახებ.

ფონ ჩერნინი უნდ ცუ ხუდენიც ოტოკარ (Czernin von und zu Chudenitz Ottokar) (1872-1932) – ავსტრია-უნგრეთის იმპერიის დიპლომატი და სახელმწიფო მოღვაწე, გრაფი. სწავლობდა სამართალს პრადის გერმანულ უნივერსიტეტში. 1895 წელს შევიდა ავსტრია-უნგრეთის დიპლომატიურ სამსახურში და გაგზავნილ იქნა საელჩოში პარიზში, საიდანაც 1899 წელს გადაყვანილ იქნა საელჩოში ჰააგაში (ნიდერლანდები). ფილტვების დაავადების გამო იძულებული იქნა დროებით შეენწყვიტა საკუთარი დიპლომატიური კარიერა. 1903-1913 წლებში – ბოჰემიის ლანდტაგის დეპუტატი, ჯერ კონსტიტუციისადმი ერთგულ მსხვილ მინათმფლობელთა გაერთიანებიდან, ხოლო შემდეგ – გერმანული სახალხო პარტიიდან. 1912 წელს – რაიხსრატის ბატონთა პალატის წევრი. 1913-1916 წლებში – ავსტრია-უნგრეთის ელჩი რუმინეთში. 1916-1918 წლებში – ავსტრია-უნგრეთის იმპერიის საგარეო საქმეთა მინისტრი.

ჩერქეზიშვილი ვარლამ (1846-1925) საქართველოს ეროვნულ-გამანთავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი ხელმძღვანელი, რუსეთის იმპერიის და საქართველოს რევოლუციური მოძრაობის მოღვაწე, ანარქისტი, თავადი. 1866 წელს დააპატიმრეს რუსეთის იმპერიის ხელისუფლების წინააღმდეგ ორგანიზაციაში მონაწილეობისათვის. 1871 წელს ისევ დააპატიმრეს, გაასამართლეს და ციმბირში გადაასახლეს. 1875 წელს გადასახლებიდან გაიქცა ევროპაში, სადაც 1876-1878 წლებში თანამშრომლობდა რუსულ ემიგრანტულ ჟურნალებში „Вперед“ („წინ“) (ლონდონი) და „Община“ („თემი“) (ყენევა). 1877 წელს შევიდა ანარქისტული ინტერნაციონალური იურის ფედერაციაში (შვეიცარია). 1877-1880 წლებში დაუახლოვდა ევროპული ანარქისტული მოძრაობის მეთაურებს ჯეიმს გილიობს, ელიზე რეკლიუსს, პეტრე კროპოტკინს და სხვებს. არაღელვარულად ჩამოდიოდა საქართველოში. მფარველობდა უცხოეთში მოხვედრილ ქართველებს. ევროპულ ჟურნალ-გაზეთებში რეგულარულად წერდა საქართველოს და მისი პოლიტიკური ყოფის შესახებ. 1894 წლიდან ბეჭდავდა საკუთარ წერილებს და კორესპონ-

დენციებს ჟურნალ „ივერიაში“, „ვაზიანის“ ფსევდონიმით. 1904 წელს მონაწილეობდა ქართული პოლიტიკური ჯგუფების ჟენევის კონფერენციის მუშაობაში, რომლიდანაც ფაქტობრივად იშვა საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია. 1904-1905 წლებში რუსეთ-იაპონიის ომის დროს ხელი შეუწყო სოციალისტ-ფედერალისტთა ერთ-ერთი ლიდერის, გიორგი დეკანოზიშვილის მიერ იაპონური დაზვერვის ფულით ნაყიდი იარაღის ჰოლანდიურ გემ „სირიუსით“ საქართველოში საიდუმლოდ შემოტანას. 1907 წელს გ. გვაზავასთან ერთად წარუდგინა ჰააგის განიარაღების საერთაშორისო კონფერენციას საქართველოში რამდენიმე ათასი კაცის მიერ ხელმოწერილი პეტიცია, საქართველოს მიერ გეორგიევსკის ტრაქტატის საფუძველზე რუსეთის იმპერიის ფარგლებში საკუთარი ავტონომიური სტატუსის შენარჩუნების უფლების შესახებ. 1910 წელს მონაწილეობდა ლონდონში გამართულ მსოფლიოს ჩაგრულ ხალხთა საერთაშორისო კონფერენციაზე, სადაც იცავდა საქართველოს უფლებებს. 1918-1921 წლებში ცხოვრობდა დამოუკიდებელ საქართველოში. 1921 წლის თებერვალ-მარტში საქართველოს ბოლშევიკური რუსეთის მიერ დაპყრობის შემდეგ, გადასახლდა ლონდონში, სადაც გარდაიცვალა 1925 წელს.

ჩხეიძე ნიკოლოზ (კარლო) (1864-1926) – ქართველი სოციალ-დემოკრატი და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ერთ-ერთი ხელმძღვანელი. 1892 წლიდან საქართველოში სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის წევრი და ამიერკავკასიაში სოციალ-დემოკრატიული მოძრაობის ერთ-ერთი დამფუძნებელი. რუსეთის იმპერიის მე-3 და მე-4 სახელმწიფო დუმათა დეპუტატი. 1917 წელს – პეტროგრადის საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე. სრულიად რუსეთის დამფუძნებელი კრების დეპუტატი. 1918 წელს – ამიერკავკასიის სეიმის თავმჯდომარე. 1919-1921 წლებში – საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების თავმჯდომარე. პარალელურად, 1919-1920 წლებში პარიზის სამშვიდობო კონფერენციაზე საქართველოს დიპლომატიური დელეგაციის თავმჯდომარე. 1921 წლიდან – ემიგრაციაში საფრანგეთში. 1926 წელს სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა.

ჩხენკელი აკაკი (1874-1956) – ქართველ სოციალ-დემოკრატთა და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ერთ-ერთი ხელმძღვანელი. სწავლობდა კიევის, ბერლინის და ლონდონის უნივერსიტეტებში იურიდიულ და ფილოლოგიურ ფაკულტეტებზე. 1898 წელს შევიდა რსდმპ-ში. 1912-1914 წლებში – რუსეთის იმპერიის მე-4 სახელმწიფო დუმის დეპუტატი, სადაც სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციას ხელმძღვანელობდა. 1917 წელს – ამიერკავკასიის საგანგებო კომიტეტის (ოზაკომ-ის) წევრი და შინაგან საქმეთა მინისტრი. 1918 წლის თებერვალ-მაისში – ამიერკავკასიის დიპლომატიური დელეგაციის თავმჯდომარე ტრაპიზონის და ბათუმის საზავო კონფერენციებზე. იმავე წლის მაის-ივნისში – დამოუკიდებელი საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი. 1919-1921 წლებში – საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრი. 1920 წლის ბოლოდან – საქართველოს სრულუფლებიანი მინისტრი (დესპანი) ევროპის ქვეყნებში. 1921-1932 წლებში – საქართველოს საგანგებო დესპანი და სრულუფლებიანი მინისტრი საფრანგეთში. 1921 წლის მარტიდან – ემიგრანტი.

ცაგარელი ალექსანდრე (1844-1929) - ქართველი ენათმეცნიერი, ფილოსოფოსი, ისტორიკოსი, პალეოგრაფი, არქეოგრაფი, ჟურნალისტი, პუბლიცისტი და ლიტერატურის კრიტიკოსი. იბრძოდა მწერლობასა და ხელოვნებაში კრიტიკული რეალიზმის დამკვიდრებისთვის. დაამთავრა ტფილისის სასულიერო სემინარია და კლასიკური გიმნაზია. უმაღლესი განათლება მიიღო პეტერბურგის უნივერსიტეტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტზე. 1868 წელს შევიდა მიუნხენის (გერმანია) უნივერსიტეტის ფილოსოფიური ფაკულტეტის ფილოლოგიურ განყოფილებაზე. 1869 წელს გადავიდა საუნივერსიტეტო ქალაქ ტიუბინგენში, სადაც სწავლობდა სანსკრიტს და შედარებით ენათმეცნიერებას. დაბრუნდა პეტერბურგში, სადაც დაწერა სადისერტაციო შრომა „კავკასიურ ენათა იბერიული ჯგუფის მორფოლოგიის შედარებითი მიმოხილვა“. დამტკიცებულ იქნა პეტერბურგის უნივერსიტეტის ქართული ენისა და სიტყვიერების პრივატ-დოცენტად. 1874 წელს არჩეულ იქნა ქართული სიტყვიერების კათედრის დოცენტად. 1875 წელს დაბრუნდა საქართველოში. იყო პირველი ქართველი მეცნიერი, რომელიც ქართველოლოგიური მიზნებით ეწვია ახლო აღმოსავლეთს და მოინახულა უცხოეთში მყოფი ქართული ისტორიული სავანები. 1890 წელს იმოგზაურა რომში, ვენეციასა და კრაკოვში, სადაც ჩაატარა კვლევითი სამუშაოები. 1894 წელს საქართველოში დაბრუნების შემდეგ, მალე მესამედ გაემგზავრა იტალიაში, სადაც მუშაობდა ვატიკანის ბიბლიოთეკაში. 1920 წელს საბოლოოდ ბრუნდება საქართველოში და სიცოცხლის ბოლომდე მოღვაწეობს ტფილისის უნივერსიტეტში.

ცაგურია ირაკლი (?-1969) – ქართველი სამხედრო მოღვაწე, პოლკოვნიკი. 1913 წელს დაასრულა ოდესის კადეტთა კორპუსი, ხოლო 1914 წელს – მიხეილის საარტილერიო სასწავლებელი. კავკასიური ცხენოსნურ-საარტილერიო დივიზიონის ოფიცერი. პირველი მსოფლიო ომის მონაწილე. 1914-1917 წლებში მსახურობდა პოლკოვნიკ ლ. ბიჩერახოვის კაზაკურ რაზმში, რომელიც შედიოდა გენერალ-ლეიტენანტ ნ. ბარათოვის ცალკე ექსპედიციურ კორპუსში ჩრდილოეთ სპარსეთში. წმ. გიორგის ორდენის კავალერი. 1917-1918 წლებში – კაპიტნის ჩინით ქართულ კორპუსში, ხოლო 1918-1921 წლებში – საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შეიარაღებულ ძალებში. 1921 წლის მარტში საქართველოს საბჭოთა რუსეთის მიერ ანექსიის შემდგომ, მონაწილეობდა ქართულ იატაკქვეშა ეროვნულ-გამანთავისუფლებელ მოძრაობაში. 1924 წლის აგვისტო-სექტემბრის ანტიბოლშევიკური აჯანყების ერთ-ერთი ხელმძღვანელი. 1925 წლიდან ემიგრაციაში ბრიუსელში (ბელგია). 1926-1940 წლებში – პრომეთეისტული მოძრაობის მონაწილე. ეწეოდა აქტიურ პუბლიცისტურ მოღვაწეობას.

ციმერერი ფრანც (Zimmerer Franz) – გერმანელი მასწავლებელი, ისტორიკოსი, ობერპფალცის და რეგენსბურგის ისტორიკოსთა კავშირის წევრი და სასწავლო მდივანი. როგორც ჩანს, მისი სპეციალობა იყო აღმოსავლეთ ევროპის ისტორია. პირველი მსოფლიო ომის წლებში აკეთებდა მოხსენებებს კავშირის მიერ გამართულ სხვადასხვა შეხვედრებზე დუნაისპირეთის, უნგრეთის, რუმინეთის, თურქეთის ისტორიის სხვადასხვა საკითხების შესახებ. 1916-1918 წლებში – გერმანულ-ქართული საზოგადოების წევრი.

ციმერი მაქს (Zimmer Max) (1872-?) – თურქეთში გერმანული სადაზვერვო სამსახურის თანამშრომელი, დოქტორი. 1909 წლიდან მუშაობდა ფერმერად ამასიაში (სამსუნთან). 1914 წლის სექტემბრიდან იმავე წლის დეკემბრამდე კონსტანტინოპოლში გერმანიის საელჩოს მითითებით მუშაობდა ჩერქეზულ საკითხზე და აქედან გამომდინარე, – უკრაინულ და სასოფლო-სამეურნეო საკითხებზეც. თანამშრომლობდა თურქეთის საიდუმლო სამხედრო კაბინეტთან. ამუშავებდა კავკასიისა და სამხრეთ რუსეთის „რევოლუციონირების“ გეგმებს.

ციმერმანი არტურ (Zimmermann Arthur) (1864-1940) – გერმანელი დიპლომატი. გიმნაზიის დამთავრების შემდეგ სწავლობდა კიონიგსბერგის და ლაიფციგის უნივერსიტეტებში. 1893 წლიდან – დიპლომატიურ სამსახურში. 1896 წლიდან მსახურობდა ვიცე-კონსულად შანხაიში, გუანჯოუში და ტიანძინში (ჩინეთი). 1900 წელს მიიღო კონსულის დიპლომატიური რანგი. 1911 წელს დაინიშნა საგარეო საქმეთა მინისტრის (სტატს-მდივნის) მოადგილის თანამდებობაზე. 1916 წლის ნოემბრიდან 1917 წლის აგვისტომდე – გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრი.

ცინტგრაფი ალფრედ (Zintgraff Alfred) (1878-1944) – გერმანელი კოლონიალისტი და დიპლომატი. აფრიკის მკვლევარ ოიგენ ცინტგრაფის შვილი. სამართლის დოქტორი. 1906-1909 წლებში იმყოფებოდა დიპლომატიური მისიით გერმანულ აღმოსავლეთ აფრიკასა და ეთიოპიაში. 1916-1918 წლებში – გერმანულ-ქართული საზოგადოების წევრი. იყო გერმანიაში აღმოსავლეთ-აფრიკული გაზეთის რედაქტორი. მოგვიანებით თანამშრომლობდა ნაციონალ-სოციალისტებთან.

წერეთელი ირაკლი (1881-1959) – ქართველი სოციალ-დემოკრატი. რუსეთის იმპერიის და საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო მოღვაწე. რუსეთის მე-2 სახელმწიფო დუმის წევრი. 1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ მონაწილეობდა ირკუტსკის მუშათა დეპუტატთა საბჭოს და სამხედრო ორგანიზაციის შექმნაში. პეტროგრადის საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის წევრი. 1917 წლის მაისში – დროებითი მთავრობის ფოსტის და ტელეგრაფის მინისტრი. იყო დროებითი მთავრობის დელეგაციის წევრი, რომელმაც აღიარა უკრაინის ცენტრალური რადის ავტონომია. პეტროგრადის საბჭოს მიერ „ხელისუფლების შესახებ“ ბოლშევიკური რეზოლუციის მიღების შემდგომ, ხსენებული საბჭოს პრეზიდიუმთან ერთად პროტესტის ნიშნად 1917 წლის 6 სექტემბერს გადადგა თანამდებობიდან. ბოლშევიკთა მიერ რუსეთის დამფუძნებელი კრების გარეკვის შემდგომ დაბრუნდა საქართველოში, სადაც საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის გამოჩენილი მოღვაწე გახდა. 1919-1920 წლებში – პარიზის სამშვიდობო კონფერენციაზე საქართველოს რესპუბლიკის დიპლომატიური დელეგაციის თავმჯდომარის მოადგილე. 1921 წლიდან – ემიგრაციაში საფრანგეთში და ამერიკის შეერთებულ შტატებში.

წერეთელი (კოზლოვსკი) მიხეილ (მიხაკო) (მიხაილო) (1878-1965) – პირველი მსოფლიო ომის დროს ქართული ეროვნულ-გამანთავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი მთავარი ხელმძღვანელი. თავდაპირველად იმყოფებოდა ანარქიზმის იდეების გავლენის ქვეშ. 1905-1907 წლების რევოლუციის დროს თანამშრომლობდა ქართველ სოციალისტ-ფედერალისტებთან. 1907 წელს გიორგი გვაზავასთან

ერთად წარადგინა ჰააგის სამშვიდობო კონფერენციაზე პეტიცია, გეორგიევსკის ტრაქტატის საფუძველზე საქართველოს სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის აღდგენის მოთხოვნით. 1911 წელს დაამთავრა ჰაიდელბერგის (გერმანია) უნივერსიტეტის ისტორიულ-ფილოლოგიური ფაკულტეტი. 1920 წელს იქვე დაიცვა სადოქტორო დისერტაცია. პირველი მსოფლიო ომის წლებში – საქართველოს განთავისუფლების კომიტეტის წევრი. 1916-1918 წლებში – გერმანულ-ქართული საზოგადოების გენერალური მდივნის და ადმინისტრატორის მოადგილე. 1918-1920 წლებში – საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დესპანი შვედეთსა და ნორვეგიაში. 1920-1921 წლებში – ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასპროლოგიის და ძველი აღმოსავლეთის ისტორიის კათედრის გამგე. 1921 წლიდან ემიგრაციაში გერმანიაში, საფრანგეთში და ბელგიაში. 1931-1932 წლებში – ბრიუსელის (ბელგია) უნივერსიტეტის ასპროლოგიის და ქართული ენის კათედრის გამგე, ხოლო 1933-1943 წლებში – განაგებდა ბერლინის უნივერსიტეტის ქართული ისტორიისა და ლიტერატურის კათედრას. 1927-1945 წლებში – ქართველ პატრიოტთა ორგანიზაციის „თეთრი გიორგის“ ერთ-ერთი ხელმძღვანელი. 1942-1943 წლებში – გერმანიაში ქართული ეროვნული კომიტეტის თავმჯდომარე.

ჭავჭავაძე ალექსანდრე (1870-1930) – რუსეთის იმპერიის და საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის სამხედრო მოღვაწე, გენერალი. დაამთავრა პაჟთა კორპუსი. 1898-1905 წლებში მსახურობდა მთავარ შტაბში. 1905 წლიდან – კავკასიის ნაცვალის და კავკასიის სამხედრო ოლქის მთავარსარდლის ადიუტანტი. პირველი მსოფლიო ომის დაწყებას ვიცე-პოლკოვნიკის რანგში შეხვდა. 1914 წლის აგვისტოში დაინიშნა კავკასიის მკვიდრთა ცხენოსანთა დივიზიის („ველური დივიზიის“) ჩერქეზული პოლკის მეთაურად. 1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ, დროებითი მთავრობის მიერ მიენიჭა გენერალ-მაიორის სამხედრო წოდება. 1917 წლის ზაფხულს, დივიზია კავკასიაში იქნა გაგზავნილი. 1918-1921 წლებში მსახურობდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შეიარაღებულ ძალებში. 1930 წლის თებერვალში დაპატიმრებულ იქნა ამიერკავკასიის ოგპუ-ს მიერ და იმავე წლის ივლისში, ყალბი ბრალდებით დახვრიტეს.

ჭავჭავაძე დავითი (1878-?) – რუსეთის იმპერიის და დემოკრატიული საქართველოს სამხედრო მოღვაწე. დაამთავრა ტფილისის კადეტთა კორპუსი და ნიკოლოზის კავალერიის სასწავლებელი პირველი თანრიგით. 1899 წელს – კორნეტი. 1903 წელს – პორუჩიკი. 1904-1905 წლების რუსეთ-იაპონიის ომის მონაწილე. 1907 წელს – შტაბ-როტმისტრი. დაამთავრა ოფიცერთა კავალერიის სკოლა. 1911 წელს – როტმისტრი. პირველი მსოფლიო ომის მონაწილე. 1916 წელს – პოლკოვნიკი. 1916 წლის ივნისიდან იყო ქართული ცხენოსანი პოლკის ჩამოყალიბების ინიციატორი და მეთაური. ათასეული გაიგზავნა ჩრდილოეთ სპარსეთში მოქმედი გენერალ-ლეიტენანტ ნ. ბარათოვის საექსპედიციო კორპუსში და მონაწილეობა მიიღო სპარსეთის ფრონტზე განხორციელებულ ცნობილ რეიდში, სპარსეთიდან მესოპოტამიაში. დაჯილდოებული იყო გიორგის იარაღით. 1918-1921 წლებში მსახურობდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამხედრო ძალებში. 1921 წლის თებერვალში, პოლკოვნიკ ქაიხოსრო (ქაქუჩა) ჩოლოყაშვილთან ერთად გაიგზავნა დასავლეთ საქართველოში, კავალერიის ნაწილების ჩამოსაყა-

ლიბებლად. მოახერხა ორი ესკადრონის შექმნა, თუმცა, ამ დროისთვის, ქართულ შეიარაღებულ ძალებს აღმოსავლეთ საქართველო უკვე დატოვებული ჰქონდათ.

ხარლამოვი ვასილი (Харламов Василий) (1875-1957) – რუსეთის იმპერიის და რუსეთის რესპუბლიკის პოლიტიკური მოღვაწე. დაამთავრა მოსკოვის უნივერსიტეტის ისტორიულ-ფილოლოგიური ფაკულტეტი, რის შემდეგაც მუშაობდა მასწავლებლად ნოვოჩერკასკის გიმნაზიაში. 1905-1907 წლების პირველი რუსული რევოლუციის მონაწილე. 1906 წლიდან – კადეტთა პარტიის წევრი, მონარქისტი. დონის ოლქისგან რუსეთის სახელმწიფო დუმის ოთხივე მოწვევის დეპუტატი. პირველი მსოფლიო ომის დროს იყო სრულიად რუსეთის საეროთა კავშირის დონის და ყუბანის კომიტეტის წევრი. 1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ – დროებითი მთავრობის მიერ დანიშნულ იქნა საგანგებო ამიერკავკასიის კომიტეტის თავმჯდომარედ. რუსეთის დამფუძნებელი კრების წევრი. 1917 წლის ოქტომბრის ბოლშევიკური გადატრიალების შემდეგ – დონის კაზაკური მთავრობის ეკონომიკური საბჭოს თავმჯდომარე. სამხრეთ-აღმოსავლეთ კაზაკური კავშირის და მთიელთა კავშირის გაერთიანებული მთავრობის თავმჯდომარე. 1918 წელს – დონის პარლამენტის (კრუგის) თავმჯდომარე, თანამშრომლობდა გენერალ ა. დენიკინის მთავრობასთან. 1920 წლიდან –ემიგრაციაში იუგოსლავიაში, ჩეხოსლოვაკიაში და მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, – არგენტინაში.

ჯავახიშვილი ივანე (1876-1940) – ქართველი ისტორიკოსი, აკადემიკოსი, ტფილისის უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამაარსებელი. 1899 წელს დაამთავრა პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლურ ენათა ფაკულტეტი. 1901-1902 წლებში გადიოდა სტაჟირებას ბერლინის უნივერსიტეტში. 1902 წელს – პეტერბურგის უნივერსიტეტის პრივატ-დოცენტი სომხურ-ქართული ფილოლოგიის კათედრაზე. 1908 წელს შექმნა პეტერბურგის უნივერსიტეტში სტუდენტური „ქართული სამეცნიერო წრე“. პოლიტიკური თვალსაზრისით თანაუგრძნობდა ქართველ სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიას. 1917-1918 წლებში – ერთ-ერთი მთავარი მოღვაწე ბრძოლაში ტფილისის უნივერსიტეტის დაარსებისათვის. იყო არჩეული ახლადდაარსებული უნივერსიტეტის ფილოსოფიური ფაკულტეტის (იმ დროს ერთადერთის) დეკანად. 1919 წელს არჩეულ იქნა ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მეორე რექტორად და ინარჩუნებდა ამ პოსტს 1926 წლამდე. ქართველი ერის 1924 წლის აგვისტო-სექტემბრის ეროვნულ-გამანთავისუფლებელი აჯანყების ჩახშობის შემდგომ, ბოლშევიკური ხელისუფლების მიერ დანყებული „წმენდების“ შედეგად 1926 წელს განთავისუფლებულ იქნა რექტორის თანამდებობიდან როგორც „არამარქსისტი“. 1925 წლამდე იყო ქართული ისტორიულ-ენათმეცნიერული საზოგადოების თავმჯდომარე. 1937 წლიდან და ცხოვრების ბოლომდე – შოთა რუსთაველის სახელობის მუზეუმის დირექტორი.

ჯაფარიძე სერგო (1871-1937) – ქართველი სოციალ-დემოკრატი, იურისტი. 1904 წლიდან – რსდმპ-ს წევრი. 1905 წლიდან – მუშაობდა მენშევიკების ფრაქციაში. 1905 წელს – პარტიის ქუთაისის კომიტეტის თავმჯდომარე. 1905 წლის რევოლუციის მონაწილე. 1906 წელს – რუსეთის იმპერიის პირველი სახელმწიფო

დუმის დეპუტატი სოციალ-დემოკრატიული პარტიიდან. ხელი მოაწერა ვიბორგის მოწოდებას. 1911 წლიდან – ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წევრი. 1917 წელს – საქართველოს ეროვნული საბჭოს წევრი. 1919-1921 წლებში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების წევრი სოციალ-დემოკრატიული პარტიიდან. ამავე დროს – საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის საქმეთა მმართველი. საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს რესპუბლიკის ანექსიის შემდეგ, მონაწილეობდა ანტიბოლშევიკური წინააღმდეგობის მოძრაობაში. 1922 წელს დაპატიმრებულ იქნა ჩეკას მიერ. დახვრიტეს 1937 წელს, სტალინური დიდი ტერორის დროს.

ჯაფაროვი მამედ-იუსიფ ჰაჯიბაბა ოღლი (1885-1938) – აზერბაიჯანის დემოკრატიული რესპუბლიკის პოლიტიკური და სახელმწიფო მოღვაწე. 1907 წელს დაამთავრა ბაქოს ალექსანდრეს გიმნაზია. 1912 წელს წარმატებით დაამთავრა მოსკოვის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი, რის შემდეგაც დაბრუნდა ბაქოში, სადაც მუშაობდა ნაფიცი მსაჯულის მოადგილედ. 1912-1917 წლებში – მე-4 სახელმწიფო დუმის დეპუტატი. შედიოდა მუსულმანურ და კადეტთა ფრაქციებში. მხარი დაუჭირა რუსეთის 1917 წლის თებერვლის რევოლუციას. 1917 წელს ხელმძღვანელობდა წარმოებას და ვაჭრობას ამიერკავკასიის განსაკუთრებულ კომიტეტში, ხოლო 1917-1918 წლებში – ამიერკავკასიის კომისარიატის წარმოების და ვაჭრობის კომისარი ხდება. ამიერკავკასიის სეიმში შედიოდა მუსულმანურ ფრაქციაში. 1918 წლის 27 მაისს არჩეულ იქნა აზერბაიჯანული დროებითი ნაციონალური საბჭოს წევრად და შემდეგ დღეს, ხელი მოაწერა აზერბაიჯანის დემოკრატიული რესპუბლიკის დამოუკიდებლობის გამოცხადების დეკლარაციას. დამოუკიდებელ აზერბაიჯანში, თავდაპირველად, ეკავა ვაჭრობის და წარმოების მინისტრის პოსტი, ხოლო შემდეგ – დანიშნულ იქნა აზერბაიჯანის ელჩად საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში. 1919 წლის 14 მარტს – აზერბაიჯანის საგარეო საქმეთა მინისტრი. 1920 წლის 2 თებერვალს – დანიშნულ იქნა აზერბაიჯანის რესპუბლიკის პარლამენტის თავმჯდომარის უფროსი ამხანაგის (პირველი მოადგილის) თანამდებობაზე. საბჭოთა რუსეთის მიერ აზერბაიჯანის რესპუბლიკის ოკუპაციის შემდეგ, მუშაობდა ბამბის და ღვინის ტრესტების იურიდიულ კონსულტანტად.

ჯემალ ფაშა აჰმედ (1872-1922) – ოსმალეთის იმპერიის სამხედრო და პოლიტიკური მოღვაწე. 1890 წელს დაამთავრა კულელის უმაღლესი სამხედრო სასწავლებელი, ხოლო 1893 წელს – სტამბულის სამხედრო აკადემია. თავდაპირველად მსახურობდა სამხედრო სამინისტროს პირველ დეპარტამენტში, ხოლო შემდეგ, კირიკილისის სამხედრო სიმაგრეების მშენებლობის დეპარტამენტში, მე-2 არმიასთან. 1896 წელს მსახურობდა მე-2 საარმიო კორპუსში. ორი წლის შემდეგ – ახალწვეულთა დივიზიის შტაბის უფროსი სალონიკში. 1905 წელს – რუმელის რკინიგზის ინსპექტორი, მაიორის ჩინით. 1906 წელს – ახალგაზრდა თურქთა საიდუმლო ორგანიზაციის – „ერთობისა და პროგრესის“ კომიტეტის წევრი. 1907 წელს – მე-3 საარმიო კორპუსის სამხედრო საბჭოს წევრი. 1911 წელს დანიშნულ იქნა ბალდადის გუბერნატორად, თუმცა მალევე დატოვა ეს თანამდე-

ბობა ბალკანეთის ომში მონაწილეობის მისაღებად. 1912 წელს მიენიჭა პოლკოვნიკის წოდება. 1913 წელს დანიშნულ იქნა სტამბოლის სამხედრო გარნიზონის უფროსად და საზოგადოებრივ სამუშაოთა მინისტრად. გახდა ოსმალეთის იმპერიის მმართველი ტრიუმვირატის წევრი. ახდენდა უდიდეს გავლენას საგარეო და საშინაო პოლიტიკაზე. 1914 წელს – სამხედრო-საზღვაო ფლოტის მინისტრი. პირველ მსოფლიო ომში თურქეთის ჩაბმის შემდეგ, თავდაპირველად დანიშნულ იქნა ინგლისელთა წინააღმდეგ მოქმედი ოსმალური არმიის სარდლად, ხოლო 1915 წლის მაისიდან 1917 წლის ბოლომდე – ეკავა სირიის სრულუფლებიანი სამხედრო და სამოქალაქო გუბერნატორის პოსტი. 1917 წელს არჩეულ იქნა ახალგაზრდა თურქთა პარტიის მმართველი კომიტეტის წევრად. პირველ მსოფლიო ომში ოსმალეთის იმპერიის დამარცხების შემდეგ, 1918 წლის ნოემბერში კომიტეტის რამდენიმე ლიდერთან ერთად გაიქცა გერმანიაში და შემდეგ შვეიცარიაში. 1919 წლის ივლისში, სამხედრო ტრიბუნალმა კონსტანტინოპოლში ჯემალ ფაშას სასიკვდილო განაჩენი გამოუტანა (თალაათ და ენვერ ფაშებთან ერთად), თურქეთის პირველ მსოფლიო ომში ჩაბმისათვის და სომეხთა და არაბთა მასობრივი ხოცვა-ჟლეტის ორგანიზებისთვის. ჯემალ ფაშა გაიქცა ავღანეთში, სადაც მონაწილეობდა ავღანეთის არმიის მოდერნიზაციაში. 1922 წელს, ტფილისში ყოფნისას, მოკლულ იქნა სომეხ დაშნაკთა მიერ, რომელთა უკან, არ არის გამოცხადებული, ბოლშევიკები იდგნენ.

ჰაინემანი ელკან (Heinemann Elkan) (1859-1941) – ებრაული წარმომავლობის გერმანელი ბანკირი. 1906-1923 წლებში – „დოიჩე ბანკის“ დირექტორატის წევრი. მის პროფილს წარმოადგენდა ბანკის საერთაშორისო საქმიანობის მეთვალყურეობა. 1916-1918 წლებში – გერმანულ-ქართული საზოგადოების წევრი. 1924 წელს ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამო მიატოვა საბანკო საქმე და საზოგადოებრივი ცხოვრებიდან წავიდა.

ჰაკკი ფაშა იბრაჰიმ (1863-1918) – ოსმალეთის იმპერიის სახელმწიფო მოღვაწე, დიდი ვეზირი. 1882 წელს დაამთავრა სამოქალაქო მართვის უმაღლესი სკოლა „მექტებ-ი მიულკიე“, რის შემდგომ კითხულობდა ლექციებს იურიდიულ სკოლაში. 1908-1910 წლებში – ოსმალეთის იმპერიის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი რომში (იტალია). 1910-1911 წლებში – ოსმალეთის იმპერიის დიდი ვეზირი. 1915-1918 წლებში – საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ბერლინში. 1917-1918 წლებში – ოსმალეთის დელეგაციის წევრი ბრესტ-ლიტოვსკის მოლაპარაკებებზე. გარდაიცვალა ბერლინში.

ჰარდენი მაქსიმილიან (Harden Maximilian) (1861-1927) – ებრაული წარმომავლობის ცნობილი გერმანელი პუბლიცისტი, ჟურნალისტი, თეატრის კრიტიკოსი. ნამდვილი სახელი – ფელიქს ერნსტ ვიტკოვსკი. პროფესიით მსახიობი. ჰარდენი იყო გერმანიაში გავლენიანი პოლიტიკოსისა და საჯარო მოხელის – რიხარდ ვიტინგის ძმა. 1916-1918 წლებში ორივე ძმა გერმანულ-ქართული საზოგადოების წევრი იყო. 1878 წელს მოექცა პროტესტანტიზმზე. 1884 წლიდან იყო თეატრის კრიტიკოსი, თანამშრომლობდა ცნობილ რეჟისორ მაქს რაინჰარდტთან. 1892-1922 წლებში იყო გაზეთ „Zukunft“-ის („მომავალი“) გამომცემელი და მთავარი

რედაქტორი. ჰარდენი პოლიტიკურ სიმპატიებს ამჟღავნებდა ბისმარკის და კონსერვატიული წრეების მიმართ, თუმცა უარყოფითად იყო განწყობილი კაიზერ ვილჰელმისადმი. მისი გაზეთი ხშირად აქვეყნებდა ვილჰელმის ანტურაჟის სანი-ნაალმდეგო სტატიებს. მსოფლიო ომის დროს, თავდაპირველად მიეკუთვნებოდა ომის პარტიას, ბოლოსკენ პოზიცია იცვალა და 1918 წლის რევოლუციის შემდეგ, სოციალისტებს ემხრობოდა, ადანაშაულებდა გერმანიას ომის გაჩაღებაში, რის გამოც დაიმსახურა გერმანელ ნაციონალისტთა სიძულვილი. 1922 წელს მასზე განხორციელდა ნაციონალისტთა თავდასხმა, რომელსაც ჰარდენი ძლივს გადაურჩა. იმავე წელს შეწყვიტა გაზეთის გამოცემა და გადასახლდა შვეიცარიაში, სადაც გარდაიცვალა.

ფონ ჰარნაკი კარლ გუსტავ ადოლფ (von Harnack Karl Gustav Adolf) (1851-1930) – გერმანელი პროტესტანტი თეოლოგი და ეკლესიის ისტორიკოსი. წარმოშობით ბალტიელი გერმანელების ოჯახიდან. დაიბადა და თავდაპირველად სწავლობდა დორპატში (ტარტუ), შემდეგ კი ლაიფციგის უნივერსიტეტში, სადაც 1876 წელს პროფესორი გახდა. ეკლესიის ისტორიას ასწავლიდა გისენის, მარბურგის და ბერლინის უნივერსიტეტებში. იყო სამეფო პრუსიული და ბავარიის მეცნიერებათა აკადემიის წევრი, პრუსიის სამეფო ბიბლიოთეკის გენერალური დირექტორი, 1911 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე კაიზერ ვილჰელმის საზოგადოების (დღეს მაქს პლანკის საზოგადოება) პრეზიდენტი. 1916-1918 წლებში – გერმანულ-ქართული საზოგადოების წევრი. ჰარნაკი მიიჩნევა ლიბერალური თეოლოგიის ტიპიურ წარმომადგენლად. ამ სკოლის წარმომადგენლებს შორის, ჰარნაკი ყველაზე შორს წავიდა ქრისტიანული რწმენის არადოგმატური, პრაქტიკული განმარტების საკითხში. ამ მიზეზით ჰარნაკის კარიერულ წინსვლას ხშირად ეწინააღმდეგებოდა ლუთერანული ეკლესია. გარდაიცვალა ქალაქ ჰაიდელბერგში, დაკრძალულია ბერლინში.

ჰეკი ბრუნო (Heck Bruno) (1877-1941) – გერმანელი მრეწველი, „გერმანიის კონტინენტური გაზის საზოგადოების“ გენერალური დირექტორი. 1916 წლის ივნისიდან – გერმანულ-ქართული საზოგადოების წევრი. 20-იან წლებში „ლუფტ-ჰანზას“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე. გაზის საზოგადოების დირექტორის თანამდებობაზე იმყოფებოდა 1912 წლიდან 1935 წლამდე და ხელი შეუწყო 1855 წელს დესაუში დაფუძნებული საზოგადოების გავლენის გავრცელებას მთელს ცენტრალურ გერმანიაზე. გარდაიცვალა პატიმრობაში ყოფნისას 1941 წელს.

ფონ ჰენტიგი ფილიპ ჰერმან ოტო (von Hentig Philipp Hermann Otto) (1852-1934) – გერმანელი იურისტი და პოლიტიკოსი, ზაქსენ-კობურგის და გოთას სახელმწიფო მინისტრი. იურიდიული განათლება მიიღო ბერლინის და ჰაიდელბერგის უნივერსიტეტებში, იყო ფიურსტების ავტონომიური სამართლის სპეციალისტი და 80-90-იანი წლების გამორჩეული ადვოკატი. კობურგებთან და ჰოჰენლოეებთან კარგი პირადი ურთიერთობის გამო დაინიშნა ზაქსენ-კობურგის და გოთას სახელმწიფო მინისტრად და 1905 წლამდე ასრულებდა ამ მოვალეობას. ჰქონდა კარგი ურთიერთობა ჰოჰენცოლერნებთან და პირადად ვილჰელმ II-თან. ჰენტიგი

განიხილებოდა პრუსიის იუსტიციის მინისტრად, თავად თქვა უარი პრუსიის ვაჭრობის მინისტრის პოსტზე. 1901 წელს მოხდა ჰენტიგის მემკვიდრეობითი ნობილიზაცია. 1916-1918 წლებში – გერმანულ-ქართული საზოგადოების წევრი.

ჰესე მაქს (Hesse Max) (1870-1947) – გერმანელი დიპლომატი. 1910-1917 წლებში – გერმანიის იმპერიის კონსული ბალდადში (ოსმალეთის იმპერია).

ფონ ჰიულსენი ერნსტ (von Hülsen Ernst) (1875-1950) – გერმანელი პოლიტიკოსი და იურისტი. 1894 წლიდან სწავლობდა ფილოსოფიას და თეოლოგიას ჰალეს უნივერსიტეტში. 1895 წლიდან სწავლობდა სამართალმცოდნეობას ბერლინის უნივერსიტეტში. 1898 წელს დაიცვა სადოქტორო დისერტაცია იენის უნივერსიტეტში. მუშაობდა სასამართლოებში ეულაუში და დანციგში. 1904 წლიდან – პრუსიის რელიგიის, განათლების და მედიცინის სამინისტროს თანამშრომელი. 1912 წელს მიენიჭა სამთავრობო მრჩევლის (რეგირუნგსრატის), ხოლო 1916 წელს – საიდუმლო უფროსი სამთავრობო მრჩევლის (გეჰაიმე ობერრეგირუნგსრატის) ნოდება. მსახურობდა რეფერენტად პრუსიის სხვადასხვა უნივერსიტეტებში. 1916-1918 წლებში იყო გერმანიის არმიის სახმელეთო ძალების გენერალური შტაბის პოლიტიკის სექციის (განყოფილების) მეთაური, რომლის ფუნქციებშიც ანტანტის ქვეყნების (მათ შორის რუსეთის იმპერიის) კილონიზირებული ხალხების გამანთავისუფლებელი მოძრაობის წარმომადგენლებთან მჭიდრო კავშირში სადაზვერვო-დივერსიული ოპერაციების განხორციელება შედიოდა. ამ ხაზით პირდაპირ კავშირში იმყოფებოდა საქართველოს განთავისუფლების კომიტეტთან. ფინეთის ეროვნულ-გამანთავისუფლებელი მოძრაობის მხარდაჭერისთვის დაჯილდოებულ იქნა პირველი ხარისხის ფინეთის თავისუფლების ჯვრით. 1920 წელს – კურატორი მარბურგის უნივერსიტეტში. 1932-1933 წლებში იყო პრუსიული პროვინციის ჰესენ-ნასაუს ობერ-პრეზიდენტი, ხოლო შემდეგ – კვლავ მარბურგის უნივერსიტეტის კურატორი.

ჰოისლერი ანდრეას (Heusler Andreas) (1865-1940) – შვეიცარიელი ფილოლოგი, გერმანისტი, გერმანული ფილოლოგიის სპეციალისტი. სწავლობდა ბაზელის, ფრაიზურგის და ბერლინის უნივერსიტეტებში. 1914-1919 წლებში ბერლინის უნივერსიტეტში ასწავლიდა გერმანულ ფილოლოგიას. 1920-1936 წლებში მოღვაწეობდა ბაზელის უნივერსიტეტში. მისი ნაშრომები ეძღვნება ძველგერმანულ და ძველისლანდიურ ეპოსებსა და პოემებს. ცხოვრების ბოლო წლებში მისი გერმანოფილიიდან გამომდინარე, ორაზროვანი პოზიცია ჰქონდა ჰიტლერთან მიმართებით, რომელთან დისტანცირება 1938 წელს შეძლო. 1907-1919 წლებში – პრუსიის მეცნიერებათა აკადემიის წევრი. 1916-1918 წლებში – გერმანულ-ქართული საზოგადოების წევრი.

ჰოლენდერი ფელიქს (Holländer Felix) (1867-1931) – ებრაული წარმოშობის გერმანელი მწერალი, კრიტიკოსი და თეატრის რეჟისორი. განათლება მიიღო ბერლინის უნივერსიტეტში, სადაც სტუდენტობის დროს გამოაქვეყნა თავისი პირველი რომანი. 90-იანი წლებიდან მუშაობდა თეატრის კრიტიკოსად ბერლინის პრესაში. იყო ცნობილი რეჟისორის მაქს რაინჰარდტის მეგობარი, 1902 წლიდან მუშაობდა

მის დრამატურგად. 1920-1924 წლებში რაინჰარდტის ვენაში ყოფნისას, ჰოლენდერი ასრულებდა ბერლინის თეატრის ხელმძღვანელის მოვალეობას.

ჰომელი ჰერმან ალექსანდერ (Hommel Hermann Alexander) (1849-1920?) – შვედეთის სამეფოს ვიცე-კონსული, საიდუმლო ვაჭრობის მრჩეველი. 1876 წელს გერმანიის ქალაქ მაინცში დააფუძნა სახელოსნო ინსტრუმენტების ფირმა „ჰერმან ჰომელი“, რომელმაც დიდ წარმატებებს მიაღწია და თავისი ფილიალები გახსნა მანჰაიმში, ბერლინში, მიუნხენსა და ვენაში. 1893 წელს ჰომელმა ინსტრუმენტების მწარმოებელი საკუთარი ქარხანა გახსნა გერმანიაში და ერთ დროს პატარა ფირმა კონცერნად გადაიქცა, რომელიც დღესაც განაგრძობს ფუნქციონირებას „ჰომელ ჰერკულესის“ სახელით. 1916-1918 წლებში – გერმანულ-ქართული საზოგადოების წევრი.

პირთა საძიებელი

ა

აბასინოვი აფროსი – 452.
 აბაშიძე ასლან ბეგი – 140, 628.
 აბაშიძე ივანე (კიტა) – 456, 628.
 აბაშიძე (სანჯაკბეგიშვილი-აბაშიძე)
 ზია ბეგი – 221, 241, 243, 398, 408, 629.
 ადანაია – 189, 214, 217.
 ადელმანი – 478.
 ავნი ფაშა აჰმედ – 240-242, 244, 246,
 491, 629.
 აიზენდებერი კარლ ფონ – 81, 82, 95,
 630.
 აკაკიუსი – 307.
 ალბოგაჩი (ალბოგაჩიევი)
 ჯემალედდინ – 562, 563, 589, 630.
 ალბოგაჩიევი დუა-ჰაჯი – 451.
 ალბურგი იოჰანეს ჰაინრიხ ვილჰელმ –
 295, 631.
 ალექსანდრე I – 207, 428, 611, 612.
 ალექსანდრე (უფლისწული) – 440.
 ალექსი-მესხიშვილი შალვა – 530, 631.
 ალი ბაშ ჰამბა (ალი ბაშ ჰამბა) – 348,
 534, 537, 631.
 ალტილერი – 420.
 ამაშუკელი – 189, 214, 217.
 ამილახვარი – 85.
 ამილახვარი ალექსანდრე – 450, 454,
 631.
 ამირეჯიბი – 85.
 ანდრონიკაშვილი (ანდრონიკოვი)
 ივანე (ნიკო) – 550, 632.
 ანტიოქე სტრატეგოსი – 613.
 ანტონ II – 484.
 ანჯაფარიძე ალექსი – 145, 238, 471,
 472, 506.
 არზამაკოვი უზდენ (გაზავატი) – 307,
 310, 363, 365, 380, 451, 589, 632.

აფხაზი კონსტანტინე (კოტე) – 139,
 214, 357, 546, 633, 681.
 აღაევი (აღაოღლუ) აჰმედ ბეგი – 452,
 525, 633.
 აშოვი – 272.
 ახმეტაშვილი ვ. – 185.
 აჰმედ ფაშა – 557.

ბ

ბაგრატ IV – 614.
 ბაგრატიონები – 88, 111, 227.
 ბაგრატიონი დიმიტრი – 451.
 ბაიშლაგი ფრანც ჰაინრიხ ავგუსტ –
 91, 280, 295, 634, 667.
 ბარათოვი – 179.
 ბარი რიხარდ – 295, 634.
 ბასერმანი ერნსტ – 280, 295, 634.
 ბაუდისინი ვოლფ ვილჰელმ ფრიდრიხ
 ფონ – 295, 634.
 ბაუერშმიდტი ოტო – 399.
 ბაქრაძე ლაშა – 61, 62.
 ბებუთოვი სელიმ ბეი მეჰრალი ოღლუ
 – 202, 307, 310, 363, 632, 635, 653.
 ბეგოვი ივანე – 145, 290.
 ბენეშევიჩი ვლადიმერი – 484, 635.
 ბერგფელდი ჰაინრიხ – 109, 116, 117,
 134, 135, 150, 151, 254, 635.
 ბერნშტაინი ერის – 607, 636.
 ბერნშტორფი იოჰან ჰაინრიხ ფონ –
 481, 562, 636.
 ბერნჰარდი გეორგ – 297, 636.
 ბერძენი ალ. – 266.
 ბეტმან-ჰოლვეგი თეობალდ თეოდორ
 ფრიდრიხ ალფრედ ფონ – 81, 132, 440,
 637, 659.
 ბექა და ალბულა ათაბაგები – 614.
 ბეცოლდი კარლ – 493, 637.

ბიოლოგი – 215, 217, 218.
 ბორნჰარდტი ფრიდრიხ ვილჰელმ
 კონრად – 91, 92, 637.
 ბოში კარლ – 280, 295, 637.
 ბრანდესი გეორგ (კოენი მორის) – 423,
 638.
 ბრანდტი ერიხ – 295.
 ბრანდტნერ დეზიდერიუს – 562, 565,
 576, 577, 588, 589, 638, 693.
 ბრატარი კარლ ადოლფ – 297, 638.
 ბრატინსკი იონ ი. გ. – 171, 638.
 ბურიან რაიეჟ შტეფან ფონ – 203, 213,
 254, 263, 306, 317, 331, 338, 639.
 ბუსშე-ჰადენჰაუზენი ჰილმარ
 ფრაიჰერ ფონ დემ – 93, 118, 298, 639.
 ბუჩუკური ბორია – 450.

ბ

გაბაშვილი (გაბაევი) ვასილი – 169, 448,
 455, 639.
 გაისლერი – 72, 73, 78, 79, 157.
 გამსახურდია კონსტანტინე – 229, 286,
 299, 308, 639, 640.
 გარბათი ოიგენ ლ. – 295, 640.
 გაჩეჩილაძე – 189.
 გეგეჭკორი ევგენი – 429, 530, 543, 569,
 570, 597, 602, 606, 640.
 გედევანიშვილი (გედევანოვი) იოსებ –
 449, 641.
 გეორგე ჟან – 280, 296.
 გვალია ბესარიონ – 500.
 გვინერი არტურ ფილიპ ფრიდრიხ
 ვილჰელმ ფონ – 297, 641.
 გვიშანი პორფირ (ინგურიძე არჩილ) –
 214, 217, 218, 230, 326, 436, 471.
 გიორგი V – 614.
 გიორგი XIII – 483.
 გიორგი მთაწმინდელი – 613.
 გიორგობიანი – 289, 290.
 გლობაჩოვი კონსტანტინე – 282, 641,
 642.
 გოგელია გიორგი (კომანდო) – 387, 642.
 გოზალიშვილი (გოზალოვი,
 კოზალოვი, კოზალი) ალექსანდრე –
 314, 398, 399, 410, 442, 482, 505, 506, 548,

551, 561, 578, 583-585, 594, 642.
 გოთუა პარტენ – 139, 642.
 გოლდენბერგი – 518.
 გოლც კოლმარ ფრაიჰერ ფონ დერ –
 58, 92, 113, 125, 126, 132, 149, 643, 661,
 686, 702.
 გომარტელი ივანე – 429, 643.
 გორიშენი (ელშინი) ალექსანდრე – 114,
 650.
 გოშკევიჩი – 420, 690.
 გრეჩი – 250, 423, 520.
 გრიგოლ ხანძთელი – 613.
 გრიპარისი იოანის – 76, 644.
 გუზე ფონ – 380.
 გუმერუსი ჰერმან გრიგორიუს – 371,
 422, 644, 655.
 გუტმანი ჰერბერტ მაქსიმილიან – 280,
 296, 644, 645.

დ

დავით აღმაშენებელი – 614.
 დავრიშაშვილი (დავრიშევი) იოსებ –
 517, 645.
 დაკვილი ზაქარია – 266.
 დარდიაშვილი – 546.
 დალესტანლი მეჰმედ ფაზილ ფაშა –
 70, 646.
 დევიძე აჰმედ – 562, 563.
 დეკანოზიშვილი (დეკანოზი) გიორგი –
 73, 646, 674, 697, 706.
 დელბრუკი ჰანს გოტლიბ ლეოპოლდ –
 61, 280, 295, 647.
 დელი ფუად ფაშა – 277, 310, 647.
 დისტი ვალტერ ფრიდრიხ ოტო ფონ –
 280, 295, 647.
 დიქსი არტურ – 295, 648.
 დოიტელმოზერი ერჰარდ ედუარდ –
 298, 648.
 დონერსმარკი ჰენკელ გვიდო ფონ –
 280, 296, 606, 648.
 დუმბაძე ვასილი – 169, 171, 420, 421,
 509, 648-649.

ე

ევსტაფიევი სოსო – 539, 584.

ეკარდტი ჰაინრიხ ფონ – 295, 650.
 ეკატერინე II – 84, 206, 207, 428, 485, 611.
 ენვერ ფაშა (ისმაილ ენვერ ფაშა) – 113, 192, 205, 209, 256, 562, 566, 568, 576, 586, 587, 597, 646, 647, 651, 657, 666, 689, 699, 712.
 ენუქიძე – 212, 275.
 ერეკლე II – 84, 206, 428, 469, 483, 485, 611, 640.
 ერისთოვი – 85.
 ესად ფაშა მეჰმედ – 301, 651.
 ექვთიმე ათონელი (მთანმინდელი) – 613.

პ

ვაგნერი ადოლფ – 281, 297, 651.
 ვადაჭკორია (ვადაკური) სოლომონ – 318, 408, 411, 419, 495, 505, 506, 534, 535, 562, 563, 589, 599, 652.
 ვაილერი – 420.
 ვაისბროთი – 268, 299.
 ვალენტინერი ვილჰელმ რაინჰოლდ – 297, 653.
 ვალენტინერი მაქს – 615, 652.
 ვანგენჰაიმი ჰანს ფრაიჰერ ფონ – 57, 70, 71, 74-77, 80, 95-97, 102, 104, 107, 108, 110, 112-117, 119-121, 124, 128, 129, 132-134, 136, 144, 150, 151, 161, 162, 173, 205, 591, 653, 654, 679, 701.
 ვარდიძე შალვა – 507, 653.
 ვარნჰოლცი – 512.
 ვარშანიძე სულეიმან – 471, 506, 562, 563.
 ვაჩნაძე ალექსანდრე – 455, 654.
 ვახტანგ VI – 228, 614.
 ვებერი თეოდორ – 158, 170, 192, 314, 332, 654.
 ვეზენდონკი ოტო გიუნტერ ფონ – 83, 87, 106, 145, 148, 170, 189, 198, 205, 211, 214, 216, 218, 224, 229, 230, 237, 238, 248, 250, 253, 264, 281, 297, 307, 312, 318, 319, 324, 325, 332, 337, 339, 342, 344, 347.
 ვერნდლი ი. – 156, 291, 292, 305, 306.
 ვერშოვსკი – 385, 388, 389.

ვეტერჰოფი ადოლფ ფრიდრიხ (ფრიც) – 181, 184, 188, 644, 655.
 ვეჰიზ ფაშა – 61, 346, 537, 588, 655.
 ვიკარი ბელა – 435, 655, 656.
 ვირთი ალბრეხტ – 293.
 ვირხოვი რუდოლფ ლუდვიგ კარლ – 227.
 ვიტი ფონ – 281, 297.
 ვიტინგი რიხარდ – 281, 297, 656, 712.
 ვიურცი ემილ – 298, 656.
 ვოლჰმანი – 155, 316, 656.
 ვოლფი არტურ – 297, 656.
 ვოლფი ჰერმან – 281, 297, 656.
 ვუსტენჰოფერი ფრანც იაკობ კარლ – 297, 656.

ზ

ზავარზინი პავლე – 186, 657.
 ზანდერსი ოტო ვიქტორ კარლ ლიმან ფონ – 100, 101, 113, 651, 657.
 ზახაუ კარლ ედუარდ – 281, 297, 657.
 ზდანევიჩი (მაიაშვილი) გიორგი – 139, 657, 658.
 ზერინგი მაქს – 281, 297, 658.
 ზიჩი მიხაი – 435, 655, 658.
 ზუდეკუმი ალბერტ ოსკარ ვილჰელმ – 281, 297, 659.

თ

თაგიევი ჰაჯი ზეინალაბდინ – 562, 577, 659, 693.
 თავდგირიძე აჰმედ – 524.
 თავდგირიძე ქიამილ ბეგი – 140, 201, 234, 236, 308-310, 398, 647, 659.
 თალაათ ფაშა მეჰმედ – 60, 75, 109, 150, 192, 557, 558, 562, 565, 566, 572, 581, 587, 591, 626, 651, 660, 712.
 თამარ მეფე – 354, 614, 653.
 თვარაძე ა. ი. – 258, 279.
 თოფჩიბაშევი ალი მარდან ბეგი – 452, 649, 660.

ი

იაგოვ გოთლიბ ფონ – 200, 660, 661, 684.

ივანოვი ი. – 545.
 იზზეთ ფაშა აჰმედ – 558, 559, 661.
 იმნაძე ივანე – 562, 563.
 იმჰოფ ფაშა ჰაინრიხ კარლ აბრაჰამ – 281, 296, 661.
 ინჯია – 189.
 იოანე პეტრინონელი – 228, 613.
 იპოლიტე ანტიპაპი – 613.
 ირემაძე – 471, 506, 507, 521.
 ისმეთ ფაშა ინენიუ მუსტაფა – 194, 197, 591, 661.
 იუდენიჩი ნიკოლოზ – 455, 662.

კ

კალატოზოვი ი. დ. – 258, 259.
 კალედინი ალექსი – 530, 662.
 კანდელაკი დავით – 189, 217, 510, 539.
 კაპლანოვი (კაპლან) რაშიდ ხანი – 451, 662.
 კარმი (ფოლმიოლერი) მარია, ასევე ჯილი (მაჩაბელი) ნორინა – 297, 394, 424, 663, 685, 695.
 კარლი – 393.
 კარო ს. – 296.
 კატო ტომოსაბურო – 366, 663.
 კაჭარავა ერასტი – 418, 536, 555.
 კაჭარავა ესტატე – 267.
 კედია სპირიდონი – 408, 529-533, 540, 595, 664.
 კერენსკი ალექსანდრე – 456, 530, 596, 602, 664.
 კერესელიძე (კერელე) გიორგი (გეორგ, გოგია) – 56, 79, 102, 133, 182, 189, 190, 198, 199, 214, 215, 224, 234, 236, 238, 248-250, 253, 281, 286, 287, 289, 290, 302, 312, 318-320, 323, 325, 333, 334, 339, 340, 344, 349, 350, 356, 360-362, 369, 370, 376, 377, 384-386, 388-393, 395-397, 403, 408, 413, 415, 416, 423, 426, 434, 442, 459, 479, 480, 506, 510, 514, 519, 534-536, 545-550, 586, 599, 620, 641, 645, 654, 659, 665, 674, 681.
 კერესელიძე (კერელე) ლეო – 56, 57, 72, 73, 75-78, 80, 96, 102, 107-109, 114, 115, 120, 124, 133, 134, 139, 150, 157, 161, 170, 173, 182, 185, 240, 241, 244, 248, 254, 261,

273, 274, 323, 324, 328-330, 332-345, 360-362, 369, 377, 386, 390, 411, 414, 426, 434, 437, 439, 446, 447, 459, 460, 465-467, 469, 473-475, 487, 492, 503, 519, 599, 601, 620, 641, 645, 665, 674.
 კერესელიძე ლეო (ლულუ) – 387.
 კერესელიძე მათე – 387.
 კვიატკოვსკი ერნსტ ფონ – 254, 255, 263, 288, 306, 317, 331, 338, 341, 666.
 კიკნაძე ელიზბარ (ბელელაშვილი ლეონ) – 189, 217, 218, 230, 325-330, 337, 471, 491, 495, 506.
 კიკნაძე ილია – 266.
 კილიგილ ნური ფაშა – 568, 576, 577, 634, 666.
 კინლინი ალბერტ ფონ – 381.
 კირიონი (საძაგლიშვილი), საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი – 624.
 კიულმანი რიხარდ ფონ – 298, 549, 606, 666.
 კიშკე – 125, 492.
 კლაინოვი – 218, 235.
 კლოტცელი ჰ. – 293.
 კოზაკი ჰარალდ – 105, 211, 229, 230, 238, 301, 666.
 კოლოდუევი – 398, 399.
 კონიევი – 179.
 კოსტანოვი – 237.
 კოტმანი – 599.
 კოჰენი – 492.
 კრესენშტაინი ფრიდრიხ კრეს ფონ – 626, 627, 633, 667, 685.
 კროპოტკინი პეტრე – 532, 642, 705.
 კრუში პაულ – 281, 296, 667.
 კულცერი – 339.
 კუჩენბახი თუსი – 296.

ლ

ლაბაძე სერგო – 326, 327, 398, 490, 524, 765, 770.
 ლავროვი – 175.
 ლაზარუსი პაულ – 281, 296, 667.
 ლაიენი ფრიდრიხ ფონ დერ – 229, 640, 668.

- ლასხიშვილი გიორგი – 139, 668.
 ლალიძე ვ. დ. – 179, 238, 258, 259, 654.
 ლაშენალი ადრიან – 72, 668.
 ლაცაბერიძე არსენ – 490.
 ლედებური ფრაიჰერ ფონ – 296.
 ლევი იოზეფ – 296, 669.
 ლევიცკი ეგგენ (ოიგენ) – 233, 293, 669.
 ლეკულტრი მართა – 446, 519.
 ლემანი კარლ – 296, 669.
 ლემბკე პაულ – 296, 669.
 ლენინი ვლადიმერ – 369, 370, 411, 514, 530, 574, 578, 698.
 ლეონიდე (ოქროპირიძე), საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი – 157, 484, 516, 670.
 ლეონიძე (ლიონიძე) ალექსანდრე – 448, 450, 455, 670.
 ლეპფერტი – 393.
 ლექვინაძე – 189.
 ლვოვი გიორგი – 360, 401, 516, 670.
 ლისტი ფრანც რიტერ ფონ – 280, 295, 670.
 ლიხტი იულიუს გუსტავ – 296, 671.
 ლოიდ ჯორჯი დევიდ – 362, 516, 671.
 ლომანი ალფრედ – 296, 299, 671.
 ლორენცი – 296.
 ლორთქიფანიძე ვლადიმერ (მერკვილაძე ირაკლი) – 214, 217, 218, 230, 329, 471, 495, 506, 562, 563.
 ლოსოვი ოტო ფონ – 220, 273, 348, 398, 537, 606, 625, 626, 671.
 ლუბერსი ფონ – 556.
 ლუშანი ფელიქს ფონ – 294, 296, 672.
 ლუციუს ფონ შტოედტენ ჰელმუტ ედუარდ ფერდინანდ – 169, 420, 424, 649, 672.
- მ**
 მაიერი ვალდემარ იულიუს – 296, 672.
 მაკაევი (მაყაშვილი) აბელ – 455, 673.
 მაკენზენი ანტონ ლიუდვიგ ფრიდრიხ ავგუსტ ფონ – 499, 622, 673.
 მანსვეტოვი არკადი – 279, 313, 526.
 მანჯავიძე – 471.
 მარი ნიკოლოზ (ნიკო) – 605, 673.
 მარიუმი – 446.
 მართა – 349, 446, 519.
 მარლანია – 500.
 მარჯანიძე ლ. – 490.
 მასოვი ვილჰელმ ფონ – 281, 296, 672.
 მალალაშვილი (მურბანი) (მალალოვი) ნესტორ (მურად ბეი) – 56, 76, 78, 80, 240, 244, 320, 326, 358, 359, 398, 407, 426, 488, 493, 519, 524, 641, 645, 665, 674, 742, 747, 748, 759, 765, 775.
 მალალოვი – 189.
 მაშმაიერი – 222.
 მაჩაბელი გიორგი – 57-62, 82, 83, 86, 87, 90, 91-93, 96, 97, 106-108, 111, 152, 154, 155, 162, 166-169, 171, 172, 175, 179-185, 188, 191-193, 198, 199, 201, 203, 205, 206, 209, 210, 212, 213, 220, 223, 225, 231, 232, 234, 236, 237, 256-258, 260, 261, 262, 264-266, 268, 271-273, 280, 285, 286, 295, 301, 302, 307-309, 311, 314-316, 320, 352, 353, 356, 363, 364, 368, 371 – 382, 386, 393-395, 401-403, 405-407, 410, 412-414, 420-422, 424-426, 428, 437, 438, 442, 443, 445, 454, 457, 458, 463, 464, 476, 477, 478, 483, 488, 491, 493, 495, 496, 498, 503-505, 507-509, 512, 513, 520, 526, 527-529, 533-536, 538, 541, 542, 544, 545, 548-552, 554, 556-559, 562, 564, 565, 568, 572, 576, 577, 581, 586, 589, 590, 593, 596, 598, 599, 600, 601, 607, 611, 632, 635, 638, 647, 649, 653, 663, 674, 675, 681, 685, 693, 695.
 მაჩაბელი ესტატე (ესტად) – 191, 251, 261, 323, 675.
 მაჩაბელი (მიხაილოვი) ნიკოლოზ – 262, 271, 364.
 მაჰმუდ ბეი – 365.
 მაჰმუდ ფაშა – 310.
 მდივანი ზაქარია (შაქრო) – 455, 675.
 მეკელაინი რიხარდ ფონ – 435, 675.
 მეკერი აზიზ – 201, 676.
 მეკლენბურგი ადოლფ ფრიდრიხ ფონ – 61, 280, 295, 676.
 მემკე რუდოლფ – 296, 677.
 მენტეშე ჰალილ – 586, 625, 677.
 მეტრეველი – 189, 399.

მეჰმედ იუსუფ ოღლი – 399.
 მილიუკოვი პავლე – 356, 619, 677.
 მილო ედგარ – 516, 678.
 მირზოევი – 276.
 მიტვობი ოიგენ – 281, 293, 296, 301, 386, 505, 520, 634, 657, 678, 781.
 მიუღერი გუსტავ ფონ – 296.
 მიხაელესი ქრისტიან გუსტავ – 103, 679.
 მიხეილ ალექსანდრეს-ძე – 451.
 მიქაბერიძე ა. ი. – 258, 259.
 მიქაბერიძე კლიმენტი (კლემენტონ) – 349.
 მოზელი ლუი – 70, 76, 107-109, 114, 115, 117, 124, 125, 129, 131-133, 135, 136, 138-144, 148, 149, 151, 155, 156, 173, 176, 239, 242, 243, 324, 325, 329, 346, 399, 488, 491, 492, 679, 755.
 მოლაშვილი გიორგი – 266.
 მუსტაფა ალი ოღლი – 399.
 მუსტაფაევი მეჰმედ – 471, 504.
 მუსხელიოვი (მუსხელიშვილი) იაკობი – 455, 679.
 მღებაროვი – 276.
 მძინარიშვილი (მძინაროვი) რაჟდენ (ახალკაცი ლადო) – 230, 238, 258, 264-266, 275, 276, 279, 286, 301, 303, 307, 310, 363, 365.
 მშველიძე დ. – 490.

ნ

ნადოლნი რუდოლფ – 127, 155, 156, 163, 169, 179, 217, 234, 256, 258, 261, 266, 299, 463, 465, 466, 495, 503, 632, 679, 680, 778, 788, 789.
 ნალი – 393.
 ნაპოლეონი – 206, 611.
 ნაუმანი ფრიდრიხ – 298, 659, 680.
 ნენჰაბერი – 422.
 ნესიმი ბეი აჰმედ – 597, 680.
 ნიკოლაიშვილი – 471, 504.
 ნიკოლოზ (ნიკოლა) არქიმანდრიტი – 134, 139, 198, 199, 301, 310, 320, 681.
 ნიჟარაძე დავით – 214, 681.
 ნიჟარაძე რაფაელ – 145, 238, 506.
 ნოიკირსი – 159, 161.

ო

ოელმანი – 156.
 ოიკენი რუდოლფ კრისტოფ – 280, 295, 681.
 ოილენბერგი ჰერბერტ – 296, 682.
 ოპენჰაიმი მაქს ფრაიჰერ ფონ – 302, 311, 682, 698, 781.
 ორბაი ჰუსეინ რაჟდენ – 625, 682.
 ორბელიანი გიორგი – 448, 449, 451, 455, 532, 682.
 ოსენკოპი ა. – 246, 269, 270, 399.
 ოქროპირიძე შალვა (დისეველი გიორგი) – 179, 230, 337, 342, 471, 490, 495, 506.

პ

პავლე I – 428.
 პალავიჩინი იოჰან ფონ – 206, 213, 288, 341, 564-568, 683.
 პალმიე შარლ ვ. – 281, 296.
 პაპაჯანოვი (პაპაჯანიანი) მიხეილ – 456, 683.
 პილსუდსკი იუზეფ – 489.
 პროკლე დიადოხოსი – 613.
 პრჟევალსკი მიხეილ – 455, 684.
 პურტალესი იაკობ ლუდვიგ ფრიდრიხ ვილჰელმ იოჰან ფონ – 186, 684.

ჟ

ჟორდანიას ერეკლე (ჰერაკლიუს) – 212, 275-279, 303, 343.
 ჟორდანიას ნოე – 429, 456, 534, 545, 546, 570, 684, 686, 798.

რ

რადოსლავოვი ვასილ ხრისტოვი – 171, 685, 694.
 რაინჰაიმერი – 380.
 რაინჰარდტი მაქს – 298, 685, 695, 712.
 რაიჰენბერგი ვოლფსკილ ებერჰარდტ ფონ – 127, 128, 685.
 რამიშვილი ნოე – 429, 596, 686.
 რაშდაუ ლუდვიგ ალფრედ – 281, 297, 606, 686.
 რენტე-ფინკი ფონ – 369.

რეხენბერგი ფრაიჰერ ფონ – 606.
 რიბო ალექსანდრ ფელიქს ჟოზეფ – 362, 516, 686.
 რიზა ბეი – 175, 176, 309.
 რიხტერი ერნსტ ფრიდრიხ ჰერმან ფონ – 281, 297, 686.
 როზენბერგი ფრედერიკ „ჰანს“ ფონ – 541, 549, 552, 557, 687.
 რომანოვი ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე – 153, 681, 687.
 რომბერგი გიზბერტ ფრაიჰერ ფონ – 72, 78, 79, 157, 467, 687.
 როპპი ფრიდრიხ თეოდორ ლუი სილვესტრ ფონ დერ – 379, 687.
 რუსთაველი შოთა – 228, 614, 655, 659, 710.
 რუშენი ბეი – 562.

ს

სალარ ალ დოვლე – 104, 688.
 სახოკია თედო (თეოდოტუს) – 198, 199, 688, 691.
 სელდესი ი. – 355.
 სელიმ ხანი – 450.
 სეფერ აჰმედ ოღლი – 399.
 სვანიძე ალექსანდრე – 145, 146, 289, 290, 688.
 სიამაშვილი – 189, 214, 217, 418, 507, 521.
 სიქაძე გიორგი – 266.
 სმითი – 277, 278.
 სოიტო – 353.
 სოლომონ II – 428, 440.
 სოლომონ (წინასწარმეტყველი) – 613.
 სტოლიპინი პეტრე – 55, 633.
 სულავა გრიგოლ – 212, 276.
 სულავა მიხეილ – 212, 275.
 სულეიმან ასკერი – 99, 689.
 სულეიმანი – 452.
 სუმბათაშვილი (სუმბათოვ)-
 იუჟინი ალექსანდრე – 357, 689.
 სურამელი – 504, 507.
 სურგულაძე პეტრე (სურატი პიერ) – 56, 62, 76, 78, 79, 82, 116, 134, 135, 139, 144, 191, 240, 243, 244, 308, 310, 324, 327, 331, 333-337, 347, 348, 375-377, 386, 390,

395, 397, 398, 403, 405, 407-410, 412, 415, 418, 419, 423, 426, 427, 434-436, 442, 461, 462, 471, 472, 488-491, 495, 496, 503, 504, 506-508, 521, 523-525, 533, 537, 562, 588, 601, 616, 620, 674, 689.
 სუხომლინოვი ვლადიმერ – 420, 509, 649, 690, 691.
 სუხომლინი ვ. – 553.

თ

ტატიშვილი დათიკო (მარანელი ვანო) – 230, 584.
 ტატიშვილი (ტატი) ირაკლი (თარხანოვი მიხეილ) – 103, 158, 160, 161, 314, 315, 398, 399, 691.
 ტაუბე ფონ – 577.
 ტერაუტი მასატაკე – 353, 691.
 ტრაუტმანსდორფი-ვაინსბერგი კარლ ფონ – 203, 204, 692.
 ტრიპელი – 551.
 ტრიჩი დევის – 281, 295, 423, 692.
 ტროცკი ლევ – 391, 549, 552, 692.

უ

უქსკული ვოლდემარ კარლ ჰაინრიხ ალექსანდერ ფონ – 380, 381, 693.
 უცმიევი ათამბეგ – 139, 562, 563, 576, 693.

ფ

ფეჰმი ჰასან – 557.
 ფირცხალავა სამსონ – 139, 693.
 ფიშერი ა. – 222.
 ფიცნერი რუდოლფ ვილჰელმ ჰერმან – 296, 694.
 ფლინში ალექსანდერ ფერდინანდ – 296, 694.
 ფოლბერი ოტო ჰაინრიხ ფრიდრიხ – 281, 293, 295, 694.
 ფოლმიოლერი კარლ გუსტავ – 61, 281, 297, 394, 663, 685, 694, 695.
 ფოსენი ერნსტ – 280, 293, 295, 695.
 ფრანკი რიხარდ – 296, 695.
 ფრიდრიხ დიდი – 84.
 ფრიკე – 246, 399, 491.

ქ

ქარუმიძე შალვა – 448, 451, 478, 632, 696.
 ქარჩავა აკაკი – 266.
 ქარცივაძე მელიტონ (ოსმან ბეი) – 60, 134, 185, 240, 244, 310, 324, 332-334, 347-349, 376, 395, 396, 398, 407, 488, 489, 501, 569, 575, 578, 583, 584, 616, 696, 762, 775.
 ქაჯაია ბერნელ – 199.
 ქიამილ ფაშა მაჰმუდ – 239, 241, 647.
 ქორქაშვილი – 212, 275.
 ქორქია პლატონ – 266, 307.
 ქოჩეჩაშვილი – 212.
 ქოცეკი ფაშა ისა – 202.
 ქუთათელაძე ბიძინა – 538, 562, 563, 697.

ლ

ლამბაშიძე დავით – 279, 697.
 ლლონტი – 303.

ყ

ყაზბეგი – 267.
 ყიფიანი (კელინგი) პავლე (პალიკო) (პოლ) – 79, 94, 96, 97, 103, 106, 108, 697.
 ყუბანეიშვილი – 212.
 ყურაშვილი სტეფანე – 538.

შ

შავთელი იოანე – 614.
 შამილი – 70, 619, 646.
 შატოპაძია (შატო) ვირენდრანათი – 422, 698.
 შედე – 273, 346, 347, 348, 399, 698, 755.
 შევი ოლლი – 504.
 შელენდორფი ფრიდრიხ ჰაინრიხ ბრუნო იულიუს ბრონზარტ ფონ – 113, 698.
 შელყელცი – 407.
 შერვაშიძე ჯოტო – 450, 699.
 შეფერი ფერდინანდ – 297.
 შვაბახი ფელიქს – 281, 297, 699.
 შვაბე კურდ – 281, 297, 699.
 შვაბნერი – 492.
 შვარცი კურტ – 498, 499, 502, 615, 700.

შვინდტი – 222.

შიმანი თეოდორ ჰაინრიხ კრისტიან კარლ – 281, 297, 700.
 შლივინსკი – 399.
 შლიფაკი ოტო – 291, 292, 354.
 შლიფაკი ჰორსტ – 244, 273, 324, 325, 327, 328, 330, 399, 488, 700.
 შლუბახი ერიკ ვალდემარ – 500, 501, 701.
 შმიდტი ოსვალდ ფონ – 107, 115, 124, 156, 241, 246, 252, 327, 399, 492, 701.
 შმიტერლიოვი ბერნჰარდ ფონ – 297, 702.
 შოვინგენი კარლ ემილ შაბინგერ ფრაიჰერ ფონ – 143, 146, 168, 171, 182, 248, 678, 702.
 შროდტერი ალექსანდერ ემილ ადოლფ – 297, 702.
 შტაინი ლუდვიგ – 281, 297, 702.
 შტაინვაქსი ჰანს – 448, 453, 463, 477, 478, 540, 702.
 შტანგე ფონ – 135, 176, 180, 221, 243, 245, 251, 261, 703.
 შტიუბე რუდოლფ ჰაინრიხ კარლ – 297, 703.
 შტოფელსი – 399.
 შტუცი – 278, 279.
